

სერგო ჯორბენაძე

ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

1984

ნაშრომი მოგვიტობრობს დიდი ჟართველი ისტორიკოსის ივანე ჟავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, იმ უდიდეს ლეწლზე, რომელიც მას მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებისა და ეროვნული მეცნიერების თითქმის ყველა დარგის განვითარების საშვილიშვილო საქმეში. მონოგრაფიაში უხვადაა წარმოდგენილი ამ შესანიშნავი მამულიშვილისა და მეცნიერის ბიოგრაფიის ამსახველი მრავალი ახალი ფურცელი.

ჰირველ გამოცემასთან შედარებით, ნაშრომში შეტანილია მცირე შესწორებები. მას ინტერესით გაეცნობიან სპეციალისტებიც და ფართო მკითხველიც.

1984 წელს ავტორს ამ წიგნისათვის მიენიჭა
საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

რედაქტორი ა. შანიძე

რეცენზენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი აკ. სურგულაძე,
პროფ. მ. ლორთქიფანიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

წიგნის შესავალი

გამორჩეულთა ხვედრია საკუთარი ხალხის მარადიული შვილობა. ასეთია ივანე ჯავახიშვილი.

ძნელია აღწერო იმ პიროვნების ცხოვრება, შრომანი და ღვაწლი, რომლის შესახებ ყველაფერი — დეტალებიც და ძირითადი მომენტებიც — უნდა დარჩეს ხალხს.

ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწსა და ნაწერებს საუკუნეებში გაეცნობიან მადლიერი თაობანი. იგი საქართველოს ყველა დროისათვის საჭირო კაცია.

ივანე ჯავახიშვილი ყველაზე დიდი ქართველი ისტორიკოსია. ისტორია მისთვის არასდროს არ არის მხოლოდ ლამაზი, ადვილად წასაკითხი, სალაღობო, სააგარაკო განწყობილების შემქმნელი, გასართობი წიგნი.

ისტორია არც ისაა, რომ მისი სიძველითა და სიმდიდრით ერის უმოქმედობა და უძრავობა გაამართლო.

მხოლოდ ნამდვილი, შეულამაზებელი, პირუთენელი ისტორია ეხმარება თანამედროვეთ უკეთესი მომავლის რწმენის შექმნაში.

თავისი ხალხის ძველთაძველი წარსულის გაბმული ქებით არ ასულა ივანე ჯავახიშვილი დიდების პიედესტალზე. მას ახალგაზრდობიდანვე წილად ხედა შეუბრალებლად გაექარწყლებინა ბევრი ძველი და ხანდაზმული საამო ტყუილი, ზოგჯერ ხალხის მიერ რწმენად მიღებული ლეგენდა. ყველაფერ ამას მეცნიერების უზენაესი მიზნისათვის — ისტორიული სიმართლისათვის აკეთებდა იგი.

ივანე ჯავახიშვილი საჯაროდ აცხადებს:

„ჩვენი წარსული გმირობისა და სამშობლოსათვის თავგანწირულობის იშვიათი მაგალითებით არის სავსე, ისევე როგორც ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გამცემლობა და ლალატიც არა ერთხელ ყოფილა.“

ჩვენს ისტორიას დრამატული და ტრაგიკული ამბები და მდგომარეობაც მრავალი ახსოვს და დაცული აქვს“.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიიდან ფერფლს კი არ იღებდა, არამედ სწორედ ცეცხლს. იგი უნაპირო სიყვარულით, ძარღვიანი ქართულით გეიხატავს სამშობლოსათვის, სოციალური სამართლიანობისათვის თავგანწირულთ და მძვინვარებით, მბორგავი სტრიქონებით აღწერს სამშობლოს მოლაღატეებს, იმათ, ვინც არ დაგიდევთ ხალხის ინტერესებს და ამაღალი თანამდებობისათვის შეუძლიათ მისი გაყიდვა.

ხალხის მეხსიერებამ ზეპირად, წიგნად „ქუთათა, ხატთა და ქუართთა ზედწერილობით“ შემოინახა იმათი გმირობა, ვინც კაცობრიობის ყველაზე საშინელი მტარვალის თემურლენგის ჯარისკაცებს დარიალის გაჩაუკეტა და

გვარიც სახსენებლად საწყევარიცა, ვინც თემურლენგს წინ თავისივე ნებით მოუძლოდა და უცნობ გზებსა და ბილიკებს ასწავლიდა. ეს იმიტომ, რომ არასდროს დავიწყებას არ მიეცეს საყოველთაო შეჩვენება და სიძულვილი ერის მოლაღატისა.

თურქი მოძალადის მხეცობა მთლიანად ფერმკრთალდება ქართველ დიდებულთა მიერ „თანამოძმის“ კაბუჯისა და ქალიშვილის დატყვევებითა და ცოცხალთა ბაზარზე გაყიდვით; ივანე ჭავჭავაძის დიდად მოსწონს ის ხელჩართული ბრძოლა, თავის უკვდავი წიგნის გვერდებზე რომ გაუჩაღა თანამედროვეთ ვახუშტი ბაგრატიონმა, როცა გვარებთაც კი დაასახელა ერის ეს ყველაზე საშიში „მოყვარე მტრები“.

ილია ჭავჭავაძისადმი გამოხატული სიყვარული ივანე ჭავჭავაძის არ აეწყვებს მეფის ქართველ სენატორ გ. მუხრანსკის, ასზე მეტი წლის წინ თავის პატარა ერის „მოახლოებულ“ გაუქმებას, მისი ენის შთანთქმასა და განქარვებას თავგამებებით, თეორიულად რომ ასაბუთებდა, თითქო საკუთარი გადაგვარებასავით ადვილი იყოს მშობელი ერის გადაგვარება.

ხალხის ბედის გამგებელთა ნაკლი მარტო უკიდურეს პარტიზმოყვარობაში კი არ გამოხატულა მხოლოდ, არანაკლებ უანგარიშო მხნეობაში, წამებულის გვირგვინისათვის ავადმყოფურ ბრძოლაში. ამგვარ წინდაუხედაობას, უსარგებლო სიმაძაქეს არაერთხელ უშემიძესი ტრაგედია მოუტანია ხალხისათვის.

ივანე ჭავჭავაძის მოღვაწის, ისე როგორც ისტორიკოსის, ყველაზე დიდ ნაკლად გულგრილობა მიიჩნდა, ამიტომ იგი დაუნდობლად აკრიტიკებდა იმ ძველ ქართველ ისტორიკოსებს, რომლებიც ქვეყნის უბედურებას ვერ ამჩნევდნენ; არა თუ განგაშის ზარებს არ სტეხდნენ, არამედ ოქმისებური გულგრილობით აღწერდნენ სხვადასხვა მეორეხარისხოვან ფაქტებს; მაინც ეს არ უშლიდა ხელს ივანე ჭავჭავაძის, ამა თუ იმ ისტორიკოსის დადებითი დაენახა: დეტალებში შეცდომა არ ჩაეთვალა მთელი ნაშრომის ნაკლად.

ივანე ჭავჭავაძის ღრმა რწმენით მკვლევრებს, მეცნიერებს მარტო იმით კი არ უნდა ვსწავლობდეთ, რა შეცდომა დაუშვეს, რა მარცხი მოუვიდათ, არამედ უპირველესად იმით, რა გააკეთეს, რას მიაღწიეს წინამორბედებთან შედარებით.

ივანე ჭავჭავაძის მთელი ქართული ცივილიზაციის სწორუპოვარი მკვლევარია. ივანე ჭავჭავაძის მრავალ დარგს გაუნაწილა დიდი სწავლულის ზეგარდმო ნიჭი და ეს სრულიადაც არ ყოფილა შემოქმედებითი ძალების დაქსაქსვა: ყველა საკვლევ სფეროში თავისი განსაკუთრებული წარუხოცელი სიტყვა თქვა. ამას მისი უკვდავი წიგნები გვიმოწმებენ, მაგრამ მისი ღვაწლი ამით როდი შემოისაზღვრება. საკუთარ წიგნებს გარდა, იგი თავგამოდებით ზრუნავდა სხვის წიგნებზე. როგორც მეცნიერი იგი უხვი იყო მოწაფეთა და კოლეგების მიმართ.

მეცნიერების მრავალი დარგის მუშაებმა, ივანე ჭავჭავაძის თანამედროვეებმა, მისი რჩევით, კონსულტაციით. დავალებით, პირდაპირ შეკვეთით შესანიშნავი გამოკვლევები შექმნეს. თანამედროვენი ამ განსაკუთრებულ უნარს აღნიშნავენ ივანე ჭავჭავაძისას: მეცნიერ კოლეგებთან პირადი საუბარი ამა თუ იმ პრობლემაზე მას გაბედული, უაღრესად ნაყოფიერი დასკვნებისათვის გამოუყენებია, თვითშეზღუდვის გარეშე. ამ დროს მისთვის, როგორც მკვლევრისათვის, უტახოა ე. წ. მეცნიერული სიხარბე. ივანე ჭავჭავაძის არა თუ ძველი ხელნაწერი თავისთვის არ გვადუნახავს, რომ ის მხოლოდ მას გამოეცა

(პირველმპოვნელის, აღმომჩენის მიერ გამოქვეყნების უფლების დაგვიანებით გამოყენებას მეცნიერებისათვის ხომ ხშირად ზიანი მოუტანია), არამედ არ ცდილა არასდროს, თავისი მეცნიერული თვალსაზრისი დაემალა დაინტერესებულ მკვლევართან, ვიდრე თვითონ არ გამოაქვეყნებდა მას. იგი უხვად უზიარებდა თავის აზრებს ყველას და დიდად ხარობდა სხვისი წარმატებებით.

ივანე ჯავახიშვილი მარტო აზრის კი არა, იგი არანაკლებ მოქმედების გოლიათია. კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის აღმშენებელი პირდაპირ იმსახურებს ამ სახელწოდებას. ამით როდი ამოიწურება მისი ღვაწლი. პირველი ქართული ოპერის წარმატებაშიც, ისე როგორც პირველი ქართული კონსერვატორიის მიღწევებში მისი წვლილია; თანამედროვე ქართული მონაწილეობისა, ფერწერის წარმატებაშიცაა მისი გავლენა; კულტურის ძეგლთა დაცვის შემოქმედი და ფიზიკური დარაჯია იგი, სამუზეუმო საქმის განმაახლებელი, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის სათავეებთან მყოფი და ა. შ.

პირდაპირ უნდა ითქვას: ივანე ჯავახიშვილის მრავალღონიერი მოღვაწეობა ერთი პიროვნების დაუდგრომელი მეცნიერული, კულტურული და საზოგადოებრივი აქტიურობის სრულქმნილობის უმაღლესი ნიმუშია.

ამ წიგნში გაკეთებულია ცდა, ერთიანად წარმოვადგინოთ ივანე ჯავახიშვილის — ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების, მეცნიერის და მოღვაწის — მთელი შემოქმედებითი ცხოვრება. თავის დროზე ეს სცადა პროფ. დ. გვრიტიშვილმა, ამით დიდად წასწია წინ ივანე ჯავახიშვილის უმდიდრესი შემოქმედებისა და ცხოვრების შესწავლის საქმე. მაინც უნდა ითქვას, ავტორმა უმეტესწილად ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების მიმოხილვაზე გადაიტანა მთავარი აქცენტი, ამით გაფერმკრთალდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად ასახვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე, მით უფრო, რომ იგი თითქმის არ იყენებდა მდიდარ საარქივო მასალებს. თუ დავეთანხმებით გამოთქმას: პიროვნების არქივში ჩახედვა მის სულში ჩახედვას ჰგავსო, მაშინ გასაგებია, რომ ბიოგრაფიული პორტრეტის სრულად დახატვისათვის ბევრი რამ შეუძლია მოგვეცეს საარქივო მასალების მომარჩევებამ.

ჩვენ მაქსიმალური გულსყურით გავეცანით ივანე ჯავახიშვილის პირად არქივს, რომელიც ახლა შესანიშნავად მოვლილი და შენახულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და რომლის აღწერილობა 1976 წელს გამოსცეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მდიდარ არქივს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივს, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის არქივს, სახალხო განათლების მუზეუმის არქივს, ბუნებრივია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივს, ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიულ არქივს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილების არქივს, ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ლენინგრადის სახელმწიფო არქივს; ფართოდაა წიგნში გამოყენებული საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ასევე საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის შესაბამისი ფონდები.

ივანე ჯავახიშვილის შესახებ იქ დატული მასალები შემდგომ გამოაქვეყნათ. ტაბლიაშვილმა (საისტორიო მოამბე, 1967, ტ. 21—22). ეს ფრიალ სასარგებ-

ლო პუბლიკაციაა, მიუხედავად მასში გაპარული შეცდომებისა. წიგნის წერის დროს ჩვენ გავეცანით სხვადასხვა პირად არქივებს, მათ შორის აკადემიკოსების აკ. შანიძის, ივ. ბერიტაშვილის, ნ. მარის, ვ. ვერნადსკის, ექ. თაყაიშვილისას.

წიგნის დაწერისათვის შეუცვლელი მნიშვნელობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის შესახებ მოგონებებს, მათ შორის ბევრი ჯერ კიდევ დაუბეჭდავია (მარტო ჩვენი ინიციატივით სამ ათეულზე მეტი მოგონებაა შეგროვილი). ნათესავების, ახლობლების მოგონებების გარდა, წიგნში (მეხსიერების შეცდომების გასწორებით) გამოყენებულია მეგობართა, მოწაფეთა, თანამშრომელთა, მოწაფის მოწაფეთა, რჩევისათვის მისულთა, ლექციებზე დამსწრეთა და ა. შ. მოგონებები. მაინც, როგორც ღიდად სამწუხარო ფაქტი, უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გაქრა ისე, რომ მოგონებთა ფურცლებზე არ აღბეჭდილა. თანამედროვეებმა მეტად და მეტად მცირე მოგონებანი დაგვიტოვეს ამ ღიდად აღამიანზე. იმის შიშით რომ არაფერი დაეკლოთ მოგონების სრული სურათისათვის და არ დაეშვათ რაიმე უზუსტობა — არც ცდილან თუნდაც მისი ესკიზები დაეტოვებინათ, რაც ასე ძვირფასი იქნებოდა თაობებისათვის. მაინც დღეს გაცილებით მეტი შეგვიძლია ვთქვათ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაზე, ვიდრე სამი ათეული წლის წინათ. განსაკუთრებით მისი 100 წლისთავის ზეიმის დღეებში აღრე გამოქვეყნებულ მასალებს ბევრი ახალიც დაემატა.

ოციან წლებში დაუღლეი და მოქმედი პედაგოგი ანდ. შილაკაძე სცემს ეურნალს „ჩვენი მეცნიერება“. 1926 წელს მთელს ნომერს (№ 17 — 18) უძღვნის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 50 წლისთავს. ამ პოეტი კოტე მაყაშვილი შესანიშნავად გადმოცემს ივანე ჯავახიშვილის ყმაწვილობის, გიმნაზისტობის წლებს. მარტო ამ საქმისათვის შეგვიძლია მადლიერი ვიყოთ ანდ. შილაკაძისა.

სტუდენტობის წლები ყველაზე კარგად ივ. ჯავახიშვილის გიმნაზიის და უნივერსიტეტის მეგობარს ივ. ნიჟარაძეს აქვს აღწერილი.

პრივატ-დოცენტობის ხანას კი მრავალი აღწერს. რასაკვირველია, ამ მასალებს პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილის უმცროსი და ოცდაათერთმეტი წლის განმავლობაში გულსანდო და უღალატო მეგობარი, თანამდგომი და თანამოსაგრე აკაკი შანიძე გვაძლევს. ასევე ძვირფასია მოგონებები გ. ჩიტაიასი, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ვლ. ფუთურაძის, დ. ჩხეიძის, ი. ყიფშიძის, ვუკოლ ბერიძის, შ. კაშმაძის, გ. თარხნიშვილის, ს. გორგაძისა და სხვათა.

ბუნებრივია, უნივერსიტეტის გახსნის დროიდან შედარებით მეტი მოგონება გვაქვს, რომელიც კიდევ უფრო მატულობს შემდგომ პერიოდში.

ამ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მ. ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონება. უნივერსიტეტის პირველი პროფესორებისა და ლექტორ-ასპირანტების მოგონებანი, ამ დავასახელებთ ექვ. თაყაიშვილის, ა. ხარაძის, კ. გამსახურდიას, მ. ნოდის, ლ. გუდიაშვილის, ალ. ჯანელიძის, ა. თვალქრელიძის, შ. ნუცუბიძის, თ. და ნ. ლომოურების, მ. კვიციანიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ვლ. ელენტის, ი. ქუთათელაძის, გრ. მუხაძის, ზ. მისიურაძის, სპ. ვირსალაძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, ი. ორბელის, დ. მგელაძისა და სხვათა მოგონებებს:

ივანე ჯავახიშვილის როგორც რექტორის, ლექტორის, მასწავლებლის შესახებ მდიდარ მოგონებებს გვაწვდიან თბილისის უნივერსიტეტის პირველი

და შემდგომი თაობის სტუდენტები, ასპირანტები და ლექტორები შ. ამირანაშვილი, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, ნ. კეტხოველი, არნ. ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, პ. გუგუშვილი, აბ. კიციანი, შ. ჩხეტიანი, ს. ჯიქია, ვ. დონდუა, ლ. მუსხელიშვილი, ირ. ტატიშვილი, იულ. ლომოური, ი. დოლიძე, ავ. ზურაბაშვილი, კ. გრიგოლია, ე. ფიფია, ალ. ფრანგიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, შ. ძიძიგური, შ. ხიდაშელი, შ. მესხია, დ. შენგელაია, ირ. ანთელავა, ავ. გაწერელია, ფ. გოკიელი, რ. ნიკოლაძე, კ. დონაძე, ა. სიგუა, ჯ. ნოლაიძე, ვლ. მაჭავარიანი, ლ. რჩულიშვილი, ი. მეგრელიძე, მ. ჩიქოვანი, ს. ქილაია, გ. რატიშვილი, ი. ცინცაძე, აბ. ნუცუბიძე, ს. ხუციშვილი, ივ. ჩხენკელი, ალ. გეგენავა, ქ. ცხაკაია, ვ. სუპატაშვილი, ნ. ლომსაძე და სხვ.

ბევრი ამ მოგონებათაგან დაბეჭდილია; ახლა, როცა გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ბიბლიოგრაფია 1975 წლამდე გამოქვეყნებული წიგნებისა, წერილებისა და მზადდება 100 წლისთაზე გამოსული დაბეჭდილი მასალების დამატებითი ბიბლიოგრაფიის დაბეჭდვა, ჩვენ ზედმეტად ვთვლით, ჩამოვთვალოთ ზემომითთებულ ავტორთა დაბეჭდილი მოგონებებისა და გამოკვლევათა სათაურები.

წინამდებარე მონოგრაფიის დაწერისათვის ჩვენ მიერ გამოყენებულია უკლებლივ ყველაფერი, რაც ივანე ჯავახიშვილს დაუბეჭდავს. ამასთან პირველად მოცემულია მისი ცალკეული წიგნების — ეპოქის შემქმნელი გამოკვლევების — დაწერის ისტორია.

„აქვს თავისი ბედისწერა წიგნებსაც“, რომელიც არა თუ გარეგან ისტორიას, წიგნის შინაგან ისტორიასაც მრავალმხრივ გვიხსნის.

ამ წიგნის დაწერის დროს გამოყენებულია, ეგონებ, ყველაფერი ის, რაც ივანე ჯავახიშვილზე დაბეჭდილია. ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის სხვადასხვა მხარეებზე საინტერესო გამოკვლევები და ნაშრომები გამოაქვეყნეს გ. ლომთათიძემ, ა. კალანდაძემ, გ. მელიქიშვილმა ავ. სურგულაძემ, რ. მეტრეველმა, ლ. ნანიტაშვილმა, ა. აფაქიძემ, მ. დუმბაძემ, ი. კაპარავამ, შ. კაკულიამ, მ. ლორთქიფანიძემ, გ. ხორგუაშვილმა, შ. ლომიძემ, დ. გურგენიძემ, ე. მეტრეველმა, ქ. ლომთათიძემ, ვ. ჩანტლაძემ, პრ. რატიანმა, არჩ. ჯანაშვილმა, გ. როგავამ, გ. ჯიბლაძემ, ვ. სიღამონიძემ, ა. ავალიანმა, რ. ჩაგუნავამ, შ. გოზალიშვილმა, რ. კიკნაძემ, ვ. ჯაფარიძემ, დ. მეგრელიძემ, ელ. ხოშტარიამ და სხვ.

ჩვენს მუშაობაში დიდად გვეხმარებოდნენ ო. ჯაფარიძე, ალ. ლლონტი, ი. პაპავა, ზ. ალექსიძე, რ. სირაძე, ლ. მენაბდე, შ. ბადრიძე, კ. ჩარკვიანი, გ. აბელიშვილი, ევ. ჭეირანიშვილი, ალ. ლეკიაშვილი, ა. ხარატიანი, შ. ნაჭყებია, ვ. გამყრელიძე, პ. ზაქარაია, ვ. გურგენიძე, მ. ბოკერია, ავ. ურუშაძე, ზ. ქუმბურიძე, ელ. ხინთიბიძე, ან. ლეკიაშვილი, დ. კაციტაძე, ნ. ჯანბერიძე, უ. ბახტაძე, ვ. სილოგავა.

ამ წიგნში არც ერთი ფაქტი და მოვლენა ივანე ჯავახიშვილს რომ ეხება, ჩვენს მიერ არ არის შეთხზული. ყველა ისინი სათანადო წყაროებს ეყრდნობა. იქაც კი, სადაც ფაქტობრივი მონაცემები მწირი იყო, ჩვენ არ ვცდილვართ საკუთარი ფანტაზიით შეგვევსო ისინი, ანდა საკითხის შინაგანი ლოგიკით გაგვევითარებინა მოვლენის შესაძლებელი მიმართულება. სინამდვილესთან დოკუმენტურ შესაბამისობაში მიყვანა დიდად გაგვიადვილა ნათელა ჯავახიშვილმა, რომელმაც ასე ბევრი გააქეთა საკუთარი მამისა და ერის მამის უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისათვის და წიგნის რედაქტორმა

აკაკი შანიძემ, რომელიც თავის ფენომენალური მენსიერებით აღადგენდა დიდ ქართველთან თანამყოფობის ძვირფას დეტალებსაც.

ავტორი დიდად ბედნიერია, რომ შესაძლებლობა აქვს თავისი წვლილი შეიტანოს ერის შვილის ბიოგრაფიის შესწავლაში.

ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ წიგნის შექმნას, ავტორი გულითად მადლობას სწირავს.

უსაზღვრო ზნობრივ კმაყოფილებას იგრძნობს ავტორი და დიდ პატივად ჩათვლის, თუკი მკითხველი ამ წიგნში ქართველი ხალხის უბერებელი შვილის შესახებ ახალსა და საინტერესოს იპოვნის.

ქართლისა და ქახეთის ნიაღვი (1876—1895)

თ ა ვ ი I. ზნემაღალი ოჯახი

ივანე ჭავჭავიძე დიდიხანა თბილისში 1876 წლის 11 (23) აპრილს პედაგოგ ალექსანდრე ჭავჭავიძის ოჯახში.

ივანე ჭავჭავიძე უძველეს¹ ქართველ დიდებულთა გვარიდანაა წარმოშობილი დედითაც და მამითაც.

ვახუშტი ბაგრატიონი ჭავჭავიძელების გვარს ქართველ დიდებულთა შორის ასახელებს, ვახჭავჭავიძეებისას კი — კახელ დიდებულთა შორის.

არისტოკრატიული წარმოშობა ხელს არ უშლიდა ამ ზნემტკიცე ოჯახს უღარესად დემოკრატიული ყოფილიყო: ეს ყველაზე მეტად შვილების აღზრდაში გამოემჟღავნა.

ჭავჭავიძეების გვარის უძველესი წინაპარნი ჭავჭავთიდან იყვნენ — თორელები. ისინი მეთორმეტე საუკუნიდან გადმოსახლებულან ქართლში. თემის ხეობაში, მათ შორის სოფელ ხოვლეში.

ქართლში მათ მძლავრად მოუკიდნიათ ფეხი. ძველი ისტორიული დოკუმენტები არცთუ იშვიათად გვამცნობენ ამ გვარის შემდგომ ყოფნასა და აღზევებას ქართლში. შემონახულია მეჭურჭლეუთხუცესის კახა თორელის მიერ 1259 წელს გაკემული შეწირულების წიგნი რკონის მონასტრისადმი. მას უზარმაზარ თანხად შეუსყიდია სოფელი ხოვლე და შეუწირავს რკონის ლეთისმშობლის მონასტრისათვის.

როგორც ნ. შოშიაშვილმა დაადგინა, ეს საგვარეულო XIV საუკუნემდე ისევე თორელებად იწერებოდა, XIV საუკუნეში თორელ-ჭავჭავიძელებად, ხოლო XV საუკუნიდან მიუღიით გვარი ჭავჭავიძეები².

¹ თავის შვენიერ წიგნში „ივანე ჭავჭავიძე და საქართველოს არქეოლოგია“ (1977 წ. გვ. 56) ალ. კალანდაძე ივანეს, რომ სულ ორიოდე კვირა იყო გასული ივანე ჭავჭავიძის გარდაცვალებიდან—1940 წლის 3 დეკემბერი. მცხეთის უნიკალური არქეოლოგიური მონაპოვარის მშენებელიდან ასპარუგ პიტიახშის ოქროს სარტყლის სწორკუთხა ბალთის ბუდიდან ამოღებულ თქვა წყვილბორტრეტიანი ძვირფასი ქვის ინტალიო, რომლის გარშემო ამოკაწრული ბერძნული წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „ძე-ვახი, ჩემი სიცოცხლე, კარაკი“. ამ წარწერასა და აქაური მდიდრული ინვენტარის კიდევ ოთხ ძეგლზე შეხვედრილ სახელში „ზევახოს, ძევახოს“ ჩვენმა მკვლევრებმა (პ. ინგოროყვა და სხვ.) „ჭავჭავისი — ჭავჭავი“ გამოიცნეს და ჭავჭავიძეების გენეალოგიის წყაროსთვალნი ჩვენი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებში გადაიტანეს. დასანანი ის იყო, რომ ამ დღეს ვერ მოესწრო ჭავჭავიძეებიანთ გვარის ყველაზე დიდი წარმომადგენელი.

² გამოკვლევებში „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ (კრუ-

ივანე ჭავჭავიძის დედა სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილების ძირ-
ძველი გვარიდანაა. ადრე ისინი სამცხის თავადები ყოფილან. XIII საუკუნის
ბოლოს კი გადმოსულან კახეთს და თელავს დასახლებულან. მათ აქ მძლავრად
მოუკიდებიათ ფეხი. 1743 წელს აშენებული დიდნაგები „ვახვახიშვილების
ციხე“ ამაყად ედგა თელავში „ბატონის ციხეს“. 1857 წელს განათლებული მო-
სამართლის ათანასე ვახვახიშვილის ოჯახში დაიბადა ქალიშვილი სოფიო, რო-
მელმაც 19 წლის შემდეგ სიცოცხლე მისცა საქართველოს დიდ შვილს. სო-
ფიო ვახვახიშვილმა თელავის ქალთა სასწავლებელი დაამთავრა.

ალექსანდრე ჭავჭავიშვილის დამთავრებული ჰქონდა თბილისის საგუბერნიო
გიმნაზიის სრული კურსი და მიღებული ჰქონდა XIV კლასის ჩინის უფლება.
1864 წელს, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 19 წლის ჰაბუკი თბილისის სამო-
ქალაქო გუბერნატორის მიერ გაიგზავნა მასწავლებლად თელავის სამაზრო
სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში.

1872 წელს თბილისში დაარსდა ალექსანდრეს სასწავლო ინსტიტუტი,
რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს სამაზრო სასწავლებლისათვის და საქა-
ლაქო სკოლებისათვის. კავკასიის სასწავლო ოკრუგის შტრუენველის ნება-
რთვით ა. ჭავჭავიშვილმა 1872 წელს სპეციალური გამოცდები ჩააბარა ალექ-
სანდრეს სასწავლო ინსტიტუტში და 1873 წელს მიიღო წოდება საქალაქო
სასწავლებლის მასწავლებლისა.

ალექსანდრე ჭავჭავიშვილი მაღალი ზნეობრივი პასუხისმგებლობით ეკი-
დება პედაგოგის მოვალეობას. მისი ერთგული მოღვაწეობა სახალხო განათლე-
ბის ასპარეზზე შეუმჩნეველი არ რჩება როგორც განათლების მესვეურთ, ისე
ხალხს, რომელსაც იგი თავგანწირვით ემსახურება.

ოფიციალური აღიარება მისი პედაგოგიური ღვაწლისა არა მარტო სამსა-
ხურებრივ დაწინაურებასა და მრავალჯნის მაღლობის გამოცხადებაში პოუ-
ლობს გამომხატულებას, არაჲდ იმაშიც, რომ ალექსანდრე ივანეს ძე ჭავჭავი-
შვილი იყო წმინდა სტანისლავის მეორე და მესამე ხარისხის და წმინდა ანას
მეორე და მესამე ხარისხის ორდენების კავალერი.

იგი როგორც პედაგოგ-ინსპექტორი თელავის შემდეგ მუშაობდა გორის
მაზრაში, სიღნაღის მაზრაში, ხოლო შემდეგ კი — თბილისში.

ალექსანდრე ჭავჭავიშვილმა და სოფიო ვახვახიშვილმა სანაქებო ოჯახი
შექმენს. მათ ექვსი შვილი ჰყავდათ: ორი ქალი და ოთხი ვაჟი.

უფროსი ქალიშვილი ეკატერინე 1872 წლის 29 იელისს დაიბადა, მისი
მომდევნოა უფროსი ვაჟიშვილი ივანე 1876 წლის 11 აპრილს დაბადე-
ბული, მეორე ვაჟიშვილი გიორგი — 1877 წლის 9 ნოემბერს, მომდევნო მიხე-
ილი — 1879 წლის 6 მარტს, 1881 წლის 9 აპრილს დაბადებულია ქალიშვილი
ალექსანდრა, ხოლო ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი დავითი — 1883 წლის
17 აგვისტოს.

ბული „შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 48) ნ. შოთაშვილი
დასკვნისა: გიორგი ბრწყინვალის მიერ 1338 წელს მიცემულ წყალობის წიგნში
ვერ კიდევ იხსენიება თორელი ჭავჭავიშვილი ივანე. ეს გვარია, როგორც ჩანს, მას შეეძლო
შეიღო ჭავჭავიშვილი. „სხვა ცნობები XIV საუკუნის ჭავჭავიშვილებზე წყაროებში ვერ მო-
ვიძიეთ. XV საუკუნიდან წყაროებში თორელთა გვარი აღარ იხსენიება. ამ დროიდან თორელთა
გვარის ძირითად შტოს დამკვიდრებული აქვს ჭავჭავიშვილების სახელდება. მაგრამ თორელთა
საგვარეულო სახელები გამრეკელი და კახა ჭავჭავიშვილების გვარში კვლავ გვხვდება XV—
XVII საუკუნეებში“.

ივანე ჭავჭავაძის ნათლობა 1876 წლის 9 მაისს შემდგარა. ნათლიები იყვნენ: ყოფილი თიანეთის მახრის დისტანციის უფროსი ივანე ლევანის ძე ჩოლოყაშვილი და მეუღლე ამილახვარი ელენე იოსების ასული. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი შეიღოთა უკეთესად აღზრდას თავის პირველ მოწოდებად მიიჩნედა.

შვილები ყველაზე სწრაფად და კარგად იმას ითვისებენ, რაც ოჯახში უდავოდ ითვლება. შვილები ხომ იმით იწყებენ, რომ მშობლების თვალით უცქერიან სამყაროს და საოცარი მიმბაძველობით განირჩევიან.

შეხმატებილებული და თანამდგომი მეუღლენი სხვისი დამსახურების გულწრფელად აღიარების და აღტაცების, უშუალოდისა და თავდადების წმინდა და უდავო გარემოს ქმნიდნენ. ეს კი დედანყარო იყო შეიღოთა მხრივ მიბაძვისა და მოსიყვარულე და-ძმობისა.

თანამედროვენი ასე გვიწერენ ივანე ჭავჭავაძის მშობლებს. მამა ალექსანდრე — ტანდაბალი, მაგრამ მკვრივი, ღონიერი ფიგურა, ძლიერი ინტელექტის, მტკიცე რწმენისა და ნებისყოფის გამომხატველი სახით: ახასიათებდა გულგაუტეხელი და ნათელი გამოხედვა მჩხრეკელ-მაძიებელი გონებისა. გულქართლი, ხასიათის სისპეტაკე და სიპირდაპირე, თავზიანობა და ქედმოუხრელობა, გულშემატკივრობა და გამტანობა, ბეჯითობა და თავმდაბლობა.

დედა სოფიო — მალალი, ლამაზი, ნაზი, თავმდაბალი და დარბაისელი მანდილოსანი. მისი ჭკვიანი და თვინიერი თვალეი ღროდარო სეველით მონისლული კიდეე მეტად ზრდიან სულიერ სიბბოსა და მიმზიდველობას. დედა შესანიშნავი მკვეერმეტყველია, კეთილმოსურნე და სულში ჩამწვდომი.

მშობლების ყველა კარგი თვისება გაერთიანდა უფროსს ვაჟიშვილში — დედის სილამაზე, სათნოება და გულთბილობა, მამის სისპეტაკე, გულგაუტეხლობა, ვაჟკაცობა და გამტანობა, მძლავრი ინტელექტი და მჩხრეკელ-მაძიებელი გონება.

დედა სამყაროს საწყისი. ოჯახის სიავკარგე უპირველესად სწორედ რომ დედაზეა დამოკიდებული. ბავშვის სიყვარულს საზღვარი არა აქვს. დედის მიმართ ზღვა სიყვარული აქვთ შვილებს. დედა — სიცოცხლისა და სიკეთის წყარო — შეიღოთა მხრივ სხივმოსილი, დაფასებული და ამალეებული პიროვნებაა. დედამ შესანიშნავად იცის ქართული სიტყვაყაზმული მწერლობა და ზეპირსიტყვიერება. იგი მოწოდებით მასწავლებელია შვილებისა. თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას არ შეუწყვეტია თვითგანვითარება და წიგნი ყოველთვის იყო მისი მეგობარი. შვილების განათლებაზე იგი დღემუდამ ზრუნავდა. შვილები დაეჩვივნენ ყოველი ახალი ცოდნა ჭერ დედისათვის ეხარებინათ და მისი დალოცვა მოესმინათ.

მამა ყოველმხრივ ახალისებს შვილების ამალეებულ სიყვარულს დედისადმი.

დედ-მამას ძველსა და რბილში ჰქონდათ გამჭდარი ბუნებრივი ზრდილობა და ადამიანური ღირსების დაფასება, პირის სოციალური პირამიდის მალალ თუ დაბალ საფეხურზე ყოფნის მიუხედავად.

ჩუმი, უცნობელი, ძალუმი მოწიწებითა და მოკრძალებით უყვართ შვილებს მამა. მამისადმი მოკრძალება შიშნარევი არ ყოფილა. ალექსანდრე ჭავჭავაძი კარგად გრძნობდა, რომ შიშზე აგებული ხიდი ადვილად ინგრევა. შვილებთან უშუალო, მართალი და მომთხოვნი დამოკიდებულებით უნდა შეიქმნას მყარი ურთიერთობა. ამას კი მხოლოდ მათი სიყვარული უნდა ედოს გზად და ხიდად.

ალექსანდრე ჭავჭავაძი არასდროს ცდილა შეიღოთა ყოველი ნება და

წადილი შეესრულებინა. მისი თავადური წარმოშობის ოჯახისათვის მიუღებელი იყო გადაქარბებული პურობა. ფუქი შვება-განცხრომა, ის ზედმეტი სუფრიანობა — ღრეობა, უანგარიშო ხელგაშლილობა, რაც ასე განასხვავებდა იმდროინდელ ქართველ თავადაზნაურობას. ალექსანდრე ჭავჭავიძე იღვწის სწამდა თავისი ხალხის მომავლისა. აქ სამოქმედო მაქსიმად ილიას სიტყვები ჰქონდა:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აქმყო თუ არა გწყალობს მომავალი ჩენია!

მაშასადამე, არა ძველისა და დრომოქმედის აღდგენა, არამედ ახალზე ფიქრი და მომავალზე ზრუნვა.

სოფლის სამღურავეზე მამას უსაზღვრო წუწუნი არ უყვარდა. ურწმუნოების თესლს შვილებში არ თესავდა, მეტიც, მოზრდილებში რწმენის კედლებს აგებდა, მიაჩნდა, რომ ერთი უსამართლობის მეორეთი შეცვლა ვერაფერს ცვლიდა, იგი ნათლად გრძნობდა ყრმათა გულგონებაში ჭერ სიკეთისადმი, კარგისადმი რწმენა უნდა გაეღვიძებინა, რომ აღზრდილებმა შემდგომ ნაბიჯ-ნაბიჯ თვითონ შესძლონ ცუდისა და ავის გარჩევა. აღამიანებში ყრმამ მხოლოდ სიკეთე უნდა დაინახოს, იგი სიკეთის მხარეზე უნდა იყოს ყოველთვის. მცირე სამღურავეც კი არ უნდა მოხედეს მის ნაზ გონებას, თუმცა ხალხი ამბობს. რომ „მცირე რამე სამღურავე მოყვარეთა წესითა“.

სიკეთის რწმენა მომავლის რწმენაა. ახალგაზრდის ყველაზე დიდი მტერი კი გულგატეხილობა და უიმედობაა. ეს კი უმოწყალო ნიჰილისტებს ზრდის, რომლებიც ვერც თავს და ვერც სამშობლოს ვერაფერში გამოადგებიან. სიკეთის რწმენა მთლიანად უარყოფს გულგრილობისა და განურჩევლობის სულსიკეთებას. მშობლებს ყველაზე მეტი საფუძველი აქვთ, სწორად წარმართონ ყრმის აღზრდა. ამას მოუწოდებდა ალექსანდრე ჭავჭავიძე იღვწის სხვას როგორც პედაგოგ-აღმზრდელი, ამას აკეთებდა თვითონაც შესაშური გულისხმიერებით როგორც მამა.

შვილები სულგანაბლნი უსმენდნენ დედასა და მამას: მათ ოჯახში დიდად უყვარდათ და ეხერხებოდათ ქართული ხალხური სიმღერები (აქ შეიყვარა სამუდამოდ ჰაბუკმა ივანემ „მუშლი მუხსას“). ყველანი ხარობდნენ სიმღერა-გალობით.

რა უნდა იყოს იმაზე მომხიბვლელი და ლამაზი, ვიდრე შვილებში ყოფნა და სიმღერაა. რა სიხარულით ივსება ამ დროს დედის გული! აქი თქმულა: „შვილების მღერა რომ ესმის, დედის სიცოცხლე ტკბილია“.

ივანე ჭავჭავიძე იღვწის ბავშვობა და ყრმობა მარტო თბილისში კი არა, ქართლისა და კახეთის წიაღში განვლო.

ქართლი — მამულეთია.

კახეთი — დედულეთი.

აქ, საქართველოს ამ უძძლავრეს მხარეებში მიმდინარეობდა ივანე ჭავჭავიძის უღრუბლო ბედნიერი ბავშვობა. აქ უცნობელად, ყოველგვარი წიგნისა და შთაგონების გარეშე, ბუნებრივად სისხლხორცეულად პირველად შეიგრძნო მან ბუდე-სამშობლო. აქ, ქართლში, მრავალტანჯულ ქართლში, საქართველოს შუაგულში, პირველად ნახა თვალტანადი მთები და გულუხვე ველები. აქვე პირველად შეიცნო მან აღამიანთა თანაყოფნისა და თანადგომის პირველი სიხარული. აღამიანები კი აქ გაკაცებულნი, გაუტეხელნი და ქედმოუხრელნი იყვნენ ურაცხე მტერთან უწყვეტი ბრძოლებით. აღმოსავლეთის მხრი-

დან გეოგრაფიული საზღვრის დაუცველობამ ის ქმნა, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეს ამდენჯერ არ უნახავს დარბევა-აწიოკება მტრისაგან.

საქართველოს წარმატება თუ დაქვეითება ქართლის სიძლიერეზე იყო არსებითად დამოკიდებული და ამ კუთხის დიდი შვილები მუდამეამს კარგად გრძნობდნენ საქართველოს ერთიანობის მთელ სიდიადეს.

შეხვედრა დედულეთში ყოველთვის იზიდავდა ივანე ჭავჭავაძის, ის პირსახეზიანი, უშუალო, უშურველი და ხელგაშლილი მიღება რომ იციან კახეთში.

კახეთის ბუნების სიმშვენიერე კალმით აღუწერელია. ბუნების ეს პოეზია უნდა ნახო და შეიგრძნო. ცაში ატეხილი, ბუმბერაზი კავკასიონი დიდი დარაჯი იყო მისი და ამასთან მისი თვალხატულა მშვენებაც.

... და როცა კახეთის თვალუწვდენელი და უსაბამო ლურჯი ზეცა მეუფებს, თითქოს ფერთა ღმერთი აქ შობილაო: გოლიათი მარად თოვლიანი კავკასიონი იქვე ამაყად გადმომდგარა, რომ ბუნების ზვიადი თეატრონის პარტერში — ალაზნის უმშვენიერესსა და უმდიდრეს ველზე მარად შრომელ კაცს სიძლიერე, სილამაზე და სიმშვიდე შთაბეროს.

ბუნება კიდევ უფრო დაუმშვენებია ადამიანის ხელს. მშვენიერებისადმი უტყუარ გულის კარნახს შეეძლო ის, რომ დიდნაგები, დიდშენი ციხე-ქალაქისათვის — სიღნაღისათვის ზღაპრულად ლამაზი ადგილმდებარეობა მიეჩინა, რომელიც იმავე დროს მტრისათვის ძნელად მისაწვდომი იყო. არ შეიძლება არ მოიხიბლო დინჯი კახელი კაცის ამტანი და გამტანი ხასიათით, სადაც სხვის დასანახავად, მოსაჩვენებლად არაფერს გეტყვიან, სულის გაუბზარობისათვის არ შეიძლება არ შეიყვარო და არ მიენდო მას.

მუხლმაგარ და მკლავმოუღლე მზის შვილებს — კახელთ არსებობის წყაროდ სოფლის მეურნეობის კულტურათა შორის ყველაზე მაღალი და ყველაზე რთული — ვაზი შეურჩევიათ. აქ კარგად იციან ვაზის მაღლი და ბარაქა. ვაზი სიცოცხლის ხეა. აქ ვაზს შვილივით ზრდიან, გასაოხროვარ ასულივით ამზადებენ. სწორედ აქ, ოჯახში შენახული ღვინის მუდმივი მარაგი ლოთობას გამოირიცხავს. ლოთი ვაზის მომვლელი ვერ გახდება. აქ ვაზის სხვადასხვა ნაწილებისათვის ნაზი სახელებიც მოუძებნიათ. აქ ვაზის გაკაფვა და კაცის მოკვლევით ღონეზე განუსჯიათ. აკი მრავალ სახელმწიფოთა და იმპერატოროთა შემუსვრელი თემურლენგიც კი ვერ მოერია კახურ ვაზს. კახეთში ვაზის მოვლა ხელოვნების ღონეზეა აყვანილი, რთველი კი კახეთში ძლიერი და ქირანახული შრომით დაღლილი კაცის ნამდვილი პირველქმნილი მშვენიერებით აღსავსე წარმართული ჰიმნია. უხდებათ მათ დასვენება და ზემი. აქ სიმღერაში, უცებ და სამუდამოდ რომ იმახსოვრებთ, მთელი ძალით ისმის ხალხის გულისთქმა. კახურ სუფრაზე, კახეთში, კახელთა მიერ შესრულებული მრავალყამიერი ომახიანი ხმების სულის შემძვრელი გრგვინვაა, მძლავრი სიყვარულისა და სიცოცხლის ამოხეთქვაა.

მიწისადმი სიყვარული უსაზღვროა, მიწაა დედა სიცოცხლისა. ფესვძლიერი კავშირი მიწასთან გლახთა ცხოვრების პირველი წიგნია.

... და დაუღლე ცნობისმოყვარეობა ყრმისა დღე და დამე სწავლობს, იმას, რაც ჭერ წიგნში არ ამოუკითხავს, რასაც ირგვლილ ხედავს და შეიგრძნობს.

და როცა იგი იწყებს მეტყველებას, აქ უკვე აღმოჩნდება, რომ სიტყვათა მადანი უღევია, იგი გაცილებით მეტია, ვიდრე საგნები და მოვლენები, და ზღვაც რომ მელნად იქცეს, მაინც უფრო ადრე ის დაშრება, ვიდრე სიტყვათა უთვალავი და უღლევი საღარო აღიწერება.

დედ-მამისაგან, თანამყოფთაგან სწავლობს ყრმა. ივანე ჭავჭავაძის მშობლები წიგნისა და ცხოვრების სიბრძნიდან ასწავლიან შვილებს. აქ შვილები კი ისე იზრდებიან, რომ არც დედის ალერსი აკლიათ და არც მამის მზრუნველობა. ბავშვობისას მშობლიური ტკბილი ალერსის დანაკლისის შეცვლებას ხომ შემდგომ ვერაფერს ახერხებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ზნემაღალ ქართულ ოჯახში შვილებია ცხოვრების ყველაზე დიდებული წიგნი.

სიყვარული სიყვარულის წილ

ყრმა მალე იწყებს ადგილის დედის გრძნობით უცნობელ სიყვარულიდან სამშობლოს შეყვარებას გონებით, სამშობლოს შეცნობილად აღქმას. იმის გაგებას, რომ შენს სამშობლოს გარდა სხვისი სამშობლოცაა, რომ სამშობლოს სიყვარული არ უშლის ხელს კაცობრიობის სიყვარულს. ამ დროს კი მშობელთა როლი განუზომლად დიდია. სწავლა-აღზრდას ხომ თავისი წესრიგი აქვს. ცოდნის ტყეში ისე შეიძლება დაიბნეს ახალგაზრდა, რომ წიგნის კითხვის გარდა სხვა ვერაფერი შესძლოს. მართოდენ წიგნთან უწყვეტი ყოფნა შეიძლება ნებაყოფლობით ტყვეობად იქცეს, რომ წაართვას მას მოვლენათა კაბუკური აღქმისა და გატაცების უნარი. ეს კი ზოგჯერ უდროოდ გულგატეხილთ, ნაადრევად დაბერებულ ახალგაზრდა მოხუცებს ბადებს, რაც მეტად და მეტად საზიანოა და ეს მაშინ, როცა „ახლად თავსა ვერვინ იშობს“.

მშობლების ვალია, გადაქრით წარმართონ ცოდნის ტყეში შვილების სწორად სწავლა. სხვანაირად, საწყისი როცა ფუჭდება, შემდგომ გასწორება ძნელია.

ღრმა პედაგოგიური ტაქტიკა და მომთხოვნელობით წარმართავდა ალექსანდრე ჭავჭავაძი ექვსი შვილის აღზრდას. მეუღლეთა პარმონიული ურთიერთდამოკიდებულება და შვილების აღზრდის უზენაესი მიზანი განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდა მამის სიტყვა-აზრს.

მამას შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა. თითქმის ყველაფერი, რაც საქართველოსა და კავკასიაში გამოდიოდა, იყო აქ.

მამა მიზანსწრაფულად წარმართავდა შვილების მხრივ ბიბლიოთეკით სარგებლობას. შვილებს კი უერთგულესი მეგობრები გაუჩნდათ წიგნების სახით, რომელნიც მრავალმხრივ ავსებდნენ გიმნაზიაში მიღებულ ცოდნას.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ყველა შვილი შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას, ამ ენით იძენდნენ ისინი სასკოლო განათლებას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმას, რომ მშობლიური ენაჲ გამხდარიყო ცოდნა-განათლების მიწების იარაღად.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში არ ყოფილა ისე, როგორც ჩვეულებრივ იმდროინდელ ქართველ თავდათა ოჯახში გვხვდებოდა, სადაც თავილობდნენ დედა ენაზე ლაპარაკს. მათ უკეთეს შემთხვევაში საყველბურო ქართული თუ იყოდნენ, სხვა ფუნქცია ქართულ ენას მათთან დაკარგული ჰქონდა. ამ გადაკვარებულ ფეოდალებს დაგვიანებული მოტირალივიტ გარდასულ დიდებაზე მოთქმა შეეძლოთ მხოლოდ. სულ სხვა სურათი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტოცხელია და სიხარულით სავსე ოჯახში. მშობლიური ენის, ქართული მწიგნობრობის სიყვარული ყველაფერში გამოსჭვივოდა; მშობლებიცა და შვილებიც სულმოუთქმელად ელოდნენ ახალი მხატვრული ნაწარმოების გამოჩენას ქართულ ენაზე; ქართული პერიოდიკა კი მთელი ოჯახის გაძლიერებული

ინტერესის საგანი იყო; ივ. ნიყარაძე იგონებს: „ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები, ვანო, გიორგი, მიშა და დათა — უფრო ადრე წაეკითხათ ქართულ ეურნალ-გაზეთები ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას“. ერთადერთი ამ პერიოდის გამო ხდებოდა დავა-კამათი და-ძმათა შორის, თუ როგორ დაედგინათ მისი წაკითხვის რიგითობა.

რუსულად მოსმენილ გაკვეთილებს ისინი რუსულ სახელმძღვანელოსთან ერთად სწავლობდნენ ქართული წიგნებით. ასე, გიმნაზისტი ივ. ჭავჭავაძე გეომეტრიის შესწავლისას შინ ქართულად მ. ყიფიანის გეომეტრიასაც და ვ. ყიფიანის ალგებრასაც ეცნობოდა იმისათვის, რომ უნდოდა „ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო“. ეს მას ჩვეულებად ექცა, იმთავითვე ყველაფრის ქართულად შეთვისებას ესწრაფვოდა. ეს ჩვეულება შემდგომ-დღედად გამოადგა ივანე ჭავჭავაძის როგორც ავტორს, და ქართულ ისტორიოგრაფიას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სწავლა-განათლებას არა თუ შვილებისათვის, მთლიანად ხალხისათვის სავალდებულოდ და აუცილებლად თვლიდა, მისი დაწინაურების უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე იქიდან გამოდიოდა, რომ სინათლე ცოდნისა ყველას უნდა სწედებოდეს. ეს იყო მთავარი მის მოღვაწეობაში. იგი შემდგომ სარკაზმით იგონებდა სილნალის მახრის თავადაზნაურთა იმ კრების გადაწყვეტილებას, რომელმაც დაადგინა: ამიერიდან აღარ გაუშვან შვილები სასწავლად ქართლში — სახელდობრ თბილისში. ამით თავადაზნაურობის წარმომადგენლები თავიანთი უვიცობისა და შეზღუდულობის შეუდარებელ დოკუმენტს ქმნიდნენ.

მარტო წიგნი როდია ცოდნის წყარო. როგორც ილია ამბობდა — „ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოთა ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა“.

სალ პატრიოტიზმს, ხალხურ სიბრძნესა და ცოდნას შვილები მარტო მშობლებისაგან როდი ეცნობოდნენ. უშუალოდ ხალხში, გლეხებში ყოფნით სწავლობდნენ ისინი ცხოვრებას. ამათგან ყველაზე მთავარი კი დედაენა იყო. ყოველი დღე ახალი საგნებისა და მოვლენების შეცნობით კი არ მთავრდებოდა, ამასთან იმითაც, რომ ამ საგნებს და მოვლენებს თავისი სახელდებანიც ჰქონდათ. ხალხის სიბრძნის ნაყოფია ლამაზი, სხარტი, სადა და ნათელი სახელები საგნებისა და მოვლენებისათვის შერქმეული.

ხალხური სიტყვის ღრმად შეგრძნობა, მისი პოეტური განცდა, ძარღვიანი და ნაირფეროვანი ხალხური მეტყველებით; წარუშლელად რჩებოდა ყრმის მეხსიერების ეკრანზე. ხალხის გულის ქურაში გამოვლილ სიტყვათა კონა შემდგომ ივანე ჭავჭავაძის წიგნებში დარჩა მრავლად. მოგონების ძაფი არ გაწყვეტილა, მაგრამ ერთზე სწყდებოდა მას გვიან გული: ბევრი სიტყვა ადრე ხალხში შენახული და მოვლილი დაიკარგა შემდგომ, ჩაიძირა დაიწვეების ოკეანეში, აღარ დარჩა მომღვეწო თაობებს.

მთელი ოჯახი მამის შთაგონებით ელოლიავებოდა და ესიყვარულებოდა მოხდენილ, ლამაზ ხალხურ გამოთქმას, ფრაზას და ნაკვესს. შვილებიც მამასთან ერთად არჩევდნენ ხალხის ავტორობით ჩაჰოქნილ ცხოვრებისეულ სიბრძნეს. ასე ეზიარა ივ. ჭავჭავაძე მშობლიური ენის სურნელებას და ფორმათა ნაირნაირობას.

ბავშვის ყოველთვის მომღერალი გული ნელ-ნელა იმასაც სწავლობდა, რაც ცხოვრების წინააღმდეგობათა გამოხატულება იყო, ამასთან იმასაც, რომ „ენაზე მომღგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა“.

ივანე ჭავჭავაძის დაბადების წელს იბადება იაკობ გოგებაშვილის

„დედაენა“. 1881 წელს კი იქმნება რაფიელ ერისთავის ლირიკული შედევრი „სამშობლო ხევსურისა“.

გულის სიღრმეს მსკვალავდა მისი ძარღვიანი ფრაზები:

„სადაც ეშობილვარ, გაზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულ ვარ, ჩემი სამშობლო ის არი“.

მამაპაპისეულ სამყოფელთან თანაშეზრდის, სამშობლოს ერთადერთობის ეს სიტყვიერი ძეგლი ყველაზე კარგად გამოხატავდა ივანე ჯავახიშვილის უმაწვილურ სწრაფვას. უმაწვილობის დროს ის ბევრს ისმენდა ძირძველი ქართული მიწის — აჭარის გათავისუფლების ბრძოლების მონაწილეთა მოგონებებს, მისი ცნობისმოყვარეობა იმასაც სწვდებოდა, რაც სტუდენტობის დრტინვასთან იყო დაკავშირებული.

სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულით გამთბარი ოჯახისშეილი ივანე ჯავახიშვილი 1885 წელს შედის თბილისის მესამე გიმნაზიაში. ამ დროს მამა უკვე საბოლოოდ გადმოსულია თბილისში და აქ მოღვაწეობს, მამის თანამყოფობა და თანადგომა დიდად ზრდის მის როლს შეილების აღზრდაში. სამი წლის შემდეგ კი, 1888 წლიდან, თბილისის პირველი გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფეა.

სულიერი და ხორციელი სიმართლე ახალ და ახალ მოვლენებს და ცნებებს შლის უმაწვილის გრძობა-გონების წინაშე. მშობლების, მასწავლებლების, თანამედროვე და თანამდგომთა სიყვარულის წილ, მას სიყვარული ხვდება ყველგან, ამასთან ერთად ქაბუკი მწვავედ შეიგრძნობს მშობელი ხალხის მძიმე ბედს. 11 წლის უმაწვილის მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა და აღარასდროს აღარ წაშლილა 1887 წლის შემოდგომა, როცა მშობელმა ხალხმა მწარედ დაიტრია თავისი პატრიოტი შეილი დიმიტრი ყიფიანი და მთაწმინდის მიწას შიბაბრა იგი, მაგრამ ქეშმარიტად შეუღარებელია მხატვრული სიტყვის ძალა. საყოველთაო მწუხარება ფიზიკურ შეგრძნებამდე გამოხატა ხუთი წლის შემდეგ გამოქვეყნებულმა აკაკის ლექსმა — „განთიადი“.

ამიერიდან მთელი სიცოცხლე ათბობდა ივანე ჯავახიშვილს სიტყვა-ქანდაკებები:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარო!“

დედამიწანი ბარკმეულია

გიმნაზიის წლები განსწავლისა და თვითგამორკვევის ხანაა.

ივანე ჯავახიშვილი გულმოდგინე მოწაფე იყო. გიმნაზიის პროგრამის შესწავლა მისი მოთხოვნის პუნქტუალობით და პირდაპირობით სისტემატურ მოშადებას იძლეოდა, თუმცა გულგამაწვრილებელი იყო თავისი ყოველმხრივი მეურვეობით და მასწავლებელთა ყველაფრის ცოდნის პრეტენზიით.

ივანე ჯავახიშვილი გიმნაზიის პროგრამას მკაფიოდ და შეგნებულად ეუფლებოდა. მისთვის ამა თუ იმ საგნის შესწავლის აუცილებლობა სიყვარულითა და ანტიპათიებით არ განისაზღვრებოდა. მწყარალად არც ერთი საგნის მიმართ არ ყოფილა. მათი დაუფლების აუცილებლობა ყველა საგნის მიმართ ჭეროვან შთაგონებას წარმოშობდა. მხოლოდ თანდათანობით და გვიან გამოიკვეთა ჰუმანიტარული მიდრეკილებანი, პირველი აღიარება თანაკლასელებში ჰპოვა. გიმნა-

ზისტ ივანე ჯავახიშვილს არა მარტო გამოკვეთილი და ჩამოქნილი მეტყველება ჰქონდა, მკაფიო დიქციით და ინტონაციით (როცა ყოველი სიტყვის დაბოლოება ნათლად ისმის) — ასევე წარჩინებით წერდა იგი, ამასთან არც ზეპირ და არც წერილობით მეტყველებაში არ მიმართავდა ზედმეტ სიტყვიერ ჩუქურთმებს, რომელიც ხშირად დამლელი და მოსაწყენია. ფრაზების ბუნებრივი მდინარება გონებამახვილურად და სხარტად გადმოსცემდა აზრებს, მარჯვედ და ბუნებრივად იჭდა სიტყვიერი ჩუქურთმის ფრაზები. ეს აზრები კი არასდროს ტრაფარეტული და დაზეპირებული არ ყოფილა. ამიტომაც გიმნაზისტ ივანე ჯავახიშვილის დაწერილი სასკოლო თხზულებანი არა თუ მკაცრ მასწავლებელთა მოწონებას იმსახურებდა, აღტაცებული მასწავლებლები მის სასკოლო ნაწერებს ხმამაღლა უკითხავდნენ თანაკლასელებს, როგორც სანიმუშოს. ტოლ-ამხანაგებში ამგვარი აღიარება ყველაზე მტკიცე და ყველაზე გულწრფელია, ამას ემატებოდა თანაკლასელის ბუნებრივი ზნეკეთილობა.

ივ. ჯავახიშვილი იგონებს: „გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა“. შემდგომ აგრძელებს: „მეხუთე კლასიდან მოყოლებული ისტორიის მასწავლებლად დ. საბინ-გუსი გვეყავდა. განათლებული პიროვნება რომელიც უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და ახალ სამეცნიერო ლიტერატურასაც ადევნებდა თვალყურს. მეხუთე კლასში საბინ-გუსმა დაგვირიგა თუმეზი დასავლეთ ევროპის ისტორიისაგან თხზულებების დასაწერად. მოწაფეები მათ რიგრიგობით კითხულობდნენ, შემდგომ მსჯელობდნენ. მასწავლებელი ბოლოს აჯამებდა და დასკვნა გამოჰქონდა.

„ჩემი ჭერი რომ დადგა და მოხსენება წავიკითხე, საბინ-გუსს ძალიან მოეწონა და შემაქო. ისტორიის გაკვეთილების დროს საბინ-გუსს ჩვეულებად ჰქონდა, რომ რთულ საკითხებს წამოაყენებდა ხოლმე და მოწაფეებს გვეითხავდა მოსაზრების გამოთქმას და დასაბუთებას გვაჩვენებდა. კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნეს სახელი მქონდა მოხვეჭილი და ეტყობოდა, რომ საბინ-გუსიც ასე ფიქრობდა: როდესაც წამოყენებულ კითხვაზე კლასში დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა არავის შეეძლო, მაშინ საბინ-გუსი მე მეკითხებოდა ხოლმე და ჩვეულებრივ მიღებული პასუხით კმაყოფილდებოდა ხოლმე. ეს იმით აიხსნება, რომ მთელს ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და თანაკლასელებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით. ამის წყალობით ისტორიასა და ჰუმანიტარული დარგების სფეროსაგან სხვებზე გაცილებით მეტი ვიცოდი, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ“.

წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულს და პირველ მოწაფეობას ამაყი მართობის გრძნობა და ამპარტავნობა არ გაუღვიძებია ივანე ჯავახიშვილში. მას იშვიათად ნახავდით მარტო. სულ ნაცნობ-მეგობრებს შორისაა. თანაკლასელებთან ურთიერთობას იგი არ აგებდა უხიფათო ნეიტრალიტეტის პრინციპებზე. მისი შესანიშნავი თვისებები იმაში პოულობდა თავის გამოხატულებას, რომ მას მთლიანად გამორიცხული ჰქონდა სხვებთან ურთიერთობისას ქილიკი, დაცინვა, გაქირდვა. ნიშნის მოგებით კი არა, ყოველთვის გულისტკივილით აკეთებდა შენიშვნას თანაკლასელის გადაცდენა-წაბორძიკებაზე. ეს მიმზიდველი თავაზიანობა მაღალ ავტორიტეტს უქმნიდა მას თანატოლებში. თანატოლის შეგონებას კი ყოველთვის დიდი ძალა აქვს. მეგობრული დამოკიდებულება გამორიცხავდა უწმინდობასა და ლაზღანდარობას. ექავებოდა უწმინდური

ანგლოტები და უხამსი სიტყვა-თქმანი. სიმართლის თქმას ყოველთვის ტაქტი-
ანად ახერხებდა. აეს თვითონ არ ამბობდა და არც სხვისაგან ისმენდა, სერიის
მოყვარულთა შორის ყოფნა არ უყვარდა. თავიდანვე არ უყვარდა ენატანიობა
სხვისი გულისყურით მოსმენა ივანე ჭავჭავიძის თვისების ნაწილი იყო.
ასე ბუნებრივად იგი თანაკლასელის უდიერი ქცევის შემფასებელი ხდებოდა.
ნ. აზიანის სიტყვებით „გაჭაყრება კი არა, დარიგება იცოდა“. მის შეგონებას
თანატოლებში ასევე ბუნებრივად ეთანხმებოდნენ. ეს ყველაფერი ადასტუ-
რებდა: ივანე ჭავჭავიძელი მართოდენ ოცნების ახალგაზრდა როდია, იგი
არანაკლებ მოქმედების პიროვნებაა. ასე მალაღი ინტელექტუალური და ადა-
მიანური თვისებები შელერებული გიმნაზიელის აზრს და სიტყვას შეუვალ ვა-
ელუნას უმკვიდრებდა, თუმცა ოფიციალურად მას არავითარი ძალაუფლება
არ გააჩნდა. ეს შემდგომშიც ასე გაგრძელდა. ოცნებისა და მოქმედების პი-
როვნებათა ერთ კაცში ასე ბედნიერად შერწყმამ იეს ქმნა, რომ ივანე ჭავჭავი-
ძელის ზემოქმედება ადამიანზე ყოველთვის გაცილებით უფრო ფართო იყო,
ვიდრე მისი ოფიციალური თანამედებობის ფარგლები.

ივანე ჭავჭავიძელის დიდად უყვარდა მეგობრობა. ძმობამდე ამაღლებული
მეგობრობა იცოდა. ყველა ერთი დედის შვილი ხომ ვერ იქნებოდა. იგი არას-
დროს არ ლაპარაკობდა მეგობრობაზე, არამედ იყო მეგობარი. ამასთან მკა-
ცრად იცავდა მეგობრობისათვის აუცილებელ პირობას — თანასწორობას,
ურთიერთნდობას.

ყმაწვილმა ივანე ჭავჭავიძელმა კარგად შეიგნო, რომ გიმნაზიის სასწავლო
პროგრამის დაუფლება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი როდია. მან ჭერ
მამის ხელმძღვანელობით, შემდგომ კი დამოუკიდებლად გიმნაზიის გარეშე
სისტემატური მუშაობის მეთოდები შეიმუშავა. ეს მეთოდები დასვენების მა-
ღალ კულტურასაც გულისხმობდა. დასვენებაც ხომ შემოქმედება უნდა
იყოს, ხატვითა და სიმღერით გატაცება ახლაც არ შენელებულა; მაგრამ მუსი-
კა თანდათანობით პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. მშობლები განსაკუთრე-
ბული გულისყურით სწავლობენ და წარმართავენ უფროსი ვაჟიშვილის სწავ-
ლა-განათლებას. ამით სხვა შვილების აღზრდის საქმესაც აკეთებენ.

უფროს ვაჟიშვილს შესანიშნავი მუსიკალური სმენა აქვს, იგი კარ-
გად ხატავს და მღერის. ივანე ვიოლინოს დაკვრას სწავლობს. აქაც ჩვეუ-
ლი გულმოდგინებით მეცადინეობს. თანაკლასელი ადამ ფორაქიშვილი
იგონებს: „ავლაბარში ცხოვრობდა. ხშირად ჩემთან დაიარებოდა, ერთად
ვაშხადებდით გაკვეთილებს და როცა გავათავებდით ხოლმე, შემოუჭდე-
ბოდა პიანინოს და ქართულ სიმღერებს უკრავდა და ღლინებდა“. ხე-
ლოვნების სამყარო მისი სიყვარულისა და გატაცების საგანია. აქ თეატრი,
პირველ რიგში საოპერო თეატრი, ახალ-ახალ მოვლენებს შლის ყმაწვილის
წინაშე. მისი შთაგონებით ბევრი გიმნაზიელი თავდაიწყებულნი თეატრალი
ხდება. ყმაწვილი ივანე ჭავჭავიძელი ასევე გატაცებით სწავლობს დიდი რუ-
სული ლიტერატურის გიგანტებს, რომლებიც ზედინებდ ჩნდებიან. იგი გაძლი-
ერებულად მეცადინეობს ფრანგულ ენაში.

ქვეყნებისა და გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ ფაქტებისა
და მოვლენების შესანიშნავი ცოდნა გიმნაზიელ მსმენელთა რიცხვს კიდევ უფრო
ზრდის. მასაც მოსაუბრისა და მოკამათის დარწმუნება უყვარდა

პატარაობიდანვე ივ. ჭავჭავიძელს ხატვის ნიჭი ეტყობოდა. ხატვაც უყვარ-
და. „გიმნაზიაში შესვლის შემდგომ, — იგონებს ივ. ჭავჭავიძელი, — ხატვასაც

გულმოდგინედ ვსწავლობდი. ხატვის ერთ-ერთი გაკვეთილის დროს ჩემმა მასწავლებელმა ჩემი ნახატი გატაცებულმა ბრწყინვალე მომავალიც კი მიწინასწარმეტყველა ამ დარგში, მაგრამ იგი ვერაფერი წინასწარმეტყველი გამოდგა: მეოთხე კლასიდან მეცნიერებამ გამიტაცა მთლიანად და მოუცლელობის გამო იძულებული ვიყავი ხატვისთვის თავი დამენებებინა“. მაშასადამე, მეცნიერული კვლევისადმი სწრაფვა ივ. ჭავჭავიძის უკვე გიმნაზიაში გაღვრდა. იგი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კონსტ. შულგინს; აღნიშნავს რა, რომ აქტიურად მონაწილეობდა თემების როგორც ზეპირად დამუშავებაში, ისევე თხზულებების წერაშიც, „კ. შულგინის ხშირად გამოუთქვამს კმაყოფილება და მოსწონებია წარმოდგენილი მოხსენებები. თხზულებების წერა ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ჩემს ამხანაგებისათვისაც მიშველია თხზულებების დაწერა, მაგრამ მეექვსე კლასში რომ ვიყავი და დინჯი სამეცნიერო კვლევა-ძიების წყურვილი ვიგრძენი, სასკოლო თხზულებების წერის ყოველგვარი სურვილი გამიქრა. იმ დროს უკვე კარგად მესმოდა, რომ იმ თემებზე, რომელსაც კლასში მასწავლებელი გვაძლევდა, ისე როგორც მართლაც მეცნიერულად საჭირო იყო, მე ჯერ არ შემეძლო დამეწერა, — ბავშვურ თხზულებების წერაში ვარჯიშობა კი აღარ მებალისებოდა, შემძულდა. ამიტომ ამ დროიდან მოყოლებული თხზულებებს უკვე მოკლედ და უგულოდ ვწერდი. ეს გარემოება შულგინმა შეამჩნია და გაკვირვებული მეკითხებოდა: რა დაგმართა, რა მოგივიდა, წინათ თხზულებებს ისე კარგად სწერდი, ესლა — კი ასე ცოტას სწერო. მრცხვენოდა და ვერ ვუთხარი, რა მიზეზიც იყო: ვერ გავხედე იმის თქმა, რომ სასკოლო ვარჯიშობა მომბეზრდა და აღარ მაკმაყოფილებდა და სამეცნიერო თხზულებები მაინტერესებდა, ძალა და ცოდნა კი ამისათვის არ შემეწევდა, მე კარგად ვიცოდი, რომ სასკოლო თხზულების წერა უკვე აღარ შემეძლო და მასწავლებელი მართალი იყო, მაგრამ დარცხვენილმა ვერაფრის თქმა ვერ გავხედე“.

გიმნაზისტ ივანე ჭავჭავიძის არსების, მისი სულისა და გულის გამოხატველია დედა ენა. იგი მარტო გიმნაზიის პროგრამის ქართულად გააზრებაზე როდი ზრუნავს. მთელი მისი სულიერი პოტენციალი ყველაფერს აღიქვამს დედა ენის კრილში. ოჯახთან ერთად, მშრომელმა ხალხმა შეაგრძნობინა მას დედა ენის სისხლბორცეულობა.

ივანე ჭავჭავიძელი მულამ მადლიერი იყო თავისი მამისა, პედაგოგ-მთემბატკოსისა, რომელიც დედა ენის უნაზესი სამყაროს წყალობით ასწავლიდა მარტო სამშობლოს სიყვარულს კი არა, არამედ მეცნიერების და ცოდნის დუფლებას.

გიმნაზიის წლებიდან მოყოლებული მან მთელი შემოქმედებითი ცხოვრების წესად აქცია, დედა ენის უღვევი საღაროს სიტყვებით გამოეხატა თავის ნათქვამ-ნაღვაწი, მეტიც, თითქმის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მისი რუსულად და გერმანულად დაწერილი ნაწარმოებები განსაზღვრული სახით (სრულად ან არასრულად) ქართულად არ დაებეჭდოს. სიძნელე კი აქ ძალზე პევრი იყო. მეცნიერული ტერმინოლოგიის არაჯერონად განვითარება ხომ საგანგებო სიძნელეთა გადალახვას მოითხოვდა. დედა ენის ბუნების ღრმა შეგრძნება და ცოდნა აქ მძლავრი საშუალება იყო დაბრკოლებათა გადასალახავად. წყაროსთვლივით ხალხიდან მომდინარეობდა სიტყვათა მარაგი და გადადიოდა თაობათა იდუმალ მემკვიდრეობად. ერის ყოველი შვილი სარგებლობს ამ მემკვიდრეობით როგორც საყოველთაო ეროვნული კუთვნილებით. ასე

იწყებს კაბუჯი ივანე ჭავჭავაძის ინიციატივით. ამ დროს მოღვაწეობდნენ სამოციანელები ილიასა და აკაკის მეთაურობით. სწორედ მათ არა მარტო გააღვიძეს ხალხის გონება, მყარი ეროვნული შეგნებაც მისცეს მასას. ისინი — ენის კანონმდებელი — ხშირად პირველად ამტყველებდნენ დედა ენაზე ახალი დროის ცნებებსა და კატეგორიებს.

ილიასა და აკაკის ბაგეებიდან ქართულმა ენამ იშვილა, შოაშინაურა ანდა გააცოცხლა ბევრი ახალი სიტყვა XIX საუკუნის მრავალ ახალ მოვლენათა გამოსახატავად.

ზოგიერთი ამ სიტყვათაგანი დღემოკლე აღმოჩნდა, მაგრამ უდიდესი უმეტესობა ერთბაშად და მარადის დაუმკვიდრდა ქართულ ენას. ყმაწვილი ივანე ჭავჭავაძის ბევრ ქართულ სიტყვას პირველად ილიასა და აკაკისაგან ისმენდა, პირველად კითხულობს ქართულად სიტყვებს: აგებულება, ეროვნება, ერობა, კაცობრიობა, მსოფლმხედველობა, შინაარსი, მიმართულება და ა. შ. ბევრი ასეთი სიტყვა პირველი მოსმენის დროს ზოგჯერ ყურს რომ აკვირებდა, შემდგომ, თითქოს სხელი შეისხესო, მარადიულ და ცოცხალ სახეებად იქცნენ ცნებებისა და მოვლენების გამოსახატავად.

შეერთდნენ და შევისისხლობრცნენ საქართველოს კუთხეები ილიასა და აკაკის შემოქმედებაში. ილიასა და აკაკის ცხოვრებაში გადატყდა მთელი ეპოქა. ქართული ენის სავარჯიშო მოედანი მძლავრად გაფართოვდა და დაიწმინდა. სწორედ ამ ქართული მწერლობის უბეში გაიზარდა ივანე ჭავჭავაძის ინიციატივით.

მართალია, ცენზორები — აზრის ჯალათები — ბევრ ცოცხალ სიტყვას და აზრს სპობდნენ, მაგრამ ილია და აკაკი ახერხებდნენ შემოვლითი გზით, „ენის კენჭით“ სიმართლის თქმას, ხშირად წერილს თირკმელს განგებ ამოცლიდნენ, რომ „თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა“.

მარტო ილია და აკაკი როდი იტაცებდა ახალგაზრდებს. გიმნაზისტ კაბუჯებს ხიბლავდათ „ივერიასა“ და თბილისურ რუსულ პრესაში გამოქვეყნებული გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) წერილები. ეს სტატიები იზიდავდა გიმნაზისტებს ავტორის სტუდენტობის დროინდელი თავისი მოუსვენარი ბიოგრაფიით, „50-ის პროცენტზე“ გახმაურებული სიტყვით კაბუჯობის ხანაში 7 წლით კატორღა რომ დაიმსახურა. „ივერიაში“ იგი მეტად მიმზიდველად წერდა საუნივერსიტეტო განათლებაზე.

რაკი ჩვენ საკუთარი უნივერსიტეტი არა გვაქვს, ამიტომ აუცილებელია და სავალდებულოა წასვლა ჩრდილოეთში. იქ წასულები — გ. მაიაშვილის რჩევით — აზრთა აღებ-მიცემობით უნდა დაუმეგობრდნენ რუს სტუდენტობას, მით უფრო, რომ „უკეთესი ნაწილი რუსეთის სტუდენტობისა გამსჭვალულია ფრიად სასურველისა და კაცთმოყვარე მიმართულებებით“ (იხ. გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), რჩეული ნაწერები 1967 წ. I გვ. 111). ასევე ღრმად უნდა დაუახლოვდეს „რუსეთის ინტელიგენციის უმაღლეს და უკეთეს ნაწილს, რომელიც მეტად მიმზიდველი და საყვარელი ინტელიგენციაა სხვა ინტელიგენციათა შორის; ვრცელი განათლება, პატიოსანი, კაცობრივი ნატურა-სურვილი, პირდაპირი გულუბრყვილო და პატიოსანი ხასიათი, უნარი აღტაცებისა დიდებულის აზრთა და საქმით, რომელიც დღეს აღელვებს მთელს ეხლანდელს კაცობრიობას“ (გვ. 115). ამ გზით შეუძლიათ ქართველ ახალგაზრდებს ემსახურონ სამშობლოს და წამოიღონ თან დიდი საგზალი იდეა-აზრებისაო. სხვანაირად უნივერსიტეტში ცარიელი ყოფნა და სამსახურის დასაკავებლად მხოლოდ დიპლომის მიღება ქვეყანას სარგებლობას ვერ მოუტანსო. კიდევ ერთი წერილი გ. მაიაშვილისა დამახსოვრდათ გიმნაზისტებს, 1890 წელს გა-

პოქვეყნებული. იგი მიმართული იყო სატახტო ქალაქიდან ჩამოსული ინკინერ-ტექნოლოგის კ. ვებერის წინააღმდეგ.

1889 წლის 30 დეკემბერს სოფლის მეურნეობის კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში მრავალი უაზრობა გამოუთქვამს კ. ვებერს და შემდეგ სტატიადაც დაუბეჭდავს.

სხვა უვიტურ მტკიცებათა შორის იგი ასახელებს იმას, რომ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სკოლები წინამძღვრიანთკარის სკოლის ტიპისა, მათი მასწავლებლებიც იქვე უნდა მომზადდესო. იგი კავკასიისათვის მიუღებლად თვლის უმაღლესი სკოლის შექმნას ამ მხარის „კლიმატური, ნიადაგობრივი და ტოპოგრაფიული პირობებისა, აგრეთვე კავკასიის მოსახლეობის განსხვავებული ხასიათის გამო“. მისი აზრით, „სომეხი ან იმერელი მოწაფისათვის“ მათი აღრე მომწიფების გამო, მძიმეა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების დაუფლება და უფრო სპეციალურ საგნებს უნდა სწავლობდნენ ისინიო. გ. მაიაშვილი მწვავე საჩუქრით დასცინის „ანთროპოლოგიური მიზეზებით“ განათლების მიღების უნარის ახსნას და წერს, რომ უბედურნი მარტო კავკასიელები კი არ აღმოჩნდნენ ამ მიზეზებით, არამედ ასევე უბედურებად უნდა ჩაგვეთვალა ფრანგები, იტალიელები, ესპანელები და სხვ., რომელთაც აგრეთვე წართმეული უნდა ჰქონოდათ განათლებისადმი მიდრეკილებაო.

კ. ვებერისათვის, რასაკვირველია, შეუმჩნეველი იყო ის, თუ როგორი წარმატებით ეუფლებოდნენ ქართველი ახალგაზრდები მაღალ მეცნიერებას რუსეთსა და ევროპის უნივერსიტეტებში და რომ არ არსებობდა რუსეთის დიდი იმპერიის არც ერთი უნივერსიტეტი, სადაც ქართველი სტუდენტობა არ ყოფილიყო. ამ დროისათვის კი რუსეთის უნივერსიტეტებში მომუშავე ქართველი პროფესორები მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგებში მოღვაწეობდნენ და ამასთან თავიანთ გარშემო ქმნიდნენ მეცნიერებას მოწყურებულ ქართველ ახალგაზრდათა კულტურის ბუდეებს. კაცობრიობის ყველაზე დიდ მონაპოვარსა და სიამაყეს—მეცნიერებას—პატრიოტი ქართველი სწავლულები სამშობლოს კეთილდღეობისათვის იყენებდნენ. აქ დაუვიწყარი იყო ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის პროფესორის ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლი. (ერთ დროს იგი ამ უნივერსიტეტის რექტორიც იყო). ეს გამოჩენილი ქიმიკოსი მხოლოდ რუსულსა და ევროპულ ენაზე კი არ აქვეყნებდა თავის გამოკვლევებს, მან დაიწყო შესანიშნავი წიგნების გამოქვეყნება ქართულ ენაზეც, რომლებიც არ ჩამორჩებოდა არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოებს. მან დაადასტურა ამით ქართული მეცნიერული ენის განვითარების სრული შესაძლებლობა. ამ აღიარებულ მეცნიერს მთელი თავისი მოღვაწეობის გადმოტანა სურდა საქართველოში. იგი მზად იყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა დაეწყო, ოღონდ იყო სასოფლო-სამეურნეო საგაჰირებელი ქართველი სტუდენტობა როდი მიმართავდა ვასილ პეტრიაშვილს მატერიალური დახმარებისათვის, ასევე მრავალმხრივი იყო ის კითხვები, რომელსაც ქართველი გლეხობის სახელით ქართული პრესა იძლეოდა. მას ყველა მათგანზე უნდა ეპასუხნა, უნდა გაეცა პასუხი — წითელ ღვინოს უნდა აყენებდეს ჩვენი გლეხი თუ თეთრსა და ა. შ.—არც ერთხელ არ დაზარებია პასუხსა ღარიბი ქართველი მღვდლის შვილს, რომელმაც მძლავრად წარმოაჩინა თავისი ხალხის მეცნიერული პოტენციალი.

სამშობლოს სიყვარულის მისაბაძი მაგალითები განსაკუთრებული ძალით ზიბლავს ქაბუჯის გულს. წინამავალი დრო ახალ და ახალ კითხვებს ბადებდა,

გულანთებულ და გონებაგახსნილ კაბუკში სხედასხვა იდეები ენასკებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო ხშირი დიალოგი ჰქონდა საყუთარ თაყთან მომავლის თაობაზე. კაბუკობა ხომ დაუსაბამო ოცნებების ხანაა.

სამშობლოს სიყვარულის ბუნებრივი გრძნობა ახლა მისი ბედნიერი მომავლისათვის კაბუკურ ფიქრებს უკავშირდებოდა. ამასობაში იგი უფრო ნათლად იპოვის მომავლის დედა-მიზანს. აქ კი გადამწყვეტი როლი მამამ შეასრულა.

ალექსანდრე ჭავჭავიძეილი მათემატიკის სწავლებით როდი ისაზღვრებოდა. იგი იყო ჰემშიარიტი საზოგადო მოღვაწე — მხნე და გონიერი, ნამდვილი პატრიოტი. მას მრავალი ჩრევისათვის მიმართედნენ და მასთანვე პოულობდნენ პასუხს.

ალექსანდრე ჭავჭავიძეილი მხურვალე-მამულიშვილი იყო. სამშობლოს სიყვარულს იგი აქტიურად გამოხატავდა იმით, რომ აგროვებდა ქართული ხალხური სიტყვიერების სიბრძნეს, მეცნიერულად იკვლევდა ქართულ ისტორიასა და არქეოლოგიას. მან ხალხური სიტყვიერების ნიმუშები გამოაქვეყნა კიდეც, ხოლო გორისა და უფლისციხის აღწერილობათა შესახებ დაბეჭდილ გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა. ამით როდი ამოიწურებოდა ალექსანდრე ჭავჭავიძეილის შემოქმედებითი გეგმები. იგი ამზადებდა დიდ ნაშრომს — „ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას“. ამ გამოკვლევისათვის დიდხანს აგროვებდა მასალებს. ხშირად მოგზაურობდა, ერთხელ მან თემძის მშენიერ ხეობაში, სადაც შესანიშნავი რკონის მონასტერია, უფროსი ვაიშვილი ივანეც თან წაიყვანა.

იე. ჭავჭავიძეილი იგონებს: „კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასიდან მესამეში რომ გადავედი მამაჩემი გადაწყვეტს ქართლის ზოგადი აღწერილობის შესასწავლად და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად თემძის ხეობაში რკონის მონასტრის დათვლიერებას“. ამ დროისათვის მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომი უფლისციხეზე და ქართული ხალხური სიტყვიერების რამდენიმე ნიმუში. წასვლის წინ მან დიმიტრი ბაქრაძე ნახა და განზრახულ სამუშაოზე ესაუბრა. დ. ბაქრაძის სიტყვით რკონის მონასტრის დათვლიერების დროს მას მეუღლე ეხმარებოდა, რომელსაც ხატვის ნიჭი ჰქონდა. „მამაჩემს რკონის მონასტრის დაწვრილებითი აღწერილობის შედგენა უნდოდა და იქაური ტაძრების ნაგებობის გეგმის ზოგადად გადაღების გარდა ჩუქურათმებისა და წარწერების ჩახატვა და თან წამოღება სურდა“. მამას კარგად ჰქონდა შენიშნული შვილის ხატვის ნიჭი. მართლაც იმ დროს, იგონებს იე. ჭავჭავიძეილი, „საკმაოდ კარგად ვხატავდი, როგორც ფანქრით, ისე ფერადი საღებავებით“. აქ შვილი გატაცებით ეხმარებოდა მამას ნაგებობათა გაზომვაში, ხატავდა ორნამენტს, მეტად ნიჭიერად და სწრაფად აკეთებდა ესტამპებს. იმდროინდელი წარწერების პირები ახლაც შემორჩა მის არქივს: ბევრი ორნამენტი დრომ წაშალა და წარხოცა, მხოლოდ ივანე ჭავჭავიძეილის მიერ ჩახატული დარჩა ისტორიას. რკონის მონასტერმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს შთაბეჭდილება არასდროს შენელებია მას. ბევრჯერ ეს მონასტერი უხსენებია თავის გამოკვლევებში. ყველაზე მეტად იმან გააკვირვა, რომ იმდენად დანერგული არ აღმოჩნდა მონასტერი, როგორც ამას ისტორიკოსი აღწერდა: სახელიც „რკონი“ მუხისაგან უნდა წარმომდგარიყო, თუმცა ის ახლომახლო აღარ შემორჩენილიყო და მის ნაცვლად ცაცხვის უზარმაზარ ხეს სცემდნენ თაყვანს. მამის გულმა დიდად გაიხარა. მისი დადინჯებული ბუნება ვერ ფარავს აღტაცებას — კმაყოფილების მომხიბლავი ღიმილი ეფინება სახეზე.

ყველაფრიდან ჩანს, მამა მიზანდასახულად წარმართავს შვილის მომავალ ინტერესს. ამან გამოიწვია ის, რომ ცდისა და შეცდომების გზა მაქსიმალურად შემოკლდა, ვიდრე კაბუკი თავის მიზანს იპოვიდა. რკონის მონასტრის ასაწერად ჩატარებული პირველი კვლევა თითქოს გადაწყვეტ ღღედ იქცა. ბურუსით მოცულ მომავალში ნათელი პერსპექტივა მოიხაზა. თითქოს ამ ბედნიერ შემთხვევას ელოდაო, კაბუკმა საბოლოოდ აღმოაჩინა თავისი მომავლის მიზანი.

კაბუკობიდანვე აიყოლია ივ. ჭავჭავიძევილი ქართულის ბედმა.

ივანე ჭავჭავიძევილს თავდავიწყებით უყვარს არდადეგების გატარება მშობლიურ სოფელში — ხოვლეში. ამ სოფლის ახალგაზრდობას აღრევე იტაცებდა საღამოების გამართვა და შემოსული თანხების საქველმოქმედო მიზნებისათვის განაწილება. კაბუკი ივანე ჭავჭავიძევილი კიდევ უფრო ამდიდრებს ამ ტრადიციას, მას უმატებს ახალგაზრდათა შეკრებას და სხვადასხვა საკითხებზე დაწერილი რეფერატების განხილვას. ამასთან ყოველთვის მისაბამ უნარს იჩენს, რათა მოწინააღმდეგის აზრი გულსყურით მოისმინოს. ახლა მისი კაბუკური ენერჯია მიწაში დაფარული არქეოლოგიური სიმდიდრის შესწავლისადმი მიმართული. მშობლიური სოფლის შორეული წარსული ამ მხრივ მის ცნობისმოყვარეობას მდიდარ საზრდოს აძლევს. აქ გატარებული კაბუკური გატაცების დღეებს საზაფხულო არდადეგების დროს ცხოვლად აღწერს გიმნაზიისა და უნივერსიტეტის წლების განუყრელი მეგობარი ივანე ჭავჭავიძევილისა ივანე ნიჟარაძე. „ღილით ხოვლეს ახალგაზრდობა, — შეიარაღებული ბარებით, თოხებით და წერაქვებით, ვანოს მეთაურობით მივდიოდით ხოვლეს ზევით ბლომად მოფენილ ნანგრევებზე (ნასოფლარი) ¹. უფრო კი ეკლესიის ნანგრევებზე დავიწყებდით თხრას. თოხის ან წერაქვის ყოველი მოქნევა უნდა ყოფილიყო ფრთხილი და მოხერხებული, რომ არ გაგვეფუჭებინა ამოთხრილი ნივთი. ბარებით ასევე ფრთხილად მიწას გადავყრიდით ხოლმე და ამოვიღებდით ამ ჩუქურთმებიან ან სურათებიან ქვას წარწერით. აქ უნდა გენახათ ვანოს აღტაცება, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გეგონებოდა, ვანო უძვირფასეს მეგობარს შეხვდაო. გათხრების შემდგომ ზემით მოვდიოდით შინ. ნაპოვნი ქვა მოჰქონდა ან თვითონ ვანოს, ან ისეთს სანდო პირს, რომელიც ქვას ფრთხილად წამოიღებდა- საღამოს გრძელდებოდა სიმღერა და ცეკვა კალოზე, რასაც ყოველთვის ესწრებოდნენ კავსაძეები“.

ჩაიგრიალეს გიმნაზიის წლებმა. კაბუკის ანთებულ გონებას მომავალი უკვე გარკვეული აქვს. ახლა მან გიმნაზიის ატესტატი უნდა მიიღოს. დახასიათებას თვითონ გიმნაზიის დირექტორი მარკოვი ადგენს. ჩანს, იგი კარგად იცნობს გიმნაზიის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფეს. მოგვეყავს სრულად ეს დახასიათება:

„მოწაფე ივანე ჭავჭავიძევილი შვილია ქართველი ხელმოკლე თავადისა (სასწავლებლის ზედამხედველისა). კეთილ პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია კაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიოზური, ზნეკეთილი, თავაზიანი, და ალერსიანი. ზომიერი ხასიათისაა, ზრდილი, რის გამო ყველას უყვარს. ჭა-

¹ გვიან ხოვლეგორის ნამოსახლარის („გორას“ და ნასოფლარის) განთხარი მასალის მონოგრაფიული შესწავლა ნ. ბერძენიშვილმა დაავალა ივ. ჭავჭავიძევილის უსაყვარლესი მოწაფე, ლ. მუსხელიშვილის ვაჟიშვილს — დ. მუსხელიშვილს, რომელმაც 1978 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფია — „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა“.

კახიშვილი დაჭილდობებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან მეტად ბეჭითი და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჩანართელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით. ის ბევრს კითხულობს და კარგი ნაკითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ამით. იგი შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმაწვილი არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც, პოლიტიკურად კეთილსაიმედოა“.

ამგვარი ატესტაციები თავისთავად წარმატების გარანტია როდია. ხომ ცნობილია, ხშირად გიმნაზიის, ისე როგორც საუნივერსიტეტო ატესტაციას სრულიად საპირისპირო შედეგი მოჰყოლია. თვით ჰეგელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მართალია, ახასიათებდნენ კარგი ნიჭის ახალგაზრდად, მაგრამ ისეთს, რომელიც არ განსხვავდება განსაკუთრებული ბეჭითობით, არც ცოდნის დიდი მარაგით, ლაპარაკობს ცუდად და სუსტია სწორედ ფილოსოფიაშიო. ასეა ზოგჯერ წინასწარკვერტის ხვედრა.

თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორი ივ. ჭავჭავიშვილის დახასიათებისას არ შემცდარა. მისგან მართლაც შესანიშნავი სტუდენტი დადგა. მისი დახასიათებაც ისეა შედგენილი, რომ ხელი უნდა შეუწყოს გიმნაზიის ნიჭიერი აღზრდილის უნივერსიტეტში შესვლას. ამ მიზანს ისახავს ხაზგასმული აღნიშვნები კურსმოსმენილის ლეთისმოსაობაზე, პოლიტიკურ საიმედოობაზე. ამასთან აღუქსანდრე ჭავჭავიშვილის ზნემტკიცე ოჯახი. მას უნდა სწორედ პატრიარქალურ ოჯახად წარმოადგინოს, რომ ამით შეიღებზე მისი კეთილგავლენა დამტკიცოს.

ივანე ჭავჭავიშვილმა გიმნაზიაში და მის გარეთ მუშაობით შესანიშნავი ცოდნა შეიძინა. ამასთან დაეუფლა წიგნზე დისციპლინირებული მუშაობის ჩვევებს. შემდგომ ნიკო მარმა პირველ საუნივერსიტეტო ლექციებზევე შენიშნა პირველკურსელის კარგი ცოდნა ქართული ლიტერატურის ძეგლებისა. ისინი, რა თქმა უნდა, მას გიმნაზიაში არ შეუსწავლია.

სამშობლოს სიყვარულით ანთებული კაბუეის გული, მაძიებელ გონებას შეერთებული, მრავალ კითხვას წარმოშობდა. მათზე შემდეგ უწყვეტად ფიქრობდა იგი, პასუხს ზოგჯერ 40 წელიც მოუხდა, მაგრამ ერთი დღეც არ ყოფილა, არ ეფიქროს მას ამ კითხვებზე. ხანგრძლივი ნაფიქრ-ნააზრევი შემდგომ არნახულად მრავალ პრობლემაზე ერთი კაცის მხრივ პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა.

ივანე ჭავჭავიშვილმა 1895 წლის ოქტომბერში პირველად შეიგრძნო მოზენი სრულიად საქართველო. იგი რაფიელ ერისთავისადმი იყო მიძღვნილი, იმ კაცისადმი, რომელიც ყველა თავის მოქმედებაში ახერხებდა სამშობლოს ნაზი სიყვარულის გამოხატვას. ვინ იცის, იქნებ ეს პირველი იუბილე იყო, თოთხმეტსაუკუნოვანი მწერლობის წარმომადგენელს მთელი ხალხი რომ უხდიდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კაბუეი ივანე ჭავჭავიშვილი მზად იყო ყველაფერი ის შეესწავლა, რაც ღირსსაყოფნელი იქნებოდა სამშობლოს სასახურისათვის.

სსოპკაგისა და მოღვაწეობის პედაგოგის კარიერი
(1895—1917)

თ ა ვ ი I. „ვინც მოწაფედ არ უოფილა, ის მოძღვარი არ იქნება“

იმპერიის ერთადერთ საუნივერსიტეტო ფაკულტეტზე

1895 წელს ივლისის თვეში თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრებისთანავე აგზაენის თხოვნას ივანე ჭავჭავიძევილი პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რათა უნივერსიტეტში ჩარიცხონ.

1895 წლის 27 ივლისიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიხსნა სტუდენტ ი. ა. ჭავჭავიძის პირადი საქმე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა უნივერსიტეტებში, მისაღები გამოცდები არ ყოფილა დადგენილი.

უნივერსიტეტში შესვლა შეეძლო ახალგაზრდას, რომელსაც სახალხო განათლების სამინისტროს ერთ-ერთი გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და მიღებული ჰქონდა სიმწიფის ატესტატი ანდა მოწმობა. სტუდენტს ერთდროულად შეეძლო ჩაწერილიყო ერთ ფაკულტეტზე. იქ მას უნდა მოესმინა შემოთავაზებული საგნებიდან სავალდებულო რაოდენობა. ამის ზევით სტუდენტს უფლება ჰქონდა თავისი სურვილით მოესმინა ლექციები სხვა ფაკულტეტებზეც.

ჩარიცხვასთან დაკავშირებული მთელი პროცედურა 20 აგვისტომდე მთავრდებოდა, ამასთან არ ყოფილა გათვალისწინებული წინასწარი გასაუბრება.

ივანე ჭავჭავიძევილი პეტერბურგში 1895 წლის აგვისტოს ბოლოს ჩავიდა. პირველად ბაქოსა და დარუბანდზე გავლით გაიარა თერგს გაღმა გრძელი გზა პეტერბურგამდე.

პირველად 19 წლის ჰაბუკი ხედავს პეტრეს ქალაქს — რუსული დიდების ადგილს, ქვა-რკინის ბუმბერაზს.

უკვირს კიდევ, რამდენად ცნობილი აღმოჩნდა მისთვის ნევისპირა სატახტო ქალაქი საკაცობრიო ღირსშესანიშნაობებით. და ეს მაშინ, როცა ქალაქი ორასი წლისაც არ იყო.

შორიდანვე იცნო მან პეტრეს 12 კოლეგიუმის გრანდიოზული ნაგებობა. სადაც ახლა უნივერსიტეტია მოთავსებული. მის გრძელზე გრძელ კორიდორს შეჰყავდით მეცნიერების ტაძარში. აქ მკვლევართა შესანიშნავი პლეადა გადასცემდა ახალგაზრდებს კაცობრიობის ყველაზე დიდ სიამაყეს — მეცნიერულ ცოდნას. მართლაც, თამამად და გაბედულად შედის ჰაბუკი ივანე ჭავჭავიძევილი ამ ახალ სამყაროში, თავისი ძალების მოიმედვ, თავისი მოწოდების მპოვნელი.

უნივერსიტეტში ამ დროს ოთხი ფაკულტეტი: ისტორიულ-ფილოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური (მათემატიკური და ბუნებისმეტყველების დარგებით), იურიდიული და აღმოსავლურ ენათა — თითქმის ისეთივე ფაკულტეტები, როგორც იმპერიის სხვა უნივერსიტეტებში. ამ უნივერსიტეტს კი — ერთადერთს რუსეთის უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით — არ აქვს სამედიცინო ფაკულტეტი (ეს უეჭველად ათავისუფლებდა მას ამ ფაკულტეტის პრაქტიკულ-სასწავლო დაწესებულების შენახვის დიდი ხარჯებისა და ზრუნვისაგან; მაგრამ აქ არის ერთადერთი მთელს რუსეთის იმპერიაში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. როგორც აღვნიშნეთ, ივანე ჭავჭავიძე იღონებდა ბოლო წლებში წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ფაკულტეტზე შესვლა. არა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ იყო ერთადერთი ქართული სიტყვიერების კათედრა. კარგად ესმოდა, რომ ამ ფაკულტეტზე სწავლით მას მომავალში შეეძლო ყველაზე მეტი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის. სწორედ აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირურობის მეცნიერულ გამოკვლევას შეეძლო საქართველოს ისტორიის მტკრით დაფარული მრავალი მოვლენის გამომზეურება. ივანე ჭავჭავიძე იღონებდა ამ სახელგანთქმული ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების სტუდენტი ხდებოდა. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი გახდა რუსული ორიენტალისტიკის აკვანი, რომელმაც მალე მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ეს ფაკულტეტი 1855 წელს შეიქმნა. აღმოსავლურ ენათა სპეციალური ფაკულტეტის გახსნამდე პეტერბურგში მეცნიერული ორიენტალისტიკის მდიდარი ტრადიცია არსებობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

რუსული უნივერსიტეტების ფილოსოფიის ფაკულტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე არსებობდა აღმოსავლური სიტყვიერების კათედრები (პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების კათედრა 1845 წლიდან მოქმედებდა).

განსაზღვრულ წარმატება ორიენტალისტიკას ჰქონდა ყაზანის უნივერსიტეტში და აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის სახით, ოდესაში. სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნა მთელს უზარმაზარ იმპერიაში ერთადერთი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, სადაც თავი მოიყარა რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის ყველაზე საუკეთესო ძალებმა. ამ ფაკულტეტის ბევრმა პროფესორმა სახელი გაუთქვეს მთელს ევროპაში რუსულ მეცნიერებას.

ივანე ჭავჭავიძის სტუდენტობის დროს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ორიენტალისტიკის აღიარებული მსოფლიო ცენტრი იყო და თავის აყვავების ხანაში იმყოფებოდა. იმ დროს ფაკულტეტის მოღვაწეობა წარიმართებოდა მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმთან და რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილებასთან უმჭიდროეს კავშირში. აკადემიკოსები უნივერსიტეტსა და აკადემიაში ერთდროულ მუშაობას განიხილავდნენ როგორც ნაწილს რუსული ორიენტალისტიკის წარმატებისა. ბევრი მათგანი ერთდროულად ფილოლოგიც იყო და ისტორიკოსიც. უნივერსიტეტი მათთვის მეცნიერული ცოდნის გაღრმავების გზა და აკადემიისათვის ახალი კადრების მომზადების საშუალებაც იყო. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დიდი წარმატებები, ისევე როგორც რუსული ორიენტალისტიკის მიღწევები იმ დროს საგრძობლად დაკავშირებული იყო აკადემიკოს ვ. რ. როზენის სახელთან, რომელიც ერთდროულად იყო 1885 წლიდან რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების თავმჯდომარედ, 1883 წლიდან — უნივერსიტეტის პროფესორი, 1893 — 1902 წლებში — აღმოსავლურ

ენათა ფაქულტეტის დეკანი. ვ. რ. როზენის სახელი იმ დროს ცნობილი იყო აგრეთვე როგორც უაღრესად პრინციპული მეცნიერისა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ იგი ორჯერ იქნა არჩეული აკადემიაში, რაც ასე უნიკალურია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში. (თავისი ბიოგრაფიით ჰქონდა უფრო დიდი აღიარება ვ. რ. როზენს სტუდენტთა შორის, ვიდრე შრომებით, რომლებსაც ბევრი მათგანი არც კი იცნობდა).

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.

1879 წელს 30 წლის ასაკში ვ. რ. როზენი არჩეულ იქნა რუსეთის აკადემიაში. მისი ნიჭიერად დაწერილი შრომები იმედებს იძლეოდა, რომ საქმე ჰქონდათ დიდი მასშტაბის ორიენტალისტიკის გამოჩენასთან. მალე მას კონფლიქტი მოუვიდა აკადემიის რეაქციულ ხელმძღვანელობასთან. მისი არჩევის შემდეგ სულ ორიოდე წელიწადში გარდაიცვალნენ აკადემიის ორიენტალისტიკის წევრები და იგი ერთადერთი წარმომადგენელი აღმოსავლეთმცოდნეობას. გრძნობდა რა დიდ პასუხისმგებლობას მეცნიერების ამ დარგისადმი, მან მოითხოვა ვაკანტური ადგილების დაკავება ახალი ძალებით და ღირსეული კანდიდატებიც დაასახელა. მაგრამ არჩევნების ბედი იმ პირებს უნდა გადაეწყვიტათ, რომლებიც 30—40 წლით უფროსი იყვნენ ვ. რ. როზენზე და რომელთაგან ბევრს არ უნდოდა ორიენტალისტიკაში ახალი წევრების მიღების საჭიროება დაენახა. შექმნილ ვითარებაში ის წარმოუდგენლად თვლის აკადემიაში შემდგომ დარჩენას, ვინაიდან, მისი სიტყვებით, „ეს ნიშნავდა გავწირო საკუთარი თავი მუდმივი უნაყოფო ბრძოლისათვის და მეცნიერებაში მშვიდი მუშაობის სრული შეუძლებლობისათვის, და ეს დამატებით დაამტკიცებდა კიდევ, რომ მე მთლიანად გამიქრა საკუთარი ღირსების ყოველგვარი გრძნობა“.

აკადემიიდან წასვლის წლები სრულიადაც არ ყოფილა განცდების და სინანულის წლები დაკარგული წოდების გამო. პირიქით, როგორც სწორად აღნიშნავენ მისი ბიოგრაფები, ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი წლები მისი მეცნიერული შემოქმედებისა. ამ შემოქმედების დაფასების გამოხატულება გახდა ის, რომ 1890 წელს ვ. რ. როზენს მეორეჯერ ირჩევნ აკადემიის წევრად ახლა არა როგორც დიდი იმედების მომცემ ორიენტალისტს, არამედ როგორც მსოფლიო სახელის მქონე აღიარებულ მეცნიერს. ამ არჩევას ემთხვევა ბევრი მისა აღრინდელი წინადადების განხორციელება.

აკად. ვ. რ. როზენს მეცნიერისა და მეცნიერ-ორგანიზატორის საუკეთესო თვისებები გააჩნდა. მას შეეძლო დიდი ტაქტით, მაგრამ ამასთან მკაცრი მეთოდურობითა და თანამიმდევრობით წარემართა მოწაფეთა მეცნიერული კვლევის მიმართულება ისე, რომ არ დაეშვა მათი გადახვევა ძირითადი საკითხებიდან. ამ დროს ვ. რ. როზენი გამოდიოდა იქიდან, რომ მეცნიერს არ შეუძლია მისი კვლევისათვის ყველა საინტერესო საკითხი შეისწავლოს დამოუკიდებლად და ერთნაირი სიძლიერით. ამიტომაც იგი ზოგჯერ იძულებული იქნება, დაეყრდნოს და უნდა დაეყრდნოს კიდევ სხვის შეხედულებებსა და კვლევის შედეგებს.

აკად. ვ. რ. როზენის მოწაფეებად თელიდნენ თავიანთ თავს ორიენტალისტიკის სრულიად სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. მათ მეცნიერულ წვრთნას სრული კომპეტენტურობით, ღრმა მეცნიერული ალლოთი წარმართავენ ვ. რ. როზენი. აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტზე იგი იყო ყველაზე გავლენიანი პიროვნება. ოფიციალურსა და მეცნიერულ წრეებში ეს გავლენა ვ. რ. როზენმა რუსული ორიენტალისტიკის დაწინაურებისათვის გამოიყენა. მათ

შორის პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის წარმატებებისათვის, რომლის დაფუძნება აკადემიკოს მ. ბროსეს სახელთანაა დაკავშირებული.

როცა ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრები ჯერ გააერთიანეს, შემდეგ კი მისი გაუქმების წინადადება შეიმუშავეს და შეეცადნენ მთავრობისათვის უფრო ხელსაყრელ დარგში — ტიბეტმცოდნეობაში გამოეყენებინათ ეს შტატები, ამას დაჟინებით აღუდგა წინ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი ვ. რ. როზენი.

აკად. ვ. რ. როზენს ეკუთვნის მნიშვნელოვანი წილად დამსახურება იმაში, რომ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე სტუდენტთა მეცნიერული გაწვრთნა გულისხმობდა ისტორიული წერილობითი დოკუმენტების დრმა და ფაქიზი ანალიზის შერწყმას ტექსტების კრიტიკულ შესწავლასთან, მისი სანდოობის დადგენასთან. მკვლევარი აქ ფილოლოგიც უნდა ყოფილიყო და ისტორიკოსიც. ამასთან, აზრის სიახლისათვის მხარდაჭერა, გაბედული თეზისის წამოყენება, აზრის დახვეწებულობის უარყოფა მეცნიერული დამაჯერებლობით დამახასიათებელია მისი მეცნიერული სკოლისათვის, საიდანაც გამოვიდნენ შემდგომ მსოფლიო სახელის მეცნიერები — აკადემიკოსები ნ. მარი, ვ. ბარტოლდი, ი. კრაჩკოვსკი, ვ. კოკოვცოვი, წევრ-კორესპონდენტი ვ. ყუკოვსკი და სხვ.

ივანე ჭავჭავიძელი აკადემიკოს ვ. როზენის მოწაფის მოწაფეა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ პრივატ-დოცენტ ნ. მარის მეშვეობით ამჟღავნებს აკად. ვ. როზენი დაინტერესებას სტუდენტ ივ. ჭავჭავიძელის მუშაობისადმი.

აკად. ვ. როზენის ზემოთ დასახელებულ მოწაფეებს გარდა, რომელთა უმრავლესობა ივ. ჭავჭავიძელის სტუდენტობის დროს პრივატ-დოცენტები იყვნენ, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ასწავლიდნენ სახელგანთქმული მეცნიერები აკად. კ. ზალემანი, ვ. ვასილიევი და სხვ. ამ დროისათვის ქართული სიტყვიერების კათედრა პროფ. ა. ცაგარელს ეკავა, ხოლო სომხურისა ნ. მარს. სინამდვილეში კი თვითონ ეს პიროვნებები წარმოადგენდნენ კათედრებს. ცნობილია, რომ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე სტუდენტთა ყველაზე მცირე რაოდენობა იყო მთელს უნივერსიტეტში (თუმცა ეს ერთეულები შემდგომ გამოჩენილი მკვლევარები ხდებოდნენ), ამასთან, აქ დიდი იყო სტუდენტთა განთესვა. ფაკულტეტს, როგორც წესი, ორ ათეულამდე კაცს ვერ ამთავრებდა. იყო წლები, როცა მათი რიცხვი კიდევ უფრო მცირე იყო. ბუნებრივია, რომ ფაკულტეტის განყოფილებებზე პროფესორებს უფრო დიდი დრო და საშუალება ჰქონდათ ცალკეულ სტუდენტებთან მუშაობისა. პრივატ-დოცენტი ნ. მარი მისთვის ჩვეული გატაცებით მუშაობდა სტუდენტებთან. ქართულ-სომხურ განყოფილებაზე ივ. ჭავჭავიძელის დროს მხოლოდ ორი სტუდენტი იყო: თვითონ ი. ჭავჭავიძელი და ნ. აღონცი.

ვ. როზენისაგან განსხვავებით პრივატ-დოცენტი ნ. მარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა ლინგვისტურ განათლებას, თუმცა ისიც უხამებდა საერთო ფილოლოგიურ მეცადინეობას ისტორიულ კვლევას.

ამასთან ისტორიულ-ფილოლოგიურ ტექსტებზე კრიტიკულ მუშაობას ნ. მარი უკავშირებდა მათ თარგმანებს რუსულ ენაზე. სტუდენტმა ივანე ჭავჭავიძელმა უზადოდ იცოდა რუსული ენა. ფაკულტეტის პედაგოგები დიდად ახალისებდნენ სტუდენტებში ევროპული ენების გარდა აღმოსავლურ ენათა შესწავლას. ასე, სწორედ ნ. მარის ხელმძღვანელობით, ივანე ჭავჭავიძელმა პეტერბურგში წარმატებით შეისწავლა ძველი სომხური ენა. პრივატ-დოცენტ პ. კოკოვცოვის ხელმძღვანელობით ზედა კურსებზე იგი სწავლობს სირიულ ენას. ყოველივე ეს მეცნიერებით გატაცებული ახალგაზრდისაგან დიდ შრომის-

მოყვარეობას, თავდადებასა და თავგანწირვას მოითხოვდა. ამისათვის საჭირო იყო ის, რასაც ძველ ქართველთაგან ეწოდება „სიმბხე მოთმინებისა“.

სტუდენტ ივ. ჯავახიშვილის ბეჯითობა, მის უხადო მეხსიერებასა და მკვლევარის ბუნებრივ აღლოსთან შეზავებული, ამასთან უმშვენიერესი ადამიანური თვისებები არა მარტო პროფესორ-მასწავლებლებს შორის, არამედ მის ღროინდელ სტუდენტებშიც იწვევს აღტაცებას. ერთი კურსით ჩამორჩებოდა ივანე ჯავახიშვილს იმავე აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტი იუსტინე აბულაძე, რომელიც 1896 წლის ოქტომბერში სწერდა თავის ძმას: „ცაგარელი კარგი პროფესორია, მაგრამ ცოტას ზარმაცობს და ხშირად არ დიდის უნივერსიტეტში, რაღაც გულაგორებულებით არი. მე იმის ამგვარ საქციელს იმითი ვხსნი, რომ ჩემს მეტი უურისმგდებელი არავინა ჰყავს, მხოლოდ მეორე კურსზე არის ერთი ჯავახიშვილი, ძალიან მუყაითი ყმაწვილი, რომლის ძალიან მაღლიერია ცაგარელიც და ნამეტურ მარრი, რომელსაც მეტისმეტად აქებს. პირველ გაცნობისთანავე მარმა მითხრა უეჭველად გაეცანი ჯავახიშვილს, თუ არ იცნობო. ჩემს ხელში ის ჩინებულად სწავლობს და ის გიხელმძღვანელებსო, თუ რამ გაგიძნელებს ჩემს საგანში“.

პირველკურსელი სტუდენტი კერძო წერილში არ ერიდება გადმოსცეს საკუთარი შთაბეჭდილებები თავის უშუალო პროფესორებთან შეხვედრისა. იგი წერს: „რამდენადაც ცაგარელი ზარმაცია და გულაგორებულებით ირჩება, იმდენად მარი ბეჯითად და მომეტებული გულმოდგინებით ასრულებს თავის საქმეს. მაგრამ რაც შეეხება განვითარებულობას, ჩემი აზრით უფრო მაღლა დგას ცაგარელი, თუმცა ენების ცოდნაში მარს ტოლი არა ჰყავს. იცის ყველა ევროპული ენა და, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ენებიც მშვენიერად აქვს შესწავლილი“.

ძნელია დაეთანხმო სტუდენტის ამ მტკიცებას. შეიძლება კი ზარმაცი იყოს მეცნიერი, რომელიც შესანიშნავი ლინგვისტური და ფილოლოგიური შრომების ავტორია, ქართული ისტორიული ძეგლების მოუღლეელი გამომცემელია, ხოლო ექვეყნეშ დააყენო განვითარებულობა კაცისა, რომლის ენობრივი, ზოგად-ფილოლოგიური და ისტორიულ-ფილოსოფიური განათლება კვლევის თითქმის განუსაზღვრელ სფეროს სწვდებოდა.

სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი თავის მოგონებაში გვიან ჩაწერს, რომ ნიკო მარმა საინტერესოდ და ცოცხლად იცოდა გადმოცემა და „მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა და მამხნევებდაო“.

პროფ. ა. ცაგარელი და პროფ. ნ. მარი, მიუხედავად ერთმანეთს შორის კონფლიქტური დამოკიდებულებისა, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქართველოლოგიის პეტერბურგის სკოლის აყვავებაში. ივ. ჯავახიშვილი სრულად იყენებდა უფლებას მოესმინა ლექციები სხვა ფაკულტეტებზეც. სამშობლოს კულტურის უსაზღვრო ტრფიალი ახალგაზრდის გულს მოუწოდებდა ყველაფერი ის შეესწავლა, რაც საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის გამოადგებოდა. ამ მიზანსწრაფვით ისმენს იგი ლექციებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც აგრეთვე სახელგანთქმული მეცნიერები ასწავლიდნენ. მეტიც, ამ ფაკულტეტზე ლექციების მოსმენა მისთვის შემოქმედებითი აუცილებლობა იყო, ვინაიდან საკუთრივ ისტორიის მეთოდოლოგიის საგნებს, ისევე როგორც საქართველოსა და სომხეთის ისტორიას, არავინ არ ასწავლიდა. ივ. ჯავახიშვილი იგონებს: „მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა, ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ თვითონ მე უნდა მეცადნა გზის გაკაფვა. ეს მით უფრო იყო საჭირო, რომ ისტორიის სწავლება, მით უფრო სა-

ქართველოს და სომხეთის ისტორიისა, იმ დროს იქ არ ხდებოდა“. მას კი სამშობლოს ისტორია ყოველთვის მსოფლიო ისტორიის კრილში აინტერესებდა და ამ გზით წარმოედგინა ერის წარსულის უტყუარი სურათის აღდგენა. ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაქულტეტზე იგი უსმენდა პროფესორებს ნ. კარეევს, ი. გრევს და ი. სმირნოვს ისტორიაში, პროფ. ფ. ზელინსკის — ბერძნული კულტურის ისტორიაში. პროფ. ა. ვესელოვსკის — მხატვრული მწერლობის შედარებით ისტორიაში.

იგი ისმენს ლექციებს იურიდიულ ფაქულტეტზე. განსაკუთრებით იტაცებდა პროფ. ვ. სერგევიჩის ლექციები რუსული სამართლის ისტორიაში, პროფესორების ვ. ეფიმოვის და ა. ისაევის ლექციები — პოლიტიკურ ეკონომიაში. იურიდიულ ფაქულტეტზე წაითხული ლექციები აღძრავდა ფართო მსმენელთა (არა იურისტთა) ინტერესსაც. ამას აძლიერებდა ისიც, რომ აქ პროფესორებად მიწვეულნი იყვნენ ისინიც, რომლებმაც სახელი გაითქვეს პრაქტიკული მოღვაწეობით იუსტიციის ასპარეზზე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი და არჩილ ჭორჭაძე იურიდიული ფაქულტეტის საქმიანობის სრულ კურსში ამყოფებდნენ ივანე ჭავჭავაძის შვილს.

1897 წლიდან სისხლის სამართლის კათედრაზე პრივატ-დოცენტად იწყებს მუშაობას დოქტორი ა. თ. კონი. ამ იურისტის სახელი კარგად იყო ცნობილი ივანე ჭავჭავაძის შვილის ქაბუკობისდროინდელ მთელს განათლებულ რუსეთში. 1865 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ იგი სამეცნიერო ასპარეზზე კი არ წავიდა, სადაც მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, არამედ მან პრაქტიკული მოღვაწეობა დაიწყო პეტერბურგის სასამართლო პალატის მდივნის თანაშემწის თანამდებობაზე. შემდგომ იგი სხვადასხვა მაღალ პოსტებზე წინაურდება, ამასთან არ წყვეტს მუშაობას სამართლის მეცნიერებაში. 1871 წელს ა. კონი დედაქალაქის საოლქო სასამართლოს პროკურორი ხდება, ხოლო 1877 წელს — პეტერბურგის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, სწორედ ამ თანამდებობაზე, ვერა ზასულიჩის საქმის განხილვისას, გაითქვა მან სახელი რუსეთის იმპერიაში, როგორც მართლმსაჯულების შეუპოვარმა მოღვაწემ. ივანე ჭავჭავაძის შვილი ა. კონის მოღვაწეობაში პროგრესულ რუსეთს ხედავდა. ეს რუსეთი კი უსაზღვროდ ეზიზღებოდა კაცთმოძღვრობის ბოღმით სავსე კატკოვს. იგი სიყველიამდე — 1887 წლამდე, მომენტს არ უშვებდა დაებზღვებინა და შეურაცხყოფა მიეყენებინა ა. კონისთვის. საამისოდ მას პრესის მხრივ ფართო შესაძლებლობანი გააჩნდა, რასაც მოკლებული იყო ა. კონი. კატკოვის ეს გაიძვერობა ერთადერთი და პირველი როდი იყო. იგი იყო მოთავე რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა დაბეზღებისა და აბუჩად აგდებისა, სწორედ მის შესახებ წერდა ილია ქაქვიძე, რომ „ჩვენი ერის მამებლარაზე უფრო შესაბრაალისია მისი გამგონი და წამქეზებელი ბ-ნი კატკოვი“. სწორედ ეს კატკოვი მეთაურობდა ა. კონის წინააღმდეგ ვ. ზასულიჩის პროცესის შემდგომ წამოწყებულ მონარქისტულ ანგარიშსწორებას.

1878 წელს ვერა ზასულიჩი თავს დაესხა პეტერბურგის ქალაქის გუბერნატორს გენერალ ტრეპოვს და პირდაპირი გასროლით დაჭრა იგი. ეს თავდასხმა გამოწვეული იყო გენერალ ტრეპოვის სისასტიკითა და უხეშობით პოლიტიკურ პატიმარ ბოგოლიუბოვის მიმართ, რომელიც ტრეპოვის ბრძანებით გაიზოგეს მხოლოდ იმისათვის, რომ შეხვედრის დროს მას ქული არ მოუხდია. მთელი საზოგადოებრივი აზრი ვ. ზასულიჩის მხარეზე იყო.

ნაფიცო მსაჯულებმა ბრალდებულს გამამართლებელი ვერდიქტი გამოუტანეს. რეაქციულმა ძალებმა ამაში (არც თუ უსაფუძვლოდ) სასამართლოს თავმჯდომარის ა. კონის პოზიციაც დაინახეს. მათ პროცესის დამთავრებიდან მეორე დღესვე დაიწყეს ა. კონის აშკარა დევნა. ამას სათავეში ჩაუდგა სწორედ კატკოვი, როგორც ლიტერატურული რეაქციის ხელმძღვანელი.

პროცესის დაწყებამდე იუსტიციის მინისტრი და თვით ალექსანდრე II ა. კონისაგან მოითხოვდნენ დაპირებას, რომ ბრალდებული მსჯავრდებელი იქნებოდა ნაფიც მსაჯულთა მიერ. ეს დაპირება მათ ვერ მიიღეს. პროცესის შემდეგ იუსტიციის მინისტრი უკვე არ მალავდა იმპერატორის სურვილს, ა. კონს დაეწერა განცხადება გადადგომის თაობაზე. ა. კონი წინააღმდეგია გადადგომისა, თუმცა მას, როგორც ყველაზე პოპულარულ პირს, ადვოკატობა უმდიდრეს პონორარს უქადდა. ა. კონს მიაჩნდა, რომ ამ სიტუაციაში გადადგომა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იდეას შეარყევდა ხალხში. ამასთან ეს ეწინააღმდეგებოდა მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპს. ხელისუფლებას კი შეეცლა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეეძლო. მხოლოდ გვიან, 1881 წელს, ტოვებს ის ამ თანამდებობას.

უნივერსიტეტის აუდიტორიებში შეუხელებელი ყურადღებით უსმენდნენ შეუხედავ ლექტორს, რომელიც ლექციის კითხვის დროს გარდაისახებოდა ულაშახეს პიროვნებად, თავისი დაუშრეტელი ცოცხალი სიტყვის თვალწარმტაცი ელვარების წყალობით.

იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევდა, ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. გულდასაწყვეტია ის იყო მხოლოდ, რომ მათ შორის ბევრს, ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებანი რომ შეესწავლა, შეეძლო მეცნიერებაში შესანიშნავი სიტყვა ეთქვა. სინამდვილეში კი იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მათი უმრავლესობა მონარქისტული სახელმწიფო მანქანის იერარქიულ საფეხურებზე ამდღეობაში ხარჯავდა და ახუნებდა თავის ნიქს. რამდენი ნათელი, მგზნებარე გონება გაიფლანგა ასე!

სტუდენტური დულილის წლები

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დაწყების სიხარულს თავიდანვე დაჰყვა დრამატიზმით აღსავსე მომენტები, რომლებიც იმის დადასტურება იყო, რომ მეფის ხელისუფლება მხოლოდ ითმენდა უნივერსიტეტების არსებობას. ეს ხელისუფლება სტუდენტობაში — რუსეთის ინტელიგენციის ამ ყველაზე მგრძნობიარე ნაწილში — ხედავდა მუდმივ მოწინააღმდეგეს, უნივერსიტეტებში კი — კრამოლის კერებს. უკანასკნელ დეტალებამდე იყო შემუშავებული ყველაფერი, რათა სტუდენტობა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ჩამოეშორებინათ. სტუდენტისათვის საჭირო დოკუმენტების მიღებისთანავე ხალხის მოძრაობით დაშინებული ბელიკოვები საკუთარ უმწეობას იმიო აღიარებდნენ, რომ პირველი დღიდანვე მოითხოვდნენ ხელწერილს, რომ სტუდენტობის დროს წესიერად მოქცეოდნენ. ეს აღარ იყო თავაზიანი ექვიანობა. შიშს მართლაც დიდი თვალები აქვს, მაგრამ ყველაზე სუსტი მაშინ ხარ, როცა ყველასი და თითოეულისა გეშინია. 1895 წლის 5 სექტემბერს ივანე ჭავჭავაძევილი დებს „ხელწერილს მასზედ, რომ საიმპერატორო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში ვალდებულებას ვიღებ არა თუ არ გავხედ წვერი რომელიმე საიდუმლო საზოგადოებისა, არამედ თითოეულ

ცალკეულ შემთხვევაშიც, უშუალო უფროსების ნებაართვის გარეშე, არ შევიდნენ წევრად კანონით დაშვებულ საზოგადოებაში, აგრეთვე არ მივიღო მონაწილეობა რაიმე ფულადი შენატანებით. ჩემ მიერ ამ აღთქმის გატეხის შემთხვევაში ვეჭევდებარები დაუყოვნებლივ გარიცხვას დაწესებულებიდან და მერთმევა ყველა უფლება ჩემ მიერ იმ ფულადი თანხების მიღებაზე, რომლებიც ნებადაურთველი მიზნისათვის შეიკრება“.

სტუდენტი ჭავჭავიძე დიმიტრი აწერს ხელს ამ სტანდარტულ ცნობას, მაგრამ მალე გაიკვება, რომ ეს არც თუ ასე ადვილი საქმე ყოფილა, რომ არა თუ უბრალო დარღვევა, არამედ შემდეგ ციხეშიც აღმოჩნდება იგი. ამ ხელწერილით კი გამოდიოდა, რომ ივანე ჭავჭავიძის მონაწილეობა არ უნდა მიეღო პეტერბურგის ქართულ სტუდენტთა სათვისტომოს საქმიანობაში (ესეც არ ყოფილა ნებადართული), თუმცა პეტერბურგში ჩასვლისთანავე იგი ამ სათვისტომოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პირი ხდება.

ამ აკრძალვებსა და შეზღუდვებს მეტად რეაქციული 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება ედო იურიდიულ საფუძვლად. ამ წესდებით, პოლიტიური ზედამხედველობა სტუდენტობამდე იწყებოდა. უნივერსიტეტში შემომსვლელს პოლიციიდან ცნობა უნდა წარედგინა „უნაკლო“ პოლიტიკური კეთილსამედობის თაობაზე. ყოველი სტუდენტური საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, მათ შორის ყველაზე უწყინარის, თუნდაც სტუდენტთა სასაბუნების სახით, ილევნებოდა. სტუდენტობის დროს მათ ცოლის შერთვა ეკრძალებოდათ. სასჯელთა მთელი სისტემა იყო გათვალისწინებული „საწესდებო“ მოთხოვნათა დარღვევისათვის. ეს სასჯელები თანდათანობით მძიმდებოდა, საუკუნის ბოლოს ურჩ სტუდენტს სალდათად აგზავნიდნენ. ყველაზე შეურაცხმყოფელი ის იყო, რომ სტუდენტთა ასეთი დასჯა, გაგზავნა ჭარისკაცად, არცხვენდა როგორც სტუდენტებს, ისე მილიონობით ჭარისკაცსაც, რადგან მათი სამსახური იმპერატორისადმი ამით შემარცხვენელ საქმედ ცხადდებოდა.

მთელი ეს აკრძალვები მხოლოდ უკურეაქციას იწვევდა და ხელს უწყობდა ნებადაურთველი სათვისტომოების, სტუდენტური წრეებისა და საზოგადოებების შექმნას. სტუდენტები სატახტო ქალაქის ცხოვრების პულსს აცოცხლებდნენ და აძლიერებდნენ. სტუდენტობა დედაქალაქის მშვენებაა. ისინი ყველაზე ადრე შეიგრძნობენ კულტურული ცხოვრების ახალ მონაპოვარს. ივანე ჭავჭავიძის დროინდელი სტუდენტები წრეგადასული მოუთმენლობით ელოდებოდნენ ჩეხოვის ახალ მოთხრობას, რომელსაც დიდი რომანის მთელი მხატვრული ტვირთი შეუძლია ასწიოს. მათი თანამედროვეა ლევ ტოლსტოი — კაცობრიობის მარადიული შვილი. სტუდენტები არა მარტო ლევ ტოლსტოის ბოლო რომანს „ადღვამას“ ეწაფებიან სულმოუთქმელად, არამედ, ასევე დაუსრულებლად დავობენ მისი პუბლიცისტური გამოსვლების თაობაზე. ყველასათვის ნათელია, რომ რუსული კულტურა XIX საუკუნეში უდიდეს წარმატებებს აღწევს და ეს მიმდინარეობს როგორც ერთიანი, განუხრეკლად აღმავალი პროცესი. ამაში ყველაზე დამახასიათებელი ის იყო, რომ აღიარებული ავტორი ყოველშტრიხ უჭერდა მხარს ახლადგამოჩენილ ნიქს და მის სიძლიერეს ცნობდა. ასე მოხდა, როცა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ივ. ტურგენევი და ნ. ჩერნიშევსკი აღტაცება ვერ დაფარეს ლევ ტოლსტოის გამოჩენის გამო და იმთავითვე მიესალმნენ ბუმბერაზი ნიქის აღმობრწყინებას.

სტუდენტობას იტაცებდა დიდი რუსი კრიტიკოსის ვ. სტასოვის სტატიები, როგორც ესთეტიკური ბარომეტრი იმდროინდელ რუსეთში მომხდარი მხატვრული ნიქის გამოვლენისა. 1898 წლის თებერვალში მთელი კულტურული პე-

ტერბურგი შეარყია ერთმა საოპერო დადგამ. უფრო ზუსტად 25 თებერვალს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა სპექტაკლის შესახებ, რომელსაც რეცენზიას ვერ უწოდებ. ეს არის სიტყვებისა და გრძნობების სიმფონია დიდი ნიჭის წარმოჩენით გამოწვეული. სიმფონიაში ისმის ლალადისი, „როგორც გლინკას ოპერაში. საბინინი, მეც ვლალადებ: „უნაპირა სიხარული“. ციდან დაგვეცა უდიდესი ბედნიერება. ახალი უდიდესი ტალანტი წარმოჩნდა. ვინც გუშინ 23 თებერვალს იყო კონსერვატორიის დარბაზში, მას ალბათ არასოდეს მთელს თავის სიცოცხლეში არ დააიწყებდა ეს საღამო. ისეთი გასაოცარი იყო შთაბეჭდილება...

ეს იყო დაუსრულებელი მწკრივი შვენიერი სურათებისა! მისი ხმა ირხეოდა მორჩილად და ნიჭიერად, რათა ჩამოექნა უსასრულოდ ახალი და ახალი სულში ჩამწვდომი მოტივები! მის ყოველ მოძრაობაში გამოკრთოდა ქეშმარიტი სკულპტურული პლასტიკა და თითქოს გვაძლევდა შესაძლებლობას ყოველ წამში გამოგვეძერწა, გვეხილა სულ ახალი და ახალი ქანდაკებები. და ყველაფერი ამას იგი აკეთებდა ბუნებრივად, უბრალოდ და გასაოცრად! არაფერი არ ყოფილა მოგონილი, არაფერი თეატრალური, არაფერი მსგავსი სცენიური რეჟინის განმეორებისა.

როგორი უდიდესი ტალანტია! და ეს კაცი სულ ოცდახუთი წლისაა!“ ავტორი განაგრძობს, რომ ოცდაშვიდი წლის წინ იგი ასეთივე აღტაცებით წერდა ივანე მრისხანეზე ანტოკოლსკის ქანდაკების შესახებ და აი გავიდა მეოთხედი საუკუნე და ახლაც იმავე რწმენით, როგორც მაშინ, მე ვამბობ: „ამ წუთში ერთი დიდი მხატვრით მეტი გვყავს ჩვენ. ესაა ოპერის მომღერალი შალიაპინი, რომელმაც სრულიად არაჩვეულებრივი და საოცარი რამ შექმნა რუსულ სცენაზე. ისევე როგორც ანტოკოლსკი, ისიც ჰაბუკია, მასზე უფრო ახალგაზრდა, მაგრამ შემქმნელი ისეთი „ივანე მრისხანისა“, როგორც ჭერ არავის უნახავს არც დრამატულ და არც საოპერო სცენაზე“. ეს სიტყვები ვ. სტასოვის ეკუთვნოდა. ამ სიტყვების შემდეგ თ. შალიაპინი — რუსული მუსიკალური გენიის განსახიერება — „საბოლოოდაა აღმოჩენილი“. მაგრამ ვ. სტასოვი მარტო აღტაცების ჰიმნით როდი დაკმაყოფილდა. იგი იქცა თ. შალიაპინის უპირველეს მრჩევლად და პირველ დამფასებლად. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ არაჩვეულებრივად სწამდა თვითონ თ. შალიაპინს ვ. სტასოვისა. ვ. სტასოვი გამონაკლისი არ ყოფილა. რუსი კომპოზიტორები, დირიჟორები, მხატვრები, მწერლები, ენერჯიას არ იშურებდნენ ერის მუსიკალური გენიის შენივთებული გამომსახველის სრულყოფისა და გაფურჩქვნისათვის. სწორედ ესაა ქეშმარიტი პატრიოტიზმი. როგორც შემდეგ გაიგებს ივანე ჯავახიშვილი, არც მეცნიერები გამდგარან გვერდზე. გამოჩენილ რუს ისტორიკოსს პროფ. ვ. კლიუჩევსკის ძვირფასი რჩევები მიუცია თ. შალიაპინისათვის ივანე მრისხანის როლის სრულყოფილად წარმოდგენისათვის. შემდგომ საყოველთაოდ ცნობილი ხდება, რომ საოპერო დებიუტი თ. შალიაპინს თბილისში ჰქონდა, რომ იგი ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იგონებდა ამ ქალაქს.

სტუდენტები ქვეყნის მარტო კულტურული მიღწევებით აღტაცებულნი როდი პოულობდნენ სულიერ საკვებს, მათ ასევე მწვავედ აღელვებდა საზოგადოებისათვის ღებ თვალში საცემი უსამართლობანი.

ლექციებზე დასწრება პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალი იყო. ამა თუ იმ რეაქციონერი პროფესორის მიმართ პროტესტს სტუდენტები იმით გამოხატავდნენ, რომ ლექციას დემონსტრაციულად არ ესწრებოდნენ. ანდა პირდაპირ ობსტრუქციას უწყობდნენ მოძულე პროფესორს. პროტესტის ხმა უნი-

ვერსიტეტის კედლებს გასცდებოდა ხოლმე და სტუდენტთა მღელვარებად იქცეოდა, თუკი საშეფო ხელისუფლების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი საქვეყნოდ ცნობილი გახდებოდა. ერთ-ერთი ასეთი სტუდენტური გამოსვლის მონაწილე გახდა მესამე კურსის სტუდენტი ივანე ჭავჭავაძე.

1896 წელს დააპატიმრეს პეტერბურგის უმაღლესი ქალთა კურსების მსმენელი ვ. ვეტროვა. მას ბრალად ედებოდა კავშირი საიდუმლო სტამბასთან, სადაც იბეჭდებოდა აკრძალული ლიტერატურა, მათ შორის „მუშათა კლასის გათავისუფლების ბრძოლის კავშირის“ პეტერბურგის გამოცემები. რათა აღიარებდა მივლთა და თანამონაწილთა გაცემისათვის მიეღწიათ, მ. ვეტროვა ჩამწყვედიეს პეტრე-პავლეს ციხის ტარუბეცკოის ბასტიონში, რომელიც უმძიმესი რეჟიმით გამოირჩეოდა. ქალის ღირსების შეურაცხყოფისათვის — მხეცურად გაუპატიურებისათვის, ციხის რეჟიმის პროტესტის ნიშნად თავმოყვარე ახალგაზრდა ქალმა ვ. ვეტროვამ თავის მოკვლა არჩია. ეს ვერ დაძალა მთაურობამ. 1897 წლის 4 მარტს ყაზანის მოედანზე პეტერბურგის სტუდენტებმა მოაწყვეს მრავალათასიანი დემონსტრაცია. სტუდენტთა გამოსვლების მასობრიობამ დააფრთხო მეფის მთავრობა. ამას ადასტურებს სპეციალური საკრებულოთა სასწრაფოდ მოწვევა და მისი გადაწყვეტილება. ამ საკრებულოს თავმჯდომარეობდა განათლების მინისტრი გრაფი ი. დ. დელიანოვი. ესწრებოდნენ: სინოდის ობერ-პროკურორი, სამხედრო, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების, საგზაო მინისტრები, აგრეთვე პეტერბურგის მაღალი თანამდებობის სხვა პირები. მათ დასკვნაში გაიცხულია სტუდენტების მხრივ მხარდაჭერა სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულის ვეტროვასი, თუმცა საკრებულომ არ მისცა მომხდარ დემონსტრაციას პოლიტიკური მოვლენის მნიშვნელობა, „მივიდა დასკვნამდე, მომხდარი შემთხვევა განიხილოს, როგორც სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამოვლენა და პოლიციის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა, რისთვისაც დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან პოლიციის ყაზანის ნაწილში, დააკისრა დისციპლინარული სასჯელები“. გადაწყდა დემონსტრაციის მონაწილე ყველა სტუდენტი ერთნაირად დაისაჯოს: იმ სტუდენტებს, რომელთაც სტიპენდია ანდა რაიმე დახმარება აქვს, დროებით წაერთვას იგი, ხოლო სხვებს ხანმოკლე სამღელეპიანი განმარტოებული პატიმრობა შეეფარდოს. აქვე კომისიამ წინადახედულება გამოიჩინა: ვინაიდან ყველას განმარტოებული პატიმრობისათვის ადგილები არ ეყოფოდა, თანდათანობით და თანმიმდევრულად განეხორციელებინა ეს გადაწყვეტილება. ასე, მეორე კურსის სტუდენტი ივანე ჭავჭავაძე ოთხი წლის წინათ აგებულ ციხეში — „კრესტი“ — სამი დღე-ღამე იყო დაპატიმრებული. მაღალი დონის საკრებულომ განსაკუთრებული ლოიალობა გამოიჩინა დემონსტრაციაში მონაწილე ქალთა მიმართ — არ გაუთანაბრა ისინი ვაჟებს, ვინაიდან მათგან განსხვავებით ისინი „უფრო შთაბეჭდილებების ქვეშ ხედებიან და ზედმეტი გატაცება შეუძლიათ“ და მათი გაფრთხილებით დაკმაყოფილდა. საერთოდ კი საკრებულომ მკაცრად გააფრთხილა სტუდენტები, რომ მათ მომავალში ასე ადვილად აღარ შეჩებათ ეს თვითნებობა. დემონსტრაციაში ბევრი პეტერბურგელი ქართველი სტუდენტი მონაწილეობდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველი სტუდენტობა, რომელსაც სოციალური ჩაგვრასთან ერთად ეროვნული ჩაგვრის უღელიც აფორიაქებდა, სტუდენტთა საერთო რუსული მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. იმ დროს ქართველი სტუდენტობა მწვავე გულისტკივილით და მოძმის თანაგრძნობით გამოეხმაურა ბერძენთა გამათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ბევრი მათ-

განი მზად იყო კიდევ მოხალისედ ჩაწერილიყო ბერძენთა არმიაში და სიცოცხლე შეეწირა მისი გათავისუფლებისათვის. ქართველ სტუდენტობას კარგად ახსოვდა, რომ საქართველოშიც საზოგადოებრივი აზრი ასევე თანაგრძნობით იყო განწყობილი. 1889 წლის პირველ ნოემბერს „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძე წერდა ბერძენთა მოძრაობაზე და დასძენდა: „გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზე არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ქვეშაირი და განწყენილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება“.

1897 წელს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა სწორედ კრეტას თაობაზე. პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, გამოხატავდა რა სრულ მხარდაჭერას ბერძენთა მიმართ, გადაწყვეტს, დელეგაცია გაგზავნის საბერძნეთის საელჩოში. ელჩი მათ ურჩევს, რომ დეპეშას თვითონ ნუ გაგზავნიან: ეს თქვენთვის სახიფათოაო. მე გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო. ამ თავიანთი განზრახვის გამო ქართველი სტუდენტები წერილით მიმართავენ ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს. სთხოვენ, თუ რა მოსაზრებით იხელმძღვანელონ საგნის გადაწყვეტის დროს. ისინი არ მალავენ თავიანთ ალტაცებას ბერძენთა სიმამაცით, მიუხედავად დიდ სახელმწიფოთა ჩარევისა. „დიდს სახელმწიფოებს, — წერდნენ სტუდენტები, — რომელთაც ერთის დამთქნარებით შეუძლიათ საბერძნეთის მიწასთან გასწორება, ამ საზარელ ვეშაპთბრძოლის საქმეში, არ უშინდებიან ბერძნები და წარბშეუხრეულად იმორჩებიან: „ერი ერს ან არადა სიკვდილიო“.

გიორგი წერეთლის პასუხი ექვს არ ტოვებდა, რომ, ზოგიერთი შემოკლების შემდეგ, დეპეშა აუცილებლად უნდა. გაგზავნილიყო მთელი ქართველი სტუდენტობის სახელით. იგი აღნიშნავდა: „ვაი საქართველოს დამციროებას და დამდაბლებას, რომ ამ დროში მას არ შეუძლია უფრო ნამდვილი საქმით მიეშველოს დაჩაგრულ ხალხს, გაგზავნოს საბერძნეთს თავისუფალი რაზმი ქართველთა მებრძოლთა. თქვენი თანაგრძნობის წერილი ჩინებულია და დიდაც უნდა გაგზავნოთ“. სულ სხვანაირია ილია ჭავჭავაძის პასუხი. ილია ჭავჭავაძეს დიდ პირად პატივად მიაჩნია სტუდენტთა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცნენ ისინი. ამასთან, ილია გულწრფელად აღიარებს, რომ ამ წერილმა ორ ცეცხლს შუა დააყენა იგი. ერთი მხრივ ყოველად პატიოსანი გულთაძგერა საქვეყნო, ბრწყინვალე და დიდებული, რომლის დაღადის წინაშე ალტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა (თავის დროზე სტუდენტი ილია ჭავჭავაძე გარიბალდის მებრძოლთა რაზმში აპირებდა ჩაწერას — ს. ჯ.), ამიტომ „ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ შევნიერ და ყოველად თავმოსაწონებელს გულთაძგრას და გასამხნეველად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“. ძნელია, აღიარებდა ილია, ამ პატიოსან გულთაძგრას ცივი ანგარიში დაუყენო წინ, მაგრამ გულახდილი პასუხის გაცემას, აუცილებლად თვლის: სტუდენტურ გატაცებას ზიანის მოტანა შეუძლია თქვენთვის. რაც შეეხება ბერძნებს, წერდა ილია, თქვენი თანაგრძნობა, რასაკვირველია, მათ ეამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს, თქვენ შეიძლება დიდ ხიფათში ჩაიგდოთ კი თავიო. ერის ბრძენი მამა ასე მიმართავდა სტუდენტებს: — „ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხარო, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჭერ ხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ,

მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერების ფარ-
ხმალით მოღით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავეს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ
სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის
თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ და-
რიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული
კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში
ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც
ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

...თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო
შესაფერის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას,
ვისის-ლა იმედზე დარჩეს?

...უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხო-
დით გულიდგან მაგ პატიოსან გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია
და სამართლიანი.

გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი,
„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“.

ეს პასუხი ილია ჭავჭავაძისა, 5 აპრილის რიცხვით დაწერილი, ივანე ჭავ-
ხიშვილს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავ-
მჯდომარემ ს. ფირცხალავამ გააცნო.

ახლა კიდევ ერთხელ მთელი სიდიადით წარმოგა მის წინაშე დიდი თანა-
შედროვე ილია ჭავჭავაძე. იგი გონივრული სიფრთხილის სრული უგულვებელ-
ყოფით შიშველ ძალგულოვნებაში და სამშობლოსა და სამართლიანობისათვის
სიცოცხლის დაუფიქრებლად თავშეწირვაში როდი ხედავდა ყოველთვის სიბრ-
ძნესა და გმირობას.

ივანე ჭავხიშვილს შემდგომ, საქართველოს ისტორიის კვლევისას მრავალ-
ჯერ აღუნუსხავს ის ზიანი, რაც შიშველ ძალგულოვნებას, სამშობლოს სიყვარ-
ულით დაუფიქრებელ, თუნდაც ვაჟკაცურ სიკვდილს ქვეყნისათვის ზიანიც
მოუტანია, მაშინ როცა შეიძლებოდა მოწინააღმდეგისაგან გაცლა, ძალების შე-
ნარჩუნება და ქვეყნის მცხოვრებთა დიდი მასის სიცოცხლის გადაარჩენა უკე-
თისი მომენტის ლოდინში.

1896 წლის თებერვალში პირველი კურსის სტუდენტი ივ. ჭავხიშვილი და
სტუდენტი ი. ჩარეკიშვილი წერილებს უგზავნიან ილია ჭავჭავაძეს, გ. ზდანო-
ვიჩს და ნ. ნიკოლაძეს და სთხოვენ მეტი აქტიურობა გამოიჩინონ სამშობლოს
საპირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას.

• • •

ზაფხულის არდადეგების დროს ი. ჭავხიშვილი სამშობლოშია, აქტიურად
მონაწილეობს კულტურულ ცხოვრებაში და უწყვეტ კვლევა-დაკვირვებას
წეუვა. 1897 წლის 15 ივნისს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში გა-
ნუყრელი მეგობარი ივ. ნიჟარაძე ასე წარმოიდგენს ივანე ჭავხიშვილს საქარ-
თველოში: „მამ იმედია, კარგადა ბრძანდები, ვითარცა მხნე და გულადი მეო-
მარი ომში, შენც ყველგანა ხარ: ესწრები სახალხო (ან საჯარო) კითხვებს, ლი-
ტერატურულ საღამოებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრე-
ბის სტუმრადაც დადიხარ და კიდევ კუდით ქვას ასროლინებ ხოლმე ქართულ
სიტყვებს, სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა სჯულის, როცა მათ დაუწყებ ჩხრე-
კა-ქექვას, პარიჟა იქნება ვიპოვნო რომელიმე ისეთი, რომელიც ჯერ არ გადმო-

ყლაპავს. ან თუ არა და ისეთი, რომელსაც ძველებური ან ზნე-ჩვეულება ან თუ არა და გარეგანი შეხედულება და აგებულება დაუცავს, რათა ისინი ჩასვა თეთრ ოთხკუთხედ ციხეში“.

მართლაც რომ მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ივანე ჭავჭავაძის იველი ყველაფერს, რაც ერს სულიერ ძალღონეს მატებდა.

თარბმანი — სულიერი აღებმომცემობის იარაღი

მეორე კურსის სტუდენტი ივანე ჭავჭავაძის იველი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განმაახლებლის ნ. მარის ხელმძღვანელობით იმ დიდ მუშაობაში ჩაება, რასაც სომხურ-ქართული ფილოლოგიის წარმოშობა მოჰყვა.

ამ დარგის შექმნა, საბოლოო ანგარიშში, აკად. ნ. მარის მეცნიერული შემოქმედების უმთავრეს ღვაწლს შეადგენს.

ნ. მარი, როგორც აღენიშნეთ, თავის უშუალო მასწავლებლად აკად. ვიქტორ როზენს თვლიდა. ამაში გადაპარბება არ ყოფილა. აკად. ვ. როზენმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ნ. მარის როგორც მეცნიერის, როგორც მეცნიერ-ორგანიზატორისა და საზოგადო მოღვაწის ჩამოყალიბებაში, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი არ უწონებდა მოსწავლეს ლინგვისტიკით ზედმეტ გატაცებას. აკად. ვ. როზენი სპეციალობით არაბისტი-ფილოლოგი იყო. თავისი კვლევის ინტერესს სრულიადაც არ ზღუდავდა არჩეული დარგით¹. იგი ენერგიულად უჭერდა მხარს ნ. მარის მოღვაწეობას კავკასიისმცოდნეობის შემდგომი დაწინაურების საქმეში, რასაც რუსული მეცნიერების პრიორიტეტისათვის აკეთებდა (ვ. როზენი არც იმას მალავდა, რომ მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა — დედა ჰყავდა ქართველი). ეს ნათლად გამოჩნდა „ბალავა-რიანის“ ბერძნული ვარიანტის შესწავლასთან დაკავშირებით. არსებითად ეს იყო ევროპული რომანის სათავეების საკითხი.

ბერძნული „ვარლამისა და იოხსაფის შესახებ მოთხრობის“ მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა ფრანგი მეცნიერის ზოტენბერგის 1886 წელს გამოსული გამოკვლევით იწყება. მართალია, მას დამაჯერებლად არ მიაჩნია ამ მოთხრობის ქართულიდან თარგმნის შესაძლებლობა, მაგრამ ამის მიუხედავად მისმა გამოკვლევამ მაინც აღძრა ინტერესი ძველი ქართული ლიტერატურისადმი. როგორც ლიტერატურული არეალის თვითმყოფადი ერთეულისადმი.

ამ პრობლემის შესწავლაში ჩაება რუსული ორიენტალისტიკა. საქმეს სათავეში ჩაუდგა აკად. ე. როზენი, მან დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა რეცენზია ზოტენბერგის ნაშრომზე. მთავარი აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ არ არის პარადოქსალური ჰიპოთეზა ამ მოთხრობის ქართულიდან ბერძნულად თარგმანის თაობაზე. ხოლო ქართველოლოგებს მოუწოდა, ძალები არ დაეშურათ,

¹ აკადემიკოსი ნ. მარი სიყვილიამდე ერთი წლით ადრე აღტაცებით იგონებდა თავის მასწავლებელს: „ვ. რ. როზენი არაბისტი-ისლამმცოდნეა, ბიზანტინისტი, მაგრამ იმე დროულად ისლამმცდელი არაბული პოეზიის მცოდნეა. სპარსოლოგია, ირანის ეპოსის დარგში სპეციალისტი, თურქოლოგი სხვადასხვა თურქული და მონღოლური ტომების ეპოსისადმი სპეციალური ინტერესით, იგი კავკასიისმცოდნეა, კავკასიის ისტორიისა და ლიტერატურისადმი მისი ინტერესების მიხედვით.“

...მან იცოდა მთელი წინა აზია, რომელიც სოციალურად გელისხმობდა არამართო თურქესტანს, უირიშს, კავკასიას. ვოლგისპირეთს, არამედ ევკვიპტესაც და მთელს ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამყაროს კუნძულებით და მავრიტანული ანდალუზიიდან იბერიის ნახევარკუნძულზე — პირენეის მთებამდე“.

რათა ეპოვათ ბალავარიანის ის ქართული ნუსხები, რომლებიც XII საუკუნეზე უფრო ადრეული იქნებოდა. დაიწყო რუსული სამეცნიერო ლიტერატურის „ვარაამის პერიოდი“. ე. როზენის ამ მოწოდებას ყველაზე ადრე ნიკო მარი გამოეხმაურა. ნ. მარმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში იპოვა „სიბრძნე ბალავარისა“-ს ერთი ხელნაწერი, მას 1889 წელს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. ნ. მარს განზრახული ჰქონდა, ამ თხზულების მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ძველი რედაქციებისათვის მიეძღვნა თავისი სამაგისტრო დისერტაცია. მაგრამ საქმე გართულდა, ვინაიდან პროფ. ა. ცაგარელმა საჭაროდ გამოაცხადა პრესაში, რომ იგი აპირებს „სიბრძნე ბალავარისას“ ტექსტის რუსულად გამოქვეყნებას. ეს, როგორც ჩანს, ა. ცაგარელმა ვერ მოახერხა.

სალკე წიგნად დაბეჭდილი ამ თხზულების ქართული ტექსტი 1895 წელს გამოქვეყნდა ექვთ. თაყაიშვილმა თბილისში. ე. როზენსა და ნ. მარს ღიდად საშურს საქმედ მიაჩნდათ ქართულიდან „სიბრძნე ბალავარისას“ თარგმნა. ამას ინტერესით მიელოდნენ ევროპაშიც (ის ხომ ბერძნულიდან რუსულად ითარგმნა ჭერ კიდევ 1680 წელს). დამახასიათებელია, რომ არაბული ტექსტის თარგმანი რუსულად თითონ აკად. ე. როზენმა შეასრულა, რომელიც, სამწუხაროდ, მისი გარდაცვალებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ — 1947 წელს გამოქვეყნდა აკად. ი. კრაჩკოვსკის რედაქციით. ე. როზენის ავთენტიკურ რუსულ თარგმანს არაბულიდან ამჟამად ფართოდ იყენებენ ევროპელი მკვლევარები.

ქართული ტექსტის რუსულად თარგმნა პრივატ-დოცენტ ნ. მარის თხოვნით, რომელიც შეთანხმებული იყო აკად. ე. როზენთან, სტუდენტმა ივანე ჭავჭავიძემ იკისრა. მან მალე კიდევ წარადგინა თარგმანის სრული ტექსტი. იგი, უკვე სტამბურად დაბეჭდილი, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1899 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ჟურნალის მეთერთმეტე ტომში.

რუსულის მდიდარ ენობრივ შესაძლებლობათა შესანიშნავი ცოდნა, ძველი ქართულის ღრმა აღქმასთან შეხამებული, „სიბრძნე ბალავარისას“-საუკეთესო თარგმანს გვაძლევს. მთარგმნელი ცდილობს ტექსტთან სიახლოვეს. მას მძიმე ცოდვად მიიჩნია ტექსტის აზრობრივი დალატი, ამიტომ, ბუნდოვანი პასაჟების სიტყვასიტყვით თარგმანს აზრობრივ თარგმანს ამჯობინებს. ამასთან, ყველგან ისწრაფვის ისტორიული და ესთეტიკური ფენომენის შენარჩუნებას. მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელია მოარული შედარება: „თარგმანი ქალსა ჰგავს: თუ ის ლამაზია — ერთგული არაა, თუ ერთგულია, — ლამაზი არაა“.

ზოგიერთი ცვლილება „სიბრძნე ბალავარისას“ ნათარგმნ ტექსტში გამოწვეულია იმით, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება სიტყვასიტყვით გადმოცემა ქართული გამოთქმისა. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილებში შეტანილია ის სიტყვები, რომელიც არ არის ქართულ ტექსტში, მაგრამ აუცილებელია რუსულად აზრის სრულად გადმოცემისათვის. ამასთან, სქოლიოში მითითებულია სხვადასხვა ხელნაწერის თავისებურებანი.

ერთი სიტყვით, ნაშრომი ნამდვილ მეცნიერულ თარგმანს წარმოადგენს. რომელსაც, ამასთან ერთად მხატვრული თარგმანის ყველა ღირსება გააჩნია. ყველაზე ღირებული მაინც ისაა, რომ ეს თარგმანი გაკეთდა უაღრესად სწრაფად, იმ დროს, როცა ის განსაკუთრებით იყო საჭირო. ამ რუსულ თარგმანს არა მარტო რუს, არამედ ევროპელ მკვლევარებშიც უნდა წარმოეჩინა ახალი ჰომხრებები იმ აზრისა, რომ „ბალავარიანის“ ბერძნული ტექსტი ნამდვილად ქართულიდან იყო თარგმნილი.

რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ეურნალის იმ ნომერში, სადაც „სიბრძნე ბალავარისა“ რუსულად დაიბეჭდა. გამოქვეყნდა აგრეთვე ნიკო მარის შესანიშნავი გამოკვლევა ამ მოთხრობის თაობაზე, რომელიც მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაზეა თარგმნილი და რომელიც ევროპაში XI საუკუნის შემდგომ გავრცელდა.

ნიკო მარი აღტაცებულია „ბალავარიანის“ სრული რუსული ტექსტის გამოსვლით, განიხილავს მას როგორც დიდი ბრძანებას, რომელსაც ასე ელოდნენ რუსეთსა და საზღვარგარეთ. მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის თარგმანის შემოქმედებითი ხასიათის დამადასტურებელი მაგალითები. ნიკო მარი მხოლოდ მისთვის ჩვეული მასშტაბურობითა და უსაზღვრო გატაცებით ასაბუთებს ბალავარიანის ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესაძლებლობას. ამასთან, აღნიშნავს ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მაღალ დონეს, რაც ქმნიდა პირობებს სულიერი აღებ-მიცემობისათვის, რომლის დროსაც არა მარტო მაღალგანვითარებული ბერძნული მწერლობის ნიმუშთა გადმოთარგმნა ხდებოდა ქართულად, არამედ თარგმნიდნენ ქართულიდან ბერძნულადაც. მას მოჰყავს ჟამთააღმწერლის ცნობები ეფთვიმე მთაწმიდელის შესახებ, რომ „იყო იგი რა ფრიად მეცნიერ ენისა ელინურისა, ქართულისა და სხვათა ენათა და მსთარგმნა მან მრავალნი წიგნნი ქართულსა ენასა ზედა ბერძნულით და ქართულით ბერძნულსა ზედა“. ეს ზოგადი დახასიათება ეფთვიმე მთაწმიდელისა როდია საკმარისი, რომ იგი „ბალავარიანის“ მთარგმნელად გამოვაცხადოთ. ამაზე პირდაპირი მითითებაა წყაროებში. გიორგი მთაწმიდელი ეფთვიმეს შესახებ ამბობს, რომ მან „ბალავარი და აბუკურა და სხვანიცა რაოდენიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“.

ქართული წყაროს ეს აღნიშვნა უძვირფასეს ფაქტად მიაჩნდა ნიკო მარს. ამის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაურკვეველი რჩებოდა ქართულიდან „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის პრობლემიდან, რომლის გადაწყვეტას კიდევ ახალი მტკიცებულებანი სჭირდებოდა. ამასთან, იმ დროს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი „ბალავარიანის“ ვრცელი ტექსტი. ნიკო მარი ამიტომ შორსმჭვრეტელურად წერდა: „ქართველთმცოდნეები არ უნდა დამშვიდდნენ მიღწეულით: ქართული ნუსხის მნიშვნელობა მცირდება ზოგიერთი გარემოებით, უმთავრესად იმით, რომ აქამდე ვერ მოხერხდა დაიძებნოს XVIII საუკუნეზე ადრინდელი ნუსხები. დიდად სასურველი იქნებოდა, თუ უკვე შეუძლებელია დაძებნა ძველი ნუსხისა, მაინც ნაპოვნი იქნას ქართული ხელნაწერებში ახალი მითითებანი ამ ძეგლის არსებობის შესახებ ქართული ლიტერატურის უფრო ძველ პერიოდში“.

ამ კეშმარტივად პატრიოტულ-მეცნიერული ამოცანის შესრულებაში ენერგიულად მონაწილეობდა თვითონ ნ. მარიც, შემდგომ კი მისი მოწაფეები. მათგან აღსანიშნავია კ. კეკელიძისა და რ. ბლეიკის დიდი წვლილი. განსაკუთრებით უნდა ითქვას ამერიკელი ქართველოლოგის რ. ბლეიკის შესახებ, რომელმაც 1925—1926 წლებში აღწერა იერუსალიმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული „ბალავარიანის“ ვრცელი ტექსტი.

1956 წლიდან მიკროფილმების გზით მიღებული „ბალავარიანის“ სრული ხელნაწერი ქვეყნდება ჯერ 1957 წელს ი. აბულაძის გამოკვლევითა და დიდი ლექსიკონით, ა. შანიძის რედაქციით. 1962 წელს კი მ. აბულაძის თარგმანით გამოდის რუსული ტექსტი „ბალავარიანისა“.

„ბალავარიანის“ სრული ტექსტის პოვნამ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებში შეხედულებათა მრავალფეროვნება გამოიწვია. მსოფლიო ლიტერატურ-

რის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი დღესაც სპეციალისტთა ფართო კვლევის საგანია.

„ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციის, როგორც პირველადი ლიტერატურული ძეგლის, აღმოჩენა (მისი დაწერის ზედა საზღვრად ზოგიერთ მკვლევართა აზრით X საუკუნის ბოლო უნდა იყოს) სრულიადაც არ ამცირებს მისი მოკლე რედაქციის მნიშვნელობას. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ის გადაწყვეტილება, რაც რუსულ ენაზე „ბალავარიანის“ ვრცელი ტექსტის 1962 წლის გამოცემის დროს გაკეთდა. ამ რუსულ თარგმანს დაერთო აგრეთვე მოკლე „ბალავარიანის“ ივანე ჭავჭავიძეილისეული თარგმანი. ეს იმას ნიშნავდა, რომ 65 წლის ვასელის შემდეგაც „სიბრძნე ბალავარისას“ რუსული თარგმანი, შესრულებული მეორე კურსის სტუდენტის ივანე ჭავჭავიძეილის მიერ, ინარჩუნებდა თავის მეცნიერულ და მხატვრულ ღირებულებას.

„ბალავარიანის“ პირველი რუსული თარგმანის ისტორიიდან ჩანს, რომ ივანე ჭავჭავიძეილმა ჭერ კიდევ სტუდენტობისას, პეტერბურგის უნივერსიტეტის II კურსზე, გამოაქვინა მეცნიერული კვლევა-ძიების მაღალი ნიჭი და უნარი. მიუხედავად ამისა, იგი არ ფიქრობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენას, მას სამშობლოში დაბრუნება და თავისი ერის სამსახური ჰქონდა გადაწყვეტილი. სწორედ II კურსზე ყოფნის დროს სთავაზობს მას პრივატ-დოცენტი ნ. მარი მიილოს წინადადება უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქ დარჩენისა და საპროფესოროდ მომზადების შესახებ. გასაგებია, რომ ამგვარი უფლება არ ჰქონდა პრივატ-დოცენტს, მისი უკვე ფართოდ გახმაურებული მეცნიერული ავტორიტეტის მიუხედავად. ნიკო მარს ეს საკითხი რუსეთის ორიენტალისტიკის ლიდერთან, ფაკულტეტის დეკანთან აკადემიკოს ვიქტორ როზენთან ჰქონდა წინასწარ შეთანხმებული. ეს კი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ საეცებით რეალურს ხდიდა იქ ივანე ჭავჭავიძეილის საპროფესოროდ მოსამზადებლად დარჩენას. ნიკო მარი შემდგომ იმეორებდა: ივანე ჭავჭავიძეილზე ნიჭიერი მოწაფე მე არ მყოლიაო.

ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია, რომ II კურსიდან სტუდენტმა უკვე იცის მისი მომავალი მეცნიერული ასპარეზის შესახებ. ივანე ჭავჭავიძეილი შემდგომ მთელი თავისი სიცოცხლე მადლიერია ნიკო მარისა ამ წინადადებისათვის. დღიად გაიზარა ალექსანდრე ჭავჭავიძეილის ოჯახმა ნიკო მარის წინადადებით, თუმცა მათ არ უნდათ ამის შესახებ ყველას უთხრან, ვიდრე ის არ განხორციელდება. 1898 წლის 24 ნოემბერს დედა სწერდა ივანე ჭავჭავიძეილს: „რაც შეეხება შენს უნივერსიტეტთან დარჩენას, იმათ მე ყოველთვის ვაძლევდი პასუხს, რომ მაგ საქმეზე ჭერ ადრე არის ლაპარაკი, მანამ სწავლას გაათავებს მეთქი... შენი თარგმანი სიბრძნე ბალავარისა ჩატო არ გამომიგზავნე“?

ნიკო მარისა და ვიქტორ როზენის წინადადების მიღების შემდეგ მისაბამი ინტენსიურობით გაიშალა ივანე ჭავჭავიძეილის მეცნიერული მუშაობის სტუდენტური წლები. მთელი ქართველი ხალხის მადლობის ღირსია ნიკო მარი ერის დიდი შვილის მეცნიერული გაწვრთნისა და დამოძღვრისათვის. ჩვენ გვწამს, რომ ნიჭი მართლაც გაიკაფავს გზას, მაგრამ სასურველია, ყოველთვის ეს გზა მაქსიმალურად მოკლე იყოს. ამაშია ნიჭის დროულად წარმოჩენის დადებითი შედეგები. შემოქმედებით ფალსტატს ბევრი ნიჭი დაუკარგავს მეცნიერებისათვის. არა ერთხელ მომხდარა: გაივლი რა უზარმაზარ გზას, მოულოდნელად გადაქანცული აღმოაჩენ, რომ მიდიოდი არა იმ გზით, რომლითაც უნდა წასულიყავი. მართლაც ბედნიერია ის, ვინც თავისი გზა ჰბატუობის დროსვე იპოვა.

ბიბლიოგრაფია წერილობითი ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი და ტრადიციული სახეა.

შემორჩენილია ქართული წიგნსაცავებისა და ხელთნაწერების X—XII საუკუნეთა კატალოგები და ხელთნაწერთა ბიბლიოგრაფიული სიები. რასაკვირველია, ძველ წიგნთა და ხელნაწერთა ნუსხები, სიები, რეესტრები ძირითადად დაღუპულია. ჩვენი ისტორიის ავებდობამ საუკუნეებით შეწყვიტა ბიბლიოგრაფიის ბუნებრივი განვითარება.

ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ქართული წიგნისა და ბეჭდვითი საქმის განვითარების კვალდაკვალ ვერ განვითარდა მეცნიერული ბიბლიოგრაფია. ეს კი ყველაზე ინტენსიურ XIX საუკუნეშიც გაგრძელდა. ამ საუკუნის ბოლომდე საქმე არსებითად ავტორთა ნაშრომების კერძო კატალოგების შედგენით მთავრდებოდა. XIX საუკუნის ბოლოდან იწყება წიგნის გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთა მიერ შედგენილ ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიების გამოცემა, რამაც ამ უაღრესად საჭირო დაკავშირებულ ვერ შექმნა აუცილებელი ტრადიცია. ამგვარი კულტურული ტრადიციის უქონლობა კი ბევრ რაიმეს უშლიდა ხელს — ადამიანები ვერ პოულობდნენ მათთვის აუცილებელ ინფორმაციას. კიდევ უფრო ცუდი ის იყო, რომ მათ უკვე გაკეთებულის თავიდან გაკეთება უხდებოდათ. ამით ინტელექტუალური ენერგია ნიავედებოდა, აშკარად იფლანგებოდა. თითქმის მთელი XIX საუკუნე, როგორც გვიან აღნიშნავდა ივანე ჭავჭავაძე, ერთი და იგივე თხზულება სამ-ოთხჯერ მიანიც იბეჭდებოდა, ისე, რომ ბევრმა არც კი იცოდა, რომ იგი ოდესღაც უკვე იყო გამოქვეყნებული და ხვალ აკეთებდნენ იმას, რაც „გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო“. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყო ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური აღწერილობა. და ეს მაშინ, როცა ისინი ფართოდ ინახავდნენ ხალხური შემოქმედებებს, ეთნოგრაფიისა და, საზოგადოდ, კულტურული ცხოვრების ძვირფას მასალას. ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა სტუდენტ ივანე ჭავჭავაძის გადაუღებელ ამოცანად ესახებოდა¹. ამ საშვილიშვილო საქმეში შემდგომ წლებში მან პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა დიდი გუნდი ჩართო და მათ ივანე ჭავჭავაძე პირად მაგალითს უჩვენებდა. 1897 წელს მან, უკვე III კურსის სტუდენტმა, რომელიც არ წყვეტდა შემოქმედებით კავშირს მშობლიურ საქართველოსთან, შეადგინა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიების ბიბლიოგრაფია. ეს ბიბლიოგრაფია მთელ ათწლეულს (1886—1896) მოიცავდა. ამ მუშაობას ივანე ჭავჭავაძე განიხილავდა როგორც ნაწილს მშობელი ხალხის წინაშე ზნეობრივი მოვალეობის მოხდისა. 1898 წელს ოდესიდან გიორგი ჭავჭავაძე იქმან სწერდა პეტერბურგში: „რა ამბავია, რომ ამოდენა ხანი არაფერი არა ისმის რა, შენ რომ აპირებდი გამოცემას კატალოგის „ივერიაში“ მოქცეული წერილებისა.

¹ 1904 და 1906 წლების ჟურნალ „ვიზანტიისკი ვერმენიკში“ (ტ. XI და XII) გვითხვება ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა 69 სახელწოდების სხვადასხვა ლიტერატურისა საქართველოს შესახებ, რომელიც საქართველოში, რუსეთსა და ევროპაშია გამოსული. ანოტირებული მიმოხილვა დიდად სიღრმეა მეცნიერული ბიბლიოგრაფიის ფარგლებს. ესაა შესანიშნავი მეცნიერული ესეები, რომლებშიც არა მარტო გადმოცემულია განსახილველ ნაშრომთა შინაარსი და შეფასებულია მათი მნიშვნელობა, არამედ ქართველოლოგიის უაღრესად სპეციფიკური საკითხებიცაა გაანალიზებული.

ძალიან საჭირო და სასარგებლოცაა და ამდენ ხანს რომ არაფერი არ გაკეთებულა რა თქვენი წრის მხრივ ან რედაქციის მხრივ, ძალიან სამწუხაროა“. მართალია, მან იმ წლებში ვერ შეძლო ამ ბიბლიოგრაფიის გამოქვეყნება, მაგრამ, როცა 1916 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ საკუთრებად შეიძინა და გამოაქვეყნა ქართულ ენაზე არსებული ბიბლიოგრაფია — „ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910) მოთავსებული „სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი“, იქ უკვე, მისი სტუდენტების დიდ ჭკუფთან ერთად, შევიდა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1897 წელს შედგენილი ბიბლიოგრაფია წინა ათწლეულში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიებისა.

ამგვარად, სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მეცნიერული ფუძემდებელი გახდა.



მესამე კურსელი სტუდენტი გადაწყვეტს ზაფხულის არდადეგები გერმანიაში გაატაროს.

ხელმოკლე ქართველი თავადის ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახისათვის ზშირად ძნელი იყო საკმაო ფულადი სახსრების პოვნა. იგი სტუდენტ ვაჟიშვილებს ზოგჯერ ნასესხებ ფულს უგზავნიდა.

როცა ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახის წევრებმა უფროსი ვაჟიშვილის სურვილი გაიგეს, აქტიურად დაუჭირეს მას მხარი. და-ძმების ამ სწრაფვას დედა წარმართადა. 1898 წლის 10 თებერვალს დედა პეტერბურგში სწერდა უფროს ვაჟიშვილს:

„ჩემო საყვარელო შვილო ვანო!

იწერები, რომ ამ ზაფხულს ვერ მოვალო, თუ საზღვარგარეთ ვერ წავედი, აქ დავრჩებიო.

რასაკვირველია, შენი იქ წასვლის დაბრკოლება უფულობა იქნება... ისე ვიზრუნოთ; მანდ დარჩენას იქ წასვლა სჯობიან. რასაკვირველია, ენასაც უფრო კარგად შეისწავლი. და იქ უფრო ეგრილება. მგონი ზოგს გიორგი შეაგროვებს და ზოგს აქედან გამოგიგზავნი. რასაც იწერები, მარმა მითხრაო (ლაპარაკია მისი უნივერსიტეტში დატოვების წინადადებაზე — ს. ჯ.) რასაკვირველია არავისთან ვიტყვით, იქნება არ მოხერხდეს, ეტყობა ცაგარელი ჯერ არ ეთმობა იქაურობა, ვინ იცის რა გაკირვებული არის და ამიტომ“.

1898 წლის 2 მარტს და ეკატერინე სწერდა: სასურველი იქნებოდა, მოხერხდებოდეს, შენი წასვლა კენიგსბერგში, ნაწილ ფულს მე გამოგიგზავნიო.

1898 წლის 23 მარტს ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჯავახიშვილი სწერდა თავის უფროს ძმას ივანეს: „რომ ზაფხულში გერმანიაში წასვლა გინდოდა, ეს დიდი ხანია ვიცოდი. ვიცოდი აგრეთვე ისიც, რომ ფული დაგჭირდებოდა ამ მოგზაურობისათვის. ეს მე დედამ საშობაოდ მითხრა. მეც დავპირდი: წასვლის წინ უნივერსიტეტიდან რამდენიმე თვის სტიპენდიას წინად გამოვიტან და გავუგზავნი მეთქი. ასე რომ იმედი გქონდეს, სულ ცოტა ოთხ თუმანს მაინც გამოგიგზავნი“.

1898 წლის 8 მაისს მამა უწონებდა უფროს ვაჟიშვილს არდადეგების თავისუფალი დროის გატარებას გერმანიაში, რაკი საჭიროება და გარემოება მოითხოვდა ამას, თუმცა მშობლებისათვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა შვილები მათთან ყოფილიყვნენ: „ჩვენც ვემორჩილებით შენს განზრახვას და ღმერთს ვთხოვ შენ მშვიდობით მგზავრობას და დაბრუნებას და კეთილად შესრულებას შენი წადილისას, ამას გთხოვ, რომ გაუფრთხილდე შენს თავს და მეტის

მეცადინეობით ვნება არ მოუტანო შენს ტანსა წერილი მოიწერე შენი ადრესით და ვეცდები, საცა იქნება, ფული გამოგიგზავნო“.

1898 წლის 13 მაისს განცხადების საფუძველზე პეტერბურგის გუბერნატორი აძლევს მას საზღვარგარეთულ პასპორტს, რომ სტუდენტს უფლება ეძლევა გერმანიაში გამგზავრებისა 1898 წლის 20 აგვისტომდე. იმ წლის საზაფხულო არდადეგები ივ. ჭავჭავიძელმა კენიგსბერგში გაატარა. ივანე ჭავჭავიძელს გიმნაზიაში გერმანული ენა არ უსწავლია. პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი გაძლიერებულად მუშაობდა გერმანულ ენაში. მან კენიგსბერგში ყოფნა, მოწინავე სტუდენტებში მიღებული ტრადიციისამებრ, სწორედ გერმანული ენის პრაქტიკული ცოდნის სრულყოფისათვის გამოიყენა.

მთელი ოჯახი მხარში ამოუდგა უფროს ვაჟიშვილს — ახალისებდა სულიერად და მატერიალურად. ყველა წერილში თხოვნაა: გაუფრთხილდი საკუთარ ჯანმრთელობასო.

1899 წელს გაგზავნილ კერძო წერილში და ეკატერინე, დედისა და მამის სიყვარულის გულისათვის, ძმას სთხოვდა თავს გაფრთხილებოდა, „არ გვინდა მომავალი პროფესიონობა, თუ ჯანმრთელობა არ დავარჩაო“.

დედა პეტერბურგიდან უფროსი ვაჟიშვილის წერილის დაგვიანებას მწვავე ტკივილით განიცდიდა — „თვალები დამაწყდა ლოდინში შენი წერილისათ“.

დედის ყოველი წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „დაგოცნი უნაგარიშოდ“. მშობლის წერილები საქართველოს ამბებს აცნობდნენ, ქართული ეურნალ-გაზეთების, განსაკუთრებით „ივერიის“ ყველაზე საინტერესო ნომრებს აწვდიდნენ. ამ წერილებიდან იმასაც ვიგებთ, რომ დედა სიყვარულით უგზავნიდა ტკბილეულს, ჩირს, მურაბას, კონსერვს, ჩურჩხელებს, კაკალს, ლობიოს, საახალწლო გოზინაყსა და ტკბილ კვერს. ასე იქცა წლების განმავლობაში ტრადიციად სატახტო ქალაქში გზავნილები შვილებისათვის.

დედ-მამისათვის დიდი სიხარული მოჰქონდა იმ დღეს, შორსმყოფი შვილების სახელზე ამანათს რომ გააგზავნიდნენ.

სინამდვილის რეაბილიტაცია

„ძველ ხანას და ძველ ადამიანებს მიეტყვებათ ლეგენდების შექმნა, მაგრამ თავის მხრივ ჩვენ გვევალება განვასხვაოთ ლეგენდები ისტორიულ ჰემშარიტებისაგან“.

ესაა დევიზი, რომელიც აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ივანე ჭავჭავიძელმა წარუმიძღვარა საკონკურსოდ წარდგენილ თავის ნაშრომს. 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდების 134 მუხლით სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის წახალისებისათვის ფაკულტეტების საერთო კრება ყოველწლიურად აცხადებდა კონკურსს. მისში გამარჯვებული თხზულებებისათვის სტუდენტს ეძლეოდა ოქროს ან ვერცხლის მედალი ანდა ქების სიგელი, ამასთან ოქროს მედალთან ერთად შეიძლებოდა მისცემოდა რეკომენდაციაც ნაშრომის დასაბუქდად. 1897 წლის დეკემბერში ნ. მარმა, როგორც სომხური სიტყვიერების კათედრის გამგემ, საჯაროდ გამოაცხადა საკონკურსო თემა ეს იყო „წმინდათა ცხოვრების სომხური კრებული გრიგოლ წერენცის უკანასკნელ ლიტურგიულ რედაქციაში“:

იმის მიუხედავად, რომ თემის გამოცხადებას ჩვეულებრივ მრავალი პირი ესწრებოდა, ხშირად კონკურსი მაინც ვერ ტარდებოდა.

აღნიშნული თემის დამუშავება მხოლოდ ორ სტუდენტს შეეძლო — ნ. აღონცსა და ივ. ჭავჭავიძეს. კონკურსის გადარჩენის მიზნით, ნ. მარმა განმარტა, რომ თემის სათაურის მიუხედავად, იგი არ ზღუდავდა მონაწილეებს სპეციალური ამოცანით. მხოლოდ ერთს ისურვებდა: ღირებულნი ნაშრომი დაეწერათ მათ.

კონკურსის დახურული იყო. შრომა ხელმოუწერელი უნდა ყოფილიყო. მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი იგზავნებოდა დახურული კონვერტით, რომელზეც მარტოოდენ დევიზი ეწერა. ასევე ცალკე დახურულ დევიზიან კონვერტში იყო ცნობები ავტორის ვინაობის შესახებ. თუ ნაშრომი კონკურსში ვერ გაიმარჯვებდა. მაშინ ცალკე კონვერტს გაუხსნელად დაწვავდნენ, რომ ამით ავტორის თამოყვარეობა არ შელახულიყო. თუკი პირიქით მოხდებოდა, კონვერტს გახსნიდნენ და ავტორს საჭაროდ გამოაცხადებდნენ. პრივატ-დოცენტი ნ. მარი დიდადა დაინტერესებული, რომ კონკურსი შედგეს. იგი ლექციებზე ხშირად შეახსენებდა ხოლმე ამის გამო ნ. აღონცსა და ივ. ჭავჭავიძეს. დასაწყისში ივანე ჭავჭავიძელი თავს იკავებდა კონკურსში მონაწილეობისაგან, ნ. მარის დაუქინებულ შეკითხვაზე ის პასუხობდა, რომ ჯერ მხოლოდ მასალებს ვკრებო. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს სტუდენტური შრომის ამგვარი სტიმულირების დადებითი როლი. ერთი წლით ადრე საჭაროდ გამოცხადებულ თემაზე კონკურსს ხშირად გადაუწყვეტია პირის მომავალი კვლევის მეცნიერული ინტერესები. სომხური სვინაქსარის გაცნობამ ვერ გაიტაცა ივ. ჭავჭავიძელი. მან გადაწყვიტა ნაშრომი მიეძღვნა წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის ცხოვრების შესწავლისათვის და ამ მიზნით, სხვა მასალებს შორის, გამოეყენებინა კერძოდ ის ცნობებიც, რაც ამის თაობაზე სომხურ სვინაქსარში მოიპოვებოდა¹.

ამგვარ საკონკურსო თემაზე მუშაობამ დიდად გაიტაცა ივ. ჭავჭავიძელი თითქმის ერთი წელი ინტენსიურად იკვლევდა პრობლემას. ნიშანდობლივია, რომ მან ეს მუშაობა გააგრძელა გერმანიაში ყოფნის დროსაც 1898 წლის ზაფხულში

როგორც ყოველთვის, სამშობლოდან შორს მყოფი ივანე ჭავჭავიძელი არ წყვეტს მუშაობას ქართულ ენასა და ქართულ წყაროებზე. კენიგსბერგში იგი აგრძელებს საკონკურსოდ არჩეულ თემაზე ფიქრს. საინტერესოა, რომ გერმანიაში ივ. ჭავჭავიძელს თან ჰქონდა წაღებული შატბერდისეული „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ადრე მას რამდენიმეჯერ ჰქონია ეს ძეგლი გადაკითხული. ახლაც სამშობლოდან შორს ტექსტის მრავალგზის გადაკითხვას და კრიტიკულ ჩაღრმავებას შედეგად მოჰყვა ის, რომ გაიხსნა აშკარა შეუსაბამობის ჩახლართული კვანძი: ნინოს ეუბნებიან, რომ ქრისტეს 12 მოციქული და მერე 72-ნი ყველა ქვეყანაში მიმოქცეულან, ხოლო საქართველოში არავინ ყოფილა და პირველად ნინომ შემოიტანა ქრისტიანობა. გამოდის, რომ ნინოს ცხოვრების შემდგენელმა არაფერი იცოდა ანდრიას მიმოსვლის ლეგენდის შესახებ. მასასაღამე, ეს ლეგენდა წმინდა ნინოს ცხოვრების დაწერის შემდეგ უნდა შეეთხზათ.

¹ 1935 წელს „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის“ პირველი წიგნის წინასიტყვაობაში ივანე ჭავჭავიძელი წერდა: „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1898 წელს საკონკურსო თხზულებაზე მუშაობამ საქართველოში წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის მქადაგებლობითი მოღვაწეობის კრიტიკული განხილვის დროს, სომეხთა ისტორიკოსის ავათანგელოსის ნაშრომის შესწავლის აუცილებლობა დამარწმუნა. იქიდან იწყება ამ ძეგლისადმი ჩემი ინტერესი. სტუდენტობის დროსვე მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა ლაზარე ფარაბელის და ფაუსტოს ბიზანტიელის თხზულებებმა თავიანთი უხვი, სომეხეთის სოციალური ისტორიის აღსადგენად გამოსაღები ცნობებით. ამ დროითგან მოყოლებული ამ ისტორიკოსთა შესწავლა არ შემეწყვეტია“.

ეჭვებს ახალი ეჭვები მოჰყვა, მეცნიერული ჩხრეკა-ძიება სინამდვილის რეაბილიტაციას მოითხოვს. შედეგად ვიღებთ ნაშრომს „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“. ნაშრომი არათუ ოქროს მედალს იმსახურებს და დაბეჭდვის რეკომენდაციას იღებს, ამასთან ერთად, მისი უაღრესად მაღალი აკადემიური დონე თავიდანვე პოულობს აღიარებას. ნ. აღონციის ნაშრომიც ოქროს მედალს იღებს, მაგრამ დაბეჭდვის რეკომენდაციის გარეშე.

1899 წელს გამოქვეყნებული „ანგარიში ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის მდგომარეობისა და მოღვაწეობის შესახებ“ ქების სიტყვებს არ იშურებს ივ. ჭავჭავაძის სტუდენტური ნაშრომის დახასიათებისათვის. მასში აღნიშნულია, რომ ნაშრომი წარმოადგენს დეტალურ გამოკვლევას არჩეული თემის დარგში, რომ იგი ორი საესეებით დასრულებული ეტიუდისაგან შედგება, მასში ქართული წყაროები შეჭერებულია უცხოურთან, ბერძნულთან და სომხურთან; შესწავლილია სხვადასხვა რედაქციები წმიდანთა ცხოვრების აღწერისა და ა. შ. ეს დახასიათება, როგორც ჩანს, პრივატ-დოცენტ ნ. მარის ხელით დაწერილი, გადმოსცემს სტუდენტ ივ. ჭავჭავაძის მომავალი მუშაობის მიმართულებასაც და შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„განხილული ეტიუდები, რომლებიც ნაწილია ავტორის მიერ გამიზნული ნაშრომთა სერისა აღმოსავლეთის აგიოგრაფიაში, იძლევა ახალ მეცნიერულად დასაბუთებულ გაშუქებას საკვლევი საკითხებისას. თხზულებას ერთვის საძიებელი ამ თემის შესახებ წმიდანთა ცხოვრების კრებულისა საიმპერატორო საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების მიხედვით. ფიზიკური თვალსაზრისი, მახვილგონიერი და ნათელი გადმოცემა, სხარტი ენა, ფილოლოგიური ხერხების ცოდნა, წყაროებსა და ლიტერატურაში ჩახედულობა და მათი მარჯველ გამოყენება, ამ თხზულების ავტორში ამჟღავნებს მკვლევარს, რომელიც თავისი სავსებით მომზადებულია მეცნიერული მუშაობისათვის“. იშვიათად თუ გამოთქვამდნენ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ამგვარ აღტაცებას სტუდენტური ნაშრომით.

საქართველოშიც ბევრი მსგავსი აღტაცებით შეხვდა ამ ნაშრომს¹, სადაც III კურსის სტუდენტი, ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს: გარდა, მარჯველ იყენებდა ბერძნულ, სომხურ, ლათინურ, სირიულ წყაროებს, წერდა შესანიშნავი რუსულით და ფართოდ სარგებლობდა გერმანული და ფრანგული ლიტერატურით. აღტაცებასთან ერთად საქართველოში სასულიერო წოდების რეაქციული წარმომადგენლები და კვაზი-პატრიოტები დაუფარავი ღვაძლით შეხვდნენ ამ თუმცა ნიჭიერ, მაგრამ მათთვის სრულიად მიუღებელ გამოკვლევას. პირდაპირ უნდა ითქვას: მათ სრული საფუძველი ჰქონდათ ასე მტრულად მიეღოთ აშკარა მკრეხელური ნაშრომი. ამიტომაც აუცილებელია უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ნაშრომის შინაარსს.

ნაშრომის პირველი ეტიუდი წმინდა ნინოს ეძღვნება.

ავტორი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი საისტორიო მასალა და საბუთი დაიბეჭდა, შესამჩნევად იმატა მკვლევართა რიცხვმაც, მაგრამ მაინც წინანდებურად ხელშეუხებელი, შეუსწავლელი ძეგს ჩვენნი მატინის უძველესი ნაწილი. თავის გასამართლებლად მარტოოდენ მასალების სიმცირესა, თუ უქონლობაზე მითითება არ კმარა. ამ მასალათა სიმ-

¹ ეს ნაშრომი ქართულად ქვეყნდება 1900 წელს გურნ. „მოამბეში“—№ V და VI, ხოლო რუსულად—1901 წელს სახალხო განათლების სამინისტროს გურნალის № 1-ში.

ცირეს არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ ჯერ სათანადოდ ხელთარსებულ მასალებსაც ვერ მოვერით, მათი ღირსება, ექვემდებარება და ხასიათი ვერ გამოვიკვლიეთ, უტყუარი და ყალბი ერთმანეთისაგან ვერ გავმიჯნეთ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „შატბერდისეულ“ ნინოს ცხოვრებას“ მეცნიერული გარჩევა ჯერ არ ღირსებია. მეტიც, მკვლევრები მათ მეტიმეტი ნდობით, უსიტყვო რწმენით, თითქმის მოწინებით ეპყრობოდნენ. ამას იმით ხსნიდნენ, რომ „შატბერდისეულ“ „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ თვით ნინოს ნამბობად და მის თანამშრომელთა და თანამედროვეთა ნაწერად თვლიდნენ, მით უფრო, რომ ამაში თვითონ „ცხოვრების“ დამწერი გვარწმუნებდა. ყველაფერ ეს ახლავდა ივანე ჭავჭავიძის სრულიად არასაკმარისად მიაჩნია სინამდვილის დასადგენად. ივ. ჭავჭავიძე ტექსტს ე. წ. გარეგანი კრიტიკით იწყებს. აღმოაჩენს, რომ წმინდა ნინოს „შატბერდისეულ“ ცხოვრებაში ზოგან თავების სათვალავი გამოტოვებულია, ზოგან კი არეული. მეტიც, არეულია ზოგიერთი სათაურიც, მოთხრობის თანამიმდევრობა. საქმე გარეგანი კრიტიკით სრულიად არ მთავრდება. თუმცა ისიც საკმარისია თვალშისაცემ წინააღმდეგობათა დასადასტურებლად, ჩანს, რომ ტექსტი არ წარმოადგენს ნინოს ნამბობს და მის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილს. ეს დასტურდება უპირველესად ნინოს ჩამომავლობის, დაბადების, აღზრდის წლების მიმოხილვით. ნინოს დაბადების ერთი თარიღი ეწინააღმდეგება მეორეს. ეს ახლავდა მკვლევრისაგან ბიზანტიის ისტორიის ღრმა ცოდნას მოითხოვს. ურწმუნო მკითხველიც იძულებულია დაეთანხმოს ავტორისეულ დასკვნას. მსგავსი რამ ხდება იმ შესუბამობათა გამოსაკვევად, რაც წმინდა ნინოს შობლების მიმართაა ძეგლებში. ივანე ჭავჭავიძე აღნიშნავს, რომ ისტორიაში არ არსებობს რაიმე მონაცემები, რომლებიც დაადასტურებდა ნინოს მამის როგორც გამოჩენილი მთავარსარდლის, ხოლო ბიძის როგორც პატრიარქის არსებობას. მით უფრო, რომ ამგვარი პირების სახელსა და ღვაწლს იშვიათად იგიწყებენ ჟამთააღმწერლები. არგუმენტები აქაც დამაჭერებელია და მიზანში ხედება. რად ღირს მარტო იმის აღნიშვნა, რომ მეოთხე საუკუნეში იერუსალიმში პატრიარქობა ჯერ დაწესებული არ ყოფილა ყველაფრიდან ჩანს, დასკვნის ახლავდა ავტორი, რომ „წმინდა ნინოს ბიძის სახელწოდებაც, თანამდებობაც, თავდადასავალიც მოგონილი და შეთხზული უნდა იყოს“. ეს ამითაც მტკიცდება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც „შატბერდისეულ“ კრებულში ნინოს ცხოვრებას მოსდევს, არას ამბობს ნინოს შთამომავლობასა და აღზრდის შესახებ, არც იცის ნინოს შობლების სახელები.

ასევე დაუჭერებლად მიაჩნია ავტორს წმინდა ნინოს ცხოვრების დაკავშირება რიფსიმესა და გაიანეს ცხოვრებასთან და თვლის, რომ თავდაპირველად ნინოსა და რიფსიმეს ცხოვრებათა შორის არავითარი კავშირი არ უნდა ყოფილიყო ყველაზე მწვავე საკითხად იღვა წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგება საქართველოში. აქ ავტორის აზრი წყაროების მიმართ უკიდურესად უარყოფითია და იგი დასკვნის კიდევ, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების შესწავლა იერთი კიდევ ფრიად საყურადღებო დასკვნა შეგვიძინა იმის შესახებ, რომ ჩვენ შიაც ყოფილა ის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელსაც ყალბსათურაინი, ანუ ფსევდოეპიგრაფიკული მწერლობა ეწოდება და რომელიც ყველგან გავრცელებული იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში.

შატბერდისეული წა ნინოს ცხოვრება ეკუთვნის სწორედ ფსევდოეპიგრაფიკულ მწერლობას.

ივ. ჭავჭავიძელმა ჯერ წმინდა ნინოს ცხოვრების განხილვით დაიწყო და შემდეგ

შეეხო ანდრია მოციქულის ცხოვრების საკითხებს. ქართულ საეკლესიო და საერო ისტორიაში კი შებრუნებითაა: ჯერ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოსვლა მოთხრობილი, შემდეგ კი ნინოს მოღვაწეობა. ამ საკითხის ჩხრეკა-გამოძიებამ ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულ დასკვნამდე მიიყვანა: „ახლა შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ ქართველობას მეცხრე საუკუნემდის ანდრიას იბერიაში მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ არა სცოდნია რა“. მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში თქმულება ანდრიას მიერ ქრისტიანობის ქადაგებისა ბიზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა და სამშობლოში გაავრცელეს. ახლა კითხვა ისმის რისთვის დასჭირდათ ეს უცხოეთში. ქართულ ტაძრებში მოღვაწე ქართველ ბერებს? საქმე ისაა, რომ ეკლესიის თვითმმართველობისათვის აუცილებელი იყო, რათა ერთ-ერთ თორმეტ მოციქულთაგანს გავრცელებინა ქრისტიანობა ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ გზით უნდა დამტკიცებულყო ქართული ეკლესიის თვითმმართველობის უფლება. და ამ მიზნით ცნობა ანდრიას იბერიაში ქადაგების შესახებ უცნობად გაერცხა საქართველოში. რუის-ურბნისის კრების დროს მეთორმეტე საუკუნეში ანდრიას საქართველოში მოსვლა უკვე უდავო ფაქტად განიხილება. ეს მაშინ, როცა ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით „ის გარემოება, რომ არც თვით საქართველოში იცოდნენ VIII—IX საუკუნემდე ანდრიას იბერიაში მიმოსვლის შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანდრია პირველწოდებული არც როდის არ ყოფილა კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში, რომ ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებაა“.

ვარღვევთ რა და უარყოფთ ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებას — დასძენდა იე. ჯავახიშვილი — ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არა გესურს, რომ ქრისტიანობა საზოგადოდ საქართველოში პირველ საუკუნეებში არ ვრცელდებოდა, რომ ახალი სარწმუნოება პირველ ხანებში არ იკიდებდა ფეხს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი არსებობის დასამტკიცებლად სხვა უფრო სანდო და კეშმარტივი საბუთების მოყვანაა საჭირო და არა ანდრია მოციქულის მიმოსვლის მოხსენიება როგორც დადგენილი ფაქტისა, როგორც ამას ჩვენი ისტორიკოსები აკეთებენო. მესამე კურსელი სტუდენტი პუბლიცისტური რიტორიკით კი არ უარყოფდა საუკუნეობით აღიარებულ მოვლენებს, იგი, ღრმა ისტორიულ-ფილოლოგიური ხერხებით აღჭურვილი, დაუნდობელი სიციხადით აბათილებდა ქართული ისტორიოგრაფიის ცნობილი ავტორიტეტების შეხედულებებს. ესენია: პირველ რიგში, საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ბაქრაძე, აკადემიკოსი მ. ბროსე და მათი მიმდევარი მკვლევარნი, რომელნიც მისაბაძი ერთსულოვნებით აღიარებდნენ დადგენილ ფაქტად იმას, რასაც მრავალსაუკუნოვანი ხანდაზმულობა ჰქონდა¹, თუმცა ეს სრულიადაც არ კმარა მოგონილი თქმულების ისტორიულ სიმართლედ გასაღებისათვის.

განსაკუთრებული გაბოროტებით შეხედა რეაქციული სამღვდელოება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის გამოსვლას. მას მარტო ის კი არ აღიზიანებდა, რომ ნაშრომში ასე ხშირად იყო აღნიშნული: ეს ცნობა დასაჩერებელი არ

¹ მოსე ჯანაშვილი (ქართული მწერლობა. წიგნი მეორე, 1909 წ. გვ. 108) არ მალავდა თავის უკმაყოფილებას და გესლნარევედ გაკენწელით წერდა: „სწორე გიოხრათ, მამა-პაპათა „ზღაპრობასი“, ჩვენ, ხშირად, უფრო ეუჭერებთ ვიდრე ზოგიერთ სწავლულების მეცნიერებას. ბ. ჯავახიშვილის „ანდრია პირველწოდებული“ კი ხომ, როგორც დავინახეთ, ვერავის გზას ვერ გაუქვლევს და ვერც შეცდომას ააძლენს, ვინაიდან თვით იგი უფრო სხარტულას ჰგავს, ვიდრე მეცნიერულს გამოქვლევას. სხარტულით არ შეიძლება მამა-პაპათა მრავალსაუკუნოვან რწმენა-გადმოცემის სხეერტა, სხეპა, გაქარწყლება“.

არის, ცნობა ერთი რომელიმე წყაროდან უშნოდ გადაკეთებულია, ამ ცხოვრების შესავალიც (ანუ წინასიტყვაობა) თავიდან ბოლომდეა შეთხზული და ყალბია, ეს ცრუ და არეული ცნობები არ შეიძლება ნინოს ან მის თანამედროვესაგან მომდინარეობდეს. შეთხზულია ნინოს წინაპართა სახელები და მოგონილია ცნობები მათი ვინაობის შესახებ, ცნობები უცნაური და გაუგებარია, დარღვეულია მოთხრობის ლოგიკური მიმდინარეობა და ა. შ. და ა. შ. რეაქციული სამღვდლეობა კიდევ აიტანდა ამ მკრეხელურ გამოთქმებს, მაგრამ მათთვის პირდაპირ აღმაშფოთებელი ის იყო, რომ მეცნიერ-დებიუტანტი საერთოდ უარყოფდა ათასი წლის ხანდაზმულობის მქონე საეკლესიო კეშმარიტებად ქცეულ მოვლენებს. მტკივნეული აფორიაქებით ხვდებიან ამას ივ. ჭავჭავიძეილის ახლომობეც. თვითონ ალექსანდრე ჭავჭავიძეილს არწმუნებენ, რომ ნიკო მარის ზეგავლენით ივ. ჭავჭავიძეილი ანტიპატრიოტულ პოზიციებზე დგას. 1898 წლის 22 ოქტომბერს აფორიაქებული მამა სწერდა: „ვილო, როგორც მამა გირჩევ წინი საკუთარი და კეშმარიტი კრიტიკულის თვალთ შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“. 1898 წელს დედა სწერდა: „ამ გაზეთებმა ლამის გამაგიჟოს, რას არ წერენო“. თვითონ ივანე ჭავჭავიძეილი გრძნობდა იმ უხერხულობას, რაც მის მტკიცებას ახლდა მორწმუნეთათვის. ამიტომ ქართულად და რუსულად დაბეჭდილი ნაშრომის ბოლო გვერდებზე ივ. ჭავჭავიძეილი საჭიროდ თელის დათქმაც გააკეთოს ამის გამო იგი წერს: „ამ პატარა გამოკვლევაში ჩვენ გავარჩიეთ საქართველოს ის საეკლესიო თქმულებები, რომელნიც ათ საუკუნის განმავლობაში ხალხს შესისხლხორცებული ჰქონდა და შეურყეველ, ეკვემუტანელ კეშმარიტებად მიაჩნდა...“

საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიკოსი მშობელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ლამაზი პატრიოტული გადმოცემის გაბათილებით იწყებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ეს ერთადერთი როდი ხდება მის მომავალ დიდ შემოქმედებაში.

ივანე ჭავჭავიძეილს კარგად აქვს შეგნებული, რომ ხალხის მიერ რწმენად მიღებულ ამგვარ თქმულებებს ისტორიულად დადებითი როლის შესრულება შეეძლო და ასრულებდა კიდევ. იგი მის მიერვე დაუნდობლად გაკრიტიკებულ ღრმომკმულ თქმულებებზე წერს: „ერთ დროს მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ: არაერთხელ და ორჯერ სამშობლო ეკლესიის თვითმმართველობის უფლების დაცვისა და მაჰმადიანთა საზარელი ბატონობის დროს ამ თქმულებებს ხალხისათვის რწმენა განუმტკიცებიათ, მიუციათ სულგრძელობა და ცხოვრების ტანჯვის ატანა გაუადვილებიათ... ეხლა — დრო იყო ეს თქმულებები მეცნიერებას შეესწავლა და თავისი პირუთენელი და მიუღგომელი მსჯავრი გამოეთქვა“.

კითხულობ 82 წლის შემდეგ სტუდენტის ნაშრომს და გიკვირს, ადარებ რა მას იმ ნაშრომებს, რომლებიც მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში იწერებოდა ამ თემაზე, გიკვირს და ძნელია სიტყვა, რა უფრო მიზნიდველი მასში: ახალგაზრდა სტუდენტის ღრმა ფილოლოგიურ-ისტორიული ცოდნით შეიარაღება თუ ძეგლებისადმი მეცნიერულად მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება, თუ, ამასთან, სიფრთხილე და წინდახედულება, თუმცა ისე, რომ ეს არ არის გადაზარდილი გაუბედაობაში, მეტიც, დაკავშირებულია შემოქმედებით რისკთან, რომელიც თავისი შინაგანი ლოგიკით მტკიცედ გაჭერბთ სიმართლეში.

მეცნიერებს გარდაუვალ წესად აქვს: ყველაზე დიდი ინტერესებისათვის — ისტორიული სიმართლის დადგენისათვის — ყველანაირი ტყუილი და სიცრუე, მათ შორის „წმინდა ტყუილი“, უარყოფილ, გაბათილებულ და უკუგდებულ

უნდა იქნეს. არასდროს არ არის გვიან ტყუილის გაბათილება, თუნდაც წმინდა ტყუილს არსებობის 1000 წელი ჰქონდეს შესრულებული.

სიმაართლს თქმა არასდროს არ არის გვიან.

ახალგაზრდა მეკლევარი ისტორიული სიმაართლის დადგენას აცხადებდა მეცნიერების უზენაესს მიზნად და მზად იყო ამისათვის უმოწყალოდ შეეწირა საუკუნეობით მიღებული და ხალხის მიერ ჰეგემონიზირებული ანაერტი ლეგენდა, ამასთან. წინასწარვე სცოდნოდა, რომ მას აუშხებდრდებოდნენ ამისათვის.

მესამე კურსის სტუდენტის ეს ნაშრომი სრულიადაც არ ყოფილა მეცნიერებისადმი საყმაწვილო სენის მოზღა, ჰაბუკუკური სითამამის გამოვლენა. შემდგომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილს არ გადაუხვევია ამ ნაშრომში ჩამოყალიბებული პრინციპებისაგან და მთელი სიცოცხლის მანძილზე კმაყოფილებით მიუთითებდა ამ თავის უპირველეს ნაშრომზე.

ივანე ჯავახიშვილის პირველმა სტუდენტურმა ნაშრომმა ბრძოლაში გამოიწვია არამარტო მანამდე არსებული ისტორიოგრაფია წყაროებისადმი მისი გულუბრყვილო მოწიწებითი დამოკიდებულების გამო. ამ ნაშრომს შედეგად მოჰყვა არამარტო ქართულ ისტორიოგრაფიაზე აღრინდელ შეხედულებათა მსხვერვა, იგი იქცა ავტორის მეცნიერულ მანიფესტად, რომელსაც, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, შედეგად მოჰყვა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალის მთელი სიმკაცრით გაწმენდა და საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლის საფუძვლის დადება.

ეს ნაშრომი თავისებური შექამება იყო იმ სტუდენტური შრომისა და თავგანწირვისა, საოცარი წლებისა, რომელზეც შემდგომ დაფუძნდა ქართული ისტორიული მეცნიერების მკვიდრი შენობა.



საინტერესოა ბედი ოქროს მედლისა, რაც ივანე ჯავახიშვილმა მიიღო. ოქროს მედლის გადაცემა საუნივერსიტეტო ზეიმის ვითარებაში ხდებოდა. მიუხედავად ვ. როზენისა და ნ. მარის წინადადებისა, ივანე ჯავახიშვილმა უარი თქვა ამ საზეიმო ვითარებაში მედლის მიღებაზე. არა ვარ ამგვარ დემონსტრაციულ გამოსვლებს დაჩვეული. საუნივერსიტეტო ზეიმზე კი თვით გრაფი ვიტე მოსულა უნივერსიტეტში. სტუდენტებს მისთვის ობსტრუქცია გაუშართათ. ამის გამო ნ. მარს შემდგომ მოუწონებია კიდევ ივ. ჯავახიშვილისათვის საზეიმო სხდომაზე გამოუცხადებლობა.

რამდენიმე დღის შემდეგ კანცელარიაში მიუღია ივანე ჯავახიშვილს ოქროს მედალი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს სიამოვნებდა მისი სტუდენტური ნაშრომის ამგვარი აღიარება და მიღებულ მედალსაც სათუთად ინახავდა, მაგრამ შემდგომ წლებში ერთხელ, როცა გასპირებოდა, 120 მანეთად დაუჯირავებია იგი. გამოსასყიდად მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით მისულა, გავყიდეთო, მოუტყუებიათ და მედალი აღარ მიუციათ. ეს მედალი კი ერთადერთი პრემია იყო, რომელიც თავისი ნაშრომისათვის სიცოცხლეში ივანე ჯავახიშვილმა მიიღო.



1899 წ. 20 აგვისტოს პეტერბურგის უნივერსიტეტმა გასცა ივ. ჯავახიშვილის სახელზე პირველი ხარისხის დიპლომი.

დილოში აღნიშნულია, რომ წარდგენილი თხზულებისა და წერილობითი პასუხის შედეგად, რომელიც ფრიად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, ივ. ჭავჭავიძელმა ზეპირ გამოცდებში შემდეგი წარმატებები მოიპოვა: ფრიად დამაკმაყოფილებელი — სომხურ ენაში, სომხურ ლიტერატურაში, ქართულ ენაში, ქართულ ლიტერატურაში, სპარსულ ენაში, რუსულ სიტყვიერებაში, რუსულ ისტორიაში და გერმანულ ენაში; დამაკმაყოფილებელი — სპარსულ ლიტერატურაში, სპარსეთის ისტორიაში და აღმოსავლეთის ისტორიის ზოგად კურსში.

დილოში აღნიშნულია, რომ ივ. ჭავჭავიძელმა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისაგან დაიმსახურა საკონკურსო თხზულებისათვის ოქროს მედალი.

თ ა ვ ი II. მოგზაურობისა და ცოდნის დაგროვების წლები

საპროფესორო წოდებისათვის მოსამზადებლად

პეტერბურგის უნივერსიტეტში, მსგავსად სხვა საიმპერატორო უნივერსიტეტებისა, ასპირანტურა დღევანდელი გაგებით არ არსებულა.

ნიჟიერ ახალგაზრდებს ტოვებდნენ უნივერსიტეტში მეცნიერების დასაუფლებლად. მათი მეცნიერული გაწვრთნის პირველ ეტაპს საპროფესორო წოდებისათვის მოსამზადებლად დატოვება ერქვა. რასაკვირველია, პროფესორის წოდების მიღებას მთლიანად გრძელი გზის გალა სჭირდებოდა. პროფესორად შეიძლებოდა გამხდარიყო პირი, ვისაც ჰქონდა მეცნიერების დოქტორის ხარისხი იმ დარგში, რომელიც მის კათედრას ეფარდებოდა. დოქტორის ხარისხის დაცვას წინ უსწრებდა მაგისტრის ხარისხის მოპოვება.

პროფესორის წოდების მიღებისათვის საკმარისი არ იყო დოქტორის ხარისხი, ამას გარდა პირს უნდა გამოეჩინა უნარი პრივატ-დოცენტის წოდებაში ლექციის კითხვისა არანაკლებ სამი წლის მანძილზე.

ნიჟიერი ახალგაზრდის დატოვება საპროფესოროდ მოსამზადებლად ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე ხდებოდა: პროფესორის წარდგინებით, რომელსაც მხარს უჭერდა ფაკულტეტი და ადასტურებდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო. ამგვარად დატოვებულ პირს სტიპენდია, როგორც წესი, ორი წლით ეძლეოდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჭავჭავიძელის დატოვების თაობაზე შეამდგომლობა ნიკო მარამა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის სახელზე 1899 წლის 20 მაისს წარადგინა.

თავის დახასიათებაში იგი დეტალურად გადმოსცემდა ივ. ჭავჭავიძელის აკადემიურ მიღწევებს რვა სემესტრის მანძილზე მრავალ მეცნიერულ დისციპლინასა და სხვადასხვა ენის დაუფლებაში (ჩვეულებრივ, ცხრა ენის ცოდნით ატარებდა ივ. ჭავჭავიძელი სამეცნიერო კვლევას) და ასე ამთავრებდა თავის შუამდგომლობას: „ზემოთქმულის მხედველობაში მიღებით და ჩემი სპეციალობის ინტერესების გულისათვის მე ჩემს მოვალეობად ვრაცხ, ვთხოვო ფაკულტეტს, შესაძლებლობა მისცეს ივ. ჭავჭავიძელს გაიწაფოს აღმოსავლეთმცოდნეობის მის მიერ ამორჩეულ დარგში უნივერსიტეტში სომხურ-ქართული განყოფილების სომხურ სიტყვიერებაზე სტიპენდიით მისი დატოვების გზით“.

როგორც აღრე ნ. მარის მიმართ, ამეამადაც პროფ. ალ. ცაგარელმა უარი თქვა ივ. ჭავჭავიძელის დატოვებაზე სომხურ-ქართული განყოფილების ქართული სიტყვიერების სპეციალობაზე მოსამზადებლად. ამ გარემოებას ობიექტურად შემდგომ დადებითი შედეგები მოჰყვა: ივ. ჭავჭავიძელი პარალელურად

მუშაობდა სომხურისა და ქართული სიტყვიერების სპეციალობებზე, თუმცა ამას შემდეგში ხელოვნურად შექმნილი ფორმალური დაბრკოლებების გადალახვა დასჭირდა.

ივ. ჭავჭავიძის თხოვნის საფუძველზე, 1899 წლის 25 მაისს პეტერბურგის ქალაქის გუბერნატორის საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების გენერალი პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ცნობას იძლევა, რომ „მის განყოფილებაში არ არის ცნობები, რომლებიც პოლიტიკური თვალსაზრისით კომპრომეტაციას გაუკეთებდა დასახელებულ პირს“.

ასევე, 1899 წლის 31 მაისს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორი მოწმობას იძლევა, რომ „თავადი ჭავჭავიძე უნივერსიტეტში ყოფნის დროს კარგი ყოფაქცევისა იყო“.

1899 წლის 21 მაისის დადგენილებით აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა საპროფესორო წოდებაში მოსამზადებლად 1899 წლის 1 ივლისიდან დატოვა ივანე ჭავჭავიძე. ასე დაიხურა „სტუდენტ ი. ა. ჭავჭავიძის საქმე პეტერბურგის უნივერსიტეტში“. ამგვარად, სტუდენტობის დროს მან არა მარტო ოქროს მედალი მიიღო, არამედ 1899 წლის 20 აგვისტოს რიცხვით მასზე გაიცა პირველი ხარისის დიპლომი.

სტუდენტობიდან ზუსტად ოთხი წლის თავზე—1899 წლის 17 ივლისს გაიხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტში „პრივატ-დოცენტ ი. ა. ჭავჭავიძის საქმე“. დასაწყისში ივანე ჭავჭავიძე დატოვეს სტიპენდიის გარეშე. საშტატო სამაგისტრო სტიპენდია მას დაენიშნა 1900 წლის 1 იანვრიდან 600 მანეთი წელიწადში. 1901 წლის 27 აპრილს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა (დეკანი აკად. ვ. როზენი, მდივანი პროფ. ვ. უუკოვსკი), მიიღო რა მხედველობაში პროფ. ნ. მარის წარდგინება მაგისტრანტის წარმატებით მუშაობის თაობაზე, იშუამდგომლა, ერთი წლით, 1902 წლის 1 ივლისამდე, გაუგრძელოს ივ. ჭავჭავიძის კათედრაზე ყოფნა სამაგისტრო სტიპენდიის შენარჩუნებით.

საპროფესოროდ დატოვებულის უპირველესი მოვალეობა იყო სამაგისტრო გამოცდების მომზადება და ჩაბარება. ივანე ჭავჭავიძე აქტიურად ემზადებოდა ამ გამოცდებისათვის. აქ მას ენერგიულად ხელმძღვანელობდა პროფ. ნ. მარი.

1901 წლის 27 იანვარს შედგა ივანე ჭავჭავიძის სამაგისტრო გამოცდები. მას აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მთელი პროფესურა ესწრებოდა. დასმული კითხვები ქართული ენის, ქართული სიტყვიერების და საქართველოს ისტორიის პრობლემებიდან იყო შერჩეული. მართალია, ივ. ჭავჭავიძე სომხური სიტყვიერების განხრით იყო დატოვებული, მაგრამ, პროფ. ნ. მარის სიტყვით, მის მუშაობაში „ქართული სიტყვიერება უაღრესად არსებით როლს ითამაშობდა“.

პროფ. ნ. მარი მიუთითებდა ივ. ჭავჭავიძის ფრიად მყარ ცოდნაზე საქართველოს ისტორიაში. ამასთან, იგი აღნიშნავდა, რომ ივ. ჭავჭავიძე „სტუდენტის სკამიდან და შემდეგ უნივერსიტეტში დატოვებიდანვე ეწეოდა და ამჟამადაც ეწევა მეცადინეობას ... მხედველობაში აქვს რა ჩვენთან ახლად წარმოშობილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის მეცნიერული ინტერესები“.¹

ამ გამოცდების შემდგომ ივანე ჭავჭავიძე გახდა „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტი“.

¹ გვიან შევსებულ კარტის აღრიცხვის საბჭოთა ანკეტებში კითხვაზე: რა ვიწრო სპეციალობა მიიღო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ივ. ჭავჭავიძე თავმდაბლურად პასუხობდა: „საქართველოსა და სომხეთის ისტორიის“.

რუსულ უნივერსიტეტებში აკადემიური ტრადიცია არსებობდა: მაგისტრანტი განსაზღვრული ვადით აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში, იქ გასცნობოდა მის მიერ ამორჩეული დარგის მიღწევებს. ეს მეტად სასურველი ტრადიცია იყო. იგი ევზოტიკისა და ტურჩიზმის გულისათვის როდი კეთდებოდა. ახალგაზრდა მკვლევარს მხრივ ამგვარი მიმოსვლის პერიოდს თან ახლავს ცოდნის დაგროვების საუკეთესო ხანა. ყმაწვილობის დროის მოგზაურობას არ შეუძლია მსგავსი სარგებლობის მოტანა.

პედაგოგიკის მსოფლიო კორიფე იან ამოს კომენსკი ცოდნის გაფართოების ფრიად მნიშვნელოვან საშუალებად განიხილავდა ახალგაზრდის მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყნებში უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ. ანდა სწავლების ბალო წლებში, თუმცა იქვე იზიარებდა პლატონის იმ შეხედულებას, რომ ყმაწვილებს უნდა აეკრძალოთ მოგზაურობა მანამდე, სანამ ისინი არ გათავისუფლდებოდნენ ქაბუჯური დულილის ასაკიდან და მათ არ აღმოაჩნდებოთ ის კეთილგონიერება და გამოცდილება, რაც აუცილებელია მოგზაურობისათვის. 25 წლის ივანე ჭავჭავიძელის წინაშე მეორედ დადგა გერმანიაში გამგზავრების საკითხი. მისთვის ამგვარი გამგზავრება შემოქმედებითი აუცილებლობა იყო. არჩევანი ბერლინის უნივერსიტეტზე შეჩერდა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ბერლინის უნივერსიტეტი (1809 წ.) ახალგაზრდა იყო XIV საუკუნიდან არსებულ სხვადასხვა გერმანულ უნივერსიტეტებთან შედარებით, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს სწორედ აქ ყოფილიყვნენ თავმოყრილი XIX საუკუნის დასასრულისათვის ყველაზე სახელგანთქმული გერმანელი პროფესორები, მათ შორის უძველესი ქრისტიანობის ისტორიის სპეციალისტები. ამ დარგს აქ წარმართავდა მსოფლიო სახელის მკვლევარი პროფესორი გუსტავ ადოლფ ჰარნაკი, რომელიც ივ. ჭავჭავიძელის იქ ყოფნის დროს უნივერსიტეტის რექტორიც იყო.

როგორც ივანე ჭავჭავიძელის სტუდენტური ნაშრომის შინაარსის გაცნობამ გვიჩვენა, ივანე ჭავჭავიძელს სრულიად არ აინტერესებდა საკუთრივ თეოლოგიის პრობლემები. მას სტუდენტობის დროიდან კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა შეუძლებელია ქართული საეკლესიო საისტორიო ძეგლების, ქართველ მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრების შესწავლის გარეშე. ამ გზით შეიძლებოდა ქრისტიანობის გავრცელების დროინდელი საქართველოს სოციალური ყოფის სურათის მნიშვნელოვანწილად აღდგენა, რაც მან ასე შესანიშნავად გააკეთა პრემირებულ სტუდენტურ ნაშრომში. საბოლოო ანგარიშით, ამ მეცნიერული მივლინებით დიდად კმაყოფილი დარჩა როგორც მაგისტრანტი, ასევე ბერლინის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი. ეს გამგზავრება ადრევე ჰქონდათ მოფიქრებული ნიკო მარსა და ივ. ჭავჭავიძელს.

1901 წლის 17 მარტს თბილისიდან ივ. ჭავჭავიძელი ნ. მარს სწერდა: „ჩემს მეორე დასახულ ზოგიერთ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის (საკითხებზე „ქართულ-სომხური ეკლესიის გაყოფის შესახებ“, „ქრისტიანობის ხასიათი ძველ სომხეთსა და საქართველოში“, „ეკლესიის ორგანიზაცია“, „სამღვდელთმშობლის ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში“, „მიწის ფეოდალიზაცია სომხეთსა და საქართველოში“, „საეკლესიო ფეოდალების ბრძოლის შესახებ რუსეთ აღმაშენებლიდან თამარის პერიოდამდე, ე. ი. XII—XIII საუკუნეებში“). ს.სურველია სპეციალურად შესწავლილი იქმნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმათა ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ჰარნაკთან, აგრეთვე შუა

საუკუნეები ევროპაში და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში პროფ. ლამპრეხტთან. ჩემთვის, რაკი ქართველოლოგიას ვსწავლობ, აუცილებელია ბიზანტინოლოგიაში მუშაობა, რათა გათვალისწინებულ იქნას ბიზანტიის გავლენა საქართველოზე, სასურველი იქნება ვიმუშაო ბიზანტინოლოგიაში პროფ. კრუმბახერთან“.

როგორც ვხედავთ, მაგისტრანტს კვლევის ფართო და კონკრეტულად მუშაობაზე გეგმები დაუსახავს მიზნად, ამასთან, სრულიად არ იზღუდება მართო პროფ. ა. პარნაკთან მუშაობით.

1901 წლის 23 მარტიდან დაიწყო საბუთების მომზადება ი. ჭავჭავაძის ბერლინის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად.

პროფ. ნ. მარი მისთვის ჩვეული გატაცებით მხარს უჭერს ივ. ჭავჭავაძის ბერლინის უნივერსიტეტში და ენერგიულად უსაბუთებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს ამ გაგზავნის საჭიროებას. ყველაფერ ამას ერთი თვე მოუწინა და უკვე 1901 წლის 24 აპრილს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორი მოწმობას იძლევა, რომ უნივერსიტეტის სოფურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე დატოვებული განათლების მინისტრის შუამდგომლობით მეცნიერული მიზნით მივლინებულია საზღვარგარეთ 1901 წლის 15 აგვისტომდე ვადით. ბერლინის უნივერსიტეტში პირველი შეხვედრის სიხარული ბიუროკრატიული ბარიერის კედლებზე დაიმსხვრა. ამას თვითონ აღწერს ნ. მარისადმი 1901 წლის 17 მაისს გაგზავნილ წერილში: „ძვირფასო ნიკოლოზ იაკობის ძე, მე ჭერ ვერ მომიხერხდა უნივერსიტეტში ჩაწერა, რამდენადაც უნივერსიტეტის კანცელარიაში მითხრეს, რომ უნდა წარვადგინო ან პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მოწმობა, რომ დავამთავრე უნივერსიტეტი, ანდა იგივე აქაური დესპანისაგან, თუკი მე მიცნობს. დესპანი ჯი, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე არ მიცნობს და არ შემიძლია მას მივმართო: ასე რომ იძულებული ვარ მივწერო წერილი საბჭოს მდივანს ბ-ნ მელიორანსკის, მისი სახელი და მამის სახელი სამწუხაროდ არ ვიცი. თუ თქვენ ამ დღეებში იქნებით უნივერსიტეტში. სთხოვეთ, გეთაყვა, რომ რაც შეიძლება მალე გამომიგზავნოს ეს ქაღალდი: მხოლოდ როგორ საწყენია, რომ ეს წინდაუხედაობა და წერილმანი მართმევს საშუალებას, ჩავჭდე უნივერსიტეტში“. იქვე დასძენს, რომ, ამ გარემოებისდა მიუხედავად, განაგრძობს მუშაობას წაღებულ წიგნებზე და საინტერესო დასკვნებსაც აღწევს. მალე პროფ. ა. პარნაკთან შეხვედრა ყველა ფორმალურ დაბრკოლებას ხსნის. მაგისტრანტი აღტაცებულია დიდ გერმანულ სპეციალისტთან შეხვედრით. იგი ბერლინიდან სევანეთის სოფელ მულახში 1901 წ. 31 ივლისს ივ. ნიჟარაძეს სწერს: „პარნაკი მე კარგად გავიცანი. ერთხელ ვახშმადაც ვიყავი მიპატაჟებული... იგი ჩინებულად კითხულობს ლექციებს, საინტერესოა და საყურადღებო თითოეული მისი შეხედულება, ძალიან ნასწავლი, ღრმად ჩაკვირვებული და საგანში ჩახედულია, იგი საკვირველის გონება და ენამახვილობით ასურათებს ხოლმე თითოეულ საეკლესიო ცხოვრების მოვლენას. პარნაკი კითხულობს საეკლესიო ისტორიას, ქართული საეკლესიო მწერლობით ძალიან დაინტერესებულია“.

თავის მხრივ პროფ. ა. პარნაკი დიდად კმაყოფილი და გაკვირვებულია ახალგაზრდა მაგისტრანტის გაწვრთნით აღმოსავლეთის ფილოლოგიისა და ისტორიაში. რექტორის მხრივ მაგისტრანტის ნიჭისა და ბეჯითობის აღიარებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მოიხსნა ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რათა ივ. ჭავჭავაძის წარმატებით ემუშავნა ბერლინის უნივერსიტეტში. მეტიც, ახლა ყველა ფორმალური წესიც იქნა დაუღლი, რომ არაფრით არ შემ

ლოდა ხელი მაგისტრანტის მეცნიერული ინტერესების დაკმაყოფილებას ბერლინის უნივერსიტეტში. უკვე ეძლევა ლათინურ ენაზე დაწერილი ორი დოკუმენტი (დაწვრილებით ამ დოკუმენტების შესახებ იხ. ნ. ჭავჭავიძე, ერთი დღემდე უცნობი ფაქტი ივანე ჭავჭავიძელის ბიოგრაფიიდან, „მრავალთავი“, 1975, V, გვ. 247—251): ერთს ხელს აწერს ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო მეორეს—ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი. პირველ ცნობაში ვკითხულობთ: „კეთილად მოიხმარეთ

(წინამდებარე დოკუმენტი შედგა) ბრძანებითა და ნებითა უმაღლესი და უძლიერესი მბრძანებლის

ვი ლ ჰ ე ლ მ II

გერმანიის იმპერატორისა და პრუსიის ხელმწიფისა, გუსტავ ადოლფ ჰარნაკის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორის, თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორის რექტორობის დროს

(მასხედ, რომ) ფრიად გამოჩენილი ახალგაზრდა თავადი ივანე ჭავჭავიძე, რუსი, სპეციალობით ფილოლოგი, რომელმაც დასდო რა ფიცი უნივერსიტეტის გამგებელთა წინაშე ერთგულების, მორჩილებისა და პატივისცემისა, კანონიერ საფუძველზე იქნა მიღებული ფრიდრიჰ ვილჰელმის ბერლინის უნივერსიტეტის წევრად. რის დასამტკიცებლად წინამდებარე დოკუმენტს უზის უნივერსიტეტის ბეჰედი და რექტორის ხელმოწერა. ბერლინი, 4 ივნისი 1901 წელი“. ხოლო ერთი დღის შემდეგ შედგენილია მეორე დოკუმენტი. მასში ვკითხულობთ: „ვამოწმებთ, რომ ფრიად გამოჩენილი ახალგაზრდა თავადი ჭავჭავიძე მიღებულია ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში და რომ მისი სახელი არსებული წესების შესაბამისად, შეტანილია ფილოსოფიური ფაკულტეტის წევრთა სიაში.

ბერლინი, 5 ივნისი 1901 წელი.

ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და პროფესორები“.

პროფესორ-რექტორ ა. ჰარნაკისა და მაგისტრანტ ივ. ჭავჭავიძელის შემხვედრი მეცნიერული ინტერესების დამთხვევამ ბერლინში ყოფნის პირველივე თვეები უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის დროდ აქცია.

არა მარტო თვითონ პროფ. ნ. მარია დაინტერესებული თავისი პირველი მოწაფის მუშაობით ბერლინის უნივერსიტეტში, არამედ ასევე მაგისტრანტის მუშაობის მიმართ ინტერესს ამჟღავნებს ფაკულტეტის დეკანი აკად. ვ. როზენიცი. რომელმაც თავის მხრივ წერილი გაუგზავნა ბერლინში ა. ჰარნაკს მაგისტრანტ ივ. ჭავჭავიძელის დახასიათებით. საქართველოში მყოფი ნ. მარია 1901 წლის ზაფხულზე ვ. როზენისადმი გაგზავნილ წერილებში წუხილს გამოთქვამს, რომ ივ. ჭავჭავიძელი ბერლინში წასვლის შემდგომ არაფერს იწერება, მაგრამ უკვე 1901 წლის 12 ივლისს მან მიიღო წერილი, რომელშიც დაწვრილებით უამბობს ბერლინში თავისი მუშაობის გარშემო. მართალია, ეს წერილი არაა შენახული, მაგრამ სამაგიეროდ არის ნ. მარის წერილი ვ. როზენისადმი, რომელშიც გადმოცემულია ივ. ჭავჭავიძელის წერილის შინაარსი. 1901 წლის 13 ივლისს ნ. მარია სწერდა ვ. როზენს:

„ღრმად პატივცემულო ვიქტორ რომანის ძე,

გუშინ მივიღე ჭავჭავიძელისაგან ვრცელი წერილი და ანგარიში მისი მუშაობის შესახებ. ის ძალიან კმაყოფილია თავის მეცადინეობით ბერლინის უნივერ-

სიტუტში კმაყოფილია განსაკუთრებით თვით ჰარნაკით პირადადაც და მისი ლექციებითაც. მას უკვე შეუსრულებია ერთი პატარა სამუშაო ჰარნაკისათვის. ჰარნაკი კმაყოფილი დარჩენილა. რაზედაც მიუპატივნია ჯავახიშვილი შინ და რამდენიმე საათი უსაუბრნია მასთან. სიამოვნებით დათანხმებულა, უხელმძღვანელოს მის შეცადინებას, ეს სამუშაო შემდეგი ხასიათისა ყოფილა: ჯავახიშვილს დაუწერია პატარა მოხსენება (26 გვერდი) გერმანულ ენაზე, „ეესტათი მცხეთელის ცხოვრების“ შესახებ, სადაც მოჰყავდა ადგილები ამ ცხოვრებიდან და აღნიშნავდა ამ ადგილების არაკანონიკურ ხასიათს, თან ეკითხებოდა ჰარნაკს, მცდარი ხომ არ არის ჩემი ვარაუდი ამ ნაწყვეტის არაკანონიკურობის შესახებო. ჰარნაკს დაუდასტურებია, რომ ეს ციტატები უეჭველად არაკანონიკური და მეტად საინტერესოაო, და წინადადება მიუცია ჯავახიშვილისათვის მთლიანად გადათარგმნე „ეესტათის ცხოვრებაო“.

ჯავახიშვილსაც გადაუთარგმნია იგი გერმანულად და ორი კვირის შემდეგ ჰარნაკს მიუწვევია შინ ჩაიზე (ეს უკვე რუსულად). ეესტათი მცხეთელის მარტვილობით პროფ. ა. ჰარნაკის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. იგი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია VI საუკუნის ქრისტიანული დოკუმების მთელი რიგი საკითხების ასახსნელად. თვითონ ამ ძეგლის სახელწოდებაა, „მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ეესტათი მცხეთელისა“.

ამ ნაწარმოებში იგრძნობა იმ დროის კვალი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საეკლესიო მართლმადიდებლური ცენზურის მკაცრი მსახვრალი ხელი. მასში ეესტათის ცხოვრების მოკლე აღწერა და მარტვილობის მოთხრობაა გადმოცემული. აღწერილობა იწყება სპარსი ეესტათის მცხეთაში გადმოსახლებით. ამ დროს იგი 30 წლის ყოფილა, მცხეთაში დასახლების შემდეგ იგი შეეჩვია ქრისტიანობას, შემდგომ შეუყვარდა იგი და ბოლოს მოიქცა კიდევ. ამ დროს მეხამლეობის ხელობაც შეუსწავლია, ქრისტიანი ცოლი შეურთავს და სამუდამოდ საქართველოში დასახლებულა. როდესაც სპარსი ცეცხლთაყვანისმცემელთა დღესასწაული დადგა, სხვა თავის თანამემამულეებთან ერთად ეესტათიმ მასში მონაწილეობა არ მიიღო, ამისათვის სპარსელებმა იგი მცხეთის ციხისათვით დაასმინეს, ვითარცა მამაპაპისეული სარწმუნოების მაგინებელი და მოლაღატე. ამ დროიდან იწყება ეესტათის მარტვილობა. მას ვერ ათქმევინეს უარი ქრისტიანობაზე, რასაც მისი სიკვდილით დასჯა მოჰყვა განრისხებული მარზპანის მიერ. ასეთია მარტვილობის შინაარსი. მასში ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა დროის ჩანართებს და ჩასწორებებს პოულობს. მათ შესანიშნავ ახსნასაც ვეძლევის ახალგაზრდა მკვლევარი, რომლის გამო ასეთი ალტაცებული შეფასება მიიღო პროფ. ა. ჰარნაკისაგან. ასე, ეესტათის წარმართად მოსვლა და შემდეგ მხოლოდ მცხეთაში გაქრისტიანება არ მტკიცდება შემდგომ სასამართლოში მისი განმარტებით, რომ ქრისტიანობა მას განძაქში სამოელ არქიდიაკონის წყალობით მიუღია და იქვე მონათლულა. მაშასადამე, მარტვილობის შემდგომ გადამკეთებელს ავიწყდება, რომ ხელახალი მონათვლა ქრისტიანად საჭირო არ იყო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უფრო დამაჯერებელია ვიფიქროთ, რომ ეესტათის სპარსეთისაგან აყრა, საქართველოში წამოსვლა და ახალ დედაქალაქში კი არა, არამედ ძველ დედაქალაქში დასახლება სპარსეთში ქრისტიანთა დევნილობის შედეგი იყო. ამას აძლიერებს ისიც, რომ თვით ძეგლში მოყვანილი სარწმუნოებრივი მოძღვრება, რომელიც სამოელ არქიდიაკონის მიერ წარმოთქმულად არის მოთხრობილი, ისეთს ცნობებს შეიცავს, რაც მათ სპარსულ სადაურობას ცხადყოფენ. ამ არქიდიაკონის აზრით, აღამითგან მოსემდის სპარსთა სჯული ყოფილა გაბატონებული. თვით აბრაამიც სპარსეთში ეგულება მას თავდაპირველად. ამ-

გვარი შეხედულება დაბადებაში არ გვხვდება და მხოლოდ სპარსელს შეეძლო ეთქვა. ეს როდია ერთადერთი შემთხვევა, რომელიც მარტვილობაში ჩართულ საოპრთო ისტორიის ოთხთავი სახარების კანონიკურ ცნობებს არ ეთანხმება და თავისებურებებით ხსიათდება. ასე, ჩვეულებრივ სახარებაში ქრისტე ჭერ გელაში იწყებს მოლაწევობას, შემდეგ გადაის იერუსალიმში. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით კი ქრისტე თავიდანვე იერუსალიმში მოღვაწეობით იწყებს. მარტვილობაში ამაღლების შესახებ მოთხრობილია, რომ იგი „მთასათა თაბორსა მოხდაო“, მაშინ, როცა სახარების მიხედვით ამ მთაზე ფერისცვალება მოხდარა. მსგავს არაკანონიკურ ადგილებს პოულობს ივ. ჭავჭავაძე ილი ამ საეკლესიო საისტორიო ძეგლში. ივ. ჭავჭავაძე ილი დაასკენდა, რომ ამ ძეგლის თავდაპირველი დედანი თანამედროვის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ შემდეგ, იქნებ იმავე VI საუკუნის დასასრულს ანდა VII საუკუნის დამდეგს, სხვადასხვა ცვლილება შეუტანიათ. ძეგლის ამგვარი კრიტიკული განხილვა სრულიადაც არ უშლის ხელს ამ ძეგლის შესანიშნავი თვისებები აღინიშნოს. სახელდობრ, აქ ეპოქობით დადასტურებას იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის შესახებ, ცნობებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში სპარსთა სრულ ბატონობასა და უმეფობის ხანას გვისურათებს; ასევე იმდროინდელ სასამართლო წარმოების წესებს, სპარსთა მიერ საქართველოში დამყარებულ მართვა-გამგეობის წესებს. პროფ. ა. ჰარნაკი არა მარტო უწონებს ნიჟიერ მაგისტრანტს ადრინდელ საქრისტიანო მწერლობის შესწავლის ამ ცდას, იგი ძეგლის ჭავჭავაძის იესულ გერმანულ თარგმანს ბეჭდავს პრუსიის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის „სხლომათა უწყებებში“. (1901 XXXVIII). მარტვილობის წინასიტყვაობას წერს პროფ. ა. ჰარნაკი. თარგმანს დართული აქვს ივ. ჭავჭავაძის განმარტება-სქოლიოები, დასასრულ, წიგნის ბოლოში დაბეჭდილია ა. ჰარნაკისა და ივ. ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ნარკვევი ევსტათი მცხეთელის მარტვილობის შესახებ.

აკად. ა. ჰარნაკი დიდად კმაყოფილია იმით, რომ ამ ნაშრომით მთელი ეტაპი იწყებოდა „საქრისტიანო აღმოსავლეთის“ შესწავლაში. წინასიტყვაობაში იგი წერს:

„სამწუხაროდ, ამ ძველის-ძველ, მდიდარი ლიტერატურის მქონე ქვეყანას, საქართველოს და მის ეკლესიას სრულებით არ ვიცნობთ ევროპაში. მისი ხელნაწერები მთელს აღმოსავლეთშია მოფენილი, დაწყებული სინის მთით და გათავებული პეტერბურგით. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, რომლის ბიბლიური ციტატები საგრძნობ თავისუფლებას იჩენენ, და ამიტომ გადავწყვიტე ეს ძეგლი ხელმისაწვდომი გავხადო საეკლესიო ისტორიის სპეციალისტებისათვის. სრული კომენტარის მიცემა ამ ძეგლისათვის მე არ შემძლია, მაგრამ ივ. ჭავჭავაძის დახმარებით, რომელიც, ყველაფრის გარდა, სპარსულ ენაშიც ძლიერია, იმედი მაქვს მნიშვნელოვან ადგილებს განემარტავ და მთელს ძეგლსაც თავის ისტორიულ ადგილსაც მიუღწინთ.“

ივ. ჭავჭავაძის ბერლინში ყოფნას ქართული კულტურისათვის ის მოჰყვა შედეგად, რომ მისი ხელმძღვანელობით და დახმარებით კ. შულცემ ქართულიდან გერმანულად თარგმნა „აბო ტფილელის წამება“, იგი დაიბეჭდა პარნაკის სერიაში „ტექსტებსა და გამოკვლევებში“ (ტ. 13,4).

1902 წლის 26 ივლისს ჩოხატაურიდან ნ. მარი ბერლინში სწერდა ივანე ჭავჭავაძის: „თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, პარნაკს, როგორც ნაცნობსა და რექტორს, ბარონი როზენი საგანგებოდ სწერდა თქვენს შესახებ“. თავის მოხსენებით ბარათში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისადმი ნიკო მარი აონიშნავდა

ბერლინის უნივერსიტეტში ივ. ჭავჭავაძის წარმატებით მუშაობაზე ქართულ და სომხურ ისტორიაში, ამასთან დასძენდა: „გაეცნო რა რუსულ სამართალსა და სხვა რუსული იურიდიული სიძველეების, სერგეევჩის ლექციებისა და გამოკვლევების მიხედვით, ახლა იგი სწავლობს გერმანიის სამართლის ისტორიას, უპირატესად მისთვის საინტერესოა გერმანიის შუა საუკუნეების სამართალი“. სასურველია, გაუგრძელდეს მას გერმანიაში ყოფნა, ვინაიდან „ზამთრის სემესტრში იგი ვარაუდობს მოისმინოს ბერლინის უნივერსიტეტში ჰარნაკის გარდა სამართლის ისტორიასა და სემიტურ ენებში ლექციები“.

აკად. ა. ჰარნაკი თავის სრულ კმაყოფილებას მაგისტრანტ ივ. ჭავჭავაძისადმი ვ. რ. როზენისა და ნ. მარისადმი გაგზავნილ წერილებშიც გამოთქვამდა. ამ წერილებისა და ნ. მარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე აღმოსავლური ენების ფაკულტეტის და მისი დეკანის შუამდგომლობით პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა გაუგრძელა ბერლინში ყოფნა ივ. ჭავჭავაძის 1902 წლის 1 აპრილამდე.

ბერლინში ყოფნის გაგრძელებამ საშუალება მისცა ივ. ჭავჭავაძის მისთვის საინტერესო დარგებში ემუშავა, სახელდობრ კი პროფ. ბრუნერთან, რომელიც გერმანული და სკანდინავიის ხალხების ძველი სამართლის დიდი სპეციალისტი იყო. რასაკვირველია, მთავარი მაინც აკად. ა. ჰარნაკთან მუშაობაა. ა. ჰარნაკი ყოველმხრივ ახალისებს ივ. ჭავჭავაძის კვლევას. იგი ივ. ჭავჭავაძის პირობას აძლევს, რომ მის გამოკვლევებს დაუყოვნებლივ დაბეჭდავს. ა. ჰარნაკი ნათლავს, რომ ქართული ენა არ იცის. ახლა ა. ჰარნაკს უფრო ფართო სურვილი აღედგა, სურვილი ბერლინის უნივერსიტეტში შეექმნა ქართველოლოგიის კათედრა, რომ ამით შეეცნოს ის სერიოზული ხარკებზე, რაც „საქრისტიანო აღმოსავლეთის“ შესწავლაში იყო. ივ. ჭავჭავაძისათვის კი არჩევანი არ არსებობდა. მას მერყეობა არ დაუწყია: იგი ჯერ აღმზრდელ პეტერბურგის უნივერსიტეტს უნდა დაბრუნებოდა, ქართველოლოგიის ამ ყველაზე დიდ მაშინდელ სამეცნიერო ცენტრს, რომ ამ გზით ყველაზე უკეთესად ემუშავა სამშობლოსათვის.

ბერლინში ყოფნის მთელს პერიოდში ივანე ჭავჭავაძის ათბობდა მასწავლებლის ნიკო მარის სათუთი ყურადღება. მისი წერილები სავსე იყო ჩვეული გულმხურვალებით, ღრმა დაკვირვებებით, იუმორით, იგი კმაყოფილი იმით, რომ მოწაფე (ქართულ წერილებში მიმართავს „ძმარ ივანე“) დაწვრილებით აცნობს ბერლინში მუშაობის მიმდინარეობას, ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ძმარ ივანე, ამბებისათვის მადლობელი ვარ. ჰარნაკის ლექციები თუმცა „მლოის“ (მე გრამატიკაში ჩავიწყრე ეს ფორმა თქვენი წერილიდან, გურიაში კვლავ იტყვიან), მაგრამ დილას ადრე ადგომა სასარგებლოა ჭანისათვის, მე დავდილი მაქვს“. „გიგზავნით ღმერთებს“ და ერთი ცალი (ზედწარწერილია) ჰარნაკს გადაეცით, სჯობს ქართულად ვთქვათ — მიართვით“.

მასწავლებელი არ ექვიანობს იმას, რომ მეორე მასწავლებელი ასეთ კმაყოფილებას გამოთქვამს შეგირდის წარმატებებით. იგი სწერს: „ჰარნაკი ძალიან კმაყოფილია თქვენით, რითაც მე ყოველმხრივ გახარებული ვარ, მაგრამ არ მიხარია, რომ თქვენ ავადმყოფობა დაიწყეთ და ასე ნაადრევად, ჯრა თავის დროზე. რასაკვირველია, არ უნდა გადახვიდეთ შესაძლისის ფარგლებს. ჰარნაკი ფიქრობს, რომ თქვენ ზედმეტი მუშაობისაგან ავადმყოფობთ, მაგრამ მთავარია კარგად იკვებოთ, და რაც შეიძლება მეტი. თუ არა გაქვთ მადა, უნდა მიიღოთ ზომები, რომ მადაზე მოხვიდეთ. მაშინ შეგქვდება, რამდენიც გსურს იმეცადინო“. იგი რჩევას აძლევს, რომ აუცილებლობის დროს დროებით, ერთი ორი კვი-

რით, შეწყვიტოს ამგვარი მეცადინეობა და ზღვაზე ან მთაში გაემგზავროს. ნ. მარი იმასაც სწერს, რომ მისი ვაჟი იური თელის, საკმაოდ კარგად ვხატავ, ჩამდენდაც ასეთი აზრისაა ჩემზე ბატონი ჭავჭავიძევილიო.

ნიკო მარს უხარია, რომ ივანე ჭავჭავიძევილს ბერლინში გერმანელებისათვის დაუწვია ქართული ენის კურსის წაკითხვა. გული წყდება იმაზე მხოლოდ, რომ ამის შესახებ დროზე არ მოსწერა მას ჩოხატაურში, რომ იგი მოკლე გრამატიკის დამუშავებას დააჩქარებდა. ნიკო მარი ივანე ჭავჭავიძევილის წინაშე უკვე სხვაჯეც საცდელი ლექციის და შემდეგ სპეციალური კურსების წაკითხვას აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, თავის პირველ მოწაფესთან ერთად წარმოიდგენს, თუ როგორ დაინაწილებენ საფაკულტეტო საგნებს. 1901 წლის 25 ნოემბერს ნიკო მარი პეტერბურგიდან ბერლინში სწერდა ივანე ჭავჭავიძევილს: „მეცნიერულის მხრივ, რასაკვირველია, აქაც წარიმატებ და კიდევაც უნდა წარიმატო... ისე კი ჩემი ფიქრით და საკუთრად ჩვენი საერთო გეგმისათვის თქვენი აქ ჩამოსვლა სჭობია, კურსიც მომწონს. ერთად შეეუთანასწორდებით ერთმანეთს, ეინ რა წაიკითხოს, ამასაც სალაპარაკოდ მივაქცევ ფაკულტეტის წევრებთან“.

რასაკვირველია, მაღლიერი ივანე ჭავჭავიძევილი გულთბილობით პასუხობდა ამ ზრუნვაზე. 1902 წლის 13 იანვარს ბერლინიდან იგი ქართულ ენაზე სწერდა ნიკო მარს:

„ძვირფასო ბატონო ნიკო.

ბოდინს ვიხდო, რომ წერილი ამდენ ხანს ვერ გამოგვგზავნეთ. უკანასკნელი ორი კვირა გართული ვიყავი ერთი სამუშაოთი, რომელიც საჩქაროდ დამზადებული უნდა ყოფილიყო. აქ დღესასწაულებმა გაიარა და ლექციები დაიწყო“.

„დამშვიდებით შეეგებებით ახალ წელიწადს: ზ. ავალიშვილმა შემატყობინა, რომ თქვენი დისერტაციის შესახებ პაექრობა ყოფილა. ამ დღეებში ცნობის ფურცელშიც წაეკითხე. თქვენ იწერებოდით სამაისოდ იქნებო... გილოცავთ და მოხარული ვარ, რომ დისერტაცია თავიდან მოიშორეთ და დამშვიდებულნი იქნებით ეხლა სრულებით“.

ბერლინში ნათესაეებისაგან, ახლობლებისაგან გულთბილ წერილებს იღებდა, რაც უნებლად სამშობლოს დაშორების გრძნობას. სიყვარული და სიამაყე ჩანდა ადრესატისადმი ამ წერილებში. გიმნაზიისდროინდელი მეგობარი ს. ტიგრანინი თავის წერილებს სომხურად იწყებდა. დედა შვილის მონატრებასთან ერთად ოჯახის ამბებსაც აცნობებდა. 1901 წლის 15 დეკემბერს დედა სწერდა: „მამამ ასტავკა მისცა, ხომ იცი ახალი მზრუნველი არის და ან რა კაციც არის, დაბეზლებას ფრთები შეასხა და რომ უსიამოვნება არ გამოსულიყო რა, ესე სჭობია“.

შორეული მივლინებიდან შვილის მალე დაბრუნებით გახარებულ დედას მაინც არ ასვენებს დედის მუდმივი შეუცნობელი შიში. იგი 1902 წლის 12 იანვარს სწერდა ბერლინში: „ჩემო სიხარულო შვილო ვანო!

წერილი დაგიგვიანე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხებ დრო მომეწერა. მეც გილოცავ ახალ წელს და ყოველ კეთილს გისურვებ. როდის დაბრუნდები პეტერბურგში ან მაშინვე ლექციებს მოგცემენ თუ არა, თუ რომ არ დაიწყებ კითხვას ლექციებისას სააღდგომოდ აქ ხომ არ მოხვალ. ამის პასუხი მალე მოიწერე. თუ აქ დაბრუნდები, ისევე თბილისში დავიჭერ სახლს, რადგან მაინც შენთვისაც საჭირო იქნება ოთახიც და სადილიც, ვაი თუ ვერ ვიცხოვროთ, იმისი მეშინია“.

და ისევ და ისევ ვერ ახერხებენ თბილისში საკუთარი ბინის შექმნას. საკუთარი სახლი არასდროს არ ჰქონია თავად ალექსანდრე ჭავჭავიძის ოჯახს თბილისში.

გიორგი ჭავჭავიძელი თავისი უფროსი ძმის ერთ-ერთი პირველი რეცენზენტია. 1901 წლის 12 მაისს იგი ძმას სწერს ბერლინში: „წავიკითხე შენი წერილი მოამბეში დაბეჭდილი (იგულისხმება ივ. ჭავჭავიძის წერილი „ხალხის აღწერის და შემოსავლის დათვრები საქართველოში“ — ს. ჯ.), რომელიც ძალიან საყურადღებოა თავის შინაარსით, მხოლოდ ცოტა რამ უფრო მეტი და გარკვევით ყოფილიყო, ემჭობინებოდა“.

ისევ უნდა ვახსენოთ ივ. ნიჟარაძე. იგი 1901 წლის 20 აგვისტოს სვანეთიდან, სოფელ კოლაშიდან სწერდა ბერლინში თავის ძვირფას მეგობარს: „სინდის გეფიცები, მოხარული ვარ შენის წერილით, ღრმად ჩამაფიქრა იმ აზრმა, რომ შენ ამ ზამთარს პეტერბურგში არ ჩამოხვალ, მე უშენოდ ბევრი რამ დამაკლდება, მაგრამ შორს გრძნობათა ლეღვა: ნაყოფიერი იყოს შენი ჰარნაკთან შრომა, ვხარობ, რომ შეხვდი კაცს, რომელიც გიკმაყოფილებს წარმოდგენას შესახებ კარგი კაცისა“.

ივ. ნიჟარაძე 1901 წლის 18 ოქტომბერს პეტერბურგიდან კვლავ სწერს ბერლინში თავის საყვარელ მეგობარს: „სწორედ უფრო მოხარული ვიქნებოდი, თუ ამ ზამთარს პეტერბურგში ჩამოხვიდოდი, მაგრამ უფრო მოხარული ვარ, რომ ჰარნაკთან კარგი განწყობილება გაქვს და ქართული კათედრის გახსნა მთანდომებიანე. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს გაახარებს ეს ამბავი“.

1901 წლის 12 ნოემბერს ბერლინში აცნობებდა თავის უნაპირო სიხარულს ივ. ნიჟარაძე: „სიამოვნებით გადავიკითხე შენი წერილი, სიხარულით ვრწმუნდები, რომ წინანდებურად ახარებ ქართველების კეთილის მსურველთ“.

1902 წლის აპრილამდე გაგრძელდა ივანე ჭავჭავიძის მეტად სასარგებლო ყოფნა ბერლინის უნივერსიტეტში.

სინას მთაზე

ივანე ჭავჭავიძელმა ბერლინშივე მწვავედ იგრძნო ძველ საქრისტიანო ცენტრებში გაფანტული ქართული ხელნაწერების მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა. ამ ოცნებაზე იგი ბერლინიდან უზიარებდა თავის აზრებს ნიკო მარს. ოცნები: ხორცშესხმის იმედმა გაუელვა მას, როცა 1901 წლის 25 ნოემბერს წერილი მიიღო ნიკო მარისაგან. ძვირფასი მასწავლებელი სწერდა: „თქვენი აზრი პალესტინეს გამგზავრებისა ძალიან მეკაშნიკა, ადრეც მქონდა მეც აზრში, მაგრამ ასრულება არის ძნელი. ყოველ შემთხვევაში, მოველაპარაკები“.

ივანე ჭავჭავიძელი კარგად გრძნობდა ნიკო მარის წერილის ბოლო ფრაზის ძალას. იმ დროს ნიკო მარი თავისი მეცნიერული დიდების აღიარების ზენიტს უახლოვდებოდა. აკადემიურ წრეებში მას ფართოდ გაუთქვა სახელი ჭერ სამაგისტრო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციებმა, მრავალ ენათა დაუფლების მომადლებულ ნიჭს (მასზე ფიგურალურად ამბობდნენ, რომ ყველა ერის შვილთან თავის ენაზე შეუძლია დაილაპარაკოს) აძლიერებდა არნახული ბეჭითობა, დაჟინება, ენციკლოპედიური განათლება, თითქმის ყოველი მეცნიერება, თავისი შეხედულებებით სხვიების გატაცებისა და დარწმუნების მისაბაძი უნარი დასახული მეცნიერული მიზნის შესასრულებლად.

ქართული ხელნაწერების შესასწავლად ქრისტიანულ ცენტრებში წასვლის წყურვილი სრულიადაც არ მოუკლავს ნ. მარისათვის ათონის მთაზე აკად. ნ. პ. კონდაკოვის ექსპედიციაში ყოფნას 1898 წლის გაზაფხულზე. ეს ექსპედიცია რუ-

სეთის საიმპერატორო აკადემიამ მოაწყო. მან ბევრი ხელნაწერი აღწერა და ბევრის ფოტოგრაფირება მოახდინა. 1900 წელს გამოსცა კიდევ ათონის აგიოგრაფიული ძეგლების აღწერილობაც. აქ ნახული ყველაზე უძველეს თარიღიან ხელნაწერი ეს იყო 913 წლის ქართული ოთხთავი. მას მოსვენებას არ აძლევდა ქართული უძველეს თარიღიანი 864 წლის ხელნაწერის გაცნობის სურვილი. ამიტომ შუამდგომლობდა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის დეკანის სახელზე სინასა და იერუსალიმში „სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრაზე დატოვებულის თვად ი. ა. ჭავჭავიძის მივლინებაზე 1 აპრილიდან 1 სექტემბერამდე სინასა და პალესტინაში ჩემთან ერთად ქართული და სომხური ხელნაწერების შესასწავლად წმინდა ეკატერინეს, აღდგომისა და წმინდა იაკობის (სომხური) ბიბლიოთეკებში, ისევე როგორც ივერიის მონასტერში და ამ მგზავრობისათვის აუცილებელი ხარჯების დანიშნით“.

ახალგაზრდა მკვლევარი მოგზაურობისა და ცოდნის დაგროვების უკეთესს ხანას ვერც ინატრებდა. ჭერ კიდევ ბერლინიდან დაბრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ უკვე დგებოდა საკითხი მისი ახალი მეცნიერული მივლინებისა ძველს კულტურის ცენტრში. სადაც მშობელი ხალხის წინაპრების რუდუნებითა და სამშობლოზე სიყვარულით ამდენი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მანუსკრიპტი იყო შემონახული. უსაზღვრო სიხარული მოუტანა ბერლინში ნიკო მარის 1902 წლის 4 იანვარს გამოგზავნილმა წერილმა, „მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტით ვერ გწერ ჭერ, მაგრამ მარტის ოცისთვის ფიქრში გქონდეს, იქნებ უცებ მოგწერო და წამოსვლა დაგჭირდეს პირდაპირ ოდესით“.

კითხვაც შეიძლება წამოიჭრას, რატომ სწორედ სინას მთით იწყებოდა ექსპედიცია?

რასაკვირველია, მათ იმიტომ. კი არ იზიდავდა ეს „წმინდა“ ადგილი, რომ თითქოსდა აქ ღმერთი გამოეცხადა ებრაელთა წინამძღოლს—მოსე წინასწარმეტყველს. მათთვის ეს ტურისტთა თვალის საამებელ ეგზოტიკურ სანახაობას სრულიადაც არ წარმოადგენდა. უძველესი ქართული ხელნაწერები სწორედ აქ იყო დაცული. სწორედ სინა იყო ყველაზე ადრეული და უშორესი ცენტრი საქართველოს კულტურული კავშირისა ქრისტიანულ აღმოსავლეთთან. ეს დიდი ხანია ცნობილი იყო ძველი და ახალი დროის მონაცემებით. სინას მთაზე მდებარე მონასტრები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქართულ საქრისტიანო მწერლობის განვითარებაში. სპეციალისტები თვლიან, რომ მისრის მიწაზე ქართველი საეკლესიო მოღვაწენი უკვე VI საუკუნიდან ჩანან, ხოლო ქართველთა სათვისტომო IX საუკუნიდან მაინც უნდა არსებულებოდა. ამის შემდგომ თანდათანობით დაწინაურდება სინის მთის კულტურულ-ლიტერატურული ცენტრი. ამას ხელს უწყობს ის, რომ პალესტინის სავანეთა ლტოლვილები ხშირად თავს აფარებენ სინას და არსებულ ეკლესიებს სწირავენ თავიანთ ხელნაწერებს. მარტო ამ გზით როდღე მდიდრდებოდა სინას მთის წიგნთსაცავი. აქვე ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა, იქმნებოდა ახალი წიგნები. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აქ მრავალ ენაზე მოღვაწეობდნენ ქრისტიანი მწერლები. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს გარეთ ყველაზე მეტი ქართული ხელნაწერი თავს იყრის სწორედ სინას მთაზე. სინას ყველაზე მაღალი მთის (2637 მ) ეკატერინეს მთის კალთებზე 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს წმინდა ეკატერინეს ეკლესია. ძველი საქართველოს მეფეები თავიანთ სიძლიერეს სინას მთის ამ ქართულ კოლონიაზე გაზრდილი ზრუნვით პასუხობენ. როგორც ივ. ჭავჭავიძელი აღნიშნავს (ქ. ერის ისტორია. ტ. II, 1965, გვ. 216), დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის მწვერვალიც დაიკავა, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, ვითომ ღმერთი მოსე

წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა, მისცა მათ ათი მცნება. სინაჲ ნახევარკუნძულის ამ ყველაზე უმაღლეს მწვერვალზე მან საუცხოო ქართული ეკლესია ააგებინა და ქართული წირვა-ლოცვითურთ შოაწყო. ჭაპაკვირველია, დავით აღმაშენებელი ამას ქრისტიანობის ზედმეტი სიყვარულისათვის როდი აკეთებდა. როგორც ივ. ჭავჭავიძე უწვინავე, „ყველა ამას და ამის მსგავსს, რა თქმა უნდა, მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს“.

1902 წლის 28 მარტს ნიკო მარის მეცადინეობით შეიქმნა ივანე ჭავჭავიძის ვიზა-პასპორტი ეგვიპტეში გასამგზავრებლად. შეუფერხებლად გააფორმეს ყველა საჭირო დოკუმენტი. ბერლინიდან დაბრუნებული ივ. ჭავჭავიძე ვერ ასწრებს წიგნები მიიღოს და პეტერბურგში დატოვოს. მას ახალი საინტერესო შეხვედრები და შთაბეჭდილებები ელის.

1902 წლის პირველ აპრილს ივ. ჭავჭავიძე სწერდა ივ. ნიქარაძეს: „ძმავანო, ოდესაში ვარ, ხვალ გავემგზავრებით დილაადრიანად. ჩინებული დარიღას“. ექსპედიცია 1902 წლის 3 აპრილს ოდესიდან გავემგზავრა წმინდა აღგილებისაკენ. აღდგომას გემზე ხვდებიან. 9 აპრილს იგი სტამბულიდან უგზავნიან ღია ბარათს ივ. ნიქარაძეს. 1902 წლის 16 აპრილს აღექსანდრიიდან იწერება: „ძმავანო! აქა ვარ და ორი საათის შემდეგ ქაიროში მივდივართ, ხვალზეც სუეცისაკენ დავიძვრებით“.

ქაიროში 24 აპრილამდე ელოდებიან სუეციდან მიმავალ გემს. 1902 წლის 23 აპრილს იგი იწერება: „ძმავანო, ხვალ ქაიროსაც ვტოვებთ და სინას მთისაკენ მივემგზავრებით, ერთი კვირა ქაიროში ვისხედით და ბევრი შესანიშნავი შენობები დავათვალიერეთ. მომწერე დაწვრილებით წერილი შენი გამოცდებისა და ჩემი წიგნების ბედიღბლის შესახებ“.

„ათასი მეჩეთის“ ქალაქი ექსპედიციის წევრებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. საკუთრივ ქალაქს, მართალია, მხოლოდ 67 წლის შემდეგ შეუსრულდება 1000 წელი, მაგრამ მის ირგვლივ ხომ ცივილიზაციის ყველაზე მდიდარი სიძველენია შენარჩუნებული. რამდენ ასოციაციებს აღძრავს ისინი. ნილოსი! სიცოცხლე; სიკეთე და სისუსტე ეგვიპტისა და სიმბოლო იმისა, თუ რა უნარს ამჟღავნებს ადამიანის შემოქმედებითი გენია არსებობისათვის ბრძოლაში. სინამდვილეში ეგვიპტე ხომ ვიწრო ზოლია მდინარის გაგრძელებაზე გაშლილი. სიცოცხლე იქ მთავრდება, სადაც უკვე ვეღარ სწვდება ნილოსის წყალი. ნამდვილი საკვირველებაა ოაზისი. გეომეტრიული სიზუსტით ხედავთ იმ საზღვარს, თითქოს მხატვრის ხელს რომ გაუელა. რაც უდაბნოსა და ოაზისს შორისაა: სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა, რასაკვირველია, ექსპედიციის წევრები ათვალიერებენ უპირველესად ეგვიპტის სახელგანთქმულ ეროვნულ მუზეუმს. აქ ხომ თავმოყრილია ეგვიპტურ სიძველეთა ყველაზე მდიდარი კოლექციები. თვითონ მისი შექმნის ისტორიაა ნიშანდობლივი. ფაქტიურად იგი 1858 წლიდან არსებობს. ოფიციალური გახსნა კი სწორედ 1902 წლის იანვარში მოხდა, ე. ი. რამდენიმე თვით ადრე ექსპედიციის ჩასვლამდე.

თითქოს შემთხვევითმა გარემოებებმა განაპირობეს ამ მუზეუმის ექსპონატების თანდათანობითი დაგროვება.

1855 წელს ეგვიპტეს ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმილიანე ესტუმრა. ხელივმა საიღმა სამეფო საჩუქრის სახით მას სახელმწიფოს კუთვნილი უმდიდრესი სიძველენი და ძვირფასეულობა აჩუქა. ორი წლის შემდეგ ნაპოლეონ III-მ

გამოთქვა სურვილი, დაათვალიეროს სასწაულების ქვეყანა. ახლა ქვეყნის წინ-
დაუხედავმა გამგებელმა, რომელსაც სრულიადაც არ აფიქრებდა ერის საკუთრე-
ბის ბედრი, გადაწყვიტა უფრო მეტი საჩუქარი უძღვნას საფრანგეთის პრინცს.
საფრანგეთში გასაგზავნად სიძველეთა შერჩევისათვის სუეცის არხის მშენებელმა
ფ. ლესეფსმა საფრანგეთიდან გამოიწვია ნიჭიერი არქეოლოგი ო. მარიეტი,
რომელიც ლუვრში მუშაობდა. გიზაში, საკარაში, კარნაქში და სხვ.
მან სიძველეთა და ძვირფასეულობათა შეგროვება დაიწყო. ეგვიპტის
საბუნებისმეტყველო, ნაპოლონ III არ ჩამოვიდა ეგვიპტეში. შეგროვებულ სიმ-
ღირდეთათვის შენობაც ააგეს. ოგიუსტ მარიეტის გარდაცვალების შემდგომ
მისი ადგილი დაიკავა უფრო სახელგანთქმულმა ფრანგმა არქეოლოგმა გასტონ
მასპერომ. მისი მეცადინეობით დიდად გამდიდრდა მუზეუმის კოლექციები
უშესანიშნავესი არქეოლოგიური ნაპოვნებით. ეგვიპტური მუმიები კაცობრიო-
ბის სასწაულია. ამ უძველეს ეგვიპტურ საიდუმლოებებს ხომ ყველაზე სასიკვ-
დილო დარტყმა ქრისტიანობამ მიაყენა. აქაა მუმიები ეგვიპტის 30 ფარაონისა.
მათ შორის რამზეს II-ის მუმიც... როცა ამ ყოვლისმძლე ფარაონის მუმისა ნახუ-
ლობ, მაშინ გრძნობ, რა ცვალებადია სამყარო, რა დროებითია დიდება.

თავიანთი სუბიექტური განზრახვის მიუხედავად, წარუხოცელი დიდების
ღირსნი არიან ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი და გერმანელი არქეოლოგები,
რომლებიც შესაშური შემართებით, სიბრძნითა და შორსმკვლევრობით ეძებდ-
ნენ. პოულობდნენ, იკვლევდნენ კაცობრიობის კეთვილ სიმდიდრეს და კვდებ-
ოდნენ ეგვიპტის მიწაზე, მათ შორის დავამ პირველობისათვის მხოლოდ სიკე-
თე მოუტანა კაცობრიობას.

უდიდესს შთაბეჭდილებას ტოვებდა ეგვიპტის ეროვნული მუზეუმი ოფიცია-
ლური გახსნის სამი თვის თავზე. ათასი წლების ხნიერების სიძველეებს ეგვიპ-
ტის მიწაში კარგად ინახავდა მხურვალე მწველი მზე, რომელიც იცავდა მას სი-
ნოტივისაგან. წვიმა, წყალი ხომ ყველაზე დიდი მტერია სიძველეთა შენარჩუნე-
ბისა.

კიდევ უფრო დიდი განცვიფრება ელოდათ ექსპედიციის წევრებს მემფი-
სის, საკარის ნახვით. აქაურობის მნახველი წარმოიდგენს იმ ხანას, როცა ასე
შეუვალი იყო ფარაონ რამზეს მეორის სამეფო ავტორიტეტი. რამზესი განსა-
ხიერებული პატივმოყვარეობაა. ამისათვის იგი არაფრის წინაშე არ ჩერდებო-
და. მისთვის ხელისუფლებას არ ჰქონდა რაიმე საზღვარი. იგი გამოხატულება
ხელისუფლებით გაუმამლარ პირთა, რომელთაც თვითონვე გამოგონილი თავიან-
თე უკვდავებისა სჭერათ, არც სიკვდილს ელიან და ისწრაფვიან მუღმივად იყვნენ
ამ ქვეყანაზე. აშინებთ მხოლოდ ის, როგორ შეძლებენ თანამედროვენი მათ გა-
რეშე ყოფნას. რამზესის ძეგლები, ღრმა ხანდაზმულობის დროისაც (66 წელი
იმეფა მან), ყოველთვის ახალგაზრდას წარმოგვიდგენს მას. ეს ძეგლები უკვდავე-
ბისათვის კი არ უნდოდა რამზესს, არამედ სიძლიერის გამოჩენისათვის სჭირდებ-
ოდა.

ყველაფერს კი გიზა აქარბებს თავისი კოლოსებით — ხეოფსით, ხეფრენი-
თა და მიკერანსით. გრანდიოზული ხეოფსი, 48 საუკუნის წინათ აგებული, უდი-
დესია პირამიდებს შორის, ყველაფრით გაკვირვებთ დიადი უბრალოების ეს
სასწაული, ყველაზე მეტად კი იმით, თუ როგორ ახერხებდნენ იმ ვითარებაში
უზარმაზარი ბლოკების უზალო პროპორციების შექმნას, ასეთს სიმალლეზე მათ
ატანას, თუნდაც მონების დიდი რაოდენობით თავმოყრისას. ზოგიერთი ბლოკი
ხომ 30 ტონასაც იწონიდა, პირამიდის სიმაღლე კი თითქმის 147 მეტრია.

გიზაში პირამიდების გვერდზე მათ ღარაჯად აღმართულია სფინქსის მძლავ-

ჩი ფიგურა ადამიანის თავითა და ლომის ტანით, უდაბნოს უსასრულობას რომ გასცქერის და უკლებლივ ყველა მნახველი რომ აღტაცებაში მოუყვანია.

ქაიროდან სუეცით ისინი მიემგზავრებიან სინას ნახევარკუნძულისაკენ. აქ კი უდაბნოს ერთფეროვანი გზა მათ აქლემებით იანვლეს. წინაპრების ცხოვრებასა და ნაშრომებთან შეხვედრის დიდი მიზანი ყველაფერს ავიწყებდათ. მალე წმინდა ეკატერინეს მონასტერიც ჩნდება. სულმოუთქმელად იწყებენ ნიკო მარი და ივანე ჭავჭავიძეილი მრავალსაუკუნოვანი ხელნაწერების ჩანაწერი ფურცლების გაცნობას, ათასზე მეტი წელი ადგილშეუცვლელად აქ რომ ელიან სამშობლო ქვეყნის შვილებს. მათ კი ახლა ნიკო მარი და ივანე ჭავჭავიძეილი გამოუგზავნიათ; სულმა და სისხლმა იგრძნო ნათესაობა პირველივე ქართულ ხელნაწერების გაცნობისას. სამშობლოდან ნებით წამოსულთ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფიქრი მის უკეთეს მომავალზე, წმინდა ადგილებში ყოფნითა და სწავლულ ქრისტიან მორწმუნეთა შორის შემოქმედებითი შეჯიბრებით მათ სამშობლოს სამსახური დაისახეს მიზნად. ისინი ცდილან ბერძნულ, სირიულ, სომხურ, ქრისტიანულ-არაბულ და კობტურ ხელნაწერების გვერდში მდიდრულად ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ხელნაწერები. ამასთან ამ მანუსკრიპტების მინაწერებსა და ანდერძებში გვაცნობენ თავიანთ ფიქრებს შორის მდებარე სამშობლოზე, „ყოველ ქართველზე“.

ქრისტიან ქართველ მოღვაწეთა სიყვარულს სამშობლოსადმი სინელი ბერი ლოცვით გამოხატავდა: „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა. ქამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობის დამტკიცებისათვის“ (სინის მთის ხელნაწერთა მარისეული აღწერა, გვ. 85).

ნიკო მარმა და ივანე ჭავჭავიძეილმა ქართული ხელნაწერები ორ თანაბარ ნაწილად გაიყვეს: პირველ ნაწილს ივანე ჭავჭავიძეილი სწავლობდა, მეორეს — ნიკო მარი. მონასტერში მუშაობის ადგილად მათ ის ოთახი გამოიყენეს, რომელიც სამკითხველო დარბაზის როლს ასრულებდა. ძველთაგანვე ხელნაწერების სარგებლობის მკაცრი წესებიც დაუდგენიათ აქ. მათი დარღვევისათვის წყევლა-კრულვა იყო სასჯელად. ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ესე მით დაეწერენ, რომელ ვინცა ვერ ხედვიდეს, რაჲცა უნდეს, აქაჲთ იტყოდის. ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხვასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ...ანუ ეკლესიასა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა...“ (ჭავჭავიძეილისეული სინის მთის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 124). ნიკო მარი და ივანე ჭავჭავიძეილი არ არღვევდნენ სინას მთის ხელნაწერ წიგნთსაცავების სარგებლობის წესებს, გარდა იმისა, რომ აღტაცებულთ ახალი ხელნაწერის მიგნებით, მისი საინტერესო მინაწერის წაკითხვით არ შეეძლოთ, ერთმანეთისათვის ხმამაღლა არ გაეზარებინათ თავიანთი აზრები. რამდენიმე საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც აქ არ ყოფილა ორი ქართველი ერთად. ვ. ვ. ვასილევსი, რომელსაც ქართული არ ესმოდა, შემდგომ წერდა, რომ მისი ყური მიეჩვია ქართულად წარმოთქმულ აღტაცებას, აგრეთვე გაკვირვებას, რაც აქ ხელნაწერების წინა აღმწერლის შეცდომების გარკვევისას წარმოითქმებოდა.

ხელნაწერების ეს უმდიდრესი სკრიპტორიუმი წიგნთა სარგებლობის განსაზღვრულ წესს გულისხმობდა იმითაც, რომ მათ ჰქონიათ წიგნთა კატალოგიც, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს.

დღეები დღეებს მისდევდა. წინაპართა ნაფიქრ-ნააზრების ახალი ფურცლე-

ბი იშლებოდა. ყველაზე დიდი სიხარულის განცდა წინ იყო. ჭერჭერობით ვერ მიაგნეს 864 წლის სინური მრავალთავს, რომელიც პირველად აღ. ცაგარელმა აღწერა. და სწორედ ამ ხელნაწერის ხელახალი მიგნება ივ. ჭავჭავიძე იწინააღმდეგებდა. ვინაიდან სწორედ მას ერგო აღსაწერად ეს უძველესი ხელნაწერი. აღტაცებული მოწაფე არა მარტო ზეიმით ამცნობს მასწავლებელს ამ დღემდე უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერს, არამედ უთმობს კიდევ მას აღსაწერად. ნიკო მარი დიდად მადლიერია მოწაფის ამ გადაწყვეტილებიდან, რომელიც სინაზე გამგზავრების მთავარ მიზნად სწორედ ამ ხელნაწერის გაცნობას სახავედა. სინას ხელნაწერების მარისეულ აღწერილობაში სწორედ პირველი სინური მრავალთავია აღწერილი¹.

ნიკო მარი ფრიად კმაყოფილია ივანე ჭავჭავიძეის მუშაობით. აკად. ვ. როზენისადმი გაგზავნილ წერილებში იგი საკვიროდ თელის აღნიშნოს, რომ „ჭავჭავიძეის დიდი ძალის ბეჭათად მუშაობს“, რომ „ჭავჭავიძეის მუშაობაში ძალიან ბეჭათი და ამტანი აღმოჩნდა“. და ა. შ. ამასთან ერთად, ნიკო მარი აღნიშნავს იმასაც, რომ ივანე ჭავჭავიძეის მგზავრობაში ჭანმრთელობის მხრივ სუსტი აღმოჩნდა. მართლაც, ივ. ჭავჭავიძეის ჭანმრთელობისათვის მავნებელი იყო შორეული და მოუხერხებელი მგზავრობა.

აკაკი შანიძემ ივანე ჭავჭავიძეის ნაამბობი გამოაქვეყნა 1941 წელს (იხ. ენიქის მოამბე, ტ 13, 1942 წ., გვ. 267—271) იმ მძიმე შემთხვევის თაობაზე, რომელიც მას 1859 წელს უნივერსიტეტდამთავრებულს შეხვდა ზაფხულში თბილისში დაბრუნებულს. ივ. ჭავჭავიძეის სოლოლაკში ერთ-ერთ საკონდიტროში ფუნთუშა შეუქამია, რასაც მისი მძიმე მოწამელა მოჰყოლია (იმ დღეს ამ საკონდიტროს ფუნთუშით სხვებიც მოწამლულა). ამ დროიდან მოკიდებული მთელი სიცოცხლე ივანე ჭავჭავიძეის იძულებული იყო მკაცრი დიეტა დაეცვა. გასაგებია, რომ ეს შეუძლებელი იყო სინის მთის მონასტრის პირობებში. რასაკვირველია, მონასტერში კვება საკმაოდ მოისუსტებდა. ივ. ჭავჭავიძეისათვის ძნელი იყო „მონასტრის უხარშავი ლობიო“, თან წაღებული საგზალი — ოთხი ყუთი „სარდინია“, ოთხი ბულიონი და ორი ყუთი შესქელებული რძე საქმარისი ვერ იქნებოდა. ივ. ჭავჭავიძეის, ბუნებრივია, გაუქირდებოდა ამ ვითარებაში. „სარდინიის გარდა არაფერს ჭამდა იგი“, — სწერდა ნ. მარი ვ. როზენს, მოწამელის შემდეგ არც ლეინო უსეამსო. ნ. მარს თან ლეინო ჰქონია წამოღებული და, როგორც გადმოცემით ამბობენ, როცა ერთ მუნჯ ბერს დაუნა-

¹ მრავალთავი ნიშნავს იმას, რომ იგი მრავალი ნაწარმოებისაგან არის შემდგარი. შინაარსით იგი წარმოადგენს მრავალ დღესასწაულობათა შემკობას, ძველად მრავალთავი ყველა მონასტრისა და დიდ საეპისკოპოსოს უნდა ჰქონოდა. სინური მრავალთავი 18 აქტორის 50 თბულულებისაგან შედგება. ის, როგორც აღვნიშნეთ, გადაწერილია 864 წელს იერუსალიმში საბაწმიდლის ლერამში, შემდეგ კი სინას მთის შესწირეს და თერთმეტ საუკუნეზე მეტია ინახება იქ წმიდა ეკატერინეს მონასტერში. ყველაზე საფუძვლიანი აღწერა სინური მრავალთავისა ეკუთვნის ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორს ეფრარ გარითს. იგი იყო წერი 1950 წელს ამერიკელთა მიერ ორგანიზებული ექსპედიციისა. ეს ექსპედიცია მოეწყო კონგრესის შიბლითოთის ფორმულბლიკაციის განყოფილების, ადამიანის შესწავლის ამერიკული ინსტიტუტისა და ალექსანდრიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით. ექსპედიციამ სინას მთაზე არსებული სხვადასხვა ხელნაწერების მიკროფილმები გადაიღო, ქართული ხელნაწერების გადაღებანს მიკროფილმებზე ხელმძღვანელობდა პროფ. ვ. გარითი. ეს მიკროფილმები ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველ ქართულ ენის კათედრამ აკად. ა. გ. შანიძის მეთაურობით 1959 წელს მეცნიერულად გამოისცა 864 წლის სინური მრავალთავის „სრული ტექსტი“, როგორც „დიდი განძი ქართული ენის ისტორიისათვის“.

ხავს, ივ. ჭავჭავიძევილი ღვინოს არ სვამდა, ხელებით უნიშნებია, რომ იგი მუსულმანია, ხოლო ნ. მარი ქრისტიანია.

ნიკო მარი უნაპირო ყურადღებას და ზრუნვას ამჟღავნებდა ივანე ჭავჭავიძევილისადმი. თავის მხრივ ივანე ჭავჭავიძევილიც ალტაცებული იყო ნიკო მარის დაუშრეტელი, ზღვა ენერჯით, მისი ანთებული ნიჭით და ოპტიმიზმით, რომელიც ყველა სიძნელეში პოულობდა გამოსავალს. სამთვიანი ერთობლივი მუშაობა იმასაც ადასტურებდა, თუ რა თავდავიწყებით უყვარდა მას საქართველოს ძველი კულტურული ფასეულობანი. ა. ა. ვასილიევი დიდ დახმარებას უწევს მათ ფოტოპირების გადაღებაში, სწორედ აქ გადაწყვიტა ივ. ჭავჭავიძევილმა კარგად დაუფლებოდა ფოტოსაქმეს და შემდეგ შესანიშნავი ფოტოხელოვანიც გახდა. სინაზე ძირითადად ტექსტების გადმოწერა ხელით ხდებოდა.

არა მარტო მდიდრული მონაპოვრით, არამედ უსაზღვრო მადლიერებით ტოვებენ ქართველი მეცნიერები სინას მთის ქართული კოლონიის ნამოღვაწარს, ტოვებენ, რათა გაახარონ თანამედროვე ქართველთა გული იმით, რომ მათი წინაპრები ქრისტიანული აზრის უძველეს ძეგლთა შენარჩუნებისა და გამდიდრების აქტიური თანამოღვაწენი იყვნენ.

ნიკო მარისა და ივანე ჭავჭავიძევილის სინას მთაზე ყოფნის ყველა შესაძლებელ ცნობას უსაზღვრო სიხარულით აქვეყნებდა მთელი იმდროინდელი ქართული პრესა, პირველ რიგში კი „ივერია“. „ივერია“ 1902 წლის 29 მარტის ნომერში წერდა, რომ პეტერბურგიდან სინას მთასა და იერუსალიმში ამ მოკლე ხანში უნდა გაემგზავრონ პროფ. ნ. მარი და მაგისტრანტი ივ. ჭავჭავიძევილი. ამ ცნობამ დიდად გაგვახარა, ვინაიდან მან გაგვახსენა ოლივერ უორდროპის სიტყვები, თუ რა მოუვლელ მდგომარეობაშია, მის მიერ მიღებული ცნობებით, ქართული ხელნაწერები სინაზეო. 1902 წლის 16 ივნისს „ივერია“ აღნიშნავდა საქართველოს მეცნიერთა ამ მგზავრობის დიდ მნიშვნელობას იმ ხელნაწერების ასაწერად, რომელიც კიდევ გადაარჩენია ქამთა ვითარების შემუსვრას და წარხოცვას, და დასძენდა: „ნ. მარის დახელოვნება და გულმოდგინება ამ საქმეში სრული თავმდებია იმისა, რომ ყოველივე საყურადღებო წვლილი ჭეოვნად იქნება მისგან გამოკვლეული და შესწავლილი“.

1902 წლის 25 ივნისს „ივერია“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ პროფესორი ნ. მარი და მაგისტრანტი ივ. ჭავჭავიძევილი, რომელნიც აპრილის დამდეგს გაემგზავრნენ სინას მონასტერში იქაურ ქართულ სიძველეთა გამოსარკვევად, ამჟამად იქ იმყოფებიან.“

ძველი ქართული ხელნაწერი ბევრი აღმოჩენილა ამ ქართველთა მონასტერში და გასარჩევად და გამოსარკვევად დიდს დროს თურმე ითხოვეს ახალგაზრდა მეცნიერთაგან (მართლაც ახალგაზრდები იყვნენ ისინი — ნ. მარს 38 წელი არ ჰქონდა შესრულებული, ხოლო ივ. ჭავჭავიძევილი 26 წლისა იყო. — ს. ჯ.), რომელნიც სინაზე დარჩებიან კიდევ 15 ივლისამდე, ისე რომ იერუსალიმისა და მის ახლო-მახლო ქართული მონასტრების სიძველეთა გამოსარკვევად საკმაოდ დრო დარჩებათ“.

1902 წლის 16 ივლისის გაზეთი „ივერია“ წერდა: „იერუსალიმიდან ცნობა მოგვივიდა, რომ ნ. მარი და ი. ა. ჭავჭავიძევილი აგვისტოს 15-მდე ძლივს შეისწავლიან იმ აუარებელ მასალას, რომელიც მათ ჰნახეს წმიდა ქვეყანაში.“

ქართული მწერლობის ნაშთების მოკლე აღწერა დიდი წიგნი გამოვაო, ქართული კატალოგი გადააქარბებს, სიდიდითა და ნომრების რაოდენობით, თვით ასურულსა და არაბულს კატალოგებსაც კიო“.

სინაზე ივ. ჭავჭავაძის შვილი მრავალ გულთბილ წერილს იღებს ახლობლები-საგან, მეგობრებისაგან.

1902 წლის 13 მაისს აფორიაქებული დედა სწერდა უფროს ვაჟიშვილს: „შენ გენაცვალე, გაფრთხილდი. მანდ ამბობენ ძალიან სიცხე თურმე იცის, ავად არ გახლდე“.

იმავ დღეს გიორგი ჭავჭავაძის შვილი სწერდა თავის უფროს ძმას: „შენი წიგნები უცნუნროთვე შენი წასვლის შემდეგ მეორე დღესვე მე და ნიჟარაძემ ერთად გამოვიტანეთ ტამოქნიდან და ყველა ბარგთან ერთად გადავიტანეთ მარის ცოლთან“. იგი მას ბოდიშს უხდის, რომ მის სახელზე მოსული წერილი გახსნა ივ. ნიჟარაძის რჩევით, ვაი თუ რამე სასწრაფო იყოსო, მაგრამ სათაურითვე შეაჯყო, რომ პირადი იყო და არც კი წაუკითხავს, ნანობს, რომ არც უნდა გაეხსნა. ივ. ჭავჭავაძის საპიროდ თვლის ყველა წერილს უპასუხობს. სინას მთიდან 1902 წლის 22 ივნისს ივ. ნიჟარაძისადმი გამოგზავნილი წერილი მალა-ლი მეგობრობის ნათელი დადასტურებაა. ივ. ჭავჭავაძის კი არ აღწერს თავის შთაბეჭდილებებს, არამედ მეგობრისათვის სულიერი მხარდაჭერა მიიჩნია მთავარ საკითხად, როცა ხედავს, რომ სადიპლომო გამოცდებთან დაკავშირებით მას სიძნელებები გასჩენია. იგი სინას მთიდან ივ. ნიჟარაძეს პასუხობს: „დიპლომის შესახებ ნუ დალონდები. გამოცდის დაქერის დროს ხშირად და უმეტესადაც შემთხვევითობასა აქვს გავლენა, და არავის არ შეუძლიან დაბეჭოთებით თქვას, რომ სრულებით უნაკლოდ შეეძლოს გამოცდის დაქერა. საკვირველია მხოლოდ, რომ ერთი საგნის გულისათვის დიპლომი არ მიუტიათ, მაგრამ ეხლა საქმე აღარ გაუწყობა და ისევე სჯობია სპარსული ანდაზა მოვიგონოთ, რომ წარსულის შესახებ სინანული სარგებლობას ვერ მოიტანს და ვერც უშველისო და ისევე მემარისზე ვიფიქროთ: ჩემის აზრით უკეთესია პეტერბურგში დარჩე ამ ზამთრად“. ვინაიდან თუ გიმნაზიის მასწავლებლობაში ჩაერთობი, მწელი იქნება შემდგომ გამოცდებისათვის მომზადებაო და იქვე ურჩევს: „მხოლოდ საპირაო ხაზინადარობასა და საღამოს გამმართველი კომისიის წევრობაზე უარი თქვა, თორემ მოსვენებას არ მოგცემენ და მეცადინეობა ბეჭითად შეუძლებელი იქნება“. იგი ამშვილებს მეგობარს: „სექტემბრის დამლევამდე მოიფიქრე და მერმეც მე და მარიც ჩამოვალთ, საქმეს მოვახერხებთ. მარმა თქვა: იქნება რამე ადგილი ვუშოვნოო. ჩამოსვლისას მოვილაპარაკებთ ბინაზე და მეცადინეობაზე. მე რამდენიმე გეგმა მაქვს. იქნება ერთად დავიჭიროთ ოთახები: ჩვენ აქ კიდევ ერთ თვეს ვრჩებით და პრეკლ კატალოგს ვაღვენთ“. ტერიტორიიდან გაუსვლელი მუშაობის შემდგომ, ისინი აქლემებით მიემგზავრებიან სუეცამდე, მაგრამ მალე იძულებული ხდებიან აქ დაყოვნდნენ: შავი ჭირის კარანტინს მალე ქოლერის კარანტინი ცვლის. ექსპედიციის წევრები დიდად შეაშინა შავი ჭირისა და ქოლერის კარანტინმა იმის გამო, რომ დუხინფექციას ნეგატივებისა და ხელნაწერების დანიანება არ მოპყროლა. ალექსანდრიიდან ივ. ჭავჭავაძის სამშობლოში გამოემგზავრა. ნიკო მარის ყურადღება იმაშიც გამოჩნდა, რომ მან, რაც ჰქონდა, მთელი ფული ივანე ჭავჭავაძის დაუთმო, რომ მას შინის მოხერხებინა სამშობლოში დაბრუნება. ფული ივ. ჭავჭავაძის შვილს სემოქლეხია იმის გამო, რომ რუსეთის საზღვაოსნო სააგენტოს უარი უთქვამს მისთვის უფასო ბილეთზე, ნ. მარი კი ალექსანდრიიდან იერუსალიმისაკენ გაემგზავრა. სექტემბრის დასაწყისისათვის ივ. ჭავჭავაძის უკვე პეტერბურგშია. „ივერია“ 1902 წლის 10 სექტემბრის ნომერში წერდა: „ამ დღეებში დაბრუნდა სინას მონასტრითგან ბ-ნი ჭავჭავაძის შვილი, რომელიც პროფ. ნ. მართან ერთად იკვლევდა იქაურ ქართულ ხელნაწერებს.“

ხუთი თვეა რაც ეს ორი სწავლულნი წასულნი იყვნენ ამ საქმეზედ. ორი თვე გზას მოუდნენ. სამ თვეს იკვლევდნენ ხელნაწერებს. სულ 180-მდე ხელნაწერი აღმოჩნდა იქ. მათ შორის ძალიან საყურადღებო არიან თურმე ეტრატზედ ნაწერნი. კატალოგი დაიბეჭდება ამ ერთი წლის განმავლობაში და გამოვა 500—600 გვერდიანი წიგნი. შიგ ჩართული იქნება სურათები და ნახატები საყურადღებო ნაშთებისა. ნ. მარი რამდენიმე კვირით იერუსალიმს გამგზავრებულა“.

1902 წლის აგვისტოში ბრუნდება ივანე ჭავჭავიძევილი ექსპედიციიდან. ყველაზე გვიან ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ნ. მარი ბრუნდება პეტერბურგში 1902 წლის 14 ნოემბერს.

„ივერიის“ ცნობა ივ. ჭავჭავიძელთან ინტერვიუს შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, მასწავლებელს და მოწაფეს მოფიქრებული ჰქონიათ ერთობლივად გამოეცათ სინას მთის ქართული ხელნაწერების აღწერილობა ერთი წლის მანძილზე. ამ განზრახვას განხორციელება არ ეწერა. მეტიც, ვერც ერთი მკვლევარი ვერ მოესწრო სიცოცხლეში ხელნაწერების, მათი აღწერილობის სტამბურად დაბეჭდვას, ეს კია, რომ თვითონ მათ და სხვა დაინტერესებულ პირთ სრული საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ თავიანთ ნაშრომებში ამ ხელნაწერებით. ნაწილი ხელნაწერებისა მათ თავიანთ მოწაფეებს დაუთმეს გამოსაქვეყნებლად. მარისეული აღწერა სინას მთის ხელნაწერებისა 1940 წელს გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ აკად. ი. კრაჩკოვსკისა და პროფ. ი. მეგრელაძის რედაქციით, ხოლო ჭავჭავიძელისეული აღწერა—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით. წიგნი დასაბეჭდად ივ. ჭავჭავიძელის სახელობის კაბინეტმა მოამზადა.

შემაჯამებელ შედეგებს სინასა და იერუსალიმში სამეცნიერო ექსპედიციისას აკადემიური წრეები გაეცნო პროფ. ნ. მარის მიერ 1903 წლის 23 თებერვალს არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე წაკითხული მოხსენებით, რომელიც შემდეგ „პალესტინის საზოგადოების უწყებებში“ დაიბეჭდა (1903 წ. XIV ნ. 2). მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებას წინასწარი ანგარიშის ხასიათი ჰქონდა, იგი კარგად წარმოგვიჩინდა სინას ნახევარკუნძულზე ივ. ჭავჭავიძელთან ერთად ნიკო მარის მიერ ჩატარებულ მუშაობას და იმ არანაკლებ დიდ შედეგებს, რაც ნ. მარის იერუსალიმში ყოფნას მოჰყვა.

გასაგებია, რომ ამ მოხსენებამ ალაფრთოვანა ქართველი ახალგაზრდობაც, რომელთა შორის შემდგომ ძველი ქართული აზროვნებიც ცნობილი მკვლევრები გაიზრდებიან.

თვით რუსეთის ოფიციალური მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურები აღიარებენ ამ ექსპედიციის შედეგებს იმით, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ხსნიან „ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის ისტორიის კათედრას (ქართული ეკლესიის ისტორიასთან ერთად)“. ფართო საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა ამ მეცნიერულ ექსპედიციას. უძველესი ქრისტიანული მწერლობის კორიფე ა. ჰარნაკი, აღფრთოვანებული ნ. მარის მეთავეობით განხორციელებული ექსპედიციის შედეგებით, წერდა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველესს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონდა ჩვენთან, და ახლოს გავცაცნონ მისი საუნჯე“.

ქართული ქრისტიანული მწერლობის შესწავლას უაღრესი მნიშვნელობა

ენიკება მთლიანად საქრისტიანო აზროვნების ისტორიისათვის. აქ კი თავიანთი მოღვაწეობა სინაზე ყოფნით და იქაურ ხელნაწერთა აღწერით სრულიადაც არ დაუმთავრებიათ ივ. ჭავჭავაძისა და ნ. მარს. ამ უკანასკნელმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ხელახალი მიგნებით და გამოცემით უდიდესი სამსახური გაუწია მთელს ქართულ კულტურას. ივ. ჭავჭავაძის მიერ შედგომ არ უშვებს შემთხვევას, აღნიშნოს ნიკო მარის ეს „საუცხოო გამოცემა“.

აქ ყველგან, ყველგანვე გამოსტკევივის ნიკო მარის უნაპირო სიყვარული ქართული კულტურის ძეგლებისადმი.

მისი დაუშრეტელი ენერჯია და ეს სიყვარული იყო იმ დიდი შემოქმედებითი სიხარულის სათავე, რომელიც მას ელოდა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში გრიგოლ ხანძთელის ტექსტის პოვნით. დიდ განმანათლებელთან პირველი შეხვედრა, ყველა მოწმის გარეშე და დაუგვიანებლივ რომ მოხდა, ეს უსაზღვრო აღტაცების წუთები იყო. მას დაბრუნებისთანავე შეეძლო ამ ტექსტის გამოცემა. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დადგენილება ამის თაობაზე უკვე 1903 წლის 25 სექტემბერს გამოიტანეს. ნიკო მარი არ ჩქარობს, თუმცა ინტერესი განუხრებლად ძლიერდებოდა და ფართოდებოდა ამ ხელნაწერისადმი. ახლა იგი 35 დღის განმავლობაში ათვალიერებს იმ მხარეს, რომელიც ხანძთელის მოღვაწეობის გეოგრაფიულ არეალს ეხება. აქ შეუშთსა და კლარკეთში ნ. მარი წარმოგვიდგება არა მარტო როგორც შესანიშნავი ლინგვისტ-დამკვირვებელი, ეთნოგრაფი და ისტორიკოსი, არამედ ამასთან, ნამდვილი ოსტატურ მხატვრული სიტყვისა. გულისღელვით მოვიდა იგი აქ, რომ გონების თვლით აღადგინოს ათი საუკუნის წინანდელი კულტურული მოღვაწეობა საქართველოს ამ დაწინაურებულ მხარეში.

ხშირია სრული იმედის ვაცრუებაც, აქ მცხოვრებ თანამედროვეთა არა თუ უპატივემლობა, ნამდვილი თავაწყვეტილობა გამოჩენილი წარსულის შესანიშნავ ძეგლთა მიმართ.

რომ არ დავამახინოთ პირველი შთაბეჭდილების განცდები, მოვუსმინოთ თვითონ ნიკო მარს. ხანძთა მასზე ტოვებს შთაბეჭდილებას, როგორც უცილურესი ასკეტიზმის ადგილი. როცა ნიკო მარს შატბერდში ადგილობრივმა თანამგზავრმა შესთავაზა ეკლესიის ეზოში გავათენოთ ღამეო, ამ გეგმამ ნიკო მარი დიდად გაახარა: „გრიგოლ ხანძთელის სტუმრად“ გავიფიქრე მე, შატბერდისეული კრებულის შემდგენელის და გადამწერტა სტუმრად, გამიელვა აზრმა და მე მომეჩვენა, რომ ჩემი ფიზიკური დაღლილობა ქრება ერთ დროს აყვავებულ ქართული კულტურის დავიწყებულ მუშაკთა შეხვედრის წარმოდგენისაგან. უფრო ადრე საუანის დანახვისას მე თანამედროვე სამყაროს განდევილობის განწყობილებამ მომიცვა, რომ ვიგრძენი ისეთი სიახლოვე წარსულის სინამდვილისა ამ განდევილობის კუთხისა. რომ, ვგონებ, მე არ გამიკვირდებოდა გამოჩენა თვითონ ხორცშესხმულ გრიგოლ ხანძთელისა ჩემ მიერ დასმული კითხვის პასუხად, რომელმაც აქ მომიყვანა: „სადაა შატბერდი“?

იმის მიუხედავად, რომ გრიგოლი ხანძთელად იწოდა, რომ ხანძთა ეს მისი პირშია, შატბერდი ჩემს წარმოდგენაში უფრო მკვიდროდა დაკავშირებული გრიგოლთან, იგი, როგორც მეჩვენება, უფრო ელოლიავებოდა შატბერდის მონასტერს, ვიდრე ხანძთას... მე აღტაცებულმა გადავლახე ქიშკრის ზღურბლი, სული ზეიმობდა, მე აცრემლებამდე ამიჩუყდა გული იმის შეგრძნებით, რომ შეედივარ განათლების ძველი მუშაკების ინტიმურ სამყაროში.

მაგრამ ვაი, რომ მთელი ეს განწყობა ერთბაშად გაქრა და მე აღუწერლად გავლიზიანდი, როცა დაეინახე რომ შატბერდის ეკლესიის ეზო თავლადაა გადაქ-

ცეული, სიბინძურეთა თავმოყრის ადგილად, სამრეკლო კი სათივედ გაუხდიათ. ტაძრის შიგნით შეხედვა შეუძლებელი იყო, ღვთისმშობლის ეკლესიაში საკურთხეველის ამალგებულ აღმოსავლეთ ადგილას აგდია ამძორებული თხა, ირგვლივ ნეხვია“.

ქრისტიან ნიკო მარის აღშფოთებას მარტო ის მოჰყვა შედეგად, რომ თანამგზავრმა მუხტარმა კაცი გაგზავნა სოფელში საყვედურებით ხასან რეჟებოლთან, რომელმაც სამრეკლო მიითვისა და იგი სათივედ აქცია.

ნიკო მარის ფუნდამენტურმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ“ ალტაცებაში მოიყვანა სპეციალისტები. ერთი წლის შემდეგ, 1912 წელს, იგი ხომ რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრი ხდება. ივანე ჭავჭავაძის შვილი ყველგან და ყოველთვის უსაზღვრო ალტაცებას გამოთქვამდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ამ გამოცემით და მიაჩნდა იგი ნიკო მარის წარუხოცელ დამსახურებად ქართველი ხალხის წინაშე. მთლიანად უნდა დავეთანხმოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებს: „ნიკო მარს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისათვის (მაგრამ რამდენი კიდევ სხვა გააკეთა), ისიც კმაროდა, რათა მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით“. ამ ნაშრომმა სიდიადე მოუტანა მის გამომცემელს, მთარგმნელს, კომენტატორს და წინასიტყვაობის ავტორს. ეს ხომ ერთი კაცი იყო — ნიკო მარი! მაქსიმ გორაკი თვლიდა, რომ დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ნიკო მარი ბრწყინვალედ თარგმნის რუსულად, როგორც ჩანს, შესანიშნავ ორიგინალურ ნაწარმოებებსო. სინას სამეცნიერო ექსპედიციამ არა მარტო დიდება მოუტანა მის წევრებს, ქართველი ხალხის მეცხიერებაში სამუდამოდ ერთად აღბეჭდა ნიკო მარისა და ივანე ჭავჭავაძის სახეები. ამ ექსპედიციამ, ელ. მეტრეველის სწორი სიტყვებით, დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ევროპელი ორიენტალისტების ჩამოშორებაში ევროპოცენტრიზმის პრინციპებიდან და ქართველოლოგიის ღრმა შესწავლის საერთაშორისო მნიშვნელობა აჩვენა.

თ ა ვ ი III. პრივატ-დოცენტის წოდებაში

საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტობა არ განიხილებოდა როგორც სახელმწიფო სამსახური. იგი წოდება იყო. ამასთან, ექსტრაორდინალური და ორდინალური პროფესორის შემდეგ, ის ყველაზე გავრცელებულა სახეა უნივერსიტეტის ლექტორისა.

1884 წლის საუნივერსიტეტო წესდებით პრივატ-დოცენტური სალექციო კურსები უნდა განვითარებულიყო პარალელურად ძირითადი საპროფესორო კურსებისა. იმ ვითარებაში, როცა ლექციებზე დასწრება სავალდებულო არ ყოფილა, ამ გზით უნდა გაშლილიყო თავისებური მეცნიერული შეჯიბრება ფაკულტეტზე.

პრაქტიკაში ეს მიზანი დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, ვინაიდან ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერები ადვილად ვერ იღებდნენ არასავალდებულო კურსებსაც კი. ამას ემატებოდა ანაზღაურების დანიშვნა უნივერსიტეტისა და სამინისტროს ხელმძღვანელების სუბიექტური შეხედულებებით. ამასთან, საუნივერსიტეტო წესდებით დეკანი და რექტორი ახორციელებდნენ ზედამხედველობას პრივატ-დოცენტის მიერ სასწავლო მუშაობის ჩატარებაზე. აქ მათ ფართო უფლებები გააჩნდათ. მათ შეეძლოთ, თუკი აღმოაჩენდნენ, რომ

პრივატ-ლოცენტი ასწავლის ისე, „რაც არ ესაღებება საგნის ღირსებას, ანდა მავნე მიმართულებით“ შეეხსენებინათ ამის შესახებ პრივატ-ლოცენტისათვის, მაგრამ თუ ეს შეხსენება შედეგს არ მოიტანდა, უნდა მოეხსენებინათ სასწავლო ოქტის მზრუნველისათვის, რომელიც ჩამოაშორებდა პრივატ-ლოცენტს სწავლებისაგან და თავის მხრივ იგი ამის შესახებ მინისტრს მოახსენებდა. მაგრამ არამართო რეპტორისა და დეკანის წარდგინებით შეეძლო ასე მოქცევა მზრუნველს, მას წესდების 111-ე მუხლით მინიჭებული ჰქონდა უფლება, საკუთარი ინიციატივით გადაეყენებინა პრივატ-ლოცენტი საგნის სწავლებისაგან, თუკი დაინახავდა, რომ „პრივატ-ლოცენტის მხრივ სწავლება აშკარად მიმართულია მსმენელებს შორის მავნე შეხედულებათა გავრცელებისაკენ“. ამ ვითარებაში მზრუნველი დაუყოვნებლივ უკრძალავდა პრივატ-ლოცენტს ლექციების კითხვას. ასეთი დეტალურობით აცხადებდა საქვეყნოდ 1884 წლის წესდება იმას, რომ ახალგაზრდა ლექტორებს არაფერი ეთქვათ არსებული წყობის საწინააღმდეგოდ. რიგ შემთხვევაში ხომ ახალ მეცნიერულ აზრს არსებული წყობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდნენ. არა ზრუნვა აზრისა და ახალი მიმართულების დინამიკურ განვითარებაზე, არამედ პოლიციური მეთოდებით ბრძოლა პროგრესული პრივატ-ლოცენტების წინააღმდეგ აწყობდა მეფის ხელისუფლებას. არსებითად სტუდენტებზე დაწესებულ ზედამხედველობაზე ნაკლებად შეურაცხყოფელი არ ყოფილა ზედამხედველთა მზრუნველობა პრივატ-ლოცენტებზე. ამასთან პრივატ-ლოცენტი, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე ნახევარი წლის განმავლობაში არ წაიკითხავდა ლექციებს, კარგავდა ამ წოდებას, ხოლო თუ ნახევარი წლის დამთავრებამდე შეწყვეტდა ლექციებს, კარგავდა იმ უფლებას ანაზღაურების მიღებაზე, რომელიც მას ეკუთვნოდა.

პრივატ-ლოცენტად ის პირი შეიძლება გადახდარიყო, ვისაც სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა, ანდა სხვა უმაღლესი სკოლის პროფესორი იყო. პრივატ-ლოცენტად შეიძლება აგრეთვე გამხდარიყო პირი, რომელსაც არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული დისერტაციის დაცვის შედეგად, მაგრამ ჩაბარებული ჰქონდა სამაგისტრო ზეპირი გამოცდები.

მართო მაგისტრანტის წოდებაზე გამოცდების ჩაბარება პრივატ-ლოცენტის წოდებას როდი იძლეოდა. ამასთან ერთად საჭირო იყო უნივერსიტეტს გაეცა მოწმობა პრივატ-ლოცენტის წოდებაში სწავლების უფლების შესახებ. ამისათვის კი მაგისტრანტს ორი საცდელი ლექცია უნდა წაეკითხა. აქედან ერთი ლექციის თემა თვითონვე უნდა შეერჩია, ხოლო მეორე — ფაკულტეტს.

პირი, რომელსაც პრივატ-ლოცენტად გახდომა სურდა, ფაკულტეტს მიმართავდა განცხადებით. მასში უნდა აღენიშნა, რომელ საგანში აპირებდა იგი მომავალში ლექციების კითხვას.

ივანე ჯავახიშვილი თავის განცხადებაში ასახელებს სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრას, სადაც იგი მომავალში აპირებს სხვადასხვა სპეკულრის წაკითხვას. ფაკულტეტმა მას 1 ნომბერს დაუნიშნა პირველი საცდელი ლექცია, ხოლო მეორე—18 ნომბერს. პირველი ლექციის თემა თვითონ მან შეარჩია: „ქართული ეკლესიის რეფორმა XI საუკუნეში“, ხოლო მეორე ლექციის თემა—ფაკულტეტმა: „სტეფანოს ორბელიანის ისტორია, როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისა“.

ორივე ლექცია ფაკულტეტმა საეხებით დამკამყოფილებლად სცნო და ჩათვალა, რომ ლექტორს უეჭველი ნიჭი აქვს ლექციის კითხვისა. ამასთან, მიიღო რა მხედველობაში, რომ ამ დროისათვის იგი იყო ავტორი რამდენიმე ნა-

შრომისა რუსულ, გერმანულ და ქართულ ენებზე, იშუამდგომლა მისთვის პრივატ-დოცენტის წოდების მინიჭებაზე. 1903 წლის 1 იანვრიდან ივანე ჯავახიშვილი სახელოვანი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია მთელი 15 წლის განმავლობაში. 1903 წლის 25 თებერვალს მას დაენიშნა წლიური ანაზღაურება 1200 მანეთი.

პრივატ-დოცენტად გახდომა პირს არ შეეძლო უფრო ადრე, ვიდრე უნივერსიტეტის დამთავრებიდან სამი წელი არ გავიდოდა. სწორედ სამი კალენდარული წლის დამთავრებისთანავე ხდება ივანე ჯავახიშვილი პრივატ-დოცენტი. გასაგებია, რომ წარჩინების ეს შესანიშნავი გზა შეუშინეველი არ დარჩენია პეტერბურგის ქართულ საზოგადოებას და საქართველოს პრესას. ისინი სტატუსტო უნივერსიტეტში ახალი ქართველი მეცნიერის გამოჩენას სიამაყითა და სიხარულით ხვდებიან.

საკუთარი ნაბით შერჩეული საცდელი ლექცია

პრივატ-დოცენტობისათვის ერთ-ერთი (საცდელი) ლექციის თემას, როგორც აღენიშნეთ, პრეტენდენტი თვითონ ირჩევდა. ასეთად ივ. ჯავახიშვილმა აიღო თემა სახელწოდებით: „ქართული ეკლესიის რეფორმა მეთერთმეტე საუკუნეში“. გასაგებია, რომ ავტორს სრულიადაც არ იზიდავდა საკუთრივ თემის კონფენსიური ხასიათი, პირიქით, როგორც მისი შინაარსის გაცნობა გვიჩვენებს, იგი სწორედ არსებული საეკლესიო წყობის კრიტიკით წარმოგვიჩენს XI საუკუნის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა წინააღმდეგობებს. ჯერ კიდევ XI საუკუნეში საეკლესიო რეფორმის ჩვენებით ავტორი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს პროცესი საქართველოში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. ამით უარყოფილია შეხედულება აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესიის უძრავობის შესახებ. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს იმდროინდელ საქართველოში მაღალი დონე აგიოგრაფიული ლიტერატურისა, ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა. აქ ლექტორს სრული საშუალება ეძლევა გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა. ლექციის მთავარი ძარღვი გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის ფონზე იშლება. ქართულად ეს ლექცია დამოუკიდებელი სახით არ დაბეჭდილა. მისი ცალკეული დებულებები და ნაწილები შემდგომ შევიდა „ქართული საისტორიო მწერლობისა“ და „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში. რუსულად პირველი საცდელი ლექციის ძირითადი ტექსტი დაიბეჭდა „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის“ 1904 წლის თებერვლის ნომერში სახელწოდებით: „საეკლესიო რეფორმის ისტორიისათვის ძველ საქართველოში, გიორგი ათონელი“.

ივანე ჯავახიშვილი იწყებს იმ შეხედულებათა კრიტიკით, რომ თითქოს მას შემდეგ, რაც გაძლიერდა აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესია, მან მიიღო სტერეოტიპული ფორმები და გაქვავდა, ევროპაში კი შეუწყვეტლად მიმდინარეობდა ბრძოლა საეკლესიო რეფორმისათვის. გავრცელებულია აზრი, რომ ეკლესია ითვისებდა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ინსტიტუტის ფორმას და ხდებოდა არისტოკრატიული დაწესებულება. ამ შეხედულების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ მეტად სუსტადაა შესწავლილი აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, კერძოდ ქართული, სომხური და სირიული ეკლესიებისა. ამ ეკლესიათა ისტორიის ამსახველი პირველწყაროების გაცნობა წარმოგვიჩენს აღმოსავლეთში რელიგიურ-ზნეობრივი იდეალებისათვის, სასულიერო იერარქიის რეფორმისათვის და ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის

ბრძოლის სურათს. საქართველოში მსგავსი რეფორმაციული მოძრაობის სურათს წარმოგვიდგენს თავის ლექციაში ივანე ჭავჭავაძის შვილი.

ქართული ეკლესია, ისე როგორც სომხური, თავისი არსებობის ძველ პერიოდში, თავისი მკაცრად განსაზღვრული წოდებრივი წყობით უფრო რომაულ ეკლესიას ჰგავდა, ვიდრე ბიზანტიურს. მღვდლიდან დაწყებული ეპისკოპოსითა და კათალიკოსით დამთავრებული, ყველა არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მხოლოდ აზნაურული წარმოშობის პირთ შეეძლოთ ეოცნებათ სასულიერო მოღვაწეობაზე, ასე იყო VII საუკუნიდან XI საუკუნემდე. ეკლესიის მსახურთა ამგვარ არისტოკრატიულ წარმოშობას ის მოჰყვა შედეგად, რომ მათ თავიანთი იერარქიული ცნებები და ჩვევები გადაჰქონდათ საეკლესიო ურთიერთობაზე. მეტიც, როგორც სასულიერო იერარქებს, მათ თავიანთი საეკლესიო ქონება და ციხეები გააჩნდათ, თავისი შეიარაღებული პირებიც ჰყავდათ, რომელთა გამოყვანა შეეძლოთ მტრობის დროს. ერთი სიტყვით, მათ არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ხელისუფლებაც ჰქონდათ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ საქმეებში და იმყოფებოდნენ იმ ფეოდალებს შორის, რომლებიც მეფეს ებრძოდნენ, ანდა მონარქიის პომხრენი იყვნენ. ივანე ჭავჭავაძის ამ დებულებათა დამახასიათებელი ისტორიული ფაქტები მოჰყავს გამოდიოდა, რომ, მაგალითად, ეპისკოპოსები არ კმაყოფილდებოდნენ თავიანთი ზეგავლენით სასულიერო სფეროზე, ისინი იარაღით ხელში ცდილობდნენ საერო საქმეებში თავიანთი სიმპათიები ანდა ანტიპათიები გამოეხატათ. ამას ერთვოდა ნამდვილი სიმონია, ე. ი. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა, რაც მდიდართ და შეძლებულთ ყოველგვარი თანამდებობის დაკავების უფლებას აძლევდა, ამგვარ თანამდებობებს თვით მეფეც ჰყიდდა. ამ გადაგვარების წინააღმდეგ ხმა აღიმალა მეთერთმეტე საუკუნეში სახელგანთქმულმა ქართველმა ფილოლოგმა, მრავალრიცხოვანი ფუძემდებელი შრომების ავტორმა, ქართული და ბერძნული ენების უბადლო მკოდნემ გიორგი ათონელმა, რომელსაც უფრო ხშირად მთაწმიდელს უწოდებენ. ლექცია გიორგი ათონელის (მთაწმიდლის) მოღვაწეობის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ასპექტს — ამ გამოჩენილი პიროვნების რეფორმისტულ მოღვაწეობას ეძღვნება გიორგი ათონელი დიდებულთა წრიდან იყო წარმოშობილი. მამამისი იაკობი მეფე გიორგი I-თან დაახლოებული პიროვნება იყო. დედ-მამამ, მიცემული აღთქმის შედეგად 7 წლის შვილი ჭერ ტაძრისის მონასტერში გაგზავნა. ხოლო შემდეგ ხახულის მონასტერში, სადაც 10 წლამდე მას ზრდიდნენ მისი ბიძები. აქ ის უკვე განათლებას იღებს ცნობილ ღვთისმეტყველებთან. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მიჰყვება ბიძას ბიზანტიაში, სადაც დაჰყო 12 წელი, უნაკლოდ შესწავლა ბერძნული ენა და „ბრძენთა და რიტორთა“ დამოძღვრით მიიღო ღრმა ფილოსოფიურ-სქოლასტიკური განათლება. როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, დედა ცოცხალი აღარ დახვდა. ამან გადააწყვეტიხა გაშორებოდა სამშობლოს, იგი გამოემშვიდობა მამას და წავიდა ისევე ხახულში თავის მეორე ბიძასთან და ოცდახუთი წლის ასაკში შედგა ბერად. მალე აქედან ფარულად გაიპარა შავ მთაზე. აქ იგი კვლავ აღრმავებს თავის ცოდნას. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა წასულიყო ათონის მთაზე და განეგრძო ეფეთიმე მთაწმიდლის მიერ დაწყებული მთარგმნელობითი მუშაობა. ათონზე გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობას პოლიტიკურ-ეროვნული სახე ჰქონდა. ამ პერიოდში ქართველთა ლავრა ათონის მთაზე გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. ათონის მონასტერს უადრესად მომხიბლავი მდებარეობა ჰქონდა: წინ თვალუწვდენელი ზღვის სივრცე, გარშემო საუცხოო მცენარე-

ულობა და ტყე, დედამიწის მშვენიერება, ზღვის სიდიადე და ჰაერის სამფლობელოს დაუსრულებელი სასუფეველი ერთად იყო ჰარმონიულად შერწყმული და „შუენიერ არიან და საწადელ და მომზაებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.

მონასტრის დამაარსებელთ თავის დროზე მდიდარი ადგილები შეუძენიათ. მაგრამ ეს როდი იყო სრული გარანტია. იმ დროს უცხოეთში ძლიერი მფარველი იყო საქირო, რომ მამულის პატრონის უფლებები არ შეელახათ, იქ მკაცრი სამონასტრო წესები ჰქონდათ შემოღებული: მონასტრის ყველა მკვიდარი უპირველეს ყოვლისა სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. ამასთან მონასტერი სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით ანთებული მეცნიერი ბერება, რომლებიც ამისათვის უპირველესად ღამეს იყენებდნენ, როგორც ეფეთიმე მთაწმიდელი ამბობდა: „უცალო ვიყავ და უფროსი ღამით მიწერიოა“.

ბიზანტიელ ბერებს საზოგადოდ არაფრად ეკავშირებოდათ ხოლმე, როცა მათ უცხოეთიდან ბერ-მონაზვნები ემატებოდნენ. მათ მტრობა და შური ჰქონდათ ქართველ ბერთა მიმართ ათონის მთაზე. ქართველებიც რწმუნდებოდნენ, რომ ბერძენები მედიდურები და ამაყნი იყვნენ. ამ მტრობამ და ღეარძლმა მალე გამოხატულება პოვა ქართველთა მონასტრის მრავალგზის გაძარცვაში ბერძენთა მხრიდან. მოძულე ბერძენ ბერებს საბაბი აკლდათ ქართველთა მონასტრების დასარბევად და მათ მალე ეს საბაბიც გაუჩნდათ. 1029 წელს ბიზანტიის საგამოძიებო ორგანოებმა ბრალდება წაუყენეს ათონის ქართული მონასტრის წინამძღვარს გიორგის, ე. წ. შავ-გიორგის, რომელიც ბიზანტიის სამეფო კარზე მიღებული გავლენიანი პირი იყო. მას ბრალად დასდეს ბიზანტიის მაშინდელი კეისრის რომანოზის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა. არა მარტო ერთმართველი შავ-გიორგი დასაჯეს — ჯერ დაატუსაღეს და შემდეგ გააძევეს—არამედ, ამასთან ერთად, დაარბიეს მონასტერი. გაძვირებულმა ხარბმა ბერძენმა ბერებმა დააწიოკეს ქართველები, სამჯერ ზედოზედ დაიტაცეს მათი ქონება. თვით მონასტრის არსებობას საფრთხე შეექმნა. ამ მომენტმა სამონასტრო ცხოვრების დამატებით სიძნელედ მონასტერთა ერთპიროვნული მართვა წარმოაჩინა. მალე იგი უარყვეს და 1032 წელს სამონასტრო ხელმძღვანელობა ფარული წილგდებით არჩევნების პრინციპს დაექვემდებარა. ამ გზით ხელმძღვანელობაში გასული პირები ითვლებოდნენ მთელი ძმობის „განზრახვითა, თანამოწამეობითა და ერთნებაობით“ არჩეულად. არჩევნების პრინციპი ეწინააღმდეგებოდა აზნაურული არისტოკრატის სავალდებულო დაწინაურებას და მოითხოვდა სამონასტრო წყობის შემდგომ დემოკრატიზაციას. ამ ღრმა რეფორმის დასაწყისის აღწერა სამონასტრო ძმობის მიერ სწორედ გიორგი მთაწმიდელს დაევალა. იმ დროს, როცა ბერძენ ბერებს საერთოდ უნდოდათ მოეშალათ ათონის ივერთა მონასტრის აღმშენებლების ხსენებაც, გიორგი მთაწმიდლის მიერ შთამომავლობისათვის იქმნება ჰეგლი, რომელსაც, ივანე ჭავჭავაძის სიტყვებით, „თავისი ისტორიული ღირსებებით და ათონზე ბერ-მონაზვნური ცხოვრების შესახებ მასში შეგროვებული მასალებით, ისევე როგორც თავისი ლიტერატურული ხასიათით, შეუძლია დაამშვენოს ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა“.

მარტო ლიტერატურული მუშაობით როდი ამოიწურება გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობა. მან ფართო მუშაობა გააჩაღა ჯერ როგორც ათონის ივერთა მონასტრის მეთაურმა. მან აღადგინა ეფეთიმე მთაწმიდლის მიერ შემოღებული სამონასტრო წესების მოქმედება. ამ წესდებაში გიორგი მთაწმიდელს

ყველაზე უფრო ხიბლავს სამონასტრო ძმობის წევრთა სრული თანასწორობის იდეა. აქ ხშირად მდიდრებს და ღიდებულებს უარს ეუბნებოდნენ მიღებაზე, ვინაიდან ისინი აღკვეციის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ღიდი ქონება მოჰქონდათ, მაინც ვერ იშლიდნენ ძველ ჩვეულებებსა და მიდრეკილებებს და ამით უდიდეს უხერხულობას ჰქმნიდნენ ბერთა საქმისათვის. ასკეტური ცხოვრება მთელი ქონების მკაცრ ერთობას მოითხოვდა და თვით ცალკეულ პირთა ტანსაცმელს არ განიხილავდა მის საკუთრებად, საქიროების დროს ითვალისწინებდა მათ სარგებლობას სხვა პირების მიერ. მონასტრის მამათმთავრობა, ილუმენის თანამდებობა გიორგი მთაწმიდელს ღიდ დროს ართმევდა და ზიანს აყენებდა მის ლიტერატურულ საქმიანობას. მიუხედავად მოძმეთა თხოვნისა, მან დატოვა ილუმენის თანამდებობა, წავიდა შავ მთაზე და მთელი ძალით გააჩაღა ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი ფართო ერუდიციის, მაღალი განათლებისა და წმიდა მორალური თვისებების შესახებ ცნობები არა მარტო საქართველოს გარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებში, არამედ საქართველოშიც ფართოდ იყო გახმაურებული. მთელი საქართველოდან ილტვოდნენ მასთან მოწაფეები, საქართველოს მეფეები სთხოვდნენ მას სამშობლოში დაბრუნებას. იგი ყოყმანობდა დიდხანს. და ბოლოს, 1060 წელს, გიორგი ათონელი სამშობლოში დაბრუნდა. ძნელი მგზავრობის შემდეგ ფოთიდან მოსულს მაშინდელ სატახტო ქალაქში — ქუთაისში ღიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ მეფე იქ არ იყო და ქუთაისის მღვდელმოდღერის თანხლებით ქართლში გადმოვიდა მის სანახავად, მეფემაც იგი ღიდი პატივით მიიღო. მოწაფეები აღტაცებულ შეხვედრას უწყობენ ღიდ მოძღვართ-მოძღვარს.

ეს დროს მოუხდა მას სამშობლოში მოსვლა. უკვე რამდენიმე წელი საქართველოში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. გაჭირვებული ხალხი ყოველგვარ „აჩაწმინდა“ საქმელს ჰამდა, რომ სიკვდილისაგან თვითონაც გადაარჩენილიყო და თავისი შვილებიც გადაერჩინა. მაინც ბევრი მსხვერპლი შეიწირა შიმშილმა. გიორგი მთაწმიდელმა ჯერ თავისი ახლობლების შვილებს მისცა თავშესაფარი, შემდეგ საზოგადოდ სხვა უპატრონო და დამშეულ ბავშვებს. ყველაზე ძნელი ასატანი ის იყო, რომ მშობლებს მოჰყავდათ თავიანთი შვილები, ტოვებდნენ მასთან, თვითონ კი გარბოდნენ შინ. ცრემლებამდე მიჰყავდა ღიდი განდევნილი ამ ცხოვრებისეულ ტრაგედიებს. სათუთი მზრუნველობით უწლიდა იგი მშობლების მიერ განზრახ მიტოვებულ შვილებს, თვითონ ჰკვებავდა მათ და ასწავლიდა. მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი ამ ღიდი საერთო-სახალხო უბედურების დროს. შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლა ორგანიზებული და ერთობლივი ღონისძიებებით შეიძლებოდა. ამ საქმეში სამღვდელთა და ღიდის დახმარება შეეძლო გაეწია. გიორგი მთაწმიდელი კარგად ხედავდა, რომ მაშინდელი უმაღლესი წოდებისაგან გამოსული სამღვდელთა გულცივი იყო ამ უბედურებისადმი და გულხელდაკრეფილი შესცქეროდა ქვეყნის ტანჯვას. ეპისკოპოსთა ერთი ნაწილი უფრო ეკლესიის შემკობასა და გამშვენიერებაზე ფიქრობდა, რომ საუკუნო სახსენებელი მოეხვეჭათ. მათ სრულიადაც არ აწუხებდათ, რომ ხალხი სიღატაკესა და გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. იყვნენ ისეთი მღვდელთ-მოძღვარნი და ხუცესნიც, რომლებიც სახალხო უბედურების დროს თავიანთთვის ჰკრეფდნენ ოქროსა და ვერცხლს. იმდროინდელ ეპისკოპოსებისაგან სხვაგვარი მოქმედება მოსალოდნელი არც იყო. თანამდებობას ღიდებულ აზნაურთა გვარიშვილები დამსახურებით კი არ იღებდნენ, არამედ იმის მიხედვით, ვის ჰქონდა უფრო ბევრი ფული. საქირო იყო ეს საშინელი უწყისობა ძირფესვიანად აღმოფხვრილიყო და აქ გიორგი

მთაწმიდელმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა. მეფის კითხვაზე, თუ რა ნაკლს ხედავს იგი საქართველოში, განსწავლულმა მღვდელთმძღვარმა პირველ რიგში თვითონ მეფე ამხილა: „პირველყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესობათა თჳს უშიშად და თუალუხვავად, სიბრძნითა და გონიერად“. წესიერება, ქრთამის წინააღმდეგ ბრძოლა თვითონ მეფისაგან უნდა დაწყებულიყო. იგი კი ყიდდა ეპისკოპოსის თანამდებობას და მასთან -- „უწესოთა და უსწავლელ“ პირებზე. ეპისკოპოსებმაღ ბევრი სამართლიანი საყვედური მოისმინეს მისგან, მღვდლებს ხელალებით არ უნდა ნიშნავდნენ, განსაკუთრებით კი უღირს პირთ, არ უნდა ესწრაფოდნენ ოქროსა და ვერცხლის შეკრებას, არამედ სწყალობდნენ გაჭირებულსა და უღონოს. იგი ეპისკოპოსებს აფრთხილებდა ეკლესიათა გამშვენიერებასა და შემკობაზე ბევრ ფულს ნუ ხარჯავთო. როდესაც ხალხი უკიდურეს გაჭირებაშია, დავრომილთა წამოყენება და შეწყენარება უნდა ყოფილიყო მოძღვართა საზრუნავი და არა ეკლესიათა შემკობა. სახალხო გაჭირვების დროს სიმდიდრის დაუნჯება და ეკლესიების შემკობა-გამშვენიერებაზე ფულის ხარჯვა, გიორგი მთაწმიდლის აზრით, ეშმაკის უკეთურ „ბრძოლად“ და ბოროტი სულის ნაკარნახევად უნდა ჩათვლილიყო.

ივანე ჭავჭავაძის მართალი სიტყვებით, იმ დროს გიორგი მთაწმიდელი მარტო მმართველი წრეების ბრალმდებლად არ გამოსულა, მან როდი იკმარა ღრმად დამაფიქრებელი, მაგრამ ლიტონი ქადაგება და მკვეთრი სიტყვები. იგი გამოვიდა აქტიურად მოღვაწისა და რეფორმისტის როლში და შეეცადა გაეტარებინა თავისი იდეალები ქართულ საეკლესიო წრეებში. უპირველესად მან ქართული ეკლესიის არისტოკრატიულ ტრადიციებს შეუტია, მღვდლებად აკურთხა გლეხების შვილები, დაბალი სოციალურ წრიდან გამოსულნი, რომელთაც ნიჭი და შესაბამისი მორალური თვისებები ჰქონდათ. ყოფილ ყმათა მღვდლად კურთხევა გაბედული და გამომწვევე ნაბიჯი იყო. აკი ამის გამო ამბობს მისი ბიოგრაფი, რომ „ყოველსა აღმოსავლეთს განეფინა საქმე ესე საკვირველიო“.

ეკლესიის დემოკრატიზაციის ეს ნაბიჯები დიდად უსწრებს ევროპაში ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლას, რომელიც მხოლოდ XIII საუკუნეში იწყება. ხუთ წელს აწარმოებდა ამ ბრძოლას გიორგი ათონელი საქართველოში. ექვი არ არის, მას იოლად არ ჩაუვლიდა ეს საქმე. იგი ქვეყანაში გავლენიანი ფენებიდან ბევრ მტერს იძენდა. ამით უნდა აიხსნას მისი წასვლა საქართველოდან. მას თავისი თანამდებობით არ შეეძლო დაწყებული რეფორმის დამთავრება. უღირს მღვდელთმსახურთა გადაყენება მხოლოდ საქართველოს საეკლესიო კრებას შეეძლო. ამგვარად საეკლესიო კრების მოსაწვევად ნიადაგი მაშინ მომზადებული არ ყოფილა. ეს მოხერხდა ნახევარი საუკუნის შემდგომ, როცა დავით აღმაშენებელმა რუსი-ურბნისის კრება მოიწვია. გიორგი მთაწმიდელმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საეკლესიო რეფორმის ჩატარებას. უამთაღმწერელი ვადმოსცემს, რომ გიორგი მთაწმიდელმა ხუთი წლის ყოფნის შემდეგ მარტომ კი არ დატოვა საქართველო, არამედ თან წაიყვანა 80 ყმაწვილი, რომლებიც საშინელი შიმშილობის დროს შეაგროვა, გამოკვება, შემოსა, ასწავლა. გიორგი მთაწმიდელი გარდაიცვალა 1065 წელს კონსტანტინოპოლში, აქედან მოტირალ ბავშვთა სამკლოვიარო პროცესიამ აასვენა ათონზე მამამთავრის ცხედარი. გიორგი ათონელის მიერ წაყვანილი ყრმები შემდგომ ქართული საზოგადოების სასარგებლო მუშაკები გახდნენ.

თავის მეორე საცდელ ლექციაში 1902 წლის 18 ნოემბერს ივანე ჭავჭავიძე-ვილი საგანგებოდ ეხება ჰიპოთეზის როლს საზოგადოდ მეცნიერების განვითარებაში (ქ. ერის ისტორია, 1960 წ., ტ. I, გვ. 389—400). „მეცნიერებაში ჰიპოთეზები, რომელნიც არასდროს არ გვეკლებია, ყოველ დისციპლინას უქვეყლად დიდ სამსახურს უწევენ“.

საქმე მართო იმ ჰიპოთეზებს კი არ ეხება, რომელნიც ხშირად ექსპერიმენტულ აღმოჩენებს დიდად უსწრებენ წინ; შემოქმედებითი ძიება განუყოფელია სამუშაო ჰიპოთეზებისაგან, რომლებიც შემდგომ უნდა დადასტურდეს.

ბევრი თამამი ჰიპოთეზა დადასტურებულია ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად, მაგრამ უფრო მეტი მკვდრად შობილ ჰიპოთეზებად დარჩენილან. მაინც ჰიპოთეზებს დიდი როლი შეუსრულებია მეცნიერებაში, მათ შორის ისტორიულ მეცნიერებაშიც. ბევრი აღმოჩენა ამ დარგში და ისტორიული სიმართლის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერული ჰიპოთეზების გარეშე. ხომ ცნობილია, როგორ ეხმარება ჰიპოთეზები არქეოლოგებს, პალეოგრაფებს დიდი აღმოჩენების მიღწევაში. ჰიპოთეზური მსჯელობა მეტია, ვიდრე უბრალო ვარაუდი. ჰიპოთეზა კვლევა-ძიების მიმართულებასა და ჩარჩოებს უნდა იძლეოდეს.

უარყოფილი ჰიპოთეზაც გვაახლოებს ჰემოქმედებასთან: შესაძლებელ მცდარ ახსნათაგან ერთით ნაკლები რჩება, ამიტომ ნიშანდობლივია დ. ი. მენდელეევის აზრი: „უკეთესია ეყრდნობოდე ისეთ ჰიპოთეზას, რომელიც თავის დროზე მცდარი აღმოჩნდება, ვიდრე არც ერთს არ ეყრდნობოდეო.“

მოცემულ დარგში ჰიპოთეზების სიმრავლე სრულიადაც არ ადასტურებს მის მწყობრ მეცნიერულობას, უფრო კი პირიქით.

თავის დადებით როლთან ერთად, ჰიპოთეზებს (მით უფრო უხეირო, აკვირებულ ჰიპოთეზებს) უარყოფითი როლიც უთამაშიათ მეცნიერების განვითარებაში. მათ გამოყენებას შეიძლება საფრთხე თან სდევდეს. ეს, ივანე ჭავჭავიძის სიტყვებით, იმ ჰიპოთეზას ეხება, რომელიც „თავისი მოჩვენებითი სიმწყობრით და წარმტაცი მკაფიოობით თვალსა სჭრის და სინამდვილეს აბუნდოვანებს“. ამ თვისების გამო, განაგრძობს იგი, მოიხელთებენ რა ჰიპოთეზას. იმდენად ეთვისებია, რომ ის თეორიასა და თითქმის კანონის სახესაც კი იღებს, როცა მათ შეუვალ ჰემოქმედებად განიხილავენ. ამ დროს ჰიპოთეზაში მეცნიერულ ცრურწმენას აფუძნებენ, ვიდრე დასაბუთებულ დებულებებს.

ჰიპოთეზის მეცნიერულ თეორიად გადაქცევისათვის როდი კმარა მისი გარეგანი სიმწყობრე და თვალისმომჭრელი მომხიბვლელობა. აუცილებელია, რომ ჰიპოთეზა დამტკიცდეს სანდო მეცნიერულ-პრაქტიკული ანდა ისტორიული მონაცემებით. მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა იგი მეცნიერულ თეორიად, სხვაანაირად თვითონ ავტორმა უნდა მოიშოროს, მოიხსნას ჰიპოთეზის უღელი.

მეცნიერ ისტორიკოსს კი ყოველთვის უნდა ახსოვდეს ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზებრ ისტორიულ სინამდვილედ არ წარმოიდგინოს, დაუმუშავებელი და აჩქარებითი ჰიპოთეზები არ გამოაქვეყნოს, რომ პირდაპირი ისტორიული ცნობების უქონლობისას ჰიპოთეზური მსჯელობა საკითხის ერთადერთ გადამწყვეტად არ განიხილოს. როდესაც გარეგანი ბრკვევიალება და მიმზიდველობა, მწყობრი მსჯელობა უნდადაგო ჰიპოთეზას კანონის, დოგმის ხასიათს აძლევს, მამინ ასეთი

„ჰიპოთეზები მხოლოდ აფერხებენ მეცნიერების წინსვლას და ამყარებენ ერთგვარობას, შაბლონს“.

ისტორიის ფილოსოფიაში, მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი, მოიპოვება რამდენიმე ასეთი ჰიპოთეზა, საქმის შემათფერხებელი და ნამდვილ მოვლენათა გამაბუნდოვანებელი. ერთ-ერთ ასეთ და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მთავარ შემათფერხებელ ჰიპოთეზას წარმოადგენს რასის (აღამიანთა მოდგმის) სულის თავისებურებათა განსაზღვრა. აქ დადგენილია სხვადასხვა მოდგმისათვის ათვისების, შემოქმედებითი უნარის და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე, გარკვეულია ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივი თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ან კიდევ სხვათა ლტოლვა-მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ. გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერა სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტიულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფა-მდგომარეობას: მაშინ, როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიგიები, შესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამებულნი არიან და თითქოს მარტო მათ აქვთ მინიჭებული ძალა და ღონე, მიაღწიონ უმაღლეს ყოველმხრივ განვითარებას.

ივანე ჯავახიშვილი მგზნებარედ ილაშქრებს ევროპოცენტრიზმის ცალკერძობების წინააღმდეგ, სწორედ იმის გამო, რომ მას მსოფლიო ცივილიზაციის წინსვლაში სხვა ხალხების ისტორიული როლის დამცირება აქვს მიზნად დასახული და მარტოდენ ევროპა ჰყავს წარმოდგენილი ზოგად საკაცობრიო იდეალის მატარებლად. „რაკი ინდოევროპული მოდგმის მეტი ნაწილი ბინადრობს უმთავრესად ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში, ამიტომ ამის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებად ითვლება, მეტად თუ ნაკლებად, ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაკეტილობა, წოდებათა და კლასების უქონლობა, წოდებრივისა და კლასობრივის ბრძოლის არქონება, ერთი სიტყვით, სულიერი და სოციალური უძრაობა“..

ივანე ჯავახიშვილი პირველი არ იყო, ვინც წინაღუდგა და ამ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზას აქარწყლებდა. უკვე ცნობილ არგუმენტებთან ერთად, იგი აყენებს ახალ არგუმენტებს. იგი აღმოსავლეთის მიმართ ამ მედიდურ შეხედულებას დასავლეთის ავტორებისას აბათილებს უპირატესად საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ფაქტებითა და მოვლენებით. ივანე ჯავახიშვილი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ეს შეხედულება აღმოსავლეთზე არ შეიძლება დამაჯერებელი იყოს თუნდაც იმიტომ, რომ აღმოსავლეთის და მისი ისტორიის შესწავლა არსებითად ეს-ეს არის იწყება. ამ დროს სწორედ რუსეთსა და ევროპაში ორიენტალისტიკა წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, რაც საგრძნობლად ურყევდა ნიადაგს ამ დამამცირებელ ჰიპოთეზას აღმოსავლეთის მიმართ. ამ ჰიპოთეზას კი სწორედ არაორიენტალისტები ავითარებდნენ. ამ ვითარებაში ისტორიის ფილოსოფიის ამოცანაა, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შესწავლოს ყოველგვარ წინდაწინვე აკვიატებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით უქველ მონაცემთა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით და ამით შეიტანოს ანკარა ნაკადი საკითხის გარკვევაში.

დღემდე, ამბობდა ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის ფილოსოფია ვერ ასრულებს თავის მოვალეობას აღმოსავლეთის მიმართ. აღმოსავლეთის ასე უუურადლებოდ

დატოვებისა და აბუჩად აგდების მიზეზი, ერთის მხრივ, ის არის, რომ აღმოსავლეთის ისტორია ჭერჭერობით ხერიანად არ არის შესწავლილი, მეორეს მხრით და განსაკუთრებით ის გარემოება, რომ იმ მეცნიერებს, რომელნიც მსოფლიო ისტორიასა და ისტორიის ფილოსოფიის შესახებ თხზულებებს წერენ, თითქმის ყველას დასავლეთის ხალხთა წარსული აქვთ ხოლმე სპეციალურად შესწავლილი. ევროპის ხალხთა ისტორიის კვლევით გატაცებული და გამამბებელი ეს მეცნიერები ექვის თვლით უცქერენ, ათვალისწინებულ ჰყავთ აღმოსავლეთი: მარტო აზიის ხალხების წარსულს კი არა, თვით იმ ევროპის ხალხების ისტორიასაც, რომელნიც დასავლეთის კულტურაზე მოწყვეტილნი იყვნენ, ამგვარი ექვის თვლით უცქეროდნენ. ამ ცამეტი წლის წინათ გერმანელი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ, დაემტკიცებინათ სხვა კოლეგებთანათვის, რომ ბიზანტიოლოგიას აქვს უფლება არსებობისა, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას.

ივ. ჭავჭავიძე იღონებდა, რომ აღმოსავლეთის რომელიმე ხალხის ისტორიის გულდასმით შესწავლა ნამდვილად მოგვცემს საშუალებას უარყოფით მტკიცებულებას აღმოსავლეთის შესახებ. საჭიროა სპეციფიკურთან ერთად ენახოთ საერთო. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ „შედარებითი მეთოდით და ანალიზით თუ შეიძლება დასაბუთდეს და ძვირფასია, მაგრამ ამასთანავე თუ მისთვის გარკვეული საზღვარი არ იქნა მიჩნეული, იგი შეიძლება მრავალი შეცდომის წყაროდ იქცეს, რადგან ისტორიულ მოვლენათა სრული იგივეობით გამოვლენა შეუძლებლად არის ცნობილი“. ვასაგებია, რომ ივანე ჭავჭავიძე იღონებდა თვის საცდელ ლექციაში მხოლოდ საქართველოს და სომხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს ეხება ისე, რომ „დეტალებსა და გამოწვევებს“ არ გამოჰქვიძებია და ამ ორი ხალხის ისტორიის მონაცემებით აბათილებს სიყალბეს აღმოსავლური უძრავობისა და ჩამორჩენილობისას.

იგი იწყებს საქართველოს ისტორიული განვითარების საფეხურებით. ივ. ჭავჭავიძე იღონებდა იმ დიდ სხვაობას, რაც სტრატონის დროინდელსა და შემდეგი საუკუნის საქართველოში გვაქვს.

ივანე ჭავჭავიძე იღონებდა საცდელი ლექციის თითქმის ყველა ძირითად დებულებას თანამედროვე ისტორიკოსიც მოაწერდა ხელს.

„VI საუკუნის დამდეგისათვის მკვლევარს საქართველოში, — ამბობს ივ. ჭავჭავიძე, — საქმე აქვს უკვე ფეოდალურ წყობილებასთან, იგი უკვე მკვეთრად არის ცხოვრებაში ასახული და მას გარკვეულ იერს აძლევს. რაღაც ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე მოხდა საქართველოს სოციალური წყობილების ასეთი რთული ევოლუცია, მერვე საუკუნისათვის ფეოდალიზაცია უკვე საკვებით მომთავრებულია. ამავ დროს გამოდის და განმტკიცებას იწყებს მეფის ხელისუფლება, თვითონ იგი ფეოდალურ პრინციპზეა დაფუძნებული“.

სამეფო ცენტრალურ ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა არა მარტო ფეოდალურ დიქტატორთან როგორც ეს ევროპაში იყო, არამედ ეკლესიასთანაც, რომელმაც ათვისა ფეოდალურ დაწესებულებათა ნიშან-თვისებები; მას მოჰყავს საქართველოს ისტორიაში საეკლესიო ხელისუფალთა ორგანიზებული ბრძოლის პირდაპირი დოკუმენტები, რომელსაც ისინი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აწარმოებდნენ. სხვადასხვა დროს ეკლესიის ერთსულოვანი სოლიდარული ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მრისხანე პროტესტებში გამოხატულა. ეს ბრძოლა არღვევს იმ მოდელს, რომ აღმოსავლეთის დესპოტიზმში მხოლოდ აღმშობლებისა და უკმაყოფილების დროდარო აფე-

თქებას თუ ვხედავთო. აქ და მსგავს შემთხვევაში, განაგრძობს ივანე ჯავახიშვილი, საქმე გვაქვს „ორგანიზებულ, ტაქტიკურ აწონილ-დაწონილ ბრძოლასთან სასულიერო წოდებისა მთავრობასთან“.

თვით ამ წოდების შიგნით განუხრელი ბრძოლა მიმდინარეობდა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს მრავალ აქტს ფეოდალური დიდკაცობის ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში როგორც ეკლესიის მესვეურებთან, ისე, განსაკუთრებით, მეფის ხელისუფლებასთან. ეს ბრძოლა წარმოებდა პოლიტიკური უფლებებისათვის ცვალებადი წარმატებით ხან ერთი და ხან მეორე მხარის სასარგებლოდ. ეს ბრძოლა არასდროს არ დამცხარალა საქართველოს ისტორიის მანძილზე, სახელმწიფო ცხოვრობდა ინტენსიური ცხოვრებით. სწორედ წოდებათა ბრძოლა არის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენისა.

სამეფო ხელისუფლების ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ ინტერესთა კიდლის ლოგიკის შედეგი კი არ ყოფილა მხოლოდ, არამედ წინასწარ დასახული სისტემური, თანამიმდევრული პოლიტიკით წარიმართებოდა, რომელსაც თეორიულ გამართლებასაც კი უძებნიდნენ. ასე, დავით აღმაშენებელი არა მხოლოდ ორგანიზებულ ბრძოლას აწარმოებს ფეოდალებთან, არამედ ამ მიზნისათვის სწავლობს არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ სხვა სახელმწიფოთა ისტორიებსაც და საკუთარი პოლიტიკის გატარებისას იყენებს იმ დასკვნებს, რომელნიც მას გამოჰქონდა ამგვარი შესწავლის გზით. და სწორედ ასე გამოიხატა მან დიდებულებთან ბრძოლის ხერხი: იგი შეიგნებს, რომ ფეოდალთა წინააღმდეგ აუცილებელია ორგანიზებული პოლიტიკის წარმოება, აუცილებელია მისი სისტემური, თანამიმდევრული წარმოება. ამგვარი უნდა ყოფილიყო ტაქტიკა იმიტომ, რომ თვითონ ფეოდალებიც ჯგუფდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და ურთიერთშორის შეთანხმებით მოქმედებდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

თამარის დროინდელ საქართველოში ბრძოლა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისათვის მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ მსგავს პროცესს ევროპაში.

მეფის ხელისუფლება საქართველოში თავისი სუვერენობის დადასტურებისათვის თეორიებსაც კი ქმნიდა ამ ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. ამ თეორიით ბაგრატიონთა გვარი იუდეველთა მეფის დავითის გვარის ჩამომავალია. დავითს კი მეფის ხელისუფლება ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული, მაშასადამე, მემკვიდრეობის უფლების ძალით საქართველოს დინასტიის მეფის ხელისუფლებაც ასევე ღვთაებრივი წარმოშობისა უნდა ყოფილიყო.

ივანე ჯავახიშვილი თავის საცდელ ლექციაში საგანგებოდ აღნიშნავს გლახთა ბრძოლის უწყვეტობას ფეოდალთა წინააღმდეგ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საფრთხე ყოველთვის ძლიერი იყო.

იგი ამბობს: „სიგელ-გუჯარებისა და ერთობ საისტორიო საბუთების გულისყურით წაკითხვისას არ შეიძლება კაცმა არ შეინიშნოს, რომ მეთვრამეტე საუკუნეშიც კი, როდესაც მთელი საქართველო თითქმის ღონეზიხილი იყო მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ძლიერი მოძრაობა მიმდინარეობდა ქართველი საზოგადოების დაბალ ფენებში, გლახთა მოძრაობა საგრძნობლად შეიმჩნეოდა“.

პირველსავე საცდელ ლექციაში არა მარტო ხაზგასმია საქართველოში სოციალური ბრძოლების მოვლენებზე. არამედ სიამაყეც გამოსჰქვივის, რომ შშობელი ხალხის ისტორია ამითაა დამშვენებული.

ივანე ჭავჭავაძის შვილი აღნიშნავს სომეხი ხალხის ისტორიის განვითარების ეტაპებს, რომელიც სავსეა წოდებათა შორის ბრძოლით, ინტენსიური პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებით. ნახარაგების ბრძოლა ურთიერთშორის: მეფის ხელისუფლებასთან, სანამ მას სასანიანთა მთავრობა არ მოსპობდა.

საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი გვარების გამოსვლა, ქალაქებისა და, მასთან ერთად, ფულიანი არისტოკრატის აღზევება, სახელმწიფოებრივი ძალების კონცენტრაცია ქალაქში, მისი ავტონომია, ქალაქ-სახელმწიფო ანისის გაჩენა, ფულიანი არისტოკრატის მმართველ კლასად გარდაქმნა და ეკლესიის იერარქიის აღზევება. ასეთი რთული ფორმები გაიარა სომხეთმა მეთოთხმეტე საუკუნემდე. მონასტრებისადმი ბოძებული წყალობის სიგელები და ეკლესიათა კედლებზე დაცული წარწერები, რომელნიც შეკრიბა სტეფანოს ორბელიანმა, საკმაოდ გვიხსნიან, მაგალითად, იმას, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა სომხეთში ეპისკოპოსთა და დიდკაცობას შორის, ერთის მხრივ, გლეხებსა და ეპისკოპოსებს შორის, მეორე მხრივ. ეს ნათლად ჩანდა სივნიეთის ეპისკოპოსთა მაგალითზე: ეპისკოპოსები მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელები ხდებიან. თავიანთ მამულებს ისინი აფართოებენ თავადაზნაურობის სარწმუნოებრივ გრძნობებზე ზემოქმედებით: სულის საოხად ისინი სწირავენ კეთილ შენაძენ მამულებსაც, ნაწილობრივ საეკლესიო მიწათმფლობელობა ფართოვდებოდა მათ მიერ პირდაპირი შესყიდვის გზით. ისინი მაღალ ფასებსაც იხდიდნენ ეკლესიისათვის მამულების შეწირვა შემკვიდრე ნათესავეების მტრულ დამოკიდებულებას იწვევდა. როგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცემოდათ, შეწირული ადგილ-მამულების შემკვიდრები ისწრაფოდნენ გაებათილებინათ შეწირვის აქტები და დაებრუნებინათ მამულები. თავის მხრივ, არც სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები იბნეოდნენ; მიტაცებული მამულების შენარჩუნებაში ისინი საშუალებას არ ზოგავდნენ: იქ, სადაც პოლიტიკა და მათი სულიერი ზეგავლენა უძლური აღმოჩნდებოდა, ფული გამოასწორებდა ხოლმე საქმეს. ხშირად შეტაკებები გლეხობასთან სისხლისღვრამდე მისულა და ხელჩართულ ბრძოლაში ვადარდებოდა. სასულიერო ხელისუფლება ააერო ხელისუფლებას მოიშველიებდა.

ეპისკოპოსი სომხეთში ყველას ამარცხებდა, ზოგს პოლიტიკით და ზოგს კიდევ ძალით, მარტო ის ძლიერდებოდა, მას ეკუთვნოდა საერო ხელისუფლება და სასულიეროც.

საქართველოს ისტორიის მაგალითზე ივანე ჭავჭავაძის შვილი აქარწყლებს შეხედულებას აღმოსავლეთის ხალხთა სულიერი კულტურის უძრავობისა და კარჩავეტილობის შესახებ. სხვადასხვა პრობლემები — სამართლებრივი, თეოლოგიური თუ ლიტერატურული — აზიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისევე აინტერესებდათ, როგორც იმათ, ვინც გაიარა დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეობრივი კულტურა. სამართლებრივი საბუთებით ცდილობდნენ საქართველოში არა მარტო საერო, არამედ სასულიერო ხელისუფლების გამართლებას. ამასთან საზოგადოების მოწინავე ძალები ცდილობდნენ ბიზანტიური მწერლების მიღწევების თარგმნასა და ქართულად გავრცელებას. „გიორგი მთაწმიდელი, მაგალითად, ჩქარობს ბერძნულიდან მშობლიურ ენაზე გადმოიღოს დიდი სვინაქსარი მის გაჩენა-გამოქვეყნების უმაღლეს, როცა თვით ბიზანტიაში ის ჯერ კიდევ რამდენიმე ცალად მოიპოვებოდა“.

რასაკვირველია, მსგავსი სულიერი აღებ-მიცემობა ქრისტიანულ ხალხებთან ურთიერთობაში ბუნებრივად გვეჩვენება, მაგრამ საქართველოს კულტურ-

რულ შემოქმედებითი ისტორიისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენი ხალხისათვის უცხო არ ყოფილა კულტურული კავშირი მაჰმადიანურ ხალხებთან.

სპარსეთის დიდი საერო პოეზია იმის ბიძგს იძლეოდა, რომ ქართველებს საერო ლიტერატურა შეექმნათ. მართალია, ქართული სასულიერო პოეზიის წყალობით გამოიმუშავდა ქართული ენის სრულყოფილი ფორმები და აღზევებული სტილი, აგრეთვე პოეტური შედარებანი და ღრმა სარწმუნოებრივი ლირიზმი, სამაგიეროდ სპარსეთის საერო შემოქმედებამ გააფართოვა სასულიერო მწერლობის ვიწრო ჩარჩოები და საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შეიტანა ახალი ელემენტები. სპარსეთის მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებნი, როგორცაა შაჰ-ნამე, ვისი და რამინი, ლეილა და მეჩუნე, ქილილა და დამანა და სხვანი ხელმისაწვდომი შეიქნა მაშინდელი ქართველი საზოგადოებისათვის. ამის წყალობით მას შეეძლო გატაცებით ეკითხა მაჰმადიანური სამყაროს საუცხოო ქმნილებანი და ჭეროვნად დაეფასებინა მათი მშვენიერება. „სპარსულ-არაბული მეცნიერებისა და მწერლობის შეთვისებით ქართველობა მაჰმადიანური ქვეყნებისა და კულტურის ცხოველმყოფელს წყაროსაც დაეწაფა. ამით ქართველთა აზროვნებას ფართო მსოფლიო მხედველობა გადაეშალა და, ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად, მწველი აღმოსავლეთის ლალი და სიცოცხლით აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა“.

ამგვარად, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსელთა სულიერს ერთობასა ქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა.

დამწყები ლექტორი ივანე ჯავახიშვილი ორიენტალისტ-ისტორიკოსების ამოცანებს განსაზღვრავდა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათის შესწავლით, ამასთან იმ ძირითადი ფაქტორების შესწავლითა და დადგენით, რომლებიც წარმოადგენდნენ აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების შემაერთებელ რგოლებს. სხვანაირად არ შეიძლება ლაპარაკი აღმოსავლეთის ზოგად ისტორიაზე იმ გაგებით, რა გაგებითაც იგი არსებობს დასავლეთ ევროპის ზოგად ისტორიაში. ამ ამოცანის გადაწყვეტა საზოგადოდ ისტორიის მეცნიერების ამოცანად იყო გამოცხადებული. „სხვანაირად,—დაასკვნიდა ივანე ჯავახიშვილი, — ველარ მოუუნახავთ საფუძველს, ერთის მხრით, ისტორიის ისეთ ტერიტორიულ დანაწილებას, როგორცაა დასავლეთის ისტორია და აღმოსავლეთის ისტორია, ხოლო, მეორე მხრით, ვერც იმას შეეძლებთ, რომ კაცობრიობის წარსულის თბრობა სავსებით იქნეს გაერთიანებული, როგორც ამას ვხედავთ მსოფლიო ისტორიის დისციპლინაში“.

საცდელ ლექციაზე გაკეთებული ეს პროგრამული განცხადება მარტო ორიენტალისტიკის ამოცანების სადეკლარაციოდ კი არ ყოფილა გამიზნული, არამედ საკუთარი მომავალი კვლევის მიმართულების მოხაზვაც იყო.

გვიან ერთ-ერთ თავის მოგონებაში ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ სტუდენტობიდანვე „ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს“.

ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს მთელს ისტორიაში არ ყოფილა სხვა მკვლევარი, რომელსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის ღრმა ცოდნით შესძლებოდა წარმოედგინა საქართველოს ადგილი და როლი მთლიანად მსოფლიო ისტორიის კრილში.

პრიატ-დოცენტად მისი ხელდასმის პირველი თვეების უშუალო პირად შთაბეჭდილებებს თვითონ აღწერს ივ. ჭავჭავაძევილი 1903 წლის 4 თებერვალს პეტერბურგიდან თავის მეგობრის ივ. ნიჟარაძისადმი გამოგზავნილ წერილში:

„ჩემო ძვირფასო ვანო!

მრცხენიან, როცა ვკითხულობ შენს წერილს და თარიღს ეუკვირდები. შენ უეჭველია იმედი გადაიწყვიტე და გგონია, რომ პასუხს არ მიიღებ ჩემგან. დამნაშავე ვარ. ბოდიშის მოხდა ჩვენში, როგორც გახსოვს, აკრძალული გვაქვს. მაგრამ ბოდიშობითაც ვერ ვიმართლებდი თავს.

ცნობა ჩემს შესახებ, ვითომც დისერტაციას ვიცავდე, ტყუილია, არ ვიცი, ვინ გააერცელა ეს სიტრუე გაზეთებში. ლექციები ეს ერთი კვირაა, რაც დავიწყე. აქამდისინ კი საცდელი ლექცია მქონდა ორი. ერთი მათგანი საქართველოს საეკლესიო წყობილებათა ცვლილების ისტორიას შეეხებოდა (XI საუკუნის საქართველოს საეკლესიო რეფორმის ისტორიისათვის). პროფესორებს მოეწონათ.

შესავალი ლექცია აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართა საზოგადო კითხვებს შეეხებოდა. ესეც მოეწონათ. ესლა მე ორ კურსსა ვკითხულობ.

1) საქართველოში ეკლესიის ნაციონალიზაციის ისტორია VI-XII საუკუნეებში, კვირაში სამი საათი.

2) სომხეთის სოციალური წყობილება V საუკუნეში, ორი საათი.

ასე რომ კვირაში ხუთი საათი მაქვს, აგრეთვე დაარსდა ქართული ისტორიის სექცია, ოცი კაცი იღებს მონაწილეობას, თუმცა მსურველი ბევრია კიდევ, მაგრამ უადგილობისა გამო აღარ იღებენ სექციაში, ხელმძღვანელობა მთხოვეს, მეც დაეთანხმდი და საქართველოს ისტორიის საზოგადო კურსს ვუკითხავ იმ მასალებისა და გამოკვლევების მიხედვით, რომელიც მე ჭკრ დაუბეჭდელი მაქვს. ყველანი გულმოდგინეთ მუშაობენ და მასალებს, რომელთაც ვუსახელებ ხოლმე, კითხულობენ. ერთი სიტყვით, ამ სექციისა ძალიან კმაყოფილი ვარ. ამგვარად ორი საათი ემატება კიდევ იმ ხუთ საათს და კვირაში 7 საათი მაქვს ლექცია. ეს, რასაკვირველია, ძალიან ძნელია და თავისუფალი დრო სრულებით არა მაქვს.

ესლა, ჩემო ძვირფასო ვანო, შენ საქმეზე ვილაპარაკოთ. მასალებს მეკითხებოდი, მაგრამ ის კი არ მომწერე, რა კითხვა აირჩიე, რომ ამისდაგვარად მომეცა პასუხი, მერე სარჩევით შენა გაქვს თბილისში. სვანეთის შესწავლა ორ მხრივ შეგიძლიან: ეთნოგრაფიულად და ენათმეცნიერების მხრივ. შენ იცი მეგრული, სვანური, ქართული; ამიტომ ადვილად შეგეძლო ქართული ენაკილოკავების მეცნიერულად შედარებითი შესწავლა დაგეწყო. ეს დიდი ნაკლია ჩვენთვის: აქომამდისინ შესწავლილი არა გვაქვს საზოგადო ბგერათმეცნიერება, სიტყვითი აგებულება და სხვა. — ვიღრე ამნაირად გამოკვლეული არ იქნება და შესწავლილი ენაკილოკავები, ქართველი ერის უძველესს საზოგადოებრივ წყობილებაზე გამოკვლევის დაწერა ძნელია. შეიძლება აგრეთვე ეთნოგრაფიის მხრივ დააკვირდე სვანეთის ცხოვრებას და შეადარო დანარჩენ ქართველ მოდგმის ტომთა ყოფა-წყობილებას, აგრეთვე იმ ცნობებს, რომელნიც სტრაბონს აქვს სვანეთსა, ქართლსა და კოლხიდის შესახებ. მომწერე რომელ კითხვას აირჩევ და მასალებს, დაუყოვნებლივ შეგატყობინებ.

ველი შენს წერილს.

იმედია მე არ მომბაძავ.

გაკოცებ მრავალჯერ. მარად შენი მეგობარი ვანო ჭავჭავიძევილი“.

ადვილად წარმოიდგენს მკითხველი პრივატ-დოცენტის ასპარეზზე ივანე ჭავჭავიძევილის მოუღლებელ მოღვაწეობას. მეტიც, მას ამ დროს მსმენელები ქართული ისტორიის მოყვარულთა წრეში მეტი ჰყავს, ვიდრე ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, აქ ლექციები მხოლოდ ქართულად იკითხებოდა. ეს ლექციები არანაკლებ ინტერესებს აღძრავდნენ. მეტიც, მოხდა ისე, რომ უპირისპირებდნენ კიდევ სტუდენტ-მსმენელები საუნივერსიტეტო ლექციებს კერძო ბინაზე, მოკლედ ამ თავისებურ „საბინაო უნივერსიტეტზე“ წაიკითხულს. მოგვყავს ადგილი იმდროინდელი პეტერბურგელი სტუდენტის ა. ნ. ჩიჭავაძის მოგონებიდან. იგი დასწრებია ივ. ჭავჭავიძევილის პირველ საცდელ ლექციას. გერმანიიდან და სინას მთიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მეცნიერის საცდელ ლექციას, გარდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესორთა მთელი შემადგენლობისა, ბევრი ქართველი სტუდენტი დასწრებია და არა მარტო სხვა ფაკულტეტებიდან, არამედ აგრეთვე სატახტო ქალაქის სხვა უმაღლესი სკოლებიდანაც. ა. ნ. ჩიჭავაძე იგონებს: „ლექციის მოლოდინში მგონია უბრალო დამსწრეები უფრო ვლელადით, ვიდრე თვით დებიუტანტი, ცოტა ხნის მოლოდინის შემდეგ აუდიტორიაში შემოვიდნენ მთელი ფაკულტეტის წამყვანი შემადგენლობა და მთავარი ფიგურა — ივანე ჭავჭავიძევილი. ეს იყო ჩვენი პირველი ნახვა ახალგაზრდა ისტორიკოსისა. გარეგანი შთაბეჭდილება კარგი დატოვა: შუატანზე ცოტა მაღალი, კარგი შესახედავი გარეგნობის, პატარა წვერი, ერთი სიტყვით პირველი შთაბეჭდილება, ვიმეორებ, კარგი მოახდინა ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და ლექტორმაც დაიწყო თავისი ლექცია. ლექცია არ იყო ზეპირად ნათქვამი, არამედ წინასწარ დაწერილი, რა თქმა უნდა, რუსულად და პირდაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით წაიკითხული, სტუდენტები არ ვიყავით მიჩვეული წაიკითხული ლექციის მოსმენას... მიუხედავად ამისა ლექციის გათავების შემდეგ ლექტორი ტაშით დააჩილდოვეს როგორც პროფესორებმა, ისე სხვა მსმენელებმაც. ჩვენც, თავისთავად ცხადია, ტაშით დაუქარით, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ცოტა უქმაყოფილება გამოიწვია, თუმცა ხმა მაღლა არავისთვის გაგვიმხვლია“. როგორც ჩანს, სტუდენტთა ერთი ჯგუფი ლექციის მთავარ ძალას მის ზეპირ კითხვაში ხედავდა, ეს რომ ვერ დაუნახავთ, კინალამ იმედები გასცრუებით, მაგრამ ა. ნ. ჩიჭავაძის სიტყვებით, მალე ყველაფერი გაიკვია. სხვადასხვა უმაღლესი სკოლის ქართველი სტუდენტები შეუხელებელი ინტერესით უსმენენ პრივატ-დოცენტ ი. ა. ჭავჭავიძევილის ქართულად წაიკითხულ ლექციებს კერძო ბინაზე. ეს იყო ნევის პროსპექტისა და ნადეჟდინსკაიას ქუჩის კუთხეში მდებარე 9 ოთახიანი ბინა გ. თარხნიშვილისა, რომელსაც იმ დროს განაგებდა მისი მეუღლე სოფიო თარხნიშვილი. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ. სწორედ ამ ოჯახმა განიზრახა კვირაში ერთხელ პეტერბურგის ქართული საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, შეხვედრები და მოესმინათ ქართულად საქართველოს ისტორიის ლექციები. ეს კი სთხოვეს ახალგაზრდა მეცნიერს ივანე ჭავჭავიძევილს. მანაც ეს დაეალა სიამოვნებით მიიღო თავის თავზე. ა. ნ. ჩიჭავაძე აღტაცებულია ახლა უკვე აქ წაიკითხული ლექციებით, „რამდენადაც შესაველ ლექციაზე დასწრებისას გულდაწყვეტილი ვიყავით, იმდენად სიამოვნებით ვიღებდი იმის კერძოდ წაიკითხულ მჭევრმეტყველებით და პოპულარულად შესრულებულ ლექციებს. ამ ლექციებს ესწრებოდა კარგად ბლომად სტუდენტობა და რამდენიმე იმ დროის პეტერბურგში მყოფი პირები, ჩამოსული თავის საქმეებზე“. მსმენელთა შორის იყვნენ როგორც ვაჟები, ისე ქალთა უმაღლესი

კურსების ქალიშვილებიც. ლექციების კითხვა მთელი სამოსწავლო წლის ფარგლებში ხდებოდა. კრებები უხვი პურ-მარილითა და გართობით ბოლოვდებოდა. ამ ქართული ლექციების შესახებ წერდა „ივერია“ 1903 წლის 18 თებერვალს, რომ „შესდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც დიდის ხალისით სწავლობს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურას. ახალგაზრდა პრივატ-დოცენტი ი. ა. ჭავჭავიძე უკითხავს მათ ყოველ კვირას ლექციებს კერძო ბინაზედ, მსმენელნი გულმოდგინებით ემზადებიან ამ ლექციებისათვის, სწერენ რეფერატებს და ჩვენთვის უჩვეულო თავგამოდებით ეპყრობიან ამ საქმეს“. მომდევნო წლებში რუსეთ-იაპონიის ომის, 9 იანვრის სისხლიანი კვირის და უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ ამ კურსების მუშაობა დაიროღვა. კურსებმა ღრმა კვალი დატოვა არა მარტო მსმენელებში, მან ბევრს დაანახვა ქართულად ლექციების წაკითხვის სრული რეალურობა. ა. ნ. ჩიჭავაძის სიტყვებით, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ლექციებზე სიარულის დროს სამი წყვილის შეუღლება მოხდა.



ივანე ჭავჭავიძელის ცხოვრებაში სინაზე¹ ყოფნის შემდეგ არ შეწყვეტილა მოგზაურობის პერიოდი, თუმცა 1899 წელს შეყრილი ავადმყოფობა ხშირად ახსენებდა თავს და კარნახობდა, მკაცრად შეეზღუდა დი. უის დარღვევის ყოველი შემთხვევა.

1904 წლის 19 აპრილს ივ. ჭავჭავიძელს თხოვნა შეაქვს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომ მას ნება მიეცეს გაემგზავროს დალესტანში ამ მხარის ეთნოგრაფიის შესასწავლად. 1904 წლის 24 აპრილს ივ. ჭავჭავიძელი გროზნიდან სწერდა ძმას დათას: „ეს ორი დღეა, რაც ყარანოლაელთა მინდვრებიდან დავბრუნდით; თუმცა დიდხანს არ დავრჩენილვართ იქ (4 დღე) და დრო უფრო მოგზაურობას მოუნდა, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო სურათი ვნახეთ. ეხლა საჩაჩნეთში მივდივართ, იქ მგონი: ორი დღე მოგვინდება, იქედან დალესტანში წავალთ“. აპრილის ბოლოდან მაისის ბოლომდე თავის თანაკურსელთან და საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულ კ. ინოსტრანცევთან ერთად (იგი ცნობილი რუსი ეთნოგრაფი გახდა), მან იმოგზაურა დიდოეთში, ხუნძახსა და დალესტნის სხვა ადგილებში რუსული ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში. დალესტანის ეთნოგრაფიული უმდიდრესი მხარეა. აქ ხომ ყოველთვის იყო გამოყენებითი დარგის ხელოვანი ოსტატები. ექსპედიციამ საკმაოდ მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციები ჩაიტანა, რომლებიც ამჟამადაც ამშვენებენ ლენინგრადის რუსულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ამ ექსპედიციის მონაცემები გამოადგა ივანე ჭავჭავიძელს მის შემდგომ კვლევაში, სახელდობრ, ქართული ტანსაცმლის ისტორიის შესწავლისას. ამ პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში დაღებიდანთან ერ-

¹ სინას მთაზე ნ. მარისა და ივ. ჭავჭავიძელის მოგზაურობას მრავალი აღტაცებული გამოხატულება მოჰყვა. ცნობილია დავით კლიაშვილის შესანიშნავი მოგონება სინას მთიდან დაბრუნებულ ივ. ჭავჭავიძელთან შეხვედრისა. რუსული სამეცნიერო პუბლიცისტიკაც ხშირად ეხმაურებოდა ამ ფაქტს. 1905 წლის 5 ივლისს „ივერიაში“ ა. ხახანაშვილი ბექლავს რეცენზიას გამოქვეყნებულს ყაზანის სასულიერო აკადემიის ეურნალში ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის მიერ XVII საუკუნის საქართველოს შესახებ. მასში, სხვათა შორის, ნათქვამია, „ქართველები დიდი ცოდნის პატრონები არიან, მეტადრე ლოგიკაში, თუმცა სხვა ქვეყნებში სცარული არ უყვართ“.

თად ახალგაზრდა ივანე ჭავჭავაძის მის ნაკლოვანებებსაც ხედავს. ამაზე იგი 1904 წლის 28 აპრილს გულმართლად სწერდა გროზნოდან თავის მასწავლებელს ნიკო მარს: „მაგრამ სწორედ გითხრათ, მე ამნაირი ეთნოგრაფიისა არა მწამს რა. ჩემის აზრით, ეს უფრო მოხელეობაა, ვიდრე მეცნიერება; ინოსტრანტევი ასეთ გზას ადგია: ყველგან ადმინისტრაციის მიმართავს ხოლმე, იმას (ბოქაულს, მამასახლისს, მაზრის უფროსს, ოლქის მმართველს) ჰკითხავს ხოლმე, სად შეიძლება უფრო ადვილად საინტერესო და საყურადღებო საეთნოგრაფიო მასალების შეკრება, ხშირად არც კი ესმით ხეირიანად იმ პოლიციელებს, რაა ეს ეთნოგრაფია, პირიქით, თითქმის ყველანი დაცინვით, ზოგჯერ ხუმრობის კილოთი გვეუბნებოდნენ ხოლმე: რად გინდათ ეს ნაფლეთებიო? ხშირად პირში არ გვეუბნებოდნენ, მაგრამ იმათ ლაპარაკის კილოზე შეატყობდა ადამიანი, რომ ამასვე ფიქრობდნენ ისინიც. ცხადია, რომ ამნაირად ჩვენ მხოლოდ იმის შეკრება შეგვიძლიან, რაც უნახავს და რასაც გვიჩვენებს პოლიცია, ჩვენ თვითონ არ ვაკვირდებით ცხოვრებას, ზედაპირულად, გაკვრით გადავავლებთ ხოლმე თვალს, ჩემის აზრით, ამნაირად შეკრებილ მასალებს სრულებით შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მეცნიერებისათვის მნიშვნელობა ნახევრად დაკარგული ექნება“. თავისი აზრი ამაზე ივ. ჭავჭავაძის უთქვამს ინოსტრანტევისათვის, და ამით ერთგვარად დამშვიდებულია, „თუმცა, — წერს იგი, — დამშვიდებული მხოლოდ გარეგნობითა ვარ, იმიტომ რომ მე ვწუხვარ, რომ ასეთ უთავბოლო მოძრაობაში რა ეთნოგრაფი უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც კატისაც ეშინიან, ძაღლისაც და ცხენისა. ამის გამო ჩვენ საინტერესო და საყურადღებო კუთხეებს გვერდს ვუხვევთ და შარა, საბაზრო გზებზე დავსერიანობთ“.

1909 წელს არდადეგების თვეებში პეტერბურგის უნივერსიტეტმა ივ. ჭავჭავაძის მიავლინა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში VI—X I-I საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ადგილების შესასწავლად და საქართველოს სამეფოში ჩატარებული სხვადასხვა აღწერების მასალების მოსაპოვებლად. რასაკვირველია, სამშობლოში ყოფნას იგი მივლინებას არ უკავშირებდა და ყოველთვის იყენებდა მას თბილისში, ქუთაისსა და გორში საჯარო ლექციების წასაკითხად. ამ ლექციების კითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ივ. ჭავჭავაძისმა 1906 წლის ბოლოდან დაიწყო. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის მასწავლებელთა წადილს, საშობაოდ გამართონ საჯარო ლექციები რუსეთში მომუშავე სხვადასხვა ქართველ სწავლულთა. ამ „საშობაო უნივერსიტეტში“ მან წაიკითხა საჯარო ლექცია საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან. ლექციის მრავალ მსმენელთა შორის იყო ილია ჭავჭავაძე. საჯარო ლექციებს ქართული კულტურის, სამართლისა და ხელოვნების ისტორიაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი შემდგომ მთელი 11 წელი კითხულობდა. დიდი აუდიტორია ჰყავდა, ყველგან ალტაცებით ხედებოდნენ. ბევრი ახალგაზრდა მიიზიდა ამ ლექციებმა ქართველოლოგიაში სამუშაოდ, მაგრამ ყველგან ერთ წყენას გამოთქვამდნენ: ლექციები კიდევ მეტ ხანს გაგრძელებულიყო, თუმცა იგი ხშირად სამოთხ დღეს იკითხებოდა ზედინზედ. საქა-

¹ 1908 წელს ივ. ჭავჭავაძის ინიციატორი ახლა უკვე ე. წ. „ზაფხულის უნივერსიტეტისა“. ადრე საჯარო ლექციებისათვის მიღებულ შემოსავალს სწორედ ამ მიზნისათვის ინახავს იგი. ამის შესახებ სწერდა მას 1908 წლის 28 აპრილს პეტრე სურგულაძე პეტერბურგში, რომ „შენ დატოვე 160 მანეთი. სულ შეგროვდა 173 მანეთი... ახლა ჩვენ წერილები მივწერეთ ნ. მარს, ზ. ავალიშვილს, ლ. ანდრონიკაშვილს, ვ. პეტროსიშვილს, პ. მელიქიშვილს.

ანდრონიკაშვილის და ავალიშვილის წერილები შენს სახელზე გამოგზავნე, რადგან იმათი ადრესები გარკვევით არ ვიცი. ლექციები დაეწინაურეთ 10-დან 25 ივნისამდე. საქმის ვითარება კარგად იცი და თვითონ ინიციატორი ხარ. შენს ძმასაც უნდა თხოვო ჩვენს მაგიერ“.

რო ლექციები არა მარტო ჩატარებული მეცნიერული კვლევის ანგარიში იყო მშრომელი ხალხის წინაშე, არამედ იგი უფრო მეტს ნიშნავდა: როგორც კარგად თქვა აკად. გ. ჩუბინაშვილმა, ზოგადს, ფართო გაშლას, ან ისტორიულ მოვლენათა და ეპოქების სურათებზე დამთავრებულ წარმოდგენას ივ. ჭავჭავაძის უპირატესად თავის საჭარო ლექციებსა თუ კერძო საუბარში გამოთქვამდა. მის ნაწერებში კი სიკვდილამდე დარჩა ერთგული პრინციპისა: მხოლოდ და განსაკუთრებით იმაზე წერა, რაც ფაქტობრივად არის დადგენილი, ამიტომ ბექდვის დროს კვლავაც მეტისმეტი თავდაპყერილობა, თვითშეზღუდვაა გადმოცემასა და გამოთქმაში

საჭარო ლექციების კითხვამ საქართველოში სისტემატური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ქართველთა მეორე დიდმა შვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ივ. ჭავჭავაძის არა მარტო ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად ირჩევენ, არამედ ექვთაყაიშვილი მას სთავაზობს ამ საზოგადოების თავმჯდომარეობას და მთლიანად თბილისში გადმოსვლას. ეს, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, საზოგადოებას „ერთგვარ სახალხო უნივერსიტეტის ხასიათს მისცემდა“. ივ. ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების ეს მომენტი არ უნდოდა ხელიდან გაეშვა, თუმცა საზოგადოების თავმჯდომარეობაზე პრინციპული უარი თქვა. ეს მაშინ ვერ მოხერხდა. ახლა იგი პეტერბურგიდან შეუდგა ქართული უნივერსიტეტის საშვილიშვილო საქმის თადარიგს. ყოველწლიურად ივ. ჭავჭავაძის ახალ და ახალ სპეცურსების წაყითვის იწყებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. თუ ნ. მარი ენათმეცნიერებისა და მწერლობის ყველა კურსს კითხულობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე, ივ. ჭავჭავაძის ყველა სპეცურსი მიჰყავდა როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ისტორიაში, ვიდრე მას ნ. აღონცი არ წამოეშველა სომხური სპეცურსების კითხვაში. ივ. ჭავჭავაძის საუნივერსიტეტო კურსებიდან შემდგომ აღმოცენდება უშესანიშნავესი მონოგრაფიები ქართული სამართლის, პალეოგრაფიის, ეკონომიკისა და სხვა დარგებში. სამშობლოს კულტურის შესწავლით გატაცებული ივ. ჭავჭავაძის მკვიდრო მეცნიერულ კავშირურობას ამყარებს პეტერბურგის სახელოვანი უნივერსიტეტის პროფესორებთან: ბევრი მათგანი გულწრფელადაა დაინტერესებული ქართული კულტურის გაცნობით. აქ შეუდარებელია ნიკო მარის როლი. იგი არა მარტო თამამად აყენებს ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლის საკითხებს და ბექდავს მათ უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობაში, არა მარტო გეგმავს თავის მოწაფეებთან ქართული ენის, ლიტერატურის დარგებში მონოგრაფიების გამოცემას, არამედ მგზნებარე პროპაგანდას უწევს ქართულ კულტურას. ამისათვის ნიკო მარი ერთ ხერხსაც იყენებდა: უნივერსიტეტის პროფესორთაგან ვისაც კი იგი თავის წიგნს აჩუქებდა, განსაზღვრული დროის შემდგომ აუცილებლად მოითხოვდა მისგან, აზრი გამოეთქვა ნაშრომის გარშემო. ეს შინაგანად აიძულებდა ბევრ მათგანს გასცნობოდა იმ შესანიშნავ გამოკვლევებს, რასაც ნ. მარი ქართული კულტურის შესახებ აქვეყნებდა.

ივ. ჭავჭავაძის ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა მკვლევართან უმკვიდროეს მეცნიერულ კონტაქტებს აბამდა. ამ გზით საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნეს მისმა უნივერსიტეტელმა მეგობრებმა: მონღოლი-სტმა ბ. ვლადიმირკოვმა და დასავლეთ ევროპის ფილოლოგიის უმსხვილესმა სპეციალისტმა ვ. ფ. შიმშარიოვმა — შემდგომში გამოჩენილმა რუსმა აკადემიკოსებმა.

კერძო წერილები შეუცვლელი წყაროა ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩასახედად, მისი სულიერი განწყობის სხვადასხვა მხარეთა გასაცნობად. ხშირად ესაა საუბარი არა მარტო აღრესატან, არამედ საკუთარ თავთან და ამით ყველაზე უშუალო გამომხატველი მოცემულ მომენტში ავტორის შემოქმედებით სწრაფვითა გასაცნობად.

ასე, 1907 წლის 23 მარტს ივანე ჯავახიშვილი სწერს თავის მეგობარს ალექსანდრე ყიფშიძეს (ფრონელს): „ბევრი მონათლავაკებელი მაქვს შენთან, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, ისე ვიღლები გადამეტებულ მუშაობისაგან, რომ წერილის დაწერაც მიძნელდება. ესლა მე ვწერ „ქართული სამართლის ისტორიას“ და იმედი მაქვს მისამდინ გავათავო...“

„ზაფხულში ერთი თვით არაგვის ხეობაში ვაპირებ მოგზაურობას, მე დიდი იმედი მაქვს, რომ შენც მიიღებ მონაწილეობას¹. დიდად გამახანებდა შენს ამბავს შემატყობინებ. შენი ვანო ჯავახიშვილი“.

ნოსტალგიის ნაზ გრძნობას შეუპყრია იგი და შემოქმედებითი შრომითა და ძიებით დაღლილ-დაქანცულს, გადაულახავს მეცნიერული მარტოობის გრძნობა და პეტერბურგშივე გეგმავს არაგვის ატეხილი ქალების ხილვით დამშვიდებას. დიდი შემოქმედებითი მიზანი მოითხოვს სატახტო ქალაქში, როგორც სამეცნიერო ცენტრში, ყოფნას, მაგრამ პეტერბურგშიც სამშობლოს პაერთ სუნთქავს, მისივე სიტყვებით „გული და გონება კი სამშობლო ქვეყნისა და ბუნებისავეს მიუწევს“.

ნალვლობდა და უძძიმდა ივანე ჯავახიშვილს სამშობლოს გარეთ ყოფნა

1906 წლის ნოემბრის დასასრულს პეტერბურგში მან დიდად გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ ქართული გიმნაზია თავის ახალ შენობაში გადავიდა. სინამდვილეში ეს იყო ნამდვილი სასახლე. ივანე ჯავახიშვილს, ისე როგორც ბევრი მდროინდელ მოღვაწეს, შეუძმჩნეველი დარჩა 1900 წლის 14 ოქტომბერი, როცა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის საფუძვლის ჩაყრა და კურთხევა მოხდა. პრესაში ძუნწზე ძუნწი ცნობა გამოქვეყნდა ამის გამო მთელმა ამ დიდებულნი საქმის სულისჩამდგმელმა და ზორტისშემსხმელმა უანგარო მოღვაწე ნიკო ცხვედაძემ მხოლოდ წამოწყების მომავალზე ფიქრობდა და არა რეკლამაზე. სიმაგიეროდ ივანე ჯავახიშვილის მესხიერების ეკრანზე მტკიცედ დარჩა 1901 წლის 24 ივლისის „ივერია“. ამ დღეს „კლიას“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „მოღვაწეობა მარტო მწერლობა როდია“. ის ეხება ნიკო ცხვედაძის წარუხოცელ ღვაწლს, რომელმაც ექვები გაუფანტა გულგატეხილთ და გულძვირთ; ენიანობამდე მისული პრინციპულობით, დავითა და ბრძოლით იღვწის იგი საქმის წარმატებისათვის და ხალხს პირდება, რომ „ახლო მომავალში აეგება განათლების ტაძარი, რომლის ბადალი ჩვენს ქალაქში არ

¹ 1907 წლის 4 აპრილს ალ. ყიფშიძე სწერდა, თუ როგორ მიდის თბილისში „საქართველოს ეკონომიურ ისტორიის“ ბეჭდვა. წერილს ასე ამთავრებდა: „არაგვზე დიდი სიაზონებით წამოგყვები, თქვენის რჩევით „ნაკადულში“ დავიწეე ეთნოგრაფიული წერილების ბეჭდვა. ემყოფილი არა ვარ, ტონი ვერ ავიღე რიგინი, რალაც მიშლის. გეერდებ არავინა მეაქს, რომ გავარაკვიო, რანაირი უნდა იყოს წერილები, რა ხასიათის და რა გარეგან ფორმაში ჩამოვსხას შინაარსი. „კახეთის ამბები“ ცალკე წიხნად დაიბეჭდება და სააღდგომოდ გამოგიგზავნი. თქვენ ახალ შრომას მოუთმუნლად ველი. იყავით კარგად და მხნედ“.

იქნება, აღმოუჩნდება ღონისძიება ისეთი, რომ განათლების საქმეში მოცილებულს სხვებს წარმატებით გაუწევს. ამ სასურველის ყოფადის დაახლოების თავმდეები ისევ იშვიათი მხნეობა პატივეცემულის ნიკოლოზისა, რომელსაც ეხლა, სახელმწიფო სამსახურისაგან თავისუფალს, საზრუნველი აღარაფერი დარჩენია მის მეტი, რომ თავისი ნაამაგარი სკოლა კიდევ დაასრულოს, სკოლა პატარა შენობა როდია, პატარა სწავლის მისაღებელი, საზღვარგარეთ უნივერსიტეტიც ჰქვია და სწორედ ეს ჩვენი სკოლა ისეთი დიადი რამ იქნება, რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტევს ღვითი!"

ხუთი წლის თავზე მართლაც საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, თუმცა ვინ დაიჭერებდა მაშინ, როცა ზემოთ ნათქვამი სიტყვები იწერებოდა, რომ 17 წლის შემდეგ ეს მშვენიერი, იმ დროის ყველაზე დიდი შენობა თბილისში თამამად დაიტევდა თავის კედლებში პირველ უნივერსიტეტებს კავკასიაში.

განდგილობა, ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებებიდან გაქცევა, ასკეტური, კარჩაეტილი ცხოვრება სრულიადაც არ არის მეცნიერის თანმდევი აუცილებელი თვისება. ამას მეცნიერების განვითარების ისტორიაც ადასტურებს თვალნათლივ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს დიდ მათემატიკოსს ლ. ჯილერს 13 შვილი და 18 შვილიშვილი ჰყავდა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია მიეღწია მეცნიერული კვლევის არანახული შედეგებისა და ნაყოფიერებისათვის. ბევრ გამოჩენილ მეცნიერს შვილი არ ჰყოლია და მხოლოდ უნანიათ ამის გამო. ალექსანდრე ჰუმბოლტი გამონაკლისი იყო. იგი ამბობდა: „მე იმი-სათვის არა ვარ გაჩენილი, რომ ოჯახის მამა ვიყო, ამას გარდა ცოლის შერთვას ვთვლი ცოდვად, შვილის გაჩენას დანაშაულად“. ყველაზე მთავარს იგიწევდა იგი: თვითონ ხომ შვილი იყო მშობლისა, მაშინ ხომ ყოველი მეცნიერი უკანასკნელი მოპიკანივით უნდა ყოფილიყო; უდიდესი რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი ყველაზე დიდ სიხარულს შვილებს შორის ყოფნაში ხედავდა: „ბევრი განვიცადე ცხოვრებაში, მაგრამ უკეთესი ბედნიერება არ ვიცი, ვიდრე ახლოს გყავდეს საკუთარი შვილები“.

ივ. ჭავჭავაძის შვილი მეცნიერის განდგილობას სრულიადაც არ თვლიდა მისაბამ ნიშნად. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ამას ადასტურებს. ოჯახის შექმნას 30 წლის ასაკში გადაწყვეტს. 1905 წლის ზაფხულში ეცნობა მუსიკალური ნიჭით დაჭილდობულ მომხიბვლელ 22 წლის ქალიშვილს ანასტასია ნიკოლოზის ასულ ქამბაკურ-ორბელიანს. ეს დღე არ ჰგავდა სხვას. დაკვირვებულ, წყნარ ასულს ყველაფერი უხდებოდა: ცეკვა, დაკვრა, ღიმილი. კარგი ვიოლინისტი იმ დღეს განსაკუთრებულად მომხიბვლელი იყო¹. სულგანაბული უსმენდა მას ივანე ჭავჭავაძის შვილი, რომელიც თვითონ მუსიკის ღრმა ცოდნას ამჟღავნებდა. 1906 წლის 30 ოქტომბერს მოხდა პეტერბურგში ჭვარისწერა. მშობლები გულმხურვალედ მიესალმნენ ამ გადაწყვეტილებას.

¹ 1905 წლის 12 სექტემბერს ივ. ნიკარაძე თბილისიდან სწერდა ივ. ჭავჭავაძის: „საყვარელო ძმო ვანი! როგორ უნდა გამოვთქვა ჩემი სიხარული! რა სიტყვებით უნდა აღწერო ჩემი აღტაცება? ვანო. შენ ცოლს ირთავ? ნუთუ? ღმერთო... შენ, რომელიც ცოლობის შესახებ სულ სხვა აზრისა იყავი, ვერც კი ჩამოხველ საქართველოში და უკვე ცოლის შერთვა დააპირე! რა მოხდა მაგისთანა? ან რათ დაივიწყე შენი მოსიყვარულე მეგობრები და არ შეატყობინე ეს ფრად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი? მიყვირს, რადგან არ ველოდი, რომ ცოლს ირთავ. მიხარავ, ძალიან მიხარავ, რადგან კარგ ქალიშვილს ირთავ და კარგ ახალ ცხოვრებასაც შეუდექი“.

ოჯახმა ახალი სული შთაბერა ივ. ჭავჭავიძის ცხოვრებას. არა თუ შეიზღუდა, არამედ ყოველმხრივ გაფართოვდა და გაღრმავდა ახალი ქართული ისტორიული მეცნიერების გრანდიოზული შენობის აგება. მეტიც, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები სწორედ ამის შემდეგ დაიბეჭდა მეუღლე ქვეშაირი თანამდგომი და თანამოღვაწე, თანამოზიარე აღმოჩნდა ამ წიგნებისა. ივ. ჭავჭავიძის ნამდვილი ბედნიერება იყო ის, რომ მის მეუღლეს ასე კარგად ესმოდა ქმრის ნაღვაწ-ნაფიქრალის მნიშვნელობა მშობელი ხალხისათვის. ასეთი მეუღლენი არა თუ ხელს არ უშლიან შემოქმედთ, ჩინი შთაავონებენ ახალი წარმატებებისათვის, ამიტომაც ივანე ჭავჭავიძელი ყოველთვის მადლიერებით უძღვნიდა ყოველი ახალი წიგნის უპირველეს ეგზემპლარს ძვირფასს მეგობარს — სტაზიას.

ოჯახური ბედნიერების საფუძველი შვილებია. შვილების მომავალზე ერთობლივი ზრუნვა-გარჯისათვის თანადგომა მას სიხარულს ჰკვირდა. ივანე ჭავჭავიძელმა სამი შესანიშნავი შვილი გაუზარდა სამშობლოს. ქალიშვილი ნათელია, დაბადებული 1908 წელს, ვაჟიშვილი კახა—1915 წელს და ალექსანდრე (ლალი) — 1917 წელს მამის გულს უსაზღვრო სიყვარულით ათბობდნენ.

მაშულისწილობა და მემკვიდრეობა ისტორიულ სიმატელეს როდი უპირისპირდავნიან

1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სხვადასხვა ნომრებში ქვეყნდება ივ. ჭავჭავიძის სტატიების სერია საერთო სათაურით „მაშულისწილობა და მეცნიერება“. ამავე წელს ისინი ცალკე ბროშურად იბეჭდება.

ამ წერილების გამოქვეყნების საბაბი გახდა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ნარკვევი „ბურჯი ეროვნებისა“. ეს შესანიშნავი ნაშრომი პირველად 1890 წელს დაიბეჭდა პრესაში, 1899 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. 1903 წელს გამოდის მისი მეორე გამოცემა. სწორედ ამ უკანასკნელი გამოცემის აეკარგიანობას ეხებოდა ივანე ჭავჭავიძელი.

იაკობ გოგებაშვილის ნაშრომი მიძღვნილია დედაენის დაცვისადმი, მისი შეუცვლელი როლის დახასიათებისადმი. აქ ავტორს შესანიშნავი აზრები აქვს გამოთქმული. ზოგიერთი მათგანი კი პირდაპირი აფორიზმია დედაენის სადიდებელი. „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა“.

„დედა-ენა როდი ჰკავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება“.

„დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგაძნობისა და ნამოქმედარისა.“ მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს. შეაქციეთ ზურგი სხვა ენებსა და დარჩით დედა-ენის ამარაო, ამ ენათა შესწავლა მხოლოდ გაამდიდრებს დედაენის ცოდნას.

ივ. ჭავჭავიძელი თავის ნარკვევში ღრმა პატივისცემით წერს იაკობ გოგებაშვილზე.

ეს ღრმა პატივისცემა ივანე ჭავჭავიძელს არასდროს არ შეუცვლია იაკობ გოგებაშვილის დიდი პედაგოგიური დამსახურების მიმართ¹.

¹ ამიტომ იყო, რომ 36 წლის ვასლის შემდეგ, 1940 წლის ოქტომბერში, ივ. ჭავჭავიძელი წერდა: „მეტად დიდია გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართული პედაგოგიური ლიტერატურის ისტორიაში. მან თავისი

ივ. ჭავჭავაძის წერს იაკობ გოგებაშვილზე, როგორც გავლენიან და დამსახურებულ მწერალზე, რომ მას „ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შეხედულებას საზოგადოება ყურადღებით ისმენს ხოლმე“.

სწორედ ეს მაღალი ავტორიტეტი და იაკობ გოგებაშვილის სახელისადმი პატივისცემა უკარნახებს ივ. ჭავჭავაძის საჯაროდ იმსჯელოს მისი წიგნის ზოგიერთ შემცდარ აზრზე. სხვათაგანად ამ აზრების გავრცელებას ზიანის მოტანა შეუძლია მის ფართო მკითხველებში. მით უფრო აუცილებლად მიაჩნია ივ. ჭავჭავაძის კრიტიკული შენიშვნის გამოთქმა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი სწორედ ი. გოგებაშვილის აზრს იზიარებდა.

მთავარი, რაც ივ. ჭავჭავაძის მხრივ კრიტიკულ შენიშვნას იწვევს ი. გოგებაშვილის შეხედულებაში, ეს არის მეცნიერის პატრიოტული მოვალეობის საკითხი. ივ. ჭავჭავაძის ციტატაც მოჰყავს განსახილველი წიგნიდან:

„ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში, ყველა პატარა ერი, დიდ სახელმწიფოებთან შეერთებული, ცდილობს დაამტკიცოს რომ იგი ღირსია დაცული იქნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნდათ გამორკვევა და გამოაშქარავება თავისი წარსული ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურებისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი.“

ღირსებანი დიდებანი, ნაკლოვანებანი მცირდებანი, მაგრამ მას სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა.

ჩვენს შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგაა“.

ჭერ ერთი, ამ აზრების ლოგიკურ განვითარებას მივჰყავართ იმ შეხედულებამდე, რომ მხოლოდ იმ ერს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი უფლება შეინარჩუნოს თავისი დედა-ენა და კულტურა, რომელსაც ბრწყინვალე ისტორიული წარსული ჰქონდა. თვით მრავალ ევროპულ ერებს აღრე არ ჰქონიათ ეს, — აღნიშნავდა ივანე ჭავჭავაძი, — და წარსულის ღვაწლის უქონლობა სრულიადაც არ ართმევს მათ უფლებას დედაენისა და ეროვნული კულტურის განვითარებისა. ამ შეხედულებას სხვა დიდი ნაკლი ჰქონდა და მის მკენე შედეგებს ამიტომ შეეძლო ზიანი მოეტანა. * სახელდობრ, შეექმნა წარმოდგენა, რომ საკმარისია „ადვოკატური გამოსარჩლებითი“ ჩვენმა მეცნიერებმა შეფის მთავრობას დაუმტკიცონ, რომ „ქართულები ნიკიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებათ. ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს.“

ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიღეთ მოწყალების“ პოლიტიკა: თავდაზნაურობას ჰგონია, მაგალითად, რომ საკმარისია თავისი სურვილი და გულისნადები შეატყობინოს, ვისაც ჭერ არს და თანაც მოავგონოს, რომ მათი წინაპარნი ჩოლოყის და დაღესტნის ომებში გულადად იბრძოდ-

დაკვირვებულ და კარგად შედგენილ სახელმძღვანელოებით „დედა ენითა“ და „ბუნების კართით“ სმუელმა მისცა სკოლას, წარმოებინა მეცადინეობა მოზარდ თაობასთან უხვი და საინტერესო მასლით, რომელიც შეეხებოდა ბავშვების ასაკის დონესა და ბავშვის ფსიქიკას. დიდ ყურადღების ღირსია აგრეთვე მისი პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის სტატიები, რომლებშიც ქართულ ეურნალ „მოამბესა“ და რუსულ ეურნალ „ვესტნიკ ვოსპიტანიაშია“ მოთავსებული. ამ სტატიებში ჩანს, რომ მათი ავტორი საქმის ღრმ მცოდნე და დიდი ოსტატი იყო“.

ნენ, რომ მაშინვე ერობაც მიენიკოთ, ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებაც და სახელმწიფო ბანკის („პრიკაზის“) ვალებიც ეპატიოთ“.

ივანე ჭავჭავაძის მიზანია, რომ ადვოკატური მეცნიერება მანეა ხალხის თვითცნობიერების გამოვლიძებისათვის, ვინაიდან ატყუებს საზოგადოებას, ჰქმნის ყალბ მამულიშვილურ თავმოყვარეობას, რამდენადაც „ლირსებანი დიდ-დებიანი, ნაკლოვანებები მცირდებიანი“. ყველაფერი ეს თავის შედეგად „ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყოფას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ჩვენს წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს“.

ერის ისტორიიდან რაიმე ტყუილი, სიცრუე არ შეიძლება პატრიოტიზმის შემდგენელი ნაწილი იყოს. ივანე ჭავჭავაძის მიზანია პირუთვნელობას მოითხოვს მოვლენათა შეფასებისას, ეს საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს, ვინაიდან მან უნდა იცოდეს, რასაკვირველია, „უტყუარი, ჰემარატი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

ივანე ჭავჭავაძის მიზანია მართალია, როცა ამტკიცებს, რომ დამლუპვე-ლია, როცა ერი თავის მოგონებებში იყინება, რომ ბრწყინვალე წარსული ერს ვერ უშველის, თუ იგი თავის აწმყოზე არ ზრუნავს და მისი მომავლისათვის არ იღვწის.

ისტორიკოსს არ უნდა ეშინოდეს, თავისი ხალხის ნაკლოვანებებიც აჩვენოს. ეს ხომ სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ ერის ბრწყინვალე საკულტურო მერმისის იმედი ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომვლავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლიან იგი თვითონ მოიშოროს“. ამგვარი ცოდნა ბევრ შეცდომას აგვაცილებდა თავიდან.

კრიტიკული ისტორიის წერის დროს მკვლევარს შეხედება უკვე ჩამოყალიბებული და მიღებული შეხედულებების შერყევა და უარყოფა. ეს მეცნიერების წინაშე პატრიოტული სამსახურია.

ივანე ჭავჭავაძის მიზანია სწორად უარყოფს იმ დროს გაბატონებულ შეხედულებას საქართველოს ისტორიაზე. რომ ოდიტავნე ქართველთა მოღვმის ტომნი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ, რომ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებიდანვე ჩვენში სრული მშვიდობიანობა სუფევდა, რომ თითქოს „სიყვარული, თანხმობა, სათნოება, მამაშვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებთა შორის ბრძოლა არც როდის არა ყოფილა“.

ამ შეხედულებათა უარყოფა ქართველთა ნიჭიერების უარყოფად მიიჩნიათ მაშინ, როცა ამგვარი ბრძოლებით ამაყოფენ ევროპელი მეცნიერები. თავის მხრივ, ივანე ჭავჭავაძის მიზანია რწმენით და სიამაყით წერს მშობლიური ხალხის სოციალური ბრძოლების წარსულზე. „საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლიან დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიდაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე“...

შემდგომ ივანე ჭავჭავაძის მიზანია იხილავს პროფ. ნიკო მარის შეხედულებათა კრიტიკას იაკობ გოგებაშვილის მხრივ. იგი აქ სრულიადაც არ ცდილობს გამოესარჩლოს ყველგან და ყველაფერში ნ. მარს! აღნიშნავს, რომ ახლად წა-

1 მსოფო ჩანაშეილი პროფ. ნ. მარის სასარგებლო მტკიცებას თვითონ ივანე ჭავჭავაძის მიზანია საადვოკატო გამოსარჩლებას უწოდებს და ნ. მარის მისამართით სრულიად უსაფუძვლოდ წერს: „სწორეთ ახირებული ხალხი ვართ ქართველები. სულყველგან რადაც პოლიტიკის გამოჩენას ეჩალიშობთ: რომ ჩვენი „მოყვრები“ არ დავაფრთხოთო, ერთს სადილს ვუმარათავთ, მეორეს დიდებულად წინ ვეგებებით, იმას ფეხქვეშ ვუგორდებით, ამას კმალივით

მოყენებული საკითხი თვითონ ავტორს — ნ. მარს არ მიაჩნია საბოლოო გადაწყვეტილებად, რომ შეუცდომელი არავინაა ქვეყანაზე და ა. შ. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ „თვითეულ მის ნაწერს მტრის თვალით უტყეირანო“.

ივ. ჯავახიშვილი წერს ნიკო მარზე როგორც ნიჭიერსა და დიდბუნებოვან მეცნიერზე, რომელიც „თავის დროზე, იმედია, სამშობლოს ქართულ ლიტერატურას მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიას შესძენს“.

დაწერილებით მიმოიხილავს ივ. ჯავახიშვილი ნ. მარის შეხედულებას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსული წარმოშობის შესახებ. აქ, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ნიკო მარი გამოთქვამდა შეხედულებას, რომ ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში აღწერილი სათაურის მიხედვით შესაძლებელია იმ სპარსული მოთხრობის დედანი აღმოჩენილიყო, რომელზეც შოთამ თავისი გენიალური პოემა შექმნა... ნიკო მარმა „ეს სთქვა კიდევც, მაგრამ ადამიანს იმედოვნად გაუცრუვდება ხოლმე: ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ზელნაწერში ეს მოთხრობა არ აღმოჩნდა“. თავისთავად ამგვარი უარყოფითი შედეგიც ივანე ჯავახიშვილს სასარგებლოდ ეჩვენება, საქმე ის კი არ იყო, რომ ამგვარი მოთხრობა სპარსულად არ აღმოჩნდა. თუნდაც ეპოვნათ ასეთი რამ, იგი სრულიადაც არ ამცირებდა შოთა რუსთაველის სიდიადეს, ვინაიდან, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ცდებიან ისინი, ვისაც „ჭკონიათ, ვითომც აღმოჩნდება თუ არა სპარსული მოთხრობა, მაშინვე შოთა რუსთაველის ნაწარმოებს უკვდავების სხივი მოაკლდებოდეს“.

ივანე ჯავახიშვილი — ქართველთა დიდი ისტორიკოსი — მშობელი ხალხის მომავალს ღრმა რწმენით წერდა მის წარსულზე. პატრიოტული ხმაურისაგან თავისუფალი, იგი წარსულის პირუთენელ შესწავლას უკეთესი მერმისის მიღწევის მიზანს უქვემდებარებდა. ხელახლა წაიკითხეთ შესანიშნავი სტრიქონები: „გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შეღახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს, ხოლო ამგვარი სურვილი აზრდაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგახსენებათ, მისაბამავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად“.

შასასადამე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მთავარია არა მოთქმა და ტირილი დაქარგული სამოთხის გამო, არამედ მეცნიერული შესწავლა ამ წარსულისა, მისი „ავისა და კარგის“ კანონზომიერების დადგენა და ახალი ქვეყნის პატრიოტ-მშენებელთათვის იდეურ საკვებად მიწოდება.

უეპრობით, დანარჩენებს სირინოზის ხმაზე ეუგალობთ და სხვ. სხვ. და ამ ჩვენ პოლიტიკით კი ერთი ბეწვა სარგებლობა არ ხედება საქართველოს. ჩვენი „მოყვრები“ ისეთი „რწმენის“ ხალხი ჩნდება, რომ ყველგან და ყოველთვის „ბალი, ალა“ თუ არ მოახსენე, მაშინათვე ივანე ჯავახიშვილიან და თუ გუშინ ჩვენს შეგობრობაზე თავს დებდნენ, დღეს ჩვენს ჩასაქოლად ქუებს კრებენ! და საეივრელი ის არის, რომ ჩვენს შორისვე ჩნდებიან ისეთები, რომლებიც ამ „მოყვრების“ დაფანტვისათვის ჩვენზე გვიკიდინებენ და არა თვით ამ დამფრთხალ „რწმენის“ კაცებს. რად შემოიწყურით მავანი და მავანიო... მე კი ასე ვფიქრობ, რომ მტკიცე აზრის კაცს წრფელის სიყვარულით საქმის მკეთებელს ვერ განაწყენებებს და ვერ განდრეკს ვერავითარი წინააღმდეგი სიტუა, ვერავითარი საწინააღმდეგო ბრძოლა და, თუ გინდ, დაცინვაც. ქრისტე მესიად რჩება მაშინაც კი, როდესაც ყურბალში სცემენ და „სახიერს პირში აფურთხებენ“ (იხ. მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, 1909, გვ. 123—124).

რევოლუციის მქუხარე ხანაში ცალკეული პიროვნებები და მთელი ხალხი უღარესად ინტენსიურ მოღვაწეობას ავითარებს. ბუნებრივია, მსგავსი ინტენსიური მოღვაწეობის გარეშე ვერ დარჩებოდა ყველაზე დიდი იმედების მომცემი ქართველ ისტორიკოსთა შორის. მით უფრო, რომ ქართველი ხალხი უდიდესი ეროვნული ენერგიით მონაწილეობდა XX საუკუნის ყველაზე მასშტაბურ პირველ სახალხო რევოლუციაში — 1905 — 1907 წლების რუსეთის რევოლუციაში — კლასობრივი ბრძოლის ამ გიგანტურ აფეთქებაში.

ივანე ჯავახიშვილის ამ პერიოდის გამოკვლევები, იმის მიუხედავად, რომელი საუკუნის ისტორიულ მოვლენებს ასახავენ ისინი, რევოლუციის გამა-ცოცხლებელის და გამწმენდი სიოთი სუნთქავენ.

ასე მაგალითად, 1906 წლის „ივერიის“ მაისის ნომრებში (10—13) გამოქვეყნდა საქართველოში ადრინდელი ქრისტიანული მოძრაობის ამსახველი გამოკვლევა. მას თითქოს არაფერი კავშირი არ უნდა ჰქონოდა თანამედროვეობასთან. სწორედ თანამედროვეობასთან კავშირის ძაფს აბამს ივანე ჯავახიშვილი ამ სტატიების სერიიდან უკვე პირველსავე წერილში („ივერია“, 1906 წ. 7 მაისი, № 10). ეს წერილი ასე იწყება: „კარგა ხანია, რაც საქართველოში დიდმა მოძრაობამ იჩინა თავი. ჭერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინად ცხადად ეტყობოდა, რომ ჩვენი ხალხის წინანდელი აზროვნება ირყეოდა და ხალხში ახალი მიმართულება ვრცელდებოდა: ეს მოძრაობა და ძველებურა შეხედულების შერყევა ქართველი ერის ეკონომიურ განწყობილებასაც შეეხო, მის ზნეობრივ და გონებრივ ავლა-დიდებასაც. ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მხურვალე და წრფელი სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა. ხალხს აღარ აკმაყოფილებს წინანდელი, მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნობამ მოიკიდა ფეხი“. ეს სიტყვები ეხმაურებიან ილიას დასკვნებს: „ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს“. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში შემდგომ დახასიათებულია, ადრინდელი ქრისტიანობისაგან განსხვავებით, ის ცვლილებები, რაც მოჰყვა სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის შემდეგ მაღალ წოდებათა წევრების მიერ ქრისტიანობის მიღებას, როცა ცხოვრების დამამწვანელი და გულსაუყებელი მიდიდრები თავიანთი ცოდვების მოსატყეველად და ცხოვრებისათვის ეკლესიაში მიდიოდნენ, იქ გაკილვას, გაკიცხვას, ქიშპობასა და სიძულვილს თესავდნენ, და თავიანთი შურიანი ხასიათი და ღვარძლიანი გული შეჰქონდათ.

ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი ნაშრომთაგანი, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს დაწერილი, ეს არის 1906 წელს პეტერბურგში რუსულად გამოქვეყნებული გამოკვლევა „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“. იგი დაიბეჭდა გამომცემლობა „საქართველოს“ მიერ.

ეს შედარებით მცირე ზომის წიგნი რევოლუციის დროინდელი მგზნებარებითაა დაწერილი. მასში პუბლიცისტური სიმკვეთრითაა მოვლენები წარმოჩენილი. ეს გარემოება ამა თუ იმ ისტორიული პროცესის დადებით მხარეებს მთელი სისრულით ვერ წარმოგვიდგენს. ავტორი ყველგან ისწრაფვის XIX საუკუნის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის ის შედეგები წარმოგვიჩინოს, რომელთაც XX საუკუნის დასაწყისში მოჰყვა საქართველოს მოქცევა საერთო რუსული რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში.

XX საუკუნის საქართველოს გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებში ივ. ჭავჭავიძე იყო ერთ-ერთი უმთავრესი სტიქიონის გამოვლინებასაც ხედავს.

ივანე ჭავჭავიძე ნარკვევს იწყებს იმით, რომ საქართველოში გაშლილ რევოლუციურ მოძრაობას განიხილავს, როგორც საქართველოს ცხოვრების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგს. იგი აღნიშნავს, რომ „უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მძლავრი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში რუსეთის საზოგადოებრივ ყურადღებას იქცევს. უმეტესობას, თუ ყველას არა, ეს ეჩვენება მოულოდნელობად, უცაბედად აღმოცენებულ მოძრაობად და ვერ გაუგიათ, როგორ შეიძლებოდა გამოიმუშაებულყო ის ერთსულოვნება, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოიჩინა სოციალურ მოძრაობაში, საიდან მოვიდა ის სანიმუშო დისციპლინა და ორგანიზებული მოქმედება, რომლებიც ასე მკაფიოდ განასხვავებენ თავისი კულტურით ქართულ მოძრაობას რუსეთის სხვა მხარეების მისივე თანამედროვე მოძრაობისაგან“.

ივანე ჭავჭავიძე იმასაც აღნიშნავს, რომ სრულებითაც არ არის მოულოდნელი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის სანიმუშო დისციპლინა და ორგანიზებული მოქმედება. მაგრამ, თუ ეს არ არის საყოველთაოდ ცნობილი, ეს იმიტომ რომ „უქანასკნელ დრომდე რუსულ ენაზე არ არსებობს ყველაზე მოკლე მიმოხილვა კი XIX საუკუნის საქართველოში მოძრაობის ისტორიიდან“.

სწორედ ამ ხარვეზების შევსების მიზანს ისახავს ივ. ჭავჭავიძის ეს ნარკვევი. მთელი ნარკვევი ოფიციალურ დოკუმენტებსა, გამოკვლევებსა და უკვე გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობა. ავტორს არც ერთი საარქივო მასალა არა აქვს გამოყენებული.

ივ. ჭავჭავიძე თვლის, რომ სოციალური ბრძოლის მომენტები სრულიადაც არ არის დამახასიათებელი მხოლოდ XIX საუკუნისათვის. მას ხალხის ცხოვრებაში ღრმა ფესვები აქვს. იგი წერს: „აგარაულ მოძრაობას საქართველოში თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. დოკუმენტები გვიდასტურებენ, რომ, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა, მთელი XVIII საუკუნის მანძილზე აგარაული მოძრაობა საქართველოში არ შეწყვეტილა: ხან აქ, ხან იქ დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში იგი იფეთქებდა და კვლავ და კვლავ გვაგრძნობინებდა თავისი არსებობის შესახებ“.

მართალია, ისტორიამ ამგვარი დოკუმენტები საერთოდ მცირედ შემოგვიანახა, მაგრამ, რაც არის შემონახული, უმეტესად საეკლესიო „გლეხობის მოძრაობას შეეხება. ამასთან, ივანე ჭავჭავიძე საეკლესიო სწორად შენიშნავს, რომ, თუ ამ მოძრაობამ ვერ მიიღო თავისი ისტორიულ-ლოგიკური განვითარება, ეს იმიტომ, რომ ფიზიკური მოსპობისა და გადაშენების რეალური საფრთხე უშლიდა ამას ხელს, რომ პოლიტიკური პირობები, გარეშე მტერთა მხრივ მუდმივი საფრთხე არ იძლეოდა შესაძლებლობას ამ მღელვარებას ნორმალური მიმდევრობა მიეღო, მაგრამ XVIII საუკუნეში სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები უდაოდ გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო შეემსუბუქებინათ ყმების მდგომარეობა და ამით შეენელებინათ მათი უკმაყოფილება. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, ის, რომ 1765 წელს, ერეკლე მეორის გადაწყვეტილებით, იმ ყმებზე, რომლებიც თავისუფლებას მოიპოვებდნენ ტყვეობიდან, აღარ ვრცელდებოდა ყოფილ მებატონეთა უფლებები, რომ ყმა, რომელიც არ ყოფილა გამოსყიდული ტყვეობიდან მებატონის მიერ, თავისუფლდება

ამ დამოკიდებულებისაგან, რომ იმ ბატონს, რომელიც შიმშილობის დროს არ მზრუნველობდა ყმაზე, ეკარგებოდა მასზე უფლება და ა. შ.

XIX საუკუნეში სოციალური ჩაგვრა, მეფის მოხელეთა თვითნებობით დამძიმებული, მწვავე სოციალურ მოძრაობას ავითარებს საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში. ქართველი თავადაზნაურობა სრულიადაც არ ცდილობდა გაეთვალისწინებინა გლეხთა მძიმე მდგომარეობა. მას არ შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი როლი ეკისრა. ბევრი მათი წარმომადგენელი მეფის ხელისუფლების წინაშე ერთგულებას გლეხთა მღელვარების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობით ადასტურებდა. მართალია, 1832 წელს ქართველმა თავადაზნაურებმა შეთქმულება მოაწყვეს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ იგი განწირული იყო დამარცხებისათვის, ეს მაშინაც მოხდებოდა, რომ ი. ფალავანდიშვილს აღრევე არ გაეცა იგი. საქმე ისაა, რომ გლეხობა არ უჭერდა მხარს შეთქმულთ. სოციალური ბაზის სიღიწროვე განსაზღვრავდა ამ მოძრაობის მარცხს. საესებით სწორად წერს ივანე ჭავჭავიძე: „ორგანიზატორ აზნაურებს რომ გაეგოთ მთელი სერიოზულობა ქართველ გლეხთა მოძრაობის და მათთან ერთობლივად ემოქმედნათ, მათ განზრახვას შეეძლო მოეპოვებინა უფრო რეალური ნიჟადაგი, მაგრამ სწორედ ეს არ მოხდა. საქმე უკვე განწირული იყო დამარცხებისათვის, თუნდაც რომ მისი ნაადრევი განთქმა არ მომხდარიყო“.

თავადაზნაურული შეთქმულების დამარცხების შემდეგ კი არ სუსტდება გლეხთა მოძრაობა, იგი გრანდიოზულ მასშტაბებს იძენს. ამ დროს ქართველი მემამულეები ქართველი გლეხობის მხარეზე კი არ გამოდიან, არამედ უფლებით რუს მემამულეებს უთანაბრდებიან. შესანიშნავი სიმკვეთრით ხატავს ფეოდალთა უკაცურობის ამ სურათს ივანე ჭავჭავიძე: „ქართველ მემამულეებსაც, რუს მემამულეების მსგავსად, მიენიჭათ უფლება ყმა-გლეხების რეკრუტებად მიცემისა და გადასახლებაში გაგზავნისა“.

ივანე ჭავჭავიძე, როგორც ვხედავთ, სწორედ გლეხობის მხარეზეა. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იგრძნობა გლეხობის დრტივნა. გლეხთა აჩანყებას გურიაში მოსდევს გლეხთა გრანდიოზული და ორგანიზებული გამოსვლა სამეგრელოში. 1856 წელს ამ მოძრაობამ მოიცილა მთელი სამეგრელოს გლეხობა გლეხთა აჩანყება, ივანე ჭავჭავიძის სიტყვებით, გამოიწვია „აზნაურობის მხრივ ქართული ადათობრივი სამართლის იმ ხორმების უკიდურესმა დარღვევებმა, რომლებიც მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობას არეგულირებდნენ, განსაკუთრებით კი გლეხთა მიმართ იმ ბოროტმოქმედებითა და უსირცხვილო ექსპლუატაციით, რომელსაც სასახლის მამულეების თავადი ჩიქოვანი მიმართავდა“. ივანე ჭავჭავიძე აღწერს იმას, რომ გლეხთა მოთხოვნები სრულიადაც არ ყოფილა უკიდურესი. ისინი მინიმალური მოთხოვნებით გამოდიოდნენ: მოთხოვდნენ იმას, რომ მათ ადამიანურად მოქცეოდნენ, რომ არ აწამებდნენ მათ, უბრალო ურჩობისათვის ხუნდებს არ ადებდნენ, არ ყიდდნენ მათ, როგორც საქონელს, რომ თავადაზნაურებს დაეცვა საუკუნეობრივი ნორმები ფეოდალური ადათობრივი სამართლისა. თავადაზნაურობას არ სურდა გაეგო გლეხობის ელემენტალური მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა და მათთან ბრძოლაში სრულ შეურიგებლობას იჩენდა.

საგლეხო რეფორმის ლოდინმა გლეხობა ერთგვარად დამშვიდა და მას უკეთესი მომავლის იმედი მისცა. ამ რეფორმის შეკრევილად ჩატარება საქართველოში, ქართული ბატონყმური ურთიერთობის თავისებურებათა გაუთვავ-

ლისწინებლობა, იმის მიზეზი გახდა, რომ მალე გლეხობის უკმაყოფილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აშკარა მღელვარების ხასიათს იღებს. კიდევ უფრო მწვავე ხასიათისა იყო გლეხთა გამოსვლები მცირემიწიანობის გამო დასავლეთ საქართველოში, ეს მაშინ, როცა საიჭარო ქირა უღიდეს მასშტაბებს აღწევდა. აფეთქებები და მღელვარების ცალკეული გამოვლინებანი 1901—1902 წლებში საყოველთაო ხასიათს იღებენ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, დასავლეთ საქართველოში, ოზურგეთის მაზრაში ამ დროს მოუსავლიანობა იყო. უამისოდაც მაღალი საიჭარო ქირა აუტანელი გახდა გლეხობისათვის. იყო ყრუ უკმაყოფილება. 1902 წელს ბათუმის ქარხნებში, სადაც გურიის უმიწო და მცირემიწიანი გლეხები მუშაობდნენ, დაიწყო გაფიცვა. გაფიცვის ბევრი მონაწილე ადმინისტრაციის მიერ გასახლებულ იქნა თავიანთ სოფლებში. აქ კი მუშებს ადგილობრივი გლეხობის ყრუ უკმაყოფილება დახვდათ.

როგორ ეამაყება ზეს გურიის გლეხობის გამოსვლები!

ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის ყველაზე დიდი სპეციალისტი ასევე ისტორიული პირუთვნელობით აღწერს იმ მოვლენებს, რომლებიც თითქმის იმ წლებს ეხებიან, როცა ნაკრევევი იწერებოდა. იგი მთლიანად სახალხო აგარაული მოძრაობის მხარეზეა.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სოფლად გლეხთა მოძრაობას რეალური ფორმები რომ მიეღო, მას აკლდა ორგანიზაციული წარმართვა და ინიციატივა. სწორედ ბათუმიდან გასახლებულმა მუშებმა შეიტანეს ეს ორგანიზატორული სული, თავიანთი უფლებებისათვის ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის იდეა. ყველაფერი ეს მათთვის ცნობილი იყო თავიანთი მუშათა ორგანიზაციების გამოცდილებიდან. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი აღწერს კონკრეტულ ფაქტებს გურიის გლეხთა ორგანიზებული გამოსვლისას.

შესანიშნავია მისი განზოგადება რევოლუციურ მოძრაობაში საქართველოს ყველა კუთხის გლეხობის მონაწილეობისა. „ერთნაირი პირობები, მთელს საქართველოში არსებული, ხელს უწყობენ მთელს საქართველოს ტერიტორიაზე მოძრაობის სწრაფ გავრცელებას და, რაც დრო გადიოდა, ეს მოძრაობა უფრო და უფრო იზრდებოდა აგარაულ და პოლიტიკურ მოძრაობად“. ყველაფრიდან ჩანს, რომ ცენზურა უფლებას არ აძლევს მას, აღწეროს საკუთრივ 1905 წლის რევოლუციის უკმარობის ნიაღვარი. ამის აუცილებლობა თანამედროვეთათვის მაშინ არც იყო. ამასთან, ის საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ მეფის ნაცვალმა ხალხის მოთხოვნის ერთი ნაწილი სამართლიანად და დასაკმაყოფილებლად საჭიროდ სცნო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „ჭერჭერობით არაფერი არ გაკეთებულა ამ მიმართულებით“. მეტიც, რეაქციის გავლენით „რევოლუციის ჩახშობის“ ეპოქაში მხოლოდ რბევა დაინახა ხალხმა.

საკვირველი ბედი ეწია ამ წიგნს. იგი, როგორც აღნიშნეთ, 1906 წელს გამოიცა პეტერბურგში. ცენზურას ის იქ გაუშვია, მაგრამ ცნობილი იყო, რომ ქართული წიგნისა და საქართველოს შესახებ ცენზურა რუსეთში უფრო „ლოიალური“ იყო, ვიდრე საქართველოში. მით უფრო, რომ წიგნი ოფიციალურ მასალებს ეყრდნობოდა და მიზნად ჰქონდა ფაქტიური ცნობები მიეწოდებინა სახელმწიფო სათათბიროს წევრებისათვის. აქ იგი უფრო მკაცრობდა, გამჭირაბი ცენზურა საქართველოში არ სცემდა ისეთ წიგნებსაც კი, რომლებიც რუსეთში იყო გამოცემული. სწორედ ეს ბედი ეწია ივ. ჯავახიშვილის ზემოდასახელებულ ნაკრევებს.

გადაწყვიტეს ამ წიგნის ქართულად გამოცემა. პაატა გუგუშვილის აღწერილი ამ მიზნით წარმოდგენილ იქნა თხოვნა ბექდვითი საქმის ტფილისის კომიტეტ-

ში მისი გამოცემის ნებართვისათვის. ცენზურამ უარი თქვა ამგვარი ნებართვის გაცემაზე. გამომცემელმა კომიტეტში წარადგინა 1906 წელს პეტერბურგში რუსულად გამოცემული ივ. ჭავჭავიძის ეს ნაშრომი, როგორც დედაქალაქის მიერ ნებადართული, და განმეორებით მოითხოვა ნებართვა ამ გამოცემაზე. საქმე ამით მხოლოდ გაფუჭდა. თბილისის ცენზურამ ახლა მოხსენება წარადგინა ივ. ჭავჭავიძის წინააღმდეგ კავკასიის მეფისნაცვალთან. ამას შედეგად მოჰყვა არა მარტო ქართულად გამოცემის ნებართვის აკრძალვა, არამედ რუსულად გამომცემელი წიგნის აკრძალვაც. თუმცა აქ მეფის რეაქციულმა ხელისუფლებამ დააგვიანა. წიგნი 5000 ტირაჟით დაიბეჭდა. ამ დროისათვის ნახევარი უკვე გავრცელებული იყო, ნახევარს კი კონფისკაცია უყვეს და მოისპო. ივ. ჭავჭავიძის სასამართლო პასუხისგებაშიც კი მისცეს, „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“. მას უშველა იმან, რომ მთელი წიგნი ოფიციალურ, გამოქვეყნებულ მასალას ეყრდნობოდა. მას სამი წლით აეკრძალა პეტერბურგიდან უნებართვოდ გასვლა. თანამედროვეებისათვის ივანე ჭავჭავიძის ლიბერალურად უთქვამს: მეტი სასჯელი შეიძლებოდა შემხვედროდა, მაგრამ ამჟერად იმანაც იმოქმედა, რომ მოხსენებული ვიყავი როგორც თავადლი

ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ივანე ჭავჭავიძელზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესეს. იგი არ შეწყვეტილა შემდგომ მეფის ხელისუფლების არსებობის მანძილზე. მადლობელი უნდა დავრჩეთ კიდევ ჟანდარმერიის ზედამხედველობისა, ვინაიდან მან ზოგიერთი ისეთი ფაქტიც შემოგვინახა ივ. ჭავჭავიძის ცხოვრებიდან, რომელთაც ახლა სხვა გზით ვეღარ მოვიპოვებდით. ასე, ჟანდარმერიის 1914 წლის საიდუმლო მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ „15 მაისს სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექციის მიერ მოწვეო ექსკურსია პრივატ-დოცენტ თავად ჭავჭავიძის მეთაურობით მცხეთის ქართულ საეკლესიო სიძველეთა გასაცნობად. ექსკურსიაში 80 კაცი მონაწილეობდა“. ამის შემდეგ საკმაოდ ფართოდაა დახასიათებული ექსკურსიის მეთაურიც: „ჭავჭავიძე ივანე ალექსანდრეს ძე, 37 წლისა, თავადი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, თბილისის გუბერნიის აზნაური. ზედამხედველობის მეტსახელი „საიდუმლო“. ნახსენებია პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისადმი მოხსენებაში 4 მარტისა 1913 წლის № 2230, ქალაქ თბილისში საცხოვრებლად ჩაწერილი არ არის, სინამდვილეში კი ცხოვრობს თავის სიღერთან ჩაუწერავად“. ეს უკანაქსნელი გარემოება, როგორც ჩანს, მოკვლევის ჩამტარებელ ჟანდარმერიის თბილისის საგუბერნიო უფროსს პოლკოვნიკ პასტრიულინს დიდად საეჭვოდ მიუჩნევია. ჟანდარმერიის მოხსენებებში ბევრი მოგონილი და გაგონილი ცნობაა არეული. პრივატ-დოცენტ ივ. ჭავჭავიძის დანაშაულს ისინი ვერ ხსნიან, ვინაიდან არ მომხდარა იგი. ამ დროს გამომძიებლის ნიჟიც ამაოა. სამშობლოს აკრძალული სიყვარული კი ვერ ხვდება დანაშაულის შემადგენლობაში.

სხვათა შორის, სწორედ 1905 წლის იანვარში იჩინა თავი ნიკო მარისა და ივანე ჭავჭავიძის შეხედულებათა სხვაობამ ე. წ. აკადემიური თავისუფლების საკითხში. აი, როგორ მოხდა ეს:

გიგანტური რევოლუციური ძვრების ტალღები საზოგადოების ყველა ფენას შეეხო. არ დარჩენილა ამ ზეგავლენის გარეშე მაღალი აკადემიური წრეებიც. 1905 წლის 20 იანვარს ვახუთ „ნაშა უიზნ“-ში, გამოჩენილი რუსი აკადემიკოსები ხელს აწერდნენ წერილს, რომელშიაც საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ „ხალხის განათლების დარგში მთავრობის პოლიტიკა გამსჭვალულია უპირატესად პოლიციური

ხასიათის თვალსაზრისით, წარმოადგენს მისი განვითარების მუხრუქს, იგი აჩერებს ხალხის სულიერ ზრდას და სახელმწიფო დაცინებადმდე მიჰყავსო“. პატრიოტი მეცნიერები არ უმაღავდნენ ხალხს სიმაართლეს. მათ სრულიადაც არ ეშინოდათ, რომ ამით აშკარად არღვევდნენ აკადემიის გაქვავებული წესდების მოთხოვნებს. წერილს დასაწყისში 342 მეცნიერი აწერდა ხელს, მათ შორის იყო 16 აკადემიკოსი, 125 პროფესორი და 201 პრივატ-დოცენტი, შემდეგ ხელმომწერთა რიცხვი 1500-მდე ავიდა. ამ წერილს, სხვა პრივატ-დოცენტებთან ერთად, ივ. ჯავახიშვილიც შეუერთდა.

უფრო ზუსტად, ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად შეუერთდა ამ კეშმარიტად პროგრესულ მოთხოვნას. იგი 1905 წ. 24 იანვარს, ორშაბათს, გაზეთ „ნაში დნის“ რედაქციას სწერდა: „ღრმად პატივცემულო ბატონებო, იმის გამო, რომ აქამდე აცნობილი არ ვიყავი პროფესორების მიერ განზრახულ ბანკეტში შეეძლო თუ არა მონაწილეობა დოცენტს და უმაღლესი სკოლის სხვა მასწავლებლებს, მე ვერ შეეძლია თავის დროზე მომეწერა ხელი მიპართვაზე „განათლების საჭიროების შესახებ“, ვთხოვ პატივცემულ რედაქციას, მიუერთოს ჩემი გვარი ამ მიმართვის ხელისმომწერლებს“.

ამის გამო 1905 წლის 25 იანვარს ნიკო მარი წყენით სწერს: „ღრმად პატივცემულო ივანე ალექსანდრეს ძე, უკანასკნელ ხანს, თითქმის ნახევარი წელია, მე ვაზნევიდი, რომ ჩვენი მეცნიერული კავშირუროთიერთობა რაღაცათი წყდებოდა, ჩემთვის უხილავი დენით. უკანასკნელმა საუბარმა მე ნაწილობრივ გამარკვია თქვენი გულის აყრის წყაროზე ჩვენი მეცნიერული უროთიერთობის მიმართ. თქვენი ვანცხადება, გაზეთში „ნაში დნი“ საბოლოოდ ჩემთვის სავეებით ნათელს ხდის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, გულწრფელად ვიართ ერთი და იმავე მეცნიერული გზით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელიხელ ჩაკიდებული და ადრინდელ ახლო თანამშრომლობით ვიართ, როცა მეცნიერული და პოლიტიკური ინტერესების თანაფარდობა დიამეტრალურად სხვადასხვანაირად გვემის, ჩემი ღრმა რწმენაა, რომ მეცნიერ პროფესორის მონაწილეობა პარტიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში ს ა ფ რ თ ხ ე ს უ ქ მ ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა კ ა დ ე მ ი უ რ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ყველაზე მძიმე მორალური შედეგებით“.

ივანე ჯავახიშვილი არა თუ არ ეთანხმება ნიკო მარს, ნებასაც არ აძლევს ჩაერიოს მისი პიროვნების იმ შეხედულებებში, რომელიც სრულიადაც არ ეხება მეცნიერულ ხელმძღვანელობას. 1905 წლის 26 იანვარს იგი სწერს ნიკო მარს: „მხოლოდ წმინდა სინდისით შემიძლია ვთქვა, რომ გულში არასდროს არ ვგრძნობდი თქვენთან მეცნიერულ კავშირუროთიერთობაზე გულაცრუებას. ჩემთვის რასაკვირველია, ცნობილი არ იყო, რას ფიქრობდით და გრძნობდით თქვენ. ჩემი პოლიტიკური მიმართულება და მიზნები, მე მგონია, თქვენთვის ცნობილი იყო ადრეც, წინანდელი ჩვენი საუბრებიდან. ყოველ შემთხვევაში მე არასდროს არ შემეძლო ფიქრადაც მომსვლოდა, რომ მოთხოვნა ერთობლივი მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობისა იმისათვის, რომ ხელიხელ ჩაკიდებული ვიართ ერთი და იმავე მეცნიერული გზით, შეიძლება ისე შორს წასულიყო, რომ მე აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ჩემი პოლიტიკური და მორალური რწმენის ნიველირება და შეთანხმება თქვენ რწმენასთან“. ივანე ჯავახიშვილი თვლის, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულება, ვინაიდან სახელმწიფოს ცხოვრების მსგავსს მომენტში, ყოველი მოქალაქის ვალია — ასეთია ჩემი ღრმა რწმენა — გამოთქვა განსაზღვრულად ამა თუ იმ მხარის მიმართ დამოკიდებულება. განსაკუთრებით

იმიტომ, რომ ჩემი ქცევა ყველაზე ნაკლებად ემუქრება „აქადემიურ თავისუფლებას“, რომელიც ფაქტიურად, ცნობილია, არ არსებობს“.

უარყოფს რა მეცნიერისათვის შეუფერებელ „დემილის თავისუფლებას“, ივანე ჭავჭავიძევილი ასე თანამიმდევრულად იცავს მეცნიერ ხელმძღვანელისაგან დამოუკიდებელი შეხედულების გამოთქმის უფლებას. სიმართლე მის მხარეზე იყო. ამასთან, ივ. ჭავჭავიძევილმა დაადასტურა, რომ ამ თავისუფალი რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის ყოფნაში ბეჯავს თავის მოწოდებას და მომავალ თავისუფალ სამშობლოს.

სამაგისტრო ნაშრომი

ივანე ჭავჭავიძევილმა სამაგისტრო ნაშრომი 1904 წლის ბოლოსათვის მოამზადა და დასაბუქდა. ამის თაობაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა გადაწყვეტილება 1904 წლის 4 დეკემბერს მიიღო: ნაშრომი რუსეთის საიმპერატორო აქადემიის სტამბაში დაიბეჭდა 1905 წელს სერიით „ტექსტები და ძიებანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“, წიგნი VIII სახელწოდებით „სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“.

ნაშრომი უაღრესად ძნელი, რთული და დახლართული პრობლემისადმი იყო მიძღვნილი. ეს ნაშრომი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი იურიდიულ-ისტორიული ნარკვევი ორი უძველესი ხალხის სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან. ნაშრომი უპირველესად ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევაა და ამითაა იგი დღეს ჩვენთვის ძვირფასი. სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც პოულობენ აქ ბევრს ახალს და საინტერესოს თავიანთი საკვლევი სფეროდან. ასე, ლ. კილაშვილის აზრით, ივ. ჭავჭავიძევილის სამაგისტრო ნაშრომი ძველი ქალაქების შესწავლის პირველი მეცნიერული ცდაა.

დღეს შეუძლებელია დავეთანხმოთ ივ. ჭავჭავიძევილის მტკიცებას გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულების თაობაზე. სახელდობრ იმას, თითქოს, სახელმწიფოებრივი წყობილება ყოველი პირველადი სახელმწიფოსი სხვა არაფერია, თუ არა საგვაროვნო წყობა, რომ იქ, „სადაც საგვაროვნო ორგანიზაცია... არსებობს სახელმწიფო“. არჩ. ბარამიძეს ეს შეხედულება არ მიაჩნია მცდარად, ვინაიდან გვაროვნული საზოგადოების რღვევა და მის ნიადაგზე სახელმწიფოს აღმოცენება ერთიანი პროცესია, რომელიც საუკუნეებში გრძელდება და რომ ივ. ჭავჭავიძევილი გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ხელაგდა მეფის ხელისუფლებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ ივანე ჭავჭავიძევილს არა მართო თავისებურად ესმოდა „საგვაროვნო წყობა“, არამედ მისთვის სახელმწიფო ზეკლასობრივი ორგანო იყო და მის საფუძვლად შეიძლებაოდა გვაროვნული წყობილება არსებულიყო. ეს მცდარი შეხედულება როდი გვაძლევს უფლებას ივანე ჭავჭავიძევილი იმ მეცნიერთა შორის მოვაქციოთ, რომლებიც ებრძვიან მარქსიზმს და სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ თეორიას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 1905 წელს გამოსული „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“ ის პირველი წიგნი იყო ამ ორი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, რომელიც ყველაზე მეტ ამოსავალ მასალას აძლევდა მარქსისტ მკვლევარს პრობლემაზე სამუშაოდ, სწორედ ეს წიგნი აღძრავდა უაღრესად საინტერესო აზრებს საქართველოსა და სომხეთში სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებაზე. ამ

თვალსაზრისით ივ. ჭავჭავიძის სამაგისტრო ნაშრომს დღესაც არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა.

ივანე ჭავჭავიძის, როგორც ისტორიკოსის, ცხოველყოფელი შემოქმედებითი ნიჭი იყო საჭირო, რომ მიეგნო სხვადასხვა ენაზე და თავისი ბუნებით სრულიად სხვადასხვა წყაროებში არსებული მონაცემებისათვის სახელმწიფო წყობილების შესახებ ძველს საქართველოსა და სომხეთში. ამ მასალების მოპოვება და მათზე მინიშნება ივანე ჭავჭავიძის დიდი დამსახურებაა.

საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ავტორობამ გამოიწვია ის, რომ არა მარტო დაირღვა შემდგომ საუკუნეებში ფეოდალიზმის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესი, არამედ დაიქარგა ბევრი ისტორიული მტკიცებულება ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობის დამახასიათებელი. ამ ვითარებაში მკვლევრის ამოცანები ასკეცად გართულებულია, ვიდრე, ვთქვათ, ევროპის მთელ რიგ ხალხებში სახელმწიფოს წარმოშობის შემსწავლელ მკვლევართა, სადაც გაცილებით მეტი წერილობითი წყაროებია, რომლებშიც არეკლილია სახელმწიფოს წარმოშობის ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესი.

ივანე ჭავჭავიძელი კარგად ხედავს იმ სიძნელეს, რაც ამ ორი კულტურული ხალხის ისტორიის ისეთი დიდი ნიშანსვეტის დასაწყისსა და განვითარების შესწავლას ახლავს, როგორცაა სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობა და განვითარება. ეს სიძნელე მას არ აფრთხობს, მეტიც, ისტორიულ-შედარებითი შესწავლის გზით სურს მას სპეციფიკური დაინახოს თითოეულ ამ ხალხთან სახელმწიფო წყობილების განვითარებაში.

ივანე ჭავჭავიძელი უფრო შორს მიდის. ნაშრომის დასკვნით ნაწილში იგი მოპოვებულ მეცნიერულ შედეგებს უდარებს აღმოსავლეთის სხვა ძველი ხალხების სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტიტუტებს. საკითხის კვლევა ამგვარ შედარებას შინაგანად მოითხოვდა ავტორისაგან. ეს შედარებით-ისტორიული შესწავლა სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებისა გაკეთდა სპარსეთის, სირიისა და ნაწილობრივ არაბულის შესაბამისი ცნებებისა და კატეგორიების მიმართ. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ის შედეგები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ქართველებისა და სომხების სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლისას, არ წარმოადგენენ თავისთავად ისეთ განსაკუთრებულობას, რომლებიც მხოლოდ ორი ხალხისათვისაა ნიშანდობლივი“.

ზოგადისა და საერთოს ძებნა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ივ. ჭავჭავიძის აუცილებლობად მიაჩნია. იგი ამიტომ არ ეთანხმება ცნობილი ბურჟუაზიული სახელმწიფომცოდნის გ. ელინეკის პესიმისტურ შეხედულებას, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის საერთო კანონზომიერება ვნახოთ. ამ საქმეში ივანე ჭავჭავიძელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიის შესწავლას. ამასთან დაკავშირებით იგი სავსებით სწორად მიუთითებდა იმაზე, რომ სოციოლოგებს (აქ მას უეჭველად ლ. მორგანი, მ. კოვალევსკი და სხვ. ჰყავდა მხედველობაში) მატრიარქატის უნივერსალობის დასადასტურებლად უდავო სამსახური გაუწია იმ ტერმინების ანალიზმა, რომლებიც სისხლთი ნათესაობის კავშირს გამოხატავდნენ. ამის მსგავსად, ამტკიცებდა იგი, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გამორკვევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს დაკვირვებასა და ახალიზს სახელმწიფო-ადმინისტრაციული ტერმინოლოგიისას. ზოგადს გარდა, მეცნიერებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციფიკური. საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წყობილებაში საერთოს დახასიათებასთან ერთად ივანე

ჯავახიშვილს მთელი ყურადღება გადააქვს თითოეულ ამ ხალხში არსებული სახელმწიფო წყობის თავისებურებაზე. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ორივე ნაწილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობას, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, სრულიადაც არ დაუმუშავებია სახელმწიფო წყობილების საკითხი ძველს საქართველოში. ავტორს პირველს უხდებოდა ამ პრობლემაზე მუშაობა. მართალია, მეცნიერ-ბატონიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი თავისი სწორუპოვარი „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ წიგნის შესავალში შეეცადა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საერთო მიმოხილვას, ამასთან, შეიმჩნევა სურვილი დაიცვას ისტორიული პერსპექტივა, მაგრამ იგი ვერ ახერხებს ამ პრინციპების დაცვას. მისი თვალსაზრისის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორისდროინდელი წესები ზეგავლენას ახდენდა მის შეხედულებაზე ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ.

თეიმურაზ ბატონიშვილიც შეეცადა აეხსნა ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილება. წიგნში „ისტორია ივერიისა“ იგი აღწერს საგვაროვნო წყობას ძველს საქართველოში, როცა ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ გვარის ხელში იყო, როცა გვარი თვითონ წყვეტდა სასამართლოსა და მმართველობის საკითხებს. ამ მინიშნებული გზით რომ განვითარებულიყო შემდგომი გამოკვლევები, ისინი უეჭველად აგვიხსნიდნენ სახელმწიფო წყობილების საკითხებს ძველს საქართველოში, მაგრამ შემდგომი მთელი ქართული ისტორიოგრაფია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საქართველოს უძველესი ცხოვრების აღწერით დაკმაყოფილდა არსებითად. სოციოლოგთა და შედარებით ეთნოგრაფთა გამოკვლევებმა ქართულ ლიტერატურაში გამოცოცხლება გამოიწვია, მაგრამ ამას სრულიადაც არ შეუწყვია ხელი სწორედ ძველს საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილების ახსნისათვის. ამიტომ ავტორი ქართულ ისტორიულ მასალებს სწავლობს კლასიკური საისტორიო მწერლობის მონაცემების პარალელურად და მათთან შედარებით. ივანე ჯავახიშვილი აღიარებს, რომ მასალათა სიმცირისა და მათი არასისრულის, ნაწყვეტ-ნაწყვეტობის გამო საქართველოს ძველი პერიოდის სახელმწიფო წყობის საკითხი არასრული და არასრულყოფილია. მიუხედავად ამისა, ავტორს საესებით სწორად მიაჩნია, რომ სახელმწიფო წყობის, სამეფო ხელისუფლების წარმოშობის, ტერიტორიული დაყოფისა და წოდებრივი განსხვავების შესახებ საკითხებში განსაზღვრული შედეგებია მიღწეული. შემდგომ მუშაობას, ახალი მასალების აღმოჩენას, კავკასიის არქეოლოგიას, რომელიც ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფება. დასკვნებს და ახლად აღმოცენებულ შედარებით ლინგვისტიკას შეუძლიათ შეავსონ მიღწეული ღარიბი შედეგები.

ნაშრომი მარტოოდენ უძველეს პერიოდს ეხებოდა საქართველოს ისტორიისას. მასში გვერდი ჰქონდა ავლილი რომის იმპერიისა და სასანიდთა მთავრობის პოლიტიკის გავლენას საქართველოს საზოგადოებაზე, ვინაიდან „ავტორს ნავარაუდები აქვს მიუძღენას ამას სპეციალური მონოგრაფია“. ასევე სპეციალური მონოგრაფიისათვისაა გამოზნული თავი ქართველთა ტომების განფენილობის თაობაზე, რამდენადაც ამ საკითხის სრულად მიმოხილვისათვის აუცილებელი დარჩა ზოგიერთი ლინგვისტური ექსკურსი, რომლის მაშინვე ჩატარება შეუძლებელი იყო. მაშასადამე, ნაშრომი მხოლოდ ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობას ეხება.

ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესწავლა შესაძლებელია ადგილობრივი და კლასიკური (ბერძენი და რომაელი) ავტორების მონაცემების

გამოყენებით. ივანე ჭავჭავაძის შეხედულებით, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები მეტად მცირე რეალურ ფაქტებს გვაწვდის ქართული სახელმწიფოს დასაწყისი ეპოქისას. უპირატესობას ბერძენი და რომაელი ავტორების მონაცემებისას თავისი ჩრდილოვანი მხარეები ახლდა. ეს უცხოელი ავტორები საქართველოს იმდენად აქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც მასთან შეხების მომენტები ჰქონდათ, რამდენადაც ამას მოითხოვდა მათი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესები. ჩრდილოვანი მხარეებთან ერთად, ამ უცხოელი ავტორების ცნობებს უალრესად ძვირფასი თვისება ჰქონდა: „უცხოელ, გარე-შე მეთვალყურეს და მეცნიერს ადვილად შეუძლია შენიშნოს შესასწავლი ქვეყნის სოციალური წყობის თავისებურება: თითოეული გადახვევა მისთვის ცნობილი ნორმებისაგან უნებლიეთ თვალში საცემია, ბუნებრივია, დაინტერესებს მას სიახლით და მას შეაქვს ცნობები ამის შესახებ თავის ნაწარმოებებში და იმ დროს, როცა სამამულო ისტორიკოსი არ მიაქცევდა მათზე, როგორც საყოველთაოდ ცნობილ მოვლენაზე, რაიმე ყურადღებას და დუმილით გვერდს აუვლიდა. ამის წყალობით ბევრი რამ, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ქართული ცხოვრებისათვის¹ შეიძლება დარჩენილიყო შეუმჩნეველი“. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ბერძენ და რომაელ მწერალთა მონაცემები უხვი არ არის, ნაწყვეტ-ნაწყვეტად არსებობენ და სხვადასხვა ეპოქას ეხებოიან.

ივანე ჭავჭავაძის ცნობების მიმოხილვით იწყებს ძველი საქართველოს დახასიათებას. ნიშანდობლივია, რომ სტრაბონით იგი უშუალოდ ორიგინალიდან სარგებლობს და აზუსტებს კიდევ აკად. ვ. ლატიშევის კრებულში მოტანილ თარგმანებს.

მეტად ძვირფასია ის, რომ სტრაბონისა და სხვა ბერძენ ავტორთა მონაცემები შეჭრებულა ქართულ წყაროებთან, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრებასთან“. გონებამახვილურად არის დახასიათებული ლეონტი მროველის შეხედულებების უცხოური წყაროები და ამ გზით იბერიაში სოციალური წყობისა და სამეფო ხელისუფლების წარმოშობის საერთო სურათი.

ივანე ჭავჭავაძის ცნობებით ანალიზს ატარებს სახელმწიფო სამართლებრივი ტერმინებისა და ინსტიტუტებისას ძველ საქართველოში. ამასთან. მეტად ნაყოფიერია მისი დასკვნა ამ ტერმინების სოციალური შინაარსის ევოლუციის თაობაზე. სახელდობრ, საგვაროვნო წყობის დამახასიათებელი ტერმინების და ინსტიტუტების თანდათანობითი გარდაქმნისა სამეფო ხელისუფლებისა და მისი ნიშანდობლივი მოხელეობის სოციალური ბუნების ასახსნელად. ჩამოთვლიდა რა ბევრ ამგვარ თანამდებობის პირს, ივანე ჭავჭავაძის ცნობები დაასკვნია: „მართო ეს ერთიანობა და თანამიმდევრობა იმ თანამდებობის პირთა სახელწოდების სისტემისა, რომელნიც აღჭურვილნი არიან ხელისუფლებით. ამტკიცებენ მათ არქაულობას და ძველისძველ წარმოშობას“, და

¹ უცხოელი მოგზაურნი გვიან საუკუნეებშიც განსხვავებული თვალთ ახედდნენ დაკვირვებებს ჩვენი ხალხის ზე-ჩვეულების დეტალებზე, მის გარეგნობაზეც კი. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ეან შარდენი ასე აღწერს სამეგრელოს: „მეგრელები ძალიან კარგი კიშის ხალხია, კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. შალაღი წრის ქალებს რაღაც თაოებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები დიდებული იყრიან, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიწოდებული და აღურსიანი გამოხედვა, რომ მკურებლისაგან თითქოს ტრფილს ოხოვენო“.

კიდევ უფრო გვიან XIX საუკუნეში აღექანდრე დიუმას ქართული გულუხეობა ასე გაუგია, რომ საჩუქრის გაცემა არის „ქართული ხასიათის გამოძღვანება. ქართველ ხალხს ისევე უუყარს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხს საჩუქრის მიღება“.

ეს ისეთ ვითარებაში ხდება, როცა უცხოურ ზემოქმედებას ვერ მოუხდენია მასზე დამარღვეველი გავლენა. მართლაც, პირველყოფილი თემური წყობის რღვევა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ამ წყობის დამახასიათებელი სოციალური ცნებები და კატეგორიები ცხოველმყოფელური ინერციის ძალით გადმოდის კლასობრივ საზოგადოებაში, აქ წეს-ჩვეულება-ტრადიცია იცვლის თავის შინაარსს და იღვევება ახალი ტრადიციით, მაგრამ ეს არსებულის ფარგლებში ხდება.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ლეონტი მროველი ღრმად ჩახედულია საქართველოს აღრინდელ ისტორიაში. ლეონტი მროველის შეხედულებებში მას ყველაზე საინტერესოდ ის მიაჩნია, რომ „ქართველი ისტორიკოსი წოდებრივ უპირატესობას და განსხვავებას თვლის მეტნაკლებად გვიანდელ მოვლენად, რომ დასაწყისში, ქართველი ხალხის ისტორიული არსებობის უძველეს პერიოდში, მთელი მოსახლეობა, ქართლოსის ყველა შთამომავალი თანასწორი და თავისუფალი იყო“.

მთელი გამოკვლევა ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ პრობლემების მეტად დიდ წრეს მოიცავს. იგი სამი თავისაგან შედგება. პირველი თავი ეძღვნება სოციალურ წყობას და სამეფო ხელისუფლების წარმოშობას. მეორე თავი — ტერიტორიულ ერთეულებს და დასახლებულ პუნქტებს. მესამე თავი ეძღვნება საქართველოში მოსახლეობის სხვადასხვა წოდების დახასიათებას, სამხედრო საქმის ორგანიზაციას და ა. შ. მთელს ამ მონოგრაფიულ გამოკვლევაში ავტორი შესანიშნავ ისტორიულ და ლინგვისტურ დაკვირვებებს ახდენს სხვადასხვა ტერმინზე, რომლებიც ისტორიული ხანდაზმულობით დაფარულ მოვლენებს სინათლეს ჰფენენ. ამასთან, ამ ერთ-ერთ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევაში ჩვენ ვხედავთ ივანე ჯავახიშვილისათვის ჩვეულ წესად შემოღებულ მითითებას მომავალ საკვლევ პრობლემაზე. საკითხს ამ სისრულით არავენ არ სწავლობს. მას არა აქვს საშუალება სხვისი მეცნიერული შეხედულება თუ კონცეფცია გამოიყენოს თავისი დებულების გასამტკიცებლად. საკითხი კი მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მიუთითებს იმ საკითხებზე, რომლის მონოგრაფიულ დამუშავებასაც აპირებს მომავალში. სამაგისტრო ნაშრომი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გვამცნობს მისი ავტორის მომავალ შემოქმედებით წინასწარდასახულობას. ივანე ჯავახიშვილი როდი კმაყოფილდება მარტო იმის აღნიშვნით, რომ სპეციალური მონოგრაფიების მომზადებას აპირებს ქართველ ტომთა განფენილობის, რომის იმპერიისა და სასანიდების დროინდელი პოლიტიკური ზეგავლენის შესახებ საქართველოს სახელმწიფო წყობის განვითარებაზე. პირველად ამ ნაშრომში წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა თვალსაზრისი, რომ ბეჟა-ალბულას სამართლის წიგნში შემორჩენილი არის ბაგრატ IV-ის სამართლის წიგნის ნაწყვეტი. იქვე დასძენდა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ამ ექსცერპტის შესწავლას მიუძღვნას ცალკე გამოკვლევა. ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ არ არსებობს საქართველოს სხვა ისტორიული გეოგრაფია და აქ მხოლოდ XVIII საუკუნის სწორუპოვარი ქართველი მეცნიერის ნაშრომით ვკმაყოფილდებითო. ეს კი არასაკმარისი იყო. ივანე ჯავახიშვილის სამაგისტრო ნაშრომი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ახლებურად აყენებდა.

საკვირველია, რომ ივანე ჯავახიშვილის სამაგისტრო მონოგრაფიაზე („ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“) ქართულად რეცენზია არ დაწერილა, თუ არ ჩავთვლით არჩ. ჯორჯაძის გამომხაურებას.

სამაგიეროდ უარესად დადებითი რეცენზია ამ გამოკვლევებზე დაიბეჭდა სომხურ ენაზე. 1905 წ. ენშიაძინში ჟურნალ „არარატში“ (IX, X, XI) ქვეყნდება რეცენზია ე. მურადიანისა. ივანე ჭავჭავიძელის სამაგისტრო გამოკვლევას რეცენზენტი „მშვენიერ ნაშრომს“ უწოდებს. იგი წერს: „ი. ჭავჭავიძის აღნიშნული შრომა მიძღვნილია დღემდე ოდნავად განხილული საკითხის ძველი საქართველოს და სომხეთის სახელმწიფო ორგანიზაციის გაშუქებისადმი.

მხოლოდ ახლა ამ შრომის გადახედვის შემდეგ ირკვევა რაოდენ სუსტი და ზერელე წარმოდგენა გვქონდა ჩვენ ჩვენი წარსული სოციალური ცხოვრებისა და წესწობილების შესახებ, მისი განვითარების საფუძველის — ჩანასახის და ჩვენი ძველი საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის შესახებ“.

სხვა ადგილას რეცენზენტი აღნიშნავს „ასე, ახალგაზრდა მეცნიერი ი. ჭავჭავიძე ჩვენ გვაწვდის ორიგინალურ გამოკვლევას ძველი სომხეთის სოციალური ორგანიზაციის შესახებ ჩვენივე მემატიანეთაგან ამოკრეფილი მასალის მიხედვით, რომლის მსგავსი ჭერჭერობით არავეს შეუსრულებია და რომელიც საკმაოდ განსხვავდება გ. ჩამჩიანისა და ალიშანის ანალოგიურ ნაშრომთაგან.

ბ. ივ. ჭავჭავიძის ნაშრომი ახალი საგანძურია ჩვენი ისტორიისა და საერთოდ წარსულის შესასწავლად, და შეუსრულებია ის სრული მეცნიერული კეთილსინდისიერებით“. საბჭოთა პერიოდშიც აღინიშნება ივ. ჭავჭავიძელის მონოგრაფიის მაღალი მეცნიერული დონე. ასე, 1963 წ. ერევანში გამოსულ ნაშრომში „აღრინდელი ფეოდალიზმის სახელმწიფოს შესახებ სომხეთში“ პროფ. ა. გ. სუქიასიანი წერს: ამ ნაშრომის „მდიდარმა მასალებმა და ავტორის მიერ აღძრულმა საკითხებმა ხელი შეუწყეს სომხეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შემდგომ შესწავლას“.

ივ. ჭავჭავიძელი, მიმოიხილადა რა შეხედულებას ახალი დროის ისტორიკოსებისას, აკრიტიკებდა მათ იმაში, რომ თავიანთ დასკვნებს ძველ სომხეთში წოდებრივი და ადმინისტრაციული წყობის შესახებ ისინი ამყარებდნენ ერთადერთ წყაროზე — მოსე ხორენელის ცნობაზე, რომ მთელი სახელმწიფო წყობილება ძველ სომხეთში შემოღებული იყო მეფე ვალარშაკის მიერ. ეს ისტორიკოსები არ თვლიდნენ საჭიროდ, შემოწმებინათ ერთადერთი წყაროს მონაცემები სხვა ისტორიკოსების მონაცემებით. ამასთან, სავესებით სწორად საყვედურობს ივანე ჭავჭავიძელი ახალი დროის ისტორიკოსებს, რომ „სომხეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების წყობა, რომლის შემოტანას ხორენელი მეფე ვალარშაკს მიაწერს, თავისთავად ცხადია, შეიძლებოდა ყოფილიყო წყობილების ხანგრძლივი ევოლუციის შედეგი და უდავოდ არ შეეძლო არსებობა იმ დროს, როცა ტრადიციული წარმოდგენით უნდა ეცხოვრა ვალარშაკს“. ამასთან ერთად ივანე ჭავჭავიძელი საჭიროდ თვლის აღნიშნოს ის ისტორიული ცვალებადობა, რაც თანამედრობის და წოდების გამობატვას ახლავს, „ისტორიკოსების ტექსტი ისე უნდა გავიგოთ, როგორც მათ ესმოდათ, როცა მას წერდნენ, ე. ი. უნდა გავარკვიოთ, რას გულისხმობდნენ ეს მწერლები თანამედრობისა და წოდების სხვადასხვა სახელწოდების ქვეშ“. ეს აუცილებელია გავეთდეს, ვინაიდან სხვანაირად სახელწოდებებისა და ტერმინების მშრალი და ზერელე ჩამოთვლა ვერ გადაიქცეოდა „სოციალური წყობის მეტნაკლებად ცოცხალ სურათად“.

ივანე ჭავჭავიძელი მიმოიხილავს სომხეთის საისტორიო მწერლობის სხვადასხვა წარმომადგენლებს. სწორედ მათ ემყარება თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში ავტორი. ძველი ბერძენი მწერლების — ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სტრაბონის მონაცემები გამოყენებულია ივანე ჭავჭავიძელის მიერ სომხე-

თის შესახებ მონოგრაფიაში, თუმცა ისინი არ იძლევიან იმდენ ცნობებს, რამდენსაც საქართველოს შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტორები თვითმხილველნი და სომხეთში ნამყოფი იყვნენ. სომხეთის შესახებ მონოგრაფიის პირველი თავი განიხილავს ტერიტორიის საკითხებს, მეორე თავში განხილულია მოსახლეობის, სხვადასხვა წოდებათა საკითხები და ა. შ.

ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილების საკითხები საისტორიო მწერლობის მიმოხილვაში მთელი სისრულით ვერ ამოწურავს პრობლემას. თვითონ ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ამას გარდა აუცილებელი იყო ნივთიერი წყაროები, ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალები. ეს მან სამაგისტრო დისერტაციის საჯარო დაცვის დროს თვითონვე აღნიშნა.

1907 წლის 13 აპრილს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის საბჭოსადმი წარდგენილ 7-გვერდიან წინასწარ რეცენზიაში პროფ. ნ. მარი და პროფ. ვ. ბარტოლდი დაასკვნინდნენ: აღნიშნული ნაკლოვანებები სრულიადაც არ აბათილებენ მონოგრაფიის „მთავარ ღირსებებს: ასეთებად ჩვენ ვთვლით კვლევითი საკითხების ნათელ და ზუსტ დასმას, მათ-გადასაწყვეტად არჩეული გზის სისწორეს და ძირითადი დასკვნების დასაბუთებულობას“.

სამაგისტრო დისერტაციის დაცვა მოხდა 1907 წლის 13 მაისს. ადრე, 1907 წლის 28 აპრილს, ფაკულტეტის დეკანი ვ. ქუქოვსკი და მდივანი ვ. ბარტოლდი სწერდნენ რექტორს, რომ კვირას, 13 მაისს, დღის 2 საათზე თავადი ი. ა. ჯავახოვი საჯაროდ დაიცავს დისერტაციას „სახელმწიფო წყობილება ძველი საქართველოსი და ძველი სომხეთის“, რომელიც წარმოდგენილია ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულია ორდინარული პროფესორი ნ. ი. მარი და ორდინარული პროფესორი ვ. ვ. ბარტოლდი“. დაცვა დანიშნულ დღეს შედგა. პროფ. ნ. ი. მარი არ ყოფილა მეცნიერ-ხელმძღვანელი განსახილველი ნაშრომისა. ეს გარემოებაც ამართლებდა პროფ. ნ. მარის ოპონენტად გამოსვლას¹.

¹ გაუგებრობაზეა აგებული ი. ჯავახიშვილის შესახებ ექვთ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული შესანიშნავი მოკონებების ერთი ადგილი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო ნაშრომს ეხება, რომ ამ ნაშრომის დაწერის დროს „ხელმძღვანელობ ნიკო მარს არ გუწვევია, რადგან ივანეს არ უთხოვიაო“. სინამდვილეში კი არც ერთი ისტორიული ნაშრომი ივ. ჯავახიშვილისა, არც სამაგისტრო გამოკვლევის დაწერამდე და არც შემდეგ, არ ყოფილა შესრულებული ნიკო მარის ხელმძღვანელობით. ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომების დაწერის დროს თუ მიმართავდა ნიკო მარის სამეცნიერო კონსულტაციებს, თუმცა არ არსებობს რაიმე მითითება იმის თაობაზე, ნიკო მარს დაბეჭდვამდე წაეკითხოს ივანე ჯავახიშვილის რომელიმე ხელნაწერი, გარდა პრეპირებული სტუდენტური ნაშრომისა. მეტიც, ნიკო მარი თავიდანვე ეკვიანობდა კიდეც, რომ თავის შემოქმედებით გეგმებს ისტორიის მეცნიერებაში ივანე ჯავახიშვილი არა თუ არ უთანხმებდა, საქმის კურსშიც არ აყენებდა, პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს უჭერდა მხარს ამა თუ იმ ავტორის ნაშრომის შეფასებაში. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: 1902 წლის 4 იანვარს ნიკო მარი პეტერბურგიდან ბერლინში სწერდა ივ. ჯავახიშვილს: „თქვენეი საქართველოს ისტორიის წერის ამბავი კაი ხანია მაინტერესებს. მართალი მოგახსენით, მე არ მჭეროდა. ერთი, რომ თქვენ არ იწერებოდით; მეორე, რომ ცოტა აჩქარებული შეჩვენა. მაგრამ ახლა ეტყობილობ თქვენგან, კიდევაც დავისრულებით. ალბათ ასე სჯობს: კაცმა ის უნდა იმეზაოს, რაზედაც გული აქვს და თავის სურვილს, მეცნიერული სურვილის ძალი არ დაატანოს“. ასე გვიან გაიგო ნიკო მარმა ივ. ჯავახიშვილია მიერ საქართველოს ისტორიის შესახებ ნაშრომის ფაქტობრივად დამთავრება და შეგარდი სრულიადაც არ თვლის საჭიროდ, თავისი მეცნიერული ინტერესების ეს მთავარი სფერო შეუთანხმოს ოსტატს.

იმევე წერილში ნიკო მარი გაკვირვებულია, თუ როგორ შეიძლება დადებითი შეფასება ზ. ავალიშვილის ნაშრომისა, რომელიც მარტოოდენ გრძელი, ვრცელი ფელეტონია იქვე დასძენს, რომ ძნელია მათი მეცნიერული თანაშრომლობა ამგვარი დაპირისპირებული აზრების

დისერტანტმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის შედეგები, რასაც მიაღწია და შრომის ნაკლოვანებანი, რომელიც საკითხის სიძნელემ და მასალათა სიმცირემ განაპირობა უმთავრესად. ოპონენტების გამოსვლის შემდეგ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის საჭარო კრებამ ერთხმად — ხუთივე დამსწრე პროფესორმა — გადაწყვიტა, მიანიჭოს პრივატ-დოცენტს თავად ი. ა. ჭავჭავაძის ქართული სიტყვიერების მეგისტრის ხარისხი და წარადგინოს ამის შესახებ შუამდგომლობა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე.

ცალკე უნდა ითქვას პროფ. ნ. მარის, როგორც ოპონენტის, გამოსვლის შესახებ. პროფ. ნ. მარის ჩვეულებად ჰქონდა ოპონენტის რეცენზიები გამოქვეყნებინა. ამჯერადაც ასე მოიქცა: „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის“ 1908 წლის მაისის ნომერში გამოაქვეყნა მეტად ვრცელი რეცენზია ი. ჭავჭავაძის წიგნზე.

ნ. მარი ეთანხმება ავტორს, რომ საკვლევი თემა უაღრესად ძნელია თავის მხრივ ის უმატებს, რომ სიძნელე დაკავშირებულია თეორიული საკითხის პირველ სამეცნიერო განხილვასა და გადაწყვეტის ცდასთან. „საქმე იმაში არაა, რომ განსახილველ საკითხში არ არის მზა ლიტერატურა: აღმოსავლეთმცოდნეები არ არიან განებივრებული ამ სფეროში. თითქმის ყველანაირი — განაგრძობს ნ. მარი, — ერთნაირად მოკლებული არიან საშუალებას გადაშალონ მათს წინაშე ფართო მეცნიერული ჰორიზონტები ისე, რომ იღვწენ მხრებზე თავისი წინაპრებისა, არც თუ იშვიათად უფრო ძლიერებისა და უფრო სანდოსი“.

პროფ. ნ. მარი აღნიშნავს ბევრ სიახლეს ნაშრომისას, როცა ავტორი აყენებს პრობლემებს არა ტრადიციულ-სამეცნიერო თვალსაზრისით, ავტორის თავმდაბლობას საკუთარ შეხედულებათა შეფასებისას. პროფ. ნ. მარის აზრით, ავტორი მთელ რიგ დეტალურ დაკვირვებებს და შეხედულებებს ავითარებს, რომელთაც სპეციალური მნიშვნელობა აქვთ ქართული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიისათვის, სომხური წყაროების კრიტიკისათვის, სომხური არქეოლოგიისათვის. პროფ. ნ. მარი იწონებს ნაშრომს ფილოლოგიური თვალსაზრისითაც იმისათვის, რომ ნაშრომს ახალი მიმართულება შემოაქვს სომხური და ქართული ისტორიული ტექსტების გაგებაში. იგი სოციალურ ურთიერთობაში ავითარებს რეალისტურ მიმართულებას, გაბატონებული ეტიმოლოგიურის ნაცვლად, როცა ითარგმნება სიტყვები ადგილობრივი ცხოვრებისეული მნიშვნელობის გაგების გარეშე, უქმებს ავტორს ლინგვისტური პალეონტოლოგიის მომარჩევბას. „ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი, როგორც ჩანს, დროულად წარმოგვიდგა მისი ხანგრძლივად არსებობის საკითხი შეიძლება არც დავავნოთ, რამდენადაც ჩვენს დარგში, რომელიც ასე ბევრს კარგავს ხანდაზმული ტრადიციული ცრურწმენისაგან, ყველაზე ძვირფასია ის, რაც გვათავისუფლებს ჩვენ ერთი ადგილის ტყეპნისაგან. ჩვენ ვესწრაფით მეცნიერულ მოძრაობას და ი. ჭავჭავაძის ნაშრომში ამ აზრით კარგ სამსახურს გაგვიწევს ძვირფასი ფერმენტის სახით“. პროფ. ნ. მარი სრულიადაც არ აყეთებს რაიმე შეღავათებს მისი ყოფილი შეგირდის მიმართ. რეცენზიის უდიდესი ნაწილი სადისკუსიო ხასიათისაა. ყველაფრიდან ჩანს, რომ რეცენზენტს ამოსავალ პუნქტებად დისერტანტის მთელი რიგი დებულებები გაუხსნია და მათ თაობაზე ხმამაღლა აზროვნებს და გზადაგზა გამოთქვამს უაღრესად საინტერესო, გონებამახვილურ შეხედულებებს საკითხთა მდიდარი წრიდან. ამასთან, მაღალ პატივისცემას გამოხატავს ნაშრომის ავტორის მიმართ. პროფ. ნ. მარი სრულიადაც არ ცდილობს თავზე მოახვიოს ავტორს

გაში და გაკვირვებით დაასკინოს: „ნუთუ ეგეთი უფსკრული ყოფილა ჩვენ მიმართულებათა შორის“.

თავისი შეხედულება, განიხილოს საკუთარი აზრები „უკანასკნელი ინსტანციის ჰეშმარიტებად“.

იმ დროსაც, როცა ერთ-ერთი ძველი სომხური ტერმინის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი პროფ. ნ. მარის შეხედულებას აკრიტიკებს, მასწავლებელი სრულიადაც არ თვლის საჭიროდ, უარყოს ყოფილი შეგირდის შეხედულება და პოწინააღმდეგის მეცნიერული ღირსების სრული პატივისცემით წერს: „მე არ შემიძლია განსაკუთრებულად დავიფინო ჩემი ახსნა საკითხისა, მაგრამ არ მიმაჩნია საკმარისად დასაბუთებულად მის მიერაც შემოთავაზებული რეალური მნიშვნელობა“.

ასევე, ეხება რა ძველი ბერძნულიდან აკად. ვ. ლატიშევის მიერ სტრატონის თარგმანის დაზუსტებას, პროფ. ნ. მარი წერს: „შესაძლებელია, ი. ჯავახოვის თარგმანები უფრო სწორია“.

ი. ჯავახიშვილის ნაშრომი სწორედ ამოსავალი პოზიცია გახდა, რომ პროფ. ნ. მარს გამოეთქვა თავისი შეხედულება უცხოური ძალის გავლენის შესახებ საქართველოში და განსაკუთრებით სომხეთში სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობასა და განვითარებაზე ძველს პერიოდში.

პროფ. ნ. მარი ფრთხილი კილოთი საყვედურობს ი. ჯავახიშვილს, რომ არაფერი არ არის ნათქვამი ტომების შეიარაღებისა და აღჭურვის თაობაზე არქეოლოგიური მასალების მიხედვით და დაასკვნის: „ჩემის აზრით, ამ საკითხში უფრო მეტი რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ შესაბამის არქეოლოგიურ მასალებს, ვიდრე ყველა ამ პატივცემულ ქსენოფონტეებსა და ჰეროდოტეებს“. ჯერ ერთი, იმდროინდელი არქეოლოგიური გათხრები ძველს პერიოდზე საკმარის მასალებს როდი იძლეოდა. ამ ნაკლს ნაშრომისას თვითონ ივ. ჯავახიშვილი გრძნობდა და, როგორც აღვნიშნეთ, მასზე მიუთითებდა კიდევ შესავალში.

ამასთან, ურთულეს და უძველეს საკითხისადმი მიძღვნილ ახალგაზრდა მეცნიერის ნაშრომისაგან განა სამართლიანი იყო, ერთბაშად მოგვეთხოვა კლასობრივი საზოგადოების განვითარების მთავარი საკითხების ამომწურავი მიმოხილვა. უფრო გვიან, მცხეთა-სამთავროს გათხრის ხელმძღვანელობისას ივ. ჯავახიშვილმა აჩვენა დიდოსტატური ნიმუში მეცნიერის მიერ არქეოლოგიური მონაპოვრების როლის კლასიკურად ახსნისა სოციალური განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესში.

ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების შეფასებისას ნიკო მარი არ კმაყოფილდება მხოლოდ განსახილველი შრომის დახასიათებით, იგი მიუთითებს 1908 წლამდე რუსულ და ქართულ ენებზე ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ ნაშრომებზე: „ძველ საქართველოში საეკლესიო რეფორმის ისტორიისათვის“, „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“, „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწ. I. VIII—XIII საუკუნეები“. ეს ნაშრომები, ნიკო მარის სიტყვებით, მოცემული დარგის ნარუქებია — პირველნაყოფი, რომლებიც მთლიანად პასუხობენ ქართულ-სომხური ფილოლოგიის მომწიფებულ საჭიროებას და ამოცანებს.

თ ა ვ ი IV. მონოგრაფიების ქართულად ზეპნის დაწყება

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“

პირველად 1907 წელს გამოვიდა „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. იგი თბილისში დაიბეჭდა. მანამდე მისი ნაწყვეტები 1906 წელს „ივერიაში“ იბეჭდებოდა.

როგორც ჩანს, ავტორს არ ჰქონდა საშუალება კორექტურისათვის თვალყური მიედევნებინა. ეს მის მეგობარს ალ. ყიფშიძეს გაუკეთებია, რის გამოც ივანე ჭავჭავიძე მას გულთად მადლობას უძღვნის.

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ პირველი წიგნია ივანე ჭავჭავიძელისა, რომელშიც საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ თუნდაც მნიშვნელოვან მომენტს კი არ ეხება, არამედ მთლიან მხარეს ჩვენი ხალხის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრებისას.

ამ წიგნის დაწერისას ჭერ კიდევ არა აქვს შექმნილი ივ. ჭავჭავიძელის „საისტორიო მწერლობა“. მას მხოლოდ მოფიქრებული აქვს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის გეგმა. ამ თხზულებათა დაწერისათვის ბევრი საჭირო წინასწარი ცვლევა-ძიებაა ჩატარებული.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიაში“ არსებითად მეურნეობის, ეკონომიკისაგან ერთი საკითხია განხილული — „მიწისმფლობელნი და მიწისმოქმედნი“.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოსული ორი კაპიტალური ტომი „საქართველოს ეკონომიური ისტორიისა“ თითქმის არაერთად კავშირში არ არის 1907 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ეკონომიური ისტორიასთან“ და მხოლოდ ავტორის თავმდაბლობით აიხსნება, რომ მას მეორე გამოცემას უწოდებს, თუმცა ესენი სრულიად ახლად დაწერილი წიგნებია.

მეტიც შეიძლება ითქვას, 1907 წელს დაწერილი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ უფრო მეტად წინაპირობაა ქართველი ერის ისტორიის შესაქმნელად და საქართველოს ისტორიის ისეთი დამხმარე დარგების დასაწერად მომავალში, როგორცაა ქართული სამართალი, ქართული პალეოგრაფია, ქართული დიპლომატიკა და ნუმისმატიკა.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ თავში განხილულია მიწისმფლობელობის ფორმები საქართველოში IX საუკუნიდან. აქ ივანე ჭავჭავიძე იმეორებს ლეონტი მროველის იმ აზრს, რომ უძველეს ხანაში ქართველებმა არ იცოდნენ წოდებრივი უთანასწორობა და ისინი თავისუფალნი იყვნენ მდგომარეობისა და შეძლების განურჩევლად. წოდებრივი დამოკიდებულების პირველი კვალი პირველი საუკუნის დასაწყისს უკვე ეჩვენება. ეს ნათლად ჩანს, წერდა ივანე ჭავჭავიძე, სტრაბონის აღწერილობიდან. ძნელია, დაასკვნოდა ივანე ჭავჭავიძე, იმის დადგენა სათანადო წყაროებით, თუ როგორ იქცა ყმობა საყოველთაო და საზოგადო მოკლენად. ჩვენი საისტორიო წყაროები იმ დროის ექვიპოტანელ ცნობებს გვაძლევდნენ, როცა ერი უკვე გარკვეულ წოდებებადაა დაყოფილი.

მისი სწორი მტკიცებით, X—XIII საუკუნის საქართველოში ერთი კუთხეც არ მოიძებნებოდა, მთიანი ადგილების გარდა, სადაც აზნაურები არ ყოფილყვნენ. წიგნში დასახელებულია აზნაურთა სხვადასხვა ფენების სამართლებრივი მდგომარეობა, დახასიათებულია გლეხთა კატეგორიები. გარდა ყმა გლეხებისა, IX—XIII საუკუნეებში საქართველოში თავისუფალი გლეხებიც არსებობდნენ.

დამუშავებული იყო ყმა გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მათ არა მარტო მამულებთან ერთად ყიდდნენ პატრონები, არამედ ზოგჯერ უმამულოდაც. ესენი გლეხები იქნებოდნენ უმეტესად, რომელთაც საკუთრება არ ექნებოდათ. არჩევს რა ერთ-ერთ აქტს ამგვარი ყიდვა-გაყიდვისას, ივანე ჭავჭავიძე დასკვნის: „ზემო მოყვანილ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ გლეხს სხვადასხვა ფასი ჰქონდა, ზოგი ძვირად იყო ნაყიდი, ზოგი კიდევ ერთი ფურის ფასად. სამწუხაროდ, საბუთებში აღნიშნული არ არის, რაზე იყო დამოკიდებული ამგვარი ფასების განსხვავება, პირად ღირსებაზე, თუ სხვა რაიმე მიზეზზე“.

ლოკუმენტები ადასტურებენ იმას, რომ XIII საუკუნის საქართველოში უკვე უმნიშვნელო გლეხები ყოფილან, რომელნიც მუშაობით ირჩენდნენ თავს. თუმცა იქვე დასძენდა: „უმნიშვნელო იხე საგარეობელი არ იქნებოდა, როგორც ხელა“. აქაც ახალგაზრდა ივანე ჭავჭავაძის შვილი ერთგულია პრინციპისა — მაქსიმალურად გამოიყენოს ყოველი ლოკუმენტი სოციალური ბრძოლების ისტორიიდან. ეს კარგად უნდა ხსომებოდათ იმათ, რომლებიც შემდგომ სრულიად უსამართლოდ ბრალს სდებდნენ ივანე ჭავჭავაძის გლეხთა სოციალური მდგომარეობის შესწავლის უგულვებელყოფაში.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ შემდეგ თავებში დახასიათებულია ვაჭრებისა და ხელოსნების სამართლებრივი მდგომარეობა ქალაქად. ხელოსნებთან ერთად დასახელებულია ხელოვანი-მხატვრები, ხატის გამკეთებლები და ოქრომჭედლები. აქ მას მოჰყავს აკად. ნ. პ. კონდაკოვის აზრი, რომ XI—XIII საუკუნეების ქართველი ოქრომჭედლების ნაწარმოებნი ბიზანტიის საუკეთესო ხელოვნების ნივთებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

წიგნის გადაწერა და შემზადება განსაკუთრებულ და მეტად შემოსავლიან ხელობას შეადგენდა. აქ ის საკითხებია მიმოხილული, რომლებიც შემდგომ ქართულ პალეოგრაფიაშიც პოულობს უფრო დაწვრილებით აღწერას. ამ წიგნიდან, მაგალითად, მკითხველი იგებს, რომ სასულიერო თხზულებათა გადაწერა ბერების ხელობად იყო გადაქცეული, მაგრამ არც ისინი ამბობდნენ უარს სასყიდელზე, თუმცა კანონით ვაჭრობა აკრძალული ჰქონდათ, „უფასოდ წიგნს არავინ დასწერდა. ერთი გადამწერი შენდობას ითხოვს მკითხველისაგან, რომ ჩემი წიგნი ასე ცუდად არის გადაწერილი, მაგრამ რა მექნა“, სხუა ღონე არა მაქუნდა; საფასისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდაო“, ჩივის საწყალი ბერი.

მესამე თავი საქართველოს საფინანსო წყობილების ანალიზს ეძღვნება. ბევრი ამ საკითხთაგანი შემდგომ „ქართველი ერის ისტორიასა“ და „ქართული სამართლის ისტორიაში“ პოულობს უფრო განვრცობით ასახვას.

შემდგომ ნარატიული წყაროებით შესანიშნავადაა გარკვეული უცხო დამპყრობთა მიერ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა. ასე, როცა მონღოლებმა 1236 წელს საქართველო დაიპყრეს და დაიმორჩილეს, თავისუფლებას მიჩვეულ ქართველებს საშინელი ხარაჯა დაადეს, მათ აღწერეს „კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე“.

ივანე ჭავჭავაძის შვილი ამ აღწერების მეცნიერული გაანალიზებით აღადგენს მაშინდელი სოციალური ცხოვრების უმძიმეს სურათს. ბოლო მეხუთე თავში განხილულია საფასე-საზომის სხვაობები ძველს საქართველოში. ამ პრობლემებმა ფართო ასახვა პოვა 1925 წელს გამოსულ ქართულ ნუმისმატიკა-მეტროლოგიაში.

გვიან, 23 წლის შემდეგ, 1930 წელს ივანე ჭავჭავაძის შვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის დაწერის განზრახვას კაბუჯური გამბედაობა უწოდა. უეჭველია იგი ცდებოდა.

„საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მისი ავტორის მეცნიერული მომწიფების მაუწყებელია. ამასთან, იგი დიდი ქართველი ისტორიკოსის ისეთი შრომაა, რომელმაც ერთი შექმნა დასახული პრობლემების კვლევაში. სწორად წერს მამია დუმბაძე, რომ ამ წიგნით ივ. ჭავჭავაძის შვილი „ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მანამდე ხელუხლებელი საკითხები დასვა და მათი გადაწყვეტის პირ-

ველი სერიოზული ცდა მოგვცა. ამ მემკვიდრეობამ დიდი გავლენა იქონია ფეოდალიზმის სოციალურ-ეკონომიურ პრობლემატიკის შესწავლაზე მერმინდელ ხანაში — ავტორის სიცოცხლეში და მის შემდგომ პერიოდშიც“.

ს ი მ ბ ო ლ უ რ ი ჰ ო ნ ო რ ა რ ი

გადაუქარბებლად უნდა ითქვას, რევოლუციამდელ საქართველოში ვერ დაასახელებდით ვერც ერთ გამოჩენილ მწერალს, მით უფრო მეცნიერს, რომელსაც თავისი ლიტერატურული ჰონორარით არსებობა შესძლებოდა. უკლებლივ ყველა მათგანს აწუხებდა ეს. თვით აკაკი წერეთელს არ შეეძლო ჰონორარით ერჩინა თავი. ვაჟა-ფშაველა მუდმივად წუხდა ხელმოკლეობაზე, თუმცა ქართული გამომცემლები და ქურნალ-გაზეთების რედაქციები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად მაღალი ჰონორარი მიეცათ მისთვის.

მატერიალურ სიციწრევეს ხშირად არა მარტო მძიმე მდგომარეობაში ჩაუვლია ავტორები, არამედ ხელი შეუშლია მათთვის, მშვიდ და ნაყოფიერ შემოქმედებით გარემოში ემუშავათ.

საზოგადოებრივი აზრი ახალისებდა, რომ ხელი შეეწყობოთ იმ მცირერიცხოვან ქართველ მეცნიერ-მკვლევართათვის, რომლებიც თავიანთ ნაშრომების გამოქვეყნებას უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ.

ა. ფრონელი (ყიფშიძე) გაზეთ „მეგობარში“ 1906 წლის 25 ნოემბერს სწერდა რედაქციას ისტორიის შესწავლის საკიროების შესახებ: „მოიპოვებთან ჩვენში სამი-ოთხიოდე მუშაკი, რომელნიც გულს არ იტეხენ და უსალსარონი მაინც ფორჩხალობენ, აგროვებენ მასალას, ღამეებს ტეხენ, ლუკმა-პურს იკლებენ და ასე ბეჭდავენ ისტორიულ წიგნებს.“

რიგიანს პირობებში ამ უნაგარო მუშაკთა ღვაწლი ერთი ათად და ასად ნაყოფიერი იქნებოდა, ეხლა კი მოღვაწე სიცოცხლეს ისე ათავენს, რომ ძლივს ახერხებს ორ-სამ სიფრიფანა წიგნის დაბეჭდვას.

ამას წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერმა ასი თუმანი ვერ იშოვნა, რომ დაებეჭდა თავისი გამოკვლევა, ორ-სამ ტომად დაწერილი ისტორია საქართველოში“. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილია.

საკმაო ხანს არავინ გამომცემელთაგან არ გამოხმალურებია ამ მოწოდებას. ორი წლის შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აიღო თავის თავზე ივანე ჯავახიშვილის უკვდავი წიგნის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი გამოცემა 1908 წელს. მართალია, როგორც ალ. ფრონელი აღნიშნავდა, დიდტანიანი წიგნი სულ სამასი-ოთხასი. ცალი თუ იყიდებოდა, რაც გამოცემის ხარჯებსაც ვერ დაფარავსო, მაგრამ გამომცემელი ამ შემთხვევაში ხელშეკრულებით სიმბოლურ ჰონორარსაც კი ჰპირდებოდა ავტორს, რაც იმ დროისათვის იშვიათი იყო მეცნიერული წიგნების ბეჭდვისას. აი ხელშეკრულების ტექსტი ძველი ქართული ნასყიდობის ტექსტ-კლაუზულიდან აღებული. ნაზი ხუმრობით დაწერილი: „ნასყიდობის წიგნი“, ქ: 1908 წ. სექტემბერის ე-სა დღესა, მე, ქვემოთე ამისა ხელისმომწერმა ივ. ა. ჯავახიშვილმა მოგყიდეთ თქვენ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან ვიდრე XII ს.) და მივიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შესჭერდებოდა (10 თუმანი).

გკონდეთ და გიბედნიეროთ ღმერთმან. მოვალე ვარ ამ თხზულების მეორე ნაწილიც თქვენ მოგიყიდოთ.

არის ამის მოწამე თავად ღმერთი, ხოლო კაცთაგან გამგეობის წევრი პ. სურგულაძე და მდივანი ს. ფირცხალავა.

ივანე ჭავჭავაძის შვილია.

სხვა ამგვარი წერილი ივანე ჭავჭავაძის მიერ ხუმრობით დაწერილი ჩვენ არ ვიცით. მართლაც, ხუმრობით შეიძლება თქმულიყო, რომ 100 მანეთად (ამ ფასად მას თავისი წიგნის 125 ცალი შეეძლო ეყიდა, ვინაიდან თითო ეგზემპლარი 80 კაპიკი ღირდა) ავტორი არა მარტო თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომს უთმობდა გამოსაცემად, არამედ მეორე ნაწილიც ამ საზოგადოების სახელით უნდა გამოეცა.

ჰონორარი აქ მხოლოდ სიმბოლური ფაქტორი იყო. ხდებოდა კი პირიქით, თვით ავტორს დიდი ხარჯების გაღება უხდებოდა ნაშრომის გამოცემისათვის. ამ დროს სერიოზულად არავინ ფიქრობდა ჰონორარზე;

„ქართველი ერის ისტორია“ 1908 წელს გამოიცა, როგორც წიგნი პირველი.

წინასიტყვაობის ბოლოს ავტორი გულითად მადლობას უძღვნის გამომცემელს პ. ი. თუმანიშვილს, ა. მდივანს და პ. სურგულაძეს, რომელთაც დიდად შეუწყვეს ხელი ამ თხზულების გამოცემას, განსაკუთრებით კი პ. სურგულაძეს, რომელიც „ბეჭდვის დროს სტამბას თვალყურს ადევნებდა და წიგნის გამოცემას აჩქარებდა“.

ივანე ჭავჭავაძის 1908 წლის 30 აგვისტოს დაწერილ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი სამი წლის წინათ არის დაწერილი და მხოლოდ ეხლა ეღირსა მას დაბეჭდვა. იგი ბოდიშს უხდის მკითხველს, რომ, მისი ცდის მიუხედავად, მასში კორექტურული შეცდომები შეიპარა. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, მისი სიტყვით, რომ „ჩვენი სტამბები სამწუხაროდ სამეცნიერო წიგნების დასაბეჭდად მოწყობილი არ არიან“.

ავტორს აგრეთვე გულს სწყვეტს ის, რომ ვერ მოხერხდა მისი განზრახვა, დაერთო წიგნისათვის ისტორიის ძველი ძეგლებისა და მოღვაწეების სურათები და საგეოგრაფო რუკები, მაგრამ რწმენას გამოთქვამს, რომ მომავალში ამ დანაკლისს შეავსებს.

როგორც ჩვენ ვფიქრობთ, თავისი წიგნისათვის სახელწოდება „ქართველი ერის ისტორია“ მისი ბეჭდვის ბოლო მომენტში ჩამოყალიბდა, ვინაიდან 1908 წლის 1 სექტემბერს მას ჯერ კიდევ „საქართველოს ისტორია“ ჰქვია. მხოლოდ იმისათვის, რომ განსხვავებულიყო სახელწოდება მაშინ არსებული წიგნებისაგან, ავტორი, როგორც ჩანს, საბოლოოდ აყალიბებს მისი უკვდავი წიგნის უცვლელ და ახლა უკვე ასე ახლობელ სახელწოდებას „ქართველი ერის ისტორია“.

წინასიტყვაობაშივე საჭიროდ თვლის ივანე ჭავჭავაძის ალინიშნოს მისი ისტორიის განსხვავებული ხასიათი.

ეს წიგნი ხშირად ისეთ წყაროებზეა დამყარებული, რომლებითაც წინათ არ სარგებლობდნენ ხოლმე. სამაგიეროდ ავტორს არ უსარგებლია ბევრ შემთხვევაში ისეთი წყაროებით, რომელზედაც განსაკუთრებით დამყარებული იყო წინათ საქართველოს უძველესი ისტორია. ჩვენი ერის უძველესი ისტორიის გამორკვევის დროს ავტორი არ ხელმძღვანელობდა „ქართლის ცხოვრებით“, თვით თხზულება სულ სხვა გეგმაზეა აგებული და ისტორიაში იმ დროს მიღებული შეხედულებებისაგან არსებითად განირჩევა.

ივანე ჭავჭავაძის გვამცნობს; რომ იგი 8 წლის განმავლობაში ცდილობდა,

ქართული საისტორიო წყაროები კრიტიკულად შეესწავლა და ამასთან, თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით, ჩვენი ერის წარსული გამოეკვლია. ამ გზით სიარულმა დაარწმუნა, რომ აღრე და იმ დროსაც გაბატონებული შეხედულება ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე მხოლოდ საისტორიო წყაროებისა და მეთოდების უტოდინარობაზე იყო დაყარებული. ამ მ წლის მუშაობამ არა მარტო არსებითად შეცვალა მისი შეხედულება ისტორიაზე, არამედ დაანახა, რომ „ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულდისხმო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმე“.

ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ბევრი დიდმნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი ხელნაწერის აღწერილობა არის დაბეჭდილი, მაგრამ ჯერ საისტორიო მწერლობის მიერ როდია ყოველივე ეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესწავლილი და დაფასებული.

რასაკვირველია, ლოდინი, ვიდრე ეს კვლევა-ძიება არ დამთავრდება, მანამდე ისტორიის დაწერა შეუძლებელიაო, შეცდომაა. თუ მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს იმას, რაც კრიტიკულად გამორკვეულია და შესწავლილია, — იმისაგან, რაც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული, მაშინ „ამნაირი შრომა სასარგებლოც არის და დროგამოშვებით ამ ხასიათის თხზულებების წერა აუცილებლად საჭირო და მეცნიერების წარმატებას ხელს უწყობს“. სწორედ ასე იქცევა ივანე ჯავახიშვილი. იგი იმ ცნობებს ეყრდნობა, რომლებიც მას საისტორიო მწერლობის მიერ უკვე გამოკვლეულად მიაჩნია, ანდა თვითონ საკუთარი კვლევა-ძიების შედეგად აქვს მოპოვებული.

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ წინასიტყვაობაში გვაძენობს თავის შემოქმედებით გეგმებს და იმას, თუ რას აპირებს იგი მშობლიური ერის ისტორიის შესასწავლად.

იგი წერს, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემა ოთხ წიგნად მაქვს განზრახული: პირველი წიგნი უძველეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკ. პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე; მეორე — VII-XIII საუკ; მესამე — XIII-XV საუკ; მეოთხე — XVI-XVII-XVIII საუკუნის დასასრულამდე.

შემდგომ ივანე ჯავახიშვილი გვამცნობს, თუ როგორ აპირებს იგი ნაშრომების გამოცემას, რომ ავტორი „ქართველი ერის ისტორიაში“ თავის გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ გამოკვლევებზე ამყარებს საკუთარ შეხედულებებსა და დასკვნებს. ასეთია, მაგალითად, ქართველი ტომების უძველესი დროის გეოგრაფიული მიმოხილვანი (თავი I), ქართველების კულტურის შესახებ (თავი II-VI) და ქართველების წარმართობის შესახებ (თავი III). იგი იძულებული იყო მთელი თავისი მონოგრაფიული გამოკვლევები მთლიანად ამ წიგნში შეეტანა. იგი იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომი წიგნების ბეჭდვის დროს ეს ნაკლი თავიდან აიცილოს იმიტომ, რომ VII-XIII საუკუნეების შესახებ ორი მონოგრაფიული გამოკვლევა — „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I — უკვე დაბეჭდილი ჰქონდა, ხოლო მესამე — „ქართული სამართლის ისტორიის“ წიგნი I — დამთავრებული და დასაბეჭდად გამზადებული. მან საჭიროდ მიიჩნია, ვიდრე „ქართველი ერის ისტორიის“ III და IV წიგნები გამოვიდოდა. ზემოთ ჩამოთვლილი მონოგრაფიების გაგრძელება გამოექვეყნებინა. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, „ყველგან ვერ მოხერხდა, რომ არა მარტო მეცნიერთათვის, არამედ ფართო მკითხველთათვის გამიზნული წიგნის კითხვა ზედმეტად არ გაძნელებინა წვრილმანი და დაწვრილებითი დასაბუთებით“.

უნდა ითქვას კი: ტექნიკურად წიგნი კარგად წასაკითხია, სტილი უაღრესად მკაფიო და ნათელი. მკითხველი გვერდების აშვიებზე მოთავსებული სათაურების ლოგიკური და შინაარსობრივი აქცენტის საშუალებით ახდენს თავისი ყურადღების კონცენტრაციას.

შესავალი წიგნისა გვამცნობს ავტორის ზოგად კონცეფციურ შეხედულებას ისტორიაზე, რომელიც გარდატეხილია საქართველოს ისტორიის პრიზმაში. ივანე ჭავჭავაძის იწყებს იმის აღნიშვნით, რომ თითოეული ერის ისტორია წერილობით საბუთებსა და ნივთიერ ნაშთებზეა დამყარებული.

ამ დროს მეცნიერების სხვა დარგები მხოლოდ დამატებით მასალებს აწვდიან მას, მაგრამ ხალხების ისტორია დამწერლობის შექმნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. წერილობითი წყაროების უქონლობას ავსებს ის მასალები, რასაც არქეოლოგია, ენათმეცნიერება და სარწმუნოებათა მეცნიერება იძლევა. სწორედ მათ აქვთ არსებითი მნიშვნელობა, მართალია, ამ მასალებისათვის დამხმარე როლი შეიძლება ჰქონდეს მეზობელი ერების საისტორიო თხზულებებში შენახულ ცნობებს მოსაზღვრე ხალხების შესახებ.

შემდგომ იგი იწყებს იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რაც არქეოლოგიას აქვს უძველესი ისტორიის შესწავლისათვის.

მართალია, არქეოლოგია თავის ცნობებს უმეტესად უსახელო და უპიროვნო ნაშთებზე ამყარებს, ეს იმიტომ, რომ მეცნიერებას არ შეუძლია დაადგინოს, ვინ იყვნენ კონკრეტულად სხვადასხვა მხატვრული ნივთების შემქმნელები, მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული პირები. არქეოლოგია თვით საგნებს აქცევს მთავარ ყურადღებას და მათ განვითარებას საზოგადოების განვითარების გამოხატულებად თვლის. შრომის იარაღების განვითარება მართლაც ადასტურებს საზოგადოების განვითარების დონეს. ივანე ჭავჭავაძის აღნიშნავს იმ წარმატებებს, რასაც საერთოდ არქეოლოგიამ მიაღწია უკანასკნელ 20 — 30 წელს. არქეოლოგია ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს. არქეოლოგიის მნიშვნელობა მაინც არ იზღუდება დამწერლობამდელი პერიოდით. იმ დროსაც, როცა წერილობითი საბუთები ბლომად მოიპოვება, არქეოლოგიას ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ნივთიერი ნაშთების შემდეგ, ერის პირვანდელი ცხოვრებისა და მისი თანდათანობითი განვითარების შესახებ ყველაზე უფრო მეტ ცნობებს ენა გვაძლევს. აქ ენათმეცნიერების როლი განსაკუთრებით დიდია. ენას შემორჩება ყოველთვის სიტყვები და ანდაზებიც, რომლებიც მისი ცხოვრების უძველეს, თავდაპირველ ხანას ეკუთვნის. ამასთან გეოგრაფიული სახელების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ერის თავდაპირველი მოსახლეობის ალაგი, მისი მოძრაობის საკითხი და ა. შ. თვით სიტყვების მნიშვნელობაზე დაკვირვება ერის კულტურის წარმატებასა და განვითარებას გვიჩვენებს, მაგალითად, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართულად უძველეს დროს სიტყვა „მღერა“ მარტო ხმით სიმღერას, გალობას კი არ ნიშნავდა, არამედ ცეკვასაც, თამაშობასაც, „მაშინ შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ქართველების თავდაპირველი ცეკვა და სიმღერა ერთმანეთისაგან განუშორებელი, განუყრელი იყო და მხოლოდ შემდგომ სიმღერა ცეკვას მოშორდა და საკუთარ განვითარების გზას დაადგა“ (გვ. 5).

მითოლოგიის, ადრინდელ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს ბევრად შეუძლიათ დაგვეხმარონ ადრინდელი ყოფის სურათის აღდგენაში. მათ ჩაღრმავებულ შესწავლას ბევრი რამის ახსნა შეუძლია. მაგალითად, შუე ისეთ ქვეყნის მცხოვრებთ შეეძლოთ კეთილ ღვთაებად ელიარებიანთ და თავყანი ეკათ, სადაც უმზეოდ

საშინელი სიცივეა, სადაც მზის შუქი ათბობს ადამიანს და ყინვისაგან იფარავს, და არა იქ, სადაც მზის პაპანაქება ყველაფერს ხრუყავს და აშრობს. ასეთ ცხელ ქვეყნებში მზრწყინავი მზე ადამიანს მკაცრ, უღმობელ და გულქვა ღვთაებად, ხოლო მთვარე კეთილ და ადამიანის მფარველ ღვთაებად უნდა ელიარებინა და გაედმერთებინა, იმიტომ, რომ ცხელ ქვეყანაში მხოლოდ მთვარიან ღამეს ისვენებდა ადამიანი და სულდგმული მზის საშინელ სიციხისაგან. ასევე წყალს ისეთ ქვეყანაში დაუწყებდნენ თავყანისცემას, სადაც იგი ნაკლებად იყო და სადაც მისი თითოეული წვეთიც კი ძვირფასია. მითოლოგიის, ფოლკლორის განვითარებას განსაზღვრული გავლენა შეიძლება ჰქონდეს სხვა ხალხების თქმულებებს, იგი ან ითვისებდა სხვა ხალხების თქმულებებს, ანდა თავისას სახეს უცვლიდა ამგვარი გავლენით. ამიტომ მითოლოგიის პირვანდელი სახის აღდგენა უაღრესად აუცილებელია.

„იგი არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე, — წერდა 1908 წელს ივანე ჭავჭავაძე, — რომელსაც მეზობელ ხალხებთან რაიმე დამოკიდებულება არ ჰქონდეს, ყოველთვის ისე ყოფილა, რომ ერებს ერთი-ერთმანეთზე გავლენა ჰქონიათ“ (გვ. 8).

არქეოლოგიის, ენათმეცნიერების და მითოლოგიის დახმარებით მიმოიხილავს სწორედ ივანე ჭავჭავაძე საქართველოს უძველეს ისტორიას.

ი. ჭავჭავაძის ქართველ ტომთა მოძრაობის ასახსნელად იყენებს გეოგრაფიული სახელების, ტოპონიმების მონაცემებს. მაგალითად, მას შეურყევლად მიაჩნია დასკვნა, რომ თავდაპირველად მთელი კოლხეთის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზებს ეკუთვნოდათ, რომ „გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრულის დამახასიათებელი თვისებები აქვთ“ (გვ. 45). ამისათვის მოჰყავს სხვადასხვა მაგალითები, როგორცაა ჭუმათი, ჭყონოგვარა, ოჩხამური, ქანიეთი, გუბაზეული, კინტრიში და სხვა.

ივანე ჭავჭავაძის ასევე იყენებს ანთროპოლოგიის მონაცემებს ჩვენი ძველი ისტორიული წარსულის გასარკვევად.

ივანე ჭავჭავაძის წიგნის მეორე თავს ქართველების უძველესი კულტურის ისტორიული სურათის აღდგენას უძღვნის.

მესამე თავი ქართველების ეროვნულ წარმართობას ეხება. აქ ივანე ჭავჭავაძის უაღრესად გონებამახვილურად მიმოიხილავს ძველ ქართულ ხალხურ პოეზიაში ღვთაებათა უფროს-უმცროსობის საკითხს. ამასთან იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური პოეზიის შედარებით შესწავლას აწარმოებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

იგი განსაკუთრებული გამოწვლილვით წარმოგვიდგენს, რომ ქართულ ხალხურ თქმულებებში უძველესი სარწმუნოებრივი წარმოდგენით უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმიდა გიორგის უკავია, მეორე — ღმერთს-შემოქმედს. მესამე — ელია წინასწარმეტყველს.

განსაკუთრებულ, შემოქმედზე უკეთეს პატივისცემას წმინდა გიორგისას ქრისტიანობასა და საეკლესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო, პირიქით, იგი პირდაპირ არღვევს მას. მაშასადამე, ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმიდა გიორგის ძველი, წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების—მთვარის ადგილი უნდა ეკავოს. მთვარის დღესასწაულთან კავშირს ივანე ჭავჭავაძის მიერ მოცემული წერილობითი წყაროთიც ადასტურებს. იგი წერს:

„ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული, ქართველმა ხალხმა ჭერ ცეცხლოთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა; ამ ორმა საარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენს ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე სააუცხოოდ არის შენახული უძველესი სარწმუნოების კვალი“ (გვ. 101). ამ დებულების დასადასტურებლად იგი მარჯვედ იყენებს მეგრულია ლა სვანურის მონაცემებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მონაცემებთან ერთად.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველთა უძველესი სარწმუნოებაში მთვარისა, მზისა და ღრუბელთა ბატონის გარდა სხვა ღმერთებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ არ ეხება, ვინაიდან „მათი ვინაობისა და სახელების შესახებ გამოკვლევა არ დამიმთავრებია“.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე თავი ქართველების პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება XI—I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მეხუთე თავი კი საქართველოს ცხოვრებასა და თავგადასავალს — I საუკუნიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ბოლო მეექვსე თავი I—VII საუკუნის საქართველოს კულტურას ეძღვნება. ეს ხანა ჩვენი ისტორიისა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშპობაში დაილია. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდნენ და სურდათ მის ერთადერთ ბატონად გამხდარიყვნენ. ამ ხნის განმავლობაში საქართველო ორ სამეფოდ იყო გაყოფილი: ლაზიკად და იბერიად, რომელმაც 532 წელს თავისუფლება დაკარგა. ახლა უკვე სასანელთა გეარის შაჰები სულ იმის საგონებელში იყვნენ, ლაზიკაც იმათ რგებოდათ და მთელი საქართველოსა და კავკასიის მბრძანებელი გამხდარიყვნენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს. ამ ვითარებაში კი „თვით ქართველების ნატკრისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო, არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მოტრფიალე ლაზიკა და იბერია არასდროს არა ყოფილა“ (გვ. 171). ორ წყაღს შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მოცილე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლა და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს ლაზიკის სახელმწიფოს წეს-წყობილებას. აღნიშნავს, რომ ხალხში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული იყო, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ. ლაზების დესპანების სიტყვით, მათ შენახული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელშეკრულებათა პირობის წერილები, რომლებითაც ლაზები იოდენსე სპარსელებს შეჰკვირიან.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომისათვის მიღებული სიმბოლური პონორარაი არც შემდეგ შეცვლილა. იმ დროს ივანე ჯავახიშვილი არავის გაუგებობებია უხვი პონორარაით. არც მას როდისმე პონორარაის გამო გამომცემელთათვის რაიმე პირობა არ წაუყენებია. პირიქით, ზოგჯერ ისედაც მომხდარა, რომ გამომცემელს ვერ გაუგია ავტორის ნებაყოფლობითი მსხვერპლის მნიშვნელობა.

ივანე ჯავახიშვილს ბუნებრივი წყენით მიუღია ამგვარი დამოკიდებულება. ეს კი სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელებთან ურთიერთდამოკიდებულებაში მოხდა.

1915 წლის 22 აპრილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარისათვის წერილში ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ

„მაისის გასულს, ან ივნისში, პირობისამებრ, გადავცემ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (XIII საუკუნის დამდეგ) და ვთხოვ საგამომცემლო სექციას, რომ ამ წიგნის დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა გადასდოს“. ამ საზოგადოების გამგეობას ივანე ჭავჭავიძე იმმა 1915 წლის 13 მაისს მისწერა, რომ შეუძლია თუ არა მას წიგნის „ისტორიის მიზანი და მეთოდები წინათ და ახლა“ გამოცემა იკისროს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამგეობის სხდომაზე გადაწყვიტა, რომ „ვინაიდან ამჟამად წიგნების გამომცემელი სექციის განკარგულებაში თავისუფალი თანხა არ მოიპოვება, ბ-ნი ივანე ჭავჭავიძის მიერ შედგენილი წიგნის გამოცემას გამგეობა ვერ კისრულობს“.

ამ განაჩენმა საფუძვლიანად გაანაწყენა ივანე ჭავჭავიძე. იგი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 1916 წლის 19 იანვარს სწერს, რომ გამგეობას 1915 წლის 3 ნოემბერს განუხილავს „ქართველი ერის შემოკლებული ისტორიის“ გამოცემის საკითხი და არ უცნია მიზანშეწონილად მისი გამოცემა იმის გამო, რომ „ჩვენ დღეს უფრო გვესაძიროება ხალხში გასავრცელებელი ისტორიული წიგნები და „ქართველი ერის ისტორიის“ შეუმოკლებელი იაფი გამოცემა განუზრახავს მიზნად“. ივ. ჭავჭავიძე თავის წერილს ასე ამთავრებს: „მე ვუბრუნებ ამასთანავე წ. კ. გ. ს. გამგეობას იმ ფულს (ათ თუმანს), რომელიც „შემოკლებული ისტორიის“ საფასურად მქონდა მიღებული, „შემოკლებული ისტორიის“ დედანი უკანვე მიმაქვს და ამიერიდან ჩემსა და ქ. შ. წ. კ. ს. გამგეობას შორის „ქართველი ერის ისტორიის“ როგორც შემოკლებულის, ისე სრულის წიგნის გამოცემის შესახებ ყოველგვარი მოლაპარაკება და დამოკიდებულება სამუდამოდ გათავებულად მიმაჩნია“.

თ ა ვ ი V. „დიდ არს ძალი სიხვარულინა“

ძველი ქართველი მოღვაწის არსენ ამარტოლის ამ სიტყვების განმეორება უყვარდა ივანე ჭავჭავიძეს. კეშმარიტად დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად ჰყოფს. ამ სიყვარულის ყველაზე ბუნებრივი გამოვლენა სამშობლოს სიყვარულია. ერისშვილის სამსახური სამშობლოსადმი მძლავრს ხდის პიროვნებას, იმდენ საქმეს შეაძლებინებს, რომ ხშირად სიმართლე დაუჭერებლად მოგეჩვენებათ. შეუძლებელია, არ გამოვთქვა აღტაცება ივანე ჭავჭავიძის მრავალმხრივი მოღვაწეობით. ყველაფერი ერთ მკაცრ გეგმას ემსახურებოდა: საუკუნეების მიღმეულის სინათლეზე გამოტანა, აწმყოს რწმენა და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის პირობების შექმნა.

საღეპტრო მოღვაწეობას თან ერთვის ქართველ სტუდენტთა შორის პატრიოტული საქმიანობა სამშობლოსთან დაკავშირებული: ყველა დეტალის ცოდნა, გაანალიზება და შეფასება, რაც სამშობლოს კულტურულ დაწინაურებას ეხება. აქ ინტერესი ორმხრივია. არა მარტო ივანე ჭავჭავიძეს იტაცებს სამშობლოს კულტურული მიღწევანი, არამედ ამ მიღწევათა შემოქმედთ დიდ სპირიტება ივანე ჭავჭავიძის მხარდაჭერა.

მისი ავტორიტეტი კი შემოქმედის ზეალმაგალი გზით ვითარდება. წარმატებები პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცნიერთა სახელოვან კორპორაციაში, რასაც წინ უძღოდა გერმანიასა და სინას მთაზე სახელგანთქმული მეცნიერული მოგზაურობა, შესანიშნავი გამოკვლევები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხში, საჯარო ლექციები საქართველოში, — მასთან რჩევისათვის, დახმარებისათვის, გზის წარმართვისათვის მოსულ პირთა რიცხვს განუ-

ხრელად ზრდის. ივანე ჯავახიშვილი მთელ ამ საზოგადო მუშაობას როდი თვლის მეცნიერული მუშაობისათვის ხელისშემწლად, არამედ აუცილებელ ნაწილად სამშობლოსათვის სამსახურისა.

ასე და ამგვარად, ივანე ჯავახიშვილი ხდება აქტიური მონაწილე ბევრი ისეთი კულტურული ღონისძიებისა, რომელთაც შორეული კავშირიც კი არ ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტის მოღვაწეობასთან.

მრავალ საკითხთაგან გამოვყოფთ რამდენიმეს. უპირველესად კი ქართული ხალხური მუსიკისა და შემდეგ სახვითი ხელოვნების საკითხებს შევხებით.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც აღვნიშნეთ, სიმღერისა და საზოგადო მუსიკის დიდი სიყვარული ჰქონდა და კინაღამ იყო თავისი შემოქმედება მთლად მუსიკის მეცნიერული საკითხების შესწავლას მიუძღვნა. მას ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლაზე არასოდეს უთქვამს უარი. ქართველი ერის ისტორიაში ამ საკითხების სხვადასხვა მხარეა მიმოხსნული. აქ მისი როლი ისტორიკოსი მკვლევრით არ შემოზღუდულა. ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერის საქმე მას დიდად აფიქრებდა. დრო აქ დაუნდობელი მოწინააღმდეგე იყო. თაობათა იდეალური მუსიკალური მემკვიდრეობა სევდით, ცრემლებით, სიხარულითა და ღიმილით, ჭირსა და ლხინში შექმნილი, დროთა განმავლობაში იცვლიდა სახეს. საჭირო იყო მისი აღბეჭდვა, ჩაწერა რაც შეიძლება ადრინდელი ფორმებით, განსაკუთრებით კი უცხოურისა და ქალაქურ-პრიმიტიული მუსიკალური გავლენისაგან გათავისუფლება. საქართველოში ხალხური მუსიკის ჩაწერის საქმე ძალზე დაგვიანდა. იგი არსებითად XIX საუკუნის ბოლოდან გაიშალა მთელი მასშტაბურობით. მართალია, XIX საუკუნის შუა წლებიდან, მუსიკის ცნობილი მკვლევრის ლ. დონაძის სიტყვებით, ქართული ხალხური სიმღერა ქართველი ეთნოგრაფების და მუსიკის დილეტანტების ძიებისა და გატაცების საგანი ხდება. უფრო მეტიც, იგი სერიოზულ ინტერესს იწვევს თვით უცხო მუსიკოსთა შორის. ამასთან, საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური სასიმღერო მასალა რუს კომპოზიტორთა შემოქმედებაში გადამუშავებული სახით უფრო ადრე გამოიყენეს, ვიდრე ქართულ მუსიკაში.

მაინც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან იწყება დიდი ქართული მუსიკის გაწმენდის და აღორძინების საქმე. ამაში მალე ჩაერთვება ზაქარია ფალიაშვილი. აქაც „ქართველი გლინკა“ მუსიკალური დედაენის აყვავებაში თავის წარუხოცელ კვალს ტოვებს. უკვდავებისათვის მას ეყოფოდა ქართველი ხალხის სტიქიური მუსიკალური ნიჭის გამომსახველი სიმღერა-ძეგლების ჩაწერა და მუსიკალური მსოფლიოსათვის შენარჩუნება.

1908 წელს გაზეთ „ამირანში“ ზაქარია ფალიაშვილი წერდა: „ამ შვიდი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქართველი საზოგადოების დავალებით დავიარე თითქმის მთელი საქართველოს კუთხეები: ქართლ-კახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-სვანეთი. ბევრი სიმღერა გავიგონე და ჩაწერე კიდევ, დავაწმუნდი, რომ ქართველები ერთ ნიჭიერ ხალხთაგან უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხელოვნებაში“, ამავე წერილში ზ. ფალიაშვილი აღნიშნავს იმ საერთოს, რაც საქართველოს სხვადასხვა თემის სიმღერებშია. მისი აზრით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერათა სამხმიანობა მეტად ხელსაყრელი გარემოებაა მათთვის, რომ ეს სიმღერები ერთი მოდგმის ხალხისაა. ისინი მცირედ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან პარამონის მხრივ, მაგრამ სხვაობაა მათ შორის მელოდიის, ხმების მოძრაობისა და სიმკვირცხლით. ქართლ-კახურ სიმღერებს საკვირვლად ჩამოჰკავს „სიღინჯით და მოწყობილობით სვანური სიმღერები“,

თუმცა ეს მხარეები საქართველოსი დაშორებულთა ერთმანეთისაგან. ამასთან, ზ. ფალიაშვილის აზრით, „სევანური სიმღერა „ზარი“ სხვა კუთხეებში მიღებულ ზარებს შორის ერთ საუკეთესო ჰანგად უნდა ჩაითვალოს“, ხოლო „რაქულ სიმღერებში ერთი ნაწილი ცოტათი ჩამოჰგავს ქართლ-კახურსა, მეორე კი — იმერულს“.

რაქაში შესანიშნავია განსაკუთრებით „მესტიერე“, როგორც თვით საკრავი იარაღი — სტიკრი, ისე თავისი ორიგინალობით და თავისებურებით, ის ჰანგებით, რომელსაც ამ სტიკერზე დამღერაინა“.

გურულ-იმერული სიმღერები გასაოცრად ჩამოჰგვანან ერთმანეთს, „ყველა სიმღერა ცქეტი და „მგზავრულის“ ხასიათისაა. იშვიათად შეხვდებით იქ დინჯ სიმღერას. ამას გარდა ისინი განირჩევიან სხვა კუთხის სიმღერებისაგან იმით, რომ აქ სამივე ხმას ერთნაირი მელოდიური მოძრაობა აქვს. იშვიათი შემთხვევაა, რომ ბანი ერთ ხანს მაინც გაჩერდეს ადგილზედ, მთელი სიმღერები „პოლიფონიურ“ მუსიკაზედ არის დაფუძნებული. სხვათა შორის მე ერთი გურული „ხელხევაი“ მაქვს ჩაწერილი, სადაც ერთ ადგილას იმისთანა მოხერხებულად არის შეზავებული ორი სულ სხვადასხვა თემა, რომ ნათლად თვალწინ დაგიდგებათ ბახის „მრჩობლი ფუგის“ თემები, და ყოველ ევროპიელ მუსიკოსს ალტაცებაში მოიყვანს და დაარწმუნებს, რომ ქართველი ხალხი დიდად დახელოვნებული ყოფილა მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ ამისთანა რთული და მასთან ორიგინალური სიმღერები შეუქმნია“.

ზ. ფალიაშვილი თავის წერილს კახეთში მოგზაურობისას ღრმა შთაბეჭდილებით აღწერს და წერილს ასე ამთავრებს: „უკანასკნელად სალამს ვუძღვნი კიდევ კახელებს და დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადო საქმის გასაკეთებლად იქ ჩამსვლელთ, ვინც კი უნდა იყოს იგი, ისევე პატივისცემითა და სიხარულითვე მიეგებებიან, როგორც ჩვენ“.

ზ. ფალიაშვილი ქართული მუსიკის შემნახველთა წმინდა მოვალეობად აცხადებდა: რაც აქამდე დაკარგულა, იმის დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ ჭერ რაც კიდევ დაცულია, ამას მაინც ნულარ გავეშვებით ხელიდანო.

1909 წლის ოქტომბერში ქვეყნდება ზაქარია ფალიაშვილის მიერ ჩაწერილი „ქართული ხალხური სიმღერების კრებული“ (იმერული, გურული, რაქული, სევანური და ქართლ-კახური).

შესანიშნავი აკადემიური ტონითაა დაწერილი ამ კრებულის წინასიტყვაობა. იქედან ჩვენ ვიგებთ, რომ ამ დროისათვის მას 250-ზე მეტი ხალხური სიმღერა ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩაწერილი.

განსაკუთრებული გულისყურითაა დახასიათებული სევანური სიმღერები (კრებულის 40 სიმღერიდან 17 სევანური იყო). ეს იმით აიხსნება, რომ მანამდე ყველაზე ნაკლებად სევანური სიმღერები იყო შესწავლილი.

ზაქარია ფალიაშვილი მხატვრული სიტყვის ოსტატივით აღწერს საქართველოს ყველაზე მაღალ მთიან ამაყ მხარეს. ამგვარ ისტორიულ წინასიტყვაობას ზ. ფალიაშვილი საჭიროდ თვლის იმისათვის, რომ სევანური სიმღერების თავისებურებაც ახსნას. მართლაც, ცნობილი დიდოსტატიც მხატვრული სიტყვისა მოაწერდა ხელს ზაქარია ფალიაშვილის შემდეგ სიტყვებს:

„სევანების საბინადრო ქვეყანა ორი მდინარის ცხენის წყლის და ინგურის ზევათა შუა მდებარეობს. ამ ადგილის ბუნების სილამაზე კალმით აუწერელია, მაგრამ იგივე ბუნების სიმკაცრეც შეუდარებელია. იმ დროს, როცა სევანი ზაფხულობით ბედნიერია, „როგორც პირველ დღეს ქვეყნის გაჩენისას“ — ზამთარში იგი მთებშია, როგორც უუბოროტეს დამნაშავესავე მომწყვედუ-

ლი ზაფხულობით იგი ქურციკივით უშიშრად მთის მწვერვალებზე დანავარდობს, ზამთრობით კი მხოლოდ გულად კაცს შეუძლიან შეებრძოლოს ამ გავერანებული ქვეყნის მრისხანე თოვლსა და ზვავებს. კაცს ასე ეგონება ამ მთებს თავის დღეში ადამიანის ფეხი არ მიჰკარებიაო!... ძნელი იყო სვანი კაცის ბედი. ბუნების სიმკაცრეს კიდევ უფრო ამძიმებდა მტერთა შემოსევანი. ყველაფერი ეს სევანურ სიმღერებშია ასახული: „ხან სვანი სალაშქრო სიმღერას ამბობს და მტერზედ გამარჯვებული ღვთაებას სამადლობელს უძღვნის, ანუ მოხდენილ ფერხულს დასძახებს... რომელსაც ერთმანეთში ხელჩაკიდებულები, წრე შემოვლებით თავთავიანთი სოფლის მცხოვრებლები ასრულებენ, ხან ორ გუნდად დაყოფილები გამარჯვების კიმნს დამღერაიან, ან არა და მუხლმოყრილები მოიღებენ საღმრთოს კიდევ ოქროსა ან ვერცხლის შესაწირავს და ყველანი ერთ გუნდად წმინდა გიორგის, მთავარ ანგელოზთა, ღვთისმშობელს და სხვას შეჰლაღადებენ. სამგლოვიარო სიმღერაში დასტირიან ძვირფასი ნათესაეების სიკვდილს. ასე გასინჯეთ, მიცვალებულის გამოსვენების დროსაც კი ხმაშეწყობილს დიდებულ სამგლოვიარო მგზაურულს „ზარს“ ჰგოდებენ“.

სევანური „ზარი“ გამჟოლი ნაღლისა და სევდის მომგვრელია, მაგრამ სვანებს ამის გარდა მხიარული ბიძიას „ბუბა ქაქუჩიელას“ სიმღერაც აქვთ, ამაყ და დიად „ლილესთან“ ერთად.

ზ. ფალიაშვილი სიმღერის სევანურ ტექსტებს იწერს და მის თარგმანებსაც აქვეყნებს რუსულ ენაზე თავის კრებულში. აქ მას დაუფასებელ დახმარებას უწევს ივანე ჭავჭავიძის მოწაფეობისა და სტუდენტობის მეგობარი, ცნობილი პედაგოგი ივანე ნიჟარაძე. სწორედ ის გახდა ხიდი ორი დიდი ქართველის ივანე ჭავჭავიძისა და ზაქარია ფალიაშვილის დამეგობრებისა¹. თვით კრებულის წინასიტყვაობაში ზაქარია ფალიაშვილი გულითად მადლობას უძღვნის „ყველა იმ პირთ, რომელთაც ზნეობრივად დიდი დახმარება აღმოუჩინეს, თუ მასპინძლობით, თუ მომღერლების მოგროვებით და კიდევ თვის სიმღერების ასრულებით, ჩვენს სოფლიდან-სოფლად მოგზაურობის დროს“.

პერსონალურად დასახელებულ პირთა შორისაა ივანე ჭავჭავიძელი. ამახ თავისი დიდი საფუძველი ჰქონდა.

1909 წლის ზაფხულში ივანე ჭავჭავიძელს ხოვლეში მიჰყავს ზაქარია ფალიაშვილი, სადაც იგი ფონოგრაფზე იწერს ქართულ ხალხურ სიმღერებს. ძმე-

¹ 1903 წლის 30 სექტემბერს ივ. ნიჟარაძე სწერდა ივ. ჭავჭავიძელს „ქარჭერობით პეტრე მირიანაშვილმა და ფალიაშვილმა გამოთქვეს ის აზრი, რომ კარგი იქნება ბერლინში და პარიზში გაიმართოს წულუხა საეთნოგრაფიო ქართული კონცერტები, მით უფრო, რომ ზ. ფალიაშვილი ამისათვის ძალიან კარგად არის მომზადებული და ძალიან არის მოწოდებული ამ საქმისათვის. ესლა გადასაწყვეტი კითხვა ფულის შენაშა“. ამისათვის ხუთი სხვადასხვა წინადადება წამოუყენებიათ, მათ შორის ერთ-ერთია: „მემართოთ პროფ. პარნაკს ზ. ჭავჭავიძის პირით, რათა თვითონ უნივერსიტეტმა ან ბერლინის მთავრობამ იყოსროს კონცერტის გამართვა. შე დამავალეს მოგმართოთ შენ, რათა ამ საქმეს დაუდგე სათავეში და გავვიზიარო შენი აზრი ამ საქმის შესახებ“. ივ. ჭავჭავიძის პასუხი ნაპოვნი არ არის. სამაგიეროდ არის ივ. ნიჟარაძის საპასუხო წერილი 1904 წლის 10 იანვრისა. იქ ვკითხულობთ: „შენი წერილი მივიღე, სიამოვნებით გადავიკითხე. ფალიაშვილი სრულიად დაეთანხმა შენ აზრს და აზრი შესახებ გერმანიაში გამგზავრებისა უკუაგდო“. მხოლოდ ხუთი ათეული წლის შემდეგ მოიხიბლებიან ბერლინსა და პარიზში ქართული სიმღერა — ძეგლებით.

რაც შეეხება ფონოგრაფით ჩაწერილი სიმღერების ევროპაში გატანაზე ფიქრს, იგი იმდროსავე განჩნდა. ასე, 1904 წ. 14 ივლისს ბერლინიდან ფიორჯია ჭავჭავიძელი ძმას ივანე ჭავჭავიძელს სწერდა: „მინდოდა თბილისიდან გამომეწერა ადამიანისა და დაღებული სიმღერები, მაგრამ ესლა გვიანდაა, ასე რომ შემდგომ სემესტრისათვის“.

ბი კავსაძეების გუნდის შესრულებით. სიმღერათა შერჩევასა და მათი შესრულების სიზუსტეს ივანე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობდა. ხოვლედიან, სადაც ზაქარიამ ერთი კვირა დაჰყო, იგი ქართლის სხვა სოფლებში გაემგზავრა. იმ დროს ჩაიწერა ზაქარიამ „ქართული“ აბესალომ და ეთერისათვის, რომელსაც შინაურებში ხუმრობით ივანეს „ქართულს“ უწოდებდა.

ქართლში მოგზაურობის დროს ზაქარია და ივანეც ერთხელ კომიკურ მდგომარეობაში ჩაყარდნენ, რასაც ბევრჯერ სიცილით იგონებდა ივანე ჭავჭავაძის. ქართლელ მომღერალთა შორის სუფრასთან ყოფნის დროს ზ. ფალიაშვილის მოუმართავს ფონოგრაფი სიმღერის ჩასაწერად, მაგრამ მომღერლებს უარი უთქვამთ სიმღერაზე, ეს ხუმრობად ჩაუთვლიათ. მაშინ მათ შეუთვავებიათ: ჭერ თქვენ იმღერეთ, ჩაწერეთ და მერე ჩვენ მოგზაურობო. ასეც გადაუწყვეტიათ. ივანე ჭავჭავაძისა და ზაქარია ფალიაშვილს დაუწყიათ სიმღერა (ორივეს ხომ ეს კარგად ეხერხებოდა!), სიმღერის ბოლოს მათ ხმაძალი სიცილი წასკდომიათ. ფონოგრაფის შემობრუნებისას ჩაწერილი გალობა და სიცილი გლეხებს რომ მოუსმენიათ, გაოცებულან და მაშინდა დარწმუნებულან ნათქვამის სიმართლეში. ამის შემდეგ ბოლო არ ჰქონია მათ გატაცებას სიმღერების ჩაწერით.

მარტო მომღერალთა შეკრებით, სიმღერათა შესრულების სიზუსტეზე ზედამხედველობით, სოფელ-სოფელ მოგზაურობაზე თანამყოფობით როდი ამოიწურებოდა ივანე ჭავჭავაძის მხრივ მხარდაჭერა. მთავარი ის იყო, რომ ივანე ჭავჭავაძის მისთვის ჩვეული დარწმუნების განსაკუთრებული უნარით შთააგონებდა ზაქარია ფალიაშვილს, რომ იგი ქართველი ხალხის წინაშე უკვდავ საქმეს აკეთებდა, ამასთან მეტად საშურ საქმეს, რომელსაც დრო და უცხო გავლენა სდევნიდა და ამახინჯებდა. ყველაფერ ამას ივანე ჭავჭავაძის პატრიოტული შეგონებით კი არ აკეთებდა მხოლოდ, არამედ ქართული ხალხური სიმღერების მთელი უძველესი ისტორიის უღრმესი ცოდნით. ეს კი ყველაზე მეტად თვით ზ. ფალიაშვილის მიერ შეკრებილ სიმღერათა კრებულის წინასიტყვაობაშივე ჩანს. ჩვენ არ დაგვჩა (ყოველ შემთხვევაში ვერ მოვიპოვეთ) ივანე ჭავჭავაძის წერილები ზ. ფალიაშვილისადმი, მაგრამ თუ რა გავლენა ჰქონდა ივანე ჭავჭავაძის პირველ ქართველ კომპოზიტორზე, ეს ყველაზე კარგად ჩანს თვითონ ზაქარია ფალიაშვილის წერილებში, რომლებიც ივანე ჭავჭავაძისადმი მიწერილი. ჩვენ მხოლოდ ნაწყვეტებს მოვიყვანთ ამ წერილებიდან. ისინი ყველაზე სანდო პირველი წყაროებია იმის დასადასტურებლად, თუ რა როლი შეასრულა ყველაზე დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ყველაზე დიდი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებით აღსვლაში.

ეს წერილები, რომლებიც ნ. ჭავჭავაძის გამოაქვეყნა (ტურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1974 წ. № 4. გვ. 88—93) თავისებური შემოქმედებითი ანგარიშია ზ. ფალიაშვილისა. მათში ჩვენთვის ყველაზე მთავარი ის კი არ არის, თუ რა დახმარებას აღმოუჩინა ივანე ჭავჭავაძის ხალხურ სიმღერათა კრებულების დაბეჭდვასა და გავრცელებაში, არამედ ის, რომ ზაქარია ფალიაშვილს განსაკუთრებულად სწამს ივანე ჭავჭავაძის მუსიკალური ცოდნისა და ინტუიციისა. 1908 წლის 16 დეკემბერს თბილისიდან გაგზავნილ წერილში იგი აღწერს ილია ჭავჭავაძის დალუპვის წლისთვის საღამოს მუსიკალურ განყოფილებას და წუხილით წერს: „ძალიან გულით მინდოდა, რომ თქვენ აქ ყოფილიყავით და მოგესმინათ ეს სიმღერები, რადგანაც ჩვენში მათი კარგისა თუ ავის აზრის გამოთქმელად მე თქვენ უფრო ვაფასებთ, ვიდრემც „დიპლომანებს“, ანუ ჩვენ ქართველ მუსიკოსებს“.

იგი აცნობებს ივანე ჯავახიშვილს, რომ აკაკის იუბილეზე 1908 წ. დეკემბერში მან დაწერა „მრავალკამიერი“, რომლის ნოტებს უგზავნის მას. ეს მრავალკამიერი მეტად სადღესასწაულო გამოსულა. მას მოუთმენლად აინტერესებს ივანე ჯავახიშვილის აზრი: „ეს არის ჩემი პირველი ცდა ქართული მუსიკის შეთხზვაში. აქობამდე მარტო სახალხო სიმღერების შემატების ცდაში ვიყავ. და ეხლა კი გავბედე შეთხზვა და ვგონებ, რომ ნახავთ და გადაათვალიერებთ, ქართული ელფერი მეტად დაცული უნდა იყოს... გთხოვთ გადაათვალიეროთ ეს „მრავალკამიერი“ და თქვენი აზრი დროზე მაცნობეთ“.

ნიშანდობლივია, რომ ივანე ჯავახიშვილს ზაქარია ფალიაშვილმა მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის სიტყვებზე დაწერილი რომანსი „ნანა შვილო, ნანინავ“. ივანე ჯავახიშვილი მეტად აღფრთოვანებულია ამ მოძღვნით, საპასუხოდ ზაქარია ფალიაშვილი 1911 წლის 29 იანვარს სწერდა: „რაც შეეხება „ნანა შვილოს“, რომელიც მე თქვენ გიძღვენით, სრულიად მადლობად არა ღირს და მერწმუნეთ, თქვენ, როგორც ერთადერთი გულწრფელი მოტრფიალე ქართული ხელოვნებისა, ბევრად მეტის ღირსი ხართ“.

ზაქარია ფალიაშვილის ეს სიტყვები საუკეთესოდ წარმოგვიდგენენ ივანე ჯავახიშვილის წვლილს ქართული მუსიკალური კულტურის აყვავებაში. აკი კარგად ამბობს ივანე ჯავახიშვილის როლზე ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაში ცნობილი თეატრალური მოღვაწე დ. ჩხეიძე, რომ „უიმისოდ ფალიაშვილი ერთ ჩამღერებასაც არ გაამხელდაო“. მართლაც, ივ. ჯავახიშვილის მხრივ უდიდესი ქართველი კომპოზიტორის დაწმუნებისა და შთავგონების დიდი უნარი შემოქმედებითი დახმარების ტოლფასოვანი იყო.

ჩვენ არაფერს ვამბობთ იმ საქმიანობაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა გააჩაღა პეტერბურგსა და საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ზ. ფალიაშვილის საშვილიშვილო საქმიანობის მხარდასაქერად. ივანე ჯავახიშვილი წინასწარვე აღუთქვამდა მხარდაქერას ზ. ფალიაშვილს, მხოლოდ მას არ შეეფერხებინა დაწყებული დიდი საშვილიშვილო საქმე. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი სხვა პირებსაც სწერდა. 1908 წელს არ. ჯორჯაძე სწერდა ივანე ჯავახიშვილს: „დღეს ზაქარია ფალიაშვილმა შემომჩივლა, რომ იმედი არ გუმაართლდა ნოტების დაბეჭდვის შესახებ. კიათურიდან უარს ეუბნებიან. კარგი იქნება, კიტას რომ მოაგონოთ, იქნებ როგორმე მოუხერხოთ ათი თუმანი მაინც (ჯერხნობით მეტი არ მიწდაო)“.

ივ. ჯავახიშვილი არ აყოვნებს პასუხს და 1908 წლის 21 სექტემბერს სწერს არჩ. ჯორჯაძეს: „ზაქარია ფალიაშვილს მეც მივწერ პირადად და თქვენც გადაეცით, რომ დამშვიდდეს და თავისი შრომა დაამთავროს. ყოველნაირად ვეცდები და იმედი მაქვს, რომ მის თხზულების გამოცემას მოუხერხებ. საჭიროა მხოლოდ, რომ თხზულება დამთავრებული ჰქონდეს. მე აქ გამოვარკვევ, სულ რამდენი დასჭირდება, და მაშინ სულ ადვილი იქნება საქმის გაჩარხვა“.

ზ. ფალიაშვილი დიდის კართობითა და მორიდებით მიმართავდა. ივანე ჯავახიშვილს სულ სხვადასხვა საკითხზე, თუმცა იქვე დასძენდა: „მაშ კიდევ გთხოვთ, არ იწყინოთ ეს ჩემი თხოვნაო“. იგი მდგომარეობდა პეტერბურგში ქართული სიმღერების კრებულის საკომისიოდ გავრცელებაში, იქ მოღვაწე ზოგიერთი ქართველის მისამართის დადგენაში, სთხოვდა საქართველოში სხვადასხვა ეროვნული საზოგადოების წინაშე შუამდგომლობას, მაგ., სათავადაზნაურო ბანკის წინაშე, რომ მას გაეღო თანხები შეკრებილ სიმღერათა დასაბეჭდად. „ამისათვის საჭირო არის, — სწერდა ზაქარია ფალიაშვილი 1908

წლის მარტში ივანე ჭავჭავაძის, — რომ თქვენი აზრი, რაც შეიძლება დროზედ აცნობთ მას, მით მომეტებული, რომ, როგორც მე შევიტყვე და გადმომცეს, აქ თქვენს აზრს დიდი მნიშვნელობა ექნება ამ საკითხის გადაწყვეტაში' და მართლაც, ივანე ჭავჭავაძის, რომლის ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებრიობაში განუხრებლად იზრდებოდა, გატაცებით და სიყვარულით, ერთ გულად ასრულებდა ზაქარია ფალიაშვილის თხოვნებს.

ივანე ჭავჭავაძის ყველაზე მეტად გრძნობდა, რომ იგი იყო თანამედროვე და თანამდგომი პირველი ქართული ოპერის დაბადებისა და, როგორც ჩანს. მთელი მისი წერილების შინაარსი თავს იყრიდა იმის გაგებაში, თუ რა მიღწევაშია „აბესალომისა და ეთერის“ ჩამოქნაში. ზაქარია ფალიაშვილი 1911 წლის 2 იანვარს სწერს ივანე ჭავჭავაძის: „ჩემი „აბესალომ და ეთერის“ საქმიანობას თუ იკითხავთ, საუბედუროდ, — რასაკვირველია, დროის უქონლობის გამო — ვერა მიუმატე რა იმის გარდა, რომ იმ სამ სურათს, რომელიც ამ ზაფხულს დაეწერე, მეორე რედაქციას ვუკეთებ და სუფთადა ვწერ, მაგრამ რა ვქნა, როცა სამსახურები ნებას არ მაძლევენ და ეს ჩემი დაწყებული საქმე ზაფხულისათვის (როცა თავისუფლება ბევრი მაქვს) გადამაქვს. არა უშავს რა, იმედი მაქვს ნელა-ნელათი ბოლო მოვუღო, სჯობს ნელა იყოს და გვარიანად, ვინემუ ჩქარა და სულ უვარგისი. ამის შესახებ შემდეგში ვიბაძისოთ“. სულ მალე მას პასუხი მიუღია ივანე ჭავჭავაძისაგან და როგორც ზაქარია ფალიაშვილი წერს, მას მოსწონს ივანეს აზრი, რომ „სიჩქარით არაფერი ზიანი არ უნდა მიადგეს „აბესალომ და ეთერს“.

„აბესალომ და ეთერი“ ყველაზე საყვარელი ოპერა იყო ივანე ჭავჭავაძისათვის, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა ოპერის დადგმის პირველი დღის სიხარული და ხუთი წლის შემდეგ ვანო საჩაჩიშვილის დასაფლავების მეორე დღეს უაბესალომოდ დადგმული „აბესალომ და ეთერი“. მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში სრულიად უმაგალითო მოვლენა, რომლის მიგნებისათვის კოტე მარჩანიშვილის ულავი ფანტაზიის მგზნებარე აელვარება იყო საჭირო.

შემდეგ წლებში ისე ხდებოდა, რომ პირველი ივანე ჭავჭავაძის თანაბოქრდებოდა თავისი ნაწარმოებით ზაქარია ფალიაშვილი, მთელი ოჯახი სიხარულით ელოდა ძვირფას სტუმარს, ეს მას მკაცრ წესად ჩამოუყალიბდა. მართალია, ეს შეხვედრები არ ასახულა მიმოწერაში, ვინაიდან ისინი ორივენი დედა თბილისში მოღვაწეობდნენ ეროვნული უმაღლესი სკოლისა და ეროვნული ოპერის სადიდებლად. ერის ორი უკვდავი შვილის მეგობრობა შესანიშნავად აღწერა ივანე ჭავჭავაძის ქალიშვილმა ნათელა ჭავჭავაძისმა (ყურნალი „დროშა“, 1953, № 5).

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ქართული კულტურის მუშაკნი ბევრჯერ მიმართავენ ივანე ჭავჭავაძის. მათ კარგად იცოდნენ მისი დიდი დაინტერესება ქართული ხელოვნების ისტორიით, მაგრამ მარტო წარსულს როდი ეხებოდა საქმე. ივანე ჭავჭავაძის მონაწილე გახდა ილიასადმი მიძღვნილი ძეგლის დადგმისა. ეს იყო საერთოდ ქართველი მოქანდაკის მიერ შექმნილი პირველი მონუმენტი, მიძღვნილი ქართველი მოღვაწისადმი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა შესაზარად განიცადა მთელმა ქართველმა ხალხმა. ერის დიდი შვილი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელაც ვერ მოხერხდა მისი იუბილეს გადახდა, მრავალგზის კი დაიშინებოდა მან ეს. ვერაგმა ხელმა კი სწორედ 70 წელს მიღწეულ მთელი ხალხის მოამაგეს მოუსწრაფა სიცოცხლე. სახალხო აღშფოთების პროპორციულად იზრდებოდა სწრაფვა, უზრუნველყოთ დიდი ქართველი მწერლის უკვდავი სახელი. ილიას დასაფლა-

ვებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილნი, რომ მათ კრება მოიწვიეს თბილისის წარმომადგენლებთან ერთად 1907 წლის 9 სექტემბერს. დაადგინეს, რომ შვეტროვილიყო ფულადი თანხა ილიას სახელის ხალხში გასამტკიცებლად და იმისათვის, რომ დაედგას ილია ჭავჭავაძის ძეგლი ქალაქის მთავარ მოედანზე. ამ საქმის მოგვარება „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ითავა. 1907 წლის 6 ნოემბერს ამ საზოგადოების გამგეობას იაკობ ნიკოლაძემ პარიზიდან მოსწერა: „მე, როგორც ქართველს, თქვენთან ერთად მიძვერს გული და მდის ცრემლი ჩვენს უღროდ დაკარგულს მგოსანზე. და სწორედ ბედნიერებად მიმაჩნია, თუ მე მომანდობენ ბრწყინვალე მგოსნისა და მამულიშვილის პატივისცემას“.

საზოგადოების გამგეობამ შეუქვეთა ი. ნიკოლაძეს, გაეკეთებინა მოდელი ძეგლისა და წარედგინა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა. უკვე 1908 წლის 15 მარტს იაკობ ნიკოლაძემ „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წარუდგინა მის მიერ დამზადებული მოდელი.

1908 წლის 9 აპრილს შედგა საზოგადოების მიერ გამოყოფილი კომისიის მიერ მოდელის განხილვა. კომისიის წევრებმა ძეგლის პროექტში სხვადასხვა შესწორებების შეტანა მოითხოვეს. კომისიის ამ დადებითი დასკვნის მიუხედავად, ი. ნიკოლაძე თვითონ გრძნობდა პროექტის კომპოზიციურ სისუსტეს, ამიტომ მალე მან შეასრულა მეორე მოდელი. შემდეგ მესამე ვარიანტი დაამუშავა და წარუდგინა მხატვართა კომისიას. აქაც მისცეს მას შენიშვნები. 1908 წლის 20 დეკემბერს საზოგადოებამ ხელშეკრულება დაუდო, ახლა უკვე ილია ჭავჭავაძის საფლავზე ძეგლის დასადგმელად. რამდენიმე დღეში ამ ძეგლზე მუშაობისათვის იგი პარიზში წავიდა. აქ იგი ექვს თვეზე მეტი მუშაობდა ნატურალური ზომის თიხის ესკიზის აგებისათვის. შემდგომ იგი უგზავნის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 8 მონუმენტის ფოტოებს. 1909 წლის 20 სექტემბერს კომისია უგზავნის თავის შენიშვნებს. მათი მიღების შემდეგ ი. ნიკოლაძემ დაასრულა ქანდაკება და კიდევ ჩამოასხმევინა ბრინჯაოსაგან. 1910 წლის ნოემბრისათვის ფიგურა ჩამოიტანეს. მიუხედავად ამისა, ძეგლის დადგმა კიდევ გაგრძელდა, მიზეზი ამისა იყო ძეგლის არქიტექტურული ნაწილი. ამ ნაწილის ავტორი ცნობილი ქართველი ინჟინერი პ. მამრაძე იყო. არქიტექტურული ნაწილი ძეგლისა დაწუნებულ იქნა კომისიის წევრების მიერ. თუმცა ივანე ჯავახიშვილი არსებითად იწონებდა თვით მონუმენტს, იგი წინააღმდეგი იყო ძეგლის არქიტექტურული მხარისა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ძეგლის არქიტექტურული ნაწილის დეფექტებს: „პ. მამრაძის მიერ აგებული ნიშის შეუფერებლობაზე ქართული ხუროთმოძღვრების მოთხოვნისათვის და სცნო ამგვარი ნაგებობის აშენება სრულიად მცდარად და დასახული მიზნისათვის არაღამაკმაყოფილებლად“. ამან, ბუნებრივია, გადააზანა ძეგლის დადგმა.

1912 წლის 14 ივლისს კომისიამ დაათვალიერა ქანდაკი, რომელიც ქართული გიმნაზიის შენობაში ინახებოდა და ძეგლის არქიტექტურული ნაწილი. საბოლოოდ მხოლოდ 1913 წლის 1 აპრილს მიიღო კომისიამ ძეგლი. დაეთანხმა რა წარმოდგენილ პროექტს, კომისიამ აღნიშნა, რომ ამ ძეგლის დადგმით იგი სრულიად არ თვლის ილიას უკვდავყოფის საქმეს დამთავრებულად და თვითონ ძეგლსაც საკითხის იდეალურ გადაწყვეტად. კომისიის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ალიარებულ იქნას პროექტის შესრულება დამაკმაყოფილებლად და მისი დადგმა შესაძლებლად, მაგრამ კომისია იმედოვნებს, რომ შემდეგში ქართველი საზოგადოება თვით ქალაქ თბილისში შესაფერის ადგილას

ილია ჭავჭავაძის სახელისათვის უფრო შესაფერის ძეგლს დაუდგამს ილიას* ძეგლი 1913 წლის 5 მაისს გაიხსნა დიდი ზეიმით.

„მწუხარე საქართველო“ პირველი ყველაზე დიდი ნაწარმოები იყო იაკობ ნიკოლაძისა. ივანე ჭავჭავაძის შვილი ამ პერიოდიდან დაუახლოვდა ი. ნიკოლაძეს. მათ შორის შემოქმედებითი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ივანე ჭავჭავაძის შვილი პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა, მხარი დაეჭირა და წაეხალისებინა ახალი დროის პირველი ქართველი მოქანდაკის მოღვაწეობა. ამ წლებში და შემდგომ მათი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე ი. ნიკოლაძე ივანე ჭავჭავაძის სახით ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ღრმა მცოდნეს, შესანიშნავი მხატვრული ალლოთი აღქმურვილ მხარდამჭერსა და შთაბამონებელს იძენს. როცა ი. ნიკოლაძეს მძიმე დღეები ჰქონდა, როცა მისი მალალმხატვრულად შესრულებული ნამუშევარი ვერ მიღიოდა მნახველამდე, როცა უიმედობა დაეუფლა მას, ამ დროს ივანე ჭავჭავაძის შვილი იმათ შორის იყო, ვინც სულიერად აკაჟებდა მას და ახალ შემოქმედებით წარმატებებისაკენ აქეზებდა. დამახასიათებელია ივანე ჭავჭავაძის ჩანაწერი იმ დროს ი. ნიკოლაძის შთაბეჭდილების წიგნში:

„ბედნიერია ადამიანი, რომელიც წმინდა ხელოვნებას ემსახურება. ასევე უფრო ბედნიერია ის, ვინც ხელოვნების დიადს სამფლობელოში ახალს შემოქმედებითს ნაკადულს დიდებულს საერთაშორისო მშვენიერების ზღვას შეუერთებს. თქვენს სფეროში, ქანდაკებაში, ახალს, ქართულ ცხოვრებასა და ხელოვნებიდან ამოწყულს მშვენიერებასა და მიმართულებას უერთებთ. მხნედ იმუშავეთ, გულს ნუ გაიტეხთ ყოველდღიურ ჭირვარაშით, იმიტომ რომ ყოველივე ადამიანი, რომელიც ახალს საქმეს ემსახურება და ახალს საქმეს ქმნის, ხშირად არის ხოლმე იმავე მდგომარეობაში და იმასვე გრძნობს, რასაც ჰგრძნობთ ამჟამად თქვენ, თქვენ უნდა განუგეშებდეთ ის გრძნობა, რომ თქვენ ემსახურებით ოდესღაც დიად და ეხლა დაცემულ ქართულ ხელოვნებასა და ცხოვრების აღდგენას და განა შეიძლება იყოს ამაზე მალალი და ამაზე თვალწარმატაცი საშვილიშვილო სამსახური თავისი ერისა და სამშობლოსი. ტფილისი 1912 წ. 20 მაისს. ივ. ჭავჭავაძის შვილი“.

როგორც ვიან, 1940 წლის 21 ნოემბერს, „ზარია ვოსტოკაში“ წერდა ი. ნიკოლაძე, ივანე ჭავჭავაძის უკიდურესი თავმდაბლობა იყო იმის მიზეზი, რომ მან, იაკობმა, ერთხელაც ვერ მოახერხა მარმარილოში გამოქვეყნება ივანე ჭავჭავაძის წმინდანური სახე. „მიუხედავად ჩემი ყველა ცდისა, მე ვერ შევძელი მისი სკულპტურული პორტრეტი გამოქვეყნება. ჩემს ყოველ თხოვნაზე ის ერთნაირად პასუხობდა. „მე ძალიან დაკავებული ვარ, არაა საჭირო!“ მაგრამ იმავე დროს, როცა საჭირო იყო დახმარება, ივანე ჭავჭავაძის შვილი დაუზარელად აღმომიჩენდა, ყოველთვის გამოყოფდა დროს ამისათვის“. პირველი ქართველი მოქანდაკე ამ სიტყვებით კარგად ახასიათებს ქართველთა ყველაზე უპირველეს ისტორიკოსს. მხოლოდ 1946 წელს გამოქვეყნდა მან ივანე ჭავჭავაძის ნატიფი სახე.

თბილისში უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის არარსებობა დიდად უშლოდა ხელს ნიჭიერთა მძვინვარებას და გაწვრთნას. ამაზე მარტო ქართველი მოღვაწენი როდი წუხდნენ— ჯულისტიკვილითა წერდა ამის გამო დიდი რუსი მხატვარი ილია რეპინი: „საწყალი სამხრეთელები... ბევრი გამოკრთა ჩემს თვალწინ ლამაზი, მოხდენილი ტანის, ფერმკრთალი სახის, დახვეწილი პროფილით, მომხიბლავი შავი თვალებით, რომლებშიც გამოსკვივოდა ღრმა მელანქოლით სავსე გენია... მჭერა, რომ საქართველოს მხატვრების დრო მოვა.“

ეს ულამაზესი, უმშვენიერესი ქვეყანა მოგვცემს თავის შესაფერის მხატვრებს, რომლებიც თავიანთ ხელოვნებაში გამოხატავენ სამშობლოს. თბილისში აუცილებელია დაარსდეს სამხატვრო ოაზისი“.

ქართული ფერწერა XX საუკუნის პირველ მეოთხედში ახალ ნიჭიერ ძალებს იძენს. მათ შორისაა დ. კაკაბაძე, რომელიც იმავდროულად ნიქს ამჟღავნებს ხელოვნებათმცოდნეობაში. ივანე ჯავახიშვილი მხარში უდგას ამ მხატვარს მის შემოქმედებით წარმატებაში, მეცნიერული კვლევისა და მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. დ. კაკაბაძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების სტუდენტი, გატაცებულია მხატვრობით. იგი წარმატებით უთავსებს უნივერსიტეტში სწავლას ლ. დმიტრიევ-კავკაზსკის სამხატვრო სტუდიას, მაგრამ მისი ინტერესი ამით როდი ამოიწურებოდა. სამშობლოს სიყვარული მას ენერჯიას აძლევდა იმისათვის, რომ აქტიური მონაწილე ყოფილიყო ქართველ სტუდენტთა წრისა. აქ ივანე ჯავახიშვილის, მეცნიერისა და მოღვაწის მაღალი მოქალაქეობრივი თვისებები მისთვის ზნეობრივი ხატი იყო. ივ. ჯავახიშვილმა დიდად გაიტაცა დ. კაკაბაძე, რომელიც ამ წრეში მუშაობას სამშობლოსადმი სპსახურის ნაწილად მიიჩნევდა. დ. კაკაბაძე პროფესორ დ. აინალოვთან სწავლობდა ხელოვნების ისტორიას, ხოლო ივანე ჯავახიშვილთან—ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებს. ამ მრავალმხრივ ნიჭიერ სტუდენტზე ზრუნვამ უკარნახა ივანე ჯავახიშვილს ის, რომ 1912 წლის 6 ოქტომბერს იგი წერილს უგზავნის გ. ზდანოვიჩს (მაიაშვილს) თხოვნით, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დაეით კაკაბაძეს დაუნიშნოს სტიპენდია ანდა ერთდროული დახმარება. ამ წერილში იგი დაეით კაკაბაძეს ახასიათებს როგორც საუკეთესო სტუდენტს და აგრეთვე კარგ მხატვარს. დ. კაკაბაძეს დაუზარლად და საუცხოოდ შეუსრულებია ივანე ჯავახიშვილის დავალება, ძველი ქართული მხატვრობის ნიმუშის გადმოხატვა ქართული ხელნაწერებიდან. ივანე ჯავახიშვილის რჩევით ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დ. კაკაბაძეს მცხეთის ტაძარში შენახული სხვადასხვა სურათების ფერადი საღებავებით გადალება მიანდო, რაც მან წარმატებით შეასრულა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა დ. კაკაბაძის წარმატებას ქართული ოქრომქედლობის შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტს საინტერესო გამოკვლევა შეუქმნია, რომელიც წაუკითხავს კიდეც 1912 წელს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. სწორედ 1915 წელს გამოვიდა თბილისში პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის „კრებული“, სადაც დაიბეჭდა დ. კაკაბაძის ნაშრომი „ქართულ ზატების მოქედილობის სახეები“.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ამ თემის დამუშავების ინიციატორი და კრებულის რედაქტორი, წინასიტყვაობაში დიდს კმაყოფილებით აღნიშნავს სტუდენტ დ. კაკაბაძის მოხსენების დასკვნების სიახლეს. ეს მოხსენება, 1912 წლის 25 ოქტომბერს წაკითხული, არკვევს ქართული ხელოვნების ისტორიის, ერთ თუმცა პატარა, მაგრამ მაინც საყურადღებო საკითხს იმის შესახებ, თუ რა სახეებია ქართული მხატვრული მოქედილობის ხელოვნებაში, მის განვითარებაში. შესანიშნავია მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნა სტუდენტურ ნაშრომზე: „მომხსენებელმა შეისწავლა ყველა ცნობილი მასალა და გამოკეპული სურათები, მოქედილობის სახეები გადმოხატა და გამოარკვია ქრონოლოგიურად და მოხაზულობის მხრივაც, თუ რაში გამოიხატება ამ სახეების განვითარება. ამ საკითხის საბოლოოდ და არსებითად გადაწყვეტისა-

თვის ჭერ კიდევ სხვა, ამგვარადვე სპეციალური პატარა გამოკვლევებია საქირო, და დ. კაკაბაძის მოხსენება ამ საქმის დასაწყისი და პირველი საფეხურია.

ამ მოხსენების ღირსებას და სამკაულს აგრეთვე ავტორის მიერ ქართული ხეტების მოქედულობისაგან გადმოღებული სახეების სურათები შეადგენენ. დ. კაკაბაძემ, ვითარცა მხატვარმა, ეს საქმეც ჭეროვანის ღირსებით შეასრულა და შრომის ერთი ნაწილი, თავის პირდაპირ დანიშნულების გარდა, ქართული ხელოვნების სახეების განახლებასა და გამოცოცხლებას ხელს შეუწყობს.

ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ პროფ. ივანე ჭავჭავაძის მიერ შედგენილი იმას უკავშირებს, რომ წახალისდეს ავტორი ქართული კულტურისათვის ამ ფრიად საქირო საკითხების გამოკვლევისათვის.

გამოჩენილ ქართველ მხატვარს დ. კაკაბაძეს თითქმის არაფერი დაუწერია შემდგომ ამ საკითხებზე, მაგრამ მისი სტუდენტური ნაშრომი, უმდიდრესი ქართული ოქრომკვდლობის შეუღარებელი მკვლევარის გ. ჩუბინაშვილის სიტყვებით, დარჩა, როგორც „პირველი მორიდებული ცდა ქართული ქედური ორნამენტის კათვისებისა და კლასიფიციკრებისა“.

ივანე ჭავჭავაძის მიერ იმ წლებში განაგრძობს ინტენსიურ კვლევას ქართული ხელოვნების ისტორიაში. ამ კვლევის წინასწარ შედეგებზე იგი მის მიერვე დადგენილი ტრადიციით საჭარო ლექციით გამოდის თბილისში. 1913 წლის ზამთარში წაიკითხა საჭარო ლექცია „ქართული ძველი ხელოვნება“, რომლის შინაარსი „სახალხო გაზეთის“ ოთხ სხვადასხვა ნომერში (№ 727, 800, 801, 802) დაიბეჭდა. ოთხსაათიანი ლექცია ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების ძირითად გზებს წარმოგვიდგენდა, გვიჩვენებდა მის მდიდარ შემოქმედებით მონაპოვრებს. 1914 წელს ჟურნალ „ქრისტიანული აღმოსავლეთის“ III ტომში ივ. ჭავჭავაძის მიერ აქვეყნებს ქართული ხელოვნების ისტორიაში მის მიერ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ შედეგს, სახელდობრ, ძველი ქართული მწერლობის მიხედვით ხელოვნების ტერმინების, აგრეთვე ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების ძირითადი ცნებების შესახებ (იხ. ივ. ჭავჭავაძის „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“. 1946 წ. გვ. 177—189). უკვე ამ დროიდან მას მომზადებული აქვს „ქართული ხელოვნების ისტორია“. 1915 წელს ივანე ჭავჭავაძის მიერ წერდა იმის შესახებ, რომ ამ წიგნს ის ვერ აბეჭდვინებს იმის გამო, რომ მას ბევრი სურათი სჭირდება და მისი დაბეჭდვა წინასწარ ხელისმომწერთა რაოდენობის გამორკვევის გარეშე სასიფათოდ მიაჩნია, თუმცა მაშინაც ცნობილია მისთვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამას. 1915 წლის აპრილში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში ივ. ჭავჭავაძის მიერ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს ისტორიის იმ სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც ფართო მკითხველისათვის იქნებოდა მისაწვდომი. მართო საქართველოს ისტორიაში ამგვარი სახელმძღვანელოს შედგენას როდი თვლის იგი საქმარისად; საქიროა აგრეთვე, ივანე ჭავჭავაძის მიერ აზრით, ძველი აღმოსავლეთის ზოგადი ისტორიის კურსის დაწერა. იგი ამასთან აცნობებს საზოგადოებას: „ჩემს მოწაფეებსაც მოველაპარაკე და სასურველია, დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებისა: ერთი უნდა შეეხებოდეს საზოგადო ენათმეცნიერებას, მეორე—ქართულ ენათმეცნიერებას. ამ ორი წიგნის დაწერა იკისრეს იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ. თუ თქვენც მოიწონებთ ამ განზრახვას, მაშინ ისინი შეუდგებიან მუშაობას“.

ივანე ჭავჭავაძის მიერ დროისათვის უკვე აყენებს საკითხს, რომ საქართველოს ყველა კუთხისათვის შედგენილ იქნეს კარგი გზის მაჩვენებელი. შე-

მდგომ დაწვრილებით განსაზღვრულია, თუ რა მონაცემებს უნდა იძლეოდეს ეს გზის მაჩვენებლები. ივანე ჭავჭავიძე დაასკვნია: „რაკი იოსებ ყიფშიძე რამდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურობდა სამეცნიერო მიზნით სამეგრელოში, ხოლო აკ. შანიძეს ამგვარადვე შესწავლილი აქვს მთიულეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ამიტომ პირველს მე მივიანდე სამეგრელოსათვის გზის მაჩვენებლის შედგენა, მეორეს თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთისათვის. საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის წიგნის შესადგენად მუშაობა სამეცნიერო წრის წევრებს შორის გავანაწილე. ისინი ამ ზაფხულს ადგილობრივ შეისწავლიან და დაათვალიერებენ, ამასთანავე, რაც კი დაბეჭდილია ქართულად და სპარსულად ამა თუ იმ კუთხის შესახებ, იმის ნუსხა მე მივეცი და შემოდგომამზე ჩემის ხელმძღვანელობით წერას შეუდგებიან. ეს გზის მაჩვენებლები შეიძლება ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდოს.“

თუ ვინცობაა თქვენ თქვენთვის ხელსაყრელად არ სცნობთ ამ წიგნების გამოცემას, მე ამ საქმეს მაინც თავს არ დავანებებ და მის გამოქვეყნებას როგორმე მოვახერხებ, მეტად საჭიროა ამგვარი წიგნები ჩვენთვის“. როგორც დავინახეთ, ივანე ჭავჭავიძე შემდგომ იძულებული გახდა ამ წამოწყებისათვის თავი დაენებებინა უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმის გამო. მრავალი სხვადასხვა ეროვნული საზოგადოება იმ დროს თბილისში. ჩვენ არაფერს ვამბობთ საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების შესახებ, რომლის ხელმძღვანელობასაც მას სთავაზობდნენ.

ამ საზოგადოებათა შექმნა ყოველთვის დიდად ახარებდა ივანე ჭავჭავიძეს. თავის მხრივ საზოგადოების მესვეურნი ცდილობდნენ ივანე ჭავჭავიძის დიდი ავტორიტეტის (იგი განუხრელად იზრდებოდა ხალხში) გამოყენებას თვით საზოგადოების პრესტიჟის ამაღლებისათვის.

სიხარულით შეხვდა ივანე ჭავჭავიძე 1911 წლიდან მხატვარ და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის ხელმძღვანელობით „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაფუძნებას. ივანე ჭავჭავიძე არა მარტო საზეიმოდ ესალმება ამ ფაქტს, იგი ამასთან ერთად თავის წინადადება-რეკომენდაციას უზიარებს საზოგადოებას მომავალი მუშაობის თაობაზე, რასაც არსებითად მისი მუშაობის პროგრამის შესრულება შეეძლო. 1916 წლის 14 აგვისტოს ხოვლეში მყოფი ივანე ჭავჭავიძე ამ საზოგადოების გამგეობას უგზავნის მოხსენებას (იგი პირველად 1966 წელს გამოქვეყნდა. იხ. „ძეგლის მეგობარი“, 1966, 7, გვ. 43—51). ბევრი რამ მასში წამოყენებული დღესაც არ ჰქარავს თავის აქტუალობას. ივანე ჭავჭავიძე აღტაცებულია იმ თაოსნობით, რაც ქართველმა მხატვრებმა წამოიწყეს. მოუესმინოთ მას: „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობამ და ქართველმა მხატვრებმა საქართველოს საისტორიო საზოგადოების გამგეობასთან ერთად დიდი და საშველიშვილო საქმე დაიწყეს მით, რომ ქართულ ძველ მხატვრობის გადარჩენა და გადმოღება იკისრეს.“

აღფრთოვანება და საქმისადმი უანგარო სიყვარული, რომლითაც მთელი თავის არსებით ნაბახტევში დაუღალავად მომუშავე მხატვრები (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) გამსჭვალულნი არიან, დაწყებული დიადი საქმის ნაყოფიერების სრული თავსმდებია. საჭიროა მხოლოდ შესაფერისი, დროული ხელისშეწყობა და ამას გარდა გარკვეული, მიზანშეწონილი და კარგად გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა“.

ივანე ჭავჭავიძე ივანე ამ სამოქმედო გეგმის თავის მონახაზებს იძლევა და

სთხოვეს გამგეობას განიხილოს იგი და „ამავე საგანზე ჭეროვან მსჯელობის შემდგომ თავის სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს, ხოლო შემდგომ მის განხორციელებას შეუდგეს“.

საზოგადოების მიზანს ივანე ჭავჭავიძევილი სამ-ერთიანი ამოცანით განსაზღვრავს: „1. ჭერ ერთი, ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვებით, შენახვითა და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლით. 2. თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიული მასალების (მინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნების, ავეჯეულობის, კუთრქლეულობის და ნიმუშების) შეგროვებითა და შესწავლით. დასასრულ 3. ყოველი ხელოვნების უპირველესისა და დაუშრეტელი წყაროს — საქართველოს ღიადი ბუნების მხატვრული დაკვირვებითა და შემოქმედებით აღბეჭდვით“.

ივანე ჭავჭავიძევილი არ ამორებს ამ ამოცანებს ერთმანეთს. რა თქმა უნდა, მრავალ საკითხში შეეძლო დახმარება სხვადასხვა ეროვნულ საზოგადოებებს. ამისათვის მათი თანხმობრივი და შეერთებული ძალით მუშაობის ჩატარება იყო საჭირო. მთავარი მიზნის მისაღწევად სამივე მიზანი „ქართულ ხელოვნების აღორძინებასა და აყვავებისათვის ერთნაირად არის საჭირო, რომ მრავალ-ტოტემიან ბუმბერაზ კაკლის ხესავით ქართულ განახლებულ ხელოვნებას ფესვები ღრმად და მაგრად ჰქონდეს გამდგარი, თანაც იმ მრავალფეროვნებისა და თავისებურებებით იყოს შემკული, რომელიც ყოველ ხელოვნებას დაუქნობელს მშვენიერებას და ფასდაუდებელ ღირებულებას ანიჭებს ხოლმე“.

ივანე ჭავჭავიძევილს მიაჩნია, რომ მართალია, აქამდე არსებობს ხელოვნების ძეგლების მიმოხილვა და აღწერა, მაგრამ იგი უპირველესად ისტორიკოსების მიერაა გაწეული, თუმცა უფრო ისტორიულ-არქეოლოგიურ თვალსაზრისით. ეს საკმარისი არაა. საჭიროა ყველა ცნობილი ძეგლის ხელახალი დათვალიერება, აღნუსხვა, „თანაც მათი შედარებითი შეფასება, როგორც ხელოვნების მხრივ, აგრეთვე იმ მიზნით, თუ რომელი კედლის მხატვრობა ან ქანდაკებაა იმდენად დაზიანებული და ახლო მომავალში უექველად განადგურდება, თუ რომ ღროზე ან შემავრებული ან გადმოღებულ-გადმოხატული არ იქნა“. ამასთან იგი მოითხოვს რიგითობის დადგენას იმის მიხედვით, თუ რომელ ძეგლს გადაუღებლად სჭირდება აღწერა-დამავრება ამ ღროს „ისტორიულ ქანდაკებებსა და ისტორიულ მხატვრობას უნდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ და თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ იმიტომ, რომ თითქმის ყოველთვის თვითველი ისტორიული ქანდაკება, ან ისტორიული მხატვრობა უნიკალურია და ჩვეულებრივ თითო ცალად მოგვეპოვება. ამის გამო თვითველი ამგვარი ძეგლის დაღუპვა ვერაფრით ვერ იქნება აღდგენილი და დანაკლისის ვერაფრით ვერ ავანაზღაურებთ“.

ივ. ჭავჭავიძევილის ეს მოწოდება საჯაროდ გამოცხადებული დეკლარაცია როდი იყო მხოლოდ. უნიკალური ძეგლების გადარჩენის სურვილმა უკარანახა ივანე ჭავჭავიძევილს, რომ ერჩია ქართველ ხელოვნათა საზოგადოების გამგეობისთვის ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობისათვის მიექცია ყურადღება და დაღუპვისაგან გადაერჩინა. ეს მხატვრობა უკიდურეს განსაცდელში იყო. მით უფრო, რომ ეკლესიას ჰერი აღარ ჰქონდა და წვიმა აფუჭებდა.

სწორედ ასეთ ძეგლებს კი — დასძენდა ივანე ჭავჭავიძევილი — ჩვენ, ქართველნი თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ.

ივანე ჭავჭავიძევილი აღტაცებულია ქართველ მხატვართა უანგარო ერთგულებით საზოგადო საქმისათვის და სწამს, რომ საქმე ერთი ეკლესიის უნიკალური მხატვრობის აღდგენით არ შემოიზღუდება ამ ერთ პატრიოტულ გამოვლენა-

ში იგი დიდ საშვილიშვილო მოღვაწეობას ხედავს და უსაზღვრო სიხარულით წერს: „ჩემდა სასიხარულოდ, ნაბახტევში ქართველ მხატვართა ნამუშევრის დათვალიერებამ და მათთან ერთად ატენის სიონის გასინჯვის დროს უფრო მახლობელმა გაცნობამ და მოლაპარაკებამ დამარწმუნა, რომ ზემოაღნიშნული ქართველ მხატვართ გულწრფელი სიყვარულითა და გატაცებით უყვართ თავიანთი საქმე, ნაბახტევში ბინისა და ცხოვრების პირობების მოუწყობლობისდა მიუხედავად, მაინც მხნედ და დაუღალავად მუშაობენ, ხოლო ძველი კედლის მხატვრობის გადმოხატვის დროს თავიანთ საქმეს იმდენად სინდისიერად და თავიანთ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას ისეთი შეგნებით ასრულებენ, რომ უკეთესად არ იქნება ამასთანავე მათ შორის სრული თანხმობა სუფევს და მათ საერთო მისწრაფებას მწყობრი მუშაობა აგვირგვინებს. სასიამოვნოა, რომ ქართულ საზოგადოებას ასეთი მხნე და საქმის გულწრფელი მოტრფიალე, შეგნებული ხელოვანი ჰყავს. ეს გარემოება ნათლად გვიმტკიცებს, რომ, თუ ჩვენ მათ ხელი შევეუწყეთ, ქართული ძეგლის კედლის მხატვრობის გადმოღება-გადმოხატვას მაინც შევძლებთ და ამით მაინც ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას ფასდაუდებელ განძს შევუნახავთ. ქართველმა საზოგადოებამ უნდა ასეთი იშვიათი და კარგი შემთხვევით ისარგებლოს და ყოველი ღონე იხმაროს, რომ აღნიშნულ პირთა მუშაობა და ასე ჩინებულად დაწყებული საშვილიშვილო საქმე შეუფერხებლად მიმდინარეობდეს“.

ივანე ჭავჭავაძის გვიამბობს მხატვრებთან მის მოლაპარაკებაზე. იგი ამ დროს არ ყოფილა ოფიციალური წარმომადგენელი რომელიმე საზოგადოებისა, პირდაპირ უნდა ითქვას, ხალხის მანდატით გამოდიოდა იგი ქართველ მხატვართა წინაშე და სამშობლოსადმი მათი სიყვარულის ბუნებრივი გრძნობის იმედით მოქმედებდა მხოლოდ.

ნაბახტევის მაგალითით აღფრთოვანებული ივანე ჭავჭავაძის ახალი თხოვნით მიმართავს მხატვრებს:¹

რომ მათ ახლა მთელი ყურადღება გადაიტანონ ნაბახტევზე უფრო შესანიშნავ ძეგლზე—ატენის სიონის ქანდაკებებსა და კედლის მხატვრობაზე, ივანე ჭავჭავაძის სწორედ 1916 წლის 17 ივლისს დაუთვალიერებია ეს ძეგლი და დიდ საგონებელში ჩაეარდნო მისი დაზიანებული ნაწილების გამო. როგორც ჩანს, ამის თაობაზე მას თავის მეუღლის ნათესაებთან გაუმართავ წინასწარი მოლაპარაკება და ამის შესახებ აცნობებს ქართველ მხატვრებს: მეუღლეები ალექსანდრე ივანეს ძე და მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, როგორც თვით განაცხადეს, „ღიღი სიამოვნებით დაუთმობენ ქართველ მხატვრებს თავიანთი სახლის ორ ოთახს, სანამ ისინი ატენში იმუშაებენ. შემოდგომა მათ შეუძლიათ ატენში გაატარონ და ატენის სიონის ქანდაკება-ყალიბები გააყეთონ და გადმოსახატავდნენ გადაიღონ“.

ასეთი სარგებლობა მოაქვს ივანე ჭავჭავაძის საარდადეგო ყოფნას სა-

¹ ბოლოს და ბოლოს გადაწყდა გადარჩენილი მხატვრობის ჩამოხსნა და მუზეუმში გადატანა. ამ საქმის ინიციატორი იყო მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, სამუზეუმო საქმის დიდი მკოდნე და ორგანიზატორი საქართველოში. 1935 წელს მან, სახელმწიფო სამხატვრო გალერეის დირექტორმა, მხატვარ მ. აბრამიშვილთან ერთად ჩამოხსნა ფრესკების ერთი ნაწილი. ამჟამად ყველა ჩამოხსნილი ფრაგმენტი და 1916 წელს შესრულებული პირი საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში ინახება, ხელოვნების მუზეუმშია აგრეთვე. რაკული მ. ამირანაშვილის მიერ ოციან წლებში გადაღებული ნაბახტევის მხატვრობის ფოტოფირები. გადარჩენილი ფრესკების ჩამოხსნა და მუზეუმში გადატანა აუცილებლობით ნაყარანახევი დინსიძეა იყო (იხ. ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, 1972, გვ. 8).

ქართველში. საქმის წარმატების შემთხვევაში კიდევ უფრო ახალ ამოცანას უსახავს ივანე ჭავჭავიძევილი ქართველ მხატვრებს; „თუ მათ უფრო აღრე მოი-ცალეს, სასურველია ჭერის მონასტრის განთქმულ ისტორიულ ქანდაკებასაც მივაქციოთ ყურადღება. თუმცა ეს ძეგლი სხვებზე უფრო უზრუნველყოფილია, მაგრამ მასაც დრო და წვიმა-ქარი აფუქებს. განსაკუთრებით ქანდაკებებია და-ზიანებული, რომლითაც თვითოეულის მოხაზულობის წარხოცა საისტორიო მეცნიერებისათვის და მეტადრე ტანისამოსისა და თავსაბურავის ისტორიისათ-ვის აუნაზღაურებელი დანაკლისია. ამიტომ, სანამ ჭერ კიდევ დაგვიანებული არ არის, კარგი იყო ამ ქანდაკებების ყალიბები გადაღებულიყო და შემდეგ ჩამოსხმული ქართული საისტორიო საზოგადოების მუზეუმში ყოფილიყო და-ცული“.

შემდეგ ამოცანად იგი მოაგონებდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომ „მივიღოთ ზომები, სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ერთი უიშვიათესი ძეგლის—მეფე ერეკლეს სასახლის მხატვრობის შემორჩენი-ლი ნაშთები გადავარჩინოთ დაღუპვას, გადმოვხატოთ მანის“. აქვეა მეტად პრა-ქტიკული რჩევაც: „კახეთის რკინიგზით ქ. თელავში ასვლა ადვილია, სამუშაო-ც ბევრი არაფერია და ერთ კვირაში გაკეთდება“. ივანე ჭავჭავიძევილი აყენებს საკითხს: „უქველად ხელავე უნდა ვიზრუნოთ, რომ ყინწისის ტაძარს, ნეკრე-ლის ეკლესიას, შილდაში და გარეჯის ეკლესიებში, სადაც კი საჭიროა, კარები შევაბათ ან სხვანაირად დროებით დაეხშოთ, იქ შენახულ მხატვრობას მოვუა-როთ, ხოლო შემდეგში ამ ძეგლების მუდმივი შენახვისათვის და მხატვრობის შესწავლისა, გადმოღებისა და გადმოხატვისათვის საშუალება გამოვძებნოთ“.

ივანე ჭავჭავიძევილის აზრით, მარტო კედლის ძეგლი ქართული მხატვრო-ბის შენახვითა და გამოკვლევით კი არ უნდა შევიზღუდოთ, არამედ ამასთან სხვადასხვა „ქართულ ხელნაწერებში შენახული ნახატების განხილვა და მხატვ-რულ-მეცნიერული შესწავლაც არის აუცილებლად საჭირო“. ამ გზით უნდა გახდეს შესაძლებელი ძველი ქართული მხატვრული ხელოვნების სრული ის-ტორიის მეცნიერული გამოკვლევა და მისი თანდათანობითი განვითარების მთლიანი და ყოველმხრივი სურათის აღდგენა. აქაც ივანე ჭავჭავიძევილი კონკრე-ტულ რჩევას იძლევა: „ზამთარში ძველ, მიტოვებულ ეკლესიებში ჩვენი მხატვ-რები სიცივის გამო მუშაობას ვერ შესძლებენ და, მაშასადამე, მოცილინი იქ-ნებიან“. ხელნაწერების მხატვრულ აღწერაშიც მოითხოვს ივანე ჭავჭავიძევილი რიგითობას: აქაც ქრონოლოგიურად კარგად ცნობილი და თარიღიანი ხელნა-წერების შესწავლა უთარილო ხელნაწერებისას უნდა წინ უძღოდეს. ამასთან ივანე ჭავჭავიძევილი განსაზღვრავს, თუ რა სხვადასხვა მიზანი უნდა ჰქონდეს ხე-ლნაწერების შესწავლას. ივანე ჭავჭავიძევილი ცალკე და განსაკუთრებულად განხილვის ღირსად თვლის ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი ძეგლების მეცნიერულ შესწავლას.

ივანე ჭავჭავიძევილი აღიარებს, რომ გეგმა ფართო და რთული გამოვიდა და შეიძლება ზოგმა იფიქროს კიდევ, სად შეგვიძლიან ჩვენ ამისთანა გეგმის განხორციელება, გვაქვს კი ამოდენა ძალ-ლონე? ამ ურწმუნო პირთა მესამარ-თით იგი ამბობდა: „ზემომოყვანილი გეგმა ერთბაშად არ უნდა განხორციელ-დეს და ერთის აღამიანის მიერ კი არა, არამედ თანდათანობით და შეერთებუ-ლის ძალით!.. ჩვენ ქართველები მეცნიერებისა და ხელოვნების ამ დარგში და-ნარჩენ განათლებულ ერებს ისე ჩამოვრჩით, რომ მხოლოდ ასეთ მეთოდური შრომითა და მთელი ჩვენი ძალ-ლონის მოკრფვით და მობილიზაციით თუ შევძ-ლებთ, სხვა განათლებულ ერებს დავეწიოთ“.

1914 წლის სექტემბერში დაიწვა ქართული დრამატული თეატრის შენობა-საქართველოში და მის გარეთ ქართველთა წრეებში დაიწყო ფულის შეგროვება. ივანე ჯავახიშვილი იყო თეატრის აღდგენის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ კომიტეტის მდივნის ლ. ჩხეიძის სიტყვებით, „მისი დახმარებით ამ ხანებში თეატრი როგორც განმტკიცდა, აღორძინდა და შენობის დამთავრებისას მზად აღმოჩნდა, განეგრძო მუშაობა“.

ბიოგრაფები ყოველთვის როდი აღნიშნავენ იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი საჯარო ლექციის შემოსავალს საზოგადო მიზნებისათვის იყენებდა. ასე იყო ახლაც. 1914 წლის 16 ნოემბერს იგი სწერდა კიტა აბაშიძეს: „ქრისტესობის შუა რიცხვებში კვლავ საქართველოსკენ ვიბრუნებ პირს. ტფილისში და ქუთაისში შე ლექციების წაკითხვას ვაპირებ (თუ ეხლანდელი პირობების მიხედვით შესაძლებელი იქნება) ქართული თეატრის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად და ომიანობის აგან დაზარალებულთა სასარგებლოდ“ (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა).

ივანე ჯავახიშვილი აქტიური წევრია ილიას თხზულების პირველი აკადემიური გამოცემისა. იგი 1912 წლის 18 ოქტომბერს სწერდა კიტა აბაშიძეს: „მ. გედევანიშვილი ბიბლიოგრაფიასა მთხვოს ილია ჭავჭავაძის შესახებ, ახლა ვაწყობ ჩვენს უშველებელს საბიბლიოგრაფიო ცნობებს შინაარსის მიხედვით და ამ სამი კვირის შემდგომ დაეამთავრებ მუშაობას; მაშინ მხოლოდ შემიძლიან მოგაწოდოთ ყველა ცნობა, მე მგონია დაგვიანებული არ იქნება. სტუდენტები თხოულობენ. რომ ხელმოწერის ვადა ცოტა კიდევ გაგრძელებულიყო“. 1914 წელს ილიას თხზულებათა პირველი ტომის გამოსვლა მოხერხდა.

ივანე ჯავახიშვილი ასე ხდება ქართული ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა დაცვის ხელმძღვანელობის წამყვანი ძალა.

მრავალი ეროვნული წამოწყების გამო მიმართავენ ივანე ჯავახიშვილს; მისი რეკომენდაციებით აწყობენ უნივერსიტეტდამთავრებულებს. ამისათვის დახარჯულ დროსა და ენერგიას ბედნიერებად თვლის. სამშობლოს სიყვარული კვებავს ულევ ძალას. მაინც ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტის ზრდას ყველაზე მეტად მისი უკვდავი შრომები განსაზღვრავენ.

დიდ მეცნიერს თანამედროვეთა აღიარება ფრთებს ასხამს, მაგრამ თავბრუს როდი ახვევს.

ივანე ჯავახიშვილი წინააღმდეგია ეს დაფასება საჯაროდ გამოცხადებულ ჩილდოთი გამოიხატოს. ამაშიც ჩანს მისი დიდბუნებოვნება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მისი თავმჯდომარის გ. ყაზბეგის პირით 1915 წლის 15 აპრილს მიმართა ივ. ჯავახიშვილს, დათანხმებულიყო, რომ მისი „ქართველი ერის ისტორიის“ ორივე ტომი შეტანილიყო საპრემიოდ წარდგენილ თხზულებათა სიაში. ივანე ჯავახიშვილი მადლობელია ამ წინადადებისა, მაგრამ უარს ამბობს თავისი ნაშრომის პრემიაზე წარსადგენად. ამას შემდგენაირად ასაბუთებს: „პრემიები ყველგან და ჩვენშიც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი (თვითონ იგი 39 წლისა იყო ამ დროს — ს. ქ.) წააზალისონ, ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბუქლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძობლად.

მე, ჩემდა საბედნიეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და არც რაიმე წახალისებაა ჩემთვის საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა მე თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც სახსარს მაძლევს.

ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაც და დახმარებაც სჭირდებათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთ და რუსეთშიც აკადემიებში და სხვა შესატყვის დაწესებულებებში ბევრს ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ჩემზე უფრო ქონებრივად უზრუნველყოფილს მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საპრემიოდ თავიანთი თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ეხლაც მგონია, რომ აქ საქებური არაფერია და მათს მაგალითს მე ვერ წავებძავე. აი ის მოსაზრებანი, რომელიც მაიძულებს ჩემი უკანასკნელი თხზულება საპრემიოდ არ წარმოვადგინო.

კვლავ მაღლობას მოგახსენებთ გულწრფელად იმ კეთილშობილებისათვის, რომლითაც გამოწვეულია თქვენი წინადადება“.

ეს უკვე მეორე (აღრე 1909 წელს მან აგრეთვე უარი თქვა გ. დადიანის სახელობის პრემიის მიღებაზე) შემთხვევა იყო, როცა ივანე ჭავჭავიძემ უარი თქვა საპრემიოდ თავის ნაშრომის წარმოდგენაზე.

იმდროინდელი ქართული პრესა სიყვარულით, სიხარულით აღწერს არა მარტო ივანე ჭავჭავიძელის მიერ საქართველოში წაკითხულ საჯარო ლექციებს, მის მონაწილეობას სხვადასხვა ეროვნულ წამოწყებებში, მისი ყოველი ახალი შრომის გამოსვლას, არამედ ამასთან ერთად აღწერს მის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას პეტროგრადის უნივერსიტეტში. ამის გამო ერთხელ ივანე ჭავჭავიძე იძულებული გახდა, გამოხმადობებოდა ქართული პრესის უღამაზო ამხედრებას, რათა გაფანტულიყო გაუგებრობის ღრუბელი.

ჯერ გაზეთმა „საქართველომ“ 1916 წლის 14 ოქტომბერს ქუთაისის გაზეთ „ჩვენი მეგობრიდან“ გადმობეჭდა წერილი სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე პრივატ-დოცენტის ნ. გ. აღონცის პროფესორად არჩევის თაობაზე. გაზეთ „საქართველოს“ კომენტარით, ივანე ჭავჭავიძელის აურჩევლობა კათედრის პროფესორად თითქოს იმას ნიშნავდეს, ვითომც „ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას კიდევ ერთი წიხლი უთავაზესო“. ივანე ჭავჭავიძე 1916 წლის 19 ოქტომბერს ოფიციალურად სწერს, რომ ფრიად სამწუხაროა დაუშსახურებელი საყვედური. რაც აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის და დოცენტ ნ. გ. აღონცის მიმართ არის გამოთქმული. საქმის არსი ასეთია: ჩვეულებრივ კათედრაზე ერთი პროფესორია, მაგრამ ფაკულტეტის დეკანმა ნ. მარმა შეიტანა წინადადება მეორე პროფესორის არჩევის შესახებ, მით უმეტეს, რომ აქ უკვე მუშაობდა მეცნიერების დოქტორი დოცენტი ნ. გ. აღონცი. ჯერ მხოლოდ საკითხია აღძრული ამის თაობაზე განათლების სამინისტროში. არჩევნები ჯერ არც მომხდარა. კათედრა კვლავ პროფ. ნ. მარს უკავია და შემდეგშიც მას ეკავება, ვიდრე თვითონ თავს არ დაანებებს. სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრის ორად გაყოფის საკითხი ათ წელზე მეტია დასმულია და ჯერაც არ მომხდარა. საკითხი სამინისტროში გაეჩხირაო. თუ იქედან თანხმობა მოვიდა „პროფესორად პირის არჩევა მხოლოდ ფაკულტეტის ავტონომიურ უფლებას შეადგენს“. ივანე ჭავჭავიძე განმარტავდა, „არავითარი კონკურსი დოცენტ ნ. გ. აღონცსა და ჩემს შორის არ მომხდარა და არც მოხდება. ამიტომ მცდარია გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის მსჯელობა, თითქოს ფაკულტეტმა ივანე ჭავჭავიძე გვერდი აუხვია. შეილება (კონკურსი) რომც მომხდარიყო, დოცენტ ნ. გ. აღონცი ის ფორმალური უპირატესობა აქვს, რომ მას წელიწადზე მეტია, რაც სადოქტორო დისერტაცია დაკული აქვსო“.

დოცენტი ნ. გ. აღონცი ივანე ჭავჭავაძის სტუდენტობის მეგობარი იყო. პირველი კურსიდანვე ისინი ერთად სწავლობდნენ, ერთად იყვნენ დატოვებულნი საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივანე ჭავჭავაძის 1909 წ. იყო ნ. აღონცის სამაგისტრო დისერტაციის დაცვისას ოპონენტიც წიგნისა „სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში“.

ივანე ჭავჭავაძის კი არ თვლიდა თავის მოღვაწეობის უპირველეს ამოცანად სადოქტორო დისერტაციის დაცვას. იგი ზედღებულ ქართულ ენაზე აქვეყნებს შრომებს, რომელთა ქართველი მკითხველისათვის მიწოდებას პირველხარისხოვან საქმედ მიიჩნევს. 1937 წელს ივანე ჭავჭავაძის ერთ-ერთ წერილში ვარ. დონდუას შეახსენებდა: „ნ. მარს რამდენიმეჯერ უთქვამს ჩემთვის: ვადამითარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარვადგინოთ, რომ ეს ფორმალთა თაიდან მოვიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის ზედმეტი დროის დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია“. ამგვარი განცხადება ივანე ჭავჭავაძის მართო კერძო წერილში არ გაუკეთებია. სწორედ 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გაგზავნილ წერილში ივანე ჭავჭავაძის საქვეყნოდ აცხადებდა, რომ „მე კი სხვადასხვა ჩემთვის უფრო საყურადღებო და საგულისხმოდ გამოკვლევებზე მუშაობის გამო სადოქტორო დისერტაციისათვის ჭერ ვერ მოვიცალეო“.

მართლაც, სამშობლოს სიყვარულის დიდი გრძნობა კარნახობდა ივანე ჭავჭავაძის მზის სინათლეზე გამოეტანა ქართული ისტორიის უცნობი ფურცლები და არ ეფიქრა სადოქტორო დისერტაციის დაცვის ფორმალური წესის ასრულებაზე, თუმცა მისი ქართულად გამოსული ბევრი შრომა ამ დროს უთუოდ იმსახურებდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

ნ. აღონცისა და პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პოზიცია, ივანე ჭავჭავაძის პრესისათვის საჯარო განცხადებები სავსებით გარკვეულია, მაგრამ იგი არაფერს ამბობს აკად. ნ. მარის ნამდვილ პოზიციაზე. ამის შესახებ მხოლოდ 1916 წლის 20 ოქტომბერს სწერს თავის სტუდენტობის მეგობარს ს. ფირცხალავას:

„ძვირფასო ძმავო სამსონ!

შენ და სხვებიც ალბათ გაკვირვებული იქნებით იმ ცნობით, რომელიც „ჩვენს მეგობარში“ და „საქართველოში“ იყო დაბეჭდილი. „საქართველოს“ ტლანქი გამოქომაგების შემდეგ მე, რასაკვირველია, ზნეობრივი უფლება არ მქონდა ვაგჩუმებულიყავ და ამიტომ ამ წერილს გიგზავნი „სახ. ფურცელ“-ში დასაბეჭდად. ძალიანა გთხოვთ, საჩქაროდ მოათავსო გაზეთში და ყურადღება მიაქციო, რომ კორექტორული შეცდომები არ შეიპაროს. ოფიციალური აღწერილობა ამ ამბისა ჩემს წერილშია, მაგრამ ის, რაც უფრო სამწუხაროა და უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნ. მარს იმგვარად ამოქმედებს, როგორც ის მოიქცა, მე ჩემს წერილში, რასაკვირველია, აღნიშნული არა მაქვს. როდესაც ვნახავთ ერთი ერთმანეთს, მაშინ პირადად გიამბობ ყველაფერს.

სასურველი არ არის, რომ ვახშურდეს. მაგრამ შენ, როგორც ამხანაგსა და მეგობარს, მოკლედ გეტყვი, რომ ის რაც მოხდა, მარს მხრივ თავისებური საპასუხო მოქმედება იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომელსაც მე მივდევი, და ჩემდა საბედნიეროდ ყველა ჩვენი მოწაფეები იზიარებენ. მარის მხრივ ერთგვარი შურისძიებაა, რადგან დარწმუნდა, რომ ის თავის მიმართულებით სრულიად განცალკევებული დარჩა. არც ფაკულტეტი, არც სომხები და არც ნ. აღონცი აქ არაფერ შუაშია, თვით აღონცი მარს სრულებით არ თანაუგრძნობს, ჭერაყ-

რობით ესეც კმარა. მე ვთხოვ, ეს არ გახმაურდეს. როდესაც დრო იქნება, მაშინ ყველაფერს გამოვარკვევ. რაც უნდა ქნას, მე ჩემს გზას არ ავიტყვებ და მიმართულებას არ შევიცვლი არასდროს. მე პატივმოყვარე არ ვყოფილვარ და თუნდაც რომ იმდენი მოახერხოს, რომ მე პროფესიონალი არ მელირსოს, მაინც არ ვინანებ და ჩემს რწმენას არასდროს არ ვუღალატებ“. მაროლატ, თანდათანობით მალღებოდა გაუცხოების უხილავი კედელი ნიკო მარსა და ივ. ჭავჭავაძის შორის. შემდგომ მასწავლებლისა და მოწაფის გზები გაიყო, მაგრამ მოწაფეს მაინც პირველს საჭაროდ არ დაუწერია თავისი მასწავლებლის წინააღმდეგ.



საქართველოში მალალი და შეუვალი იყო ივანე ჭავჭავაძის ავტორიტეტი არა თუ როგორც მეცნიერისა, ასევე მალალი მოქალაქეობრივი თვისებების მატარებლისა; მას ასახელებდნენ როგორც ნიშნულს მიბაძვისას, მის აზრზე მიუთითებდნენ როგორც სახელმძღვანელო შეხედულებაზე, სწორედ მას მიმართულებდნენ და სთხოვდნენ თავისი თვალსაზრისის გამოთქმას, უნდოდით იგი თავისებურ მეთოდურად ყოფილიყო და ორივე მოდავე მხარე მის აზრს უსიტყვოდ იღებდა ერთ მაგალითს მოვიყვანთ იმ პოზიციისას, რაც ფილიპე გოგიჩაიშვილისა და მიხეილ ადამაშვილის (ჭავჭავაძის) დავის დროს დაიკავა ივანე ჭავჭავაძის 1915 წლის ზაფხულში. „სახალხო ფურცლისა“ და „საქართველოს“ რედაქციებმა მხარი დაუჭირეს ფილიპე გოგიჩაიშვილის კანდიდატურას სამეურნეო ბანკის დირექტორის თანამდებობაზე. „საქართველოს“ წარმომადგენელმა მ. ადამაშვილი. 19 აგვისტოს „საქართველოს“ უარუყვია თავისი კანდიდატურა. ამის შემდგომ ფ. გოგიჩაიშვილმა კატეგორიულად მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, მან „მცირე განმარტების“ სახელწოდებით განცხადება გააკეთა „სახალხო ფურცლის“ 25 აგვისტოს ნომერში, რასაც შედეგად მოჰყვა „საქართველოში“ მ. ადამაშვილის (მ. ჭავჭავაძის) განცხადება იგი წერდა, რომ მოხდა „მისი ნათქვამის გადამახინჯება და გადატრიალება“ იმისა, რაც საჭაროდ ითქვა და რისი მოწმეც „სახალხო გაზეთის“ მთელი კოლეგია იყო. 1915 წლის 25 აგვისტოს ახალ წერილს ბეჭდავს ფ. გოგიჩაიშვილი „სახალხო ფურცელში“. მასში ვკითხულობთ: „ჩვენდა ორთავეს სასიამოვნოდ, მაშინდელ თქვენს მასლათს დაესწრო ჩვენი ისტორიკოსი ბ-ნი ივანე ჭავჭავაძი“.

მგონია, იმის მიუდგომლობასა და მოწმობის სისწორეში ეჭვს ვერ შეიტანთ ვერც თქვენ, ვერც სხვა ვინმე მთელს ჩვენს სამშობლოში. თქვენი ამხანაგებიც მეორე წერილში სრულიად სარწმუნოდ და მიუდგომლად აცხადებენ ბ-ნი ივანე ჭავჭავაძის სიტყვას. მივანდოთ მის მოწმობას ამ საგნის გადაწყვეტა. აქვე, ქვევით მე მივმართავ უმორჩილესად თხოვნით ბ-ნს ივ. ჭავჭავაძის, რომ მან გამოაცხადოს გაზეთში: თქვენი იმდროინდელი ნათქვამი სისწორით არის გადმოცემული ჩემს წერილში, თუ არა. წინდაწინვე პირობას გაძლევთ: თუ იგი იტყვის, რომ მე თქვენი ნათქვამი გავაყალბე, გადავამახინჯე, გადავატრიალე ან გადმოვატრიალე, ერთის სიტყვით — ის მოგაწერეთ, რაც თქვენ არ გითქვამთ, თუ იგი ამას იტყვის, მე ვიკისრებ იმ სასჯელს, რასაც თვითონ თქვენ გამოჩენთ.

ხოლო თუ ეს არ მოხდა, თუ ბ-მა ივ. ჭავჭავაძიმაც დაადასტურა სისწორე ჩემის გადმოცემისა, იმ შემთხვევაში მე თქვენ არავითარ სასჯელს არ გავი-

ჩენთ, მხოლოდ ამის წინადადებას კი მოგცემთ, რომ სამუდამოდ მოსპოთ ჩემ-
თან ამ საგანზე კამათი.“

„სახალხო ფურცლის“ იმავე ნომერში ფ. გოგიჩაიშვილი ღია წერილს უგ-
ზავნის ივ. ჭავჭავიძელს. აქ იგი თითქოს საკუთარ თავზე მეტად ენდობოდა ივანე
ჭავჭავიძელის აზრს. ივ. ჭავჭავიძელი გრძნობს დავაში ჩარევის უსაიმოვნებას,
მაგრამ მისი პრინციპული პოზიციის გამომჟღავნებას არ დაუგვიანებია, „სახალ-
ხო ფურცლის“ 26 აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ:

„ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ფილიპე!

„სახალხო ფურცლის“ 365 №-ში ღია ბარათით მთხოვეთ როგორც დამსწრეს
გაზეთში გამოვაცხადო, ბ-ნ ადამაშვილის ნათქვამი თქვენს წერილში სისწორით
არის გადმოცემული თუ არა?

ამის გამო ჩემს ზნეობრივ ვალადა ვთვლი გაზეთის საშუალებით გამოვაცხ-
ადო, რომ ბ-მ. ადამაშვილის ნალაპარაკევი, რომლის უნებლიე მოწმე, ჩემდა
სამწუხაროდ, შემთხვევით ვიყავი, თქვენს წერილში სისწორით არის გადმოცე-
მული.

თქვენი პატივისცემელი ივანე ჭავჭავიძელი“

ამ განცხადებას შედეგად ის მოჰყვა, რომ საბოლოოდ შეწყდა სადავო სა-
განზე კამათი

• • •

ივ. ჭავჭავიძელი ნაზი შვილია მშობლებისა. ის მათ არ აკლებს ყურად-
ღებას. წერილების სისტემატურ გაგზავნას მშობლებისათვის ზნეობრივ მოვა-
ლეობად თვლის. ამიტომ იყო ერთ-ერთ წერილში 1910 წლის 29 სექტემბერს
კმაყოფილი დედა სწერდა: „ჩემო სიხარულო შვილო ვანო, ისევე შენ შვილო, გე-
ნაცვალე, მოიწერე და შემატყობინე თქვენი ამბავი, თორემ მაგ ვაჟკაცებს არც
კი ახსოვთ, ცოცხლები ვართ თუ არა“.

დედისა და მამის თხოვნებს დაუზარლად ასრულებს პეტერბურგში მყოფი
უფროსი ვაჟიშვილი. თხოვნები კი სრულიად სხვადასხვაგვარისაა. ესაა დე-
დაქალაქის უმადლესი თუ სპეციალურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მოწ-
ყობაზე ზრუნვა, ახლობლისა და ნაცნობის საპენსიო საქმე, სამოქალაქო სასა-
მართლო საქმეზე მხარდაჭერა, გამოგზავნილი ავადმყოფის უკეთესს ექიმთან
მიყვანა და ა. შ. და ა. შ. იგიც ყველას დაუზარლად, უშურველად ეხმარება,
ყველას მხარდამჭერი და მანუგეშებელია. ამისათვის დედის ლოცვა-მადლობაა
1913 წელს დაწერილ ბარათში: „იცოცხლე, შვილო, რომ მაგრე წუხარ ყველა-
სათვის“.

ასევე ნაზი სიყვარულით სწერდა დედამთილი წერილებს თავის რძალს. ყო-
ველმხრივ გახარებული იყო, რომ მეუღლეობის მაღალ გრძნობას იგი დედო-
ბასთან ასე კარგად ათავსებდა. 1908 წლის 2 ნოემბერს დედა ვაჟიშვილს სწერდა:
„დიდად მოხარული ვარ, რომ სტახია მაგრე კარგად არის და მხიარულად
მაინც.“

მომავალ დედას ეკუთვნის მხნეობა“.

პირველი შვილიშვილის შეძენით უსაზღვროდ გაიხარეს პაპამ და ბებიამ.
გახარებული დედა 1908 წლის 19 დეკემბერს იწერებოდა: „ჩემო საყვარელო
შვილო ვანო, მადლობა უფალს, რომ სტახია მშვიდობით გათავისუფლდა.
პატარა გოგონაც ღმერთსა ვთხოვ გაიზარდოს ბედნიერი ქალი, დედ-მამის სი-

ცოცხლით. სტაზიას რო ქალი ეყოლებოდა ეგ მე სიზმარში წინათვე ვნახე. ვისა გავს, შენ თუ სტაზიას?" შემდგომ წერილებში შვილიშვილისადმი სიყვარულისა და ალერსის უმდიდრესი ლექსიკაა.

დედ-მამა კარგად იცნობენ სტუდენტობისა და შემდგომი ღროის მეგობრებს უფროსი ვაჟიშვილისას. მათ დიდად ახარებთ მათი წარმატებები და მათთან შეხვედრა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ წერილში დედა ატყობინებდა: „ჩემო სიხარულო შვილო ვანო, გუშინ შენი ამხანაგი ნიჟარაძე იყო. ისე შეამა იმის ნახვა, ასე მეგონა, შენ გიყურებდი“.

თავი VI. უკვდავი წიგნი ძღვნად დედისა და მამის წმინდა სახელებს

1913 წელს გამოდის „ქართველი ერის ისტორიის“ ორი წიგნი, მას ასეთი წამძღვარება აქვს „ჩემს საყვარელ დედას და ძვირფასს ხსოვნას ჩემის საყვარელი მამისა ვუძღვნი ამ ორ წიგნს“.

ივანე ჭავჭავიძელმა ასე გამოხატა თავისი მოწიწება საყვარელი დედის წინაშე და ღრმა პატივისცემა ახლადგარდაცვლილი მამისადმი.

1912 წელს მან დაკარგა ძვირფასი მამა 77 წლის ასაკში მყოფი. მეტად ძნელია შვილის განცდები მშობლის პირველად დაკარგვისას. ამას ერთვოდა ის მწვავე ტკივილებიც, რაც მას ყოველთვის თვალწინ ედგა: თბილისის სადგურში 1911 წლის ნოემბერში ძვირფასი უმცროსი ძმის ნეშტს რომ მოასვენებდა პეტერბურგიდან, მამის გამშრალ თვლებში ამოკითხული უსიტყვო მწუხარება: რა უსამართლობაა 76 წლის მამა მარხავდეს უმცროს მეექვსე შვილს 28 წლის ასაკისას!

ჭავჭავიძეების დიდი ოჯახის უმცროსი შვილი დავით (დათა) ალექსანდრეს ძე 1883 წლის 17 აგვისტოს დაიბადა. 20 წლისა ის თბილისში წარჩინებით ამთავრებს მეორე გიმნაზიას და 1903 წლის 14 ივლისს განცხადებით მიმართავს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს, რომ ჩარიცხოს იგი სტუდენტად იურიდიულ ფაკულტეტზე. განცხადება ასე მთავრდებოდა: „ჩემს მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტი იმის გამოა ამორჩეული, რომ ვიცხოვრებ ჩემს ძმასთან, პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტ თავად ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავიძელთან ერთად.“ ამგვარი მითითება იმით იყო გამოწვეული, რომ სტუდენტად ჩარიცხვისას აუცილებელი იყო პირს დაესახელებინა თავმდები. დავით ჭავჭავიძელი ამასთან იმასაც მტკიცებულად განიცდიდა, რომ ამით რაიმე უსიამოვნება არ მიეყენებინა ძმისათვის.

1903 წლის 15 თებერვალს ამიტომ სწერდა იგი იე. ჭავჭავიძელს: „ეხლა ჩემი გათავების დრო მოვიდა და მე პეტერბურგში წამოსვლა მინდა, მხოლოდ დაბრკოლება თავდება. თავდებათ შენ შეგიძლიან იყო. მაგრამ თუ პასუხისგებაში იქნები მიცემული ჩემი გულისათვის, მაშინ სჯობია... სხვა ქალაქში წავალ“.

უფროსი ძმა სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებდა უმცროს ძმას. მათი ერთად ცხოვრების რვა წელი დავით ჭავჭავიძელის მიღწევებისა და აღიარების წლები იყო. იურიდიულმა ფაკულტეტმა 1910 წელს სექტემბერში იგი დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად საფინანსო სამართლის კათედრაზე. წარდგინება საფინანსო სამართლის ცნობილმა რუსმა რევოლუციამდელმა სპეციალისტმა ი. ხ. ოზეროვმა გააყეთა. იგი აღნიშნავდა, რომ დ. ა. ჭა-

ვახიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაამუშავა ნაშრომი „სპირტის ბეგარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიასა, საფრანგეთსა და რუსეთში ალკოჰოლიზმის განვითარებასა და მასთან ბრძოლასთან დაკავშირებით“. ამ ნაშრომმა ოქროს მედალი დაიმსახურა 1909 წ. პროფ. ი. ოზეროვის აზრით, ეს ნაშრომი ადასტურებს ავტორის უნარს გაერკვეს ურთულეს საკითხებში, კარგ წიგნიერებას, მაძიებელ გონებას, აგრეთვე იმას, რომ იგი ფლობს სამ ახალ ენას: გერმანულს, ფრანგულსა და ინგლისურს. ყოველივე ამის გამო პროფ. ი. ოზეროვს მიაჩნდა, რომ დ. ჯავახიშვილი, როგორც საფინანსო მეცნიერებით სერიოზულად დაინტერესებული პირი, მომავალში ფრიალ სასარგებლო მუშაიკი გახდებოდა.

არ დასცალდა ამ ნიჭიერ შვილს ერისას თავისი სამსახური გაეწია მეცნიერებისათვის

მართლაც, წარმატებით მიმდინარეობდა მისი მეცნიერული მუშაობა, მაგრამ მოულოდნელად თირკმელების მძიმე ავადმყოფობამ შეიწირა იგი. დიდ რუს ქირურგს ს. ფეოდოროვს გასინჯვის დროს დაუკვირებლად წამოუძახია ლათინურად, რომ ყველაფერი დამთავრებულიაო. ამას შემდგომ ყოველთვის წყენით იგონებდა ივანე ჯავახიშვილი. რატომ თვლიდა განათლებული ქირურგი, რომ ლათინური არ შეიძლებაოდა პაციენტსაც სცოდნოდაო.

დამწუხრდნენ პეტერბურგის ქართველი სტუდენტები. სევდა ჩაუდგა თვლებში ყველა მათგანს.

ცალად დარჩა უმცროსი ძმის გარეშე ივანე ჯავახიშვილი.

გლოვის ჩარი თავს დაატყდათ ი. ჯავახიშვილის მშობლებს.

1911 წლის 16 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილი სწერდა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორს: „მიმდინარე წლის 14 ნოემბერს ოპერაციის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ჩემი ძმა, პეტერბურგის უნივერსიტეტთან საფინანსო სამართლის კათედრასთან დატოვებული თავადი დავით ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი. დათრგუნვილი საშინელი უბედურებით, რომელიც ასე მოულოდნელად თავს დამატყდა, ვთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ნება მომკეთ შევებულეებისა, რომ გადავასვენო ჩემი გარდაცვლილი ძმის ნეშტი სამშობლოში თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ხოვლეში დასაფლავებისათვის“.

უნივერსიტეტის რექტორის ნებართვით მან დატოვა პეტერბურგი და თვითონ ჩამოასვენა უტკბესი უმცროსი ძმის ნეშტი ხოვლეში დასაფლავებლად.

„ქართველი ერის ისტორიის“ 1913 წლის გამოცემა, მართალია, მეორე გამოცემად ითვლება, მაგრამ სავსებით სწორად აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, რომ ახალი წიგნი იმდენად გადაკეთებული და შევსებულია, რომ „თითქმის ახალ გამოცემად უნდა ჩაითვალოს“-ო.

მართლაც, გარდა წვრილმანი ცვლილებებისა, სულ ახლად იყო დაწერილი მთელი რიგი თავები, არაფერი რომ არა ვთქვათ, მთელს მეორე წიგნზე.

ივანე ჯავახიშვილის მხურვალე სურვილია: რომ მისი წიგნი მკითხველთა ფართო მასისათვის იყოს მისაწვდომი. იგი წერს, რომ ამ თხზულებაში იგი სარგებლობდა, ქართული წყაროების გარდა, ბერძნული, ლათინური, სომხური, არაბული და სპარსული საისტორიო წყაროებით და, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ცდილობდა აემეტყველებინა ეს წყაროები, განსაკუთრებით კი ქართული, რომ მკითხველმა თვით ჩაიხედოს ამა თუ იმ მოვლენის სფეროს სიღრმეში, იცოდეს, რაზეა დამყარებული ავტორის შეხედულება. და დასკვნა. იგი წერს: „მე მინდოდა მკითხველი თანამოზიარედ გამეხადა, რომ მას თვითონაც ეგემნა

ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერ-ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს“.

ივანე ჭავჭავიძეილი კარგად ხედავს, რომ წყაროებით დატვირთვა ძნელ საკითხავად აქცევს ამ წიგნს. მიუხედავად ამისა, მას სრულიად არ მიაჩნია საჭიროდ, განზრახ გამარტივოს თავისი მიმოხილვა. „ისტორია რთული მეცნიერება არის, იგი არანდროს გასართობ წიგნად არ გამოდგება, და ყოველთვის შესწავლისა და ღრმა დაკვირვების საგნად უნდა იყოს.“

ივანე ჭავჭავიძეილის სურს სკოლებში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხავად გამიზნული სახელმძღვანელო მომავალში გაითვალისწინოს. ეს წიგნი კი მხოლოდ მოზრდილთათვის, განათლებულ და მომზადებულ მკითხველთათვის იყო გამიზნული.

არსებითად სრულებით ახლადაა დაწერილი პირველი თავიდან ქართული ენა კილო-კაეები, მათი დამახასიათებელი თვისებანი და ბუნება.

დიდად არის გაზრდილი მესამე თავი ქართველთა წარმოშობის შესახებ. აქ იგი კვლავ აყენებს საკითხს, რომ წარმართობის შესასწავლად საჭიროა ძველი ქართულისა და მეზობელ ერთა მწერლობის კვლევა. ამასთან იგი თვლის, რომ „ბევრი წარმართული ზნე-ჩვეულებანი და თქმულებები მოიპოვება ხალხში, რომელთა შესწავლას ბევრი რაიმეს გარკვევა შეუძლია, თუმცა საგანი მეტად რთულია და დიდი და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, რომ უტყზო ქართულად არ ვიცნოთ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს“ (გვ. 92).

მეოთხე თავი პირველად მიმოიხილავს უძველეს საარწმუნოებრივ თქმულებას ამირანზე. ეს თქმულება, ივანე ჭავჭავიძეილის აზრით, უკეთესად არის შენახული, აქ უძველესი ისტორიის მასალებიც უკეთესად ჩანს, თუმცა მასში ქრისტიანული წარმოდგენები არეულია მაჰმადიანურ-სპარსულ-არაბულთან, ხალხური — მწიგნობრულთან. იგი აკეთებს ცდას, ამ თქმულების პირვანდელი სახე აღადგინოს. ამისათვის ივანე ჭავჭავიძეილი მიმართავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ თქმულებებს ამირანზე.

ახალი მასალებითაა შევსებული მეხუთე თავი: ქართველების პოლიტიკური მდგომარეობა. XI-I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდეგი თავი I-VII საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ივანე ჭავჭავიძეილი ინტენსიურად მუშაობს „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნზე. 1913 წლის 23 აგვისტოს იგი ხოვლედან სწერს მ. ჭამბაკურ-ორბელიანს: „მე იმდენი სამუშაო მაქვს, რომ თავბრუ მეხვევა ხოლმე, როცა ერთ სამუშაოს შევწყვეტავ ხოლმე და მოვიგონებ, რამდენი კიდევ სხვა მაქვს გასაკეთებელი. ჩემი „ქართველი ერის ისტორია“ იბეჭდება, I ტომი, კორექტურა მომდის, იმას ვასწორებ და თანაც მეორე ტომს ვწერ“.

„ქართველი ერის ისტორიის“ წიგნი II გამოდის 1914 წელს. აქ სრულიად ახალი საკითხებია განხილული, რომელიც მანამდე სრულიადაც არ ყოფილა კვლევის საგნად „ქართველი ერის ისტორიისა“.

როგორც პირველი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა ივანე ჭავჭავიძეილი, საქართველოს ისტორიის მეორე წიგნში განსახილველ საკითხებს წინ უძღვის მეტად ვრცელი საისტორიო გეოგრაფია. მას კარგად ესმის, რომ სჯობდა მთელი ეს თავი და პირველი წიგნის პირველი თავის მეორე ნაწილი „საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის სახელით“ ცალკე წიგნად ჟოფილიყო გამოქვეყნებული, მაგრამ რადგანაც ეს ვერ ხერხდება, როგორც პირველ წიგნში, ისე განსაკუთრებით მეორე წიგნში ჩაურთო მან სწორედ საისტორიო გეოგრაფიის

საკითხები. ივანე ჭავჭავაძის სიტყვებით „სრულებით უგეოგრაფიოდ კი არ შეიძლება. გასაოცარი ან აქამდის უგეოგრაფიოდ როგორ მუშაობდნენ ისე რომ ხშირად თვით ავტორებმა არ იცოდნენ იმ ადგილების მდებარეობა, რომელთა შესახებ ისტორიაში იყო ლაპარაკი“.

ამ საკითხის სიმწვავეს საგრძნობლად ანელებდა ის, რომ, ივანე ჭავჭავაძის გამოთქმით, „არსებობს სახელოვანი მეცნიერ ბატონიშვილის ვახუშტის უკვდავი თხზულება, რომელშიც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მრავალი ძვირფასი ცნობაა შეკრებილი. მაინც ვახუშტის თავისი საზოგადო მიმოხილვა უძველეს დროიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე აქვს გაკეთებული. კონკრეტული კვლევის მიზნისათვის კი აუცილებელია ისეთი მიმოხილვა, რომელიც VII-XII საუკუნეთა შესახებ ცნობებს შეიცავდა. ამასთან ერთად, ძველი ხანის შესახებ ახლა მეტი და უკეთესი წყაროები მოიპოვებოდა, ვიდრე ვახუშტის ჰქონდა. მით უფრო თანამედროვე სამეცნიერო მეთოდები მეტის გამოკვლევის საშუალებას იძლევა. საკითხის უშუალო მიმოხილვას წინ უსწრებს ქართული საგეოგრაფიო ტერმინების განმარტებები“. აქ ივანე ჭავჭავაძის უხვად იყენებს ვახუშტისა და საბა-სულხანის განმარტებებს.

ქართული სხვადასხვა გეოგრაფიული ცნების გამოსახატავად სიტყვებს მდიდარი გამოსახვის საშუალება აქვთ. ასე, როდესაც წყალი სიმაღლიდან ეცემა, სხვადასხვა სახელი აქვს, საბას სიტყვებით: „უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩასდის — და ან ჩქერი, და დაბალთა კლდეთა ჩამდენსა — ჩანჩქერი, ხოლო ლოდნართა მჩქერვალთა — გოჩგოჩანა“. საგეოგრაფიო ტერმინოლოგიაში მიმოხილვას მოსდევს საისტორიო გეოგრაფია.

დახასიათებულია საქართველოს მთები, ზღვა, ტბები და მდინარეები. ამას მოსდევს მსჯელობა საკვლევ პერიოდში საქართველოს მოსახლეობაზე. დახასიათებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, იმდროინდელი ქალაქები. მაგალითად უფლისციხე, რომელმაც „განსაკუთრებული მნიშვნელობა IX საუკუნეში მოიპოვა, როდესაც ქართლის დედაქალაქი ტფილისი არაბთა ხელში იყო და უფლისციხე იქცა ქართველთათვის უმთავრეს ქალაქად“. (ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 31).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღდგენისა და გაერთიანებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო გზები. აქ მკითხველი აპოვის უაღრესად საინტერესო ცნობებს სახმელეთო და საზღვაო გზების თაობაზე ძველს საქართველოში.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე თავი არაბების შემოსევას და საქართველოში მათ ორ საუკუნოვან ბატონობას ეხება.

არაბების დახასიათებას მოსდევს იმ მიზეზების ახსნა, რამაც ხელი შეუწყო მათ წარმატებულს აღმოსავლეთის ქვეყნებში.

საქმე ის იყო, რომ ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს სიმკაცრითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით მობეზრებული და უკმაყოფილო ბევრი ერი არაბებს თავდაპირველად სიხარულით ეგებებოდა და ბერძენთა მონობისაგან გამათავისუფლებლად თვლიდა. ამგვარ შეხედულებას ხელს უწყობდა და ამტკიცებდა ის, რომ თავდაპირველად არაბები სხვა ხალხთა სარწმუნოებას (ყერპთაყვანისმცემლობის გარდა), მეტადრე ქრისტიანობას, არ დევნიდა, ოღონდ დაწესებული გადასახადების სრულად გადახდა შეესრულებინათ მათ. იბერიელები კი არ იყვნენ მარტო უკმაყოფილო ბერძენებით, არამედ ასევე იმიერ-ქართველები. 689 წელს ლაზიკის მესვეურნი აჯანყებიან ბიზანტიელებს და თავიანთი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებიათ.

ასე როდი გაგრძელებულა დიდხანს. მალე არაბი ხალიფები შემოიღებენ

მკაცრ მაჰმადიანურ სარწმუნოებრივ პოლიტიკას. ამას ქართლის ერისთავები აშკარა ბრძოლას უპირისპირებენ. ახლა VIII საუკუნეში ბიზანტიის კეისრების მფარველობის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა და მყუდროება იყო, ვინაიდან დაცულნი იყვნენ არაბთა თავდასხმისაგან. ისე რომ, როდესაც ქართველებს ქართლ-კახეთში მეტისმეტად გაუქირდებოდათ ხოლმე, დასავლეთ საქართველოში ეგრისსა და აფხაზეთში გადაიხიზნებოდნენ და იქ ძიებდნენ მყუდრო თავშესაფარს.

მესამე თავში დახასიათებულია ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა არაბთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში.

არაბები მძლავრობის კვალდაკვალ როდი კმაყოფილდებოდნენ გადასახადების მკაცრად აკრეფით თითოეული კომლისაგან. მიიწვევდა მათი გულისნადები და ნატვრა ისლამის გავრცელება იყო. ამიტომ მუსლიმანად ქცეულებს ყოველგვარი უპირატესობა და შეღავათი ენიჭებოდათ, ამასთან ვინც ერთხელ გამაჰმადიანდებოდა, იმას ისლამის დატოვება ალარ შეეძლო. თორემ ისლამის მოღალატე სიკვდილით დაიხრებოდა. ქრისტიანად ყოფნა უმძიმეს გადასახადს გულისხმობდა. ამ გადასახადებისაგან ხალხი მეტად შეწუხებული და გაღატაკებული იყო. ამ ვითარებაში ხალხი იძულებული იყო თავისი მიწა-წყალი დაეტოვებინა. ამგვარი გადასახლება დასავლეთ საქართველოში გაძლიერდა არაბთა ბატონობის დროს.

„აი რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო იმერ-გურულთა ტომები დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში“ (ქ. ერის ისტ. წიგნი II, გვ. 85).

მას შემდეგ, რაც არაბებმა საქართველოსა და კავკასიაში ფეხი მაგრად მოიკიდეს, თავიანთ უმთავრეს სადგურად, ზღუდედ და თავშესაფრად ტფილისი გაიხადეს, სადაც იქნა ხალიფას წარმომადგენელი შირა.

აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მძლავრობა დიდ გაჭირვებასა და განსაცდელში აყენებს ქართველობას. არაბები ახერხებდნენ, ხელი შეეწყობთ იმათთვის, ვინც ქრისტიანობას უარყოფდა და მაჰმადიანობას მიიღებდა. ქართველთათვის ამ მძიმე მომენტში გამოცოცხლდა და გაძლიერდა მისი ეროვნული თვითცნობიერება. მათ იგრძნეს, რომ მაჰმადიანობის მიღება ეროვნული თვითმკვლელობა იქნებოდა. „ასეთია ადამიანის სულიერი ბუნება, — წერს ივანე ჭავჭავაძე. — რომ იგი ყოველს ძალმომრეობას და ძალდატანებას, დევნასა და ტანჯვას, თუნდაც განცხადებულად, ძალღონით არ იყოს, უხილავად მიიწვევს, სულიერად წინააღმდეგობას უწყევს და მაგრდება მაშინაც სწორედ ამ დევნამ გამოაფხიზლა ქართველობა“ (ქ. ე. ი. ტ. II; გვ. 87).

ამ დროს გამოჩნდა იოანე საბანის ძე, აბო ტფილელის მეგობარი, რომელმაც მისი მარტილობა მარჯვედ აღწერა და ამით ერის დროებით მოღუწებული თავმოყვარეობა გამოაღვიძა.

თავი მეოთხე საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას ეხება. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საქართველომ გამოცოცხლება დაიწყო და მოსულიერდა. აქ მთავარი ხელშემწყობი გარემოება არაბების დასუსტება იყო. ეს პროცესი ერთნაირი ძალით არ გაშლილა საქართველოში. IX საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნის დასასრულამდე გასტანა საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების ხანა.

პირველად ეს პროცესი დასავლეთ-სამხრეთ საქართველომ წამოიწყო. VIII საუკუნის მეორე ნახევარში დას. საქართველო არაბთა ბატონობას იმთავითვე გადაურჩა და კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრისგან იყო დამოკიდებული. ამ

დროს კი თვით ბიზანტია იყო დასუსტებული არაბებთან ბრძოლითა და შინაური უთანხმოებით.

შავშეთ-კლარჯეთის საერისთაოც ებმება ამ გაერთიანებისათვის ბრძოლაში. თბილისის ამირა, კახთა მთავარი და სომეხთა მთავრებიც იბრძოდნენ ამ დროს უბირატესობის მოსაპოვებლად, ბრძოლა ჩუმიცა და აშკარაცაა, მაგრამ ყოველთვის უწყვეტი და შეუჩერებელი არაბების ჩარევამ რამდენიმე ხნით შეაჩერა გაერთიანების საქმე.

გადამწყვეტი ის იყო, ვის ჩაუვარდებოდა ხელში ქართლი — ქვეყნის შუაგული, ეს არსებითად მთელ კავკასიაში მეთაურობის საკითხს წყვეტდა. ამიტომ გამწვავებული ბრძოლა იყო სწორედ ქართლის გამო.

საქართველოს თავისი გაერთიანებისათვის ბრძოლაში ორი უცხო სახელმწიფოსთან დამოკიდებულების გამორკვევით უნდა განესაზღვრა ქვეყნის მომავალი. ერთი ეს იყო აღმოსავლეთ-სამხრეთით არაბთა სახალიფო და მისი წარმომადგენლები — ადგილობრივი ამირები, მეორე დასავლეთ-სამხრეთით ბიზანტიის კეისარი და მისი მთავრები. ბერძენთა მეფე, ვითარცა ქრისტიანი ხელმწიფე, ქართველთა მფარველად და მეშველად გამოდიოდა. სწორედ არაბთაგან დევნილმა ქართლის მთავრებმა ბიზანტიის კეისრის ძლიერს-მფარველობას მიმართეს და მას ამოეფარნენ, მაგრამ ბერძენები არასდროს გულუბრყვილო და გულჩვილი პოლიტიკოსები არ ყოფილან. მათს მფარველობას ყოველთვის მათი საქმიანობისათვის უნდა მოეტანა სარგებლობა. ამიტომ ქართველ-ბიზანტიელთა დამოკიდებულება შარტო ქრისტიანულ სიყვარულსა და ძმობაზე როდი იყო დამყარებული. მას თავის სამართლებრივი ნიადაგი ჰქონდა. სწორედ ამის გამორკვევაა მოცემული, თუ რა სამართლებრივი დამოკიდებულება არსებობდა მესხეთისა და აფხაზეთის ბატონთა და ბიზანტიის კეისარს შორის. მკითხველი ეცნობა შესანიშნავი გონებამახვილობით და უმდიდრესი მასალების მოხმობით გამორკვეულ სამეფო და სამთავრო ხელისუფლების დამოკიდებულების ისტორიის, თვით ბიზანტიის ზეიადი და მედიდური სახელმწიფო წყობილების თვისებებს. თავის მხრივ ქართველები ცდილობდნენ ის წინააღმდეგობა გამოეყენებინათ, რაც არაბებსა და ბიზანტიას შორის იყო. საქმე ისაა, რომ, დასუსტების მიუხედავად, არაბებს ძალა ერთბაშად არ დაუქარგავთ. ისინი „ზოგჯერ კვლავინდებურად მოლონიერდებოდნენ და კავკასიის გამოცოცხლებულ სამთავროებს თავიანთ სუსხს უჩვენებდნენ ხოლმე“ (ქ. ერის ისტ., ტ. II, გვ. 119).

შემდეგ ნაჩვენებია ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

წიგნის მეექვსე თავი უკვე საქართველოს გაერთიანებას ეხება. ნაჩვენებია ბაგრატ III-ისა და დავით დიდი კურაპალატის როლი ამ საქმეში.

ქვეყნის საერთო აშლილობის დროს მმართველ მოწინავე წრეში მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ასეთი მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო იოანე მარუშისძე, მან ენერგიულად დაუჭირა მხარი ცენტრალიზებულ სამეფო ხელისუფლების შექმნას. ბაგრატ III-ის მტკიცე ხასიათმა, წინდახედულმა მმართველობამ და შორისმჭკრეტელობამ უზრუნველყო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრება. რასაკვირველია, ამ ბრძოლის წარმატება ხელსაყრელ საგარეო პირობებზე იყო მნიშვნელოვნად დამოკიდებული.

1074 წლის შემდგომ საქართველო დიდ განსაცდელში ჩავარდა, ახლა მას ორმხრივ მტერი ერტყა, ამასთან ისინი მუდმივი მტრები იყვნენ. წინათ თუ

მარტო აღმოსავლეთით საზღვრავდა საქართველოს მაჰმადიანთა სამფლობელო — მუსულმანური ირანი თავისი წამლექავი ძალით, ამიერიდან თურქ-სელჯუკები დასავლეთითგანაც მოადგნენ მას. თურქები მიეჩვივნენ საქართველოში თარეშს... ხოლო „სადაც კი თურქები გაჩნდებოდნენ, ყველგან მათს მოღვაწეობის ძეგლად უაღრესი ბარბაროსობა, გაოხრებული და გადაბუგული ქვეყნები რჩებოდათ“. (ქ. ერის ისტ. წიგნი II, გვ. 160). მტერთან ბრძოლაში ყველა ქართველი მეფე როდი იჩენდა შეუპოვრობას და ხალხის ენერჯიის მტრის წინააღმდეგ წარმართვას. მაგალითად, გიორგი II-ის პოლიტიკურმა სიბეცემ დიდი ხნით შეუხორცებელი ქრილობები მიაყენა კახეთს. ამას დაერთო 1088—1089 წელს საშინელი ძალის მიწისძვრა. ყველა ამით და სხვა უბედურებით თავზარდაცემული გიორგი II მეფობაზე უარს ამბობს და თავის ტახტს თავის ქაბუკ შვილს დავითს ულოცავს. გარეშე მტერზე ნაკლებ საშიში როდი იყო საქართველოსათვის შინაური გამწვავებული ბრძოლა მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის.

დიდგვაროვან აზნაურებს ამასთან უმაღლესი თანამდებობა ჰქონდათ ხოლმე, ესენი მეტად თვალსაჩინო და მეფისათვის საშიში ძალით იყვნენ აღჭურვილნი. ბრძოლა მათ შორის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიის ოქროთი მოსყიდულ დიდგვაროვნების გარდა იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ქვეყნის ბედზე გული შესტკიოდათ, მხოლოდ სამეფო ხელისუფლების უკიდურესად გაძლიერება სწყურებდათ.

თავი მერვე საქართველოს ძლიერებასა და აყვავების ხანას ეხება. იგი იწყება თექვსმეტი წლის კაბუჯის გამეფებით 1089 წ. ამ დავით IV-ს ხალხმა შემდეგ აღმაშენებელი უწოდა. დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: აწეწილ-დაწეწილი სამეფო საქმეები, თურქთა თარეშისაგან მოქანცული ქვეყანა, თურქთა ხელში იყო თბილისი, რუსთავი, სომხითი, სამშვილდე, აგარანი.

ქართლის კვლავი და ნაქარმაგვეი ნადირთა ბუნაგად ქცეულიყო. ქართლში თურქები დაძრწოდნენ. შემდგომ უკვე დავით აღმაშენებლის მძლავრი სახელმწიფოებრივი საქმიანობაა დახასიათებული. თურქთა დაწოლის შესუსტება დავით IV-ს უადვილებს ბრძოლას ურჩ დიდგვარიანთა წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი სუსტნი იყვნენ, თუ მათ გარეშე მტრები ზურგს არ უმაგრებდნენ.

დავით აღმაშენებელი, თავის მამისაგან განსხვავებით, სუსტი ხასიათის კაცი არ ყოფილა. „როცა დარწმუნდა, რომ უმსხვილეს ფეოდალს ლიპარიტს ვერაფრით მოარჩულებდა, რადგანაც, როგორც „კული ძაღლისა არა განემართების“ და „არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, ესე იგი თავისას არ მოიშლიდა, ჭერ შეიპყრა იგი, ხოლო შემდეგ საბერძნეთს გააძევა“. ეს მტკიცე და გარკვეული მოქმედება ურჩ დიდგვაროვანთა წინააღმდეგ უეჭველია სხვებისათვის გამაფრთხილებელი მაგალითი იყო.

თურქთა თვითნებობის აღაგმვის შემდეგ, დავით აღმაშენებელი სამეფო საზღვრების გაფართოებას შეუდგა. აქ კი მას ძალზე ბევრი სიძნელეები ჰქონდა გადასალახავი. მარტო ის რად ღირდა, რომ თბილისიც ხომ მას უნდა დაებრუნებინა სამშობლოსათვის... მუდმივი ჭარი, საქართველოს სიძლიერისათვის ბრძოლის ეტაპები თითქოს მხატვრული ძალითაა აღწერილი. შემდგომ კი დავით აღმაშენებლის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტურო მოღვაწეობა მიმოხილული. აღნიშნულია დავით აღმაშენებლის სწრაფვა წარსულის ცოდნის მიხედვით ბრძნულად „გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეჭვრიტა, ისტორიულის მაგალითით და გამოცდილებით უსარგებლა და ამისდაგვა-

რად ემოქმედნა. ამას ერთვოდა და აძლიერებდა მისი ნებისყოფის სიმტკიცე. ასე, დავით აღმაშენებლის სახელმწიფო სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა იმი-
თაც მტკიცდებოდა, რომ მან შეიგნო აზნაურთა ურჩობის ჭეშმარიტი ბუნება
და თვისებები. ძველი ქართული მატრიანეების გადაკითხვამ და მისი თანამედ-
როვე ცხოვრების დაკვირვებამ იგი დაარწმუნა, რომ დიდგვაროვან აზნაურ
მოხელეთა ურჩობა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ზოგადი, რომ
ისინი ცდილობდნენ მეფე მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო და მუდამ მათი
ნების ყურისმგდებელი ყოფილიყო. ამ წინააღმდეგობის დაძლევა მეფეს სწო-
რედ ძლიერი საკუთარი და მუდმივი მხედრობის ძალით შეეძლო. აწითრმაც
მუდმივი ჯარის შემოღება დავით აღმაშენებლისათვის მარტო გარეშე მტერთან
საომრად კი არ იყო საჭირო, არამედ „ზინაურ მტერთანაც, ურჩ და თვითნება
აზნაურებთან საბრძოლველად და ასალაგმავადაც“ (ქ. ერის ისტ. ტ. II, გვ. 215).

დავით აღმაშენებელი გაბედულ სახელმწიფოებრივი მოქმედების გამტა-
რებელი იყო. ასეთი ნაბიჯი იყო მისი ჩრდილოეთიდან 225 000 სული ყივჩაღის
გადმოსახლება. ეს გაბედული ნაბიჯი ბრძნული სახელმწიფო გადაწყვეტა იყო.
ვინაიდან სხვა თანაბარ შემთხვევაში გამოუსწორებელ შეცდომად შეიძლება
იქცეს ნებაყოფლობით სხვა ერის მასობრივი ჩამოყვანა. უურადლებას იქცევეს
ის, რომ ყივჩაღნი მან დაქირავებული ლაშქრისათვის კი არ მოიწვია, არამედ
მთელის ოჯახობით („დედა-წულითა მათითა“) გადმოსახლა საქართველოში.
ქართველობისათვის მეოთხედი მილიონის სულის შექენა იმ დროს ბრძნულიც
და გმირული საშუალებაც იყო. ქართველთა კულტურა მაშინ იმდენად ძლიერი
იყო, რომ ამოდენა უცხო თესლის ერთბაშად ჩამოსახლებაც ეროვნულ სა-
ფრთხეს არ წარმოადგენდა. გადმოსახლებულებმა თანდათან ქრისტიანობა მი-
იღეს, თანაც ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ.

„იმ 225000 გადმოსახლებულ ყივჩაღთაგან არც ერთი მათი შთამომავალი
ყივჩაღად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალდაუტანებლივ, უნებლიედ გაქართ-
ველდნენ, საქართველოს აეთილდღეობისა და ძლიერებისათვის იღვწოდნეს.
აი ამ მხრივაც დავით აღმაშენებლის გაბედულმა საშუალებამ და მოქმედებამ
სამშობლოს ფასდაუდებელი, საშვილიშვილო სამსახური გაუწია“. (ქ. ერის
ისტ. წიგნი II, გვ. 216).

უამთაღმწერელი აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის. „ოაზნაურთა იდე-
მიანურ თვისებას. თვითონ იგი მომხიბლავი გულწრფელი და შემზარავის
ძლიერებით მოითხოვს „გალობანი სინანულისანი“-ში თავისი „საუბუკის“ ცო-
დვის მტრანობას, ამის თაობაზე შესანიშნავ დასკვნას აკეთებს ივანე ჯავახიშვი-
ლი: „მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უკეთესი მკაცრი და უღმობელი მსჯავრიც
შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც
ერთი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. და მან დიდი ხანია უკვე რაც თავისი
პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო
დიდებულ მეფის დავითის, საქართველოს გამაერთიანებლისა და აღმაშენებ-
ლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიური ძლიერების შემქმნელის სათაყ-
ვანებელი სახელი“ (ქ. ე. ი., წიგნი II, გვ. 29). შემდეგ კი ასევე სრულად თამა-
რის მეფობის ხანაა დახასიათებული მეორე ტომში. აქ მკითხველი იმის ნიჭიერ
აღწერას იპოვის, თუ როგორ გახდა იმდროინდელი, ძლიერი საქართველოს სა-
ხელგანთქმული სახელმწიფოს მეთაურად მეფე-ქალი. ამასთან ხომ მისი მეფო-
ბის დასაწყისში რამდენიმე სახიფათო მოძრაობა და განდგომა იყო, მაგრამ მისი
წინდახედულება და ფრთხილი მოქმედება იმარჯვებდა. თანამედროვენი აღ-

ხიშნავდნენ მისი მეფობის დროს ბრძნულ გონებამახვილობას, რასაც ქვეყნისათვის სასურველი შვეილობა მოჰყოლია შედეგად.

წიგნის ბოლო, მეცხრე თავი ეხება საქართველოს საერთო მდგომარეობასა და კულტურულ ვითარებას ძლიერებისა და აყვავების ხანაში. მეთორმეტე საუკუნეში გარეშე მტრების შემოსევისა და აოხრებისაგან უზრუნველყოფილი და მოსვენებული საქართველო გაღონიერდა და გაფართოვდა, გასაგებია, რომ მშვიდობიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მარტო გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფა არ კმაროდა, არამედ ასევე საჭირო იყო შინაური ცხოვრების მყუდროება, მტკიცე წესი და კანონი. აქაც მიაღწია წარმატებებს საქართველომ, განსაკუთრებით მეკობრეობისა და ავაზაკობის აღმოსაფხვრელად. ეს ხანა იმითაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ფილოსოფიურმა აზროვნებამ საქართველოში მაღალ დონეს მიაღწია.

მართალია, ქართველი მკითხველი არც წინათ ყოფილა ფილოსოფიური შინაარსის თხზულებებს მოკლებული. ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტრადიციონალიზაცია უკვე მეთექვსმეტე საუკუნეზე აღრქე იყო შემუშავებული. ახლა კი ქართული ორიგინალური საფილოსოფოსო მწერლობა ჩნდებოდა. მარტო იოანე პეტრიწის გახსენება კმარა. მისი ნეოპლატონური ფილოსოფია ხომ აღვიძებდა ცნობისმოყვარეობას წარმართობის დროინდელ საფილოსოფოსო მწერლობისადმი. იოანე პეტრიწს ქართველთა შორის მხნედ უმუშავებია, მან არა ერთი და ორი თხზულება თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე და მთავარი თავისი განმარტებებით ქართველ მკითხველს მათი შინაარსის შეთვისება გაუადვილა. რასაკვირველია, იოანე პეტრიწი არ არის კმაყოფილი იმით, რომ მის სამეცნიერო მოღვაწეობას ყველგან ებრძოდნენ თავისუფალი აზროვნების დამშველნი პირნი სამღვდლოებიდან, როგორც საბერძნეთში, ისე საქართველოში. იგი გულწრფელად წუხს იმას, რომ „ქართველი თანადგომისა წილ“ და დახმარების მაგიერ, რომ გაახარებოდა მისი მოღვაწეობა, არ აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ ქართული საფილოსოფოსო ენაც უმწვერვალეს განვითარებამდე მიეყვანა და საფილოსოფოსო განცდის თეორია არისტოტელურად შემუშავებინა.

შემდგომ უფრო მეტად შეიქმნა ხელისშემწყობი პირობები თავისუფალი ფილოსოფიური მსჯელობისათვის, როცა თამარის დროს საერო პოეზიამაც საეკლესიო სქოლასტიკურ აზროვნებას საბოლოოდ სძლია. ცნობილი ქართველი მოაზროვნენი პირდაპირ ბერძნული დედნების შესწავლაზე ამყარებდნენ თავიანთ ნაყოფიერ თეორიულ მუშაობას.

ბერძნულ საფილოსოფოსო თხზულებებში ქართველთა მოწინავე წრეებმა ელინური საწარმართო მწერლობის ნიმუშები ნახეს. მათ საწარმართო საერო-ელინური პოეზიაც მოჰყვა „ქართველებმა გაიცნეს პომპროსის დიდებული ქმნილებანი „ილიადა“ და „ოდისეა“, განსაკუთრებით პირველი; იმდროინდელი ისტორიკოსები და მეხობტენი „ილიადის“ შინაარსით და შედარებებით სარგებლობდნენ თავიანთი ღრმა ცოდნისა და რიტორული ხელოვნების დასამტკიცებლად. ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველოში ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნიდან დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“ (ქ. ე. ი., წიგნი II, გვ. 352).

რასაკვირველია, ქართული კულტურული განახლების მთელს ამ პროცესს

შემოქმედებითი გენიის — „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა აგვირგვინებს, რომელსაც წინ უძღვის ქართული ხელოვნების არნახული აყვავება.

რასაკვირველია, ქართველთა შეტევითი მოქმედება ამწვავებდა ქართულ-მაჰმადიანურ ურთიერთობას, თუმცა უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ნამდვილად ის ქართველების მოსაზღვრე სელჯუკ-თურქების მმართველებთან და მათ სამფლობელოებთან ბრძოლას გულისხმობდა და მას მაჰმადიანობასთან და მათი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა აზრადაც არ მოსვლია. ქართველთა და მაჰმადიანთა ბრძოლას წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არ ჰქონია „საქართველოს სახელმწიფოში მაჰმადიანი ქვეშევრდომებიც არა მცირედნი იყვნენ, მაგრამ მთავრობას ისინი არამც თუ არ შეუვიწროებია, არამედ, როგორც თვით მაჰმადიანი მემკვიდრეებივე გვაუწყებენ, ზოგჯერ სულთნებზე და ამირებზეც კი მეტს მზრუნველობას იჩენდნენ, მათს სარწმუნოებრივ შეგრძნობას ანგარიშს უწყევდნენ და არც მფარველობა არ მოუკლიათ“ (ქ. ე. ი., წიგნი II, გვ. 305). მეტიც, ქართველები ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ არაბულ კულტურას, მწერლობას, მეცნიერებას. ქართველებზე დიდი გავლენა ჰქონდა ახალ სპარსულ ფერსავსე საგმირო და სააშიკო პოეზიას. თუმცა „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მეჩუნეიანი“ სპარსელი მაჰმადიანი მგოსნების დაწერილი იყო, მაგრამ ქრისტიანი ქართველებიც გატაცებით კითხულობდნენ, ვინაიდან მათთვის ეს თხზულებები ხელოვნების ძვირფას განძს წარმოადგენდა.

თ ა ვ ი VII. ხველაზე დიდი გზა პირველი ნაბიჯით იწყება

ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის და მისი შემდგომი უწყვეტი წარმატებებისათვის ულუევი გზა პირველი ნაბიჯით დაიწყო.

პირველ ბიძგად იქცა ერთი შეხედვით სრულიად უბრალო და მარტივი გარემოება — პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შექმნა. სხვადასხვა მიზეზთა დამთხვევამ ეს ფაქტი ისტორიულ ნიშანსვეტად აქცია. აქ ჯავახიშვილი იმ მაქსიმით ხელმძღვანელობდა, რომ „ვინც მუდმივ და დაუცხრომლად თავის მიზნის განხორციელებაზე არ ზრუნავს, ის, როცა საქმის აღსრულებას დრო მოახლოვდება, შეიძლება პირლია დარჩეს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება სტუდენტთა კრამოლური მოძრაობით დამფრთხალმა ხელისუფლებამ შექმნა. წესდებით და მისი შემავსებელი აქტებით ყველაფერი ეკრძალებოდა სტუდენტობას, ისიც მკაცრად განსაზღვრული იყო, რა უნდა გაეკეთებინათ მათ. ჯერ ერთი, პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო ვერ გახდებოდა სტუდენტად, მას არ შეეძლო საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულის სტიპენდია მიეღო, საზღვარგარეთის მივლინება მოეთხოვა, ემუშავნა სახალხო განათლების ორგანოებში. მას არ შეეძლო უკმაყოფილება გამოეთქვა მასწავლებლის შესახებ. პოლიციურ ზედამხედველობას სტუდენტობაზე საზღვარი არ ჰქონდა. ისიც დადგენილი იყო, სტუდენტს გამოცდებზე ყველა შემთხვევაში ფეხზე ამდგარი უნდა ეპასუხნა, „მით უფრო, რომ გამოცდების ჩატარების ამგვარი წესი არსებობს სამხედრო აკადემიებში ოფიცერებისათვის“. როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტებს წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი კორპორაციული უფლება. მათ არა მარტო სტუდენტური საზოგადოების შექმნა არ შეეძლოთ, არამედ აკრძალული ჰქონდათ საჯარო კრებების, კონცერტებისა და ბალების ჩატარება, სტუდენტური

სამკითხველოების მოწყობა. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგებოდა არა თუ გონიერ წარმოდგენას სტუდენტურ ცხოვრებაზე, არამედ თვით რუსეთის საიმპერატორო უნივერსიტეტების ადრინდელ ტრადიციებს, 1863 წლის საუნივერსიტეტო წესდებას. გასაგებია, რომ რუსული სტუდენტური მოძრაობის ტალღები მძლავრად და განუხრელად არღვევდნენ ასე უადგილოდ და ხელოვნურად აგებულ ჭებირებს. თითქოსდა თვითონ მთავრობას ხელს აძლევდა სტუდენტთა რაც შეიძლება მეტი მასა აღმოჩენილიყო „საზოგადოებრივი წესრიგის“ დამარღვევთა რიგებში, რომ მათ წინააღმდეგ უფრო თამამად გამოეყენებინა კანონით დადგენილი რეპრესიები, მათ შორის სტუდენტთა სალდათად გაგზავნა და ამით სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერის დემონსტრაცია მოეხდინა. მალე ცარისტული ხელისუფლება რწმუნდება, რომ სტუდენტთა შორის საწესდებო მოთხოვნათა დარღვევა თავისებურ მთავრულ სენად იქცა და მართოდ რეპრესიები თვითონ საუნივერსიტეტო განათლების არსებობას უქმნის საფრთხეს. იგი ცდილობს რეპრესიების გვერდში ილუზორული დათმობებიც დაუშვას, მათ შორის წინასწარვე შეურიგდეს დარღვევას ისეთი აკრძალვებისას, რომელთა ახსნაც შეუძლებელია.

1901 წლის დეკემბერში განათლების სამინისტრო ნებას აძლევს სტუდენტებს წრეების დაარსებისა, კურსის მამასახლისის არჩევისა და კრებების მოწვევისა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა აუცილებელი დასწრებით, თუმცა საუნივერსიტეტო შეკრების მოწვევა კვლავ აკრძალულია. რევოლუციის აღმავლობის დროინდელი დათმობა — 1905 წლის 27 აგვისტოს მიღებული დროებითი წესები — მთელ რიგ უფლებებს ანიჭებდა სტუდენტთა გაერთიანებებს, მაგრამ მალე რევოლუციის დამთავრების კვალდაკვალ ყველა ეს მონაპოვარი ქარწყლდება. მაინც ცარისტული ხელისუფლება იძულებულია დაუშვას სტუდენტთა ისეთი გაერთიანებების არსებობა, რომელთაც „წმინდა“ აკადემიური მიზნები ჰქონდა. სტუდენტთა წრეები ჭერ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში იქმნება, შემდეგ კი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეების შესასწავლად. ასე, 1907 წელს იქმნება ციმბირისა და უკრაინისმცოდნეობის წრე, ამავე წელს საფუძველი ეყრება ქართველ სტუდენტთა წრეს, 1910 წელს იქმნება ლატვიისმცოდნეობის წრე, 1912 წელს — ბელორუსის, 1914 წელს — სომხეთის, პოლონეთის, 1915 წელს — ბალკანეთისმცოდნეობის და ა. შ. წრეები. მათი საქმიანობა წინასწარვე შემუშავებული რეგლამენტით ტარდებოდა. მართალია, ყოველ წრეს თავისი წესდება უნდა ჰქონოდა, მაგრამ იგი უნდა დაემტკიცებინა უნივერსიტეტის საბჭოს. ორი წერის რეკომენდაციით ხდებოდა წრეში მიღება. განსაზღვრული იყო წრის წევრთა უფლება-მოვალეობანი. სტუდენტთა ამ წრეს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ხელმძღვანელი უნივერსიტეტის პროფესურისა, ანდა პრივატ-დოცენტთა რიცხვიდან. სწორედ მეცნიერ ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმებულიყო თემებისა და მოხსენებების არჩევა. მოხსენებების წაკითხვა და მათი განხილვა წრის მუშაობის მთავარი ფორმა იყო. სტუდენტთა ყოველ მეცადინეობას უნდა დასწრებოდა მეცნიერი ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად სხდომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო. წესი იყო, სხდომების შესახებ უნდა სცოდნოდა რექტორს, რომლის ნებართვა იყო საჭირო, რომ გარეშე პირები დასწრებოდა ამ სხდომას.

ივანე ჯავახიშვილმა აქაც არ დააგვიანა გამოეყენებინა ლეგალური გზა სტუდენტთა წრის შექმნისა ერის სამსახურისათვის და ერთ-ერთმა პირველმა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში მოსწავლე და მომუშავე სხვა-

დასხვა ერის წარმომადგენელთა შორის ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც შემდგომ ისტორიული როლის შესრულება ხვდა წილად კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის შექმნაში. 1907 წლის 11 დეკემბერს ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თხოვნით მიმართავს ქართული სამეცნიერო წრის დროებითი ბიურო. მასში ვკითხულობთ: „ამასთანავე გიდგენთ ქართული სამეცნიერო წრის წესდების პროექტს და უმორჩილესად გთხოვთ პროფესორთა საბჭოს, დაგვიმტკიცოთ ხსენებული წესდება. იმავე დროს ბიურო შუამდგომლობს თქვენს წინაშე ზემოხსენებული წრის ხელმძღვანელობა მიანდოთ პრივატ-დოცენტს ივ. ჭავჭავიძეს“. რასაკვირველია, პრივატ-დოცენტის მუშაობა სტუდენტთა შორის არ დაწყებულა მას შემდეგ, როცა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ამტკიცებს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წესდებს. ამას წინ უძღოდა ივ. ჭავჭავიძელის ფრიად საინტერესო მუშაობა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, აგრეთვე მის ცალკეულ წევრებთან მათი სხვადასხვა თხოვნისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ივ. ნიჟარაძის სიტყვებით, ივ. ჭავჭავიძელი სტუდენტობის ხანიდან არ იშურებდა დროს ეზრუნა სატახტო ქალაქში მოსწავლე სტუდენტებზე. უსიტყვოდ, დაუზარლად დაჰყვებოდა მათ სხვადასხვა ორგანიზაციებში თხოვნებზე, რომ ნიჟიერი ქართველი ახალგაზრდისათვის სწორი გზა ეჩვენებინა. მისი რჩევით ბევრ მათგანს გადაუწყვეტია მომავალი სპეციალობის ბედი, არცთუ იშვითად შეუცვლიათ ფაკულტეტი. თვით ივ. ნიჟარაძემ ორი კურსის ვავლის შემდეგ დატოვა ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის მათემატიკის განყოფილება და გახდა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო უფრო გვიან ი. ყიფშიძე ტოვებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების განყოფილებას და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. ივ. ჭავჭავიძელი პრივატ-დოცენტობის დროს, ივ. ნიჟარაძის სიტყვებით, იყო სტუდენტთა შორის ყოველი სიკეთის სულსჩამდგმელი და ყველაფერში სამაგალითო ადამიანი. ყოველი სტუდენტი გულის სიღრმეში ატარებდა მის საყვარელ სახეს. თითქმის ყველა ქართველი სტუდენტი დადიოდა მასთან შინ, ივ. ჭავჭავიძელი ახალისებდა თითოეული მათგანის შემოქმედებით სწრაფვას. ახლა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან ერთად ივ. ჭავჭავიძელს საშუალება მიეცა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეშვეობით უფრო მიზანსწრაფულად წარემართა მათი სწავლა-აღზრდა.

1908 წლის თებერვლიდან დაიწყო ოფიციალურად პეტრეს ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის არსებობა. წრის ხელმძღვანელი უცვლელად პრივატ-დოცენტი ივ. ჭავჭავიძელია. წრეს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც მხოლოდ სტუდენტი უნდა იყოს.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის პირველი თავმჯდომარე იყო სტუდენტი იოს. ყიფშიძე, წრეში შედიოდნენ: კ. შარაშიძე (მდივანი). შოთა დადიანი (ხაზინდარი), სერ. ჟორჯოლიანი (ბიბლიოთეკარი) და გ. ქუბაბრია (ბიბლიოგრაფიული სექციის ხელმძღვანელი), სარგევიზო კომისიის წევრები იყვნენ: რ. გაბაშვილი, გ. ლორთქიფანიძე და ა. შანიძე (უკანასკნელი 1909 წლიდან). სულ წრეში 25 კაცი იყო გაერთიანებული.

დასაწყისში წრეს არ მოეპოვებოდა თავისი ბიბლიოთეკა და იგი ქართველთა სათვისტომოს ბიბლიოთეკით სარგებლობდა, თუმცა მალე იწყებს უკვე თავის საკუთარი წიგნთსაცავის შექმნას. წრის სახსრებს არსებითად საწევრო გადასახადები შეადგენდა. პირველ საანგარიშო წელს მას გააჩნდა 134 მანეთი და 73 კაპიკი. საანკეტო ფურცლებისათვის, ბიბლიოთეკისა და სხვა ხარ-

ჩებისათვის წრეს 94 მანეთი და 44 კაპიკი გაუღია. წრის ხელმძღვანელი პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი სტუდენტთა ამ თვითმოქმედების ზოგად სამოქმედო მიზანს ასე განსაზღვრავდა: მისი წევრები თვითონაც უნდა შეჩვეოდნენ საქართველოს წარსულისა და აწმყოს მეცნიერულ შესწავლას და ამასთან ერთად შეძლებისდაგვარად ისეთი საქმის განხორციელებაც ეკისრათ, რომელსაც ქართულ ფართო საზოგადოებისათვისაც მნიშვნელობა ექნებოდა და სარგებლობასაც მოუტანდა მას. გასაგებია, რომ ეს მიზნები გაცილებით სცდებოდა წრის საწესდებო უფლება-უნარიანობის ფარგლებს, როგორც აღვნიშნეთ, მთავარი ფორმა წრის მუშაობისა მოხსენებების წაკითხვა იყო. მოხსენებები ქართულ ენაზე იკითხებოდა. სწორედ ეს იყო წრის არსებობის ძირითადი მიზანი. მოხსენებების გარშემო სჭაბაასიც ქართულად მიმდინარეობდა. ეს კი დიდი საქმის დასაწყისი იყო, ვინაიდან ქართულ სამეცნიერო ენას უაღრესად ვიწრო და მოუხერხებელი სავარჯიშო მოედანი ჰქონდა. სამეცნიერო თემებზე ძველი ტერმინების დავიწყებისა და ახალ ცნებათა საჭირო ტერმინების უქონლობის გამო ისეთ სიძნელეს წარმოადგენდა, რომელიც აფრთხობდა კიდევ ზოგიერთ სწავლულს, რომელთაც უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული ქართულ ენაზე სრულფასოვანი მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის ცდაზე.

ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე ერთ-ერთი ის პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი იყო, სადაც ქართულად მეცნიერული ენა გაიკვეთა.

საკვირველი უნარი ჰქონდა პრივატ-დოცენტ ივანე ჯავახიშვილს. იგი ახერხებდა სატახტო ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტში ქართულადაც წაეკითხა ლექცია (როცა მსმენელები მხოლოდ ქართველები იყვნენ) და შეექმნა მომავალ მეცნიერთა ახალგაზრდული ბირთვი, რომელიც მეცნიერების ძველ და ახალ ცნებებს თამამად აამეტყველებდნენ ქართულ ენაზე. წამოწყება მართოდენ ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული ტერმინოლოგიის დახვეწა-დაწინაურებით როდი იზღუდებოდა. თანდათანობით წრის წევრები ბუნებისმეტყველების დარგის ტერმინოლოგიაზეც ზრუნავდნენ. ასე, 1915 წელს წრის წევრები აგროვებდნენ მასალას ქართული ენის ტექნიკური ლექსიკონისათვის. ქართული ხელნაწერებიდან და ძველი ნაბეჭდი წიგნებიდან იწერდნენ მეცნიერულ ტერმინებს და გამოთქმებს ფიზიკაში, მათემატიკაში, ბოტანიკაში, მედიცინაში, ლოგიკაში და სხვა დარგებში. სტუდენტთა წრის მუშაობა არ იზღუდებოდა სასწავლო სემესტრებით. მას შემუშავებული ჰქონდა პროგრამა ხაფხულის არდადეგების პერაოდში სტუდენტთა საქმიანობისა ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიური და სხვა ცნობების შესაკრებად. როგორც აღვნიშნეთ, წრეს მართო ჩვენი წარსული როდი სურდა გაეხადა შესწავლის საგნად. მას არანაკლებ აფიქრებდა სამშობლო ქვეყნის აწმყო, რომ უკეთესი მომავლის გზებზე ეფიქრა ხალხს. გასაგებია, რომ ეს შორდებოდა აკადემიზმის ფარგლებს, მაგრამ ჩვენ სწორედ ამ მოღვაწეობაში ვხედავთ მისი განსაკუთრებული როლის ახსნას. პირველი, რაც მათ აფიქრებდათ, ეს იყო ჩვენი ხალხის უძრავლესობის — გლეხთა მდგომარეობის შესწავლის საკითხი. ამ მიზნით სამეცნიერო წრემ 1910 წელს შეიმუშავა გეგმა-კითხვარი საქართველოს სოფლების ეკონომიკური და სხვაგვარი მდგომარეობის გამოსარკვევად. იგი სტამბურად დაიბეჭდა, აგრეთვე გაზეთ „დროებაშიც“. წრის წევრების მიერ 1910 წლის საზაფხულო არდადეგების გამოყენებისათვის და ადგილობრივ პირთა დახმარებით წრემ გადაწყვიტა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სყო-

ლების მდგომარეობა შეესწავლა, შექმნა საქმის გასაძლიერად გამგეობა. „ტფილისის გამგეობაში შედის სიმი კაცი: რუზო გაბაშვილი, გიორგი მამრამე და ვანო ჩერქეზიშვილი, ქუთაისის გამგეობაში კი არჩეულნი არიან იოსებ ყიფშიძე და გიორგი ქუბაბრია. ამ გეგმების მიღება კი შეიძლება ტფილისის და ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“.

შეკრებილი ცნობები პირველ სექტემბრამდე უნდა მიეტანათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, პირველი სექტემბრიდან კი უნდა გაეგზავნათ ფოსტით პეტერბურგის უნივერსიტეტში პრიატ-ლოცენტ ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავიშვილის სახელზე. კითხვარი, თანამედროვე სოციოლოგთა ერთი რომ ვთქვათ, სოფლის კომპლექსურ შესწავლას გულისხმობდა.

სხვადასხვა შინაარსის კითხვებს შორის იყო ასეთებიც: „რა უჭდება სოფელს წლიურად ადგილობრივი ადმინისტრაცია?“.

რა ეკლესიები არსებობს სოფლად სარწმუნოების მიხედვით?

რამდენი მღვდელი, დიაკვანი და სხვა საეკლესიო პირნი არიან სოფლად?

რამდენს აძლევენ მღვდელს, დიაკვანს და ეკლესიის სხვა პირს დრამისას და სხვაგვარს გასამრჩელოს?

არსებობს თუ არა და, თუ არსებობს, რა და რა სკოლები? სახაზინო, საზოგადოების, საეკლესიო ან სამონასტრო? რამდენი მასწავლებელია სოფელში?

მათი ეროვნება, სარწმუნოება, სწავლა-განათლების ცენზი, წოდება და წლოვანება?

არსებობს თუ არა სოფლად ბიბლიოთეკა? რანაირი, ვისია: საზოგადოებისა თუ სკოლის? არის გავრცელებული ყურნალ-გაზეთების კითხვა თუ არა?“

როგორც ვხედავთ, კითხვარი სრულიად არ იზღუდებოდა ეკონომიკური ყოფის აღწერით. რასაკვირველია, კითხვებს შორის ქარბობდა ეკონომიკური ინფორმაციის მომწოდებელი ცნობები, როგორცაა: „თვითეულ კომლს რამდენი მიწა აქვს საკუთარი, — იჯარით ან საღალეთ აღებული. ვენახი ან ბაღა აბადია თუ არა? სოფელი ვენახ-ბაღებიანია თუ ტიტველი? სოფლის გარეთ ამ სოფლის მცხოვრებთ აქვთ ვენახები ან ბაღები და ბოსტნები თუ არა? თუ აქვს, რა მანძილზეა დაშორებული და რაგვარი გზა მიდის იქით?“.

„... რომელი მეურნეობის დარგი შეადგენს მცხოვრებთა ცხოვრების უმთავრეს საღსარს?“.

„ალო, მოდგამობა, მამითადი და ნადი თუ იციან, მისი წესი, პირობები და ფასები (სასურველია დაწვრილებითი ცნობები)“. „ღალის პირობები. სასურველია დაწვრილებითი ცნობები იყოს შეკრებილი და ფულად გამოანგარიშებული, იყოს ღალის ფასი, უნდა გაიგოთ დღიურისა და ქცევის მოხვნა, დაფარცხვა-დათესვა რამდენი ჯდება, თესლი რა ღირებულებისაა, საჭიროა მორწყვა, გათონა ან გამარგვლა, მომკა ან ტეხვა რა ღირს და ამის მიხედვით საერთო მოსავლის და საბატონო წილის ღირებულება უნდა იყოს გამოანგარიშებული. ფულად აძლევენ თუ თვით მოსავლით, „გლეხკაცის ყოველწლიური მოსავლის რაოდენობა: პურად, ლეინოდ, სიმინდად, ქერად, ბზედ და სხვ., „წლის განმავლობაში ოჯახს რამდენი ეხარჯება? რჩება რამ ზედმეტი თუ არა?“

„შემოსულიდან თუ ჰყიდის რამეს? რამდენს? რა ფასად და როგორ: თვითონ თუ ჩარჩის საშუალებით?“

„სოფლელები სამუშაოდ ხომ არ მიდიან ხოლმე, რამდენი მამაკაცი და დედაკაცი, საღ, როდის (ზამთრობით თუ წლობით, მუდმივ თუ ხანდისხან)“ „და-

არებიან თუ არა დალალები: რა დროს, საიდან და რით აძლევენ გლეხები საქონლის ფასს: ფულით თუ მოსავლით“ და ა. შ. და ა. შ.

გასაგებია, რომ მიზანი გამოკვლევისა უაღრესად ფართოა. მთელი ორი გუბერნიის მასშტაბით მისი განხორციელება აღმრიცხველ-ინფორმატორთა დიდ რაოდენობას და მათ წინასწარ მომზადებას გულისხმობდა. ამასთან, ეს ადასტურებდა წრის დიდ განზრახვას, რომ მშობელი ხალხის ჭირ-ვარამის გვერდზე არ მდგარიყო და ეფიქრა მის უკეთესს მომავალზე. რასაკვირველია, ეს ცნობები საყოველთაო და ამომწურავი საქართველოს სინამდვილისა ვერ იქნებოდა. მაინც დამახასიათებელია წრის განზრახვის კეთილშობილება.

პასუხების ერთი ნაწილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისისა და ქუთაისის განყოფილებაში მოვიდა, მეორე კი შემდგომ უშუალოდ პეტერბურგში მიიღო პრივატ-დოცენტმა ივ. ჭავჭავაძემ. ივანე ჭავჭავაძის არქივი ინახავს პასუხებს იმაზე, თუ როგორი იყო ქართული სოფლები: ასკანა, ექაღია, საწულუკიძეო, ქვემო ქვიტირი, მათხოჯი, სიმონეთი, არადეთი, გრემი, დეაბზე 1910 წელს.

მართალია, აღწერის ხარისხი სხვადასხვაა. ამასთან კორესპონდენტთა მომზადების დონეც განსხვავებულია. ზოგს ეხერხება მხატვრული ფერებით აღწეროს სინამდვილე, ზოგს კიდევ ზუსტი და ოქმის სტილით აქვს პასუხები გაყვანილი.

ასკანიდან შ. თალაკვაძე კითხვაზე, თუ რა განათლება აქვთ სოფლის მოხელეებს, პასუხობდა: „განათლება — მხოლოდ წერა-კითხვა იციან. სოფლის მწერალს („მოსე მწერლის“ კოპიო) სამოქალაქო სასწავლებელი არ გაუთავებია“.

კითხვაზე—როგორია გლეხთა შორის შრომის ურთიერთდახმარების ფორმები? ივ. სალუქვაძე ექაღიიდან სწერდა: „სოფელში იციან ნადი. ნადს იწვევენ ყანის, სიმინდის გარჩევის, რთველის და სხვა საჩქარო მუშაობის დროს... თუ გლეხს გაძლიერებული აქვს, მაგალითად, გასამარგლი სიმინდის ყანა და თვითონ ვერ აუღის, მაშინ ის თავს უყრის მეზობლებს 5-დან 20 კაცამდე და ხშირად მეტსაც. საუცხოო სანახავია ამ დროს — თავზე ტილო წაქრულ, გულგაღელილ, მკვირცხლ გლეხების მწყობრი მუშაობა ყანაში: ისინი ერთმანეთს ეჭიბრებიან თოხის სიჩქარე-სისწრაფეში, ენა-მახვილობაში და ზუმრობა-ლაზლანდარობაში. მათი მშვენიერი სიმღერა ნადური, საესებით იმორჩილებს, ამხნევენს და ატყობს ადამიანის სულსა და გულს.“

გლეხი ნადს უმასპინძლებდა საუზმით, სადილით, ზარმლით და ვახშმით. ვახშამი ხშირად გათენებამდის გასტანს... მომწვევი ნადს სასყიდელს ფულად არ აძლევს, მხოლოდ ის ვალდებულია სამაგიერო მოხმარებით, სესხად ანუ როგორც აქ ეძახიან „მაინდი“ გადაიხადოს“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა წრის წევრი გ. ჭუბაბრია ცნობებს აწვდიდა სოფელ საწულუკიძეოდან. 1910 წელს „სულ სოფელში 325 კომლია. აქედან 295 კ. გლეხია. 20 კ. აზნაური და 10 კ. თავადი. აქედან 969 მამრობითი სქესისაა და 962 სული მდედრობითის. ყველა ქართველია და მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“.

ოღესის უნივერსიტეტის სტუდენტი შ. ავალიანი აცნობებდა: „ქვედა ქვიტირიში სკოლა არ არსებობს, რის გამოც მცხოვრებლები, ვისაც კი შეძლება აქვს, ქუთაისში გზავნიან ბავშვებს სკოლაში და ვისაც არ შეუძლიან იარონ, იძულებული არიან ან სულ არაფერი ასწავლონ ბავშვებს, ანდა უნდა გაგზავნონ სხვა მეზობელი სოფლის სკოლაში. სკოლის უქონლობის გამო ეს

სოფელი ძლიერ ჩამორჩება სწავლა-განათლების მხრივ. სულ 8 ბავშვი სწავლობს ამ სოფლიდან, მათ შორის 5 აზნაურია და 3 გლეხი“. სოფელ მათხოჯში 1910 წელს „აქვე ერთი ეკლესია, სადაც მსახურობს ორი მღვდელი, ერთი დიაკონი და ერთი მედავითნე; აგრეთვე დედათა მონასტერი, სადაც არის 40 მონაზონი და ერთი მღვდელი“.

სოფელ გრემს აღწერს კ. შარაშიძე: „სოფლის მოხელენი ისევ ადგილობრივი მცხოვრებლები არიან (მამასახლისი, ნაცვალი და სხვა). სწავლის ცენზი: წერა-კითხვა. შენიშვნა, მწერალი ჩემს იქ ყოფნაში არ ჰყავდა სოფელს“.

სოფელ გრემში „სამი ეკლესიაა. წირვა-ლოცვა მხოლოდ ერთშია. ორი გაუქმებულია. გლეხია მართლმადიდებლურია. სოფელს ჰყავს ერთი მღვდელი, ერთი დიაკონი და ერთი მნათე“. სამაგიეროდ სოფელში არავითარი სკოლა არ არსებობს, „სოფელში არავითარი ბიბლიოთეკა არ მოიპოვება, ეურნალ-გაზეთებს თუ შეხვედებით თავადიშვილების ოჯახში“.

სოფელ არადეთში კი „ბიბლიოთეკა არ არის. გაზეთი მხოლოდ ერთ ოჯახს მოსდის მთელს სოფელში და ისიც ზაფხულობით“. ივ. ღლონტი სოფელ დვაბზუზე წერდა: „სოფელი დვაბზუ წარმოადგენს დიდ ბალს სხვადასხვა ხეხილებით შემკულს. სოფელში 2 სკოლაა: ორკლასიან სამონასტრო სასწავლებელშია 30 მოსწავლე, ერთკლასიან სამრევლო სასწავლებელში 27. ორივე სასწავლებელში მსახურობს 4 მასწავლებელი, დაბალი სასწავლო ცენზით“.

ბუნებრივია, რომ ამ საანკეტო გამოკითხვას ბევრი ნაკლი დაჰყვა თან. და მაინც ის სასარგებლო იყო. მსგავსი რამ საქმის უკეთესი ორგანიზაციის ვითარებაში გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანდა. ამ მიზნებისათვის ფართოდ უნდა გამოეყენებინათ სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა. უკვე 1909 წელს შემუშავდა საანკეტო ფურცელი ქართველ სტუდენტთა მდგომარეობის ყოველმხრივ გამოსარკვევად. რუსეთის და ევროპის უმაღლეს სკოლებში ქართველ სტუდენტთა მდგომარეობის შესწავლას ივ. ჭავჭავაძის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის როდი აკეთებდა.

ცარიზმის საფუძვლები შეარყიეს რუსეთის პირველი რევოლუციის ღრძა ბიძგებმა; ახლა მომავალი დამანგრეველი ბიძგების ძალა გარდუვალად ისახებოდა. რევოლუციამ არნახული გაქანება მისცა ხალხთა სწრაფვას განათლებისაკენ. სახალხო უნივერსიტეტები, საჯარო ლექციებისადმი მსმენელთა გაძლიერებული ინტერესი დადასტურება იყო ხალხის გაძლიერებული ლტოლვისა განათლებისადმი. მომავალი უნივერსიტეტის პერსპექტივა მაინც მოახლოებულ მიზნად ჩანდა. ამის რწმენას ივ. ჭავჭავაძის ისიც აძლევდა, რომ, როგორც მან გაიგო, 1905 წლის 10 მარტს გორის მაზრის კავთისხევისა და ნიჩბისის სასოფლო საზოგადოებათა გლეხობას თავიანთი მოთხოვნის ერთ-ერთ პუნქტად თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნივერსიტეტის დაარსებაც დაუდგინათ.

ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის პოპულარობა სწრაფად გავრცელდა სატახტო ქალაქში, ამას შედეგად მოჰყვა ინტერესის გაზრდა აღმოსავლური ენების ფაკულტეტისადმი. ეს თავის შედეგად სომხურ-ქართული სიტყვიერების განყოფილებაზე ქართველი სტუდენტების რიცხვს ზრდის უპირატესად. როგორც გვიან აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავდა, 1905 წლის შემდეგ ეროვნული კულტურის შესწავლისადმი გაზრდილი ინტერესის თავისებური ბარომეტრი იყო ის, რომ იზრდებოდა სტუდენტთა რაოდენობა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. „ქართველი სტუდენტები გამრავლდნენ სომ-

ხურ-ქართულ განყოფილებაზე და შექმნეს ძირითადი კონტინგენტი საერთოდ არც თუ დიდი აუდიტორიისა. ფაკულტეტთან არსებულმა ქართველ სტუდენტთა წრემ ჩემი მოწაფე-ქართველების ხელმძღვანელობით და ენერგიული მონაწილეობით განავითარა ინტენსიური საქმიანობა მშობლიური კულტურის შესასწავლად, რამაც თავის გამოვლინება პპოვა სტუდენტ ქართველების მოზღვავებით სხვადასხვა ფაკულტეტებიდან და თვით ქართველი სტუდენტი ქალებით უმაღლესს ქალთა კურსებიდან კავკასიისმცოდნეობის, უპირატესად ქართველმცოდნეობის, ლექციებზე, ამიტომ ზოგიერთი ლექციის გადატანა მომხსნა მე თითქმის ცარიელი აუდიტორიიდან, რომელიც ათამდე სტუდენტისათვის იყო გამიზნული, სრულ აუდიტორიაში, რომელიც ათეულობით მსმენელ ვაჟებსა და ქალებს იტევდა“.

როგორც ვხედავთ, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა წრე მთელი სტაბილური ქალაქის ქართველ სტუდენტთა წრედ იქცა (სამხედრო-სამედიცინო აკადემია, ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სხვ.); მასში პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ქალბატონი იწყებენ აქტიურ მონაწილეობას, მათ შორის ბესტუჟევის უმაღლესი ქალთა კურსების — მსოფლიოში პირველი ქალთა უნივერსიტეტის — მსმენელი ქალები. ივ. ჯავახიშვილი არ იზღუდება, რა თქმა უნდა, წესდების ფარგლებით და წრეში აქტიურად იწვევს პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას, ამასთან სტუდენტ ქალებთან მუშაობისათვის საგანგებო დროს გამოყოფს. მისი დიდი პედაგოგიური ტაქტი, სხვისი ყურადღებით მოსმენის განსაკუთრებული ნიჭი, მაღალ მეცნიერულ ავტორიტეტთან შეერთებული, ზრდის ქალ-მსმენელების რიცხვს. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. 1969 წელს „სკოლა და ცხოვრება“ ჟურნალში (№ 8) გამოქვეყნდა პროფ. ს. ხუციშვილის სტატია „საოჯახო ქრონიკის ფრაგმენტები“ (გვ. 74—86). მასში შესანიშნავი ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის მიმოწერაა შეილებთან — თამარ, ნინო და იულონ ლომოურებთან — ჩვენი კულტურის დაუღლელ მოღვაწეებთან. ნინო ლომოური, შემდგომში იურისტი და მწერალი — 1913 წლის დეკემბერში მამას სწერდა: უმაღლეს ქალთა კურსებზეც დაეარსეთ ქალთა სამეცნიერო წრე პრეიატ-დოცენტ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ აღნიშნავს, რომ „გასულ 1912 წელს პირველი რეფერატის დაწერა მას დაევალა. ახლა, როცა მოვიდა ივ. ჯავახიშვილი, დავნიშნეთ დღე კრებისა, დაეფატურდი: და მას გამოვართვი თემა „ბატონყმური განწყობილება ათაბაგი ბექას და აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით“.

პრომატორს წინადადება მიუცია ნ. ლომოურისათვის, რომ მას ნ. ურბნელის წიგნით დაემუშაებია საკითხი. ნ. ლომოურს კი შეუესია მისი წარმოდგენით და ივ. ჯავახიშვილისათვის წარუდგენია. მეცნიერს მეტად თავზაიანად აუხსნია ნაკლი მოხსენებისა და არ ჩაუკლავს მასში მომავალი კვლევის სურვილი. ნინო ლომოური მამას სწერს: „ხომ იცი, რა ზრდილობიანია! არ მითხრა — არ ვარგაო. ამიხსნა ჩემი მუშაობის დედა-ძარღვი და ღიმილით მითხრა, ნურც ურბნელს ენდობით და ნურც თქვენ დასკვნებს გამოიყვანთ სამართლის წიგნის უმუხლოდო.“

იმ საღამოს კიტა აბაშიძე იყო იმათთან ჩაიზე. მიმიწვიეს და გულდამწვარმა შევჩიველ ვანოს ცოლს, რომ რა ცუდად დამიწერია-მეთქი.

კიტამ ხომ სულ მომსპო: რა ქალის საქმეა კანონები, იჯექით, იყავით ჩუმათო.

წამოვედი ყურებ-ჩამოყრილი, გულში კი მტკიცედ გადავწყვიტე, დამეწერა მოხსენება, რომ მტრის გულისა არ გავმხდარიყავი:

... 9 ოქტომბრისათვის წავიკითხე. ჭავჭავიძეში მომიწონა — კარგად გა-
არკვეე საკითხიო. შენიშვნები მომცა, მართალია, მაგრამ რა უყოთ, მე ხომ მე-
ცნიერი არა ვარ, რომ არ შემცდენოდა. მთხოვა, ეს თემა გააფართოვეთ, კიდევ
სხვა საბუთებია, ისინი შეისწავლეთ და თქვენი დაწერილი შეავსეთო. თავი-
სუფლად ამოვისუნთქე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვლეღავდი. დედა კიდევ
მეუბნებოდა, რათ იყისრეო. თან ჭავჭავიძისა მრცხვენოდა და უფრო კ
ჩვენი ქართველი ქალებისა“.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტობაში მუშაობა არასაკმარისი აღმო-
ჩნდა. ივ. ჭავჭავიძე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის დადგენას,
თუ რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთისა და ევროპის უმა-
ღლეს სკოლებში, როგორი იყო ლტოლვა ქართველი ახალგაზრდებისა მეცნიე-
რების სხვადასხვა დარგებისადმი. 1912 წლის გაზაფხულზე წარმ მოაწყო
ანკეტირება პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტობის მდგომარეობის
შესახებ. შემდგომ საკითხად დადგა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სკოლაში
მოსწავლე ახალგაზრდობის ანკეტური აღწერა. 1913 წლის გაზაფხულზე და-
სრულდა ეს საქმე. პეტერბურგში დარიგებული ანკეტები რუსულად იყო
შედგენილი. იგი 57 მუხლისაგან შედგებოდა, ხოლო რუსეთის და ევროპის ქა-
ლაქებში გასაგზავნი ანკეტები — 15 პუნქტისაგან, იგი ქართულად იყო დაბე-
ჭდილი. დაიგზავნა არა მარტო რუსეთის ყველა ქალაქში, სადაც უმაღლესი
სკოლა იყო, არამედ ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცენტრებშიც.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე
იტყობინებოდა, რომ აქ დაახლოებით 150 ქართველი სტუდენტი, კიევიდან
უნივერსიტეტის სათვისტომოს თავმჯდომარე ქრ. რაჭველიშვილი სწერდა, რომ
იქ 140 ქართველი სტუდენტი. დ. იოსელიანი იურიევიდან (ტარტუდან) იტყო-
ბინებოდა, რომ აქ სხვადასხვა ფაკულტეტზე 55 კაცი სწავლობს. კერძო სა-
უნივერსიტეტო კურსებზე კი 25 ქართველია. მოსკოვის კოოპერაციული ინსტი-
ტუტის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე გ. ბასილაია და მდივანი
დ. გოგიჩაიშვილი სწერდნენ, რომ ინსტიტუტში 65 ქართველია. ი. ტურიაშვილი
იტყობინებოდა, რომ კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ახლა შვიდი ქართვე-
ლი სწავლობს. ალ. ნეფსადის ცნობით ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნე-
პროპეტროვსკის) სამთო ინსტიტუტში 7 ქართველია. სტუდენტი ს. ფიცხელაუ-
რი ხარკოვიდან იწერებოდა, რომ 55 შეკრებილ ანკეტას აბრუნებს, რომ ყველა
ანკეტის დარიგება ვერ მოახერხა. 1913 წლის 28 აპრილს მოსკოვიდან ნინო
ლორთქიფანიძე იწერებოდა, რომ აქ მოსწავლე ქალთა რიცხვი 48-ს არ აღემატე-
ბა; ქალთა კერძო უმაღლეს კურსებზე კი 20 ქალია. ვ. გაბუნია ტომსკიდან
აცნობებდა, რომ ქართველ სტუდენტთა რიცხვი უდრის 35-ს. დამახასიათებელია,
რომ ანკეტის შემდგენლებს სტუდენტთა „გეოგრაფიული“ განფენილობაც
აინტერესებდათ. სწორედ ამიტომ მესამე კითხვა იყო: სადაური ხარ (ქართლი,
კახეთი, სამცხე, საჩხვილო, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, იმერეთი,
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა-ქობულეთი, სამურზაყანო,
აფხაზეთი). ბევრჯერ პასუხში არ ყოფილა აღნიშვნები საქართველოს კუთხეებზე,
საიდანაც იყვნენ სტუდენტები. მაინც საინტერესოა ზოგიერთი პასუხი: ასე, 1913
წლის 26 მარტს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან იწერებოდნენ,
რომ იქ 6 ქართველი სტუდენტი. მათ შორის ორი იმერელი, ერთი გურული,
ერთი ქართლელი, ერთი კახელი და ერთიც თუში.

11 და 12 კითხვები ითხოვდნენ პასუხს, რამდენად იცით და შესწავლილი
გაქვთ ქართული ლიტერატურა და ისტორია, სად შეისწავლეთ. ქართულს გარ-

და თუ იცით ან მეგრულ-ქანური, ან სვანური ან აფხაზური. თანამშრომლობთ თუ არა ქართულ და რუსულ ჟურნალებში და ა. შ. მეტიც: ანკეტური კითხვარი სტუდენტის მატერიალური მდგომარეობის გარკვევასაც ითვალისწინებდა. მათ ისიც აინტერესებდათ, რა ეხარჯებოდათ ბინაში, სასმელ-საქმელში, თამბაქოში და წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

მერვე კითხვა „თუ რაიმე ავადმყოფობა ან სენი გქირთ, რომელი და სად დაგემართათ“, საბაზი გახდა ერთი წერილისა, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს იმდროინდელ დუხჭირ მდგომარეობას საშობლოდან შორს წასული სტუდენტებისას. 1913 წლის 31 მარტს ნოვოალექსანდრიიდან სტუდენტი მ. კანდელაკი იწერებოდა, რომ პასუხების დაგვიანებით გამოგზავნა გამოიწვია „ერთმა მეტისმეტად არასასურველმა მოვლენამ, რომელმაც თითქმის სუყველაფერი დაგვაიწყო: ერთი ამხანაგი (გაბრიელ ოქროპირიძე) ერთბაშად გახდა საშინელი ავადმყოფობით — ქლეკით ავად. ათი დღე საავადმყოფოში გვეწვინა და შემდეგ გავგზავნეთ საქართველოში. რადგანაც იგი მეტისმეტად ღარიბია, ამისი მდგომარეობა უფრო ძნელდება. აქ შეუუგროვეთ ათიოდე თუმანი და იმით გავგზავნეთ.“

თბილისიდან ის ან აბასთუმანში წავა ან რომელიმე საერთო სარჩენ ალაგას, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ამისთანა ალაგებს ძვირია ცხოვრება. ჩვენ გვინდოდა როგორმე მოგვეთავსებინა ან აბასთუმნის სანატორიუმში ან კიდევ სხვაგან სადმე თუ მთლად მუქთად არა, დაკლებული ფასით მაინც. რადგანაც ისეთს ვერავის ვიცნობთ; რომელსაც ან შეველა შეეძლოს ჩვენი ამ საქმეში. ან დარიგება მაინც, ამისათვის აქაური ქართველი ორი სტუდენტი ვბედავთ შეგვეკითხოთ: ხომ არ შეგეძლებოდათ ოქროპირიძეს სანატორიუმში მოთავსების შესახებ რაიმე დახმარება აღმოგეჩინათ ან კარგი დარიგება მოგეცათ, თუ სად და როგორ უნდა მიემართოთ, რომ ამ საქმეს უშველოთ რამე. უკაცრავად, რომ ამ წერილის უმთავრესს საგანს აუუხვიეთ და მასთან შეიძლება სრულებით არა სათქვენო საქმეზე გვეკითხებით. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი სტუდენტი (ქართველი) ირიცხება აქ ალექსანდრიაში, უნდა ვთქვა, რომ სულ ექვსი ითვლება“.

პასუხები მოდიოდა ევროპის უმაღლესი სკოლებიდანაც.

1913 წლის 18 აპრილს გ. ჯანელიძე ლიევიდან იწერებოდა: „ლიევიში ჩვენ ვართ 9 კაცი, მონსში 8 კაცი, ლონდონში 3 კაცი, გრენობლში — 2, პარიზსა და ლაიპციგში ჩვენი ვარაუდით იქნება 12—15 კაცი“. 1913 წლის 8 აპრილს ლაიპციგიდან ტიტე მარგველაშვილი იწერებოდა: აქ სულ 12 ქართველი ვართ. მათ შორის სამი ქალია. „გუშინ შემოგვიერთდა ერთი ქართველი ბერლინიდან ბ-ნი შანშიაშვილი (პოეტი)“. ტ. მარგველაშვილი თავისი პროფესორის დავალების შესრულებისათვის მორიდებით სთხოვდა ივ. ჯავახიშვილს, გაეგზავნა ქართული ხალხური ლექსი, სადაც ხარის პატივისცემით მოხსენიებას შეხვდებითო.

1913 წლის 7 აპრილს ენევიდან ალ. თორაძე სწერდა, რომ ენევაში 40 ქართველია. მათ შორის უნივერსიტეტში სწავლობს 32. აქედან 7 ქალია.

პასუხებია ბრიუსელიდან, პარიზიდან, ბერლინიდან და ა. შ.

ანკეტებზე მიღებული პასუხები ფრიად დამაიმედებელი იყო. აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომლის დაუფლებისათვის არ გამგზავრებულყო საშობლოდან შორს ქართველი ახალგაზრდა. სრულიად არ გამართლდა ის შეხედულება, რომ ქართველი ახალგაზრდობა იურიდიულ ფაკულტეტს ეტანება უპირატე-

სად, ხოლო შემდეგ სამსახურებრივ იერარქიის დაწინაურებაში ხარჯავს მთელს ნიჭსა და განათლებასო. 1000-ზე მეტი ახალგაზრდა აღმოჩნდა გაფანტული სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სკოლებში. ეს კი იმედით ავსებდა გულს, რომ თბილისში გახსნილ უმაღლეს სკოლას არ მოაკლდებოდა ახალგაზრდა თაობები, რასაკვირველია, თუკი ასეთი რამ შეიქმნებოდა. ანკეტურ გამოკითხვას რუსეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში ერთი სკანდალური შემთხვევაც მოჰყვა, რომელმაც კინალამ დალუპა მთელი წამოწყება.

ოდესის პოლიციას ერთ-ერთი ქართველი სტუდენტის ჩხრეკის დროს ხელში ჩავარდნია ქართულად დაბეჭდილი ანკეტის ერთი ცალი. შიშს დიდი თვალეები აღმოაჩნდა და კანონიერების ოდესის დამცველნი სასწრაფოდ აცნობებენ პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორს, ნამდვილად არსებობს თუ არა სატახტო უნივერსიტეტში ქართული სამეცნიერო წრე, ვინ არის მისი ხელმძღვანელი, აქვს თუ არა მას უფლება იმპერიის უნივერსიტეტებში აგზავნოს ანკეტები. არც რექტორის პასუხი იგვიანებს. 1913 წლის 28 მაისს შედგენილ მის წერილში ვკითხულობთ: „ოდესის ქალაქის პოლიციის მესამე უბნის ბატონ სასამართლო გამომძიებელს.

თქვენო აღმატებულება, პატივი მაქვს გაცნობოთ თქვენს შეკითხვაზე, რომ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ნამდვილად არსებობს „ქართული სამეცნიერო წრე“, რომლის ხელმძღვანელია პრივატ-დოცენტი თავადი ი. ა. ჭავჭავაძე. ცნობები ამ ნებადართული სამეცნიერო წრის საქმიანობის შესახებ იბეჭდება ყოველწლიურად ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ანგარიშებში. მაგალითად, 1912 წლის ანგარიშში 150—151 გვერდებზე და დანართში 119—120 გვერდებზე. აქვე ნათქვამია, რომ „გაზაფხულზე წრის მიერ ჩატარდა ანკეტირება იმ ქართველთა მდგომარეობის გამოსარკვევად, რომლებიც სწავლობენ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის შედეგები გამოქვეყნდა... რაც შეეხება ბლანკებს იმ საანკეტო ფურცლებისას, რომელიც თქვენს წერილს ერთვის, ამ მომენტში შეუძლებლად მიგვაჩნია გამოვავლინოთ მათი ნამდვილობის დონე, ანდა მათი შინაარსი იმის გამო, რომ წრის ხელმძღვანელი პრივატ-დოცენტი თავადი ი. ა. ჭავჭავაძე გამგზავრებულია საზაფხულო სამუშაოებზე“.

უნივერსიტეტის რექტორს იმდენად ქართველ სტუდენტთა წრის ბედი კი არ აფიქრებს, რამდენადაც მას არ ჩაეთვალოს დამატებით დარღვევად ქართველ სტუდენტთა ცოდვებიც. ამ მიზნითაა ხშირი ხაზგასმაც, რომ პრივატ-დოცენტი ი. ა. ჭავჭავაძე თავადია. ეს მართლაც ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა თავადობა გამოადგა ქართველ სტუდენტთა წრის პატრიოტულ საქმიანობას. არადა ქართველ სტუდენტთა წრეს მისი ხელმძღვანელის პრივატ-დოცენტ ივ. ჭავჭავაძის მეთავეობით კანონიერების დარღვევა, სახელდობრ, საწესდებო მოთხოვნათა დარღვევა აშკარად ჰქონდათ. მათ ნებადართვა საერთოდ არ აუღიათ ანკეტების გავრცელებაზე, ეს მაშინ, როცა მათ არა თუ იმპერიაში, საზღვარგარეთაც გაავრცელეს ანკეტები. უნივერსიტეტში საჭირო იყო ანკეტის დასაგზავნად რექტორის ნებადართვა, პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში — ქალაქის გუბერნატორისა, იმპერიაში — შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ხოლო საზღვარგარეთ — საგარეო საქმეთა სამინისტროსი. არც ერთი ეს არ ჰქონია ქართველ სტუდენტთა წრეს.

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტთა ანკეტურმა გამოკითხვამ იმედის მომცემი დასკვნები აღძრა, მაგრამ ამან, ამასთან ერთად, გამოაძეღა მეტად

და მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი სამშობლოდან მოწყვეტილი სტუდენტების განათლებაში. ფრიად დამაფიქრებელი იყო, რომ ბევრ მათგანს გადავიწყებული ჰქონდა ქართული ენა. ივანე ჯავახიშვილმა ამიტომ საჭიროდ ჩათვალა ამ ნაკლოვანებების შესახებ საჯაროდ ეთქვა, რომ ამ გზით ცდილიყო მის აღმოფხვრას.

1914 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილს მოხსენება წაუკითხავს „ღარიბ მოწყაფეთა შექმნე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ კრებაზე.

ივ. ჯავახიშვილს, როგორც ოქმში ვკითხულობთ, გაუზიარებია თავისა დაუკირებება ჩვენი სტუდენტების შესახებ, რაც ანკეტის შემდეგ აშკარად დაუნახავს და „უმთავრესს ყურადღებას იმ სამწუხარო გარემოებას მიაქცევს, რომ ჩვენმა მომავალმა ახალგაზრდობამ ქართული არ იცის, არ შეუძლიან ქართულად აზროვნება. მისი აზრით, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გიმნაზიებში, ყოველი ღონე იხმარონ, რომ ჩვენი მომავალი ახალგაზრდობა ეროვნულ ელფერს არ ჰკარგავდეს და მომავალ ეროვნულ მუშაობისათვის მზად იყოს. საზოგადოების კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოიწონა ივ. ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენება, დამყარებული იმ დიდ მასალაზე, რაც მას მოუგროვებია და, „ეთანხმება რა საესეებით პატივეცემულ პროფესორის სურვილს ჩვენს გიმნაზიაში ქართული ენის უკეთესად დაყენების აუცილებლობას, ერთხმად გამოთქვამს სურვილს, იმედსა და დარწმუნებულებას, რომ გამგე კომიტეტი და პედაგოგიური საბჭო მიიღებენ სათანადო ზომებს, რათა ივ. ჯავახიშვილის სურვილი შესრულდეს“.

ივ. ჯავახიშვილი მარტო იმის აღნუსხვით როდი კმაყოფილდება, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტში 1000 ქართველი სტუდენტი სწავლობს. არანაკლებ საჭიროა ცნობები სამშობლოში მყოფთა და სამშობლოდან გაფანტულ მეცნიერ მუშაკთა შესახებ. ივ. ჯავახიშვილი, მართალია თვითონ ზრდის მეცნიერების ახალგაზრდულ ცვლას ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მაგრამ, მას ასევე აინტერესებს ბუნებისმეტყველების და ტექნიკის დარგში მომუშავე ქართველთა რაოდენობა. თავის უბის წიგნაკში იგი დაწვრილებით აგროვებს ცნობებს მათ შესახებ, ხარობს თითოეული მათგანის წარმატებებით, მან გაცილებით მეტი იცის ამგვარი ახალგაზრდა მკვლევარების შესახებ, ვიდრე თვითონ მათ იციან ივანე ჯავახიშვილზე.

ალექსანდრე თვალკრელიძე, შემდგომ ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, იგონებს: 1913 წელს ბათუმიდან მივმგზავრებოდი ბათუმ-პეტერბურგის მატარებლით. ჩემს კუპეში გავიცანი სიმპათიური ქართველი კაცი, რომელიც ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა, მის შესახებ ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ პირადად არ მენახა და ამ გაცნობით დიდად კმაყოფილი დავრჩიო.

როდესაც ივანე ჯავახიშვილმა ჩემი ვინაობა ვაიგო, მისთვის ჩვეული სიღინჯით ამოიღო უბის წიგნაკი და მასში ჩემს შესახებ ცნობები შეამოწმა: სად ვმსახურობ, რა სპეციალობა მაქვს, რამდენი შრომა მაქვს დაბეჭდილი და რა თემაზე. ამასთანავე დასძინა, რომ ცნობები მას მიაწოდა გამოჩენილმა მეცნიერმა ვ. ი. ვერნადსკიმ.

ივ. ჯავახიშვილმა უთხრა ა. თვალკრელიძეს: არც თუ ისე მცირეა ქართველ სწავლულთა რიცხვი რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომ ხელსაყრელ ვითარებაში მათ ვერ შესძლონ ქართული უნივერსიტეტის მუშაობის დაფუძნება და წარმართვა. ამასთან, ივანე ჯავახიშვილმა ალექ-

ქსანდრე თვალკრელიძეს პირობა ჩამოართვა, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, სადაც უნდა იყოს და რა თანამდებობაც უნდა ეკიროს, ყველაფერს მიატოვებს და ქართულ უნივერსიტეტში გადმოვა სამუშაოდ. „მე სიამოვნებით მივეცი სიტყვა და ხელის მაგრად ჩამოართმევით დავეუბნებ, რომ ამ პირობას უეჭველად შევასრულებდი. საქმე იმაშია, რომ ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა ჩემი ოცნება იყო თავიდანვე“.

ივანე ჯავახიშვილი იმ დროს არა მარტო მომავალ სტუდენტებზე და პროფესორ-მასწავლებლებზე ფიქრობს მხოლოდ, არამედ იმ გამოცდილების შესწავლაზე, რაც რუსეთის პირველი რევოლუციის დროს უმძალეს სკოლაში მოხდა, როცა უნივერსიტეტის საბჭოები სტუდენტად იღებდნენ რეალური და კომერციული სასწავლებლების დამთავრებულებს, სემინარისტებს, ქალებს — თავისუფალ მსმენელებად. იგი დიდი გულისყურით სწავლობდა პეტერბურგში აკად. ვ. ბებტერევის მიერ ფსიქო-ნერვოლოგიური ინსტიტუტის შექმნის გამოცდილებას, განსაკუთრებით კი შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტის შექმნის გამოცდილება გახდა დეტალური შესწავლის საგანი.

რეაქციის გაძლიერების კვალდაკვალ ძნელდებოდა ქართული სამეცნიერო წრის ნორმალური მუშაობა. ყველაზე მძიმე იყო 1911 წელი, როცა რეაქციის ჩარევას უნივერსიტეტის ცხოვრებაში საზღვარი არ ჰქონდა. ამ წლის ოფიციალურ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ წრის საქმიანობა არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, რის გამო საერთო კრება სულ შვიდჯერ შედგა. ეს ბუნებრივიცაა. პოლიციის მიერ უნივერსიტეტის დაკავების გამო იქ არ შეიძლებოდა ნორმალურად ლექციების კითხვა განგრძობილიყო, მით უფრო სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ემუშავნა. 1911 წლის 31 მარტს ივ. ჯავახიშვილი არჩ. ჯორჯაძეს სწერდა: სამეცნიერო წრე „ეხლა უნივერსიტეტში მყოფი პოლიციის გამო არ მოქმედებს“. ხშირად ხომ უნივერსიტეტში მიტინგების ნაცვლად დღის წესრიგში ხიშტი დგებოდა.

სიძნელეებმა ძმადნაფიცებოვით შეაყვარა ერთმანეთი წრის წევრებს, ყველა მათგანმა კი შეიყვარა წრის ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი, რომლის თავმდაბლობა თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევდა მისულიყვნენ მასთან არა მარტო ცოდნისა და რჩევა-დარიგებისთვის, არამედ დახმარებისთვისაც მათი ცხოვრების ყოველი სიძნელისას. ივ. ჯავახიშვილი კი არც შინ და არც გარეთ არც ერთ თხოვნაზე არ ეუბნებოდა უარს მათ.

1911 წელი მეტად მძიმე აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილისათვის: დაჰკარგა უსაყვარლესი უმცროსი ძმა დავითი. გადაწყვიტა სამშობლოში ძვირფასი ძმის ნეშტი თვითონ გადმოესვენებინა. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ყველა წევრი ნოემბრის მსუსხავ დღეს გულდაღვრემილად აცილებს რკინიგზის სადგურზე საყვარელ მასწავლებელს, რომლის სახე უნაპირო, დაგუბებული მწუხარებით იყო აღსავსე. 18 ნოემბერს სათვისტომო სამგლოვიარო განცხადებას აქვეყნებს პეტერბურგის პრესაში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს არც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოსთან შეუწყვეტია კავშირი და არც ამ უკანასკნელის ფუნქციები მიუთვისებია, პირიქით, ორივე სტუდენტური გაერთიანება ერთობლივად მუშაობდა, ორივე ცდილობდა შეძლებისდაგვარად გაეუმჯობესებინა სტუდენტთა სწავლის პირობები. ახლა სათვისტომოში წამყვანი ძალა სამეცნიერო წრის წევრები იყვნენ. რასაკვირველია, ის მისხლობით შეგროვილი თანხები, რაც სათვისტომოს ჰქონდა, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა სტუდენტთა უმძიმეს ნივთიერ მდგომარეობას. საკმარი-

სია აქ მოვიყვანოთ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრის აკაკი შანიძის მაგალითი. 1909 წლიდან იგი იყო სამეცნიერო წრის სარევიზიო კომისიის წევრი. 1910 წლიდან მისი მდივანი, 1911 წლიდან — მისი თავმჯდომარე. სტუდენტთა უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობას გადმოგვეცემს მისი წერილი, გამოგზავნილი კენიგსბერგიდან მეცენატ დ. სარაჯიშვილის სტიპენდიების გამგებლის ნიკო ცხევედაძის სახელზე: „დიდად პატივცემულო—ნიკოლოზ ზეგელის ძე, ამ წერილთან ერთად ვუგზავნი თხოვნას სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიების გამანწილებელ კომისიას და ვსთხოვ დახმარებას, მხოლოდ რისი თქმაც თხოვნაში უადგილოა, მინდა რამდენიმე სიტყვით თქვენ კერძოდ გაუწყოთ. მოგეხსენებათ, თუ რა ძვირად ჯდება დღეს-დღეობით უმაღლესი სწავლის მიღება, უმთავრესად კი რუსეთის სატახტო ქალაქში, სადაც ყველაფერი ძვირია ავადმყოფობის გარდა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, უბრალო ოთახის ფასი 20 მანეთამდის აღის! ეხლა სასმელ-საკმეღი, ტანისამოსი, სახელმძღვანელო წიგნები და სხვ. დიას, წიგნები, თუ ვინმეს სწავლა სწყურია, აუცილებელი საჭიროებაა. მაგრამ არ იკითხავთ, თუ რა ძვირია მეცნიერული გამოცემანი საზოგადოდ და აღმოსავლური ენების შესახებ განსაკუთრებით?

არაბული, სპარსული ლექსიკონები და სხვ. გამოცემანი რამდენიმე ათეული მარკა ღირს! თუ სტუდენტს სურს ცოტად ოუ ბევრად ზეირიანი მეცადინეობა, კარგს რომ თავი დავანებოთ, გვარიან პირობებში მაინც უნდა ცხოვრობდეს, რომ პეტერბურგის ნოტიო და ჩვევებისათვის აუტანელი ჰაერის უდროო მსხვერპლი არ გახდეს, გთხოვთ დახმარებას და იმედი მაქვს აღმომიჩნეთ.

დასასრულ, არ შემიძლია არა ვთქვა, რომ სასურველი, მეტად სასურველი იქნებოდა, რომ სარაჯიშვილს, თუ მეტი არა, ერთი სტიპენდიანტი მაინც ჰყოლებოდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. თუკი ვინმე აღმოჩნდება ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც სურს ჩვენი წარსული შეისწავლოს, დაე ნურავინ დაიშურებს მისთვის დახმარების გაწევას!

არ იფიქროთ ჩემს თავზე ვამბობდე. პეტრე იქნება თუ პავლე, ლუკაშვილი თუ გიორგაძე, ამერი თუ იმერი, სულ ერთია, ოღონდ ნიჭი არ აკლდეს, სამშობლოს სიყვარული გულში უღვივოდეს, ენერჯიის პატრონი იყოს და მუყაითი. თუ ქართველებს რაიმეში სპეციალისტი აკლია, სწორედ აქ, საქართველოს ისტორიაში, ფილოლოგიაში, ლიტერატურაში და სხვ. დარგში.

სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ჩვენდა სასირცხვოდ სულ ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება“. მეორე კურსელი სტუდენტი არა თუ საზოგადოდ აგვიწერს სტუდენტთა მძიმე ყოფას, არამედ იმ დიდ გაკირვებასაც, რაც ჰუმანიტარულ ქართველოლოგიას ადგა იმ დროს. თვითონ იგი წერილის დანამატში აღნიშნავდა, რომ ევროპული ენის ცოდნა აუცილებელია ორიენტალისტიკისათვისაცო. ამიტომ მან, ისარგებლა რა თავისუფალი დროით, ის ზაფხული გერმანიაში გაატარა ენის შესასწავლად. „ჩემს მიზანს მივალწვი, მაგრამ დიდის გაკირვებით: კაპეიკობით მოგროვებული დოვლათით ძლივს მოვატანე აქამდის. ახლა პეტერბურგში დაბრუნება მინდა და არ ვიცი, როგორ მოუარო გზის ფულის უქონლობასო“.

ქართველთა სათვისტომო ქართულ საღამოებს მართავდა პეტერბურგში, რომელზეც ხშირად ყოველგვარი სასყიდლის გარეშე იწვევდა გამოჩენილ რუს მსახიობებს. ამ საღამოების მუდმივი დამსწრე იყო ივანე ჭავჭავაძე. მთელი პეტერბურგის სტუდენტობას დიდად ახარებდა პრივატ-დოცენტის ივანე ჭავჭავაძის დასწრება. მისი სახელი ხომ ცნობილი იყო

პეტერბურგის ქართველ სტუდენტებში! შესანიშნავი მოგონება დაგვიტოვა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჩხეიძემ. 1911 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი პეტერბურგის ფსიქონერვოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება და ისმენს პრი-ვატ-დოცენტის ივ. ჭავჭავიძის ლექციებს უნივერსიტეტში. მას ჭერ კიდევ არ მისცემოდა ყველასათვის საყოველთაო ლექტორთან შეხვედრის საშუალება, მაგრამ მალე მისთვის ეს სანატრელი დღეც დადგა. „პეტერბურგის ქართულმა დრამატულმა წრემ ალექსანდრე ყაზბეგის პიესა „ქეთევან წამებული“ მოამზა-და. გადაწყდა, ეს ამბავი ივანე ჭავჭავიძისათვის გვეცნობებია. მოციქულე-ბად — სპექტაკლზე მობრძანდით, სამი კაცი ჩემი მეთაურობით გამოგვეყვას.

ივანე შინ მარტო დაგვიხვდა. შემოგვეგება, შინ შეგვიწვია.

— დაბრძანდით, ყმაწვილებო — შემოგვთავაზა — რაზე გარჩილხართ?

— გთხოვთ წარმოდგენაზე დაგვესწროთ!

— გეახლებით, — უმაღლეს გვითხრა და დაუმატა, — აქ პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი არის, ბატონებო, მონახეთ ის, მოხუცია, ამაგდარი, გაიხ-რებს.

მალე საქართველოზე გაიბა საუბარი. ნელა, დაკვირვებულად ლაპარაკო-ბდა ივანე ჭავჭავიძელი. სიტყვებს, აზრებს კი არ წარმოთქვამდა, ოქრომჭე-დელივით ძვირფას ლითონად ასხამდა. შემდგომ საუბარი სტუდენტების ყო-ფაცხოვრებას შეეხო.

-- სასმელ-საკმელს როგორ შეეგუეთ? — შეგვეკითხა.

— კარგად

— პეტერბურგის ციფ და ნესტიან ჰავას?

— მაგასაც, მაგრამ სამშობლოსი მიჩვენია — გავუბედე.

— მართალი ბრძანდებით, სამშობლოს აბა რა შეედრება! — თქვა და გაე-ღიმა. მერე რამდენიმე გამოჩენილი სტუდენტის გვარი გვითხრა.

ივანე ჭავჭავიძელმა თხოვნა შეგვისრულა, წარმოდგენას დაესწრო.

— თქვენს განზრახვას, გარდა გართობისა, ეროვნული მნიშვნელობა აქვს. სპექტაკლი კარგად გამოგსვლიათ — შეგვაქო. სასურველი სტუმარი შორს გა-ვაცილეთ“.

პეტერბურგში მოსწავლე სტუდენტთა ცხოვრება ისედაც ხელმოკლე, კი-დეე უფრო გაუარესდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. ახლა ში-მშილი სტუდენტთა ფიზიკურ არსებობას უქმნის საფრთხეს. ამ ვითარებაში ქართველ სტუდენტთა სათვისტომო 1915 წლის ნოემბერში აღგენს, დააარსოს ქართველ სტუდენტთა შრომითი ბიურო. სტუდენტებს სთავაზობდნენ სხვა-დასხვა სამუშაოების შესრულებას, რომ ამ გზით მათ არსებობის სახსარი მო-ეძებნათ. უმთავრესი ეს იყო რეპეტიტორობა — მომზადება საშუალო და და-ბალ სასწავლებლის ყოველი კლასისათვის, მომზადება საკონკურსო გამოცდე-ბისათვის სპეციალურ სასწავლებელში შესასვლელად, მომზადება სიმწიფის მოწმობისათვის, მომზადება ახალ ენებში პრაქტიკულად, კლასიკურ ენებში, ქართულ ენაში. სტენოგრაფია, მუსიკის სწავლება, ხატვა, ხაზვა, მანქანაზე ბეჭ-დვა. ელექტროსამუშაოები (ხაზები და სინათლის გაყვანა), საკანცელარიო და კანტორის სამუშაოები და სხვ. როგორც ვხედავთ, სათვისტომო თავის რიგებში მრავალმხრივი ნიჭის მქონე წევრებს ითვლიდა. ომის პერიოდში ივ. ჭავჭავიძის უშუალო წინადადებით სათვისტომოს და სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. გიორგი ჩიტაია იკონებს: „პეტროგრადის სუსხიანი, ნოტიო საღამო იყო. სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის წევ-

რები ივ. ჭავჭავაძის ბინაზე ვიყავით შეკრებილნი. ბაასი იმ დროს მიმდინარე იმპერიალისტურ ომს შეეხო. ჩვენი ხელმძღვანელი მწუხარებით აღნიშნავდა, ომში მრავალი ქართველი იხოცება, საავადმყოფოში მრავალი დაჭრილი ქართველია და რომ ჩვენ გემართებს ამ უკანასკნელებზე მზრუნველობაო. მართლაც, ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სკოლის სტუდენტები დაუეკავშირდნენ დაჭრილებს, როგორც შეეძლოთ შეუმსუბუქეს პირობები და ხელი შეუწყვეს სამშობლოში მათ დაბრუნებას.

ამ დეტალშიც ნათლად გამოჩნდა: დიდი ქართველი ისტორიკოსისათვის წვრილმანი არ არსებობდა, როცა საქმე ეხებოდა მშობელი ხალხის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობამ ბეკდვიითი პროდუქციის სახით ორ წიგნში ჰპოვა ასახვა. ერთი ესაა პეტროგრადში საიმპერატორო აკადემიის სტამბაში 1916 წელს დაბეჭდილი „ქართული ბიბლიოგრაფია“ (1852 — 1910), ხოლო მეორე — 1915 წელს თბილისის საგუბერნიო № 2 ციხის მსწრაფლ-მბეჭდავში დასტამბული პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შრომათა კრებული. ქართული სამეცნიერო წრის უპირველეს მოვალეობად განიხილებოდა მეცნიერული ბიბლიოგრაფიის შექმნა. სამეცნიერო წრე დაარსებიდანვე ითვალისწინებდა ბიბლიოგრაფიული სექციის არსებობას. მან თავიდანვე გააჩალა მუშაობა საქართველოს შესახებ სრული ბიბლიოგრაფიის შესადგენად. ის დაიწყო ჭერ პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული საძიებლის შედგენის სამუშაოებით. ამას შემდეგ უნდა მოჰყოლოდა სრული ბიბლიოგრაფიის სხვა ნაწილები.

1908 წელსავე დაიწყო პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენა სტუდენტების მიერ. მათ ნიმუშად ჰქონდათ მეცნიერი ხელმძღვანელის, პრივატ-დოცენტის ივ. ჭავჭავაძის მისაბაძი მაგალითი: მან ხომ სტუდენტობის დროს შეადგინა „ივერიის“ 10 წლის ბიბლიოგრაფია!

ივ. ჭავჭავაძე დიდი შემართებით წარმართავს სტუდენტთა მეტად შრომატევად ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს. მთელი ამ წამოწყების თაოსანი თვითონ გახლდათ. 1908 წელს დაწყებული მუშაობა ძირითადად მთავრდება 1912 წელს.

აკად. ნ. მარი, რომელიც 1913 წლიდან აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი გახდა, ყოველმხრივ ახალისებს ქართული ბიბლიოგრაფიის ამ ფუფუნებულ გამოკვლევის დაწინაურებას. სწორედ ნ. მარის ინიციატივით გადაწყდა ამ სტუდენტური გამოკვლევის შექმნა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მიერ.

ივ. ჭავჭავაძე მოხსენებით ბარათში, რომელიც ნ. მარს წარუდგინა, დაწვრილებით აღწერდა სტუდენტთა მიერ ჩატარებულ სამუშაოებს. თავის წარდგინებაში აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილების წინაშე ნიკო მარს სრულად მოჰყავდა ამ მოხსენებით ბარათის ტექსტი და თავის მხრივ დასძენდა: „საკითხის ცოდნა მკარანაობს გაცნობით. რომ ი. ა. ჭავჭავაძე „ბარათში“ ამკირებს თავის როლს, დაჰყავს რა იგი მხოლოდ ხელმძღვანელობამდე: მთელი I ტომის მასალა, უკვე დასაბეჭდად რომაა გამზადებული, მისი პირადი მონაწილეობითაა გარჩეული და დიდი მასალა გამოცემების მიხედვით მეორედ შემოწმებული. ამიტომ ვშუამდგომლობ განყოფი-

ლების წინაშე: 1. გამოსაცემად ორივე ტომი იქნას ქართული ბიბლიოგრაფიისა მიღებული, დაკმაყოფილდეს ქართული სამეცნიერო წრის თხოვნა მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ 250 მანეთის ოდენობით; 2. გამზადებული ტომის ბეჭდვა დაიწყოს 1913 წ.“.

აქადემიამ მართლაც 250 მანეთად შეიძინა გამზადებული ტომი ბიბლიოგრაფიისა. ეს იყო ერთადერთი და ყველაზე დიდი ჰონორარი, რაც წრემ თავისი არსებობის მანძილზე მიიღო. მეტიც, ასე დიდი სახსრები, რაც 1913 წელს გააჩნდა, ამ წრეს არასოდეს ჰქონია.

ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული აღწერა 1852 წლიდან იწყებოდა და 1910 წლით მთავრდებოდა. პირველ ტომში გათვალისწინებული იყო: ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძველი მწერლობა. „კრებული“ არც 1913 წელს დაბეჭდილა, თვითონ მისი შემდგენლები განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდნენ კრებულის გამოცემის საქმეს, ისწრაფოდნენ რაც შეიძლება სრული ყოფილიყო იგი. ამასთან არ გამოეორებულყო ის სიძნელები მომავალში, რაც პერიოდიკის პირველი ბიბლიოგრაფიის შედგენას ახლავს. სწორედ ამიტომ პეტერბურგის სტუდენტთა წრის მეცნიერი ხელმძღვანელი ივ. ჭავჭავიძე და წრის თავმჯდომარე აკ. შანიძე 1913 წ. „სახალხო გაზეთში“ (№ 802) აქვეყნებდნენ წერილ-მიმართვას ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და წიგნების გამომცემლობისადმი. სთხოვდნენ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთს, ეს მოწოდება გადაეხედებინათ და იქ აღძრულ საკითხებისადმი ყურადღება მიექციათ.

ივ. ჭავჭავიძე და აკ. შანიძე აღნიშნავენ, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია, მართალია, შეავსებს ამ დარგში არსებულ ნაკლს და დაინტერესებულ „მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს მოღვაწეობას, გააღრმავებს მის აზროვნებას და გააფართოებს მისი მხედველობის სფეროს“, მაგრამ მათ სრულიადაც არ მიაჩნიათ საქმარისად ჩატარებული სამუშაოები და ახალ ამოცანებს სახავენ. ბიბლიოგრაფიის საქმის ჩამორჩენა მათ საერთო კულტურული ჩამორჩენილობის გამოხატულებად მიაჩნიათ, რომ „შრომა უფრო ნაყოფიერი იქმნეს, აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ იმითი, რაც გაკეთებულია წინათ და წინანდელი შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ“. სამწუხაროდ, ეს ვერ ხერხდება, ვინაიდან, „არ არის ტრადიცია, არ არსებობს ერთი ძლიერი შეუწყვეტელი მიმდინარეობა რომელიმე სამოქმედო დარგში“. ამ სავალალო მდგომარეობას შედეგად ის მოსდევს, რომ „არ ვიცით; რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება, რას ვაკეთებთ ჩვენ და ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია“, სხვაანაირად გამოვა ისე, რომ მოგვიხდება იმის დაწერა და გაკეთება, რაც უკვე დაწერილი და გაკეთებულია. სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობამ, ივ. ჭავჭავიძის და აკ. შანიძის სიტყვებით, დაადასტურა, რომ „ის საკითხები, რომელიც ჩვენს პრესაში. დღეს საჭირობოროტია, კარგა ხანია, რაც გადასაწყვეტად დაუყენებიათ და ზოგჯერ უფრო კარგად, ვიდრე ახლა. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ მაგალითად ერთხელ უკვე ჩაწერილ ხალხურ ლექსს ხელმეორედ სწერენ და მეორედ ჩაწერილ ლექსს ახლად ჩაწერილად ასაღებენ და სხვადასხვა“. ქართულ კულტურაზე ზრუნვა გადაუდებლად აყენებდა საკითხს: „საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება სრული და უნაკლო“.

ივ. ჭავჭავიძე და აკ. შანიძე პერიოდულ გამოცემათა რედაქციების წი-

ნაშე კონკრეტულ საკითხს აყენებდნენ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ მომავალში მეცნიერული ბიბლიოგრაფიის შედგენა, ასევე წიგნების ბიბლიოგრაფიის შედგენაც.

ივ. ჭავჭავიძე და აკ. შანიძე წარსული პერიოდის ბიბლიოგრაფიის შედგენის გამოცდილებას ამ დარგის მომავლის სრულყოფის სამსახურში აყენებენ. ხალხის ერთგული შეილები ყოველთვის რწმენით შესტკერიან მშობელი ხალხის მომავალს. გადაწყვეტილება „ქართული ბიბლიოგრაფიის“ შესყიდული ტომის დაბეჭდვის შესახებ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1916 წელს მიიღო და იმავე წელსვე დაიბეჭდა იგი ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ი. ყიფშიძის რედაქტორობით. გარდა ივანე ჭავჭავიძისა და რედაქტორისა, ამ ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობდნენ სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები: ი. ანთაძე, ვ. ბერიძე, ვ. ბუაჩიძე, ი. გვიგინიშვილი, შ. დადიანი, დ. დეკანოზიძე, კ. დონდუა, ვ. ჭულელი, ს. ყუხჩიშვილი, ი. ყიფიანი, დ. ყიფშიძე, ა. ლორთქიფანიძე, გ. მამრადე, ე. მიქელაძე, ა. მამულაიშვილი, ვ. ფუფუხიძე, ს. ყორყორიანი, გ. თარხნიშვილი, ა. ხოფერია, გ. ჩიტაია, გ. კუბაბრია, ა. შანიძე, აგრეთვე ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელები — ლ. ანთაძე, შ. ასათიანი, ნ. ლომოური და სხვ.

ბიბლიოგრაფიის სრულყოფა ხდებოდა სულ ბოლო მომენტამდე, ვიდრე იგი დაიბეჭდებოდა.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრის პირადი მოვალეობა მოხსენებათა წაკითხვა იყო. ყოველწლიურად სხვადასხვა თემებზე იკითხებოდა მოხსენებები, გარდა სამეცნიერო თემებისა, ისტორიის, ენის, ლიტერატურის. ხელოვნების, ეთნოგრაფიის, სამართლის საკითხებზე, მოხსენებები ეძღვნებოდა მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. მოხსენებები ქართულად იკითხებოდა. გადაწვდა ზოგიერთი მათგანის დაბეჭდვა. ეს შეუძლებელი იყო პეტერბურგში. საქართველოში მისი დაბეჭდვის ყველაზე მძიმე ტვირთი თავს იღო წრის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა წევრმა ი. ანთაძემ (მწერალ ნ. ნაკაშიძის ძმამ). ძირითადად ის მოხსენებები დაიბეჭდა, რომლებიც წაკითხული იყო წრეში 1912 — 1913 წლებში. რასაკვირველია, როგორც ივ. ჭავჭავიძე აღნიშნავს, პირველ კრებულში წრის წევრთა საუკეთესო მოხსენებები მოხვდა. კრებულის გამოსვლა შეფერხდა განსაკუთრებით ომის დაწყების გამო, შემდგომ კინაღამ ჩაიშალა ბოლოსდაბოლოს გაქრა ი. ანთაძის დაქვინებამ და კრებული ივ. ჭავჭავიძის წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1915 წელს. წინასიტყვაობაში ივ. ჭავჭავიძე მიმოიხილავს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის დაარსებიდან განვლილ მუშაობას. განსაკუთრებულად აღნიშნავს იმ უზარმაზარ ნ. წლიან მუშაობას წევრებისას, რასაც შედეგად მოჰყვა „ბიბლიოგრაფიის“ გამზადება დასაბეჭდად (რასაკვირველია, დიდი ბედნიერება იქნებოდა უპირველეს ქართველ ისტორიკოსს დრო არ დაეკარგა და მხოლოდ ესარგებლა იმ შედეგებით, რაც სრულყოფილი ბიბლიოგრაფიის გამოყენებას მოაქვს, მაგარამ, ვაი, რომ სხვა ამას არავინ აკეთებდა მაშინ ქართველთა შორის).

კრებულში 7 მოხსენება დაიბეჭდა. აქედან ერთი აკაკი შანიძისა: „ქართული კილოები მთაში“. ეს ნაშრომი თვითონ ავტორის ძმლავრი ენათმეცნიერული კვლევის დასაწყისი იყო და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მინდობილობით მთაში ჩატარებული საგანგებო მივლინების შედეგების უნიჭიერეს განზოგადობას წარმოადგენდა. ამ დროისათვის იგი სტუდენტი აღარ არის, უკვე ქარ-

თული ფილოლოგიის მაგისტრანტია; დანარჩენი ექვსი მოხსენების თემებიც და წყაროებიც თვითონ ივანე ჭავჭავიძევილის მიერაა დასახელებული. მათი კვლევის საზღვრებიც მის მიერაა დადებული. ეს აღნიშვნა კრებულის წინასიტყვაობაში იმისათვის კი არ დასკირდა ივანე ჭავჭავიძევის, რომ საკუთარი დამსახურება წარმოეჩინა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „თუ მკითხველს ან თემა არ მოეწონა, ან მეტად ვიწროდ და შეზღუდულად ეჩვენა, ამისი ბრალი ახალგაზრდა მკვლევართ კი არ ედებათ, არამედ მხოლოდ მათ ხელმძღვანელს“.

ივანე ჭავჭავიძევილს მიაჩნდა, რომ ვინაიდან საკითხი საქართველოს აწმყოსა და წარსულის შესახებ ჯერ შესაფერისად შესწავლილი და გამოკვლეული არ იყო, დიდი და ფართო თემების არჩევა მოხსენებისათვის წრის წევრებს ვნების მეტს, სარგებლობას არ მოუტანდა, მისი აზრით. „პატარა, ვიწროდ შემოფარგლული კვლევა-ძიებანი და მონოგრაფიები საუკეთესო საშუალებად უნდა იქნეს ცნობილი და ახალგაზრდა მკვლევარნიც ამ გზით უფრო ადვილად შეეჩვევიან სამეცნიერო მუშაობის ფაქიზსა და მკაცრ მეთოდებს“, ამასთან მეცნიერ-ხელმძღვანელი არ ცდილა მოხსენებებში ყოველივე ავტორისეული წარებოცა, მათში დაცულია ავტორის ენის თავისებურებანი. გარდა აკაკი შანიძის მოხსენებისა, კრებულში დაიბეჭდა შემდეგი მოხსენებები:

შოთა დადიანი — ქართველი ქალები ისტორიული წყაროების და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

ი. ანთაძე — ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში.

დ. კაკაბაძე — ქართული ხატების მოქედულობის სახეები.

გ. თარხნიშვილი — სასამართლო წარმოება საქართველოში.

ი. ანთაძე. — წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში.

გ. ჭუბაბრიძე — მოქალაქეობრივი პანგები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში.

წინასიტყვაობაში ივ. ჭავჭავიძევილი იძლევა თითოეული მოხსენების მოკლე დახასიათებას, რასაც მათი მომავალი კვლევის წახალისების მიზანიც აქვს. ამასთან იგი სავსებით იწყნარებს ისეთ შეხედულებათა განვითარებას მოხსენებაში, რომელსაც თვითონ არ ეთანხმება, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, მაგალითად, აღნიშნოს, რომ შ. დადიანის მოხსენებაში „იარაგითი და ორი ისეთი საკითხია წამოყენებული და ზოგიერთი მათგანი შეძლებისდაგვარად გადაწყვეტილი, რომელთათვისაც წინად არავის მიუქცევია ყურადღება“.

ი. ანთაძის მოხსენება ყმათა მფლობელობის შესახებ პირდაპირ მეცნიერ-ხელმძღვანელის გამოუქვეყნებელ კვლევის შედეგებს ეყრდნობა. იგი ნათლად ადასტურებს მოხსენების ავტორის კვლევით ნიჭს.

გ. თარხნიშვილის მოხსენება ვახტანგ VI კანონების წიგნების მიხედვით სასამართლო წარმოების შესახებ ივ. ჭავჭავიძევილის სიტყვებით „პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესახებ“.

გ. ჭუბაბრიძის მოხსენება მიძღვნილია „იმ მოღვაწის შემოქმედებისადმი, — ილია ჭავჭავაძისადმი, რომლის ღვაწლი ახალი საქართველოს წინაშე განუზომელია“. თავის წინასიტყვაობას ივანე ჭავჭავიძევილი აღტაცებული სიტყვებით ამთავრებს. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ეს კრებული პირველია და არა უკანასკნელი, რომ მას თავის დროზე სხვა წიგნებიც მოჰყვება. მასწავლებლის სიხარული ძნელია გამოხატო უკეთესად:

„გული სიხარულით მევესება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სა-

მეცნიერო წრის მუშაობამ არამტუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველი კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და შეძლებისდაგვარად ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობს.

ყველაზე დიდი სიხარული, რაც ამ წრემ ივანე ჯავახიშვილს მოუტანა, ის იყო, რომ მისი წევრებიდან უმეტესობა შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის მოღვაწე გახდა, ეამყებოდა ისიც, რომ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ი. ყიფშიძე უკვე პეტროგრაღის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის მაგისტრი, ხოლო მეორე თავმჯდომარე აკაკი შანიძე ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი იყო.

ი. ყიფშიძე 1911 წელს ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებას. იგი ნიკო მარმა რამდენიმეჯერ გაგზავნა სამეგრელოში ლინგვისტური მიზნებით. ხშირად საკუთარ კვლევის შედეგებს იგი მოახსენებდა აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. დაძაბული მუშაობა ნიჭიერი მკვლევარისა დაკვირვებინდა მონუმენტური გამოკვლევით: „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათით და ლექსიკონით“. 1914 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა იგი. აღდგა ის შეწყვეტილი მუშაობა, რაც ლინგვისტური მეცნიერებისათვის უაღრესად სასარგებლო იყო და რაც ქართველური ენების შესწავლაში აღ. ცაგარელმა დაიწყო.

რა სიმდიდრეა ლინგვისტიკისათვის სევანური და მეგრული! რამდენი რამ შეიძლება აიხსნას უძველესი ისტორიიდან მათი წყალობით. ნ. მართან ერთად ამას აკეთებდა ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილი. ი. ყიფშიძე ამის შესახებ აღნიშნავდა სამაგისტრო დაცვაზე წარმოთქმულ სიტყვაში, როცა უთითებდა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომზე. თავისი მონოგრაფია ი. ყიფშიძემ სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა. დაცვა შედგა 1914 წლის 23 ნოემბერს. ოპონენტებად ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი იყვნენ. მათ მაღალი შეფასება მისცეს ამ ფუნდამენტურ ნაშრომს. ნიკო მარმა, როგორც ოფიციალურმა ოპონენტმა, საჯარო დაცვაზე აღნიშნა და შემდეგ ცალკე დაბეჭდილ რეცენზიაში გაიმეორა, რომ ნაშრომის ავტორი სავსებით იმსახურებს ფილოლოგიის მაგისტრობას. მაგრამ ი. ყიფშიძეს ეს გამოკვლევა ფილოლოგიის დოქტორობაზე რომ წარმოედგინა, მისი ავტორი დამშვიდებული სინდისით ღირსი იქნებოდა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხისაო.

დისერტანტისათვის აუცილებელი ფრაკი ი. ყიფშიძისათვის მეცნიერ-ხელმძღვანელს ნიკო მარს უთხოვებია. მანვე გაუშალა სადისერტაციო ვახშამი ქართველთა მცირე ჯგუფს.

აკაკი შანიძე 24 წლისა იწყებს სტუდენტობას; იგი სოლიდურ განათლებას იღებს ორიენტალისტიკის სხვადასხვა დარგში. ამჟღავნებს შესაშურ ენერჯიას და თავდადება მეცნიერული კვლევის დაწყებისთანავე, მისი პირველივე შრომები, პეტერბურგის უნივერსიტეტისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მივლინებათა შედეგად შექმნილი, უკვე იმ მიმართულებას აფუძნებდნენ, რასაც შედეგად ქართული ენათმეცნიერების თბილისური სკოლის შექმნა მოჰყვა. ამ დროიდან იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე ყველაზე ახლოს იდგნენ ივანე ჯავახიშვილთან. სწორედ ისინი არიან მისი ყველაზე უახლოესი თანამოსაგრენი უნივერსიტეტის დაარსების უკვდავ საქმეში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ გააძნელა პეტროგრაღში ცხოვრება.

ივანე ჯავახიშვილი და იოსებ ყიფშიძე ოჯახებს საქართველოში აბრუნებენ. ერთ-ერთ წერილში ლიმილნარევი წერდა ივ. ჯავახიშვილი პეტროგრადის სიძვირებზე, რომ „რაკი მე ძროხის ხორცს არ გეახლებით, უხორცობა სრულებით არ მაწუხებსო“.

ომის გაჭირვებამ კიდევ უფრო განამტკიცა ამ ღიღებულ სამეულის შემოქმედებითი სიახლოვე.

ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე გადავიდნენ მის ოთხ ოთახიან ბინაში. თითოეულს პატარა ოთახი ჰქონდა კაბინეტებად, ხოლო მეოთხე სასადილო ოთახად აქციეს. აქვე სამეცნიერო საუბრებში იწაფებოდნენ და სამშობლოს სამსახურისათვის ემზადებოდნენ მომავალი შესანიშნავი მოღვაწენი: ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ფუთურიძე, კ. დონდუა, გ. თარხნიშვილი, დ. ყიფშიძე, ე. მიქელაძე, ს. ლომია, ვ. ბერიძე და სხვები და სხვები.

ლაბტის ქუჩაზე მდებარე ბინა ასე იქცა წმინდა ალაგად სამშობლოსათვის თავდადებულ შვილთა. შედარებით მცირეა ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის მიმოწერა. საქმე ისაა, რომ სტუდენტობის დროიდან აკაკი შანიძე თითქმის ყოველთვის იქაა, სადაც მისი მასწავლებელი. ამასთანავე სტუდენტობისა და მაგისტრანტობის დროიდანვე მას წესად ჰქონდა დაწერილებითი ანგარიში მიეწერა მისთვის მივლინებაში თავისი ყოფნის შედეგების თაობაზე. წერილს აკაკი შანიძე ასე იწყებდა:

„ძვირფასო მოძღვარო ბატონო ივანე“

1913 წლის 13 აგვისტოს ფშავის სოფელ თვალივიდან აკაკი შანიძე სწერდა „ვიყავი გუდამაყარსა, მთიულეთსა და ხევში. შეეპკრიბე საჭირო მასალები. ხევსურეთს გადმოვედი მთაზე. ვიყავი პირიქით ხევსურეთში (არხობში) და შემდეგ შუაგულ ხევსურეთში გადმოველ. ცოტა ხანს კიდევ დავრჩები ხევსურეთში, შემდეგ გადავალ შატილს და შატილიდან თუშეთს წავალ. ჭერ კიდევ ბევრი საქმე დამრჩა გასაკეთებელი და მგონია ენკენისთვის მიწურულამდე ჩემს საქმეს ვერ მოვრჩები მთებში“. შემდგომ ღრმა დაკვირვებებია წარმოჩენილი ქართლის მთიულურ კილოზე.

1914 წლის 23 მაისს ქვემო მაჩხანინიდან გამოგზავნილ წერილში აცნობებდა: „უკვე შევეუდექი მუშაობას. პირველ ხანებში უმთავრესად სალექსიკონო მასალებს ვაგროვებ. სიტყვების ჩაწერის დროს ახლაც უფრო შორს მივდივარ, ვიდრე შარშან და წინედ მთაში მოგზაურობის დროს: ახლა ლექსიკონში ისეთი სიტყვებიც შემაქვს, რომელნიც ცოტაოდნად მაინც კი განირჩევიან. გამოთქმით, მაგალითად, ბროწილი, ინდო (ინდაური) და სხვ. ლექსიკონის მხრით ქიზიყური მეტად საყურადღებო ყოფილა“.

1916 წლის 1 ივლისს პეტერბურგში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „სამეგრელოში მე სულ ორი კვირა ვიყავ. ვცხოვრობდი ს. ეკში, ძველი სენაკის მახლობლად, ვაჩვევდი ყურს მეგრულ ლაპარაკს და ვკრებდი ხალხურ სიტყვიერების მასალებს, სამეგრელოში წასვლა კიდევ მინდა, თუ მოეახერხე ან დრო დამრჩა“. მართლაც, იგი მრავალჭერ იყო შემდეგ სამეგრელოში, მაგრამ პირველმა მისმა სამეცნიერო მივლინებამ შედეგად შესანიშნავი ხალხური პოემის „ეკური ქალეჯიანის“ ჩანაწერი მოგვცა, იგი 1958 წელს „ლიტერატურულ ძეგლებთან“ II ტომში დაიბეჭდა. თავის წერილში იმასაც ატყობინებდა, რომ მიემგზავრება რაჭას, ხოლო 1916 წლის აგვისტოში უკვე აცნობს რაჭაში ყოფნის უალრესად სასარგებლო შედეგებს.

ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის ერთად ცხოვრე-

ბა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხებსაც წარმოშობდა, რომელთა შესახებ ცნობებს ვხვდებით აკაკი შანიძის კერძო წერილებში. 1917 წლის 2 იანვარს იგი კმაყოფილებით სწერდა ივანე ჯავახიშვილს: „ყინვებიც რომ დიდი იყოს არა გვიშავს რა. რადგანაც სამი საუენი შეშა კიდეე ვიყიდევო“. — იმავე წლის 14 აპრილის წერილში კი აცნობებდა: „ჩვენს მოსამსახურეს, სოფელში წასვლაზე რომ თავს იკლავდა, ერთი კიბით ჩაუტვლია და მეორე ნომერში დამდგარა“.

ივანე ჯავახიშვილი თითოეულ თავის მოწაფეში აღმოაჩენდა და ახალისებდა შემოქმედებით ძალებს. ამასთან, ეს არ ყოფილა პირობადაუდებელი და გაზვიადებული ქება მოწაფის პირველ მიღწევისთანავე, რომელსაც ხშირად თავბრუდახვევა მოსდევს. რადგან მოწაფეს ექმნება ილუზია, რომ მთავარი სიძნელებები გადალახულია, როცა ნამდვილად ეს სიძნელებები ჯერ კიდეე წინაა. ავანსად გაცემული ქება-დიდება ბევრს ველარ გაუპართლებია და ის ვერ გაუკეთებია პირს, რასაც მისგან ელოდნენ და მისი შესაძლებლობის ფარგლებშიც იყო. წახალისებად არ თვლიდა ივანე ჯავახიშვილი პირში გამოთქმულ ქება-დიდებას. სხვა თანაბარ შემთხვევაში იგი მთელი სისრულითა და მდიდრული შტრიხებით გვიხატავს მესამე პირების წინაშე თავის მოწაფეს. ამ დროს თქვენ სრულად წარმოიდგენთ რეკომენდირებული პირის მთელ დადებით თვისებებს. ასე, მაგალითად, ავიღოთ 1916 წლის 21 მაისის წერილი ქუთაისში მასწავლებლად ვუკ. ბერიძის მოწყობის თაობაზე. წერილში ვკითხულობთ: „ქართულსა და სატახტო ქალაქების გაზეთებში ეწერა, რომ ქ. ქუთაისში შემოღდგომიდან კვლავ გაიხსნება სასულიერო სემინარია. ქართული ენის მასწავლებლობა სემინარიაში, როგორც თვითონა მწერს, ჩემს ყოფილ მოწაფეს ვუკ. ბერიძეს უთხოვნია. რაკი ამ საქმის გადაწყვეტა თქვენზეა დამოკიდებული, გავკადნიერდები და თქვენს შეუფებას მოვასხენებ, რომ ვუკ. ბერიძე, ვითარცა პეტ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე ნასწავლი, ქართული ენის სპეციალისტი გახლავთ, თავისი საგნის მცოდნე და მოყვარული, თანაც მხნე მუშაკი და გულწრფელი მამულიშვილი.

ამიტომ სრული სამართლიანობა იქნებოდა და თვით ძველი ქართული მწერლობის შესწავლასაც სარგებლობას მოუტანდა, თუ რომ თქვენ კეთილ ინებებით და ქართ. ენის მასწავლებლობას სემინარიაში ვუკ. ბერიძეს მიანდობდით. დარწმუნებული ვარ, იგი თავის მოვალეობას სინდისიერად შეასრულებს და დაუღებულ საქმესაც პირნათლად გაუძღვება“.

პეტერბურგის ორიენტალისტთა სახელოვანი სკოლის ღირსეული აღზრდილი ივანე ჯავახიშვილი თავის მოწაფეებს დამოუკიდებელი კვლევის უნარის ჩამოყალიბებისათვის მისაბამ გარემოს უქმნიდა, სადაც ახალგაზრდას შესაძლებლობა ეძლეოდა ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებისა ისე, რომ არ ყოფილიყო იგი მხოლოდ და მხოლოდ თავისი მესხიერების ტყვეობაში, ვინაიდან მეცნიერებისათვის მარტო ნიჭი როდია საკმარისი, ამასთან ერთად, „ცოდნის მოყვარეობის დაუშრეტელი სიყვარული, კვლევა-ძიების წყურვილით თავდავიწყებამდე გატაცება და შეუღრეკელი ნებისყოფაა საჭირო.

უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულებისათვის მზაობის გარეშე არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს მეცნიერებაში, რადგანაც მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობა დიდი და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით მძიმეა, ამიტომაც მას ყველა ამ სიძნელეთა დასაძლევად ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე ესაჭიროება“.

„ქართველი ერის ისტორია“ ის მაგისტრალური გზა იყო, რომელიც საბოლოოდ ივ. ჯავახიშვილის კვლევის ფარგლებს განსაზღვრავდა. გასაგებია, რომ „ქართველი ერის ისტორია“ შედეგი უნდა ყოფილიყო იმ დიდი კვლევისა, რომელიც ისტორიის მეცნიერების სხვადასხვა დარგში წარმოებს. ზოგიერთ მათგანს ისტორიის დამხმარე დარგებს უწოდებდნენ. სინამდვილეში კი ბევრი სამეცნიერო დარგი, რაც დამხმარის რიგში ხვდებოდა, პირველხარისხოვან როლს ასრულებდა ქართველი ერის ისტორიის სრული სურათის აღსადგენად. ყველა ამ დარგის განვითარება აუცილებელი იყო. აქ კი არ წარმოებდა საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა. ამას განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდა ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ ტომების დაწერისას. არა მარტო ქართული მეცნიერების მიღწევები პოულობდა ამ ტომებში ანარეკლს, არამედ ის კოლოსალური მუშაობაც, რომელსაც თვითონ ივანე ჯავახიშვილი ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში აწარმოებდა. სამწუხაროდ, ორ ათეულ წელს ბევრ ამ დარგთაგანს არსებითად ერთადერთი ივანე ჯავახიშვილი ავითარებდა. 1937 წელს 7 მარტს ვარ. ღონღუასადმი გაგზავნულ წერილში ივანე ჯავახიშვილი სრულიადაც არ ამუქებდა სინამდვილეს, როცა სწერდა: „მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა. მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ყორღანიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომის გარდა, საქართველოს ისტორიაში თითქმის არაფერი იყო. და ყველაფერი უნდა ერთ ადამიანს და შეძლებისამებრ მალე გაეკეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამკაფველისათვის უმადურ სამუშაოს წარმოადგენს“.

ქართველი ერის ისტორიაზე წერა მეტნაკლებად მოითხოვდა სხვისი მეცნიერული შედეგების გამოყენებას. ხშირად ქართული ისტორიის მკვლევარი მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას და თვითონ უნდა დაეწყო ამგვარი კვლევა, ანდა, როგორც დავინახეთ, კრიტიკულად განეხილა უკვე მიღწეული შედეგები. ივანე ჯავახიშვილი არ შეუშინდა მის წინაშე აღმართულ სიძნელეებს და გრანდიოზული წამოწყების მოთავე გახდა უპირველესად ეს გულისხმობდა ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას.

1916 წლის დასაწყისში ქვეყნდება პირველი წიგნი კაპიტალური ნაშრომისა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლაც“. ეს წიგნი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვას ეძღვნება. ეს დიდი სერია ავტორს სამ წიგნად ჰქონდა განზრახული. ისინი საისტორიო მეცნიერების შესავლად იყო განკუთვნილი.

ივ. ჯავახიშვილი ქართული საისტორიო მწერლობის ამ პირველ წიგნს განიხილავდა, როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალსაც.

მეორე წიგნი მას დაგეგმილი ჰქონდა ორ ნაწილად, პირველ ნაწილში საქართველოსა და ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყაროები უნდა ყოფილიყო განხილული, ხოლო მეორე ნაწილში უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა უნდა მოთავსებულიყო. ამ მიმოხილვაში, აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, ჩვენი მეზობლების ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის განხილვას განსაკუთრებული ადგილი ექნება დამოთბილი.

მესამე წიგნში გამორკვეული უნდა ყოფილიყო „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით. ეს შემოქმედებითი წინასწარდასახულობა იმას ადასტურებდა, თუ რა დიდი მიზნისათვის გაიშალა ივანე ჯავახიშვილის მძლავრი ინტელექტუალური ენერგია. რა თქმა უნდა, ომის ვითარებაში დაყოვნდა წიგნის ბეჭდვა. 1915 წლის 7 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილი სწერდა კიტა აბაშიძეს: „დღეს რუსეთში მივგეზავარები. წიგნის ბეჭდვა ვერ დამთავრდა და კიდევ ასი გვერდი არის დასაბეჭდი, რასაკვირველია, ესხა ვაჟიანურდება საქმე იმიტომ, რომ ერთი კორექტურა პეტერბურგში უნდა გამომოგზავნონ ხოლმე. იმედი მაქვს მაინც, რომ გიორგობისთვის დასასრულს წიგნი მთლად დაბეჭდილი იქნება...“

ძალიან მოხარული ვარ, რომ პირველი ნაწილი მოგწონებია, გიგზავნი მეორე ნაწილსაც და პეტერბურგიდან უკანასკნელ ნაწილსაც მოგართმევთ. ეს არის მხოლოდ, ძნელი საკითხავი წიგნია, როგორც ჩვეულებრივ სამეცნიერო გამოკვლევები იწერება ხოლმე, ისეა დაწერილი და კარგად ვგაძნობ, რომ ამ ჩემს გამოკვლევას ბევრი მკითხველი არ ეყოლებია. შენისთანა მკითხველი ჩვენში სულ 10-20 კაცამდის იქნება მხოლოდ, ძველი ქართული ენა აღარ იციან და ტექსტების გაგება გაუძნელდებათ. ამ სიძნელის გამო გამოკვლევას მკითხველი ვერა სძლევს და კითხვას თავს მიანებებს, მაგრამ მე სხვა გზა არ მქონდა. როგორც პირველი სამეცნიერო გამოკვლევა ამ მიზნით და გეგმით დაწერილი უეჭველად დასაბუთებული უნდა ყოფილიყო და ეს არის, რომ წიგნს ძნელ საკითხავად ხდის“.

წიგნი 1916 წელს გამოვიდა. ივანე ჯავახიშვილის შიში არ გამართლდა. იგი შეეცადა. თანამედროვენი აღტაცებით შეხედნენ ამ ნაშრომს. ისე ძლიერია ამ წიგნის ძალა, რომ მის მკითხველს არ შეუძლია თავი შეიკავოს აღფრთოვანებით-საგან.

ამ წიგნის ერთ-ერთი პირველი მკითხველი კიტა აბაშიძე სწერდა ავტორს: „შენი წიგნის ფურცლები პირდაპირ გადავყლაპე და დიდად აღტაცებული ვარ...“

ძალიან დეტალური აღწერა წყაროებისა, რაც ჩემთვის პირადად პირდაპირ აღმატაცებელია და არაფერ რომანს (ამას წერდა უპირველესი ქართველი კრიტიკოსი — ს. ჯ.) ასე არ გაუტაცებია, როგორც შენს ისტორიას“.

კერძო წერილის ზოგჯერ მოსალოდნელ გადაკარბებასთან როდი გვაქვს აქ საქმე. მეტიც, კიტა აბაშიძე საკიროდ თვის რეცენზიაც დაბეჭდოს ამ ქვეშარიტად ემოქალურ წიგნზე. 1916 წელს გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ № 34 გამოაქვეყნა მან წერილი სათაურით „დიდი წიგნი“. იგი აღნიშნავს, რომ სამი დღეა ჩვენი გაზეთის გვერდებზე ისტამბება წერილები „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ შესახებ. ისინი ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ქართული ისტორიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს ვ. ბერიძეს¹. მეცნიერული მხრივ იქ შეფასებულია ეს შესანიშნავი წიგნი“. კ. აბაშიძე იმასაც გვაუწყებს, რომ მას სურს ჩვეულებრივი, უბრალო მკითხველის

¹ 1916 წლის 6. 7 და 8 აპრილს გაზეთ „ჩვენი მეგობარის“ ნომრებში ვ. ბერიძე აქვეყნებს შესანიშნავ რეცენზიას ივ. ჯავახიშვილის წიგნზე. რეცენზია ასე იწყებოდა: „ჩერ კიდევ ორი წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც ბ. ივ. ჯავახიშვილმა შრომებლ ქვეყანას ორტომიანი „ქართული ერის ისტორია“ მიუძღვნა და დღეს ჩვენს წინა დეეს იმავე მეცნიერის ახალი კაპიტალური შრომა“.

რეცენზია ასე მთავრდება: „ბ. ივ. ჯავახიშვილის მიერ დაყენებით ქართულად წერა ღამით ეროვნული მეცნიერების მკვიდრად დაფუძნება განსაკუთრებით საღღესასწაულო და საზეიმო... მაგრამ თხზულების განხილვა გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია, და, თუ ვისმე გასურს განცდად სიღადასა მისისა თავთვე, ინებე წაკითხვა“.

გრძნობები გამოთქვას. ჩვენ მხოლოდ ადგილებს მოვიყვანთ კ. აბაშიძის ამ გადაუქარბებელ ქებათა-ქებიდან.

„მშვიდმა და წყნარმა ივ. ჭავჭავიძემ, რომელიც სწორედ ჩვენი შესანიშნავი წმინდა მამების (გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის და სხვ.) ენერჯითა და თავგანწირულებით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კვალს დაასვამს მთელ ჩვენს აწმყოსა და მომავალს“.

ავტორის წიგნი მეცნიერულ-მხატვრული ნიჭით აქვს აღსრულებული. „მარტო მეცნიერება ვერ შეძლებდა მას, რაც შეძლო ღრმა და თავგანწირულმა სიყვარულმა მამულისამ; მარტო მეცნიერი როდი კმაროდა, კეთილშობილი და თავგადადებულად სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი იყო საჭირო, რომ ასეთი წიგნი მოეცა, მოეცა ასეთი ცხოველი სურათი წარსულისა“.

...უნდა მართალი ვთქვა, ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ მერე არ მახსოვს, ჩემზე, რომელიმე დარგის რომელიმე ნაწარმოებებს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს“.

ეს წიგნი „გადაიქცევა, ჩემი შეხედულებით, ცხოველყოფელ წყაროდ ჩვენი ისტორიის და კულტურის დიდი და მრავალა პრობლემის გაღასაწყვეტად“.

„ნეტავი იმ ახალგაზრდას, რომელიც აღიზრდება ივ. ჭავჭავიძელის შრომებზე.“

სტატიის ბოლოს კიტა აბაშიძე დაასკვნია: „მე კი არ შემიძლია არ დაეამთავრო ეს წერილი იმავე სიტყვებით, რომელიც ვრ. ორბელიანმა წააწერა „დროების“ იმ ნომრებზე, რომლებშიაც ყაზბეგის „ელგუჯა“ იყო დასტამბული და რომელიც ა. ყაზბეგისადმი იყო მიმართული, ვინაიდან დარწმუნებული ვარ ნიჭით მომადლებული მგოსანი ჩემსავით ექსტაზში იყო, როცა იმას წერდა: „ღმერთმა გაკურთხოს, ჭავჭავიძელო, გულის იმ დატკობისათვის, რომელიც მომეცა ამ ნაშრომის წაკითხვის უამს. ჭერ ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა““.

კერძო წერილებშიც ვერ იკავებენ თავს მისი ავტორები აღტაცება გამოთქვან ივ. ჭავჭავიძელის წიგნით. 1916 წლის 18 მარტს სერგი გორგაძე წერდა იოსებ ყიფშიძეს: „როცა ეგ წიგნი წავიკითხე და გადავდე გვერდზე — თვალწინ ბუმბერაზივით ოთხი სახე ამეშარათა სახე იოანე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ი ს ა, ე ფ რ ე მ მ ც ი რ ი ს ა, უამთაღმწერელისა და ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელთაც შემდგომ ჩემს წარმოდგენაში განუყრელად შეუერთდა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით შექურცილი პიროვნება მათის ღირსეულის ისტორიკოს-დამფასებლისა — ი ვ ა ნ ე ს ი და ამგვარად ჩვენი საისტორიო მწერლობის განვითარება მე-VIII—X საუკუნეთა მანძილზე ამჟამად ჩემს გამოხატულებას წარმოდგენილი აქვს ამ შესანიშნავი ხ უ თ ე უ ლ ი ს სახით, რომელსაც იწყებს იოანე და ამთავრებს იოანე! რასაკვირველია, მე ცრუმორწმუნე არა ვარ და რაღა თქმა უნდა სახელების ამგვარი შეხვედრა შემთხვევით მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ თვითონ ხ უ თ ე უ ლ ი ს მოვლენა კი ჩემის ფიქრით სრულიად კანონზომიერია, მხოლოდ ისეთს ღირსეულ წინაპრებს შეეძლოთ ჰყოლოდათ ასეთი ღირსეული მემკვიდრე, თანამოდასე, დამფასებელი“.

ავტორის წინასწარდასახულობიდან ყველაფერი ვერ შესრულდა მთელი მოცულობით, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, უკვდავია თავისი შედეგებით. მართალია, ამ დიდი სერიიდან პირველმა წიგნმა ბევრი დრო და ენერჯია მოითხოვა. აკი ამბობდა ივ. ჭავჭავიძელი 1915 წელს: „ჭერ ცალ-ცალკე მონოგრაფიული

გამოკვლევები მქონდა დაწერილი ამა თუ იმ ქართული საისტორიო წყაროების შესახებ, მერე, როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ დაწერა განვიზრახე, მაშინვე შევიღდე მთელ ქართულ საისტორიო მწერლობის დალაგებულ შესწავლას მიზნისა, წყაროებისა და მეთოდების მხრივ. მაგრამ მას შემდეგაც, როდესაც წინამდებარე გამოკვლევის დედააზრი და თვით გეგმაც სრულებით ნათლად წარმოიძგრა, მისი განხორციელება, რასაკვირველია, ერთბაშად არ შეიძლებოდა და არამკირადი ხანი და ეამი იყო საჭირო, სანამ ეს დიდი განზრახული გამოკლევა დამთავრებული იქნებოდა“.

სწორედ ეს უკვდავი წიგნი ივანე ჯავახიშვილისა თანდათანობით, როგორც ძველები იტყოდნენ, „ეამითი-ეამად“ იქმნებოდა. ამასთან სხვადასხვა სამეცნიერო შეკრებულობაზე, საჯარო ლექციების სახით წაკითხულია მისი ნაწილები. ამ წიგნის სხვადასხვა ნაწილი ჩვიდმეტი წელიწადი — 1898 წლიდან 1915 წლამდე სხვადასხვა გარემოებაში იწერებოდა, თხზულება იზრდებოდა და ღრმავდებოდა, მისი საზღვრებიც ფართოდებოდა. ივანე ჯავახიშვილმა 1920 წელს მეორე გამოცემაში კიდევ დაუმატა მასალები, რომლებიც საუნივერსიტეტო ლექციებისათვის დამზადებულ ნაშრომებს წარმოადგენდნენ.

ისტორიკოს-სპეციალისტებში ერთსულოვანი იყო აღფრთოვანება ამ ეპოქალური წიგნით, მათ შორის იმითაც, ვისი შეხედულებებიც გაკრიტიკებულია ამ ნაშრომში.

1918 წელს მოსე ჯანაშვილი უსაზღვრო სიყვარულით შეხვდა ამ წიგნის გამოჩენას. „მუდგები ამ საკვირველ წიგნს და გინდა მწვერვალამდის მიადწიო შეუსვენებლრე, დაეწაფო, ვით მოწყურებული ირემი წყაროს, და ამოსწურო იგი ბოლომდის.“

ნამდვილი წმინდა გუთანივით შლის, არღვევს, აბრუნებს, გადადის „ბელტი-ბელტზე“, ცოცხლებიან და მზის შუქზე ამოდიან უმეცრების გზით დამარხული მოღვაწეები და ისტორიკოსები. ეცნობი ამ გამომზეურებულ გმირებს და ჰკვირობ, ვერ გადაგიწყვეტია, ესენი უფრო გმირები არიან, თუ მათ შესახებ მართლისმეტყველი ჩვენი ავქსონი.

რამდენი დაკვირვება, რამდენი დიდ-წერილი შემოწმება, დაპირისპირება ძველ ავტორებისა, გადასხმა, გადმოსხმა, შესწორება, აღნუსხვა-თარგმანება! ჩვეულებრივი კაცისათვის ყოველივე ეს დიდი და გულის-გამაწყვალბელი საქმეა, მაგრამ ჰემმარიტ მკვლევარ-ისტორიკოსს წარბსაც ვერ შეახრევიანებს.

შემოსილა იგი მეცნიერების კვართით, დამჯდარა რა მეცნიერების კალოზე, არკვევს ზღაპრულს ნამდვილისაგან, სარწმუნოს ურწმუნოსაგან, სასწაულებრივს შესაძლებლისაგან, ღირსსა და უღირსს შორის სდებს მტკიცე საზღვარს და ყოველს ისეთს სულს ჩაუდგამს, რომ თითქოს მკედარ ამბებთან და უწინარეს ეამებში ამოწყვეტილ კაცებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ცოცხლებთან საუბრობსო, პირისპირ, ხელმძღვანებული მარტო მართლმოყვარეობით, გულდასმით და ფილოსოფიურის სიღინჯით ჩხრეკავს საისტორიო და სამწერლო ძეგლებს, ეძებს საჭირო მასალას მატინანებსა და არქივებში, ზეპირსიტყვაობასა და მიწერ-მოწერაში, ხელოვანთა და მგალობელთა ჰანგებსა და კილოებში, უცხოელთა ნაწერებსა და გადმოცემებში. მერე ყველა ამ ვეება შეძენილობას დალაგებს თავის სამეცნიერო თვალთახედვის მყუდროზე, განმარტავს თვითეულს ცალ-ცალკე, შეაფასებს ყველას ერთად, გაჰკრავს თავის გონების დაუშრეტელ ისარს, ჩასწვდება საძიებელი საგნის სიღრმეს, გააშუქებს ჰემმარიტი მკვლევარის მეთოდის წესით და ამის შემდეგ დასდებს თავის მსჯავრს.

ჯავახიშვილისთანა ჰემმარიტი მეცნიერი ვერ გაჰყვებოდა იმით, რომელნიც

გაჰკიდნენ, რომ ქართველებს ვახუშტიმდე ისტორიკოსები არა ჰყვანდათო... საკმარისია კაცმა წაიკითხოს გინდა მარტო ჭავჭავიძის ზემოხსენებული „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ესლა“, რომ დარწმუნდეს, რა მდიდარია ქართული მწერლობა საზოგადოოდ, რა პირველხარისხოვანი ისტორიკოსები გვეყოლია, რა დიდ-ბუნებოვან კაცებს შეუქმნიათ ქართული უმდიდრესი სიტყვიერება, მისი გმირული ისტორია მისი „სუსტი“ კი არა, ცხოველი და მდიდარი კულტურა. ასეთი დიადობა ქართული კულტურის წინადაც სჩანდა, მაგრამ ჭავჭავიძის კვლევა-ძიებამ უფრო სიცხადე მისცა მას“.

ეს გრძელი ციტატა 1918 წელს გამოქვეყნებულ მ. ჭანაშვილის სტატიიდან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უკეთესად შეუძლებელია დავახასიათოთ ეს დიდებული წიგნი. ივანე ჭავჭავიძის აღიარება და მისი ცნობა პირველ ქართველ ისტორიკოსად შეუვალი და ერთსულოვანი იყო. ამას აღიარებდა შესანიშნავი მოღვაწე და მოამაგე ქართული კულტურისა მოსე ჭანაშვილი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ადრე როდი ხვდებოდა ალტაცებით მის ზოგიერთ აღრიხდელ ნაშრომს. ჩვენ ვერ გადმოვცემთ ამ წიგნის შინაარსს. ეს საკმარისიც არ იქნებოდა. აქ გვინდა გავიმეოროთ ამ წიგნის მიმართ ის სიტყვები, რაც ივანე ჭავჭავიძე იღმა ვახუშტი ბაგრატიონის შრომებზე თქვა: „ვერავითარი მოკლე მიმოხილვა ვერ აგრძნობინებს აღამიანს ვახუშტის (ივანე ჭავჭავიძის — ს. ჯ.) დიადს ღვაწლს ქართულ ისტორიათაღმწერლობისა და საისტორიო მეცნიერების წინაშე: მკითხველი თვით უნდა ჩაუკვირდეს მის ღრმა აზროვან მსჯელობას... და მის გასაოცარ, ნამდვილ მეცნიერულ აზროვნობით დატკბეს“.

ჩვენ აქ ვერ შევებებით მთელ იმ მეცნიერულ სიმდიდრეს, რაც ამ უკვდავ წიგნში გვაქვს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არც მანამდე და არც შემდეგ, დღემდე არაფერი ამისი ტოლი ქართულ მეცნიერულ წყაროთმცოდნეობაში არ შექმნილა. ივანე ჭავჭავიძის უკვდავებისათვის ეს წიგნი საკმარისი იყო. ამ წიგნის გამოსვლით მტკიცე საძირკველი შეექმნა მომავალ მკვლევართ, რომელნიც გათავისუფლდნენ უაღრესად მძიმე სამუშაოს ჩატარებისაგან. სხვა თანაბარ შემთხვევაში ამ სამუშაოებს ავტორთა მთელი კოლექტივები დასჭირდებოდა.

ივანე ჭავჭავიძის სამოქმედო მაქსიმა: გამორკვეულ იქნეს თითოეული მემატრიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადა მას, როდესაც თავისი თხზულების წერას შეუდგა.

ყოველივე ამის გარკვევისათვის აუცილებელი იყო იმის დადგენა, რადაცა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თვითეულ მათგანს, რა გზით და რა საშუალებით შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება. ამიტომ საისტორიო წყაროების მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას იგი განსაკუთრებულ როლს აკუთვნებს

მარტო ის, რომ ავტორი თანამედროვე იყო მომხდარი მოვლენებისა, როდი კმარა მისი საისტორიო თხზულების დასახასიათებლად. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას „მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნობა და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა, იმიტომ რომ მათიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ, თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხ-

დღრი არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადამხდური და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს“.

ივანე ჯავახიშვილი მოითხოვს იმას, რომ მეცნიერ-მკვლევარმა ყოველთვის მხედველობაში იქონიოს ის ზეგავლენა, რასაც მოვლენების გადმოცემაზე აღმწერლის თვალსაზრისი, წოდება, მედასეობა ახდენს და მისი განზრახვით ანდა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად მიუღდგომლობაზე მოქმედებს. ასე, მაკდურის სოფლის მოძულე ბერი-მემკვიდრე ვერ გამოიჩინდა პირუთვნელობას თავისუფალი აზროვნებისა და ყოფა-ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს. ასევე მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემკვიდრე თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა მეფეთა საძრახისი საქციელის, ანდა სათაქილო ამბების აღწერილობას, ხოლო, მეორეს მხრივ, მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიძულვილს ვერ შეიტანდა და სხვ.

მწვევე კრიტიკა გამართული „ქართლის ცხოვრების“ მიმართ არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ ივანე ჯავახიშვილი სათანადოდ ვერ აფასებდა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ მნიშვნელობას. იგი გვაფრთხილებს მხოლოდ: ეს ჩვენი ისტორიისათვის შეუცვლელი ძალის ძეგლის შესწავლა არ შეიძლება მისი გარეგანი კრიტიკით შემოვსაზღვროთ, მართო იმის აღნიშვნით, თუ ვინ და როდის შექმნა ეს კრებული, რომ მისი თვითთელი ნაწილი თანამედროვის მიერ არის თუ არა დაწერილი. ივანე ჯავახიშვილი გადაჭრით ამბობს: რამდენადაც „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროისა და ლირსების, სხვადასხვა ავტორის საისტორიო თხზულებათა კრებულია, სწორედ ყველა ამ თავისებურების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს იგი.

განუზომლად დიდია, ფასდაუღებელია თვითონ ივანე ჯავახიშვილის როლი „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული ტექსტის დადგენაში. მეტიც, ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილია აღმომჩენი „ქართლის ცხოვრების“ ორი მანამდე უცნობი და ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერისა. პირველად ეს 1913 წელს მოხდა, მეორედ კი 10 წლის შემდეგ, 1923 წელს.

1913 წელს ივანე ჯავახიშვილი სტუმრად იყო თავისი მეუღლის ნათესავთან სოფელ ლამისყანაში. მან ეს მომენტი გამოიყენა ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის საგვარეულო წიგნსაცავის გაცნობისათვის. აქ კი წიგნების გადასინჯვის დროს სრულიად მოულოდნელად „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე უძველესი ნუსხა აღმოაჩინა.

ასე, „ეძიებდეთ და პპოვებდეთ“. სტუმრობის შემთხვევაში ფაქტი ამ დროს აუცილებლობის გამოვლენაა, ანუ, როგორც ამბობენ, შემთხვევითი აუცილებლობაა.

ეკვი არ არის, სტუმრის ყველაზე დიდი სიხარული უსაზღვროდ გაძლიერდა, როცა გულმხურვალე მასპინძელი კარგად ხედავს, რომ ხელნაწერ წიგნს ნანატრი მზრუნველი გამოუჩინდა, და ივანე ჯავახიშვილს ამ ქეშმარიტად უნიკუმს საჩუქრად აძლევს.

ასე, სოფელ ლამისყანაში ელოდა მეთხუთმეტე საუკუნიდან ხელნაწერი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ტექსტი მის ყველაზე დიდ მესაიდუმლეს. ამიერიდან ამით გაითქვა სახელი ამ სოფელმა, მანამდე ლამისყანა იმით იყო ცნობილი, რომ აქედან ლეკებმა გაიტაცეს სტუმრად მყოფი დავით გურამიშვილი.

ლამისყანაში აღმოჩენილ ტექსტს ივანე ჯავახიშვილმა ანასეული „ქართლის ცხოვრება“ უწოდა. ეს შემდეგი მიზეზის გამო მოხდა.

კახეთის მეფედ იყო აღექსანდრე 1476 — 1512 წლებში. იგი, მისი მეულ-

ლე ანა და ალექსანდრეს დედა ნესტან-დარეჯანი ღიდად იყვნენ დანტერესებული დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენით. მათ განუახლებიათ „წარმართთაგან“ იოხრებული ალავერდის შესანიშნავი ტაძარი და ბევრი სხვა ერისათვის სასარგებლო საქმე გაუკეთებიათ. სამივეს მიუღია მონაწილეობა „ქართლის ცხოვრების“ გადაწერაში, მაგრამ ხელნაწერის გადაწერის ბრძანება ანა დედოფალს გაუცია, ამიტომაც მან „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხას ანა დედოფლისეული, უფრო მოკლედ ანასეული უწოდა.

თბილისში წამოღებული ძვირფასი საჩუქარი ივანე ჭავჭავიძე იღმა ღრმად შეისწავლა. ხელნაწერი საგრძნობლად დაზიანებული აღმოჩნდა, მას აკლდა ფურცლები. თავში ხელნაწერი თავგებისაგან იყო შექმული. არც ადამიანს დაუნდვია მისი ზოგიერთი გვერდი. ხელნაწერის ქვეითი და მარჯვენა გვერდის არშიები შემოჭრილი ჰქონდა. ხელნაწერი უთარილო იყო. ყველაფერი ეს აღარ იყო სერიოზული დაბრკოლება ამ ნახევრად ოფიციალური (მას ხომ მეფის ცენტრალური ხელისუფლების მომხრეები წერდნენ) ისტორიული კრებულის სახელმძღვანელოს სრული შინაარსის ასახსნელად. ივანე ჭავჭავიძე იღმა მოვლენათა და ფაქტების შეჭერებით დაადგინა, ხელნაწერი 1479 — 1496 წლებშია გადაწერილი. ეს კი ნიშნავს, რომ ნაპოვნი იქნა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შორის უძველესი ნუსხა.

თავის „საისტორიო მწერლობაში“ ივ. ჭავჭავიძე იღმა როდი კმაყოფილება ამ ნუსხის ანალიზით. იგი აკეთებს იმდროინდელი ყველა ნუსხის შედარებით ანალიზს. აქვე აღნიშნავთ, რომ 10 წლის შემდეგ იგი კიდევ ერთი აღმოჩენის ავტორი ხდება. 1923 წლის მაისის თვეში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წიგნსაცავის გამგე მ. შვეარდნაძე სთავაზობს ივანე ჭავჭავიძეს, რომ იქნებ იგი გაეცნოს ერთ-ერთ დიდტანიან ხელნაწერს, რომლის არც პატრონი ჩანს და არც შინაარსია გამორკვეული.

ბიბლიოთეკაში ჩვეულებრივ ხელნაწერები არ ინახებოდა. ივანე ჭავჭავიძე იღმა იფიქრა კიდევ შემთხვევითი ხასიათის ძეგლი თუ იქნებოდა, მაგრამ არა მარტო თავაზიანობისათვის, არამედ მკვლევარ-მძიებლის ალღოს კარნახით, მან უარი არ თქვა მის გაცნობაზე. როგორც ივანე ჭავჭავიძე იღმა აღნიშნავს, ხელნაწერი უშველგებელი ტანისა და სისქის აღმოჩნდა. „გადაფურცვლამ დამარწმუნა, რომ ხელნაწერი ქართლის ცხოვრებას შეიცავდა და სხვადასხვა თვალსაზრისით საინტერესო იყო. ამ პირველი კარგი შთაბეჭდილების შემდგომ ძეგლის უკვე გულდასმითი, დაწვრილებითი შესწავლა დავიწყეთ“.

ტექსტის ჭავჭავიძე იღმა ისეულმა ჩხრეკა-ძიებამ გამოარკვია, რომ ეს ხელნაწერი ერაჯ ჭალაშვილს მოუშადადებია და 1731 წლისათვის დაუსრულებია კიდევ. ტექსტის ერთი ნაწილი XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება: შემდგომში მისი დაზიანებული და ნაკლები ადგილები შეუეცია ე. ჭალაშვილს. ამიტომ ამ ხელნაწერს ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ ეწოდა.

ე. ჭალაშვილი იმათ შორის იყო, ვინც ვახტანგ VI-ს წაჰყვა რუსეთში. როგორც ჩანს, ამ ტექსტს იცნობდნენ ვახტანგ VI და ვახუშტი ჭავჭავაძე იღმა.

ივანე ჭავჭავიძე იღმა არ შემოზღუდულა მის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების შესწავლით. როგორც აღნიშნეთ, მან თავისებური ანატომიური გაკვეთა მოუწყო „ქართლის ცხოვრებას“ და დაადგინა, რომ ეს არა მარტო მეფეთა წასაკითხი წიგნი იყო, რომ ქვეყნის მართვა შესძლებოდათ, არა მარტო მათი შედგენილია, ვისაც სამეფო ხელისუფლების ერთიანობა და ცენტრალიზაცია სურდა, არამედ ეს იყო ამასთან ერთად ქართული ფეოდალუ-

რე ისტორიული აზროვნების გამომხატველი წიგნი, რომელიც ადასტურებდა თავის დროზე ისტორიოგრაფიის განვითარების მაღალ დონეს.

„ქართლის ცხოვრება“ იმ დროს იქმნებოდა სწორედ, როცა საქართველოს გაერთიანების საქმეში გადამწყვეტი წარმატებები უკვე მიღწეული იყო. ეს წიგნი მთლიანად მხარს უჭერს ამ ერთიანობას. იგი, „ყოველი საქართველოს“, „სრულიად საქართველოს“ თანამიმდევრული მქადაგებელია.

„ქართლის ცხოვრების“ ავტორები შედარებას არ იშურებენ სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა დასახასიათებლად. მაგალითად, დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგეთა მიმართ ისტორიკოსი იხმობს ყველაზე უფრო შემარცხვენელ სიტყვებს, რომ ლიპარიტ ორბელიანის სახე გვაჩვენოს. ბოლოს დავით აღმაშენებელი, წერს ისტორიკოსი, იძულებულია სამშობლოდან განდევნოს იგი. ვინაიდან ლიპარიტ ორბელიანი არ სწორდება ისე, როგორც კული ძაღლისა არ გასწორდება, კირჩხიბი სწორად ვერ ივლის (ანასეული „ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ. 206).

„ქართლის ცხოვრების“ შემკმნელები არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების მომხრენი არიან. ისინი ამასთან ერთად აყენებენ საკითხს კავკასიის ხალხთა ფეოდალური გაერთიანებისათვის ბრძოლისას (მართალია, ისინი აქ საქართველოს ჰეგემონიას გულისხმობენ), რომელშიც, ქართველებს გარდა, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის სხვა ხალხები — სომხები, ალბანელები, ჩრდილო კავკასიის ხალხები. ამისათვის ისინი ამ ხალხების ერთობლივი წარმოშობის თეორიასაც ქმნიან.

ივანე ჯავახიშვილი დაწერილებით მიმოიხილავს XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის შეხედულებას, რომელიც „ქართლის ცხოვრების“, როგორც ერთიანი კრებულის, ფუძემდებლად ითვლება.

ლეონტი მროველი, მისდროინდელ მემატრიანეთა მსგავსად, გამოდის იქიდან, რომ მთელი კაცობრიობა ერთი ცოლქმრისაგან წარმოსდგა, რომ თითქოს თავდაპირველად ერთი ცოლქმარი იყო (ადამი და ევა), ხოლო შემდეგ თანდათანობითი გამრავლების წყალობით ჯერ გვარი გაჩნდა, მერმე ტომი, შემდეგ ერი და მთელი კაცობრიობაც. ლეონტი მროველს ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ნოეს შვილის — იაფეტისაგან წარმოშობილი ჰგონია. მისი აზრით საეკლესიო-ბიბლიურ თვალსაზრისზე დამყარებული ეს მოძღვრება თვლის, რომ კავკასიის ხალხებს ერთი მამა ჰყავდათ თარგამოსი, მაშასადამე, ეს ხალხები ერთმანეთის ლვილი ძმები არიან. ეს ძმები გაყოფის შემდეგ ცალ-ცალკე ცხოვრობენ, („ადამის აქათ ქვეყანა გაყრით არის მოშენებული“. ვახტანგ VI). მათ შორის წინააღმდეგობაც არის, მაგრამ მტრის თავდასხმის დროს ისინი ერთიანდებიან და ისე ებრძვიან მტერს. ასე, როცა მათ თავს დაესხა კაცობრიობის პირველი ლეგენდარული მეფე ნებროთი დიდძალი ჯარით, თარგამოსიანთა შეერთებული ძალები ამარცხებენ საშიშზე საშიშს მტერს. ასეა შემდგომ ხანებში. ამ შეხედულებას იზიარებდა „ქართლის ცხოვრება“ მთელს შემდგომ საუკუნეებში.

კავკასიის ხალხთა ერთი შთამომავლობისაგან წარმომავლობა ლეონტი მროველს, როგორც ვხედავთ, საფუძვლიანი მოსაზრებებით არ დაუმტკიცებია. ლეონტი მროველმა ვერ დასძლია და ვერც საკმაო ცოდნა გამოაჩინა იმ საკითხის განხილვისას, რომლის გარკვევა მან იკისრა, მაგრამ მისი შეხედულება მეტად საგულისხმოა იმდროინდელი და შემდეგდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესასწავლად. ესაა ამ შეხედულების შეფასებისას

მთავარი, როგორც სწორად წერს ივანე ჭავჭავაძე: „ზემოჩამოთვლილ ერთ-თესლოვანი შთამომავლობისა და ძმობის აზრი უფრო პოლიტიკური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი, თუმცა იქნებ ხალხში გადმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემო ჩამოთვლილ ტომთა მონათესავეობაზე“ (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VIII, გვ. 179).

ივანე ჭავჭავაძის კარგად ხედავს „ქართლის ცხოვრების“ ცალმხრივობას. მასში სასტიკად დაგმობილია დიდგვაროვანი თავადთა ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. რასაკვირველია, იგი საერთოდ არ უშვებს მდაბიოთა ბრძოლის შესაძლებლობასაც სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთან ერთად აუცილებლად უნდა გარღვეულიყო მანკიერი წრე ისტორიისა, როცა ყველაფერი „ქართლის ცხოვრებით“ იწყებოდა და მთავრდებოდა. ისტორიული სინამდვილის სურათის სრულად აღდგენისათვის ივ. ჭავჭავაძის ამიტომაც აუცილებლად თვლის იმის აღნიშვნას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ვერ მოხვდებოდნენ ის ისტორიკოსები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენ იყვნენ, ანდა არ ეთანხმებოდნენ მეფის პოლიტიკურ ხაზს. იმ ისტორიკოსთა წარმოჩენა, რომლებიც არ მოხვედრილან „ქართლის ცხოვრებაში“, ივანე ჭავჭავაძის ამ კლასიკური ნაშრომის ფასდაუდებელი მიღწევაა.

არ დაუმცირებია რა ის დიდი მნიშვნელობა, რაც „ქართლის ცხოვრებასა“ და ისტორიულ სიგელ-გუჯრებს ჰქონდათ ჩვენი წარსულის შესწავლაში, ივანე ჭავჭავაძის მთელი სისრულით წარმოაჩინა შეუცვლელი როლი იმ ისტორიული ცოდნა-მონაპოვრისა, რაც ქართველ მარტილთა და წმიდათა ცხოვრებაშია; ეს მაშინ, როცა მათში ძვირფასი და საგულისხმო ცნობები იყო არა მარტო ქართული საეკლესიო ისტორიისათვის, არამედ ასევე ქართული სამოქალაქო ისტორიისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების შესასწავლად, მით უფრო, როცა, მისი აზრით, ქართული სამოქალაქო საისტორიო დარგი წარმოიშვა და განვითარდა ქართული საეკლესიო მწერლობისაგან. სწორედ ეს გარემოება ამართლებს და გასაგებს ზღის იმას, რომ იგი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლას მარტილობათა და წმიდათა ცხოვრების განხილვით იწყებს. ივ. ჭავჭავაძის მანხილი თვალთ პირველად წარმოჩნდა, რა ძვირფასი მარგალიტები გვექონდა ქართული საისტორიო მწერლობისათვის, რომლებიც მანამდე შეუძინებელი იყო. ამას ემატება კიდევ ის, რომ ქართული საეკლესიო საისტორიო მწერლობა საშუალებას გვაძლევს ქართული საისტორიო თხრობის სისტემის, მეთოდებისა და ტერმინების გასაგებად.

რ. სირაძის სწორი სიტყვებით, ივ. ჭავჭავაძის „პირველად დანერგა ჩვენში ეპითალოგისა და მხატვრული ლიტერატურის ერთ მთლიანობაში განხილვა ამით ორივე დარგი ერთი საერთო კულტურულ-ისტორიული პროცესის ანარეკლად წარმოგვიდგა“.

ივანე ჭავჭავაძის 17 წლის მუშაობა თავისებურ ანატომიურ გაცვეთას ახდენს ქართული საისტორიო აზროვნებისას 14 საუკუნის მანძილზე. წარმოაჩენს მისი ისტორიულ-ბუნებრივი განვითარების გზას XVIII საუკუნემდე. იგი განვითარების მეტად მაღალ დონეს აღწევს, როცა „ისტორიის ფილოსოფიის“ ზოგად თეორიულ საკითხებსაც ფართოდ აყენებს.

ივანე ჭავჭავაძის წიგნის სიდიადე მარტო იმაში კი არ არის, რომ ძველის წყაროს ღრმა კრიტიკული შესწავლა გვაქვს მოცემული, მისი მთავარი მიზანია ზრუნვა ქვეყნის ტექსტისა და ისტორიული სინამდვილის დადგენისა-

თვის. ამ მხრივ პირდაპირ გენიალური წედომის უნარს ამჟღავნებს ავტორი მთელი რიგი ფაქტებისა და მოვლენების ახსნისას.

„ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ მიმზიდველობას ზრდის პერსონოლოგიური ასპექტები ისტორიკოსის დახასიათებისას მათი „შრომაჲ და მოღუაწეობაჲ“. ამასთან ეს როდია უწყვეტი რიგი ქებათა-ქება წინააპრთა მთელი ავკარგიანობით ნაჩვენებია ისტორიკოსი-მემატთან.

ისტორიკოს-მწერალს მოეთხოვება მარტივად და გულწრფელად შეაფერადოს თავისი ნაწარმოები და არა ბრჭყვიალებითა და რიტორული ენაშქვრობით ამძიმებდეს მას. აბო თბილელის ავტორის შესახებ ივანე ჭავჭავაძის შვილი წერს: „საღმრთო წერილის მონური თაყვანისცემა და მიმბაძველობა, ყოველგვარი პოეტური სილამაზის უაყოფა და საეკლესიო მწერლობის ზეპირად ცოდნის გამოჩენის სურვილი, საეკლესიო მწერალს ხშირად პირად ნიჰს უზღავდა, მის შემოქმედებას ჰბორკავდა და მის ნაწარმოებს უფერულობისა და უპირადობის ელფერს სდებდა ხოლმე. მხოლოდ განსაკუთრებული ღვთაებრივი ნიჭით დაჭილდობული მწერალი თუ შესძლებდა ამგვარ შემზღუდველ პირობათა ძლევას, თავის ადამიანურ გრძნობა-აზროვნების გამოძლავნებას. ამ იშვიათ პიროვნებათა გუნდს ეკუთვნოდა სწორედ აბო ტფილელის მარტივობის გამომთქმელი იოანე ძე საბანისა“. სწორედ ამაშია მხატვრის ძალა და არა თვითონ ამბის გადმოცემაში, ისიც უსიციოცხლოდ, კონფენსიური ლიტერატურის ნახესხები სიტყვებით, როცა სიციოცხლის გრძნობის ნაცვლად ყველაფერს საეკლესიო ბიბლიოთეკის სუნი ასდის.

ჩვენი ძველი ისტორია მსგავს ფაქტებს იცნობს, როგორც იყო რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის თვითმოწამობრივი სიკვდილი. ისინიც უცხოელნი იყვნენ, მათაც დაიდგეს უკედავების გვირგვინი, მაგრამ მათ ავტორებმა „მხოლოდ თვით ამბავის მარტივი მოთხრობა დაგვიტოვეს, ივანე საბანისძის თხზულება კი არა მარტო მხატვრული, არამედ უკვე საისტორიო ნაწარმოებიაო. ამასთან ივანე ჭავჭავაძის შვილი დასძენდა: „თავისთავად ცხადია, რომ ის გარეობა, რაკი რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის მარტივობათა ავტორებმა თავიანთი თხზულების დაწერა იოანე საბანის ძესავით ვერ შეძლეს, მათ ნაკლად ვერ ჩაეთვლება. ჩვენ იმისიც მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ მათი მარტივობის თვით ისტორიული შემთხვევა კარგად და უტყუარად აქვთ აღწერილი. ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადო-მნიშვნელოვან გარემოებათა შემჩნევა ადვილი არ არის. ახლაც-კი უმეტესობას ამისი ძალა და უნარი არ შესწევს, მით უმეტეს ეს თვისება VI—VII სს. მწერლებს ვერ მოეთხოვებათ. მაგრამ სამაგიეროდ ამით უფრო ნათლად სჩანს, რამდენად ნიჭიერი ყოფილა თვით იოანე საბანიძე, ან რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართული ეროვნული თვით-შემეცნებისა და საისტორიო მწერლობის წინაშე.“

საეკლესიო მწერალი ხშირად თავის თავში მხატვარს ფარავდა. მის მიერ აღწერილი მოვლენა თუ სახე სცილდებოდა მწერლის მეურვეობას და ხორცეულ. ცოცხალ სახედ იქცეოდა. ივანე ჭავჭავაძის ასე ახასიათებს გიორგი მერჩულეს, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს: „რაც უნდა აგვიწეროს მან, ყველაფერი ხორცშესხმული გამოდის, სურათი ცხოველი და მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება იყო. ამ მხრივ იგი ნამდვილი მხატვარია. მისი აღწერილობა თვალწარმტაცია სიმკვირცხლით, მშვენიერის ხატოვანობითა და ფერადებით არის აღსავსე, მოთხრობა ბუნებრივად მიმდინარეობს და მკითხველის ყურადღებას უნააჩსიანობით ჰხიზლავს. მარტივი, მკაფიო და ცხოველის ენით დაწერილი, მშვენიერის, კეთილშობილურის კილოთი გამსჭვალული,

მთლად პოეტური თხზულების შთაბეჭდილებას ახდენს". (თხზ. 12 ტომად. ტ. VIII, გვ. 125).

ნიშანდობლივია, მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავზე გადაწყდა მის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემა, იგი დაიწყო „ისტორიის მიზნის, წყაროების და მეთოდების“ გამოსვლით (1977 წ.), რომელიც რიგით VIII ტომის სახითაა წარმოდგენილი.

ივანე ჯავახიშვილი გადმოგვცემს იმ დიდ ეტაპს ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში, რაც გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მციარის მოღვაწეობამ შექმნა.

რა თქმა უნდა, მართო მხატვრულად წერა საეკლესიო არ არის საისტორიო ნაშრომის შეფასებისათვის. ნაკლი მხატვრულად წერისა შეიძლება შეავსოს ფაქტებისა და მოვლენების აღწერის სანდო და უხემა მონაცემებმა.

ეხება რა XI საუკუნის ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის ნაშუქვარს, ივანე ჯავახიშვილი წერს: „სუმბატის საისტორიო შრომა „ცხოვრება და უწყება“ მეტად მშრალი და ერთფეროვანია. განსაკუთრებით იქ, სადაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონიანთა შთამომავლობაზე საგვარეულო მატრიანთგან არის ცნობები ამოღებული, მკითხველს თვალები უჭრელდება ცალიერ სახელებისა და თარიღების გამო. ვინ როდის დაიბადა, როდის მიიღო ესა თუ ის პატივი თუ ხელისუფლება, რამდენი შვილი ჰყავდა და რა ერქვა თითოეულ მათგანს. დასასრულს, როდის გარდაიცვალა,—აი სუმბატის თხზულების ამ ნაწილის ჩვეულებრივი შინაარსი, აქა-იქ ამას გარდა ერისთავთა შორის ჩამოვარდნილი შტოობა და ბრძოლა არის ხოლმე აღნიშნული და იშვიათად მოხსენებულია ახალი საეპისკოპოსო საყდრის აგება და პირველი ეპისკოპოსის სახელიც“. (თხზ. 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 196).

ეს შენიშვნები ტექსტის ერთფეროვნებაზე და მის წასაკითხად მოსაწყენობაზე სრულიადაც არ უშლის ხელს ივანე ჯავახიშვილს მასში დადებითი დაინახოს და იგი მაინც ძვირფას საისტორიო ძეგლად გამოაცხადოს: „არსად სხვაგან სხვა ქართული ძველი დროის რომელიმე საისტორიო წყაროში ამდენი ქრონოლოგიური ცნობები არ მოიპოვება. ამ მხრივ მას სწორი არა ჰყავს“. ამის გამო არა მართო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თხზულებას, არამედ ექნება კიდევაც. უსისხლბორცო ისტორიაც შეიძლება ძვირფასი იყოს.

მეორე მხრივ, ისტორიკოსის მიერ ზედმეტი პოეტური მიმსგავსება და რიტორული მოქარგულობის ტრფიალი შეიძლება ზიანის მომტანიც იყოს მემატიანისათვის. ეს სკირდა, ამბობს ივანე ჯავახიშვილი, თამარ მეფის ისტორიკოსს, რაც, „რა თქმა უნდა, ისტორიული მოთხრობის ბუნებრივ მიმდინარეობას აფერხებდა და საქმეს ტყუილ-უბრალოდ აართულებდა“ (თხზ. 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 239). ამ ისტორიკოსს, იმის ნაცვლად, რომ თავის დაუშრეტელ რიტორიულ მკვერმეტყველებისათვის ფრთები შეეკვეცა, სამწუხაროდ, მოსათხრობი მასალა შეუმოკლებია. მართლაც რომ სიტყვათა და ჩუქურთმათა სიჭარბე ხშირად ისტორიული ნაშრომის შინაგანი დეფიციტის გარეგანი ექვივალენტია.

ივ. ჯავახიშვილი თამარის ისტორიკოსის შესახებ დაასკვნია: „ასეთი ხელოვნურ ენით და რიტორიულ მოქარგულობით არც ერთს სხვა ქართველ ისტორიკოსსაც წინათ და არც შემდეგ არ უწყრია. ამ მხრივ მას განმარტოებული ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში და, ჩვენდა საბედნიეროდ, აოგორც ეტყობა, მიმბაძველები არ ჰყოლია“ (თხზ. 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 235).

ივანე ჯავახიშვილი მართო ისტორიკოსის ნაშრომის შეფასებით არ კმაყოფილდება. იგი ხშირად საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ მის პირად ცხოვ-

რებანი, მისი შინაგანი მოქალაქეობრივი რწმენის ხვეულებში. ასე, ისტორიკოსი ფრასლან გორგიჯანიძე სპარსეთში თავისი ცხოვრების სიმძიმეს აღწერს. მისთვის ძნელი ყოფილა აღგილი შეენარჩუნებინა, ვინაიდან დიდი მტრობა და შური სულევედა სპარსეთში მოხელეებს შორის და თავიანთი მეტოქის დანდობა არ იცოდნენო. ამ მრავალ ცვალებად საფრთხით სავე ვითარებაში მხოლოდ ყალბი ტყბილიტყვაობით, პირმოთნეობით, გულჩათხრობით და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით თუ შეიძლებოდა ადამიანს გადაერჩინა თავისი თავი. ასეთი ცხოვრებისეული მრწამსი შეუქმნია მას და სწორედ ამ სულსკვეთებას მთააგონებს თავის შვილს. იგი შვილს ასწავლის, რომ ჰკვიანი იმას ჰქვია, ვინც თავისი გულისთქმის „შემნახავი იყოს და ყოველ კაცს საამებელი უთხრას და საწადელი თავისი არვის გაუცხადოს... თუ მიფარვით თქვას, საქმე მისი გარიგდება და თუ მრავლისათვის უთქვამს, მემშურენი სალხინოს საპიროდ გაუხდინაო“. ადამიანი ქონების შექმნაზე უნდა ზრუნავდეს იმიტომ, რომ „უქონლობას ყოველი ჰირი სჯობსო“.

მაგრამ, რაგინდ ბევრი აქნდეს, დაფარვითა სჯობს, თოროდა დამემშურნე და მობეზლარნი მტერნი ასტყდებიან ან მებატრონესთან შეაბეზლებენ და წაართმევენ და ან ქურდს შეუჩენენ გასაქურდავად და ან ძმასა და შვილს გარდაჰკიდებენო“.

გამოდის, რომ არავის არ უნდა ენდოს ადამიანი და მარტოოდენ თავის თავზე უნდა იზრუნოს. მას სიბერისათვის თავისი კერძი გამოზოგილი უნდა ჰქონდეს, თორემ, თუმცა „მართალია და კემშარიტი, რომ ყოველ მამას თავისი საქონელი და ზამული თავისი შვილისათვის უნდა, მაგრამ შვილს თუ მამა საქონლიანი ჰყავს, მალე მისი სიკვდილი უნდა, რომ მისი საქონელი დახარჯოს. და, თუ მამა უქონელია, შვილი ერთ ლუკმა პურს რომ აჰმევეს, დღეში ასჯერ წაყვედრის: „ეს გაქაღლებული არ კვდებისო, რომ შოვრჩეთო“. სიმდიდრეცა და სიღარიბეც აფორიაქებდა XVII საუკუნის ისტორიკოსს. ადამიანისადმი უნდობლობა საკუთარ შვილზეც ვრცელდებოდა. არსებობისათვის ადამიანი ყველასთან უნდა ფრთხილობდეს, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად უნდა ცდილობდეს ყველას ასიამოვნოს, მათ შორის მტერსაც: „სჯობს ყოვლის კაცის მომადლიერება, სჯობს დამღურებასა, მტერს მტრობას ნუ გაუცხადებ, შენა თავი მოყვასად აცნევი“. ამ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ადამიანთა მოძულისას, ვერ უხსნია იგი მოხუცებულობის დროს მარტოობისა და უსირცხვილო უმადურობისაგან (თბზ. თორმეტ ტომად. ტ. VIII, გვ. 285).

XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსს სენხია ჩხეიძეს ერთადერთი ნაშრომი აქვს დატოვებული „მეფეთა ცხოვრება“. ამ ნაშრომს, აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, ერთადერთი ღრსება აქვს — ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე. სხვა მხრივ ნაშრომს მრავალი ნაკლი აქვს. ასე, „როცა იგი იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას გვესურათებს ხოლმე, მისი მოთხრობა მუდამ უშფოთველი არის, პირიქით, მოღიზარს და მზიარულიც კია, თითქოს იგი ყველაფრის კმაყოფილი იყოს: პოლიტიკური უკუღმართობა მას არ აღელვებდა, ამისთანა შემთხვევაში მისი ცნობები მოკლე და მარტივია. სამაგიეროდ მას ლხინისა, ლთობისა და განცხრომის ამბავის მოთხრობა არ ავიწყდებოდა. საზოგადოდ მის ნაწერს უღარდებლობისა და ქარაფშეტობის ელფერი ადევს: საქართველო დიდს განსაცდელში იყო პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც, ს. ჩხეიძე კი წერდა: მტერნი არსით „აუჩლიანო“... ამასთანავე ს. ჩხეიძე გულქვა და შეუბრალებელი ადამიანი ჩანს: სწორედ გასაოცარია, რა აღტაცებით აგვი-

წერს იგი ხოცვა-კლეტას: რაც უნდა საზარელი და შამაძრწუნებელი სურათი იყოს, იგი წარბმეუხრელად ძლევამოსილების აღფრთოვანებით და სიხარულით მოგვითხრობს. თვითუფლი ომის ამბავს ყოველთვის მოსდევს ცნობა, ამდენი და ამდენი თავი მიართვეს მეფეს ან ბატონიშვილსაო.

...„რა სიამაყით მოგვითხრობს ისტორიკოსი, თუ როგორ მოსპო ბატონიშვილმა ქაიხოსრომ ისპაანის ვაჟების გაფიცვა: „ქნა ნასალი უცხო და საკვირველი, ზოგი დახივა მუცელზე და ზოგი ყურით მიაბა დარაბასა, ზოგი დასკედა ნალ-ლურსმნითა. თქვენმა მზემა, მეორე დღეს გენახათ, ქუჩა და ქუჩა ხვარბლით აივსო... შეიქმნა ისპაანში სიშშვიდე და იეფობაო“.

ს. ჩხეიძე საქართველოს პოლიტიკური განსაცდელისა და დაუძღვრების დროს, ერთის მხრივ, გაზვიადებით ამკობდა ქართველ მეფეთა ვითომდა ძლიერებას, მეორეს მხრივ, იგი ვერ ხედავდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მედგარ და დაუღალავ შრომით მოღვაწეობას სახელმწიფოებრივ სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განახლებისა და წინსვლისათვის. სეხნია ჩხეიძის დროს ცხოვრობდა სულხან ორბელიანი, რომელმაც თავის შესანიშნავ თხზულებას, ქართული ენის საუნჯე-ლექსიკონის შედგენას მრავალი წელიწადი შეაღია: მეფე ვახტანგ VI, რომელმაც „დასტურლამალი“ შექქმნა, ქართული სამართლის ყველა ძეგლი შეკრიბა და თვითონაც ახალი სასამართლო წიგნი შეადგინა, „ქართლის ცხოვრება“ განაახლებინა, შეასწორებინა და შეავსო. სხვა რომ არა კოფილიყო რა, ესეც იმდენად დიადი განმაცვიფრებელი შრომა იყო, რომ ამის დანახვა და შემჩნევა ბრძანსა და ყრუსაც შეეძლო. ს. ჩხეიძეს კი მთელს თავის თხზულებაში ამ მოღვაწეობაზე კრინტი არ დაუძრავს, თუმცა მას, როგორც ქართლის სამეფოს „მოლარეთუხუცესს“, ბევრი რამ საყურადღებოს მოთხრობა შეეძლო...

ამ შემთხვევაშიც სეხნია ჩხეიძე, როგორც ჩვეულებრივ, „ცივი და გულგრილია, მისი ბაგე დუმს, მის მარჯვენას კალმის მოსმა ეზარება... საზოგადოებრივი და მამულიშვილური გრძობა მას მოდუნებული აქვს“ (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, გვ. 362).

ისტორიკოსი არ უნდა იყოს მარტოოდენ გულგრილი მოწმე მოვლენებისა. აქ კი მიბაძვის სრულყოფილ ნიმუშად ივანე ჭავჭავიძელს ვახუშტი ბაგრატიონი ჰყავს.

ივანე ჭავჭავიძელისათვის ვახუშტი ბაგრატიონი ის მეცნიერია, რომლის დიდების შარავანდელით შემკობაში სიძუნწის გამოჩენა უსამართლობაა. ვახუშტის უწოდებს იგი ერთ უდიდებულეს ქართველ მეცნიერს, სწორუპოვარს მკვლევარს, ღვთიური ნიჭით აღბეჭდილ ისტორიკოსს, სახელოვან ისტორიკოსს, მეცნიერ ბატონიშვილს და ა. შ. და ა. შ. მის ნაშრომს—უკვდავების შარავანდელით მოსილ თხზულებას, დაუქცნობელ, გასიოცარ წიგნს და ა. შ., და ა. შ. არც ერთი გადაჭარბების დანახვა არ შეიძლება ამ სიტყვებში. ყველა შესანიშნავ მეცნიერულ ღირსებებსა და თავისებურებებთან ერთად, ვახუშტი ბაგრატიონი დაუნდობელი გამეტებით, ნამდვილი მძინვარებით წერს და ააშკარავებს მის თანამედროვე იმ თავადთა და აზნაურთა ბოროტებას, რომლის ახსნა ყოველად შეუძლებელია. ეს არის ქართველ ახალგაზრდათა გაყიდვა, „ტყვეთ ვაჭრობა“ უცხოეთის, უპირატესად ოსმალთა ბაზრებზე. „ტყვეთა სყიდვა“ ყველაზე დიდი შემარცხენელი ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ამ მოვლენას განსაკუთრებით XVI საუკუნის ბოლოდან, თურქ-ოსმალთა შემოჭრის მომენტიდან, ექმნება ნოყიერი ნიადაგი. მას უპირატესად თავადები, მათ შორის სასულიერო პირები (ეპისკოპოსებიც) მიმართავენ, მთავრებიც

არ ერიდებოდნენ და ხშირად ამას ცხადად აკეთებდნენ. მშობლებს ჯანმრთელ, საღ შვილს მოჰკლევდნენ და მათ მხოლოდ ტირილისათვის თვალებს უტოვებდნენ. მშობელთა „ბლავილი“ ვერცხლის მოყვარულთა სიხარბეს ვერ აკავებდა. იმ დროს მხოლოდ ახალგაზრდებს ჰყიდდნენ. მოხუცები არვის სჭირდებოდა. ქვეყნის მეურნეობის დაცემის სრული დაქვეითების ყველაზე ნათელი დადასტურება ის იყო, რომ ყმა გლეხის გაყიდვა უფრო სასარგებლოდ მიიჩნდათ, ვიდრე მათი ექსპლუატაცია. ქართველ ტყვეებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ: ლამაზი ქართველი გოგონები და ტახტუკები დიდად ფასობდნენ ტყვეთა ბაზარზე. როგორც გ. ავალიშვილი გადმოგვცემს თავის „მოგზაურობაში“, კონსტანტინოპოლის ბაზარზე ბევრი არაქართველი ახალგაზრდა გაუყვლიათ ქართველთა სახელით და ამით მათი ფასი მოუმატებიათ (იხ. გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ელ. მეტრეველის გამოცემა 1967, გვ. 166).

არც ერთ გარეშე მტერს არ შეეძლო ამგვარი ზარალი, განსაკუთრებით მორალური ზიანის სახით, მიეყენებინა ქართველ მშრომელთათვის, რასაც ქართველი თავად-აზნაურობის ადამიანის სახედაქარგული ნაწილი აკეთებდა. გაყიდული ახალგაზრდები არა მარტო აკლდებოდნენ სამშობლოს, ხშირად ისინი სამშობლოს დაუძინებელ მტერთა რიგებში იყვნენ და ამშვენებდნენ „დამღუპველ ოსმალეთსა“. თითო-ოროლა გამონაკლისიც გვხვდებოდა: დიდი ნიჭის წყალობით დაწინაურებულ ტყვე ქართველს არ დაეწყებია კაბუკობის სამშობლო და, ანთიმოზ ივერიელის მსგავსად, მის კულტურულ დაწინაურებაზე უზრუნია.

ვახუშტი ბაგრატიონის პატრიოტიზმი არა მარტო შეურიგებელია ამ „შინაურ მტერთა“ მიმართ, არამედ იგი თავისი მახვილი კალმით უნაპირო ზიზღს აფრქვევს ხალხის ისტორიაში ყველაზე საზარელი „მოყვარე მტრისადმი“. ბევრი ქართველი ფეოდალი ხომ მას მტრად გადაეკიდა ამის გამო და ვახუშტის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ცდილობდა სამაგიეროს გადახდას.

იმ ყველაზე შემარცხენელი ბოროტების აღწუსხვას, რომელიც ქართველ ფეოდალებს ჩაუდენიათ, ვახუშტი იწყებს იმით, რომ გიორგი XI-ის დროიდან თბილისის, გორისა და სურამის მეციხოვნე თათარნი ტყვეებს ჰყიდნენ. მალე მათ გვერდში სამშობლოს მოღალატე ქართველები ამოუდგნენ და აჯობეს კიდევ უცხო მტერს. „შეერიათ ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა და იცვალებოდაცა ქცევა-ზენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ“. მაინც დასავლეთ საქართველოს მთავრებმა და თავადებმა გაითქვეს სახელი ტყვეთა სყიდვით. მათ წინააღმდეგ მიმართული სამეფო და საეკლესიო აკრძალვები ვერაფერს სჭრიდა. ვახუშტი ბატონიშვილს ტყვით მოვაჭრენი ყველა ადამიანური ცოდვით დამძიმებულ არსებად ჰყავს დასახული. კაცი, რომელიც თანამომემს მოიტაცებს, დამალავს და შემდგომ უცხო მტერზე გაჰყიდის როგორც ტყვეს, არ შეიძლება სხვა რაიმე დადებითი ადამიანური თვისების მატარებელი იყოს. მართლაც, იქ, სადაც ტყვეთა სყიდვაა დასაშვები, კანონისა და ზნე-ჩვეულების აკრძალვისდა მიუხედავად, სხვა რაიმე მოქალაქეობრივ ღირსებებზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამიტომაც გიორგი III იმერთა მეფის დროს (1605—1639), როცა ტყვის ყიდვა გავრცელდა, ამას სხვა მრავალი დანაშაულებანიც, ბუნებრივია, დაერთო. როგორც ვახუშტი წერს, „იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იღუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“.

ვახუშტი ბაგრატიონი სიტყვის სიმკვეთრეს მთელი სიძლიერით წარმარ-

თავს, რომ ტყვიით მოვაპრის მოძულე პორტრეტი დაუტოვოს თაობებს. გიორგი გურიელის ლალატი და ფაშასთან მეგობრობა და მისი ჯარის შემოყვანა ერთადერთი ცოდვა როდი იყო ამ მოლაღატისა, იგი „ულმრთო, მესისხლე და ტყვის მყიდველი უწყალო“ ყოფილა.

კიდევ უფრო შემზარავი იყო ის, რომ ამ ბინძურ საქმეს არც ვერცხლის მოყვარული მღვდელთმსახურნი თაკილობდნენ.

სვიმონ ქუთათელი, ძე სენხია ჩხეიძისა, „გარნა თუ იყო მღვდელთმთავარი, არამედ ტყვის მყიდველი, მეძავე-მემრუშე, კაცის მკვლელი, ცრუ-ფიც, უწირავ-ულოცავი, ვითარცა განდგომილი ივლიანე“. ეს ერთადერთი არ ყოფილა ჩვენს ისტორიაში უღირსი მღვდელთმთავარი. გაბრიელ ჭყონდიდელი, ძმა ბეჟანისა, „იყო, მეძავე-მემრუშე, სოდომია და ტყვემყიდველი და სავსე ბოროტითა“.

რასაკვირველია, საერო ფეოდალები მათ სჯობნიდნენ კიდევ ამგვარ უსაქციელო მოქმედებაში. კიდევ უფრო ძლიერდებოდა საყოველთაო სიძულვილის ტალღა, თუ თვით მეფე აღმოჩნდებოდა ამ მოქმედებაში ჩარეული.

ვახუშტი ბაგრატიონი დაწვრილებით აგვიწერს ალექსანდრე IV-ის მეფობას იმერეთში. იგი მეფედ ფაშამ დასვა. მეფის მაღალი თანამდებობა არ უშლის ხელს ვახუშტის, მთელი სისასტიკით გააშიშვლოს სინამდვილე. ეს მეფე იყო „ხელად—მქცევი, ტუნდრუჯი, ულმრთო, ტყვის მყიდველი, ამისათვის სძულვობდა ცოლი მისი თამარ“. იმერთა წარჩინებულნი სძულვობდნენ მას და შვეებით აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი, როცა იმერთა შეიპყრეს ალექსანდრე და მოაშთვეს იგი.

„ტყვეთა სყიდვა“—ეს საშინელი ცოდვა საქართველოში XIX საუკუნის დამდეგამდე არ შეწყვეტილა. ვახუშტი ბაგრატიონის წიგნი მძაფრი ბრალდება იყო მისდროინდელ ყველაზე შესაზარ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. იგი თაობებისათვის თანამემამულეთა ცოდვის ბრალდებებს ტოვებდა, თუმცა გრძნობდა, რომ სჯობდა ხალხის ამ უღირს შვილთა საერთოდ ყოფნა ამ ქვეყანაზე არ სცოდნოდათ ადამიანებს. ვახუშტის წიგნი ბოროტებისადმი შეურიგებლობის გამოხატულება იყო და ბოროტმოქმედთა გაფრთხილებაც: ისტორიის რისხვას ისინი ვერ გადაურჩებოდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონი იმის ნიმუშს იძლეოდა, რომ დიდ ისტორიკოსს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს თანამედროვეობის საჭირობოტო პრობლემებს. აკი უკიდურესი ბოროტების ჩადენისათვის იგი არც მეფეს ინდობდა და არც დიდებულებს. ამ მხრივაც უკვდავია ვახუშტი ბაგრატიონის ნაღვაწი მთელი ქართველი ხალხისათვის.



„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ მარტო ის წიგნი როდია, რომელიც წარმოგვიჩენს მივიწყების მტკრით დაფარულ ისტორიკოს-მემატრიანებს და მათ შრომებს და ღვაწლს. ეს წიგნი, ამასთან ერთად, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა და წყაროთა გამოკვამის დიდ გეგმასაც სახავს. ყოველ ნარკვევში ძეგლის გამოკვამის მაშინდელი მდგომარეობა აღწერილი, მათი ავკარგიანობაა ნაჩვენები. ამასთან, მათი ახალი გამოკვამის საჭიროება. ამ წიგნში საერთოდ წყაროთა და ძეგლთა გამოკვამის გეგმა კი არ არის დასახული, არამედ, ამასთან ერთად, იმასაც ვგებულობთ, თუ რა გეგმები ჰქონდა თვითონ ივანე ჯავახიშვილს დასახული იმ წლებში ქართული ძეგლების

გამოცემისა. მისი ჩვეულების თანახმად, იგი წინასწარ საჯაროდ აცხადებდა, რა მოაზნადა, რის გამოცემას აპირებდა. ამით იმდროინდელი კერძო გამოცემულების დაინტერესებასაც ახდენდა და საზოგადოებრივი აზრის დაინტერესებასაც.

აღნიშნავდა რა აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის საკითხს, ივანე ჭავჭავიძევილი წუხილით წერდა: „აკად. ნ. მარის სამაგალითოდ გამოცემულ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას გარდა სხვა არც ერთი მარტვილობისა და ცხოვრების ღირსეული სამეცნიერო გამოცემა ჯერ არ მოგვეპოვება, სირცხვილი ქართულ თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას, რომ მ. საბინინის უეარგის გამოცემისა („საქართველოს სამოთხე“) და ორიოდ სხვა მდარე ხარისხის გამოცემის გარდა ქართველ მარტვილთა და წმიდათა ცხოვრებათა ერთი ხეირიანი მეცნიერული გამოცემა არ მოგვეპოვება“.

ეს საყვედური დიდხანს ძალაში რჩებოდა ქართული საისტორიო მეცნიერების მიმართ.

თვითონ ივანე ჭავჭავიძევილი გმირულ ცდებს მიმართავს ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად. იგი ახალისებს სხვას და მთელი სიცოცხლის მანძილზე აქტიურად მუშაობს თვითონ, რომ ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ძეგლების გამოცემის საშური საქმე წინ წასწიოს.

ამ შესანიშნავი წიგნით ჩვენი ავტორი გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „თხზულების აღდგენილი დედნის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამ სტრიქონების ავტორს ამგვარი შრომა განზრახული აქვს“.

ახასიათებს რა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას, აღნიშნავს: „სპარსულ წყაროებთაგან ამოღებული ცნობები, ფარსადან გორგიჯანიძის „თხზულების“ მესამე ნაწილი, გამოსაცემად დამზადებული აქვს ამ სტრიქონების ავტორს“.

ივანე ჭავჭავიძევილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თითოეული ძეგლის გამოცემას. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სიცოცხლეში მან ცალკე წიგნად მხოლოდ ორი ძეგლი გამოსცა, ერთი 1927 წელს „ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვირვება“, მეორე კი 1940 წელს „ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება“.

ივანე ჭავჭავიძევილს მის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ არც ერთი ხელნაწერი სრულად არ გამოუცია. ის კაცი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა მისი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის, კვლავ ფრთხილობს ამ ძეგლების გამოცემაზე. „ჩქარობს ნელა“, არ იყენებს იმ თუნდაც პრიორიტეტს, რაც პირველ აღმოჩენს აქვს. არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ აქ თავისებურ მეცნიერულ გაუბედაობასთან გვაქვს საქმე... ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ ივანე ჭავჭავიძევილი არ წუვეტს მუდმივ ინტენსიურ მუშაობას ამ ტექსტებზე, და ისე ხდება, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ იბეჭდება შესანიშნავი ძეგლები — ივანე ჭავჭავიძევილის ხანგრძლივი რუდუნებისა და გამოწვლილვითი მუშაობის შედეგები.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ივანე ჭავჭავიძევილის ნაშრომებმა მნიშვნელოვნად შეუშუშებუქეს ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლების აღდგენისა და გამოცემის უძნელესი საქმე უკლებლივ ყველა შემდეგდროინდელ გამომცემელს. მისი ეს ნაშრომი, ისე როგორც ბევრი სხვა, უღრმესსა და უფართოეს ტექსტოლოგიურ ძიებას ითვალისწინებდა. თავისი სიცოცხლის მთელს მანძილზე ივანე ჭავჭავიძევილი დიდად უწყობდა ხელს, წარმართავდა, აქეზებდა და ახალისებდა ყველას, ვინც ქართული ძეგლების პუბ-

ლიკაციაზე მუშაობდა. მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ არა მარტო ივანე ჭავჭავიძის დაუზარელი კონსულტაციით ესარგებლათ, არამედ იმ ლეგლებითაც, რომელთა ხელნაწერებზე მუშაობას განაგრძობდა ივანე ჭავჭავიძელი.

მისთვის სრულიად უცხო იყო ე. წ. მეცნიერული სიხარბე: გადაენახა ხელნაწერი და სწორედ მას გამოეცა იგი. თავის მოსწავლეოვან ბევრისათვის დაუთმია მას თავისი ხელნაწერი გამოსაცემად. როგორც ეს გააკეთა სიონ ჭანაშიას მიმართ, როცა 1923 წელს სინას აღწერილობიდან ხელნაწერი დაუთმო; ასევე 1936 წელს, როცა რუსულად სათარგმნელად ვ. ი. დონდუას დაუთმო ბასილი ეზოსმოდერის «ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი» ჯერ გამოუქვეყნებელი ხელნაწერი.

ივანე ჭავჭავიძელი უხვად უზიარებდა თავის აზრებს ყველას და დიდად ხარობდა სხვისი წარმატებებით.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება (1917—1918)

თ ა ვ ი I. საზოგადოება

შფოთვარე ეპოქა

1917 წლის თებერვალი.

დიდი, ჭანგატეხილი იმპერია დაეცა. ეს ყველაზე ადრე სატახტო ქალაქმა იგრძნო.

მეფე განდევნილია. შეიქმნა დიდმპყრობელური სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის შესაძლებლობა.

დიდი მოძრაობაა. იგრძნობა მძაფრი შემობრუნება ისტორიისა. უკლებლივ ყველა პროგრესულ ძალას ახარებს ეს, თუმცა ისინი სხვადასხვა მიზნებს უკავშირებენ რევოლუციას.

შწრომელებს სჭერთ, რომ ფართოდ უნდა გაილოს ხალხთა საპყრობილის მძიმე კარები.

იმ დროს თბილისში გამოგზავნილი კერძო წერილებიც ივ. ჭავჭავაძის ალტაცების და ოპტიმიზმის მძლავრი გამოხატულებაა.

1917 წლის 11 მარტს კიტა აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილში იგი ულოცავდა მას ძველის დამხობას, ხედავდა საქართველოს პოლიტიკურ განახლების პერსპექტივას; მიაჩნდა, რომ „საუკუნეზე მეტია ასეთს ეამსა და დროს საქართველო არ მოსწრებია“.

23 მარტს გამოგზავნილ წერილში კი უკვე გრძნობს, თუ რა სიძნელეები ისახება: როგორც ვატყობ, აღნიშნავდა ივ. ჭავჭავაძის, „პოლიტიკური უფლებების აღდგენისათვის მეტად დიდი ბრძოლა დაგვეჭირდება და ისიც ვინ იცის, მივიღებთ რამეს თუ არა?“.

1917 წლის მარტშივე მ. ვ. ჭამბაკურ-ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მოგილოცავთ ნიკოლოზის დამხობას. ნეტავე საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ეს რევოლუცია“.

აქ უკვე ყველაფერი დაწყნარებულია და მართლაც სრული თავისუფლებაა. ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დაეანებოთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეეთანხმდებით და ბრძნულად მოვიქცევით. ეხლა გაბედული მოქმედებისა და პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედების დროა და თუ ჩვენმა ერმა საამისო ნიჭი და უნარი გამოიჩინა, მაშინ არა გვიჭირს რა.

გულის ფანტაზიით ვკითხულობთ ჩვენი ქვეყნის ამბავს...

იმოდენა კრებები და სხდომებია, რომ მოსვენება არა მაქვს, ჩვენ ვცდილობთ აქ, როგორმე დავეხმაროთ ჩვენს ერსა“. ამ დახმარების სხვადასხვა გზებს პოულობს იგი. პოლიტიკური განახლების სიძნელეში დარწმუნებული, აქტიურად იღვწის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1917 წლის 23 მარტს კ. აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს, რომ დროებითმა მთავრობამ სრულიად შეცვლილი სახით იურიდიულ კომისიას გადასცა ავტოკეფალიის საკითხი. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი ზ. ავალიშვილთან ერთად შესულა სინოდის ობერ-პროკურორთან. შემდეგ კვითხულობთ: „ზურაბსა და მე საათნახვერის განმავლობაში კამათი მოგვიხდა მასთან, და ბოლოს დავიყოლიეთ და იურიდიულ კომისიის აზრი უარეყოფინეთ. ჩვენ ისევე ვარჩიეთ ის დებულება, რომელიც მარისა და ბენეშევიჩის თანდასწრებით საეკლესიო სამართლის მეცნიერთ შეემუშავებინა. არც ეს დებულებაა მთლად დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საქმე მთლად ილუპებოდა და ისევე ეს სჯობდა“.

ივ. ჯავახიშვილს მკვეთრი პოლიტიკური ცვალებადობის დროს ყველაზე ნათელი პროგრამა ჰქონდა დასახული: ეს იყო ბრძოლა ეროვნული უნივერსიტეტისათვის. და მართლაც იმ ვითარებაში ბრძოლა ეროვნული უნივერსიტეტისათვის ჭეშმარიტი რევოლუციურ-პრაქტიკული მოღვაწეობა იყო.

პატრიოტი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ხედავს, რომ დადგა ნანატრი მომენტი ქართული უნივერსიტეტის გახსნის უშუალო თადარიგისა, გრძნობს, რომ ახლა ერთი დღის დაკარგვაც ზიანის მომტანია. მართლაც, რევოლუციის მეორე დღესვე, ე. ი. 28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილმა აკაკი შანიძესთან და შალვა ნუცუბიძესთან აზრი გამოთქვა, რომ დაყოვნება დაუშვებელია და ხვალვე, ე. ი. 1 მარტსავე, უნდა შეიკრიბონ მომავალი ქართული უმაღლესი სკოლის საკითხის გამო. 1917 წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილის ბინაზე (ლახტის ქუჩა № 9) იკრიბება ახალგაზრდა ქართველ მოღვაწეთა მცირე ჯგუფი. ამ ბინაში პირველად როდი ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ ეს იყო პირველი ისტორიული კრება, რომლის დღის წესრიგი მკვეთრად იყო განსაზღვრული ერთადერთი საკითხით — თბილისში ქართული უმაღლესი სკოლის გახსნის თადარიგის საკითხით.

იმ დროს, როცა პლანეტის ყველაზე დიდი იმპერია ინგრეოდა, თითქოს შეუღმჩნეველ მოვლენად უნდა ჩაგვეთვალა პატრიოტ-მეცნიერთა შეკრება კერძო ბინაზე, მაგრამ ამ შეკრებისაგან იღებს სათავეს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსების ისტორიული საქმე, რომელსაც შემდგომ მოჰყვა კავკასიის სხვადასხვა ხალხის უნივერსიტეტების დაარსებაც.

ვერ ვიტყვით, რომ თვითონ ამ შეხვედრის მონაწილენი გრძნობდნენ მომენტის სიდიადეს. ამას 1938 წელს თვითონ ივანე ჯავახიშვილი აღიარებდა, როცა ამბობდა, რომ მეცნიერთა ეს ჯგუფი თავის გადაწყვეტილებას ქართული უმაღლესი სკოლის დაარსების თაობაზე „არც ისტორიულად ითვალისწინებდა და არც უფიქრია, რომ დიდ საქმეს აკეთებდა. ეს რომ ასეა, იქიდან შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ არც ოქმი ყოფილა შედგენილიო.“ მართლაც ჩვენ ახლა დანამდვილებით ვიცით, რომ ამ სხდომას ესწრებოდნენ ი. ყიფშიძე, ა. შანიძე შ. ნუცუბიძე, ს. ლომია, მ. ყუბხიშვილი, ელ. ჩიჭავაძე, მაგრამ კიდევ სხვა მონაწილეთა გვარები ზუსტად ცნობილი არაა.

თათბირი იხილავს ქართული უმაღლესი სკოლის საკითხს. გულახდილი აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს შიშიც იყო გამოთქმული, საკითხის მოულოდნელობა ხომ არ შეუშლის ხელს მის პრაქტიკულ განხორციელებასო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი არა მარტო შეუვალი პრინციპულობით და ღრმა რწმენით წარ-

მართავდა დისკუსიას, არამედ მას, საკითხის ყველა ასპექტის დეტალი და შესაძლებელი გართულებები გაუთვალისწინებია მან არა მარტო ის იცის, რომ საკმაოდ მოზრდილი ჯგუფია მეცნიერთა, რომელიც იზოლაციაშია ქართულ უნივერსიტეტში, რომ იქნებოდა ახალგაზრდობის ხარბი წყურვილი მეცნიერებისადმი, არამედ იცის ის კონკრეტული სადღეისო საჭიროებოტო საკითხებიც, რომელთა განხორციელებასაც უნდა შესდგომოდნენ.

მოქმედება ორი მიმართულებით უნდა განვითარებულ იყოს. ჯერ ერთი, უნდა გაშლილიყოს სახალხო მოძრაობა საუნივერსიტეტო იდეისათვის საქართველოში, მეორე კი, ცენტრში, პეტროგრადში, რათა ნებართვა აეღოთ ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნისათვის. ეს აუცილებელი იყო. არსებული ხელისუფლებისაგან დახმარებას არ ელოდნენ. ივანე ჯავახიშვილი არ ეკუთვნოდა იმათ რიგებს, მაშინდელ სახელმწიფო მმართველთაგან გულხელდაკრეფილნი სასოებით რომ ელოდნენ უნივერსიტეტის გახსნას. მეტიც, მას მხოლოდ ის აფიქრებდა, რომ ამ ხელისუფლებას ხელი არ შეეშალა ეროვნული საქმიანობისათვის. ამიტომ ივანე ჯავახიშვილი აყენებს მხოლოდ ქართული კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხს. ამისათვის იგი ე. წ. თავისუფალი უნივერსიტეტების მოდელს იყენებს, პირველ რიგში კი ევროპის შანიავესკის უნივერსიტეტის არსებობის გამოცდილებას. ამას ემატებოდა ლეგალური საფუძველი: 1914 წლის 1 ივლისის კანონი სახალხო განათლების სამინისტროს იმ კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობდნენ მთავრობის სასწავლებლების უფლებებით. ამ კანონის მიღებას დიდი სიხარულით შეხედნენ საქართველოში, ეჩვენებოდათ, ამით განათლების ახალმა შექმა შემოანათა ქვეყანაშიო.

ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში შენახულია ამ კანონის ტექსტი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ხშირად მიმართავდა იგი მის მუხლებს დიდი ეროვნული საქმიანობის იურიდიული დასაბუთებისათვის. ამ კანონით კერძო უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებლები განსაზღვრავდნენ, თუ რომელ ენაზე უნდა მომხდარიყო სწავლება, მაგრამ, ამასთან ერთად, დადგენილი იყო მთელი რიგი დისციპლინების სწავლება მარტოდენ სახელმწიფო ენაზე. სასწავლო დისციპლინების ამორჩევაც მთავრობის ორგანოთა კონტროლით ხდებოდა.

კერძო სასწავლებლის დამფუძნებლები და თანამშრომლები არ სარგებლობდნენ იმ უფლებებითა და უპირატესობებით, რაც მინიჭებული ჰქონდა მთავრობის სასწავლებლების მუშაკებს. მოწმობა მეცნიერების კურსის მოსმენის შესახებ ეძლეოდათ იმ კერძო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომელთა მიღება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების მიხედვით ხდებოდა და ამავე სამინისტროს ზედამხედველობით გაცემული მოწმობა მხოლოდ ამ შემთხვევაში უთანაბრდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობას.

კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა მხოლოდ სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით ხდებოდა.

სამინისტრო შემდგომაც ახორციელებდა კონტროლს ამ სასწავლებლებზე. მისი ორგანოები უფლებამოსილნი იყვნენ, დაეხურათ კერძო სასწავლებლები „რაიმე მნიშვნელოვანი უწყესრიგობის აღმოჩენის დროს სასწავლო, აღმზრდელით ანდა ზნეობრივ დარგში ან მისი დაარსების დროს დაშვებულ დარღვევათა ვითარებაში“.

კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად გახსნილი კერძო სასწავლებ-

ელი სასამართლო განაჩენით იხურებოდა და დამრღვევი პირი ორასამდე მანეთით ჯარიმდებოდა.

თუ დამნაშავე პირი სასამართლო განაჩენით დადგენილ დროში არ დახურავდა კერძო სასწავლებელს, მას დამატებით ოთხასამდე მანეთით აჯარიმდებდნენ. ჯარიმის კიდევ უფრო დიდი თანხები იყო დადგენილი იმათთვის, ვინც კანონით დაწესებულ პირობების დაცვის გარეშე ხელმძღვანელობდა ამ სკოლას, ანდა ეწეოდა მასში პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან კანონმდებლის ფარისებვლობა იმაში გამოჩნდა, რომ ჯარიმის თანხები თითქოს უნდა გადასულიყო იმ კაპიტალში, რომელიც გამიზნული იყო კერძო სახლებში მოზარდთა სწავლები-სათვის.

სინამდვილის ფონზე მრავალმხრივ ნაკლოვანი კანონი, მისი შეკვეცილი უფლებებით, მაინც უდიდეს სიკეთედ მოჩანდა, თუმცა ხანმოკლე აღმოჩნდა პატრიოტ მოღვაწეთა სიხარული. როგორც იოსებ ყიფშიძე ამბობდა, ამ აქტის მიღების შემდეგ „არსებითად არაფერი შეცვლილა და ძველი დაბრკოლებანი, უმეტესად პოლიტიკური ხასიათისა, ისევ ძალაში დარჩნენო“. ივანე ჯავახიშვილი თამამად იყენებს ამ სამართლებრივ საფუძველს და პირველსავე შეკრებილობას აცნობს კერძო ქართული უნივერსიტეტის მომავალ მონახაზს. გადაწყვედა, საკითხი გადატანილ იქნეს დედაქალაქის ქართველთა ფართო შეკრებილობაში. ასეც მოხდა. სპეციალურად დაიჭირავეს კინოთეატრ „ელატი“ დარბაზი და შედგა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეული კრება ზ. ავალიშვილის თავმჯდომარეობით. მოხსენება მომავალ ქართულ უნივერსიტეტზე წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა. ღრმად დასაბუთებული მოხსენება მარტო იმას კი არ ადასტურებდა, რომ ჩვენს ხალხს ისტორიული უფლება ჰქონდა ახალი ტიპის უმაღლესი სკოლის გახსნისა, არამედ იმის დეტალურ გადმოცემას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ყოველივე ეს. მოხსენებელი დამაჭერებლად ლაპარაკობდა. პეტროგრადში დიდი ხნით მცხოვრები ბევრი ქართველის ყური გადაჩვეული იყო ქართულად მოსმენას, მით უფრო მთელი მოხსენებისას. მაინც დამსწრეთ, როგორც გ. რატიშვილი იგონებს, კარგად დარჩა მესხიერებაში მოხსენებლის მოწოდება, რომ ახლა დროა გავსწიოთ სამშობლოსაკენ, თვითონ კი ემზადება თბილისში წასასვლელად, ბარჯის ჩალაგებას იწყებსო¹.

შეკრების მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ: დავას არ იწყებდა ეროვნუ-

¹ ცუდად მოუშადებია ივანე ჯავახიშვილს თბილისში წამოსადები ბარჯი როგორც აკაკი შანიძე იგონებს, სიჩქარეში მან ბევრი რამ მიატოვა იქ, ყველაზე ძნელი იყო ძველი ერთგული შეგობრების წიგნების მიტოვება, იმ წიგნებისა, რომლებსაც იგი წლობით და მისხალ-მისხლობით აგროვებდა. ამათ ემატებოდა ხელნაწერები, წიგნებად გამოადებული ხელნაწერები... აკაკი შანიძე იგონებს აგრეთვე საუცხოო მხატვრულ საწერ მაგიდას მისი მასწავლებლისათვის თბილისში წამოღებაზე რომ ოცნებობდა. 1917 წ. 11 სექტემბერს იგი ძვირფას მასწავლებელს სწერდა: „მე პეტერბურგში წასასვლელად ვეზადები იქაური საქმეების სალიკვიდაციოდ. თუ მოვახერხებ, მინდა 18—23 ენკენისათვის გავემზავრო. თქვენ რას დამაბარებთ? როგორმე რომ მოვახერხებდეთ იქედან ბიბლიოთეკის გადმოტანას, რა კარგი იქნებოდა!“

1917 წლის დეკემბერში წამოსული ორი ვაგონი (ერთში ანისის გათხრების ექსპონატები იყო), სადაც ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერებია, გზაზე ჩრდილოეთ კავკასიაში იკარგება. მათ გამოყოფას ვერ ახერხებს გ. ჩუბინაშვილი, რომელიც კიდევ უარეს დღეში ვარდება: უკარგავს ყველაფერს, რაც გააჩნდა.

ივანე ჯავახიშვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე გულს სტკენდა ძვირფასი წიგნებისა და შეილივით საყვარელი ხელნაწერების დაკარგვა. ყველაზე ძნელი იყო ერთხელ დაწერილი წიგნის ხელახლა დაწერა, მისი აღდგენისათვის გადახდილი ნამდვილი შინაგანი ძალდატანება მესხიერებაზე.

ლი უმაღლესი სკოლის გახსნის საკიროება, მაგრამ როგორც ადრე, ახლაც განსაკუთრებული აზრი იქნა გამოთქმული. დიდი სიტყვა წარმოთქვა ნიკო ნიკოლაძემ.

შეკრებილთ მან მოუწოდა, რომ ქართული უმაღლესი სკოლისათვის ფართო მუშაობა გაეჩაღებინათ სწორედ პეტროგრადში, შეესრულებინათ ტელეგრაფის ბოძების როლი სამშობლოსთან დაკავშირებისა. ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ თბილისში უმჯობესია პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაიხსნას, თუმცა კონკრეტული გზა ამისი სრულიადაც არა აქვს წარმოდგენილი, მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობისა და ჩვენი ქვეყნისათვის ეს უფრო სასარგებლოა. მით უფრო, რომ ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ნაბიჯებიო. ამ გამოსვლის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ბევრ მომხრეს იძენს. ახლა ივანე ჭავჭავიძე სთხოვს ახალგაზრდა მაგისტრანტს შ. ნუცუბიძეს წარმოთქვას სიტყვა რუსულად. ოსტატური მგზნებარებით წარმოთქმულ სიტყვაში შ. ნუცუბიძე მთლიანად მხარს უჭერს ქართული უნივერსიტეტის დაარსების იმ კონკრეტულ გეგმა-მონახაზს, რაც ივანე ჭავჭავიძელმა თავის ქართულად წაკითხულ მოხსენებაში განავითარა.

სამშობლოს ძახილი შეუცვლელი ძალაა. პირველი მას ივანე ჭავჭავიძე გამოეხმაურა. ასე არ მოიქცა მისი მეგობარი პროფ. ნ. აღონცი, რომელიც თავის სამშობლოში კი არა, არამედ 1920 წელს ევროპაში გაემგზავრა (1942 წელს გარდაიცვალა იგი როგორც ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი).

მეტად ძნელი იყო ივანე ჭავჭავიძელისათვის აღმზრდელი პეტროგრადის უნივერსიტეტის დატოვება: ეს იყო ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებითი გარემო, სახელოვანი უნივერსიტეტის პროფესორებთან მჭიდრო კონტაქტები, რომელთაც სარგებლობა მოჰქონდა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვისაც, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის კავკასიისმცოდნეობის განხრისა და განვითარების დიდი გეგმები. მართალია, სამშობლო სიყვარულით მიიღებდა მის შვილს, მაგრამ არავეთარა ძალა, არავეთარი ორგანიზაცია არ ჩანდა, ეზრუნა მის მომავალ მეცნიერულ მუშაობაზე. მით უფრო, სხვას არავის, გარდა ივანე ჭავჭავიძელისა, არ დაუყენებია იმ მომენტში ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო და ყველაფერი თვითონ უნდა ეთავა. მას არაეინ არაფერს ავალებდა და არაეინ კარნახობდა ახლა თვითონ გამოსთქვამდა ხალხის ნანატრ სურვილს. რასაკვირველია, გარანტია არ იყო, რომ მოვლენები ქართული უნივერსიტეტის გახსნით დამთავრდებოდა, მაგრამ ივ. ჭავჭავიძე გრძნობდა, რომ ამ ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება პირდაპირი ღალატი იქნებოდა შშობელი ხალხის მომავლის წინაშე. ახლა მისთვის დღესავით ნათელია, სწორედ საქართველოში მისი გამოსვლა გარდუვალად სჭირდება სამშობლოს.

თ ა ვ ი II. პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი

1917 წლის აპრილიდან ივ. ჭავჭავიძეი საქართველოშია. მარტოდმარტო ჩამოვიდა იგი სამშობლოში. საქართველოში, როგორც დავინახეთ, მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. ფართო საზოგადოებრიობისათვის კვლავაც ცნობილი გახდა მისი ჩამოსვლა ამჟერად საჯარო ლექციების წასაკითხად როდი დაუბრუნდა იგი თბილისს.

ართუ რაიმე ოფიციალური ანდა არაოფიციალური სამსახური არ უძებნია, არც უფიქრია ამაზე.

ახლა ივანე ჭავჭავიძევილი ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და თბილისელ მეცნიერებთან ინტენსიურ კერძო შეხვედრებში ხარკავს მთელ დროს. ეს გასაგებია. შეხვედრის თემა ის, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ მათგანს საუნივერსიტეტო საქმის სამზადისში.

ყველგან სიყვარულითა და მოწინებით იღებენ სანატრელ სტუმარს, ნათელი თვალებით რომ შემოანათებს მათთან. საუბრები ყოველთვის იმით იწყება, შევძლებთ კი იმ საქმის დაგვირგვინებას, მზად ვართ კი იმისათვის? რა ბედნიერება იქნებოდა ეს!

ივანე ჭავჭავიძევილს ყველაფერი საკვირველი გამოწვლილვით შეუსწავლია. ყოველ შესაძლებელ კითხვაზე კონკრეტული პასუხი მოუშადლებია. ამასთან ისიც განუსაზღვრავს, თუ რის გაკეთება შეეძლო მოსაუბრეს ამ საშვილიშვილო წამოწყებაში.

თხოვნისა და დახმარებისათვის კი არ მიდიოდა იგი თითოეულ მათგანთან, არამედ მათ ღვიძლ საქმედ წარმოაჩენდა ყოველივეს და თანამდგომელისა და თანამონაწილის მოვალეობის სიამაყის გრძნობით ავსებდა ყველას. ეს ივანე ჭავჭავიძევილის დიდი ნიჭი იყო.

განუხრელად დიდდება საუნივერსიტეტო იდეით გატაცებულთა წრე. მალე პეტროგრადიდან იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე¹ ბრუნდებიან და მხარდამხარ ამოუღებებიან ივანე ჭავჭავიძევილს. მათაც არავითარ სხვა საქმესა და სამსახურზე არ უფიქრიათ.

საკვიროა საუნივერსიტეტო იდეის ხალხში გადატანა. ამისათვის კი ორგანიზაციული წარმონაქმნი უნდა ჩამოყალიბდეს. ყოველივე ამას გზადაგზა და შემთხვევიდან შემთხვევამდე როდი სახავენ. სამოქმედო გეგმა პეტროგრადშივე აქვს შემუშავებული ივანე ჭავჭავიძევილს.

წინასწარი შეხვედრები და საუბრები იმედის მომცემია.

შედგა მოსაწვევი ბარათი იმის თაობაზე, რომ 1917 წლის 12 მაისს მოწვეულია კრება, რომლის საგანია ქართული უმაღლესი სასწავლებლის, ანუ ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. სხდომა შედგება თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. მოსაწვევები ყველა ქართულ სამეცნიერო საზოგადო-პოლიტიკურ, კულტურულ და საკრედიტო დაწესებულებას დაეგზავნა, აგრეთვე პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს, რათა ყველა მათგანს თაყიანითი წარმომადგენელი გამოეგზავნა კრებაზე.

როგორც შემდგომ ილია ზურაბიშვილის ხელით დაწერილ ოქმში ვკითხულობთ, კრება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველად კრებას ხსნის მისი მომწვევი ივანე ჭავჭავიძევილი. იგი აცნობს შეკრებილთ, თუ ვის დაეგზავნა მოსაწვევი ბარათები. ამის შემდეგ იგი კითხულობს ვრცელ მოხსენებას ზემოთდასახელებული საგნის შესახებ. მხოლოდ მისი წაკითხვის შემდგომ მომხსენებლის თხოვნით კრებამ საკვიროდ სცნო თავმჯდომარის არჩევა კამათისა და საუბრის ხელმძღვანელობისათვის. თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად

¹ 1917 წლის 14 აპრილს აკაკი შანიძე პეტროგრადიდან თბილისში სწერდა ივანე ჭავჭავიშვილს, რომ გადმოეწერე და გიგზავნითო ი. ბატონიშვილის პროექტს ქართული სკოლების დაარსების შესახებ, რაც იქ თქვენს სახელზე წერილები მოდის, ყველას ვაბრუნებ და მანდ გიგზავნით... მე ამ თვის დამლევს ვაპირებ წამოსვლას, რადგანაც ბილეთებზე დიდისაგან დიდი თავისა და ცხვირპირის მტრევეა და რადგანაც, სულერთია პირველსა და მეორე კლასში, ახლა უკვე დასაძინებელი ადგილები მოსპეს, ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის მესამე კლასის ბილეთი ავიღე 30 აპრილისათვის. ძალიან მომეჩქარება საშობლოში დაბრუნება და სულ რომ ფეხზე ღვობა მომიხდეს, მაინც წამოვალ მესამე კლასით“.

ილია ზუგდიდელი. ახლა ივ. ჭავჭავაძის მონაწილეებს მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაციისა და საჭირო ხარჯების შესახებ.

შეკრების პირველ ნაწილზე წაკითხული მოხსენების სახელწოდებაა „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“. იგი მალე გაზეთ „სახალხო საქმის“ გვერდებზე დაიბეჭდა სექტემბერ-ოქტომბერში, (აგრეთვე 1948 წელს გადაიბეჭდა თსუ „შრომებში“ XXVIII B. გვ. 1 — 11).

მოხსენებაში დახასიათებულია ქართველი ხალხის მდიდარი კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპები. ჩვენი ხალხის სულიერი ისტორიის შესწავლის დროს ივანე ჭავჭავაძის უკუაგდებას აღტყინებას ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით. მას ერის შემოქმედებითი ნიჭის გამოშატეველად მიაჩნია ის, რომ ჩვენი ხალხი არასდროს არ ემოჭნებოდა მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს, რომ ჩვენი წინაპრებისათვის სრულიადაც არ იყო უცხო სხვა ხალხების ცხოველმყოფელი გონებრივ შემოქმედებათა და კულტურულ წარმატებათა სარგებლობა. მთავარი ისაა, რომ ამგვარი გამოყენება სხვა ხალხების მიღწევებისა ყოველთვის ეროვნული კულტურის ნოყიერ ნიადაგზე ხდებოდა, რაც შედეგად შესანიშნავ ნაყოფს გვაძლევდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ძეგლების სახით.

ქართველი ხალხის ისტორიულმა ძნელბედობამ გამოიწვია ის, რომ მას საუკუნეებით მოესპო საშუალება მეცნიერების მონაპოვრებით უშუალოდ ესარგებლა. ამ ვითარებაში ადრე საუცხოოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი ქართული სამეცნიერო ენა უკიდურესად გაღარიბდა, მას ახლა არც შესატყვისი ტერმინოლოგია ჰქონდა და არც ახალი მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ახალი დარგების მოციქულები მოეძებნებოდა. XIX საუკუნეში ქართველ მოღვაწეთა დაუცხრომელმა პირადმა მხნეობამ და თავდადებად ნაყოფი გამოიღო; „ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც შეგვიძინა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა და ეხლა უკვე რამდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც კი გვაქვს“)

ივანე ჭავჭავაძის აღნიშნავდა ამ საზოგადოებათა მოღვაწეობის ხელისშემშლელ მიზეზებს. ამასთან მიუთითებდა, რომ მათ არ შეეძლოთ უმაღლესი სასწავლებლის როლი შეესრულებინათ, მათი მოღვაწეობა უარესად საპატიო იყო, მაგრამ მეცნიერული კვლევა აქ შემთხვევიდან-შემთხვევამდე წარმოებდა. საზოგადოების წევრები სხვა პირდაპირი მოვალეობებით იყვნენ დატვირთულნი. მეცნიერებას კი სრული თავდადება უნდა. აფორიზმად ისმის ივანე ჭავჭავაძის სიტყვები: „მეცნიერებას კი მუდმივი და დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია, ის მხოლოდ, ვინც მთელ თავის ძალ-ღონეს ანდობებს, შესძლებს კიდევ, რომ მსოფლიო მეცნიერების მსწრაფლ განვითარებას არ ჩამორჩეს“. ერის წარმატება შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. მეცნიერების და კულტურის განვითარებისა და დაწინაურებისათვის კი აუცილებელია სწავლულთა საჭირო კადრები და სპეციალური დაწესებულებანი. იმ დროს კი უდავო როლი იყო, რა დაწესებულება უნდა ყოფილიყო სახელდობრ ეს.

ივანე ჭავჭავაძის სრულიად შემცდარად მიაჩნია იმათი შეხედულება, ვინც სამეცნიერო აკადემიას ასახელებდა ამგვარ დაწესებულებად. ყოფილი საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია ჰქონდა მხედველობაში ივანე ჭავჭავაძის, როცა იგი წერდა: „სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მო-

ხარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი არ აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული“.

ივანე ჯავახიშვილს ყველაზე მეტად ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა ეროვნული კადრების აღზრდა აფიქრებდა. ამისათვის მაშინდელი აკადემია, რა თქმა უნდა, გამოსადევნი არ იყო. იგი სავსებით დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ სამეცნიერო აკადემიებში საქმე ისეა დაყენებული, რომ „ჩვეულებრივ 45-50 წ. უფრო ახალგაზრდა მეცნიერს იშვიათად თუ ელირსება ხოლმე აკადემიკოსობა. რაკი შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერების ძალა ადამიანის სწორედ 30-35 წლოვანების ხანაში აღმავალია და აზროვნებასაც ამ დროს თავისუფალი აღმადრენა და ჭბბუკური გამბედაობა აქვს, ასე გამოდის, რომ სანამ მეცნიერი უფრო ნაყოფიერი და ძალ-ღონით სავსეა, ის აკადემიკოსად არ ითვლება და, როცა უკვე სახელი მოუხვეჭნია და სიბერე ეპარება, ის აკადემიკოსად ხდება. აკადემიკოსის მოვალეობაა ახალგაზრდა მეცნიერთა მფარველობა. ამიტომ იგი მოუტლელობის გამო დიდ ნაყოფიერებას ვერ იჩენს, ხშირად იძულებულია სხვათა და თავისი წინამოადგილეების შრომების გამოქვეყნებას შეაღლიოს ისედაც უკვე ხანში შესული პირადი ნიჭი და ძალ-ღონე“.

ივანე ჯავახიშვილი 1917 წელს პირველად როლი გამოთქვამდა ამგვარ შეხედულებას თბილისში სამეცნიერო აკადემიის დაარსების მიმართ. იგი ყოველთვის თვლიდა აკადემიის დაარსებით საქმის დაწყებას სავსებით განუხორციელებელ და უნიადაგო ოცნებად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, 1906 წელს წამოყენებული აკადემიის დაარსების „სრულიად უნიადაგო პროექტი“ არ არის მიზეზობრივ კავშირში ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეასთან.

სამეცნიერო აკადემიის როლი ივანე ჯავახიშვილს მუქი ფერებით არ დაუხატავს. მას შესანიშნავად ესმოდა ამ დაწესებულების მნიშვნელობა მეცნიერების განვითარებაში. საქმე მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენში არ შეიძლებოდა მეცნიერების ეროვნული კადრების აღზრდა ამ გზით დაწყებულიყო. რა თქმა უნდა, სხვა ხელსაყრელ პირობებში ივანე ჯავახიშვილისათვის იდეალი იყო უნივერსიტეტთან ერთად მეცნიერების აკადემიის შექმნა, თუმცა იმ დროს თვით ფიქრიც კი ამაზე ზედმეტად მიაჩნდა.

ივანე ჯავახიშვილი რეალური ვითარების ყველა შესაძლებლობას ითვალისწინებდა და სწორედ უნივერსიტეტის დაარსების უშუალო თადარიგს იწყებდა. აღიარებდა რა იმ დროს უნივერსიტეტის დაარსების უპირატესობას ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელთან შედარებით, იგი ამბობდა: „არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული. რაკ უნდა კარგად შესწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელ ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას... მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უქვევლად ჩამოქვეითდეს“. ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გულისხმობდა უმაღლესი ტექნიკური განათლების როლის დაუფასებლობას. პირიქით, ამგვარი განათლება უნივერსიტეტში უნდა დაწყებულიყო და გაადვილებულიყო კიდევ თეორიული დისციპლინების ერთობლივი შესწავლით და შემდეგ კი მათი სპეციალიზაციისაკენ წარმართულიყო. ხელსაყრელი პერსპექტივა კი მოგვემდინა ცალკე ინსტიტუტების შექმნის საშუალებასაც. ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ წუხდა, რომ მაშინ საქართველოს არც ქო-

ნებრძვიად შეეძლო, არც კულტურული ძალები ჰყავდა, რომ უნივერსიტეტიც და რამდენიმე ცალ-ცალკე ტექნიკური სასწავლებელიც, გინდ მართო ერთი სრული პოლიტექნიკური, შეენახა, მაგრამ იგი არ კარგავდა იმედს, რომ უნივერსიტეტთან შემდგომი „შეიძლება“ სასოფლო მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდესო“.

უნივერსიტეტის შექმნას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო სკოლების გაეროვნულებისათვის, ვინაიდან მას უნდა მიეცა პედაგოგთა ეროვნული კადრები.

უნივერსიტეტის გზით ყველაზე უკეთესად შეიძლებოდა რუსეთსა და საზღვარგარეთ გაფანტული ქართული მეცნიერული ძალების თავმოყრა. ეს კი აუცილებელი იყო მეცნიერული სკოლების შექმნისა და აყვავებისათვის.

მეცნიერული სიზუსტისა და მხატვრული ზემოქმედების დიდი ძალით გადასემდა ივანე ჯავახიშვილი მსმენელებსა და მკითხველებს საუნივერსიტეტო განათლების სიდიადეს:

„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელი თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვანებით სუფევს, ყველა თავის მიმართულებით. სამეცნიერო გამოცდებისა და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაეებული განთქმულნი მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმადლესი სამეცნიერო დაწესებულებაა არის და იმავე დროს უმადლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჰაბუჭნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმადლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მკვიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მოძინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ. ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭიროო“.

ივანე ჯავახიშვილი შემდგომ სახავდა იმ დიად ამოცანებს, რაც ქართულ უნივერსიტეტში წარმოდგენილი მეცნიერების დარგების წინაშე იდგა. იგი წინასწარმეტყველურად წერდა, რომ „ქართულ უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურებაა გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს“ ამის გამართლება ქართველ მეცნიერთა ნიჭსა და თავდადებაზე იყო დამოკიდებული. მეცნიერების ზოგად ამოცანების გარდა, თბილისის უნივერსიტეტს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, სპეციფიკური ამოცანა უნდა ჰქონდეს დასახული. ესაა საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი. აქ ბუნებისმეტყველებისა და სამკურნალო ფაკულტეტებსაც ბევრი ჰქონდათ სათქმელი. მოსაზღვრე ხალხების ისტორიის შესწავლა ასევე აუცილებელ ამოცანად უნდა გამხდარიყო თბილისის უნივერსიტეტისა. იგი გეგმაზომიერად უნდა წარემართა თბილისის უნივერსიტეტს, ვინაიდან აქ მეცნიერული ცოდნისმოყვარეობა საკმარისი არ იყო, რამდენადაც „ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბების, სომხებისა და სხვათა ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებელი საჭირო“.

შეტად დიდი მოთხოვნები წაეყენებოდა უნივერსიტეტის მეცნიერთ. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერი ხელმძღვანელები მართო ლექციების მკითხველი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც

თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბამ მაგალითადაც იყენენ მოზარდი თაობისათვის.

მსმენელებზე უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა ამ სიტყვებს, ვინაიდან სწორედ მომხსენებელი ასახიერებდა ამგვარი მეცნიერის ნიმუშს.)

[1917 წლის 12 მაისის პირველ სხდომაზე მოსმენილი ეს მოხსენებაც, როგორც მას ოქმში ვკითხულობთ, არგუმენტების სიძლიერის მიუხედავად, თავისთავად, ვერ გამოიციხავს დავას მომავალი უმაღლესი სკოლის ტიპის თაობაზე— უნივერსიტეტი თუ სპეციალური ინსტიტუტი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ „კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის წინადადება და გადაწყვიტა, დაარსდეს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი ყოვლის სათანადო ფაქულტეტებით; მხოლოდ ამთავად უნდა გაიხსნას სიბრძნისმეტყველების განყოფილება (ფილოსოფიური და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაქულტეტი)“.) მომხსენებელმა ზედმიწევნით ისიც განსაზღვრა რა სახსრები დასჭირდებოდა ამას, დასძინა, რომ საქმეს მაშინ ეშველება, თუ უნივერსიტეტს ბინა უსასყიდლო ექნება.

ვინაიდან ფინანსური სახსრების მოპოვება მეტად და მეტად ძნელი იყო, ამიტომ, კრებამ აირჩია კომისია მომავალი უნივერსიტეტისათვის ხარჯთაღრიცხვის და თვით ამ სახსრების მოძებნისათვის, როგორც იმდროინდელ ოქმებში ვკითხულობთ „ფულის შოვნისათვის“. რასაკვირველია, მინიმალური სახსრების გარეშე შეუძლებელი იყო მომავალი უნივერსიტეტის ამოქმედება. ამ კომისიაში არჩეულ იქნენ ივ. ჭავჭავიძე, კ. აფხაზი, ექვ. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ჟურული და ფ. გოგიჩაიშვილი.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაადგინა: დაარსდეს განსაკუთრებული საზოგადოება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა. კრებამ თავის თავი ამ საზოგადოების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა. სულ დამფუძნებელ კრებას ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერების და საზოგადოებათა 28 წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ შორის იყო: ივ. ჭავჭავიძე, აკ. შანიძე, ექვ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, კ. მაყაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. იმედაშვილი, დ. სულიაშვილი, გ. ქურდიანი, გ. ვეშაბიძე, ი. ზურაბიშვილი, ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ლ. ლორთქიფანიძე, გ. ჟურული და სხვ.

უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრების შესახებ ცნობილი გახდა მთელს საქართველოში. რასაკვირველია, ერთი საჯარო სხდომის მოწვევით არ შემოზღუდულა ივანე ჭავჭავიძე. ახლა მან საქიროდ ჩათვალა ქუთაისში წასვლა და იქ მსგავსი სხდომის მოწვევა.

უჩვეულოდ ლამაზი იყო ამ დროს სავარდო და სამაისო ქუთაისი. სწორედ ახლა გაიხსენებდა კაცი ვახუშტის: „არს ქალაქი ქუთაისი რიონს გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშენი, თვალთა ქუე შეუნიერი ადგილი“. ვახუშტი ხომ ქებას არ იშურებდა იმერთა მიმართ, მათი მშვენიერებით, ჰაეროვნებით, ენატკბილობით, სიკისკასით აღტაცებული, სადაც „გაღებთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა“.

მართლაც, დიდებული იყო ამ დროს ქუთაისი.

1917 წლის 17 მაისს შედგა სხვადასხვა საფინანსო და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელთა სხდომა. ა. ჯანელიძის ხელით დაწერილ ოქმში ვკითხულობთ: კრებას დაესწრო 25 პირი. კრება გახსნა ივ. ჭავჭავიძემ. ჯერ მან დამსწრეთ გააცნო საქმის ვითარება თბილისში, შემდეგ კი ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქართული უნივერსიტეტის აუცილებლობის შესახებ. მან არა

მართო აღნიშნა გადაუდებელი საჭიროება ქართული სამეცნიერო დაწესებულებებისა, ამასთან ისტორიული შესავლის შემდეგ კვლავ დაასაბუთა უნივერსიტეტის უპირატესობა სამეცნიერო აკადემიისა და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის წინაშე.

პროფ. ივ. ჭავჭავაძის წინადადებით კრებამ აირჩია თავმჯდომარედ ი. ოცხელი, მდივანად — ალ. ჭანელიძე.

კამათი მომავალი უმაღლესი სასწავლებლის ტიპის შესახებ აქ უფრო მწვავე იყო, მაინც „მთელმა კრებამ ორის წინააღმდეგ გაიზიარა მომხსენებლის შეხედულება და საჭიროდ სცნო ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება“.

კრება ამით არ დამთავრებულა. ახლა პროფ. ივ. ჭავჭავაძი წაიკითხა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაციისა და საჭირო ხარჯების თაობაზე. მცირე კამათის შემდეგ კრებამ თავისი თავი დამფუძნებლად გამოაცხადა და აირჩია 11 კაცისგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც შეუერთდებოდა თბილისში მსგავსსავე არჩეულს კომიტეტს და განზრახული საქმის განხორციელებისათვის იზრუნებდა.

თავმჯდომარემ ი. ოცხელმა შეკრებილთა სახელით მადლობა გადაუხადა კრების მომწვევესა და მომხსენებელს პროფ. ივ. ჭავჭავაძის.

ესე და ამგვარად შეიქმნა პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი — ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება. ეს არნახული ნაბიჯი იყო

ნახევრად კონფიდენციალურ შეკრებათა და თეორიული სჯა-ბაასის ნაცვლად. ახლა უკვე თითქმის ოფიციალურად ცხადდებოდა, რომ იქმნება საზოგადოება, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს — თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. მართალია, გადაიდგა პირველი ესოდენ საჭირო ნაბიჯი, მაგრამ შემდგომი ნაბიჯები ფრიალ ძნელი აღმოჩნდა. თვით ამ საზოგადოების წესდების დამტკიცებაც ერთბაშად ვერ მოხერხდა.

არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა თვით საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება. უგულობა ცხადად იკავებდა პირველი აღფრთოვანების ადგილს. დიდი სიძნელებები აფრთხოდა თვით საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. რასაკვირველია, ყველაზე ძნელი საკითხი ეს თანხების პოვნა იყო. თითქოს გამოსავალი არსაიდან ჩანდა, ეს კი უიმედობას კვებავდა. 1917 წლის 24 მაისს დაინიშნა საორგანიზაციო კომიტეტის კრება, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ხარჯთაღრიცხვა და სხვა ღონისძიებანი თავისუფალი უნივერსიტეტისა. კრებას მხოლოდ ივ. ჭავჭავაძი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე და ფ. გოგიჩაიშვილი დაესწრნენ, მცირერიცხოვნობის გამო ოფიციალური სხდომა არ შემდგარა. გაიმართა კერძო თათბირი. აქ ივ. ჭავჭავაძი დაამსწრეთ აცნობა ქუთაისში ჩატარებული კრების შესახებ, ამასთან აღნიშნა, რომ სასურველია ამ კომიტეტების გაერთიანებული სხდომის მოწვევა თბილისში.

კერძო საუბრის დროს გამოითქვა აზრი საკრედიტო დაწესებულებათა და კერძო ქველმოქმედთა შორის თანხების შეგროვების შესახებ. აღინიშნა, რომ შესაძლებელია გაიმართოს მთავრობის ნებართვით, პოლონელთა მაგალითის მსგავსად, საჯარო მომგებიანი ლატარია, რაც ერთბაშად დიდი თანხის მოგროვების საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის საზოგადოებას. შემდეგი კრება დაინიშნა 28 მაისისათვის, მაგრამ უქვორუმობის გამო საორგანიზაციო კომისიის სხდომის მოწვევა მოხერხდა მხოლოდ 1917 წლის 3 ივნისს. მას ესწრებოდნენ: კ. აფხაზი,

ი. ჭავჭავაძე, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. აბაშიძე.

ქ. აფხაზმა გახსნა სხდომა. აღნიშნა, რომ ეს მესამე კრებაა კომისიისა საერთო სხდომის შემდეგ, მაგრამ არც ერთხელ სათანადო ქვორუმი არ ყოფილა და ამიტომ საქმე ყოველთვის კერძო თათბირით მთავრდებოდა ხოლმე. კერძო თათბირი, მართალია, ეხებოდა მთავარ საგანს — ფულის შოვნას, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავდა იგი, „ჭერჭერობით არავითარი თვალსაზრისით საშუალება არ არის ნაჩვენები“. აღინიშნა, რომ საჭარო მომგებიანი ლატარიის მოწყობას, თუკი ნებართვა იქნებოდა, შეეძლო ადვილად გადაეწყვიტა ფულის მოგროვების საქმე; ასევე, თუ საქართველოში არსებული კოოპერატივები მცირე წელიწადში გაიღებდნენ, მაშინ ესეც საგრძნობ თანხას მოგვეცემდა, აგრეთვე ქართველთა შორის საშემოსავლო გადასახადის გაწერა მოგვეცემდა განსაზღვრულ თანხებს. ამ საკითხის შესახებ წინადადების შემუშავება თავს იღო ი. ლორთქიფანიძემ. გამოითქვა აზრი, რომ გამოყენებულ იქნეს ამ საქმისათვის ის თანხა, რომელიც შემდგარია თბილისის სათავადანაპრო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადისაგან. ამ საკითხზე წინადადების შემუშავება იკისრა ვ. ყიფიანმა. საბოლოოდ კი არც ერთი რეალური სახსარი ჯერ კიდევ არ ჩანდა, იყო მხოლოდ წინადადებანი. ეს საერთო გულგატეხილობის ფონს ქმნიდა. სწორედ ამ დროს ღრმა რწმენითა და ნათელი მომავლის იმედით გაიხმა ივანე ჭავჭავაძისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის გაბედული სიტყვები, რომ მთავარია საქმის დაწყება, თუნდაც მცირედი თანხებით, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა ერთბაშად არ შეწყდება და ხალხი არ გასწირავს ნანატრ უნივერსიტეტს. ეს სიტყვები თაობებს უნდა დარჩეს. ივ. ჭავჭავაძელმა თქვა: „ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამორკვეულ იქნეს საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალი წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინდაწინვე დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაკვირვებულ მდგომარეობაში ჩაყვანებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში, და მხოლოდ ეროვნული იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ“.

ფილიპე გოგიჩაიშვილმა თქვა: „ყველა ქართული საზოგადო საქმე მცირედის ნივთიერი საშუალებით დაწყებულა და ასე თუ ისე არსებობს და ასრულებს მეტ-ნაკლებობით თავის კულტურულ დანიშნულებას. ქართულ უნივერსიტეტს, რაღა თქმა უნდა, უფრო მკვიდრი საფუძველი სჭირია, რაც დიდ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთბაშად ქართველებს არ შეუძლიან ამხელა თანხის შედგენა. მაინც და მაინც ეს გარემოება როდი უნდა გვაბრკოლებდეს და უნდა ეხლავე შევეცადნეთ ამ დიდი საქმის განხორციელებას. ექვს გარეშეა, ეს ესეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება შექველად ხელს შეუწყობს მის არსებობას. ამიტომ ყოველნაირი ღონისძიება უნდა ვიხმართ, რომ საქმე დავიწყეთ, თუ გინდა მცირე თანხითაც, ოღონდ კი ერთი-ორი წლისათვის კი საკმარისი იყოს“.

ამ დროისათვის კომისიის ჯერ კიდევ არ ჰყავდა თავმჯდომარე. საკითხი გადაიდო. კომისიის მდივნის მოვალეობა ივ. ჭავჭავაძელმა იკისრა. გადაწყდა, შემუშავდეს პროექტი ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზო-

გადოებისა, რათა წარედგინოს იგი მთავრობას დასამტკიცებლად. პროექტის შედგენაც ივ. ჭავჭავიძე იყისა.

1917 წლის 15 ივნისს საორგანიზაციო კომისია უკვე იხილავს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების პროექტს. როგორც ოქმში ვკითხულობთ, „ი. ა. ჭავჭავიძე ილაშქრება, რომ მან უკვე შეიმუშავა პროექტი ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდებისა და იგი პროექტი დღეს მოხსენდება კრებას“. ამასთან მან დასძინა, რომ საქირთა უნივერსიტეტის სახელწოდებიდან ამოიშალოს სიტყვა „თავისუფალი“, ვინაიდან ეს სიტყვა კერძობით ხასიათს აძლევს განზრახულ დაწესებულებას, ამიტომ სასურველია მისი სახელწოდება ასე განისაზღვროს: „ქართული უნივერსიტეტი თბილისში“, ხოლო საზოგადოებას ეწოდოს „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. შემდგომ მან წაიკითხა პროექტი წესდებისა. მცირე კამათის შემდეგ, კრებამ გადაწყვიტა წესდების საბოლოო რედაქცია 22 ივნისის სხდომაზე განიხილოს.

22 ივნისს შედგა მორიგი სხდომა საორგანიზაციო კომისიისა. მომხსენებელმა ივ. ჭავჭავიძემ წაიკითხა შესწორებული რედაქცია უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტისა და თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. როგორც საზოგადოების წესდება, ისე აგრეთვე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, სხდომაზე გამოთქმული მცირე შესწორებით, კრებამ ერთხმად მიიღო. გადაწყდა 3 აგვისტოს მოწვეულ იქნეს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. იგი შედგა დანიშნულ დღეს, მას დაესწრნენ: კ. აფხაზი, გ. ჟურული, ი. ჭავჭავიძე, ექ. თაყაიშვილი და იას. ლორთქიფანიძე. კრების საგანი იყო ერთი საკითხი: „უნივერსიტეტის საზოგადოების წესდებაზე ხელის მოწერა და იქვე ნოტარიუსის მიერ ხელმოწერა“. მიღებულ ოქმში ვკითხულობთ: „კრებაზე მყოფმა წევრებმა, ტფილისის ნოტარიუსის გიორგი ლუარსაბის ძე მაკავარიანის თანდასწრებით — ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის საზოგადოების წესდებას და უნივერსიტეტის ძირითად დებულების პროექტს და ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მიმართ წარსაღვენ განცხადებას ამ პროექტის დამტკიცების შესახებ“.

„კომისიის დანარჩენი წევრები, — რომელნიც ამ კრებას არ დაესწრნენ, — სათითაოდ უნდა გამოცხადდნენ ნოტარიუსთან და ხელი მოაწერონ წესდებას და ძირითად დებულებას“. იმავე სხდომაზე რუსულად შედგენილი ტექსტით კრებამ წარმომადგენლობა და მიმოსვლა ამ საქმეში დაავალა ი. ჭავჭავიძეს: მასვე მიენდო იმ ცვლილებათა შეტანა ზემოხსენებულ პროექტებში, რომელთა აუცილებლობას საქმის ვითარება მოითხოვდა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს კ. აფხაზს 29 აგვისტოს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარემ ხარლამოვმა აცნობა, რომ 29 აგვისტოს თავის სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების შესახებ. მან დაამტკიცა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდება და გადასცა იგი თბილისის საოლქო სასამართლოს რეგისტრაციისათვის.

ამასთან აღნიშნა, რომ ერთი პირობით ეთანხმება ამ წესდებას: იქიდან ამოშლილი უნდა ყოფილიყო მუხლები, რომლებიც ეხებოდნენ უნივერსიტეტის საზოგადოების უფლებას საჯარო ლატარიის მოწყობაზე იმის გამო, რომ ნებართვა მის მოწყობაზე მხოლოდ უმაღლეს მთავრობას შეეძლო გაცეა. ოზაკომი (Особый Закавказский комитет), რომელიც 1917 წლის 9 მარტიდან დაწყებული 15 ნოემბრამდე მოქმედებდა, დროებითი მთავრობის იმპერიალისტური

პოლიტიკის გამტარებელი იყო. მას რწმუნება ჰქონდა ემოქმედა კავკასიის სა-
მეფისნაცვლოს კანონების შესაბამისად, თუმცა ახლა ეს კანონები უცვლელი
სახით ამიერკავკასიის ფარგლებზე ვრცელდებოდა მხოლოდ. არასდროს არ და-
უცავთ ასე ერთგულად ცარისტული კანონმდებლობა, როგორც ახლა. რო-
გორც იტყვიან, ეს ხელისუფლება შარზე იყო რათა გადაეხანებინა უნივე-
რსიტეტის საზოგადოების წესდების რეგისტრაცია ასე, 1917 წლის 11 — 15
სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლოს პირველი სამოქალაქო განყოფი-
ლება (ასეთი შემადგენლობით: ლუტოზინი (თავმჯდომარე), საბინინი და
პოტოცკი) იხილავს უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების დამტ-
კიცების საკითხს. სასამართლო გადაწყვეტს, უარი უთხრას საზოგადოების და-
მფუძნებლებს წესდების დამტკიცებაზე იმიტომ, რომ „სამი ეგზემპლარის ნაც-
ვლად წარადგინა მხოლოდ ერთი“... ყოველივე ამან სრულიადაც არ დააბნია
ივანე ჭავჭავიძე, მას არ შეუჩერებია საზოგადოების მოღვაწეობის გაშლა.

20 სექტემბრამდე რამდენიმეჯერ ჩაიშალა საორგანიზაციო კომისიის სხდო-
მა, თუმცა კი კომისიის მდივანი ილია ზურაბიშვილი იმ წევრებს, რომლებიც არ
ცხადდებოდნენ, ხშირად შეახსენებდა: „გთხოვთ უმორჩილესად, მოზრძანდეთ
ხსენებულ კრებაზედ. ყველა წევრის დასწრება აუცილებლად საქიროა, რადგანაც
სათათბირო საგნები მეტისმეტად საპასუხისმგებლოა“. 20 სექტემბრის სხდომა-
ზე, რომელსაც ესწრებოდნენ ივ. ჭავჭავიძე, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, მ. გრუ-
ზინსკი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, საინტერესო განცხადება გააკეთა
ივანე ჭავჭავიძემ იურიდიული საკითხების ფაქიზი ცოდნით. მან თქვა: „აწინ-
დელი ვითარება საზოგადოების დაარსებისა ისეთია, რომ იურისტების აზრით
საქმის დაწყება შეიძლება. მიუხედავად იმისა, ქართული უნივერსიტეტის საზო-
გადოების რეგისტრაცია ჯერ არ მომხდარა, მაინც საზოგადოებას შეუძლია უკ-
ვე მოქმედებას შეუდგეს, რადგანაც ამგვარი დაწესებულებანი ეგრეთწოდებუ-
ლი განცხადებითი წესით მოქმედებენ. რეგისტრაცია ამგვარ დაწესებულებებს
იურიდიული პიროვნების უფლებას აძლევს, რასაც საქმის დაწყებისათვის არა
აქვს მნიშვნელობა“.

იურიდიულ დოგმას ასეთი თავგამოდებით იცავს ის ხელისუფლება, რომ-
ელსაც სრულიად არ აფიქრებს ეროვნული მოვლენის შინაარსი, ბიუროკრატი-
ული წესით ცდილობს მისი დადგომის გადახანებას. ასევე მთლიანად გასაგე-
ბია, რომ ჩქარობს ივანე ჭავჭავიძე საქმის დაწყებას. ამისათვის კი იგი კარ-
გად იყენებს იურიდიული პირის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესანიშ-
ნავ ცოდნას (ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ იგი არ აყოვნებს, დააკმაყოფი-
ლოს თბილისის საოლქო სასამართლოს წევრთა აფორიაქებული სინდისი: 29
სექტემბერს უგზავნის მათ სამ ეგზემპლარს უნივერსიტეტის დამხმარე საზო-
გადოების წესდებისას და შეაქვს თბილისის ხაზინაში წესდების გამოქვეყნე-
ბისათვის ერთი მანეთი და 50 კაპიკი, რომ კიდევ არ ახირებულა იყო სასამართ-
ლო). ივანე ჭავჭავიძე ზუსტ იურიდიულ ანალოზს აკეთებდა. მას მხედველო-
ბაში ჰქონდა 1906 წლის 4 მარტის კანონი, რომელმაც კერძო საზოგადოება-
თა და კავშირთა წარმოშობის სანებართვო სისტემა შეცვალა მათი შექმნის სა-
ჯანცხადებო-ნორმატიული სისტემით. ეს გაერთიანებანი იურიდიულ პირად
თვლებოდნენ რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ მანამდე მათ შეეძლოთ დაეწყათ
საქმიანობა როგორც ფიზიკური პირებისაგან განსხვავებულ სუბსტრატებს.

როცა ივანე ჭავჭავიძე იურისტების აზრზე მიუთითებდა, მას მარტო ცი-
ვილისტურ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებანი კი არ ჰქონდა მხედ-
ველობაში, არამედ, როგორც ჩანს, მისი სტუდენტობის მეგობრის გამოჩენილი

ქართველი ცივილისტის გიგო რცხილაძის აზრი, რომელიც უარესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების მოღვაწეობაში.

ოზკომის თავმჯდომარემ ხარლამოვმა, მართალია, ვერაფერი საწინააღმდეგო იპოვნა საზოგადოების დებულებაში, მაგრამ უარი თქვა თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დამტკიცებაზე, მიუთითა, რომ ის გადაგზავნილი უნდა იქნეს პეტერბურგის სახალხო განათლების სამინისტროში, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია დაამტკიცოს იგი. რასაკვირველია, ეს ივანე ჭავჭავაძის კარგად იცოდა, მაგრამ იგი იქიდან გამოდიოდა, რომ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი „დროებითი მთავრობის სახელითა და უფლებით“ იყვნენ აღჭურვილნი.

აქვე უნდა ითქვას, ივ. ჭავჭავაძის მზად იყო უარესი გადაწყვეტის შემთხვევისათვის: „თუ ვინიციობაა, ჩვენი იმედი არ გამართლდა და დროებითი მთავრობის სახალხო განათლების მინისტრმაც არ მოისურვა ძველი წეს-წყობილების მახინჯ მემკვიდრეობის უარყოფა და ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი არ დაამტკიცა... მაშინ ჩვენ უნებლიედ ისევ ძველი კანონის ნიადაგზე უნდა შევდგეთ და ამის მიხედვით ვიმოქმედოთ“, თუმცა იქვე დასძინდა, რომ ამგვარი უნივერსიტეტი აუცილებლად „კერძო“ სასწავლებელი უნდა ყოფილიყო.

1917 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე ივ. ჭავჭავაძის წინადადებით გადაწყდა მოწვეულ იქნეს საზოგადოების პირველი კრება გამგეობისა და საკონტროლო საბჭოს ასარჩევად, იმის იმედით, რომ ეს უფრო გააცხოველებდა უნივერსიტეტის დაარსების იდეას. ამასთან, გამგეობა, როგორც ორგანო საზოგადოებისა, თვით შეუდგება სახსრების გამოძენის საქმესო. ივ. ჭავჭავაძის ამავე კრებაზე დასძინა, რომ ამიერიდან საზოგადოების კრების მოწვევის შესახებ გაზეთებში დაიბეჭდება, ასევე დაიბეჭდება საზოგადოების წესდება, ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა და მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. კრება ეთანხმება ივ. ჭავჭავაძის იმ აზრს, რომ, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, უნივერსიტეტი შეიძლება გაიხსნას მომავალი წლის დამდეგიდან.

უკვე 1917 წლის 23 სექტემბერს „სახალხო საქმეში“ გამოცხადდა, რომ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება ილ. ზურაბიშვილთან დეპუტატთა საკრებულოში (ფრეილინის ქუჩა № 22), რომ დამფუძნებელი წევრი იხდის წლიურად 25 მანეთს, ან ერთდროულად 300 მანეთს, სოლო დამხმარე წევრი წლიურად 5 მანეთს, ერთდროულად კი 100 მანეთს.

რატომ იყო აუცილებელი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების შექმნა, შეიძლებოდა თუ არა მის გარეშე, ხომ არ სჯობდა მთელი ბრძოლა თავიდანვე გადატანილი ყოფილიყო უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დასამტკიცებლად? ამ კითხვებზე პასუხისათვის უპირველესად უნდა დავახასიათოთ უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების შექმნის მთავარი მიზანი. უნივერსიტეტის დაარსებისათვის, ბუნებრივია, აუცილებელი იყო ფულადი სახსრები. უნივერსიტეტის გახსნის სირთულე მართო იმაში კი არ იყო, რომ არ გვეყავდა მილიონური მეცენატი კაპიტალისტები, რომლებიც ერთბაშად გამოყოფდნენ სათაყვანო ფულად თანხებს. მთავარ სიძნელეს ის ქმნიდა, რომ ცალკე პირებს არ შეეძლოთ ეყისრათ ხალხში ფულადი თანხების შეგროვება. ამისათვის წინასწარ გარკვეული საზოგადოება უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამასთან ლეგალური გზა იმიტომაც გახდა აუცილებელი, რომ სახსრები შემოწირულების, და არა ჩუქების

გზით უნდა შეგროვებულიყო. რევოლუციამდელი კანონმდებლობა განასხვავებდა ჩუქებასა და შეწირულებას. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ქონების ნებაყოფლობით გადაცემას საერთო სარგებლობის მიზნებისათვის, მაშინ როცა ჩუქება კერძო პირთათვის ქონების უსასყიდლო დათმობას ნიშნავდა. ნაჩუქარის უკან მოთხოვნა შეიძლებოდა, თუკი დათქმული პირობა არ შესრულდებოდა, მიღებულ შეწირულებას კი საზოგადოება, კორპორაცია უკან არ აბრუნებდა. მათ წესდებაში უნდა განსაზღვრულიყო შეწირულების ბედი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში. შეწირულება ანდერძის სახითაც დაიშვებოდა, ამასთან ერთად ბევრი სხვა რეკვიზიტიც უნდა გაეთვალისწინებინათ საზოგადოებებსა და კავშირებს, რომლებიც შემოწირულებებს იღებდნენ. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების უკანასკნელი 49-ე მუხლის ბოლო ნაწილში დადგენილია, რომ საზოგადოების მოქმედების საბოლოოდ შეწყვეტის შემდეგად მისი მოძრავი და უძრავი ქონება, „თუ ვინიცბაა ქართული უნივერსიტეტი არ იქმნა, მაშინ საზოგადო კრების სურვილისამებრ ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებას უნდა გადაეცეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის მოსახმარებლად“ (იმ დროს ხომ რამდენიმე ქართული საზოგადოება მოქმედებდა, როგორც კერძო იურიდიული პირი).

წესდებაში ამგვარი ნორმის შეტანა ნაკარნახევი არ ყოფილა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შიშით, ვაი თუ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანოთო. თვით კანონი ამ საზოგადოებათა შესახებ სავალდებულოდ თვლიდა, გათვალისწინებული ყოფილიყო ქონების ბედი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, ვინაიდან ქონება არ უბრუნდებოდა მათ, ვინც იგი შემოაწიეს. ამ საკითხზე წესდების დუმილი იმას ნიშნავდა, რომ ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, როგორც ბეთალამანი, ხაზინის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ეს კი არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლოთ დაეშვათ ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლებს.

მალე, როგორც დავინახავთ, უნივერსიტეტის საზოგადოება თავის მოღვაწეობას გადაიტანს ხალხში, მაგრამ კითხვაც შეიძლება დაიბადოს: ხომ არ დაიკარგა ლეგალური გზის ლოდინში რამდენიმე შეტად ძვირფასი თვე? ხომ არ სჭობდა დაუყოვნებლივი გახსნა უნივერსიტეტისა ყოველგვარი ლეგალური გზისა და დამხმარე საზოგადოების გარეშე? ამგვარი აზრი გამოთქმული იყო იმ დროსაც. ასე, როგორც გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ალექსანდრე ჭავჭავიძე მოგონებაში აღნიშნავს, მან იმ დროს წამოაყენა წინადადება თბილისში „დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ ქართული უნივერსიტეტის დაარსება, და მე პირადად მზად ვარ უსასყიდლოდ ვიმუშაო ამისათვის, თუნდ რამდენიმე ათეული სტუდენტი გყავდესო“.

ივანე ჭავჭავიძეილი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ალექსანდრე ჭავჭავიძეილის ამ წინადადებას.

რა იქნებოდა უსახსროდ, შენობის გარეშე, მოუშვადებლად, სტიქიურად გამოცხადებული კერძო უნივერსიტეტი, რომლის დაარსების შესახებ ადრე საჩაროდ დაიწერებოდა პრესაში და რომელიც დიდად განსხვავებული არ იქნებოდა სახალხო უნივერსიტეტებისაგან? რა მოწმობის გაცემა შეიძლებოდა, კერძო იურიდიულ პირსაც ხომ საჩარობის ელემენტებიც გააჩნია, სხვანაირად საუნივერსიტეტო იდეა თავს შეირცხვენდა. მაშასადამე, ამ საქმეს არა თუ ლეგალური გზა სჭირდებოდა, არამედ ფრიად სერიოზული მოსამზადებელი ღონისძიებანი, რომ შესანიშნავ იდეას, პირველი გატაცების შემდეგ თავი არ შეერ-

ცხინა და ეროვნული უნივერსიტეტის არსებობას საბოლოო ანგარიშით არ დაეგვიანებინა.

უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნის ჩამოყალიბება და ამოქმედება აუცილებელი ნაბიჯი იყო და იგი სრულიადაც არ გულისხმობდა ზედმეტ სიფრთხილეს ივანე ჯავახიშვილის მხრივ. ეს სავსებით დაადასტურეს შემდეგდროინდელმა მოვლენებმა. ივანე ჯავახიშვილს ღრმად მოფიქრებული დეტალებით განსაზღვრული გეგმა ჰქონდა. იგი 1917 წლის 20 სექტემბერს ამბობდა, რომ, თუ, გარემოება ხელს შეგვიწყობს, უნდა მოვახერხოთ უნივერსიტეტის გახსნა მომავალი წლის დამდეგიდან. გამართლდა ეს წინასწარტყერტა, თუმცა ამისათვის ივანე ჯავახიშვილს, როგორც დაინახავთ, ნამდვილი მოქალაქეობრივი გმირობა უნდა ჩაედინა.

თ ა ვ ი III. ხალხის სიყვარულის ძალა

1917 წლის 20 სექტემბერს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო კრებამ გადაწყვიტა, გამოაქვეყნოს პრესაში შემუშავებული წესდება საზოგადოებისა, უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი და ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ყველაფერი ეს მართლაც გაკეთდა. მანამდეც როდღე დუმდა თბილისური პრესა იგი გამძაფრებით იხილავდა საკითხს თბილისში, ერთის მხრივ, სახელმწიფო და, მეორე მხრივ, ქართული და სომხური უნივერსიტეტების დაარსების თაობაზე. გასაგებია, რომ მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო პრესის მხარდაჭერა. იმ ვითარებაში განსაკუთრებული როლი ამგვარ მხარდაჭერას ჰქონდა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ეს იმიტომ, რომ ქართული უნივერსიტეტის საქმეს არამარტო აშკარა მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი ყველაზე საშიში მტერი იყო ქართველი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის გულგრილობა და ურწმუნოება, რომ ეროვნული უნივერსიტეტი ვერ შესძლებს მეცნიერების ამეტყველებას ქართულ ენაზე, ვერ გაუძლებს იგი დაწინაურებული უნივერსიტეტების მეცნიერულ კონკურენციას, რომ პროვინციული უნივერსიტეტის გახსნას ხომ არ აჯობებდა საერთოდ უარი გვეთქვა მის დაარსებაზეო.

ქართული ინტელიგენციის ნაწილის ეს უგულობა ობიექტურად იმ ძალას უკავშირდება, რომელმაც, დაინახა რა ქართული უნივერსიტეტის გახსნის „საშიშროება“, ჯერ ეარშავის უნივერსიტეტის გადმოტანას აპირებდა თბილისში, შემდეგ კი ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტისას, ან არა და ქალთა უმაღლესი კურსების გადაკეთებას უნივერსიტეტად, ან პოლიტიკური ინსტიტუტის გახსნას ისე, რომ შემდეგ იგი გადაქვეყლიყო უნივერსიტეტად ტექნიკურ განყოფილებებით.

ქართველი ინტელიგენციის მეტბოლი ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა თავის იმდროინდელ წერილებში ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია. 1917 წლის 11 მაისის ვახუთ „სახალხო ფურცელში“ იგი წერდა, რომ „თაობათა მთელი რიგის მუყაითი შრომა საჭირო ჩვენ წინაპართაგან ნაანდერძევე კულტურულ საუნჯის მეცნიერულად შესასწავლად“ და რომ ამისათვის სრულიად არასაკმარისია რომელიმე სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში ქართველობის კათედრების შექმნა საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი, რომ ამიტომ დროა „რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე იზარუნონ ამაზეო“.

1917 წლის 30 მაისს კონსტანტინე გამსახურდია „სახალხო ფურცელში“ აქვეყნებს შესანიშნავ წერილს — „ქართული უნივერსიტეტისათვის“. მასში გამოაშქარავებულია შოენინისტური ძალების ცდა, ფუძე გამოეცალათ მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის. ხალხის შემოქმედებით ძალების ვადვიძების სურვილით წერდა კ. გამსახურდია, რომ თვითონ ხალხი უნდა ჰქმნიდეს თავის უნივერსიტეტს და თავმოყვარე კულტურული ერისათვის ერთგვარი შეურაცხყოფა უნდა იყოს, რომ მისთვის „აარსებენ უმაღლეს სასწავლებელსო“. თავის შესანიშნავ სტატიას იგი ასე ამთავრებდა: „საქიროა მამულის მომავლისათვის მზრუნველმა ხელმა დააჩქაროს გაწამებული ერის დიდი ხნით ნაზრახი გულისნადების სისრულეში მოყვანა“.

1917 წლის 1 აგვისტოს „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ტროასეული ცხენი“ კონსტანტინე გამსახურდია ენერგიულად უჭერდა მხარს თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის საქმეს და დამაჩქარებლად უარყოფდა „კულტურული უნივერსალიზმის“ ნამდვილ არსს. შთაგონებით დაწერილი ეს წერილები ყველაზე დროულ, საქირო, გაბედულ და სასარგებლო მხარდაჭერას წარმოადგენდა მეტად დიდი იყო მათი ზემოქმედებითი ძალა. ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ ბევრი სხვა წერილი იბეჭდება შემოდგომამდე. ისინი აღვიძებდნენ საუნივერსიტეტო იდეის სიყვარულს ხალხში.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების დაბრკოლებად შეიძლებოდა გამხდარიყო ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტის გადმოტანა თბილისში. მართლაც, 1917 წლის შემოდგომაზე დადგა ეს საკითხი. გერმანელთა შემოჭრისა და ესტონეთის დატოვების საფრთხემ წარმოშვა ქვეყნის შიგნით ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტის გადმოტანის საკითხი. თბილისის ქალაქის გაძევობამ დეპეშაც გაგზავნა იურიევი უნივერსიტეტის გადმოტანის თაობაზე, კომისიაც შეიქმნა თადარიგისათვის — მეცნიერების ტაძრის დასაბინაველად. (1917 წლის 5 სექტემბერს იურიევის უნივერსიტეტის გამგეობა მადლობას ამბობდა და აღნიშნავდა, რომ ექნებოდა მხედველობაში ყოველივე ეს). სხვა თანაბარ შემთხვევაში ეს მეტად და მეტად მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ ახლა იგი მხოლოდ ხელს უშლიდა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. 1917 წლის 17 სექტემბერს „სახალხო საქმეში“ ს. ფირცხალავა ღრმა პატივისცემით წერდა სახელოვან ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტზე, მის დამსახურებაზე, იმ სიკეთეზე, რაც ამ უნივერსიტეტს მოუტანია ჩვენთვის (ვანსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა იქ სხვადასხვა დარგზე ესტონელებზე მეტი ქართველი სწავლობდა), მაგრამ დასძენდა, რომ „ყოვლის უწინარეს ჩვენ გვჭირია ჩვენი საკუთარი კულტურა. საკუთარი მეცნიერება, საკუთარი სამეცნიერო ტაძარი“ (როგორც ცნობილია, ტარტუს უნივერსიტეტის ბაზაზე შემდგომ 1918 წლის ნოემბერში შეიქმნა ვორონეჟის უნივერსიტეტი).

ივანე ჯავახიშვილს წინასწარ შემუშავებული გეგმა-მონახაზით გადააქვს ახლა მთელი აქცენტი ეროვნული უნივერსიტეტის იდეის ხალხში პროპაგანდაზე. ამას წარმართავდა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომლის პირველი საერთო კრება შედგა თბილისში 1917 წლის 3 ოქტომბერს. ეს დღე ნამდვილი ზეიმის დღედ იქცა საუნივერსიტეტო ქალაქად თბილისის გადაქცევის წინ. ჩვენც დაწვრილებით გადმოგვემთ ამ ღირსშესანიშნავი შეკრების მთელს მსვლელობას. მას დაესწრო დამფუძნებელი კრების მონაწილეთა უმთავრესი ნაწილი, 20 პირი, სახელდობრ: ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ყაზბეგი, კ. კეკელიძე, გ. მაღალაშვილი, ვ. ყიფიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, გ. ქურდიანი, ლ. ბოცვაძე, სეთ იაშვილი, ი. ბ. ლორთქიფანიძე,

პ. ჭელაქიშვილი, კ. მაყაშვილი, ი. იმედაშვილი, ა. შანიძე, გრ. ვეშაპიძე, ა. წერეთელი, დ. სულიაშვილი და ილ. ზურაბიშვილი. ორმოცამდე ქალი და კაცი, რომელთაც უკვე საზოგადოების წევრობის ფულიც შემოიტანეს. აგრეთვე ბევრი სხვა პირიც, რომლებიც ჭერ არ იყვნენ საზოგადოების წევრები.

კრება საღამოს 9 საათზე გახსნა ივანე ჭავჭავიძეში. თავმჯდომარედ დაასახელა ექვთ. თაყაიშვილი, რაც კრებამ ერთხმად და ტაშის კვრით დაადასტურა. საპატრიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.

შემდეგ ივანე ჭავჭავიძეში წაიკითხა ვრცელი მოხსენება ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მნიშვნელობაზე და იმ საქმიანობაზე, რაც გაკეთებულია უნივერსიტეტის გახსნისათვის. თავისი სიტყვის დასრულები-სას მან აუწყა დამსწრეთ წესდებისა და მთავარ დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება. ივ. ჭავჭავიძე ვრცლად შეეხო საკითხს ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობისა კავკასიის საერთო უნივერსიტეტთან შედარებით და მრავალის მოსაზრებით დაადასტურა თავისი აზრი ამ უპირატესობის შესახებ. «მოხსენება საზოგადოებამ დიდი ტაშისკვრით მიიღო». თავმჯდომარის თანხმობით მოხსენების დროს დარბაზში შემოდის ამერიკელი პროფესორი როსი, რომელიც საღამოს უძღვნის საზოგადოების პირველ კრებას და ითხოვს დასწრების ნებას. კრება ტაშისკვრით და ფეხზე ადგომით ესალმება სტუმარს. მოხსენების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ კრება შეწყვიტა და მიმართა დარბაზს: «ვისაც სურვილი გაქვთ წევრობისა, გთხოვთ ახლავე ჩაეწეროთ და გადასახადიც შემოიტანოთ».

ბევრი გახდა ამ დღეს საზოგადოების წევრი, კრება განახლდა. წაკითხულ იქნა სია ახლადჩაწერილ პირებისა. ამ სიაში იყვნენ შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლიაშვილი, დ. უზნაძე, გ. ლამბარაშვილი, პ. დ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. ლომოური, ნ. კეზერელი-კოპაძე, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოლაშვილი, შ. მესხიშვილი, ა. ვირსალაძე, გ. მუხაძე, ვ. კახიძე, ი. თიკანაძე, თამარ ჭავჭავიძე, გ. რცხილაძე, ა. ნ. მერკვილაძე, ა. ღიასაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. გორელიშვილი, ა. ფორაქიშვილი, ი. გომართელი, მ. ვ. ჯამბაყურ-ორბელიანი და ბევრი სხვა (სულ 94 ხელმოწერა).

სიის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით აღნიშნული პირები დამფუძნებელი კრების მონაწილეთა მიერ მიღებულ იქნენ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებად. ქუთაისის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელმა მექი ფალავამ განაცხადა, რომ ხსენებულ კომისიასაც ჰყავს ჩაწერილი წევრები, მხოლოდ სია იმ პირთა თან არ აქვს. კრებამ გადაწყვიტა ეს პირნიც მიეღო წევრებად.

8 ოქტომბერს (ღვინობისთვის) გაგრძელდა საზოგადოების საერთო კრების სხდომა პროფ. პ. მელიქიშვილის საპატრიო თავმჯდომარეობით და ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. მას ორასამდე დამფუძნებელი და დამხმარე წევრი და მრავალი გარეშე პირი დაესწრო. კრებამ ბევრი ახალი წევრი მიიღო. აირჩია გამგეობის წევრები და წევრობის კანდიდატები, საკონტროლო საბჭო და საფინანსო კომისია. ამის შემდეგ ივანე ჭავჭავიძეში წაიკითხა მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ.

მოხსენების პირველი ნაწილი ეხებოდა უნივერსიტეტის არსებობისათვის საჭირო სახსრებს, მეორე ნაწილი შეეხო უნივერსიტეტის სამოსწავლო საქმის დაყენების საკითხს. «კრებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი. გრ. ღიასაძის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა ივანე ჭავჭავიძეს,

როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე დაულალავის ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის“. ასე აფასებდნენ თანამდგომნი და თანამედროვენი ივანე ჭავჭავიძე. სხდომის მსვლელობის დროს დარბაზში შემოვიდა ყარამან კიკნაველიძე და ივანე ჭავჭავიძე კონვერტი გადასცა, რის შემდეგ იგი კრებიდან წავიდა.

კონვერტში აღმოჩნდა ასი თუმანი ფულად და შემდეგი შინაარსის წერილი:

„მეცნიერს ივ. ჭავჭავიძე.“

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება. ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩვენი ერის წინმსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა ერთდროულ დახმარებად მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად. იმედია თქვენის ჩვეულებრივი მუყაითობით ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედაქალაქ თბილისში. დაეშთები მარადის თქვენი პატივისმცემელი ყარამან სოლომონის ძე კიკნაველიძე. ღვინობისთვის მ, 1917 წ.“. კრება მხურვალე ტაშით ეგებება წერილს. დადგინეს მადლობა გამოეცხადოს ყ. კიკნაველიძეს. უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების მისამართით დაიწყო დენა ფულად თანხებმა შემოწირულებათა სახით. ეს შემოწირულებანი, ხშირად სწორედ მცირედი, ადასტურებდა, რამდენად კეთილი გულით იყო იგი მოძღვნილი.

გამოგზავნილ ფულად თანხას თითქმის ყოველთვის ახლდა სიყვარულითა და რწმენით სავსე წერილები. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი. ერთ-ერთი პირველია 1917 წლის 2 ოქტომბერს ბაქოდან გამოგზავნილი ამანათი შემდეგი წარწერით: „მე, ექიმი რაჟდენ ივანეს ძე ნანეიშვილი და ჩემი ცოლი ნატალია ზაქარიას ასული ნანეიშვილი გაახლებთ ხუთ თუმანს და გთხოვთ ჩაგვრიცხოთ ორივე ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ წევრად.“

როცა საქმე განხორციელების გზას დაადგება, ვალად ვიდებთ, ბევრად მეტი ვაგზავნოთ, არანაკლებ 20-30 თუმანისა წელიწადში“.

4 ოქტომბერს ე. ა. ჰოლოშვილი, ერეენის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, აგზავნის 25 მანეთს შემდეგი წარწერით: „დიდად პატივცემულო ბატონო ექვთიმე! გიგზავნით 25 მანეთს და გთხოვთ ჩამწეროთ ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა წევრად“.

27 ოქტომბერს ჭიმიის ინჟინერი, დოქტორი მ. ს. ბექაია ბაქოდან აგზავნის ამანათს: „მოწყალეო ხელმწიფე! გიგზავნით ოცდახუთ მანეთს და გთხოვთ ჩაგვრიცხოთ წევრთა სიაში ქართული უნივერსიტეტისა და ყოველივე ცნობა შესახებ ამ საქმისა, რომელიც ეხებოდეს წევრს ამავე საზოგადოებისა, უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ“.

სვიმონ აბაშიძე 1917 წლის 15 ნოემბერს საჩხერიდან, სოფელ სავანედან იწერებოდა: „არ შეიძლება არ გაახაროს ყველა შეგნებული ქართველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ. ქართული უნივერსიტეტი ტფილისში... რანაირ პერსპექტივას გვიქადის. დიდი სიხარულით გაახლებთ ხუთ თუმანს, ორი წლის საწევრო ფულს 1917 და 1918 წლებისას და გთხოვთ მიმიღოთ დამფუძნებელ წევრად“.

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ჭილაძე ქართული უნივერსიტეტის გამგეობას აცნობებდა, რომ

გიორგი სიმონის ძე სვანიძემ შესწირა საქართველოს უნივერსიტეტს 4 ათასი მანეთი, რომლის თანხა შეტანილია ბანკში უნივერსიტეტის სახელზე მიმდინარე ანგარიშში.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ამგვარი ამანათები. უნივერსიტეტის შექმნამ უდიდესი სიხარული გამოიწვია სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველებშიც. 1918 წლის 17 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ეცნობა ა. ი. თოიძის წერილს: სადგურ მანჯურიაში ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ საღამოს შემოსავალი, — იწერებოდა ა. ი. თოიძე, — დარჩა 6870 მანეთი და ამ ფულს იგი შეიტანს ხარბინის რუსულ-აზიურ ბანკში. საღამო გაუმართავს ან. თოიძეს, სტ. თოროშვილს და მ. გაწერელიას. დახმარება აღმოუჩენია ანასტასია თოიძეს, სიმ. ცეცხლაძეს, საფრონოვს, საპელკინს, ქ-ნ გოლდფელდს, დოვვისას და სხვ.

საბჭომ დაადგინა, მადლობა გამოეცხადოთ მათ.

ტაშკენტის ქართველთა საზოგადოება გზავნი 1000 მანეთს.

შეგროვილ თანხებს შორის ერთი მანეთიც არ ყოფილა იმ სახსრებიდან, რაც შემოწირულების სახით წლობით გროვდებოდა კავკასიის უნივერსიტეტის (პოლიტექნიკურის) გასახსნელად.

უნივერსიტეტის მოახლოებელი გახსნა მარტო ქართველობაში როდი იწვევდა სიხარულსა და სიამაყეს. ჩვენი ყველა მოკეთე ხარობდა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის შექმნით. ასე, მაგალითად, ქართველი ხალხის ქემ-მარტბმა მეგობარმა, დიდმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შემოსწირა 100 მანეთი ოქროთი. იგი თავის მეტად გულთბილ წერილში 1917 წლის 25 ოქტომბერს წერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს, და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...“

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას“...

ოვანეს თუმანიანის პირით მოძმე სომეხი ხალხი გამოთქვამდა თავის სიხარულს. ეს კარგად არის გამოხატული ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სამადლობელ წერილშიც, რომელიც კ. აფხაზის ხელმოწერით 1917 წლის 7 ნოემბერს გაეგზავნა ოვანეს თუმანიანს. მასში ნათქვამია: „თქვენს ღრმად მგრძნობიარე სიტყვებში, როგორც თავისი სამშობლოს საუკეთესო შეილისა და მისი ფიქრების და გრძნობების ნიჭიერად გამომხატველისა, ჩვენ ვხედავთ ალერსსა და მისალმებას მთელი სომეხი ხალხისასო“.

1917 წლის 7 ნოემბერს მოსკოვიდან შიო ქუჩუკაშვილის ხელით მ. ნ. გენკინი გზავნი 500 მანეთს უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის. აქედან 300 მანეთს თავის სახელით, ხოლო 200 მანეთს — მეუღლის ა. ა. გენკინას სახელით.

1918 წლის 13 აპრილს პროფესორთა საბჭო მადლიერებით აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის ფონდისათვის მ. ხანანაშვილისაგან მიღებულია 200 მანეთი, შეგროვილი კიტა აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად ქუთაისელ ებრაელთა შორის.

უნივერსიტეტის ფონდის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული საზოგადოებები. ისინი უნივერსიტეტის საზოგადოების წევრები ხდებოდნენ.

1917 წლის 27 სექტემბერს უნივერსიტეტის საზოგადოებას ქართულმა

ფილარმონიულმა საზოგადოებამ გამოუგზავნა 300 მანეთი და სთხოვა მისი აღიარება დამფუძნებლად უნივერსიტეტისა. მიმართვას ხელს აწერდნენ გ. თულაშვილი და ალ. ნეიმაძი.

სხვა მრავალმა ქართულმა საზოგადოებამ მიბაძა ამ მაგალითს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული კოოპერატივების როლი ფულადი სახსრების შეგროვებაში. ბევრს მათგანს მარტო ერთდროული შენატანები კი არ შემოჰქონდათ, არამედ განსაზღვრული დონის ზემოთ მიღებული მოგების სისტემატურ გადარიცხვასაც ჰპირდებოდნენ. მაგალითად, 1918 წლის 17 იანვარს ქუთაისიდან ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო დეკლარაცია შემდეგი შინაარსის: „ვინაიდან ქართული უნივერსიტეტის გახსნას უალრესი მნიშვნელობა აქვს და რადგანაც, ჩვენი აზრით, მის შენახვაში მეტისმეტად ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა საკულტურო დაწესებულებამ, რომელთა შორის კოოპერატივებმა საპატიო ადგილი უნდა დაიკიროს, ამიტომ „რეგულატორის“ კოოპერატივის გამგეობის სხდომამ დაადგინა: შემოსავალი, რაც კი ოთხი ათასს მანეთს აღემატება, მთლად ჩვენი უნივერსიტეტისათვის უნდა გადაედოთ.

„გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს!“ დეკლარაცია ხელს აწერდა გამგეობის თავმჯდომარე იასონ გაბელაია. უნივერსიტეტის საზოგადოებას წესდებით უფლება ჰქონდა შეეძინა და ჰქონოდა უძრავი ქონება — მიწა, სახლი და ყოველგვარი სხვა შენობა. გასაგებია, რომ უძრავი ქონება შემოწირულების მცირე ნაწილს შეადგენდა. გამონაკლისს აქ წარმოადგენდა ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელთა პატრიოტული მოქმედება. მათთვის ადვილი როდი იყო ჩამოყალიბებული პირობებისა და გარემოსაგან უარის თქმა. ქართული გიმნაზიის კორპორაცია უწყებრივ კერძობით ინტერესებზე მალლა მდგომი აღმოჩნდა, მათთვის ნათელი იყო უნივერსიტეტის შექმნის ისტორიული სიღიადე. ქართული გიმნაზიის გამგეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არა მარტო უნივერსიტეტისათვის შენობის გადაცემას დაეთანხმნენ, არამედ 1918 წელს მათ უნივერსიტეტს გადასცეს ნავთის საბადოს ნაკვეთების მომგებიანი ბილეთები.

საქართველოს ყველა კუთხეში 1917 — 1918 წლებში იმართებოდა საღამოები, რომელთა შემოსავალი უნივერსიტეტის ფონდში შედიოდა. ეს საღამოები ორ დიდ საქმეს აკეთებდნენ. ერთი ფართო მასისათვის ახლობელს ხდიდნენ საუნივერსიტეტო განათლების იდეას, მორალურად ამაგრებდნენ მას, მეორე კი მნიშვნელოვან ფულად სახსრებსაც აგროვებდნენ უნივერსიტეტისათვის. მაგალითად, 1918 წლის 13 აპრილს პროფესორთა საბჭომ აღნიშნა, რომ ვარლამ ჭრელაშვილისაგან მიღებულია ქუთაისში გამართული საღამოს შემოსავალი 5510 მანეთი, ო. ზოფერასაგან სენაკში გამართული საღამოს შემოსავალი 1006 მანეთი და 63 კაპიკი. 1918 წლის 17 აგვისტოს პროფესორთა საბჭომ მადლობით აღნიშნა, რომ სოფელ ჭოლევიდან (სენაკის მაზრა) ი. ა. ანჭაფარიძემ გამოგზავნა 200 მანეთი, რაც შეიკრიბა უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაზე.

სოფელ ნორიოს საზოგადოებამ ნიკო ბაღრიძის ხელით 25 მანეთი შემოსწირა. იყო სიყვარულის გამოხატვის სხვა გზაც. პროფესორი შალვა ნუცუბიძე წერს სიყვარულის გამოხატვის ერთ ასეთ ფაქტზე. ფოთს გემი მოადგა. მგზავრებს შორის ოდესიდან მომავალი ორი ქართველი პროფესორია ოქახებით, თავისი ბარგი-ბარხანით. მამინ ადვილი საქმე არ იყო ამ ტვირთის გემიდან ვადმოტანა და ვაგონებში შეტანა თბილისში წასაღებად. ქართველ მტვირთავ მუშების არტელმა შემთხვევით გაიგო მათ შესახებ. მუშებმა მიატოვეს სხვა

სამუშაო, მიცვიდნენ პროფესორების ბარგს და ურიგოდ და უსასყიდლოდ გადატვირთეს თბილისის მატარებელში. ითხოვეს, ეს ჩაეთვალათ მათ წვლილად უნივერსიტეტის ფონდში ფული მათ არ გააჩნდათ.

ღიღი და მცირე შემოწირულობანი იმას ნიშნავდა, რომ ხალხი არასგზით არ გაწირავდა მომავალ უნივერსიტეტს.

ხალხის მანდატით მოქმედებდა პატრიოტ მეცნიერთა მცირე ჯგუფი, როცა იგი შეგროვებული თანხების სიმცირეს არ უშინდებოდა და უნივერსიტეტს აარსებდა.

ასე, უნივერსიტეტის დაარსების იდეა უსწრაფესად გახდა ხალხის კუთვნილება. უნივერსიტეტის სახსრების შეგროვების ერთ-ერთ წყაროდ საჯარო მომგებიანი ლატარიის მოწყობა ჰქონდა გათვალისწინებული ივანე ჯავახიშვილს, მაგრამ ოზაქომმა უარი უთხრა მას ნებართვის გაცემაზე. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დროებითი მთავრობა ადვილად როდი გაიმეტებდა ნებართვას საჯარო მომგებიან ლატარიის მოწყობაზე. პეტროგრადში მოღვაწე ქართველთა იმედი, რომ ისინი მიაღწევდნენ ამგვარ ნებართვის გაცემას, ფუჭი აღმოჩნდა დედაქალაქიდან პასუხი იგვიანებდა. ივანე ჯავახიშვილი აქაც არ შეჩერებულა კანონის დოგმის წინაშე.

დაიწყო ლატარიის სასარგებლოდ აგიტაცია ქართულ პრესაში. გაზეთი „კლდე“ 1918 წლის 29 სექტემბრის ნომერში ლექსსაც აქვეყნებდა:

„გაყვარს შენი თეატრი,

უნივერსიტეტი?

რად გინდა რეკლამა

ანდა ეტოკეტი?!

...იყიდე ბილეთი

უხვმომგებიანი

იაფი, სულ ოცდახუთმანეთიანი!

მერწმუნეთ, ივია

მდიდარი, ჰქვიანი,

ვისაც ბილეთი

აქვს მომგებიანი

იჩქარეთ, მანამ ჭერ

არ არის გვიანი,

იყიდეთ, ბილეთი, უხვმომგებიანი?“

უქრნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1918 წლის 20 ოქტომბრის (ღვინობისთვის) ნომერში სუსტი პოეტური სტრიქონებით მიმართავდა მკითხველს:

„ხალხო ქართველო, ერთის დღით მაინც

თავი ანებე ნუნუს წვეთებს,

გასწი გულუხვად ლატარიისკენ

და მოაწერე ხელი ბილეთებს“.

ხუთმილიონიანი ლატარიიდან ნახევარი მილიონი მოგებას ეძლეოდა, ნახევარი წმინდა შემოსავალი გადაეცემოდა ქართულ უნივერსიტეტს ხელუხლებელ თანხად, ნახევარი გადადებული იქნებოდა ქართული თეატრის შენობის ასაგებად და ხუთი პროცენტი მოგებისა კი მსახიობთა კავშირისათვის გადაეცემოდა. დროებითმა მთავრობამ ვერ მოასწრო ნებართვის გაცემა ლატარიის თაობაზე. მხოლოდ 1917 წლის 29 ნოემბერს დაათო ნება ამიერკავკასიის კომისარიატმა მის მოწყობაზე.

ღიდხანს გაჰიანურდა ლატარიის გავრცელება ლატარიის მოგებამ ვერ მოუსწრო უნივერსიტეტის გახსნას.

შემდგომ ბოლოს და ბოლოს მოხერხდა ლატარიის ბილეთების გასაღება. ლატარიის წმინდა შემოსავლიდან უნივერსიტეტს გადაეცა 1077677 მანეთი. ფულის ბონად ქვეყის ვითარებაში, რასაკვირველია, ამ თანხით უნივერსიტეტი ვერ იარსებებდა. ლატარიის მოწყობამ ქართულ ეროვნულ საზოგადოებათა მი-

მართ ნამდვილი პატრიოტიზმი დაადასტურა. ამაში იყო მისი მთავარი აზრი და ისტორიული გამართლება. უფრო გვიან, 1918 წლის 13 ნოემბერს, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა საკითხი პირველი ლატარიის გათამაშებისა და მეორე ლატარიის მოწყობის თაობაზე. საბჭომ დაადგინა: „დაევალოს საგანგებო კომისიას პროფ. ფ. გოგიჩაიშვილსა და ს. ავალიანს შემდგომ წარმოადგინოს მოსაზრება უნივერსიტეტის ხედრი ფულის შენახვის შესახებ, რაც შეეხება მეორე ლატარიის მოწყობას, უნივერსიტეტის მონაწილეობა ამ ლატარიაში არასასურველად, არც საჭიროდ იქნა ცნობილი“.

ხალხისა და ეროვნული საზოგადოების შეწირულებით შეგროვილი ფულადი სახსრები ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის სრულ მოწიფულობას ადასტურებდა. ამას აძლიერებდა ქართველ მეცნიერთა პატრიოტიზმი სამშობლოს მეცნიერების სამსახურისა და ახალგაზრდობის დაუოკებელი ღტოლვა უმაღლესი განათლებისადმი.

თ ა ვ ი IV. სიხარულისა და მხარდაჭერის ნაცვლად ხელის შეშლა

თბილისის უნივერსიტეტი დეკრეტით არ შექმნილა. მეტიც, შოვინისტური დროებითი მთავრობა ყოველმხრივ ხელს უშლიდა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას.

ხალხზე მზრუნველი მთავრობა თვითონ უნდა ააჩვენებდეს უნივერსიტეტს, თუ ეს არ ხდება, მისი ახსნა კიდევ შეიძლება, ვთქვათ, მთავრობის სიძუნწით განათლებისადმი. მაგრამ არა თუ გამართლება, ახსნაც არ აქვს იმას, რომ დროებითი მთავრობა, მათ შორის ამ მთავრობის განათლების მინისტრები, უხერხულად სრულიად არ თვლიან იმას, რომ ხელი შეუშალონ ხალხის ფულით, ხალხის მიერ აშენებულ შენობაში, ხალხის ერთგულმა პროფესორებმა დედაენაზე მიაწოდონ ახალგაზრდობას მეცნიერების საფუძვლები. სამწუხაროდ, ერთ-ერთი იმათთაგანი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში წინ აღუდგა ქართული უნივერსიტეტის გახსნას, იყო აკადემიკოსი ნიკო მარი.

საჭიროა ისტორიული პირობებთან ალყერით პეტროგრადში ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის ნებართვის ყველა ეტაპი.

მას შემდეგ, რაც ოზაკოში წარდგენილი 1917 წლის 3 აგვისტოს უნივერსიტეტის დებულება არ იქნა დამტკიცებული, იგი გადაიგზავნა პეტროგრადში, განათლების სამინისტროში. აქ სრულადაც არ ჩქარობენ მის განხილვას. ფუქია იმედები იმ დროს პეტროგრადში მოღვაწე ქართველებისა. დროებით მთავრობასთან დაახლოებული ქართველი მენშევიკები გვერდზე დგებიან ამ ეროვნულ საქმისაგან (იქნებ მცირედაც ეჩვენებათ იგი, ანდა ნაციონალიზმში ბრალდების შიში აფრთხობს მათ). არც კერენსკის ქართველი მეგობრების ზეგავლენამ გასჭრა. დროებითი მთავრობის განათლების მინისტრებმა ვერ მოაწყრეს ნებართვის გაცემა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე. მაღალი იურიდიული კულტურის ივ. ჭავჭავაძის ხელით შედგენილი თბილისის უნივერსიტეტის ძირითადი დებულება და მისი ახსნა-განმარტებითი ბარათი მიიღო დროებითი მთავრობის სახალხო განათლების სამინისტრომ (აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს იყო ერთადერთი თხოვნა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე). იგი გადაეგზავნა განსახილველად ამ სამინისტროს უმაღლესი სკოლების რეფორმების კომისიას.

ჩვენს ხელთა აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის პირად არქივში დაცული ორი დოკუმენტი (იგი ამ დროს დროებითი მთავრობის განათლების მინისტრის ამხანაგი იყო): ერთი 1917 წლის 3 ოქტომბრის, ხოლო მეორე 24 ოქტომბრის რიცხვით. ორივე უმაღლესი სასწავლებლების რეფორმების კომისიის მოხსენებაა. ერთი ეხება კერძო ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხს. სხდომა შემდგარა 1917 წლის 28 სექტემბერს... მას ესწრებოდნენ: მ. ნოვიკოვი, ვ. ვერნადსკი, ა. ვასილიევი, ნ. ვასილენკო, ა. ვორონოვი, ი. გრევსი, ფ. ლეინსონ-ლესინგი, ნ. მარი, ს. ოლდენბურგი, მ. პერგამენტი, ნ. პალეჩეი და კ. ლოპუხინი. მასში ვკითხულობთ, რომ სახალხო განათლების სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. ამასთან დამფუძნებლების მიერ შედგენილია ამ უნივერსიტეტის წესდების პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეცა კომისიას. კომისიის ზოგადი დასკვნა ასეთია: „განიხილა რა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა, უმაღლესი სკოლების რეფორმის კომისიამ ცნო, არ არსებობს რაიმე საწინააღმდეგო ნებართვის გაცემისათვის ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე“.

ამას მოსდევს კრიტიკა მეფის ყოფილი ხელისუფლებისა. ეს ერთი მიზნით კეთდება, რომ აიხსნას, თუ რა გარემოებამ გამოიწვია სწრაფვა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. თურმე ეს სწრაფვა არ გაჩნდებოდა, რომ თავის დროზე რუსეთის მთავრობას გაეხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახლა „ამიტომ სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის კავკასიის ცალკეული ეროვნებების სწრაფვათა საპირისპიროდ ჰქონდეთ თავისი უნივერსიტეტები, უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს, კომისიის აზრით, მიღებულ იქმნას ყველა ღონისძიება კავკასიაში დამოუკიდებელი და ფართოდ ორგანიზებული უნივერსიტეტის შესაქმნელად, მისი შენახვის ხარჯების სახელმწიფო ხაზინაზე მთლიანად დაკისრებით“.

ქართული უნივერსიტეტის საკითხი კომისიამ მთლიანად დაუქვემდებარა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. ამასთან მომხსენებელი აკად. ნ. მარი შესაშური ერთგულებით ცდილობს გაამიშვლოს ქართული უნივერსიტეტის დებულებაში ისეთი დანაშრეკები, რომელიც მას ზოგჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტის ელფერს აძლევს. სწორედ ამის გამო „კომისიამ უმჯობესად ცნო არ მოახდინოს წარმოდგენილი წესდების პროექტის სანქციონირება, ამასთან მხედველობაში აქვს ის, რომ კერძო სასწავლებლები, რომელთა მოღვაწეობის მხარეები წესრიგდება კერძო სასწავლებლების შესახებ კანონით, შეუძლიათ არსებობდნენ მათთვის საგანგებო წესდების გარეშე“. მაშასადამე, სჯობს კერძო სასწავლებლის სახით არსებობდეს უნივერსიტეტი, მტკიცედ განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. მაშინ უფრო ადვილი იქნება მისი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაყენება, კომისია ორ მთავარ პუნქტში გამოთქვამდა თავმუშუაებულ მრისხანებას: ერთი, კერძო ქართულ უნივერსიტეტს არ უნდა ჰქონდეს სადოქტორო გამოცდების ჩატარებისა და ხარისხების მიკუთვნების უფლება. ეს ეწინააღმდეგება, კომისიის აზრით, 1914 წლის 1 ივნისის კანონს, ამასთან ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ ის-ისაა ფეხს იდგამს, მას არ ექნება ყველა კურსიც, ამ ვითარებაში ნაადრევია მას მიეცეს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. ასეთი უფლება არ აქვს, აღნიშნავდა კომისია, ახლად გახსნილ პერმის უნივერსიტეტს, სარატოვისა და ტომსკის უნივერსიტეტის ახალ ფაქულტეტებს. მეორე, კომისიის აზრით, კერძო სასწავლებელი (და მხოლოდ ასეთი უნდა ყოფილიყო ქართული უნივერსიტეტი) არ შეიძლება ათავისუფლებდეს მოსწავლეებს სამხედრო ბეგარის მოხდისაგან.

საბოლოოდ გამოშვებული წესდება ქართული უნივერსიტეტისა არსებითად სახალხო უნივერსიტეტის დონემდე აქვეითებდა მას.

და ბოლოს, კომისია საჭიროდ თვლიდა, ეცნობებინა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლებისათვის შემდეგი: „1. რომ საწინააღმდეგო ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის არ არსებობს.

2. რომ დამფუძნებლების მიერ წარმოდგენილი წესდების რეგლამენტაცია ცნობილია არადროულად.

3. რომ ქართული უნივერსიტეტი შეიძლება, კერძო სასწავლებლების შესახებ კანონის შესაბამისად, არსებობდეს ისე, რომ არ ჰქონდეს წესდება, ვალდებული იყოს იხელმძღვანელოს თავის მოღვაწეობაში აღნიშნული კანონის მოთხოვნებით.

4. რომ ქართული უნივერსიტეტი, ამ კანონის ზუსტი აზრის შესაბამისად, არ შეიძლება სარგებლობდეს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლებით და შესაბამისი გამოცდების ჩატარებით.

5. რომ ქართული უნივერსიტეტის მსმენელთათვის სამხედრო ბეგარის გადავადების საკითხი უნდა განსაზღვრულ იქნეს სამხედრო ბეგარის შესახებ წესდების 81-ე მუხლით“.

რამდენი პუნქტიცაა კომისიის ამ გადაწყვეტილებაში, იმდენივე ფარისევლობა და სიყალბეა. არა თუ წინააღმდეგობაა კომისიის დასკვნაში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, არამედ ყველაფერი იმისათვის კეთდება, რომ გაყალბდეს ეროვნული უნივერსიტეტის თვით იდეა. ამით როდი მთავრდება დაცინვა და აბუჩად აგდება მთელი ხალხის ინტერესებისა. იგივე კომისია 1917 წლის 19 ოქტომბერს საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე, განათლების დეპარტამენტის შემუშავებული კანონპროექტის საფუძველზე იხილავს თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის დაფუძნების საკითხს. კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: მ. ნოვიკოვი, ვ. ვერნადსკი, ა. ვასილიევი, ი. გრეესი, ფ. ლეენსონ-ლესინგი, ნ. მარი, ს. ოლდენბურგი, მ. პერგამენტი, გ. როსტოვეცი, კ. ხილნსკი, გ. ევანგულოვი, ნ. პალეჩევი და კ. ლაპუხინი. კომისია გადაჭრით აყენებს საკითხს, რომ კავკასიის უნივერსიტეტი უნდა გაიხსნას თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტისგან დამოუკიდებლად და ამასთან ერთად, სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა დიდი ხანია მომწიფებული მოთხოვნილებაა. მისმა არარსებობამ გამოიწვია ის, რომ კავკასიის ცალკეულ ეროვნებებს, ქართველებსა და სომხებს, დაებადათ სურვილი, შეექმნათ თავიანთი უნივერსიტეტები, მაგრამ, კომისიის აზრით, ამ უნივერსიტეტებს არ შეიძლება გააჩნდეთ „უნარი სრულად გადაწყვიტონ მაღალი ამოცანები, რომლებიც შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ. მართლაც, როგორც ქართველებს, ისევე სომხებს არ ჰყავთ რეალურად არც სამეცნიერო ძალები, არც ეროვნული სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებსაც უნარი ექნებოდათ რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის მეცნიერების კერებისაგან დამოუკიდებლად შექმნან ისინი უახლოეს წლებში საკმარისი რაოდენობით, რათა მოემსახურონ საუნივერსიტეტო საჭიროებას; მეორე, იმდროს, როცა აღმოჩნდება ეს სამეცნიერო ძალები, ეროვნული უნივერსიტეტის კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ამოცანებს ემსახურება და ამხინჯებს თვით აზრს საუნივერსიტეტო სწავლებისას, ერთის მხრივ, გამოიწვევს მეცნიერების დონის დაწევას, ხოლო, მეორეს მხრივ, შეიძლება გახდეს წყარო კავკასიის ხალხთა შორის ურთიერთ შუღლის უფრო და უფრო გამ-

ძაფრებისა“. აქაც ყოველ წინადადებაში სიყალბეა. თითქოსდა ეროვნული უნივერსიტეტი არ შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოებრივი. რომ თითქოს მეცნიერული ძალების არასაკმარისობის დაძლევასაც არ შეუძლია გაამართლოს ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა, რომ ასეთი რამ უბედურება იქნებოდა, ვინაიდან იგი დააშორებდა ხალხებს და ა. შ. და ა. შ.

კომისიის დასკვნით, ეროვნული უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ კერძო უნივერსიტეტად უნდა დარჩენილიყო ყოველთვის, როგორც უკეთეს შემთხვევაში, უმცროსი პარტნიორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა. კომისიამ სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაზე. კომისიის დასკვნა 1917 წლის 24 ოქტომბერს გაფორმდა, მალე ამის შესახებ განათლების მინისტრი სალაზჩინი დაუყოვნებლივ აცნობებს ტელეგრაფით თბილისის ქალაქის გამგეობას. იქიდან პასუხი მოდის, რომ 31 ოქტომბრისათვის დაწერილებით შეატყობინებენ კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაღარიგის ცნობებს.

რა ბედი ეწია ამ ვითარებაში ქართული უნივერსიტეტის ნებართვის საკითხს? არც ტელეგრაფით, არც ფოსტით არავითარი პასუხი დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს არ გამოუგზავნია, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა ყველაზე ორგანიზებული ღონისძიებანი, რომელშიც ხალხის ფართო წრეები მონაწილეობდნენ, რომ ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ იყო აღძრული საქმე სწორედ ივანე ჯავახიშვილის მეთავეობით.

როცა დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს უმაღლეს სკოლა-თა რეფორმის კომისია, რომელშიც რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი¹ შედიოდა, ძველი მეფისდროინდელი კანონების წინაშე უსაზღვრო ერთგულებას იჩენდა, რათა ეროვნული უნივერსიტეტი არ გახსნილიყო, სწორედ მაშინ იგრიალა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ. ქვეყნის მშრომელები ვ. ი. ლენინის ბელადობით ამსხვრევენ დროებით მთავრობას, მის დიდმპყრობელურ გეგმებს, თავს ჰკვეთენ შოვინისტურ პიდრას. ამის შემდეგ ლეგალური დაბრკოლებები მოეხსნება ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ყველაფერმა ამან საფუძველი მისცა ივანე ჯავახიშვილს 1938 წელს ეთქვა: „შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვეცემა“. აკადემიკოსი ნიკო მარი წინ არ აღუდგა მთელს ამ ყოვლად რეაქციულ წამოწყებას; ხალხი, მთავრობის დახმარების გარეშე, თვითონ კრებს ფულად თანხებს, თვითონ მიუჩენს შენობას, პროფესურა მზადაა სამშობლოს სამსახურისათვის მძიმე მსხვერპლის გასწვებად და მხოლოდ ერთს ითხოვენ, ხელი არ შეუშალონ. დღესაც, ექვს ათეულზე მეტი წლის გასვლის შემდეგ, არა თუ გამართლება, ახსნაც არ შეიძლება აკადემიკოს ნიკო მარის პოზიციისა ქართული უნივერსიტეტის საკითხში. ეს კიდევ უფრო ძნელია იმიტომ, რომ ობიექტურად რევოლუციამდე ნიკო მარზე მეტი არავის გაუკეთებია ქართველოლოგიის განახლებისა და წარჩინებისათვის, მთლიანად კავკასიისმკოდნეობის დაწინაურებისათვის. ამ საკითხს ჩვენ იმიტომაც ვუბრუნდე-

¹ იმ დროის შესახებ იგონებდა შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვიჩვენებდნენ, ხელი აგველო იმ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არ აქვს არც მეცნიერული ტრამინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდნენ ეს გულშემატკივარი ხალხი... მოჰყავდათ მაგალითები, იხსენიებდნენ ჩემთვის და ვერმანელების უნივერსიტეტების ისტორიას პრალაში და სხვ. ისინი მფარველობის კილოთი ამბობდნენ: დაგვიყვართ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთო“...

ბით, რომ ნ. მარჩი როდი დაკმაყოფილდა თავისი პოზიციით, როგორც მომხსენებელი უმაღლესი სკოლის რეფორმების კომისიისა ქართული და სომხური უნივერსიტეტის გახსნის საკითხში, არამედ მან თავისი მოხსენება კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ გამოაქვეყნა კიდეც 1918 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოაზრებებში (VI სერია, 1918, № 14, გვ. 1496—1516). ყველაფერი ეს დაიბეჭდა ოქტომბრის რევოლუციის თითქმის ერთი წლის თავზე, როცა უკვე საქვეყნოდ ცნობილი იყო უკვდავი ლენინური დეკრეტები, რომლებიც აკანონებდნენ ყველა ერის უფლებას განათლების და მეცნიერების მშობლიურ ენაზე დაუფლებისას, მათ შორის უმაღლესი განათლებისასაც.

ის, რაც ნიკო მარმა 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაწერა და წარმოთქვა დროებითი მთავრობის სახალხო განათლების უალრესად რეაქციულ კომისიაში, მან საჭიროდ ჩათვალა გამოექვეყნებინა 1918 წელს. იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა თავის ამ გადაწყვეტილებას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული მეცნიერებისა და ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე 1918 წლის 6 ივნისს (24 მაისს): რამდენადაც კავკასიის ცენტრში — თბილისში ვერ მოხერხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, საჭიროა იგი შეიქმნას წინა კავკასიის რომელიმე ცენტრალურ პუნქტში. „ამასთან დაკავშირებით, — წერდა ნიკო მარი, — გთხოვთ ნება დამართოთ, დავბეჭდო ამ სხდომის ოქმის დანართში როგორც ახალი, მაგრამ მოძველების გამო ისტორიულად გამხდარი დოკუმენტი — წერილი კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ თბილისში მისი თავისებურებათა დასასაბუთებლად და მისი საჭიროების შესახებ“.

ეს წერილი გვიან ჩამოვიდა საქართველოში. გასაგებია, რომ მას, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებით შეხვდნენ აქ. მით უფრო, რომ 1906 წელს ნიკო მარი მგზვნობარებით, საჭაროდ წერდა ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომ თბილისი სასახეებით მომწიფებულია უნივერსიტეტის გასახსნელად. კ. კეკელიძის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოკვლევების გამო ნიკო მარი 1912 წელს საქვეყნოდ აცხადებდა; როგორ გულდასაწყვეტია, რომ თბილისს არა აქვს თავისი უნივერსიტეტი.

სულ ხუთიოდე წლის შემდეგ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ეს თავგამოდებული მომხრე და მოსარჩლე ამტკიცებდა, რომ ეს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ეროვნული უნივერსიტეტი ყოფილიყო. ის, რაზედაც ახლა იგი თანხმობას იძლეოდა, არ ყოფილა არსებითად უნივერსიტეტი. ნიკო მარი პირდაპირ წერდა, რომ ქართული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო ხალხის განათლების უმაღლესი ორგანო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც რჩება ვაკანტური ადგილი, „ადგილი ნამდვილი უნივერსიტეტისათვის, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა დაეკავებინა“. მაშასადამე, ქართული უნივერსიტეტი არ შეიძლებოდა ნამდვილ უნივერსიტეტად ქცეულიყო. დასკვნა: ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ უმცროსი პარტიიორი თუ იქნებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტისა: ამიტომ „ქართულ უნივერსიტეტს დაუბრკოლებრივ ნება უნდა დავართოთ, როგორც სასურველ თანამშრომელს სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ქართველ ხალხის მასებში სამეცნიერო აზროვნების გამტარებელს“.

ფაქტობრივად ნიკო მარი იურისტობასაც ჩემულობდა, როცა მკაცრად მოითხოვდა, რომ ქართულმა უნივერსიტეტმა არ უნდა დაივიწყოს თავისი მოღვაწეობის „სამართლებრივი ფარგლები“, თუმცა აცხადებდა, რომ მის კომპეტენციას სცილდება საკითხი იურიდიული საფუძვლების შესახებ. იგი, როგორც თვითონ ამბობს, შეურიგებელი მოწინააღმდეგეა „ქართული უნივერსიტეტის რომანტიკოს ინიციატორების მამქსიმალისტური ოცნებებისა“. ნიკო მარის წი-

ნადადება რომ მიეღოთ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „ყოველი მობილიზაციის დროს უნივერსიტეტი უნდა დაკეტილიყო და პროფესორობიდან მოყოლებული სტუდენტამდე უნდა წასულიყვნენ სამხედრო სამსახურში“. ნიკო მარი გაკვირვებულა იმით, რომ ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლების წინადადებას დადებითად მხარს უჭერს ოზაკომი: ამ უკანასკნელსაც მიაჩნია, რომ „ქართულ უნივერსიტეტში ორიგინალურადაა შერჩეული კავკასიისმცოდნეობის დისციპლინები, რომ ზოგიერთი მათგანი მასში შეისწავლება იმ სახით, როგორთაც იგი არ შეისწავლება არც ერთ ამჟამად არსებულ უნივერსიტეტში“.

ნიკო მარი ამით უსაზღვროდ უკმაყოფილოა. მას მიაჩნია, რომ ყველაფერი, რასაც ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლები გეგმავენ, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე უკვე გახორციელებულია, მათ ქართულ ნიდაგზე გადართანეს ყოველივე ეს, თუმცა სხვაობა ისააო, რომ განდევნეს სიტყვა „იაფეტური“ და მის ნაცვლად შემოიღეს „ქართული“. ნიკო მარმა იცის, რომ „არც მთელს კავკასიაში და საერთოდ პეტროგრადის გარეთ არ არის ვინმე, რომელიც მომზადებული იქნებოდა, წაეკითხა ეს კურსები. და რამდენადაც მე არა მაქვს საფუძველი არ ვირწმუნო, რომ ეს კურსები მაინც კეთილსინდისიერად იქნება წაკითხული ქართულ უნივერსიტეტში თბილისში, იმდენად, მაშასადამე, საქმე გვაქვს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისაგან იმ ერთეული სპეციალისტების გადმოსავლასთან, რომელთაც შეუძლიათ წაიკითხონ და კითხულობენ იქ სწორედ ამ კურსებს“.

ნიკო მარი 1916 — 1917 წლებში მართლაც ბევრს გეგმავს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე კავკასიისმცოდნეობის გაფართოებისათვის.

მას ახარებს მოწაფეთა წარმატებები, ამასთან კარგად ესმის, რომ არასაკმარისია ამ დიდ საქმეში ერთი თუნდაც მძლავრი ფაკულტეტის ბრწყინვალე მართობა, მაგრამ, როცა კონკრეტულად დადგა საკითხი კავკასიაში ქართული უნივერსიტეტის გახსნისა აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებით, ნიკო მარმა მიიჩნია ეს, როგორც სასიცოცხლო საფრთხე კავკასიისმცოდნეობის პეტროგრადის სკოლისა. ეს მას იმდენად აფიქრებს, რომ იგი ახლა ზომიერებას ვერ იცავს თავისი ყოფილი მოწაფეების მიმართ და თითქმის პირად ლირსების შელახვად განიხილავს იმას, რომ მას აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე აღზრდილი ქართველი „შავარდნები გადაუფრინდა“, თუმცა ეს სამშობლოს სიყვარულის სრულიად ბუნებრივი გრძნობით იყო ნაკარნახევი. ამასთან, თუ დაზრდილნი ძველ ბუდეში ველარ ეტევიან და თავიანთ დამოუკიდებელ ბუდეს ჰქმნიან, ეს მათი ნაკლი როდია. ნიკო მარის აზრით კი ეს იყო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მიზნის გულისათვის იმ მართოდ მართო მიტოვებული მუხის ფესვებისა და ძირის გამოთხრა, რომლითაც ორიენტალისტი კავკასიის მკვლევარნი, ეროვნებისა და მიმართულების მიუხედავად, იკვებებოდნენ და იკვებებიანო.

როგორც ცნობილია, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ სრულიადაც არ დაადასტურა ნიკო მარის შიში. კავკასიისმცოდნეობის განვითარებამ კავკასიის სხვადასხვა ცენტრში სრულიადაც არ დაამცირა მნიშვნელობა და ღვაწლი პეტერბურგ-პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისა. სწორედ ამ ფაკულტეტზე განვითარებული კავკასიისმცოდნეობის ბაზაზე შეიქმნა და აყვავდა საბჭოთა კავკასიისმცოდნეობა. მეტად დილია ამაში კავკასიისმცოდნეობის საბჭოთა სკოლის ხელმძღვანელის აკადემიკოს ნიკო მარის დამსახურება (საექვეოა მომავალში ადვილად გაჩნდეს ლინგვისტ-თეორეტიკოსი, რომელიც კავკასიური ენების ცოდნით არა თუ გადააჭარბებს, არამედ

თუნდაც გაიმეორებს ნიკო მარს), მაგრამ მოწაფეთა მიერ დამოუკიდებელი ბუდეების შექმნა როდი ნიშნავდა მასწავლებლის როლის დავიწყებას. სამწუხარო ის იყო, რომ პირად შეურაცხყოფად ჩათვლილი მადლიერ მოწაფეთა ეს ბუნებრივი ლტოლვა ნიკო მარმა ადამიანური სისუსტით და მეცნიერული მონოპოლზმის ზეგავლენით გადამწყვეტ მომენტში იმისათვის გამოიყენა, რომ, სიხარულის, თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ნაცვლად, ხელი შეეშალა, რათა დროებით მთავრობას ნება დაერთო ეროვნული უნივერსიტეტის გახსნისათვის. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უნივერსიტეტი მარტო ფილოლოგია ხომ არ იყო, ბევრი მისი დამფუძნებელი არც ყოფილა პეტროგრადში აღზრდილი ფალოლოგი. ამიტომ განა შეიძლებოდა მთელი წამოწყების უგულვებლყოფა პირადი განწყობის გამო?

როგორც აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილმა თბილისში გვიან გაიციო ნიკო მარის მიერ 1918 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილი წერილი. მას საჭაროდ წერილობით არ უპასუხნია, მაგრამ პასუხად მაინც დატოვა 1922 წელს დაწერილი მოხსენების ტექსტი, რათა, როგორც თვითონ ამბობს, „მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს“ საკითხის ნამდვილ გარემოებებს.

ამ მოხსენებაში თანამიმდევრულად, ნათლად ნაჩვენებია ნებითი და უნებლიე ცდომილებანი ნიკო მარის წერილისა, რომელმაც კინალამ საბედისწერო როლი შეასრულა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მან გვიჩვენა ამ წერილში დაშვებული წინააღმდეგობანი და ფაქტობრივი დამახინჯებანი, ამასთან ამ უაღრესად მძაფრ პოლემიკურ წერილში ივანე ჯავახიშვილს არ ჰალატობს ზომიერების მისაბაძი გრძნობა და იგი საჭიროდ თელის აღნიშნოს: „ჩვენ პატივსა ვცემდით მარს და ვაფასებდით მარტო მისი დიდი ნიჭისა და დაუღალავი შრომისმოყვარეობის გამო კი არა, რითაც იგი უხვად არის შემკული, არამედ იმ მეთოდური, დინჯი, სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, ტექსტების გულდასმითი შესწავლისა და საუცხოო გამომცემლობისათვის, რომლითაც ქართულსა და სომხურ ფილოლოგიას მტკიცე სამიკველს უყრიდა. არა ერთხელ ამ ხანაში მას ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია, მაგრამ რადგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის ნ. მარი, დამოუკიდებელ თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორეს მხრით, ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტკინებული მცირედი მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების შეტის არას გვიქალდა, უყოყმანოდ საჭაროდ მის დასაცავად გამოვედით (იხ. „მამულიშვილობა და მეცნიერება“). ვგონებ არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნმა ც. მარისაყენ გული მოუბრუნა და თანდათან გაფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარის შესახებ სუფევდა“.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ვხედავთ, სრულიად არ ნანობს იმას, რომ იგი ნიკო მარს ასეთი თავგამოდებით იცავდა, ამას იგი ხომ მეცნიერული სა-მართლიანობის გულისათვის აკეთებდა. ახლა სწორედ ამ სამართლიანობის გულისათვის იგი აუცილებლად თელის, აღნიშნოს ნ. მარის ის შეცდომები, რომლის გამართლება კი არა, ახსნაც შეუძლებელია.

მართალია, შემდეგ წლებში ნიკო მარი პირდაპირ არ გამიჩვენია თავის მცდარ პროგნოზს თბილისის უნივერსიტეტის მიმართ, მაგრამ თბილისის უნი-

ვერსიტეტის მიღწევები და, როგორც დავინახავთ, მისი სურვილი თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობისა იმის დადასტურებაა, რომ ნიკო მარს ცნობს თავისი აღრინდელი პოზიციის ცდომილებას.



ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გადაწყვიტა, ერთი თუ რამდენიმე უნივერსიტეტი შექმნილიყო კავკასიაში.

დღეს კავკასიაში 8 უნივერსიტეტია, არაფერს ვამბობთ სხვა უმაღლეს სკოლებზე.

თბილისის უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია, რომელიც იშვა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და პირველი ეროვნული უმაღლესი სკოლაა, რომელიც ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემაჯავალმა ადრე დაჩაგრულმა ხალხმა თვითონვე შექმნა.

თ ა ვ ი V. ყველაზე მძიმე დღე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში

უნივერსიტეტის გახსნისა და მისი აღმავლობის წლებს მარტო სიხარული როდი მოუტანია ივანე ჯავახიშვილისათვის. იყო წუხილის, წყენის, გულის ტკენის. უმადურობის წუთებიც, თუმცა ამას დიდბუნებოვანი მეცნიერი მხნედ იტანდა, როცა დიდებული წამოწყების საერთო წინსვლასა და აღორძინებას ხედავდა.

მაგრამ იყო ერთი დღე, რომელმაც კინალამ ყველაფერი წყალში ჩაჰყარა, ესაა 1917 წლის 6 დეკემბერი, ყველაზე მძიმე დღე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში. დავიხიოთ ცოტა უკან.

უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების 1917 წლის 3 და 8 ოქტომბრის საერთო კრების შემდეგ მთელს საქართველოში აზვირთდა სახალხო ენერჯია უნივერსიტეტისათვის ფულადი სახსრების შესაგროვებლად. თბილისი უკვე გრძნობდა საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის მოახლოებას. მართალია, ამ საზოგადოებას, როგორც მის წესდებაში იყო აღნიშნული, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას“ უნივერსიტეტის მარტო ქონებრივი მხარე ეკითხება, მაინც, ბუნებრივია, იგი არ შეიძლებოდა გვერდზე გამდგარიყო პროფესორთა კოლეგიის შექმნის აუცილებელი ეტაპისაგან. ამიტომ საერთო კრების მეორე დღესვე, 1917 წლის 9 ოქტომბერს, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ შეერთებულ კრებაზე დაადგინა: მიენდოთ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტის ი. ა. ჯავახიშვილისა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტის ა. მ. რაზმაძისათვის ქართული უნივერსიტეტის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა.

სიხარულითა და სიამაყით შეუდგნენ ივ. ჯავახიშვილი და პ. მელიქიშვილი ამ წმინდა დავალების აღსრულებას (დოცენტი ა. მ. რაზმაძე ჭერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში იყო). პროფესორთა კოლეგიის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი მიჯნა იყო უნივერსიტეტის დაარსების გზაზე. ამასთან ეს არ კეთდებოდა მეცნიერული რომანტიკის ბურუსში. მეცნიერული კადრების მოწვევა წინასწარ ჩამოყალიბებული პრინციპებით ხდებოდა. მძიმე ნივთიერ ვითარებაში ფეხის ადგმას ერთხელაც არ გამოუწვევია ლექტორად მოწვევის დროს ვინმეს მიმართ მეცნიერული მომთხოვნელობის შემცირებით შეღავათის გაწევა.

1917 წლის 9 ოქტომბერს გადაწყდა მეცნიერთა მოწვევა არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგშიც. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგეგმებოდა უნივერსიტეტის გადაქცევა სრულ უნივერსიტეტად ამიტომ მოხდა, რომ 1917 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე მოსმინეს ივანე ჭავჭავაძის მოხსენება სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების შესახებ. თავის დადგენილებაში კრებამ ჩაწერა: „ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბაძას შეიღოს, ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის ახლო მომავალში შესაძლებლობა, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდეს“.

დაიწყო რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში გაფანტულ ქართველ მეცნიერთა მოწვევა.

საქმე დაყოვნებას ვერ ითმენდა. თბილისში მყოფი მეცნიერნი უკვე იწყებენ მოქმედებას.

1917 წლის 17 ოქტომბერს სადებუტატო საკრებულოს ბინაზე შედგა ქართული უნივერსიტეტის საფინანსო კომისიის პირველი სხდომა. კვლავ დაისვა საკითხი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გირაუნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადის უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის გადმოცემის შესახებ. ოქმში ვკითხულობთ: „პროფესორი ჭავჭავაძის მიერ აკეთებულ მოხსენებას, რომ როგორმე დაჩქარდეს ამ თანხის გამოტანა, რომ სხვა ბედი არ ეწიოს“.

1917 წლის 26 ნოემბერს საღამოს 7¹⁰ საათზე ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე (რა ფეხბედნიერი აღმოჩნდა ეს ბინა! აქ იმავე წლის 16 ნოემბერს შედგა პირველი კრება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისა) შეიკრიბა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა. მასპინძელს გარდა, მას ესწრებოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე.

თავმჯდომარეობდა ივ. ჭავჭავაძე. მდივანია ა. შანიძე.

აკაკი შანიძის პირად არქივში ინახება პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომების ოქმების გაფართოებული ჩანაწერები საერთო სათაურით „ქართული უნივერსიტეტის ძეგლის წერანი“. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დამკვიდრებული ტერმინი „ოქმი“, მაგრამ მართლაც რომ ძეგლის წერანი ეთქმის მათ, არა თუ ისტორიული ტერმინოლოგიით, არამედ მათი პირდაპირი მნიშვნელობითაც.

დიალაც გრძობდნენ უნივერსიტეტის დამაარსებლები იმ დღეების ისტორიულობას და ბუნებრივი სიამაყით, დიადი უბრალოებით აღნუსხავდნენ ამას. ამ ოქმთა ყოველი სტრიქონი ძვირფასია თაობებისათვის, ვინაიდან მათ მიღმა მთელი შთამბეჭდავით წარმოგვიდგება ქართული უნივერსიტეტისათვის გადახდილი დიადი ეპოპეის ეპიზოდები.

1917 წლის 26 ნოემბრის N 1 ოქმში ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ რა ტიპის უნდა იყოს უნივერსიტეტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ ჯერ გაიხსნას ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უღრის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. მხოლოდ ამთავითვე გაიხსნას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება“.

დასახელებულ იქნა ჩვენი სამეცნიერო ძალები: ს. ავალიანი, გ. ახვლედი-

ანი, ფ. გოგიჩაიშვილი, ქ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე. მეცნიერ ხელმძღვანელებად იუს. აბულაძე, ე. თაყაიშვილი და მ. წერეთელი. დასახელებულ იქნენ უცხო ენების ლექტორები, აგრეთვე ჩამოითვალა ის პირნი, რომელთა უნივერსიტეტში დატოვება სასურველია: დ. ყიფშიძე, ს. ლომია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე და სხვ.

შემდეგ საკითხად საბჭო იხილავს უნივერსიტეტის ბინისა და თანხის საკითხს. აღგენს: „ვიზრუნოთ და ვეცადოთ, რომ ქართული გიმნაზიის შენობა როგორმე შევიძინოთ“. ხარჯთაღრიცხვის საკითხის გამო ოქმში ჩაიწერა: „მინდოს ფ. გოგიჩაიშვილს კრებაზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით შეადგინოს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინოს შემდეგ კრებას“.

გადაწყდა უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ხელახლა წარედგინოს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის კომისარიატს, ვინაიდან პეტროგრადის დროებითი მთავრობის ქალაქში „ვერ ჩამოაღწია“.

უკვე მეორე დღესვე 1917 წლის 27 ნოემბერს რწმუნებით აღჭურვილი ივანე ჭავჭავაძე მიმართავს ამიერკავკასიის კომისარიატს, დაამტკიცოს ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება. 2 დეკემბერს მტკიცდება ივანე ახლა პრესაშიც ცხადდება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, იმის თაობაზეც, რომ გაცხოველებით მიმდინარეობს პროფესორთა კოლეგიის წევრთა მოწვევა. ამას ემატებოდა სახალხო ენერგიის აზვირთება, რომელსაც გულუხვი შემოწირულობანი მოსდევდა.

ახლა უკვე ლეგალური დაბრკოლება აღარ არსებობს. სიხარულს სიხარული ემატება. ირგვლივ დაწყებული საქმით კმაყოფილებაა, ამ ვითარებაში 1917 წლის 6 დეკემბერს მოწმენდილ ცაზე ქექა-ქუხილმა იგრილა, როცა თითქოს არაფერი არ უშლიდა ხელს თბილისს საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას. 1917 წლის 26 ნოემბერს პროფესორთა კოლეგიის პირველი წინასწარი კრება, როგორც დაფინანსებ, მრავალ ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხს იხილავდა, რომელსაც შემდეგ სჭირდებოდა დამტკიცება უნივერსიტეტის საზოგადოებისა და საფინანსო კომისიის ერთობლივ სხდომაზე. სწორედ ამ მიზნით 1917 წლის 6 დეკემბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა. მას ესწრებოდნენ ქ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ექ. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი, მ. ჭამბაქურორბელიანი, ან. წერეთლისა, ა. ვირსალაძისა, ნ. ნაკაშიძისა, ვ. კახაძე, გ. გვაზავა, პ. მელიქიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. ზურაბიშვილი. კრება მეტად მშვიდად და საქმიანად დაიწყო. ივანე ჭავჭავაძე უაღრესად საფუძვლიანი მოხსენება წაითხა, მან კრებას აუწყა უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე სრული ნუსხა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე წასაკითხი სავნებისა. კრების მშვიდი მსვლელობა მოულოდნელად დაიარღვა. უმრავლესობამ საკითხი დააყენა: ხომ არ გადავდლოთ უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრისათვის?

უნივერსიტეტის საზოგადოებამ ქონებრივი დახმარება სთხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მაგრამ უარი მიიღო, ამან გაართულა ისედაც მძიმე ქონებრივი მდგომარეობა. ამას დაემატა ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და სამხედრო ვითარება, რამაც დააფრთხო უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც ვერ გაბედა, თავისთავზე აეღო უნივერსიტეტის გახსნის პასუხისმგებლობა. ამ ვითარებაში კრების უმრავლესობამ და მათ შორის პროფ. პ. მელიქიშვილმა იმ აზრს დაუჭირეს მხარი, რომ შექმნილი მძიმე ნივთიერი მდგომარეობისა და ტექნიკური მოუწყობლობის გამო, აგრეთვე ურთულესი პოლიტიკური სიტუა-

ციის პირობებში, უმჯობესია უნივერსიტეტის გახსნა გადაიდოს სექტემბრისათვის, როცა, მათი გულუბრყვილო რწმენით, ყველა „ეს დაბრკოლება თავიდან აცილებული იქნება“.

6 დეკემბერს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: ივანე ჭავჭავიძე იმ აზრისაა, რომ „უნივერსიტეტი უეჭველად 1918 წლის იანვარში უნდა გაიხსნას. ამის შესახებ უკვე იყო გამოცხადებული, საზოგადოება ამის მოლოდინშია, პროფესორ-ლექტორებიც დათათბირებულნი არიან და შეუძლებელი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ეს დაპირება არ იქნება გახორციელებული“.

საქმეს ვერც ივანე ჭავჭავიძის უსაზღვრო ავტორიტეტმა უშველა, ვერც რკინის ლოგიკის ძალამ.

„საბოლოოდ კრების უმრავლესობამ (წინააღმდეგნი იყვნენ — ი. ჭავჭავიძე, მ. ორბელიანი და ნ. ნაკაშიძისა) ის აზრი გამოთქვა, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში გახსნა ნივთიერი უსახსრობის, ტექნიკურად მოუწყობლობის და გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო“.

ამით უნივერსიტეტის საზოგადოება არსებითად თვითდაშლას აწერდა ხელს. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, დიდი გულგრილობა იყო. ივანე ჭავჭავიძე უტყუარად პრინციპულობით კვლავ ცდილობს უმრავლესობის არგუმენტების გაბათილებას, მაგრამ ამაოდ.

პირველად დამარცხდა ივანე ჭავჭავიძე უნივერსიტეტის საზოგადოებაში მოღვაწეობისას.

— ქართული უნივერსიტეტის მოძულეთა ღვარძლიანი ხითხითი, ჩამქრალი ენთუზიზმი, გაკრუებული იმედები, დაშლილი კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებების ქონების შემდგომი დატაცება, საკუთარი უმწეობის პირდაპირი აღიარება, — აი რა მოჰყვებოდა უშუალო შედეგად უნივერსიტეტის გახსნის გადახანებას.

მძიმედ განიცადა ეს გადაწყვეტილება ივანე ჭავჭავიძეშიც. ამის შესახებ მოვეხსინით 6 დეკემბრის სხდომის მონაწილეს მ. ჯამბაყურ-ორბელიანს.

„1917 წ. მივდიოდით ვანო ჭავჭავიძე და მე უკანასკნელ სხდომაზე „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა“. ვანო როგორც ინიციატორი უნივერსიტეტის შექმნისა, — პორტფელი საცეს ქალღმერთით, ვრცელი მოხსენებით, მე როგორც წვერი კომიტეტისა.“

ბნელი საღამო იყო, ჩვენ გულში კი სიხარული თამაშობდა, რადგანაც სრული იმედი გვქონდა, რომ მოხსენების შემდეგ გადაწყდებოდა უახლოესი დრო უნივერსიტეტის გახსნისა: ყველაფერი მზად იყო: ვანოს დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი მოხსენება, ხარჯთაღრიცხვა და გაჩქარებული მიწერ-მოწერა რუსეთში და საზღვარგარეთ მყოფ პროფესორებთან, რომელთაც აქ ეპატივებოდა. მალე შეიკრიბნენ ყველა წევრები.

კოტე აფხაზმა, თავმჯდომარემ კომიტეტისა, სთხოვა ვანოს, წაეკითხა მოხსენება. არაფერი დავიწყებოდა მომხსენებელს, საოცარი სრული იყო.

ყველა აღტაცებაში მოიყვანა.

თავმჯდომარემ უდიდესი მადლობით მიმართა, მხოლოდ უნივერსიტეტის ეხლავე გახსნა შეუძლებლად ნახა უფულობის გამო.

სურათი შეიცვალა, ყველამ ცხვირები დაუშო. ვანოს მღელვარება შეეტყო, მხოლოდ თავისებურად დინჯად შეეკითხა თავმჯდომარეს:

— „მაშ რატომ მამუშავებთ ტყუილად, იმდენად დამაიმედეთ, რომ პროფესორებიც კი გამოვითხოვეთ“.

დიდი ბოდიშები, დიდი მწუხარება, სექტემბერში გავხსნით, ცოტა მოთმობა უნდა ვიქონიოთ.

მაშინ მე ვკითხე თავმჯდომარეს.

— პირველ სექტემბერში კი ნამდვილად გვექნება ფული?

— ვერც მაგას ვიტყვი, — იყო პასუხი.

დავიშალენით, გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. წამოვედით სახლში. ბნელი საღამო იყო და ჩვენს გულებშიც ბნელოდა. ვანოს ჩემი ხელი ეჭირა. პატარა ხანს ვგრძნობდი მის კანკალს, მალე დამშვიდდა და მითხრა:

„არაფერია, უნივერსიტეტს მაინც გავხსნით“.

დიდი გამოცდის წინაშე დააყენა ისტორიამ უნივერსიტეტის დამაარსებელი. მაგრამ იგი სრულიადაც არ აღმოჩნდა მხდალი.

ივანე ჯავახიშვილი როდი დააბნია საზოგადოების უმრავლესობის გადაწყვეტილებამ. მან მოხერხებულ შემოქმედებით მანერს მიმართა. მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მან კრებას შეატანინა ერთი დათქმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის გახსნაში. ამ დათქმაში სწერია:

— „თუ მაინც და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეიძლება“.

აქ უნივერსიტეტის საზოგადოებას არ შეეძლო ეთქვა, რომ ხელს შეუშლიდა იანვარში სწავლის დაწყებას, თუმცა მან აშკარად მარტო დატოვა ბრძოლის ველზე გულანთებულ პროფესორთა კოლეგიის მცირერიცხოვანი გუნდი, თუმცა ამ დათქმასაც ეპყით და ყოყმანით იღებს კრება.

ახლა სწორედ მარტო ეს გუნდი შიმშილისა და ნგრევის ვითარებაში, სახსრების სიმცირის პირობებში, პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობით, მოახლოებული მიზნისაკენ ეინიანი სვლით იწყებს 50 დღიან ფინალურ ბრძოლას პირველი ეროვნული უნივერსიტეტისათვის. მეცნიერ-რაინდთა მცირერიცხოვანი ჯგუფი წევრს უკან დასახევ ხიდებს. წინ გზა მეტად რისკიანი იყო, მაგრამ ეროვნული აღფრთოვანება და უმაღლესი მეცნიერების დაუფლების დიდი წყურვილი გამბედაობას აძლევდა პროფესორთა კოლეგიის წევრებს. ივანე ჯავახიშვილი ფრთხილიც იყო და გაბედულიც. მას პირველი ძნელი ნაბიჯის გადადგმა ეჩქარებოდა, შემდეგ კი სჭეროდა, ხალხი არ გაწირავდა ნანატრ და ძნელად მოპოვებულ უნივერსიტეტს, ყოველგვარ განსაცდელში შეინარჩუნებდა მას. ისედაც რამდენიმე საუკუნე დააგვიანდა ჩვენი უნივერსიტეტის გახსნას. ახლა ხალხი მზად იყო პური არ ჰქონოდა, ოღონდ უნივერსიტეტი კი შეექმნა.

მეცნიერ-პატრიოტთა მცირე გუნდი ივანე ჯავახიშვილის მეთავეობით არ შეუშინდა მოყვარეთა გულწრფელ ეჭვებს და მტერთა გველურ სისინს, შიმშილსა და ნგრევას, უნივერსიტეტის საზოგადოების აშკარა უნდობლობას, გული არ გაიტეხა და გაორკეცებული ინტენსივობით შეეჭიდა მოულოდნელად წინ აღმართულ სიძნელეებს.

ერთი დღის შემდეგ 1917 წლის 8 დეკემბერს საეპარქიო სასწავლებლის შენობაში შედგა პროფესორთა საბჭოს მეორე წინასწარი სხდომა. დაესწრნენ ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი. კრებას ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი დამტკიცებულა.

ფ. გოგიჩაიშვილმა წარმოადგინა ვარიანტი ხარჯთაღრიცხვისა ვრცელი 200 000 და შემცირებული — 150 000 მანეთის რაოდენობით. კრებამ შესაძლოდ დაინახა ხარჯების კიდევ უფრო შემცირება 100.000—120.000 მანეთამდე. 1917

წლის 17 დეკემბერს კერძო თათბირმა გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 14 იანვარს.

1917 წლის 19 დეკემბერს შედგა პროფესორთა საბჭოს მორიგი წინასწარი სხდომა: დაესწრნენ: იუს. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი. იმსჯელეს სამოსწავლო გეგმის შედგენის შესახებ. აირჩიეს კომისია ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ფ. გოგიჩაიშვილის და დ. უზნაძის შემადგენლობით, რომელთაც ამ გეგმის შედგენა დაეკალათ.

განისაზღვრა, თუ რა პირობებშია საჭირო უნივერსიტეტში მისაღებად. არ იყო გათვალისწინებული მისაღები გამოცდები, თუმცა უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა „ყველა სტუდენტს დამატებითი გამოცდები მოსთხოვონ ამა თუ იმ საგანში დარგისდა მიხედვით“. განისაზღვრა სწავლის ქირის რაოდენობა: სტუდენტი და თავისუფალი მსმენელი სემესტრში ას მანეთს იხდიდა, ხოლო ის მსმენელი, რომელსაც ერთი ან ორი კერძო საგნის მოსმენა სურდა, იხდიდა სემესტრში 50 მანეთს. ივ. ჯავახიშვილმა კრებას აცნობა განსვენებული კიტა აბაშიძის ანდერძი მისი წიგნთსაცავის ქართული უნივერსიტეტისათვის გადმოცემის შესახებ (ეს იყო წიგნთა პირველი შეწირულება). „კრებამ ფეხზე აღგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა, მთელი შემადგენლობით დაესწროს მის დასაფლავებას“.

როგორც ვხედავთ, წინასწარი სხდომა პროფესორთა საბჭოსი იხილავს იმგვარ საკითხებს, რომლებიც სწორედ, ასე ეთქვათ, მის კომპეტენციაშია, ეს გრძელდება მომავალ სხდომებზეც, მაგრამ ამასთან ერთად არის საკითხები, რომლებიც დამხმარე საზოგადოებას უნდა გაეკეთებინა — უბრალო სამეურნეო-ტექნიკური ხასიათის საქმეები და დეტალები. აქ მისაბამ ნიმუშს თვითონ ივანე ჯავახიშვილი იძლეოდა. არ შეიძლება, როგორც ვხედავთ, ცალ-ცალკე ვწეროთ ქართული უნივერსიტეტის დაარსებასა და ივანე ჯავახიშვილზე.

შემდეგი სხდომა 1917 წლის 27 დეკემბერს შედგა უკვე ქართული გიმნაზიის შენობაში. ესწრებოდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი (თავმჯდომარე), შ. ნუსუბიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (მდივანი), ივ. ჯავახიშვილი.

განიილეს სასწავლო გეგმის შესამუშავებლად გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარის ივ. ჯავახიშვილის მოხსენება. ეკლავ გამოიყო კომისია ამ გეგმის შემდგომი დახვეწისათვის. 1918 წლის 3 იანვარს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ექ. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, მოისმინეს ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ლექციების ნუსხისა პირველ სემესტრში და მათი განაწილება. ნუსხა მოწონებულ იქნა.

იმავე სხდომაზე ივ. ჯავახიშვილმა დაიწყო მის მიერვე შედგენილი საუნივერსიტეტო წესდების კითხვა.

1918 წლის 10 იანვარს შემდგარ მეშვიდე სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ იუს. აბულაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუსუბიძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი, საბჭო იხილავს სრულიად არა აკადემიურ საკითხს. ესაა აუდიტორიების მოწყობა (საჯდომები, ელექტრონი, გათბობა). სკამების შეკვეთა და დროულად დამზადების საქმე ივანე ჯავახიშვილმა ითავა დაადგინეს: „დაუკვეთოთ საჯდომი სკამების გაკეთება ხელოსან კაპაბაძეს, რომელიც სულ მოკლე დროში, უნივერსიტეტის გახსნამდე, გპირდება 40 ცალი საჯდომის ჩაბარებას“.

ცარიელი კედლები შესანიშნავი შენობისა უდიდეს სიხარულს ჰკვრიდა პატრონ-მეცნიერთა გუნდს. ყველაფერ დანარჩენზე თვითონვე ზრუნავენ.

„ელექტრონის შესახებ მოლაპარაკება გაიმართოს ელექტრონის სადგურთან და გიმნაზიის გამგე კომიტეტთან“ (ეს საქმე მიენდო ა. შანიძეს). თუმცა იანვარია, მაგრამ დაადგინეს: „გათობობას ჭერჭერობით თავი დავანებოთ“.

მომენტის სიღიადის შეგნება ყველას აღაგზნებდა. ეს ის პერიოდია, როცა არაფერს აქცევს ყურადღებას „შრომის დანაწილებას“. ყველა მზად იყო პირველი ყოფილიყო ნებისმიერ დავალების ასრულებაში, რაც ასე ბუნებრივად კეთდებოდა. ეს მეტად და მეტად დიდ ეფექტს იძლევა. სიხარული ყველაზე მძიმე ტვირთს სასიამოვნოს ხდის: უფლების ფარგლებზე კი არ ფიქრობენ, არამედ ყოველ შესაძლებელ მოვალეობათა შესრულებაზე.

პირველად სწორედ 1918 წლის 10 იანვარს გამოითქვა აზრი, რომ რამდენადაც, როგორც გამოცხადებული იყო, 14 იანვარს ვერ ესწრება, 26 იანვრისათვის, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისათვის გადაიღოს უნივერსიტეტის გახსნა. სწორედ ამ დღეს პროფესორთა კოლეგიის წინასწარ სხდომაზე მსჯელობა წარიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ აღენიშნათ უნივერსიტეტის გახსნის დღე — დიდი ზეიმით, თუ მხოლოდ საქმიანი ხასიათი მიეცათ მისთვის. კ. კეკელიძის წინადადება, რომ უნივერსიტეტის გახსნა მომხდარიყო თეატრში, სხვებმა არ გაიზიარეს.

პროფესორთა საზეიმო ჩაცმულობაზე აკადემიური მანტიებით არც უფიქრიათ. ფ. ჭავჭავიძემ კარგად იცოდა, რომ ევროპაში გვიან შექმნილი უნივერსიტეტებიც ძველი უნივერსიტეტების შთამბეჭდავ აკადემიურ ტრადიციებს იმეორებდნენ. ზეიმის პროცედურის შემუშავებისათვის არც სახსრები ჰქონდათ. შეთანხმდნენ, რომ უნივერსიტეტის გახსნა აღენიშნათ დიადი უბრალოებით.

იხილება საკითხი თუ ვინ მოიპატიჟონ.

ფილიპე გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ, მართალია, უნივერსიტეტის გახსნა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების ნების წინააღმდეგ ხდება, მაინც უმჯობესია მოვიწვიოთ უნივერსიტეტის საზოგადოება, როგორც მასპინძელი (სტუმრებს მასპინძლად პატიუებდნენ!). გადაწყდა სწორედ ამ საზოგადოების მოწვევა, რომელიც ახლა სრულ უმოქმედობას იჩენდა და მისი სახელით სიტყვის წარმოთქმა 26 იანვარს ა. ჩხენკელს დაავალეს, ხოლო დღის წესრიგის ხელმძღვანელობა და სტუმრების მიღება — კ. აფხაზს.

უნივერსიტეტის დამაარსებლები თვითონ სრულიადაც არ ისწრაფვიან თავის თავის წარმოჩენას. ისინი ამ ზეიმის დროს, მოახლოებული სიხარულით კმაყოფილნი, კაცურკაცობის სიამაყეს გრძნობენ, ცდილობენ უკან იღგნენ და ტკებოდნენ ნანატრი დღის დადგომით.

პროფესორთა კოლეგიამ უკვე წინასწარი სხდომების ნაცვლად დაიწყო ოფიციალური სხდომები. პირველი ნომერი ოქმი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი სხდომისა 13 იანვარს დაიწერა. სხდომა დაიწყო 11⁰⁰ საათზე ქართული გიმნაზიის ცივი შენობის იმ ოთახში, სადაც ამჟამად პროქტორების კაბინეტებია. სხდომას ესწრებოდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჭავჭავიძე ილია.

ამ საბჭოს პირველად ეწოდა პროფესორთა საბჭო. მანამდე კი იყო პროფესორთა კოლეგიის წინასწარი სხდომები. არჩეულ იქნა უნივერსიტეტის გამგეობა.

ყველას უნდოდა ივანე ჭავჭავიძე ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორ-

რი, მაგრამ თვითონ იგი უარზე დადგა და წამოაყენა პროფესორ პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა რექტორის საპატიო პოსტზე. თავისი წინადადება, ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ივანე ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვებით დაასაბუთა: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიაც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსაო“.

ივ. ჭავჭავაძის აზრს ახლა ცდებოდა. ახალფეხადგმული უნივერსიტეტის პრესტიჟისათვის უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა ის, რომ პირველ რექტორად ერთხმად იქნა არჩეული ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, საერთაშორისო აღიარების მეცნიერი, რომელსაც სახელგანთქმული მოწაფეები ჰყავდა აღზრდილი და როგორც მეცნიერ-ორგანიზატორი ითვლებოდა „ტალანტთა მთელი პლეადის შთამაგონებლად“.

უნივერსიტეტში იქმნება ერთადერთი სობრძისმეტყველების ფაკულტეტი, რომლის პირველ დეკანად ირჩევენ პროფესორ ივანე ჭავჭავაძის, პეტრე მელიქიშვილის სიტყვებით, ჩვენი უნივერსიტეტის ერთადერთ დამაარსებელს, სულისჩამდგმელსა და რაინდს.

პროფესორთა საბჭოს პირველ სწავლულ მდივნად აირჩიეს პროფესორი იოსებ ყიფშიძე — შესანიშნავი ფილოლოგი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ნათელი პიროვნება.

იმ ძნელ ვითარებაში კრების ერთსულოვანი თხოვნით ხაზინადრობა პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა იკისრა.

1917 წლის 13 იანვარს სხდომაზე წაკითხულ იქნა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქცია, სადაც უნივერსიტეტის ორგანოებზეა საუბარი. წესდების ეს ნაწილი დამტკიცებულ იქნა. განიხილეს საკითხი აუდიტორიების შესახებ. ივანე ჭავჭავაძის კრებას მოახსენა, რომ მან საჭლოში სკამები უკვე შეუყვება ხელოსანს, რომელიც, დადებულ ხელშეკრულების ძალით, მოვალეა 24 იანვრისათვის ჩაგვაბაროს სულ ცოტა 30 ცალი. სააუდიტორიო ოთახები და კორიდორები მან დაათვალიერა ინჟინერ მ. ქურდიანთან ერთად. „შენობა საშინელ მდგომარეობაში ყოფილა. მის შეკეთებას კარგად დიდი თანხა დასჭირდებაო.“ 4 დღის შემდეგ, 1918 წლის 17 იანვარს პროფ. პ. მელიქიშვილის ბინაზე შეიკრიბა პროფესორთა საბჭო. მასპინძლის გარდა, მას ესწრებოდნენ ივ. ჭავჭავაძის, ექვთ. თაყაიშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, ა. ბენაშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის და ი. ყიფშიძის.

პროფესორთა საბჭო განუხრელად იწვევს ახალ-ახალ ლექტორებს. ამ დღეს უსახსრობის გამო პროფესორთა საბჭომ ვერ სცნო შესაძლებლად ორი ლექტორის მოწვევა გერმანულ ენაში: საქმე შემდეგში იყო. ივ. ჭავჭავაძის მოახსენა საბჭოს, რომ ჩვენი ხალხის ნამდვილი მეგობარი არტურ ლაისტი თანახმაა გერმანული ენის ლექტორობა იკისროს მხოლოდ უფროს ჯგუფებთან, ხოლო უმცროს ჯგუფებთან საჭირო იქნება სხვა ვინმეს მოწვევა. „საბჭომ შესაძლოდ ვერ სცნო უსახსრობის გამო ერთს ენაში ორი ლექტორი მოიწვიოს და სთხოვა ივ. ჭავჭავაძის ხელახლა მოელაპარაკოს არტურ ლაისტს, რომ მან იკისროს ორივე ჯგუფთან მეცადინეობა, თუ არა და მოიწვიოს ილია ყიფშიძე“.

საბჭოს ამ სხდომაზე გადაწყდა 26 იანვარს ზეიმისათვის დაიბეჭდოს საგანგებო მოსაწვევი სამ ენაზე: ქართულსა, ქართულ-რუსულსა და ქართულ-ფრანგულზე.

უნივერსიტეტი გაიხსნას საუნივერსიტეტო დარბაზში პირველ საათზედ, განისაზღვრა პროფესორთა და ლექტორთა ჯგუფები.

პროფესორს მიეცეს თვეში ხუთასი მანეთი, ხოლო ლექტორებს სამას-სამასი. პროფესორებს ჯამგირი მიეცეს 1 იანვრიდან, ხოლო ლექტორებს კი იმ დროიდან, როდესაც მუშაობას შეუდგებიან. დაადგინეს აგრეთვე, „სწავლის ქირის გარეშე მიიღებდნენ უნივერსიტეტში პროფესორთა ცოლ-შვილთ“.

1918 წლის 21 იანვარს პროფ. მელიქიშვილის ბინაზე შეიკრიბნენ პროფესორთა საბჭოს წევრები: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, უდიდეს აქტიურობას იჩენს ივანე ჯავახიშვილი. მან მოახსენა საბჭოს, რომ დეპუტატთა საბჭოსაგან მიიღო 35.000 მანეთი უნივერსიტეტის შენობის შესაკეთებლად. დაადგინეს, გადაეცეს ხაზინადას. საბჭომ მოიწონა ივ. ჯავახიშვილის წინადადება, რომ, რადგან სამხედრო სასწავლებლები და ბევრი სხვა დაწესებულება იკეტება, ზომები უნდა იყოს მიღებული მათი ქონების, განსაკუთრებით წიგნთსაცავების უნივერსიტეტისათვის გადმოსაცემად. საკითხთა და საქმეთა უფართოეს წრეს სწვდება ივანე ჯავახიშვილის სწორუბოვარი ორგანიზატორული უნარი. სწორედ ამ უნარმა, მოქალაქეობრივმა გმირობამ და სიბრძნე-გამჭირაბობამ შემოკრიბა და რწმენა ჩაუნერგა ყველას. მათ შორის იმათაც, რომლებსაც, მართალია, ენატრებოდათ ეროვნული უნივერსიტეტი, მაგრამ რწმენა დაკარგული ჰქონდათ. დიდი საქმე არ გაკეთდება, თუ თვითონ არა ხარ დაჭერებული მის აუცილებლობაში.

ხალხის გულისთქმას ყველაზე სრულად ივანე ჯავახიშვილი გამოხატავდა. ხალხი უცდომელია თავისი ერთგული შვილის არჩევანში.

• • •

✓ გვიან ვასილ ბარნოვი მადლიანი ქართულით იტყვის: „საქართველოს დედაქალაქში ქართული უნივერსიტეტი, სავსებით სავსე ქართველ ახალგაზრდობით, ქალით თუ ვაჟით! ჰუმარიტად ფრთაშესხმული ოცნება რაღაცა მანქანებით განსახებელი, ლალი ნატვრა ლამაზი ხორცშესხმულ-ასრულებული!

რა დროს აშენდა ეს დიდებული კერა განათლებისა!

როდესაც სისხლის ღვარი ტალღებად დიოდა აღქაფებული, როდესაც ბრძოლის შესაზარ ძახილს შეეძრა ქვეყანა კიდით კიდემდის; ოდეს ირყეოდა, გრგვინით ინგრეოდა ღვაწლით ნაგები განათლების ამსახველი დაწესებულებანი“.

თ ა მ ი VI. პირველი კავკასიაში

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. გასაგებია, რომ უნივერსიტეტის დაარსების იდეით გატაცებულ მცირე ჯგუფს მეცნიერ-პატრიოტთა პასუხისმგებლობის დიდი ტვირთი უნდა ეზიდათ. ისინი მხოლოდ მიზნის განხორციელებაზე ფიქრობდნენ და იღვწოდნენ. კარგად გრძობდნენ, რომ საქმის ჩავარდნის შემთხვევაში მოძულეთა და ასევე სკეპტიკოსთა ყბადასაღლები, დასაცინი გახდებოდნენ. ამიტომაც სრულიადაც არ ცდილან, მოექმნათ საზეიმო თარიღი და მისთვის დაეკავშირებინათ უნივერსიტეტის გახსნა. მათ არც პომპეზური ზეიმის გადახდა სურდათ. უნდოდათ, უფრო აღრეც გაეხსნათ უნივერსიტეტი და ეს ვერ მოხერხდა. ამას კი დიდად ნანობდნენ. დავით აღმა-

შენებლის დღე სწორედ ყველაზე სიმბოლური ნიშანს ეძღვნება აღმოჩნდა თბილისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის თარიღისათვის, და უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა 1918 წლის 10 იანვარს გადაწყვიტეს, სწორედ ამ სახელთან დაეკავშირებინათ ახალი ტიპის პირველი უმაღლესი სკოლის გახსნა.

ისტორია მომხდარ ფაქტთა მხოლოდ გროვა როდია ისტორია არც ხლომოლებათა მართო აღნუსხეა.

საზოგადო მოღვაწე მართო იმით კი არ უნდა დაფასდეს, რასაც მიაღწია, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაკარგული შესაძლებლობანიც, რაც მისგან მეტის მოთხოვნის საფუძვლებს გვაძლევს.

მაშასადამე, მთავარი ისაა, საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა იმით შეფასდეს, თუ როგორი სისრულით იყენებენ ისინი ყოველ მარჯვე მომენტს, ხელსაყრელ შესაძლებლობას, მზად არიან თუ არა ისინი შეცვლილ გარემოში, ძოლოდინის გაუმართლებლობისას ახლებურად იმოქმედონ, ხომ არ გაუშვეს ხელიდან მიზნის მიღწევის უფრო შესაფერი დრო, ხომ არ დააგვიანეს?

პატრიოტ-მეცნიერთა მცირე ჯგუფს, რომელსაც ივ. ჭავჭავაძის მეთავეობდა, რასაკვირველია, არ შეეფლო სრულად წარმოედგინა მოვლენათა ის სწრაფი სროლა, რაც თებერვლის რევოლუციას მოჰყვა. მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ შექმნილი ხელსაყრელი ვითარება მათ სრულად გამოიყენეს 10 თვეში უნივერსიტეტის გასახსნელად. სწორედ ივანე ჭავჭავაძის იყო ის შორისმჭერტელი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც უზრუნველყო კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის გახსნა.

ივანე ჭავჭავაძის განსაკუთრებული როლი უნივერსიტეტის გახსნის წინაღობებში და თვით გახსნის დროს საგანგებოდ აღინიშნა. თანამედროვეებს, თანამდგომთ, თანამონაწილეთ არც საფუძველი და არც უფლება არ ჰქონდათ, ეს არ გაეკეთებინათ.

1918 წლის 23 იანვარს, ე. ი. სამი დღით ადრე უნივერსიტეტის გახსნამდე, მოსე ჭანაშვილი გაზეთ „საქართველოში“ წერდა: „...ახლა გულის წადილი, ამწევანდება ეროვნული მეცნიერების ნიადაგი... ივანე ჭავჭავაძის იყისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდებობა თვით ქართულ მძიმე ღრმად მხენელი გუთნისა...“

ჭავჭავაძის მხნობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის საგანედა...

მივიდეთ ვაკეზე. იქ ჭავჭავაძის აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ-ვარსკვლავით გაგვინათებს გზაკვალს სავლად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ აღამიანური მარადისობისაკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!“

იშვიათად თუ ეღირსება მეცნიერ-მოღვაწეს სიცოცხლეში ამგვარი დიდებით დალოცვა. ეს მაშინ, როცა ჭერ კიდევ არ იყო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ კი მრავალგზის აღინიშნა ივ. ჭავჭავაძის წარუხოცილი ღვაწლი ერის წინაშე.

1918 წლის 26 იანვრის მშენიერ დღეს ცხვედაძისეული დიდებული შენობა კიდევ უფრო დამშვენდა, თორმეტი წლის ლოდინის შემდეგ თავის წიაღში რომ ქართული უნივერსიტეტი დააბულა. პირველად მას მესამე სართულ-

ზე სამხრეთ ფრთაში სამი ოთახი ეკავა, სადაც ახლა მინერალოგიის კაბინეტები: წინათ აქ ლაზარეთი იყო, რომელიც ამ დროისათვის უკვე ლიკვიდირებული იყო.

აუარებელი ხალხი ესწრება უნივერსიტეტის გახსნას. ბევრია სტუმარიც. ვრცელი დარბაზიც ვერ იტევს შეკრებილთ. ბევრი გარეთ დარჩენილი მოითხოვს სხდომის ეზოში გადატანას, რომ მოხერხებულ იყოს, ყველას მოესმინა.

13 საათსა და ოც წუთზე დაიწყო ზეიმი. იგი იწყება უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის სიტყვით. შემდეგ კი უკვე სიტყვას ამბობს უნივერსიტეტის რექტორი პროფ. პ. მელიქიშვილი. შეკრებილნი მას მქუხარე ტაშით ხვდებიან. პეტრე მელიქიშვილი ლაპარაკობს ქართულად და რუსულად. ივ. ჭავჭავიძელთან ერთად შეიმუშავა პეტრე მელიქიშვილმა თავისი გამოსვლა. პეტრე მელიქიშვილმა უსაზღვრო სიხარული გამოთქვა პირველი ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის გამო. მას სრულიად არ უკვირს, რომ ჩვენს უნივერსიტეტს არსებობის საფუძველი სწორედ ჰუმანიტარული დარგების მოწყობით ედებოდა ამასთან. მძლავრად უნდა განვითარებულ იყოს საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და ტექნიკური მეცნიერებათ.

თავის სეფე-სიტყვაში პეტრე მელიქიშვილმა საგანგებოდ მოიგონა ევროპაში ყოფნა და შეხვედრა ცნობილ ლინგვისტ პროფესორ შუხართთან.

როცა გაიგო ჩემი გერმანიაში ჩასვლის მიზანიო, შუხართს გაეცინა და ღიმილით მითხრა: ქართველი რატომ მინცდამინც ქიმიას სწავლობ და არ იკვლევ უმდიდრესი ქართული ენის ბუნებასო? ეს ფაქტი, — დასძენდა მხოვანი მეცნიერი, — ნათლად ადასტურებს, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობის დაწყებასო.

თავისი სიტყვის რუსულად წარმოთქმულ ნაწილში პეტრე მელიქიშვილი აბათილებდა იმათ შეხედულებას, რომელთაც წარმოედგინათ, რომ თბილისის უნივერსიტეტს თითქოს წადილი ჰქონდა გადაქცეულიყო მთელი კავკასიის უნივერსიტეტად. იგი ასე მკვეთრად განსაზღვრავდა ქართული უნივერსიტეტის ამოცანებს: „ჩვენ გვინდა იმ ენაზე, რომელზედაც პირველად მოვისმინეთ დედის ალერსი და პირველად თვით ავმეტყველდით, მოვისმინოთ მეცნიერული კეშმარტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უძვეს თანამედროვე კულტურასო“.

სწავლული მდივნის იოსებ ყიფშიძის მოხსენება მიეძღვნა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. მან სიყვარულით და პატივისცემით ილაპარაკა ივანე ჭავჭავიძელის გადაწყვეტ რაოლზე ქართული უნივერსიტეტისათვის ბრძოლაში, რაც 1917 წლიდან დაიწყო და უდიდესი ინტენსივობით უკანასკნელი 9 თვის მანძილზე განხორციელდა, როცა ივანე ჭავჭავიძელმა ხელმძღვანელობის ცენტრი თბილისში გადმოიტანა.

ქართული უნივერსიტეტის გახსნის სიხარულს ბევრი თანამოზიარე გაუჩნდა. მას მიესალმნენ რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, პოლონურ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები რუსულ, ქართულ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე, მიიღეს ბევრი მისალოცი დეპეშა. ვერ მოხერხდა ქართული საზოგადოებების წარმომადგენელთა გამოსვლა. საერთო სურვილით, როგორც გამონაკლისი, ბოლოს (ოცდამეერთე) გამოვიდა მილოცვით ქართველი მუშა.

ივანე ჭავჭავიძელის სიტყვებით, „ძალაუფლების მქონებული წარეები ციქად შეხედნენ უნივერსიტეტის გახსნას. მხოლოდ რკინიგზის მუშების დელეგაცია მოვიდა წითელი დროშით“.

ივანე ჭავჭავიძელს დასასრულს უნდა წაეკითხა ლექცია-სიტყვა, მაგრამ

ეს ქერ მოხერხდა ხალხის სიმრავლის, მისასალმებელი სიტყვების გახანგრძლივებისა და იმის გამო, რომ განათება არ ყოფილა და არც ავეჯი იყო შზად.

მაგრამ ექვიც არ შეიძლებოდა დაბადებულიყო, რომ ისე დაფუძნებულიყო უნივერსიტეტი, საგანგებოდ არ აღენიშნათ მისი პირველი რაინდის ღვაწლი.

იშვიათია ხელმძღვანელი, რომელსაც საქმის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით გადაჰქონდეს, მაგრამ ყოველთვის ცდილობდეს შეუმჩნეველი დარჩეს, სხვას წინ აყენებდეს და უსაზღვრო კმაყოფილებას გრძნობდეს აღსრულებული მოვალეობის ბედნიერებით... მაინც ივანე ჭავჭავიძეის ამავის დაუნახაობა წარმოუდგენელი იყო. 26 იანვარს საზეიმო შეკრებილობამ დაადგინა: მადლობა გადაეუხადოთ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელს ივანე ჭავჭავიძეისსო.

იმდროინდელი გაზეთის ძუნწ ცნობაში ვკითხულობთ: „კმაყოფილმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციებით დააჩილდოვა ივანე ჭავჭავიძეილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტსო“.

რა ბედნიერი იყო იგი ამ ჩილდოთი!

ამ დროს ქართული მეცნიერების ტრიუმფატორს 42 წელიც არ შესრულებოდა.

არც ერთი ფოტოსურათი არ გადაღებულა უნივერსიტეტის გახსნის დღისა და არც ერთი ინტერვიუ არ აუღიათ ჟურნალისტებს ამ დღეს.

ყველა საზოგადოებრივ ძალას და წრეს, მიუხედავად გულწრფელი სიხარულისა, ერთნაირად როდი ესმოდა ეროვნული უნივერსიტეტის როლი და ადგილი ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ასე, 1918 წლის 26 იანვარს 10 საათზე ქართული გიმნაზიის ეკლესიაში ლიტურგია გადაიხადა ქართული უნივერსიტეტის საპატივცემოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: „სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მათ საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილიო“. უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა პრინციპულად უარყვეს საღვთისმეტყველო ფაკულტეტის შექმნის იდეა. ამით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ცოდნის ამ ტაძარს ისინი მიზნად უსახავდნენ მხოლოდ მეცნიერებისა და ხალხის სამსახურს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი უარყოფდნენ რელიგიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას. უფრო გვიან, 1920 წელს, ივანე ჭავჭავიძეილი განმარტავდა თავის უარყოფით და მოკიდებულებას ამ საკითხისადმი. გერმანიის, შვეიცარიის, ინგლისისა და ამერიკის უნივერსიტეტში სარწმუნოების ისტორია და საღვთისმეტყველო დარგები ცალკე თეოლოგიურ, ანუ საღვთისმეტყველო ფაკულტეტად არის გამოყოფილი [რევოლუციამდელ რუსეთში იგი მხოლოდ ტარტუს (იურიევის) უნივერსიტეტში იყო]. აქ მხოლოდ საქრისტიანო ღვთისმეტყველება კვლევის საგნად. თანაც ეს ფაკულტეტი პრაქტიკულად ღვთისმეტყველებასთან და ეკლესიასთან მჭიდროდა დაკავშირებული. საეკლესიო ისტორიის კითხვა თბილისის უნივერსიტეტში არ ყოფილა დაკავშირებული თეოლოგიური საგნების შესწავლასთან, თუმცა კარგად იყო ცნობილი, რომ სარწმუნოების დოგმატიკის, ღვთისმსახურებისა და ეკლესიის ისტორია ადამიანის სულიერი მოქმედების ერთი თვალსაჩინო დარგია და მათ მეცნიერულ შესწავლას უალრესი მნიშვნელობა აქვს. ეს, როგორც უკვე დავინახეთ, ბრწყინვალედ დაადასტურა თეო-

თონ ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის შესწავლისას. თბილისის უნივერსიტეტმა „არ მოისურვა განსაკუთრებული საღვთისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა, რომ ამით ვიწრო და ცალმხრივი მიმართულება არ მიეღო სარწმუნოებათა მეცნიერების შესწავლას და ღვთისმეტყველება იმგვარადვე, როგორც ეს ყველა ზემოდასახელებული ქვეყნის თეოლოგიურ ფაკულტეტებზეა, მხოლოდ საქრისტიანო მოძღვრებისა და ეკლესიის ისტორიად არ ქცეულიყო და პრაქტიკულს მიზნებს მსხვერპლად არ შეეწირათ დანარჩენ სარწმუნოებათა შესწავლა“. ეს რომ არ მომხდარიყო, გადაწყდა ცალკე რელიგიის ისტორიის შესწავლის სპეციალობის შექმნა, მაგრამ არა მარტო ქრისტიანობის შესწავლისა, არამედ ძველი ებრაული სჯულის, ასურული, ბერძნულ-რომაული და სხვა წარმართული სარწმუნოებისა, ბუდდიანობისა და მაჰმადიანობის წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიება, ყოველგვარი პრაქტიკული თვალსაზრისისა და მისწრაფების გარეშე. ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტის გეგმა არსებითად განსხვავდება ყველა სხვა არსებული უნივერსიტეტების გეგმისაგან“.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის დამაარსებლის მრავალმხრივ მეცნიერულ კომპეტენტურობას.

ქართული უნივერსიტეტის გახსნას მარტო თბილისში როდი ხედებიან სიხარულით.

1918 წლის 26 იანვარი ზემის დღედ იქცა სრულიად საქართველოში. მრავალ ქალაქსა და დაბაში აღნიშნეს ეს დღესასწაული. განსაკუთრებული იყო ქუთათურთა სიხარული, მათ ხომ ბევრი რამ იღონეს ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. იმდროინდელი ქუთათური გაზეთი წერდა: „ქუთაისმა იუქმა ქართული მეცნიერების ტაძრის გახსნის დღე 26 იანვარი. ამ დღეს ქუთაისში არსებულ სკოლებში სწავლა ყველგან შეწყდა. სასწავლებლებში გადაიხადეს პარაკლისი. იყო მუსიკა, წარმოიქვა სიტყვები“. სიხარულით სავსე სოხუმელ ქართველთა სახელით თავდგირიძე გზავნის დეპეშას ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამო და თავს „ვალდებულად აცხადებს მისი მთელი შესაძლებლობით მხარი დაუჭიროს განათლების კერას, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მისცეს მომზადებული მცოდნე მუშაკები“. სიღნაღის ქალთა კავშირი განუსაზღვრელ სიხარულს გამოხატავს პირველი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების გამო, რომელიც აღზრდის ნამდვილ მამულიშვილებს სამშობლოს ასაყვავებლად.

ოზურგეთიდან ესალმებიან ქართული უნივერსიტეტის გახსნას და აღნიშნავენ, რომ შექმნილია კომისია, „უნივერსიტეტის სასარგებლოდ შემოწირულებათა შესავსრულებლად“. თელავის საქალაქო თვითმმართველობა გამოხატავდა თავის სიხარულს ქართული უნივერსიტეტის გახსნის გამო და ივალდებულბდა თავს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდა მას.

ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გულმზურვალედ ესალმებოდნენ ქართული უნივერსიტეტის გახსნას.

ასევე გულთბილი დეპეშები გამოგზავნეს ზუგდიდის, ფოთის, ახალი სენაკის და სხვა კუთხეების საზოგადოებებმა და დაწესებულებებმა.

დეპეშა საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ორგანიზაციების მხრივაც მოდიოდა, ისინი არა მარტო სიხარულს გამოხატავდნენ, არამედ აგრეთვე მხარდაჭერისა და თანამშრომლობის სურვილსაც.

მოდმე ოსი ხალხი გულმზურვალეობით შეხვდა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. ეს სიხარული იმით იყო გაძლიერებული, რომ ქართული უნივერსიტეტის უპირველესი ამოცანა — საქართველოს ისტორიის

მეცნიერული შესწავლა — გულისხმობდა იმ ურთიად მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენას, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებაში ოსმა ხალხმა შეასრულა. ქართულმა უნივერსიტეტმა არა მარტო კარი გაუღო ოს ახალგაზრდებს, არამედ, ამასთან ერთად, დაიწყო ოსეთის კულტურის მეცნიერული შესწავლა. თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო დისციპლინებში ერთ-ერთი პირველი შეტანილ იქნა ოსური ენა. ეს ღრმა პატივისცემა ოსური კულტურისადმი ოფიციალურად გამოხატეს უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა.

ზეიმის დღეებში ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭო თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის სახელზე გზავნის მოლოცვის უარესად გულთბილ წერილს.

1918 წლის 31 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭო თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე გზავნის შეკითხვას იმის თაობაზე, თუ როგორია მიღების წესები ეროვნულ უნივერსიტეტში, რა ენაზეა სწავლება, შეუძლიათ თუ არა ოსებს მიიღონ უმაღლესი განათლება საქართველოს უნივერსიტეტში. წერილი შემდეგნაირად მთავრდებოდა: „ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს თვალსაზრისით ოსებისათვის უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს უნივერსიტეტში უარესად სასურველია, რამდენადაც საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ყოფის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ოსეთის ისტორიის, ლიტერატურისა და ყოფის სრულად შესწავლაზე“.

1918 წლის 13 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილ ამ წერილს. საბჭო აღგენს: „გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს, რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან. განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“. 1 მაისს გაიგზავნა სწორედ ეს პასუხი. მასში ნათქვამი იყო: „ქართული უნივერსიტეტი როგორც მეცნიერების ტაძარი, მთელს თავის ძალებს მიუძღვნის მეცნიერული სიმართლის კვლევას. კვლევას ქემპარიტებისა და ზინამდილისა ჩვენი მადლიანი, მაგრამ მეცნიერული სამყაროსათვის სუსტად ცნობილი კავკასიის მხარის ყოველმხრივად შესწავლისათვის... ურომლისოდაც შეუძლებელია მატერიალური და სულიერი ძალების სათანადოდ განვითარება ჩვენი მხარისა და იქ მოსახლე ხალხებისა, ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხთა ძმობისა და ერთიანობის იმ იდეალის სრულად მიღწევა, რომლის თაობაზე თქვენ სასურველად ჩათვალეთ აღგენიშნათ თქვენს მომართვაში და რომლისკენაც ქართული უნივერსიტეტი ქართველ ხალხთან ერთად გულწრფელად ისწრაფვის.“

ის უძველესი კეთილმეზობლური დამოკიდებულება ოსებსა და ქართველებს შორის და ერთმანეთზე კულტურული ზეგავლენა, რომლის აღნიშვნა თქვენ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, ჩვენთვის ესოდენ ძვირფას თქვენს მოლოცვაში, მომავალში კიდევ მეტად ავალდებულებს ორივე ხალხს მჭიდრო ერთიანობისა და კულტურული თანამშრომლობისათვის“. ამასთან ერთად, პასუხში მითითებული იყო, რომ „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“. პასუხი მთავრდებოდა იმის აღნიშვნით, რომ მიღებულია ზომები კავკასიის ხალხთა სხვადასხვა ენის შესასწავლად, უპირველესად კი ოსური ენის შესასწავლად.

როგორც უნივერსიტეტის შემდგომმა წლებმა გვიჩვენეს, ეს ლიტონი დაპირება არ ყოფილა

გულმხურვალებით ესალმებოდნენ აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლები ქართული უნივერსიტეტის გახსნას.

არა მარტო რამდენიმე სომხური ორგანიზაციის წარმომადგენელი მიესალმა (ზოგიერთი მათგანი ქართულ ენაზე) ქართული უნივერსიტეტის გახსნას, სადაც მათ გამოხატეს ეს სიხარული, არამედ თბილისური სომხური პრესაც ფართოდ აშუქებს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის გახსნას.

სომხური გაზეთი „მშაქი“ (1918 წ. 28 იანვარს) წერდა: „აღფრთოვანება ქართული საზოგადოებისა დიდი იყო და საყოველთაო. ხორციელდებოდა დიდი იდეალი, რომელიც ქართველ ხალხს დიდხანია ამოძრავებდა, რათა ჰქონოდა საკუთარი ეროვნული ტაძარი, სადაც უნდა აღზრდილიყო ახალგაზრდა თაობა. და ის დიდი იდეალი, რომლის განხორციელება წარმოუდგენელი იყო მეფის რეჟიმის დროს, დღეს, რუსეთის რევოლუციის წყალობით, განხორციელდა ადვილად“.

აკი ოვანეს თუმანიანი სწორედ იმიტომ ესალმებოდა ქართულ უნივერსიტეტის გახსნას, რომ ოცნებობდა იმ დღეზე, როცა სომხებსაც ექნებოდათ საკუთარი უნივერსიტეტი. მართლაც, თბილისის უნივერსიტეტის შექმნა მძლავრი იმპულსი გახდა კავკასიის სხვა ხალხებისათვის ეროვნული უნივერსიტეტის შესაქმნელად. 1918 წ. 24 ივლისს გაზეთმა „სახალხო საქმემ“ სომხურ გაზეთ „პორიზონიდან“ გადმობეჭდა ექიმ გ. აბელიანის წერილი სათაურით „დროა, რომ ჩვენც უნივერსიტეტი გვქონდეს“. იგი წერდა: „ჩვენმა მეზობლებმა ქართველებმა თავისი ცხოვრების მოწესრიგება უნივერსიტეტით დაიწყეს და უნდა აღვნიშნო, მათ სწორი გზა აირჩიეს, რადგან უნივერსიტეტის საკითხის გადადება დიდი დანაშაულობაა.“

არც ომით, არც ჭირით, არც შიმშილით არ შეიძლება გავამართლოთ უნივერსიტეტის არ შექმნაო“. გ. აბელიანს სჯერა ეროვნული უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერული ენის წარმატება, ვინაიდან, მისი სწორი სიტყვებით, სიძნელეები შეიძლება გადაილახოს, თუ უნივერსიტეტი შექმნილია, ვინაიდან „არც ერთ ერს არ შეუქმნია ჯერ სახელმძღვანელოები, მეცნიერული მწერლობა და შემდეგ უნივერსიტეტი“.

დიდად გაიხარეს თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებმა, როცა მათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მოლოცვა მიიღეს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისაგან.

ხალხის მართალმა სიყვარულმა შექმნა ქართული უნივერსიტეტი. ამიტომ ზეიმობდა ხალხი.

1918 წლის 26 იანვარს ეროვნულ ზეიმზე ყველაზე ბედნიერები — სიამაყის, ღირსების, სიდიადის გრძობით სავსენი — დიდაც რომ პროფესორთა საბჭოს წევრები: პეტრე მელიქიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ანდრია ბენაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი იყვნენ. უსაზღვრო და უნაპირო იყო ივანე ჯავახიშვილის ბედნიერება. მას, ერთადერთს ხალხის მანდატით, ეროვნული უნივერსიტეტის მესამიერკვლის მარად საპატიო და წმინდა სახელი ხვდა წილად.

თ ა ვ ი VII. პირველი ლექცია თბილისის უნივერსიტეტში

ლექცია წმინდათა წმინდაა უნივერსიტეტში. ასე ყოფილა მუდამ, ასე იქნება ყოველთვის.

ძველთაძველი აკადემიური ტრადიციაა: ღირსეულთა შორის პირველს, ყვე-

ლაზე ღვაწლმოსილსა და სახელოვანს ანდობენ პირველი ლექციის წაკითხვას.

ვისთვის უნდა მიენდოთ ეს თბილისის უნივერსიტეტში?

სალექციო კათედრაზე პირველად ასვლის საპატიო უფლება იმან დაიმსახურა, ვინაც ყველაზე მეტი გააკეთა უნივერსიტეტისათვის, ვინაც ერის ოცნება სინამდვილედ აქცია.

მთავარი მარტო მორალური უფლება როდი იყო. პროფესორთა საბჭომ არჩევანი იმ პირზე შეაჩერა, რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ახერხებდა ლექციების ქართულად წაკითხვას, ვის ლექციებს შეუწუნებელი ყურადღებით უსმენდნენ საქართველოს ქალაქებში, ვისი მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების საჭიროების შესახებ, 1917 წ. მაისში თბილისსა და ქუთაისში წაკითხული, დიდებული ლექციაც იყო და უნივერსიტეტის დაარსების სამოქმედო პროგრამაც.

ივანე ჯავახიშვილის ენამზეობა, ფოლადისებურ ლოგიკასთან შეერთებული, და მისი უღრმესი ერუდიცია ფსიქოლოგიურად პირველი ლექტორის მხარეზე განაწყობდა აუდიტორიას.

სალი ემოციურობით, ღრმა იდეურობით და ზეგავლენის დიდი ძალით დაიწყო 1918 წლის 30 იანვარს ლექციების უწყვეტი მდინარეობა თბილისის უნივერსიტეტში.

პირველი ლექცია-სიტყვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის გახსნის დღესვე უნდა წაკითხულიყო. ეს კი ვერ მოხერხდა.

ახლა 30 იანვარს არავის გაპკვირვებია, რომ ივანე ჯავახიშვილის მოსასმენად მოსულთა რიცხვმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ბევრი ფეხზე დგას. დიდის წვალებით მოხერხდა კარების მოხურვა. ამან მხოლოდ გააძლიერა აუდიტორიის გარეთ მყოფთა უკმაყოფილება მარტო მას შემდეგ, რაც კარები გააღეს მიწყდა გარეთ მდგომთა პროტესტის ხმა. ცოდნასა და ინტერესს მოწყურებული მასა ყურადღებით დაიძაბა. დაუყოვნებლივ დამყარდა კონტრაქტი ლექტორსა და მსმენელს შორის. ხარბად უსმენენ პირველ საუნივერსიტეტო ლექციას. ივანე ჯავახიშვილის ლექციის სახელწოდება იყო „დამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“ (მისი გადამუშავებული ტექსტი დაიბეჭდა კრებულში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956 წ.; გვ. 130—155).

ურთულესი სამეცნიერო აპარატურა, უტყუარი მეცნიერული აღწერა, ფაქტების გამოჩნჩისა და მიგნების შედეგად მართალი ისტორიული სურათის აღდგენის შეუდარებელი უნარი, ამ ლექციას დიდი მკვლევრის ჰუმანიტარული ხმამაღალ აზროვნებად აქცევდა.

ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს ქართველი ხალხის შემოქმედებითი სულის მდიდარ პროცესს. მას ეამაყება თავისი ერის ისტორია, მაგრამ ლექციის მთავარი აზრი — ეს არის შეურიგებელი ბრძოლა ცრუ მამულიშვილობასთან, ევანგელისტობასთან.

ჩვენი ხალხის სულიერი ისტორია მდიდარია ცხოვრებისეული წინააღმდეგობებით, რაც აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი აზრის ჭიდილისა და წინსვლისათვის. ამ ისტორიას სრულიადაც არ სჭირდება შეკრეპა და შელამაზება. ჰუმანიტარების ლალატი არაფრით არ შეიძლება გამართლდეს. ამიტომაც პატრიოტული ფერუმბრილით როდი აღამაზებდა ივანე ჯავახიშვილი ისტორიულ ფაქტებს.

თავის მოხდენილად გამოკვეთილ ლექცია-სიტყვას იგი სამ ნაკვეთად ყოფდა: ერთი ესაა მოძღვრება ადამიანზე, მეორე, ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალები და მესამე — ადამიანი ვითარცა მოღვაწე.

ივანე ჯავახიშვილი მრავალი ისტორიული წყაროს, დოკუმენტის, მასალის შეჭრების, შემოწმების, ძველი ავტორების დაპირისპირების შედეგად გვიხატავს ძველ საქართველოში ადამიანის გონებრივი ნიჭისა და მუშაობის საგურლისხმოდ დაკვირვების პროცესს.

მართალია, უძველეს ქართულ საისტორიო და იურიდიულ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება ადამიანის ფიზიკური და სულიერი მომწიფების ეტაპებზე, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ახერხებს მოიშველიოს არაპირდაპირი წყაროები. ასე, ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილს ყრობა ეწოდებოდა. ეს ბავშვობის ხანა იყო. მეორეს ჰასაჟს ეძახდნენ. ეს უკანასკნელი სქესობრივი სიმწიფის ხანიდან იწყებოდა.

ყრობასაც და ჰასაჟსაც თავის მხრივ ცალ-ცალკე რამდენიმე ნაწილად ყოფდნენ და მათ თავისი სახელწოდება ჰქონდა:

მაგალითად, ჰასაჟი სამ ნაწილად იყოფოდა. პირველი წლოვანების ადამიანს „ჭაბუკი“ ერქვა, მეორე წლოვანებისას — „მუა კაცი“, უკანასკნელს ხანში შესულობისას — „ბერი“. განსხვავებულად იწყებოდა სამოქალაქო, პოლიტიკური და სამხედრო სრულწლოვანება.

ადამიანი ითვლებოდა „საკრველად გრძნობადისა და გონიერებისა მეფობისად“. ე. ი. გრძნობისა და გონების სამყაროს ნიჭის შემაერთებლად. უძველეს ქართულ მწერლობაში ადამიანის სულიერი მოქმედების ფრიად საგურლისხმო და მნიშვნელოვანი თვისების გამომხატველი იყო ტერმინები „გონების ყურნი“ და „გონების თვლნი“, რაც ქართულმა მერმინდელმა მწერლობამ დაივიწყა და არ გამოიყენა ისე, რომ სახელოვან საბა-სულხანს იგი თავის ლექსიკონშიაც არ შეუტანია. ეს ტერმინები შესაძლოა იმ დროს გამოიყენებოდა, როცა ადამიანი საგანს აღიქვამდა თვალთა და ყურით აღქმის გარეშე, მაგალითად, როცა მეტყველების ორგანო დუმს და „მხოლოდ გონებით წარმოებს ხოლმე შინაგანი, გონებითი მეტყველება“.

გონება ადამიანის საუკეთესო ნიჭი და სამკაულია. ვინაიდან სწორედ ის განაგებს ადამიანის მთელ მოქმედებას „ფარულად და უხილავად“, თვით მისგანაა შობილი მეტყველების ნიჭი, და სიტყვაც იმას „თარგმანებს, რაიცა იყოს გონებათა შინა“.

ძველს დროს გონების საქებურ თვისებად ითვლებოდა „სიმახვილე გონებისაჲ“. აი ამას უნდა დართოდა ადამიანის „მისწრაფებაჲ და გულმოდგინებაჲ“. ვისაც ეს თვისებები ჰქონდა შეზავებული, ეს უზრუნველყოფდა წარმატებას ამ პირებისას.

უძველეს ქართულ მწერლობას ამასთან ერთად ჰქონდა გონიერებას მოკლებულთა თვისებების დაკვირვების უნარი, განსხვავებდნენ გონება-ნაკლებობისაგან სულით ავადმყოფობის სხვადასხვა სახეებს.

გონების შემოქმედებით მუშაობასაც ჰქონდა ყურადღება და ცოდნის-მოყვარება მიპყრობილი. ასე, მეცნიერისა და მწერლის მოღვაწეობას გიორგი ხუცეს-მონაზონი ქიმიურ-მეტალურგიული მუშაობის პროცესსა და „მრავალღონობას“ აღარებდა, როცა გიორგი მთაწმიდელს ახასიათებდა.

ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალების დახასიათებისას ძველ საქართველოში ივანე ჯავახიშვილი გამოდის იმ საგნებით სწორი დებულებიდან, რომ „ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით უფრო ნაკლებ საშუა-

ლებას აძლევდა თავისი პიროვნების ყველა თავისებურება გამოეჩინა, ვიდრე ეხლა“. ძველს ღროს, — აღნიშნავს ივანე ჭავჭავაძე, — ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდული და შებოჭილი: „ჯერ საგვარეულო წესწყობილება და ზნე-ჩვეულებანი, შემდგომ წოდებრიობა, პატრონობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონ-წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდადნენ და მის მოქმედებას საზღვარს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიაც“. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ ძველადაც არსებობდა განსაზღვრული სოციალ-ეთიკური იდეალები, რომლისკენაც ისწრაფოდნენ კლასები, განსაზღვრული ჯგუფები და ფენები. ადამიანთა იდეალების რეალიზაცია ცხოვრებაში ვერ ხერხდებოდა, ანდა მას ყოველთვის დიდი წინააღმდეგობები ახლდა. რასაკვირველია, სრულიად განუხორციელებელი იყო ის რეცეპტი, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის, რასაც ეკლესია იძლეოდა: პიროვნების იდეალური სისრულე იქ შეიძლება იქნეს მიღწეული, როდესაც ადამიანები ისეთ ვითარებაში იცხოვრებენ, როდესაც სრულიად თავისუფალნი იქნებიან „სოფლის საცდურისაგან“. მაშასადამე, „უცხოება“ და „მაცდური“ ქვეყნისაგან განშორება, ერთის მხრივ, სრული „უპოვარება“ და „სიგლახაკე“, მეორე მხრივ, თითქოს აუცილებელი პირობაა ადამიანის სისრულისა და ზნობრივ-სარწმუნოებრივი სისპეტაკისა. გამოდის, რომ ამ იდეალის მიღწევისათვის მათ უნდა თავისი მახლობლებიც მიეტოვებინათ, ადამიანთა საზოგადოება და მხოლოდ „უცხოება“ აერჩიათ. ამასთანავე, მთელი თავისი საკუთრებისათვის თავი უნდა დაენებებინათ, რადგან ყოველი სიბოროტისა და ანგარების მიზეზად კერძო საკუთრება იყო მიჩნეული. თვით სამონასტრო წყობის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ბერებს არა თუ კერძო რაიმე პირადი საკუთრება არ უნდა ჰქონოდათ, ყველაფერი საერთო და სამშო უნდა ყოფილიყო, ბერებს არ შეეძლოთ ერთმანეთისათვის ტანისამოსის დაქვრა და დაჩემება. თუ რომელიმე დაიჩემებდა ტანისამოსს, სამონასტრო ტიპიკონის მოთხოვნილებისამებრ ეფთვი-მე მთაწმიდელი ამ დასაკუთრებულ საგანს ან ნივთს ართმევდა და საყვედურით სავსე სიტყვებით სწვავდა თურმე ცეცხლში.

იმ ვითარებაში, ერის კაცთაგანს არავის თავისთავი უტოდველად არ მიიჩნდა, ვინაიდან „სულის ცხოვნების“ იდეალს ისინი ვერ იცავდნენ, თუმცა ხანში შესულობის შემდეგ ბევრს სურვილი ებადებოდა, გაქცეოდა „მაცდურ“ ქვეყანას. ეს გრძნობა საწუთროსადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა და მისი ღატოვებისა და განშორების სურვილი ზოჯერ თვით მეფეებს უჩნდებოდათ. ეს სურვილი გაუჩნდა ისეთი შეუდრეკელი ნების პატრონებს, როგორც დავით აღმაშენებელი, დიმიტრი I და ალექსანდრე I იყვნენ. ამ ორმა უკანასკნელმა მოასწრეს კიდევ თავიანთი წადილის განხორციელება და სიცოცხლის დასასრული მონასტერში გაატარეს.

ძველ საქართველოში, კერძო საკუთრებისა და „მაცდური“ ქვეყნის გარდა, ადამიანის „ცოდვათა სიმრავლე“ ადამიანის გულისტქმასა და ნებისყოფაზე იყო დამოკიდებული.

ცოდვათა მონანიების გრძნობა და ახალი ცოდვების ჩადენის შიში ზოჯერ ადამიანს ყოველგვარი დამოუკიდებელი მოქმედების ხალისს უკარგავდა. ასეთი პირები მოძღვრის ბრძანების შემყურენი რჩებოდნენ. ყოველი ადამიანი მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოიხატება. ადამიანის ღირსების შეფასების ღროს მისი მეტყველების თვისებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველ საქართველოში, აღნიშნავდა ლექტორი, სიტყვის ფასი ესმოდით და

საუბრის დროს ზომიერების დაცვა დიდ ღირსებად და საუკეთესო ზრდილობის ნიშნად ითვლებოდა. მაშინდელი შეხედულებით, გონიერი ადამიანის ღირსებას მრავალსიტყვაობა არ შეადგენდა. პირიქით, მოსაწონ თვისებად სწორედ ბრძნული „მცირე მეტყველება“ ითვლებოდა. ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკი, გინდა მკვერამეტყველური „უქმსიტყვაობა“ იყო და ამიტომ საძრახის თვისებად იყო მიჩნეული, მით უმეტეს არაფრად ფასობდა „ენა-მანქანა“ ადამიანი, რომელიც ლაპარაკად იყო გადაქცეული. საუბრის გარკვეული წესის დაცვით პირს უნდა დაემტკიცებინა თავისი დარბაისობა. ყველა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სასურველ ქცევის წესზე იყო ლაპარაკი. ამიტომ ივანე ჯავახიშვილი იქვე დასძენდა: „მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ძველ საქართველოში მხოლოდ ტკბილი და საამური ლაპარაკი იცოდნენ. ჩვეულებრივ და მშვიდობიან პირობებში თავშეკავებული მოსაუბრე შეიძლება „მკუთრ“ მეტყველი გამხდარიყო, თუმცა მაშინაც კარგად ესმოდათ, რომ ტკბილი საუბრით ადამიანის დაყოლიება და მოხიბვლა—„მონადირეობა“ ხშირად უფრო ადვილი იყო, ვიდრე მკაცრი ლაპარაკით, როდესაც მოკამათეს „ფიცხელი სიტყვა“ წამოსდებოდა. ეს გარემოება მეტადრე გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა პირს ქალთან საუბრისა თუ კამათის დროს, რადგან მიაჩნდათ, რომ „დედათა ბუნება იწრო არსო“.

ივანე ჯავახიშვილი მსმენელთა ყურადღების გაცხოველებისათვის არ მიმართავს პარადოქსებს, მეცნიერულ ექსტრემებს. მას არ სურს აუღიჯორობის გაკვირვების ხარჭზე ეფექტს მიადღწიოს. ამასთან მისაბამი ზომიერებითა და ფაქიზი გემოვნებით მოყვანილი ისტორიული ფაქტები წარუშლელ კვალს ტოვებენ მსმენელთა მეხსიერების ეკრანზე. იე. ჯავახიშვილი იმ ისტორიკოსებს აქებდა, რომლებიც მარჯვედ იყენებდნენ კვლევის პროცესში ანალიზსა და სინთეზს, „ვინც მთავარ ყურადღებას რთული მოვლენების გარჩევა-გაწმენდისა და განბრწყინების. ანუ ანალიზისა, კრიტიკული განხილვის შემდგომ სინთეზის საშუალებით ჰეშმარიტების გამორჩევის პროცესებს აქცევდა ყურადღებას“.

ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაშიც, აღნიშნავს ლექტორი, გვხვდება მითითება იმ მოღვაწეებზე, რომლებიც უქმაყოფილებას გამოთქვამენ თავის დროინდელი ცხოვრების პირობებითა და გარემო საზოგადოებით. უქმაყოფილო ყოფილა იოანე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი და უეპველია ბერნი სხვანიც.

იოანე მთაწმიდელს შუღლიანობისა და შფოთის გამო ერისკაცობისათვის თავი მიუწებებია და ათონის მთაზე თორნივე ერისთავთან ერთად გადახვეწილა მყუდრო სამონასტრო მოღვაწეობისათვის. ვერც აქ გაქცევია იგი შფოთსა და შულს. ახლა მას გადაუწყვეტია გახვეწა ესპანეთს. იქ გაქცევის აზრი ი. მთაწმიდელს იმიტომ მოსვლია, რომ „ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვდრ არიან მუნ“. ამიტომაც ი. მთაწმიდელი „წარვიდა ვიდრე ავიდოს ამდე, რათა მუნ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ“.

ლექციამ უეპველია აღძრა მეცნიერული ინტერესი ესპანეთის იბერიისადმი, თუმცა ივანე ჯავახიშვილი იქვე აღნიშნავდა, რომ ესპანეთში მცხოვრები იბერები, რომლებიც იოანე მთაწმიდელს ქართველებადვე მიუჩნევია, ეგონა რომ მის თანამომე იბერებზე, ქართველებზე უკეთესი აღმოჩნდებოდნენო.

ივანე ჯავახიშვილი დამაჯერებლად აბათილებს საქართველოს ისტორიის

ნიპილისტა დასკვნებს. ისინი, მაგალითად, თვლიდნენ, რომ ვახუშტი ბაგრატიონამდე საქართველოს არ ჰყოლია ნამდვილი ისტორიკოსიო.

ივანე ჭავჭავაძის ახსიათებს ძველ საქართველოში მოვლენების ისტორიული შესწავლის მაღალ დონეს, ისე რომ ამისათვის ლექციაში ერთხელაც არ სჭირდება მიმართოს ვახუშტი ბაგრატიონს. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უკვე კარგად ესმის, რომ მოღვაწის სუბიექტური შესაძლებლობანი, სიბრძნე და ორგანიზატორული უნარი არ კმა-რა მის მიერ დასახული გეგმების შესასრულებლად, თუ რომ ამ გეგმების შესასრულებლად ქვეყანა და ხალხი შესაფერისად მომზადებული არ არის და მისი მაღალი აზრების ხორცშესხმულობისათვის ჭეროვანი პირობები არ მოიპოვება. უაღრესად ნიშანდობლივია ძველი ქართველი ისტორიკოსის შედარება. მისი აზრით, დავით აღმაშენებელი პირადი ნიჭითა და გეგმათა სიფართოვით აღექსანდრე მაკედონელსაც არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის შედეგი თუ იმდენად დიდი არ აღმოჩნდა, როგორც აღექსანდრე მაკედონელისა იყო, ეს საქართველოს იმდროინდელი პირობებით აიხსნებოდაო. ამავე პირობებში „ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რასა აღექსანდრე იქმოდა კარგსა“, მსგავსად ამისა, დავით აღმაშენებელსაც რომ „სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, თუ ბერძენთა და პრობთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა“, ფართო სახელმწიფოებრივი ასპარეზი და დიდი გეგმების გასახორციელებლად საჭირო დიდი ძალა „მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნიო!“

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა სინამდვილეს გვიხატავს მწვავე ბრძოლებით, კონფლიქტებით. ადამიანი, მისი სტატუსი მწერლობასა და იური-დიულ აქტებში თავისი ეპოქისათვის მეტად მაღალ დონეზეა წარმოდგენილი.

ლექცია არა მარტო აცნობდა რთულ სამყაროს ადამიანის პიროვნების შესახებ ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, არამედ ამასთან ერთად იგი აღძრავდა მსმენელებში ენერგიულ სურვილს ამ ძველის შესასწავლად.

ლექციაში ზშირად დიდი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ საკვლევი საგნის თაობაზე „ჭერ კიდევ ზედმიწევნით თქმა არ შეიძლება“, წყაროებში „ჭერ სადა ცნობები არ მოიპოვება“, „ჭერ ზუსტად არ ვიცით“ და ა. შ. აქ ივანე ჭავ-ახიშვილისათვის დამახასიათებელ დასკვნების გამოტანის უბრალო სიფრთხილესთან და აუჩქარებლობასთან როდი გვაქვს მარტო საქმე. ივანე ჭავახიშვილი მსმენელთა წინაშე იმ საკითხებს აყენებდა, რომელთა შემდგომი შესწავლა და გამოძიება იყო აუცილებელი. ამით პირველი დეკანი სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტისა მომავალ საკვლევ პირობებზე მიუთითებდა. ეს პირობებები კი ურიცხვი იყო.

ერთ დროს ექვს გამოთქვამდნენ: ლირს კი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცალკე კათედრა არსებობდეს, იქლევა კი ამ კათედრის მუშაობისათვის ქართული კულტურა საკმარის საკვლევ მასალასო.

სიბრძნისმეტყველების დარგის მეცნიერული ისტორიის ფუძემდებლის პირველ ლექციიდანვე აშკარა გახდა კვლევის რა ოკეანეა გადაშლილი მეცნიერთა წინაშე უმდიდრესი ქართული კულტურის შესასწავლად. იმთავითვე ცხადი ხდებოდა, რომ ამისათვის ერთი კათედრა კი არა, მარტოდღენ ეროვნული უნივერსიტეტიც არ იქნებოდა საკმარისი.

ივანე ჭავახიშვილის ლექციის მწყობრ არქიტექტონიკას ამშვენებდა მისი სიტყვიერი გარსი.

ივანე ჭავახიშვილი არ საჭიროებდა ფაქტების გადატვირთვით მსმენელთათვის ფართო განსწავლულობა ეჩვენებინა.

მისი ლექცია — ესაა აღწერა მრავალ უძილო ღამეს გადახდილი ბრძოლისა ძველ ტექსტებთან, ლეგენდებით დაფარულ სინამდვილესთან, საკუთარ ექვებთან, ბრძოლისა, რომელიც გულისხმობს ძნელბედობის დროს დაკარგული და ისტორიის მტკრით დამარხული ფაქტებისა და მოვლენების აღმოჩენას, წარმოჩენას, დაწინაურებას.

მრავალი ფაქტი ლექციაში მწყობრ სისტემადაა წარმოდგენილი. მხოლოდ მათი ღრმად გაცნობით შეიძლება დარწმუნება, თუ რა მასშტაბის კვლევითი მუშაობაა ჩატარებული, ვიდრე გაცოცხლებოდა ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი წვით სისხლსავსე საქმიანობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ლექტორს არ ხიბლავდა ფსევდოარქაული ფორმები მეტყველებისა და ამიტომაც პირველ ლექციაშივე გაუარბის მათ.

ივანე ჭავჭავაძის ლექციისათვის მთლიანად უცხოა მოჩვენებითი ბრწყინვალეობა და ყალბი არტიტიზმი, რიტორული ენაწყლიანობა. მასში ყველაფერი აზრისა და იდეისადრია დაქვემდებარებული. იგი მეტად ეკონომიურად იყენებს სიტყვიერ ჩუქურთმებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამგვარი გამოყენება ზომიერი მხატვრული საღებავებით ძველი ავტორების შემოქმედებითი არსენალიდან ხდება. მარჯველ და გემოვნებით მოხმობილი ძველი ქართული სიტყვა-ტერმინი კი ლექციას ისტორიულ სურნელებას და კეთილზმოვანებას აძლევს.

რა ნიშნები ახასიათებდა დიდ ადამიანებს, ვითარცა მოღვაწეებს?

ჩვენი ძველი წინაპრების აზრით, მათ უნდა ასხვავებდეს „სივრცე გონებისაჲ“. ეს თვისება მათ ფართო გეგმების მოსაზრების საშუალებას აძლევდა და შორსმჭვრეტელობას უქმნიდა. ამასთან ერთად, აზროვნების სიღრმეც იყო საჭირო, ამიტომ მოღვაწე „ღრმად გამგონეც“ უნდა ყოფილიყო. ესეც საკმარისი არ იყო, ვინაიდან დიდ გეგმას დიდი ნებისყოფა და ენერჯია სჭირდება. ამიტომ გამოჩენილ მოღვაწეს უნდა ჰქონოდა „მღუღარებაჲ სულისაჲ“, დაუცხრომელი „კრთომაჲ და წადიერებაჲ სულისაჲ“, რომ ყოველგვარი სიძნელე გადაელახა.

ივანე ჭავჭავაძის პოპულარიზაციის მსხვერპლად არ ხდიდა მეცნიერების დიდ პრობლემებს და მას სმენადქცეული აუდიტორია თამამად შეჰყავდა ისტორიულ მოვლენათა რთულ ლაბირინთებში.

როცა ჩვენი ხალხის ძველს ისტორიაზე კლასიკური უბრალოებითა და ეპიკური სიღინჯით პირველ ლექციას კითხულობდა ნაამაგარ უნივერსიტეტში, — ივანე ჭავჭავაძის ყველაზე მეტად სწამდა ქართველი ერის მომავლისა.

ასე ჩაედგა სული თბილისის უნივერსიტეტს.

თ ა ვ ი VIII. უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის პირველი დეკანი

თბილისის უნივერსიტეტი არ შექმნილა მთავრობის დეკრეტით. მეტიც, ერთი სემესტრი და ორი თვე იგი კერძო უნივერსიტეტი იყო. ეს ერთი მხრივ ადასტურებდა უყურადღებობასა და გულგრილობას სახელმწიფო ხელისუფლებისას, მეორე მხრივ კი, ადასტურებდა დიდ წარმატებასა და თავდადებას პატრიოტ-მეცნიერთა გუნდისას. ყოველი სიძნელის მიუხედავად, ახალფეხადგმული თბილისის უნივერსიტეტი სრულიადაც არ აღმოჩნდა სუსტი არსება. თბილისის უნივერსიტეტს თავლობის თვეები არ ჰქონია. ყველაზე მძიმე განსაცდელი მას მაშინ დაატყდა თავს, როცა ნახევარ სემესტრსაც არ გაეგლო,

1918 წლის 3 აპრილის პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომა შეიკრიბა. მისი მოწვევა უმძიმესმა საშინაო და განსაკუთრებით, მწვავე სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. 2 აპრილს ოსმალთა ნაწილებმა ბათუმში დაიკავეს. შემდგომ ისინი ოზურგეთსა და ახალციხეს იკავებენ. ოსმალთა ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა თბილისს. ამ უმძიმეს მომენტში შეიკრიბნენ კავკასიის პირველი უნივერსიტეტის დამფუძნებლები. საბჭოს დღის წესრიგშია ორი საკითხი:

1. „შეწყდეს თუ არა ლექციები ოსმალეთის შემოტევის გამო ბათუმის მხარეში?

2. უნივერსიტეტისა და მუზეუმის დაცვის თადარიგი მოსალოდნელი საომარი მოქმედების ან არეულობის დროს“.

პირველი საკითხის გამო საბჭომ განაჩენი გამოიტანა.

„უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს.

იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს“.

მეორე საკითხის გამო კი კვითხულობთ:

„ეთხოვოს ვისაც ჭერ არს — დაყენებულ იქნენ საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარი მოქმედების ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“.

ამ რაინდულ წმინდა ფიცს, რაც ხალხს პატრიოტულად განაწყობდა, ხელს აწერდნენ პროფესორთა საბჭოს წევრები: პ. მელიქიშვილი, ივ. ჭავჭავიძე, ექ. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი და ი. ყიფშიძე.

არასდროს, არასდროს არ შეწყვეტილა ლექციების კითხვა თბილისის უნივერსიტეტში. არასდროს, არასდროს არ დაკეტილა და არ დაიკეტება ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის პირველი და ერთადერთი ფაკულტეტის დეკანისათვის არ არსებობდა წვრილმანი და მთავარი საქმე. არ ყოფილა რაიმე დეტალი, ივ. ჭავჭავიძელის ხელი რომ არ შეხებოდა მას. თვითონ ივ. ჭავჭავიძელის ხელითაა დაწერილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და სასწავლო გეგმა. მეტიც, ივ. ჭავჭავიძელმა მიაგნო ზუსტად ისტორიულად გამართლებულ სახელწოდებას ფაკულტეტისას. საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტი მრავალი დარგის გამაერთიანებელი იყო: აქ თავს იყრიდა ისეთი დარგები, რომელნიც შორეული კავშირითაც არ შეიძლება მომიჯნავედ განხილულიყო, თუმცა დარგის შიგნით. მათი შეერთება განსაზღვრულ პრინციპს ექვემდებარებოდა. მათ გერმანიაში ფილოსოფიური ფაკულტეტი ეწოდებოდა. ქართულად ეს მოუხერხებელი იყო. ივანე ჭავჭავიძელი განმარტავს: „ფილოსოფიას ქართულში ვიწრო, საკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაც აქვს. ამიტომ ჩვენი მიზნისათვის არ გამოდგება. სამაგიეროდ სიბრძნე ამისათვის შესაფერისია: მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ახლაც ამგვარადვე ფართოდ იგულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადყოფს, რომ „სიბრძნე“ მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში ძველად ფილოსოფია ესმოდათ

„შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგით“ — ნათქვამია ვეფხისტყაოსანში.

მაშასადამე, პოეზია და ხელოვნებაც „სიბრძნე“ ითვლებოდა. ეს ტერ-
მინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და მას სხვადასხვა დარგი ჰქონია. ამ
ამის გამო ვგონებ, გერმანული „ფილოსოფიური ფაკულტეტის“ გადმოსაცემად
ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ“. ასეც მოხ-
და. საქმე, მაშასადამე, არ ეხებოდა იმას, რომ მექანიკურად მიებაძათ გერმანული
უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტებისათვის. სამეცნიერო ძალების
სიმცირე მაშინ არ იძლეოდა რამდენიმე ფაკულტეტის შექმნის საშუალებას. 1918
წლის 1 სემესტრში უნივერსიტეტში (ამ დროს ის კერძო უნივერსიტეტი) იყო
505 მსმენელი. ამასთან ფული არ შემოუტანიათ და არ გამოცხადებულა 17:
დარჩა 488: ნამდვილი სტუდენტი იყო 310, აქედან 128 ქალი და 182 ვაჟი; თავი-
სუფალი მსმენელი იყო 96; ქალი—38, ვაჟი—58. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედ-
გენილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებსა და სასწავლო გეგმას
წინ უძღვის ზოგიერთი განმარტება. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თბილი-
სის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების, ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი
შეიცავს ყველა იმ საგანს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების სამს ფა-
კულტეტზეა: საისტორიო-ფილოლოგიურზე, აღმოსავლური ენებისაზე და
სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე.

„ამჟამად, — განმარტავდა ივანე ჯავახიშვილი, — ტექნიკურ და ქონებრივ
დაბრკოლებათა გამო, ამ ფაკულტეტის მხოლოდ ჰუმანიტარული და სოციალურ-
რი დარგების ლექციები მოეწყობა“. იქვე იგი იმედს გამოთქვამდა, რომ „შე-
მოდგომიდანვე სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგების ლექციებიც
დაიწყება, ამასთან ჰუმანიტარული და სოციალური დარგების ლექციების სიაც
შეივსება და მხოლოდ ოთხ წელიწადში შეიქმნება სრული“. მას უნივერსიტე-
ტის აღმშენებლობის პროცესის დამთავრება ოთხ წელს ჰქონდა წარმოდგენი-
ლი. შემდეგ იგი ჩამოთვლის პირველ სემესტრში წასაკითხ საგნებს. სულ 20
საგანს. იქვე დასძენს, რომ ყველა იმ საგნის არამცთუ შესწავლა, მოსმენაც
კი არც ერთ სტუდენტს არ ძალუძს, მეტიც, არც საჭიროა ეს. ამიტომაც აუ-
ცილებელი ხდება ცალკეული სპეციალობის შემოღება. ივანე ჯავახიშვილის აზ-
რით, სანიმუშო სამეცნიერო-სასწავლო გეგმა ჰუმანიტარული მეცნიერების
შემდეგი სპეციალობის სახით შესწავლას გულისხმობდა: 1) ფილოსოფიური
თვალსაზრისით, 2) ფსიქოლოგიურად ან 3) ენათმეცნიერების მხრივ, ან
4) სიტყვიერების დარგით, 5) ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების ხე-
ლოვნება და ხატოვანი ნივთიერი ხელოვნება), ან 6) ისტორიულად, ან 7) სოცი-
ალ-ეკონომიური თვალსაზრისით.

სოციალურ-ეკონომიკური, ანუ ეკონომიკური დარგი ითვალისწინებდა, ცხა-
დია, ეკონომიკურ დისციპლინებთან ერთად, რიგი იურიდიული დისციპლინე-
ბის შესწავლას, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სახელმწიფო სამართალი,
სააღმკვეთი (საეპოქო) სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და საერ-
თაშორისო სამართალი. ქართული სამართლის ისტორია იკითხებოდა საისტო-
რიო დარგზეც. ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს ჩვენ, სიბრძნისმეტყველების
ფაკულტეტი ამჟამად უნივერსიტეტში არსებული ყველა ჰუმანიტარული ფა-
კულტეტის წინამორბედად გამოვაცხადოთ.

ბუნებრივია, რომ პირველი სემესტრის გეგმის შედგენისას ივანე ჯავახი-
შვილი იმ არსებული სამეცნიერო ძალებიდან გამოდიოდა, რომელიც მაშინ
უნივერსიტეტში მოიპოვებოდა.

პირველსავე სალექციო ცხრილში გათვალისწინებული იყო პირველი დე-

ქანის ივანე ჭავჭავიძის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სასწავლო სალექციო დატვირთვა.

პირველი სემესტრი უნივერსიტეტის სიცოცხლისა დაიწყო 1918 წლის 1 თებერვალს და გაგრძელდა 18 ივნისამდე. დროის ამ მონაკვეთში ყოველკვირულად პროფესორი ივანე ჭავჭავიძელი კითხულობდა შემდეგ საგნებს: საქართველოს ისტორია — ორი აკადემიური საათი (40—40 წუთი), საისტორიო სემინარი, ორი აკადემიური საათი; ქართული სამართლიც ისტორია, ერთი აკადემიური საათი.

იმ დროს, როცა უნივერსიტეტი ერთი ფაკულტეტითაა წარმოდგენილი, გასაგებია, რომ მისი საქმიანობა არსებითად ემთხვევა მთელი უნივერსიტეტის საქმიანობას. ამ ვითარებაში უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და ფაკულტეტის კოლეგიუმის მუშაობა ემთხვევა ერთმანეთს. მთელი პირველი სემესტრის განმავლობაში ფაკულტეტს ცალკე სხდომა ერთადერთი ჰქონდა 27 იანვარს, როცა მან წიგნთსაცავის გამგის არჩევის (აირჩიეს პროფ. გ. ახვლედიანი) და ლექციების განაწილების საკითხი განიხილა. ამ დროს ფაკულტეტს დეკანი ჰყავს, მაგრამ ჯერ კიდევ არა ჰყავს მდივანი. მხოლოდ პროფ. პ. მელიქიშვილი და პროფ. ა. ბენაშვილი არ შედიან ფაკულტეტის შემადგენლობაში. ამიტომაც, გასაგებია, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საკითხებს ერთობლივად წყვეტენ. საკითხთა წრე კი კემპარიტად შეუზღუდველი იყო. ახალფეხადგმულ კერძო უნივერსიტეტს საზოგადოებას რა გამოუღვევდა მაინც სიძნელეები ახალ ენერჯიას ბაღებდა.

რუსეთისა და ევროპის სახელოვან უნივერსიტეტებში აღზრდილი ქართველი პროფესორები სწრაფად ნერგავენ ყველაფერს იმ კარგს, რაც საუკეთესო იყო საუნივერსიტეტო აკადემიურ ტრადიციებში.

უნივერსიტეტის საპატიო წევრად არჩევა მეცნიერისა, მისი სამშობლოსადმი პატივისცემის გამოხატულებაა. პირველი ამგვარი აქტი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა მოიშოქმედა, იყო რუსული მეცნიერების სახელგანთქმული წარმომადგენლის აკადემიკოს ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვის საპატიო წევრად არჩევა (1844—1925 წწ.). ივანე ჭავჭავიძის ხელით 1917 წლის მარტს დაწერილ წარდგინებას თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელზე ხელს აწერენ პირველი რექტორი და პირველი დეკანი. დახასიათება საზოგადოდ ამ გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნის მეცნიერულ დამსახურებას აღნიშნავდა, კერძოდ კი — ქართული ხელოვნების ისტორიის წინაშე და ასე მთავრდებოდა: „შეიძლება საზოგადოდ ითქვას, რომ, თუ რუსეთში და ევროპაში ქართულ ხელოვნებისადმი ცხოველი ცნობისმოყვარეობა არსებობს, ამას ჩვენ აკად. ნ. პ. კონდაკოვს უნდა ვუმაღლოდეთ.

ასეთი განსაკუთრებული ღვაწლის გამო საზოგადო ხელოვნების და ქართული ხელოვნების მეცნიერებისათვის სრულებით სამართლიანი იქნება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ იგი ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო წევრად აირჩიოს“.

მართლაც, პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია თავის საპატიო წევრად აკადემიკოსი ნ. პ. კონდაკოვი.

პროფესორთა საბჭოსა და სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტის ახალი ძალებით შევსება უნივერსიტეტის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად აქვთ წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, შემოკრებილ მკვლევართა სამეცნიერო დამსახურების აღიარებას, მეორე, ახალგაზრდა კადრების მოწვევას.

1918 წლის 21 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს ექვთიმე თაყაიშვილისათვის „ქონორის კაუზა“ ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მინიჭების საკითხს. ივანე ჯავახიშვილის წარდგინებითა და მოხსენებით საბჭო ერთხმად იღებს ამ გადაწყვეტილებას.

ივანე ჯავახიშვილი არ იშურებს გამოთქმებსა და შედარებებს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება სრულად წარმოაჩინოს. მარტო თავისი შესანიშნავი შრომებით როდი ფასდება ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. თავისი მოღვაწეობის 28 წლის მანძილზე მან ქართველოლოგიის დარგში გაავლო წარუშლელი კვალი. იგი განსაკუთრებით გულისყურით სიძველეთა შესწავლას, წარწერებისა, ხელნაწერების, ნივთიერი ნაშთებისა და ხელოვნების ძეგლების შეგროვება-შესწავლას ანდომებდა დიდ დროს. მისი დაუღალავი შრომათა და მუყაითობით შექმნილი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, ქართული ხელოვნების, არქეოლოგიის, მწერლობისა და ეთნოგრაფიის ძვირფას მასალებს შეიცავს. „ამ გზით მან მეცნიერებას მრავალი ნაშთი სამუდამო და უთუო დაღუპვისაგან გადაურჩინა და ქართულ სიძველეთა და ხელოვნების მეცნიერების მომავალს განვითარებას საუკეთესო პირობები შეუქმნა“. სწორედ სიძველეთმცოდნეობის ზოგადი საკითხები კი არ იტაცებდა იმდენად მას, რამდენადაც მისი ნაყოფიერი განვითარებისათვის მკვიდრი საფუძვლის ჩაყრა. მისი შრომები დიდ სამსახურს უწევდნენ და უწევენ მეცნიერებას, მეტიც, ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, „თანამედროვე მკვლევარი იმის შეათვლასაც ვერ გააკეთებდა, ბატონ თაყაიშვილის მრავალ ნაშრომს რომ საამისოდ ნივთი არ მოემზადებინა“.

ექვთიმე თაყაიშვილის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობის“ ორი ფუნდამენტური ტომი ივანე ჯავახიშვილს ავტორის მთელი მოღვაწეობის გვირგვინად მიაჩნია. ამ გამოკვლევებში მას სრულებით ახალი და ამასთანავე სამუდამოდ შეურყეველი ცნობები აქვს გამოქვეყნებული. რა თქმა უნდა, დოქტორის — მოძღვართ-მოძღვრის ხარისხი სწორედ სამეცნიერო ნაშრომისათვის უნდა მიეცეს პირს. არა მარტო ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მისი ნაშრომი, არამედ ისინი მეტად მძიმე, ხელისშემშლელ ვითარებაშია დაბეჭდილი, და ეს კიდევ უფრო ზრდის მათ მნიშვნელობას. ივანე ჯავახიშვილი დაასკვნინდა: „თითოეული ამ ორ წიგნთაგანი საკმარისია, რომ მის ავტორს მოძღვართ-მოძღვრის, ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიეღო. ბატონ ე. თაყაიშვილის სამეცნიერო შრომას საზოგადოდ მეცნიერული სიფრთხილე, სიღინჯე და საფუძვლიანობაც ახასიათებს. განსაკუთრებით აღნიშნულ უნდა იყოს, რომ ბატონმა თაყაიშვილმა სამეცნიერო ნაყოფიერი მუშაობა შესძლო ქართული საზოგადოების გულგრილობისა და იმ მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზების და გარემოებათა მიუხედავად, რომლითაც ბევრი ნიჭიერი ქართველი თავის უმოქმედობას და უსაქმურობას ამართლებდა და ეხლაც ხშირად ამართლებს“.

შესანიშნავი მაგალითი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლისა ნამდვილი კოლეგის უშურველობით, ივანე ჯავახიშვილმა საყოველთაო მოწონებისა და მიბაძვის საგნად აქცია.

საპროფესოროდ მოსამზადებლად ნიჭიერი და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის მქონე ახალგაზრდათა დატოვება უნივერსიტეტის დებულების აუცილებელი მოთხოვნა იყო. გასაგებია, რომ შეუძლებელი იყო ლოდინი, ვიდრე პირველი გამოშვებიდან შეიჩივრდნენ ამ დანიშნულებისათვის ნიჭიერი ახალგაზრდები. აუცილებელი იყო სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კურს-

დამთავრებულთა შორის ღირსეულთა შერჩევა. ივანე ჭავჭავაძის ყველა ისინი აღრე, უნივერსიტეტის დაარსებამდე ჰყავდა მინიშნებული.

აკი 1917 წლის 26 ნოემბერს პროფესორთა საბჭოს პირველ წინასწარ სხდომაზე ივანე ჭავჭავაძილმა ჩამოთვალა ისინი, ვისი დატოვებაც უნივერსიტეტში სასურველი იქნებოდა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ესენი იყვნენ: ს. ლომია, დ. ყიფშიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე¹, კ. გამსახურდია, მ. ხანანაშვილი, მ. შვეარდნაძე და სხვ. იმავე სხდომაზე იგი რწმენით ამბობდა: „როგორც ხედავთ, ორი წლის შემდეგ საკმაოდ ძლიერი კოლეგია გვეყოლება“. ს. ლომია და დავით ყიფშიძე იმედების მომცემი ახალგაზრდა მკვლევარები იყვნენ, ერთი სპარსულ ენასა და ლიტერატურაში იწრთვნებოდა, მეორე — სომხურ საისტორიო მწერლობაში. ს. ლომია გარდაიცვალა ტიფით, სპარსეთს მივლინებული ქალაქ რეშტში. დ. ყიფშიძე კი — ტუბერკულოზით თბილისში, ორთავე — 1919 წელს. იმავე წელს გარდაიცვალა უნივერსიტეტის მთავარი დამარსებელთაგანი პროფესორი იოსებ ყიფშიძე. ეს თავიდანვე დიდი დანაკლისი იყო. მის შევსებას განუხრელად ცდილობს ივანე ჭავჭავაძე და იგი პოულობს ახალ-ახალ ძალებს. 1918 წლის 6 დეკემბერს ივანე ჭავჭავაძის წინადადებით საპროფესოროდ მოსამზადებლად ტოვებენ ბერძნულ-ბიზანტიურ ფილოლოგიაში ს. ყაუხჩიშვილს. მან სულ მალე გამოიჩინა თავი, როგორც დაუცხრომელმა მკვლევარმა და ტექსტოლოგმა. განუხრელად გრძელდება მეცნიერ მუშაკთა საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვება სამართლის, ეკონომიკის, გეოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკისა და სხვა დარგებში.

ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა პირველ სტუდენტებთან. სტუდენტებსა და მსმენელებს შორის ბევრი იყო ჭიკაბაძის დათოვლილი, იყვნენ ისეთნიც, ვისაც სხვა უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და ახლა მშობლიურ ენაზე გადაეწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება. ლექტორთა უდიდესი ნაწილი ბევრ მსმენელზე ახალგაზრდა იყო.

უნივერსიტეტის არსებობის პირველ სემესტრში საისტორიო და საფილოლოგიო განყოფილებაზე პროფესორისა და ლექტორის ხელდასაცმინაზიის მასწავლებლის სარგოს ნახევარს უდრიდა. ლექციები საღამოობით 5 საათიდან იწყებოდა. უნივერსიტეტი არც ერთხელ არ გამოთარა. აუდიტორიას დიდი ლამაზი ანათებდა. თუმცა, როგორც ვარლამ თოფურია აღნიშნავს, არც ერთხელ არ მომხდარა, რომელიმე ლექტორი პალტო-ჩაცმული შემოსულიყო აუდიტორიაში. არც აღრიცხვა ყოფილა და არც ეურნალი, მაგრამ ყველა სტუდენტს თავი ვალდებულად მიაჩნდა, რომ არც ერთი ლექცია არ გამოეტოვებინა. იმის მიუხედავად, ესმოდათ თუ არ ესმოდათ ლექციის შინაარსი, ყველანი სულგანაბლად უსმენდნენ ლექტორებს. სამუშაოდან დაბრუნებულ სტუდენტს ხშირად ფეხზე მდგომს უხდა მოესმინა ლექცია. აუდიტორიებში არ იყო

¹ მოწიწებით და პასუხისმგებლობის ფაქიზი გრძნობით ეპყრობოდნენ ქართულ უნივერსიტეტში მოწვევის შესაძლებლობას დასახელებულნი. ამგვარი მოწვევის თაობაზე ქართული კულტურის დიდებულ მოღვაწე გერონტი ქიქოძე ივანე ჭავჭავაძის სწერდა: „დიდად პატივცემული ბატონო ივანე! ყოველდღიური საგაზეთო მუშაობა ადამიანს დილერანტად ხდის. განსაკუთრებით ჩვენს სამშობლოში, სადაც ასეთი აუტანელი პირობებია მეცნიერული მუშაობისათვის. მგონია, რომ პირადად ჩემთვის აგრერივად ადვილი არ იქნებოდა კუბლიყისტის მოღვაწეობის შეცლა აკადემიურზე. საჭირო იქნება ორიოდ წლით უცხოეთში წასვლა. სხვა არა იყოს რა, ეს საღიქტორო ვგზამენებისათვის არის საჭირო. თუ ეს შეეძლება, დიდი სიამოვნებით დავსთანხმდები თქვენს წინადადებას და მთელს ჩემს ძალღონეს მომავალ ქართულ უნივერსიტეტს შევსწირავ“.

სკამების დასატევი ადგილები. არც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი და სასადილო არსებულა: სწავლის ქირა თითქმის ყველა სტუდენტისაგან იყო სავალდებულო. ხშირად ხდებოდა, სტუდენტების თხოვნით გადაუხანებდნენ მათ გადახდას. ზოგჯერ უნივერსიტეტის გამგეობა საკუთარი ინიციატივით აყენებდა საკითხს სწავლის ქირისაგან სტუდენტის გათავისუფლებისას, ანდა, რომ ედროვოს სტუდენტებს კიდევ ერთი სემესტრი სწავლის ფულის გადახდა, ანდა შეწყნარებულ იქნეს თხოვნა სწავლის ფულისაგან გათავისუფლების შესახებ, ამით უნივერსიტეტის გამგეობა ყოველთვის ცდილობდა სწავლის ფულის შეუტანლობის გამო არ დაეკარგა ნიჭიერი სტუდენტი. 1919 წლის 17 მაისს უნივერსიტეტის გამგეობა იხილავს „თხოვნას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისას, დახმარება აღმოუჩინოს ნიჭიერ სტუდენტს ბ. ჩიქობავას, რომელიც ხელმოკლეობას განიცდის“.

დაადგინეს: „შეიკრიბოს დაწვრილებითი ცნობები ბ. ჩიქობავას ნივთიერი მდგომარეობის შესახებ და, თუ მართლა მწვევე ხელმოკლეობას განიცდის, შეტანილ იქნეს ერთი წლის ქირა“.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობამ დასვა საკითხი, სტუდენტებმა რა ფორმა ან ნიშანი ატარონო. 1918 წლის 30 ნოემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ დადგენილება გამოიტანა, რომ „რადგანაც არსად, რუსეთის გარდა, არ არსებობს სტუდენტთათვის განსაკუთრებული ფორმა (კორპორაციები სათვალავში მისაღები არ არის) და რუსეთშიც კი არ ყოფილა იგი სამოციან-სამოცდაათიან (1864—1884) წლებში, ამიტომ საკითხი ჩვენი სტუდენტობის მიერ ფორმის ტარების შესახებ უარყოფილ იქმნეს“.

თბილისის უნივერსიტეტში მისი სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაქცევის შემდეგაც (1918 წლის 3 სექტემბერი), არც ერთი სახაზინო სტიპენდია არ არსებულა. ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. სტიპენდიების ფონდი დროდადრო კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებით თუ შეიქმნებოდა. უნივერსიტეტის სასარგებლოდ განუხრელად შემოდიოდა შემოწირულებანი, წიგნები, ლაბორატორია-კაბინეტების მოწყობილობანი. ბევრი პატრიოტი სპეციალისტი მზად იყო, თავისი შრომითი სამსახური შეეთავაზებინა უნივერსიტეტისათვის. ასე ბევრი რამ გაკეთდა უსასყიდლოდ. 1918 წლის 5 თებერვალს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივ. ჭავჭავიძემ აღძრა საკითხი, რომ ინიცირებოდა „მადლობა გამოეცხადოს უნივერსიტეტის ბინის შეკეთების უსასყიდლოდ ხელმძღვანელობისათვის“. მართლაც, 1918 წლის 7 თებერვალს ქურდიანების არქიტექტორთა კლანის უხუცეს წარმომადგენელს ინიცირებდა გიორგი ქურდიანს უნივერსიტეტის რექტორის პროფ. პ. მელიქიშვილის, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის პროფ. ივანე ჭავჭავიძის და სწავლული მდივნის პროფ. ი. ყიფშიძის ხელმოწერით ეგზავნება წერილი „დიდად, პატივცემულო ბ-ნო გიორგი!“

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ ენერგიულ და თან უსასყიდლოდ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ მას გაუწიეთ უნივერსიტეტის ბინის მოწყობაში“.

შემდეგ, ბევრმა ქართველმა ინიცირებმა მიბაძა გ. ქურდიანის პატრიოტულ მაგალითს.

ახალი ძალების მოწვევაში დიდი აქტიურობის გაჩაღებისა და ახალი ფაკულტეტებისათვის უშუალო-თადარიგის დაქერის გარდა ივანე ჭავჭავიძის განუხრელად აფართოებს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალ გეგმას. 1918

წლის 2 მაისის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება კავკასიის სხვადასხვა მთიელთა ენების შესწავლის შესახებ. ამ მოხსენებაში კიდევ ერთხელ დასაბუთებულია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც კავკასიის ერების ენებისა და ფოლკლორის, აგრეთვე ზნე-ჩვეულებათა შესწავლას აქვს თვით ჩვენი ენის, მწერლობისა და წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის. კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ქართულმა უნივერსიტეტმა მომავალში გონივრულად შედგენილ გეგმას უნდა დაუქვემდებაროს. აქ გადამწყვეტი ფაქტორი არ შეიძლება იყოს სარწმუნოებრივი სხვაობა. ამიტომ ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „ჩვენ ქართველთა დაუცხრომელი ცდა ერთი მიზნისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ჩვენ კავკასიის მთიულებს, ჩვენს მეზობლებს, ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძროთ და გულის სიღრმემდე ვაგრძნობინოთ, რომ სარწმუნოების გარდა ადამიანისათვის სხვა ბევრი ღირებულებაც არსებობს“. მით უფრო, განაგრძობდა ივ. ჯავახიშვილი, რომ „სხვებზე მეტად კავკასიის მთიულებთან ტომობრივად ჩვენ ქართველნი ვდგავართ ახლო“. ამასთან ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფდა რაიმე წადილს მთიელთა ეროვნული ასიმილაციისა. ამგვარი „აზრი ჩვენ ფიქრადაც არ უნდა გვქონდეს, საამისოდ ჩვენ არც ძალა გვაქვს და, თუნდაც რომ ძალა გვქონდეს, მაინც არ უნდა ვიკადროთ. ჩვეულებრივ ამგვარი პოლიტიკაც უფრო უსიამოვნებასა და შტრობას სთესავს, ვიდრე სიყვარულს. მხოლოდ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი“. მაშასადამე, თანამედროვე ქართულმა მეცნიერებმა, აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, კავკასიის მთიელთა ენები უნდა შეისწავლონ და შემდეგ მათ შორის განათლებისა და ეროვნული შემეცნების შუქი მოჰფინონ, არა მარტო იმიტომ, რომ კავკასიის მთიელთა და დაღესტნის ენების შესწავლა ჩვენი დედაენის შესწავლისათვის აუცილებელია, არამედ „ვითარცა მეზობლებს ამ ენების შესწავლა სხვებზე უფრო აღვილად შეგვიძლიან“. მაშასადამე, კავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება თავის მეცნიერულ მიზანდ უნდა დაესახა თბილისის უნივერსიტეტს. სხვა ხალხების ღრმა პატივისცემით. წაკითხულ მოხსენებას ივანე ჯავახიშვილი ასე ამთავრებდა: „ერთა შორის მჭიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რომ ენის უცოდინარობა ორთავე მხრივ მოღვაწეებს საშუალებას არ აძლევს ერის გულის ნადები შეიგნოს და გაიზიაროს და თავისი გულის ტკივილიც სიღრმემდე აგრძნობინოს, ამიტომაც ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იყოს-როს“.

1918 წლის 2 მაისის პროფესორთა საბჭომ მხურვალედ მოიწონა ივანე ჯავახიშვილის მოხსენება და ფრიალ კონკრეტული განაჩენიც გამოიტანა: მიღებულ იქნეს ზომები მთიელთა ენების შესასწავლად. მომავალ ენკენისთვის დანევ მოეწყოს ოსური ენის სწავლება და ამ საქმის სწავლება მიენდოს პროფესორის მოადგილეს გ. ახვლედიანს. აგრეთვე აფხაზური ენის შესასწავლად მოწვეულ იქნეს პ. ჰარაია. „შემდგომ თანდათანობით სამეცნიერო ძალთა და საშუალებათა მიხედვით მოეწყოს დაღესტნისა და საჩეჩნოს ენების შესწავლაც“. როგორც ცნობილია, მოვლენები შემდგომ ასეც განვითარდა.

1917 წლის 25 სექტემბერს კენჭისყრით პეტროგრადადის უნივერსიტეტის საბჭომ დაამტკიცა სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრის დოცენტის საშტატო თანამდებობაზე პრივატ-დოცენტი ი. ა. ჭავჭავიძე.

წარდგინება აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა გააკეთა. თაოსანი ამ წამოწყებისა ფაკულტეტის დეკანი აკადემიკოსი ნიკო მარი იყო.

1917 წლის 9 სექტემბერს იგი იოსებ ყიფშიძეს სწერდა, შეეტყობინებინა ივანე ჭავჭავიძელისათვის, რომ მის კანდიდატურას დოცენტად აყენებს და ხომ არა აქვს მას რაიმე საწინააღმდეგო, „თუ არ სურს, დაე დროულად მაცნობოს ამის შესახებ. თუკი სურს, მაშინ დუმილს ჩავთვლი თანხმობად“.

დოცენტად არჩევა უეპველი პატივი იყო, ვინაიდან ეს არსებითად ნიშნავდა პეტროგრადადის სახელოვანი უნივერსიტეტის პროფესორთა კორპორაციის წევრობას. 1917 წლის 24 ივნისის დადგენილებით შემოღებული რუსეთის უნივერსიტეტების დოცენტის საშტატო თანამდებობა გაცილებით მეტ უფლებებს იძლეოდა, ვიდრე პრივატ-დოცენტობა. დოცენტად ხუთი წლით ამტკიცებდნენ, ეს გულისხმობდა მნიშვნელოვნად გაზრდილ ხელფასს, პენსიის მიღების უფლებას. რაც მთავარია, დოცენტი გადამწყვეტ მონაწილეობას იღებდა ფაკულტეტის ცხოვრებაში. მას, გარდა იმისა, რომ ოთხსაათიანი ნორმის ფარგლებში უნდა ჩაეტარებინა სასწავლო მუშაობა, ფაკულტეტის კრებაზე (საბჭოზე) გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდა ყველა საკითხში, პირის პროფესორად არჩევის გამოკლებით. დოცენტი სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდა უნივერსიტეტის საბჭოს მუშაობაში. იგი სარგებლობდა სასწავლო-დამხმარე დაწესებულებებით და შეიძლებოდა დანიშნულიყო მათ ხელმძღვანელად.

მსგავს უფლებებს მოკლებული იყო პრივატ-დოცენტი, რომლის კავშირი უნივერსიტეტთან არსებითად ლექციების კითხვით და ამის საფუძველზე დადგენილი ანაზღაურებით შემოიფარგლებოდა. ამასთან, თუ პრივატ-დოცენტი არ ასწავლიდა ნახევარი წლის განმავლობაში, მას ეს წოდება ეხსენებოდა.

1917 წლის 2 ოქტომბერს დაიწყო ლექციების კითხვა პეტროგრადადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე.

პეტროგრადადის უნივერსიტეტი 1917 წლის 13 ოქტომბერს ატყობინებდა ივანე ჭავჭავიძელს: აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დეკანს იმედი აქვს, რომ თქვენ უახლოეს ხანში დაბრუნდებით პეტროგრადადში ლექციების წასაკითხად, უნდა გვაცნობოთ თქვენი არყოფნის მიზეზების შესახებო. კიდევ რამდენიმე შეხსენება ეგზავნება ივანე ჭავჭავიძელს. მაინც პეტროგრადადის უნივერსიტეტი არ ჩქარობს „გამოუცხადებლობის მიზეზით“ დაუყოვნებლივ უარი თქვას შტატის თანამშრომელზე (აქ ივანე ჭავჭავიძელს მერტ ბრალი აქვს: ორი სემესტრია, რაც არ გამოცხადებულა ლექციებზე). ნიკო მარს დიდა გარდაქმნება აქვს დასახული ფაკულტეტზე, განსაკუთრებით კი კავკასიოლოგიის გაფართოების მიმართულებით. ამიტომაც იწვევს ივანე ჭავჭავიძელს, იოსებ ყიფშიძეს... უკან პეტროგრადადში. მიუხედავად ოფიციალური და არაოფიციალური შეხსენებისა, ნიკო მარს პასუხი არ მიუღია.

ღრთივერთობის საბოლოო გარკვევა გვიან მოხდა.

1918 წლის 4 ივლისს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანის ნ. მარისა და მდივნის ი. კრაჩკოვსკის ხელმოწერით წარდგინება ეგზავნება პეტროგრადადის უნივერსიტეტის რექტორს. მასში ვკითხულობთ: „აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა თავის სხდომაზე მიმდინარე წლის 28(15) ივნისის რიცხვით

დაადგინა: ცნოს ფაკულტეტის შემადგენლობიდან გასულად მომავალი აკადემიური წლის დასაწყისიდან დოცენტი თავადი ი. ა. ჭავჭავიძე და პრივატ-დოცენტი ი. ა. ყიფშიძე, რომლებიც არ შესდგომიან ლექციების კითხვას 1917 წლის შემოდგომიდან (თავადი ჭავჭავიძე) და 1918 წლის გაზაფხულიდან (ყიფშიძე) და არ უცნობებიან გამოუცხადებლობის მიზეზები, მიუხედავად მათდამი რამდენიმე შეკითხვისა“.

ამის შესახებ რექტორმა მოახსენა უნივერსიტეტის საბჭოს, რომელმაც დაამტკიცა ფაკულტეტის გადაწყვეტილება 1918 წლის 23 სექტემბერს.

სავსებით შეიძლება გაამართლო აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის წარდგინების განაწყენებული ტონი. ამ ფაკულტეტის დოცენტი და პრივატ-დოცენტი (ი. ყიფშიძე გამოცხადდა სექტემბერში, მაგრამ ნოემბერში მან მიატოვა ლექციები) არა თუ არ ცხადდებიან სალექციო მუშაობისათვის, არამედ ამის მიზეზსაც არ ასახელებენ. რასაკვირველია, ყველაფერს იმდროინდელი ფოსტის მოშლას ვერ დააბრალებთ.

ახლა მოვეუსმინოთ მეორე მხარეს.

ივანე ჭავჭავიძე დიდად აფასებდა პეტროგრადის უნივერსიტეტის მხრივ ამ აღიარებას. თავის ავტობიოგრაფიაში შემდგომ ყოველთვის მიუთითებდა, რომ 1917 წელს იგი პეტროგრადის უნივერსიტეტმა დოცენტად აირჩია, თუმცა ამ უფლების გამოყენება მან ვერ შეძლო. სხვა შემთხვევაში ძნელი უარი თქვა ამ პატივზე, მაგრამ ივანე ჭავჭავიძელს „ხელი შეუშალა“ იმან, რომ უკვე ზენიტს უახლოვდებოდა საუნივერსიტეტო იდეისათვის ხალხში გადატანილი მოძრაობა.

ივანე ჭავჭავიძელის დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმა, რომელიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნებაც იყო, სხვა წინადადებებსა და საპატიო მოვალეობას უკანა რიგში აყენებდა.

ეს საპატიოზე საპატიო მიზეზი — კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის გახსნა — ამართლებს მეორე მხარის „ურჩობას“.

„აღზრდილმა შავარდნებმა“ თავიანთი ბუდეები დატოვეს, რაც აღზრდელისათვის შეტად გულსატკენია, მაგრამ ცალკე ბუდეების შექმნა სრულიადაც არ არის ჯაფიშვილთა ბუნტი სულიერი მამის წინააღმდეგ. შემდგომმა წლებმა პატივისცემის ეს გრძნობა ყოველმხრივ დაადასტურა.

ასეა, როცა ორივე მხარე მართალია.

ყოფილი მოძღვარი და ყოფილი შეგირდი შორდებიან ერთმანეთს. ქარწყლდება მოძღვარ-მოწაფის ადრინდელი სამეცნიერო ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან აღარ არის სულიერი ნათესაობა და მეცნიერულ ნიადაგზე თანხმობა მათ შორის. ცნობილია, რომ სხვანაირად ერთადერთი ფაქტორი, რომ მოძღვარი ადრე დაიბადა და მასწავლებლადაც ადრევე იყო. ამ ურთიერთობას სამისდღეშიოდ ვერ აქცევს. ნიკო მარს ყოფილ მოწაფეთა მხრივ თვითნებობად მიაჩნდა პეტროგრადის ორიენტალისტური სკოლის მიტოვება, ისიც ასეთი არათავაზიანი ფორმით — მრავალჯობის შეტყობინების მიუხედავად, უარის პასუხიც არ მოუწერიათ.

ნიკო მარის მოწაფეებს კი დიდად აკვირებებს, როგორ სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა ყოფილი მასწავლებლისათვის, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნა მათთვის უწმინდესი სულისცვეთების და უძვირფასესი გულისნადების, წლობით ნაფიქრი ოცნების, ზრახვებისა და გრძნობების ხორცის შესხმა იყო.

აკადემიკოს ნიკო მარისათვის პეტროგრადიდან ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მისი ადრინდელი მოწაფე, რომელიც ქართული უნივერსიტეტის შენებას

მთავეობდა, ამ ძნელ წამოწყებაში ასეთ წარმატებას მიაღწევდა. ივანე ჯავახიშვილს ხომ თავის დიად წამოწყებაში არსებული ხელისუფლება მხოლოდ ხელს უშლიდა, მას არც მდიდარი მეცენატები ჰყავდა, მანამდე არც ერთი მანეთი არ ყოფილა შეგროვილი, მას არც ვინმეზე ბრძანების გაცემა შეეძლო. მხოლოდ დიდ ორგანიზატორს შეეძლო ამ ვითარებაში გამოსავალი ეპოვნა და სწორედ ასეთი სწორუპოვარი ორგანიზატორი იყო ივანე ჯავახიშვილი. მალე ამ საქმის პირველი მიღწევების შესახებ 1918 წლის 24 მარტს ნიკო შარს პეტროგრაღში სწერდა ექვთიმე თაყაიშვილი: „ქართული უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნა. საქმე ძლიერ კარგად მიდის, მსმენელები ხუთასზე მეტია, და სხვებს უარი უთხრეს უადგილობის გამო. ჯავახიშვილი ბევრს მუშაობს, სხვებიც ძლიერ გულწრფელად ეკიდებიან საქმეს, ისე კითხულობენ ქართულ ლექციებს, თითქო ოცი წლის პრაქტიკა ჰქონდეთ“. იგი იმედსაც გამოთქვამდა. რომ ბოლოს და ბოლოს იგი აქ სამშობლოში დაუბრუნდებოდა ქართულ უნივერსიტეტს.

ქართული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის წინასწარ დასახულებით, საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობათა შესწავლით და კადრების მომზადებით ხელს შეუწყობდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, საერთო-სახალხო დოკლათის გაზრდას. ქართულ უნივერსიტეტს თავისი მეცნიერული გამოკვლევებით მსოფლიო მეცნიერებისათვის უნდა გაეცნო ქართველი ხალხის დიდი კულტურული მემკვიდრეობა. საქართველო უნდა შეესწავლა ეროვნულ უნივერსიტეტს როგორც ბუნებრივ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე საზოგადოებრივ-ისტორიული. იგი არც ამით უნდა შეზღუდულიყო. ამასთან ერთად, მას წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მატერიალური და კულტურული-ისტორიული სამყარო უნდა შეესწავლა. რასაკვირველია, ყოველივე ამასთან ერთად, თბილისის უნივერსიტეტს უველა ის ამოცანაც უნდა შეესრულებინა, რაც საზოგადოდ უნივერსიტეტს აკისრია.

მთავარი სიკეთე, რაც ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას ახლდა, ეს იყო შინ, მშობლიურ ენაზე უმაღლესი მეცნიერების დაუფლება, ადგილზევე მომზადება მეცნიერული ძალებისა. მაშასადამე, ქართული უნივერსიტეტის უდიდესი მნიშვნელობა მართო იმაში კი არ იყო, რომ ამით იქმნებოდა ერთიანი ცენტრი და გაფანტულ პროფესურას საშუალება ეძლეოდა აქ ემუშავნა, არამედ იმაშიც, რომ უნივერსიტეტის პროფესურა, რომელიც ახლო იყო გლეხობასთან, ხალხში კითხულობდა ლექციებს, სოფლად ისვენებდა ზაფხულობით (იქნებოდა ეს ექიმი, აგრონომი, ინჟინერი თუ ბუნებისმეტყველი) გადასცემდა მასაც ცოდნას და მეცნიერების მიღწევებს. ქართული უნივერსიტეტი ეკონომიურად უადვილებდა ღარიბთა შვილებს სწავლას. რამდენ ღარიბ და ხელმოკლეს ვერ გაუგზავნია ნიკიერი შვილი შორს სამშობლოდან. თბილისთან სიახლოვე საშუალებას აძლევდა გლეხს, მისი ნატურალური შემოსავლის ერთი ნაწილი, მისივე სტუდენტ შვილისათვის მიეწოდებინა. თბილისში ბევრი სტუდენტი მშობლის გამოგზავნილი სანოვაგით ირჩენდა თავს. როგორც სტუდენტთა ერთი ჯგუფი წერდა გვიან, ისინი საკუთარი „ფქვილით“ არსებობდნენ:

მთავარზე მთავარი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ ამიერიდან ერის ნიკიერ შვილს მშობლიურ ენაზე შეეძლო მეცნიერების ძველსა და ახალ დარგებს დაუფლებოდა, ხოლო მეცნიერ-მკვლევარს თავის ეროვნულ ბუნებრივ წიაღში ემოღვაწნა.

ერთი ფაქულტეტით უნივერსიტეტის კონსერვაცია როდი სურდათ მის შემქმნელებს. როგორც დაინახეთ, თავიდანვე განზრახული იყო, თანდათანობით იგი სრულ უნივერსიტეტად გადაექციათ.

უკვე პირველ სემესტრში იწვევენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. ასე, 1918 წლის 30 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოზე განიხილება „მოსკოვის უნივერსიტეტთან დატოვებულის საპროფესოროდ მოსამზადებლად წმინდა მათემატიკის კათედრაზე მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის არჩილ კირილეს ძე ხარაძის თხოვნა მისთვის ქართულ უნივერსიტეტში ლექტორის თანამდებობის ასრულების შესახებ“.

საბჭო აკმაყოფილებს ამ თხოვნას. ასე იწყება ახალი და ახალი ძალების მოწვევა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაქულტეტის შესაქმნელად. არანაკლებ საშურია სამკურნალო (სამედიცინო) ფაქულტეტის დაარსება. აქ მარტო უნივერსიტეტის სრულ უნივერსიტეტად გადაქცევის სწრაფვა კი არ წყვეტდა საქმეს. მთავარი ის იყო, რომ რუსეთში გაჩაღებულ სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის გამო იქ მოსწავლე ქართველი სტუდენტობა უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებდა და მიმართავდა ახალფეხადგმულ უნივერსიტეტს, ნება დაერთო აქ გამოცდების ჩაბარებისა.

1918 წლის 30 მაისს პროფესორთა საბჭოს სხდომა ქმნის კომისიას, რომელსაც ევალება, გადაწყვიტოს საკითხი რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტობისათვის ყველა ფაქულტეტთან საგნების ჩაბარების შესახებ, ხოლო „საეჭიშო ფაქულტეტის სტუდენტები უნდა გამოცდილ იქნენ ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ“.

ამასთან ერთად სამშობლოში ყოფნა მეცნიერ მედიკოსთა უაღრესად სასარგებლო: საქმე იყო. 1918 წლის 27 თებერვალს პროფესორთა საბჭო იხილავს საკითხს სააღდგომოდ სამშობლოს გარეთ მყოფ ქართველ ექიმ პროფესორთა, დოცენტთა და მეცნიერ ხელმძღვანელთა დაბრუნებისა და მათი კრების გაპართვის შესახებ, სადაც ერთ საკითხად სამკურნალო ფაქულტეტის გახსნა უნდა იყოს დასმული. საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია: „სამკურნალო ფაქულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის. ამ ფაქულტეტზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავდა დიდ გამარჯვებას ამ საქმისა“.

სამკურნალო (სამედიცინო) ფაქულტეტის დროული შექმნა უზრუნველყოფდა მისთვის ბევრ სამკურნალო (სამედიცინო) დაწესებულებათა გადმოცემას. რასაკვირველია, აღნიშნავდა ივანე ჭავჭავიძე, რომ ნაჩქარევად და მოუზნადებლად ცალკე ფაქულტეტების შექმნა თავის მოტყუილება იქნებოდა, ამისათვის იმთავითვე არა მარტო საკმარისი ძალები არ გააჩნდათ, არამედ, როგორც ჭერ კიდევ 1917 წლის 26 ნოემბერს ამბობდა ივანე ჭავჭავიძე, „ხარჯების შესამციკებლად სჭობდა ერთი ფაქულტეტი, თორემ სამი დეკანი და სამი მდივანი ჩვენი ბიუჯეტისათვის მძიმე იქნებოდა“.

პროფესორთა საბჭოს 1918 წლის გაზაფხულზე დადგენილება დადგენილებაზე გამოაქვს საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო ფაქულტეტის შესაქმნელად. 1918 წლის 2 მაისს პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ, რომ ამ ენკენისთვიდან გასახსნელი საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო ფაქულტეტის საქირო „ხარჯთაღრიცხვის შედგენა თავს იღვა დეკანმა ივ. ჭავჭავიძელმა“. მალე, თეანახევრის შემდეგ, 1918 წლის 17 ივლისს

კვლავ დადგა სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის საკითხი. წინასწარი ღონისძიებანი ხომ თავიდანვე იყო მიღებული.

თავის სხდომაზე ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, თავმჯდომარის ს. ვირსალაძისა და მდივნის მ. წინამძღვრიშვილის ხელმოწერით, წერილს უგზავნის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს, რამდენადაც ამ უკანასკნელს მიღებული აქვს გადაწყვეტილება სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის შესახებ, სასურველია ამთავითვე მოწვეულ იქნეს დეკანი სამკურნალო ფაკულტეტისა, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის დაფუძნებასა და მოწყობაში. იმ დროს ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და ქართველ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა საზოგადოების ხელმძღვანელობის მეთავეობით საქმე დიდად წინ წავიდა.

საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო ფაკულტეტის გახსნას უფრო ხელშემწყობი გარემოება გააჩნდა. ჯერ ერთი, თბილისში იყვნენ დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი და ა. ბენაშვილი, გეოდეზიის პროფესორი პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიისა (მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა). ცოტა მოგვიანებით მათ უერთდება ანდრია რაზმაძე. ზემოდასახელებულ მეცნიერებს შეეძლოთ როგორც მათ მიერ არჩეულ დარგებში, ისე მომიჯნავე დისციპლინებშიც წაეკითხათ ლექციები, ვიდრე შესაბამისი უშუალო სპეციალისტი შესძლებდა ლექციის წაკითხვას. პროფესორი პ. მელიქიშვილი მზად იყო ქიმიის სხვადასხვა დარგებში წაეკითხა ლექციები, ხოლო პროფ. ა. რაზმაძე, მათემატიკის გარდა, მზად იყო ფიზიკის სხვადასხვა დარგზე დაეწყო ლექციების კითხვა, მანამდე, ვიდრე ალ. დიდებულიძე ჩამოვიდოდა ოდესიდან.

რასაკვირველია, ლექციების ქართულად კითხვა სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო დარგებზე მეტად და უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ჰუმანიტარულ დარგებზე: ისტორიასა და ფილოლოგიაში, ფილოსოფიასა და იურისპრუდენციაში. აქი ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგენი და ურწმუნონი დათმობაზე მიდიოდნენ, აღიარებდნენ, რომ ისინი ჰუმანიტარულ დარგებში კიდევ უკმაყოფილებდნენ ლექციის წაკითხვას, მაგრამ ვერას-გზით ვერ წაიკითხავენ ლექციას მათემატიკასა და ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. აქ, სულ ერთიაო, ქართულ ენას თავისი ფუნქციის შესრულება არ შეუძლიაო. სულ მალე ბათილდება ეს შეხედულება. უკვე პირველ ლექციას ქართულ ენაზე 1918 წლის ნოემბერში მათემატიკურ ანალიზში კითხულობს პროფ. ან. რაზმაძე. მას არა მარტო სტუდენტები და მსმენელები ესწრებიან; არამედ პროფესორთა კოლეგიის მთელი შემადგენლობა, რაც ლექციას საზეიმო ხასიათს აძლევს. სტუდენტობა ამ დროს არა მარტო ყველა საგნითაა დაინტერესებული, მას არა მარტო შეუძლია სხვადასხვა ლექციას. დაესწროს, არამედ იგი იმაზე ოცნებობს, რომ როგორმე თავისუფალი სკამი ნახოს. რაც მაშინ ასე იშვიათი იყო. ოვაციით ხვდებიან პროფ. ან. რაზმაძის პირველ ლექციას მათემატიკაში. მარტო სიხარული კი არ იწვევდა ამ ოვაციას, არამედ მიმზიდველი ფორმით წაკითხული ლექციაც, ასე გეგონებოდათ, თითქოს მათემატიკაში ქართულად ლექციის კითხვას დიდი წინასიტორია ჰქონდა. ზეპირი მეცნიერული სიტყვის დიდოსტატი იყო პროფ. ან. რაზმაძე.

ასევე დახვეწილი, ჩამოქნილი ქართულით იწყებს ლექციების კითხვას დოცენტის მოვალეობის აღმსრულებელი არ. ხარაძე. ლექციას ასტრონომიაში, როგორც ამას ა. ხარაძე იგონებს, დახვეწილი ლიტერატურული ქართულით

კითხულობდა გენერლის ფორმაში გამოწყობილი პროფ. ან. ბენაშვილი. იგი მწერლის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ჭერ კიდევ კადეტთა კორპუსში სწავლისას ეწეოდა იგი ქართულ ენაზე სალიტერატურო მოღვაწეობას, სცემდა ქართულ სალიტერატურო ხელნაწერ ეურნალს. მის მიერ შემოღებული რიგ ასტრონომიული ტერმინებისა საბოლოოდ დამკვიდრდა მეცნიერულ მეტყველებაში.

ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე პირველ ლექციას არაორგანულ ქიმიაში 1918 წლის ოქტომბერს (აუდიტორია № 86) გაკვიდილი მსმენელების წინაშე კითხულობს დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი. პირველი ქართული ლექცია ქიმიაში ყველაზე ადრე დარბაზში მყოფმა ივ. ჭავჭავაძემ მიულოცა მას.

უნივერსიტეტის დამაარსებლებმა გაითვალისწინეს ის, რომ სამკურნალო (სამედიცინო) ფაკულტეტის პირველ ორ კურსზე ბუნებისმეტყველების ზოგად თეორიული საგნების იგივე რაოდენობა იკითხებოდა (გარდა ორი საგნისა) და მიიღეს შესანიშნავი გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ შექმნილიყო სამკურნალო ფაკულტეტი. მაშინდელი ვითარება ამას გადაუდებლად მოითხოვდა. დაგვიანებას შეეძლო კიდევ უფრო გადაეხანებინა ამ ფაკულტეტის გახსნის დრო, წაერთმია მისთვის დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა მიღების საშუალება. ამიტომაც გადაწყდა, შეექმნათ გაერთიანებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტი. ეს ფრიად და ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა მომავლისათვის.

პირველი სხდომა გაერთიანებული ფაკულტეტისა 1918 წლის 20 ოქტომბერს შედგა. მას დაესწრნენ პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ნათიშვილი, არ. ხარაძე, ზ. ყანჩაველი, სპ. ვირსალაძე, ი. თიქანაძე და გ. მუხაძე.

ამას გარდა, სხდომას ესწრებოდნენ პროფ. ივ. ჭავჭავაძე და ი. ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანობდა ი. ყიფშიძე. პირველსავე სხდომაზე მეტად მწვავე საკითხად წარმოდგა ფაკულტეტზე სტუდენტთა მიღების საქმე. ახალ ფაკულტეტზე სწავლის სურვილს ბევრი ახალგაზრდა გამოთქვამდა. მსურველთა მოზღვაების ვითარებაში გადაწყდა, რომ გაერთიანებულ ფაკულტეტზე არ უნდა ყოფილიყო 500 სტუდენტზე მეტი. აქედან სამკურნალო ფაკულტეტზე 300 სტუდენტი. 1918 წლის 25 ოქტომბრიდან ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფ. ვ. მოსეშვილი, მდივანად — დოკენტი არ. ხარაძე. გაერთიანებულ ფაკულტეტზე მისი არსებობის პირველსავე სემესტრში არ შემოზღუდულან მარტო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო დისციპლინების შესწავლით. მალე დაიწყეს ლექციების ქართულად კითხვა მედიცინის მეცნიერებაში.

პირველი ლექცია მედიცინის მეცნიერებაში 1918 წლის 15 ნოემბერს წაიკითხა პროფ. ალ. ნათიშვილმა. ეს იყო შესავალი ლექცია ადამიანის ნორმალურ ანატომიაში (მანამდე პირველ სემესტრში გათვალისწინებული იყო ლექციების კითხვა ჰიგიენაში. იგი იზოლოდ ერთხელ წაიკითხა ექ. ვ. ლაბაშიძემ).

პროფ. ალ. ნათიშვილი ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის აღზრდილი იყო. მან 1916 წელს იქვე დაიკვა სადოქტორო ღისერტაცია. 1918 წლიდან მიენიჭა პროფესორის წოდება. მისთვის, რასაკვირველია, ძნელი იყო ქართულად ლექციის წაკითხვა. თუმცა ორატორული ნიჭისა და მგზნებარების გამო ვერაინ გრძნობდა ამას. ანატომიური ტერმინოლოგიის ახლად შემუშავება დროს მოითხოვდა. ამას არ შეუშინებია პროფ. ალ.

ნათიშვილი. იგი შემდგომ ერთ-ერთი მოთავე გახდა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დაფუძნებისა. რუსეთსა და ევროპაში განათლებული ქართველი სწავლული ექიმები ინტენსიურად მუშაობენ მშობლიურ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის ამოქმედებისათვის. ბუნებრივმა ოპტიმიზმმა მათ აღრიდანვე ააღებინა თადარიგი. ჯერ კიდევ 1913 წელს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებასთან გამოჩენილი ქართველი ექიმის სპირიდონ ვირსალაძის მეთაურობით ჩამოყალიბდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა წრე. ამ წრის უპირველეს ამოცანად განისაზღვრა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შედგენა. ამისათვის წრის წევრები კრეფდნენ ძველი და ახალი ლიტერატურიდან საექიმო ტერმინოლოგიას, ქმნიდნენ ახალი სამედიცინო ცნებების გამომხატველ ტერმინებს. ამას ღვაწლმოსილი ექიმები, პრაქტიკული საქმიანობით დატვირთულნი, მისაბაძი ინტენსიურობით ახორციელებდნენ. ამაში ხედავდნენ ისინი სამშობლოს სიყვარულის. ბუნებრივი გარნობის გამოხატვას. ამ საქმის მოთავე სპირიდონ ვირსალაძე, ივანე ჭავჭავაძის შვილის მგობარი, 1887 წელს ამთავრებს კიევის სასულიერო სემინარიას (თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს აკრძალული ლიტერატურის აღმოჩენისათვის), შემდეგ 1896 წელს უმაღლეს სამედიცინო განათლებას იღებს ტომსკის უნივერსიტეტში. 1909 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციის.

მშობელ ხალხზე ზრუნვამ უქარანახა მას, დაეარსებინა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება. ამ საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება თბილისში შედგა 1916 წლის 30 ოქტომბერს სპ. ვირსალაძის თავმჯდომარეობით. როგორც ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, გრ. მუხაძე ივონებს: „ჩვენ მტრებს და აგრეთვე ბევრ მეგობარსაც სიცილად არ ჰყოფნიდა ასეთი საზოგადოების დაარსება. გაიძახოდნენ: როგორ შეიძლება ქართულ ენაზე სამეცნიერო მოხსენებების დაწერა ან წაკითხვა. აქ უნდა გამოვტყდე, ასეთ აზრს შემდგომში გამოთქვამდნენ ზოგიერთი უკვე უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებიც, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ ოვითონვე რწმუნდებოდნენ თავის შეცდომაში“.

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სამკურნალო ფაკულტეტის ასე სწრაფად დაარსების საქმეში. ასევე მეტად საგრძნობი იყო მისი მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაში. აღვნიშნავთ მართო იმ ფაქტს, რომ 1917 წელს ექიმთა შორის 15 ათასი მანეთი იქნა შეკრებილი უნივერსიტეტის სასარგებლოდ. გვიან პროფ. ს. ვირსალაძე, აწამებდა რა ამ საზოგადოების მიერ ჩატარებულ მუშაობას, ამბობდა: „ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების არსებობას. ამ საზოგადოებაში გადაწყდა საკითხი სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. აქ იყო პირველად განხილული ფაკულტეტის გეგმა. აქ შედგა ჩვენი მეცნიერთა და მომავალი ფაკულტეტის მოღვაწეთა პირველადი სია და აქედან იყო გაგზავნილი უნივერსიტეტის მაშინდელ საბჭოში სამი დელეგატი ფაკულტეტის დაარსებაში მონაწილეობის მისაღებად. საზოგადოების ამ სამმა დელეგატმა, შეადგინა მომავალი ფართო ფაკულტეტის ჩანასახი. ეს დელეგატები იყვნენ მედიცინის დოქტორები: ივ. თიქანაძე, გრ. მუხაძე და სპ. ვირსალაძე“.

თუ პატრიოტ ექიმთა ამ საზოგადოებამ სიცოცხლე მისცა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს, შემდგომ ფაკულტეტი ასულდგმულედა, პროფ. გრ. მუხაძის სიტყვებით, ამ საზოგადოებას. როგორც საზოგადოე-

ბის, ისე სამკურნალო ფაქულტეტის ამოცანად განისაზღვრა სამედიცინო ტერმინოლოგიის, უპირველესად ანატომიის ტერმინოლოგიის დამუშავება. შეიქმნა კომისია ა. ნათიშვილის, გრ. მუხაძის, სპ. ვირსალაძის, ი. თიკანაძის, ზ. მაისურაძის, ვ. მუსხელიშვილის, ნ. ჭავჭავიშვილის შემადგენლობით, რომელიც მრავალ სხდომას უძღვნის ამ წამოწყებას. სხდომებს დროგამოშვებით ესწრება პროფ. ივ. ჭავჭავიშვილი. იგი კომისიის მიერ დამუშავებულ ტერმინოლოგიას უკეთებდა საბოლოო რედაქციას. ამ გზით სულ მოკლე ხანში დამუშავდა და ცალკე წიგნად გამოიცა ანატომიის მთლიანი ტერმინოლოგია.

როგორც ივანე ჭავჭავიშვილი აღნიშნავდა, სამედიცინო ფაქულტეტები მეტად ძვირი შესანახია ყველა უნივერსიტეტისათვის. აქ არა მარტო პროფესორთა, ასისტენტთა, ორდინატორთა და პრეპარატორთა მრავალრიცხოვანი შტატია საჭირო, არამედ ძვირადღირებული კლინიკები, აგრეთვე სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა დიდი რაოდენობაცაა აუცილებელი. თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტთან შედარებით, იაფი დაჯდა სამედიცინო ფაქულტეტის შექმნა. „ეს გასაოცარი მოვლენა, — წერდა ივ. ჭავჭავიშვილი 1919 წლის დეკემბერში, — იმით აიხსნება, რომ ტფილისში კარგად მოწყობილი საავადმყოფოების არსებობის წყალობით ჩვენს უნივერსიტეტს ჭერჭერობით საკუთარი კლინიკების აშენება და მოწყობა არ სჭირდება“. მაინც ბევრი წინააღმდეგობა უნდა გადაელახა უნივერსიტეტს, რომ ეს სამკურნალო დაწესებულებანი სასწავლო მიზნებისათვის გამოეყენებინა. როგორც პროფ. გრ. მუხაძე იგონებს, წინააღმდეგობას უწევდნენ ქართულ უნივერსიტეტს, რომ საავადმყოფოები კლინიკებად გამოეყენებინა იმ მოტივით, თითქოს ამით ავადმყოფების ინტერესები შეილახებოდა, რადგანაც კლინიკები ავადმყოფებზე აწარმოებდნენ ექსპერიმენტებს და ა. შ.

სამკურნალო ფაქულტეტმა დროულად შესძლო მიეღო სასწავლო-სამეცნიერო კერები იმის წყალობით, რომ ამაზე ზრუნვა ადრე, სამკურნალო ფაქულტეტის შექმნამდე, დაიწყეს.

ივანე ჭავჭავიშვილი 1917 წლის 8 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე ამბობდა, რომ „რადგანაც სამკურნალო ფაქულტეტს დასჭირდება სხვადასხვა კლინიკები, საჭიროა ამთავითვე ზრუნვა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი სამკურნალო გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს, ამ მხრივ უნივერსიტეტს დახმარება უნდა გაუწიოს ქართველ მკურნალთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ“. ეს მოწოდებაც იყო და ამ საზოგადოების დამფუძნებელთა შემხვედრი ინტერესის გამოხატულებაც.

ადრევე ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ პროფ. გრ. მუხაძის მეთაურობით შეიმუშავა სამკურნალო ფაქულტეტის კლინიკურ კათედრათა ბაზების შექმნის პროექტი. პროფ. გრ. მუხაძე ჭერ კიდევ სამკურნალო ფაქულტეტის გახსნამდე აყენებდა საკითხს, რომ „მიეცეს უფლება სახელმწიფო უნივერსიტეტს, ისარგებლოს თბილისის მიხეილის საავადმყოფოთი, ოლღას საბებიო ინსტიტუტითა და მათთან არსებული დაწესებულებებით, როგორც არის, მაგალითად, მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურის ძველი შენობა, ფერშლების ახალი სკოლა (იმ დროს, როდესაც იგი საჭირო არ იქნება სამედიცინო ფერშლის სკოლის მოწაფეთათვის). ამ პირობითვე საჭიროა უნივერსიტეტს გადმოეცეს აგრეთვე საბებიო სკოლა, ჩამოთვლილი სამკურნალოებისა და მათთან არსებულ დაწესებულებათა შესანახად (ისინი შემდეგშიაც შეასრულებენ თავიანთ ძველ დანიშნულებას) დარჩეს ისევ ძვე-

ლი წყარო, უნივერსიტეტი კი იკისრებს იმ ზედმეტ ხარჯებს, რომლებიც გამოწვეული იქნება მედიკური ფაკულტეტის მოწყობითა და შენახვით. დაწერილებით პირობები და ურთიერთდამოკიდებულება უნივერსიტეტსა და ხსენებულ სამკურნალოებს შორის შემუშავებულ იქნება შემდეგში... მიხეილის საავადმყოფოს და საბებიო ინსტიტუტის გადაცემა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, რადგანაც საჭიროა ანატომიურ ინსტიტუტში (პროზექტურაში) ახლავე მოეწყოს ანატომიაში მეცადინეობა და აგრეთვე შევუდგეთ საავადმყოფოების სისტემატურ მომზადებას და გადაცემებას მომავალ კლინიკებად“ (იხ. მ. კომახიძე, გ. მუხაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1968, გვ. 11). ჭერ სამკურნალო (სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან გაერთიანებული), შემდეგ, 1919 წ. 29 აპრილიდან დამოუკიდებელი ფაკულტეტის შექმნამ ამ გეგმა-მონახაზის გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით განხორციელება გახადა შესაძლებელი.

როგორც ვხედავთ, უმაღლესი სამედიცინო განათლება დაფუძნდა უნივერსიტეტში მისი გახსნის პირველივე კალენდარული წლიდან და სულ ორი-ოდე წლის განმავლობაში მან მრავალმხრივ წარმატებებს მიაღწია. თავიდანვე მსურველთა დიდი ნაკადი მოაწყდა პირველ კურსს, რითაც კვლავ დადასტურდა განსაკუთრებული ლტოლვა სამედიცინო განათლებისადმი ქართველი ახალგაზრდების მხრივ. ამან შესაძლებელი გახადა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სამედიცინო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდებს, ახლა რომ სამშობლოში დაბრუნდნენ, საგრძნობლად შეეცნოთ სამკურნალო ფაკულტეტის II, III და IV კურსები.

ასევე, როგორც აღვნიშნეთ, განუხრელად იწვევდნენ პროფესორ-ლექტორთა ძალებს. ამას ჭერ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აკეთებდა, შემდეგ კი მოწვევა ხდებოდა ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით. 1918 წლის 18 აგვისტოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომამ პროფესორად და ნორმალური ანატომიის კათედრის გამგედ მოიწვია ალექსანდრე ნათიშვილი, ხოლო ცხოველთა ფიზიოლოგიის პროფესორად ვარ. მოსე-შვილი.

1918 წლის 1 ნოემბრიდან მოწვეულ იქნა ექ. ზ. მაისურაძე, რომელიც შემდგომ ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და უნივერსიტეტის სწავლული მდივანი ხდება. იწვევენ არა მარტო თბილისში მყოფ სწავლულ ექიმებს, არამედ სამშობლოდან შორს მყოფთაც. ისინი მშობლიური მიწის ძახილს ღაუზარლად შეხვდნენ. მათ არავითარი პირობები არ დაუთქვამთ სამშობლოში დაბრუნებისათვის, ისინი სრულიად ნებაყოფლობით, ყოველგვარი ანჭლალურების გარეშე, ანდა ჩალის ფასად ტოვებენ შეჭენილ ქონებას, უკეთესს, ხელსაყრელ პირობებს და მოდიან ახალფეხადგმულ უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ მათ თავგანწირვაზეა დამოკიდებული არჩეული მეცნიერული საქმის წარმატება. 1918 წლის 26 დეკემბერს პისტოლოგიის კათედრის გამგედ და პროფესორად იწვევენ ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორს ნ. კახიანს. სწორედ ამ უნივერსიტეტმა მიანიჭა 33 წლის ასაკის ქორუგს პროფესორის წოდება; მანამდე მას შესანიშნავი გზა ჰქონდა განვლილი სწავლული მკურნალისა. 1910 წელს ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის (III კურსიდან პროფ. ბატუევმა ჩართო ის სამეცნიერო მუშაობაში) დამთავრებისთანავე დატოვეს იგი ნორმალური ანატომიის კათედრაზე.

ამ კათედრაზე ყოფნის დროს 150-ზე მეტი პრეპარატი დაამზადა ანატომიის მუზეუმისათვის, რაც წამახალისებელი დიპლომით აღინიშნა. აღრევე იწყება მისი როგორც სახელგანთქმული ქირურგის დიდება. ნ. ს. კახიანს გზავნაან ეგვიპტეში კაიროს უნივერსიტეტში პროფ. ბეი-ვაბისთან, სადაც იგი ბალზონირების ეგვიპტური წესის შესწავლასა და უძველესი თავის ქალის გამორკვევაზე მუშაობდა. აქ განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევის ნიშნად კაიროს უნივერსიტეტმა მას უძღვნა საჩუქრად მუშაია, ვეშაპის უღვაში და მამონტის ხერხემალი, რაც შემდეგ მან ოდესის უნივერსიტეტს უსაჩუქრა. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წლის სექტემბრიდან, ნ. კახიანი ლაზარეთებში ემსახურება დაქრილთ. ამასთან არ წყვეტს სალექციო-ორგანიზატორულ მუშაობას. სამშობლომ სიყვარულით მიიღო სახელგანთქმული დასტაქარი. მალე ნ. კახიანი ხდება ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული ქირურგიული სკოლისა.

თავდაუზოგაობამ და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა, ყველაზე და თითოეულზე ზრუნვამ, მაღალი ხელოვნებით ჩატარებულმა სათუთმა ოპერაციებმა, სიღრმითა და კემპარიტი ორატორული ნიჭით წაკითხულმა ლექციებმა პროფ. ნ. კახიანი სტუდენტთა უსაყვარლეს პროფესორად აქცია. ხალხში მის შესახებ სიყვარულით შექმნილი ლეგენდები ვრცელდებოდა. სხვანაირად შეუძლებელი იყო: მრავალი ადამიანის სიცოცხლე ელოდა ყოველთვის პროფ. ნ. კახიანის სასწაულმოქმედ ხელს. იგი ხშირად ჩადიოდა თავისი მშობლიური იმერეთის სოფელ როკითში, სადაც მოუთმენლად ელოდა ხალხის ამ ნამდვილად მოყვარულ მკურნალს დასავლეთ საქართველოს გლეხობა, მკურნალს; რომელიც არათუ შორს იყო ანგარებისაგან, არამედ არა ერთ ხელმოკლე ავადმყოფს იქეთ აძლევდა წამლის ფულს. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. კახიანის ცხოვრება და ღვაწლი ქართველ ექიმთა ღრმა პატრიოტული ტრადიციის, ხალხის სიყვარულის, მისი უანგარო სამსახურის გამოვლინება იყო. მას არასდროს არავინ ავიწყებდებოდა, გარდა საკუთარი თავისა. სამწუხარო ის გახდა, რომ 45 წელზე მეტი ვერ იცოცხლა ხალხის მოყვარე ამ ნათელმა ნიქმა.

1920 წლის ბოლოს დაწერილ ანგარიშში, სადაც მიმოხილულია უნივერსიტეტის მუშაობა განვლილი ორ-ნახევარი წლის მანძილზე, ივანე ჭავჭავიძე-ლი სიამაყით და სიყვარულით წერს სამკურნალო ფაკულტეტის მიღწევებზე ორი წლის განმავლობაში.

მას ისიც ხიბლავდა, რომ ქართველმა ექიმებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს უნივერსიტეტის პროფესორთა შორის მშობლიურ ენაზე მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა¹; მანამდეც და შემდეგაც ივ. ჭავჭავიძე-ლი დაუზარლად აწვდიდა მედიკოსებს ცნობებს საქართველოში სამედიცინო ცოდნის შესახებ. ხოლო ისინი თავის მხრივ მშობლიურ ენაზე გადას-

¹ ზოგიერთი პრიფესორი მედიკოსი, როგორც მაგ., აღ. ნათიშვილი, მის მიერ რუსულად შედგენილ სახელმძღვანელოებს ქართულად აქვეყნებს. 1920 წელს მან გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „ადამიანთა ტვინზე პრაქტიკული ვარჯიშობისათვის“ (ტვინის განკვეთა). წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ნორმალურ ანატომიაში საუნივერსიტეტო შეცადინების დროს თავი და თავი მნიშვნელობა სტუდენტთა პრაქტიკულ მუშაობას აქვს. ამ მოსაზრებით ჩვენ გადაწყვიტეთ გამოაქვეყნებინა ეს სახელმძღვანელო ტვინის განკვეთისა, რომლის შესწავლა-შეთვისება განსაკუთრებით ძნელ საქმეს წარმოადგენს. ეს შრომა პირველად ჩემს მიერ გამოქვეყნებული იყო ხარკოვის ინსტიტუტში და ეს სახელმძღვანელო იმავე გეგმით და რაღაქციით არის შედგენილი, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს გამოაქვეყნოთ ამასთანავე სახელმძღვანელო ანატომიის სხვა ნაწილებშიც“.

ცემდნენ ყველაზე ჰუმანური მეცნიერების — მედიცინის მონაპოვრებს ახალ-გაზრდებს. როგორც ივანე ჭავჭავაძის შვილი წერდა, სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორის თავგანწირულ მოღვაწეობას ხალხის ჯანმრთელობაზე უკვე მოჰქონდა ფრიად და ფრიად დადებითი შედეგები. იგი ალტაცებულია სასანიტრო ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიური განყოფილების მუშაობით, რომელსაც ასეთი გულმხურვალებითა და ნიჭით წარმართავდა პროფ. ს. ამირეჯიბი. სულ მოკლე ხანში ინსტიტუტმა მოახერხა სხვადასხვა შრატების, სითხეებისა და ვაქცინების დამზადება, რომლებიც ადრე გარედან შემოჰქონდათ. ახლა მათ სხვებისათვისაც შეეძლოთ ამ პროდუქციის მიწოდება. ინსტიტუტთან არსებობდა პასტერის სადგური. ივანე ჭავჭავაძის გულისტყვივით წერდა ამ სადგურის ნორმალური მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზებზე და მის გამოსწორებას გადაუდებელ ამოცანად სახავდა. „რაკი ყველამ კარგად იცის, რამდენად ძნელია ტფილისში თავისუფალი ოთახის შოვნა, რა ძვირია ბინაცა და ქამა-სმაც, ამიტომ დაკბენილები და მათი მახლობლები ცდილობენ ტფილისში ჩამოსვლას როგორმე თავი დაახწიონ და ადგილობრივ ხალხურ საშუალებით განსაცდელი ვითომცდა თავითგან აიციინონ, და როდესაც რწმუნდებიან, რომ შინაური წამლობით ვერა ეშველებათ რა, მხოლოდ მაშინ, ხშირად დაკბენის 2-4 კვირის შემდეგ, ჩამოდის ასაკრელად, ზოგჯერ უკვე ცოფმორეული და უიმედო მდგომარეობაში მყოფი“.

ივანე ჭავჭავაძის აყენებდა საკითხს სხვადასხვა გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ხალხში ჩასატარებელ ღონისძიებებზე. მაშინ ბევრი მათგანი საფრთხეს უქმნიდა ხალხის ფიზიკურ არსებობას. 1920 წელს ივანე ჭავჭავაძის წუხილით წერდა: „ჩვენი კურთხეული ქვეყნის რისხვას, როგორც ცნობილია, დამპალი ციება ანუ მალარია და ზოგიერთი ცხელი ქვეყნის ავადმყოფობა შეადგენს. განსაკუთრებით ეს პირველია მოდებული საქართველოში და მრავალს მსხვერპლს იწირავს. ამ ცხელი ქვეყნების ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაც ჩვენი ერის კეთილდღეობის და ჯანმრთელობის აუცილებელი მოთხოვნილებაა“.

1920 წელს ივანე ჭავჭავაძის ოცნებობდა, გაეხსნათ უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტთან მალარიასთან ბრძოლის განყოფილება.

თუ დღეს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს საშუალება არა აქვთ ავადმყოფებზე პრაქტიკულად შეისწავლონ მალარია, ამაში მთავარი „ბრალი“ სამკურნალო ფაკულტეტის პროფესურას მიუძღვის.

თ ა ვ ი XI. უმდიდრესი წიგნსაცავი

„უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, მას ერთი წიგნიც კი არ მოეპოვებოდა წიგნსაცავისათვის“.

1920 წლის ბოლოს დაწერილი ეს სიტყვები ეკუთვნის კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დამაარსებელს და მის პირველ ისტორიკოსს ივანე ჭავჭავაძის. ამ სიტყვების დაწერის დროს კი უნივერსიტეტს უკვე 100 ათასზე მეტი ტომი გააჩნდა.

ბიბლიოთეკის ასეთი გიგანტური ტემპებით ზრდა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა უპირატესად ენერგიული მეცადინეობის შედეგი იყო. მათ იზრუნეს სხვადასხვა ლიკვიდირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება-ბიბლიოთეკათა გადმოცემაზე, პატრიოტულ საქმედ აქციეს საზოგადოებათა და ცალკეულ პირთა შემოწირულებანი უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შექმნა არ მომხდარა მსხვილი კერძო წიგნთსაცავების მუნიციპალიზაციის შედეგად. მაშინდელ ხელისუფლებას ეს არ ჩაუტარებია. პირველი, რითაც დაიწყო უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა, ეს იყო თხოვნა სხვადასხვა დაწესებულებებისადმი, რომ გადმოეცათ წიგნსაცავები, ანდა მათი ნაწილი უნივერსიტეტისათვის. აქ მხოლოდ იმაზე შეიძლება მითითება, რომ უნივერსიტეტში უფრო უკეთესად იქნებოდა გამოყენებული ეს წიგნალი ფონდი და საერთო საქმეს მეტს სარგებლობას მოუტანდა. ამასთან, უნივერსიტეტი წინააღმდეგი არ იყო, ამ ორგანიზაციათა მიერ წამოყენებული დათქმები შეესრულებინა. ამ გზით მრავალი ორგანიზაცია და დაწესებულება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შექმნის აქტიური მონაწილე გახდა. ასე, 1918 წლის 29 მაისს სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო გზავნის ივანე ჯავახიშვილის სახელზე პასუხს. მას ხელს აწერენ კ. ცინცაძე და ალ. ნიკიტინი. ეს პასუხი შემდგომ ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მოახსენა. მასში ვკითხულობთ: „საკათალიკოზო საბჭო პასუხად თქვენის წერილისა, პატივისცემით გაცნობებთ, რომ მან მიმდინარე წლის აპრილის 5 სხდომაზე დაამტკიცა თბილისის სასულიერო სემინარიის მიერ ამავე წლის თებერვლის 27 თარიღით წარმოგზავნილი ქვემოთ მოყვანილი მოხსენება: „თანახმად საკათალიკოზო საბჭოს მოწერილობისა ამა წლის 17 მარტიდან, თბილისის სასულიერო სემინარიის საკათალიკოზო საბჭომ განიხილა პროფ. ივანე ჯავახიშვილის თხოვნა სემინარიის წიგნთსაცავიდან ქართული უნივერსიტეტისათვის წიგნების დათმობის შესახებ და დაადგინა: 1. გადაეცეს ქართული უნივერსიტეტის წიგნთსაცავს სემინარიის წიგნსაცავიდან ძველ ენებზე დაბეჭდილი წიგნები შემდეგი პირობით: ა) წიგნები ითვლება საქართველოს ეკლესიის საკუთრებად; ბ) ეკლესიას უფლება აქვს, უკანვე დაიბრუნოს წიგნები, თუ ამას საჭიროება მოითხოვს; გ) ეს წიგნები უნივერსიტეტმა უნდა ცალკე კარადაში იქონიოს. 2. გადასაქემ წიგნების ამოსარჩევად დაინიშნოს კომისია, რომელშიც შევლენ რეპტორი სემინარიისა, წიგნთსაცავის გამგე და მასწავლებელი ვ. ბარნოვი, ერთი წარმომადგენელი უნივერსიტეტისა“.

1918 წლის 30 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ თავის სხდომაზე მადლობა გამოუცხადა საკათალიკოზო საბჭოს და წიგნების ჩამბარებელ კომისიაში უნივერსიტეტის მხრივ შეიყვანა დეკანი ივ. ჯავახიშვილი. შედეგად უნივერსიტეტმა მიიღო ძვირფასი 905 ტომი ისტორიის, რელიგიის ისტორიისა და ფილოსოფიის დარგებიდან. ეს გამოცემები ამორჩეული იყო პროფ. კ. კეკელიძის მიერ. სასულიერო სემინარიის დახურვის შემდეგ მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადმოეცა. ივანე ჯავახიშვილის მახვილთვალს არ რჩება არც ერთი შემთხვევა რომელიმე დაწესებულებიდან ანდა საზოგადოებიდან უნივერსიტეტისათვის წიგნალი ფონდის შესაძლებელი მიღებისა. იგი ხელიდან არ უშვებს ამ ხელსაყრელ მომენტებს.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნამდე 1918 წლის 10 იანვარს მან პროფესორთა საბჭოს სხდომას გააცნო შავი ქვის მრეწველთა საბჭოსადმი მის მიერ გაგზავნილი წერილი თხოვნით, რომ მან უნივერსიტეტს დაუთმოს ის წიგნები, რომლებიც საბჭოს საგანგებოდ ჰქონდა შეძენილი საქართველოს წარსულისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. მსჯელობის დროს გამოირკვა, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ჰქონია აგრეთვე მინერალოგიური კაბინეტი და ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორიები. 1918 წლის 27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილმა პროფესორთა საბჭოს მოახსენა, რომ მან საჭირო

ნაბიჯები გადადგა და ზომები მიიღო, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმიონი ლაბორატორია, მინერალოგიის კაბინეტი და წიგნთსაცავის ნაწილი უნივერსიტეტს გადამოეცეს. 1918 წლის 27 აპრილს შავი ქვის მრეწველთა საბჭო წერილს იღებს: „ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო უღრმეს მადლობას გწირავთ წიგნთსაცავისა, საქმიონ ლაბორატორიისა და სამინერალოგოი კოლექციის შემოწირვისათვის.“

რაც შეეხება იმ პირობას, რომ შემოწირულებას დაერქვას შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის განსვ. გ. ფ. ზდანოვიჩის სახელი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით შესრულებული იქნება; ხოლო რაც შეეხება მეორე პირობას, რომ ყველა ეს ნივთები მოთავსებული იქნეს ცალკე ოთახში, შესრულებული იქნება გარემოებისა და მიხედვით. ამასთანავე გაცნობებით, რომ უნივერსიტეტის საბჭო ჩსენებულ ნივთებს ჩაიბარებს პირველსავე მოსახერხებელ დროს“. ამ სიმდიდრის ჩამოსატანად უნივერსიტეტმა პროფ. აკაკი შანიძე გაგზავნა. ამით უნივერსიტეტმა კარგი შენაძენი მოიპოვა.

შუამდგომლობები უნივერსიტეტის მხრივ მხოლოდ შემხვედრი ინტერესის გამოხატულება იყო, ვინაიდან ბევრი ორგანიზაცია თვითონ გამოთქვამდა სურვილს, გადმოეცათ წიგნადი ფონდი უნივერსიტეტისათვის, ანდა ფორმალურ საფუძვლად თვითონ სთავაზობდნენ უნივერსიტეტს შუამდგომლობას.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნივერსიტეტს დროებითი სარგებლობისათვის გადასცა მასთან შენახული პროფ. ვ. პეტრიაშვილის ბიბლიოთეკა ქიმიური დარგის 447 სახელწოდების 1437 წიგნით; ექიმ ს. მრეველიშვილის სამედიცინო ბიბლიოთეკა 284 სახელწოდების 1371 წიგნით; პროფ. პ. მელიქიშვილის ბიბლიოთეკა ქიმიური დარგის 645 სახელწოდების 1453 წიგნით. ამ საზოგადოების გაუქმების შემდეგ ეს ფონდები, ისე როგორც მისი ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტს გადაეცა. მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიამ სხვა წიგნთა შორის უნივერსიტეტს უძღვნა პლატონ იოსელიანის ბიბლიოთეკა 1050 სახელწოდების 1974 ტომით, მათ შორის უნიკალური წიგნები.

შემდგომ მოხდა სხვადასხვა ლიკვიდირებულ დაწესებულებათა წიგნადი ფონდის გადაცემა უნივერსიტეტისათვის. ამან ბევრი ძვირფასი წიგნადი ფონდი შესძინა უნივერსიტეტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის წიგნთსაცავის შესახებ. მას ძვირფასი წიგნთსაცავი ჰქონდა, ამას გარდა გააჩნდა პერიოდულ გამოცემათა უმდიდრესი კომპლექტები, მათ შორის ცენზურის მიერ შეჩერებული გაზეთებისა რუსულ და უცხოურ ენებზეც. ეს ბიბლიოთეკა უპატრონოდ იყო მიტოვებული. უნივერსიტეტმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მას გაეცა განკარგულება, რომ „კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის წიგნთსაცავი უნივერსიტეტს გადამოეცეს. ეს წიგნთსაცავი უნივერსიტეტისათვის დიდად საპიროა, რადგანაც იქ დაცული გამოცემანი უნივერსიტეტს სრულებით არ მოეპოვება და სხვა დაწესებულებებში კი, მაგალითად საჯარო წიგნთსაცავში, იმავე გამოცემების ორ-ორი ცალი ინახება“.

პართლაც, უდიდესი ბეჭდვითი მასალა მიიღო უნივერსიტეტმა. მათ შორის აღმოჩნდა 10370 ცალი კავკასიაში გამოსული წიგნი და ბროშურა რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე, 1154 — აღმოსავლურ ენებზე. ასეულობით ნომერი სხვადასხვა გაზეთისა, მათ შორის აკრძალულისა დასხვ.

თავიდანვე კერძო შემოწირულებანი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაფუძნებისა და ზრდის მნიშვნელოვან არხად იქცა.

როგორც აღვნიშნეთ, კიტა აბაშიძის ანდერძი უნივერსიტეტის სასარგებლოდ მისი წიგნთსაცავის გადაცემის შესახებ პირველი შეწირულება იყო. მას მრავალი შემოწირულება მოჰყვა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, ფულს შემოსწირავდნენ და იქვე დასძენდნენ, იგი გამოყენებულ იქნეს წიგნების შესაძენად.

უნივერსიტეტის გამგეობა და სამეცნიერო საბჭო მადლობას უხდნიან შემწირველთ დიდი და მცირე შემოწირულებისათვის. 1918 წლის 7 მარტს უნივერსიტეტის გამგეობა ნადეჟა გიორგის ასულ თარხნიშვილს სწერდა: „ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო თქვენ მიერ შემოწირული 5 ლათონური წიგნი გალენისა და ერთი ფრანგული, „წმინდათა ცხოვრება“, რისთვისაც გამგეობა უღრმეს მადლობას მოგახსენებთ“. განსაკუთრებით ძვირფასი იყო დავით სარაჯიშვილისეული ბიბლიოთეკა, რომელიც 1449 სახელწოდების 2309 ტომისაგან შედგებოდა. ეს შესანიშნავი წიგნები 3 ძვირფას კარადასთან ერთად უნივერსიტეტს შემოსწირა დავით სარაჯიშვილის ნების აღმსრულებელმა ადამ ფორაქიშვილმა. ამის გამო უნივერსიტეტის გამგეობა 1919 წლის 27 მარტს სწერდა: „ბ-ნს ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილს,

თქვენ მიერ შემოწირული განსვენებულის დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილის წიგნთსაცავი ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო.

უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი ღირსშესანიშნავი და ძვირფასი საჩუქრისათვის“.

განსვენებული ძმების სიმონ და ალექსანდრე კლდიაშვილების ბიბლიოთეკის შემოწირვასთან დაკავშირებით, 1920 წლის 14 ივლისს უნივერსიტეტის გამგეობა იხილავს ანდრია კლდიაშვილის, ანასტასია და ელისაბედ კლდიაშვილების და ნინო აბაშიძის განცხადებას, რომ ისინი სწირავენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსვენებულ ხუროთმოძღვრის სვიმონ კლდიაშვილის ტექნიკურ და სამეცნიერო ბიბლიოთეკას იმ პირობით, რომ ყველა წიგნი მოთავსებული იქნება ცალკე კარადაში ზედწარწერით სპილენძის ფიცარზე „ხუროთმოძღვარ სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილის ბიბლიოთეკა“.

უნივერსიტეტის გამგეობა ადგენს: „გამოეცხადოთ მადლობა წიგნების შემოწირვისათვის და ეცნობოთ შემომწირველთ, რომ მათი სურვილი საყვებით იქნება შესრულებული“.

მსგავსი პირობების დადგენა ბიბლიოთეკის გადაცემისას იშვიათი როლია. საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ალ. ჭაბადარი თავის ბიბლიოთეკის ნაწილს 243 სახელწოდების 678 ტომს აძლევს თბილისის უნივერსიტეტს. 1918 წლის 15 მაისს უნივერსიტეტის გამგეობა მას სწერს: „ქართული უნივერსიტეტის გამგეობას ეცნობა თქვენი სურვილი, შემოსწიროთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას თქვენი წიგნთსაცავის ნაწილი.

გამგეობა უღრმეს მადლობას მოგახსენებს ამ კეთილი განზრახვისათვის და თან გაუწყებთ, რომ თქვენი სურვილი აღნიშნული იქნება თქვენს მიერ შემოწირულ წიგნებზე და პირადად თქვენ ნებაც გექნებათ ისარგებლოთ უნივერსიტეტის მთელი ბიბლიოთეკით და აგრეთვე დროებით, თუ თქვენთვის საჭირო იქნება, ფაქტობრივ ბიბლიოთეკიდან თქვენ მიერ შემოწირული წიგნები“.

წიგნებთან ერთად უნივერსიტეტს სასარგებლოდ ხშირად ხელნაწერებს უძღვნიდნენ საჩუქრად. აქ უნდა მოვიყვანოთ საზოგადო მოღვაწისა და იურისტის გიორგი ჟორდანიას წერილი, გაგზავნილი 1918 წლის 10 მაისს ივანე ჭავჭავაძისადმი. იგი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას ვაჟიშვილი იყო. წერილში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ივანე ალექ-

სანდრეს ძევი ამასთანავე გაახლებთ თექვსმეტ ცალს განსვენებულის მამიჩემის „ქრონიკის“ პირველ ტომისას, რომელიც გთხოვთ გადასცეთ ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ამ 16 ცალში 7 ცოტაოდნავად დაზიანებულია და თუ მათს გამოგზავნასაც ვებღავე, ეს მარტო იმიტომ მომდის, რომ „ქრონიკები“ აღარსად იშოვება გასაყიდი; რაც დაიბეჭდა, გაიყიდა და ჩვენი სტუდენტები მომმართველ ხოლმე თხოვნით, შინიდან მიეყიდო მათთვის აუცილებლად საჭირო წიგნი. რაკი წიგნი ასე მცირე რიცხვით დამრჩა, კერძოდ მას ველარავის ვაძლევ და ყველა დარჩენილ ცალს ვუძღვნი უნივერსიტეტს. კიდევ რამდენიმე ცალი დამრჩა სოფელში და, თუ არეულობამ არ დამიშალა მათი ჩამოტანა, იმასაც ჩვენს ნორჩს უნივერსიტეტს მივუძღვნი. „ქრონიკების“ გარდა გაახლებთ ზსენებულისავე მიზნით სხვადასხვა ნაწერებს მამაჩემისას. განზრახვა მაქვს, უნივერსიტეტსავე გადმოვცე ყველა წიგნი, რაც კი დარჩა განსვენებულს, მისი მცირე ბიბლიოთეკა. ამჟამად წიგნებს ვარჩევ და როგორც კი მათ ავწერ, ხსენებულს ჩემს განზრახვას განვახორციელებ. ამ თავთ-კი მოგახსენებთ, რომ ბიბლიოთეკა მაინცა და მაინც სახარბიელოს არას წარმოადგენს და, თუ კვლავ გავკადნიერდები და მას მივუძღვნი ჩვენს უნივერსიტეტს, მარტო იმიტომ, რომ იქნებ თითო-ოროლა წიგნი მაინც გამოიყენონ ჩვენმა სტუდენტებმა.

უფრო ყურადღების ღირსია ძველი ხელნაწერები და ამასაც, როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიტყევი — თქვენთვის მომინდვია იმ საკითხის გადაწყვეტა, ფუ ვის ვადავცე ისინი. უნივერსიტეტს თუ საეთნოგრაფო საზოგადოებას, რომ ისე მოხერხდეს, რომ ყველაფერი წიგნები და ძველი ხელნაწერები ერთს დიდ კარადაში შეინახებოდეს ერთად და იმ კარადას ეწერებოდეს. „თ. ჟორდანის ბიბლიოთეკა“. მე პირადად ასეთს აზრს ყველაფერს ვამჭობინებდი. ახლა თქვენ იცით. როგორც თქვენ დაინახავთ საუკეთესოდ, მეც ისე მოვიტყევი.

მარადის თქვენი პატივისცემელი გ. ჟორდანია“.

1918 წლის 11 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გ. ჟორდანის გამოუცხადა მადლობა და აცნობა, რომ უნივერსიტეტი თანახმაა მის წინადადებაზე.

უნივერსიტეტმა კიდევ 282 სახელწოდების 460 ტომი და ფრიად საყურადღებო ხელნაწერები მიიღო. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ „ქრონიკების“ პირველი წიგნი 1892 წელს დაიბეჭდა, მეორე 1897 წელს, ხოლო 70 წლის შემდეგ 1967 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა თედოს შვილიშვილის უნივერსიტეტის პროფესორის გივი გიორგის ძე ჟორდანის რედაქტორობით „ქრონიკების“ მესამე წიგნი, რომელსაც სხვა ხელნაწერებთან ერთად საფუძვლად დაედო ის ხელნაწერები, რაც გიორგი ჟორდანია უნივერსიტეტის წიგნთსაცავს დაუტოვა.

წიგნის მალაზიები და გამომცემლობები უზე საჩუქრებს უძღვნიან თბილისის უნივერსიტეტს.

ჯერ კიდევ 1918 წლის 20 თებერვალს თ. ა. მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნისა და საკანცელარიო მალაზია ქუთაისიდან წერილს აგზავნის: „ჩვენს უძვირფასეს და საყვარელ დაწესებულებას — ქართულ უნივერსიტეტს გაახლებთ რა ამასთან ერთად სიას ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებისას და თვით წიგნებს. თავის წმინდა მოვალეობად თვლის ამხანაგობა შემდეგშიც ყოველი თავის გამოცემის თითო ცალი მოართვას დაბეჭდვისთანავე“.

უნივერსიტეტის გამგეობა 1918 წლის 7 აპრილს ამხანაგობას აცნობებ-

და, რომ გამოგზავნილი 16 ცალი წიგნი მიიღო და რომ „გამგეობა უღრმესად მადლობას გწირავთ წიგნების შეწირვისა და იმ დადგენილებისათვის, რომლითაც თქვენს მომავალ ყოველ გამოცემის თითო ცალს უთმობთ უნივერსიტეტს“.

იმ ხანაში ნამდვილი საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა წვლილის შეტანა ახალფეხადგმული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შექმნაში. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილის მიერ დაწერილი ანდერძი: „ჩემი სიკვდილის შემდგომ ჩემი წიგნთსაცავი მიანდერძებია ქართული უნივერსიტეტისათვის. ი. გრიშაშვილი. 1919 წ. 7 მაისი. დედაქალაქი“.

იმ დროს, რასაკვირველია, არ არსებობდა საეალღებულო ეგზემპლარების მიღება ბიბლიოთეკისათვის. უნივერსიტეტმა მიმართა რედაქციებსა და გამომცემლობებს ბექლური პროლექციის ეგზემპლარების ბიბლიოთეკისათვის მიწოდების თაობაზე. ამას ფართოდ გამოეხმაურა თბილისის სხვადასხვა რედაქცია და გამომცემლობა. დაიწყო არა მარტო სისტემატური მიწოდება ნაბექლდი პროლექციისა, არამედ აღრე გამოსული მასალების გამოგზავნაც. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ შესანიშნავი ქართველი პედაგოგის ლ. ბოცვაძის თავდადება. 1918 წლის 28 მაისს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს იგი სწერდა: „ამასთანავე მიუძღვნი ქართულ უნივერსიტეტს ორ-ორ ცალს ჩემს მიერ გამოცემულს საპედაგოგიო და სამეცნიერო ჟურნალ „განათლებას“ და მოვახსენებ შემდეგს:

1908 წელს გამოვეცით ხუთი წიგნი დიდი ფორმატისა. სამწუხაროდ, იმ წლის ნომრები არ მოგვეპოვება, რადგანაც კ. შ. წერა-კითხვის საწყობში დაიწვა სხვა წიგნებთან ერთად და ამიტომ ვერ გაახლებთ. 1909 წელს გამოვეცით მხოლოდ ერთი წიგნი, ორი ცალი გეგზავნებთ.

1910 წელს ათი წიგნაკი დაიბეჭდა და ორ-ორ ცალს ვგზავნი. 1911 წელს იმდენივე დაიბეჭდა და გეგზავნებთ ამ წლების ორ-ორი ცალი.

1913 წელს აკლია № 1, რომელიც ცენზურამ აკრძალა და წაიღო რედაქციიდან, დანარჩენი 1914, 1915 და 1916 წლებისას ვგზავნი ორ-ორსავე ცალს უკლისად. შარშან, ე. ი. 1917 წელს, გამოვეცით მხოლოდ შვიდი ნომერი ხუთ წიგნად და ვგზავნით ამასაც ორ-ორ ცალს. ამის შემდგომ, ე. ი. წარსული წლის ენკენისთვიდან უსახსრობის გამო ჟურნალის გამოცემა შეჩერებულ იქნა... ამ დღეებში იმედია, საქმე გამოკეთდება და გამოცემას განვაგრძობთ და ორ-ორი ცალის გზავნას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის განვაგრძობთ. სარედაქციო კოლეგიას იმედი აქვს, რომ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები შესაფერისი მასალების მიწოდებით ჟურნალ „განათლების“ არსებობას ხელს შეუწყობენ“.

ამ წერილში მარტო ჟურნალისტიკის ისტორიისათვის საინტერესო მასალა როდია. გამორჩეული ქართველი პედაგოგი ღრმად გრძნობს იმ ბედნიერებას, რასაც ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა წარმოადგენს. იგი კარგად ხედავს, რომ ამის შემდგომ მხოლოდ გაიზარდა პასუხისმგებლობა ქართველი პედაგოგებისა ეროვნული პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში. იგი უნივერსიტეტის პროფესორთა მომავალ დიდ წვლილსაც ხედავს. ეს წერილი ფართო ცნობის ღირსი იყო. სწორედ ამიტომ ლუარსაბ ბოცვაძის ამ წერილს ივანე ჯავახიშვილმა წააწერა „საბჭოს კრებისათვის მოსახსენებლად“. 1918 წლის 3 ივნისს საბჭო თავის ოქმში ჩაწერს: „უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის უფასოდ დათმობილი, თქვენ მიერ გადმოცემული სამეცნიერო და პე-

დაგოგიური ჟურნალის „განათლების“ ორ-ორი ცალი უნივერსიტეტის წიგნ-საცავს უკვე გადაეცა.

პროფესორთა საბჭო ასეთი გულუხვი შემოწირულებისათვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ“.

არა მარტო წიგნადი ფონდის მესაკუთრენი, გამომცემლები და რედაქციები გზავნიდნენ ნაბეჭდ მასალას. პატრიოტიზმის ღრმა გრძნობის გამოხატულება იყო ის, რომ ცალკეული პირები საგანგებოდ იძენდნენ წიგნებს, რომ იგი შემდეგ თბილისის უნივერსიტეტისათვის ეჩუქებინათ. კიდევ უფრო ძლიერდება ამ პატრიოტული თაოსნობის მნიშვნელობა, როცა მას სამშობლოსაგან შორს მყოფნი ახორციელებდნენ. შეუძლებელია აუღელვებლად მოჰყვეთ კიევის ქართველთა კოლონიის მისაბაძი მოქმედების შესახებ. ეს კოლონია 1918—1921 წლებში შეიქმნა კიევში სამხედრო მსახურთა, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა და უკრაინაში მომსახურე ქართველთაგან კოლონია დიდად გაახარა ქართული უნივერსიტეტის გახსნამ. მათი სიყვარული აღტაცების პასიური გრძნობით არ ამოწურულა. მალე მათ შესაძლებლობა მიეცათ, საქმით დაედასტურებინათ ეს სიყვარული. ქართველთა კოლონიასთან მჭიდრო, მეგობრულ კავშირში იყო კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ-გინეკოლოგი გ. გ. ბრიუნო. იგი მოწვეული იყო სამუშაოდ თბილისის უნივერსიტეტში. ეს ვერ განხორციელდა, ვინაიდან იგი დაიღუპა 1919 წელს. მას დარჩა მდიდარი გინეკოლოგიური ბიბლიოთეკა და სამეანო-გინეკოლოგიური იარაღები. პროფ. გ. გ. ბრიუნოს ქვრივმა ქართულ კოლონიას შესთავაზა, თბილისის უნივერსიტეტისათვის შეეძინათ ისინი.

კიევის ქართველთა კოლონიის აღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე გ. ა. მოლაშხია 1968 წლის 21 ივნისს „ზარია ვოსტოკაში“ აღწერს, თუ რა სიძნელებები გადალახეს მათ, რომ შეეძინათ ეს ძვირფასი საჩუქარი თბილისის უნივერსიტეტისათვის. ამ ძნელ საქმეში მათთვის დიდი დახმარება აღმოუჩენიათ კიევის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, მათ შორის შემდგომში გამოჩენილ პროფესორ-გინეკოლოგებს აკ. ბაქრაძეს, პროფ. გ. ხეჩინაშვილს, ექიმ ნ. ოქროპირაძეს, ეკონომისტ გ. მეძმარიაშვილს, იურისტ ვ. ცომაიას და სხვ. იმ რთულ ვითარებაში გაძნელებულა ამ ფასეულობათა გამოგზავნა საქართველოში. ამისათვის რსფსრ განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის და უკრაინის რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის ნე-ბართვა აულიათ. სიყვარულით სავსე წერილთან ერთად 1921 წლის ივნისში გამოუგზავნიათ მთელი ეს ქონება თბილისის უნივერსიტეტისათვის, რაშიაც მათ დახმარებია სამხედრო ოლქის ერთ-ერთი უფროსი ნიკოლოზ ჭეიშვილი. ამ გზით 1921 წლის 3 ივლისს თბილისის უნივერსიტეტმა კიევიდან მიიღო პროფ. გ. ბრიუნოს მემკვიდრეებისაგან შესყიდული გინეკოლოგიური ბიბლიოთეკა — 1202 სახელწოდების 1236 ტომი და 24 ამერიკულ კარადა, აგრეთვე ძვირად ღირებული სამეანო-გინეკოლოგიური იარაღები.

გ. ა. მოლაშხია მხოლოდ 1922 წლის ივნისში ჩამოსულა თბილისში. მეორე დღესვე იგი შეხვედრია რექტორს ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც გულმხურვალედ გამოუხატავს მთელი უნივერსიტეტის მადლიერება.

უნივერსიტეტი საგრძნობ თანხებს იღებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში წიგნების შესაძენად. აქ უნივერსიტეტის პროფესორები დაუზარელად გამოდიან ექსპერტის, კომისიონერის როლში. ამასთანავე, ისინი არც ამ წიგნების დატვირთვის თაყილობენ. ბუნებრივია, უნივერსიტეტი ამ შესყიდვებისათვის წინასწარ იძლეოდა ფულად თანხებს. ასე, 1918 წლის 7 დეკემბერს უნი-

ვერსიტეტის გამგეობამ 70.000 მანეთი მისცა ევროპაში შიშვალ ივანე ჯავახიშვილს წიგნებისა და სხვა საკირო ნივთების შესაძენად. შედეგად კონსტანტინეპოლში შექმნილი ბევრი მეცნიერული წიგნი აღმოაჩნდა უნივერსიტეტს ბიბლიოთეკისათვის.

1919 წლის 19 ივლისს უნივერსიტეტის გამგეობა იხილავს საკითხს, პროფ. ი. ბერიტაშვილის მიერ უნივერსიტეტის საკირობისათვის ოდესაში 60 ფუთამდე წიგნების შექმნის თაობაზე და მისი გადმოტანისათვის აღძრავს შუამდგომლობას უკრაინის საბჭოთა მთავრობის წინაშე.

1919 წლის 30 აგვისტოს უნივერსიტეტის გამგეობის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილი აკეთებს განცხადებას, რომ გერმანიიდან ფოთში მოუტანიათ უნივერსიტეტისათვის საზღვარგარეთ შექმნილი წიგნები და სხვადასხვა გამოცემანი და ამიტომ საკიროა ზომების მიღება მათი თბილისში გადმოსატანად.

დაადგინეს: „უთხოვოს ბატონ კ. გამსახურდიას, რომელიც საზღვარგარეთიდან მოჰყოლია ამ წიგნებს, ჩამოიტანოს ისინი ფოთიდან ტფილისში, რისთვისაც მიეცეს მას საკირო თანხა“.

რასაკვირველია, წიგნების ყოველი შექმნა შემდგომ უნდა მოეწონებინა უნივერსიტეტის გამგეობასა და პროფესორთა საბჭოს. ამ შექმნის დროს აღვილად შეიძლებოდა თავიდან აცილება იმ ნაკლისა, რაც შემოწირულებას ახლავს თან. ამ დროს წიგნები შემოდის იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად სკირდება იგი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. რა თქმა უნდა, ამ ნაკლს მაშინაც ჰქონდა ადგილი, როცა მთელს ბიბლიოთეკას იძენდნენ. აქ გეგმაზომიერება გადამწყვეტი ფაქტორი უნდა გამხდარიყო. ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობა და საბჭო მკაცრ წესრიგს ამყარებს კათედრების და კაბინეტების მიერ თავიანთი წიგნთსაცავების (ბიბლიოთეკების) მოწყობის საქმეში.

1920 წლის 29 მაისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა საკითხი პროფ. ვარ. მოსეშვილის მიერ ფარმაკოლოგიის კათედრისათვის წარმოდგენილი 150.000 მანეთის ანგარიშის განაღდება შესახებ. მას ეს წიგნები თამარ გრიგოლის ასულ ბექთა-ბეგისაგან შეუძენია. რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა განუმარტა საბჭოს, რომ გამგეობამ ვერ დაუმტკიცა პროფ. ვარ. მოსეშვილის წარმოდგენილი ანგარიში იმის გამო, რომ ზედმეტად გაღებული თანხა 115000 მანეთი ბევრად აღემატებოდა კათედრის მოსაწყობად აღებული ავანსის რაოდენობას, რომ წიგნები მეტისმეტად ძვირად იყო ნაყიდი (მაგალითად, ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი ოცდაათი ათას მანეთად), რომ კათედრისათვის შექმნილი წიგნები ფარმაკოლოგიის საკითხებს კი არ ეხებოდა სპეციალურად, არამედ საერთოდ მედიცინის სხვადასხვა დარგს, რომ კათედრის მოსაწყობად აღებული თანხა ხმარდებოდა არა თავის პირდაპირ დანიშნულებას, არამედ უმთავრესად წიგნების შექმნის საქმეს.

პროფესორთა საბჭო დაეთანხმა უნივერსიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებას და მანაც უარი უთხრა პროფ. ვარ. მოსეშვილს ანგარიშის განაღდებაზე. ამასთან საბჭომ შემდეგი ზოგადი ხასიათის დადგენილებაც გამოიტანა:

„წიგნების შექმნა საზოგადო წიგნთსაცავის საქმეა. კაბინეტებთან და კათედრებთან კი შეიძლება მხოლოდ ისეთი სპეციალური გამოცემების შექმნა (ისიც მხოლოდ ზოგიერთებისა), რომელნიც საკირონი არიან ყოველ წუთს.

პროფ. ვარლამ მოსეშვილის მიერ ფარმაკოლოგიის კათედრისათვის შექმნილი წიგნები მის კერძო საკუთრებად დარჩეს“, ე. ი. მას უარი უთხრა სახსრების განაღდებაზე და ამიტომ იგი პირადად უხდა დაეფარა.

1920 წლის 15 ივლისის დადგენილებით პროფესორთა საბჭომ ამ წიგნების შექმნაში მონაწილეობისათვის სამსახურიდან დაითხოვა ასისტენტი ა. ტყემალაძე.

უნივერსიტეტის გახსნისას წიგნსაცავისათვის ერთი საგანგებო ოთახი არ არსებობდა. როგორც ჩანს, თვითონ უნივერსიტეტის დამფუძნებლებსაც ვერ წარმოედგინათ, თუ რა სწრაფად გაიზრდებოდა საუნივერსიტეტო წიგნთსაცავი, ამით აიხსნება უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 27 თებერვლის დადგენილება, რომ მეორე აუდიტორია (პირველად ხომ უნივერსიტეტს სულ სამი აუდიტორია ჰქონდა) გადაიფიცროს და იქ წიგნთსაცავ-სამკითხველო მოეწყოს. წიგნების რაოდენობის განუხრელად ზრდისა და წიგნის სიმძიმისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა მისი ჩამოტანა პირველ სართულზე. 1919 წლის 6 სექტემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ სთხოვა აკაკი შანიძეს, წიგნსაცავი ზემოდან ქვემო სართულში ჩაეტანა. აკაკი შანიძე იგონებს: „უპირატესობა ქვედა სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მიეცა, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა გერმანელი ჯარების საწყობისაგან (შიგ ფქვილები ჰქონდათ და ეზოშიც ფურანე ააშენეს და პურის აცხობდნენ). აქ დიდი დარბაზი თითქმის მზად იყო სამკითხველოსათვის და კარგა მოზრდილი ოთახები საკმაო რაოდენობის წიგნს დაიტევდა“.

სიძნელე ახლდა არა მარტო სხვადასხვა ქალაქიდან და უცხოეთიდან წიგნებს შემოზიდვას, არამედ, ტრანსპორტის მაშინდელ პირობებში, თვით თბილისშიც კი კვირაობით გრძელდებოდა სხვადასხვა დაწესებულებიდან წიგნების გადმოტანა და მათი მეცნიერული კლასიფიკაცია. მაინც ყველაფერი წარმატებით და სწრაფად გაკეთდა, ვინაიდან არც ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი, მოსამსახურე თუ პროფესორი არ თაკილობდა ამ საქმეს. მათ შორის შრომის დანაწილების არარსებობა საქმის სიყვარულით არნახულ ეფექტს იძლეოდა. აქ წერდა კიდეც ამის გამო 1920 წლის ბოლოს ივანე ჭავჭავაძე: „ამგვარად, ენერგიული მუშაობის წყალობით, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა თანაგრძნობითა და დახმარებით, კერძო პირთა უხვი და ძვირფასი შემოწირულებით და ფულად შექმნილ სულ მოკლე ხანში დიდი საუნივერსიტეტო კარგი და მოწყობილი წიგნთსაცავი შეიქმნა“.

1920 წლის 4 იანვარს პროფესორთა საბჭომ დაადგინა: „მიღებულ იქნეს საზოგადოდ, რომ უნივერსიტეტის დღედ ოცდაექვსი იანვარი იქნეს მიჩნეული“. იქვე განსაზღვრა, რომ ამ წელს გვიან, მაისში მოხდეს იუბილის აღნიშვნა: უნდოდათ ახალი დარბაზის მშენებლობა ამ დროისათვის დაემთავრებინათ. ნიშანდობლივია 1920 წლის 26 იანვარს ივ. ჭავჭავაძის წერილი მ. ჯამბაყურ-ორბელიანისადმი გავზავნილი. საქმე ეხებოდა იმას, რომ ამ მოღვაწე ქალმა გადაწყვიტა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტთა წახალისებისათვის 4 000 მანეთი შემოეწირა. ივ. ჭავჭავაძის წერილი სწერდა: „წლეულს პროფესორთა საბჭომ დაადგინა ამ თვის დღესასწაული გადატანილ იქნეს მაისში, როდესაც იმედია ჩვენ დიდი დარბაზი მზად გვექნება და პარტიკულარულ სტუმრების დახვედრას ღირსეულად შევძლებთ. ამიტომ დღეს მხოლოდ სტუდენტების დღესასწაულია. სტუდენტებს იმედი აქვთ, რომ დიდ ფულს შეაგროვებენ, რადგან დღეს მთელს საქართველოში მოაწყვეს საღამოები“.

სტიპენდიას თუ ინებებთ, სასურველია, რომ საგანგებო დანიშნულება ჰქონდეს და ისეთ პირს მიეცეს, რომელთა ნიჭი გამოიჩინეს რაიმე“. ეს წერილი არა მარტო უნივერსიტეტისათვის შემოწირულების მოწონებაა, არამედ იმის განსაზღვრაც, თუ როგორ გამოიყენონ იგი.

დიდი რუსი მუსიკალური კრიტიკოსის ვ. სტასოვის უკვდავება მის მიერ მხატვრულად ჩამოქნილ და საკითხის ღრმა წვდომით დაწერილ იმ სტატიებში როლია, დღესაც რომ გვანიჭებენ ესთეტიკურ სიამოვნებას.

ვ. სტასოვი რომ არა, ბევრი რამ დააკლდებოდა გამოჩენილ რუს კომპოზიტორთა, მომღერალთა, მხატვართა შემოქმედებით ბიოგრაფიებს. მთავარია, რომ ვ. სტასოვის თანამედროვენი, ცნობილი ოსტატები ხელოვნებისა, შინაგან რწმენით ენდობოდნენ კრიტიკოსის რჩევას. მათ თავიანთ შემოქმედებაში მისი წინადადებით ბევრი რამ შეუცვლიათ და შეუვსიათ. ამგვარ ბედნიერებას მოკლებული იყვნენ მუსიკის, სცენისა და მხატვრობის ქართველი ოსტატები. უკეთეს შემთხვევაში დიღეთანტურ შეფასებას, ხობტას, თუმცა გულწრფელსა და ალტაცებულს, შემოქმედებითი სულისათვის სარგებლობა არ მოუტანია, გაუხარებია კი მისი გული. ღრმა წვდომით შექმნილ კრიტიკულ გამოკვლევებს თანამედროვე შემოქმედზე მრავალმხრივი დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ასეთი მუსიკალური კრიტიკოსი საქართველოში სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა იგი ყველაზე უფრო იყო საჭირო. ამ კრიტიკოსის წარმოჩენაში თავისი წვლილი ივანე ჭავჭავაძემ შეიტანა. ესაა ქართველ სტასოვად წოდებული ილია ზურაბიშვილი, რომელიც ხშირად ელეფთერიძის ფსევდონიმით წერდა.

ილია ზურაბიშვილმა, როგორც მუსიკალურმა კრიტიკოსმა, არა მარტო პირველმა შეიგრძნო და შეაფასა „აბესალომ და ეთერის“ უკვდავება, არამედ თვითონაც შეიტანა წვლილი პირველი ქართული კლასიკური ოპერის სრულყოფაში, აქ კრიტიკოსის პირუთვნელობა ავტორისა და მისი ნაწარმოების მიმართ უნაპირო სიყვარულმა განსაზღვრა.

ილია ზურაბიშვილი გვიან გახდა „აბესალომ და ეთერის“ შესახებ პირველი მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი. ამ მონოგრაფიის დაბეჭდვაშიც პირველი გადამწყვეტი სიტყვა ივანე ჭავჭავაძის იყო.

ქურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1939, № 9; 1940, № 2—3) დაიბეჭდა სტატიები ი. ზურაბიშვილისა „აბესალომ და ეთერის“ შესახებ. გადაწყდა ამ სტატიების ცალკე ბროშურად დაბეჭდვა. რედაქცია ივ. ჭავჭავაძის აცნობებდა, რომ, ავტორის სიტყვებით, თქვენ გასცნობიხართ ამ სტატიებს და თანახმაც ყოფილხართ, რომ იგი ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო. რედაქციას ივ. ჭავჭავაძის მალალი ავტორიტეტი სჭირდებოდა, რომ ზაქარია ფალაიაშვილის უკვდავ ოპერაზე პირველი მონოგრაფია გამოქვეყნებულიყო. ივ. ჭავჭავაძის არ დაიზარა, ორჯერ გაეგზავნა წერილი ქურნალის რედაქციისათვის ამის თაობაზე. 1940 წლის 19 სექტემბერს ივ. ჭავჭავაძის ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პასუხისმგებელ მდივანს სწერდა: „რაკი თქვენს წერილობითს შეკითხვაზე ჩემი პასუხი, როგორც ჩანს, ფოსტას დაუკარგია და თქვენ მიღებული არ გქონიათ, ამით ხელშეწყობდა მოგახსენებთ, რაც იქ ეწერა: „ილ. ზურაბიშვილის მონოგრაფია ზ. ფალაიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შესახებ კარგად არის დაწერილი და იქ ამ უკვდავი ნაწარმოების ღირსება, მისი მუსიკის მოჭიბლავე თვისებები და ღრმა ეროვნული საფუძველი ნიშანდობლივ არის დახასიათებული. დარწმუნებული ვარ, ამ ნაშრომს ყველა სიამოვნებით წაიკითხავს, ამიტომაც სასურველია, რომ ეს მონოგრაფია ცალკე წიგნადაც ყოფილიყო გამოცემული“.

ივანე ჭავჭავაძის ყოველთვის ხიბლავდა ქართული კულტურის საკითხებზე შთაგონებითა და ღრმა წვდომით დაწერილი ილ. ზურაბიშვილის სტატიები.

ავტორი ყოველთვის კომპეტენტურად მიმოიხილავდა საკვლევ საგანს. ამასთან, ივანე ჭავჭავაძის კარგად იცოდა, რომ ილ. ზურაბიშვილის განსაკუთრებული მხატვრული ალლო, მაღალი ესთეტიკური გემოვნება და წმინდა პატრიოტიზმი დიდ ნდობას იმსახურებდა თვითონ ზაქარია ფალიაშვილის მხრივ. ამიტომ მის ნაწერს ამ ოპერის შესახებ ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა ჰქონდა.

ივანე ჭავჭავაძის კარგად ხედავდა, რომ უფრო უკეთესად არავის შეეძლო ეთქვა „აბესალომ და ეთერის“ სისხლხორცეულ კავშირზე ქართველი ხალხის ეროვნულ მუსიკალურ გენიასთან, ვიდრე ეს ილია ზურაბიშვილმა გააკეთა. ჩვენ თავს ვერ ვიკავებთ, რომ ილ. ზურაბიშვილის წიგნიდან რამდენიმე ადგილი არ მოვიყვანოთ.

„ეროვნული კულტურის შემქმნელი და შემნახველი ხალხია, იგი ინტუიტური შემოქმედია და უმეტეს შემთხვევაში თვითონაც არ იცის, რის შემძლეა და რა განძის პატრონი, მაგრამ მის წიაღშივე დროდადრო იბადებიან იშვიათი მადლით მოსილი ადამიანები, რომელნიც ბუნებისაგან მათთვის მიკუთვნებული გონების თვალთ და გულისყურით ღრმად იხედებიან ხალხის მიერ დაგროვილ საგანძურში, ამოკრეფენ იქიდან ძვირფასს თვალ-ჭავარს და თავიანთ არსებაში ათვისებულს და გარდაქმნილს ხალხსავე უბრუნებენ მის საოხად და სადიდებად, ვით ცოცხალ გრძნეულ საჩქეს, რომელშიც ხალხი ხედავს თავის შემოქმედ სახეს“. სწორედ ასეთ პირად მოველინა ქართველ ხალხს ზაქარია ფალიაშვილი. არა მარტო ქართველი ხალხისათვის, ასევე თვით ზაქარია ფალიაშვილისათვის ბედნიერება იყო, რომ იგი სათანადოდ მომზადებული და განსწავლული „ოპერის წერას შეუდგა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეზიარა და შეეთვისა ქართველი ხალხის მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში ინტუიტურად შექმნილ მუსიკას“.

ხალხის სტიქიური მუსიკალური გენია შენივთებულია ქართულ ხალხური მონუმენტური სიმღერების სახით, რომლებიც დღესაც უბრალო მსმენელებისა და სპეციალისტების ერთნაირ აღფრთოვანებას იწვევენ. ამას თან ერთვის ამ სიმღერათა მრავალფეროვნება სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რაც მხოლოდ ხალხის მუსიკალური ნიჭის სიმდიდრის გამოხატულებაა. კარგად ამბობს ამ თავისებურებათა შესახებ ილია ზურაბიშვილი: „მართლაც და როდესაც ქართულ-კახურ სიმღერებს ისმენთ, დიდი მხატვრული ალლო როდია საჭირო იმისათვის, რომ ცოცხალ სურათად წარმოიდგინოთ ფართოდ გაშლილი ძვირფასი ხალივით აფერადებული ველ-მინდორი, სხვადასხვა მშვენიერი ხილით დაზუშპული ბალები და ვენახები, დარბაისლურად დინჯი ადამიანები, ამ ბუნების წიაღში რომ ცოცხლობენ, შრომობენ და იბრძვიან არსებობისათვის“.

ხოლო როდესაც ისმენთ „გურულ-მეგრულ სიმღერებს, თქვენს თვალწინ თითქო იშლება ბორცვ-გორაკებიან ნაოქად ასხმული რელიეფი და ამ ნაოქებ შორის მოქცეულ პატარა-პატარა ვაკეებზე თუ კალთებზე მკვირიცხლად მონავარდე, ბუნებრივი გრაციით აღსავსე ფიგურები, ერთ წამს სხივებით ალაპლაპებული, მშვიდი და წყნარი, მეორე წამს—ქარტახილისაგან მძლედ აქოჩრილი. ან როდესაც ისმენთ სვანურ „ლილეს“, უნებურად წარმოიდგენთ ზეცამდე აყუდებული მკაცრი მთის მწვერვალს, სადაც ხალხი თითქო ლიტანიად დგას და ყოვლის მაცოცხლებელ მზეს რაღაც წარმართული ალტკინებით გამსჭვალულ ჰიმნს უგალობს“.

ზაქარია ფალიაშვილი დაეწაფა ხალხური შემოქმედების წმინდა თავანკა-

რა წყაროს, მთლად გაიყენთა ამ მხატვრულად დამათრობელი ნექტარით და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ოპერის შექმნას.

„აბესალომ და ეთერი“ ხალხური სიმღერების კრებული როდია, ოპერის ფორმად მოცემული. პირველ ეროვნულ, კლასიკურ ოპერაში მშვენიერ ნაყოფად მოცემულია ქართული სიმღერის სინთეზი, მისი ზოგადი არსი, მისი სული. ილია ზურაბიშვილი უნაპირო სიხარულით შეხვდა 1919 წლის 21 თებერვალს. ამ დღეს პირველად დაიდგა უკვდავი „აბესალომ და ეთერი“.

„აბესალომ და ეთერის“ დადგმით გამოწვეული სახალხო სიხარული შემდგომ მეასე სპექტაკლის თავზე კარგად გამოხატა კოტე მარჯანიშვილმა:

„დიდი დღესასწაულია!

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა!

დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა!

გასაოცარი ლეგენდაა სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსავადებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული... მწამს საქართველო, ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის საზღვარზე მდგარი: აღმოსავლეთის გასაოცარი სულიერი სინოციერისა და ევროპის გასაოცარივე ოსტატობისა, თვით თავის არსებაში ამყნობს ამ ორ კულტურას...

დიდება პიონერს, ამ გზით მიმავალს, დიდება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს!

„აბესალომის“ გარჩევა მე არ შემიძლია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მუსიკოსი არა ვარ, მეორე და უმთავრესად იმიტომ, რომ მოტრფიალეს არ ძალუძს თავისი სატრფოს ავ-კარგის აწონ-დაწონვა, მე კი ნამდვილი ტრფიალი ვარ „ეთერისა“.

სამწუხაროდ ეთერი მითია, არც მუსიკაა შენივთებული რამ და ამიტომ არ შემიძლიან მათ მე ჩემი ბაგით შევებო, სამაგიეროდ სულითა და გულით ვეამბორები ზაქარია ფალიაშვილს!“

ქართული კულტურის ამ ჰემმარტ ზეიმს, რასაკვირველია, დაესწრო ივ. ჯავახიშვილი. ზაქარიამ თვითონ მიუტანა ბილეთები ივანე ჯავახიშვილს; შემოქმედებითი მღელვარება ეტყობოდა ღვთიური ნიჭით დაჭილდობულ ზაქარია ფალიაშვილს. მღელვარების საფუძველიც იყო, ერთი წლის თავზე ეროვნული უნივერსიტეტის გახსნიდან იბადება ეროვნული მუსიკის შედეკრი. ეროვნული ჰანგები ნატიფ გრძნობად იღვრება.

ოპერა დიდხანს გაგრძელდა და გვიან ღამით დამთავრდა, მაგრამ მომენტის სილიადე ყველას უქარწყლებდა დაღლილობის გრძნობას, ტაშის ქუხილი ყოველივეს ახშობდა, საზღვარი არ ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის სიხარულს, იგი გაბრწყინებული სახით ხვდება პრემიერას, დამთავრების შემდეგ მასთან მიქრილ ზაქარია ფალიაშვილს სრული უფლებით ეუბნება მთელი ერის სახელით: „ეს თქვენი გამარჯვება კი არა, მთელი ქართველი ხალხის გამარჯვებააო“. მართლაც, ზ. ფალიაშვილის მუსიკა ერის სუნთქვაა.

როგორც ხშირად ხდება ხელოვნების ისტორიაში, ოპერის გამო ღვარძლით მორეული რეცენზიაც დაიბეჭდა, მაგრამ პასუხი თვითონ ოპერის უკვდავებამ გასცა. საერთო აღტაცება სრულებითაც არ გამორიცხავდა ოპერის შემდგომ სრულყოფას მისი მომავალი დადგმების შედეგად. რა თქმა უნდა, ის პირი უნდა გამოჩენილიყო, რომელსაც შეეძლო თვალნათლივ დაენახა ნაკლოვანებანი და აი, გაზეთ „საქართველოში“ 1919 წლის 20, 21 და 25 თებერვალს „ინენ“-ის ფსევდონიმით სამი სტატია იბეჭდება ოპერის შესახებ. ერთი პირველი დადგმის წინააღმდეგ, მეორე—პრემიერის დღეს, ხოლო მესამე—25 თებერვალს. ამ წე-

რილებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი ნაწარმოების შექმნის პროცესში გარკვეულა, მისი რეპეტიციების დამსწრე და ზოგიერთი შენიშვნის ავტორიცაა. მეორე წერილი ოპერის დადგმით გამოწვეული ალტაცების გამოხატულებაა, მაგრამ ამასთან ერთად რეცენზიის ავტორი დიდი გულისკრთომით და მოკრძალებით გამოთქვამს შენიშვნებს, რომ მომავალში ოპერა სრულყოფილი გახდეს. რასაკვირველია, მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ კი მისი ისეთი ურთულესი სახის, როგორც ოპერაა, შექმნისა და დადგმის შემდგომ ყოველთვის ძნელი როდია გამოვთქვით შენიშვნები მისი სრულყოფის თვალსაზრისით, მაგრამ თუ ამ შენიშვნებს ოპერის ავტორი მიიღებს და ოპერა უფრო სრულყოფილი ხდება, — ეს უკვე დიდა სამსახურია ერის კულტურის წინაშე. ამ რეცენზიის ავტორი სწორედ ილ. ზურაბიშვილი იყო (ეს უტყუარად დაადგინა ვ. ჩინჩალაძემ). რეცენზია შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „ყველა შემოაღნიშნულის გამოკლებით ოპერას არაფერი დააკლდება, — მადლობა ღმერთს, ოპერაში მუსიკა ულეველია, სამაგიეროდ იგი დაიხვეწება ყველა ზედმეტი ნაწილისაგან და დადგება ნამდვილი თავანჯარა ნაკადი მუსიკალური შემოქმედებისა, რომლითაც შეუძლიან თავი გამოიჩინოს არა მხოლოდ ავტორმა, არამედ თვით ქართულმა ხელოვნებამაც“.

გასქრა წმინდა გულით ზ. ფალიაშვილისადმი, მისი ნიჭისადმი ჰეშმარიტი თაყვანისცემით გამთბარმა წერილმა. დიდმა ხელოვანმა ზაქარია ფალიაშვილმა უკლებლივ ყველა შენიშვნა გაითვალისწინა და „აბესალომ და ეთერის“ მეორე დადგმაში განახორციელა კიდევ. დიდხანს, დიდხანს უცნობი იყო, რომ ოპერის სრულყოფის ამ წინადადებათა ავტორი ილია ზურაბიშვილია. ივანე ჭავჭავაძისი კი ყოველთვის დაუზარლად ცდილობდა დაეფასებინა ქართული კულტურის უანგარო და ჩუმი მუშაკის ილია ზურაბიშვილის ღვაწლი. ასევე ყოველგვარი საზღაურის გარეშე ერთი წლის მანძილზე მუშაობდა იგი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების მდივნის გულის გამაწვრილებელ საქმეზე.

ილია ზურაბიშვილი ავტორია შესანიშნავი წერილებისა თეატრალურ და მუსიკალურ მოღვაწეებზე. ასევე შესანიშნავია მისი ნაწერები ქართულ ცეკვებზე. უალრესად ძნელია ცეკვის აღწერა, მაგრამ ამას ილია ზურაბიშვილი საუკეთესოდ ახერხებს. მაგალითად, ცეკვა „ქართულის“ დედააზრი ასეა დახასიათებული: „ტრფიალება! ორი სქესის ლამუნი ურთიერთისადმი და ბრძოლა ამ ნიადაგზე“.

„ქართული“ მთლიანი პოემა ტრფიალებისა.

მას აქვს სათანადო დასაწყისი — „შორით ბნედა, შორით ალვა“, მას აქვს განვითარება — „კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს უნდა პოვნა“. მას აქვს დასასრული „სიყვარული აგვამალღებს!“! გახსოვდეთ, „ქართული“ ისე იწყება, ისე ვითარდება და ისე მთავრდება, რომ ვაჟი ქალს არც ერთხელ არ ეხება. მხოლოდ დამთავრების სურათი გვიჩვენებს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია ისინი უნდა შეერთდნენ. და რამდენადაც წაიღოთა საწყაული აღუვსებელია, იმდენად მწვავეა და ცეცხლოვანია ის გრძნობები, ქალ-ვაჟს რომ უკიდია. არც ერთ ევროპულ საცეკვაოში — მაზურკა გინდათ, პოლონეზი, ვალსი, ჩარდაში თუ კრაკოვიაკი და სხვა, — ეს კდემამოსილება და ამავე დროს აღვირამოდებული გახლებული ვნება არ არის ერთად შეთავსებული“.

უკეთესად ძნელია სთქვა რამ ამ ცეკვაზე, რომელიც პოემა ტრფიალებისა.

ბევრ მუსიკალურ რეცენზენტს, ვისაც კი პირველად უნახავს ეს ცეკვა, ილია ზურაბიშვილისაგან დამოუკიდებლად, ასევე დაუწერია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ სულის შემძვრელ იდუმალებით მოსილ როკვაზე.

სარეჟორო მოღვაწეობა (1919 — 1926)

თ ა ვ ი I. რეჟორო—თანასწორთა შორის პირველი

1919 წლის 17 დეკემბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილი ერთხმად აირჩია უნივერსიტეტის რექტორად.

ეს არ ყოფილა შედეგი, როგორც ზოგიერთ მოგონებაშია, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის წინასწარი შეთანხმებისა: თითქოსდა იმ პირობით დაეთანხმა პეტრე მელიქიშვილი პირველ რექტორობას, რომ მას მალე შეეცვლიდა ივანე ჯავახიშვილი. მსგავსი რამ არ მომხდარა.

პირველი რექტორი მაღალი მეცნიერული ღირსებითა და კომპეტენტურობით წარმართავდა უნივერსიტეტის საბჭოსა და გამგეობის მუშაობას. მას უაღრესად ძნელ ვითარებაში მოუხდა სარეჟორო მოღვაწეობის განხორციელება. იმ დროს ხომ ყველაფერი გართულებული იყო. თუნდაც ერთი ფაქტი. გაძნელებული იყო უნივერსიტეტის სასარგებლოდ შეგროვებული ფულადი თანხების ბანკში შენახვაც კი. 1918 წლის 15 მარტს პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, როგორც ხაზინადარი, მოახსენებდა პროფესორთა საბჭოს, რომ საუნივერსიტეტო თანხა, რომელიც მის ხელშია, დაცული აქვს კახეთის რკინიგზის სალაროში უპროცენტოდ. ხაზინაში ან ბანკში არ შეუტანია იმის გამო, რომ დღევანდელ პირობებში ხაზინიდან ან ბანკიდან ფულის უკანვე გამოტანა მეტად გაძნელებულია და ხანდახან შეუძლებელიცო. საბჭომ მოიწონა ხაზინადრის მოქმედება. უფრო გვიან, 1918 წლის 30 ნოემბერს, უნივერსიტეტის გამგეობის სხდომაზე კვლავ დადგა საკითხი, როგორ უნდა ინახებოდეს უნივერსიტეტის თანხა.

დაადგინეს: შეეძინათ „თავისუფალი სეიფი (თუ ის არის) ამიერკავკასიის ბანკში, თუ არადა უნივერსიტეტის თანხებს რექტორი შეინახავს თავის სეიფში, რომელიც მას აქვს პირველი საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში და თანაც ყოველი შემთხვევისათვის ანდერძს შეადგენს, რომ ეს ფული მისი კერძო საკუთრება კი არაა, არამედ უნივერსიტეტს ეკუთვნის“.

თვითონ პეტრე მელიქიშვილი უსასყიდლოდ ასრულებდა მთელს პერიოდში რექტორის მოვალეობას. როცა ამის შესაძლებლობა მიეცა და უნივერსიტეტმა მას 1918 წლის 17 ივლისს გამოუწერა 1750 მანეთი, რექტორობის სარგო სემესტრისათვის, მასზე პეტრე მელიქიშვილმა უარი თქვა და განაცხადა, რომ „ის რექტორობას როგორც დღიდან ამ თანამდებობაზე არჩევისა, ისე მომავალში უსასყიდლოდ ასრულებს“.

მთელ თავის სარეჟორო მოღვაწეობაში პეტრე მელიქიშვილი ემყარებოდა პრინციპს, რომ რექტორი უნივერსიტეტის თანასწორ პროფესორთა შორის

პირველია. პროფესორთა აზრის გაზიარება, მათი წინადადების დროული მოწონება, საქმის წარმატების საწინდრად იქცა. ბუნებრივია, პეტრე მელიქიშვილი გაიზიარებდა, მოიწონებდა და მხარს დაუჭერდა ჯერ ერთადერთი ფაკულტეტის დეკანის (შემდეგ კი, უხუცესი დეკანის არჩევის ხანიდან) ივანე ჭავჭავიძევილის წინადადებებს. უნივერსიტეტს მაშინ არ ჰყოლია პრორექტორი. დეკანი ითვლებოდა რექტორის მოადგილედ ანდა იგი აწერდა ხელს რექტორის მაგიერ. ამას ემატებოდა ივანე ჭავჭავიძევილის ზღაპრული თავდადება თითოეული საქმის აღსრულებაში, უდიდესი სიზუსტე და აკურატობა და ის დიდი შემოქმედებითი სიხარული, რასაც მას საუნივერსიტეტო საქმის ასრულება აძლევდა. ამიტომაც უნივერსიტეტის გახსნის შემდეგაც ბევრი ისეთი რამ ევალებოდა ივანე ჭავჭავიძევილს, და ისიც მისაბაძი ერთგულებით ასრულებდა მას, რაც გაცილებით შორს იდგა მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობისაგან. არ შეიძლებოდა ყველაფერი ეს დიდად სასიამოვნო არ ყოფილიყო პატრიოტი რექტორისათვის.

თუ გასაგებია, რომ ივანე ჭავჭავიძევილს ევალება 1918 წლის 21 მაისის პროფესორთა საბჭოს მიერ დ. ერმაკოვის ფოტოგრაფიული კოლექციის შესყიდვის ნოტარიალური წესით გაფორმება, მხოლოდ ენერჯიის უშურველობით და საქმის უსაზღვრო სიყვარულით აიხსნება ის, რომ სწორედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი ივანე ჭავჭავიძევილი ადგენს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვას; თუ ასევე ბუნებრივად გვეჩვენება 1918 წლის 11 სექტემბერს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის პროფ. ივ. ჭავჭავიძევილის წერილი თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორს ან. ლულაძეს იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტს გადმოეცეს ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა, რაკი „კარგა ხანია ბერძნული სწავლება საშუალო სკოლაში შეწყდა და მხოლოდ ლათინურის პირველდაწყებითი ცოდნის შეთვისებალა ხერხდება, გიმნაზიისათვის წიგნთსაცავის ეს ნაწილი უეჭველი საქირო აღარ იქნება, უნივერსიტეტისათვის კი ამ წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ და ძალიანაც გამოსადეგნი არიან“, მაშინ მხოლოდ დიდი მიზნისათვის უსაზღვრო ერთგულებით უნდა აიხსნას ის, რომ ივანე ჭავჭავიძევილი, და არა სხვა ვინმე, ადგენს საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დროებით დებულებას.

თბილისის ფიზიკური (მაგნიტურ-მეტეოროლოგიური) ობსერვატორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უძველესი სტაციონარული დაწესებულება იყო კავკასიაში. იგი სამეცნიერო ხაზით მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის მეშვეობით ექვემდებარებოდა მეცნიერებათა აკადემიას ს. პეტერბურგში. მის დირექტორს ნიშნავდა მეცნიერებათა აკადემია მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის წარდგინებით. მეცნიერ მუშაკს თვითონ თბილისის ობსერვატორიის დირექტორი ნიშნავდა, რასაც შემდგომ მეფისნაცვალის ამტკიცებდა.

კადრების შერჩევის ეს ბიუროკრატიული გზა მიზნად ისახავდა, არ დაეშვა ადგილობრივი, ნიჭიერი ახალგაზრდობა ობსერვატორიის მუშაობაში. ამის მიუხედავად, თბილისის ობსერვატორიის არსებობამ თბილისი აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს გეოფიზიკურ ცენტრად და ამით ხელი შეუწყო საქართველოსა და კავკასიაში სხვადასხვა სამეცნიერო წარმონაქმნთა დაფუძნებას.

პირველი მსოფლიო ომის დროს ზოგიერთი თანამშრომლის ომში გაწვევისა და მისი მომარაგების თანდათანობით გაუარესების გამო ობსერვატორიის მუშაობა ქვეითდება. მეტიც, 1917—1918 წელს იხურება ზოგადი განყოფილება. ობსერვატორიის დირექტორის გარეშე რჩება. 1918 წლის 13 აპრილს უნივერსი-

ტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს საკითხს იმის თაობაზე, რომ მოსულია წინადადება ფიზიკური ობსერვატორიისაგან, დაასახელონ კანდიდატები ობსერვატორიის დირექტორის ვაკანტურ ადგილზე. საბჭომ გადაწყვიტა, წარდგენილ იქნეს კანდიდატად უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალი, გეოდეზისტი ანდრია ბენაშვილი. საქმე მარტო უნივერსიტეტის პროფესორის ობსერვატორიის დირექტორად დანიშვნით როდი ამოიწურა. 1919 წლის 20 მარტს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სთხოვა განათლების სამინისტროს, გადმოსცეს უნივერსიტეტს ტფილისის ობსერვატორია მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით.

დებულებაში ობსერვატორიის შესახებ, რომელიც ივანე ჭავჭავაძის ხელითაა დაწერილი, განსაზღვრულია მისი სამართლებრივი მდგომარეობა. დებულებით იგი სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში ითვლება და ყოველმხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექვემდებარება. ობსერვატორიის დირექტორს ირჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ამტკიცებს პროფესორთა საბჭო.

ობსერვატორიას კარგა ხანს ექვემდებარებოდა მაგნიტური სადგური და საქართველოში არსებული ყველა მეტეოროლოგიური სადგური,

ამ გზით არა მარტო კავკასიის უძველესი აკადემიური სტაციონარული დაწესებულება გადმოვიდა უნივერსიტეტის გამგებლობაში, არამედ რამდენიმე თანამშრომელი ობსერვატორიისა უნივერსიტეტის შტატის მუშაკი გახდა, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საბუნებისმეტყველო დარგის სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის.

ივანე ჭავჭავაძის — სიბრძნისმეტყველებს ფაკულტეტის დეკანის — მრავალმხრივი მონაწილეობა უნივერსიტეტის წარჩინებაში მხოლოდ რექტორის მაღალი თანამდებობის ყოველმხრივ პატივისცემისა და წარმატების ნიშნით კეთდება. მთელი პირდაპირობით უნდა უარყვოთ შეხედულება, რომ ივანე ჭავჭავაძის იყო უნივერსიტეტის ფაქტიური რექტორი. როგორც აღვნიშნეთ, პეტრე მელიქიშვილი მაღალი კომპეტენტურობით ახორციელებდა რექტორის მოვალეობას. მის მოადგილედ მთელ ამ პერიოდში ითვლებოდა ივანე ჭავჭავაძის შვილი, როგორც პირველი და უხუცესი (თანამდებობიდან დანიშვნის დროით) დეკანი უნივერსიტეტისა.

სულ სხვა სურათი შეიქმნა 1919 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ.

როგორც თავის მოგონებაში გადმოგვცემს ექვთიასვილი, 1919 წლის 11 ოქტომბერს პროფ. პ. მელიქიშვილმა ერთ-ერთ პროფესორთან მომხდარი სიტყვიერი ინციდენტის გამო ითხოვა რექტორობიდან და პროფესორობიდან გადადგომა.

1919 წლის 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დააკმაყოფილა პროფ. პ. მელიქიშვილის თხოვნა რექტორობიდან გადადგომის შესახებ. ამის შემდეგ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უნივერსიტეტს არ ჰყოლია რექტორი. რექტორის მოადგილის მოვალეობას უხუცესი დეკანი ივანე ჭავჭავაძის ასრულებდა. ივანე ჭავჭავაძის წინააღმდეგი იყო, რომ იგი რექტორად აერჩიათ. ამას იგი მარტო სიტყვიერი უარით როდი ადასტურებდა. მეტიც, 1919 წლის 11 დეკემბერს მან მიმართა თხოვნით სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს „ორი წლისა და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგებლობაში და ფაკულტეტზე მეტად დავიდალე და ამიტომ დეკანობას თავს ვანებებ. გთხოვთ ახალი დეკანის არჩევნებში დაუყოვნებლივ მოხდეს“. გასაგებია, იგი მით უფრო წინააღმდეგი იყო რექტორობისა. მთელს ამ პერიოდში ივანე ჭავ-

ხიშვილი, როგორც რექტორის მოვალეობის აღმსრულებელი, წარმართავს უნივერსიტეტის შინაურ ცხოვრებას და მის ურთიერთობას სხვადასხვა დაწესებულებასთან. მისი, როგორც რექტორის მოვალეობის აღმსრულებლის, თავმჯდომარეობით მოწვეული იყო პროფესორთა საბჭოს ოთხი სხდომა. ამ დროს მრავალი ახალი სამეცნიერო ძალა იქნა მოწვეული. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1919 წლის 30 ოქტომბერს იური (გიორგი) ნიკოს ძე მარი დაამტკიცა საპროფესოროდ დატოვებულად უნივერსიტეტში სპარსული ლიტერატურის კათედრაზე სტიპენდიით. 1919 წ. 17 დეკემბერს შედგა პროფესორთა საბჭოს სხდომა. დასაწყისში მას თავმჯდომარეობდა რექტორის მოვალეობის აღმსრულებელი პროფ. ივ. ჭავჭავიძე, ხოლო მდივანობდა პროფ. ა. შანიძე. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, შ. ნუტუბიძე, ს. ავალიანი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, დ. გედევანიშვილი, ს. ქურდიანი, ა. ბენაშვილი, ა. დიდებულძე, ა. თვალჭრელიძე, ი. ფიგუროვსკი.

საბჭომ ივანე ჭავჭავიძელის თავმჯდომარეობით განიხილა და დაამტკიცა მის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი მთავრობაში წარდგენილი დამატებითი ხარჯთაღრიცხვისა, განსაზღვრა ლექციების შეწყვეტისა და განაწილების დრო, პროფ. ი. ბერიტაშვილის მოხსენება უნივერსიტეტის საქმეების მოწესრიგების შესახებ. ამის შემდგომ საბჭოს სხდომას ტოვებს ივ. ჭავჭავიძე და თავმჯდომარეობს პროფ. ა. ბენაშვილი, საბჭო იხილავს უნივერსიტეტის რექტორის არჩევის საკითხს.

ივანე ჭავჭავიძე არა მარტო საბჭოს სხდომას არ ესწრება, არამედ იგი წერილსაც ტოვებს პროფესორთა საბჭოს სახელზე:

„ბატონო თავმჯდომარე!

თუ ვინიცაა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ, მეტიმეტი დადლილობის გამო, კანდიდატობაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიითგან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1919 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე ერთხმად აირჩია ივანე ჭავჭავიძე რექტორად. საბჭოს წევრებს არავინ სხვა კანდიდატი რექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე არ დაუსახელებიათ. უწყვეტი მუშაობა, რასაკვირველია, დიდ ფიზიკურ გადაქანცვას იწვევს, მაგრამ უნივერსიტეტი არა თუ შექმნილია, არამედ, მიუხედავად დაბრკოლებებისა, წინ მიდის. იმ დროს, როცა ერთი კაცი ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარზეა, თითქოს ის რჩება, რომ მან დაიმსახურა მცირე ხნით დასვენება მაინც. და აი ამ ვითარებაში მისმა მხრებმა გაცილებით უფრო მძიმე ტვირთი უნდა ასწიონ.

საკვირველია, კიდევ უფრო დიდმა მოღვაწეობამ, პასუხისმგებლობის დიდმა გრძნობამ, უდიდესი ენერჯია შთაბერა ივანე ჭავჭავიძელს. ახლა სხვა არჩევანი აღარ რჩება. ახალ-ახალი ძნელი ამოცანები დგება უნივერსიტეტის წინაშე. 1920 წლის 4 იანვარს ივანე ჭავჭავიძე ნდობისათვის სამადლობელო სიტყვით მიმართავს პროფესორთა საბჭოს და იქვე სახავს იმასაც, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს უნივერსიტეტის სააკადემიო ცხოვრება.

ძნელი იყო რექტორობის დაწყება იმ დროს, როცა რექტორს არათუ აკადემიური საკითხები, არამედ შიშშილისაგან პროფესორთა გადაარჩენისა და მა-

თი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ბევრი საზრუნავი ეკისრებოდა. უმძიმეს ვითარებაში სწავლობდა სტუდენტობა.

სტუდენტებს აწვავდა ბრძოლა უხდებოდათ არსებობისა და მეცნიერების დაუფლებისათვის, რაც მათი ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა. გაზეთ „სახალხო საქმის“ 1920 წლის თებერვლის ნომერში ავტორი წუხილით წერს უნივერსიტეტზე:

„გული მიკვდება, როდესაც ვხედავ გაჩირაღდებულ რესტორნებს, საშა-კიტნოებს, სხვადასხვა დაწესებულებებს და მაგონდება სახელმწიფო უნივერსიტეტის მბუჯტავი ელექტრონი, რომელიც ხშირად ქრება და საქმეს ხშირად აფერხებს.

პატივცემულ მკითხველს კარგად მოეხსენება ცხოვრების აუტანელი პირობები, ჩვენი დროის სტუდენტებს მთელი დღით უხდება ბრძოლა არსებობისათვის და მხოლოდ საღამოობით ეძლევა ლექციების მოსმენის საშუალება“.

უნივერსიტეტის გამგეობა ხშირად გადაუხანებდა ხელმოკლე სტუდენტს სწავლის ქირის გადახდას ანდა გაათავისუფლებდა კიდევ მისგან, მაგრამ ეს მის არსებითად გამოუვალ მდგომარეობას დიდად ვერ აუმჯობესებდა. კიდევ უფრო დიდი დაბრკოლება იყო საცხოვრებელი სადგომის სახლპარო სიძვირე, რაც გლეხების შეილებისათვის სრულიად მიუწვდომელი იყო. რასაკვირველია, იმ დროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელები ვერც იოცნებებდნენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელზე.

ერთადერთი უნივერსიტეტის რექტორი როდი იზღუდება მართო საუნივერსიტეტო ცხოვრების წარმართვით. მას ბევრ სხვადასხვა საკითხზე მიმართავენ, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის შექმნილ დაწესებულებაში იწვევენ. 1920 წლის 20 იანვარს უნივერსიტეტის გამგეობამ რექტორი ივ. ჯავახიშვილი წარგზავნა სამხედრო ტერმინოლოგიის შემდგენელ კომისიაში უნივერსიტეტის წარმომადგენლად. მანამდე პროფ. ივანე ჯავახიშვილმა პროფ. ი. ყიფშიძესთან ერთად საგარეო მუშაობა გასწია რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონის შესადგენად.

1920 წლის 7 თებერვალს რექტორი ივ. ჯავახიშვილი აცნობებს პროფესორთა საბჭოს, რომ მას სთხოვენ, მონაწილეობა მიიღოს იმ კომიტეტის მუშაობაში, რომელიც არსდებოდა განათლების სამინისტროსთან სახელმძღვანელოების შესაფასებლად და სატერმინოლოგიო საქმის მოსაგვარებლად. საბჭოს დადგენილებაში ვკითხულობთ: „პროფესორთა საბჭო ფრიალ საჭიროდ სცნობს კომიტეტის დაარსებას და თავის მხრით სთხოვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს მონაწილეობა მიიღოს ამ კომიტეტის მუშაობაში“.

1920 წლის 10 თებერვალს უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა ამ სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფრიალ სასარგებლო მუშაობა ჩატარდა საშუალო სკოლის მასწავლებლებთან ქართულად სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის.

უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი სრულიადაც არ ამცირებს თავის სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვას როგორც პროფესორი. პირიქით, ახალ-ახალი კურსების კითხვას იწყებს იგი.

ლექციის კითხვის დროს ყველა სხვა სარექტორო საქმე უკან დგებოდა. სხდომა ამ დროისათვის თავდებოდა ანდა იმ დღეს არ მოიწვეოდა. რექტორი კაბინეტს დროულად ტოვებდა და მიემართებოდა სალექციო აუდიტორიისაკენ. რექტორობის დროს არა თუ გაცდენა, ერთხელაც არ დაუგვიანია ლექციაზე.

დიდი სიხარული მოუტანა მას 1920 წლის 9 მაისმა. ამ დღეს ივანე ჯავა-

ხიშვილი ოპონენტია თავისი მოწაფის სადოქტორო დისერტაციისა. მეორედ ეძლევა მას შესაძლებლობა ოპონენტად გამოვიდეს ქართული მოწაფის დისერტაციაზე. პირველად 1914 წელს იგი ოპონენტია იოსებ ყიფშიძის დისერტაციისა, რომელიც პეტროგრადის სახელოვან უნივერსიტეტში იცავს; ახლა ქართულ ენაზე ახალფეხადგმულ უნივერსიტეტში პირველად ტარდება საჯაროდ მეცნიერული პაექრობა.

ივ. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი თბილისის უნივერსიტეტის ძირითადი დებულებით აქ შემოღებული იყო ერთი სამეცნიერო ხარისხი დოქტორისა, ანუ მოძღვართ-მოძღვრისა. იქვე განისაზღვრა, რომ რუსეთის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრიდა.

დისერტაციის დაცვას წინ უსწრებდა სავალდებულო სადოქტორო ზეპირი გამოცდების ჩაბარება, რაც პირს უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ შეეძლო. ჩასაბარებელი საგნები მთავარ და დამხმარე საგნებად იყოფოდნენ. ხარისხის მაძიებელს გამოცდების ჩაბარებიდან ხუთი წლის მანძილზე უნდა დაეცვა დისერტაცია.

დისერტაციის დაცვისა და დამტკიცების მთელი პროცედურა უნივერსიტეტშივე მთავრდებოდა. დისერტაციის დაცვა ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე ხდებოდა, რომელსაც შემდგომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ამტკიცებდა და სიგელის გადაცემით ადასტურებდა.

პირველი დისერტანტი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. მას სამაგისტრო გამოცდები აღრევე, 1915 წელს პეტროგრადის უნივერსიტეტში აქვს ჩაბარებული. იგი უკვე რამდენიმე ნაშრომის ავტორია და ქართული კულტურის ცნობილი მკვლევარია. 8 წლის განმავლობაში მუშაობდა იგი თავის სადისერტაციო ნაშრომზე. 1915 წელს დაიწყო მისი ბეჭდვა რუსულ ენაზე პეტერბურგში, მაგრამ წიგნად გამოსვლა მაშინდელი ვითარების გამო ვერ მოხერხდა. 1920 წლის 17 იანვარს გამოვიდა აკაკი შანიძის მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“.

წიგნი ავტორმა მიუძღვნა „ქართული უნივერსიტეტის პირველ მუშაკთა გუნდიდან უღროოდ გარდაცვალებულ ი. ყიფშიძის, დ. ყიფშიძის და ს. ლომიას ძვირფას ხსოვნას“.

1920 წლის 20 იანვარს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიმართა აკაკი შანიძემ: „პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ ჩემი გრამატიკული გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ და გთხოვოთ, უკეთუ შესაძლებელია, მიღებულ იქმნეს იგი დისერტაციად დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისათვის ენათმეცნიერების დარგში“.

პირველმა სადოქტორო დაცვამ თბილისში უაღრესად ფართო ინტერესი აღძრა. თავიდანვე ცნობილი გახდა, რომ დამსწრეთა რიცხვი მეტად დიდი იქნებოდა. გადაწყდა დასწრება წინასწარ დარიგებული ბილეთებით მოხდეს. მაინც ნამდვილი მოზღვავება იყო ხალხისა. კათედრის წინ საგანგებო მაგიდას უსხდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სრული შემადგენლობა. მათ შორისაა პროფესორთა კოლეგიის ახლადარჩეული წევრი, დამსახურებული პროფესორი ალ. ცაგარელი. დარბაზის მარჯვენა მხარეს ადგილები ოფიციალურმა სტუმრებ-

მა დღიკავებს, მარცხნივ კი უნივერსიტეტის დანარჩენი ფაკულტეტის პროფესორებმა.

ყველა სხვა ადგილი სტუდენტებით და გარეშე პირებითაა გაქვდილი.

საბჭოს სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კ. კეკელიძემ. მან აღნიშნა, რომ ამიერიდან ქართულ მკვლევარს სრული შესაძლებლობა ეძლევა სამეცნიერო ხარისხი მშობლიურ უნივერსიტეტში მიიღოს დისერტაციის მშობლიურ ენაზე დაცვით.

ფაკულტეტის მდივანმა პროფ. გ. ახვლედიანმა დამსწრეთ გააცნო დისერტანტის მოკლე ბიოგრაფია. ამის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ დისერტანტი მიიწვია კათედრაზე.

ძველ უნივერსიტეტში მიღებული ტრადიციისამებრ დისერტანტს ფრაკი და თეთრი ხელთათმანები ეცვა, რომლებიც მან ქირით თეატრიდან გამოიტანა.

დისერტანტს სიჩქარესა და ღელვაში წინასწარ დაწერილი შესავალი სიტყვა შინ დარჩენოდა, მაგრამ თავისი განსაკუთრებული მეხსიერებით კარგად ალაღვინა ზეპირად.

შესავალ სიტყვაში (სტამბურად იგი მხოლოდ 48 წლის შემდეგ დაიბეჭდა „ძველი ქართული ენის კათედრის შრომებში“ 1968 წ., ტ. 11, აგვ. 1—6) აკაკი შანიძემ თქვა:

„დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარგუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა და სად, თუ არ საქართველოში, სად, თუ არ ჩვენს დედაქალაქში, სად, თუ არ ქართულს სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?“ ამასთან იგი მოკრძალებით დასძენდა:

„ბედნიერი ვარ უზომოდ, მაგრამ ამასთანავე ერთად მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი თუ ჩემი პატარა შრომა არ შეეფერებოდეს იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების დაწყება ჩვენში. მაფიქრებს ეს გარემოება, მაგრამ თანაც ის მაძლევს გამბედაობას და მიმატებს მხნეობას, რომ დიდი საქმე საზოგადოდ მცირით დაწყებულა და ამიტომ ეგების ჩემი მცირედი შრომა რამდენადმე მაინც, აკმაყოფილებდეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებას“.

უნივერსიტეტის დებულებით „დისერტანტს არ ეძლევა მოწინააღმდეგე ოპონენტის კრიტიკა წინასწარ განსახილველად“. აკაკი შანიძეს არც ერთი ოპონენტის შენიშვნა წინასწარ არ მიუღია; პირველად საჯარო დაცვაზე ისმენს. დისერტაციის მთელს მსვლელობაში იგი კათედრაზე იდგა და ისე მონაწილეობდა დისპუტში. ოფიციალური ოპონენტები პროფესორები გ. ახვლედიანი და ივ. ჭავჭავიძეილი სადისერტაციო ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევენ.

განსაკუთრებით აღნიშნეს მათ დისერტანტის დიდი უნარი ახალი პრობლემების დაყენებისა და ისიც, რომ ეს ეტაპური, ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომი მეცნიერულ ინტერესს აღუძრავს და ქართული ენის შესწავლაში მოიზიდავს კვლევა-ძიების უნარით დაჭილდობებულ ახალ ძალებს, რომ აკაკი შანიძის ნაშრომი ეტაპური წიგნია, რომელმაც მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა დედანის დედაძარღვის — ქართული ზმნის უმნიშვნელოვანეს საკითხთა კვლევას.

ივანე ჭავჭავიძეილის სიტყვებით: „პროფ. აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1912 წ. სტუდენტობის დროს აღნიშნა, რომ მეორე პირის სუბიექტური თავსართი

ზმნებში ქართულ კილოებშია დაცული. ამის შემდგომ ამავე გარემოებას ძველ ქართულში პროფ. ი. ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება. მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც აკ. შანიძის ლეაწლს შეადგენს, რომელმაც ამ ორ საკითხს ძველი ქართული წერილობით ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი კილოების მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა“.

ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. აქ კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული, იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზე დამყარებული“. თითქმის 6 საათს გაგრძელდა 1920 წლ.ს 9 მაისის კვირას შემდგარი პაექრობა. დისერტანტი ოფიციალურ და არაოფიციალურ ოპონენტებს მოტივირებულ და დამაჩერებელ პასუხს აძლევს. არაოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ კ. კეკელიძე და პ. მირიანაშვილი.

დისპუტის დამთავრების შემდეგ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მთელი შემადგენლობა (გარდა აკაკი შანიძისა, რომელიც დარბაზში დარჩა) საგანგებო ოთახში წავიდა მსჯავრის გამოსატანად. ხანმოკლე თათბირის შემდეგ საბჭო დაბრუნდა. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კ. კეკელიძემ წაიკითხა სამეცნიერო საბჭოს 9 მაისის სხდომის ოქმი. მასში აღბეჭდილია: „პაექრობის შემდგომ უნივერსიტეტის დებულების 24-ე მუხლის თანახმად, ფაკულტეტს მთელი შემადგენლობით ბჭობა ჰქონდა და დაადგინა: თხზულების დაცვა კმადსამყოფად ჩაითვალოს. პროფესორი აკაკი შანიძე ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის ღირსად ცნობილ იქნეს“.

დამსწრე საზოგადოება ოვაციებით ხვდება ამ გადაწყვეტილებას. უნივერსიტეტის პროფესორებმა ამხანაგური ამბორით მიულოცეს მკვლევარს გამარჯვება. მათ შორის პირველი ივანე ჭავჭავაძის შვილი იყო.

6 დღის შემდეგ 1920 წლის 15 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთხმად დაადასტურა 33 წლის აკაკი შანიძისათვის ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის მიკუთვნება. დაცვისა და დამტკიცების მთელი პროცედურა ამით დამთავრდა.

ფეხბედნიერი, კეთილი მეკვლე აღმოჩნდა პირველი მეცნიერული ნათლობა ქართულ უნივერსიტეტში (სადაც ღღემდე 4 ათასზე მეტი დაცვა შედგა), რაც მარადიული პრობლემის — დედაენის გრამატიკის მონუმენტური კვლევით დაიწყო.



მოულოდნელი იყო ივანე ჭავჭავაძისათვის, როცა იგი, უნივერსიტეტის რექტორი, იღებს დასავლეთ ევროპაში მყოფ აკადემიკოს ნიკო მარისაგან 1920 წლის 28 ნოემბერს რომიდან გამოგზავნილ წერილს. მასში ნათლად ჩანს ნიკო მარის ღრმა პატივისცემა მისი ყოფილი მოწაფისადმი, თითქოსდა იგი მეცნიერულ ანგარიშს აბარებდეს ევროპაში მისი ფართო მასშტაბური ფილოლოგიური დაკვირვებების გამო. მკითხველი ხედავს, რომ დიდ მეცნიერულ ტემპერამენტს აზრების დაუდგრომელი ცვალებადობა მოსდევდა თან, რის გამოც ნიკო მარი თავის ენათმეცნიერული თეორიის სრულ გადახალისებას გვთავაზობს. ამასთან, გამოთქვამს ენერგიულ სურვილს თბილისის უნივერსიტეტში მუშაობაზე. მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს ამ წერილიდან:

ა-ნო ივანე,

დიდი გაჭირვებით ლეიპციგში მოვეწყვე (მადლობა ბ-ნ ახმეთელს), ასრე კარგათ, რომ მეცადინეობაში გართობილი შევრჩი ჩეროვანზე მეტი, მეხუთე კვირეა. უწინ რვა დღეს, შემდეგ მხოლოდ ორ კვირას ვაპირებდი აქ დარჩომას, არ იქნა, ნამეტარი საკირო წყაროები და ლიტერატურა მქონდა გადასახედავი, ნახევარიც ვერ მოვასწარი, სიბერის დღეს ნამეტარი სიმძიმე დამეკრა თავზე, ერთი აღმოჩენა მეორეს მოსდევს, რომ ყველა მოგწერო, თქვენაც არ დამიჭერებთ მგონი, იმდენად ჩემთვისაც მოულოდნელი გამოჩნდნენ ყველანი ერთად და თითო-ცალკე სხვაგვრივ, ვიდრე ადრე, გამოშუქებით. ბევრი უწინდელი უნდა უკუვაგდო არა თუ როგორც აღმოჩენილი ფაქტი, არამედ როგორც მთლიან აღშენებულობის ნაწილი, სხვანაირად ილაგება მასალა და ი „შენებულ“-ება მთელი თეორია. სუმერულსაც კარგად ვიწყობთ ჩვენ კალათაში, არამც თუ მარტო სუმერულს, მთელ ლექსიკონურ მასალას „გლოსარი“-ების ლუსმურწერილთა. მ. წერეთელს ხელახლავე დავებრუნდი და გადავიკითხე, დალოცვილს რომ ცოტა მეტი ყურადღება მიეცა იაფეტურ თეორიისთვის, ნახევრად გაგვიმსუბუქებდა ხელსაქმელს. მაინც ვალად ჩავიბრახე პირველი მკაცრი მსჯელობისათვის (რომ გამოეთქვი) ბოდიში მომეხადა, დაბეჭდილი უნდა იყოს ახლა ამის შესახებ პეტროგრადში დატოვებული სტატია. აქ ახალი მასალა დამხვდა ხეტურის (რვა ენამდე არკვევენ მცირე აზიის ლუსმურწერილ ნაწყვეტებში) და ვერც ერთი იაფეტურობას ვერ წაუვა, რასაც აქ სწერენ ბავშვური პარტყალის ფასი აქვს, მეტი რომ არ ვსთქვათ. საუბედუროდ ეტრუსკული და განსაკუთრებით (როგორც ცოცხალი ენა) ბასკური ენა საშველს არ მამლევენ, დრო მინდის, მივეჩქარები და შემდეგ თბილისში მინდა მარტში მაინც უნდა მოვასწრო, რომ რამე ან ზოგადი ხასიათის ან კერძოდ საცოლინარის საგანი ლექციების საფენელად შევქნა. არც ვიცი, რა იქნება მანდ საკირო, მაგრამ მგონია, ახალი საკითხების შესახებ კურსი, თუმცა ეპიზოდური, ამ ხელად გავატარო. საქმე იმაშია, რომ თუ დროზე არ დავებრუნდი პეტროგრადში, ამის შესახებ პირადათ მოგახსენებ. ეხლა ჩემი სათხოვარი მომისმინეთ. ბ. ახმეთელი ჩემ წიგნებს გზავნის უნივერსიტეტში (და თან ლექციების ერთ ნაწილსაც და შრომებს-სტატიებს). თუ თქვენ გაინტერესებს მანდ მოსრული წიგნები, გთხოვ ისარგებლეთ, ოღონდ როდესაც მოვაწევ, შევიძლო მათი ხმარება. ვულერის ლექსიკონს და საზოგადოდ სპარსულის და არაბულის შესახებ თუ რამ შევძელი, შეუკვეთე კიდევაც წიგნთ სავაკროში, გიორგისთვის ვგზავნი, იმედია კარგათ არის. დედა მისი ძალიან ელტვის და უნახულობას სწუხს. მოკითხვა თქვენ მისგან და საერთო ჩვენი თქვენ მეუღლეს...

PS. ეგ წერილი დავამთავრე და მაშინ მოვიფიქრე იქნება, ვინ იცის, არ გაქვთ შეტყობილი, რომ მოწვეული ვარ თქვენთან უნივერსიტეტში, თუმცა არ მგონია, რომ ურექტოროდ და საზოგადოთ უთქვენოდ ჩემთვის მოეწერათ და ჩემი პირობით მიღებას დათანხმებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში ვითხოვ, ერთი ოთახი მზად იყოს ჩემთვის, ქუჩაში არ დავრჩეთ, თუ მოვაწიე ბათომში, მოსვლას ტელეგრაფით გაცნობებ.

PPS თფილისში კიდევ უდიურის (სჯობს უტეურის) შესწავლა იქნება ცოტაოდნად წინ წავსწიო.

PPPS თქვენი უნივერსიტეტის რად ჩავირიცხები, კერძობით პრევატ დოცენტათ, თუ ეგრე აგრეგე არც ის ვიცი. ნ. მ.

დამატება.

კურსი სპეციალური სურვილი მაქვს წავიკითხო, თუ მსურველნი იქნები-

ან (ცოტა მაინც მომზადებულნი უნდა იყვნენ): „ბასკური ენის ადგილი იაფეტურ ენათ შორის“.

რასაკვირველია კურსს აგრეთს თანაბარი შესავალი და ეთნოლოგიურ-ისტორიული მიმოხილვა სჭირია, პირველი „იაფეტურ ენათ შედარებითი გრამატიკა“. შიგ კურსში იქნება შეტანილი (შემოკლებით) ან გეზად გავმართავ უფრო ვრცლად, მეორე — იაფეტურ ნათესაობის წარმოშობა, მისი პირველ-დელული და სხვა ამგვარი ცალკე უნდა წაიკითხოს. თან მინდოდა ენის პალეონტოლოგიაც ან პალეონტოლოგიისგან ცოტა რამ მაინც დალაგებით წამეკითხა, ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიძველენი აღმოჩნდა თვით ქართულ ენაში...

„... თქვენი წერილი თუ მომისწრობს ქართველთ საწარმო-მადგენლოში (იქნებ აგრე უფრო ბეჭითი გამოდგეს პირდაპირ ბაიონში), თანაბრად მოთხოვნილებებისა კურსს გამოვარჩევ. რომ საეკვო არა დარჩეს რა, ენის შესახებდაც ვიტყვი: რა ქართველთ და ქართული უნივერსიტეტია, რასაკვირველია, ქართულად წავიკითხავ, გასაკვირი დროს უქნალობაა. ხომ იცით, რომ დაუწერლად მე არ ვკითხულობ, მე აქ მოუწიდი მართო კითხვა-კვლევას მთლად... მე თუ ქართულად არ წავიკითხე, მაშინ ვისლა დაევალება ამ პირველ ხანში ქართულად წაკითხვა? გთხოვ ყველაფრის გულახდილ პასუხს, განსაკუთრ. კურსების შესახებ, რომ მოვასწრო დამკვირდება კვირაში არა ნაკლებ ათი საათის კითხვა, ვნახოთ“.

ეს წერილი პირადად ივანე ჯავახიშვილმა სიხარულით მიიღო, მან იგი იმის ნიშნად მიიჩნია, რომ ამიერიდან ნიკო მარი დაეიწყებას აძლევდა უსიამოვნო წარსულს ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით და უკვე ეროვნულა უნივერსიტეტის საქმეს იმდენად გამარჯვებულად თვლის, რომ მზად არის უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობაც კი იკისროს.

ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი და შემდეგ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოები იხილავენ აკადემიკოს ნიკო მარის მოწვევის საკითხს.

1921 წლის 2 თებერვალს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ადგენს: მოწვეულ იქნეს აკადემიკოსი ნიკო მარი და მისთვის გაიხსნას შედარებითი იაფეტური ენათმეცნიერების კათედრა. 1921 წლის 15 აპრილს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აარსებს შედარებითი იაფეტური ენათმეცნიერების კათედრას და 1921 წლის 1 იანვრიდან იწვევს აკადემიკოს ნიკო მარს.

მაშასადამე, დასავლეთ ევროპიდან დაბრუნებამდე გაუხსნა თბილისის უნივერსიტეტმა კათედრა ნიკო მარს. ასეთი სიხარულით შეეგება იგი დიდი ქართველოლოგის სამშობლოში დაბრუნების სურვილს.

1921 წლის 28 იანვარს ივანე ჯავახიშვილი სწერდა ნიკო მარს, რომ „თქვენ მოწვეული ბრძანდებით პროფესორად ჩვენს უნივერსიტეტში და ჩვენივე თხოვნით მოგმართათ თქვენ ჩვენმა მთავრობამ. თქვენი ჩამოსვლის ამბავი გვახარებს და გვაშენებებს. რა კურსსაც აირჩევთ წასაკითხავად, თქვენთვის მოგვინდვია და ამ მხრივ სრული თავისუფლება გექმნებათ, რასაკვირველია. ჭერჭერობით კი გვეცოდინება და ლექციების ნუსხაშიაც შევიტანთ, რომ თქვენ ამ მიმდინარე სემესტრში წაიკითხავთ: „ბასკური ენის ადგილი იაფეტურ ენათა შორის“. დანარჩენს რასაც აირჩევთ, გამოვაცხადებთ თქვენს ჩამობრძანებისთანავე. თქვენს წიგნებისა და თქვენი შრომების ფიქრი ნუ გექმნებათ. მოგვივა თუ არა, საგანგებოდ შევიჩნახავთ. თქვენი შვილი კარგად არის, უნივერსიტეტთან არის დატოვებული სპარსულ კათედრისათვის საპროფესოროდ მოსამზადებლად და ჩვენ

წიგნთსაცავშიც მუშაობს. ამჟამად ჩვენ სამი ფაკულტეტი გვაქვს. 3514 სტუდენტი, 39 პროფესორი, 10 დოცენტი გვყავს და სხვები, სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობა 127 უდრის. უნივერსიტეტს 7 შენობა ეკუთვნის და მრავალი სრულებით მოწყობილი დაწესებულება აქვს. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში 115000 ტომ-წიგნზე მეტი ითვლება. ერთი კვირაა, რაც საფრანგეთიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან 20000-მდე ახლად გამოწერილი წიგნები მოგვივიდა, მართალია, ჯერ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ იმდენად მაინც მოვეწყვით, რომ პუშაობა შესაძლებელია. არაბული, სპარსული, სომხური, ოსმალური, ასირიული წიგნებიც და მათ შესახებ გამოკვლევებიც ბევრი გვაქვს და თანდათანობით კიდევაც შევავსებთ. შეერთებული ძალით იმედი გვაქვს მრავალგვარს დაბრკოლებასა და სიძნელეს ვძლიოთ და იმდენად მოვეწყვენეთ, რომ ყოველგვარი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ხელშემწყობი პირობები ჰქონდეთ ჩვენს მეცნიერებს. ეხლა რაკი თქვენც ჩვენთან მობრძანდებით, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დაუშრეტელი ენერჯითა და მუდამ მხურვალე და აღფრთოვანებული შემოქმედებით ჩვენს სუსტს ძალას გააორკეცებთ და ჩვენს უნივერსიტეტს დაამშვენებთ“.

ეს სიხარული სრულიად ფუჭი აღმოჩნდა. პირენეიდან ნიკო მარი პირდაპირ პეტროგრადს გაემგზავრა და თბილისში აღარ ჩამოსულა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არნახულად დიდი სიძნელები აღუდგა უნივერსიტეტის წინსვლას. იგი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში პოულობდა გამობატულებას. ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას არ შეეძლო სწავლის დაწყება, ანდა იგი იძულებული ხდებოდა, თავი დაენებებინა სტუდენტობისათვის. ეს გულგატეხილობის სულისკვეთებასაც ქმნიდა. გაზეთ „სახალხო საქმის“ 1920 წლის 30 აპრილის ნომერში დ. კ-ლი წერდა: „ჩვენი სტუდენტების 95 პროცენტი დღეს ცხოვრების ძნელი პირობების გამო სამსახურშია ჩათრეული და იქ, სპეციალობის ნაცვლად, რომელიც მას ამოურჩევია შესწავლისა და კვლევის საგნად, სრულიად შეუთავსებელ შრომაში¹ იკარგება და იქსაქსება მისი გონებრივი და სულიერ-ფიზიკური ძალები. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მყოფს ჩვენ სტუდენტობას და ქართულ უნივერსიტეტს არ შეიძლება ექნეს დიდი მომავალი“. სიმართლით აღწერილი ფაქტები მაინც ვერ აბათილებენ იმ მიღწევებს, რასაც უნივერსიტეტი აღწევს. მისი მომავალიც მტკიცეა, ჯერ ერთი იმით, რომ მას არასდროს არ ჰკლებია სწავლას მოწყურებული სტუდენტობა და თავგამოდებული, მეცნიერებისა და სამშობლოს მოყვარე პროფესურა, სწორედ მათ და არა მაშინდელმა ხელისუფლებამ უზრუნველყვეს უნივერსიტეტის წარმატებანი. მათ შესახებ 1920 წლის ბოლოს წერდა ივანე ჯავახიშვილი: „ვერაერთარი ფულით ამისთანა რამ ვერ შეიქმნებოდა, თუ არ ქართველ მეცნიერთა სამშობლოსა და მეცნიერების უანგარო ძლიერი სიყვარული. ამ სამი წლის განმავლობაში სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირად შემადგენლობას იმოდენა სამშობლოსა და მუშაობა ჰქონდა, რომ მართო ამ აღმშენებლობითი მოღვაწეობით რომ დაქმნულ იქნებოდა, ვერავინ საყვედურს ვერ ეტყოდა, მაგრამ ასე დატვირთულ-მაც წმინდა სამეცნიერო მუშაობაც შესძლო და არა ერთი გამოკვლევა დაამზადა. ეს გარემოება ჩვენი უნივერსიტეტის მომავალი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო თავმდებად უნდა ჩაითვალოს. მოვალეობად ვრაცხ

¹ გაზეთ „სახალხო საქმეში“ აღ. ო-ნი 1920 წლის 13 მაისის ნომერში წერდა: „სტუდენტს თავისუფალი დროც, რომ ჰქონდეს, უნივერსიტეტში სიარული მაინც ბევრს ეძნელება, რადგან ან ფეხსაცმელი, ან სხვა რამ საჭირო ტანსამოსი არა აქვს“.

მხოლოდ განვაცხადო, რომ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობაცა და სტუდენტობაც დიდ ქონებრივ გაჭირვებაში არიან... და ამის გამო მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო, რომ მათ ლუკმა-პური-სათვის აქეთ-იქით ხშირად ამაო სირბილი არ უხდებოდეთ და დამშვიდებით შეძლონ თავიანთი დიდი და პასუხსაგები საქმის გაძლოა“. ამგვარი ზრუნვა მეცნიერებისათვის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ხორციელდება, სადაც მეცნიერებისა და განათლებისათვის განუხრელი ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის ორგანული ნაწილია. მაინც იმ ძნელ დროსაც რექტორატი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გადაერჩინა პროფესურა ფიზიკური განადგურებისაგან. ასე, 1920 წლის 1 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა: გამოიყონ პროფესორები შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე და გ. ახვლედიანი და დაევალოთ მათ, გამონახონ საშუალება შინაურული გზით (მაგალითად, სურსათ-სანოვავის, შეშის თუ სხვა რაიმეს დროზე შეძენით) პროფესორ-ლექტორთა უმწეო მდგომარეობის „შესამსუბუქებლად“.

თ ა შ ი II. ახალი წყობა, ახალი ამოცანები, ახალი ცვლა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის ისტორიაში.

ორმხრივი უნდობლობის ბურუსი მალე გაიფანტა.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით ახორციელებდა ფრთხილ, ფაქიზ დამოკიდებულებას ქართული ინტელიგენციისადმი და, გასაგებია, მისი ყველაზე დიდი კერის — თბილისის უნივერსიტეტისადმი.

ქართველ ინტელიგენციაში ყოველთვის სკარბობდა დემოკრატიული ძალები. ამ გზით სოციალიზმის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები, რომელთა სიყვარული მშობელმა ხალხისადმი უსაზღვრო იყო. მეორე მხრივ, პროფესორთა კორპორაციას უნდა დაენახა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა თუ წინააღმდეგი არ არის ეროვნული სახელმწიფოებრიობისა, არამედ ყოველმხრივ ესწრაფვის ქართული ენის, კულტურის, მეცნიერების აღორძინებას, საწარმოო ძალების შეუზღუდველ განვითარებას.

ორივე მხარე ადვილად ერკვევა შემხვედრ ინტერესთა ერთიანობაში. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ივანე ჭავჭავაძის მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეორე დღესვე, 1921 წლის 26 თებერვალს, ეწვია ახლადშემდგარ საბჭოთა მთავრობას. აქ მამია ორაბელაშვილის პირით მათ მოისმინეს, რომ ახალ ხელისუფლებას არავითარი საფუძველი და მიზანი არა აქვს მტრულად მოეყიდოს ქართულ უნივერსიტეტს. მან აღუთქვა შეუფერხებელი მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა და დასძინა: „წყადით და დამშვიდებით განაგრძეთ თქვენი ყოველდღიური მუშაობა“. სულ მალე, 28 თებერვალს, თბილისის გარნიზონის უფროსი მანდატს აძლევს პროფ. ივ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ქონების ხელშეუხებლობის შესახებ. არც ერთი დღით უნივერსიტეტს არ შეუწყვეტია თავისი მეცნიერული და სასწავლო ცხოვრება, არავითარი საბოტაჟი არ გამოუშვლავენებია მის პროფესურას ახალი ხელისუფლებისადმი. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის წევრთა უდიდეს უმრავლესობას უნივერსიტეტისა და ერის სამსახური მიაჩნდა ცხოვრების ერთადერთ მიზნად. მათ აზრდაც კი არ მოსვლიათ მიეტოვებინათ უნივერსიტეტი და უცხოეთში გაქცეულიყვნენ. გამონაკლისი ამ

წესის ყველაზე ნათელი დადასტურება იყო. სამშობლო დატოვა ინგლისური ენის ლექსობა ვინდა ლამბაშიძემ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე 1920 წლის მაისში პროფესორად არჩეულმა მ. წერეთელმა. (ალკე უნდა ითქვას პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. მოვლენებმა შემდგომ თვალნათლივ დაგვანახვეს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის უცხოეთში წასვლა ნაკარნახევი იყო იმ იძულებითი აუცილებლობით, რაც ქართული ხალხის უძვირფასესი განძეულობის საზღვარგარეთ გატანის გამო წარმოიშვა. რა თქმა უნდა, როგორც კარგად შენიშნავს ელ. მეტრეველი, გაზვიადებულმა და გაუაზრებელმა შიმში ბობოქარი აწმყოსა და გაურკვეველი მომავლის წინაშე და უსაზღვრო სიყვარულმა ქართული კულტურისამ გადააწყვეტინა ექვთიმე თაყაიშვილს მშობლიური უნივერსიტეტის დატოვება და საზღვარგარეთ წასვლა. იგი ერის სიმდიდრის ოფიციალური მეთვალყურე იყო და იძულებული გახდა ცრემლმორეული გაპყოლოდა მას, რათა დაეცვა ის, მისივე სიტყვებით, „ყოველგვარი მოულოდნელი და მოსალოდნელი საშიშროებისაგან“. მისთვის იქ საფრანგეთში მრავალგზით ნათელი გახდა, რა წარმოდგენლად დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ერის განძეულობა. რასაკვირველია, ხალხი ყოველთვის სამშობლოშივე უნდა უვლიდეს და საიმედოდ ინახავდეს ეროვნულ განძეულობას იმ თავისი შვილებით, რომელნიც თავგანწირვითა და სიცოცხლის რისკით გადაარჩინენ მას. არავითარი უფლება არ ჰქონდა მენშევიკურ მთავრობას ეროვნულ სიმდიდრის მის საზღვრებს გარეთ გატანისა (თუნდაც, როგორც მათ მი-აჩნდათ ეს, დროებით ღონისძიების სახითაც, ე. ი. ამ მთავრობის დაბრუნებამდე). თვით იდეა სიმდიდრის გატანისა ამ მთავრობას უკარნახა ამიერკავკასიაში საფრანგეთის სრულუფლებიანმა მინისტრმა შევალემ. ბოლოს და ბოლოს მენშევიკებმა გაიზიარეს ეს აზრი. ექვთიმე თაყაიშვილი დიდი ყოყმანის შემდეგ ეთანხმება ამ გადაწყვეტას. როგორც თვითონ აღნიშნავს, ივანე ჯავახიშვილი იმთავითვე წინააღმდეგი იყო ამ აქციისა. ამის შესახებ იგი ეუბნება ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ მისი აზრი დამაჯერებელი არ აღმოჩნდა მთავრობის გადაწყვეტილების შესაცვლელად. არც ივ. ჯავახიშვილი 1937 წელს ლალატობს თავის გულწრფელობას როცა ეროვნული განძეულობის საზღვარგარეთ გატანას 1921 წელს უწოდა „მენშევიკური მთავრობის მიერ ყაჩაღური გატაცება“ ხალხის საუუნჯისა. ეს შეფასება დღესაც ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის უკომპრომისო პოზიციამ და თავგანწირვამ ეს სიმდიდრე მრავალ საფრთხეს გადაარჩინა, ხოლო საბჭოთა მთავრობის ჩარევამ შესაძლებელი გახადა ამ ქონების უკან დაბრუნება სამშობლოში 1945 წლის გაზაფხულზე ისე, რომ „ერთი ქინძისთავიც არ დაკარგულა“. ივანე ჯავახიშვილის რწმენით, ყოველთვის უნდა აღმოჩნდეს სამშობლოში საკმარისი ძალები ეროვნული კულტურული სიმდიდრის მოვლის, შენახვისა და შესწავლისათვის.

სამშობლოს ფარგლებიდან განძეულობის გატანის ფონზე ღრმა კვალი დასტოვა საკავშირო მთავრობის ლენინურმა გადაწყვეტილებამ, რომ საბჭოთა რუსეთის მუზეუმებსა, არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული ქართული ეროვნული კულტურული ფასეულობანი კვლავ დაუბრუნდებოდა ჩვენს ქვეყანას. უნივერსიტეტის პროფესორები ა. შანიძე, პ. კეკელიძე, ვ. ბერიძე აქტიური მონაწილენი არიან ამ უაღრესად ჰუმანური აქციისა.

ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ახალ და ახალ ასპარეზს იპყრობს და წარმატებით ვითარდება. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არც ერთხელ არ გამოარჩენიათ ყურადღებოდან მეცნიერებისა და კულტურისათვის ახალი ხელისუფლების ზრუნვის ერ-

თი ფაქტიც, რაც პირობა ხდება ახალი საზოგადოების მშენებლობაში პროფესორ-მასწავლებელთა თანდათანობით ჩაბმისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი წყობის სამსახურში უმაღლესი სკოლის ჩაყენების ფორმები ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ ყოფილა, ისინი თანდათანობით იხვეწებოდა, მაინც უნდა ითქვას სოციალისტურ რევოლუციას არასდროს არ დაუსახავს მიზნად რევოლუციამდელი უნივერსიტეტების მიმართ ის დამოკიდებულება, რაც მან ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის, წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების მიმართ გამოამჟღავნა.

ივანე ჯავახიშვილის უმდიდრესი არქივი უხვ მასალას შეიცავს არა მარტო რევოლუციამდელი რუსეთის საუნივერსიტეტო წყობის და მისი რეფორმების შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ ივანე ჯავახიშვილი როგორ დაწვრილებით ეცნობოდა ყველაფერს, რაც უნივერსიტეტების რეორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა უნივერსიტეტების მუშაობის გამოცდილების ღრმა ცოდნის საფუძველზე იგი შემდგომ გამოთქვამდა თავის დამოკიდებულებას საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ თბილისის უნივერსიტეტში დასახულ რეფორმებთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინი არ აყენებდა, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მსგავსად, უნივერსიტეტების, აკადემიის რევოლუციური მსხვერვის საკითხს. მართაოა, ისინიც აგრეთვე „მბრძანებელი მწვერვალებია“, რომელთაც უნდა დაპყრობა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ზამთრის სასახლის დაპყრობა იყო. უნივერსიტეტებს, აკადემიას კი არ უნდა დაეუფლებოდით პროფესურის გარეკით, არამედ უნივერსიტეტები უნდა გამოგვეყვანა გაბატონებული კლასების დაქვემდებარებებიდან, მოგვეკეთა ყველაფერი ის, რაც მათ ხალხისაგან ამორებდა და ამით გვექცია უმაღლესი განათლება, მეცნიერება არა პრივილეგიად, მონოპოლიად საზოგადოების მცირე ნაწილისა, რომელიც მას ამ საზოგადოებაში განსაკუთრებული მდგომარეობის უფლებას მისცემდა, არამედ ნამდვილ საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად.

ლენინისათვის არც კი წარმოშობილა კითხვა: გვინდა თუ არა უნივერსიტეტები? იგი არასდროს არ დაეკვებულა განათლების საუნივერსიტეტო ფორმის მიზანშეწონილობაში (ამას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ანარქიზმის მამამთავარი რუსეთში მ. ბაკუნინი არა მარტო ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევას მოითხოვდა, არამედ უნივერსიტეტებისაც. მისი აზრით, მუშათა კლასის სრული ეკონომიკური გათავისუფლებისათვის სახელმწიფოს, ეკლესიის, იურიდიული ფორუმის, არმიისა და პოლიციის დამსხვრევასთან ერთად აუცილებელია უნივერსიტეტების დამსხვრევაც, ვინაიდან ყველა ისინი აღმართულია პრივილეგიის მქონეთა მიერ პროლეტარიატის წინააღმდეგ).

ოქტომბრის რევოლუციას არა თუ არც ერთი ძველი უნივერსიტეტის ლიკვიდაცია არ მოუხდენია, არამედ, მათ გარდაქმნასთან ერთად, შეიქმნა ბევრი ახალი უნივერსიტეტი. მარტო 1919 წელს ლენინის დეკრეტით 6 უნივერსიტეტი გაიხსნა.

ახალი სოციალისტური ხელისუფლება ხშირად დეკრეტებით აძლევდა მშრომლებს წარმოდგენას თავის პოლიტიკაზე, მათ შორის უმაღლესი განათლების დარგში. ეს ხელისუფლება აცხადებდა, რომ მისი მიზანია, ყველასათვის ჰისაწვდომი გახადოს უმაღლესი განათლება; ვისაც ამისი სურვილი და უნარი აქვს. სწორედ ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო რსფსრ-ის 1918 წლის 2 აგვისტოს დეკრეტი „უმაღლესი სასწავლებლებში მიღების წესების შესახებ“ და

დადგენილება „რსფსრ-ის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ“. ორივე აქტი ხელმოწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ, ზოლო მეორე—თვითონ მის მიერ შედგენილი. დეკრეტით გაუქმდა უმაღლეს სკოლაში შესასვლელი თითქმის ყოველგვარი დაბრკოლება. დეკრეტის პირველსავე მუხლში კვითხულობთ: „თითოეულ პიროვნებას, მოქალაქეობისა და სქესის მიუხედავად, რომელმაც 16 წლის ასაკს მიაღწია, შეუძლია გახდეს რაგინდარა უმაღლესი სასწავლებლის მსმენელად საშუალო ანდა სხვა რომელიმე სკოლის დამთავრების დიპლომის, ატესტატის ანდა სხვა მოწმობის წარდგენის გარეშე“.

როგორც ვხედავთ, ყველასათვის გაიღო უმაღლესი სკოლის კარები. აკრძალული იყო შემსვლელთაგან მოეთხოვათ რაიმე საბუთი, გარდა პირადობისა და ასაკის შესახებ მოწმობისა. უქმდებოდა, სწავლის ქირა, შემოღებულ იქმნა სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებისათვის.

დეკრეტის მიღებასთან ერთად, პირადად ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ დოკუმენტში, რომელიც შემდგომ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებად იქცა, ყურადღება გამახვილდა მიღებული ცვლილებების რეალიზაციაზე. ამ მიზნით განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა, მოემზადებინა სხვადასხვა დადგენილება და გადაეღვა ნაბიჯები იმისათვის, რომ, თუ შემსვლელთა რიცხვი გადაჭარბებს ვაკანსიების რიცხვს, მიღებული ყოფილიყო საგანგებო ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა შემსვლელის სწავლის შესაძლებლობას. საერთო მიზანი იყო, გაუქმებულყო არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიური პრივილეგიები უმაღლესი განათლების დარგში მქონებელ კლასთა შვილებისთვის. დეკრეტს შედეგად ის მოჰყვა, რომ ახლა მუშისა და გლეხის შვილს მიეცა საშუალება უმაღლესი განათლების მიღებისა, თუ იგი ამის სურვილს გამოამჟღავნებდა და, გასაგებია, შემდგომ სწავლის უნარს გამოიჩენდა. ამ საყოველთაო-სახალხო პოლიტიკას უმაღლესი განათლების დარგში შედეგად ის მოჰყვა, რომ არნახულად გაიზარდა ლტოლვა ახალგაზრდებისა უმაღლესი სკოლისაკენ, მით უფრო, რომ განცხადებების მიღება გაგრძელდა ჯერ 1918 წლის 15 ოქტომბრამდე, შემდეგ კი 1919 წლის 1 იანვრამდე. ამ ლენინურმა დეკრეტმა თავის მიზანს მიაღწია, მილიონობით მასას გააცნო საბჭოთა მთავრობის მიზანსწრაფვა, გააღვიძა მთვლემარე ძალები, რომლებიც შემდგომ ფართოდ შევიდნენ მეცნიერებაში. გასაგებია, რომ ერთი დეკრეტით ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. წინ ბევრი სიძნელე რჩებოდა. მუშებისა და გლეხების შვილებს საერთო განათლების დაბალი დონე არ აძლევდა საშუალებას სრულად და დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობა. ახალი და ახალი გზები ჩნდება, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს. მათ შორის ფრიალ საგრძნობი იყო მუშათა ფაკულტეტების როლი. იგი პირველად 1919 წლის 2 თებერვალს გაიხსნა ყოფილ კომერციულ ინსტიტუტში, ახლანდელ პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში. ა. ვ. ლუნაჩარსკის მოსწრებელი გამოთქმით, მუშაყავები ეს იყო ერთგვარი სახანძრო კიბეები, რომელთა საშუალებით განათლების ტაძარში უნდა შესულიყვნენ მუშებისა და გლეხების შვილები. 1920 წლის 17 სექტემბრის ლენინური დეკრეტით ყოველ უმაღლეს სასწავლებელთან სავალდებულო გახდა მუშათა ფაკულტეტის შექმნა. არსებითი ცვლილებები განიცადა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფაკულტეტების, განსაკუთრებით ჰუმანიტარული ფაკულტეტების, სისტემამ: ძირეულად გარდაიქმნა სამეცნიერო წოდების მინიჭების წესი. უმაღლესი სკოლის სხვადასხვა მხარეების რეორგანიზაციას ჯერ კიდევ არ მოჰყოლია სა-

ერთო დებულების შექმნა საბჭოთა უმაღლესი სკოლის შესახებ. მისი ერთ-ერთი ვარიანტი შეიმუშავა განათლების სახალხო კომისარიატმა 1921 წლის 4 მარტს. შემდგომ მოხდა მისი სრულყოფა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ვ. ი. ლენინის მონაწილეობას. „რსფსრ-ის უმაღლესი სასწავლებლების დებულება“ ხელმოწერილ იქნა მხოლოდ 1921 წლის 2 სექტემბერს ვ. ი. ლენინის მიერ.

დებულება უნივერსიტეტების მიმართაც იქნა შემუშავებული შესაბამისი ცვლილებებით. დებულებაში განსაზღვრულია ახალი უმაღლესი სკოლის ამოცანები. დებულება მთლიანად უარყოფდა უმაღლესი სკოლის ავტონომიას. განიხილავდა მას სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ორგანულ ნაწილად, რაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას და ინიციატივას უმაღლესი სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში. საგრძნობლად იცვლებოდა უმაღლესი სკოლის მმართველობის ორგანოები. სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას უმაღლეს სკოლაში დებულებით წარმოადგენდა საგნობრივი კომისიები. მათში ერთიანდებოდნენ ყველა მეცნიერი მუშაკი და სტუდენტთა წარმომადგენლები. საგნობრივი კომისიები არსებითად კათედრების ადგილს იკავებდნენ.

ჩვენ ასე შედარებით დაწვრილებით იმიტომ შევეხეთ საუნივერსიტეტო რეფორმას საბჭოთა რუსეთში, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადგა თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხიც. აქვე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებმა თავიდანვე სრულიად ახლებურად გადაწყვიტეს და, ბუნებრივია, არ დამდგარა მათი შეცვლის საჭიროება.

ასე, თბილისის უნივერსიტეტში მოქალაქეობის, სარწმუნოების, ეროვნების მიუხედავად, ყველას შეეძლო ესწავლა. „საშუალო სკოლის“ ცნება უნივერსიტეტის დამაარსებლებმა უარესად დემოკრატიულად განმარტეს. არა მარტო გიმნაზიის დამთავრება, არამედ ყოველი ტიპის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს შეეძლო თბილისის უნივერსიტეტში შესვლა. შემდგომი დემოკრატიზაცია მიღების პირობებისა და სტუდენტთა სწავლებისა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მთელ რიგ ღონისძიებათა გზით შეიძლებოდა. ამის შესახებ შესანიშნავად წერდა ჟურნალ „შვიდ მნათობში“ (1919, № 2) ახალგაზრდა პრიატ-დოცენტი ივ. ბერტაშვილი. მიღების წესების დემოკრატიზაციასთან ერთად იგი აყენებდა საკითხს, რომ პროლეტარიატისა და გლეხთა დიდი უმრავლესობის შეილება მისცემოდათ საშუალება 4—5 წლის განმავლობაში ჰქონოდათ მატერიალური შესაძლებლობა მეცადინეობისა. ვინაიდან ამის საშუალება აქამდე იმთა ჰქონდათ, ვინც ქონებრივად უზრუნველყოფილთა შეილებია. ამიტომ, თუ „დღევანდლამდის მეცნიერებას ემსახურებოდა ხალხის უმცირესობა — უმთავრესად შეძლებულ ბურჟუაზიულ კლასებიდან, მომავალში კი, თუ რომ ფართო საშუალება მიეცა ხალხის უმრავლესობას — მიწისა და ქარხნის მუშების შეილებს, მეცნიერების შეთვისებისათვის, მეცნიერებას დაუწყებენ სამსახურს მთელი ერი, მთელი ერი მისცემს მას თავის ნიჭიერ შეილებს. ამას უთუოდ უნდა მოჰყვეს სწრაფი განვითარება, როგორც არნახულა ჯერ არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში“. ივანე ჭავჭავაძის მიერ სახელმწიფოთა უმაღლესი სკოლის ნამდვილი სოციალიზაციის ამ მოწოდებას, მაგრამ სამართლიანად თვლიდა, რომ იმ ვითარებაში მისი მთლიანად განხორციელება შეუძლებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ის ღონისძიებები, რომლებიც

სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობის შეცვლას მოითხოვდა მუშათა და გლეხთა შვილების სასარგებლოდ. სრულ მხარდაჭერას პოულობს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობაში. როცა თბილისის უნივერსიტეტთან 1922 წელს შეიქმნა მუშათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილი დიდად უწყობდა ხელს მისი მუშაობის წარმატებას.

საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირუბრთობის წარმატებით განვითარება იმან განაპირობა, რომ ახალი მთავრობა თვითონ გახდა უაქტიურესი მონაწილე უნივერსიტეტის აღმშენებლობის დამთავრებისა.

1920 წელს ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ კიდევ ორი წელი დასჭირდება უნივერსიტეტის აღმშენებლობის დამთავრებას. სრულ უნივერსიტეტად გადაქცევა მართო განზრახული ფაკულტეტების დაარსებას როდი ნიშნავდა. 1918 წელს მიღებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულებაში გათვალისწინებული იყო ოთხი ფაკულტეტის გახსნა იმისათვის, რომ უნივერსიტეტი გადაქცეულიყო სრულ უნივერსიტეტად. უნდა შექმნილიყო სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, სამკურნალო და იურიდიული ფაკულტეტები. გამოდიოდა, რომ საქმარისი იყო იურიდიული ფაკულტეტის გახსნა, რომ უნივერსიტეტი სრულ უნივერსიტეტად ქცეულიყო. სინამდვილეში კი ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო სრულ უნივერსიტეტად გადაქცევისა. სრულ უნივერსიტეტად გადაქცევა გულისხმობდა მეცნიერთა მოწვევას სულ სხვადასხვა დარგში, ახალ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა შექმნას. რაც შეეხება სტუდენტობას, იგი არასდროს არ აკლდა თბილისის უნივერსიტეტს. ყველა ამ საკითხში ივანე ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის რექტორი პოულობს საბჭოთა მთავრობის სრულ მხარდაჭერას. მან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის დამთავრებისთანავე დააყენა საკითხი საბჭოთა რუსეთში მოღვაწე ქართველ პროფესორთა სამშობლოში დაბრუნებას თაობაზე. ამ მიზნით 1921 წლის 6 ივლისს უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი წერილობით მიმართავს განათლების სახალხო კომისარიატს: «ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა გზავნის პროფ. შ. ნუცუბიძეს პეტროგრადასა და მოსკოვში მეცნიერული ძალების და უნივერსიტეტის ქონების საკითხის გამოსარკვევად, რომელიც იმყოფება რსფსრ საზღვრებში.

გაცნობებთ რა ამას, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა შუამდგომლობს აღნიშნული ქონების ჩამოსატანად და მეცნიერული ძალებისა და მათი ოჯახების ჩამოსაყვანად გაღებულ იქნას ოცდაათი მილიონი მანეთი».

საბჭოთა მთავრობა სიხარულით შეხვდა ეროვნული უნივერსიტეტის გაძლიერებისათვის გადადგმულ ამ ნაბიჯს. პროფ. შ. ნუცუბიძის ვიზიტს შედეგად მოჰყვა რამდენიმე ქართველი მეცნიერის სამშობლოში დაბრუნება. საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს პროფესორის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საცხოვრებელი ფონდის მუნიციპალიზაციის, ბინების ხელახალი გადანაწილებისა და ზოგ მობინადრეთა შევიწროების პროცესის მიმდინარეობის დროს უნივერსიტეტის რექტორი აქტიურად ერეოდა პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელსაყრელი საბინაო პირობების შენარჩუნების საკითხში. აი ერთი მაგალითი. 1922 წელს ივანე ჯავახიშვილი თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს სწერდა: «განსაკუთრებულ შუამდგომლობას აღვძრავთ საბინაო განყოფილების წინაშე, რათა ბინა განოვის ქუჩაზე № 21, 7 ოთახი მთლიანად დატოვებულ ექნეს ოთხ ჩვენ პროფესორს და ასისტენტს: პროფ. მიხ. პოლიევქტოვს, დოც. გ. ნიკოლაძეს, ასისტ. რ. ნიკოლაძეს და მუშათა ფაკულტეტის ლექტორს თ. ნიკოლაძეს მათი ორი ოჯახით, ვინაიდან ამ ბინის ოღნაე მინც შევიწროება დიდ ზიანს მო-

უტანს იმ რთულ და მრავალნაირ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას, რომელიც განუწყვეტლივ წარმოებს ყველა ამ ოთხ პირთაგან დაკავშირებულ კომისიებში, რისიც სხვაგან გადატანა არ შეიძლება, მრავალ საცნობარო წიგნების და ხელთნაწერების მასალების გამო, რომელიც ამ ოთხ პირს ეკუთვნის“.

წიგნი იქმნება უნივერსიტეტის დიდება.

ივანე ჭავჭავაძის კარგად გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გულწრფელად სურს უნივერსიტეტის ფართო მასშტაბური აღმშენებლობა. ამ დამოკიდებულებას რექტორი იყენებს იმისათვის, რომ უნივერსიტეტს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულება შესძინოს, ხოლო არსებული უქველად შეინარჩუნოს.

აქ ერთ-ერთი პირველი ივანე ჭავჭავაძის აყენებს უნივერსიტეტისათვის საკუთარი სტამბა-გამომცემლობის ორგანიზაციის საკითხს.

უკვე 1921 წლის 11 მარტს ივანე ჭავჭავაძის მიმართავდა საქართველოს რეკომს, რომ უნივერსიტეტისათვის გადმოეცათ რომელიმე სტამბა. თხოვნის დასაბუთებაში ნათლად ჩანს, რომ რექტორი უნივერსიტეტის მომავალს სრული რწმენით უყურებს და მას მხოლოდ მის უკეთეს მერმისზე ზრუნვა ამოძრავებს. რექტორის თხოვნაში აღნიშნულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აუარებელი სახელმძღვანელოების და მრავალი სამეცნიერო-გამოკვლევების ბეჭდვა უხდება. უკვე გამოცემულია „უნივერსიტეტის მოამბის“ პირველი ნომრები. და აგრეთვე ბევრი გამოკვლევა და სახელმძღვანელო სხვადასხვა სამეცნიერო დარგში. მიღწეული სრულიადაც არ აკმაყოფილებს მას და ივანე ჭავჭავაძის წერს: „უნივერსიტეტს განზრახული აქვს, რომ ამიერიდან კიდევ უფრო გააფართოვოს გამოცემლობის საქმე, მაგრამ ეს საქმე რომ ჩქარის ნაბიჯით წავიდეს წინ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას თავისი საკუთარი სტამბა ჰქონდეს, სტამბა დიდი და კარგად მოწყობილი, რომელმაც უნდა ადვილად შესძლოს უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის მრავალმხრივი საჭიროების და მოთხოვნების დაკმაყოფილება.“

ამიტომ გთხოვთ, რათა ჩამორთმეულ სტამბათაგან ერთი რომელიმე დიდი და კარგად მოწყობილი სტამბა (ან ორი პატარა, რომლებიც უნდა შეერთდნენ) გადმოეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სრულს განკარგულებაში, ამით მეტად დაჩქარდება და ხელი შეეწყობა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინებას“.

ამ საქმის თაობაზე მოლაპარაკება დავალებული ჰქონდა „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორის პროფ. ა. შანიძეს.

სალექციო მუშაობასთან ერთად დაუცხრომელი მუშაობა უნდა ეწარმოებინა უნივერსიტეტის პროფესორს. თავისი კვლევის შედეგებს იგი სისტემატურად უნდა აქვეყნებდეს. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს თვითონ უნივერსიტეტის-პროფორიტეტის აღიარება მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. საკუთარი გამოცემლობისა და სტამბის შექმნა ამას ყველაზე უფრო უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ სტამბა ხომ სამეურნეო საწარმოა და მისი შენახვა მეურნეობის, კომერციის კანონების მოთხოვნებსაც უნდა ითვალისწინებდეს. ეს იყო იმის მიზეზი, რომ უნივერსიტეტის გახსნისას მას არა თუ არ ჰქონია თავისი საკუთარი სტამბა, არამედ, როცა საკითხი დაისვა, ჰქონდეს თუ არა უნივერსიტეტს თავისი სტამბა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1918 წლის 13 სექტემბერს დაადგინა: „ღღვეანდელ პირობებში ხელსაყრელი არ იქნება უნივერსიტეტის საკუთარი სტამბის გაჩენა“.

როგორც უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმის საფუძვლის ჩამყრელი, მისი ნამდვილი მწიგნობართუხუცესი აკაკი შანიძე იგონებს: პროფესორი სვი-

მონ გოგითიძე თავგამოდებით გვაფრთხილებდა: ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტს ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვა საკუთარი სტამბა და სასურველია, ეს მწარე გამოცდილება აქ გათვალისწინებულ იქნესო. მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეტად ძნელი შესანახი იყო უნივერსიტეტისათვის საკუთარი სტამბა. მხოლოდ იმას სთხოვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მაშინდელ მთავრობას, რომ ნება დაერთო შეღავათიან პირობებში სტამბით სარგებლობის უფლება ჰქონოდა. იმ დროს არა თუ საკუთარი სტამბის, ერთი ასოთამწყობის შენახვაც კი რომელიმე სტამბაში შეუძლებლად ეჩვენებოდათ. აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მძიმე მდგომარეობას სრულიადაც არ დაუფრობია უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი კოლეგიის წევრები. ისინი, წარმოუდგენელ სიძნელეთა მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ კვლევადიების განგრძობას და მისი შედეგების დაბეჭდვას. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი „მოამბე“, მასში უნივერსიტეტის პროფესორთა და დოცენტთა მეცნიერული კვლევის უახლესი შედეგები ქვეყნდებოდა. „უნივერსიტეტის მოამბეს“ სათავეში ჩაუდგა აკაკი შანიძე. იგი იყო მისი მთავარი რედაქტორი ამ პერიოდული გამოცემის მთელს მანძილზე, ე. ი. 1930 წლამდე.

უნივერსიტეტის პროფესორები აქვეყნებენ წიგნებს უნივერსიტეტის გამოცემლობის სახელით. 1918 წლის ბოლოდან უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიას ხელმძღვანელობს აკაკი შანიძე.

რასაკვირველია, ყველაფერო, რასაც პროფესორი ბეჭდავდა, უნივერსიტეტის გამოცემად არ ითვლებოდა. ამისათვის მას სპეციალური ნებართვა უნდა მიეღო. ეს ასე ხდებოდა. ფაკულტეტების საბჭოებს გამოჰქონდათ გადაწყვეტილება წიგნის გამოცემისათვის. ამის შემდგომ ავტორებს აძლევდნენ ფულად თანხებს, ისინი კი კერძო ხელშეკრულებებს სდებდნენ სტამბებთან და სცემდნენ წიგნებს. ზოგჯერ ავტორი აჰმას საკუთარი ხარჯითაც აკეთებდა. ამგვარ გადაწყვეტას ადრე კიდევ ახალისებდა უნივერსიტეტის რექტორი. ასე, 1919 წლის 27 დეკემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა საკითხი პროფესორთა სალექციო კურსების კერძო გამოცემათა შესაძლებლობის თაობაზე. გამგეობამ დაადგინა: ეს „არა თუ შესაძლებელია, სასურველიცაა, ვინაიდან უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ 600 ცალის გამოცემა“.

1920 წელს თავის მოხსენებაში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ივანე ჭავჭავაძის ალნიშნავდა, რომ, ქალაქისა და ბეჭდვის სიძვირისა და ჩვენი სტამბების სამეცნიერო გამოცემლობისათვის მოუწყობლობისდა მიუხედავად, უკვე 14 წიგნი და უნივერსიტეტის მოამბის ორი ნაკვეთი გამოსცა უნივერსიტეტმა თავისი ხარჯით და სტუდენტთა 6 გამოცემას ქალაქისა და ფულით დაეხმარა. თანაც იქვე დასძენდა: „თუმცა საბიუჯეტო წლის დამლევამდე ჭერ კიდევ სრული ხუთი თვეა, მაგრამ უნივერსიტეტს გამოცემლობისათვის უკვე თანხა აღარა აქვს და მთელი ფული დახარჯულია. ამის გამო უნივერსიტეტი იძულებული იყო ყველაფრის ბეჭდვა შეეჩერებინა, რაც შეაჩერებს ჩვენი ნორჩი საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებასაც და სტუდენტებსაც სწავლას გაუძნელებსო“.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ასე მძიმე მდგომარეობაში იყო უნივერსიტეტში წიგნის გამოცემის საქმე. ახლა კი ივანე ჭავჭავაძის ცალკე სტამბის და ცოტა მოგვიანებით ცალკე გამოცემლობის (საგამომცემლო განყოფილების) შექმნაში ხედავს გამოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს მანამდე არც ცალკე სტამბა და

არც ცალკე გამომცემლობა ჰქონია როგორც იურიდიულ პირს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა განუხრელად და მტკიცედ იცავდა, რომ ღირსეული ნაშრომი გამოსულიყო უნივერსიტეტის გამომცემლობის სახელით და მკაცრად უარყოფდა ყოველგვარ გადახვევას ამ პრინციპისაგან. 1920 წელს უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებულმა შ. ბერიძემ გამოსაცემად მოამზადა მის მიერ შეკრებილი მეგრულის მასალები. რადგანაც წიგნს სათაურად „ივერიული“ ეწოდებოდა და თანაც ანაწყობი ტექსტი სრულიად არ შეეფერებოდა უნივერსიტეტის სახელს, უნივერსიტეტი არ დაეთანხმა ავტორის ამ განზრახვას აღსრულებას უნივერსიტეტის გამომცემლობის სახელით. ამის გამო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ი. ჭავჭავაძე შ. ბერიძეს სწერდა: „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დადგენილების თანახმად, ეხლავე უნდა შეჩერდეს ბეჭდვა თქვენს მიერ შეკრებილი მასალებისა. თანაც გაცნობებთ, რომ ამიერიდგან თქვენი წიგნის ბეჭდვა ამ წესით უნდა მიმდინარეობდეს: დასაბუქდალ განზრახული მასალები დამუშავებული სახით, ვიდრე სტამბას გადაეცემოდეს ასაწყობად, უნდა გადასინჯული იქმნეს პროფ. ა. შანიძის მიერ. მასვე უნდა წარედგინოს ხელისმოსაწერად უკანასკნელი საკორექტურო ფურცლები და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება დაბეჭდილ იქმნეს.“

რაიცა შეეხება აქამდის დაბეჭდილ ფორმებს, იმათი უნივერსიტეტის სახელით გამოცემა არ შეიძლება, რადგანაც ფორმით და არც შინაარსით მისაღები არ არის უნივერსიტეტისათვის. ამიტომ უკეთეს გსურთ, რომ უკვე დაბეჭდილი ფორმები გამოქვეყნებულ იქმნეს, უნივერსიტეტს უნდა აენაზღაუროს გაწეული ხარჯები და გამოცემა კერძო ხასიათისა იყოს“.

შ. ბერიძის წიგნი გამოვიდა როგორც კერძო გამოცემა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ, როცა მსხვილი სტამბა-ლითოგრაფიების ნაციონალიზაცია მოხდა, ახლა სტამბა-ლითოგრაფიათა უმრავლესობა როდია კერძო საწარმო. სწორედ ამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენების მიზნით მიმართა 1921 წლის 11 მარტს წერილით ივანე ჭავჭავაძე ილია საქართველოს რევკომს. იმ წლებში მდგომარეობის საგრძნობი გამოსწორება ვერ მოხერხდა. ქალაქის და ფულადი სახსრების სიმცირე არ იძლეოდა საგამომცემლო საქმის დაუყოვნებლივი გამოსწორების შესაძლებლობას. იმ ძნელ ვითარებაში მაინც მდგომარეობას ამსუბუქებდა ის, რომ 1923 წლის მაისში უნივერსიტეტის სტამბა ჩამოყალიბდა. მას ორი საბეჭდი მანქანა, სამი ლითოგრაფიული ქვა გადმოეცა სამი საშტატო ერთეულით. „უნივერსიტეტის მოამბეს“ კი ერთი კორექტორი ჰყავდა, რომელიც თავისი შრომისათვის ანაზღაურებას იღებდა. დამახასიათებელი ასეთი ფაქტი. 1922 წლის 8 ნოემბერს „მოამბის“ რედაქტორი პროფ. ა. შანიძე სთხოვდა გამგეობას, მიეცათ უნივერსიტეტში დატოვებულ ვარ. თოფურისათვის კორექტორისათვის გათვალისწინებული სარგო, ვინაიდან იგი ამ „თანამდებობასაც პირნათლად ასრულებს, ჭამავს მხოლოდ ერთი თანამდებობისათვის გამოუწერიათ“. რექტორის რეზოლუცია ასეთია: „უარი ეთქვას. აყვანილ იქნეს სხვა პირი ამ თანამდებობაზე, რადგანაც ვ. თოფურია უნივერსიტეტთან დატოვებულია და მთელი თავისი დრო თავის პირად საქმეს უნდა მოახმაროს“.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კვლავ და კვლავ აყენებს სტამბის სრულყოფილ მოწყობილობათა შექმნის საკითხს, ამასთან, 1923 წლის 24 სექტემბერს უნივერსიტეტის რექტორი განათლების სახალხო კომისარს დ. კანდელაკს სწერს თბილისის უნივერსიტეტთან საგამომცემლო. განყოფილების დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელიც „არსებითად იმავე სახელმწიფო

გამომცემლობის მიზნებს განახორციელებს, მაგრამ უნივერსიტეტის და ეროვნული მეცნიერების საქმეს უშუალოდ ემსახურება“.

საქმე მხოლოდ ნელ-ნელა მიდის წინ.

ივანე ჭავჭავიძევილი, როგორც რექტორი, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაფართოვდეს უნივერსიტეტის სტამბის საქმიანობა. 1925 წელს ამის თაობაზე საკონფლიქტო სიტუაცია კი შეიქმნა პოლიგრაფისტების ტრესტთან. ერთ-ერთი მიზეზი ამისა უექველად ის იყო, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა მკვეთრ სამართლებრივ ფორმებში ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულება ცალკეულ საწარმოებთან (სტამბებთან) და პოლიგრაფიულ ტრესტთან.

ივანე ჭავჭავიძევილი პიროვნულად არავითარ კონფლიქტში არ იყო ამ ტრესტის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ, როცა ამას უნივერსიტეტის ინტერესები მოითხოვს, აკ, მთლიანად დარწმუნებული სიმართლეში, საჭიროდ თვლის მიმართოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარეს.

კონფლიქტის საფუძველი გახდა ის, რომ უნივერსიტეტის სტამბამ დაიწყო კერძო (უნივერსიტეტის გარეშე) დაკვეთების მიღება ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებისაგან. ამაზე მას ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული ნებართვა როგორც განათლების სახალხო კომისიისაგან, ისე სახალხო კომისარათა საბჭოსაგან. ივანე ჭავჭავიძევილს სტამბის ამგვარი უფლება აუცილებლად მიაჩნდა მისი ფუნქციის ნორმალურად შესრულებისათვის, ვინაიდან, როგორც ივანე ჭავჭავიძევილი აღნიშნავდა, „ლითოგრაფია მოითხოვდა საკმაოდ დიდ ხარჯს და სათანადო შტატის შენახვასაც. ამასთან ერთად უნივერსიტეტის გამოცემების უმეტესი ნაწილი წმინდა მეცნიერულია, რაც შემოსავლის მხრივ ისე ხელსაყრელი არ არის“. ამგვარი შეკვეთების შესრულების გზით უნივერსიტეტს შეეძლო ხარჯების გარეშე მიეღო რამდენიმე ათასი თაბახი.

ივანე ჭავჭავიძევილის განუხრელი ზედამხედველობის ქვეშ იყო „უნივერსიტეტის შოამბეში“ გამოქვეყნებული წერილების მაღალი ჰეცნიერული დონის უზრუნველყოფა. ამისათვის თავისი ხელით შეადგინა მან 1924 წლის 28 თებერვლის დებულება უნივერსიტეტის სამეცნიერო ორგანოს „შოამბის“ სათანადო დონეზე დასაყენებლად აუცილებელი ღონისძიებებისა. ამ დებულებით „შოამბეში“ მხოლოდ ორიგინალური გამოკვლევების დაბეჭდვა შეიძლებოდა. პროფესორები და დოცენტები რედაქციას ნაშრომებს უდგენდნენ ფაქულტეტის დადგენილების მიღების შემდეგ. დოცენტის მოვალეობის აღმასრულებელი ლექტორების, ასისტენტებისა და ორდინატორების შრომები წინასწარი მოხსენების სახით უნდა ყოფილიყო წაკითხული და პროფესორის დასკვნითურთ წარდგენილი ფაქულტეტზე დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად. პასუხისმგებლობა თვითონ ავტორს უნდა ეკისრა. რედაქცია დაბეჭდილი წერილების მხოლოდ ენის, სტილიტიკისა და გაფორმების მხრივ იყო პასუხისმგებელი. ამიტომ ივ. ჭავჭავიძევილის ხელით დაწერილი დებულების მე-6 პუნქტში ვკითხულობთ: „ყოველი პროფესორი და დოცენტი თავისი გამოკვლევის შინაარსში პირადად არის პასუხისმგებელი და არა რედაქცია.“

დანარჩენი ავტორების წერილების პასუხისმგებლობა ფაქულტეტზე დასკვნის წარმომდგენელს ეკისრებაო“.

ივანე ჭავჭავიძევილი, როგორც რექტორი, ენერგიულად უქერდა მხარს უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-დაზიარე დაწესებულებათა შენარჩუნებას და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესებას. ნიშანდობლივია ამ მხრივ 1921 წლის 27 ივლისს აკადემიური ცენტრის (იგი სახალხო განათლების კომისა-

რიატის ნაწილი იყო) თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი წერილი უნივერსიტეტთან არსებული სასანიტარო ინსტიტუტის, ჩანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის თაობაზე. ივანე ჭავჭავიძევილი აღნიშნავს უნივერსიტეტთან შექმნილი ამ ინსტიტუტის მიერ მოპოვებულ წარმატებებს, მისი უნივერსიტეტის გამგებლობაში დატოვების გადაუდებელ საჭიროებას და იქვე დაძინის: „რათგან სასანიტარო ინსტიტუტი უნივერსიტეტის სამეცნიერო მიზნებისათვის აუცილებლად საჭირო დაწესებულებაა და იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის პრაქტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივაც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ამიტომ გთხოვთ, რომ ყოველივე აზრი და ლაპარაკი სასანიტარო ინსტიტუტის უნივერსიტეტისაგან ჩამოშორების შესახებ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს“.

თავი III. აგრონომია გამრჯე ქართველი გლეხის შიშვეთა

უნივერსიტეტის აღმშენებლობის დამთავრება მნიშვნელოვანწილად ახალი ფაკულტეტების გახსნას გულისხმობს. დიდად გაიხარა ივანე ჭავჭავიძევილის გულმა, როცა დაინახა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გაცილებით უფრო ფართო მასშტაბებით სურს უნივერსიტეტის აღმშენებლობის განგრძობა, ვიდრე ეს უნივერსიტეტის დამფუძნებლებს ჰქონდათ მოხაზული. ახლა საქმე ერთი იურიდიული (სოციალურ-ეკონომიური) ფაკულტეტის შექმნას კი არ ეხებოდა, არამედ ერთბაშად სამისას — აგრონომიულსა, პოლიტექნიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურსას.

1921 წლის 25 ივლისს განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურმა ცენტრმა წარმოადგინა თავისი წინადადება თბილისის უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იყო სამი ახალი ფაკულტეტის შექმნა.

ორი ფაკულტეტი — აგრონომიული და პოლიტექნიკური — სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წილიდან გამოვიდა. ამან თავიდანვე უზრუნველყო მაღალი დონე ფუნდამენტური მეცნიერების სწავლებისა.

აგრონომიული ფაკულტეტი 1921 წლის 30 სექტემბერს გაიხსნა. ეს იყო რიგით მეოთხე ფაკულტეტი სიბერძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტების შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ფაკულტეტის გახსნისათვის არ ყოფილა მომწიფებული პირობები ისე, როგორც აგრონომიულსა. მხოლოდ იმიტომ, რომ უხივერსიტეტის დამფუძნებლები ნაჩქარევად არ ქმნიდნენ ახალ ფაკულტეტებს, აიხსნება ასე დიდი მზადება მის გასახსნელად.

უკვე 1918 წლის ივნისში პროფესორთა საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, შექმნილიყო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან სასოფლო-სამეურნეო, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამეურნეო განყოფილება“, რაც პრაქტიკულად 1919 წლის სექტემბრიდან განხორციელდა. სწორედ ამ განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ყველა პირობა აგრონომიული ფაკულტეტის შექმნისათვის. საქმეს აჩქარებდა ისიც, რომ რუსეთის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა დაეინებით მოითხოვდა სწავლის განგრძობას მაღალ კურსებზე. რაც მთავარია, აგრონომიული მეცნიერება დაუყოვნებლივ გვერდში უნდა ამოსდგომოდა ჩვენს უსაზღვროდ შრომისმოყვარე გლეხობას.

ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლებისადმი იმთავითვე დიდი იყო.

არ იყო რუსეთის იმპერიაში არც ერთი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი, ქართველ ახალგაზრდას რომ არ ესწავლოს იქ. მეტიც, ბევრი ქართველი სწავლობდა სხვადასხვა საშუალო სპეციალურ სამეურნეო სკოლაში, რომ შემდგომ თავის ქვეყანას გამოსდგომოდა. სამწუხაროდ, კიდევ უფრო მეტი მსურველი რჩებოდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების გარეშე. ამაზე გოდებდნენ თვითონ ისინიც და მათი მშობლებიც. ეს საკუთარი შვილის მწარე ბედის მაგალითზე მძაფრად გამოხატა ვაჟა-ფშაველამ: იგი 1910 წლის 5 ნოემბერს სწერდა ნიკო ცხვედაძეს... „შეუძლებელს მე არაფერს ვთხოულობ. პირადად ჩემი თავი ჭანდაბას, ხოლო ჩემმა შვილმა რა დააშავა, რომ როგორც მისი მამაა გარიყული და მივიწყებული, ჩემ შვილსაც ასე გულგრილად ეპყრობა საზოგადოება, ნორჩ ახალგაზრდას კაცს, რომელსაც სწავლა-განათლება ეკირება, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო კაცი დადგეს. ჩემმა შვილმა, როგორც სხვა ათასმა, მოწმობით გაათავა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსრობის გამო ორი წელიწადია შინა მყავს სოფელში და ლამის, რაც უსწავლია, ისიც დაივიწყოს.

ეს ჩემთვის მეტისმეტად გულსაკლავი მოვლენაა და ვგონებ, ვისაც ცოტაოდენი ჩემი პატივისცემა აქვს, არც უნდა ესაიამოვნოს ეს ამბავი. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც პატიოსან ქართველ კაცს, უანგარო მუშაკს; და გთხოვ, რომ როგორც გამგემ სარაჭიშვილის სტიპენდიებისა, დაუნიშნოს ჩემს შვილს სტიპენდია, რომ გავგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ან სხვაგან სადმე, რათა შეისწავლოს პრაქტიკულად ყველის ან ერბოს კეთება და მისთანები, რაც ფრიად საჭირო და გამოსადეგია მთაში, რათა ეს ცოდნა გაავრცელოს თავის თანამომემთა შორის.

იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას არ დასწიხლავთ და არც მე დამგმობთ ამგვარი თხოვნისათვის.

თქვენის მარადის პატივმცემელი ვაჟა-ფშაველა“.

მრავალი ქართველი მეცნიერი-აგრონომი მოღვაწეობდა რუსეთისა და ევროპის სამეცნიერო ცენტრებში. ახლადშექმნილი უნივერსიტეტი იწყებს მათ მოწვევას.

პირველი მეცნიერი აგრონომი, უნივერსიტეტის მიერ 1918 წლის 17 აგვისტოს მოწვეული, ეს იყო—ნოვოალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტის პროფესორი სოლომონ ზაქარაის ძე ქურდიანი (ნოვოალექსანდრია ამჟამად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაშია). სწორედ მას ჰხვდა განსაკუთრებული პატივი წილად, წაეკითხა პირველი ლექცია სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სტუდენტებისათვის სატყეო ენციკლოპედიაში. ლექცია აქ ცხვედაძისეულ შენობაში ჩატარდა 1919 წლის 2 ოქტომბერს. მეტყვევების ამ გამოჩენილმა მკვლევარმა არა მარტო თეორიული და პედაგოგიური მოღვაწეობა გაშალა არნახული ძალით (მან უკვე 1922 წელს გამოაქვეყნა „მეტყვევების ენციკლოპედიური კურსი“), არამედ ფართო პრაქტიკული მოღვაწეობაც საბჭოთა პერიოდში ტყის შენარჩუნების, რაციონალური ორგანიზაციისა და აღდგენისათვის.

1919 წლის 1 აგვისტოდან უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ნიადაგ-მცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ხელმძღვანელად იწვევს დიმიტრი პანტელეიმონის ძე გედევანიშვილს, ნოვოალექსანდრიის ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებულს, რომელსაც მეცნიერული კვლევა-ძიება უკვე სტუდენტობის პერიოდიდან ჰქონდა დაწყებული. პროფ. დ. გედევანიშვილის მოღვაწეობა სრული ძალით გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების წლებ-

ში, როცა მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ნიადაგმცოდნეთა სკოლა. ამასთან ერთად მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით შედგენილ იქნა საქართველოს ნიადაგების რუკები. პროფ. დ. გედევანიშვილი სხვადასხვა დროს იყო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის — სამტრესტის მმართველი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი და სხვ. მისი როლი ამიტომაც უაღრესად დიდია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში. საკმარისია დავასახელოთ პროფ. დ. გედევანიშვილის აქტიური მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის — მეჩაიეობის განვითარებაში. სწორედ პროფ. დ. გედევანიშვილის კათედრამ გამოავლინა, რომ ცდება ინგლისელი სპეციალისტი დოქტორი მანი, რომელიც ამტკიცებს, რომ თითქოს დასავლეთ საქართველოს ეწერი მიწები გამოუსადეგარია ჩაის კულტურისათვის. სინამდვილეში დასავლეთ საქართველოს ეწერსა და წითელ მიწებზე წარმატებით გაშენდა ჩაის პლანტაციები. ეს არსებითად იყო დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სრულიად ახალი და მეტად მნიშვნელოვანი დარგი.

1919 წლის სექტემბრიდან პროფესორთა საბჭო სასოფლო-სამეურნეო მექანიკის კათედრის გამგედ იწვევს კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბს — ფართო ევროპული განათლების ინჟინერ-მკვლევარს და ორგანიზატორს. იგი გახდა საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მეცნიერების ფუძემდებელი.

ბოტანიკის კათედრაზე ასისტენტად უკვე 1918 წლის შემოდგომიდან მოიწვიეს ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ბიოლოგიურისა და აგრონომიული სექციების კურსდამთავრებული ზაქარია ალექსანდრეს ძე ყანჩაველი. სწორედ მას ეკუთვნის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელოს გამოცემა უნივერსიტეტში — 1919 წელს გამოსული, „გვიმრნაირ და ყვავილოვან მცენარეთა საარკვევი“. მან ბევრი რამ გააკეთა ბოტანიკის მეცნიერებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ 42 წლისა გარდაიცვალა.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო 1920 წლის ივნისიდან სოფლის მეურნეობის მექანიკის კათედრის ასისტენტად, ხოლო იმავე წლის სექტემბრიდან კერძო მიწათმოქმედების (ახლა მემცენარეობის) კათედრის გამგედ იწვევს პეტრბურგის უნივერსიტეტისა და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ახლანდელი ტიმირაზოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის) კურსდამთავრებულს — სწავლულ აგრონომს იულონ ნიკოლოზის ძე ლომოურს. მან საბჭოთა პერიოდშიც განაგრძო დიდი ორგანიზატორული მოღვაწეობა. ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად პროფ. ი. ლომოურმა აღზარდა ქართველ მემცენარეთა მეცნიერული კადრები. მას ბევრი მოწაფე ჰყავს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

1920 წლის სექტემბრიდან მევენახეობის კათედრის გამგედ მოწვეულ იქნა ევროპული განათლების მეცნიერ-აგრონომი სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი. სწორედ ამ კათედრაზე დაიწყო ჩვენი ხალხის სიბრძნის, ათასწლეულამოცდილების, ნიჭის და თავგანწირვის — ქართული ვაზის ჭიშების მეცნიერული შესწავლა, განადგურების გზაზე მყოფი ჭიშების აღდგენა, ქართული მევენახეობის მეცნიერების აყვავება. პროფ. ს. გ. ჩოლოყაშვილის მოწაფეები ღირსეულად წარმოაჩენენ ქართული ბუნებისა და ქართული შრომისმოყვარეობის ამ განუყოფელი ელემენტის — ვაზის ძველთაძველსა და მუდამ ახალ კულტურას.

1921 წლამდე უნივერსიტეტში სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაზე მოღვაწეობდნენ ცნობილი პროფესორები აკად. ს. ნავაშინი, ბ. უვაროვი, ი. ფიგუროვსკი, მ. ფარცვანიძე, ა. თამაშვეი, ა. როლოვი, ფ. ზაიცევი და სხვები. ასე ძლიერი იყო განყოფილების პროფესორთა კოლეგიის შემადგენლობა, რომელსაც ემატებოდა ზოგადთეორიული საგნების პროფესორებიც. ყველაფერი ეს იმის აშკარა დადასტურება იყო, რომ მომწიფდა ფაკულტეტის გახსნა. არანაკლებ მომწიფებული იყო პირობები სტუდენტთა რაოდენობის მზრიატ. როგორც ივანე ჭავჭავიძე წერს, 1920 წელს შემოდგომის სემესტრისათვის საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტზე 779 სტუდენტი და 6 მსმენელი იყო, აქედან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაზე 476 სტუდენტი, მათგან 380 ვაჟი და 96 ქალი. „ამგვარად, — დასძენდა ივანე ჭავჭავიძე, — აგრონომიულ სტუდენტთა რიცხვი საგრძნობლად სჭარბობს სხვა განყოფილების სტუდენტთა რაოდენობასა და 173-ით აღემატება სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო განყოფილებათა საერთო რიცხვსაც კი, 303-ს. ქალები უფრო აგრონომიულს ეტანებიან, შემდეგ სამათემატიკოს და ყველაზე ნაკლებ საბუნებისმეტყველოს, რომელზედაც მათი რიცხვი მაინც ვაჟებისას აღემატება“.

1920 წლის გაზაფხულიდან უშუალოდ დაისვა საკითხი აგრონომიული (სამეურნეო) ინსტიტუტის შესაქმნელად თბილისის უნივერსიტეტთან, მაგრამ მაშინ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა ამ მიმართულებით. სურათი იცვლება საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1921 წლის 10 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს უნივერსიტეტთან სამეურნეო (აგრონომიული) ინსტიტუტის დებულებისა და სასწავლო გეგმის ორ პროექტს: ერთს უფრო ვრცელს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენლის მიერ, მეორეს, უფრო მოკლე რედაქციით, რექტორის პროფ. ივანე ჭავჭავიძის მიერ წარმოდგენილს. საბჭო გადაწყვეტს: „დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ნაცვლად სამეურნეო განყოფილებისა სა მ ე უ რ ნ ე ო ინ ს ტ ი ტ უ ტ ი. დებულებანი სამეურნეო ინსტიტუტის შესახებ მიღებულ იქნეს იმ რედაქციით, რომელიც პროფ. ივ. ჭავჭავიძელმა წარმოადგინა“.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატიდან მიღებული 1921 წლის 27 ივლისის წერილის შემდეგ ინსტიტუტის ნაცვლად მიზანშეწონილად ჩაითვალა აგრონომიული ფაკულტეტის შექმნა. ამის გამო უნივერსიტეტს და მის რექტორს დავა არ დაუწყიათ.

1921 წლის 30 სექტემბერს აგრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველმა სხდომამ პირველ დეკანად ზემით აირჩია პროფ. პ. მელიქიშვილი. მოკლე სიტყვაში სახელოვანი დეკანი პირობას იძლეოდა, რომ დიდი ხალისით შესწირავდა თავის უკანასკნელ ძალღონეს ამ ახალს, მისთვის ძვირფას საქმეს. პირველი რექტორი ახლა, მისი 71 წლის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერჯით შეუდგა დეკანის მოვალეობის შესრულებას.

მისი მედროშეობა ქართულ მეცნიერებას კარგად ჰქონდა დაცდილი.

ბევრი ახალგაზრდა მიიზიდა, მათ შორის რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, ახლად შექმნილმა ფაკულტეტმა. ჩვენს სოფელს განათლებულ აგრონომთა მთელი არმია სჭირდებოდა. იგი ხომ დიდი გარდაქმნების წინაშე იდგა. პეტრე მელიქიშვილი კვლავაც მოუწოდებს ახალგაზრდობას, ჰუმანიტარულ, ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად, ღრმად და ფართოდ შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი. 1924 წელს ახალგაზრდობისადმი მოწოდებაში იგი მგზნებარებით წერდა:

„ადექით, ახალგაზრდებო, ისწავლეთ, შეიარაღდით მეცნიერებით და გამო-

გვიყვანეთ ქვეყანა მეჩვიდმეტე საუკუნის უმწეო მდგომარეობიდან, დიდი ხშირად მცირეშია: ნუ გგონიათ, ქვეყნის სიმდიდრე და ხსნა მხოლოდ მთის წიაღში და წყალ-ნაქადებშია ჩასახული, ნიადაგიც ნუ გავიწყდებათ. ჩვენი, „ცა-ფირუზის“ და „ხმელეთ-ზურმუხტის“ ცვარნამი და ჰირნახული, გუთანი და ვაზი, ნახირი და ბალი, აი ჩვენი სიმდიდრე“... იგი დასძენდა: „ჩვენმა მეღვინეებმა, მეყველეებმა და სხვებმა და სხვებმაც, თავიანთ ევროპულ მოძმეთა მსგავსად, უნდა დააარსონ თავ თავის დარგის სადგურები, სადაც ქიმიური სასწორისა და მიკროსკოპის საშუალებით გადაიჭრება მეცნიერული ხასიათის პრაქტიკული საკითხები“. ახალ-გაზრდობა დიდად უსმენდა პეტრე მელიქიშვილს. აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტები უდიდეს აქტიურობას იჩენდნენ სოფლის მეურნეობის წარჩინებისათვის. 1920 წლიდან სტუდენტთა აგრონომიული წრე დაარსდა, რომელმაც ფართო მუშაობა გააჩაღა: შექმნა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა და დიწყო საქართველოს სხვადასხვა მხარეების ფლორისა და ფაუნის შესწავლა, მიიზიდა სტუდენტთა დიდი მასა.

თ ა ვ ი IV. ინჟინერია ახალგაზრდობის უვალაჲმ პოპულარული საეციალოება

პოლიტექნიკური ფაკულტეტი თბილისის უნივერსიტეტში 1922 წლის 16 იანვარს გაიხსნა.

ამ ფაკულტეტის დაარსებისათვის უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ გადადგა ნაბიჯი მას შემდეგ, რაც განათლების სახალხო კომისარიატისაგან მიღებული მითითებით დაისვა საკითხი პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ამ საკითხზე იმსჯელა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1921 წლის 16 ნოემბერს, მანამდე ჩატარებული იყო დიდი მუშაობა, რომ უნივერსიტეტთან დაარსებულიყო ტექნიკური (პოლიტექნიკური) ინსტიტუტი. ამ საკითხებზე ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1917 წელს ამბობდა თავის მოხსენებაში ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

1920 წლის 27 ნოემბერს შედგენილ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი კონკრეტულ გზებს სახავდა უმაღლესი ტექნიკური განათლების ამგვარი გადაწყვეტისათვის. იგი წერდა, რომ არც ბელგიის, არც ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას არ წაუგია იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ უმაღლეს განათლებას უნივერსიტეტთან არსებულ ინსტიტუტში ითავსებენ. თუმცა იქვე დასძენდა, რომ ავტონომიური პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობა არ წარმოადგენდა დაბრკოლებას სხვა ხელსაყრელი პირობების არსებობისას ტექნიკური უმაღლესი განათლების მიღებისათვის. მთავარი, რასაკვირველია, კულტურულ-მატერიალური შესაძლებლობებია და აქედან გამომდინარე მიზანშეწონილობა. თუ ზოგად თეორიულ საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო საგნებს უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურში, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ერთი და იგივე პირნი წაიკითხავენ, „ეს სწორედ იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი იქნება, რომ ამ ქვეყანას ორი დამოუკიდებელი და სრულიად განცალკევებული უმაღლესი სასწავლებლისათვის ძალა არ შესწევს“. სხვანაირად, ერთი და იგივე ლექციის ორჯერ წაკითხვა და დემონსტრაცია, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, ჩვენ მეცნიერთა ძალღონისა და დროის შეუწყნარებელი და მათი წარმატებისათვის მეტად სახიფათო გაფ-

ლანგვა იქნებოდა. „მათ საკუთარი სამეცნიერო მუშაობისა და კვლევა-ძიებისათვის დრო ძალიან ცოტა დარჩებათ, თითქმის მთელს თავის ენერჯიას მარტოოდენ ლექციების კითხვას შეაღწევენ და როგორც მეცნიერთ მათ ყოველგვარი მნიშვნელობა დაეკარგებათ“.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის სიძვირე კიდევ უფრო აძნელებდა იმ დროს უნივერსიტეტთან ერთად მის ცალკე შექმნას.

აგრონომიული, ტექნიკური მეცნიერების წარმატება სავსებით შესაძლებელია უნივერსიტეტის წიაღშიც. იგი წერს: „ცნობილია, რუსეთის ნიადაგთ-მეცნიერული შესწავლის პირველი და ნიჭიერი სულისჩამდგმელი დოკუჩაევი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და უნივერსიტეტში მუშაობდა. ცნობილია, და ამას პროფ. პრიანიშნიკოვიც ადასტურებს, რომ გერმანიის საუკეთესო სამეცნიერო და დამაწინაურებელი აგრონომიული ძალა და კვლევა-ძიება უნივერსიტეტთან არსებულ კათედრებთან არის დაკავშირებული. უდავოა, რომ გერმანიის მრეწველობას გერმანული ქიმიური მეცნიერების შემოქმედებამ შეუწყო ხელი“. ამიტომაც თვლიდა ივანე ჯავახიშვილი, პოლიტექნიკური განათლება უნივერსიტეტთან ყოფილიყო დაკავშირებული. იგი აქ განსაკუთრებით იწონებდა პროფ. პ. მელიქიშვილის მეთაურობით ქიმიის გამოყენებითი დარგების განვითარებას.

პროფესორთა ერთი ჯგუფი აქტიურად უქერდა მხარს უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნას. და როცა 1921 წლის 16 ნოემბერს დადგა საკითხი პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნისათვის მზადებისა, პროფესორთა საბჭომ დაადგინა: „ნაცვლად განზრახული სატექნიკო ინსტიტუტისა დაარსდეს უნივერსიტეტთან სატექნიკო ფაკულტეტი. ფაკულტეტის მოსაწყობად შედგეს კომისია უნივერსიტეტის იმ პროფესორთაგან, რომელთაც მომავალს სატექნიკო ფაკულტეტზე სავალდებულო კურსების წაკითხვა დაევალებათ, იმ მიზნით, რომ მათ გამოარკვიონ, თუ რამდენი განყოფილების და კურსის გახსნა იქნება შესაძლო ამ თავითვე. ამ კომისიის შედგენა და მოწვევა მიენდოს პროფ. ა. დიდებულის. მიეცეს აღნიშნულ კომისიას უფლება კომპტაიის წესით მცოდნე პირთაგან თავისი შემადგენლობის შევსებისა“.

-პროფ. ალ. დიდებულის, მართლაც, არ კმაყოფილდება პროფესორთა კოლეგიის წევრების შეყვანით. ამ კომისიის აქტიური წევრები იყვნენ პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, გ. ნიკოლაძე, არ. ხარაძე, აგრეთვე სწავლული ინჟინრები ბ. ჭიჭინაძე, ლ. დიასამიძე, დ. თუმანიშვილი, გრ. ქურდიანი, ი. ვაწაძე, ივ. ყიფშიძე, ივ. თულაშვილი, ვას. კაკაბაძე, ა. კიკაბიძე.

ამ კომისიამ სულ რამდენიმე სხდომა ჩაატარა. ხანგრძლივი კამათის შემდგომ კომისიამ შეძლო თავისი წინადადების შემუშავება. დავას თვითონ ფაკულტეტის შექმნის მიზანშეწონილება კი არ იწვევდა, არამედ, თუ რა სპეციალობებით უნდა ყოფილიყო იგი თავიდანვე წარმოდგენილი. სიძნელეს ის ქმნიდა, რომ ლექტორებით უზრუნველყოფა მთელი რიგი საინჟინრო სპეციალობისა მეტად და მეტად გართულებული იყო. სწორედ ამიტომ კომისიამ დაადგინა, რომ „პირველისა და მეორე კურსის მოთხოვნილება ლექტორთა ძალეებით დაკმაყოფილებისა ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ მესამე კურსიდან აუცილებელი იქნება გარედან სამეცნიერო ძალების მოწვევა“. 1921 წლის 30 დეკემბერს პროფესორთა საბჭო იხილავს პროფ. ა. დიდებულის მოხსენებას კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. გადაწყდა, რომ 1922 წლის იანვარში

გახსნილიყო სატექნიკო (საინჟინრო) ფაკულტეტის ერთი სემესტრი (თუ საკიროება გაჩნდებოდა, მაშინ შეიძლებოდა მეორე სემესტრის გახსნაც). საინჟინრო ფაკულტეტზე სამი განყოფილება უნდა კოფილიყო: ა) სამშენებლო, ბ) მექანიკური, გ) სამთამადნო. იმის გამო, რომ სამივე განყოფილების პირველი კურსის მასალა თითქმის ერთი და იგივე იყო, გადაწყდა, პირველ სემესტრში ყველა განყოფილებისათვის საერთო ლექციები ჩატარებულიყო. ფაკულტეტის საზეიმო გახსნა 1922 წლის 16 იანვარს შედგა. ფაკულტეტის პირველი სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ივანე ჭავჭავაძემ. იგი გულშეუვალედ მიესალმა შეკრებილთ და აღნიშნა პოლიტექნიკური ფაკულტეტის საქართველოსათვის მეტად დიდი მნიშვნელობა. დეკანად აირჩიეს პროფ. ალ. დიდებულისძე, ფაკულტეტის მდივანად—ლოცენტი ივ. თულაშვილი. სწორედ უნივერსიტეტის რექტორის ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი ორგანიზაციული მუშაობა ფაკულტეტის გახსნისათვის.

პირველ დღესვე 1922 წლის 16 იანვარს მათემატიკის კურსის კითხვით დაიწყო ლექციათა მდინარება ქართველ ინჟინერთა კადრების მოსამზადებლად.

თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსება არა მარტო უმნიშვნელოვანესი ეტაპი გახდა საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორიაში, არამედ, ამასთან ერთად, ნათელი დადასტურება საბჭოთა ხელისუფლების პრინციპული დამოკიდებულებისა ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრების აღზრდისადმი, ვინაიდან ეს ფაკულტეტი გაიხსნა თბილისში რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობის მიუხედავად.

ახალი საზოგადოების მშენებლობის, ღრმა სოციალური ძვრებისა და საწარმოო ძალების განვითარების სწრაფი პროცესი გადაუდებლად მოითხოვდა ინჟინერთა ეროვნულ კადრებს. თავის მხრივ უსაზღვრო, პირდაპირ სტიქიურ ლტოლვაში გამოიხატა ქართველი ახალგაზრდობის დაგუბებული სიყვარული უმაღლესი ტექნიკური ცოდნის მიღებისა. ახალ ფეხდაგმულ ფაკულტეტს საშუალება არ ჰქონდა, ყველა მსურველი მიეღო. ამ ფაკულტეტზე სტუდენტები ხშირად გადმოდიან უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან, განსაკუთრებით სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან. დეკანატი ბევრ მსურველს უარს ეუბნება გადმოყვანაზე კურსის გადატვირთვის გამო. მანამდე მისაღები გამოცდები არ არსებობდა უნივერსიტეტში. ატესტატების კონკურსით ხდებოდა ჩარიცხვა იქ, სადაც აბიტურიენტთა რაოდენობა დიდი იყო. პირველად 1922 წლის სექტემბრიდან იქნა შემოღებული უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები: პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე საშუალო სკოლის კურს-დამთავრებულები მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში.

ვერც მისაღები გამოცდების შემოღებამ შეანელა ლტოლვა ინჟინერიისადმი. ინჟინრობა ახალგაზრდობის ყველაზე პოპულარული პროფესია ხდება.

მომავალი ინჟინერი დიდ მუყაითობასა და სიყვარულს იჩენს სწავლისადმი, რის შედეგადაც ადვილად და წარმატებით ძლევს ტექნიკური დისციპლინების სირთულეებს. ბევრი მათგანი უკვე სტუდენტობის დროიდან ამჟღავნებს საინჟინრო აღლოს და პრაქტიკულ-ტექნიკურ ცოდნას. პირველ სემესტრშივე იწყებენ სტუდენტებთან მუშაობას ა. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, ალ. დიდებულისძე, ა. ბენაშვილი, გ. ნიკოლაძე, არჩ. ხარაძე, და სხვ. შემდგომ კი ლექციების კითხვას ქართველი სწავლული ინჟინრები განაგრძობენ. ახლა ჩვეულებრივ პატრიოტ ქართველ ინჟინრებისას, რომლებიც „საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში“ იყვნენ გაერთიანებულნი, საშუალება მიეცა, მყარ სამეცნიერო

ბაზაზე განეგრძო თავისი მოღვაწეობა. ამ დროს დიდ სიძნელეს ქმნიდა ტექნიკური ტერმინოლოგიის თითქმის არარსებობა. ქართველი სწავლული ინჟინრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველებმა დაიწყეს ლაშქრობა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად, რასაც დღესაც წარმატებით განაგრძობენ, ტექნიკურ სიახლეთა კვალდაკვალ.

ამ მაღალგანათლებულ ინჟინრებს ჰქონდათ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, არ ჰქონდათ წოდება პროფესორისა ან დოცენტისა. მაინც იმის გამო, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ინჟინრებისათვის მეცნიერული ხარისხის მიკუთვნება არ ხდებოდა, ძნელდებოდა მათი მეცნიერული კვალიფიკაციის განსაზღვრა ისე, როგორც სხვა ფაკულტეტებზე. ამიტომ იყო, რომ 1926 წელს ფაკულტეტის დეკანი პროფ. ალ. დიდებულისე წარსულიდან მომდინარე ამ სპეციფიკის გათვალისწინებას მოითხოვდა, როცა წერდა: „ჩვენი ინჟინრები ახალგაზრდები არიან და მოვიცადოთ ცოტაც: დამთავრდება ზემოაქვალის პიდროელექტრული სადგური და ლექტორი ბ. ჰიჭინაძე ჩაგვაბარებს სათანადო შრომას, აგრეთვე შესრულებული იქნება საქართველოს რკინიგზის სურამის ულტრახილის ელექტროფიკაცია და ინჟინერი ს. ყორქესალიშვილი ჩაგვაბარებს თავის შრომას და ესრეთ სხვები“.

მართლაც, ინჟინერი სწავლულები მალე აღწევენ დიდ წარმატებებს. ეს ფაქტი თვალნათლივ ადასტურებდა, რომ პოლიტექნიკური ფაკულტეტის შექმნა ცხოვრების გადაუდებელი მოთხოვნილება იყო. თბილისის უნივერსიტეტში არნახულად მოკლე დროში სტუდენტთა და მათ ლექტორთა მიერ მოპოვებული შედეგები მალე უმაღლესი კვალიფიკაციის ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდის პერსპექტივას სახავს თბილისშივე. თუმცა ამ საგანზე თავისი დროის სხვა შეხედულებაც იყო გამოთქმული, კერძოდ, საზოგადოების გამგეობის წევრები, პატრიოტი სწავლული ინჟინრები ბ. ჰიჭინაძე, გრ. ქურდიანი, ლ. დიასამიძე და გ. გელვეანიშვილი აღნიშნავდნენ, რომ „მეცნიერ ინჟინერის გამოშვება, როგორც საერთო მოვლენა, ჩვენს ქვეყანაში უარყოფილ უნდა იქნეს“.

ისინი სრული რწმენით წერდნენ: „აშკარაა, რომ ვინც პროფესორად მომზადებას მოისურვებს ტექნიკურ დარგში, ის საზღვარგარეთ უნდა წავიდეს“. მართლაც, აქ არ ყოფილა ქედის მოხრა დასავლეთის წინაშე: 1925 წელს წარმოუდგენელი იყო ტექნიკური მეცნიერული კადრების აღზრდა თბილისში.

თუ ხალხის საკუთრებად ქცეული ბუნებრივი სიმდიდრის ათვისებას საბჭოთა საქართველოში აღზრდილი ინჟინერთა ეროვნული კადრები ახორციელებენ, მალე ტექნიკური მეცნიერება ისეთ წარმატებას აღწევს, რომ არა მარტო თბილისშივე იზრდება ტექნიკის სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კადრები, არამედ აქ ახლა ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნიდან ასპირანტურაში ტექნიკური მეცნიერების სხვადასხვა მიღწევათა გასაცნობად. ამ ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრების აღზრდაში წარუხოცელია თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის როლი.

ასე, 1921 წლის 27 ივლისის სახალხო განათლების კომისარიატიდან მოსულ წინადადებას იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ თუ არა აგრონომიული და პოლიტექნიკური ფაკულტეტების შექმნა, ნახევარ წელზე ნაკლებ პერიოდში ამ ფაკულტეტების ჩამოყალიბება მოჰყვა. მართალია, ეს მთლიანად არ ეთანხმებოდა იმ ორგანიზაციულ ფორმას, რაც უნივერსიტეტის აღმშენებლებს ჰქონდათ გათვალისწინებული, მაგრამ ივანე ჯავახიშვილისათვის მთავარი იყო დიდი მიზნის ასრულება, რომ ახალ ეროვნულ უნივერსიტეტში უკვე შეიძლებოდა აგრონომებისა და ინჟინრების აღზრდა. სწორედ ამიტომ იგი

1921 წლის 21 აგვისტოს განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიური ცენტრისადმი გაგზავნილ წერილში საჭიროდ თვლის აღნიშნოს: „სასოფლო მეურნეობის და ტექნიკურ სამეცნიერო დარგებისა და სპეციალობისათვის უნივერსიტეტის საბჭოს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ უნივერსიტეტთან სათანადო ინსტიტუტები შექმნილიყო (1921 წლის 10 ივნისს პროფესორთა საბჭომ დადგენილება გამოიტანა უნივერსიტეტთან სატექნიკო ინსტიტუტის შექმნის თაობაზე ს. ჯ.). მაგრამ, ამერიკული სისტემის მსგავსად, შესაძლებელია ფაქულტეტებად მოეწყოს, როგორც ეს აკადემიური ცენტრის პროექტით ყოფილა განზრახული“.

ამ განზრახვის ასრულებას ახლა თვითონ ივანე ჯავახიშვილი უწყობს ხელს აქტიურად და მისი თაოსნობით იქმნება ორი ახალი ფაქულტეტი, რასაც სულ მალე კიდევ მესამე — სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის შექმნა მოჰყვა.

თ ა ვ ი V. ქართულ იურიისტთა და ეკონომისტთა აღზრდის პირველი კერა

უნივერსიტეტში დაარსებიდანვე იყო განზრახული იურიდიული ფაქულტეტის შექმნა. ეს ვერ მოხერხდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე საქართველოში. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიური ცენტრის უკვე დასახელებული მომართვა აყენებს საკითხს სოციალურ-ეკონომიკური ფაქულტეტის შექმნისას. საქმე ისაა, რომ საბჭოთა უნივერსიტეტებში 1918 წლის ბოლოდან აღარ არსებობდა იურიდიული ფაქულტეტები.

1918 წლის 23 დეკემბრის რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით უქმდება იურიდიული ფაქულტეტები როგორც უნივერსიტეტების ცალკე ქვედანაყოფი. მათ ნაცვლად იქმნება საზოგადოებრივი მეცნიერების ფაქულტეტები. ეს ფაქულტეტები პრაქტიკულად 1919 წლის გაზაფხულიდან ყალიბდებოდნენ. პირველი ორი კურსი საერთო-საგანმანათლებლო ხასიათისა იყო და ერთიანი პროგრამით ტარდებოდა, მესამე კურსიდან კი სამ განყოფილებადაც იყოფოდა; ესენია: ეკონომიური, პოლიტიკურ-იურიდიული და ისტორიული. შემდგომ ამ ფაქულტეტს მიუერთდა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაქულტეტი, პეტროგრადის უნივერსიტეტში კი აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტიც. საბჭოთა უნივერსიტეტებში ეს ფაქულტეტები 1924 წლამდე არსებობდნენ. როგორც ერთადერთი საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული ფაქულტეტები. მართალია, 1921 წლის გაზაფხულის ბოლოს წამოაყენეს საკითხი თბილისის უნივერსიტეტშიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაქულტეტის შექმნისა, მაგრამ მისი იმ სახით ჩამოყალიბება, როგორც საბჭოთა რუსეთში იყო, ვეებერთელა ფაქულტეტის შექმნას გულისხმობდა და მას, არსებითად, უნივერსიტეტის ძირეული ორგანიზაციული რეფორმა უნდა გამოეწვია, რაც აუცილებლობით არ იყო ნაკარნახევი.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის 1921 წლის 27 ივნისის წერილმა სავსებით სწორად უარყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაქულტეტის შექმნის საჭიროება თბილისის უნივერსიტეტში და ამის ნაცვლად სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი დააყენა. ამაზე უნივერსიტეტს პასუხი არ დაუგვიანებია. უკვე 1921 წლის 29 ივნისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის დადგენილებაში აღნიშნავდა: „რაც შეეხება სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის დაარსებას, საბჭოს შესაძ-

ლებლად მიაჩნია აღნიშნული ფაქულტეტის დაარსება, და მისი მოწყობის გეგმას უნივერსიტეტის საბჭო მოკლე ხანში შეიმუშავებსო“. ბუნებრივია, ამ ფაქულტეტის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა ყველაფერი ის, რაც მანამდე თბილისის უნივერსიტეტში გაკეთდა იურიდიული ფაქულტეტის გასახსნელად. ამ სიძნელეთა მიუხედავად, რაც უპირველესად ლექტორთა კადრების სიმციკრესთან იყო დაკავშირებული, მალე მოხერხდა განზრახული სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის შექმნა.

1922 წლის ოქტომბრიდან იწყებს მოქმედებას იურიდიული (სოციალ-ეკონომიური) ფაქულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

იურიდიული (სოციალ-ეკონომიური) ფაქულტეტის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში ადასტურებდა ახალი ხელისუფლების სერიოზულ განზრახვას, მოემზადებინა, კადრები ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის. ამასთან ერთად, ეს იყო უნივერსიტეტის დამაარსებელთა ოცნების განხორციელება. 1919 წლის ოქტომბერში ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ „იურიდიული ფაქულტეტი, მცოდნე იურისტ-პროფესორთა უქონლობის გამო, არ არსებობს და ორ-სამ წელიწადზე ადრე მისი გახსნა ჩვენს უნივერსიტეტში შეუძლებელი იქნება“.

ჩვენი ხალხის ისტორიაში პირველად საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა შესაძლებლობა, იურისტთა ეროვნული კადრები აღზარდილიყო და იურიდიული მეცნიერებისადმი ახალგაზრდების სწრაფვა დაკმაყოფილებულიყო შობილიურ ენაზე. ქართველი ახალგაზრდების სწრაფვა კი სოციალური, სამართლებრივი მეცნიერებისადმი ყოველთვის დიდი იყო. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში ქართველები ხშირად იურიდიულ ფაქულტეტებზე სწავლობდნენ, მაგრამ დამთავრების შემდეგ მათი მოწინავე ნაწილის ენერჯია და ხშირად სიცოცხლეც კი სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას ეწირებოდა. ამასთან ერთად, მეორე უფრო დიდი ნაწილი იურიდიულ ფაქულტეტ დამთავრებულთა ძველი სახელმწიფოს ჩინოვნიკური აპარატის იერარქიულ კიბეზე ამალლების სწრაფვაში ხარჯავდა მთელს ნიჭსა და უნარს. ამ ვითარებაში მეცნიერ იურისტთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, რაც შეუძლებლად ხდიდა ახლად ფეხადგმულ უნივერსიტეტში იურიდიული ფაქულტეტის დაუყოვნებლივ გახსნას. ყოველი უნივერსიტეტისათვის ტრადიციული იურიდიული ფაქულტეტის საპირობება კი არაერთარ ექვს არ იწვევდა. ოღონდ თვით უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეს მარტოოდენ დროის საქმედ მიაჩნდათ.

როგორც აღვნიშნეთ, სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ზოგიერთი იმ საგნის წაკითხვას, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაქულტეტზე იკითხებოდა. ასე, საისტორიო დარგზე გათვალისწინებული იყო ქართული სამართლის ისტორიის კურსის წაკითხვა, რაც ივანე ჯავახიშვილს მიჰყავდა უნივერსიტეტის არსებობის პირველ სემესტრიდანვე. საეკონომიო დარგის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო მთელი რიგი იურიდიული დისციპლინების შესწავლა, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სახელმწიფო სამართალი, სავაჭრო (სააღმზრდე) სამართალი, ადმინისტრაციულ-სამოხელეო, საერთაშორისო სამართალი. განზრახული იყო ზ. ავალიშვილის, ლ. ანდრონიკაშვილისა და რამდენიმე ახალგაზრდა იურისტ-მკვლევრისათვის მიენდოთ ამ კურსების წაკითხვა. ეს კი იმ დროს ვერ მოხერხდა.

იურიდიული ფაქულტეტის გახსნას გადაუდებლად მოითხოვდნენ რუსეთის

უნივერსიტეტების ქართული სტუდენტები, რომლებიც ვერ ახერხებდნენ შექმნილი ვითარების გამო უკან დაბრუნებას და სწავლის განგრძობას. ისინი ითხოვდნენ ნებართვას, თბილისის უნივერსიტეტში ჩაებარებინათ თუნდაც საგამოცდო საგნები. 1919 წლის 6 სექტემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ თხოვნის გამო, რომ უფლება მიეცათ, ჩააბარონ გამოცდები რუსეთის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა, დაადგინა: „სამწუხაროდ, უნივერსიტეტი მოკლებულია საშუალებას რაიმე ფაქტიური დახმარება აღმოუჩინოს აღნიშნულ სტუდენტობას, ვინაიდან უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ჯერ გახსნილი არაა“. ამ ფაკულტეტის გახსნა მხოლოდ ფართო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ შეიძლებოდა. ამიტომაც ჯერ კიდევ 1919 წლის 3 იანვარს იუსტიციის მინისტრის წინადადებაზე, რომ შეექმნათ იურიდიული ფაკულტეტი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო, რომელიც პრინციპულად თანახმა იყო ამ ფაკულტეტის დაარსებისა, თვლიდა, რომ „სამეცნიერო ძალების ნაკლებობის გამო ერთბაშად მისი გახსნა მოუხერხებელია და შესაძლოა მხოლოდ თანდათანობით მისი გახსნა, რომელსაც საბჭო მომავალ შემოდგომიდანვე შეუდგებოა“.

ივანე ჭავჭავიძელისათვის არა მარტო ეკვს არ იწვევდა იურიდიული ფაკულტეტის გახსნის საკითხი მომავალში, არამედ უკვე 1918 წლის ივლისში მას წარმოდგენილი ჰქონდა მონახაზი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იურიდიული ფაკულტეტი, სადაც „ჩვეულებრივ რომაულ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციების გარდა, შემოღებულ იქნება ბიზანტიური სამართლის ისტორია, მაჰმადიანური სამართლის ისტორია, ქართული და კავკასიის ადათების შესახები ლექციები“. რასაკვირველია, მაღალ თეორიულ დონეზე ლექციების წაკითხვა მხოლოდ უნივერსიტეტის ფაკულტეტზე შეიძლებოდა. ამ ფუნქციის შესრულება, მისი თუნდაც ნაწილობრივი დაკისრება პრაქტიკული იურიდიული კურსებისათვის, ივანე ჭავჭავიძელს შეუძლებლად მიიჩნდა..

ქართული იურიდიული საზოგადოების შეამდგომლობით დადგა საკითხი, რომ უნივერსიტეტი დაეხმაროს მას პრაქტიკული იურიდიული კურსების მოწყობის საქმეში სამეცნიერო ძალების მოშველიებით და უნივერსიტეტის აუდიტორიებით.

1919 წლის 8 ოქტომბერს პროფესორთა საბჭომ პრინციპულად მოიწონა კურსების გახსნა და ამასთან ერთად „არჩეულ იქმნა კომისია (პროფ. ივ. ჭავჭავიძელი, ს. ავალიანი და ფ. გოგიჩაიშვილი), რომელმაც უნდა გამოარკვიოს დაწვრილებით დამოკიდებულება უნივერსიტეტსა და კურსებს შორის და ამასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის საკითხები და თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს“.

თავის დასკვნაში ივანე ჭავჭავიძელი კრიტიკულად განიხილავდა იურიდიული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ პროგრამა-დებულების იმ პუნქტებს, რომელთა მიზანი იყო კურსების მსმენელთათვის არსებითად იმ უფლებების მინიჭება, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს ჰქონდათ საერთოდ და ამ გზით კურსების თანდათანობით გადაქცევა იურიდიულ ფაკულტეტად. ივანე ჭავჭავიძელის ყველაზე უარყოფით დამოკიდებულებას ის იწვევდა, რომ კურსების ერთ-ერთ მიზნად განზრახული იყო შესწავლა ძველი ქართული კანონმდებლობისა და ადათ-ჩვეულებებისა. იგი წერდა: „პრაქტიკული კურსების“ მარტო თვით სახელი ცხადყოფს და მთელი მისი დებულება მოწმობს, რომ მას თეორიული სამეცნიერო მოღვაწეობა ვერ მოეთხოვება და ვერ დაევალება. ვითარცა დროებით დაწესებულებას, მას უნდა ხანმოკლე არსებობა ჰქონდეს და ამის გამო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერც მოასწრებს“. დებულების ავტორები კი არ

მალავდნენ თავიანთ განზრახვას, გადაეჭიათ კურსები იურიდიულ ფაკულტეტად და ამით ქართული უნივერსიტეტის განუყოფელ ნაწილად. ივანე ჭავჭავაძის შვილი პრინციპული წინააღმდეგი იყო საკითხის ამგვარად დაყენებისაჲ კი: „ზემოხსენებულ კურსები, ვითარცა პრაქტიკული, ჯერ ერთი, ვერასდროს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტად ვერ იქცევა. იურიდიული ფაკულტეტი სულ სხვა საფუძველზე უნდა იყოს აგებული და, მეორეც, ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის გახსნა უფლებრივად პროფესორთა საბჭოს დადგენილებაზეა დამოკიდებული, ეს მის უცილობელს ავტონომიურ უფლებას შეადგენს და შეუძლებელია, რომ მისი ეს უფლება-მოვალეობა ვისმეს, მით უმეტეს პრაქტიკულ იურიდიულ კურსებს დაუთმოს“.

საბოლოოდ, უნივერსიტეტთან აღარ შექმნილა პრაქტიკული იურიდიული კურსები.

იმ პერიოდში უნივერსიტეტის პროფესორები არ გაურბოდნენ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავებას. პროფ. ი. ყიფშიძე აქტიურად მონაწილეობდა ქართულად სასამართლო წარმოების ენის შემუშავებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჭავჭავაძისა და ი. ყიფშიძის აქტიური მონაწილეობით გამოვიდა 1919 წელს რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი.

თბილისის უნივერსიტეტი რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას ტოვებს საპროფესოროდ მოსამზადებლად. მაგრამ ვინაიდან დაუყოვნებლივ უნდა წაკითხულიყო იურიდიული დისციპლინები, თუნდაც საეკონომიო დარგზე, საჭირო იყო პროფესორთა, რომელიც ამ საქმის კონკრეტულად განხორციელებას შეუდგებოდა. ამ დროს მთელი იმედები დამყარებული იყო სახელოვანი იურისტის ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ჩამოსვლაზე. უკვე 1920 წ. 15 დეკემბერს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭო ადგენს, საშოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე მოწვეულ იქნეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და მიეცეს მას პროფესორის სარგო. ეს შუამდგომლობა 1921 წლის 12 იანვარს დაამტკიცა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ.

უნივერსიტეტის არქივში ინახება ლ. ანდრონიკაშვილის მოკლე ბიოგრაფია — Curriculum Vitae, — დაწერილი უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჭავჭავაძის მიერ. იქ ვკითხულობთ: „ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი კახელია, სოფ. ოჯიოელი, დაიბადა 1872 წელს. საშუალო განათლება ტფილისის პირველ გიმნაზიაში მიიღო. უმაღლესი — პეტერბურგში და გერმანიაში. სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდა გამოჩენილ მეცნიერებთან ვინდელბანდთან, კუნო ფიშერთან, ლაბანდთან და სხვებთან. საგანგებოდ მუშაობდა ფილოსოფოსიაში და იურისპრუდენციაში. შემდეგშია, თუმცა ვეჭირობას შეუდგა, მაგრამ არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურისპრუდენციისათვის თავი არ დაუწებებია და რუსეთში გაითქვა სახელი, როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა. მისი განმარტებანი სენატის პრაქტიკაშიც იყო მიღებული. ამიტომ იგი სენატორად დაინიშნა, რადგან ჩვენ არც ერთი თეორეტიკოსი-ცივილისტი არ გყავს, ეს საგანი კი აუცილებლად საჭიროა ჩვენი საეკონომიო დარგისათვის, ამიტომ სასურველი იყო მისი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება ჩვენი უნივერსიტეტისათვის“¹.

ივ. ჭავჭავაძის შვილი, როგორც ვხედავთ, კარგად იცნობდა უნივერსიტეტ-

¹ 1912 წელს პეტერბურგიდან გამოგზავნილ ერთ კერძო წერილში ივ. ჭავჭავაძის შვილი კიტა აბაშიძეს სწერდა: „ლუარსაბი პირდაპირი კაცია, სენდისეფრი და ვეჭილთა შორის ითვლება ფაქიზი ზნეობის პატრონად, ამასთან განათლებული კაცია და შევერტყველი“.

ტის დროიდან მისი უფროსი მეგობრის ლ. ნ. ანდრონიკაშვილის თეორიულ-სა და პრაქტიკულ მოღვაწეობას, რაც ქვეშაირტ საფუძველს აძლევდა უნივერსიტეტში მის მოსაწვევად ჯერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საეკონომიო დარგზე, შემდეგ ღონისძიების გასაშლელად იურიდიული ფაკულტეტის შექმნისათვის.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლ. ნ. ანდრონიკაშვილი 1892 წელს შევიდა. 1894 წელს დატოვა უნივერსიტეტი და გაემგზავრა საზღვარგარეთ, სწავლობდა ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, შემდეგ კი სტრასბურგის უნივერსიტეტში. იგი 1897 წელს ბრუნდება საზღვარგარეთიდან და კვლავ შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1899 წელს. იმავე წელს იგი შედის პეტერბურგის ადვოკატურაში.

აქედან იწყება მისი — ხალხის ნამდვილი მსახურის — მოღვაწეობა, რომელმაც ლ. ნ. ანდრონიკაშვილს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ შეუწყვეტია მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობა. ამის საშუალებას აძლევდა მას მაღალი ფილოსოფიური და იურიდიული განათლება. სამეცნიერო-თეორიული მოხსენებები, წაკითხული „ნაფიც დამკველთა კონფერენციაზე“, ნამდვილი მეცნიერული კვლევის ჩატარებას გულისხმობდა. დიდ სასამართლო პროცესებზე მისი ყოველი გამოსვლა სამართლებრივ თეორიათა შემოქმედებითი გამოყენების ნიმუშია. ბევრი ასეთი საქმე თავის მხრივ იძლევა საფუძველს სამართლის თეორიული საკითხების გასავეითარებლად.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი 1919 წლის დასაწყისიდან 1920 წლის ივლისამდე უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი იყო ქალქ ტულაში. კითხულობდა ლექციებს ახალ ფილოსოფიაში.

1920 წლის სექტემბრიდან 1921 წლის სექტემბრამდე მოსკოვში სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორია. კითხულობდა სასამართლო მკვერ-მეტყველების კურსს.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიის ყველაზე მოკლე მიმოხილვაც კი, როგორც ვხედავთ, სავსებით ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის სიტყვების სიზუსტეს, რომ ლ. ნ. ანდრონიკაშვილს ადვოკატის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად „არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურისპრუდენციისათვის თავი არ დაუნებებია და რუსეთში გაითქვა სახელი, როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა“.

საბჭოთა საქართველოში ლ. ნ. ანდრონიკაშვილი 1921 წლის 5 სექტემბერს ჩამოვიდა და მეორე დღესვე, 6 სექტემბერს დაიწყო მისი დიდი მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში. უპირველესად, როგორც აღვნიშნეთ, საჭირო იყო სპეციალური იურიდიული დისციპლინების წაკითხვა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საეკონომიო დარგზე. ეს ლ. ნ. ანდრონიკაშვილის მოსვლამდე ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ დარგის სასწავლო გეგმაში 1918 წლამდე იყო იურიდიული კურსები შეტანილი. პირველად თბილისის უნივერსიტეტში სწორედ ლ. ნ. ანდრონიკაშვილს დაევალა სპეციალური იურიდიული დისციპლინების წაკითხვა. ამასთან, მან გააჩაღა ფართო მუშაობა იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზაციისათვის. გასაგებია, რომ ლექტორთა სიმცირე და ახალი მეცნიერული კადრების მომზადებისათვის დროის უკმარისობა დიდად ართულებდა ახალი საზოგადოებისათვის იურისტთა კადრების მომზადების საქმის დაწყებას. მთელი მოსაზრადებელი მუშაობა მიმდინარეობს პედაგოგიურ ფაკულტეტზე. მას პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი და

პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი წარმართავდნენ. სწორედ პედაგოგიურ ფაკულტეტზე განხორციელებული ღონისძიებანი განათლების კომისარიატის 1921 წლის 25 ივლისის მითითების ხორცშესხმას გულისხმობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო 1922 წლის 26 ივნისს სიბრძნისმეტყველების (პედაგოგიური) ფაკულტეტის 7 ივნისის შუამდგომლობის საფუძველზე ადგენს: „დაარსდეს უნივერსიტეტში სოციალურ-საეკონომიო ფაკულტეტი. სოციალურ და ეკონომიურ მეცნიერებათა ცალკე განყოფილებებით“. საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტი. საკითხი ერთხმად არ გასულა. საკითხის სასარგებლოდ ხმა მისცა 17 წევრმა, 6 წევრმა — წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტის ამგვარად შექმნის წინააღმდეგი იყო თვითონ უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავიძე, მას არ უცდია თავისი აზრი მოეხეია საბჭოსათვის. იგი მხოლოდ საჭიროდ თვლიდა მისი განსაკუთრებული აზრი შენიშვნის სახით დაურთონ ოქმს. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1922 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „პროფ. ივ. ჭავჭავიძე წინააღმდეგია ახალ ფაკულტეტში საეკონომიო მეცნიერებათა განყოფილება შედიოდეს. იგი ფიქრობს, რომ საეკონომიო მეცნიერებანი ისევე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წიაღში უნდა დარჩეს, როგორც მისი ერთ-ერთი დარგი, ვინაიდან: საეკონომიო მეცნიერებანი, როგორც წმინდა თეორიული შემეცნების დარგები, უფრო ბუნებრივად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დარგებს ეგუებიან, ვიდრე ნორმატიულს (იურიდიულ მეცნიერებათა) დარგებს, ამიტომ არის, რიგ სიბრძნისმეტყველების მეცნიერებასთან მეზობლობა საეკონომიო დარგებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელად უნდა ჩათვალოს, ვიდრე მეზობლობა იურიდიულ მეცნიერებათა დარგებთან“. ივანე ჭავჭავიძის კარგად ესმოდა, რომ ყველაზე სასურველი იყო დამოუკიდებელი ეკონომიური ფაკულტეტის შექმნა, მაგრამ იგი წუხილით დასძენდა: „ჩვენს უნივერსიტეტში არ მოიპოვება იმდენი ძალები, რომ მან შესძლოს ცალკე მთელი საეკონომიო განყოფილების სათანადოდ მოწყობა“. პროფესორთა საბჭომ ხმების უმრავლესობით, როგორც აღვნიშნეთ, არ გაიზიარა უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივ. ჭავჭავიძის თვალსაზრისი იურიდიული და ეკონომიური გაერთიანებული ფაკულტეტის შექმნის წინააღმდეგ. ეს თვითონ რექტორს სრულიადაც არ მიაჩნია საგანგებო შემთხვევად. იგი თვლის, რომ ამ დროს საკმარისია ოქმში აღიბეჭდოს მისი განსაკუთრებული აზრი და შემდგომ ბევრს აკეთებს საბჭოს უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

თ ა ვ ი VI. პროფ. დ. უზნაძის საპედაგოგიო-ფსიქოლოგიური მოდლაწყოების მხარდაჭერა

როგორც დავინახეთ, იმის მიუხედავად, რომ სამი. ახალი ფაკულტეტი განსხვავებულად შეიქმნა, ვიდრე თვითონ ივანე ჭავჭავიძე გეგმავდა. იგი სიხარულით შეხვდა ყოველივე ამას, ვინაიდან ეს სხვაობა დიდი მიზნის ფონზე მკირე დეტალურად ესახებოდა. მას ამის გამო არავითარი დავა არ დაუწყია. იგი ხშირად კმაყოფილდება თავისი განსხვავებული შეხედულების კონსტატაციით.

სხვანაირი დამოკიდებულება შეიქმნა არსებულ ორ ფაკულტეტს — სიბრძნისმეტყველებისას და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსას. განათლების

სახალხო კომისარიატი თავის 1921 წლის 25 ივლისის წერილში ითვალისწინებდა მათ გაერთიანებას ერთ პედაგოგიურ ფაკულტეტად.

ეს საკითხი 1921 წლის 29 ივლისს გახდა პროფესორთა საბჭოს მსჯელობის საგანი. საბჭომ აღნიშნა, რომ რამდენადაც ზემოდასახელებული ორი ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას გადიან უნივერსიტეტთან არსებულ საპედაგოგო ინსტიტუტში, „ამიტომ განზრახული რეფორმის აზრი უკვე განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის არსებული ორგანიზაციის ფარგლებში“ და, არსებითად, იგი ამ ორი ფაკულტეტის სახელწოდების შეცვლით გამოიხატება. ეს კი საბჭოს „არსებითად არ მიაჩნია და ამიტომ შესაძლებლად თვლის, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისათვის საპედაგოგო ფაკულტეტის სახელწოდება იქნეს მიღებული“. თავის წერილში აკადემიური ცენტრის თავმჯდომარისადმი 1921 წლის 4 აგვისტოშ რექტორი ივანე ჭავჭავიძე იმეორებს საბჭოს 29 ივლისის გადაწყვეტილებას და დასძენს: „ყველა ამის გამო უნივერსიტეტის საბჭოს ჰგონია, რომ სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოს შეერთება და ერთ საპედაგოგიკო ფაკულტეტად სახელწოდება თვით აკადემიური ცენტრის და მისი თავმჯდომარის მიერაც უკვე აუცილებელ საჭიროებად არ იქმნება ცნობილი, მაგრამ, თუ უნივერსიტეტის საბჭოს ეს აზრი არ გამართლდა და აკადემიურმა ცენტრმა საპედაგოგო ფაკულტეტის სახელის შემოღება მაინც უთუოდ საჭიროდ სცნო, უნივერსიტეტის საბჭოს მის საწინააღმდეგოდ არაფერი ექმნება“. ამასთან ერთად, ივანე ჭავჭავიძე იმეორებს აუცილებლად თვლის, აღნიშნოს, რომ ზუსტად მრავალსაგანიანობის შესახებ არ ეხება თბილისის უნივერსიტეტს, რომელმაც ეს თავიდანვე აიცილნაო. რაც შეეხება პედაგოგობის მოღვაწეობისათვის მომზადებას, ის გათვალისწინებულია, რამდენადაც საპედაგოგო ინსტიტუტში ზემოდასახელებული ორი ფაკულტეტის სტუდენტები თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებასაც გადიანო, აქ არ შეიძლება, არ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა საპედაგოგო ინსტიტუტზე და მის სულისჩამდგმელზე, პროფესორ დიმიტრი უზნაძეზე.

დიმიტრი უზნაძე ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მეცნიერების საფუძვლის ჩამყრელია თბილისის უნივერსიტეტში.

საქმე მართო ის კი არაა, რომ იგი პირველი გამგეა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის კათედრისა აქ, არამედ მთელი თავისი უნივერსიტეტამდელი მოღვაწეობით იმსახურებდა ამ უფლებას. შესანიშნავი შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი ქართული უნივერსიტეტის გახსნამდე დ. უზნაძეს. თვითონ ხომ იგი ერთ-ერთი დამფუძნებელია თბილისის უნივერსიტეტისა. ივანე ჭავჭავიძე იმეორებს აუცილებლად თვლის, აღნიშნოს, რომ ზუსტად მრავალსაგანიანობის შესახებ არ ეხება თბილისის უნივერსიტეტს, რომელმაც ეს თავიდანვე აიცილნაო.

სწორედ ივანე ჭავჭავიძე იმეორებს აუცილებლად თვლის, აღნიშნოს, რომ ზუსტად მრავალსაგანიანობის შესახებ არ ეხება თბილისის უნივერსიტეტს, რომელმაც ეს თავიდანვე აიცილნაო.

მართლაც, ლამაზი ბიოგრაფია ჰქონდა ახალგაზრდა მეცნიერს დიმიტრი უზნაძეს.

1905 წელს იგი გარიცხეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასიდან რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამის შემდეგ 19 წლის კაბუკი მიემგზავრება შვეიცარიაში, საიდანაც სამი თვის შემდეგ მიდის გერმანიაში ლაიპციგის უნივერსიტეტში, სადაც ფსიქოლოგიის მა-

მამთავარ ვუნდტთან ისმენდა ლექციებს. უსაზღვროა მისი გატაცება ფსიქოლოგიით, ფილოსოფიით, ისტორიით. მისი სტუდენტური ნაშრომი 1908 წელს იქ პრემიითაც დააჯილდოვეს. მანამდე, 1907 წლის მაისს, იგი ბრუნდება მშობლიურ ქუთაისში და სიმწიფის ატესტატზე აბარებს გამოცდებს. დ. უზნაძე კვლავ განაგრძობს სწავლას ლაიპციგის უნივერსიტეტში. 1909 წელს 23 წლის დიმიტრი უზნაძე ჰალეს უნივერსიტეტი დოქტორის ხარისხს აკეთვინებს. იმავე წელს ბრუნდება საშობლოში. იგი ქუთაისში გიმნაზიის ისტორიის მასწავლებლობას იწყებს. იმის გამო, რომ რევოლუციამდელი კანონმდებლობა არ აღიარებდა ევროპული უნივერსიტეტის დიპლომს, 1913 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს დ. უზნაძე ხარკოვის უნივერსიტეტს. კვლავ გიმნაზიის მასწავლებლობა ქუთაისში. პარალელურად იგი არ წყვეტს საძეგნიერო-საგამომცემლო მუშაობას. 1915 წელს „სინათლის“ საზოგადოებამ მას დაავალა ქართველ ქალთა სასწავლებლის მოწყობა და მართვა.

სასწავლებელი ახალი პედაგოგიური პრინციპების თანახმად მოაწყო და წარმართა მისი მუშაობა დ. უზნაძემ. ეს სკოლა 1914 წლის 1 ივლისს კანონის საფუძველზე შეიქმნა. ეს კანონი ხომ ნებას იძლეოდა ეროვნული კერძო სკოლების გახსნისას. როგორც სწორად შენიშნავს ნ. ბერუღაია, „სინათლის“ სკოლის სისტემის სახით თავისი საკუთარი ახალი სიტყვა ფქვა ქართულმა პედაგოგიურმა აზროვნებამ. ამ პერიოდში პედაგოგიურ გამოკვლევებთან ერთად დ. უზნაძე აქვეყნებდა სახელმძღვანელოებს ისტორიაში. 1915 წლიდან დაიწყო სახელმძღვანელოების შექმნა მსოფლიო ისტორიაში. ფილოსოფიურ-ლიტერატურულ წერილებს მოჰყვა „პირველყოფილი კულტურის ისტორია“, „ძველი რომის ისტორია“, „ძველი საბერძნეთის ისტორია“, „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ და სხვ. ამით საშუალო სკოლის სახელმძღვანელოთა მისაბაძი ნიმუშები იქმნებოდა. აქაც თავისი სიტყვა თქვა დიმიტრი უზნაძემ, მაგრამ მთავარი სათქმელი მას წინ აქვს უკვე ახლადგახსნილ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტმა მას დაავალა საპედაგოგიო ინსტიტუტის დებულების შემუშავება და 1919 წლის 1 სექტემბრიდან იგი დაინიშნა ამ ინსტიტუტის დირექტორად. უნივერსიტეტთან არსებულმა საპედაგოგიო ინსტიტუტმა მუშაობა 1919 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. 1920 წლის ბოლოს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს პროფ. დ. უზნაძის მეთავეობით საპედაგოგიო ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ უაღრესად სასარგებლო მოღვაწეობას.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს იმ სამ მიზანს, რომელიც ინსტიტუტის წინაშე იყო დასახული:

- 1) საპედაგოგიო მეთოდებისა და ბავშვების სულიერ-გონებრივ აღზრდასთან დაკავშირებულ „საკითხების კვლევა-ძიება“;
- 2) საქართველოს გაეროვნებული საყოველთაო სწავლა-განათლებისათვის მასწავლებელთა სათანადოდ მომზადება;
- 3) პედაგოგიური ლიტერატურისა და ცოდნისმოყვარეობის გავლილება და აღორძინება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით ინსტიტუტში სწავლის მსურველთა რიცხვი მეტი იქნებოდა, რომ მათ თბილისში ცხოვრების სიძვირე არ აბრკოლებდეს; ამასთან სწავლობდნენ მხოლოდ ისინი, ვინც თბილისში მსახურობდნენ და სამსახური იშოვნეს.

პირველ წელს გაიხსნა ჰუმანიტარული განყოფილება (ენა, სიტყვიერება, ისტორია), შემდგომ 1920—21 წწ.—ფიზიკა-მათემატიკური განყოფილება (მა-

თემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია). პირველ წელიწადს ინსტიტუტში 19 კაცი შევიდა, მეორე წელიწადს — 46.

ინსტიტუტი ცალკე მუშაობას ატარებდა საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებლად. ამ მიზნით ჰუმანიტარული დარგის 42 მსმენელი იყო ჩარიცხული ინსტიტუტში 1920 წელს. არსებობის ხანმოკლე ვადის მიუხედავად (იგი დაიხურა 1923 წელს), ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „პედაგოგიურმა საკითხებმა ინსტიტუტის წყალობით იმდენად გააღვიძა ინტერესი, რომ ლექციების მოსასმენად და ვარჯიშობაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისის ზოგი საშუალო სკოლის სრულუფლებიანი მასწავლებლებიც კი ჩაეწერნენ“.

პედაგოგიური მეთოდების შესამოწმებლად და მასწავლებელთა პრაქტიკისათვის ინსტიტუტთან ოთხკლასიანი უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი არსებობს 130 მოწაფით.

ინსტიტუტის მუშაობის გაშლას ხელს უშლიდა შესაფერისი წიგნსაცავისა და სათანადოდ მოწყობილი კაბინეტების უქონლობა. იმ დროისათვის ინსტიტუტს საექსპერიმენტო კვლევა-ძიებისათვის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პატარა კაბინეტი გააჩნდა, რომლის გაფართოება გარდუვალი იყო. 1920 წლისათვის საექსპერიმენტო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კაბინეტი, ივ. ჯავახიშვილის ანგარიშის მიხედვით, შემდგომ მუშაობას ახორციელებდა: 1) ჩვენი ბავშვების იდეალი (10—16 წლამდე) და მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ანალიზი; 2) ქართული შრიფტი და მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ანალიზი; 3) მებსიერების მეთოდის კრიტიკა და ახალი მეთოდის საჭიროება; 4) ქართული თვლა და ციფრთა დეციმალური სისტემა (ექსპერიმენტალურ-პედაგოგიური გამოკვლევა-აღრიცხვის რეფორმის საკითხისათვის). როგორც ვხედავთ, ინსტიტუტის დირექტორის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი ამ დაწესებულებას მაღალ აკადემიურ სახეს უქმნიდა.

საპედაგოგიო ინსტიტუტის ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა მას შემდეგ, რაც სავალდებულო გახდა სიბრძნისმეტყველებისა და საბუნებისმეტყველო დარგის სტუდენტთათვის პედაგოგიკის კურსის გავლა.

ივანე ჯავახიშვილი ყოველმხრივ მხარს უჭერდა დიმიტრი უზნაძის მიერ ფსიქოლოგიასა და პედაგოგიაში მეცნიერული კვლევის გაფართოებასა და გარღვევას. ნიშანდობლივია ამ მხრივ მისი, როგორც რექტორის, შუამდგომლობა 1922 წლის 15 ივნისს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის წინაშე პროფ. დ. უზნაძის სამეცნიერო მივლინებისათვის. იგი სთხოვდა 150 მილიონ მანეთს პროფ. დ. უზნაძის დასავლეთ ევროპაში გასაგზავნად. ამასთან გადმოსცემს იმ დავალებებს, რაც მას უნივერსიტეტისაგან აქვს დაკისრებული. ამ დავალებათა შორის იყო მეცნიერებაში უკანასკნელ წლებში შემუშავებული ლაბორატორიული მეთოდების შესწავლა, რომელთა დადამარებითაც შესაძლებლად ხდება მოზარდის ინდივიდუალური ძალებისა და ამ უკანასკნელთა მიხედვით მისი ბუნებრივი მოწოდების გამორკვევა. ჩვენში ანალოგიური მეთოდებით კვლევა-ძიების გაცხოველებას ის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ შეიქმნებოდა საფუძველი შრომის განაწილების ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინებისა და პროფესიის შესწავლისა და არჩევის საკონსულტაციო დაწესებულების ორგანიზაციისათვის“.

პროფ. დ. უზნაძეს უნდა გაერკვია აგრეთვე, თუ რა პირობებით შეიძლებოდა უცხოელი პროფესორების მოწვევა თბილისის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორი აღნიშნავს პროფ. დ. უზნაძის წარმატებულ მუშაობას

მედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში და თვლის, რომ სამეცნიერო მივლინება სასარგებლო იქნებოდა მისი მეცნიერული კვლევის სფეროში, ვინაიდან „სწორედ ამ დარგებში ხდება ამჟამად თითქმის რადიკალური ხასიათის ცვლილებები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროფესორ უზნაძის მიერ დაწყებული შრომის დასამთავრებლად აუცილებელია იმ მასალის გათვალისწინება, რომელიც შეიძლება მხოლოდ ევროპულად მოწყობილი ლაბორატორიების საშუალებით იქნეს მოპოვებული, და ეს კი უმთავრესად გერმანიაში მის მოგზაურობას მოითხოვს“.

ივ. ჯავახიშვილს აინტერესებს არა მარტო ცოდნა იმისა, თუ რას აკეთებს უნივერსიტეტის პროფესორი, არა მარტო ზრუნვა მისი მეცნიერული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისათვის, არამედ ღრმა რწმენა იმ კვლევის დიდი მეცნიერულ ღირებულებისა, რასაც პროფ. დ. უზნაძე ასრულებს.

როგორ გაუმართლდა შემდგომ ეს რწმენა ივანე ჯავახიშვილს!

თ ა ვ ი VII. ყველაზე დიდ აღმოჩენა ქართულ ფილოლოგიაში

როგორც აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილი, რექტორი თბილისის უნივერსიტეტისა, თვითონ იძლევა ნიმუშს იმისა, რომ ლექციის წაკითხვა უნივერსიტეტის ყოველი პროფესორის უპირველესი მოვალეობაა. ვერავითარი სხვა დავალება ვერ შეავიწროვებს და გამოდევნის ამას. ლექცია კი ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგი უნდა იყოს.

საუნივერსიტეტო სალექციო კურსები პროფესორის გამოკვლევების ბეჭდვით უნდა მთავრდებოდეს.

ხმამალალი აზროვნება სტუდენტების წინაშე არა მარტო თვითონტროლისა და ამასთან, ახალი აზრების შემოწმების საშუალებაა, არამედ იგი ახალი აზრების წყაროცაა. უნივერსიტეტების არსებობის სიკეთე ამაშიც ჩანს. ივანე ჯავახიშვილის ლექციები ბევრი ასეთი კურსის დაბეჭდვით დამთავრდა. ახლა კი გვინდა შევეხოთ ამ მუშაობის პროცესში მიღწეულ ყველაზე დიდ აღმოჩენას ქართულ ფილოლოგიაში.

ნამდვილი მეცნიერული საფუძველი ქართულ პალეოგრაფიას ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა. აქ იგი მარტოდენ ჩვეული სიღინჯით და თანამიმდევრობით კი არ მუშაობდა, ამ საკითხებზე მისი მკვლევარ-მჩხრეკელის ცხოველმყოფელი გონება წლობით ფიქრობდა. ბევრი რამ გაარკვია მან და შედეგად მიაგნო ყველაზე დიდ მეცნიერულ აღმოჩენას, რაც ქართველოლოგიაში ოდესმე გაკეთებულა. ეს აღმოჩენა, ისე როგორც ყოველი აღმოჩენა, შემთხვევით აუცილებლობად გვესახება, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო შედეგი მისი ავტორის მიერ საკითხის ხანგრძლივი, მეთოდური შესწავლისა. საკითხი თითქოს შემთხვევით გაჩნდა. ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების შესწავლამ, რაც სხვა ხალხთა დამწერლობის შედარებითი ანალიზის გზით კეთდებოდა, ივანე ჯავახიშვილს აფიქრებინა, რომ ქართული ასომთავრული ზ-ანი (4) პირველად თავშეკრული უნდა ყოფილიყო. ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა პალეოგრაფიული თვალსაზრისით; ვინაიდან ეს ადასტურებდა მის ქრონოლოგიურ სიძველეს. საქმე ისაა, რომ მცხეთის ჭვრისა და, განსაკუთრებით, ბოლნისის სიონის ეპიგრაფიკულ ძეგლებში ზ-ანი თავშეკრულია. ეს ეპიგრაფიკა V—VII საუკუნეებს ეკუთვნის.

როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი სტუდენტობის დროს პრიატ-ლოცენტთან, შემდგომ აკადემიკოსს პ. კ. კოკოვცოვთან ასურულს (სირიულს) სწავლობდა. სწორედ მან აჩუქა სტუდენტ ივ. ჯავახიშვილს ქართულ-ებრაული პალიმფსესტის შესახებ 1899 წელს გამოქვეყნებული სტატიის ამონაბეჭდი. ამ სტატიის დაწერის საფუძველი გახდა პალიმფსესტის ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც 1897 წელს პრიატ-ლოცენტს ნ. მარს ლონდონიდან მოუვიდა ფოსტით. იგი დოქტორმა ა. ნეიბაუერმა გამოუგზავნა მას, რასაკვირველია, იმისათვის, რომ თავისი აზრი გამოეთქვა. პალიმფსესტს ქართული ნაწერი ისე კარგად ჰქონდა შენარჩუნებული, რომ შთაბეჭდილება რჩებოდა, ის იყო გვიანდელი, ხოლო ებრაული ტექსტი ადრინდელი. იქნებ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ტექსტი არ იქცა ნ. მარსის სპეციალური კვლევის საგნად. სამაგიეროდ ებრაული ტექსტი შესასწავლად მან თავის კოლეგას პრიატ-ლოცენტს პ. კ. კოკოვცოვს გადასცა. პ. კ. კოკოვცოვმა პირვანდელ ტექსტად ჯერ ებრაული სცნო, მაგრამ მალე შეხედულება შეიცვალა, და დამატებით აღნიშნა, რომ ქართული ებრაულზე უძველესია და პირვანდელი. ებრაული ტექსტი კი პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნის დამლევის თალმუდის უძველეს ბეგლად სცნო. მაშასადამე, ქართული უფრო ძვედი უნდა ყოფილიყო, სხვათადათ მის გადარეცხვა-გადაფხეკას არავითარი აზრი არ ექნებოდა. პირდაპირ საკვირველი იყო ამ წიგნის ბედი. როგორც აქაკი შანიძე აღნიშნავს, ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნისა და მეშვიდის საზღვარზე და ხმარებულს, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში, ალბათ იერუსალიმში, მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვევიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისათვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ისღა ვიცით, რომ XIX საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში (ხელთნაწერთა საწყობში). ერთ ფურცელს, იერუსალიმზე გავლით, ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუძენიათ¹. პატარა ნაგლეჯი ქართულ-ებრაული პალიმფსესტისა ლონდონშიც მისულა, ბრიტანეთის მუზეუმში.

მაშასადამე, იერემია წინასწარმეტყველის ქართული ვერსიის ოქსფორდისეულმა ნაწყვეტმა გადამწყვეტი ბიძგის როლი შეასრულა ხანმეტების აღმოჩენა-გამომქლავენების საქმეში. მართალია, მის მეცნიერულ შესწავლამდე ოცზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, მთელს ამ პერიოდში „ამ პალიმფსესტის ასოთა დიადი მოხაზულობა მაინც გონებაში მქონდა ჩარჩენილიო“. ივანე ჯავახიშვილი 1922 წლის დეკემბერში კიდევ ერთხელ ეცნობა პ. კ. კოკოვცოვის სტატიის მიხედვით ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტებს. დარწმუნდება, რომ ეს ძეგლი VII—VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყო. აქ თვითონ მეცნიერული აღმოჩენის ავტორს უნდა მოვუსმინოთ: „ამ ჩემთვის სრულებით მოულოდნელი გარემოების გამოკვევის შემდგომ ძვირფასი პალიმფსესტების კითხვას გულდასმით შევუდექი და ეხლა უკვე განსაკუთრებით ბ-ანს ვეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვენა სვეტის

¹ პროფ. ა. შანიძე, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა ხანმეტი ტექსტების შესასწავლად და გამოსაცემად, შეეცადა 1928 წლის სექტემბერში კემბრიჯში ყოფნის დროს პირადად გასცნობოდა აღნიშნულ ტექსტს, მაგრამ ეს ვერ შესძლო, ვინაიდან არადადეგების გამო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დახურული იყო, მაგრამ უკვე 1929 წლის თებერვალში კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ ე. ნ. მინისიგან მათი მშვენიერად შესრულებული ფოტოგრაფიული სურათები მიიღო (იხ. ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენციკის მოამბე 1937, II, გვ. 30).

მე-9 და 10 სტრიქონებში ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა.

ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებასაგან მუშაობა აღარ შეემძლო... ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედვა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ესლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა“. შემოქმედებითი სიხარულით გამოწვეული ალგზნების დაშოშმინებას ცდილობს იგი. სხვა შემთხვევაში დეტალები საკუთარი მეცნიერული კვლევის ლაბორატორიიდან რომ ასე დაწვრილებით აწეროს ივანე ჭავჭავიძელს, ჩვენ არსად არ გვხვდება. „მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულეიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი“.

მინცდამინც უკიდურეს სიფრთხილეს ამქდავენებს იგი პალიმფსესტის გულდასმით წაშლილი ქართული ტექსტების ამოკითხვისას. სულ ერთია, იგი დარწმუნდება, რომ „პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო და ამ ნაწყვეტების როგორც დამწერლობის პალეოგრაფიული, ისევე თვით ნაწარმოების ენის ნიშნები მათ სიძველეს ცხადყოფენ სრული უეჭველობით. ეს ჩანდა იმაშიც, რომ ზმნებში პირის ნიშნად ნახმარი იყო უჩვეულო პრეფიქსი. რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეტრატის ნაჭრის ფოტოტიპის, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკეცებული იყო, როდესაც გამოვარკვიე, რომ ამ ნაწყვეტებში შენახული გვექონდა დაბადების ტექსტი; სახელდობრ იერემიას XVII, 26—XVIII, 8“.

უეჭველი ხდებოდა, რომ ბოდლესი სახელობის წიგნსაცავში „ბოდლენანაში“ ქართული დამწერლობისა და ენის ჭერჭერობით მინც უძველესად მისაჩინევი ძეგლის ორი ნაწყვეტი ინახებოდა. ეს „პირველ რიგში ბიბლიოთეკისათვის დიდ სიამაყედ უნდა გამხდარიყო. ივანე ჭავჭავიძელმა გადაწვიტა კიდევ მიელოცა ოქსფორდის წიგნსაცავისათვის, რომ ის უძველესი ქართული ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო და თანაც ეთხოვა ამავე ხასიათის ქართული ასომთავრული ნაწერი პალიმფსესტების ფოტოგრაფიული სურათები გამოეგზავნა. მინც არ უჩქარია თავის ამ გადაწვეტილებების აღსრულება. მოიფიქრა, ჭერ საქართველოში დაცული პალიმფსესტები გადაესინჯა. ეს გადაწვეტა ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა.

ჭერ უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს მიმართა. აქ მ. ჭანაშვილმა პალიმფსესტების სხვადასხვა ნიმუშები გადმოუღა. პირველი ორი ხელნაწერი ნუსხახუცური აღმოჩნდა. მას ეს არ აინტერესებდა ამჭერად. უნდოდა მრველოვანით ნაწერი ტექსტი ენახა. მესამე ხელნაწერში კი სწორედ ისეთივე თავშეკრული ასოები აღმოჩნდა, როგორც ოქსფორდის ტექსტში. მერვე პირის სუბიექტულისა და მესამე პირის ობიექტურ თავსართად ისევ ხ-ასო იყო ნახმარი. ამასთან ეს ტექსტი ყოველგვარ ექვს ხსნიდა გადაფხეილი და გადარეცხილი ტექსტი იყო პირველადი თუ გადაურეცხელი და ადვილად წაჰაკითხი. ორივე ქართული ტექსტი იყო, მაშასადამე, გადარეცხილ-გადაფხეილი ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ ძველი შეიძლებოდა ყოფილიყო. მეოთხე და მეხუთე პალიმფსესტები, რომლებიც მ. ჭანაშვილმა გადმოუღა ივანე ჭავჭავიძელს, იმგვარივე თვისებებისა აღმოჩნდნენ და დაახლოებით იმავე დროის უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ოქსფორდის პალიმფსესტი იყო. ახლა უკვე ივანე ჭავჭავიძელი გადაჭრით დაასკვნის: „ამ გზით ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენ

ამ მხრივ ოქსფორდზე გაცილებით უფრო ბედნიერი და მდიდრები ვართ და უკვე 2000 გვერდამდე უძველესი ქართული პალიმფსესტები გვაქვს¹. ძიება სხვა ქართულ მუზეუმებში გაგრძელდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 30-მდე გადასიჩქულ ხელნაწერ-პალიმფსესტებს შორის არ აღმოჩნდა ის, რაც მკვლევარს აინტერესებდა. მკვლევარმა ჩათვალა, რომ აქ ძებნა უნაყოფოა. ამ დროს მუზეუმის გამგის თანამემწემ ირ. სონულაშვილმა შეატყობინა სასიხარულო ამბავი, სწორედ საძებნი ხელნაწერ-პალიმფსესტის პოვნის თაობაზე. ამგვარად, გვიამბობს თავის მოხსენებაში ივანე ჭავჭავიძე: „ჩემ ხელში უკვე ოთხი პირველხარისხოვანი ხელნაწერი იყო. ამ უხვმა და მშვენიერმა სამკალმა ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტების უფრო ზედმიწევნითი დათარიღება და ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელი გახდა“.

ივანე ჭავჭავიძელი მძლავრადაა შეიარაღებული უთარილო წერილობითი ნაშთების ქრონოლოგიური განსაზღვრის პალეოგრაფიული მონაცემები გამოიყენოს მათ ფილოლოგიურ-ლინგვისტურ, ისტორიულ მონაცემებთან ერთად. ამოსავალ პოზიციად აქ ბოლნისის სიონის წარწერა და მცხეთის ჭვარის ეკლესიის ქანდაკებათა წარწერებია. ამ ეპიგრაფიკულ ტექსტებს უნდა შეედაროს პალიმფსესტების ტექსტი. ამგვარი საქმის ერთი კაცის მხრივ დაძლევა მხოლოდ მისი ფართო შემოქმედებით შესაძლებლობებით და ქართველოლოგიის მიღწეული დონით თუ შეიძლებოდა.

ლინგვისტურ-პალეოგრაფიული ისტორიულ-შედარებით მონაცემების დრმა კვლევის საფუძველზე ივანე ჭავჭავიძელი დაასკვნის: „ბოლნისის სიონის საკურთხეველის კონქის წარწერა უნდა V საუკუნის დამლევეს, ან VI ს-ის დამლევეს ეკუთვნოდეს, მაინცა და მაინც VI საუკუნის პირველ მეოთხედზე უგვიანესი არ უნდა იყოს“¹.

შემდგომ შესწავლილია მცხეთის ჭვარის წარწერები, რომლებიც VI საუკუნის მიწურულისა და VII საუკუნის შუა წლებამდე დაწერილად უნდა ვიგულისხმოთ. ამ წარწერების სპეციფიკურობა ყველაზე მეტად გამოვლენილია სამი ასოს ბანის, ვიესას და ჟარის მოხაზულობის განვითარებით.

ივანე ჭავჭავიძე თავის აღმოჩენის ე. წ. პატენტური სიწმინდით როდია დაინტერესებულ. იგი გამოწველილვით წარმოგვიდგენს ყველა იმის როლს, ვინაც ხელი შეუწყო ამ აღმოჩენის მიგნებას. როგორც სწორად შენიშნავს პროფ. გ. როგავა, ივანე ჭავჭავიძელისათვის მთავარია, რომ მოხდა ამგვარი აღმოჩენა და რომ მისი შემოქმედებითი სიხარული და მღელვარება ისევე ღრმა და მართალი იქნებოდა მაშინაც კი, რომ ეს აღმოჩენა სხვას რგებოდა წილად.

მთელი თავისი მოხსენების მანძილზე ივანე ჭავჭავიძე ამ აღმოჩენაში განსაკუთრებულად ხშირად აღნიშნავს პროფ. აკ. შანიძის ღვაწლს. ეს შემთხვევითი არ იყო. პროფ. აკ. შანიძის ფუძემდებლურმა ნაშრომებმა განსაზღვრეს ამ აღმოჩენის მიგნებაც. ივანე ჭავჭავიძე აღნიშნავს, რომ პროფ. აკ. შანიძემ პირველმა (1922 წლის მაისში) მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბოლნისის სიონის ორსავე წარწერაში და მცხეთის ჭვარის ერთ-ერთ წარწერაში შესამე პირის ობიექტურ თავსართად ზაეს მაგიერ ზანია ნახმარი. ივანე ჭავჭავიძე იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ჭერ კიდევ სტუდენტობის დროს 1912 წელს აკაკი შანიძემ აღნიშნა, მეორე პირის სუბიექტური თავსართი

¹ უნდა ითქვას, რომ შემდგომ თითქმის ზუსტად გამართლდა ივ. ჭავჭავიძელის ეს ვარაუდი.

ზმნებში ქართულ კილოებშია დაცული. ამის შემდგომ ამავე გარემოებას ძველ ქართულში პროფ. ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც აკ. შანიძის ღვაწლს შეადგენსო. 1920 წელს გამოქვეყნებულ თავისი სადოქტორო ნაშრომის შემდეგ ბოლნისისა და მცხეთის ძველ წარწერებზე დაკვირვებისას, აკაკი შანიძემ რამდენიმე ფორმა გამოავლინა, სადაც სწორედ ხ მესამე პირის ობიექტურ ნიშნად იყო ნახმარი. მათ შესახებ 1921 წლის ოქტომბერში მას დაუწვავდა კიდევ გამოკვლევა, რომლის დაბეჭდვა დაგვიანდა. ამ საკითხის თაობაზე მან 1922 წლის 23 მაისს მოხსენებაც წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. ივანე ჯავახიშვილი სრულად წარმოაჩინა აკაკი შანიძის როლს ამ მეცნიერულ აღმოჩენაში და იგი კერძო საუბარის დროს გამოთქმულ თვალსაზრისსაც გვამცნობს. ივანე ჯავახიშვილი ამბობს: „როდესაც პროფ. აკ. შანიძემ 1922 წელს კერძო საუბარში მოხსენების წაკითხვამდე ყურადღება მცხეთის ჭვრის დემეტრე ჯაბატოსის წარწერაზე მიმაქცევინა, რომ იქ „მეოხ ხეყავ“ არის ამოქრილი, ეს მოვლენა ისტორიულად ცნობილს ხანაში ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ექვიც კი დამებადა, აქ ხომ მრჩობლწერითი ანუ დიტოგრაფიული შეცდომა არ იყო მაგრამ ამგვარი ექვის უსაფუძვლოებას ბოლნისის ორი წარწერა ამტკიცებდა, სადაც ამგვარივე ფორმებია ნახმარი“. სხვაობა აქ ის იყო, რომ პროფ. აკ. შანიძემ ამ წარწერებში ნახმარი ხანი მეცნიერული სიფრთხილის გამო ქართულის ერთ-ერთი დიალექტური წრისა, თუ კილოს კუთვნილებად ჩათვალა, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილს ეს ქართული ენის თავდაპირველ საერთო მოვლენად მიაჩნდა, თუმცა ამ აზრის დასადასტურებლად მასალა მცირე იყო და მხოლოდ შორეულ წარსულში ჰქონდა მისი გამართლების იმედი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ახლად აღმოჩენილმა V—VI საუკუნის ძეგლებმა ცხადყვეს, რომ ასე შორს წასვლა საჭირო არ იყო და რომ ხანი მართლაც ქართული საზოგადო სამწერლობო ენის კუთვნილება ყოფილაო, იმის დამოუკიდებლად საერთო ქართული იყო თუ დიალექტური ხანის პრეფიქსად ხმარება, პალიმფსესტების გამოკვლევით ივანე ჯავახიშვილმა მთლიანად დაადასტურა ა. შანიძის ვარაუდი ხანის ხმარების სისტემატური ხასიათის შესახებ და ამით ქართული ხელნაწერი ტექსტების ხანდაზმულობა რამდენიმე საუკუნით იჩით გადასწია. ამით მიგნებულ იქმნა არაბობამდელი, ქართული ტექსტები და დადგინდა, რომ ქართული დამწერლობის ნიმუშები ისე კატასტროფულად არ დაღუპულა, როგორც ადრე ეგონათ. აქ პალიმფსესტებს შეუხსრულებიათ გადამჩინის როლი.

ივანე ჯავახიშვილი დაასკვნია, რომ VII—VIII სს. ქართულ ენას მხოლოდ ნაწილობრივი ევოლუცია, ფონეტიკური გარდანივება და გარდაქმნა გამოუვლია.

კულტურულ-ტექნიკური თვალსაზრისითაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ფრიად საყურადღებო და საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას იძლეოდა. მიუხედავად გადარეცხისა, ხელნაწერებს კარგად ეტყობათ, რომ ისინი ლამაზი, მშვენივრად ჩამონაკეთილი მრგლოვანი ასომთავრული დამწერლობით არიან გამოყვანილი. „აშკარაა, რომ ამ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი მუშაობა უძლოდა წინ. მართო იმიტომ კი არა, რომ ასოები გასაოცარი ერთგვარობითა და მოხდენილობით არიან განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ V—VI სს-თა ძეგლებში უკვე მრგლოვანი დამწერლობის საუც-

ხოლო ჩამონაკეთილი ნიშნები გვაქვს. მაშასადამე, მრგლოვანი დაშწერლობის პირველი დასაწყისი ჩამოღენიმე საუკუნით უწინარესის უნდა ვიგულისხმობთ.

VI საუკუნის ხელნაწერები, აღნიშნავდა ივანე ჭავჭავიძეილი, ისეთ მშვენიერ ეტრატზეა ნაწერი, რომ მის დიდ ფურცლებზე ორ ან ერთ სვეტად, მდიდრულად, ფართოდ და გაშლილი წესით, ადგილის დაუზოგველად ტექსტია გამოყვანილი. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მაშინ საქართველოში კარგი ღირსების საწერი მასალა, ეტრათი და მელანი უხვად ჰქონიათ. დასასრულ ივანე ჭავჭავიძეილი აყენებს საკითხს ამ ფასდაუდებელი ტექსტების წაკითხვისა და ღირსეულად გამოცემისას. მიღწეულით არა თუ არ უნდა დაეკმაყოფილდეთ, არამედ გოორკეცებული ხალისითა და ენერგიით განვაგრძოთ ძიება. და ივანე ჭავჭავიძეილი ამ ძიების კონკრეტულ გზას სახავდა, „გზა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, გომორკეცულია: პალიმფესტები და დედამიწის სიღრმეში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და სინტერესოს გვიქადაიან“.

იმ დროს, როცა ივანე ჭავჭავიძეილი მოხსენება წაიკითხა, ჭერ კიდეც არ ჰქონდა სახელწოდება ამ შესანიშნავ აღმოჩენას, შემდგომ მას დაერქვა „ხანმეტი“ ძეგლები. ამ სახელწოდების შერქმევა აკაკი შანიძეს ეკუთვნის. იგი დიდად მოაწონა აღმოჩენის ავტორმა ივანე ჭავჭავიძეილმა, ეს ტერმინი დიდი ხანია ცნობილი იყო. ჭერ კიდეც გიორგი მთაწმიდელი ამბობდა: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კებილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“.

ამ ტერმინის ასახსნელად არაერთი შეხედულება შეიქმნა ქართველოლოგიაში, ასე:

- ბარი ბროსე ხანმეტი კომენტარს ხედავდა,
 - დ. ბაქრაძეს ხანმეტი სახარების დანართად მიაჩნდა;
 - ა. ცაგარლის აზრით, ხანმეტი სრული სახარებაა და არა გამოკრებილი.
- თედო ჟორდანია დასაწყისში თვლიდა, რომ ხანმეტი გეოგრაფიული პუნქტიაო, ხოლო შემდეგ ფიქრობდა, ფრიალ ძველს აღნიშნავსო.
- მ. ჭანაშვილმა ხანმეტი ახსნა როგორც თითქოს ზოგჯერ მეტი, ხან მეტი („ხან მეტი, ხან ნაკლები“).

კ. კეკელიძემ ხანმეტი დრომეტად გაიგო.

მ. მარმა ხანმეტის პირველ ნაწილში დაინახა სპარსული სიტყვა ხ ა ნ ა („სახლი“, „მუხლი“) და იფიქრა, ხანმეტი მუხლმეტს უნდა ნიშნავდესო.

თავის მოხსენებაში აკაკი შანიძე აღტაცებულია ივანე ჭავჭავიძეილის აღმოჩენით და სრულიადაც არ აფიქრებს თავისი ახლად გამოსული სტატიის დაძველება. თვითონ მას მოვეუსმინოთ: „რას წარმოვიდგენდი, თუ ამ სასიხარულო ამბავს მოჰყვებოდა რევიზია ქართული პალიმფესტებისა ჩვენს წიგნთსაცავებში და აღმოჩენა იმავე პროფ ჭავჭავიძეილის მიერ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლებისა როგორ ვიფიქრებდი, თუ ზემოთ დასახელებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენსამე გასაკვირალ ფორმას ასე მალე გამოუჩინდებოდა აუარებელი პარალელები, ოღონდ არა მიწიდან ამოღებულ ქვების წარწერებში, არამედ გადარეცხილ-გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენის გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბერებულს ორიოდ სიკაბუჯის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით“.

1923 წლის 1 აპრილს წაკითხულ მოხსენებაში ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ აკაკი შანიძემ აღნიშნა, რომ გიორგი

მთაწმიდელი „ხანმეტ“ სახარებად სწორედ ამგვარს ხანებით დახასიათებული სახარების ქართულ უძველეს თარგმანს გულისხმობდა. ივანე ჯავახიშვილმა შემდეგნაირად გამოხატა მოწაფის ბრწყინვალე მიგნების გამო თავისი კმაყოფილება: „პროფ. აკ. შანიძის „ხანმეტის“ მნიშვნელობით ამგვარი ახსნა, უეკველია, სრული ქეშმარიტება უნდა იყოს და ამის გამო შემდეგში საომართო წერილას ქართული თარგმანის ახლად აღმოჩენილ უძველეს რედაქციას ხანმეტს ვუწოდებთ ხოლმე“.

უპირველესი და უდიდესი აღმოჩენა ქართულ ფილოლოგიაში ამ სახელწოდებით შევიდა. სწორედ ამ აღმოჩენის ექო არა მარტო სპეციალისტებში, არამედ ხალხშიც ფართოდ გავრცელდა. ხუმრობა იყო, სულ მცირე სამი საუკუნით უკან გადაინაცვლა ქართულ ხელნაწერთა ასაკმა! ყველას სურვილი აღძრა, ღრმად ჩასწვდომოდა ამ აღმოჩენის დეტალებს. ბევრი კი თავის აზრს გამოთქვამდა და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მისი ახალი მასალებით დადასტურებაში. როგორც ივანე ჯავახიშვილი იგონებს, მისი მოხსენების ტექსტი უკვე აწყობილი იყო, როცა ს. გორგაძემ შეატყობინა (ჩანს ისიც განსაკუთრებული ინტენსიურობით ეცნობოდა ძველ ტექსტებს), რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ერთ-ერთი ეტრატის ხელნაწერში, რომელიც მთლად პალიმფსესტია, სხვადასხვა დროის ტექსტებს შორის VI საუკუნის ხანმეტი ნაწერებიც აღმოჩნდა 40 გვერდამდეო. ივანე ჯავახიშვილი მადლობას უხდის ქართული კულტურის ამ შესანიშნავ მკვლევარს და თავის მხრივ დასძენდა: მართლაც, ბანი თავმეკრულია და გვხვდება ფორმები: „ხანიჟოს“, „მიხუგებდა“, „ხუბატიოსნეს“.

იოს. ჭეიშვილი ივანე ჯავახიშვილის ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ხანის ხმარება ქართულ თანამედროვე კილოშიც კი ყოფილა შემონახული და ამ მხრივ მიუთითებდა ხალხური მწერლის იაგორ ტეტუნაშვილის ერთ-ერთ ნაწარმოებზე. სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა ერთსულოვანი როდი ყოფილა. გამოჩნდნენ არა მარტო ურწმუნონი, რომელთაც ეჭვების ფარგატერში უნდოდან გაეტარებინათ ყოველივე მიღწეული, არამედ პირდაპირი მოძულენი, რომელთაც სრული გაბიაბრუება მოუნდათ ამ შედეგებისა. კ. ღონდუა, ა. გენკო და ნ. მარი კრებულში „ტექსტები და ძიებანი კავკასიის ფილოლოგიაში“ (1925 წ. ტ. I) აქვეყნებენ სტატიებს, რომელთა მიზანია, ხანმეტი ძეგლების მიგნებით გამოწვეული მეცნიერული რეზონანსის გაბათილება. კ. ღონდუას წერილი უფრო საკითხს კი არ ეხება, რამდენადაც ნ. მარის მოწაფის—ივ. ჯავახიშვილის განდგომას მისი მასწავლებლის აღრინდელი შეხედულებისაგან. ავტორს იგი უწუნებს მკვეთრად გამოხატულ ემოციურ დაძაბულობას. თავის სტატიაში ა. გენკო ხანმეტის აღმოჩენას განიხილავს ისეთად, რომელიც უაღრესად საინტერესო და მდიდარი სამეცნიერო შედეგების მიღწევას გვიქადის (თუმცა ერთი სიტყვითაც არ გვიხსნის, რაში გამოიხატება ეს), მაგრამ, ამასთან ერთად, თვლის, რომ არაფერი კავშირი მათ არა აქვთ ხანმეტი ძეგლების V—VI საუკუნეების მიკუთვნებასთანო. გენკოს აზრით, აპრიორული პალეოგრაფიული პრინციპით ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, ყველაზე ძველ ხელნაწერად მას მიაჩნია სინას 864 წლის ხელნაწერი — მრავალთავი. ამიტომ ყოველი ახალი ხელნაწერების დათარიღებისას სინას ამ ხელნაწერიდან უნდა გამოვიდოდეთო (უცნაური განცხადებაა, რომელიც უგულვებელყოფს სრულიად უთარიღო ხელნაწერთა ქრონოლოგიის მეცნიერული დადგენის შესაძლებლობას).

აკად. ნ. მარი თავის 1923 წლის სექტემბერში დაწერილ წერილში აღნიშ-

ნავს: ამ წლის ზამთარში პარიზში ყოფნის დროს ჩემთან ცნობები მოდიოდა, რომ, რ. ბლეიკის გარდა (ნიკო მარი ყურადღების გარეშე ტოვებს იმას, რომ მისგან განსხვავებით რობერტ ბლეიკი არა მარტო თავიდანვე ესაღმებოდა ხანმეტი ტექსტების ჭავახიშვილისეულ აღმოჩენას, არამედ პირდაპირ სწერდა ივ. ჭავახიშვილს, რომ მისი „არგუმენტები მთლიანად არწმუნებენ მას“ ხელნაწერების დათარიღებაში), თბილისსა და პეტროგრადში შიმდინარეობდა მუშაობა ქართულ პალიმფსესტურ ფრაგმენტებზე. მისთვის საინტერესო იყო, თვალყური ედევნებინა სამ სხვადასხვა პუნქტში მისი მოწაფეები ანდა ყოფილი მოწაფეები როგორ დაძლევენ ერთსა და იმავე ამოცანას. ნ. მარი უკიდურესად განაწყენებულია იმით, რომ მხოლოდ რ. ბლეიკმა აცნობა მას კვლევის მიმდინარეობა. რაც შეეხება ქართველ მოწაფეებს (თუ ყოფილ მოწაფეებს, როგორც ნ. მარი წერს), არ შეიძლება წაართვა მათს ნაშრომებში წარმოდგენილ ცნობებს მნიშვნელოვნობა, მაგრამ მას უცნაურად ეჩვენება, რომ ყოფილი მოწაფეები „გამოდინან თავიანთ ნაშრომებში ჩემს მასწავლებლებად“ (მხედველობაში ჰყავს ივ. ჭავახიშვილი და აკ. შანიძე).

ნ. მარს მიაჩნია, რომ სულ ერთია, მათ არ შეუძლიათ ამ ტექსტებიდან მოგვეცნენ იმაზე მეტი, რასაც ეს ტექსტები შეიცავენ. ნ. მარის აზრით, პალიმფსესტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ „მხოლოდ დეტალებისათვის, განსაკუთრებით კი ქართული თარგმანების გვიანდელი ისტორიისათვის და არა მისი გენეზისისათვის“.

ეს ნ. მარის უცნაური გაორებაა. ერთი მხრივ მას არ შეუძლია უარყოს ამ გამოკვლევათა მნიშვნელობა, თუმცა უნდა იგი თავის მოწაფეებს (ყოფილ მოწაფეებს) მიაწეროს, ხოლო მეორე მხრივ მოითხოვდა, რომ ეს მნიშვნელობა ჩამოაშორონ პალიმფსესტების დათარიღების შემოთავზებულ თვალსაზრისს.

გარდა წყენისა ყოფილ მოწაფეთა „ურჩობის“ გამო, სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას პეტროგრადის სკოლის წარმომადგენელთა აშკარა უსაბუთო გამოსვლა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენის შედეგების გასაბათილებლად. თავის წერილს ნიკო მარი იმით ამთავრებს, რომ სჯობს, პეტროგრადის ქართველოლოგიური სკოლა მარტოობის ტვირთს მხოლოდ თვითონ ეწეოდეს.

კ. დონდუას, ა. გენკოსი და ნ. მარის ამ გამოსვლას თითქმის არც ერთი ავტორის მხრივ მხარდაჭერა არ უპოვნია. გამონაკლისი პროფ. ს. კაკაბაძე იყო. რომელიც მისივე რედაქტორობით გამოშველ „საისტორიო მოამბეში“ (1925 წ. წიგნი I, გვ. 313—314) ზარზეიმით ხვდება ამ კრიტიკულ წერილებს ივ. ჭავახიშვილის და აკ. შანიძის წინააღმდეგ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით. ს. კაკაბაძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „კ. დონდუა ადასტურებს ძირითად მეთოდოლოგიურ დეფექტებს ივ. ჭავახიშვილის წერილისას „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, რომ „ა. გენკო თავის წერილში აღნიშნავს, ივ. ჭავახიშვილის სხვა შეცდომათა და გარდათქმათა დადასტურებასთან ერთად, მსხვილ ფაქტიურ და მეთოდოლოგიურ შეცდომას, რომელიც მოუვიდა ივ. ჭავახიშვილს, როდესაც ზან, ჯიე და ყარის თავშეკრულობით ის ცდილობდა ხანმეტიან პალიმფსესტების დათარიღებას V—VI საუკუნით“; რომ „გზადაგზა აკად. ნ. მარი არჩევს ტფილისში ხანმეტი ტექსტებთან დაკავშირებით გამოსულ ნაშრომებს (ივ. ჭავახიშვილისა და ა. შანიძისას) და ფაქტების განხილვით ადასტურებს თბილისში მეცნიერულ მუშაობის თვალსაჩინოდ უკან დახევას, საზოგადოდ მეთოდოლოგიურად უკან ჩამორჩენილობას“.

საკვირველი ლოგიკაა. თუ თქვენ სხვის მეცნიერული ძიების შედეგებს არ ეთანხმებით, თქვენ თვითონ გამოიღებთ მსაჯულის როლში და სხვას აცხადებთ ჩამორჩენილად. ამ უკიდურესად ტენდენციურ შენიშვნებზე ყურადღებას იმისათვის ვაჩვენებთ, რომ კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რა სამარცხვინო როლში შეიძლება გამოვიდეს ცნობილი მკვლევარი, თუკი იგი ობიექტურად ვერ ხედავს სხვის მეცნიერულ შედეგებს. ხანმეტი ტექსტების შემდეგ დროინდელმა შესწავლამ ბევრი ახალი შესძინა ქართულ ფილოლოგიას და ისტორიასაც. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მართო ის რად ღირს, რომ ივ. ჭავჭავიძელმა განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება პალიმფსესტების შესწავლაზე. მეტიც. კემპრიტი მეცნიერული ინტერესებით ნაკარნახევი გრძნობით თავის „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში“ (1935 წ., გვ. 202) ივანე ჭავჭავიძელი მოუწოდებდა სომხეთის ისტორიის უძველესი ხანის მკვლევართ: „ამიერიდან მთელი ჩვენი ყურადღება მარტივად და ლიტონად დაწერილ მარტივობათა კრებულებისადმი და პალიმფსესტებისაკენ უნდა იქმნეს მიპყრობილი, რომ ეგებოს იქ მაინც აღმოჩნდეს ზოგიერთი განადგურებული ძეგლების ნაწყვეტები“.

როგორც ცნობილია, ივ. ჭავჭავიძელის ფუნდამენტური „ქართული პალეოგრაფია“ 1925 წლის აპრილში გამოვიდა. მას შეეძლო, ეპასუხნა გესლიანი კრიტიკოსებისათვის მან კი დუმილი ამჯობინა, სიტყვა დროსა და ისტორიას მისცა. მაინც „ქართული პალეოგრაფიის“ ბოლოსიტყვაობაში ივანე ჭავჭავიძელი წერს: „არაფერი მაქვს ნათქვამი ახლად აღმოჩენილი ხანმეტი პალიმფსესტების გამო კ. დონდუას, ა. გენკოს და აკად. ნ. მარის დაწერილი წერილების შესახებ, რადგან იქ სამეცნიერო მწერლობაში მიღებული კამათის წესები იმდენად არის დარღვეული და ბრძოლის საშუალებათა ისეთი გაურჩევლობაა, რომ კამათს არავითარი აზრი არა აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ღირსეული პასუხისმცემი შეიძლებაოდა. ჭერ კიდევ არსენ ამარტოლმა აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლისაჲ საუკუნოდ, რომლისაჲმე საქებელ ყოფად, ხოლო სხვისა განქიქებად“. და ამ პირთა წერილების ყოველი მკითხველი თვით იგრძნობს, ამ აღმწერელთა როგორი თვისებების „გამომაჩინებელიც“ არის ეს მათი ნაწერი“.

დრომ ივანე ჭავჭავიძელი და აკაკი შანიძე გაამართლა. რასაკვირველია, ბევრი რამ დაზუსტდა და დაიხვეწა ხანმეტი ტექსტებთან დაკავშირებით, მაგრამ ძირითადი დებულება ამ ტექსტების მნიშვნელობისა უთარილო და უძველესი ტექსტების დათარიღების საკითხში ურყევი დარჩა. პირველ გამოხმაურებებშიც კეთილმოსურნე რეცენზენტები კარგად ხედავდნენ ამ აღმოჩენის მთელს სიდიადეს.

უურნალ „ჩვენი მეცნიერების“ 1925 წლის № 3—4 (გვ. 65—84) შესანიშნავ წერილს აქვეყნებს არნოლდ ჩიქობავა — ივანე ჭავჭავიძელისა და აკაკი შანიძის მოწაფე — სათაურით „ხანმეტი და პამეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“.

მასწავლებელთა ღრმა პატივისცემა სრულიადაც არ უშლის ხელს მას უაღრესად მწვავედ დასვას მთელი რიგი საკითხებისა, მათ შორის ხანმეტი ტექსტების დათარიღების საკითხი. თავის მხრივ, არნოლდ ჩიქობავა 1924 წელს უაღრესად საინტერესო საკითხებს აყენებდა. საკითხის სხვადასხვანაირი ახსნის მიუხედავად, შემდეგდროინდელმა მოვლენებმა მთლიანად გაამართლეს მისი დასკვნის სისწორე: „მაგრამ, როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს და

სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები. ის მაინც ფაქტია, რომ ხანმეტისა და ჰაემეტის ძეგლების აღმოჩენა ქართველმეტყველებისათვის ეპოქის შემქმნელია.

თ ა ვ ი VIII. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და ორგანიზაციის უპირველესი ქართველი სპეციალისტი

ივანე ჯავახიშვილი უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და უმაღლესი სკოლის ორგანიზაციის უპირველესი ქართველი მკვლევარ-სპეციალისტია. ეს მართო უნივერსიტეტის ორგანიზაციის დიად ხანაში კი არ გამოჩნდა მხოლოდ. განსაკუთრებით ძვირფასია მისი შეხედულებანი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ უნივერსიტეტის რეფორმის გარშემო წამოყენებულ წინადადებათა განხილვისას. ხშირად ივანე ჯავახიშვილის აზრი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თვალსაზრისსაც წარმოადგენს.

უნივერსიტეტის აღზრდილისათვის, რომელსაც საშუალო სასწავლებელში მოუხდებოდა მუშაობა, ივ. ჯავახიშვილს, გასაგებია, პედაგოგიკის შესწავლა აუცილებლად მიაჩნდა, თუმცა ამასთან აშინებდა საფრთხე — არ გადაქცეულიყო ფართო მასშტაბიანი საუნივერსიტეტო სწავლება პედაგოგიური ინსტიტუტების წმიდა პროფესიულ სწავლებად.

იგი თავის წერილში განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრისადმი 1921 წლის 4 აგვისტოს, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა დათქმებით ეთანხმებოდა სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების შეერთებას და იქვე დასძენდა, რომ შეიქმნება უზარმაზარი ფაკულტეტი, რომელსაც ექნება 3 განყოფილება, სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. ყველაფრიდან ჩანს ივ. ჯავახიშვილს აქ აშინებს მხოლოდ ერთი რამ: არ მოჰყვეს პედაგოგიური ფაკულტეტის შექმნას საუნივერსიტეტო კვლევითი პროფილის შესუსტება. დასაწყისში ყველაფერი ამ ორი ფაკულტეტის რეორგანიზაციით დაიწყო. მეტიც, 1921 წლის შემოდგომაზე ეს ფაკულტეტები კვლავ ცალ-ცალკე იყრიებებიან და მხოლოდ 1921 წლის 3 ნოემბრიდან ერთი ფაკულტეტის სახით იწყებენ მუშაობას. შეიქმნა ორი განყოფილება: სიბრძნის მეთყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსი. 1922 წლის 18 ოქტომბრიდან ისინი მართვა-გამგეობის მხრივაც გაერთიანდნენ.

ამ ვითარებაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამზადებს შესანიშნავ პროექტს უნივერსიტეტში ენათმეცნიერების ფაკულტეტის დაარსების თაობაზე, რაც შემდგომ ვერ ხორციელდება. 1921 წლის 4 აგვისტოს დაწერილ წერილში ივანე ჯავახიშვილი მეცნიერისა და ხელმძღვანელის ზნეობრივი პასუხისმგებლობით იმ საკითხსაც აყენებდა, რომ არ დაეშვა განათლების სახალხო კომისარიატს სტუდენტთა სწავლების ვადის ზედმეტი შემცირება. იგი დასძენდა: „უნივერსიტეტის საბჭოს ღრმა რწმენით, ყველა ფაკულტეტებზე 4-ზე ნაკლები, ხოლო სამკურნალოზე 5—6 წელიწადზე ნაკლების სწავლების შემოღება საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებაში შესაფერისად განსწავლულსა და სათანადოდ მომზადებულ ახალგაზრდობას ვერ შესძენს, რაც ჩვენ სახელმწიფოსაც დიდ ზიანს მოუტანს იმ სახით, როგორც განათლების კომისარიატს განზრახული ჰქონია“.

მეცნიერის გულწრფელი აღიარება და ზრუნვაა მაღალი განათლებული კადრების აღზრდისათვის.

უნივერსიტეტის რეფორმის გარშემო განათლების სახალხო კომისარიატის წინადადებების შეფასებისას ივანე ჭავჭავიძე იღებს არა მარტო რუსული რევოლუციამდელი საუნივერსიტეტო სტრუქტურის, არამედ საუნივერსიტეტო რეფორმის რევოლუციამდელი პროექტების, საბჭოთა უნივერსიტეტების გამოცდილებისა და ევროპული საუნივერსიტეტო წყობის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს, მეცნიერული გულწრფელობით გამოთქვას თავისი შეხედულებანი მომავალ საუნივერსიტეტო წყობაზე. ეს შეხედულებანი, მართალია, უნივერსიტეტის ავტონომიის იდეის უსაზღვრო ნდობიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მაინც ითვალისწინებენ ბევრ სიახლეს და, როგორც დავინახავთ, საბოლოო ანგარიშით საუნივერსიტეტო განათლების იმ პრინციპებს გულისხმობენ, რომლებიც ამჟამად წამყვანია საბჭოთა უნივერსიტეტის ორგანიზაციულ წყობაში.

ჩვენც ივ. ჭავჭავიძის შეხედულებებს საუნივერსიტეტო განათლების შესახებ განვიხილავთ როგორც ორგანულ ნაწილს მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობისას, რომელთაც დღესაც აქვთ უშუალო შემეცნებითი ღირებულება.

1922 წლის 11 დეკემბერს ივანე ჭავჭავიძელი განათლების სახალხო კომისარიატში ავზავნის წერილს, როგორც პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებულ მოხსენებას, საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შემუშავებული დებულების პროექტის შესახებ.

ივანე ჭავჭავიძის ხელით დაწერილ ამ მოხსენებაში ჩანს უმაღლესი განათლების კომპეტენტური ორგანიზატორი, რომელიც მხარს უჭერს იმ ყოველ სიახლეს, ხალხთან რომ აახლოვებს უნივერსიტეტს და, ამასთან, საკვიროდ თვლის, გულწრფელად გამოთქვას თავისი შეხედულება იმ საკითხებზე, რომელიც, მისი რწმენით, ხელს არ უწყობს უმაღლესი სკოლის შემდგომ სრულყოფას.

ივანე ჭავჭავიძის გულისყურით აქვს შესწავლილი მთელი ნორმატიული აქტები და მათი პროექტები, უმაღლესი სკოლის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის თაობაზე რომაა შემუშავებული. მათ იურიდიულ-ტექნიკურ სრულყოფას უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ივანე ჭავჭავიძელი. პროფესორთა საბჭოს სახელით აღნიშნავს, რომ იზიარებს იმ მიზნებს, რაც დებულების პროექტითაა გათვალისწინებული: პრაქტიკული მოღვაწეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კადრების შექმნა; რესპუბლიკის სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმო-დაწესებულებათათვის მეცნიერო კადრების მომზადება, მათ შორის თვით უმაღლესი სკოლისათვის; გავრცელება მეცნიერული ცოდნისა ფართო პროლეტარულ მასაში, რომელთა ინტერესები უნდა იდგეს პირველ პლანზე. ამ მიზნებს, ივანე ჭავჭავიძის აზრით, უნდა დაემატოს კიდევ ერთი მიზანი უმაღლესი სკოლისა: სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და წარმატებისათვის ზრუნვა და ხელის შეწყობა. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის მიზნებს შორის, ვინაიდან მარტო სხვა ქვეყნებში მეცნიერების მიღწევის კვალდაკვალ დევნა არ კმარა, არამედ „თვითონაც უნდა იყოს ამ მეცნიერების დაწინაურებისა და შემოქმედების აქტიური მონაწილე“.

მაშინაც, როცა იწერებოდა, დღესაც და მომავალშიც ძალას არ დაკარგავს უნივერსიტეტის მეცნიერთა მისამართით ნათქვამი ივანე ჭავჭავიძის სიტყვები: „მეცნიერების წარმატებაში მუდმივი მონაწილეობა მას საშუალებას მისცემს, თავის მოწაფე-სტუდენტებს ჩაუნერგოს იმ კვლევა-ძიებისა და შეუ-

ჩერებლივი წინსვლის წყურვილი და მიდრეკილება, რომელიც კაცობრიობის პროგრესის წარმომშობელია.

ამიტომ ყოველი უმაღლესი სასწავლებლის ნაყოფიერი მოღვაწეობა და დასახული მიზნების მიღწეულობის შესაძლებლობა მის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის სათანადო ნიჭსა და მომზადება-შერჩევანზეა დამოკიდებული“.

ივანე ჯავახიშვილი დებულების პროექტში პოულობს გაურკვევლობასა და არათანმიმდევრობას უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკთა ახლებურ კლასიფიკაციაში, მათი არჩევნებისა და უფლება-მოვალეობათა განსაზღვრაში.

მას არ მოსწონს ის, რომ არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო ხარისხის საპირობება პროფესორ-მასწავლებელთათვის და წერს: „დებულებაში აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს მუხლი, რომელშიაც პროფესორ-დოცენტ-ასისტენტისათვის სამეცნიერო ხარისხის აუცილებლობა და თითოეულისათვის შესაფერისი სტაჟი იქნება აღნიშნული“.

ივანე ჯავახიშვილს მიზანშეუწონლად მიაჩნია კათედრების ადგილას საგნობრივი კომისიების შექმნა. იგი მხოლოდ ზედმეტად გამართულებელი და შემაფერხებელი საფეხურია, მათი ფუნქციების ასრულება ფაკულტეტებს უკეთესად შეუძლიანთ.

ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს შიშს, რომ განზრახულმა რეფორმამ შეიძლება შეამციროს პროფესორის, დოცენტისა და ლექტორის გავლენა ფაკულტეტის მუშაობის ნაყოფიერებასა და წარმატებაზე. მთავარი კი. მისი აზრით, ისაა, რომ ზემოქმედების მთელი ძალა და ვალდებულებათა სიმძიმე მნიშვნელოვან წილად პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა იტვირთონ, ამიტომ ისე არ უნდა მოხდეს, რომ სამეცნიერო საბჭოებში ისინი უმცირესობა აღმოჩნდნენ. ამიტომ საქმეს მხოლოდ ზიანი მოუვა, თუ იმათ, ვისაც უმაღლესი სასწავლებლის საქმე ყველაზე უკეთ იცის, ყველაზე მეტად ვული შესტკივა და წარმატების მთელი სამეცნიერო-სასწავლო ტვირთი და ზნეობრივი პასუხისმგებლობა აწევთ, საბჭოში არავითარი გავლენა არ ექნებოდათ და მხოლოდ იმოდენივე უფლება მიენიჭებათ, რამდენიც მოსწავლე ყმაწვილკაც სტუდენტებს, ან გარეშე დაწესებულებათა, პროფესიონალური კავშირებისა და სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს“.

ივანე ჯავახიშვილი როდია წინააღმდეგი იმისა, რომ სტუდენტთა წარმომადგენელნი ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ იმ საკითხების გადაწყვეტაში. რაც მათ ეხება. მიზანშეუწონილი და სასურველია, ეს უფლება ჰქონოდათ მათ ფაკულტეტის საბჭოში, მაგრამ ერთია წარმომადგენელთა მონაწილეობა და მეორეა, ივანე ჯავახიშვილის საცხებით სწორი მტკიცებით, უმაღლესი სასწავლებლის ყველა ორგანოში სტუდენტთა წარმომადგენლების სხვა წევრებთან უფლებრივად თანასწორი და განუსაზღვრელი მონაწილეობა. მიზანშეუწონელი და საქმისათვის არახელსაყრელად შეიძლება აღმოჩნდეს ის, რომ 16 წლის ყმაწვილიც კი (მიღება 16 წელს მიღწეულისა ხდებოდა უმაღლეს სკოლაში), სრულებით ნორჩი და გამოუცდელი, გადამწყვეტი მონაწილე იყოს უმაღლესი სასწავლებლის მართვა-გამგეობისა. უმაღლესი სასწავლებლის რთული და პასუხსაგები საქმე დიდ ცოდნასა და ხანგრძლივ გამოცდილებას მოითხოვს და რადგანაც იგი ერთსა და იმავე დროს უმაღლესი სამეცნიერო კვლევა-ძიების ტაძარიცაა და სასწავლებელიც, უმაღლესი სკოლის მესვეურთ მეცნიერების წარმატებაშიც მუდმივი მონაწილეობა და მასწავლებლობაშიც

შესაფერისი მომზადება სკირდებათ. ამ ვითარებაში 16—21 წელს მიღწეულ ნორჩსა და განუსწავლელ ახალგაზრდას ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება მოუხდება, რომელთა არც ცნობა და არც გამოცდილება ჯერ მას მოპოვებული არა აქვს. რა შეიძლება ამას მოჰყვეს შედეგად? შესანიშნავად პასუხობს ივანე ჯავახიშვილი: „ასეთ პირობებში სტუდენტთა წარმომადგენლები შეიძლება ან სხდომების უტყვი დამსწრენი იყვნენ, ან მსჯელობის აქტიური მონაწილენი.

პირველი შესაძლებლობა მათთვის დროის ტყუილი დაკარგვა იქნება, მეორე კიდევ შეიძლება მოზარდი თაობის წარმატებისათვის მავნებელი შეიქმნეს, რადგან თანდათანობით და შეუმჩნეველად თავმომწონეობას შეაჩვენებს და აფიქრებინებს, თითქოს უმაღლესი მეცნიერებისა და სასწავლებლის სევებელის გადაწყვეტისათვის მათ აღარათფერი სკირდებოდეთ. ჩვენი ახლად აღორძინებული კულტურისათვის ყველაზე უფრო სახიფათო სწორედ ამგვარი ზერელობა და თავმომწონეობა არის“.

დებულებით სტუდენტთა წარმომადგენლობა საბჭოში პროფესორთა და დოცენტთა $\frac{1}{4}$ უნდა ყოფილიყო, ე. ი. თბილისის უნივერსიტეტის საბჭოში იგი 16 გამოუცდელ წევრის შეყვანას გულისხმობდა სრულუფლებიან წევრად. ეს ივანე ჯავახიშვილს საბჭოს ნორმალური მოღვაწეობისათვის არა ხელსაყრელ გარემოებად მიაჩნდა. ამიტომაც იგი დასძენდა: „თუ ყოველი დაწესებულების მართვა-გამგებლობა მცოდნე პირთ და ამ საქმის სპეციალისტთ უნდა ებარათ, მით უმეტეს ეს დებულება დაცული და განზორციელებული უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ცოდნა მეცნიერების უმწვერვალესი სათავეა, სადაც უზუნაესი კულტურის ძვირფასი მცენარე უაღრეს მზრუნველობასა და მოვლას მოითხოვს“.

ახალი წესდების შემოღება საქმის წარმატებისათვის სახიფათოდ მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილს. იგი სთხოვდა განათლების სახალხო კომისარიატს განაგრძოს უნივერსიტეტმა მუშაობა არსებული წესდებით და „თუ მისი შედეგები მთავრობას არ დააკმაყოფილებს, მაშინ იყავნ ნება მისი და მხოლოდ მაშინ იქონიოს მან მსჯელობა ჩვენი უნივერსიტეტის წესდების შეცვლაზე“. მით უფრო, რომ, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელებებისა, ქართველ მეცნიერთა ამ ოთხი-ხუთი წლის ერთობლივმა მუშაობამ ამ დიადს კულტურულ საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა და დროსა და გარემოებასთან შედარებით მშვენიერად მოწყობილი ქართული უმაღლესი სასწავლებელი შექმნა მრავალი სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებითა და ფასდაუდებელი ქონებით შემკული. უნივერსიტეტის პროფესურამ, ლექციების კითხვის გარდა, სხვადასხვა დარგის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება, მრავალი სახელმძღვანელოსა და გამოკვლევის გამოცემა შესძლო. იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ერის კეთილდღეობისა და კულტურული აღორძინებისათვის წარმოებულ მუშაობაში. ეს ყველაფერი უნივერსიტეტის მუშაკთ „მეცნიერებისა და ჩვენი ერისადმი მხოლოდ მხურვალე უანგარო სიყვარულით, თავისი საგნის სათანადო ცოდნითა და გატაცებული შრომის მოყვარეობით შეეძლო“. სწორედ ეს ერთგულება საზოგადო საქმისათვის აძლევდა უფლებას ივანე ჯავახიშვილს, ეთხოვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, არსებული წესდების ფარგლებში განეგრძო უნივერსიტეტის მოღვაწეობა.

ამის შემდეგაც ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის წესდების ხელშეუხებლობა არ მოუთხოვია. მეტიც, ივანე ჯავახიშვილმა 1923 წლის მაისში შეი-

მუშავა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება“. ის კვლავ გამომდინარეობს უნივერსიტეტის ავტონომიის პრინციპიდან, მაგრამ, ამასთან ერთად, მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობაში. იმის გამო, რომ ახალი დებულება უმაღლესი სკოლის შესახებ ამოქმედდა 1923 წლის 12 იანვრიდან, 1923 წლის 26 იანვარს პროფესორთა საბჭომ ცნობად მიიღო, რომ უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ივანე ჯავახიშვილს შემოაქვს განცხადება გათავისუფლების შესახებ. ასეთივე განცხადება შემოაქვს ყველა ფაკულტეტის დეკანს და საბჭოს მდივანს. საბჭომ სთხოვა თანამდებობის პირებს, ახალ არჩევნებამდე განაგრძონ თავიანთი მოვალეობის შეჩულება. როგორც ვხედავთ, ეს უნივერსიტეტის დაარსების ზუსტად 5 წლის თავზე მოხდა. როგორც ჩანს, ახლა უნივერსიტეტის დამაარსებელს და მის რექტორს შეეძლო მშვიდად გადაეხედა განვლილი გზისათვის და იმედებით აღვსებულყო მომავლისადმი. ეს უნდა ჩავთვალოთ ერთ-ერთ მიზეზად, რომ მან განცხადება შეიტანა რექტორობიდან გადადგომისა.

1923 წლის 26 იანვრისათვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 36 პროფესორი, 19 დოცენტი, 29 ლექტორი, 71 ასისტენტი, 12 უმცროსი ასისტენტი, 26 ორდინატორი, საპროფესოროდ მოსამზადებლად 21 ახალგაზრდა იყო დატოვებული, უნივერსიტეტში 25 პრეპარატორი მუშაობდა. ასე რომ მთელი პერსონალის რაოდენობა იმ პერიოდში 240 კაცით განისაზღვრებოდა. თბილისის უნივერსიტეტში ხუთი წლის თავზე 4196 სტუდენტი ირიცხებოდა. თავისი არსებობის ხუთი წლისთავზე უნივერსიტეტს ჰქონდა კავკასიაში უდიდესი წიგნსაცავი 200 ათასი ტომით. უნივერსიტეტი ეროვნული კადრების აღზრდისა და მეცნიერული კვლევის თითქმის ერთადერთი ცენტრი იყო საქართველოში.

დაინიშნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის არჩევნების დღე. იგი ჩატარდა 1923 წლის 27 მარტს. საბჭო ირჩევს უნივერსიტეტის გამგეობას, მასში ყველა დეკანია არჩეული. აირჩიეს ორი პრორექტორი. ვერ გადაწყდა რექტორის არჩევის საკითხი. ერთხმად დასახელებულ იქნა რექტორის თანამდებობაზე პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ივანე ჯავახიშვილმა კენჭისყრაზე უარი განაცხადა. საკითხი უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ გადაიღო შემდგომი სხდომისათვის, რომელიც 1923 წლის 30 მარტს დაინიშნა. ეს სამი დღე არა თუ უნივერსიტეტში, მთელს ინტელიგენციის წრეებში დედაქალაქისა ფართო რეზონანსს პოულობს. ძნელი წარმოსადგენია ყველასათვის ივანე ჯავახიშვილის გადადგომა რექტორობიდან. მან უნივერსიტეტს სული ჩაუდგა და შემდგომ რექტორის როლში შესანიშნავად წარმართავდა მის აღმშენებლობას. სხვა რექტორი ვერც წარმოედგინათ, თუმცა ივანე ჯავახიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოითხოვდა რექტორობისაგან გათავისუფლებას. 27 მარტის სხდომის შემდეგ 1923 წლის 28 მარტს ივანე ბერიტაშვილი შინ უგზავნის წერილს ივანე ჯავახიშვილს.

„პატივეცემულო ბატონო ივანე!

მე საქიროდ ვრაცხ გაცნობოთ ჩემი აზრი თქვენ მიერ ისტორიული ნაბიჯის გადადგმის შესახებ. წუხელ კრებაზე ვერ გავბედე ამ აზრის გამოთქმა, რადგან შემეშინდა, რომ კრება ნათლად ვერ გაიგებდა ჩემს აზრს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა კრების ერთსულოვან წადილს.

ვიდრე თქვენ გამოსთქვამდით თქვენს სურვილს და თხოვნას რექტორობისაგან განთავისუფლების შესახებ, მეც, როგორც სხვებს, თქვენს გარდა სხვა რექტორი არც კი მქონდა წარმოდგენილი. მაგრამ თქვენი განცხადების შემ-

დევ ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ დროებით მაინც, თუ სამუდამოდ არა, თქვენ უთუოდ უნდა მოგვეცეთ თავისუფლება. თქვენი განცხადების შემდეგ მე უკვე არ ვიზიარებდი საერთო წადილს, რომელიც უკვე მიმართული იყო თქვენი წადილის წინააღმდეგ.

მართალია, თქვენ გამოიჩინეთ ამ ოთხ-ხუთ წელიწადში უნივერსიტეტის დაარსებიდან დიდი ნიჭი უნივერსიტეტის გამგებლობაში. მართალია, თქვენზე ავტორიტეტთან რექტორს ჩვენ ვერ ვიშოვით, მაგრამ კრება არ იღებდა მხედველობაში იმას, რომ თქვენა გაქვთ აგრეთვე სხვა ნიჭიც, უფრო მეტი ღირსებისა, ნიჭი ისტორიული კვლევა-ძიებისა. ამ ორი ნიჭის ამოქმედება კი ისე, რომ ერთი მეორის ნაყოფიერებას არ ენებდეს, შეუძლებელია. როდესაც თქვენ უნივერსიტეტის გამგებლობას ანდომებდით თითქმის თქვენ მთელ ძალ-ღონეს, მთელ დროს და ენერჯიას, ცხადია, მაშინ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობა ფრიალ გამწვანებული და ხშირად შეუძლებელი იყო.

დღეს უნივერსიტეტი ფეხზედ დგას, ჩემის აზრით, იმდენად მკვიდრად, რომ იგი აღარ საჭიროებს ასეთ დიდ მსხვერპლს, როგორც თქვენი მეცნიერული მოღვაწეობაა. მე მწამს, თქვენ სწორედ ამიტომ განიზრახეთ მის გამგებლობისათვის თავის მინებება, რომ თქვენც დარწმუნებული იყავით ამაში.

ბოლოს და ბოლოს, რექტორობას სხვაც გასწევს, თქვენი მაგივრობა კი საქართველოს ისტორიის შესწავლაში არავის შეუძლიან გასწიოს.

მე კიდევ მესმის ისეთი მსხვერპლი, როდესაც თვითონ შეწირულია დარწმუნებული, რომ მისი მსხვერპლად შეწირვა აუცილებელია, რომ სხვა გზა არ არის. ეს ასეც იყო აქნობამდის თქვენი რექტორობის საკითხში. დღეს თქვენ აღარ თვლით საჭიროდ თავის უმადლესის ნიჭის მსხვერპლად შეწირვას და, ცხადია, დღეს მსხვერპლის გაგრძელება გინდა უმრავლესობის წადილის თანახმად, უბრალო ძალმომრეობად უნდა ჩაითვალოს... თუ ახლა მიუმატებთ მას, რომ თქვენ ხართ ჭანმრთელობას მოკლებული, მასთან ხართ მოქანცული ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტელი მუშაობის გამო, მე არ შემიძლიან გაევიზიარო უმრავლესობის წადილი. პირიქით, მე თანაგიგრძნობთ თქვენ და ვუსურვებ თქვენს წადილს გამარჯვებას.

პატივისცემით ივ. ბერიტაშვილი“.

29 მარტს ივანე ბერიტაშვილი იღებს პასუხს.

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე!

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისა და თანაგრძნობისათვის. მოხარული ვარ, რომ ჩემი მდგომარეობა ასე კარგად გაგითვისალისწინებიათ. ყურთ რომ არ დამკლებოდა და ჩემი მოვალეობის ასრულება პირნათლად შემძლებოდა, მე საბჭოს არ შეგაწუხებდი, მაგრამ რაკი ასეთი უბედურება მეწვია, მე იმედი მაქვს, რომ საშუალებას მომცემენ იმ სფეროში ვიმუშაო, რომელიც მე მიყვარს და ჩემს მოწოდებას შეადგენს. თქვენი მარადის პატივისცემული

ივ. ჭავჭავიძე“.

ივანე ჭავჭავიძე იღებს განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის წერილს. იგი დაწერილია 1923 წლის 28 მარტს.

„დიდად პატივცემულო მოქალაქე ივანე,

მოულოდნელი და თანაც არასასიამონევო ამბავი შემატყობინეს დღეს

დილით, თითქოს თქვენ გაგებრახოთ თავი დანებოთ იმ საქმეს, რომელიც თქვენის თაოსნობითაა წარმოშობილი და წელში გამართული: გადაგიწყვეტათ უარი სთქვათ უნივერსიტეტის რექტორობაზე. რასაკვირველია, არ ადვილია დღევანდელ პირობებში, პასუხსაგებ საადმინისტრაციო თანამდებობაზე ყოფნა და მეც მესმის, თუ რაოდენი მსხვერპლის გაღება საჭირო თავის მოკალეობის პირნათლად შესრულებისათვის, როგორც უნივერსიტეტის, ისე ზნეობრივისა, მაგრამ არის ზანდხან ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი თავის პირადობას იეიწყებს და მთელის არსებით მსხვერპლად ეწირება საზოგადო საქმეს.

და ტფილისის უნივერსიტეტის ჩასახვა, მისი დღევანდლამდე ასე რიგად მოყვანა ხომ იმისთანა საზოგადო საქმე იყო, რომელსაც თქვენ ყოველგვარ სხვა ინტერესებზე უფრო მალა აყენებდით, ვინაიდან იგი იყო, არის და, ყოველ მიზეზს გარეშე, უნდა დარჩეს იმ ასპარეზად, სადაც იქედება ჩვენი ქვეყნის ეროვნული კულტურა.

ამგვარად გვესმოდა და გვესმის ჩვენ თქვენი მუშაობა და სწორედ ამგვარიცაა ჩვენი დამოკიდებულება თვით უნივერსიტეტისადმიც. და რაღა გასაკვირველია, რომ ამგვარ პირობებში ჩვენ არც კი შეგვეძლოს დავასახელოთ მეორე ვინმე, უმაღლესი სწავლისა და საზოგადოდ ეროვნული კულტურის ეგოდენ გულშემატკივარი, როგორც თქვენ, და, მამასადამე, შევეძლოს იმ დიალაც მძიმე და მეტად პასუხსაგებ საქმის მეთაურობა, როგორიცაა უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელობა.

არა, მოქ. ივანე, მიუხედავად მძიმე პირობებისა და პირადად თქვენი დაქანცულობისა, ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე და ურყევ სურვილს — თხოვნას, კვლავად იტვირთოთ ჩვენი ეროვნული სიამაყის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმემპყრობლობა და, როგორც გამოცდილმა მენავეთ მომღვარმა, ძველებურადვე განაგოთ იგი.

მარად თქვენი პატივმცემელი დ. კანდელაკი“.

განათლების ღირსეული სახალხო კომისარი არა თუ შესანიშნავად იცნობს უნივერსიტეტის რექტორის საქმიანობას, არამედ გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს ამ საქმიანობის გამო, ნიშანდობლივია, სახალხო კომისარი არ იყენებს მიმართვის იმდროინდელ ფორმას „ამხანაგოს“, ისე როგორც უფრო ადრინდელს — „ბატონოს“. იგი სწერს: „მოქალაქე ივანე“.

დ. კანდელაკის პირით ახალი საბჭოთა ხელისუფლება გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ივანე ჭავჭავიძის მოღვაწეობისადმი. არა ზონდირება ივანე ჭავჭავიძის მხრივ თუ როგორ უყურებს მის რექტორობას პროფესორთა საბჭო და ხელისუფლება, არამედ გულწრფელი სურვილი, რომ ჭანმრთელობის მდგომარეობის გამო ახლა მთელი ენერგია დახარჯოს იმ საქმეში, რომელიც მას ასე მასშტაბურად წამოწყებული აქვს, ასე საშური მშობელი ერისათვის, მით უფრო, რომ ქართული უნივერსიტეტი, მრავალგვარი სიძნელისდა „მიუხედავად, იზრდება და მდიდრდება“.

1923 წლის 30 მარტს ჩატარდა რექტორის არჩევნები.

უნივერსიტეტის რექტორად 59 წევრმა ერთხმად (არც ერთი წინააღმდეგ) აირჩია ივანე ჭავჭავიძელი. ახლა იგი მისთვის დამახასიათებელი ზნეობრივი პასუხისმგებლობით განაგრძობს რექტორის მოვალეობის შესრულებას. არავითარ შეღავათს არ ითხოვს თავისი ჭანმრთელობის მდგომარეობის გამო, სრული თავგანწირვითა და თავდადებით აყენებს ახალ-ახალ საკითხებს, ეხმარება ახალ მოელენებს, ამასთან კვლავ ცდილობს, გამოხატოს თავისი პრინ-

ციპული პოზიცია გულმართლად, როცა მიაჩნია, რომ ახლად განზრახულ რეფორმას შეიძლება სასურველი შედეგი არ მოჰყვეს.

აქვე უნდა ითქვას, განათლების სახალხო კომისარიატში ივ. ჭავჭავიძე-ვილის—უნივერსიტეტის რექტორის ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ხედებიან. რასაკვირველია, პირველ რიგში ახარებთ მისი გამოჩენა ყოფილ მოწაფეებს. ნიშანდობლივია ვუკოლ ბერიძის წერილი განათლების სახალხო კომისარიატის წამყვანი ხელმძღვანელისა. იგი სიხარულით იგონებს ივ. ჭავჭავიძე-ვილის ყოველ მოსვლას განათლების კომისარიატში. ერთხელ მასწავლებელს არ შეუვლია ყოფილ მოწაფესთან კაბინეტში. ვუკოლ ბერიძე ნაწყენი და დაქუცხულია ამის გამო, 1923 წლის 4 სექტემბერს სწერდა „ნიშნაით იყო თქვენ კომისარიატში ბრძანებულიყავით და მე არ გენახეთ, მე ამას ვგრძნობდი და ეს გარემოება გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივ მახარებდა, ერთგვარ ზნეობრივ ძალასაც მმატებდა მომავლისათვის“.

1925 წლის შემოდგომიდან დაისვა საკითხი უმაღლესი სკოლის ახალი დებულების მიღების თაობაზე. 9 სექტემბერს ივანე ჭავჭავიძე-ვილი ადგენს უნივერსიტეტის სახელით დასკვნას ამ პროექტზე. იგი კვლავაც საჭიროდ თვლის, გულწრფელად აღნიშნოს თავისი შეხედულებანი. განსაკუთრებით მას აფიქრებს უნივერსიტეტის უზენაესი ორგანოს—უნივერსიტეტის საბჭოს უფლებათა შეზღუდვა მაშინ, როცა, ივანე ჭავჭავიძე-ვილის აზრით, აუცილებლად საჭიროა წესდების პროექტში აღინიშნოს, რომ „უნივერსიტეტის ყველა ორგანოები მას უნდა ექვემდებარებოდნენ, მისგან უნდა იყენენ არჩეულნი და მის წინაშე უნდა იყენენ პასუხისმგებელნი“.

ივანე ჭავჭავიძე-ვილი მოითხოვს, რომ წესდების პროექტმა თანამიმდევრულად განახორციელოს უფლებათა და მოვალეობათა გამიჯვნის აუცილებელი პრინციპი ხელმძღვანელობის დროს, სხვათაგან მის აღრევას მხოლოდ ზიანი შეიძლება მოჰყვეს: „ვინც ხელმძღვანელია, პასუხისმგებლობაც იმას უხდა აწვეს“.

1923 წლის 12 იანვრამდე, აღნიშნავს ივანე ჭავჭავიძე-ვილი, უნივერსიტეტს სრული ავტონომია ჰქონდა. შემდეგ, როცა მიღებულ იქნა ახალი წესდება, უნივერსიტეტში არჩეული პირები მტკიცდებოდნენ განათლების სახალხო კომისარის მიერ. ამასთან დაკავშირებით იგი მეტად საინტერესო განზოგადოებას აკეთებს იმის დასადასტურებლად, რომ არ არის აუცილებლობა ახალი წესდების მიღებისა: „არც წინათ და არც ამ დროითაგან მოყოლებული აქობამდე უნივერსიტეტის ცხოვრებაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ უნივერსიტეტსა და კომისარიატს შორის რაიმე კონფლიქტი მომხდარიყოს, არ ყოფილა შემთხვევა, რომ განათლების კომისარიატს უნივერსიტეტის მხრივ წესდების რომელიმე მუხლის დარღვევა შეენიშნოს, ანდა უნივერსიტეტის მუშაობასა და მოღვაწეობაში კომისარიატისაგან რაიმე არასასურველი მოვლენა შემჩნეული და აღნიშნული ყოფილიყოსო“. თავისი ეს უაღრესად კეთილგანწყობილი, პოზიტიური დამოკიდებულება განათლების სახალხო კომისარიატთან ივანე ჭავჭავიძე-ვილს ისე განუგრძედა, რომ არც ერთხელაც არ დაუშვია რაიმე გარიგება თავის რწმუნასთან და არ დაუშვალავს თავისი არც განსხვავებული და არც უარყოფითი შეხედულება განსახილველი საკითხების გამო. თუ იგი, როგორც დავიანახეთ, აღრე მცირე წინააღმდეგობებით დაეთანხმა სიბრძნისმეტყველებისა და საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტების გაერთიანებას, სამაგიეროდ მან პრინციპულად შეურიგებელი პოზიცია დაიკავა 1925 წლის შემოდგომაზე, როცა საქმე შეეხო პედაგოგიური ფაკულტეტის ჩამოყალიბებუ-

ლი სასწავლო გეგმის ნაჩქარვე, მოუფიქრებელ მსხვერვეს. საქიროა ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხოთ, ვინაიდან ამით მართლაც სერიოზული საფრთხე შეექმნა მეცნიერების დაწინაურებულ დარგებს თბილისის უნივერსიტეტში.

კადრების დაჩქარებით მომზადების სურვილს წაუძლევია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მუშაკები, რომლებსაც უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის ძირფესვიან გარდაქმნა და გამარტივება განუზრახავთ. მათი პროექტი ითვალისწინებდა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ისტორიის დარგების ლიკვიდაციას. პროექტში ნახსენებიც კი არ იყო ბერძნული, ლათინური და მახლობელი აღმოსავლეთის ენებისა და დამწერლობის ისტორია, თვით ქართული მწერლობა ახალი და უახლესი ხანით იყო განსაზღვრული. ასევე საბუნებისმეტყველო დარგზე დაიფიქვეს ფიზიოლოგია, მინერალოგია და ანთროპოლოგია. ამ ცვლილებების ავტორებს ნიმუშად ჰქონდათ მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმა და არსებითად მას თარგმნიდნენ ჩვენი პირობებისათვის. ივანე ჭავჭავიძეილი კარგადაა გარკვეული იმდროინდელ საბჭოთა უმაღლესი სკოლის სტრუქტურაში. ყველა საუნივერსიტეტო და უმაღლესი სკოლა როდი მუშაობდა ამგვარი გეგმით. მოსკოვის მეორე უნივერსიტეტი იყო წინანდელი შანიავსკის უნივერსიტეტი, ე. ი. სახალხო უნივერსიტეტი. მისი გეგმა არა მარტო მოსკოვის პირველი და ლენინგრადის უნივერსიტეტებისაგან განსხვავდებოდა, არამედ გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისაგანაც. სწორედ მოსკოვის პირველ და ლენინგრადის უნივერსიტეტის ნიმუშების მიხედვით, ივანე ჭავჭავიძეილის აზრით, უნდა აიგოს სასწავლო გეგმა თბილისის უნივერსიტეტში. თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად, როგორც მისაბაძი ნიმუში, ივანე ჭავჭავიძეილს მოჰყავს ის, რომ ლენინგრადის უნივერსიტეტში ენებსა და ფილოლოგიას 40-ზე მეტი პროფესორი და დოცენტი ემსახურება. იგი ჩამოთვლის ბევრ მათგანს, რომლებიც მისი პეტერბურგში მუშაობის დროსაც იქ მოღვაწეობდნენ. ისტორია და მისი დამხმარე დარგები ლენინგრადის უნივერსიტეტში 26 პროფესორით და დოცენტით არის წარმოდგენილი, მარტო ხელოვნების ისტორიას 11 პროფესორი და 6 დოცენტი კითხულობს. ასევე რამდენიმე ლექტორი კითხულობს ფილოსოფიას, აგრეთვე „ფსიქოლოგიას, რომელიც იმავე პროექტით განდევნილი უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტიდან, ლენინგრადის უნივერსიტეტში ორი წარმომადგენელი ჰყავს. მოსკოვის პირველ უნივერსიტეტშიაც და თვით ყაზანის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც კი პროფესორები ასწავლიან. ფიზიოლოგიასაც, რომელიც ჩვენში აგრეთვე განდევნილი უნდა იყოს, გინდ იმავე ყაზანის პედაგოგიურ ინსტიტუტში სამი პროფესორი კითხულობს“. გასაგებია, რამდენად დამაჭრებელია ივანე ჭავჭავიძეილის მტკიცება, როცა ამ ფაქტების შემდეგ იგი თვლის, რომ პედაგოგიური სექციის პროექტის განხორციელება განსაცდელში ჩააგდებს უნივერსიტეტს და მის მეცნიერებას. ამ ვითარებაში ივანე ჭავჭავიძეილს ყველაზე სწორად მიაჩნია უკვე ჩამოყალიბებული დარგების შენარჩუნება უნივერსიტეტში, რომლებიც პედაგოგიური ფაკულტეტის საერთო სახელწოდების ქვეშ არიან გაერთიანებული. ამიტომ იგი წერს: „რატომ უნდა დანგრეულ იქმნეს პედაგოგიური ფაკულტეტი და განადგურებული ის დიდი მუშაობა და მიღწეულობა, რომელიც ამ შეიდი წლის განმავლობაში გაწეული იყო და დიდის ენერგიით მოპოვებულია?“

ივანე ჭავჭავიძეილი ახლა საფრთხეს ხედავს იმაშიც, რომ მეცნიერების ამ სხვადასხვა დარგების გაერთიანებას პედაგოგიური ფაკულტეტი ეწოდება.

სახელწოდებამ არ უნდა გამოიწვიოს მთელი სასწავლო გეგმის შეცვლა-დასხვრევა. სიზუსტისათვის, ამბობს იგი, ყველაზე სწორი იქნებოდა პედაგოგიური ფაკულტეტი იმათთვის მიგვეკუთვნებინა, ვინაც თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზად მასწავლებლობას აირჩევს. ამ დროსაც არ უშვებს ივანე ჭავჭავაძის შვილი სასწავლო გეგმის ისეთ გამარტივებას, როგორსაც სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექცია გვთავაზობდა. შესანიშნავია მისი სიტყვები: „მასწავლებლის მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და ღირსი, რომ ის, ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი, საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას, ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიურ ფაკულტეტს პროგრამის გამარტივება კი არა, პირიქით, გაფართოება სჭირდება“.

ივანე ჭავჭავაძის შვილი იქედან გამოდის, რომ საქართველოს ერთი უნივერსიტეტი აქვს და სრულიად არასაკმარისია მისი სასწავლო პროგრამა მხოლოდ პედაგოგიური თვალსაზრისით გაგვიხილა. ჩვენს რესპუბლიკას მარტო მასწავლებლები როდი სჭირდება, არამედ სხვადასხვა დარგის ბევრი სპეციალისტი: ჩვენ ქვეყანას აქვს მუზეუმები, სამხატვრო გალერეა, არქივები, ბოტანიკური ბაღები, გეოფიზიკური ობსერვატორია მთავარი თავისი განყოფილებით, საჭირონი არიან ქიმიკოსები ლაბორატორიებისა და ქარხნებისათვის, გეოდეზისტები და მიწათმშობელნი აგეგმვისათვის და სხვანიც მრავალნი. სად უნდა მომზადდნენ ყველა ესენი, თუ პედაგოგიური ფაკულტეტის პროგრამა ისე გამარტივდა, როგორც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის პროექტშია?

ცხადია, ამ პროექტის დაკანონება ჩვენ კულტურულ წარმატებას ზიანს მოუტანს და მის წინსვლასაც შეაფერხებს“.

სიმართლე უეჭველად ამ სიტყვებში იყო.

არც ერთხელ, თავისი თანხმობის თუ განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, მას არ შეუსუსტებია ყურადღება რექტორის თანამდებობის შესრულებისადმი, იგი ყოველთვის გრძნობდა, რამდენად სერიოზული იყო ეს ტვირთი. წუწუნი არ სჩვეოდა. ამ წმინდა მოვალეობას მთელი ენერჯითა და შეუხელებელი გულისყურით ეკიდებოდა. ხალხის სიყვარული აძლევდა მას ულევ ენერჯიას. ამიტომ ასე დაჟინებით ითხოვდა უნივერსიტეტის საბჭო სწორედ მის რექტორობას.

რექტორობა მთელი მეცნიერებაა. ბევრ გამოჩენილ მეცნიერს რექტორობით სიდიადე მიუმატებია თავისი სახელისათვის. ივანე ჭავჭავაძის კომპეტენტურობა მეცნიერების მრავალ დარგში ღირსად სასარგებლო აღმოჩნდა უნივერსიტეტისათვის და ქართული მეცნიერებისათვის მთლიანად. მას, მეცნიერების სხვადასხვა დარგში ღრმად ჩახედულს, უნივერსიტეტის მეცნიერ-ორგანიზატორს ადვილად, როგორც ამბობენ, წინადადების დამთავრებამდე, ვრცელი დასაბუთების გარეშე შეეძლო გაეგო, მოეწონებინა პროფესორის, ლექტორის მიერ დაყენებული ახალი სასარგებლო შუამდგომლობა ისე, რომ ამაზე არ მიემართა არც სპეციალისტებისათვის და არც დაეწყო ხანგრძლივი ფორმალური საფეხურების სავალდებულო გაცლა. საქმე უბრალოდ და ბუნებრივად მიდიოდა წინ. ივ. ჭავჭავაძის შვილის სარექტორო მოღვაწეობის ერთ შესანიშნავ შედეგზე წერს თავის უკუდავ წიგნში „ქართული ოქრომკვდლობა“ (1955 წ., გვ. VII) აკად. გ. ჩუბინაშვილი.

1922 — 1923 წლებში მასის ანტირელიგიური მოძრაობის ტალღამ სტიქიურად გადაუქროლა მთელს საქართველოს. ზოგიერთ ადგილას, როგორც მაგ., ხონში, ახმეტაში, ჭუმათში და სხვაგან, დაიღუპა ცალკეული საეკლესიო სიძველენი. ამის გამო უნივერსიტეტის პროფესორთა ენერგიული მონაწილეობით, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერების მთავარმა განყოფილებამ კომისიები შექმნა და დაგზავნა ადგილებზე. მათ ფიცხლად განახორციელეს სხვადასხვა რაიონში ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებათა შერჩევა და, მცირე გამოწვევის გარდა, ჩამოიტანეს ისინი თბილისში. მოულოდნელად აქაც სიძნელე წარმოიშვა. თბილისში არსებული არც ერთი მუზეუმი არ ეთანხმებოდა ამ ძვირფასეულობის მიღებას, ღირებულებები ფორმალურად იმიზეზებდნენ ფართობის სიმცირეს, რომელიც ისედაც არასაკმარისია არსებული ექსპონატების შესასწავლად და გამოსაფენად. თვეობით იღო სხვადასხვა დაწესებულებაში, და მათ შორის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, დაბეჭდილი ყუთები ძვირფასეულობით, თან მათი მიღების აქტების გარეშე. ამ დროს ხომ პირდაპირ დაცინვით წერდნენ სიძველეთა გადარჩენისათვის მზრუნველ პროფესორებზე, რომ მათ „უნივერსიტეტი ეკლესიებისა და მონასტრების საგამოკვლევო დაწესებულებად გადააქციეს და თავიანთი მიზანი ტაძრებისა და ეკლესიების სიგელ-გუჯრებით ქექვით ამოწურეს“.

ქართული ხელოვნების წარსულისა და აწმყოს შეუღარებელმა მოამაგემ პროფ. გ. ჩუბინაშვილმა 1924 წლის აპრილში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ გაეთავისუფლებინათ უნივერსიტეტის შენობის შუაგულში მოთავსებული და საწყობად ქცეული ეკლესია სხვადასხვა სახის სამეურნეო ქონებისაგან და გადაეცათ იგი ხელოვნების მეცნიერების კაბინეტისათვის, რომლის გამგე თვითონ იყო, ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შესაქმნელად. ამ დროს ივანე ჭავჭავაძის შვილი რექტორიც და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეცაა.

პროფ. გ. ჩუბინაშვილი თავისი წინადადების ბედზე ასე წერს: ივ. ჭავჭავაძის შვილის მიერ ეს წინადადება იმდენად სადად, სწრაფად და უსიტყვოდ იქნა მიღებული, რომ სხდომის ოქმშიც კი არ შეუტანიათ.

გ. ჩუბინაშვილის მოგონებით, ივ. ჭავჭავაძის შვილი „არც თვითონ ხარჯავდა სიტყვებს, ყველა ღონისძიებას ღებულობდა და მათ სისრულეში მოსაყვანად შესაფერის განკარგულებას იძლეოდა“. ამ გადაწყვეტას მხარი დაუჭირა მეცნიერებათა მთავარმა სამმართველომ, რომელმაც თბილისში ჩამოტანილი და ჩამოსატანი სიძველეები გააწესა ივანე ჭავჭავაძის შვილის მიერ საძირკველჩაყრილი მუზეუმისათვის. ასე უნივერსიტეტის ღირებული შენობა წლების მანძილზე აგროვებს და ინახავს ძველი ხელოვნების უნიკალურ ფონდებს.

უნივერსიტეტის პროფესორი გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს უნივერსიტეტის რექტორის შესანიშნავ გადაწყვეტილებას ერის კულტურულ ფასეულობათა შენახვა-დაცისათვის. აქვე ჩვენ გვევალება აღვნიშნოთ ის უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე, რაც გიორგი ჩუბინაშვილმა განახორციელა კულტურულ-ისტორიულ ფასეულობათა შესაკრებად და დასაცავად, მათ შორის ქართული ხელოვნების ძეგლების შესასწავლად და გადასარჩენად.

ივანე ჭავჭავაძის შვილის დიდი აქტიურობით მოხერხდა ის, რომ სწორედ ძვირფასი ნიმუშები ქართული ხელოვნებისა, რაც ეკლესიებში იყო მიმოფან-

ტული, გადმოეცა თბილისის უნივერსიტეტს, სადაც იმ დროს ყველაზე უკეთესად შეიძლებოდა მათი შენახვა და დაცვა.

უნივერსიტეტის ღვაწლი იმაშიც გამოჩნდა, რომ მან მასშტაბურად მოუყარა თავი ქართული ძვირფასი ხელნაწერების კოლექციებს, რაც სწორედ იმ მომენტისათვის მეტად საშუაო საქმე იყო.

1921 წლის 20 მარტს თბილისის უნივერსიტეტმა თხოვნით მიმართა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს, რომ უკეთ შენახვისა და შესწავლის მიზნით უნივერსიტეტისათვის გადმოეცა მისი კოლექციები. 1921 წლის 25 მარტს სამუზეუმო კომიტეტმა გადაწყვიტა, „საეკლესიო მუზეუმში ჩაბარდეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ოგორც კვლევა-ძიებისათვის სასარგებლოდ, ისე მოსავლელ-დასაცავად იმ პირობით, რომ ყოველი ნახევარი წლის გასულს ეცნობოს სამუზეუმო კომიტეტს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მუზეუმი“.

აღნიშნული საეკლესიო მუზეუმში 1921 წლის 9 ივლისს, გადმოცემის დროისათვის, შეიტავდა 1088 ხელნაწერსა და 1935 სიგელ-გუჯარს. სწორედ 1921 წლიდან უნივერსიტეტთან საფუძველი ჩაეყარა სიძველეთა მუზეუმს. იგი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ სამეცნიერო დაწესებულებად იქცა, რომელსაც დაევალა „საისტორიო-საარქეოლოგიო ნაშთთა შეგროვება და დაცვა და მათი გამოყენება უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის“.

მუზეუმის შესანახი ხარჯები უნივერსიტეტის ბიუჯეტში შედიოდა და საერთო წესით იფარებოდა.

ივანე ჯავახიშვილის რექტორობის დროს კიდევ ბევრი სხვა დამხმარე სამეცნიერო დაწესებულება შეიქმნა უნივერსიტეტთან, განსაკუთრებით სამკურნალო და აგრონომიულ ფაკულტეტებთან.

ახალი ქვედანაყოფების შექმნისას უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი მეცნიერთა კოლექტივებისა და ცალკეულ მეცნიერთა ინტერესების, მათი ერთობლივი მუშაობის ეფექტიანობის პრინციპებიდან გამოდიოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ივანე ჯავახიშვილის ჩარევა იმ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომელიც პროფესორებს პეტრე მელიქიშვილსა და იოველ ქუთათელაძეს შორის წარმოიშვა.

არა სამკურნალო ფაკულტეტთან, არამედ პედაგოგიურ ფაკულტეტთან 1923 წლის იანვრიდან ჩამოყალიბდა ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილება. თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო მისი დაარსება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან, მაგრამ, რადგანაც იგი სიბრძნისმეტყველებასთან ერთად პედაგოგიურ ფაკულტეტად იქცა, ამ უკანასკნელთან დაარსდა ეს სპეციალობა. ამ საქმის მოთავე იყო პროფესორი იოველ ქუთათელაძე. ივ. ჯავახიშვილი უპერდა მას მხარს, თუმცა მატერიალური ბაზის მოუწყობლობა და ფინანსური სიძნელეები დიდ დაბრკოლებას ქმნიდა, ამ სახით განყოფილების შექმნის წინააღმდეგი იყო პროფესორი პ. მელიქიშვილი. იგი თვლიდა, რომ განყოფილების სახელწოდებიდან მოხსნილიყო სიტყვა „ქიმიური“, ანდა ცალკე ინსტიტუტი შექმნილიყო. უფრო ადრე, 1924 წლის 17 აგვისტოს, ბორჯომიდან პეტრე მელიქიშვილი სწერდა ივანე ჯავახიშვილს: „ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბატონო ივანე!

დიდად მადლობელი ვარ იმ ცნობებისათვის, რომელიც თქვენ მაცნობეთ შესახებ ლაბორატორიის შენობისა. მე ვერ ვპოულობ სიტყვებს რომელთა შეეძლოს, გამოეხატა იმ მადლობის გრძნობა, რომელიც მე მადლელებს საზოგა-

დოდ, როგორც კერძო პირების წინაშე, აგრეთვე საზოგადოების და ჩვენი კომისარიატისა, უფრო მეტად იმიტომ, რომ არაფერი გამიკეთებია ჩემს სამშობლოში, მხოლოდ მქონდა სურვილი, რომელიმე დარგში მომემზადებინა მოწაფეები, მაგრამ ჩემმა ჯანმრთელობამ მილაღატა და ვგრძნობ რომ ვერ შევასრულებ ჩემს მიზანს.

რაც შეეხება ქუთათელაძის სურვილს, მე უნდა უარყო... მე ამ კვირანახევარში ჩამოვალ და დაწერილებით მოგიყვანთ იმ საბუთებს, რომლის ძალით შეუძლებელია ქუთათელაძის პლანების ასრულება. ამას გარდა, მე უნდა მოგახსენოთ, რომ კომერციული და ვაჭრობის საქმე უნივერსიტეტისათვის მავნებელია, მეტადრე ქუთათელაძის ხელში, იმის მოუსვენარი ხასიათით, ყოველ დღე ახალ-ახალ პროექტებით.

მე დიდ ბოღიშს ვიხდი თქვენ წინ, რომ ვბედავ ჩემ მიერ დამახინჯებულ ქართულ ენაზე გწერთ ამ წერილს“.

რექტორობიდან წასვლის შემდეგაც აფიქრებდა ივ. ჯავახიშვილს ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილებისა და მისი 300 სტუდენტის ბედ-იღბალი. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პეტრე მელიქიშვილმა თავისი დიდი ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს ამ წამოწყებას. გრძნობდა რა ამას, ი. ქუთათელაძე სწერდა ივ. ჯავახიშვილს: „გთხოვთ უმორჩილესად, იქნებ გაისარჯოთ, მისწეროთ ბარათი ბ-ნ პეტრეს, რომელსაც სტუდენტები წაიღებენ, და იქნებ დააჯეროთ, რომ არ იქნეს იგი წინააღმდეგი ცალკე ფაკულტეტის გამოყოფისა“. 1926 წლის 28 ივნისს ივ. ჯავახიშვილი ბორჯომიდან იწერებოდა: „ძვირფასო ბატონო იოველ!

დღეს სამი საათის განმავლობაში ვესაუბრე და ვეხვეწე პეტრეს, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა. მას არ სჯერა, რომ საამისოდ ფულები მივიღოთ, როდესაც ორგანული ქიმიისათვის შენობის მოწყობაც ვერ მოუხერხებიათ. მე წერილს ვწერ ბ. შალამბერიძეს, რომ, თუ ასეთ პირობებში ქიმიურ-ფარმაცევტული ფაკულტეტისათვის მხარის დაჭერას ვერ იკისრებდა, წინააღმდეგი მაინც არ ყოფილიყო და თავი შეეკავებინა. პირადად ჩემი თხოვნა რა შთაბეჭდილებას მოახდენს? თუ ამ გზითაც ვერაფერი მოგვარდა, იქნებ სამკურნალო ფაკულტეტზე მოეწყოს (დროებით) ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილება. კარგი იქნებოდა ბ-ნ გრიგოლს (მუხაძეს) მოლაპარაკებოდიოთ ამის შესახებ.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი

ივ. ჯავახიშვილი“.

საბოლოოდ ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილების სტუდენტები უნივერსიტეტს გარეთ არ აღმოჩენილან.

ივანე ჯავახიშვილი ყველა მომენტს იყენებს იმისათვის, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობის მიერ დაყენებულ საკითხებში უნივერსიტეტმა თავისი მონაწილეობა მიიღოს.

1923 წლის 20 ნოემბერს ზაქეის მშენებლობის ხელმძღვანელობას უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი სწერდა: „პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაინტერესებულია იმ აღმოჩენით, რომელიც მოახდინეს პიდროლექტონული სადგურის არხის გათხრის დროს, ამით დაინტერესებულია არა თუ მარტო ჩვენი უნივერსიტეტი, არამედ საზღვარგარეთისა და რუსეთის სამეცნიერო წრეებიც.

გთხოვთ, თუ შესაძლებელი იქნება, ნაპოვნი ყუთები, კრამიტის ნამტვრევები, თიხის ქურკლები და სხვა გამოუგზავნოთ უნივერსიტეტს დეტალურად გასინჯვისა და დათვალიერებისათვის“.

1923 წლის 4 დეკემბერს ივანე ჭავჭავაძის პარიზიდან სწერდა ზურაბ ავალიშვილი, რომ მას ამერიკელ მეცნიერებთან მსჯელობა ჰქონდა საქართველოს სიძველეების შესწავლაში მათი მონაწილეობის თაობაზე, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური გათხრა-გამოკვლევის დარგში. მეტიც, სამშობლოდან მოწყვეტილ შვილს კონკრეტული მსჯელობა გაუმართავს ნოქალაქევის (არქეოპოლისის) გათხრების ჩატარების შესახებ. იგი სწერდა: „სხვადასხვა მოლაპარაკების და მიწერ-მოწერის შემდგომ მე ეხლა მყავს სახეში ერთი პირი, რომელსაც ჰსურს შეუდგეს საარქეოლოგიო მუშაობას ნოქალაქევი (ჩემგან დასახულ საგანი ამ ძიებისა). ეს პირი დაახლოებულია პენსილვანიის უნივერსიტეტთან და ჩვენ ვცდილობთ ამ საქმით დავაინტერესოთ. ხსენებული უნივერსიტეტი ძალიან ცნობილია თავისი საარქეოლოგიო მუშაობით მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და პალესტინაში“.

ზ. ავალიშვილი თბილისის უნივერსიტეტს სთხოვს ნებართვის აღებას მთავრობისაგან ამ გათხრების წარმოებისათვის.

ივანე ჭავჭავაძის დიდად ნანობდა, რომ ამ განათლებული კაცის ნიჭი ნაკლებად გამოადგა მის სამშობლოს. მენშევიკურ მთავრობასთან ზურაბ ავალიშვილის კავშირითობა, როგორც თვითონ წერს, არ აძლევდა მას ზნეობრივ კმაყოფილებას, მეორე მხრივ, მას, ამ ნიჭიერ, მაგრამ სექტრიკოსს, არ ეყო შინაგანი ძალები, სამშობლოში დარჩენილიყო და ეროვნულ უნივერსიტეტში ემოღვაწენა. ივანე ჭავჭავაძის დიდად არ კარგავს იმედს მისი მოწვევისას. 1924 წლის 5 იანვარს იგი მიმართავს განათლების სახალხო კომისარიატს საზღვარგარეთ მყოფი პროფესორის ზ. ავალიშვილის თბილისის უნივერსიტეტში გადმოყვანის თაობაზე. განზრახული იყო მისი მოწვევა სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტზე. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნული ფაკულტეტის შუამდგომლობის შესაბამისად სთხოვდა მთავრობას გაეღო ფულადი თანხა მის ჩამოსაყვანად.

1924 წლის 7 თებერვალს ივანე ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით კვლავ სთხოვს განათლების სახალხო კომისარიატს ნებართვას და ნივთიერ დახმარებას, რომ საქართველოში დაბრუნდნენ საზღვარგარეთ მყოფი პროფესორი ზურაბ ავალიშვილი და დოცენტი მიხეილ ყაუხჩიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაოდ. აღნიშნავს, რომ პირველი მათგანი სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორად არის მოწვეული, ხოლო მეორე პოლიტექნიკური ფაკულტეტის ელექტრო-ქიმიის დოცენტად. „პროფესორ ზურაბ ავალიშვილის „კურიკულუმ ვიტე“ ჩვენ წარმოვადგინეთ, ხოლო დოცენტ მ. ყაუხჩიშვილის „კურიკულუმ ვიტესა“ და ფაკულტეტის დადგენილების ოქმიდან ამონაწერს ამ წერილთან ერთად გაახლებთ“.

ეს იყო გაბედული ცდა სამშობლოდან მოწყვეტილი შვილების დაბრუნებისა. ამ დროს ივანე ჭავჭავაძის იქიდან გამოდიოდა, რომ მეცნიერისათვის ყველაზე ხელსაყრელი ვითარება სამშობლოს წიაღში მოღვაწეობის დროს იქმნება.

სამწუხაროდ, ვერც ერთი აქ დასახელებული მეცნიერის დაბრუნება ვერ მოხერხდა. სამშობლოს ცის ქვეშ კი მათ გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ.

ივანე ჭავჭავაძის, როგორც რექტორი, ყველაფერს აკეთებდა საზღვარგარეთ გაგზავნილი ასპირანტების სამშობლოში დაბრუნებისათვის და თითოეულ მათგანში აღვიძებდა ზნეობრივ ვალდებულებას ბუნებრივი და უპირველესი მოვალეობა მშობელი ხალხის სამსახურისა არ დაევიწყნათ. ევროპაში გაგზავნილ გიორგი ნანეიშვილისადმი მიმართული ივანე ჭავჭავაძის სიტყ-

ვები საერთო მოწოდებაა სამშობლოს თავდავიწყებული სამსახურისა. მძიმე მატერიალურ პირობებში ჩაყარდნით ასპირანტს უნივერსიტეტის რექტორი სწერს:

„დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი,

თქვენი წერილი მივიღე და მღელვარებით გადავიკითხე თქვენი გულწრფელი სულისკვეთებითა და დარდით გამსჭვალული სტრიქონები. გარწმუნებთ, რომ ჩვენი უცხოეთის უნივერსიტეტებში ყოფი მოსწავლე ახალგაზრდობისა და მით უმეტეს თქვენი, ჩვენ უნივერსიტეტთან დატოვებულ და წარღვნილ პირთა, გაჭირვებული მდგომარეობა მაწუხებს და მოსვენებას არ მძლევს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის, რის გამოგზავნაც თქვენთვის ყოველთვიურად ჩვენ შეგვიძლიან, მანდ საცხოვრებლად სრულებით სამყოფი არ არის, მაგრამ ამიერკავკასიის ბონების ფასი ისე საშინლად ეცემა, რომ ინგლისურ ფულად სულ უფრო და უფრო ნაკლები ოდენობა დგება თქვენი თვიური სარგოს დახურდავების დროს. სათანადო ორგანოების წინაშე ჩვენ აღძვართ შუამდგომლობა, რომ თქვენი თვიური სარგო გადიდებული იყოს და იმედი მაქვს, რომ თქვენი ქონებრივი მდგომარეობის ცოტად მიინც გამოკეთებას მოვახერხებთ.

მე გთხოვთ ყოველგვარ გაჭირვებისდა მიუხედავად, გული არ გაიტეხოთ და მხნედ განაგრძეთ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სამზადისი...

იყავით ჯანმრთელად, გულგაუტეხლად...

ვისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს. თქვენი წარმატების და ბედნიერების მოსურვე ივანე ჯავახიშვილი“.

1924 წლის იანვარში ასპირანტი გიორგი ნანეიშვილი პარიზიდან წერს უნივერსიტეტის რექტორს: „25 დეკემბერს მივიღე თქვენი ბარათი. ნამდვილი დღესასწაული იყო ჩემთვის ეს დღე. მიიღეთ ჩემგან ულრმესი მადლობა...“

იყავით, ბ-ნო ივანე, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მე ისე კარგად მაქვს შეგნებული ჩემი მოვალეობა და იმდენად ძლიერია ჩემში სურვილი თქვენი ნდობის გამართლებისა, რომ ვფიქრობ, ვერაფერი შეასუსტებს ჩემს ენერგიას.

მხოლოდ ის მიკლავდა გულს, რომ ხანდახან ზედმეტად მიმაჩნდა ჩემი თავი, თქვენი წერილის შემდეგ ისევე ვიგრძენი ნიადაგი ფეხქვეშ, ისევე აღიძრა ჩემში იმედები, ისევე გადამეშალა თვალწინ პერსპექტივა. განა წარმოვიდგენდი, რომ ერთი წერილი შესძლებდა ჩემი სულიერი მშვიდობიანობის აღდგენას!“

1925 წლის 21 სექტემბერს გ. ნანეიშვილი სწერდა უნივერსიტეტის რექტორს იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რასაც უსაყვარლესი ადამიანის—დედის დაკარგვის გამო განიცდის, რომ აღარ ეგულება ადამიანი, რომელიც სამშობლოში მის დაბრუნებაზე იზრუნებდა. ამიტომ „ეს მდგომარეობა მაძულებს პირადად თქვენ მოგმართოთ, რადგან ვიცი, თუ როგორ ახლოს გულთან ღებულობთ თქვენ ყველა მათ მდგომარეობას, ვისი სურვილი ყოველთვის მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სამშობლო მეცნიერებისათვის საჭირო გამხდარიყო. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო საქართველოს უნივერსიტეტში მუშაობა. ეს იყო სწორედ ის, რაც ჩემს ცხოვრებას მიზანს და შინაარსს ანიჭებდა.“

თუ მე ყოველთვის მქონდა გადაწყვეტილი დაბრუნება, ეხლა პირდაპირ მოუთმენლად მოველი დღეს სამშობლოში გამობრუნებისას“. იგი აღწერს, რომ მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, მეცნიერებასთან კავშირი არ გაუწყვეტია, თუმცა იქვე დასძენს: „მხოლოდ ასეთი ტვირთი ქარხანაში მუშაობაც

და ბიბლიოთეკებში, ვგრძნობ, მომავალში ჩემთვის აუტანელი იქნება და ამიტომაც გთხოვთ, დამეხმაროთ, გამოვიდე ამ მდგომარეობიდან, რათა სხვებთან ერთად შევძლო სამშობლოს მეცნიერების სამსახური.

1925 წლის 22 დეკემბერს გ. ნანეიშვილი პარიზიდან სწერდა: „ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

ამა თვის 15 მივიღე თქვენი დაზღვეული წერილი. ვერ აგიწერთ, რა მღელვარებით მოველოდი მას. ამ 6 წლის განმავლობაში სულ რამდენიმე ბედნიერი წუთები მახსოვს. და ეს უკანასკნელები უმთავრესად თქვენი წერილებით ყოფილა გამოწვეული...

ბევრ რამეზედ, რაც ჩემ მატერიალურ მდგომარეობას გამოაკეთებდა. მითქვამს უარი მხოლოდ მისთვის, რომ არ დამეკარგა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა და მანდ კი სამშობლოს უნივერსიტეტში მოღვაწეობისა. მე მინდა რომ თქვენ, განსაკუთრებით თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე, ამ ჩემს გულწრფელსა და ჩემს პატიოსნურად მოვალეობის შეგნებაში არავითარი ეჭვი არ გქონდეთ.

მართლაც, ზოგიერთ სხვა ასპირანტ-კოლეგებისაგან განსხვავებით, გიორგი ნანეიშვილმა არა მარტო დასძლია ყველა დაბრკოლება უცხოეთში ყოფნისა, არამედ სამშობლოში დაბრუნდა, აქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ემსახურებოდა სამშობლო მეცნიერებას.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავიძე ასევე უსაზღვრო ყურადღებას აქცევდა თბილისში მომუშავე ასპირანტების მიმართ. აქ მისი პირველი ასპირანტი იყო სიმონ ყაუხჩიშვილი. ივანე ჭავჭავიძე უშუალოდ გამოყოფდა დროს ასპირანტებთან სამუშაოდ, მაგრამ არავითარ გამოწვევას არ უშვებდა თავისი ასპირანტის მიმართ, როგორც რექტორი. აქ ყველა დადგენილ წესს იცავდა ასპირანტებთან მუშაობისა და მათი ნაშრომების დაბეჭდვისას. ასპირანტი სიმონ ყაუხჩიშვილი ივანე ჭავჭავიძელს მიმართავდა, როგორც პროფესორ-ხელმძღვანელს და არა რექტორს.

1920 წლის 2 თებერვალს უნივერსიტეტში დატოვებული ს. ყაუხჩიშვილი მიმართავდა პროფესორ ივანე ჭავჭავიძელს თხოვნით, აღეძრა შეამდგომლობა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წინაშე გიორგი ამარტოლის შესახებ მონოგრაფიის პირველი ნაწილის დაბეჭდვისათვის: პროფესორი (და არა რექტორი) 1922 წლის 11 მარტს დადებულ რეზოლუციაში წერდა: „ჩემს მხრით, ვშუამდგომლობ ფაკულტეტის წინაშე, რომ გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, რომელიც ბ-ნ ყაუხჩიშვილმა ჩემის რჩევით გადმოსწერა და დაამზადა დასაბეჭდად... გამოიცეს. ამ ტექსტს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური და მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის“. ივანე ჭავჭავიძე არ ჰბამავდა იმ რექტორებს, რომელთაც კათედრის გამგის როლში ერთი დადგენილება გამოჰქონდათ და მერე, როგორც რექტორი, თვითონვე აუქმებდნენ მას. კათედრის, ფაკულტეტის აზრს ივანე ჭავჭავიძელი-რექტორი ყოველთვის სავალდებულოდ თვლიდა ასპირანტთა მუშაობის შეფასების დროს.

რექტორი ყოველთვის პირადად ხვდებოდა საზღვარგარეთ წარსაგზავნ პროფესორსა და დოცენტს, დამოძღვრავდა მათ, რომ ყოველი დღე მეცნიერების ახალი მონაპოვრის ღრმად შესწავლისათვის და მშობლიური უნივერსიტეტის დაწინაურებისათვის გამოეყენებინათ. ამას გარდა შეესწავლათ მოცემული მეცნიერული დარგის მდგომარეობა უცხოეთში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მეცნიერული შრომის უკეთესი ორგანიზაცია თბილისის უნივერსიტეტში; ევროპაში წასულები იქიდანაც იწერებოდნენ და დაბრუნებულები

დაწერილებით აცნობდნენ რექტორს ამა თუ იმ მეცნიერული დარგის განვითარების დონეს და მიღწევებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. ამასთან ივ. ჭავჭავაძის მათ იმასაც სთხოვდა, რომ ეზრუნათ ახალი ლიტერატურის, ლაბორატორიული მოწყობილობების შექმნისათვის.

1923 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, ევროპაში სამეცნიერო მიზნით გაგზავნილიყო პროფ. ივ. ბერიტაშვილი. ეს იყო ქართული უნივერსიტეტის პროფესორის პირველი სამეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ. რექტორისადმი გაგზავნილ წერილებში მარტო ჩვეული ოანამიმდევრობით კი არ აღწერს ივ. ბერიტაშვილი მის მიერ საბჭოთა რუსეთსა და ევროპაში ჩატარებულ მეცნიერულ მუშაობასა და კონტაქტებს. მისი წერილები დამოუკიდებელი გამოკვლევებია იმდროინდელი ევროპის საუნივერსიტეტო განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციის შესახებ.

1923 წლის 6 ივნისს იგი სწერდა მოსკოვიდან:

„ფრიად პატივცემულო ბატონო ივანე!

დღეს საღამოს მივიღივარ რიგას. ყველა საქირო მოწმობის ასაღებად დამჭირდა ექვსი დღე. არავითარი არსებითი დაბრკოლება არც ერთი მხრიდან არ მქონია... ორი სამი დღის შემდეგ მე უკვე ბერლინში ვიქნები. ძალიან მიშველა მანდაურმა გერმანულმა ვიზამ. იგი სრულებით საკმარისი აღმოჩნდა.

ამ ერთ კვირაში ბევრი რამ საინტერესო და ახალიც ვნახე.

ვინახულე ყველა ფიზიოლოგები და ფსიქოლოგები. დავესწარი სამ სამეცნიერო კრებას. ერთი შეერთებული შეხვედრა ფსიქოლოგებთან, ფიზიოლოგების და ნევროპათოლოგების სპეციალურად ჩემი მოხსენების მოსასმენად იყო მოწვეული. გავეცანი წიგნების ბაზარს. ამ ერთ-ორ წელს აუარებელი წიგნები და ჟურნალები გამოსულა საბუნებისმეტყველო და საექიმო დარგებშიც. შევისყიდე ბევრი რამ ფიზიოლოგიის ლაბორატორიისათვის. სწორედ გითხრა მოსკოვში ყოფნით ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. ამასთან ბინა მქონდა მუქთი საქართველოს მისიის შერობაში. ესადილობდი მეცნიერთა სახლში თოქმის უფასოდ. ასე რომ პირადი ხარჯები სულ მცირე მქონდა.

ბატონო ივანე, გეხსოვებათ საბუნებისმეტყველო განყოფილებამ ოდესღაც აირჩია გერმანელი პროფესორები: ზოოტექნიკი მიულერი, ზოოლოგი ფორელი და ბოტანიკოსი ნატანსონი. დღეს გერმანეთი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია ეს პროფესორები დათანხმდნენ ჩვენსას წამოსვლას ჩვენთვის შესაძლებელ პირობებში.

თუ თქვენ მომაწვდიდით ამ პირობებს განსაზღვრული სახით, მე ვითავებდი მათ პირად ნახვას და მოლაპარაკებას“.

1923 წლის 12 ივნისს იგი ბერლინიდან იტყობინება, რომ მან გადაწყვიტა ყველა შემთხვევაში მოიწეროს იმის შესახებ, რაც დაინტერესებს მას და მის კოლეგებს. ამ წერილიდან კვებულობთ, რომ უნახავს ლატვიის უნივერსიტეტი რიგაში. დაწერილებით აღწერს უნივერსიტეტის სტრუქტურას, მის 11 ფაკულტეტს, მათ შორის არქიტექტურულს, ვეტერინარულს. სამედიცინო, რიგის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან იყო შეერთებული; ჰქონიათ აგრეთვე ღვთისმეტყველების ფაკულტეტიც. 5000 სტუდენტი ჰყავდა იმ დროისათვის ლატვიის უნივერსიტეტს. სწავლება ძირითადად ლატვიურ ენებზე მიმდინარეობდა. დაუთვალე რებია ფიზიოლოგიური ლაბორატორიები. შეხვედრია უნივერსიტეტის რექტორს ა. ფელსბერგს. უსაუბრია, რასაკვირველია, თბილისის უნივერსიტეტზე. ვადგენდით პარალელებს მათ განვითარებაზე. რექტორი კლასიკური ფილოსოფიის სპეციალისტი ყოფილა კიევიდან, ჩვენი

უნივერსიტეტის პროფ. გ. ფ. წერეთლის მეგობარი, რამდენჯერ მთხოვა, მისთვის მოკითხვა გადამეცა. ივ. ბერიტაშვილი ნაწილობადაც ვერ მოახერხა ვილნიუსის უნივერსიტეტის ნახვა. მხოლოდ ამ უნივერსიტეტის სტუდენტისაგან გაიგო მონაცემები.

1923 წლის 5 ივლისს უტრეხტიდან იღებს ივ. ბერიტაშვილის წერილს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი. ჩანს, იგი იმავე დღეს წასულა ჰააგაში ვიზიტისთვის. წერილსაც მატარებელში წერს ჰააგის გზაზე. აპარატების შესყიდვის გამო შეყოვნებულა ბერლინში. იქ სამი კვირა დაეკარგე და სხვა ვერაფრის გაკეთება შეეძელიო. მხედველობაში აქვს ახალი ლიტერატურის შეძენა ფიზიოლოგიაში. საერთაშორისო კონგრესის გახსნის მოახლოების გამო იგი მეტად ვეღარ ჩერდება ბერლინში. ჩქარობს ჰოლანდიაში წასვლას. წერილში ივ. ბერიტაშვილი დაწერილებით აღწერს, რომ შეასრულა პროფ. სვ. გოგიტიძის ყველა დავალება — შეიძინა წიგნები, ინსტრუმენტები, ქიმიური პრეპარატები; ასევე პროფ. ალ. ჭავჭავაძის დავალება, — უყიდა ყველა წიგნი, რომელიც ი. ქუთათელაძემ დაავალა, და აპარატების ნაწილი. ასევე ე. მოსეშვილის დავალება წიგნების შესყიდვისა. „პროფ. ალ. ნათიშვილმა ფული არ მომცა, მაგრამ წიგნები მაინც ვუყიდეო“. შეუსრულებია აგრეთვე პროფ. ფ. შოტიანიშვილის დავალება. რექტორს აცნობებს იმასაც, რომ მოდებამის კანტორა „ჩემო“ ეხმარება ინგლისში ვიზის მიღებაზე.

1923 წლის 4 აგვისტოს წერილში აღწერილია ედინბურგის ფიზიოლოგთა კონგრესი. მას 400-ზე მეტი სპეციალისტი დასწრებია. ბევრი მოხსენებაც ყოფილა. ძლივს მოუსწრიათ მათი მოსმენა ოთხი დღის განმავლობაში. „განსაკუთრებული გულთბილობით პატივისცემას გამოხატავენ პროფ. პავლოვის მიმართ, მას და რამდენიმე სხვას მისცეს honoris causa დოქტორის წოდება.

საზეიმოდ იქნა ჩატარებული მთელი კონგრესის წინაშე ამ წოდების მინიკების ცერემონია“.

შემდეგ იგი აცნობებს, რომ ძალზე ცოტა იციან ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ, რომ საჭიროა ცნობარის შედგენა, რომ იგი მზად არის თვითონ მიიტანოს „მინერვის“ რედაქციაში ამგვარი ცნობარა.

უნივერსიტეტის პროფესორთა მხრივ ამგვარი ინიციატივის გამოჩენა დიდზე დიდ ეფექტს იძლეოდა. თითოეული ეს წერილი მეტად ძვირფასია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის იმ წევრების აქტიურობის დასახასიათებლად, რომლებიც ევროპაში იყვნენ წარგზავნილი. ბევრი მათგანის კვლევის შედეგები დამატებით რეკომენდაციას არ საჭიროებს, მაგრამ აქ მაინც უნდა აღვნიშნოთ უნივერსიტეტის ორი წარგზავნილის შესახებ.

1925 წელს ევროპაში გზავნიან შ. ა. მიქელაძეს და გ. ელიაშვილს მეცნიერული სტაჟის გავლისათვის; მათ უკვე მანამდე ჰქონდათ თავი გამოჩენილი როგორც შესანიშნავი მედიკოსები. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1907 წ.) შ. მიქელაძე, როგორც სპეციალისტი-თერაპევტი, უკვე 1924 წლის თებერვალში იცავს სადოქტორო დისერტაციას. ეს იყო რიგით მესამე დაცვა მედიცინის დარგში თბილისის უნივერსიტეტში. გ. ელიაშვილი 1922 წლიდან დატოვეს ჰიგიენის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად. მას სამედიცინო განათლება ოდესის, ენევისა და მოსკოვის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული.

1925 წლის 13 მარტს შ. მიქელაძე თბილისის უნივერსიტეტის რექტორს სწერდა: „დიდად პატივცემულო ბატონო ივანე! თქვენი წერილი მივიღე და

დიდ მადლობას გიძღვნით მოგონებისათვის. ძლიერ მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტის ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესებულა და შესაძლებელია ლიტერატურა და ხელსაწყოები შევიძინოთ. მე აქ პირდაპირ სასოწარკვეთილებას მივეცი, როდესაც ენახე აუარებელი ახალი და საკირო ხელსაწყოები, ურომლისოდაც ამჟამად სამეცნიერო მუშაობა აქ ვერც კი წარმოუდგენიათ, და როდესაც ჩვენი უსახსრობა მომაგონდა. სულ მოკლე ხანში შევედგენ საკირო ხელსაწყოების სიას ფასის აღნიშვნით და გაახლებთ.

... პირადად მე ვმუშაობ სხვადასხვა დაწესებულებებში და ეს მიხდება იმიტომ, რომ ჩემთვის სხვადასხვა მეთოდები უნდა გამოვიყენო, აქ კი ერთ დაწესებულებაში ყველაფრის შესწავლა არ ხერხდება...

პროფ. მუხსაძის ავადმყოფობა აქ გავიგეთ და მე და ელიავამ ველარ მოვითმინეთ და დეპეშით შეეკითხეთ. ასე რომ ეხლა ვიცით, რომ მორჩენილა. მადლობა ღმერთს! ძლიერ კარგი ადამიანია და ჩვენთვის საკირო ძალა!"

თავის წერილებში ივ. ჭავჭავიძისადმი შ. მიქელაძე განსაკუთრებული სიყვარულით და სიამაყით სწერს პარიზში გ. ელიავას წარმატებებზე, რომ „გიორგი ელიავა მუშაობს პასტერის ინსტიტუტში და ცალკე კიდევ ჰიგიენაში. ინსტიტუტში ძლიერ კარგად უყურებენ, დიდი სიმპათიები აქვს დამსახურებული და საერთოდ შესამჩნევ მუშაკად თვლიან. ამჟამად მუშაობს ტუბერკულოზზე, შავ ჰირზე და ბაქტერიოფაგზე. ამ უკანასკნელ საკითხში მას უკვე 1920 წელს აქვს შეტანილი თავისი წვლილი, მისი შრომები ძლიერ ცნობილია და თვით ბაქტერიოფაგის აღმოჩენი ღერელი მას დიდად აფასებს“.

მართლაც გ. ელიავა (1892 — 1937) სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახდა თბილისის—საბჭოთა კავშირში პირველი ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მეტიც, თავისი მოწაფის, პროფ. გ. ელიავას დიდი დამსახურების გამო ბაქტერიოფაგის ფუნქციონირების პროფ. ფელიქს ღერელი საქართველოში ჩამოვიდა და აქ რამდენიმე წლის მანძილზე განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. სწორედ აქ გამოაქვეყნა მან მონოგრაფია, რომელშიც განაზოგადა თავისი კვლევა-ძიების ოცი წლის შედეგები. ფრანგულად დაწერილი ამ მონოგრაფიის რუსული თარგმანი, გ. ელიავას მიერ შესრულებული, დაიბეჭდა 1935 წელს თბილისში. თბილისის უნივერსიტეტმა 1934 წლის იანვარში „სცნო რა პროფესორ ფელიქს ღერელის უდიდესი დამსახურება მეცნიერებასა და კაცობრიობის წინაშე; აირჩია იგი თავის საპატიო პროფესორად“.

სამშობლოში დაბრუნებული შ. ა. მიქელაძე (1884 — 1938) ქართული მედიცინის მეცნიერების შესანიშნავი მოღვაწე ხდება.

1924 წლის 29 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი იღებს ჰამბურგიდან პროფ. სპ. ვირსალაძის წერილს. იგი მოახსენებდა ბერლინი-ა და ჰამბურგის კლინიკებში მუშაობაზე. მისი დაკვირვებით იქ ახლა უფრო ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს, ვიდრე იყო ომამდის. აღნიშნავს, რომ ძლიერ თავაზიანად და მეგობრულად მიმიღესო ყველგან „სადაც კი მივედი, ნამეტურ ნაცნობ წრეებში — ბერლინში და ჰამბურგში“. მას განზრახული ჰქონია, საქართველოს განათლების სახალხო კომისრის დავალებით ენახა პატარა ქალაქებში სამკურნალო ფაკულტეტების მუშაობა. აქვე მოკრძალებით შენიშნავს, რომ აქაურ სპეციალისტებს დაუგზავნა საკუთარი ნაშრომი ღვიძლის აბსცესის შესახებ „უნივერსიტეტის მოამბეში“ დაბეჭდილი. ამასთან აახლებდა მიღებული წერილების ასლებს, სადაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ გამოკვლევას, სპ. ვირსალაძე იქვე დასძენდა: „გთხოვთ ეს

წერილები ბატონ აკაკის (შანიძეს) წააკითხვით, რომელმაც გამოუთქმელი დეაწლი დასდო შრომას ბექდვის დროს“.

„ბატონო ივანე, მიმდინარე წელს ხარჯთაღრიცხვით თანხა იყო განზრახული ჩემდამი რწმუნებულ კლინიკისათვის. იქნება მოხერხდეს და გამომიგზავნოთ ბერლინში, რომ ცოტაოდენი ლიტერატურა და იარაღები შევიძინო კლანიკისათვის. შემდეგ, კიდევაც რომ ფული იყოს, ძნელია გამოწერა. თუ თვითონ არ ამოარჩიე ყველაფერი. სხვათა შორის. ზოგიერთს წიგნის მალაზიებს მივეცი ჩვენი უნივერსიტეტის მისამართი, რომ კატალოგები გამოეგზავნათ“.

უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი მარტო საკუთარ მეცნიერულ მიღწევებზე როდი ფიქრობდნენ. ისინი ზრუნავდნენ, რითაც შეეძლოთ, თანაბრებამულებზე, რომ მათი ნიჭი საშობლოს გამოსდგომოდა უპირველესად.

ნიშანდობლივია ანდრია რაზმაძის მაგალითი. 1923 წელს პროფ. ანდრია რაზმაძე პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს სწერდა, რომ უკვე ათი წელიწადია არ ყოფილა სამეცნიერო მიზნით დასავლეთ ევროპაში, მაშინ როცა მთელი რიგი ახალი საკითხების შესასწავლად საჭიროა ახალი ლიტერატურის გაცნობა და შეხვედრა ევროპულ სპეციალისტებთან. განცხადებაში ვკითხულობთ: „მე მაქვს ამას გარდა კიდევ სურვილი შევისწავლო ფიზიკა-მათემატიკური გამოყენებითი დარგები.“

პატივისცემით გთხოვთ ამიტომ, ნება დამართოთ ერთი წლით გავემგზავრო ევროპაში და იშუამდგომლოთ საბჭოს წინაშე, რომ შესაფერისი რაოდენობის ფული მომეცეს ამ მიზნის განსახორციელებლად. ამასთანავე უნდა გაცნობოთ, რომ მე ვმსახურობ უნივერსიტეტში 4 1/2 წელიწადი, რომლის განმავლობაში წავიკითხე შემდეგი საგნები:

1. ანალიზის შესავალი.
2. დიფერენციალური აღრიცხვა.
3. ინტეგრალური აღრიცხვა.
4. ვარიაციათა აღრიცხვა.
5. ალბათობის აღრიცხვა.
6. რიცხვთა თეორია.
7. კომპლექსური ცვალებადობის თეორია.
8. ელიპტური ფუნქციები.

ყველა ამ საგნებში არსებობს ან ნაბეჭდი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ანდა ხელნაწერების სახით სუფთად გადაწერილი ჩემი ლექციები. სწავლა ჩემს საგანში მომავალ წელში უზრუნველყოფილი იქნება“.

1923 წლის 28 დეკემბერს უნივერსიტეტის რექტორი შუამდგომლობდა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე სამეცნიერო მივლინებით გაეგზავნათ პროფ. ან. რაზმაძე ერთი წლით გერმანიასა და საფრანგეთში და ამ მიზნით მიეცათ 350 გირვანქა სტერლინგი.

1924 წლის 10 მაისს პროფესორი ანდრია რაზმაძე გერმანიიდან სწერს ივ. ჭავჭავიძელს, რომ ბერლინში ყოფნის ორი კვირის შემდეგ გეტინგენშია, სადაც შეხვდა თავისი სადისერტაციო ნაშრომის თაობაზე მათემატიკოსებს. აქ მას გაუგია, მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი საფრანგეთის მაგიერ კანადაში რომ გადაუტანიათ და რექტორს სთხოვს, „რამენაირად მომიწყვეთ კანადაში გამგზავრებაო“.

მარტო ამ პირადი თხოვნით როდი კმაყოფილდება პროფ. ან. რაზმაძე. იგი დაწვრილებით სწერს 1924 წლის 25 მაისს გეტინგენიდან ქართული უნი-

ვერსიტეტის რექტორს, რომ მას პროფესორებმა ძალიან უქეს ჩვენი თანამემამულე ფიზიკის დოქტორი ივანე ნიკურაძე. ის მუშაობს გამოყენებით მექანიკაში, ჰიდროდინამიკასა და ჰიდრაულიკაშიც. ამასთან ერთად იგი გზავნის ი. ნიკურაძის შესახებ გეტინგენის უნივერსიტეტის რექტორის მომართვას თუ საჭირო იქნება, გამოგიგზავნით მის დისერტაციას, მისი მეცნიერ ხელმძღვანელისა და ჩემს მოხსენებას ამ ნაშრომის შესახებო. შემდეგ, მშობლიურ უნივერსიტეტზე ზრუნვით გამსკვალული, ანდრია რაზმაძე სწერს: „ჩვენთვის ივანე ნიკურაძე ძლიერ სასარგებლო იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენ ძლიერ ღარიბი კართ მეცნიერული ძალებით სწორედ იმ დარგში, რომელშიაც ნიკურაძე მუშაობს. მე მგონია, რომ ძლიერ შევეუწყობდით ხელს მის მეცნიერულ მუშაობას, თუ რომ დავტოვებდით მას ფიზიკის კათედრასთან. რა თქმა უნდა, გაძლიერებული სტიპენდიით“. თვითონ ანდრია რაზმაძე ასე ახასიათებდა ივ. ნიკურაძეს: „ერთი სიტყვით, მასში მე დავინახე შრომისმოყვარე ნიჭიერი და მეცნიერებით გატაცებული ადამიანი. მომავალში მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს უნივერსიტეტსო“.

პროფ. ივ. ნიკურაძემ საბოლოოდ ვერ მოახერხა თავისი მეცნიერული კვლევა-ძიება სამშობლოში განხორციელებინა.

იმის გამო, რომ თბილისში არ არის შესაბამისი სპეციალისტები, 1924 წლის 16 ოქტომბერს პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში ან. რაზმაძე ივ. ჯავახიშვილს სწერდა, რომ სთხოვს, გამოთქვას აზრი მის გადაწყვეტილებაზე დისერტაციის პარიზში დაცვის თაობაზე. როგორც ჩანს, ამაზე თანხმობა მიიღო რექტორისაგან. 1925 წლის 6 აპრილს ანდრია რაზმაძე პარიზიდან სწერდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს, რომ აპრილის ბოლოს მოხდება დისერტაციის დაცვა. „იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად ჩატარდება, დისერტაციის დაცვის შემდეგ დაუყოვნებლივ დაებრუნდები საქართველოში. თბილისში ვიქნები მაისის პირველ ნახევარში... ჩემი აქ მუშაობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჩამოსვლისთანავე მოგიყვებით ყველაფერს. აქ ზშირად ვხვდები ზ. ავალიშვილს. მას უნდა ტფილისში დაბრუნება. ძალიან კარგი იქნებოდა რომ ეს მოხერხებულყო, შეიძლება აირჩიოს იგი უნივერსიტეტმა პროფესორად. მე გთხოვ აგრეთვე ზ. ნანეიშვილის შესახებაც. მასაც ძალიან უნდა დაბრუნება. თუ რაიმე დადგენილება იქნება მიღებული მათ შესახებ, მაცნობეთ და მე დაუყოვნებლივ გადავცემ ორთავეს“. პედაგოგიური ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე 1925 წლის 26 ივნისის ბოლოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ათანაბრებს პროფ. ან. რაზმაძისათვის მინიჭებულ დოქტორის ხარისხს თბილისის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხთან.

ცალკე უნდა ითქვას გრიგოლ წერეთლის მონაწილეობაზე ნეაპოლის უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმში.

ნორჩი თბილისის უნივერსიტეტი პირველად მონაწილეობს სხვა უნივერსიტეტის იუბილეზე და ისიც 700 წლის თავზე მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტისა. მაღალგანათლებული, საამაყო შვილი გაგზავნა ქართველმა ხალხმა ნეაპოლში.

რექტორმა არა მარტო გზა დაულოცა სახელოვან პროფესორს და მეგობარს, არამედ თხოვნა-დავალებითაც მიმართა, იქნებ ვატიკანში გასცნობოდა ქართულ წიგნებს, იქნებ დაედგინა, სწავლობდნენ თუ არა ქართველები ნეაპოლის უნივერსიტეტში. რა იციან ქართველებზე, იქნებ მისაწვდომი გამხდარიყო რომის პაპისადმი ქართველი მეფეების წერილების გაცნობა. გ. ფ. წე-

რეთელი რექტორთან შეთანხმებით გერმანიაშიც დარჩენას აპირებს პაპირუსებზე მუშაობის გასაგრძობად.

გ. ფ. წერეთლის ყოფნა ნეაპოლში თბილისის უნივერსიტეტის სახელით თვითონ მან შესანიშნავად აღწერა, რაც დაიბეჭდა ჟურნალ „ახალ კავკასიონში“ 1925 წლის № 1—2 სათაურით „ნეაპოლი-რომი-ბერლინი“. ამიტომ ჩვენ აღარ ვთვლით აუცილებლად ამ მშვენიერი სტატიის შინაარსი გადმოცემა. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ გ. ფ. წერეთლის წერილების იმ ადგილებს ივ. ჯავახიშვილისადმი, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა გამოქვეყნებულ ნარკვევში.

გ. ფ. წერეთელი ერთადერთი წარმომადგენელი იყო საბჭოთა კავშირიდან. იგი პირველად როდი იყო იტალიაში, მაგრამ ახლა მას ემაყუება, რომ თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელია. მისი წერილების ყველა სტრიქონიდან გამოსჭვივის სწრაფვა ამ ახალფეხადგმული უნივერსიტეტის დაწინაურებასა და წარჩინებაზე. ნეაპოლიდან, პომპეიდან გამოგზავნილი წერილები მხატვრულად აგვიწერენ წარუშლელ შთაბეჭდილებებს. 1924 წლის 12 მაისს ნეაპოლიდან იგი იწერებოდა, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტის რექტორს გადასცა მხატვრულად შესრულებული საზეიმო ადრესი თბილისის უნივერსიტეტისა, რომელსაც ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია. აგრეთვე ცნობა საქართველოს ადრინდელი ურთიერთობისა ნეაპოლის უნივერსიტეტთან და რომ იგი დაიბეჭდება (აღმოჩნდა, რომ XVI საუკუნეში აქ თურმე ქართველი სტუდენტი გელოვანი სწავლობდა სამართლისმეცნიერებას). გ. წერეთელს ნეაპოლის შემდეგ ვენეციის ნახევას სთავაზობენ, მაგრამ ამაზე იგი უარს ამბობს. რომსა და ბერლინში ექჩარება პაპირუსებთან შესახვედრად. რომიდან გამოგზავნილ წერილში აღტაცებული გადმოსცემს ადრინდელ ნაცნობებთან შეხვედრას. 1924 წლის 4 ივნისს წერილში იგი აღწერს ვატიკანის ბიბლიოთეკაში მუშაობას. „ვატიკანში ჩემს შიშარტ დამოკიდებულება საზეიმოა: ჩემი ძველი მეგობარი Mercati (ახლ. იგი ბიბლიოთეკის პრეფექტია) მე შემხვდა როგორც მკვლევარიდან მოსულს; მას არ ჰქონდა ცნობები 1912 წლიდან და სთვლიდა, რომ გარდავიცვალე და დიდად გაიხარა ხელახლა რომ დამინახა...“ ბიბლიოთეკით სარგებლობის რთული წესები მასზე, როგორც ძველ ნაცნობზე, არ გაავრცელეს. „თავს ვგრძნობ როგორც შინ და სიტყვის პირდაპირი აზრით ვტყუები. დღეს გამოვიკითხე ცნობები ქართული ხელნაწერებისა და დაბეჭდილი წიგნების შესახებ“. 15 ხელნაწერი აღმოჩნდა. აქედან გადაარჩია 4 ყველაზე საინტერესო. მათგან აიღებს ფოტო ასლებს. თეიმურაზის წერილი პაპისადმი იყო, მაგრამ მას ვერ ნახულობენ Mercati-მ მაჩუქა პირველი ტომი ბერძნული ხელნაწერების ვატიკანის კატალოგისა. ესაა კატალოგების შესახებ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა. „ამ ნიმუშის მიხედვით უნდა შევადგინოთ კატალოგები ჩვენ“. 1924 წლის 19 მაისს გამოგზავნილ წერილში აღწერს შეხვედრას იტალიელ მკვლევართან პროფ. ა. პალმიერისთან. მას ადრე პეტერბურგში ხვდებოდა. ახალი შეხვედრა მეტად სასიამოვნო იყო. „მასთან ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ საქართველოს შესახებ (საქართველოთი ის ძალიან დაინტერესებულია), ჩვენს უნივერსიტეტზე, თქვენს შესახებ. დიდ მოკითხვას გითვლით (იმის იმედით, რომ თქვენ იგი არ დაგვიწყენიათ) და ვისაუბრებთ დღეს საღამოს (მას უნდა ჩემთან მოსვლა)“. გ. ფ. წერეთელი ნანობს, რომ არ წამოიღო მისთვის გადასაცემად ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ჩუბინაშვილის, ს. ყაუხჩიშვილის შრომები და უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემები. განსაკუთრებით ნანობს ხანძრის შესახებ „მოამბეში“ დაბეჭდილი სტატიის წამოუღებლობას. რექტორის სთხოვს, ბრძანება გასცეს, რომ ეს წიგნები გამოსაგზავნად გაამზა-

დოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ. „რაც უნდა დაგვიჩდეს, უნდა მივალწით იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი აღიარებულ იქნას, რომ ის არ იყო terra incognita. საქართველოსადმი ინტერესი აქ დიდია: ყველანი ხედავენ, რომ ჩვენ ქართველებს უნარი შეგვწევს ვიზაროვნოთ და ვიმუშაოთ. ამის დამადასტურებელია ჩვენი გამოცემანი. მხოლოდ საჭიროა ქართულად დაწერილ სტატიებს თან ერთვოდეს რეზიუმე ერთ-ერთ უცხო ენაზე“. ბოლო წერილს რომიდან 1924 წლის 11 ივნისს გზავნის. ვატიკანის პროპაგანდაში, სადაც დაშვების ნებართვას თვითონ რომის პაპი იძლევა, გასცნობია ქართულ წიგნებს. თეიმურაზის წერილები ვერ ნახეს.

მხოლოდ ხუთზე ცოტა მეტი წლის იყო თბილისის უნივერსიტეტი, როცა იგი 700 წლიან უნივერსიტეტის ზეიმზე გზავნიდა თავის პროფესორს. წარმომადგენლობა ღირსეული იყო. რასაკვირველია, უნივერსიტეტის სახელს მათი პროფესორები ჰქმნიან.

ივანე ჯავახიშვილი, სახელგანთქმული მეცნიერი, უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი რექტორი უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტობაში. აქ მარტო სიბრძნისმეტყველებისა და სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები არ იგულისხმება, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა. ყოველი სტუდენტი სიყვარულით ატარებდა გულში მის ნათელ სახეს. მის შესახებ ხომ შესანიშნავი შედარება დაგვიტოვა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა: თავისი სულიერი სიმშვიდითა და კეთილშობილებით ივანე ჯავახიშვილი ძველ ბერძნულ ქანდაკებას მაგონებს, ხოლო ეს ქანდაკება გააცოცხლა და გრძნობით აღავსო სამშობლოს სიყვარულმაო.

მომთხოვნელობას რექტორი უხამებდა სტუდენტთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას, მათი ყოფის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, თანაგრძნობას¹. რამდენი შეღავათი გაუწევია რექტორს ხელმოკლე სტუდენტისათვის, რამდენი მათგანის შრომით მოწყობაზე უზრუნვია, რამდენი დაგვიანებით მოსული ჩაუარიცხავს, როცა ამისათვის საპატიო მიზეზი უნახავს. შემდგომ უკვე ცნობილი პროფესორი ქსენია ცხაკაია იგონებს: „1919 წელი იყო. თბილისის უნივერსიტეტს შეემატა ახალი განყოფილება — აგრონომიული, სადაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი სწავლის დაწყება. ამ მიზნით მოვემგზავრებოდი საქართველოში შორეულ სოფელ პლასტუნკიდან, რომელიც სოჭის მახლობლად მდებარეობს. გადმოვლახე შავი ზღვა, გამოვექეცი დენიკინელებს, მაგრამ თბილისში ჩამოსვლა მაინც დამაგვიანდა: საბუთების მიღება უკვე დამთავრებული იყო. მირჩიეს ბატონ ივანესთან მისვლა. გაუბედავად დავაკაქუნე კარზე. მას მღვიანი არ ჰყავდა, მთხოვნელები პირდაპირ შედიოდნენ კაბინეტში. შემეპატიო და დამიყვავა: „რაზე შეწუხებულხარ, შვილო?“ — ამ სიტყვებმა გამბედაობა შემმატა, გულისნადები ვუთხარი. ყველასათვის ცნობილი იყო, რა გულისხმიერად ეკიდებოდა თითოეულ სტუდენტს ეს დიდი ადამიანი. მეც

¹ აკადემიკოსი ივანე ფიფია იგონებს: 1923 წელია. II კურსის სტუდენტი ვარ. ფილტვების ტუბერკულოზით გარდაიცვალა მწვავე სიღარიბეში მყოფი თანაკურსელი. იგი ცხოვრობდა უმზეო ოთახში დუშეთის (ახლანდელი ა. ნიკოლაძის) ქუჩაზე, დასთან და დედასთან ერთად. სტუდენტმა დასაფლავების ღლე და სათი გაზეთში გამოაცხადებლ. ერთი საათია აღრე შემოვიდა უნივერსიტეტის რექტორი „მან გვთხოვა მიცვალებულის დედასთან მივიყვანა. შევიდა პატარა ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა და დედას სამძიმართან ერთად სანუგეშო სიტყვებით მიმართა. დაესწრო პანაშვიდს. ამხანაგებმა გამოვასვენებლ მიცვალებული ივანე ჯავახიშვილი თავშიშველი გამოაყვა მცირერიცხოვან პროცესიას“.

ყურადღებით მომისმინა. ყოველივე დინჯად აწონ-დაწონა და.. „ჩაირი-ცხოსი“

ფრთაშესხმულმა დავტოვე მისი კაბინეტი“.

არც რექტორობამდე, არც რექტორობისა და მის შემდეგ ერთხელაც არ ცდილა ივანე ჭავჭავიძე, რომ გამოძღვლის ზედმეტი სიმკაცრითა და გადაქარბებული მომთხოვნელობით თავისი ავტორიტეტი გაეძლიერებინა. მოთხოვნის ობიექტურობასთან ერთად, ის მზად იყო რამდენიმე დღით გადაედო სტუდენტის გამოცდა, თუ ჩათვლიდა, რომ დამატებითი მუშაობის შემდეგ მისთვის მაღალი ნიშანი დაეწერა. ბევრჯერ რექტორი ამას თვითონ თავის კაბინეტშიც აკეთებდა.

უნივერსიტეტის პროფესორის მუშაობა თავის სტუდენტებთან მთავარი იყო. პირველი სტუდენტები ხომ შესაშური თავგამოდებით ეუფლებოდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგს. ივანე ჭავჭავიძის ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობის მთელი სისტემა ჰქონდა შემუშავებული. 1922 წლის ივლისი ივანე ჭავჭავიძისათვის დიდი სიხარულის დრო იყო: ქართულ უნივერსიტეტდამთავრებულთა პირველი გამოშვება უნდა მიეღო სამშობლოს. ამ დღის დადგომისათვის მან ხომ ყველაზე მეტი გაიკეთა. ფრიად გაიხარა ივანე ჭავჭავიძე, როცა მხატვრულად შესრულებული ადრესი მიიღო თავის აღზრდილებისაგან. ყველაფერმა მოხიბლა იგი: გულწრფელმა ტექსტმა და მისმა მაღალმა ხელოვნებამ.

„დიდად პატივცემულო ძვირფასო მასწავლებლო, ბატონო ივანე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტის საისტორიო დარგის კურსდამთავრებული საქართველოს ისტორიის სემინარში მომუშავე სტუდენტთა პირველი წყება გიძღვნი თქვენ ნიშნად გულითადი მადლობისა და უღრმეს პატივისცემისა მცირე სახსოვარსა და სურათს: ამა ღირებულებით მცირე ძღვენში ჩაქსოვილია თქვენდამი უღრმესი მადლობა იმ დიდი და ხელთუქმნელი განძისათვის, რომელიც ჩვენ თქვენგან მივიღეთ: ეს არის უანგარო სიყვარული-სამშობლოსა და მისი წარსულის ცოდნისადმი, თქვენი მადლიანი კალმითა და სიტყვით ჩვენს გულში ღრმად ჩანერგილი.

ჩვენ განსაკუთრებული ბედნიერება გვხვდა წილად: ამ ოთხი წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პირობებისა, თქვენმა დაუღალავმა და თავგანწირულმა ხელმძღვანელობამ დაგვაახლოვა დასახულ მიზანს. თქვენს ამგვარასოდეს არ დავივიწყებთ და გარწმუნებთ, რომ თქვენგან მიღებულს ცოდნას შეძლებისდაგვარად გავანაყოფიერებთ და მოვახმართ ერის სამსახურს.

გიძღვნით მოწიწებით გულწრფელ სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას“.

ადრესი შესრულებულია მხატვარ დიმიტრი შვეარდნაძის მიერ. ივ. ჭავჭავიძის ყოველთვის ხიბლავდა ქართული კულტურის ეს დაუღალავი მუშაკი, რომლის თაოსნობითაც 1911 წლის მარტში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ შეიქმნა. იგი იყო უაქტიურესი მონაწილე ნაბახტევის ექსპედიციისა, მისი ინიციატივით ივ. ჭავჭავიძელმა რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა ქართული ხელოვნების ისტორიაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ივანე ჭავჭავიძელმა და ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტის ღერბის შექმნის წინადადება დიმიტრი შვეარდნაძეს მისცეს. 1918 წლის 5 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დიმიტრი შვეარდნაძის მიერ შემუშავებული ვარიანტიდან მოიწონა ერთი. მასზე გამოხატულია შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. აქ შველი მასაზრდოებელი დედის — ალმა მატერის მარადიულ იდეას

გამოხატავს. ღერბს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა ტრადიციული ქართული არშა-ბალთები, რომლისთვისაც ავტორმა ოსტატურად გამოიყენა გვიანი ბრინჯაოს ხანის ქართული ხელოვნების მოტივები.

ახლანდელი უნივერსიტეტის ღერბი სწორედ მოდერნიზაციაა შევარდნა-ძინეულისა. ახლა მასზე გამოხატულია ცხველადისეული შენობის ფონი და შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნეკრს.

პირველი გამოშვებით ხარობდა მთელი ჩვენი ხალხი. ხარობდნენ თვით კურსდამთავრებულები. მათ თხოვნით მიმართეს უნივერსიტეტის საბჭოს, ნება დაერთოთ ატარონ გულზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ღერბი შემდეგი წარწერით: „ტფილისის უნივერსიტეტი. 1922 წელი“. მათ ამისათვის პროფესორთა საბჭოს ნებართვა მიიღეს.

უნივერსიტეტი როდი ამთავრებს თავის ფუნქციას მეცნიერ-სპეციალისტის აღზრდით. უნივერსიტეტის არსებობა აუცილებლობით გულისხმობს მეცნიერული ხარისხების მიკუთვნებას. ამას კი წინ უსწრებს ნიჭიერი და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის მქონე კურსდამთავრებულის 1—3 წლით უნივერსიტეტში დატოვება ჯერ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, ხოლო შემდეგ პროფესორობისათვის მოსამზადებლად. მაშასადამე, აქ ლაპარაკია დღევანდელი გაგებით ასპირანტურაზე. ამასთან, არავითარი მისაღები გამოცდები ასპირანტურაში არ არსებობდა. საკმარისი იყო პროფესორის შუამდგომლობა და შემდგომ სამეცნიერო საბჭოს დამტკიცება.

28 კურსდამთავრებულთაგან 7 კაცი შეირჩა უნივერსიტეტში დასატოვებლად პროფესორობისთვის მოსამზადებლად. ორი მათგანის — სიმონ ჭანაშიასა და თამარ ლომოურის წარდგინება ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა. შვიდ კურსდამთავრებულთაგან 5 (სიმონ ჭანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, შალვა ამირანაშვილი და კოტე ბაქრაძე) მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდნენ და სხვა უნივერსიტეტში ერთი სემესტრიც არ უსწავლიათ. სწორედ მათ მაგალითზე უნდა დადასტურებულიყო, რამდენად მზად იყო თბილისის უნივერსიტეტი, საკუთრივ აღეზარდა მეცნიერული ძალები. ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით დატოვებული სიმონ ჭანაშია თავიდანვე წარმატებით იწყებს მეცადინეობას. მის ერთი წლის მუშაობას ასპირანტურაში ასე აფასებს ივანე ჯავახიშვილი: „სიმონ ჭანაშია ყველა თავის ტოლ ამხანაგებში თავისი ნიჭით, მკვირცხლი გონებითა და შრომისმოყვარეობით ერჩეოდა.

სტუდენტობის დროიდანვე რამდენიმე მოხსენება დაწერა. საუკეთესოდ სწავლობდა, როგორც ქართულსა და საქართველოს ისტორიას, არაბულს, სპარსულს და სომხურსაც. მისი სადიპლომო შრომა კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან. ერთი წლის განმავლობაში მუყაითად ემზადებოდა და პატარ-პატარა გამოკვლევებიც დასწერა. ამიტომ დატოვების ვადა განეგრძო კიდევ ერთი წლით“. ს. ჭანაშია 43 წლის ასაკში, პირველი თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის, გახდა სსრკავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. უნივერსიტეტის აღზრდილი პირველი ხუთი ასპირანტიდან ყველა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა.

ნიჭიერ ახალგაზრდებს რომ წვრთნიდა, ივანე ჯავახიშვილი, მათ წარმატებების აღნიშვნასთან ერთად, სრულიადაც არ ასუსტებდა მომთხოვნელობას მათ მიმართ. მოწაფეთა ზედმეტ შექებას შეეძლო მათი წინსვლის შეჩერება, თვითდაჭერება, საკუთარი თავისადმი გაზვიადებული რწმენა და საბოლოოდ

მეცნიერ-მკვლევარის ზრდის შეჩერება, ჩამორჩენა, ერთი ადგილის ტყეპნა გამომეწვია.

რექტორობა დროის დაუზოგველობას მოითხოვდა სრულიად სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას. ივანე ჭავჭავიძევილი დროს ასე უშუალოდ ხარჯავდა უნივერსიტეტის შინ და გარეთ. ჩვენ აქ მარტო ის კი არა გვაქვს მხედველობაში, რომ ივანე ჭავჭავიძევილი თავისი ხელით წერდა ყველა უმნიშვნელოვანეს საბუთს, რომელიც უნივერსიტეტის სახელით იგზავნებოდა. ბევრ მათგანზე ჩვენ ხომ უკვე მიუღუთითეთ. ხშირად მომზდარა, ივანე ჭავჭავიძევილის ხელით დაწერილი საბუთი შემდეგ თავისი აზრის გამოხატვად ჩაუთვლია უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს. მისი ხელით დაწერილი ოფიციალურ დოკუმენტებში უალრესად ლირიკულ გამოთქმებსაც შეხვდებით.

ოფიციალური მიმოწერის მრავალი ფურცელი ივანე ჭავჭავიძევილისეული უღამაზესი, ქართული ჩუქურთმებით ჩამოჭილი ხელრთვით ინახება საუნივერსიტეტო საარქივო ფონდებში, სტრიქონებს შორის სამშობლოს და მეცნიერების უნაპირო სიყვარულის სუნთქვას რომ გრძნობთ.

ივანე ჭავჭავიძევილი, როგორც რექტორი, საკიროდ თვლის, დაესწროს მრავალ კონფერენციას, კონგრესს, შეხვედრას. ხშირად აქტიურად მონაწილეობს უშუალოდ მათ მუშაობაში. ყოველთვის მაღალი მეცნიერული კომპეტენტურობით ხდება მისი ამგვარი თანამყოფობა მეცნიერთა სხვადასხვა ფორუმებზე. იმ დროს, როცა ვერ ახერხებს ამგვარ მონაწილეობას, მიზანშეწონილად მიიჩნევს, წერილობით აღნიშნოს მისი მიუსვლელობის მიზეზი; 1926 წლის 21 მაისს უნივერსიტეტში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა IV კონგრესი. კონგრესისადმი მისასალმებელ წერილში თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავიძევილი წერდა: „გულწრფელი სიხარულით სალამს ვუძღვნი მეოთხე სამეცნიერო კონგრესს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელითა და პირადადაც ვუსურვებ მას კვლავინდებურად ნაყოფიერ მუშაობას მეცნიერებისა და ჩვენი საყვარელი ერის საკეთილდღეოდ. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობამ საშუალება მომისპო, პირადად გზღებოდით მისასალმებისათვის და „ძველ საქართველოში კვების“ შესახებ პატარა მოხსენების წაკითხვით პატარა წვლილის შეტანის შესაძლებლობა ამ დიდ საქმეში, რომელსაც კონგრესი ემსახურება, წამართვა“.

ეს მოხსენება არ დაბეჭდილა დღემდე, მაგრამ იგი გამოყენებული აქვს მას „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“.

ივანე ჭავჭავიძევილამდე, როგორც შენიშნავს აკადემიკოსი ირ. ტატიშვილი. კვების ჰიგიენა საქართველოში არსებითად არავის გაუშუქებია.

ივანე ჭავჭავიძევილი მრავალ ოფიციალურ შეხვედრაზე წარმოადგენდა თბილისის უნივერსიტეტს: 1925 წლის მარტში თბილისში სრულიად საქავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია შეიკრიბა. თბილისის უნივერსიტეტის სახელით გულმხურვალედ მიესალმა მათ რექტორი ივანე ჭავჭავიძევილი. ის უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის სახელით მოიპატოიებს სტუმრებს უნივერსიტეტის დასათავალიერებლად, თუმცა ჩქვე აღნიშნავს, რომ შეიდი წლის უნივერსიტეტს არაფრით არ შეუძლია გააკვიროს სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც უნახავ და აქვთ მრავალსაუკუნოვანი ანდა მრავალათეული წლის უნივერსიტეტები, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო შეუძლიათ ნახონ, რაც ქართულმა უნივერსიტეტმა საბჭოთა მთავრობის დახმარებით, ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით გააკეთა.

სწორედ ეხლა, ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ივანე ჭავჭავიძევილმა, როცა

„კვლავ მიეცა საშუალება სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინებისა... ამ მომენტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, თავისი შესაძლებლობებისამებრ იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს უარესად ქმედით მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, რომელიც ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ მიმართული“.

ივანე ჭავჭავიძეილი სხვადასხვა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებთან კავშირურთოერთობის დამყარებით ცდილობს გამოიწვიოს გზები უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი მიმართვა, 1924 წლის 10 აგვისტოს დაწერილი, მასში იგი აღნიშნავს იმ დღეებში გამოცდილებას, რის საფუძველზეც ბოლო დროს საბჭოთა რუსეთის უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელმწიფო ტრესტებისაგან თავიანთი მუშაობისათვის დიდი თანხების შექნა მოახერხეს... რომ ამიტომ პატარა საქართველოს ერთადერთ უნივერსიტეტს არანაკლებ ესაჭიროება გულშემატკივართა მზრუნველობა. იგი წერდა: „დაწმენებული ვარ, რომ ისეთი დიდი და შეძლებული დაწესებულებანი, როგორც საქართველოს კოოპერატივთა კავშირთ-კავშირი, ცუკავშირი და წარმოკავშირია, რომელთა მიზანიც აგრეთვე საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღორძინებაა, ჩვენი უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას თავიანთი დახმარებით სიამოვნებით შეუწყობენ ხელს. სხვებზე მეტად უნივერსიტეტის სულისკვეთება მათთვის უნდა იყოს და არის გასაგებარი. წინათაც ამ დაწესებულებებს არა ერთი ქართული კულტურული საქმის მოთავეთათვის გაუმართნიათ ხელი“.

უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ივანე ჭავჭავიძეილი ასე აძლიერებდა სხვადასხვა დაწესებულებათა პატრიოტულ განწყობას მეცნიერების სასარგებლოდ. ეს საბოლოო ანგარიშით თვითონ წარმოების დაწინაურებისათვის იყო მნიშვნელოვანი, „ეინაიდან თანამედროვე ცხოვრება ყველა თავის კულტურული და ეკონომიური მხარეებით, მისი წარმატებული დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმკიდროესად დაკავშირებული. სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმალ პრაქტიკული ცხოვრებისთვისაც არის ხოლმე გამოყენებული და ხშირად თვით აღმომჩენისათვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს“.

ივანე ჭავჭავიძეილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ უნივერსიტეტისათვის მხარდაჭერას და ზურგის გამაგრებას, რასაც შემდგომ წლებში მრავალი სასარგებლო შედეგი მოჰყვა. ბევრი ორგანიზაცია მზად იყო უნივერსიტეტისათვის ყველა შესაძლო დახმარება აღმოეჩინა.

ივანე ჭავჭავიძეილის რექტორობის ხანაში არა მარტო მთელი სისრულით და გამკვირვალობით გამოჩნდა მრავალ დარგში მისი კომპეტენტურობა, მეცნიერ-ორგანიზატორის დიდი უნარი, არამედ აგრეთვე მისი მოქალაქეობრივი დიდბუნებოვნობაც. ამიტომაც ივანე ჭავჭავიძეილის—მეცნიერის, ორგანიზატორის, ადმინისტრატორის მოქმედება სანიმუშო და მისაბაძი. საზოგადო, საერთო საქმის გადაწყვეტისას იგი სრულიად გამორიცხავდა პირადულს, მიკერძოებულს. ამიტომაც იყო, რომ მასთან ზნეობრივ დასაყრდენს პოულობდა ბევრი ისეთი საქმე, რომელიც დიდად შორდებოდა ივანე ჭავჭავიძეილის მიერ დაკავებულ ყოველ ოფიციალურ თანამდებობას. ივანე ჭავჭავიძეილი მაღალი ღირსებით ახორციელებდა სარექტორო მოღვაწეობას. ღრმა კომპეტენტურობასთან

ერთად იგი სადად, მშვიდად, თანამშრომელთა მიმართ უდიდესი გულისხმიერებითა და მათი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებით ასრულებდა რექტორის მოვალეობას. ივანე ჭავჭავიძე იყო ყოველივე ამას შესანიშნავად ახამებდა თვითული მეცნიერი მუშაკის მიერ თავისი მოვალეობის უწმინდესად შესრულების უკომპრომისო მოთხოვნებთან. აქ მაგალითს თვითონ რექტორი იძლეოდა. თავისი ყოფნით, საქმეში მონაწილეობით ივანე ჭავჭავიძე მალაღწეობრივს, მაღალინტელექტუალურ გარემოს ქმნიდა, რაც ადვილებდა მისი ხელმძღვანელობით მუშაობას.

უნივერსიტეტის მეცნიერები მრავალნაირი რჩევისთვის მიმართავენ ივანე ჭავჭავიძეს. მისგან ყოველთვის გულმართალ პასუხს ისმენენ. უნივერსიტეტის ყოველ ახალმიღებულს რექტორი გულთბილ შეხვედრას უწყობს.

1920 წლის აგვისტოს ბოლოს ნათელი ღიმილით ხედება ივანე ჭავჭავიძე პეტროგრადის ახალგაზრდა მეცნიერს ნიკო მუსხელიშვილს. დიდად უწონებს რექტორი მას სემპობლოში დაბრუნებას. ნ. მუსხელიშვილი რექტორს — დიდ ისტორიკოსს — ამცნობს, რომ მას სურს მომავალში ატაროს გვარი მუსხელი. ივანე ჭავჭავიძე არ უწონებს ამ განზრახვას. აღნიშნავს, რომ სხვა. თუ მეცნიერული ფსევდონიმი უნდა, მას კი შესანიშნავი, ძველთაძველი ქართული გვარი აქვს.

ნიკო მუსხელიშვილი აღფრთოვანებულია იმ მიღებით, უნივერსიტეტის რექტორმა რომ მოუწყო. ახლა მას რეალურად ესახება ეროვნულ ნიადაგზე ახალგაზრდა მათემატიკოსთა გამოვლინებისა და დაწინაურების დიდი პერსპექტივა.

ივანე ჭავჭავიძელის რჩევითა და დახმარებით ნიკო მუსხელიშვილმა სულ მალე არა თუ ქართულად დაიწყო ლექციების კითხვა, არამედ იგი ინტენსიურად ჩაება მათემატიკური, ფიზიკური და ტექნიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში.

ივანე ჭავჭავიძე აქტიური მხარდამჭერია ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული წინსვლისა. 1922 წლის გაზაფხულზე თბილისის უნივერსიტეტი ფრანგულ ენაზე აქვეყნებს ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიას „კოშის ტაძის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი პრობლემის შესასწავლად“.

ამ წიგნმა საქვეყნოდ დაადასტურა სრულიად ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური დონე და მსოფლიოში სახელი მოუხვეჭა ავტორს. წინასიტყვაობაში ნიკო მუსხელიშვილი წერს: „ჩემს მოვალეობად ეთელი, უღრმესი მადლობა გამოვეცხადო ამ წიგნის დაბეჭდვისათვის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს, განსაკუთრებით ბატონ რექტორს პროფესორ ივანე ჭავჭავიძეს იმ ცხოველი ყურადღების გამო, რომელსაც იგი იჩენდა ამ წიგნისადმი“.

ივანე ჭავჭავიძე სანიმუშო გულმოდგინებასა და ობიექტურობას იჩენდა სხვისი მეცნიერული დამსახურების აღნიშვნასა და დაფასებაში. მას არასდროს ავიწყდებოდა სხვისი იუბილეების მოწყობისთვის ზრუნვა, ვინაიდან სიცოცხლეშივე ღვაწლის აღნიშვნა ფრიად სასარგებლოა: სამართლიანი ქება სულიერ მხნეობას ანიჭებს შემოქმედს. ცნობილია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტი რომ დაამთავრა ივანე ჭავჭავიძე, პროფ. ა. ცაგარელმა ხელი შეუშალა მის დატოვებას საპროფესოროდ მოსამზადებლად, ე. ი. მის ასპირანტურაში ჩარიცხვას. ეს ცუდად არ დაუმახსოვრა ივანე ჭავჭავიძე საყვარელ მასწავლებელს, რომელსაც ასე დიდი დამსახურება აქვს ქართული

კულტურის შესწავლაში. მეტიც, 1922 წელს უნივერსიტეტმა გადაუხადა პირველი იუბილე თავის პროფესორს და ეს ალექსანდრე ცაგარლის იუბილე გახლდათ. მისი ორგანიზატორი უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავიძელი იყო. თავის უპარესად გულთბილ შესავალ სიტყვაში სიყვარულით ლაპარაკობს პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის გამო. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ალექსანდრე ცაგარლის დამსახურება ეპოქალოია, მის შრომებზე თაობები ისწავლიან“.

ამ მართალი სიტყვებით დახასიათებული იყო ალექსანდრე ცაგარლის მეცნიერული და საზოგადოებრივი ღვაწლი, რომელთანაც კავშირში უმნიშვნელოდ ჩანს ამ ნიჭიერი, მაგრამ ძნელი და რთული ხასიათის მქონე პიროვნების თავისებურებანი. დასაწანი იყო, რომ პროფ. ალ. ცაგარელს უშუალო მოწაფე არ ჰყოლია, რომ მან უარი თქვა როგორც ნ. მარის, ისე ივ. ჭავჭავიძელის ასპირანტად აყვანაზე (ერთადერთი, ვისი წარდგინებაც ასპირანტურაში მან გააკეთა, იუს. აბულაძე იყო, რომელმაც თვითონ ველარ შეხსლო პეტერბურგის უნივერსიტეტის შემდეგ სწავლის განგრძობა).

1902 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი მისი დეკანის აკადემიკოს ვიქტორ როზენის მეთაურობით საჩაროდ აღნიშნავს პროფ. ა. ცაგარლის პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წლისთავს. ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამას. მაშინ ალექსანდრე ცაგარელმა გულწრფელად თქვა, რომ მისთვის ყველაზე დიდი ჭილდო ის იქნება, თუ ჩემი შრომები მომავალ მკვლევრებს საქმეს გაუადვილებენო.

სულ სხვა იყო ზეიმი 20 წლის შემდეგ. იგი სიხარულის ცრემლებით შეხვდა მოწვევას თბილისის უნივერსიტეტში.

თავის სამადლობელო სიტყვაში ალექსანდრე ცაგარელი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მას მარტო როდი უხდება მუშაობა. თუ „იქ დიდხანს მარტო ვიყავი, დრონი იცვალნენ და ეხლა ხუთნი ვართ მასწავლებლად ამ საგნებისათვის. ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ახალგაზრდა ამხანაგები უფრო გააღრმავებენ და გააფართოვებენ იმას, რაც მე და ჩემს წინაპარს დაგვიწყიაო“.

ყველაზე დიდ სიხარულს მას ჰკვირდა სტუდენტთა გატაცება სწავლით. იგი ამბობდა: „მეტადრე კმაყოფილი ვარ მე ჩვენი სტუდენტების გამოცდების შემდეგ, რომელთაც ქართული ლიტერატურის ისტორია აირჩიეს და ასე დაეწაფნენ ამის შესწავლას, როგორც ნათქვამია „მწყურვალე ირემი მიისწრაფვის წყაროზეო“.

ქართულმა უნივერსიტეტმა ახალი ენერჯია შთაბერა მსცოვან სწავლულს.

პეტრე მელიქიშვილის იუბილე კი ნამდვილ ეროვნულ ზეიმად იქცა. ეს ზეიმი კი ივანე ჭავჭავიძელის შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით დაიწყო.

თვით ივანე ჭავჭავიძელს, მთელი ხალხის სიყვარული რომ თან სდევდა უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, სიცოცხლეში არ ჰლირსებია იუბილე, თუ არ ჩავთვლით ენიმკისა და სახელმწიფო მუზეუმის საბჭოების საზეიმო სხდომებს 1939 წ. მართალია, 1925 წელს მოწაფეებმა მას სიურპრიზი მოუწყვეს: უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმის ხელმძღვანელმა აკაკი შანიძემ თითქმის საიდუმლოდ (ამის შესახებ არ უთქვამს თავის მეგობრისთვის გიორგი ახვლედიანისათვისაც) შეკრიბა ივანე ჭავჭავიძელის მოწაფეთა მოზრდილი ჯგუფი და მათ თავისი განზრახვა გაანდო: გადაწყვიტა გამოსცენ კრებული, მიძღვნილი ივანე ჭავჭავიძელის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის-

თავისადმი¹. ამას მოწაფეები სიხარულით შეხვდნენ. მართალია, ყველა გრძნობდა, რომ საჭირო იყო მისი მოახლოებული დაბადების 50 წლისთავი ფართოდ აღნიშნულიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და საქმე იმით მთავრდება, რომ დაუდგრომელი გამომცემელი ანდრო შილაკაძე თავისი ეურნალის „ჩვენი მეცნიერების“ საიუბილეო ნომერს უძღვნის მას (1926 წ. № 17—18), ივანე ჭავჭავაძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავი მისმა ოჯახმა აღნიშნა მხოლოდ.

იფიქრეს რა ეწოდებინათ კრებულისათვის. სიმონ ჯანაშიამ შეარჩია „არილი“ და შემდგომ სხვა ავტორებმაც მოიწონეს იგი. არილი საბას მიხედვით არის: „დასასვენებელი სიწმინდეთანი“, ხეცსურულად კი ნიშნავს „მზის შუქს, რამეზე დამდგარს“. ეს კრებული ასეთი ნათელი სახელწოდებით გამოვიდა 1925 წელს.

კრებულის ტიტულზე ვკითხულობთ: ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ივანე ჭავჭავაძისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავზე (1900 — 1925) მიძღვნილი კრებული.

შემდეგ კი ვკითხულობთ:

„ძვირფას მასწავლებელს ივანე ჭავჭავაძის
პატივისცემით და სიყვარულით
მოწაფეთაგან“.

სულ ეს იყო ნათქვამი ივანე ჭავჭავაძილზე. მშვენიერი მიძღვნაა. იუბილეს აღნიშვნის მისაბაძი ნიმუშია.

სტატიის ავტორები იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის დროინდელი სამი მოწაფე: აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი და ს. ყაუხჩიშვილი და 6 მოწაფე თბილისის უნივერსიტეტიდან: ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, თ. ლომოური, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და გ. ჭაკობია.

კრებულში დაიბეჭდა: სვიმონ ჯანაშიას „ცხოვრება საბა ასურისაჲ“. ეს ძეგლი მას ივანე ჭავჭავაძილმა გადასცა იმ ფოტოგრაფიების სახით, რომლებიც მან გადაიღო სინას მთაზე ექსპედიციის დროს ჯერ კიდევ 1902 წელს. შალვა ამირანაშვილის ნაშრომი „ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები“; თამარ ლომოურის „სუმბატ დავითის-ძის და გიორგი მერჩულის ცნობები IX—X ს. ქართველ ბაგრატიონიანთა შესახებ“. არნოლდ ჩიქობავას უშუალო დაკვირვების შედეგი, რომელიც წარმოგვიდგენს გარე კახეთს დიალექტოლოგიურად; სიმონ ყაუხჩიშვილის სტატია მიძღვნილი ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. ეს ერთ-ერთი პირველი გამოკვლევაა ქართული ონომასტიკონის შესახებ.

გიორგი ჩუბინაშვილის წერილი მხატვრული შედარების ცდაა. იგი მიძღვნილია ქართული ხუროთმოძღვრებისადმი საშუალო საუკუნეებში და ახასიათებს: მის სან მთავარ კათედრალს — სვეტიცხოველს, ბაგრატიის ტაძარს და ალავერდს;

ვარლამ თოფურიას გამოკვლევა ქართული კილოსადმია მიძღვნილი. გიორგი ჭაკობიას ლეილ-მაცუნიაანის ქართული ვერსიების დახასიათება; აკაკი შანიძის „უშლაუტი სვანურში“ ბრწყინვალე ეტაპური გამოკვლევაა.

¹ კრებულის მიძღვნის ინიციატორი შეცდა: ივანე ჭავჭავაძის სამეცნიერო მოღვაწეობა უფრო მეტი ხნისა იყო. (აკაკი შანიძის შენიშვნა).

ჩვენ შემთხვევით არ ვახასიათებთ ასე დაწვრილებით „არილის“ შინაარსს როგორც ვხედავთ, იგი უნივერსიტეტის ქართველოლოგთა მძლავრი გუნდის გამოკვლევათა კრებულია „მოამბის“ ტიპისა, თუმცა არ აწერია ვისი გადაწყვეტილებითაა გამოსული.

აკაკი შანიძემ შეკრიბა კრებულის ავტორები და თვითონ შეუძღვა ივანე ჯავახიშვილთან. ბევრი მათგანი მეორედ თუ იყო რექტორის კაბინეტში. ივანე ჯავახიშვილმა მადლიერებით ჩამოართვა ხელი თითოეულს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ წყენის კმუნვამ გადაუარა სახეზე. იქნებ იმიტომ, რომ ვინმეს ეს არ მოჩვენებოდა რექტორის წინაშე გადაპარბებულ ყურადღებად, რექტორისა, რომელიც უსაზღვროდ მოკრძალებულია თავისი დამსახურების აღნიშვნისას, თუმცა მისი ნამუშავეისა და ღვაწლის წინაშე ეს უმნიშვნელო ფაქტად უნდა ჩაეთვა-ლა ყველას.

სამწუხაროდ, „არილის“ გამოსვლამ მართლაც წყენა მოუტანა ივანე ჯავახიშვილს.

კვლავ გააბოროტა ამ კრებულმა სარგის კაკაბაძე. იგი ხომ იმ დროს არ ტოვებდა თითქმის არც ერთ სტატიასა და წიგნს ივანე ჯავახიშვილისას, რომ მასზე ღვარძლით დატენილი რეცენზია-ლანძღვა არ დაებეჭდა თავის „საისტორიო მოამბეში“. განსაკუთრებული ძალით, თითქოსდა შეკვეთით, წინასწარი გეგმით აკეთებდა ამას სარგის კაკაბაძე ივანე ჯავახიშვილის რექტორობის პერიოდში¹. ამჭერადაც არ უღალატინა მას თავის თავისთვის.

1925 წელს „საისტორიო მოამბეში“ (წიგნი I) იგი აქვეყნებს რეცენზიას, სადაც ახლა „არილის“ ავტორებს ესხმის თავს. აქ მარტო ის კი არ არის ნათქვამი, რომ საისტორიო დარგი სუსტადაა წარმოდგენილი, რომ ზოგიერთი წერილი სჯობდა სრულიადაც არ დაბეჭდილიყო. მტრობით დაბრმავებული რეცენზენტი დიდ უხერხულობად წარმოიდგენს იმასაც, რომ ივანე ჯავახიშვილმა გადასცა გამოუქვეყნებელი ტექსტი სიმონ ჯანაშიას, რომ მან გამოაქვეყნოს იგი პირველად. მხოლოდ ერთი დადებითი ფრაზა გაიმეტა სარგის კაკაბაძემ, რომ „კრებული გარეგნულად სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას“. რაც მთავარია, ყველაზე დიდ ცოდვად ის მიაჩნდა, რომ კრებული, „როგორც ჩანს, უნივერსიტეტის ხარჯზეა გამოცემული“.

სარგის კაკაბაძის გამოსვლა არა თუ ობიექტური, არამედ არც ლოგიკური იყო და არც ეთიკური. აბა სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოწაფენი აქვეყნებენ ყოველგვარი სასყიდლის გარეშე კრებულში თავის ახალ გამოკვლევათა შესანიშნავ შედეგებს. რა ბედნიერება იყო მოწაფეთა ასეთი გუნდის ყოლა! მხოლოდ ტაში და დიდება ეკუთვნოდა ასეთ მასწავლებელს. იმ მასწავლებელს, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მოწაფეთა

¹ სარგის კაკაბაძემ მხოლოდ ერთხელ მისწერა საბოდიშო წერილი რექტორობიდან წასულ ივანე ჯავახიშვილს. ეს მოხდა 1927 წლის 31 ოქტომბერს. იქ ვკითხულობთ: „დიდად პატრუცემული ბატონო ივანე ალექსანდრეს ძე! ჩემს ძმას დავით კაკაბაძეს, ჩემი თხოვნით ჰქონდა თქვენთან საუბარი იმ ფრთხალ სამწუხარო უსიამოვნებათა შეძლებისდაგვარად სალიკვიდაციოდ, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩემი მხრივ თქვენდა მიმართ 1924—1925 წლების სივრცეზე... გამოვთქვამ ღრმა მწუხარებას ყველა იმ უსიამოვნების გამო, რომელიც 1924—1925 წლებში მე უნებლიეთ მოგაყენეთ წერილობით (საის. საეთნ. საზოგადოების საბჭოს სხდოლზე მიმართულ განცხადებებში) და ბეჭდვით, ფაქტების არა სწორად გაგებით ან შეცდომით წარმოდგენით და არაკორექტული კილოთი. მე საჭიროდ ვცნობ ამ უსიამოვნებათა საერთოდ და კერძოდ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მის შესახებ არსებული მიწერ-მოწერის ფაქტობრივი მხარის სალიკვიდაციოდ გადავდგა საჭირო ნაბიჯები“, თუმცა ს. კაკაბაძეს ამის შემდგომაც ლანძღვა-გინების სტაჟი არ შეუწყვეტია.

დაწინაურებას. ამიტომ მისთვის უცხო იყო ე. წ. მეცნიერული სიხარბე: იგი კი არ ცდილობს გადაინახოს ძველი ხელნაწერი, რომ მხოლოდ მან გამოცეს. არამედ უშურველად და უხვად უზიარებს თავის აზრებს და მასალებს სხვებს და ღიდად ხარობს სხვისი წარმატებებით. როგორ შეიძლება ეს ქმედობა არა-ეთიკურად შეაფასო? ამაზე შორს უსამართლობა ვერ წავა. საკვარველი ერთი იყო: სარგის კაკაბაძის რეცენზიები არა თუ შეუფერხებლად იბეჭდებოდა, არამედ არავინ არ თვლიდა საჭიროდ, ეპასუხა იმ წრეგადასულ ლანძღვაზე, რომელიც ვერავითარი ეთიკის საზღვრებში ვერ ეტეოდა. რასაკვირველია, ამგვარი დამოკიდებულება ზოგიერთ ავტორს გულს გაუტეხდა, ანდა საკუთარ თავში რწმენას შეურყევდა საბოლოოდ. ეს, რა თქმა უნდა, სუსტი ნებისყოფის პიროვნებებს ეხება. გავიხსენოთ, უსამართლო კრიტიკას. არა მარტო ბევრი კარგი წიგნი წაურთმევია კაცობრიობისათვის, არამედ დაუბეჩავენია არასულგრძელი ავტორები, ზოგი კიდევ საბოლოოდ დაუღუპავს. არც ერთ ამთ რიტხვს არ ეკუთვნოდა ივანე ჭავჭავიძე. უმძიმეს სიტუაციებშიც ივ. ჭავჭავიძე ილი გულგატეხილი არავის უნახავს, თუმცა გულნატყენი კი—ხშირად. სარგის კაკაბაძე პირველი და უკანასკნელი როდი იყო, ვინც ჰარწავარდნილი უსამართლობით და უმადურობით უხდიდა ივანე ჭავჭავიძეს. ერის კაცის ივანე ჭავჭავიძის სანახელოდ. და საამაყოდ უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ მოკამათებებს არაერთხელ გამოუჩენიათ უსამართლობა და წრეგადასული მეცნიერული ექსცესები მისი ნაშრომების მიმართ, მაინც ივანე ჭავჭავიძის წარბშეუხრელად მოუსმენია ყოველივე ეს, მასზე მძლავრად, გესლიანად უპასუხნია, როგორც შეუდარებელ პოლემისტს, მაგრამ არსად და არასდროს მისგან უკადრისი სიტყვა მოწინააღმდეგის ღირსების შემლახველი არავის გაუგონია. მეტიც, არც სარგის კაკაბაძის მიმართ და არც სხვების მიმართ არც მაშინ და არც შემდგომ არ გამოუყენებია რევანშის უფლება. პირიქით, ყოველთვის ამალღებულა იგი ადამიანთა სულმოკლეობაზე.

ასევე სანიშნო იყო რექტორის ივანე ჭავჭავიძის დამოკიდებულება უნივერსიტეტის პროფესორთა მიმართ. მშვიდად, სადად, თანამშრომელთა მიმართ ფაქიზი გულისხმიერებით და მათი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებით ასრულებდა იგი რექტორის მოვალეობას, უფრთხილდებოდა მათ ავტორიტეტს, არასდროს არ შემთხვევია, რომ ოდნავადაც მათი თავმოყვარეობა დაემციებინა. ყოველივე ამას ზედმიწევნით ობიექტური და პუნქტუალური რექტორი ახამებდა უკომპრომისო მოთხოვნებთან თითოეული მეცნიერი მუშაკის მოვალეობის უწმინდესად შესრულებისათვის.

როცა იგი ობიექტურ სპეციალისტთა მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ დარწმუნდებოდა, რომ პროფესორი განზრახ უარს ამბობდა უნივერსიტეტის წესდებულების ძირითადი მოთხოვნების შესრულებაზე, მიუხედავად ამ პროფესორის აღრინდელი დამსახურებისა, აყენებდა საკითხს უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე ამ პროფესორის გათავისუფლების შესახებ.

თავაზიანობა ყველასა და თითოეულის მიმართ როდი უშლიდა ხელს ივანე ჭავჭავიძეს, დაეკავებინა თავისი პრინციპული პოზიცია უნივერსიტეტის პროფესორთა შორის წარმოშობილ საკონფლიქტო სიტუაციაში. რასაკვირველია, ხშირად წარმოშობილი კონფლიქტები რთული ბუნებისაა. კონფლიქტი ესაა წინააღმდეგობა ადამიანთა შორის წარმოშობილი სხვადასხვა მეცნიერული, სოციალური და პირადი საკითხების გადაწყვეტისას. შექმნილი

დაძაბული სიტუაციების განმუხტვისათვის დიდმნიშვნელოვანია მეცნიერთა ხასიათის ცოდნა, თითოეულისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

რექტორს, რომელსაც გააჩნია რეალური ხელისუფლება სხვების ქცევაზე. რომელიც მართო უფლებას კი არ აძლევს მას, არამედ მოვალეობასაც აკისრებს, დიდი შესაძლებლობა აქვს, ჩააქროს, განმუხტოს კონფლიქტური სიტუაცია, შექმნას კეთილი მეტოქეობის ვითარება. რასაკვირველია, თვითონ ხელმძღვანელის პირად მაგალითს აქ ფრიად და ფრიად სერიოზული როლის შესრულება შეუძლია. დეტალებში ჩაწვდომის უნარი, მეცნიერ-მკვლევარის და მეცნიერ-ორგანიზატორის ნიჭთან და მაღალმოქალაქეობრივ ბუნებასთან შეერთებული, მართლაც ის ძალა იყო, რომელიც საშუალებას აძლევდა ივანე ჭავჭავიძელს, ჩაეჭრო, განემუხტა საკონფლიქტო სიტუაციები. ყველაზე პირველად აი ამ სიტუაციების წარმოშობის მიზეზები უნდა განსაზღვრულიყო. ივანე ჭავჭავიძელს კარგად ჰქონდა გარკვეული, რომ ზოგჯერ საკონფლიქტო სიტუაცია ყალბად გაგებულ პრესტიჟთან, მეტოქეობის თუ ქიშპობის, ახირების, შუღლის, შურიანობის შედეგი შეიძლება იყოს, ზოგჯერ კი მას კინკლაობა კი არ ჰქონდეს საფუძვლად, არამედ შემოქმედებით ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობები. საკონფლიქტო სიტუაციის სწორად გადაჭრისათვის აუცილებელია ორივე მხარის ადამიანური ღირსებების ფაქიზად დაცვა, ადამიანთა შორის იმის პოვნა, რაც მათ აერთებს და არა იმისა, რაც მათ აშორებს. მაშასადამე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს თვითეული მეცნიერის ფსიქოლოგიური თავისებურებანი. უტაქტობას აქ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, მაგრამ ყველაფრის პატიების გრძნობასაც მეტად სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. იგი სრულიადაც არ უწყობს ხელს კონფლიქტების ჩაქრობას.

მეცნიერული კოლექტივის შექმნა აუცილებლობით გულისხმობს მისი წევრების შემოქმედებითი ინტერესების გათვალისწინებას. ადმინისტრაციული გადაწყვეტა ყოველთვის როდი გულისხმობს მეცნიერული დავის სპეციფიკურობას. ამიტომ ამბობს ივანე ჭავჭავიძელი: „იძულებითი საშუალებით არ შეიძლება მეცნიერულად მუშაობის წარმოება. ჩვენნი საერთო ინტერესებნი როგორღაც უნდა დავეუკავშიროთ მეცნიერთა საკუთარ ინტერესებს. სამეცნიერო კოლექტივში სამხედრო წესებს ვერ შემოვიღებთ... არ შეიძლება ხელჯობნი დავიჭიროთ და ძალით შევდევნოთ მეცნიერი. მუშაკი მეცნიერულ-კოლექტივში“.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მკვლევართა შორის მეცნიერულ-შემოქმედებით ურთიერთდამოკიდებულებას. არ არის სავალდებულო კოლექტივის ყველა წევრს უყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ თუ კოლექტივის წევრთა შორის დაძაბული, გაღიზიანებული, მტრული დამოკიდებულებაა, ამას შეიძლება ზიანი მოჰყვეს თვით მეცნიერების წინსვლისათვის და გამოიწვიოს ცალკეულ მკვლევართა აუარებელი სულიერი და შემოქმედებითი ძალების უაზრო გაფლანგვა. მეცნიერთა შორის მეტოქეობამ არ უნდა გამოიწვიოს ნაყოფიერი კვლევისათვის ხელის შეშლა, ახალი აზრის ჩახშობა. ივანე ჭავჭავიძელის რექტორობის დროს საკონფლიქტო სიტუაციების განხილვა ადასტურებს იმ პრინციპულ როლს, რასაც თვითონ რექტორი ასრულებდა. თანამყოფობით, შთაგონების დიდი ძალით, რჩევით და დარიგებით ივანე ჭავჭავიძელი მაღალზნეობრივ, მაღალ ინტელექტუალურ გარემოს ქმნიდა, აღადგენდა ადამიანთა შორის ურთიერთობის ნაზ მიჯნებს, რწმენის კედელს გაღიზიანებისა და მტრობის ნაცვლად. ამ მიზნის მიღწევისათვის იგი მეტს აკეთებდა, ვიდრე თანამდებობით ევალებოდა. მისი პირუთვნელი თავისებები

უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენდა, ვიდრე ადმინისტრატორის ხელისუფლება. ეს ზეგავლენა უფრო ღრმა და შთამბეჭდავი იყო, ბევრ უნივერსიტეტულს მისი რჩევა, დარიგება და შთაგონება სულიერ საგზლად გაჰყოლია მთელს ცხოვრებაში. ამგვარად გადაწყვეტილი კონფლიქტური სიტუაციის შემდეგ მაღლდებოდა კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობა. ივანე ჭავჭავიძე იტყობს, რომ არც ერთი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელთაც ეშინიათ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისა და ჭიუტად იცავს მას პრესტიჟული მოსაზრებებით, მხოლოდ ფიქტომ, რომ მას ამის უფლება აქვს. იგი მზად იყო შეეცალა ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება, თუკი შინაგანად დაჩქარდებოდა მის აუცილებლობაში. ეს კი ხელმძღვანელის შესანიშნავი თვისებაა. ამასთან, დასჯის უფლებით იგი, როგორც ადმინისტრატორი, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს სარგებლობდა.

1922 წლის 3 მარტს პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტის გამგეობის წარდგინებით იხილავს პროფ. ა. თვალჭრელიძის სამსახურიდან დათხოვნის საკითხს. მას ოთხი დღით აუღია შეებულება და არა თუ გაცილებით ბევრი ხანი არ გამოცხადებულა, არც კი უცნობებია დაუბრუნებლობის მიზეზებზე. საბჭო აღგენს: დათხოვილ იქნეს, თუ არ გამოცხადდება ორი კვირის განმავლობაში. 1922 წლის 24 მარტს საბჭომ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება. შემდგომ კი კვლავ დაუბრუნდა საბჭო ამ საკითხს და შესცვალა თავისი დადგენილება, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ იგი უვლიდა ავადმყოფ დედას და სხვა დამხმარე არა ჰყოლია. აქ გადაწყვეტილი როლი შეასრულა უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის ადრინდელი უფროსის ალექსანდრე თვალჭრელიძის მამის ანტონ თვალჭრელიძის წერილებმა ივანე ჭავჭავიძისადმი. იგი ციხისძირიდან სწერდა რექტორს, რომ მიუტყვევებ ჩემს შვილს და საპატიოდ ჩაუთვალეთ გამოუცხადებლობა, ვინაიდან შეუძლებელი იყო არ დარჩენილიყო — „დედის უპატრონოდ მიტოვება იქნებოდა დიდი უზნეობა და შემარცხვენილი ქცევა და ამიტომ ვერ მოშორდა მას“.

რექტორი სრული ნდობით ვითარებას ქმნიდა ხელქვეით თანამდებობის პირთა მიმართ, არ ზღუდავდა მათი დამოუკიდებლობის ფარგლებს. იგი გამოდიოდა იქედან, რომ ნდობის მაქსიმუმი პასუხისმგებლობის მაქსიმუმთან უნდა იყოს დაკავშირებული. სხვანაირად შესუსტდებოდა ხელქვეითი თანამდებობის პირთა ინიციატივის გამოჩენის ასპარეზი; ამ დროს მიღებულ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა პიროვნული განსხვავებულობა შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ რექტორი ამას ურიგდებოდა, როცა ხედავდა, რომ არ არის აუცილებელი მრავალ გადაწყვეტათაგან მხოლოდ ის მიეღო, რომელიც მარტო მას ეჩვენებოდა მიზანშეწონილად. იგი არ ისწრაფოდა, რექტორის ხელში ყველაფერ იმისათვის მოეყარა თავი, რაც აუცილებელი არ იყო. მაინც თავის პოზიციას იგი ყოველთვის აშკარად გამოთქვამდა, თუმცა წყენის მოთხოვნა, დაოკება შეეძლო, მაგრამ არასდროს წყენას გულში არ დაიტოვებდა. რისხვის რეგულირების უნარი კი ხელმძღვანელის ავტორიტეტისათვის ფრიად სასარგებლოა. მომთმენლობა და სხვისი მოსმენის უნარი ამშვენებდა უნივერსიტეტის რექტორს.

რექტორი სილოგიზმის ჩამოქნის დროს გაუთავებელი დარიგებითა და დიდაქტივით კი არ იყო გატაცებული, არამედ ნათელი გონებით, რწმენით და ლოგიკით გაჭერებდათ თავის სიმართლეში.

რექტორობა დროის დაუზოგველობას მოითხოვდა და მხურვალე მამული-შვილს არა თუ არ უწუწუნია ამის გამო, იგი ახალ და ახალ ძალებს პოულობდა.

ერის სამსახურის ღირსეულად ასრულებისათვის. ყველას შეეძლო რექტორი ენახა. მთხოვნელი მას არასდროს არ აკლდა. რა დაუზარელი იყო იგი ამ დროს. როგორც აღნიშნეთ, ბევრი უნივერსიტეტიდან გამოსული დოკუმენტი რექტორის ხელით იყო შედგენილი.

ხელმძღვანელის, პროფესორის, ლექტორის ეს სამაგალითო თვისებები, ერთ კაცში ასე ბედნიერად თავმოყრილი, დიდ ენერგიას, თავდადებასა და თავგანწირვას მოითხოვდა ივანე ჭავჭავიძელისაგან. ამასთან ერთად, ეს უდიდესად ზრდის მის ავტორიტეტს სტუდენტობაში, პროფესურასა და თვით შრომელ მასაში, რომელთანაც უნივერსიტეტი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული. ახლა ხომ გლახისა და მუშის შვილებისათვის ფართოდ გაიღო უნივერსიტეტის კარები და უმაღლესი განათლება უკვე აღარ განიხილებოდა განსაკუთრებულ პრივილეგიად, საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დაკავების საშუალებად. მეცნიერების ძველი და ახალი სიმაგრეების დასალაშქრავად ქართველი გლახისა და მუშის შვილები დაიზარდნენ, რომლებმაც კემპარიტი მკვლევრის მისაბაძი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნეს. მათ ივანე ჭავჭავიძელი რექტორი წარმართავს იმისაკენ, რომ საბჭოთა რუსეთსა და დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ ცენტრებში ნიჭიერი ახალგაზრდობა გაიგზავნოს ცოდნის დასაუფლებლად, რომ შემდგომ ისინი გამოადგენენ სამშობლოსა და მეცნიერებას.

საბჭოთა ხელისუფლების ამ დიდ სწრაფვას ყოველმხრივ მხარს უჭერს ივანე ჭავჭავიძელი, თუმცა მისი განხორციელების გზები მას განსხვავებულად ესმოდა, ვიდრე ამას მაშინ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში სახავდნენ. განსხვავებულ აზრს თუ უთანხმოებას არც ერთხელ არ გამოუწვევია კონფლიქტი რექტორისა ახალ ხელისუფლებასთან. რექტორს თავის მხრივ უნივერსიტეტის წინსვლაზე ზრუნვა არ შეუსუსტებია. საბჭოთა ხელისუფლების შიზნები მთლიანად ეთანხმებოდა უნივერსიტეტის შემდგომი წინსვლის მიზანს. ეს უნივერსიტეტის პროფესორის კმაყოფილებას იწვევდა ახალი ხელისუფლების მიმართ. ამ კმაყოფილებას უნივერსიტეტის პროფესორა მისი რექტორის ივანე ჭავჭავიძელის მეთაურობით მრავალჯერ გამოხატავდა.

უნივერსიტეტის კოლექტივში ღრმა გლოვა გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამ. 1924 წლის 25 იანვარს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას წარუდგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დელეგაცია ვ. ი. ლენინის სიკვდილის გამო სამძიმარის გამოსაცხადებლად. ამ დელეგაციას უძღოდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავიძელი. დელეგაციაში შედიოდნენ დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი, პროფესორები: შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, ი. თიკანაძე, ა. დიდებულიძე, ი. მოსეშვილი.

უნივერსიტეტის პროფესორის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნათელი გახდა 1924 წლის მენშევიკური ავანტურის დღეებში. როცა გამოსვლები დაიწყო, ივანე ჭავჭავიძელი ოჯახით კარსანშია. ფუქი იყო იმათი ექვები, ვისაც შეეძლო დაეშვა, რომ ამ ძალებთან რაიმე გზით შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორი და ქართველი ერის ქემპარიტი შვილი. უიმედო, კერძო ჭგუფური ინტერესებიდან გამომდინარე გამოსვლა ანტიპატრიოტული იყო. ივანე ჭავჭავიძელის ნათელი პოზიცია სწრაფადვე გაირკვა, როცა იგი თვითონ გამოცხადდა ხელისუფლების ორგანოებში. ავანტურის მარტო შინაგან უარყოფით როლი ამოიწურა ივანე ჭავ-

ხიშვილის დამოკიდებულება. მენშევიკთა გამოსვლის მიმართ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას. უკვე 1924 წლის 5 სექტემბერს შეიკრიბა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო, რომლის გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს ყველა დამსწრე 24 წევრი. ხელმომწერთა შორის პირველი, ბუნებრივია, უნივერსიტეტის რექტორია. ამ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მეოთხე წელიწადია არსებობს საქართველოში მტკიცე მოქალაქეობრივი მშვიდობიანობა. რევოლუციის შემდგომი ხანის დაუსრულებელ შეტაკებებს და ომებს მეზობელ ხალხებთან ბოლო მოეღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში.

ერთი მუქა ქართველი ხალხი მრავალგვარ ფიზიკური უბედურებით დაუძლურებული გარკვეულად შევიდა ახალ მშვიდობიან ხანაში, არსებული ძალაუფლება შეძლებისდაგვარად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა დანგრეული ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის და შექმნილ პირობებში ორივე მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები იშლებოდა ქართველი ერის წინაშე.

კულტურული ცხოვრება საზოგადოდ, და მეცნიერული კერძოდ, ერთ დროს შეფერხებული, ნელ-ნელა დაიძრა წარმატების და განვითარების გზაზე, რომლის დადებითი მიღწევანი უკვე გარკვეულად ჩანდნენ და ყველასათვის თვალსაჩინო და ხელშესახები იყვნენ.

მრავალი ხნის განმავლობაში დაბეჩავებულს ენასა და მწერლობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა და აყვავების უტყუარი ნიშნები დაეტყო; ამის მკვევრმეტყველური მოწმეა აუარებელი ახალი სკოლა და ქართული ბეჭდვითი გამოცემანი, რომელთა რიცხვმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომელსაც არც ერთ წინანდელ თაობების დროს ადგილი არ ჰქონია. ყველა ამის შემდგომ აშკარა იყო, რომ სამი წლინახევრის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ძალაუფლება ქართველი ხალხის ფართო მასების მთავრობა იყო, რომელიც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი პირობები ერთადერთი თავმდეები და საწინდარი იყო კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის და მომავალი განვითარებისათვის.

ასეთ პირობებში ავანტურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

უმადლესი განათლების კერას და ქართული კულტურის ბურჯს — სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უპასუხისმგებლო ავანტურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმალღოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალაუფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო სრულს იმედს გამოთქვამს, რომ ყოველი პარტიოსანი ინტელიგენტი ჩეროვნად დააფასებს შექმნილ მდგომარეობას და მთელს თავის გულისწყრომას მიმართავს მათ წინააღმდეგ, ვინც ასე ხელაღებით ქართველ ხალხს მოულოდნელი უბედურება თავს დაატეხა.

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობს საბჭოთა ძალაუფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების, ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქეობრიობის აღდგენით ამიერიდან გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა“.

ქართული ინტელიგენციის წამყვანი ბირთვის წმინდა სინდისით დაწერილმა ამ დოკუმენტმა ღრმა კვალი დატოვა ფართო მასების შეგნებაში. ეს ტექსტი ხელმოწერის ფოტოპირებთან ერთად მთლიანად გამოქვეყნდა პრესაში. უნივერსიტეტის პროფესურა კვლავ ადასტურებდა ხალხისათვის სამსახურის უმაღლეს მიზანს. ამ დროს იგი გვერდზე არ დგებოდა არც ერთ ისეთი საკითხისაგან, რომელსაც ერის დაწინაურებისათვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. მეცნიერთა პატრიოტიზმი სწორედ ამგვარი მოქმედი პატრიოტიზმია. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ სამშობლოს სიყვარული არ არის მხოლოდ უძილო ღამეები მასზე ფიქრით, ეს არის უძილო ღამეები და მოუსვენარი დღეები მასზე ზრუნვით. ეს კი ნიშნავს სამშობლოსათვის ის აკეთო, რითაც უკეთესად ემსახურები მას.

მეცნიერების სამსახური ხომ სამშობლოს სამსახურს გულისხმობს. ივანე ჯავახიშვილს მოსწონდა კაცობრიობის დიდი შვილის ლუი პასტერის სიტყვები: „მეცნიერებას არა აქვს სამშობლო, მაგრამ სამშობლო აქვს მეცნიერს“, რომ „ემსახურეთ კაცობრიობას, მაგრამ ნურასოდეს დაივიწყებთ დედამიწის იმ კუთხეს, რომელიც სამშობლოს წარმოადგენს“.

თ ა ვ ი IX. კულტურისა და განათლების საზმსთან

ერთადერთი უნივერსიტეტის რექტორის მაღალმეცნიერული ავტორიტეტი და მოქალაქეობრივი დიდბუნებოვნობა ივანე ჯავახიშვილს საბჭოთა საქართველოს კულტურისა და განათლების საკითხების გადაწყვეტაში უშესანიშნავეს ფიგურად ხდიდა. ეს არის წლები ღრმა კულტურული რევოლუციისა, როცა მისი მიზანი ნათელია, მაგრამ განხორციელების გზები — უმოკლესი და უმჯობესი—საპოვნელი. აქ ხშირად მიმართავენ ივ. ჯავახიშვილს დასკვნისათვის, რჩევისათვის, იციან რა წინასწარ, რომ პასუხი კომპეტენტური იქნება, პირდაპირი და გულმართალი. თავის მხრივ ივანე ჯავახიშვილი როდი იზღუდება რექტორის საწესდებო ფუნქციებით. როცა ამის აუცილებლობას ხედავს, იგი ერევა საკიბოროტო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში და თავის დასკვნებს იძლევა საბჭოთა საქართველოს განვითარების სხვადასხვა მხარეზე. ასეთია, მაგალითად, 1925 წლის ივლისში შედგენილი წერილი საბჭოთა საქართველოს მთავრობის სახელზე საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის სტრუქტურის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილი საქვეყნოდ მადლობას ამბობდა უნივერსიტეტის სახელით იმისათვის, რომ ლენინური დეკრეტების საფუძველზე გადაწყდა საქართველოდან გატანილი ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნება. ეს ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მანამდე არნახული ურთიერთობა იყო. გასაგებია,

ამიტომ რექტორი სიხარულით დაეთანხმა უნივერსიტეტის პროფესორების აკ. შანიძისა და კ. კეკელიძის გაგზავნას ლენინგრადსა და მოსკოვში ამ სიმდილეთა ჩამოსატანად.

ივანე ჭავჭავიძის მრავალ დარგში კომპეტენტურობამ დიდი სარგებლობა მოიტანა ჩვენი კულტურისათვის მისი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ფაქტიური თავმჯდომარეობის დროს. ამ ახალი ორგანოს შესახებ შედარებით დაწერილებით უნდა ითქვას. იგი არა მარტო ახალი ხელისუფლების ნდობას გამოხატავდა მეცნიერთა მიმართ, არამედ ამ ხელისუფლების სისხლბორცულ დაინტერესებასაც მეცნიერთა მონაწილეობით საზოგადოების გარდაქმნისათვის.

1921 წლის 1 ნოემბერს დაარსდა ეს საბჭო. პირველი სხდომის თავმჯდომარე იყო განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი. მისი განცხადებით, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიზნად აქვს დასახული: ხელი შეუწყოს განათლების სახალხო კომისარიატს, განამტკიცოს, მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში. ამ მიზნის განხორციელებისათვის იგი არა მარტო სათათბირო ორგანო უნდა იყოს, არამედ აქტიურად მოქმედიც. პირველ სხდომაზევე არჩეულ იქნა თავმჯდომარის ამხანაგად, ანუ ფაქტიურ თავმჯდომარედ ივ. ჭავჭავიძელი, ბოლო მდივნად — მ. ზანდუკელი. სხდომები რექტორის კაბინეტში ეწყობოდა. უაღრესად ფართო იყო იმ საკითხთა წრე, საბჭო რომ იხილავდა. ეს იყო პირველ რიგში სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ფრიალ აქტუალური საკითხები. ივანე ჭავჭავიძის მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოს პედაგოგიური მუშაობის დარგში მდიდარი საარქივო მასალებით შესწავლილია დოც. დ. გურგენიძის მიერ (იხ. მისი „ივანე ჭავჭავიძის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში და მისი პედაგოგიური შეხედულებანი“, 1979). მისი სტრუქტურა ასეთი გახლდათ: პედაგოგიური სექცია (თავმჯდომარე ს. გორგაძე), სამეცნიერო-პოლიტიკური სექცია (თავმჯდომარე პროფ. გ. ახვლედიანი) და სამეცნიერო-ტექნიკური სექცია (თავმჯდომარე პროფ. ა. ბენაშვილი).

ივანე ჭავჭავიძის სასკოლო-პედაგოგიური შეხედულებანი უხვადაა წარმოდგენილი მ. ზანდუკელის ხელით დაწერილ ოქმებში. გავეცნოთ ერთ-ერთ მათგანს. კომისარიატის წარმომადგენელი გ. კონიაშვილი მოითხოვს, სკოლებში დაინერგოს ე. წ. კომპლექსური ცოდნა, რათა მისცენ ახალგაზრდობას ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა დარგში ცოდნის ელემენტები. ივანე ჭავჭავიძელი ხელალებით როდი უარყოფს ამ წინადადებას, მაგრამ გამოთქვამს თავის ექვემს ამ მეთოდის მიმართ. მას მიაჩნია, რომ კომპლექსური მეთოდი სრულიადაც არ არის ახალი. იგი მოგვაგონებს ძველ ენციკლოპედიურ მეთოდს, რომლის დროს ყველა საგნის დაკავშირებას შეიძლება ხელოვნური და უსიცოცხლო ხასიათი მიეცეს. სხვადასხვა საგნის დაკავშირება შეიძლება და სასურველია. სადაც ეს საჭიროა, მაგრამ საგანს თავისი სახე არ უნდა დაეკარგოს: „ადამიანის მნიშვნელობა იმაშია, რომ მკაფიოდ და შეგნებულად გამოჰყოს მოვლენა და წარმოადგინოს. ეს უნარი მას უნდა გამოუმუშავოს სკოლამ. კომპლექსური მეთოდი კი ამ მიზანს დააშორებს“. იგი ამ მეთოდს სასარგებლოდ თვლის საბავშვო ბაღში, რომლისთვისაც სისტემატური ცოდნის მიღება არ არის სავალდებულო.

სამეცნიერო საბჭო სხვადასხვა დროს იხილავს სახელმწიფო კონსერვატორიის, სახელმწიფო ობსერვატორიის, საქართველოს ცენტრალური მუზეუმის და სამეგრელოს მუზეუმის მუშაობის საკითხებს. მათ განხილვაში აქტიურად მონაწილეობს საბჭოს ფაქტიური თავმჯდომარე. ასე, 1922 წლის 27 მაისს მან

სამეცნიერო საბჭოში მოხსენება წარადგინა საქართველოს კონსერვატორიის რეორგანიზაციის თაობაზე. იგი წერდა, რომ საქართველოს ორი კონსერვატორიის შენახვა არ შეუძლია, ამიტომ ერთი კონსერვატორია უნდა შეიქმნას. ნიშანდობლივია, რომ ივ. ჭავჭავიძე იყო მოითხოვს კონსერვატორიის ავტონომიის პრინციპზე მუშაობას. იგი საჭიროდ თვლის კონსერვატორიის პროფესორის და დოცენტის საბოლოო არჩევანი საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელში იყოს. შესანიშნავად განსაზღვრავს იგი ახლად ორგანიზებულ საქართველოს კონსერვატორიის მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან წარმოგიდგენს ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ძნელ გზას; თუ XIX საუკუნეში ქართველი ერის სიმღერისადმი სტიქიურმა მისწრაფებამ და კერძო პირთა ინიციატივამ გადაარჩინა ძველი მუსიკალური სიმღიდრე, რომელსაც ამ საუკუნის ბოლოდან და XX საუკუნის დამდეგიდან აღმავლობი დაეტყო, მალე მისი შემდგომი წინსვლის საქმეს სათავეში ჩაუდგებიან ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. სწორედ მათი თხზულებანი და ჩვენი ხალხური სიმღერების მშვენიერება ცხადყოფდნენ, რომ ქართველი ერის წინანდელი მუსიკალური ნიჭი ძლიერად ჩქეფს, მაგრამ ევროპული მუსიკალური ხელოვნების ტექნიკის უცოდინარობა მისი განვითარების დიდი დაბრკოლებაა. ამ ვითარებაში კონსერვატორიის ბედ-იღბალზე ზრუნვა ეს არის ქართული მუსიკის განვითარებაზე გადაუდებელი ზრუნვა. კონსერვატორიას სასწავლო და მეცნიერული მიზნები უნდა ჰქონდეს თან და ივანე ჭავჭავიძე თვითონ სთავაზობს საბჭოს კონსერვატორიის წესდების პირველი პარაგრაფის პირველ მუხლს: „ტფილისის კონსერვატორია საქართველოს უმაღლესი სამუსიკო დაწესებულება და სასწავლებელია და მის მიზანს შეადგენს, უმაღლესი მუსიკალური განათლება მისცეს იმ პირთ, რომელთაც მუსიკის ხელოვნება თავის განსაკუთრებულ სპეციალობად და სამოქმედო ასპარეზად აქვთ არჩეული, და თანაც მუსიკალურ კვლევა-ძიებასა და შემოქმედებას სათავეში უდგას და თანაც ამ ხელოვნებას კულტურის ამაღლებასა და წარმატებას საქართველოში ხელს უწყობს“.

გარდა ძველი ხალხური ქართული მუსიკის მეცნიერულ შესწავლისა და ახლის აყვავებისა და წარმატებისათვის ზრუნვისა, ერთი მხრივ, მას ამოცანად უნდა ჰქონდეს მახლობელ აღმოსავლეთის, ჩვენი მეზობლების, სომხების, მთიულთა, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლა. მეორე მხრივ, ივანე ჭავჭავიძე კონკრეტულ სტრუქტურას სახავდა საქართველოს კონსერვატორიის წარმატებული მუშაობისათვის.

საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო უაღრესად მასშტაბურ მუშაობას აჩაღებს, რაც სხვადასხვა სახელმძღვანელოებისა და წიგნების განხილვა-გარჩევაში გამოიხატება. ეს ცენტრალურ ადგილს იკავებს საბჭოს მოღვაწეობაში. მარტო საბჭოს არსებობის სამი წლის მანძილზე განხილულ იქნა 143 წიგნი. ამათგან მოიწონეს 11, ნება დართეს 67-ს, დროებით ნებადართული იქნა 12 წიგნი და დაწუნებული 53 წიგნი. არა თუ შრომატევადი სამუშაო ჩატარდა, არამედ საბჭო ერთი წუთითაც არ უხვევს პრინციპული მიდგომისაგან თითოეული წიგნის მიმართ, თუმცა თითოეული ქართული წიგნი იმ დროს მოუთმენლად სჭირდებოდა მკითხველს.

ყველაზე დიდი, წარუხოცელი ღვაწლი, რაც სამეცნიერო საბჭოს მუშაობის შეფასების დროს უნდა ითქვას, ეს არის ქართული ტერმინოლოგიის დარგში შეტანილი დაუფასებელი წვლილი. ივანე ჭავჭავიძის მეთაურობით სამეცნიერო საბჭო არ ზოგავდა დახარჯულ დროს, ენერგიას სამეცნიერო

ტერმინოლოგიის დამუშავებისათვის. პირველ სამ წელს 165 სხდომა ჩაატარა სამეცნიერო საბჭომ და ყველაზე დიდი დრო სწორედ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობას მოანდომა. არა მარტო ჰუმანიტარული დარგების მეცნიერული ტერმინოლოგია შემუშავდა, არამედ აგრეთვე ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოლოგიის, კლიმატოლოგიის, ბოტანიკის, მეტეოლოგიის, ტექნიკური სამხედრო და სხვა ტერმინოლოგიაც. შეგროვდა 50.000-ზე მეტი ტერმინი. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მუშაობას. მისი ხელმძღვანელობა ყველაზე კარგად ივანე ჭავჭავიძის შეეძლო. ივანე ჭავჭავიძელი შესანიშნავად იყენებდა თავის ნაწერებში ქართული ენის მდიდარ ლექსიკას—ხალხურ მეტყველებაში მიღწეულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ამასთანავე ჩამოქნილი ფრაზების ბუნებრივ მდინარებას აძლიერებდა მის მიერ მრავალგზის მარჯვედ ნაპოვნი სიტყვები. მთავარი ის იყო, რომ ივანე ჭავჭავიძელის განსაცვიფრებელი მეხსიერება სწვდებოდა 15 საუკუნოვანი ქართული დამწერლობის ყველანაირ ძეგლებს, სიგელ-გუჯარებსა და სხვადასხვანაირ აქტებს. სწორედ ენის უწყვეტობა, ძველისა და ახლის მემკვიდრეობითობა იძლეოდა მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საშუალებას. ეს მოღვაწეობა ემყარებოდა სპეციალისტების წინადადებებს, რომელთაც შემდგომ ადასტურებდა მრავალი წყაროებით თვითონ ივანე ჭავჭავიძელი. ამ სიჩქარის ვითარებაში მიგნებული დღემოკლე, უდღური ტერმინიც სასარგებლო იყო, ვინაიდან იგი წანამძღვარს კმნიდა, გვეებნა მოხერხებული, უფრო მარჯვე ტერმინი. ივანე ჭავჭავიძელი არა მარტო თავისი ადრეული ნაშრომებით მონაწილეობდა მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებაში, არამედ, ამასთან ერთად, მან შეიმუშავა მწყობრი თეორია ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიისა. ჯერ კიდევ 1908 წელს თბილისში ივანე ჭავჭავიძელმა ქართველ ინტელიგენტთა დიდი ჯგუფი შეკრიბა (40 კაცამდე), სადაც ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხები დააყენა. 1913 წელს ივ. ჭავჭავიძელის, ვ. ბერიძის, ს. გორგაძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის თანავეტორობით გამოსულ წიგნაკში ვკითხულობთ იმ ფრიად დიდ როლზე, რაც ქართული სამეცნიერო ლექსიკონის შექმნას შეუძლია შეასრულოს. ეს მათ საერთო-სახალხო საქმედ მიაჩნიათ, ურომლისოდაც შეუძლებელია ქართული ენის აღდგენა და განვითარება. „ეს საქირთა თავად-აზნაურთა და ინტელიგენტისი იმ გადაგვარებული წრეებისათვის კი არა, რომელნიც ქართულზე მწყარლად ბრძანდებიან და დედა-ენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათს უმთავრეს საზრუნავს, არამედ ჩვენი ხალხის და ეროვნების იმ უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტიქიურად დედა-ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერთადერთი გამომხატველი“.

შემდგომ თქვენ ნახავთ იმას, თუ როგორ უნდა შემუშავდეს სამეცნიერო ტერმინოლოგია ისე, რომ მას კავშირი არ ჰქონდეს შეწყვეტილი მრავალსაუკუნოვან ქართულ-მწერლობასთან. ლექსიკონი ყოველი ქართველისათვის უნდა ყოფილიყო გასაგები. ოთხი წლით იყო დაგეგმილი ამ სამეცნიერული საქმის მოგვარება. დიდი მუშაობა დაიწყო მის განსახორციელებლად, რასაც ქართული უნივერსიტეტის განხსნამაც დიდად შეუწყო ხელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ივანე ჭავჭავიძელი სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმას, ვინც განსხვავებულ შეხედულებას ავითარებდა სამეცნიერო ლექსიკონის ქართულად შედგენაში. ასე, 1918 წლის 22 მაისს ივანე ჭავჭავიძელი სწერდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „გთხოვთ წ. კ. ს. გამგეობას მოახსენოთ ჩემი მადლობა და ამასთანავე თხოვნა, რომ მინდობილ საქმიანობისაგან, ბ-ნ

დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილ რუსულ-ქართული ლექსიკონის განხილვისაგან განთავისუფლებას. ჩემი შეხედულება ლექსიკონის შედგენის მეთოდების შესახებ, როგორც გამგებობას მოეხსენება, სულ სხვანაირია, ვიდრე ის გზა, რომელიც დ. კარიჭაშვილს არჩეული აქვს. ამიტომ, რომ მსჯელობის დროს სრული პირთუნელობა დაცული იყოს, უნდა ამ ლექსიკონის განხილვა ისეთ პირს მიენდოს, რომელსაც ამ საგანზე არაფერი დაუწერია“.

სხვისი ნაშრომისა და ნამუშავევის სათუთი პატივისცემის ნიმუშია ეს წერილი.

სალექსიკონო მუშაობა რთული, შრომატევადი, ხანგრძლივი საქმეა. ის მართლაც ქვის კოდვას ჰგავს. სრულყოფილება და სისრულეც აქ თანდათანობით მოდის, როგორც საბა-სულხანი იტყოდა: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“. მთავარია, საქმე დაიხვეწოს, სამუშაო მოედანი გაიწმინდოს და წამოწყება წინ წავა. ივ. ჭავჭავიძის დიდად ახარებდა ყოველი გადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით. იგი გახარებულა 1924 წელს სამათემატიკო ტერმინოლოგიის შემუშავებით და მოითხოვს მის დამტკიცებას საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. ამასთან იგი გადაუდებლად სავალდებულოდ თელის წარმოდგეხილი სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცებას საყოველთაო სწავლებისათვის მომავალ სასწავლო წლიდან, რათა ბოლო მოედოს ტერმინოლოგიურ აღრეულობასა და შეუთანხმებლობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში. ივანე ჭავჭავიძის აღნიშნავს: დასამტკიცებლად წარმოდგენილი ტერმინოლოგია ხანგრძლივი და ფრთხილი მუშაობის ნაყოფია. მასზე დიდი მუშაობა ჩაატარეს ან. რაზმაძემ, ნ. მუსხელიშვილმა, არჩ. ხარაძემ და გ. ნიკოლაძემ. სამეცნიერო საბჭომ მათ მიაშველა პროფესორები გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე. თვითონ სამეცნიერო საბჭოს მხრივ 40-მდე სხდომა დასჭირდა ამ რთული საქმის დახვეწვა-გაშალაშინებას. თავიანთ მუშაობაში მათ უარი თქვეს 1920 წელს გამოსულ ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენელთა შეცდომებზე: მაშინ ლექსიკონის შემდგენლებმა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან განდევნეს ყოველი უცხოენოვანი სიტყვა და, ქართული ენის ბუნების უცოდინარობის გამო, მხოლოდ ნათარგმნ ან სრულებით ხელოვნურად და მცდარად ნაწარმოები მოგონილი მეტბორცი, უხეირო სიტყვები შემოიტანეს და გაავრცელეს. ასე, აზოტის მაგიერ მათ შეთხზეს ჰაისი. ანალიზის მაგიერ — ალღევა, სინთეზის მაგიერ — აღკაზმა. შემეცნების მაგიერ შესთხზეს არ არსებული და ქართულად არაფრის მნიშვნელი გნობა, ინდუქციის მაგიერ — ალგნობა, დედუქციისათვის — გამოგნობა, გეომეტრიისათვის — სივრცგნობა, ოპტიკისათვის — სხივთგნობა, ქიმიისათვის — ნივთგნობა, სპექტრისათვის — შლიშუქი, ცილინდრის მაგიერ — გოდლი, ელექტრობის მაგიერ — ელვისო და ა. შ. ტერმინების ამ ხელოვნური სუროგატების შესწავლა, შენიშნავდა ივანე ჭავჭავიძელი, უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე არსებული საერთაშორისო ტერმინებისა. სულ სხვა პრინციპზე იქნა აგებული სამათემატიკო ტერმინოლოგია. ამ დროს სამი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: 1) როდესაც ორი ტერმინია, ერთი საერთაშორისო და მეორე ქართულად ნათარგმნი; მაგრამ უვარგისი ენის კანონებისა თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით, რჩება საერთაშორისო და ქართული უარყოფილი უნდა იყოს.

2) როდესაც მეორე ქართული ტერმინი წესიერად არის ნაწარმოები და შეეფერება ცნებას, ორივე ტერმინი რჩება. 3) თუ რამდენიმე ქართული

ტერმინია, უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც ენის კანონების თვალსაზრისით წესიერად არის ნაწარმოები.

ამ პრინციპებით შექმნილი სამათემატიკო ტერმინოლოგია 1925 წელს გამოსული უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებაში. მისი ავტორები მეცნიერების უახლესი მიღწევების ტერმინოლოგიასაც კმნიდნენ. ამ ლექსიკონის წარმატებას იმანაც შეუწყობ ხელი, რომ, ქართული ენის ბუნების ღრმად ცოდნასთან ერთად, გარდა რუსულისა, მისი ავტორები ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენების ტერმინოლოგიურ მონაპოვრებს და ხშირად ხალხური მეტყველების წიაღიდან ამოზიდულ ფესვმაგარ ტერმინებს იყენებდნენ.

დღეს ქართველებს ისევე შეუძლიათ სარგებლობა მათემატიკური ტერმინოლოგიით, როგორც იმ ხალხებს, რომლებიც მათ ასეულ წლობით ამუშავებდნენ და ხეიწდნენ.

1925 წლის 26 იანვრიდან მოხდა სამეცნიერო საბჭოს რეორგანიზაცია, რაც არსებითად მისი არსებობის შეწყვეტას ნიშნავდა, თუმცა ტერმინოლოგიური მუშაობა უნივერსიტეტში ამის შემდგომაც არ შენელებულა.

ივანე ჯავახიშვილს მალე, ექვთიმე თაყაიშვილის ევროპაში წასვლის შემდეგ, დაევალა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობა.

ივ. ჯავახიშვილი ხომ ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის აქტიური მონაწილე იყო. თავისი საჭარო ლექციების უმეტესობა უნივერსიტეტის გახსნამდე მას ხომ ამ საზოგადოების ხაზით ჰქონდა წაკითხული, რომელშიც იგი პირველად გვაცნობდა თავისი ყოველი ახალი გამოკვლევის შედეგებს. უნივერსიტეტის გახსნის შემდეგაც არ უღალატნია ივანე ჯავახიშვილს ამ ტრადიციისათვის. სწორედ ამ საზოგადოების საჭარო სხდომას მოხსენდა პირველად ქართულ ფილოლოგიაში ყველაზე დიდი აღმოჩენის — ხანმეტი ტექსტების პოვნისა და, ასევე, ახლად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობის დროიდან საზოგადოებამ გააძლიერა ყურადღება პერიფერიებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვისთვის: იზრუნა ადგილებზე ამ სიძველეთა შენახვისათვის, მრავალი საისტორიო სიძველე გადმოიტანა თბილისში. გამდიდრდა საზოგადოების მუზეუმი, განსაკუთრებით მთავრობის მიერ გადმოცემული უხვი კოლექციებით. 1924 წლის შუა პერიოდისათვის სივლე-გუჯარების რიცხვმა 15 ათასს გადააჭარბა. ყველაფერი ეს უნივერსიტეტის შენობაში ინახებოდა. მას ბევრი მნახველი ჰყავდა.

1924 წლის მარტში უნივერსიტეტს ესტუმრა რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარი ა. ვ. ლუნაჩარსკი. იგი კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა უნივერსიტეტის მიღწევებით მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მათ შორის ბუნების მეტყველების დარგში. კარგად მოწყობილ გეოლოგია-პეტროგრაფიის კაბინეტში მას უთხრეს, რომ პროფ. ალ. თვალჭკელიძე ამთავრებს მუშაობას გუმბრინის აღმოჩენის შესახებ.

დიდად გაიხარა მაღალგანათლებულმა კომისარმა, როცა უნივერსიტეტის შენობაშივე სამი შესანიშნავი მუზეუმი ნახა: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და თვითონ უნივერსიტეტისა, რომელსაც შეუერთდა ყოფილი საეკლესიო სიძველეთასაცავი.

1925 წლის მარტში თბილისში შედგა სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია, რომელსაც თბილისის უნივერ-

სიტეტის სახელით წევტორი ივანე ჯავახიშვილი მიესალმა. მან სიამაყით აღნიშნა თბილისის უნივერსიტეტის წარმატებები საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მორწვია სტუმრები უნივერსიტეტში, რომელიც მისი რექტორის სიტყვებით, „გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ“.



თბილისის უნივერსიტეტის მესვეურნი გ. ფ. წერეთლისადმი ამაღლებული სიყვარულის გრძნობას გამოხატავდნენ. მათ ამისათვის ყოველთვის ჰქონდათ მიზეზიცა და საბაბიც. პროფესორები ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი პედაგოგიურ ფაქულტეტს სწერდნენ:

„1926 წ. 30 წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი უნივერსიტეტის და ფაქულტეტის პროფ. გ. ფ. წერეთლის შრომა გამოქვეყნდა, რომლითაც მას დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში, სახელმძღვანელოებში იხსენიებდნენ, ვითარცა ცნობილ ელინისტსა და განათლებულ პალეოგრაფ-პაპიროლოგს და ჩვენ მეცნიერს მისი ოცდაათი წლის მოღვაწეობის აღნიშვნა შეშვენის ჩვენი უნივერსიტეტის მხრივ. ამიტომ წინადადება შემოგვაქვს, აღძრულ იქნეს შუამდგომლობა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე, რომ პროფ. გ. ფ. წერეთელი ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად იქნეს არჩეული და მის პატივსაცემად გამოიყენოს უნივერსიტეტის მოამბის საგანგებო საიუბილეო ნომერი, რაც ჩვენი უნივერსიტეტის ყველა წევრებსაცა და დასავლეთის ევროპისა და რუსეთის სათანადო სამეცნიერო დარგის სპეციალისტებსაც ეცნობოს“.

1925 წლის 15 დეკემბერს პედაგოგიურმა ფაქულტეტმა დაადგინა, არჩეულ იქნეს პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი დამსახურებულ პროფესორად მისი მოღვაწეობის 30 წლისთავის შესრულების გამო, „გამოიყენოს საიუბილეო სამეცნიერო კრებული ჰუმანიტარული შინაარსისა, რომელშიც მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცეს ყველა მეცნიერს, როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში და დასავლეთ ევროპაში. დაევალოს საგამომცემლო კომისიას კრებულის შესახებ დადგენილების სისრულეში მოყვანა“.

როცა გ. ფ. წერეთლის სახელგანთქმულ ნაშრომზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ მისი სტუდენტური გამოკვლევა „ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიიდან“, რომელიც უკანასკნელ კურსზეა დაწერილი და რისთვისაც მან ოქროს მედალი მიიღო. ეს ნაშრომი სამი წლის შემდეგ, 1896 წელს, გამოაქვეყნა პეტერბურგის უნივერსიტეტმა.

ამ ნაშრომმა გ. ფ. წერეთლის კვლევის ძირითადი მიმართულება კი არ განსაზღვრა მხოლოდ, არამედ, მისი მასწავლებლის პროფ. ვ. ვრნშტედტის სიტყვებით, გვიჩვენა გ. ფ. წერეთლის „იშვიათი ნიჭი, გაერკვეს და აღადგინოს დროისაგან დაზიანებული და ძნელად წასაკითხი ბერძნული პაპირუსები“.

სწორედ ეს ნიჭი, მის გამოქვეყნებულ შრომებში დადასტურებული, აძლევდა გ. ფ. წერეთელს საშუალებას, ადვილად მისაწვდომი ყოფილიყო მისთვის ევროპის დიდ საგანძურებში დაცული პაპირუსები, რომელთა გაც-

ნობა, ვ. ერსტედტის სიტყვებით, გარეშე პირთათვის (განსაკუთრებით უცხოელთათვის) დიდად იყო გაძნელებული და ხშირად შეუძლებელი. აქ კი უნდა ვთქვათ, რომ გ. ფ. წერეთელი ბერძნული პაპირუსების სიბრძნეს სწავლობდა ბერლინის, ვენის, მიუნხენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, რომის, ვენეციის, ნეაპოლის, ფლორენციის უნივერსიტეტებსა და მუზეუმებში, აგრეთვე ათონის მონასტრის წიგნთსაცავებში. მეტიც, ბევრგან მას სთავაზობდნენ, პაპირუსები ერთობლივად გამოვსცეთო და სიხარულითაც თანამშრომლობდნენ მასთან პაპიროლოგიის ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტები. ივ. ჭავჭავიძის ღრმად სწამდა, რომ გ. ფ. წერეთლის ყოფნა თბილისის უნივერსიტეტში უკვე წარმატებაა. მას რექტორი ოპტიმალურად ხელსაყრელ გარემოს უქმნის საკვლევეო-საძიებო მოღვაწეობაში.

შენახულია შესანიშნავი, უმდიდრესი შინაარსის მიმოწერა ამ ორ დიდ ქართველ მეცნიერს შორის.

პაპირუსების ძნელ, ჭიუტ სტრიქონებთან კვილიში გამარჯვებული მკვლევარი მომენტს არ უშვებს, გულწრფელი მადლობა არ გამოხატოს წერილით, რომ საშუალება ეძლევა, საუნივერსიტეტო არდადეგების დროს უზრუნველყოფილი იყოს სამეცნიერო მივლინებით და იმუშაოს მისთვის საყვარელ საგანზე. ასე 1923 წლის 23 სექტემბერს პეტროგრადიდან იგი სწერდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს: „მივლინებით კმაყოფილი ვარ, ბევრი გავაკეთე, დრო ფუჟად არ დამიკარგავს და გულითადად მადლობელი ვარ კიდევ ერთხელ თქვენს, რომ მომეცით შესაძლებლობა, მემუშავნა პაპირუსებზე და ნაწილობრივ მომეშაადებინა ისინი გამოცემისათვის. უთქვენოდ მე ამას ვერ შევძლებდი!“ 1924 წლის 23 ივნისს იგი ბერლინიდან იწერებოდა იმ გულმართლად გამოხატულ სიყვარულზე, რასაც ამჟღავნებენ გერმანელი კოლეგები. პროფ. ვ. შუბარტი სასიამოვნოდ გაკვირვებული და გახარებულია, რომ თბილისში გამოსაცემად მას სჭირდება ინგლისში შენახული პაპირუსები. გ. ფ. წერეთელი ასე ამთავრებს წერილს: „მე ბედნიერი ვარ ყველაფერი კარგი თქვენს დიდი მადლობა ყველაფრისათვის“. ბერლინიდან მეორე დღესვე სწერს წერილს: „პაპირუსებს შორის არის საუცხოო ნიმუშები. ვაკეთებ ამონაწერებს. დამოკიდებულება უაღრესად თბილია. მე თითქოს შინა ვარ. საერთოდ ეს საოცარი სიზმარი იყო და ყველა ამისათვის თქვენ უნდა გითხრათ მადლობა. თქვენი მოსიყვარულე გ. ფ. წერეთელი“. 1925 წლის 16 სექტემბერს იგი იწერება იოანე იტალოსის წიგნის წარმატებაზე, რაც მისთვის მეტად ძვირფასია (იოანე იტალოსის წიგნის I ნაწილი პირველად გ. ფ. წერეთელმა გამოსცა 1924 წელს, ხოლო მეორე—1926 წ. იოანე იტალოსი იოანე პეტრიწის მასწავლებელი იყო). ევროპელები სთხოვენ ამ წიგნის ეგზემპლარების გაგზავნას საუნივერსიტეტო სემინარებისათვის. აღნიშნავს, რომ მეტად სასიამოვნო წერილი აქვს ვ. ვილკენისგან. იგი დიდ რეცენზიას ჰპირდება პაპირუსების გამოსვლის გამო თბილისში და ისიც ასე ლამაზად გამოცემულისთვის. წერილი ასე მთავრდება: „შემიძლია ვთქვა, რომ მე ბედნიერი ვარ და კიდევ ერთხელ გიძღვნი მადლობას, რომ თქვენ შესაძლებლობა მომეცით, დამეხმარებოდა იტალოსიც და პაპირუსებიც“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მიმოწერა არ შეწყვეტილა ივ. ჭავჭავიძის რექტორობიდან გადაყენების შემდეგაც, დაცულია მრავალი ასეთი წერილი. ასე, 1926 წლის 9 სექტემბერს იგი სწერდა ივ. ჭავჭავი-

შვილს: „თქვენი წერილები მნიშვნელოვანწილად ავსებენ თქვენთან ცოცხალ ლაპარაკს და ამიტომაც განსაკუთრებულად ძვირფასია ჩემთვის“.

1928 წელს იგი მადლობას უთვლიდა ივ. ჯავახიშვილს წერილისათვის: „ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მისი მიღება და წაიკითხვა: მან შეცვალა თქვენთან საუბარი, რომელიც მე ძალიან მიყვარს“.

ივ. ჯავახიშვილისა და გ. ფ. წერეთლის მომხიბვლელმა შემოქმედებითმა მეგობრობამ უზრუნველყო პაპირუსების თბილისში გამოცემა. მანამდე ევროპის სახელგანთქმულნი გამომცემელნი სთავაზობდნენ გ. ფ. წერეთელს თავიანთ სამსახურს. მათ შორისაა ბროკჰაუზ-ეფრონის გამომცემლობა. გ. ფ. წერეთელი გულსტიკივლით ეთანხმება ამას.

1923 წელს 30 აგვისტოს გ. ფ. წერეთელი მოახსენებდა თბილისის უნივერსიტეტის გამგეობას აგვისტო-სექტემბერში პეტერბურგში სამეცნიერო მივლინების ანგარიშს. სხვა შედეგებს შორის, აღნიშნავდა იგი, დამზადებულია გამოსაცემად პირველი ნაკვეთი პაპირუსებისა, რომელიც დატულია რუსეთის კოლექციებში. გამოცემას აწარმოებს თავის მოწაფეებთან პ. ერნსტედტთან და ა. კრიუკერთან ერთად სახელწოდებით „ბერძნული პაპირუსები რუსეთის კოლექციებიდან“. მალე გ. ფ. წერეთელი გაიგებს, რომ ბროკჰაუზ-ეფრონის გამომცემლობას დააგვიანდება პაპირუსების გამოცემა. ამ საბაბს იგი საკმარისად ჩათვლის იმისათვის, რომ უარი თქვას პაპირუსების გერმანიაში გამოცემაზე.

1924 წლის 7 ივლისს იგი სწერდა ივ. ჯავახიშვილს, რომ ბროკჰაუზი ძნელ პირობებს აყენებს, რომელიც ერთ წელზე ადრე არ შესრულდება, რომ იგი გადაწყვეტს, ვ. შუბარტთან მოლაპარაკების შემდეგ, თბილისში გამოცეს პაპირუსები (აქვე ამატებს, რომ იოანე იტალოსის გამოცემამ შუბარტი ალტაცებაში მოიყვანა). გ. ფ. წერეთელი იქვე აღნიშნავს: „იმედი მაქვს, უნივერსიტეტს არაფერი ექნება ამის საწინააღმდეგო. ეს იქნება საქართველოში პაპირუსების პირველი გამოცემა“. თბილისის უნივერსიტეტის რექტორს უსიტყვოდ ესმის მთელი ამ წამოწყების სიდიადე.

გ. ფ. წერეთელი 1924 წლის 6 აგვისტოს ლენინგრადიდან წერილში, აღნიშნავდა რა თავის გადაწყვეტილების შესახებ, ერთს სთხოვდა რექტორს, რომ არ დაგვიანებულიყო პაპირუსების გამოცემა, თუმცა იოანე იტალოსის პირველი წიგნის გამოცემა დაგვიანდა (აქვე იმასაც სწერდა, რომ მეორე წიგნი ი. იტალოსისა მზად აქვს გამოსაცემად). გ. ფ. წერეთელს პაპირუსების გამოცემა პატრიოტულ საქმედ მიაჩნდა, იმის დასამტკიცებლად, რომ „თბილისში შეუძლიათ კითხვა და გამოცემა ბერძნული პაპირუსებისა“.

1925 წელს გამოსულ პირველ ტომს ალტაცებით ხედებიან სპეციალისტები; 1935 წელს კი V ტომი გამოდის. ახლა მისი სახელწოდებაა „რუსეთისა და საქართველოს კოლექციათა პაპირუსები“. საქართველოს პაპირუსები ეს მხოლოდ გ. ფ. წერეთლის პირად საკუთრებაში არსებული პაპირუსები იყო. იგი მათ ამიერიდან სიამაყით აცხადებს საქართველოს პაპირუსებად. ეს პაპირუსები დღეს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

თანამედროვე მკითხველმა კარგად უნდა წარმოიდგინოს ხუთ ტომად გამოცემული პაპირუსების გამოქვეყნების თავისებურება.

სტამბური ნიშნებით შეუძლებელი იყო პაპირუსების გამოცემა. იგი აუცილებლად ლითოგრაფიული უნდა ყოფილიყო. ხუთივე ტომი გ. ფ. წერეთლის მიერ საკუთარი ხელით იყო გადაწერილი. ასე გადადიოდა ტექს-

ტი ლითოგრაფიულ ქვაზე. ტექსტი გერმანულად იყო თარგმნილი. შენი-შენა-კომენტარებიც ასევე გერმანულ ენაზე იყო შესრულებული. მაშასადამე, ხუთივე ტომი გადაწერილია გ. ფ. წერეთლის მიერ, ორ ტომზე შენიშენები და თარგმანები ეკუთვნით მის მოწაფეებს პ. ერნშტედტს და ო. კრიუგერს. დანარჩენ სამ ტომზე კი — გ. ფ. წერეთელს, ამასთან ყველა ტომის საერთო რედაქტორიც თვითონაა.

გასაგებია, რომ პაპირუსების შესანიშნავი ტომები (1966 წელს ამსტერ-დამში ხელახლა აღბეჭდილი გაიმეორეს ისინი) უნივერსიტეტის ბიბლიოთე-კის გაცვლითი ფონდის ყველაზე ძვირფას კოლექციას წარმოადგენდა. ეს კო-ლექცია თბილისის უნივერსიტეტისთვის მრავალი უცხოური წიგნის შექენის საშუალება გახდა.

ცალკე უნდა ითქვას უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჭავჭავაძის შესა-ნიშნავ მიგნებაზე. ეს იყო გ. ფ. წერეთლის დანიშნავი უნივერსიტეტის სამეც-ნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად. უკეთეს კანდიდატურას ამ საპატიო თანამდებობაზე ვერც წარმოიდგენდა კაცი: მაღალი ინტელექტი, მრავალ ენათა ცოდნა, დაწინაურებულ უნივერსიტეტებში მუშაობის დიდი გა-მოცდილება, სანიმუშო დისციპლინა და თვითდისციპლინა, ამასთან ნამდ-ვილი საერთაშორისო ავტორიტეტი მკვლევრისა — პირობა გახდა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ბიბლიოთეკის მუშაობის ახალი ეტაპური წარ-მატებებისა. 1923—1931 წლები გ. ფ. წერეთლის დირექტორობისა ცალკე მიმოხილვის ღირსია (აქვე უნდა ვთქვათ, რომ თბილისის უნივერსიტეტის ბიბ-ლიოთეკას დიდი სამსახური გაუწია მაღალგანათლებულმა მეუღლემ გ. ფ. წერეთლისამ — ს. ი. მაქსიმოვამ, რომელიც აქ ბიბლიოთეკის მთავარ მეცნიერ კონსულტანტად მუშაობდა). აღვნიშნავთ მხოლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის გ. ფ. წერეთლის მოღვაწეობას საბიბლიოთეკო ფონდის გაზრ-დაში. იგი ამაზე ზრუნავს შინ და გარეთ. მაგალითად, მისი ინიციატივით არა მარტო შექენილ იქნა აკად. ბ. ა. ტურაევის (იგი მისი დის ე. ფ. წერეთლის მეუღლე იყო) მდიდარი ბიბლიოთეკა ხელსაყრელ ფასებში, არამედ 100-ზე მეტი ტომი აკადემიკოსის ქვრივმა თბილისის უნივერსიტეტს საჩუქრად მიუძღვნა.

1924 წლის მაისში რომიდან გ. ფ. წერეთელი ატყობინებდა რექტორს, რომ რუსეთის საკონსულო გვიგზავნის საჩუქრად რუსულ ენაზე მედიცინის სახელმძღვანელოებს სტუდენტებისათვის, მას მარტო გადმოგზავნისათვის გადაუხდია ფული. ოფიციალური მადლობა ვუთხრათ, რომელსაც მე გავა-კეთებო.

1924 წლის 4 ივლისს გ. წერეთელი ბერლინიდან უნივერსიტეტისათვის წიგნების შექენაზე იწერებოდა.

თ ა მ ი X. მეთხუთსე წიგნი წინ უსწრებს მესამეს

ათი წლის შემდეგ, 1924 წელს, გამოდის „ქართველი ერის ისტორიის“ ახალი ტომი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არ არის მესამე ტომი, იგი მეოთხე ტომია.

წინასწარ უნდა ითქვას: აქ ჩანს, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდე-ბა ავტორი თავის ნაწერის გამოქვეყნებას, რამდენად ფრთხილად იყენებს იგი საკუთარი ნაწარმოების გამოქვეყნების „აბსოლუტურ უფლებას“.

1924 წელს გამოსულ მეოთხე ტომის წინასიტყვაობაში იგი გვიხსნის მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ეს:

ქართველი ერის ისტორია, როგორც ადრე წერდა, მას ოთხ წიგნად ჰქონდა ნაგარაუდები. შემდგომ მისთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვდა და ამისათვის ოთხი წიგნი საკმარისი არ იქნებოდა. ყველაზე უფრო ძნელად, რასაკვირველია. XIV—XVI საუკუნეთა ისტორია აღსადგენი. მუშაობის დროს ისიც გაირკვა, რომ საქართველოს არც XIII საუკუნის ისტორიული თავდადასავალია მაშინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში სრული სინამდვილით აღწერილი და ამ ხანისათვისაც დიდი რთული კრიტიკული კვლევა-ძიება ყოფილა საქირო, რათა თავიდან აეცილებინა მესამე წიგნის მეტისმეტი სიდიდე და, რადგან XIII საუკუნისა და XIV საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას მონღოლთა ბატონობა თავისებურ ელფერს ადებს, გადაწყვიტა XIII — XIV საუკუნისათვის ცალკე წიგნი მიეძღვნა და მესამე ტომად გამოეყო, XV—XVI საუკუნეებისათვის კი მეოთხე წიგნი მიეძღვნა, ხოლო XVII — XVIII საუკუნეებისათვის მეხუთე. საბოლოოდ მეოთხე წიგნის უფრო ადრე გამოსვლას ივანე ჭავჭავიძევი ასე ხსნიდა: „რაკი მესამე წიგნი ჭერ კიდევ მთლიანად დაწერილი არა მაქვს, ამიტომ მეოთხე წიგნი მესამეზე ადრე იბეჭდება“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, 1967, გვ. 10).

სამწუხაროდ, ივანე ჭავჭავიძევი ვერ შოასწრო თავის სიცოცხლეში დაებეჭდა „ქართველი ერის ისტორიის“ გამოსაცემად მომზადებული III ტომი ვრცელი რედაქციით.

ივანე ჭავჭავიძევი კარგად ხელავს, რომ IV ტომის გამოქვეყნებაც დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. იგი აღნიშნავს, რომ ჭერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსარკვევი, არ არის სათანადოდ შესწავლილი ამ დროის ხელნაწერები, უკეთესი იქნებოდა, მესამე და მეოთხე წიგნი ხელნაწერების აღწერის დამთავრების შემდგომ გამოქვეყნებულიყო: მაშინ წარსული ცხოვრების სურათი უფრო მეტი ხორცმესხმულობით წარმოგვიდგებოდა და განხილვასაც ასეთი მონოგრაფიული ხასიათი არ ექნებოდა. ივანე ჭავჭავიძევი გაითვალისწინა ის, რომ ამ ხანის კრიტიკული ისტორია საერთოდ არ არსებობდა და ჩვენი ხალხის ისტორიის ეს მონაკვეთი წყვედიად იყო მოცული. ივანე ჭავჭავიძევი წყაროების კრიტიკული კვლევა-ძიებით დატვირთულობას არ უშინდება, ვინაიდან სხვანაირად არ შეიძლება გარკვევა დაბურულ ტყეში თუ უდაბნოში, რომელსაც XIV — XVI საუკუნეები ეწოდება. ფართო მკითხველთათვის მისაწვდომი ისტორიის დაბეჭდვას იგი კვლავ აპირებს.

საქართველოს XIII — XVIII საუკუნეების ისტორიის ინტენსიურ კვლევა-ძიებას ივანე ჭავჭავიძევი 1917 წლიდან შეუდგა, განსაკუთრებით ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ. იგი 1918 — 1921 წლებშია დაწერილი. მაგრამ შემდეგში, მისი ჩვეულების მიხედვით, მასში ბევრი რამაა ჩამატებული და კიდევ უფრო სრულყოფილია. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ივანე ჭავჭავიძევის მიერ წინასიტყვაობაში გაკეთებულ განმარტებას: „ვითარცა მრავალი სხვადასხვა საქმეებით დატვირთულს, განუწყვეტლივ ამაზე მუშაობის საშუალება არ მქონდა და ამ გარემოებას არ შეეძლო, რასაკვირველია, თავისი ცული გავლენა არ მოეხდინა: თუ ერთხელ უნებლიედ შეწყვეტილი შრომის განახლება ყოველთვის ადვილი არ არის, მით უმეტეს ძნელია

მთლიანობის დაცვა მაშინ, როდესაც მკვლევარს თავისი თხზულების წერის შეწყვეტა ხშირად უხდება“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ., 12).

აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ივანე ჯავახიშვილმა წიგნზე ხანგრძლივი მუშაობა (თუნდაც წყვეტილებით) და ხელნაწერის დაბეჭდვის დაგვიანება ამ წიგნის შემდგომი სრულყოფისათვის გამოიყენა.

წიგნი თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევის უმძიმესი შედეგების აღწერით იწყება. აქ მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით შეიძლება აისახოს შედეგების უდიდესი ტრაგიზმი, რომელიც ამ დამპყრობელმა თავისა და სხვის ქვეყნებს მოუტანა: „თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ საქართველო გამანადგურებელი მიწისძვრისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასოდეს თავს არ დასტყდომია... მსოფლიო ისტორიის ასპარეზიდან მონღოლთა გაქრობას ვერც თემურ-ლენგმა შეუშალა ხელი და მის მიერ სისხლითა და ცეცხლით შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო მასთანვე ერთად დაემხო.

კაცობრიობას მან მხოლოდ გადაბუგულ-განადგურებული ქვეყნები და მის მიერ მსხვერპლად შეწირული აზიის ყველა ერიშვილთაგან მინარებად დადგმული ძეგლები და აღმოსავლეთის კულტურული და ეკონომიური დაქვეითება დაუტოვა სახსოვრად“ (ქ. ე. ი. წიგნი IV., გვ. 14).

ასევე საქართველოზე წარუხოცელი კვალი დასტოვა თემურ-ლენგის შემოსევამ: ერის მრავალი შვილი ამოწყდა, უკვე წინანდებურად აღორძინება ჩვენმა ხალხმა ვეღარ შეძლო და ბევრი იმ დროს გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცრიელი დარჩა, ჯერ ნასოფლარად იქცა, შემდეგ კი ბალახითა და ტყით დაიბურა. ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა ხელი ჩაიქნია და ირც ეცადა მოყვებულ კრილობების მოშუშებას. საქართველოს აღსადგენად წარმოებულ მუშაობას სათავეში მეფე ალექსანდრე, შემდეგ დიდად წოდებული, ჩაუდგა.

წიგნი სწორედ ალექსანდრე მეფის საქმიანობის დახასიათებით იწყება. ქვეყნის შიგნით და გარეთ მის მიერ ჩატარებული საქმიანობის შედეგად საქართველო გამობრუნდა და მოლონიერდა. ივანე ჯავახიშვილი ზოგად დასკვნას აკეთებს: „უძვირფასესი ნიჭი და უნარია, როდესაც ერს თუ კერძო პიროვნებას განსაცდელისა და გაჭირვების, სიკვდილისა და ნგრევის დროს აღორძინებისა და აღმაშენებლობის წყურვილი და ხალისი არ დაუკარგავს, ეს საღი საზოგადოებრივი სხეულისა და ადამიანის ძლიერი მაჯისცემის და ცხოველყოფილი დაუშრეტელი სიცოცხლის დამამტკიცებელია“ (ქ. ე. ი. წიგნი IV., გვ. 20).

შემდგომ მკითხველი პოულობს უხვ ცნობებს იმ ბრძოლის გარშემო, რომელიც საქართველოს დანაწილებისა და მთლიანობის გამო მეფე-მთავართა შორის წარმოებდა. ალექსანდრე დიდის მეფობის დამთავრების შემდეგ ეს ბრძოლა ფართოდ გაიშალა. ეს ჩანს მისი ვაჟის გიორგის მეფობისას XV საუკუნის სამოციან წლებში. იმ დროს მეფე გიორგისა და მის მთავრებს შორის დიდი უთანხმოება და სასტიკი ბრძოლა ყოფილა. მეფის მოწინააღმდეგეთა მოთავე, როგორც ჩანს, ყვარყვარე ათაბაგი უნდა ყოფილიყო. ეს ბრძოლა საქართველოს განკერძოება-განაწილებისა და მთლიანობა-განუყოფლობის გამო იყო ატეხილი. მესხეთის ათაბაგი, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავიანთ თავს უკვე საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ, რომ ცალ-ცალკე გამოეყ-

ვანათ ჯარი, ხოლო ყვარყვარე ათაბაგს საქართველოს მეფის გიორგის დესპანთან ერთად თავისი საკუთარი განსაკუთრებული ელჩი გაეგზავნა დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებში. მეტიც, ათაბაგი, ვიწრო კუთხური პატრიოტიზმით და მტრობით დაბრმავებული, შეეცადა მესხეთის ეკლესია ჩამოეშორებინა საქართველოს დედა ეკლესიისაგან. აქ ყოვლისა საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა პრინციპული პოზიცია დაიკავეს. ამგვარი განდგომა აუკრძალეს, როგორც ასეთ ვითარებაში ხდებოდა, ლაპარაკობდნენ ქართლის კათალიკოსის მექრთამეობაზე ეპისკოპოსად პირთა დასმის გამო. ეპევი არ არის, ეს ბრძოლის უღმობელი, დაუზოგავი საშუალების გამოყენება იყო და არა საბუთი, „თორემ რა დასაჩერებელია, რომ ქართლის კათალიკოსს, რომელსაც მესხეთის უმაღლესი სამღვდელთა ათაბაგის წაბაძულობით ისედაც ეურჩებოდა და გაურბოდა, თავისი თავი თვითონვე უარეს მდგომარეობაში ჩაეყენებინა და საქართველოს ეკლესიის საქმე ქრთამების აღებით გაეფუჭებინა. მისთვის ასეთ პირობებში ყოველ ქრთამზე უფრო ძვირფასი ის იყო, რომ იქაური სამღვდელთა პირი მასთან მოდიოდა, მის ბრძანებასა და ხელქვეითობას ცნობდა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 57).

თანმიმდევრული არგუმენტაციაა არა ის, რომ საქართველოს უმაღლეს სამღვდელთა მესვეურებს საზოგადოდ არ შეეძლოთ ქრთამი აეღოთ, არამედ იმ შექმნილ დამაბულ ურთიერთდამოკიდებულებაში ეს გამორიცხულ უნდა იქნეს.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს გარშემო შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. მძლავრადაა აღწერილი 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღება თურქების მიერ. გამოუსწორებელი და შემადრწუნებელი სინამდვილე საზარელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. „თვით ბერძნებს ხომ ამ მდგომარეობამ დაბრმავებული თვალები აუხილა და მათი უგნური სარწმუნოებრივი მძულვარებისა და შეუთანხმებლობის საშინელი შედეგი დაანახა“. მეტად გასაკვირია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ფაქტის შესახებ მცირე და მხოლოდ მშრალი მატრიანისებური ცნობები მოიპოვება. ეს მაშინ, როცა „ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინოპოლში საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალს მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა და მამკადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა. თავისუფალი კულტურულ-პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობა ახლად გამოლეიძებულ დასავლეთთან მას ამიერივითან მოსპობილი ჰქონდა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 63).

ახლა სპარსეთთან ერთად თურქეთთან დამოკიდებულების საკითხი საქართველოს არსებობის სასიცოცხლო საკითხად იქცა. მეორე მუდმივი და წამლევადი ძალის მტერი გაუჩნდა მას. აქ ნაჩვენებია ის ერთობლივი ბრძოლის გეგმა, რომლის განხორციელებისათვის ერთიანდებიან საქართველოს მეფეთაგან, ეძებენ მოკავშირეებს, დასავლეთ ევროპაში გზავნიან წარმომადგენლებს. ნაჩვენებია ამ გეგმების სრულიად დამსხვრევის მიზეზები.

ახლა შინაური ბრძოლა ახალი ძალით განახლდა საქართველოში. ამაზე მდიდარი ისტორიული წყაროებია. იგი ვრცლად აქვს აღწერილი ვახუშტი ბაგრატიონს.

ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს სხვადასხვა თეორიას საქართველოს დანაწილების შესახებ, რომელსაც XVI ს. დასასრულიდან საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები და ისტორიის მკვლევარნი ხსნიან. ივანე ჯავახიშვილი არ ეთანხმება შეხედულებას, რომლითაც თითქოს რომელიმე მეფემ მოისურვა და

დაპყო საქართველო სამეფოებად. იგი დაასკვნის: საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შემდგომ მოხდა. ამასთანავე ერთბაშად კი არა, არამედ თანდათანობით. პირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოშორდა, შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთი, მალე ქართლი და იმერეთიც ცალკე სამეფოებად გაიყვნენ. ასეთია ისტორიული სინამდვილე. ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ და შემოუბრუნებლად შეწყდა ბრძოლა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად, „ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სურათი ცვალებადი იყო და ახალ შექმნილი ერთეულების სივრცე-საზღვრებიც მრავალჯერ შეცვლილა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 93).

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობით გამოწვეულ კულტურული დაქვეითების ნიადაგზე აღმოცენებული და საქართველოს გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილი თემობრივი (ტერიტორიულ-ისტორიული ჯგუფის) განკერძოებისადმი მისწრაფება თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევებით გამოწვეული დაქსაქსულობით კიდევ უფრო გაძლიერდა. თემურ-კუთხობრივი განკერძოების მომხრენი არ კმაყოფილდებოდნენ სახელმწიფოს მთლიანობის დაშლა-დანაწილებისას, ისინი აქ ქართული ეკლესიის მთლიანობასაც არ ზოგავდნენ. საქართველოს საკათალიკოსო საყდრის შესევეურები გადაქრით იღგენ საქართველოს მთლიანობისა და განუყოფლობის მხარეზე.

იმ დროის ტომობრივ-გეოგრაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერ თემობრივ თავისებურებას ახლა ნოყიერი ნიადაგი შეექმნა თავისი განვითარებისათვის; თავისთავად, აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, თემობრივი თავისებურება როდია საშიში, იგი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს საფრთხეს, როცა ერის სახელმწიფოებრიობა „სუსტია და ერთობის გრძობას და საზოგადოებრიობის ალლოს სჭარბობს. მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების და ძლიერი ეროვნული თვით შემეცნებისათვის იგი სრულებით უვნებელია“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 176).

ცენტრალური სამეფო ხელისუფლების შესუსტება არა მარტო ცალკეულ მეფე-მთავართა ძალაუფლების ფარგალს ზრდის, არამედ ასახავს პოულობს ამ ცენტრალურ სამეფო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტების სტრუქტურაშიაც. ალექსანდრე I-დან მოყოლებული, აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, სამეფო სიგელები მარტო მეფის სახელით კი არ იწერებოდა და მარტო მბოძებელი მეფის სახელდებას კი არ შეიცავდა, არამედ თანამეცხედრე დედოფალ-დედოფალი, მეფის ყველა შვილი და ძმებიც კი იხსენიებოდნენ. გამოდის, რომ საბუთები მთელი სამეფო ოჯახის. სახელითაა დაწერილ-ბოძებული, ყველაფერი ეს იმის დადასტურებაა, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის დროს მეფე უკვე ერთადერთი ბატონ-პატრონი არ ყოფილა: „მის საქმეებში დედოფალიც, შვილებიც და ძმებიც იღებდნენ მონაწილეობას და ერეოდნენ. მეფე უკვე ისეთ მდგომარეობაში და პირობებში იმყოფებოდა, რომ ქალებისა და ოჯახის სხვა წევრთა სურვილისა და გავლენისათვის ანგარიში უნდა გაეწია, უნდა ცდილიყო მათი პატივმოყვარეობა შელახული არ ყოფილიყო... რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა მეფის ხელისუფლებისათვის და ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის დამლუპველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 176—177).

სამეფო ხელისუფლების შეუვალლობის დასუსტების ხელისშემწყობ გარემოებად აღმოჩნდა ის, რაც ლაშა-გიორგის შემდეგ საქართველოში ჩვეულებრივ წესად იქცა. მანამდე საქართველოს მეფეს უფლება არ ჰქონდა თავისი ქვეშევრდომის ცოლად შერთვისა. მას თავისი მეფური ღირსების თანა-

სწორი უცხო ქვეყნელი თუ მეზობელი სახელმწიფოს ოჯახის წევრი უნდა მოეყვანა თანამეცხედრედ. ეს შინაური ოჯახური პარტიკულარებობის ნიადაგზე ინტრიგების აღმოცენების შესაძლებლობას ამცირებდა. ეს წესი მეფის ცოლის ნათესავებს მეფის პოლიტიკასა და მოქმედებაზე ზეგავლენის საშუალებას არ აძლევდა.

ქართველი სახელმწიფო სამართლის ეს წესი ლაშა-გიორგიმ დაარღვია და შემდგომ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქვეშევრდომთა ცოლად მოყვანა უკვე იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. მეფის თანამეცხედრეთა გავლენის წყალობით, შულღისა და მტრობის ქსელი ადვილად იბმებოდა.

XV საუკუნიდან კიდევ უფრო ძლიერდება მეფის სახლობის როლი. ეს თვით სიგელთა სახელდებაშიც გამოვლინდა: „გუშინ სხვებსავით მხოლოდ მოყმის ასულად ყოფილს, დღეს საქართველოს დედოფალთ-დედოფლად ქცეულს. ალბათ ჰსურდა რომ მისი ასეთი აღზევება ყველას წინაშე და საბუთებშიაც აღბეჭდული ყოფილიყო. წვრილმანმა ოჯახურმა პარტიკულარებამ და თავმომწონებამ საქართველოს მეფის ტახტისაკენ გზა გაიკვლია და თავისი დამლუპველი გავლენის ქვეშ მოქცევას ლაპობდა. ცხადია, ასეთ პირობებში მეფეს მტკიცე ხელისუფლების შექმნა ძალიან გაუჭირდებოდა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV გვ. 177—178). მეორე მხრივ მეფის სახლობას და მეფეებს თავისივე ქვეშევრდომები სიძველად უხდებოდნენ და ამით მეფის პოლიტიკასა და ბედობაზე გავლენიან უპასუხისმგებლო წრის შემადგენლობა, რასაკვირველია, ფართოდებოდა. „თანაც მეფესთან შესიძებულ ოჯახში მეფეთა ასულების მდიდრება შედიოდა და ქვეშევრდომთადმი მეფისაგან ერთგვარი, თანასწორი დამოკიდებულების შესაძლებლობას აფერხებდა. ამ ნიადაგზე შური და უკმაყოფილება დიდებულთა შორის ბუნებრივად უნდა წარმოშობილიყო“ (იქვე, გვ. 179).

ყოველი ბატონიშვილი დედის ნათესავთა და საგვარეულოს ზეგავლენით, წაქეზებითა და თანადგომით, მეტადრე თუ იგი გამეფებული ძმის ღვიძლი ძმა არ იყო, არამედ სხვა დედის ნაშობი ნახევარი ძმა იყო, ასეთ პირობებში ადვილად შესძლებდა ძმის წინააღმდეგ ტახტის მძიებლად გამხდარიყო. ამას კი მარჯვედ იყენებდა თავისი ინტერესებისათვის უცხოური ძალა.

როცა საგარეო ვითარება აქეზებდა და დაქაჩული სოციალ-ეკონომიკური ნიადაგი ხელს უწყობდა ამას, არაფერს შეეძლო შეეჩერებინა საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა. ეს კი მათთვის დამლუპველი იყო პოლიტიკურად, დამაქვეითებელი და დამაკინებელი კულტურულად, დიდად საზიანო მისი ეკონომიკური სხეულის ბუნებრივ-ისტორიულად განვითარებისათვის. ყოველ სახელმწიფოს თავისი აუცილებელი აპარატი უნდა ჰქონოდა, მათ შორის მეტოქეთა შეცილება არც ერთი მათგანის თავმოყვარობას საშუალებას არ აძლევდა თავისი საბრძანებლოს ხარჯები გონივრული მომჭირნებით ვიწროდ შემოეფარგლა. „ამის გამო არა ერთი უკვე ზედმეტი ხელისუფლების თანამდებობის მოსპობა ვერ ხერხდებოდა და ისედაც გაჭირვებულს ხალხს მძიმე ტვირთად აწევებოდა“ (იქვე, გვ. 175).

მოსახლეობის შემცირება, სოფლის მეურნეობის დაქვეითება მთელი ბუნებრივობით ხალხის გაღატაკებას აძლიერებდა. საქართველოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საზაოები გაამრავლა, რამაც ალებ-მიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა.

კიდევ უფრო ძნელი გახდა მონღოლთა მიერ აკლებული და განადგურე-

ბული საქართველოსათვის კულტურული დაქვეითებისაგან თავის დაღწევა. საგარეო ვითარება ამას ყოველმხრივ უშლიდა ხელს. ამიერიდან დასავლეთისაგან საქართველოს მუდამ საფრთხე მოელოდა და ზღვა შეიკრა თურქთა მიერ. ბიზანტიის დამხობით საქართველოს ის საშუალება მოესპო, რომ დასავლეთ ევროპის კულტურული წარმატებისათვის თვალი ედევნებინა და ცხოველყოფელი განახლების მოზიარე გამხდარიყო. გონებრივი და მხატვრული კულტურის ცენტრი საბერძნეთიდან და აღმოსავლეთიდან უკვე დასავლეთ ევროპაში გადავიდა და კაცობრიობის საერთაშორისო და საკულტურო ენად უკვე ლათინური იქცა. ამ ცენტრებთან უშუალო კავშირი საქართველოს მოსპობილი ჰქონდა. „იქითკენ მიმავალი გზა იმ ძლიერი ოსმალეთის მიერ იყო გადაღობილი, რომელიც ევროპისაგან მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ითვისებდა, გონებრივი და კულტურული წარმატებისათვის კი გულსყური და ცოდნისმოყვარეობა დახშული ჰქონდა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 180).

იმ დროის საქართველოში დადუმდა მშვენიერი ქართული მხატვრული მწერლობა და შემოქმედების კერაში ცეცხლი ძალზე იყო დაფერფლილი. ადრე ესოდენ მდიდარი და მაღალი ნიჭით მონაბერი ქართული საისტორიო მწერლობა, რომელსაც კიდევ შეეძლო XIV საუკუნეში ეპითაღწერილობის შინაარსიანი მემატინე წარმოეშვა, XV საუკუნეში ისე დაძაბუნდა, რომ საგვარეულო დღიურებისა და მშრალი კინელოსების დონეს ვერ ასცილებია. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ეს ხდებოდა იმ ხალხში, რომელსაც XII საუკუნეში აყვავებული ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება ჰქონდა, რომ ეს კულტურული დაქვეითება იმ დროს ხდებოდა, როცა ბერძნულ-ლათინურ და არაბულ მწერლობასა და კულტურას დაწაფებული ევროპის ხალხები რენესანსს აღრმავებენ და აფართოებენ, როცა, სხვადასხვა სახელმწიფოში უნივერსიტეტები არსდებოდა და მეცნიერული კვლევა-ძიება განახლდა, მხატვრულმა მწერლობამაც ფრთების თავისუფლად გაშლა დაიწყო, იოჰან გუტენბერგისაგან ბეჭდვითი ხელოვნების მომპოვნელობით ადამიანის გონებრივი შემოქმედების აქამდე წარმოუდგენელი სისწრაფითა და სივრცით გავრცელება შესაძლებელი შეიქმნა...

დასასრულ, ქრისტიანთა კოლუმბისაგან ამერიკის აღმოჩენამ კაცობრიობას მანამდე უხილავი ქვეყნები, ხალხები და კულტურა, თანაც ახალი მიმოსვლისა და სავაჭრო გზები და მოღვაწეობის ასპარეზი მოუპოვა, ერთი სიტყვით, როდესაც დასავლეთი ჰაბუკუჩი ხალხით წარმატების გზას დაადგა, ამ დროს დასავლეთისაგან გზა დახშული, მაგრამ დასავლეთთან კავშირის მოიმედე პატარა საქართველო მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთთან ერთად დაწინაურების მაგიერ დაქვეითებისა და ჩამორჩენილობის გზაზე იყო დამდგარი და დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 183 — 184).

ასეთი მძიმე ტვირთით გადავიდა საქართველო XVI საუკუნეში. ამ საუკუნისადმი მიძღვნილი „ქართველი ერის ისტორიის“ გამოქვეყნება ივანე ჯავახიშვილმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო. იგი პირველად მის არქივში შენახული ხელნაწერების მიხედვით გამოქვეყნდა 1948 წელს ს. ყაუხჩიშვილისა და ალ. ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით, როგორც მეოთხე წიგნის მეორე ნაწილი.

XVI საუკუნეში საქართველოს დანაწილება უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჩანს, მაგრამ, ამასთან, არავინ არ ურიგდებოდა ამ ფაქტს იმ დროინდელ საქართველოს სამ მეფეთა-მეფისაგან, ისტორიკ იმას ადასტურებს,

რომ ყველა მეფე ცალ-ცალკე გაერთიანებისათვის იბრძოდა (რა თქმა უნდა, არა იმით, რომ მეორის ანდა მესამის სასარგებლოდ უარი ეთქვა სამეფო ტახტზე) და დანარჩენის მიმართ დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ე. ი. ყველა ისწრაფვოდა გაერთიანებით სრულიად საქართველოს მეფე გამხდარიყო. მკითხველი ეცნობა იმას, თუ რა დიდი ზიანი და მსხვერპლი მოსდევდა ამას ხალხისათვის. მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ამ წინააღმდეგობით მარჯვედ სარგებლობდნენ უცხოური ძალები.

მრავალი დარბევა ნახა ამ საუკუნეში საქართველომ იმდროინდელ სპარსეთისაგან. 1553—54 წლებში სპარსელებმა და ოსმალებმა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო შუა გაიყვეს. ყველაფერი ეს ქართველ მეფეთა ნების გარეშე მოხდა. ამ განაწილებას წინ აღუდგა და მთელი სიცოცხლე თავგანწირვით ებრძოდა სპარსელებს მხოლოდ ქართლის მეფე ლუარსაბი. ეს ბრძოლა მისმა შვილმა სვიმონმა განაგრძო. მაგრამ ასე როდი იქცეოდნენ სხვა მეფეებიცა და დიდებულებიც. გარეშე მტერი შინაგან წინააღმდეგობებს თავისი მიზნებისათვის იყენებდა. ასე, ლუარსაბ მეორის ვაჟიშვილი დავით ბატონიშვილი, თავის ძმაზე სვიმონზე შემომწყურალი, თავის სამშობლოს დაუძინებელ მტერთან და გამანადგურებელთან შაჰ თამაზთან წავიდა. სპარსეთის მბრძანებელმა ზარ-ზეიმით მიიღო მოლაღატე შვილი და ძმა. ანდა რატომ არ მიიღებდა: ქართლის მეფის ლუარსაბის წინააღმდეგ იძულებული იყო ხუთჯერ გაელაშქრა საქართველოში შაჰ თამაზს, ოცი წლის განმავლობაში იბრძოდა მის დასამორჩილებლად, მერე მამის მაგიერ შვილმა სვიმონმა იკისრა სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა და ირანის მბრძანებელი აქამომდე ვერაფერს გახდა. ახლა თვით ლუარსაბ მეფისავე შვილი და სვიმონ მეფის ძმა ნებაყოფლობით ძმაზე საჩივლელად მასთან მიდიოდა და სპარსეთის ბატონობის გაძლიერებას სთხოვდა. დავით ბატონიშვილმა პატიოსანი ადამიანის სინდისსა და ეროვნული გრძნობის დაკარგვასთან ერთად, სარწმუნოებაც უყოყმანოდ დასთმო და გამაჰმადიანდა. იგი დაუღ-ხანად იქცა და ბრკვეილა საჩუქარიც მიიღო თავისი სამშობლოს გამცემლობისა და სპარსელთა ყურმოკრილი მონობისათვის. დაუღ-ხანს ის ახარებდა, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისში შევიდოდა და მეფედ დაბრძანდებოდა. მართლაც, მას თბილისისა და საბარათიანოს მეფობა მისცეს. დაუღ-ხანს მაინც არავინ აბოგინებდა საქართველოში, თუ მას სპარსეთის სამხედრო ძალა არ დაიცავდა... ეს სპარსელებსაც აძლევდა ხელს და ისინიც იცავდნენ თავის დამქაშს. არც სვიმონ მეფეს, არც სხვა ვინმეს საქართველოში არ უცვნიდა სპარსთა წყალობით დაუღ-ხანის გამეფება. მათ ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა მტრისაგან თბილისის გამოსაგლეჯად. სვიმონმა ორჯზის დაამარცხა დაუღ-ხანი. ამ უკანასკნელის შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად სპარსელთა დიდი ჯარი გამოგზავნა შაჰ-თამაზმა. სიმამაცემ და თავგანწირულობამ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ არ გასქრა და სვიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა. თავის მოლაღატე ძმას როდი მიბაძა მან, ტყვეობაში ვერ გაამაჰმადიანეს, ვერც მისი გული მოიგეს. შაჰ თამაზს იგი ციხეში ჰყავს და. როცა შაჰი გარდაიცვალა, ცხრა წელიწადი ტყვეობაში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. დიდხანს მართლაც ვერ იბოგინა ქართლის ბატონად დაუღ-ხანმა.

ბოლოს, ხალხის მიერ მოძულეებული, იგი სტამბოლშია. პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული, უსაქმურად მყოფი დაუღ-ხანი ამ ქალაქში ცხოვრების ძლიერ მაჩისცემას გრძნობდა და აკვირდებოდა. დიდი ქალაქის კულტურულ-გონებრივ საგანძურზე დაკვირვებას ცნობისმოყვარეობა გაუფართოებია

და მისთვის მანამდე უხილავი გრძნობების მოზღვავეებისათვის ხელი შეუწყვია. მართალია, ახლა იგი თავს საწყალს უწოდებს, მაგრამ საქართველოსთვის იგი უღირსი კაცია. ახლა სამშობლოსაგან შორს მყოფსა და მოკვეთილს გაპლვიძებია სურვილი, კეთილი საქმეები გაუკეთოს მას.

დაუდ-ხანს ერთ ფილოსოფოს კაცთან სტამბოლში მრავალ წიგნთა შორის მოსწონებია განსაკუთრებით ორი საქემო წიგნი თურქულად დაწერილი, რომელშიც გამოკრებილი იყო ექიმობისა და წამლების შესახებ ცნობები.

მან იცოდა, რომ ამგვარი წიგნები საქართველოში არ იყო, „მწვედ“ უგრძენია ამ წიგნის მნიშვნელობა საქართველოსათვის. იგი ცდილობს გულწრფელი იყოს, რომ საქართველოში ბევრი კაცი მოუვლელიობითა და უტრდინრობით მოკვდაო. ახლა ამ ორ წიგნიდან დიდის გულმოდგინებით მას კომპილაციაც გაუკეთებია, ალბათ, იმის იმედით, რომ იქნებ მისი სააუგო მოღვაწეობა დავიწყებოდა ქართველ ხალხს.

საოცარია ბედი კაცისა. ახლა დაუდ-ხანი სამწერლო მოღვაწეობას მადლიან საქმედ თვლის და საქვეყნოდ აცხადებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელის შეწყობა მისაბაძი სათნოებაა. მაგრამ შესანიშნავად წერს ივანე ჭავჭავიძე იყველა დროის მოღალატის მიმართ: „ახსოვდა თუ არა, ამ „საბრალოს, უღირს დაუდ-ხანს“, რომელიც სტამბოლში მყოფი, თავის ნაშრომის დამთავრების შემდგომ, მისი სამკურნალო წიგნის მკითხველს ევედრებოდა: „შენდობას მიბრძანებდით კეთილსა თქვენისა ენისაგან“, რომ საქართველოში მრავალი კაცი მართო „უხელობითა და უცოდინარობით“ კი არ დაზიანებულა და მომკვდარა, არამედ არა ნაკლებ და უფრო მეტად შინაური, ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით, როდესაც ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი იღვრებოდა მისებრ უგნურ ბატონიშვილთა და დიდებულთა წყალობით, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ მებრძოლთა გვერდში ამოდგომასა და შველას, — ვერაგობას, მტრის ბანაკში ყოფნასა და მშობელი ერის დალატსა რჩებოდნენ. აგონდებოდა თუ არა ეს თავისი სააუგო წარსული ამ მართლაც რომ „უღირსს დაუდ-ხანს“, როდესაც მას შემდგომ, რაც სამშობლოს უბედურებით მან საკუთარი ბედნიერება მოიპოვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერც ძლიერი მტრის მფარველობამ უზრუნველყო მისი ლალატით შენაძენი სვიანობა, ის სტამბოლში გაქცეული ამაოდ ელოდებოდა გარეშე ძალის დახმარებას... ისტორიასა და შთამომავლობას მისთვის არც შენდობა უთქვამს და არც შეუბრალებია“ (ქ. ე. ი., წიგნი IV, გვ. 266).

მშობელივით ერთია სამშობლო, მას ვერ შეიცვლი და სხვას ვერ ამოირჩევ, მის ლალატს ვერაფერი გამოისყიდის. სამშობლოს დაკარგვა კი ყველაფრის დაკარგვაა.

• • •

ისევ „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომს დაუბრუნდეთ. ივანე ჭავჭავიძე იმამმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს გადასცა ხელნაწერი საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდისა XIII—XIV საუკუნეებისა. ამასთან იგი იმ დროს ერთადერთი მეცნიერული გამოკვლევა იყო ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთისა. იგი

გამოვიდა 1941 წელს როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ (XIII—XIV სს.) წიგნის შემოკლებული რედაქცია. სწორედ ეს რედაქცია საფუძვლად დაედო 1949 წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსული „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნის ვრცელ რედაქციას. ამავე წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეების მოკლე მიმოხილვა“. სამივე ეს წიგნი გამოყენებულია ჩვენ მიერ რიგი საკითხების განხილვის დროს.

მესამე წიგნი მეფე ლაშა-გიორგის დროინდელი მოვლენებიდან იწყება. იგი თამარის გარდაცვალების შემდეგ ქაბუკი ავიდა ტახტზე. რასაკვირველია, ფართოდ განთენილი საქართველოს მართვა ოცი წლის ლაშა-გიორგისათვის, თმარ მეფის განებივრებული ერთადერთი ვაჟიშვილისათვის, ადვილი არ უნდა ყოფილიყო. მას გულში დამალული შიშით უნდა შეხვედროდნენ ქვეყნის ბედის მესვეურნი. ახლა ყმადნაფიც ქვეყნებს მოეჩვენებოდათ, რომ მათი თვით დახსნის დღეც დადგაო. პირველად ურჩობა განძის ათაბაგმა გამოიჩინა. აქ ახალგაზრდა მეფე მეტად სარისკო სამხედრო ოპერაციას ატარებს, რამაც კინალამ შეუქმნა მის სიცოცხლეს საფრთხე. შემდგომ ჯარის მესვეურებთან იგი იძულებული იყო, კიდევ ბოდიში მოეხადა ზედმეტი სამხედრო სითამამისათვის.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინანე მშობლის მსგავსი ღირსებით წარმოგვიდგენს მას, მეტიც, ცდილობს იგი სახელოვანი პაპის პაპას შეადაროს ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ეს შექარება გადაქარბებულია და შეუფერებელი. „მას დავით აღმაშენებელამდე ძალიან ბევრი უკლდა“. გულადობა და უშიშროება მართლაც ახასიათებდა, ისტორიკოსთა ცნობებით, ლაშა-გიორგის. ეს იყო იმის პირობა, რომ მან შეძლო ყმადნაფიც ქვეყნების ურჩობის ჩაქრობა. ამასთან ერთად, ქართველი ეპითაალმწერელი საკიროდ თვლის მისი ხასიათის ნაკლოვანებანი აღნიშნოს. საბოლოოდ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ასეთ პორტრეტს გვიხატავს ივანე ჯავახიშვილი ლაშა-გიორგისას: „გულადი მებრძოლი, გულწრფელი და რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალული ქაბუკი, განათლებული, ხელოვნებისა და სახიობა-გართობის მოყვარული ადამიანი და დამოუკიდებელი თავისუფალი აზროვნების მიმდევარი პიროვნება“. ეს თვისებები, რასაკვირველია, როდია საკმარისი, რომ ქვეყნის გონივრულად მართვა შესძლოს, თუ მას კიდევ სხვა თვისებები ხასიათისა არა აქვს.

ლაშა-გიორგის, „დედისერთა ვაჟიშვილსა და ნებიერად გაზრდილ უფლისწულს, თანდათანობით ჯიუტი და თვითნება ადამიანისათვის დამახასიათებელი ნაკლი გამოაჩინდა, თავის გარშემო თანდათანობით თანამოაზრე თანამოსაქმენი შემოიკრიბა, დედის ნაცადი ხელისუფალნი კი ჩამოიცილა“.

სახელის მოხვეჭის წყურვილი და აქქარებული მეომრის რაინდული სულისკვეთება მის ხასიათში სახელმწიფოსა და ჯარის წინამძღოლისათვის აუცილებლად საკირო სიღინჯეს სქარბობდა.

გიორგი-ლაშა თავისუფალი აზროვნებისა და დამოუკიდებელი შეხედულებისა და ქცევის მიმდევარი ადამიანი იყო, ხშირად ათეისტობამდე მიმავალ თეორიული მოძღვრების მიმდევარ რინდთა წრესთან დაახლოებას არ ერიდებოდა. თავის რწმენის დასაცავად იგი არ ერიდება ეკლესიისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას. ეს ნათლად გამომქლავნდა მის მიერ სატრფოს არჩევაში. ველისციხეში ყოფნისას მეფეს ლამაზი გათხოვილი ქალი უნახავს, შეჰყვარებია, ქმრისათვის წაურთმეგია და თავისთან წაუყვანია. ამ ველისციხელი ქალისაგან მას ვაჟიშვილიც კი შეეძინა, რომელსაც დავითი უწოდეს. აქ მარტო სახელმწიფო სამართლის მოქმედი ნორმების დარღვევა კი არ იყო.

მეფეს ნება არ ჰქონდა თავის ქვეშევრდომი ქალი შეერთო, თანამეცხედრედ მეზობელ მეფეთა ასული უნდა მოეყვანა, ისიც საქართველოს მეფეთ-მეფეთა გვარეულობის რძლობის ღირსი. აქ მარტო ეს დარღვევა როდია. მეფემ დანაშაულიც ჩაიდინა: გვირგვინ-ნაქურთხი ცოლის წაგვრისათვის ყოველი ჩვეულებრივი პირი კანონის წინაშე პასუხისმგებელი იყო.

გასაგებია, ვაზირთა და ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთა მეფისად-ში გაკეთებული წინადადება, წაგვრილი ცოლი, მისი სატრფო, ისევ ქმრისთვის დაენებებია, თვითონ კი ცოლი შეერთო. მეფემ უარი განაცხადა, ველისციხელ ქალს ის ცოლად თვლიდა. მაშინ გადაჭრით ამოქმედდნენ ეკლესიის მესვეურნი: სასახლეში მივიდნენ, ველისციხელი მანდილოსანი გამოიყვანეს და ისევ თავის ქმარს დაუბრუნეს.

მაინც არ გამართლდა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა იმედი. ლაშა-გიორგიმ სხვა ქალის შერთვა არ მოისურვა და სიკვდილამდე უცოლოდ დარჩა. ეს ამბავი, — შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, — თავისთავად ლაშა-გიორგის გატაცების გულწრფელობასაც და სიყვარულის გრძნობის სიღრმე-სიძლიერეს ამტკიცებდა. იგი შეეძლო ნიჭიერ მწერალს სოციალური პრობ-ლემებით დაყურსვილი რომანისათვის გამოეყენებინა, მაგრამ არც იმის უკუღებულყოფა შეიძლება, რომ ლაშა-გიორგის ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას, როგორც უზენაეს საკეთ-მფლობელს, ქვეყნის ბედისათვის ეკისრებოდა. გვირგვინ-ლაშამ ისეთ დროს გამოიჩინა უდარდებლობა, როდესაც სახელმწიფოებრივი მისი მოვალეობა დაძაბულ მოღვაწეობასა და ქვეყნის კეთილდღეობაზე გაძლიერებულ მზრუნ-ველობას მოითხოვდა. ეს უდარდებლობა მონღოლთა პირველი გამოჩენის დროს გამოვლინდა. უბედურება მარტო ის კი არ იყო, რომ წინასწარი ცნო-ბები არ არსებობდა მონღოლთა შესახებ. ისინი გამოჩენამდე არა თუ ქართვე-ლებისათვის, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთისთვისაც სრულებით უცნობ ხალხს წარმოადგენდნენ. მთავარი ის იყო, რომ მონღოლთა პირველ გამოჩენას უნდა გამოეფხიზლებინა მეფე, მას უნდა ეგრძნო ამ დიდი საფრ-თხის მთელი საშიშროება. მემკვიდრის, რომელიც 1220 წელს მონღოლთა პირველ გამოჩენას აღწერს, შემოსეული ხალხის სახელიც კი არ სცოდნია. მონღოლთა ამგვარი გამოჩენა ქართველთ უმაღლეს ხელისუფალთ შემთხვე-ვით და უმნიშვნელო მოვლენად მიუჩნევიათ. მათ ეგონათ, მცირე აზიას ეს „უცხო თესლი“ სამუდამოდ ჩამოშორდაო, ასე რომ საისტორიო ასპარეზზე ახლად გამოჩენილი ძალის მთელი საშიშროება მათ ვერ გაეგოთ.

ლაშა-გიორგი დამშვიდებული, თავის დის რუსუდანის გათხოვებაში ხარ-ჯავს დარჩენილ დღეებს. მოახლოებული უბედურება, რომელიც შემდგომ მონღოლებმა მოიტანეს, ერთადერთი როდი აღმოჩნდა. მას წინ უსწრებდა შემოსევა ჯალალედინისა, რომელიც მონღოლთა რისხვას იყო გამოქცეული. არა თუ არაფერი არ იღონეს ამ ვითარებაში ჯალალედინთან რაიმე კონტაქ-ტების დასამყარებლად, არამედ საქართველოს მთავრების მედიდურობით სავსე დამკინავი პასუხი იმას ადასტურებდა, რომ მათ პოლიტიკური სიფხიზ-ლე და სამხედრო სიფრთხილის აუცილებლობის შეგნება მოღუწებული ჰქონდათ.

ჯალალედინის სამხედრო წარმატებებმა კი საბოლოოდ მისი დაუძინებე-ლი მტრის მონღოლების გამარჯვებას დაახვედრა საუცხოოდ შემზადებული ასპარეზი. იწყება მონღოლთა მრისხანე თარეშის ხანა.

ივანე ჯავახიშვილი პირველი ქართველი ავტორია, რომელიც ღრმა მეც-

ნიერული მონაცემებით მონოგრაფიულად სწავლობს მონღოლთა ისტორიასა და ყოფას, ამასთან უხვად იყენებს ძველ ქართულ წყაროებს.

ივანე ჯავახიშვილი მონღოლთა გამოჩენის საერთო დახასიათებასაც აწვდის ქართველ მკითხველს. მეცნიერთა ორი ჯგუფია მონღოლთა როლის შესახებ ისტორიაში. ერთს მონღოლთა ბატონობა აზიასა და ევროპაში ნაყოფიერად მიანიჩა და ამტკიცებს კიდევც, რომ ამ ხანამ მონღოლთა წყალობით ზოგი რამ თვალსაჩინო შესძინა და ადამიანთა ცხოვრების წარმატებას ხელი შეუწყო. მეცნიერთა მეორე ჯგუფს მიანიჩა, რომ მონღოლთა ბატონობა აულაგმელი ველურობისა და შეუბრალებლობის გამოვლენა იყო, რომელმაც შეაფერხა კაცობრიობის ცხოვრების ნორმალური განვითარება და ზოგან სამუდამოდ მოსპო კიდევც.

რასაკვირველია, არავის არ ჰქონდა უფლება და საფუძველი, ელაპარაკა მონღოლთა ბატონობის ვითომცდა კულტურულ მნიშვნელობაზე. ამ დასკვნას ვერც ის ცვლის, რომ მონღოლთა ბატონობის ხანამ მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპისათვის შესაძლებელი გახადა შორეული აღმოსავლეთის მდიდარი და თავისებურებებით აღსავსე მაღალხარისხოვანი კულტურის გაცნობა (ამის წყალობით ხელოვნების დარგში, მეტადრე მინიატურულ მხატვრობაში, განსაკუთრებული მიმართულებაც კი შეიქმნა), რომ ამავე ხანაში ევროპისა და აზიის მოსახლეობის გეოგრაფიული და მანამდე უცნობ ხალხთა ცოდნაც მეტად გაფართოვდა, „მაგრამ ყველა ეს მონღოლთა ბატონობის უნებლიეთი, თავისთავადი შედეგი იყო. ისტორიამ კი უნდა განარჩიოს პოლიტიკურ მოღვაწეთა და საისტორიო ასპარეზზე გამოსულ ერთა შეგნებულად დასახული მიზანი და მიზანშეწონილი მოღვაწეობის შედეგი მოვლენათა სტიქიურად თანამყოლისა, ანდა მომდევნო, მიზანდაუსახავი და უნებლიეთი შედეგისაგან“! (ქ. ე. ი., წიგნი მესამე, 1941, გვ. 157).

მონღოლთა მოღვაწეობის რაიმე დადებით შედეგებზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. მეორე მხრივ ისიც კი უნდა ითქვას, რომ მომთაბარე და პრიმიტიული წესების თანმდევი შედეგების სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება მთელს რიგ უპირატესობას აძლევდა მონღოლებს ბინადარ დაპყრობილ ხალხთან შედარებით.

როგორც მომთაბარე ხალხს სჩვევია, ისინი საკვებად პურეულს არ ეტანებოდნენ. როგორც ჟამთააღმწერელი გადმოსცემს, „პურისა გემო არ იცოდინან“ და მხოლოდ „ხორციითა და პირუტყვისა სძიოთა ცხოვნდებოდეს“. მისივე სიტყვებით, მონღოლთა გამოკვება შედარებით ადვილი საქმე იყო იმიტომ, რომ ხორცის გარჩევა არ სცოდნიათ და ყოველსავე სულიერს სჯამდნენ. მათი არსებობის მთავარი წყარო მესაქონლეობა იყო, რომლის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა. ცხენი მათთვის მრავალმხრივ ძვირფასი იყო, როგორც საწველი ცხოველიც, ამასთან სხვა ხორცზე მეტად ისინი უმთავრესად ცხენის ხორციით იკვებებოდნენ. მონღოლთა საყვარელი სასმელი ცხენის რძისაგან შემზადებული ნოყიერი და შუშუნა ყუმისი იყო, რომელიც წმინდა და ბოროტებისაგან განმკურნებელ სასმელადაც იყო მიჩნეული. ისტორიკოსის სიტყვებით, მონღოლები ჩვეულებრივ „მცირედითა საზრდელითაც“ იყვნენ ხოლმე კმაყოფილნი, მაგრამ ეს არ უშლიდათ ხელს, როცა მარჯვე შემთხვევას შეესწარებოდნენ, ჭამაშიც და სმაშიც ხარბნი ყოფილიყვნენ და გაუმამლარნი. ასევე მონღოლთა შორის მრავალყოლიანობა იყო გავრცელებული. მონღოლს იმდენი ცოლი ჰყავდა, რამდენსაც ქალის მშობლებისაგან იყიდდა. თავიანთ რომელიც ცოლისათვის რომ ღალატი შეეტყოთ, მონღოლები დაუნდობლად

ნამუსის დანდობა არ იცოდნენ. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ყველა ცოლი, საკუთარი დედის გარდა, უმცროს შვილს რჩებოდა.

მრავალ ცოლს შორის მხოლოდ პირველი ითვლებოდა უფროსად. ასევე მონღოლებს შვილებიც ბევრი ჰყავდათ. მრავალცოლიანობის მიუხედავად, ქალი მონღოლებთან არ იყო ისე შეზღუდული თავისი მდგომარეობით, როგორც მაჰმადიანი ქალები. მონღოლი ქალები ხომ თავიანთი მამების, ძმებისა და ქმრების მუდმივი თანამგზავრები იყვნენ მომთაბარეობის გამო, ამიტომაც მათ აზრს უფრო უწყევდნენ ანგარიშს, ვიდრე ეს მუსულმანურ ქვეყნებში იყო მიღებული.

ღროთა განმავლობაში, სხვადასხვა კულტურული ქვეყნის დაპყრობასთან ერთად, ზოგი რამ შეიცვალა მონღოლთა ყოფაში. ისინი შეეცადნენ განეეცათ რებიანთ ხელოსნობა თვით მონღოლთა შორის და ხელი შეეწყოთ ვაჭრობის განვითარებისათვის. დამახასიათებელია, ხშირად მონღოლები მთელი ქალაქის მცხოვრებთ დახოცავდნენ, დატოვებდნენ მხოლოდ ხელოსნებს, მათ იძულებით თავიანთ არჩეულ ადგილებზე გადაასახლებდნენ, რომ თვით მონღოლებს შორის დანერგილიყო ხელოსნობა. ეს ცდა უნაყოფო გამოდგა. მესაქონლე-მონადირე-მოლაშქრე მონღოლებს არავითარი ხალისი არ გამოუჩენიათ ხელოსნობის შესასწავლად. მართლაც, მკვიდრი ბინადრობის გარეშე და მცხოვრებთა კულტურული მოთხოვნილების უქონლობის გარემოებაში მაღალხარისხიანი ხელოსნობის გავრცელება-განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა: „ძალით გადასახლებული უცხო ხელოსნები ამრიგად თავიანთ ქვეყანასა და ხალხსაც მოსწყდნენ და მოაკლდნენ, რითაც, რასაკვირველია, მათი ერის კულტურასაც ზიანი უნდა მოსვლოდა, და მონღოლთა ამ დარგში დაწინაურებას ვერაფრად გამოადგნენ“ (ქ. ე. ი., წიგნი III. 1941, გვ. 154—155).

მომთაბარეობა მონღოლებმა სამხედრო მიზნებს დაუმორჩილეს და მის უპირატესობად აქციეს. „მონღოლებს, ისტორიის ფართო სარბიელზე ახლად გამოსული ხალხის მსგავსად, სიცოცხლითა და ენერჯით სავსე ჰაბუკური ძალა ჰქონდათ. ეს ახალგაზრდული ენერჯია და ლაშქრობანადირობის დაუშრეტელი ხალისი ჩინგის-ხანმა მარჯვედ გამოიყენა და თავის შექმნილი სამხედრო ორგანიზაციით... მთელი მონღოლეთი ნამდვილ სამხედრო ბანაკად აქცია. ამან მას საშუალება მისცა, მთელი ხალხის ძალ-ღონე ყოველ წუთს საპირობისამებრ გამოეყენებინა“ (იქვე, გვ. 42.)

ამასთან უნდა აღინიშნოს მთელი ამ ორგანიზაციის სუსტი მხარეებიც, რომლებიც თავის თავში მის დაღუპვას გულისხმობდა. აზიისა და ევროპის მაღალ კულტურულ ხალხებთან დამოკიდებულება არა მარტო ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის სურვილს აღუძრავდა მონღოლთა განსაზღვრულ ფენებს, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებთან დაახლოება დაბალი კულტურული დონის გამო გათქვეფა-ასიმილაციასაც კი იწვევდა. რელიგიური განსხვავება აქ სერიოზული დაბრკოლება არ იყო, მონღოლებს არ ჰქონიათ მკვეთრად გამოხატული სარწმუნოებრივი მძულვარება. ისინი შამანები იყვნენ და არც ცდილან თავიანთი კერპთაყვანისმცემლობა სხვაგან გაეცელებინათ. მეორე მხრივ კარგად გრძნობდნენ, რომ სახელმწიფო რელიგიები: კონფუციანობა, ბუდისტობა, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა შამანურობაზე მაღლა იდგა. ამ რწმენის ხალხთან დაახლოება დაპყრობილი კულტურული ერების რელიგიის გაძლიერებას იწვევდა თვით მონღოლებში. გასაგებია ამის შემდეგ ისტო-

რეულად დადასტურებული ცნობები იმის თაობაზე, რომ მონღოლთა მესვეურებს ყოველთვის ამინებდათ დაპყრობილ ქვეყნებთან მონღოლთა ლაშქრის კავშირ-ლოცობის საკითხი. მონღოლები დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისაგან განცალკევებით იყვნენ დაბანაკებულნი, სხვანაირად, არც ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის მკვიდრთა არეში დადგომა არ შეეძლოთ. ლაშქარს ხომ თან დასდევდა მათი ოჯახები და საქონელიც. ლაშქარს ქალაქგარეთ აყენებდნენ და რამდენადაც ქალაქებს არ ჰქონდათ უფლება ზღუდვალაგნის შემოვლებისა, მონღოლთა ჯარები ყოველთვის მზად იყო უკმაყოფილების ჩასახშობად. ამგვარი განცალკევებულობით აღწევდნენ ისინი გაცილებით დიდი მოსახლეობის მორჩილებაში ყოლას, ვიდრე თვითონ იყვნენ, ახალი ქვეყნების დაპყრობასთან დაკავშირებით შესაბამისად მონღოლთა რიცხოვრივი შეფარდება მცირდებოდა, ხოლო მათ მორჩილებაში მყოფთათვის საშენდრო ძალის დაქსაქსვა-დასუსტება ხდებოდა. ასეთ ვითარებაში სავსებით გასაგებია, რომ მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებში საოკუპაციო ჯარის ბანაკს მსვავსად უნდა ყოფილიყვნენ მოწყობილ-დაბინავებულნი. ასეთი მდგომარეობა ჩვეულებრივ დროებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მონღოლთა საყაენოში ეს მუდმივ წესად იყო ქცეული. ყველაფერი ეს შეუძლებელს ხდიდა მოსახლეობასა და უცხო ძალას შორის ურთიერთგაგებაზე დამყარებულ ნორმალურ სამოქალაქო ყოფაცხოვრებას. მეტიც, მონღოლებს ემინოდათ იმდროინდელი ადგილობრივი მოსახლეობის კი არა, არამედ თავიანთი ლაშქრის მხრივ ხანგრძლივი კავშირ-ლოცობისა დაპყრობილი ხალხების მოსახლეობასთან. „ადგილობრივი მოსახლეობის გავლენის საშემოგება იმდენად დიდი ყოფილა, რომ მონღოლთა ყაენებს თავიანთი ლაშქრის ნაწილების ერთ ადგილას დატოვებაც კი სასურველად არ მიაჩნდათ. მონღოლთაგან მკვიდრი ბინადრობის უქონლობის წესის ყველა უარყოფით თვისებებს კულტურის ამაღლების შესაძლებლობის შესაქმნელად, ამრიგად, კიდევ ეს ლაშქრის საოკუპაციო ჯარის მსგავსად დაბანაკების სისტემაც ერთვოდა ზედ და მდგომარეობას უფრო ართულებდა: წარმატებისა და მაღალ კულტუროსანი დაპყრობილი მოსახლეობისაგან რისმე შეთვისებისათვის ყოველგვე საშუალება თითქმის განზრახ იყო მოსპობილი“ (ქ. ე. ი., წიგნი III, გვ. 153).

ადგილობრივი მოსახლეობისაგან განცალკევებული ეს სამხედრო ბანაკი საოკუპაციო ჯარების მსგავსად, ყოველგვამ საბრძოლველად გამზადებული იყო, რაც აჯანყების სწრაფად და ადვილად ჩაქრობის საშუალებას იძლეოდა.

სხვადასხვა ქვეყნის ძარცვა-გლეჯის პერმანენტული პროცესი მონღოლთა ზედადენას რყვნიდა და დაუოკებელ სიხარბეს უღვიძებდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „მონღოლთა საერთო ნაკლს მაგარი სასმელეებისაგან თავსეუკავებელი მიდრეკილება შეადგენდა. მათ შორის ლოთობა ძალზე იყო გავრცელებული. ამ სენმა, მრავალცოლიანობასა და სქესობრივ თავაშვებულობასთან ერთად, მათ მმართველ წარს დიდი ზიანი მიაყენა და მათს ფიზიკურსა და სულიერ გადაგვარებას შეუწყო ხელი“ (იქვე, გვ. 41).

წვენ ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით დავახსიათეთ მონღოლთა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წყობის თავისებურებანი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეებთ; მისი საბოლოო დამარცხებით, მაგრამ საქართველოში მონღოლთა თითქმის ასწლოვანი სისხლიანი თარეშის ისტორიაში ყველაზე მძიმე იყო პირველი ათეული წლები, როცა ამ ბარბაროსულ სამხედრო ერთობას „შაბუკური“ ძალა ჰქონდა. მან შეიწირა დიდძალი მოსახლეობა, ქალა-

ქები, დაბები და სოფლები, ეროვნული სიმდიდრე. შემდგომ წლებში ქართველებმა არა მარტო სახელი გაიგეს მონღოლთა, რომელთა სახეები პირველად ჭოჯოხეთურად შიშისმომგვრელი ეჩვენებოდათ, არამედ უკვე მათი წეს-ჩვეულებათა გავლენაც იგრძნობოდა ქართველთა ზედა ფენაში.

მონღოლთა შემოსევის საფრთხეს უკვე გრძნობენ საქართველოს ხელისუფლების მესვეურნი, მაგრამ სრულიადაც არ არიან მზად დასახვედრად. მეორე შემოსევის წინ მონღოლთა წარმატებით დამფრთხალი რუსუდან მეფე კვლავ ტოვებს თბილისს და ქუთაისში გადადის. საქართველოს მთავრობა ვაზირების გასაოცარ გაუბედობასა და უთაურობას ამკლავებს. მეფის წასვლის შემდეგ ვაზირებიც თავიანთ მოვალეობას ივიწყებენ და შეუთანხმებელივ, დაქსაქსულად მოქმედებენ. ხალხი მათგან ვერ ხელავს მამაცობასა და შეუდრეკლობის მისაბამ მაგალითებს. ასეთ ვითარებაში ერი შეძრწუნებული და თავზარდაცემულია. უპატრონოდ და უმეთაუროდ დატოვებულ ქვეყანას იპყრობს მონღოლი, ერისთავთ-ერისთავთ და ვაზირთ სათითაოდ ცალ-ცალკე ამარცხებს იგი. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთა ხელში აღმოჩნდა (უნდა ითქვას, რომ მონღოლებმა თავიანთი ბატონობის თითქმის ასი წლის მანძილზე ვერ გაბედეს დასავლეთ საქართველოში სამხედრო ძალით შესვლა). თანდათან გრძნობენ ქვეყნის მესვეურნი, რომ მტერზე გამარჯვებისა და მონღოლთა განდევნის იმედი გაქარწყლებულია და მასთან საკუთარი ინტერესების და თავის გადარჩენის გულისათვის კონტაქტებს ეძებენ. ეს კონტაქტები სამშობლოს ღალატის ტოლია იმ პერიოდში, ვინაიდან იგი მეფისა და მთავრობის შეუეთხავად ხდებოდა. ამგვარი ღალატის პირველ და ყველაზე ძნელ ნაბიჯს ავაგ ამირსპასალარი დგამს. მონღოლებს ეს დიდად აწყობდა. მალე სხვებიც გაჰყვნენ მის მაგალითს, მას მიმბაძველები გამოუჩნდნენ. აი როგორ აღწერს პირველი ღალატის ტრაგიკულ გავლენას სხვა დიდებულებზე ივანე ჯავახიშვილი: „მტრის წინაშე ქედის მოხრა, რაც უნდა იყოს, ადამიანის თავმოყვარეობისათვის სათაკილოა, მაგრამ როდესაც ამგვარ სააუგო საქმეს სხვა ჩაიდენს, მაშინ დანარჩენთ ძნელი ნაბიჯის გადადგმა უადვილდებათ, და თვით საქციელსაც მათთვის თითქოს აუციანობაც კი ეკარგება. ამ შემთხვევაში ასეთი სათაკილო ნაბიჯის გადადგმა საქართველოს მხედრობის თვით მთავარსადაღალმა ავაგ სპასალარმა იკისრა და სხვებისათვის ხომ მონღოლთა წინაშე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე იქნებოდა“ (ქ. ე. ი., ტ. III, 1966, გვ. 101).

ახლა უკვე მონღოლთა ბატონობის ხანაში ადამიანის დაწინაურება და აღზევება ბევრნაირად იყო დამოკიდებული მონღოლთა მფარველობასა და სურვილზე. ამ ვითარებაში პირადი ნიჭი და გამჭრიახობა საქმეს ვერ უშველიდა, თუ პირს არ ექნებოდა შემგუებლობის უნარი და თავისი პირადი კეთილდღეობის მისაღწევად საშუალებათა განურჩევლად და მარჯვედ გამოყენების მიდრეკილება. ასე მრავლდებიან პოლიტიკური მედროვეები. მონღოლები ახლა ამგვარი პირების გზით განაგებდნენ თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. ყველაზე გვიან სამცხის ერისთავთ-ერისთავი იოანე-ყუარყუარე ჯაყელი იბრძვის ქედმოუხრელად მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ როგორ გაუძლებდა იგი თავზე დამტყდარ მონღოლთა მთელს მრისხანებას. სამცხეს არ შეეძლო გამკლავებოდა მტერს. წინააღმდეგობის გაგრძელებას. სამცხის განადგურებისა და ხალხის გაწყვეტის გარდა, არაფერი შეიძლებოდა მოჰყოლოდა: საქმე უკვე წაგებული იყო! ამიტომ იოანე ყუარყუარე ციხისჯვარელმა ჯაყელმა რუსუდან მეფეს საქმის ვითარება მოახსენა, ნებართვა სთხოვა მონღოლებთან შეთანხმებაზე. რუსუდანმა დასტური მისცა და სამხე-

დრო მოქმედება შეწყვიტა სამცხეშიც. რუსუდან მეფე ამოო ცდას მიმართავს მონღოლთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისაგან სამხედრო დახმარების მისაღებად. ახლა იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არავითარი იმედი არ ჩანდა მონღოლთა სწრაფი განდევნისა და აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლებისა.

შედარწუნებულ და თავზარდაცემულ ხალხს და მის მმართველებს, XII საუკუნის აყვავების შემდეგ, მხოლოდ ის თუ უნებლბდა მწარე შეგრძნებას, რომ მათი მძიმე ბედის მონაწილე გახდა მთელი აზია და ევროპის თვალსაჩინო ნაწილი.

რუსუდან მეფე იმ ძნელ ვითარებაში ვერ შეურიგდებოდა საქართველოს ორად გაყოფას და აღმოსავლეთ საქართველოს სრულ ჩამოშორებას. საესებით სწორად ახლა რუსუდან მეფემ გადაწყვიტა მონღოლებთან შეთანხმება-დაზავება და მოლაპარაკება დაეწყო. ამ მიზნით მან მონღოლთა მთავარსარდალთან უკვე საკმაოდ შეჩვეულნი — მხარგრძელები, სპასალარი ავაგ და შანშუ მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი, შოთა კუპარი მოციქულებად წარგზავნა. იგი არც ამით დაკმაყოფილდა. რუსუდანმა გადაწყვიტა, უშუალოდ თვით ბათო ყაენისათვის მიემართა, რომ უვნებლობის სიმტკიცის აღთქმა პირადად მისგან მიეღო. მხოლოდ ბათო ყაენთან წარგზავნილი მწიგნობართუხუცესის არსენის დაბრუნების შემდეგ მოხერხდა საქართველოსა და მონღოლთა საყაენოს შორის საერთო პოლიტიკური და საზავო შეთანხმება. ამ შეთანხმებით საქართველო სცნობდა მონღოლთა საყაენოს უზენაესობას, მაგრამ იმ სამართლებრივი სტატუსით, რომ ლიხთ-ამერეთში, ვითარცა ძალით დაპყრობილში, საქართველოს ხელისუფლების გარდა, მონღოლთა საყაენოს უმაღლესი მოხელეები იქნებოდნენ და ლაშქარიც დარჩებოდა. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს ჭარის მონაწილეობა აუცილებელი იყო მონღოლთა ყველა ლაშქრობაში.

საქართველოს მეფეები და დიდებულები დიდ წარჩინებასაც აღწევდნენ მონღოლთა სამსახურში. ისინი თავის გამოჩენისათვის ხშირად გადაქარბებული გულმოდგინებით, უანგარიშო თავგამოდებით არ ინდობდნენ ქართულ ლაშქარს და სამშობლოს მტრის მხარეზე თავგანწირვით იბრძოდნენ ხშირად იმათ წინააღმდეგ, ვისაც მონღოლთა მონობისა და ბატონობის მძიმე უღლის დაღება არ სურდა.

სხვა სამართლებრივი სტატუსი არსებობდა დასავლეთ საქართველოს მიმართ. დასავლეთი საქართველო, ვითარცა მონღოლთა უზენაესობის ნებაყოფლობითი მცნობელი, მონღოლთაგან თავისუფალი რჩებოდა. საქართველო ამასთანავე მონღოლთა საყაენოსათვის 50 000 ოქროს გამოლებას კისრულობდა. მონღოლები თავიანთ მხრივ რუსუდანის ძე დავითს სრულიად საქართველოს მეფედ სცნობდნენ. რუსუდანი თავის შვილით 1242 — 1243 წლებში ქუთაისიდან ტფილისში გადმოვიდა. ადგილობრივი ნოინებს არ შეეძლოთ მეფედ დამტკიცება, მათ მხოლოდ თავისი დასკვნისა და ცნობების გატანება შეეძლოთ, მეფედ დამტკიცება კი ბათო ყაენის უფლება იყო.

ბათო ყაენის ურდოში წასვლა მოუხდა დავით რუსუდანისძეს, შემდეგ კი იქიდან დიდ ყაენთან წასვლა. ამ შორეული მგზავრობისათვის დიდი დრო იყო საჭირო. ამასთან ურდოში ჩვეულებად ჰქონდათ, გაეხანგრძლივებინათ მეფედ დამტკიცება. ურდოში ყოფნას დიდი დრო მოუხდა. ბევრი უბედურების ნაწილი დედამ არაფერი იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა შვილი, ვერ გაუძლო ამას და 1245 წელს გარდაიცვალა. საქართველოში უმეფობის ხანა

დაიწყო. აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა საშხედრო ხელისუფლება მხოლოდ დამპყრობელი ძალა იყო. ამ დროს დიდებულთა შორის ეგარსიანი ბაქურციხელი დაწინაურებულა და აღზევებულა. აქ დიდი ქუთა და იშვიათი მკვერმეტყველების ნიჭი მის აზრს დასაყერებლობას აძლევდა და ამან იგი საქართველოს უცილობელ ხელმძღვანელად აქცია. მას გამთავრებაც მოუწადინებია. ამას კი წინ აღუდგა დიდებულთა გავლენიანი და მძლავრი უმრავლესობა. ამ ვითარებაში, როცა ცნობილი არ იყო, ცოცხალი იყო თუ არა დავით რუსუდანის ძე, დაიწყო ტახტის სხვა მემკვიდრის ძებნა. სამეფო საგვარეულოს ერთადერთი შთამომავალი ლაშა-გიორგის ძე „უკანონო“ შვილი დავითიდა იყო გადარჩენილი. 1245—1246 წლებში გაგზავნეს ურლოში იგი. მონღოლთა დიდი ყაენის ურლოში დავით ლაშა-გიორგის ძეს და მის ამაღას მოულოდნელად დავით რუსუდანის ძე დახვდა. ახლა საქართველოს ტახტის ორი მაძიებელი აღმოჩნდა. ორივეს ჰყავდა მხარდამკვერი. მწვავე კამათი ახლა ურლოშიც გაგრძელდა ორ პრეტენდენტს შორის; არც ერთს არ სურდა თავისი პოზიციების დათმობა. უცნაური სურათი შეიქმნა: ბიძაშვილ-მამიდაშვილი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს ტახტზე და სამშობლოდან შორს ყარაყორუმში წასულნი თავიანთ მხარდამკვერებით უმტკიცებდნენ ბათო ყაენს, რომ თითოეულ მათგანს აქვს საფუძველი, იყოს საქართველოს მეფე. ამ სურვილს მათთვის დაუეწიყებია სამშობლოს ინტერესები, ნათესაობაც და უგუნურად, ცხარედ პაექრობენ თავიანთი მომხრეებითურთ, იჩემებენ საქართველოს სამეფო ტახტს.

სამეფო ხელისუფლების ღვინით დათრობის სწრაფვა ამაზე შორს ძნელად წავა დავით რუსუდანის ძის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ ცილობაში მათ მეტი უფლება აქვთ: მონღოლთა საქართველოში შემოსვლამდე დავით რუსუდანის ძე საქართველოს სამეფო ტახტზე დედის თანამოსაყდრედ იყო დასმული. მონღოლთა შემოსვლის შემდეგ, როდესაც მათთან დაზავება მოხერხდა საქართველოს ერთ-ერთ კანონიერ მესაქედ დავით რუსუდანის ძე იყო ცნობილი და მაშინ ამის მოწინააღმდეგე არავინ ყოფილა. ამასთან დავით ლაშა-გიორგის ძეს, ვითარცა უკანონო შვილს, სამეფო ტახტი ქართული სახელმწიფო სამართლით არ ეკუთვნოდა.

ლაშა-გიორგის ძის დავითის მომხრეებს ამ არგუმენტის წინააღმდეგ არაფერი შეეძლოთ დაეპირისპირებინათ. მათ მხარეზე მონღოლური სამართალი აღმოჩნდა, რომელიც მათ დაუზარებლად და მოურიღებლად გამოიყენეს. ისინი იმის მხარეზე იყვნენ, რომ მამრობითი სქესის მემკვიდრეს მეტი უფლება აქვს მდებრობითისაზე, „უკანონო“ შვილობას აქ არ შეიძლება გადამწყვეტი როლი მიეკუთვნოთ.

ნათესავეებისა და სეხნიათ ეს დავა-ცილობა ურლოს კარზე მყოფი უცხოელი დესპანებისათვის გახდა ცნობილი. დავის გადაწყვეტის საქმე ბათო ყაენამდე მივიდა. მას არ მოუსურვებია ამ საკითხის გადაჭრა. საბოლოოდ საქმე გადაწყვიტა დიდმა ყაენმა გუიუქმა 1247 წელს. მისი აზრით შესაძლებელი იყო, საქართველო ორ სამეფოდ გაყოფილიყო, მხოლოდ ერთ-ერთი უზენაესი მეფე ყოფილიყო. მონღოლთა აზრით რამდენიმე ყაენის არსებობა არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მთლიანობას. თვით ჩინგის ხანმაც კი ახლად შექმნილი უზარმაზარი საბრძანებელი გაუყო თავის შვილებს. უფროს მათგანს მხოლოდ უზენაესობა ჰქონდა მინიჭებული, დანარჩენი ყაენები კი თანასწორნი იყვნენ. მონღოლთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, შვილი უკანონო იყო თუ კანონიერი. მრავალცილიანობის დროს, როცა რეგისტრაცია

არ არსებობს, კანონიერი და უკანონო შვილის საკითხი არ დგება. მონღოლური სამართლით დავით ლაშა-გიორგის ძე უპირატესობითაც კი სარგებლობდა, როგორც ასაკით უფროსი. მრავალწლიანი დავა-ცილობის შემდეგ იგი უფროს ჰეფედ დაინიშნა. კიდევ კარგი, რომ ურდოს კარზე სამეფო ტახტის ქართველი მოდავენი არ დათანხმდნენ საქართველოს გაყოფას. თუმცა ეპკვი არ იყო, რომ ამით ჩაბნეული იყო მომავალი განხეთქილების ღვარძლის თესლი. მართლაც, ამან გესლიანი ნაყოფი მოიტანა შემდგომ. ივანე ჭავჭავიძე იგვიწერს იმას, რომ ორი მეფის შეუთანხმებელმა მოქმედებამ თვით მონღოლთა წინაღობა აჩანყების საკითხებში ზედმეტი სისხლი მოითხოვა ქართველი ხალხისა, ვინაიდან მის ჩაქრობაში ხშირად ქართველთა მეორე ჯგუფი მონაწილეობდა. ორმეფობის დროს მათი პიროვნული ხასიათის თვისებები ზოგჯერ ხალხის უზედურებად იქცეოდა, პოლიტიკურ სიბეცემდე მიდიოდა, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას დავით ლაშა-გიორგის ძეზე.

ნათესაობისა და სეხნაობის გარდა, აღნიშნავს ივანე ჭავჭავიძე, ამ ორ დავითს საერთო ბევრი არა ჰქონია რა. დავით ლაშა-გიორგის ძე ტანადი ყოფილა, მაგრამ ენაშიმე და მალემრწმენი, საუბარი ეძნელებოდა. გულუბრყვილობასთან ერთად არაერთხელ ფიცხი ხასიათის თვისებაც გამოუჩენია. საქმარისი იყო რაიმე უსიამოვნო ამბავი გაეგო, რომ ადვილად დაეჭვებინა და აჩქარებით თავისი მრისხანება გამოემჟღავნებინა. ამ მალემრწმენობამ და აჩქარებამ არაერთხელ მას ისეთი შეცდომა ჩაადენინა, რომელმაც საქართველოს დიდი ზიანი მოუტანა.

იმ დროს, როცა დავით რუსუდანის ძე, ხალხის მონღოლთა ბეგარის სიმძიმის გამო, მონღოლთა სამსახურში ჯარისკაცების დიდი მასის მუდმივი გაწვევის გამო აჩანყდა, მას მხარი არ დაუჭირა დავით გიორგი-ლაშას ძემ. მან, როცა თვითონ ნაგვიანევად და წინდაუხედავად აუჩანყდა მონღოლებს, გადამწვეტ მომენტში (აჩანყების მომენტს კი ყოველთვის შერჩევა უნდა) მერყეობა გამოიჩინა. ამას მისი ოჯახისთვისაც და საქართველოსთვისაც დიდი ზიანი მოჰყვა მხოლოდ. დავით ლაშა-გიორგის ძეს მისთვის ყველაზე ძნელ მომენტში მტკიცე ერთგულებას უმჟღავნებდა სამცხის გამგებელი სარგის ჭაყელი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დავით ლაშა-გიორგის ძე დამარცხებული თავის მამიდაშვილთან — დავით რუსუდანის ძესთან გადავიდა. შემდეგ როცა მონღოლებმა ვინმე შადანის დასმა გადაწყვიტეს ლიხთ-ამერეთის მმართველად, დავით გიორგი ლაშას ძემ გადაწყვიტა მონღოლებთან შერიგება. იგი დაიბარა და დაჰკითხა მონღოლთა მბრძანებელმა ჰულაგუ-ყაენმა. მას აჩანყების შესახებ აინტერესებდა მეფის ახსნა-განმარტება. პასუხებში მეფის სრული უმწეობა გამოიჩინა. მას რომ არ ხლებოდა თან სარგის ჭაყელი, რომელმაც ბრალი თავისთავზე მიიღო, იგი უკიდურეს განსაცდელში ჩავარდებოდა. შემდგომ კი სრული უმადურობა გამოიჩინა დავით V-მ სარგის ჭაყელის მიმართ.

მეფე დავით ლაშა-გიორგის ძე ვერ გადაეჩვია ბოროტი ჩამგონებლების ჩურჩულის ყურისგდებას. მას ჩააწვეთეს სარგისის განდგომილება მეფისაგან. მან ცნობების შეუმოწმებელი სრულიად დაივიწყა მის წინაშე გამოჩენილი ადრინდელი ერთგულება და ღვაწლი სარგის ჭაყელისა და შეიპყრო იგი. ეს რომ გაიგეს სარგის ჭაყელის თანმყოფმა აზნაურებმა, სათხოვნელად და საჩივლელად ყაენის წინაშე წავიდნენ, რომ მას უმადური მეფისაგან დატყვევებული სარგის ჭაყელი გამოეთხოვა. ეს ასეც მოხდა. უმადური მეფე და მისი უკეთუ-

რი თანამზრახველნი ხელცარიელნი დარჩნენ. ამ შემაძრწუნებელი ვერაკობის შემდეგ სარგის ჭაყელს ან თავისთავი უნდა უზრუნველყო მეფის მოსალოდნელი შუტრისძიებისაგან, ანდა გასცლოდა საქართველოს. მან ახლა გადაწყვიტა თავის სიცოცხლე და სამფლობელო დაეცვა მოსალოდნელი საფრთხისაგან და სთხოვა ყაენს, გაეწია მისთვის პირდაპირი მფარველობა და ყმად ექცია, მაშინ იგი უშუალოდ ყაენის საკუთარი მამულების საჩუქრად დაეჭვემდებარებოდა, შას ველარ შეეხებოდა, ველარც მეფე და ვერც სხვა მაღალი ხელისუფალი. სარგის ჭაყელმა, მეფეზე სამართლიანად გაბოროტებულმა, სამშობლოში დაბრუნება ისეთი მოქმედებით განახორციელა, რაც საქართველოს დასაცავად უდრიდა. მან ყაენის მფარველობას ჩააბარა საკუთარი თავი თავისივე სამფლობელოთი. ეს მაკდური ფაქტი საქართველოს მთლიანობისა და ძლიერებისათვის საბედისწერო გახდა. ყაენმა ეს თხოვნა სარგის ჭაყელს დიდი სიამოვნებით აუსრულა, ან კი რატომ უნდა ეთქვა უარი, როდესაც მას მოუსვენარი და მუდამ აჯანყებაზე მეოცნებე საქართველოს მთელი მესამედი და თანაც პოლიტიკურად ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც მესხეთი იყო, ასე ადვილად ხელში უვარდებოდა. ყაენი თვითონ ვერ ბედავს იმას, რასაც ერის შვილი საკუთარი კეთილდღეობისათვის მშობელი ხალხს წინაშე ჩადის.

პიროვნების წინაშე ერთგულებას თავისი საზღვარი აქვს. აქ შეიძლება მოთმინების ფიალაც აივსოს, ოღონდ სამშობლოს ერთგულებას არავითარი საზღვარი არ უძევს და არც როდისმე შეიძლება ჰქონდეს. სარგის ჭაყელმა დავით V-ის წინაშე იმდენი ერთგულება და თავგანწირვა გამოიჩინა, რომ მეფის მხრივ გადადგმული ნაბიჯი გასაოცარი უმაღლრება იყო, მაგრამ საკუთარი უშიშროების ვულისათვის, ისევე როგორც რაგინდარა მიზეზით არავის არა აქვს უფლება, სამშობლოს მტრის იარაღად იქცეს. სხვანაირად, მას წინ დახვლება თავის ხალხის წყევლა: „რად მოისტუმრებ ნებითა შენითა მტერსა შენსა“ (საბა-ორბელიანი). სარგის ჭაყელის მოქმედება გაუთანაბრდა სამშობლოს დასაცავად, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ერს მრავალი უბედურება მოუტანა.

ძლიერი მტრის გამოყენება საკუთარი აღზევებისა და საკუთარი კეთილდღეობისათვის სრულიადაც არ ყოფილა ერთადერთი დამახასიათებელი ქართველთა მმართველი ფენებისათვის, მით უფრო მთლიანად ქართველი ხალხისათვის. აქ გავიხსენოთ ცოტნე დადიანის ლამაზ ლეგენდად ქვეყლი ერთგულება სამშობლოსათვის, ანდა დიმიტრი მეორის თავგანწირვა სამშობლოსათვის, რომელმაც ერთადერთმა საქართველოს მეფეთაგან თავდადებულის სახელი დაიმკვიდრა. ხალხისათვის ეს ძლიერად მისაბამი მაგალითი იყო. სწორედ ამისათვის არ დაივიწყა იგი ხალხმა. თავის დროზე სამშობლოსათვის გამოჩენილი ეს სამსახური ეკლესიამაც დააფასა, როცა გმირ მეფეს აწატიან „ცოდვა“ — მონღოლური მიმბაძველობით სამი ცოლის შერთვა.

• • •

თითქოს ის იყო, რომ ქვეყანა მოსულეირდა და მოძლიერდა მონღოლთა შემოსევისაგან თავისუფალი, მს ახალს, ყველაზე უფრო მძიმე განოცდას უწოდებდა ბედი. ეს იყო თემურ-ლენგის ყველაზე საშინელი ამოხრებელი შემოსევები საქართველოში, რომლებიც აღვირახსნილი ხოცვა-ჟლეტით მთავრდებოდა.

თემურ ლენგის მსგავსი სისხლგაუმამძარი მტარვალი არ ჰყოლია კაცო-

ბრიობას. ამ აღმოსავლელი ტირანის ცივი პოლიტიკური ანგარიში და სამხედრო-ორგანიზატორული ნიჭი აზიისა და ევროპის რიგ ხალხებს წარუხოცელ უბედურებად დაუჭდა. ნგრევა-გაოხრება-გავერანების თანამდევი შედეგი იყო მოსახლეობის შემცირება განსაკუთრებით ქრისტიანულ ხალხებში თემურ ლენგი, წარმართი მონღოლებისაგან განსხვავებით, რომელნიც ასე თუ ისე მოთმინებას იჩენდნენ არაწარმართი ხალხების რელიგიებისადმი, ხმლითა და იძულების ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა დამორჩილებულ ერთა შორის ისლამის გავრცელებას. ახლა მტრის მძულვარებას არა თუ გადაურჩა საქართველოს ეკლესია-მონასტრები, როგორც ეს მონღოლთა დროს იყო, არამედ არ დარჩენილა არც ერთი ეკლესია საქართველოს შუაგულში, რომ თემურ-ლენგს არ დაენგრეოს ან არ გავერანებინოს. თემურ ლენგის მიერ ისტორიული გულცივობით დადგმული გაუმძღარი სისხლიანი სპექტაკლების აღწერა თვით მისი ოფიციალური ისტორიკოსის მიერ დღესაც უნაპირო ზიზღს იწვევს. რასაკვირველია, მას თავისთავად ისლამის გავრცელება არ ჰქონია თავის უმთავრეს მიზნად დასახული (ასე რომ ყოფილიყო, არაგვის ხეობას არ ამოიჩვენდა იგი თავის მძაფრი შეტევის მხარედ, რათა როგორმე მოეხერხებინა დარიალის კარების ხელში ჩაგდება). მას, მსოფლიო ბატონობის ბორგენულობით შეპყრობილს (მსოფლიო ხომ მას ორ სამეფოს ღირსადაც არ მიაჩნდა), ქვეყნებისა და ხალხების შეწირვა თავისი მხეცური ზრახვებისათვის არაფრად მიაჩნდა. მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით დაღებულ პირობისდა მიუხედავად, ის თავს ვერ იკავებდა, ქალაქები და სოფლები არ ამოეულიტა და არ დაერბია.

უცილობლად დიდი სამხედრო ნიჭის მიუხედავად, თემურ-ლენგს მეტად მცირე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი ჰქონდა. განადგურების მეტი მას მსოფლიოსათვის არაფერი მოუტანია. „თავისთვის და თავისიანებისათვის საუცხოო სასახლეების, ბალ-წალკოტებ, ს.ს. და შიზგითების აგება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა არ არის. ორგან, გინდა ოთხგან აღდგენილი თუ გაყვანილი არხის წყალიც ვერ წალეკავს იმ ცოდვას, რომელიც მან ყველგან, სადაც კი თავის ლაშქრითურთ ფეხი შეუდგამს, დაატრიალა და ვერც იმ ბარბაროსობას წარბოცავს, რომელიც მას მთელი თავისი სიკოცხლისა და მოღვაწეობის დროს აზიასა და აღმ. ევროპაში ჩადენილი ჰქონდა და იმ ქვეყნებში მისი იქ ყოფნის ერთადერთ სახსოვრად-ლა დარჩა“ (ქ. ე. ო. ტ. III, 1941, გვ. 221). ყველაფერში მსოფლიო პირველობის ავადმყოფური სურვილი მაშინაც გამოჩნდა, როცა სხვადასხვა ქვეყნიდან მორეკილი სამუშაო ძალით იგი სამარყანდს აშენებდა და ამშვენებდა. ეს ქალაქი, მისი აზრით, უნდა გამხდარიყო მსოფლიოს პირველი ქალაქი, სულ ერთია, ამას მილიონობით ადამიანთა სისხლი მოჰყვებოდა თუ არა. გარეგნულად ეს იმით გამოიხატა, რომ სამარყანდის გარშემო გააშენეს სოფლები, რომელთაც მუსულმანური ქვეყნების ქალაქების: ბაღდადი, დამასკო, მისრა (კაირო), შირაზი და სულთანია უწოდეს სახელად.

მეტად ნიშანდობლივია ქართველთა და ქართველ მმართველთა დამოკიდებულება თემურ-ლენგის მიმართ. მთლიანად ქართველი ხალხი საყოველთაო ზიზღით შეხვდა მრისხანე დამპყრობელს. ამას არ ეწინააღმდეგება ის, რომ უთანასწორო ბრძოლით შეძრწუნებულ-შეშინებულმა და შემოსევის მარჯვედ გამოყენების შესაძლებლობით გახარებულმა პირადმა შურისმაძიებლებმაც წამოჰყვეს იმ დროს თავი და საქმეს კიდევ უფრო ართულებდნენ თავიანთი უკუღმართი მოქმედებით. ისეთი მოღალატენიც აღმოჩნდნენ, რომელნიც

სამშობლოს ამოსაგდებად მომავალ მტერს ნებაყოფლობით წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ. ერთი მათგანი ბურღისაშვილი ვირშელი ყოფილა, რომელიც თემურ-ლენგს წინ მიუძღოდა ქსნის ხეობაში. ეს ლაღატი მას არც თანამედროვეობამ აპატია და არც ისტორიამ. საქართველოში თემურ-ლენგის მუდამ ომს მონატრებული ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა მთელი 17 წლის განმავლობაში; როცა პირდაპირ ბრძოლაში მარცხდებოდნენ ქართველები, შემდგომ ისინი პარტიზანულ ბრძოლას აჩაღებდნენ.

თემურ-ლენგმა ვერა და ვერ შეძლო დარიალის კარის აღება, თუმცა ეს სწრაფვა არნახულ მსხვერპლად დაუჯდა. ყველაფერი ეს ამ მანიაკის ავადმყოფურ ქედმაღლობას აღიზიანებდა და ქართველთა მიმართ ლაგამაჟოდებელი სიძულვილით ავსებდა. ამას დაემატა კიდევ ის, რომ იმ დროს საქართველოს მესვეურებმა ვერ გამოიჩინეს საკირო სახელმწიფოებრივი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

ერთი ყოველ ექვს გარეშეა: როგორადაც უნდა მოქცეულიყვნენ საქართველოს ბედის მესვეურნი, თემურ-ლენგი ყოველთვის შეეცდებოდა მის დაპყრობას. როცა ეს მიზნები არსებობს, მათ საბაბი არ გამოელეოდათ. ან რა დასაჯერებელი იყო, რომ „მსოფლიოს დაპყრობის წადილით გატაცებულს თემურ-ლენგს პოლიტიკურად ისეთი მნიშვნელოვანი და მდიდარი სამეფო და ქვეყანა, როგორიც დარიალანის კარის პატრონი და სამოთხის მსგავსად მშვენიერი საქართველო იყო, ხელუხლებელი დაეტოვებინა!“ (ქ. ე. ი., ტ. III, 1941 წ., გვ. 223). ამ ვითარებაში ქვეყნის მესვეურთ ჰმართებდათ ყველა ხელსაყრელი გარემოება საერთაშორისო ძალთა თანაფარდობისა თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. მართალია, შეიძლება შეცდომა დაუშვა დიდ სახელმწიფოთა მიმხრობის ორიენტაციის ამორჩევაში, მაგრამ იე. ჯავახიშვილის აზრით, ის არნახული უბედურება, რაც თემურ-ლენგმა სწორედ საქართველოს დააყენა, მარტო მისი ბრალი არ იყო. ბაგრატ V-სა და გიორგი VI-ს მეტი სახელმწიფოებრივი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინათ, შეეძლოთ თემურ-ლენგის ყოველგვარ ზომას გადასული მრისხანება შეენელებინათ და ამით მოსახლეობის დიდი მასების ფიზიკური გადაარჩენა მოეხერხებინათ. აქ კი ქართველმა მეფეებმა, შიშველი პატრიოტიზმისა და საკუთარი ძალგულოვნების გადაპარბეზულმა მოიბედებმა, ხალხს ზედმეტი უბედურება მოუტანეს. მათთვის მეტად მისანიშნებელი უნდა ყოფილიყო ის, რომ თემურ-ლენგმა პირველი შემოსევის დროს, როცა თბილისი აიღო, იგი ჩვეულებისამებრ არ დაანგრია. ამ „ლმობიერებით“ აგრძნობინა ქართველებს, რომ მისთვის მთავარია, ისინი თხოთამიშს არ დაუკავშირდნენ. კიდევ შეიძლება გაეამართლოთ ქართველთა ორიენტაცია თხოთამიშის მიმართ მანამდე, ვიდრე ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი თემურ-ლენგის ნამდვილი ძალა, ოლონდ, მას შემდეგ, როცა თემურ-ლენგი არა ერთი დიდი და ერმრავალი ქვეყნის მპყრობელად იქცა, მათ შორის ინდოეთისაც კი, და გამოირკვა, რომ თემურ-ლენგს მთელს მაშინდელ აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში არც ერთი ლირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, საქართველოს მმართველებს კარგად უნდა შეეგნოთ შორსმჭვრეტი და ფრთხილი საგარეო პოლიტიკის როლი. ამის ნაცვლად ბაგრატ V-სა და გიორგი VI-ს მტარვალის უღლის ქვეშ მოხვედრის ბუნებრივმა სიძულვილმა და საფრთხემ შეუზღუდა პოლიტიკური მსოფლმხედველობითი პორიზონტი და საერთაშორისო რეალური ძალთა თანაფარდობის დანახვის უნარი წაართვა. მტრის ამგვარი სიძლიერის დროს ერთადერთი სწორი პოლიტიკა უნდა ყოფილიყო მოგერიებითი, თავ-

დაცვითი წინააღმდეგობების პოლიტიკა უკეთესი მომავლის ლოდინში ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის. ამის ნაცვლად მათ დაიწყეს გამომწვევი პოლიტიკა, რომელიც სრულიადაც არ იყო აუცილებლობით ნაკარნახევი და რომელიც მრისხანე, ქედმაღალი მტარვალის განზრახ გალიზიანებას უდრიდა და მისი თავმოყვარეობის შელახვას იწვევდა. ამას კი ერთმანეთზე უსაზარესი შემოსევები მოჰყვა. მტერი ქუთაისამდე მივიდა, იგი ბალ-ვენახს და ბოსტანს სპობდა, მოწეულ მოსავალს თვითონ იღებდა, ქართველებს არა თუ ელვებდა, ქართულ მიწაზე დასახლებას უკრძალავდა. ერი სისხლით დაიწრიტა და აყვავებული ქვეყანა უდაბნოს დაემსგავსა. თვით თემურ-ლენგის ისტორიკოსი შერეფ-ად-დინ ალი იეზლი თავისი მბრძანებლის საქებრად გაიძახის კიდევ, რომ თემურ-ლენგს ინდოეთის ლაშქრობაშიც-კი იმდენი შენობა არ დაუნგრევიდა, რამდენიც საქართველოში გაანადგურაო. შერეფ-ად-დინ ალი იეზლი სიამაყით წერდა, რომ საქართველოში რისი დაქცევაც კი შეიძლებოდა მოსპეს და გაანადგურესო. ასე, ნიგვზის ხეებს თხრიდნენ, სადაც ამას ვერ ახერხებდნენ, ხეებს ქერქს აძრობდნენ. კარგად იცოდნენ, რომ ნიგვზის ხე ნელ-ნელა იზრდებოდა, ნიგვზის ზეთი კი ქართველთა კვებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ქართველთა მესვეურებს უნდა დაენახათ ის სისუსტეები, რაც თემურ-ლენგის იმპერიას ახლდა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაშკარავდებოდა. ახლა კი ამ პიროვნების გამოწვევა-გალიზიანება, რომელსაც უდიდესი დამანგრეველი ძალა ეყარა, ღრმად საზიანო აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის. ყველაზე მთავარი უბედურება თემურ ლენგის დროის ქართველობისათვის იყო „მრავალრიცხოვანი შვილების გაწყვეტა და მთელი სოფლებისა და ოჯახების ამოხოცვა“.

მსოფლიო მბრძანებლად მიჩნეულ თემურ-ლენგს, რომლის წინაშე უკვე ბევრს ხელმწიფეს, კეისარს, სულტანს და სხვა ქვეყანათა მფლობელს ქედი მოეხარა, ბრახსა ჰგვრიდა, რომ ვერასგზით საქართველოს მეფეს ქედი ვერ მოახრევიდა და თავის წინაშე დამორჩილების აღთქმა ვერ დაადებინა. ეს დიდად უსიამოვნო გარემოება იყო მისი შეუვალი და შეუზღუდავი სიამაყისათვის. ისტორიის ტრაგიკულ გზაჯვარედინზე მდგარ ქართველ ხალხს მეფეთა ეს ჭიქურობა და ყოველგვარი დაუთმობლობა ძვირად დაუჯდა. ბაგრატ V და გიორგი VI გულადი, მხნე და მამაცი მეთომრები იყვნენ, განვითარებული ეროვნული და პოლიტიკური თავმოყვარეობით აღჭურვილნი, მაგრამ მოქნილობა დიდ მოწინააღმდეგესთან მათ პოლიტიკას აკლდა. როცა სამშობლოსათვის ეს გარდაუვალია, ძალ-გულოვნებასა და თავგანწირვასთან ერთად საჭიროა აუცილებლობით ნაკარნახევი დათმობა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, შეტევისა და გამოწვევის გარდა, განსაზღვრულ ეტაპზე გაცლას, ანდა ჩაყოლას უნდა გულისხმობდეს.

ბრძოლაში გვირულ სიკვდილს ყოველთვის მეტი სარგებლობა როდი მოაქვს, ვიდრე მანევრირებას. მოსახლეობის არნახული მსხვერპლის გაღებას სჯობდა, რომ ხარკის ძლევას შეთანხმებოდნენ. აკი ბოლოსდაბოლოს გიორგი VI-მ თვითონ შეიგნო დაზავების აუცილებლობა, მაგრამ ხალხი ძალზე გაწყვეტილი იყო და ქვეყანა უკიდურესად აოხრებული და ღონემიხდილი. ამგვარი ზავი თემურ ლენგთან მისი ღმობიერების შედეგი კი არ იქნებოდა, არამედ მისი მაუწყებელი, რომ თვითონ მისთვის მძიმე იყო მთავორიან და ტყით დაბურულ საქართველოში მამაც დამცველებთან შეუწყვეტელი ბრძოლა.

არც საქართველოს მეფეს ჰქონდა უფლება მტრისადმი ხალხის სიძულ-

ვილის პატრიოტული გრძნობით ბოროტად ესარგებლა. არავის არა აქვს უფლება ითამაშოს საქართველოს ბედ-იბღლით, სხვანაირად როგორ შეიძლება შეფასდეს ის, რომ ჩვენს ხალხს აქეზებდნენ შეუძლებელზე, რასაც მეტად მძიმე შედეგები, აუნაზღაურებელი შედეგები მოჰყვა მისთვის.

გულმოკლე, სულსწრაფი პატრიოტიზმი საზიანოა.

თ ა ვ ი XI. ტერმინები უპირველეს ყოვლისა

მეცნიერებაში ტერმინების როლი მეტად დიდია. ტერმინმა მთელი სიზუსტით და სისრულით უნდა გამოხატოს მეცნიერული ცნება. განსაკუთრებულია ტერმინების როლი ისტორიულ მეცნიერებაში. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ზიანი შეიძლება მოიტანოს ტერმინის ამჟამად მიღებული მნიშვნელობით გამოყენებამ წარსულის მიმართ, იმის ახსნის გარეშე, რა ცვლილებები განიცადა მან. აუცილებელია ტერმინის გენეზისის შესწავლა, იმის ახსნა, თუ რა განსხვავებულ მოვლენებს გამოხატავდა სრულიად სხვადასხვა სოციალურ გარემოში შექმნილი ტერმინი.

1925 წელს სერიაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლათ“ მესამე წიგნის პირველი ნაწილის მეორე ნაკვეთად გამოდის „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“.

ოვ. ჯავახიშვილი გვაცნობს, რომ გამოკვლევა XIII—XIV საუკუნეების ფულებისა და ფულის სისტემის შესახებ 1920 წელს დაუწყია. 1921 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მან საქართველოს ფინანსთა მინისტრის თხოვნით წაიკითხა მოხსენება ქართული ლითონის ფულის შემოღების რეფორმის თაობაზე მთავრობის მიერ დაარსებულ საგანგებო კომისიაში. 1921 — 1923 წწ. იგივე მოხსენება, შევსებული და გაფართოებული, წაკითხულ იქნა უნივერსიტეტში როგორც ნუმისმატიკა. გამოკვლევა საზომების შესახებ 1924 წლის გაზაფხულის სემესტრში დაიწერა და უნივერსიტეტში წაკითხული იყო, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთ საკითხთაგანი.

ამ წიგნში ავტორის მიერ ფრიად შრომატევადი და უაღრესად რთული კვლევაა ჩატარებული: თითქმის თხუთმეტი საუკუნის მანძილზე პირველწყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ორასამდე საფას-საზომი ტერმინის მნიშვნელობა.

ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი სიტყვებით, თანამედროვე საისტორიო მეცნიერებისათვის, მეტადრე ეკონომიკური ისტორიისათვის, საფას-საზომების ისტორიისა და თეორიის მთავარი მნიშვნელობა აქვს. არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნება. „სხვა არა იყოს რა, ისეთი ძირითადი საკითხის შესწავლა, როგორც საქონელზე ფასების მოძრაობაა, უამისოდ სრულიად შეუძლებელია“ (გვ. 2). მართო ეკონომიკური ისტორიისათვის როდია შეუცვლელი მნიშვნელობის საფას-საზომების მცოდნეობა. ამასთანავე მას დიდი როლის შესრულება შეუძლია ისტორიის მეცნიერული კრიტიკის საქმეში.

რასაკვირველია, მართო ის როდია საკმარისი, რომ ამა თუ იმ ძეგლსა თუ წყაროში ტერმინია დასახელებული. ცნების შინაარსის ასახვისათვის ეს ჭერ კიდევ ყველაფერს არ გვიხსნის. მაგალითად, ზოგი საზომის ტერმინი უკვე დაბადება-სახარების ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგრამ საისტორიო ძეგლებ-

სა და საბუთებში კი გვიან ჩნდება. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ჩვენი უბედურებაა, რომ ქართველი ერის უძველესი კულტურული ყოფა-ცხოვრების შესახებ ქართული წყაროები V საუკუნეზე აღრინდელი არ მოგვეპოვება. ეს გარემოება დასკვნებს უძველესი ხანისათვის მეტად აძნელებს. ამ სირთულეს ემატება კიდევ ხელთნაწერების სრული აღწერილობის შეუდგენლობა და მრავალი სიგელ-გუჯრის გამოუცემლობა. ამას ერთვის ისიც, რომ მთელი სისრულით არ არის შესწავლილი ჩვენი წინანდელი მეზობლების სპარსეთისა და ბიზანტიის შესაბამისი ისტორია. მით უფრო, რომ ახსნა სჭირდებოდა ქართულში შემოიხზულ და დამკვიდრებულ უცხოური წარმოშობის ტერმინებს.

ზოგჯერ შეიძლებოდა შემოსულიყო დამპყრობთაგან განსაზღვრული ტერმინი, თუმცა ეს ყოველთვის სავალდებულო არ იყო. ასე, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ქართულ საისტორიო წყაროებში ჯერ არა ჩანს მონღოლთა ბატონობის დროს გავრცელებული ფულის აღსანიშნავად ტერმინი „ბალიში“.

ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის ერთობლივად შესწავლა ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ისტორიული მეცნიერების ამ დამხმარე დარგებისთვის.

ნუმიზმატიკის მეცნიერულ შესწავლას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ქართულ ნუმიზმატიკას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა მიხეილ ბარათაშვილის 1844 წელს სამ ენაზე გამოსულმა წიგნმა.

რუსეთში დაბადებულმა და გაზრდილმა მ. პ. ბარათაშვილმა სიყვარული საქართველოსადმი ამ წიგნით გამოხატა. სწორედ მას უძღვნა ნ. ბარათაშვილმა ცნობილი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“.

ნუმიზმატიკის მრავალ საკითხს არჩევს ივანე ჯავახიშვილი ისე, რომ იგი სრულიადაც არ იზღუდება მარტო შესაბამისი ტერმინების ანალიზით. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ცნობები ძველ საქართველოში ოქროს ფულის არსებობის შესახებ. ასეთი ცნობები საკმარისად არსებობს, მაგრამ იმის გამო, რომ ოქროს ფული შემონახული არ არის, სათუო შეიქნა თვით მისი არსებობა. ივანე ჯავახიშვილმა აქ მოიშველია ამ მოვლენის ასახსნელად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაც. იგი იმას ადასტურებს, რომ საზოგადოდ ოქროს ფული საშუალო საუკუნეებში და შემდეგშიც მახლობელ აღმოსავლეთში იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იჭრებოდა ხოლმე. თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსის შერეფ-ედ-დინ ალი იეზდის ცნობა თემურ-ლენგისათვის საქართველოს მეფის გიორგის მიერ 1000 ოქროს თანგის მირთმევის შესახებ მოწმობს, რომ ჩვენშიაც ოქროს ფულის მოჭრა განსაკუთრებული შემთხვევისათვის გამარჯვებული მტრისათვის ხარჯად თუ საჩუქრად მიეცემით ყოფილა გამოწვეული. ასევეა თეიმურაზ და ერეკლე მეფეების დროსაც: ოქროს ფული ნაჭირავები ჯარის გასამარჯვლოს გასასტუმრებლად ყოფილა განკუთვნილი. „ამიტომ ეს საქართველოში მოჭრილი ფული საქართველოდან გადიოდა და უცხოეთში შემდეგში გადადნობილი იქნებოდა ან ადგილობრივ ფულად, ან უფრო ხშირად ძვირფასი სამკაულებისათვის“ (გვ. 10).

სხვადასხვა ქართულ ძეგლში „ოქრო“ ფულის აღმნიშვნელ ტერმინად არის ნახმარი. მამასადამე, ოქროს ორგვარი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა. სხვადასხვა დროს „ვერცხლიც“ ფულის მნიშვნელობით იხსენებოდა როგორც „თეთრი“. საქართველოში XI საუკუნეში შემოდის ტერმინი „თეთრი“. რომელიც საუკუნეთა განმავლობაში „ქართული ფულისათვის განსაკუთრებულ ტერმინადაც კი იქცა“. თვით ვახტანგ VI ასე ხმარობს ფულის სახელწოდებას. ამიტომ დაასკვნინდა ივანე ჯავახიშვილი „იმ მნიშვნელობით, როგორც ეხლა სიტყვა „ფულსა“ ვხმარობთ, ვითარცა ლითონისა, თუ სხვა გვარი საფა-

სის ნიშნის ტერმინს, XVIII საუკუნემდე, თუ არ ვცდებით, ძეგლებში არ გვხვდება“ (გვ. 13).

თუ ქართული ნუმიზმატიკის საკითხები პეტნაკლები სისრულით იყო განხილული, ასე როდი შეიძლება ითქვას მეტროლოგიის საკითხების შესწავლის შესახებ საქართველოში. ამ დარგში წარმოებული მუშაობის მიუხედავად, მეცნიერული საფუძველი მეტროლოგიას საქართველოში ივანე ჭავჭავიძელმა ჩაუყარა.

მან შეისწავლა ქართულ საზომებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, წონის ერთეულები, საწყაოები, სივრცის საზომები, რომლებიც გავრცელებული იყო როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ცალკეულ კუთხეებში.

დ. მეგრელაძის მტკიცებაში 1979 წელს არც ერთი გადაჭარბება არ არის, რომ „თითქმის 50 წლის მანძილზე ივ. ჭავჭავიძელის ეს ნაშრომი წარმოადგენდა მკვლევართა საყრდენს ქართული მეტროლოგიის საკითხებში“, ხოლო ქართული მეტროლოგიის თანამედროვე სპეციალისტის გ. ჭაფარიძის სიტყვებით, ივ. ჭავჭავიძელის გამოკვლევა მეტროლოგიის შესახებ იმდროინდელი ევროპული საუკეთესო გამოკვლევების დონეზე იდგა და დღემდე არ დაუკარგავს მას თავისი მნიშვნელობა.

გ. ჭაფარიძის სიტყვებით, „ივ. ჭავჭავიძელმა პირველად მოიხია ქართული საზომების შესახებ ცნობები მრავალრიცხოვან პირველწყაროებში, უჩვენა თითოეული საზომის გაჩენის თარიღი და მისი მოქმედების ხანგრძლიობა საქართველოში, განსაზღვრა საზომთა სადაურობა, მათი გავრცელების არეალი და ოდენობა.

ივ. ჭავჭავიძელმა ქართული საზომები განიხილა მათ ისტორიულ განვითარებაში, წარმოადგინა ძირითად საზომ ერთეულთა ზრდა-ცვალებადობა სხვადასხვა ეპოქაში, ახსნა მიზეზები ამ ცვალებადობისა“.

ქართულ წყაროებს გარდა, ივ. ჭავჭავიძელმა მოიხმო უცხოური წყაროები (იხ. გ. ჭაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან 1973, გვ. 25—26). ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესახებ ივ. ჭავჭავიძელის ნაშრომს ამ დარგის მკვლევარი ვერასდროს ვერ აუვლის გვერდს. აკად. ვ. ჩანტლაძის სიტყვებით, სწორედ აკად. ივ. ჭავჭავიძელს ეკუთვნის საქართველოს ფულის, კრედიტის და ფინანსების განვითარების ისტორიის პირველი მეცნიერული გამოკვლევა.

თავი XII. ერთ წელს გამოცხადებული ორი წიგნი

ა) უძველესი ქართული დამწერლობა

მსოფლიოში ამჟამად 14 სისტემაა დამწერლობისა, მათ შორის ერთ-ერთი ქართულია.

ძირძველმა ქართულმა დამწერლობამ განვითარების უაღრესად ხანგრძლივი—ათეულსაუკუნოვანი გზა განვლო. და მაინც უნდა ითქვას, რომ იგი არ არის შესწავლილი მთელი სისრულით. ბუნებრივია, ქართველ ისტორიკოსთა შორის ყველაზე დიდს არ შეეძლო, არ ეთქვა მის შესახებ თავისი სიტყვა. ეს არც შემთხვევითი სიტყვის ანდა გზადაგზა გამოთქმული თვალსაზრისის სახით გაკეთებულა. სპეციალური წიგნი უძღვნა მან ამ პრობლემას. ამ წიგნზე ის 10 წელზე მეტს მუშაობდა. ამ გამოკვლევების დაწერას დიდი დრო სჭირდებოდა,

ეს დრო მას ჰქონდა. ამას ემატებოდა ის, რომ შეეძლო ხმამაღლა აზროვნება, მას ხომ შესანიშნავი მრჩეველები ჰყავდა, რომელთა შორის პირველ ადგილზე უეჭველად გრიგოლ წერეთელი იყო. სწორედ მას უძღვნა ეს წიგნი, არა მარტო როგორც დიდ მკვლევარსა და მთელი ქვეყნის პირველ პაპიროლოგს, არამედ როგორც მეგობარს. ყველაფრიდან ჩანს, რა ბევრჯერ უთათბირიათ ერთობლივად, რამდენი შესანიშნავი აზრი მიუღია მას რჩევის სახით. ივანე ჯავახიშვილი ამაზე თავის წიგნში ხშირად უთითებს. შესავალში კი საჭიროდ თვლის, თქვას იმ კაცზე, რომელიც ამშვენებს თბილისის უნივერსიტეტს. სხვა ვინმეზე ასეთი რამ ივანე ჯავახიშვილს არ უთქვამს.

წიგნი იშვიათად ძვირფასი გამოვიდა. მსგავსი არც მანამდე და არც შემდგომ აღარ შექმნილა პალეოგრაფიაში¹. აქვე უნდა ითქვას, ეს წიგნი, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ნაწილია მისი სერიისა, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ უკიდურესი თავმდაბლობაა, დამხმარე დარგი უწოდო მას. ეს თვითონაა ისტორია და მეტად დიდი ისტორიაც. იგი მეტია, ვიდრე ისტორიისათვის დამხმარე დარგის შესწავლა. მას გაცილებით მეტი და სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ერთი სიცოცხლე სჭირდებოდა ამგვარი წიგნის შექმნას. სწორედ ფილოლოგია-ლინგვისტიკის, ისტორია-დიპლომატიკის მცოდნე სჭირდებოდა პალეოგრაფიას და ყველაფერ ამას აკეთებდა ერთ კაცში ბედნიერად თავმოყრილი ნიჭი.

პალეოგრაფია ორ უნივერსიტეტში წაკითხული კურსის შედეგია. ეს წიგნი საუნივერსიტეტო მოთხოვნილებამ წარმოშვა (მარტო ამისათვისაც რა ბედნიერებაა უნივერსიტეტის არსებობა!). 1914 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი კითხულობდა ქართული ეპიგრაფიკის კურსს, მაგრამ მისი დასრულება ძირითადად გაგრძელდა 1918—1921 წლებამდე, როცა მან განაგრძო ამ კურსის კითხვა თბილისის უნივერსიტეტში.

წიგნი განხილულია „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ სერიის მესამე წიგნის პირველ ნაკვეთად, თუმცა მის გამოსვლას წინ უსწრებდა ამ პრობლემის მომიჯნავე პრობლემა სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა და აგრეთვე ქართული საფასმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია.

ამ წიგნის მნიშვნელობა არ იზღუდება მარტოდენ ქართული პალეოგრაფიის კარდინალური პრობლემების შესწავლით. ეს პრობლემა დაკავშირებულია პალეოგრაფიის ზოგად საკითხებთან, აგრეთვე მის კონკრეტულ საკითხებთან. ამ უკანასკნელის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სომხური პალეოგრაფიის საკითხებს. აქ გავიხსენოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ანისის ეპიგრაფიკის კურსს პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მასსადამე, პალეოგრაფიის მიზანი უალრესად ფართოა, სახელდობრ: წერილობითი ძეგლების გარეგანი, ნივთიერი შესწავლა, რაც გულისხმობს მათი საწერი მასალისა და ასოთა მოხაზულობის გამოკვლევას, ნაწერის წაკითხვასა და დაფასება-განსაზღვრას. ამას ემატება დაზიანებული და უთარილო ტექსტების ქრონოლოგიური განსაზღვრა-დათარილება.

¹ ქართული პალეოგრაფიის თანამედროვე მკვლევარი მ. კ. სურგულაძე დასაბუთებულად წერს: „ქართული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის მეცნიერული შესწავლა იწყება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომით „ქართული პალეოგრაფია“. ეს ნაშრომი დღემდე უმნიშვნელოვანესია, რაც კი შექმნილა ქართული პალეოგრაფიის დარგში. მასში დასმული და შესწავლილია ქართული პალეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაჩვენებია გზები, რომლითაც უნდა წარმართოს ქართული პალეოგრაფიის განვითარება“ (მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. 1978 წ., გვ. 6).

რამდენადაც პალეოგრაფია დამწერლობის განვითარების საფეხურებს სწავლობს, მისთვის მეტად მნიშვნელოვანია დამწერლობის ჩასახვა-განვითარების ზოგადი საკითხების ცოდნაც.

კაცობრიობის წერილობითი ისტორიის შესწავლა გაცილებით მყარია და მტკიცე, ვიდრე წერილობამდელი ისტორიისა.

ამასთან პალეოგრაფია ისტორიის, მწერლობის, ხელოვნების, ენათმეცნიერების, სამართლისა და ეკონომიკური ისტორიის დარგებში კვლევა-ძიების აუცილებელი პირველი საფეხურია. პალეოგრაფიას, როგორც ვიცით, მკიდრო კავშირი აქვს სიგელთმცოდნეობასთან ანუ დიპლომატიკასთან. ამ უკანასკნელს მხოლოდ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ეწყება დამოუკიდებელი ისტორიული განვითარება.

პალეოგრაფია მარტო საკუთრივ ხელნაწერთმცოდნეობის დარგი კი არ არის, ამასთან იგი სწავლობს წარწერათმცოდნეობასაც, ეპიგრაფიკასაც. ამასთან, როგორც საკუთრივ პალეოგრაფია, ასევე ეპიგრაფიკის წარწერის გარეგანს, ტექნიკურ მონახულობით მხარეს იკვლევს, მათი შინაარსის გამორკვევა ენათმეცნიერების, ფილოლოგიის, ისტორიისა და ა. შ. ამოცანაა.

ივანე ჯავახიშვილს. მიაჩნია, რომ მისი გამოკვლევა ქართული დამწერლობათმცოდნეობის სამეცნიერო დარგისათვის მხოლოდ საძირკვლის ჩაყრის პირველი ცდაა. მიუხედავად ამისა, ავტორი არ შეიძლებოდა მაინც და მაინც მარტო ქართული პალეოგრაფიით შეზღუდულიყო. საქმე ისაა, რომ შეუძლებელი იყო ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის გარკვევა პალეოგრაფიის სხვა მონაცემების შესწავლა-შედარების გათვალისწინების გარეშე. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში იძლევა არა მარტო ბერძნულ-რომაული, არამედ, ამასთან ერთად, მახლობელი აღმოსავლეთის პალეოგრაფიულ მიმოხილვასაც. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, წმინდა პალეოგრაფიულ საკითხებთან ერთად, ავტორს უხდება მრავალი ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც წიგნის, მისი შემზადებისა და შენახვის საკითხებს ეხება.

ამ წიგნში ჩვენ ვიპოვნით მონაცემებს სხვადასხვა ქვეყანაში წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკების შესახებ. რასაკვირველია, ეს წიგნთსაცავეები რომ უწყვეტად არსებულებოდნენ, მაშინ ადვილი იქნებოდა წიგნის განვითარების ისტორიული გზის მიმოხილვა. სამწუხაროდ, კაცობრიობას არა მარტო ადრინდელი წიგნთსაცავეების შესახებ, არა მარტო „დასჯილ“ წიგნთა შესახებ აქვს ცნობები დატოვებული, არამედ ამასთან ერთად დარბეულ და გადამწვარ ბიბლიოთეკებზე.

განათლებული კაცობრიობისათვის ძველთაძველი საქმეა წიგნების შეგროვებისათვის ზრუნვა და წიგნთსაცავეების შექმნა. უკვე ძველ ეგვიპტელებს ჩვეულებად ჰქონდათ განთქმულ სალოცავ ტაძრებში წიგნების შენახვა და დაცვა. ქილზე ნაწერი ძეგლები ეგვიპტის მშრალი პავის წყალობით მშვენივრად ინახებოდა. მრავალი მათგანი საუკუნეთა განმავლობაში უქმად მდებარე და უცნობი XIX—XX სს. არქეოლოგიური კვლევა-მუშაობის წყალობით კვლავ აღმოჩნდა და შორეული პოლიტიკური და კულტურული ისტორიის მდიდარი მომენტები გაგვიშუქა. ამ მხრივ ეგვიპტელებს არც ბაბილონელები და ასურელები ჩამოუვარდებოდნენ.

უკვე შუმერის მეფეთა სტაბტო ქალაქ ნიპურში მთავარი სახელმწიფო დაეთარხნა იყო და ტაძართან მდიდარი წიგნთსაცავიც არსებობდა.

არქეოლოგიური გათხრების დროს აქ სოლემბრ-წარწერიანი თიხის დაფების მთელი წყებაა მოპოვებული — ეს იმდროინდელი წიგნთსაცავებია. უძველეს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ყველა კულტურულ სახელმწიფოში

სასახლეებთან და ტაძრებთან ისეთი წიგნთსაცავები ჰქონიათ, რომელთაგან ზოგიერთი ახლანდელი მასშტაბითაც მოზრდილ წიგნთსაცავად უნდა იქნეს მიჩნეული.

საბერძნეთში წიგნების შეგროვებას დიდი სიყვარულით ეკიდებოდნენ. როგორც ფიქრობენ, ამ მხრივ მისაბამ მაგალითს იძლეოდა არისტოტელე თავისი მდიდარი წიგნთსაცავით, რომელიც შემდგომ სულამ რომში გადაიტანა. და მაინც წიგნთსაცავის პირველ დამაარსებლად პლატონს თვლიან. ამ ორი ფილოსოფოსის მაგალითი მისაბამ ნიშნულად იქცა კიდევ, რომში კეისრობის დამყარების შემდეგ ვრცელდება წიგნთსაცავების დაარსების ჩვეულება. მაშინდელ წიგნთსაცავებში ყველა წიგნი გრაგნილების სახით იყო შემზადებული. თვლიან, რომ ალექსანდრიის განთქმულ წიგნთსაცავში, რომელიც 47 წელს ქრისტეს წელთაღრიცხვამდე დაიწვა, ასეულ ათასობით ამგვარი გრაგნილი იყო დაცული.

თავის მხრივ შუა საუკუნეებში ქრისტიანობამ და საეკლესიო დაწესებულებებმა, წარმართი საბერძნეთისა და რომის მრავალ კულტურულ მონაპოვართან ერთად, ეკლესიებში განძეულობასთან ერთად საბუთებისა და წიგნების შენახვის კარგი ჩვეულებაც შეითვისეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა რომის პაპის საგანძურის და წიგნთსაცავი, თუმცა ბედის სიძვე აქაც იწვევდა იმას, რომ საქმის თითქმის ყოველთვის ხელახლა იწყებდნენ.

დასავლეთელმა ბერებმა წიგნების წერა და გავრცელება აღმოსავლეთის მონაზვნების მიმბაძველობით თანდათან თავიანთ ხელობად გაიხადეს. მონასტრებსაც თანდათანობით წიგნთსაცავები გაუჩნდათ.

ლათინური ენა დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ერთდერთი საეკლესიო ენა იყო, ამიტომ მისი კარგი ცოდნა ყველა სასულიერო პირისათვის აუცილებლად საჭირო შეიქნა. ლათინური ენა კი, იტალიელთა გარდა, ყველა სხვა ერისათვის უცხო ენა იყო, რომლის შეთვისებაც მხოლოდ შესწავლით შეეძლო. იმ ვითარებაში, როცა დროის გავლასთან ერთად ძველი რომაული კულტურის ტრადიციების გავლენა თანდათანობით სუსტდებოდა და ქრებოდა, კარგი ლათინური ენის შეთვისებისათვის წარმართული ხანის მწერალთა ობზულების მაგალითებით სარგებლობა იყო საჭირო. როგორც ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რომაული კულტურის წერილობითი ძეგლები სამუდამო დაღუპვას გადაურჩა. სწორედ ამის გამო სამონასტრო წიგნთსაცავებში საღვთისმეტყველო თხზულებებთან ერთად საჭირო გახდა ბევრი სხვა წიგნის ქონაც. თუმცა ისიც აღნიშნულია, რომ უძველეს ხელთნაწერებს, უპირველესად საერო ხასიათის წიგნებს, უყურადღებოდ და დაუდევრად ეპყრობოდნენ.

საქართველოშიც წიგნი დიდ განძად ითვლებოდა. ეკლესიებს და მონასტრებს გარკვეული მინიმუმი წიგნებისა ყოველთვის უნდა ჰქონოდათ. ამ და კულტურის სხვა დაწესებულებებს გარდა, წიგნების მოყვარულებიც იყვნენ, რომლებიც აწერინებდნენ თავისთვის ხელნაწერებს, მათ სპეციალური სახელწოდებაც ჰქონდათ „ტრფიალი წიგნთა“. წიგნები იმდენხად აუცილებელი იყო ყოველი განათლებული ოჯახისთვის და ადამიანისათვის, რომ წესად იყო მიღებული გასათხოვარი ქალისათვის მზითევში უეჭველად წიგნებიც უნდა გაეტანებინათ. წიგნების მოვლა-გაფრთხილება, მასზე რაიმე დამატებითი წარწერის გაკეთების აკრძალვა იმ დროსაც საპირბოროტო საკითხი ყოფილა, მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი 1779 წელს დაწერილი წიგნის ანდერძში გამწარებით ამბობდა: „წყვეული იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით წაიღოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყვეულ იყოს, რომელსაც აქედან

ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოთ არშიაზე ბლარჯვა დაიწყოს და ან ფინთად და უნდაღლეულად და ნისიად იხმაროს“. (ქართ. პალეოგრაფია, 1926, გვ. 82).

წიგნებს, ხელნაწერებს დიდი მტერი ჰყავდა დროის სახით, მოუველეობა, სინესტე მათ სპობდა, მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი მათ მაინც მტერთა შემოსევებმა მიაყენა.

წიგნთსაცავების პირდაპირ განადგურებას ემატებოდა ის, რასაც ხანძარი და სახლების ჩამოქცევა სპობდა. უნდა ითქვას ისიც, რომ გვიან მტერმა იგარძნო, როგორ აფასებდა ქართველი კაცი თავის ხელნაწერ წიგნს და გატაცებულს, შემდგომ სამშობლოში გაყიდვით შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ აქცევდა. რა თქმა უნდა, წიგნების განადგურებასთან შედარებით ეს უმცირესი ბოროტება იყო. სჭობდა მტერს ადრე ეცნო ქართველთა მიერ მშობლიური წიგნის სიყვარული, ვიდრე დაუნდობლად მოესპო მთელი წიგნთსაცავები. ამიტომ საესებით სწორია ის აზრი, რომ ყოველ გადაარჩენილ წიგნზე ასეულობით დაღუპული წიგნი უნდა ვიანგარიშოთ.

ძველ საქართველოში ხელნაწერ წიგნებს საითთაოდ გადამწერელი კი არ ამზადებდა ყოველთვის, არამედ ჭგუფობრივი გადამწერლობაც იცოდნენ, როცა ერთ ხელნაწერს ორი და სამი პირი გადაწერდა. გასაგებია, რომ გადამწერთა ამ გუნდს ერთიანი განსწავლელობა და წერის ტექნიკა უნდა ჰქონოდა. საესებით დამაჭერებლად ისმის ივანე ჭავჭავაძის სიტყვები: „XI—XII სს., როდესაც საქართველოს კულტურულმა განვითარებამ უარეს საფეხურს მიაღწია, გადამწერლების ამხანაგობათა არსებობა და საზოგადოდ ამ ხელობის ფართოდ, სავაჭრო მიზნით ერთობლივი წარმოება ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 57). ეს ამხანაგობები, რა თქმა უნდა, მარტო გადაწერით კი არ იყვნენ გართული, არამედ, ამასთან ერთად, ისინი ახდენდნენ წიგნების მხატვრულ შეკაზმვას. მხატვრულად მორთული ყდები ქართული ხელნაწერებისა ხელოვნების ისტორიის სფეროს განეკუთვნება. ამ საქმეს ცნობილი ოსტატებიც ასრულებდნენ. საკმარისია აქ გავისენოთ ბექა ოპიზარის ნიჭით შექმნილი მხატვრული ყდა სახარებისა.

ამ თავისებური ამხანაგობის მოვალეობის ნაწილი იქნებოდა დაზიანებული წერილობითი ძეგლების განახლება.

გადამწერლობა ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა. ამიტომ ამ სამუშაოში იღებდნენ ანაზღაურებას, გადამწერლობა შემოსავლიანი ხელობა იყო იმის გამო, რომ გადამწერს, გარდა გულის გამაწყვალელებელი შრომისა, განსაკუთრებული ნიჭიც უნდა ჰქონოდა კარგი და ლამაზი ხელით წერისა.

ივანე ჭავჭავაძის ამ ნაშრომის გამოცემამდე მეტად ცოტა იყო გაკეთებული ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის შესაქმნელად იმის მიუხედავად, რომ იქამდე დიდი მასალა იყო გამოქვეყნებული და „მათი ფოტოგრაფიული სურათები კაბინეტში მჭიდროდ მკვლეუარსაც კი ამ სამეცნიერო დამხმარე დარგის შესწავლის საშუალებას აძლევდა“, მაინც ეს დარგი არ შექმნილა. გადაუწყვეტელი იყო საკითხი, რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული. არ იყო შესწავლილი ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათანობითი განვითარება, და მაინც ამ დროს ლამობდნენ გადაეწყვიტათ ისეთი საკითხი, როგორიცაა ქართული ანბანის სადაურობა.

ქართულ ანბანს განვითარების ფრიად ხანგრძლივი გზა აქვს განვლილი. ეს მისი სამი სახის განვითარებაშია გამოხატული. ესაა მრგლოვანი (მთავრული) ნუსხა-ხუცური და მხედრული.

ივანე ჯავახიშვილი უპირველესად საჭიროდ თვლის, მათ შორის უმჭიდროესი კავშირი და მონაცვლეობა აღნიშნოს. ამასთან მათი გამოყენების მიზნობრივი თავისებურება განაპირობებდა მათი განვითარების სხვადასხვა მიმართულებას. განსხვავებული ტერმინი „ნუსხა-ხუცური“ და „მხედრული“ მხოლოდ იმ დროს შეიძლებოდა გაჩენილიყო, როცა ერისკაცებსა და მდივან-მწიგნობართა უმრავლესობას ნუსხა-ხუცურად წერა აღარ შეეძლოთ და როცა ეს უკანასკნელი სასულიერო პირთა დამწერლობად იქცა. ეს იმას როდი ეწინააღმდეგება, რომ მხედრულს, ანუ დღევანდელ ჩვენს დამწერლობას, სწორედ აღმინდელი ჰქონდა თავის წარმოშობის წყაროდ, რომელსაც იგი თანდათანობით დაშორდა და სრულებით განსაკუთრებულ დამწერლობად ჩამოყალიბდა.

ივანე ჯავახიშვილი გვაძლევს ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების შესწავლა-დახასიათებას. მას დადასტურებულად მიაჩნია, რომ VI საუკუნეში მრგვლოვანი მთავრულის გვერდით თახაარსებობდა ქართული კუთხოვანი მთავრული დამწერლობა. IX საუკუნეში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებულ-ჩამონაკვთი დამწერლობაა, თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკვთის პროცესი ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო.

ივანე ჯავახიშვილი არ იზიარებს იმ აზრს, რომ მხედრული ქრისტიანულ ხუცურზე უწინარესი ქართული წარმართობის დროინდელი დამწერლობააო, როგორც ამას ნ. მარი ამტკიცებდა. ივანე ჯავახიშვილი თვლის, რომ ეს დამწერლობა XI საუკუნის ძეგლებით გვაქვს წარმოდგენილი. თუმცა მას მიაჩნია, რომ მხედრული დამწერლობის ჩამონაკვთობაზე ლაპარაკი მხოლოდ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იქნებოდა გამართლებული. ნაშრომი მთავრდება დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურების ტაბულებით. ივანე ჯავახიშვილი როდი იზღუდება დამწერლობის ეტაპების განხილვით. თითოეული ამ ეტაპის თავისებურებას იქვე იყენებდა კონკრეტული მიზნებისათვის — დაუთარილებელი ძეგლების ქრონოლოგიის დადგენისათვის. პალეოგრაფიის მიზანი სწორედ ესაა—უთარილო ძეგლების დათარიღება. ამისათვის მრავალი ხერხი არსებობს: ძეგლის დათარიღება, პირველ ყოვლისა, შეიძლება მისი შინაარსის, სახელობრ იქ მოხსენიებულ ისტორიულ პირთა დროის მიხედვით, შემდეგ ენის მიხედვით, როდესაც იქ ნახმარი გრამატიკული ფორმებისა და ტერმინების გაჩენისა და გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები გამოკვლეულია, დასასრულ, მოხაზულობის თვისებათა მიხედვით და სხვა.

ამ მეთოდური მითითებების პრაქტიკული გამოყენების შესანიშნავ ნიმუშს თვითონ გვაძლევს. ამ წიგნში თქვენ ჯერ იპოვნით უთარილო ეპიგრაფიკული ძეგლების ქრონოლოგიურად დადგენის დროს, შემდეგ კი წიგნური დამწერლობის ნიმუშებს. ცალკეული უთარილო ეპიგრაფიკული ძეგლების დახასიათება ეს გამოკვლევებია დამოუკიდებელი მეცნიერული მონოგრაფიების მნიშვნელობისა, პალეოგრაფის გვერდით აქ ისტორიკოსი, ლინგვისტი, ფილოლოგი მოქმედებს ერთ პიროვნებაში გაერთიანებული, რომელსაც არც ერთი ფაქტი არ რჩება ისტორიის ფრაგმენტული მონაცემებიდან.

„პალეოგრაფიის“ ბოლო მეხუთე თავი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხებს ეხება. აქ ავტორი მკაცრი თანამიმდევრობით არჩევს ქართული დამწერლობის წარმოშობის თეორიებს და გვაძლევს მწყობრ შეხედულებას განსასჯელი პრობლემიდან. ამ შეხედულებისათვის ანგარიშის გაწევა ქართული პალეოგრაფიის ნომავალ მკვლევართათვის აუცილებელია. კვლევა იმითაც ძნელდებოდა, რომ არ იყო ჩატარებული საფუძვლიანი წინასწარი ძი-

ება, ამიტომაც პრობლემების ის გადაწყვეტა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი გვთავაზობს, მას საკითხის გარკვეულ საფუძველზე დაყენების პირველ ცდად მიაჩნია.

ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენლის პიროვნების შესახებ. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის შეხედულებაში მთავარი ისაა, რომ ქართულ დამწერლობას იგი ქრისტიანობის შენახენად კი არ თვლის, არამედ ქართული ანბანი ქრისტეს წინაღობის წინააღმდეგ აღმოჩენად მიაჩნია და უკავშირებს მის შექმნას ქართველ მეფეს—ფარნავაზს. იგი, როგორც ვარაუდობენ, III საუკუნის დამდეგს მეფობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ქართული დამწერლობა გაცილებით ძველია, ვიდრე ფარნავაზ მეფის შესაძლებელი მეფობის ხანა. მას შეუძლებლად მიაჩნდა VII საუკუნეზე გვიან ქრისტეს დაბადებამდე ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის წარმართული წარმოშობა მისთვის ყოველ ეჭვს გარეშეა. ქართული დამწერლობის წარმოშობის დაკავშირება ქრისტიანობის გავრცელებასთან ივ. ჯავახიშვილს პრინციპულად დაუშვებლად მიაჩნია. ასევე იგი კატეგორიულად უარყოფს ქართული დამწერლობის სომხურიდან წარმოშობის თეორიას. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ანუ უფრო ზუსტად, შეხედულებას, რომ სომეხმა მესრობ-მაშტოცმა სომხური ანბანის შემდეგ ქართველებსაც შეუქმნა დამწერლობა. ეს თეორია სომხური საისტორიო ტრადიციიდან მომდინარეობს. მას არც ერთი ძველი ქართველი ისტორიკოსი არ იზიარებს. თვითონ ლეონტი მროველიც, რომელიც განსაკუთრებული სიმპათიებით წერს სომხურ კულტურაზე, ისიც პრინციპულად გამორიცხავს ქართული დამწერლობის შექმნას მესრობ-მაშტოცის მიერ.

ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მონაცემებით, მესრობ-მაშტოცმა არც ქართული იცოდა და არც ალბანური. ამ ერის შვილთა დახმარებით ქმნის თითქოს იგი მათ ანბანსო.

მესრობ-მაშტოცის მიერ ქართველთა და ალბანთათვის დამწერლობის შექმნის თეორიას იგი ისევე კრიტიკულად უდგება, როგორც თვით ქართული საისტორიო მწერლობის მიერ შექმნილ მრავალ სხვა ლეგენდას. აქაც ივანე ჯავახიშვილი ერთგულია მის მიერ სტუდენტობის დროს ამორჩეული გზისა. ამასთან მესრობ-მაშტოცის თეორიის კრიტიკით მას სრულიადაც არ სურს უარყოს ძველთაძველი და უმდიდრესი სომხური დამწერლობის შორეულ საუკუნეთა სიღრმეში წარმოშობა. პირიქით, იგი თვლის, რომ გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს შეხედულება სომხური ანბანის ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში შედგენის შესახებ, ვინაიდან „ის გაცილებით ამაზე ხნოერი უნდა იყოსო“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 196).

განსახილველი პრობლემის გასაღებს იგი პოულობს მესრობ-მაშტოცის შესახებ კორიუნის ნაშრომის კრიტიკული განხილვით. სხვანაირად წყაროების განურჩევლად სარგებლობა სულ ადვილად მცდარი დასკვნების გამოტანის პირობაა, რასაც ადასტურებს კორიუნის ნაწარმოების კრიტიკულად განხილვა. (ამ საკითხს ივანე ჯავახიშვილი არჩევს დაწვრილებით აგრეთვე 1935 წელს თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში“, გვ. 150—195).

მას მიაჩნია, რომ უპირველესად უნდა დადგინდეს, იყო თუ არა თანამედ-

როვე და თვითმხილველი კორიუნი მაშტოცისა. მანამდე კორიუნის ნაწარმოებ-
ბის კრიტიკული განხილვა-გაცხრილვა არავის მოუხდენია. პირიქით, ისინი
ტექსტის ცნობებს ენდობოდნენ და აქედან გამომდინარეობდნენ.

ივანე ჭავჭავიძის ეპიკური კორიუნის ნაშრომის მიმართ იმით დაიწყეთ, რომ
ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი უთითებს მაშტოცის შესახებ კორიუნის ნაშ-
რომს და მის დამსახურებად სომხური ასოების აღმოჩენას თვლის. ეპიკი არ
არის მას არ შეიძლება მაშტოცის სიდიადის წარმოსაჩენად გამორჩენილად
ქართველთათვის და ალბანელთათვის ანბანის შემოღება. ეს მათ უფრო იყო
მოსალოდნელი, რომ ლაზარე ფარპელი სომეხ-ქართველ-ალბანელთა თანხმობ-
რივი მოქმედების გულმხურვალე მომხრეა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ
კორიუნის წიგნის თავდაპირველ ტექსტში არაფერი ყოფილა ნათქვამი მაშტო-
ცის მიერ ქართველ-ალბანელთათვის ანბანის გამოგონების თაობაზე. მაშას-
ადამე, კორიუნის ნაწარმოები დროთა განმავლობაში გადაკეთებასა და შევსე-
ბას განიცდიდა. ამას ემატება ისიც, რომ საფუძველი გვაქვს ეპიკი შევიტანოთ
იმაში, რომ მაშტოცის მოწაფედ აღიარებული კორიუნი მისი თანადამხდური
და თვითმხილველია. თვით მაშტოცის გარდაცვალების აღწერისას არა ჩანს,
რომ იგი თანადამხდურია ამ მასწავლებლისა. ბევრ სხვა შეუსაბამოს პოულობს
მაშტოცის შესახებ კორიუნის წიგნში ივანე ჭავჭავიძის. მაგალითად, მას
სრულიად დაუკერებლად მიაჩნია მითითება იმაზე, რომ ერთბაშად და მით
უმეტეს ერთ პირს ძველი და ახალი ალტემის ყველა წიგნი გადმოეთარგმნა იმ
დროს, როდესაც ის-ის იყო ანბანის შედგენა დამთავრდა, როცა მთარგმნელობა
ჭერ არავის ჰქონდა დანაცადი და გზაგაკვლეული არ იყო, რასაკვირველია,
ასეთი რაიზე ერთი ადამიანის ძალ-ლონესა და შესაძლებლობას აღემატებოდა.
ივანე ჭავჭავიძის აზრით, პარალელი მარტინ ლუთერთან აქ არ გამოდგება,
რადგან, როდესაც ის თარგმნას შეუდგა, გერმანული ანბანიცა და დამწერლო-
ბაც დიდი ხანია უკვე არსებობდა.

ივანე ჭავჭავიძის აზრით, მაშტოცის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე
კორიუნის წიგნში თანამედროვისა და თანადამხდურის მონათხრობის არავითარ
კვალი არა ჩანს. ივანე ჭავჭავიძის სწორედ მერმინდელ ჩანართად მიაჩნია
სხვადასხვა მონათხრობი მაშტოცის შესახებ.

მთავარი არგუმენტი, რომლითაც ივანე ჭავჭავიძისი უარყოფს ქართული
და სომხური ანბანის ერთ წყაროდან წარმოშობას, ის არის, რომ ქართულსა და
სომხურ ანბანებს შორის ასოთა მოხაზულობის მხრივ ისეთი არსებითი განსხ-
ვებებაა, რომ არას გზით არ შეიძლება, რომ ეს ორი დამწერლობა ერთი და
იმავე პირის შექმნილი იყოს, რომ, კორიუნის ნაშრომში ჩართული ცნობის სა-
წინააღმდეგოდ, „ქართული ანბანი თავისი პალეოგრაფიული თვისებებით სომ-
ხურზე გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს“ (ქარ. პალეოგრაფია, გვ. 196).

ქართული ანბანის თანდათანობითი განვითარების უხანგრძლივეს გზას ივა-
ნე ჭავჭავიძისი იმაში ხედავს, რომ ქართულ ანბანში ქართულის ნიშანდობლივ
ბგერათა გამოხატველი ასოები მხოლოდ ბოლოშია მოთავსებული, ბერძნულ-
სემურთან საერთო ასოების შემდგომ. სწორედ ამგვარი გზითაა შე-
მუშავებული ბერძნული ანბანი, ვასაგებია, რომ ქრისტიანობის გავრცელებას
რამა კულტურულ-ისტორიული ძვრები თან სდევდა, რაც დამწერლობის
რეფორმში შეიძლება გამოხატულიყო, მაგრამ აქაც გამოჩინებულია
მესრობ-მაშტოცის გადამწყვეტი მონაწილეობა არა მარტო ქართული
ენის უცოდინრობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ „სომხური და ქართული
ანბანის შემდგენელი, გინდ „ინსტრუქტორადაც“ მონათლული, შეუძლე-

ბელია ერთი და იგივე პირი, მაშტოცი თუ მესროპი ყოფილიყო“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 196).

მაშასადამე, ქართული დამწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე ჩვენი ისტორიის მკვლევრისთვის ეჭვს არ იწვევს.

მ. ბროსე და ნ. მარი კი თვლიდნენ, რომ ხუცური დამწერლობა ქრისტიანობის დროიდან მომდინარეობს, რომ მხედრული წარმართული დროისაა. აკად. ნ. მარს მაშტოცი არ მიაჩნდა სომხური დამწერლობის შემქმნელად. ასევე ბევრ სომეხ მკვლევარს მაშტოცი მხოლოდ სომხური დამწერლობის რეფორმატორად მიაჩნია.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ქართული ანბანის შექმნას ბერძნული კულტურის გავლენის შედეგად თვლიდა. ივანე ჭავჭავიძე დამწერლობით იხილავს ბერძნულიდან ქართული ანბანის წარმოშობის თეორიას. ამ თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ქართული ანბანის რიგი თავიდან ოცდაექვს ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, უდგება სწორედ ბერძნულ ანბანურ რიგს. ეს მაინც მას საკმარის მტკიცებად არ მიაჩნია ქართული ანბანის წარმოშობისათვის. ანბანთა რიგის გარდა უმთავრესი მნიშვნელობა თვით ასოთა მოყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას აქვს. ამ მხრივ მდგომარეობა კი სრულიად არაათანაბარი იყო, რადგან, თუ ბერძნულ პალეოგრაფიას ძეგლები XII საუკუნიდან მოეპოვება ქრისტეს შობამდე, ქართული დამწერლობის ნიმუშები ჭერჭერობით მხოლოდ V—VII საუკუნიდან მოყოლებული ქ. შ. არის შენახული. ამგვარად, ორ ერთმანეთთან შესადარებელ ანბანს მეტად დიდი მანძილი, მთელი ათი საუკუნე აშორებს. ამიტომ, დაასკენიდა ივანე ჭავჭავიძე, „ასეთ პირობებში, სანამ ქართული დამწერლობის უფრო ძველი და უძველესი ძეგლები მიწის გულიდან ამოღებული არ არიან, მეცნიერს მსჭელობის დროს მეტისმეტი სიფრთხილე და განსაკუთრებული სამეცნიერო ღონეობით თავისი თავის მძიმე შეცდომებისაგან შეძლებისამებრ უზრუნველყოფა მართებს“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 197).

ამის შემდგომ მისაბაძი გამოწვლილით მიმდინარეობს პალეოგრაფიული კვლევა ქართულ-ბერძნული დამწერლობის შედარებით შესასწავლად.

ივანე ჭავჭავიძე დაასკენის, რომ სხვადასხვა ასოს მდებარეობა „ქართულ ანბანს თვალსაჩინოდ აშორებს ბერძნულ ანბანს, ხოლო ფინიკიურ-არამეულს და მათგან წარმომდგარ ანბანებს უახლოებს“ (ქართ. პალეოგრაფია, გვ. 223). ამიტომ მას ქართული უძველესი ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის აზრი უსაფუძვლოდ და შეუძლებლად ეჩვენება. სრული მსგავსებით, უშუალო ნათესაობის ან დედნობის გამომჟღავნებელი ქართულ დამწერლობას მახლობელ აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის არ მოეპოვება.

ივანე ჭავჭავიძის ბევრი დასკვნა, მის მიერ გამოთქმული, ჰიპოთეტურად მიაჩნია, მაგრამ იგი გადაჭრით, პრინციპულად და ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოითხოვს:

„ეხლა მაინც სამუდამოდ უუკუდაბულ უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 228).

ივანე ჭავჭავიძე იმით როდი იმშვიდებდა თავს, რომ ნაპოვნი იყო ქართული დამწერლობის საკმარის ძეგლი ეპიგრაფიკული ნიმუშები. იგი, როგორც უდავო მეცნიერულ დასკვნას, საქვეყნოდ აცხადებდა: ბოლნისის სიონისა და

მცხეთის ჯვრის მონასტრის უძველესი ცნობილი წარწერები „ქართული დამწერლობის არამც თუ თავდაპირველ, უძველეს ნიმუშებადაც ვერ ჩაითვლებიანო“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 197). აქედან მოწოდება: ხელი უნდა შეეწყოს იმას, რომ მიწის გულში ნაპოვნი იქმნეს სწორედ „ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები“ — წინაპართა მიერ ქვაზე ამოკვეთილი წარწერები. მას ეკვი არ ეპარებოდა, რომ ეს სწორედ მიწის გულიდან ამოვა და გვამცნობს ქართველთა დამწერლობის ძველთაძველობას.

ქართულ ენასთან ერთად, ქართული დამწერლობის შენარჩუნებისათვის ჩვენი ხალხი საუკუნეთა მიმდინარეობაში არავითარ მსხვერპლს არ იშურებდა. ამასთან ხალხის გენია შეილივით ელოლიავებოდა, ხვეწდა და სრულყოფდა ქართულ ანბანს.

ქართული ანბანთქება პალეოგრაფიის არაერთ სპეციალისტს დაუწერია საქვეყნოდ.

ივანე ჭავჭავიძელი დამაჩერებლად ადასტურებდა ძველი საუკუნეების სიღრმეში ქართული წერილობითი ნიმუშების წარმოშობას, რომლის სიყვარული შვილის სიყვარულივით ბუნებრივია და საყოველთაო.

ძველად მწერლებსა და პოეტებს შესანიშნავად უთქვამს მშობლიური ანბანთქება. ჩვენს დროშიც ასეა. ივ. ჭავჭავიძელის აზრი, რომ ბევრ ქართულ ასოს ძველისძველი მოხაზულობა საუკუნეთა განმავლობაში კარგად აქვს დაუცული, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შთაგონების სათავე ხდება.

„შენ რომელიც
მარად მზეებრ გეინათ,
არა გუშინ
გაჩნდი თვალისჩინად,
არამედ მზით
ამოენტე ბრწყინვად —
ოცდაექვსი საუკუნის წინათ...“

„შენ სიძველის
გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე კრილი
ხან ჩუქურთმის მსგავსი —
დიდის გზნებით
ასე იყავ სავეგ
ოცდაექვსი საუკუნის წინათ.“

ივანე ჭავჭავიძელს მხოლოდ შემთხვევით გარემოებად მიაჩნდა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის V—VI საუკუნის ძეგლებზე უწინარესი ჯერ არ არის ცნობილი. მას სწამდა სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხარვეზს შეავსებდა. ჩვენც გვწამს, აქაც გამართლდება ივანე ჭავჭავიძელის წინასწარქვერტა:

ჩვენი მიწა გადახსნის ათეულობით საუკუნის წინანდელი წინაპრის სიხარულით თუ წუხილით ჩაწერილ ქართულ ანბანს.

ბ) უოველი ტექსტი სანდო როდია

დამწერლობის გამოგონება კაცობრიობის დიადი მონაპოვარია. ახლა ხალხის ზეპირი კოლექტიური მეხსიერება ნაწერზე — ქვაზე, თიხის ფირფიტაზე, პაპირუსზე, ეტრატზე, ქალაღზე გადადის და თაობებს რჩება. წიგნი ხომ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი სასწაულია, მაგრამ დაწერილ ტექსტს ყოველთვის არ შეიძლება ვენდოთ. ქალაღი ყველაფერს იტანს — ტყუილსაც და მართალსაც. ყოველი ნაწერი კრიტიკულად უნდა შეფასდეს: ვინ წერდა მას, რა მიზნით, ვისი დავალებით, რა თვალსაზრისის კაცი იყო იგი, რა წყაროებით სარგებლობდა, მოდავე მხარეთა რომელ მიმართულებას ეკუთვნოდა და ა. შ. უამისოდ ისტორიული დოკუმენტებისადმი გადამეტებული ნდობა აუცილებლობით შემცდარ დასკვნებს მოგვიტანს. ამ ხვედრს გამოჩენილი. მეცნიერიც შეიძლება ვერ ასცდეს.

ძველ ქართველ ისტორიკოსებს შორის ვახუშტი. ბაგრატიონს განსაკუთ-

რებული ადგილი უკავია. არ არის გამოთქმა, მისი წარჩინების გამოსახატავად ივანე ჯავახიშვილმა რომ არ მოიხმოს. ამის მიუხედავად, იგი მაინც საპიროდ თელის ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერის, ერთი ნაკლი აღნიშნოს. „ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსჭვალული და თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელი გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, — დამახინჯებული და უვარგისი ყოფილიყო“. ვახუშტს კი ამ გარემოებისათვის ჭეროვანი ყურადღება არ მიუპყრია და საბუთებისადმი გადამეტებულ ნდობას წაუტყუებია. იგი ხშირად სარგებლობს და უტყუარ საბუთად მოჰყავს მავალითად ბარათიანთ გუჯარი... და „თუმცა ვახუშტის ბარათიანთ ბეთანიის გუჯარის თვით დედანი ჰქონია ხელთა, რომელიც უეჭველია შენახულ პირზე უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ გამოცემულ პირთავანაც ნათლად ჩანს, რომ ეს გუჯარი თუ პირდაპირ „ნატყუარი“ საბუთი არ არის, მაინც ნამდვილ და უტყუარადაც ვერ ჩათვლება და ისტორიისათვის სრულებით გამოუდგეარია, რადგან ზღაპრულ ცნობებს შეიცავს“.

აქაც ვახუშტის მეცნიერული ავტორიტეტის პატივისცემა კარნახობს ივანე ჯავახიშვილს, ახსნას მაინც ამ შეცდომის მიზეზები. „თუ გავიხსენებთ, რომ ეხლაც კი, — წერდა ივანე ჯავახიშვილი 1915 წელს ქართულ საისტორიო მწერლობაში — საბუთების სინამდვილეს და უეჭველობას არავინ აქცევს ყურადღებას და ეხლაც არა ერთი და ორი „ნატყუარი“ სიგელ-გუჯარი ნამდვილ და ქეშმარიტ საბუთად არის ცნობილი, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ვახუშტს ეს ნაკლი უფრო მიეტევებოდა“ (თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 345—346). ეს ნაკლი მეცნიერ ბატონიშვილის შემოქმედებისა არ უშლიდა ხელს იმას, რომ სწორედ იგი ჩავთვალთ ქართული მეცნიერული დიპლომატიკის შექმნის პირველი საყურადღებო და საგულისხმო ცდის დამფუძნებლად, თუმცა, როგორც ივანე ჯავახიშვილი თავის 1926 წელს გამოსულ წიგნში („ქართული სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“) აღნიშნავს, ეს „პირველი ცდა, რაც ვახუშტიმ დაუტოვა შთამომავლობას, სრულებით დავიწყებული იქნა“.

ივ. ჯავახიშვილის ეს ახალი წიგნი ნაწილია სერიისა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, წიგნი III, ნაკვ. პირველი. ივ. ჯავახიშვილი ამით, როგორც ამბობდა ნ. ბერძენიშვილი, იქცა ქართული დიპლომატიკის სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად.

ივანე ჯავახიშვილი ამ წიგნს იწყებს იმაზე მითითებით, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბუთებს როგორც პოლიტიკურ-კულტურული. ისე სამართლის, ეკონომიკური თუ ხელოვნების ისტორიისათვის, ამიტომ საბუთების მეცნიერულ შესწავლას ევროპაში დიპლომატიკა ანუ ქართულად სიგელთამცოდნეობა ეწოდება. მართალია, ქართულად არ იხსენიება თვით ტერმინი „დიპლომატიკა“, მაგრამ ქართული საბუთებიც ბლომდაა უკვე გამოცემული და საქართველოს ისტორიის მკვლევარნიც უკვე XVII საუკუნიდან მოყოლებული ამ წყაროებით ფართოდ სარგებლობენ. სამწუხაროდ, XIII—XVI სს. შესახებ საბუთების წინასწარ შეუსწავლელად გამოცემამ და განურჩევლად სარგებლობამ ქართულ საისტორიო მწერლობას საგრძნობი ზიანი მოუტანა, ნატყუარი და ნამდვილი საბუთების ცნობათა ერთმანეთში არევაზე ზოგ მკვლევარს საქართველოს ისტორიული ცხოვრების სრულიად დამახინჯებული სურათი დაახატინა, რომელსაც ხშირად არაფერი ჰქონდა საერთო სინამდვილესთან.

ივ. ჯავახიშვილის წიგნი სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ საბუთების მეც-

ნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაჰყარდა. იგი 1920 წლიდან მოყოლებული ქართული საბუთების აგებულებისა და დაწერილობის შესწავლას შეუდგა. ამას დაერთო 1920—1922 წლებში ქართული დიპლომატიკის კურსის კითხვა თბილისის უნივერსიტეტში. ამ სამეცნიერო დარგისათვის საფუძვლად ჩაყარა ყველაზე მეტად იმიტომ ეჩქარებოდა, რომ დიპლომატიკის საკითხებს მკვლევართა შესაფერისი ყურადღება დაემსახურებინა. ივანე ჭავჭავიძევილი კარგად ხედავს, რომ ერთი პირის ღონეობას აღემატება საქართველოს უმდიდრესი საბუთების მეცნიერული კლასიფიკაცია და დაწვრილებითი დახასიათება. მას ეს არ აშინებს, უნდა საკითხები განსახილველად დასვას და შემდგომ დაინტერესებული სპეციალისტები მას წინ წასწევენ. აკი თვითონვე ამბობს: „მეცნიერებაში ხშირად არც არის საჭირო, რომ დაწვებული საქმე ერთდამივე პირმა დაამთავროს: ოლონდ მიზანი ნათლად იყოს გათვალისწინებული, მუშაობის გარკვეული გეგმა არსებობდეს და დაწვებული საქმის გამამარქელებელი მკვლევარნიც საკმაოდ აღმოჩნდებიან“.

საკითხის სიძნელე იმაში როდი იყო, რომ საბუთთა სრულიად განსხვავებულ კლასებთან გვექონდა საქმე. ყველაზე დიდ სიძნელეს ის წარმოადგენდა, რომ სიგელ-გუჯრების დიდი ნაწილი სათანადოდ არ იყო გამოცემული. ლოდინი, რომ დიპლომატიკის კურსი მათი გამოცემის შემდეგ დაბეჭდილიყო, ნიშნავდა, ხელი შეგვეშალა თვით სიგელ-გუჯრების მეცნიერული გამოცემისათვის. დიპლომატიკის კურსის გამოსვლას შეეძლო მხოლოდ ხელი შეეწყო ამ სიგელ-გუჯართა გამოცემის საშუალო საქმისათვის. ივანე ჭავჭავიძევილს გაცილებით მეტი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, ვიდრე ევროპასა და რუსეთში ამ კურსის შემქმნელებს. ერთსა და იმავე დროს მას შესაფერისი ტერმინოლოგია უნდა გამოეძებნა და შეექმნა, საბუთების შედგენა-დაცვის ტექნიკაც უნდა შეესწავლა, აგებულება-დაწერილობის წესებიც გამოერკვია ზოგადად და დროთა განმავლობაში ისტორიული განვითარების დამახასიათებელ თვისებათა განსაზღვრაც მას ეკისრებოდა. ყოველივე ამას ავტორი აკეთებს სიგელ-გუჯრების ტექსტების ანალიზის საშუალებით, თანადამხდური ისტორიული ცნობების მარჯვდ გამოყენებით. ნაშრომი ზოგად ისტორიული საკითხების განხილვით იწყება. კერძოდ, განხილულია სიგელთამცოდნეობის ჩასახვა და განვითარება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, აგრეთვე განხილულია ბიზანტიური, ქართული, სომხური და სპარსული სიგელთამცოდნეობის განვითარება. რასაკვირველია, მთელს წიგნში სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის სიგელთამცოდნეობის შესწავლას თავის მიზნად აქვს, გვიჩვენოს სიგელთამცოდნეობის განვითარების თავისებურება საქართველოში. ავტორს ნამდვილი ყამირის გატეხა ხედა წილად, მანამდე არავის შეუსწავლია საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები საქართველოში, მათი პირველად ხმარების დრო, მათი შინაარსის ცვალებადობა. გასაგებია, ეს იმ მკვლევარს შეეძლო, რომელიც არა მარტო სიგელ-გუჯრებს, არამედ ქართული წერილობითი კულტურის უკლებლივ ყველა აღმოჩენილ ძეგლს იყო გაცნობილი. მართალია, შემდეგდროინდელმა გამოკვლევებმა საბუთის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის ხმარების თარიღი მეტ-ნაკლებად შეცვალა, მაგრამ მთავარი ამ წიგნით გაკეთდა. საფუძველი ჩაეყარა დოკუმენტთმცოდნეობის მეცნიერული კვლევის ამოსავალ საწყისებს. აი თუნდაც ტერმინი „სიგელი“. ივანე ჭავჭავიძევილი თვლიდა, რომ გადარჩენილი ძეგლების მიხედვით უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საბუთების აღსანიშნავად შემდგომში ჩვეულებრივ მიღებული ტერმინი „სიგელი“ უძველეს ხანაში გავრცელებული არ ყოფილა. იგი X საუკუნის მეორე მეოთხედიდან იხმარება როგორც მწერლო-

ბაში, ისე საბუთებში. საფიქრებელია ამიტომ, რომ იგი უფრო ადრეც იყო შემოღებული. XI—XV საუკუნეში კი სიგელს შეფეთა საბუთების მნიშვნელობა ჰქონია. XV საუკუნის დამდეგიდან კი სიგელი წინანდებურად მარტო შეფეთა ნაბობებ საბუთს აღარ ნიშნავს, არამედ აგრეთვე კერძო პირთა საბუთების აღსანიშნავადაც იხმარებოდა. გუჯარის ხმარებას სიგელის მნიშვნელობით ივანე ჭავჭავიძეილი XV საუკუნის შუა პერიოდით ითვალისწინებდა. გვიან, XVIII საუკუნის დამდეგს, ეს ორი სიტყვა შეაერთეს, აქციეს ერთ ტერმინად სიგელგუჯარი. ამ საკითხს შემდგომ ივანე ჭავჭავიძეილის მოწაფე ნიკო ბერძენიშვილი სწავლობს. მისი დასკვნით, შეიძლება მომავალში ტერმინის „სიგელის“ შემოტანა-დამკვიდრების თარიღმა რამდენადმე, მაგრამ არც თუ ძლიერ, გადაიწიოსო“.

მეტად მნიშვნელოვანია ივანე ჭავჭავიძეილის დაკვირვება ისეთ ტერმინზე როგორიცაა „წიგნი“.

ივ. ჭავჭავიძეილის აზრით, უძველეს ქართულ ძეგლებში „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. ასე იყო თვით დაბადების ქართულ თარგმანებში. წიგნი ყველა და ყოველგვარი საბუთის საერთო სახელადაც იხმარებოდა: არსებობდა, როგორც „წიგნი მეფისა“, ისე „გარიგების წიგნი“, „ნასყიდობის წიგნი“, „წყალობის წიგნი“, „მიჯნურობის წიგნი“, „ანდერძის წიგნი“ და სხვ. მაშასადამე, ყოველი დაწერილი საბუთი განიხილებოდა როგორც წიგნი. წიგნად განიხილებოდა თვით ისტორიული თხზულება.

დიპლომატიკაში საბუთებს ივანე ჭავჭავიძეილი მათი იურიდიული ძალმოსილების ფარგლების მიხედვით ალაგებდა. ამიტომ იგი იწყებდა სახელმწიფო სამართლის სიგლების დახასიათებით. აქ ისეთი საკითხების სამართლებრივი შინაარსის გარკვევას ვხვდებით, როგორიცაა „წიგნი სამეფო“ ან „წიგნი მეფისა“; მეფის განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „ბრძანებაჲ“ იყო, თვით მეფის განკარგულებას „სამეფო ბრძანებაჲ“ ერქვა. XIII ს. მეორე ნახევრიდან გვხვდება ტერმინი „ბარათი“, იმ დროს ბარათი იმ პატარა მიწერილობას რქმევია, რომელშიც ხელისუფალი, მოხელე თუ მებატონე ითხოვდა ხოლმე მისი კუთვნილი გადასახადი გამოგზავნილი კაცისათვის ჩაებარებინათ. ეს სიტყვა ქართული სიტყვა არ არის. საბას განმარტებით, ბარათი „სხუათა ენაა, მცირე ნაწერს ქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდებისო“.

შემდგომ განხილულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები. ასე მაგალითად, წასვლის ნებართვის მიმცემ მოწმობას „განსატევებელი წიგნი“ რქმევია. „სიგელი შეუვალობისაჲ“ ისეთ საბუთს ერქვა, რომლითაც შეწყალებული განთავისუფლებული იყო ხოლმე გადასახადებისაგან, ან ჩვეულებრივი სასამართლოსაგან. მონღოლთა ბატონობის დროთაგან და შემდგომაც ქართული „შეუვალობის“ მაგიერ „მონღოლური ტერმინისაგან ნაწარმოები „თარხნობის სიგელი“ შემოვიდა. ამგვარი საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად „აზატობის წიგნიც“ იხმარებოდა; განთავისუფლების მომნიჭებელ საბუთს „სიგელი გაშვებულობისა“ ერქვა. სასამართლოს განაჩენის შემცველ საბუთს „გარდაწყვეტილობის წიგნი“ რქმევია. თვით სასამართლოს გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ეწოდებოდა.

არსებობდა აგრეთვე საშუამავლო წიგნი, სათავდებო წიგნი, საფიცრის წიგნი და სხვ. იყო თვით „მზითვის წიგნი“, რომელშიც აღნუსხული იყო გათხოვილი ქალისთვის მზითველად გატანებული ქონება და პირობის შემცველი საბუთები.

შვილად აყვანის გარემოებათა და პირობათა აღნუსხველ საბუთს „ნაშვი-

ღებობის წიგნი“ ეწოდებოდა. არსებობდა როგორც გაყრის, ასევე „შეყრილობის“ წიგნებიც, აგრეთვე სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვისათვის დამახასიათებელი გარიგების ამსახველი „ნასყიდობის წიგნი“, „გაცვლილობის წიგნი“ და ა. შ. ვალის აღებისა და პირობების აღმწესხველ საბუთს „თამასუქი“ ეწოდებოდა. ამ ოფიციალური იურიდიული ხასიათის საბუთებს გარდა, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ არსებობდა კერძო ხასიათის საბუთ-წერილები, როგორც იყო „წიგნი ვედრებისაჲ“.

არსებობდა „მიჯნურების წიგნი“, „წვეულების წიგნი“. რაიმე შემთხვეული უბედურების გამო თანაგრძნობით გამოიმცხადებულ წერილს ან „გლოვის წიგნი“ ეწოდებოდა, ან „სამძიმრის წიგნი“.

„ქართულ დიპლომატიკაში“ დახასიათებულია სიგლების შედგენა-დაწერისა და დაცულობის ტექნიკა.

იურიდიული დოკუმენტების დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი — პირველი ჩვენს ისტორიკოსებს შორის — ეხება ბეჭედმცოდნეობის ანუ ქართული სფრაგისტიკის საკითხებს. სხვა რაიმე გამოკვლევა ამ საკითხებზე ქართულად მანამდე არ არსებულა (სფრაგისტიკის თანამედროვე სპეციალისტები ს. ბარნაველი, ა. ბაქრაძე, ნ. თარხნიშვილი ივ. ჯავახიშვილს საქართველოში თვლიან ამ დარგის ფუძემდებლად). ბეჭედი ჩვეულებრივ ორგვარი ყოფილა: ან მთლიანად ლითონისა, ოქროსა, ან ვერცხლისაგან გაკეთებული, ან მას ზემოთგან ძვირფასი ქვა, თვალი ჰქონდა ჩასმული. ამგვარ ქვით შემკულს „თვალედი ბეჭედი“ ეწოდებოდა, ეს უკანასკნელი შეიძლება ჩვეულებრივი ბეჭდის მსგავსად მხოლოდ ხელის დასამშვენებლად ყოფილიყო ნახმარი და განკუთვნილი არა მარტო დასაბეჭდად. ამ დროს ბეჭდის თვალს „საბეჭდავი თვალი“ ერქვა. გასაგებია, რომ ზოგიერთი ამგვარი ბეჭედი მხოლოდ დასაბეჭდად იყო ხოლმე განკუთვნილი, ზოგი კი მარტო სამკაულად. ამიტომ ენა ცდილობდა თანდათან თითოეული მათგანისათვის განსაკუთრებული ტერმინი შეექმნა. ყველა შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ ბეჭედი სამკაული და ბეჭედი დოკუმენტის დასადასტურებელი. შემდგომ დახასიათებულია „საბეჭდავი“. მისი თვლის მორტყელებულ მხარეს, რომელზეც წარწერა და ზოგჯერ კიდევ სურათიც იყო ამოჭრილი, „პირი“ ეწოდებოდა. გასაგებია, რომ პატარა სატარებელი საბეჭდავი ბეჭდები ხელზე ჰქონდათ გაკეთებული, თითზე, ჩვეულებრივ ნეკზე ეცვათ. არსებობდა ე. წ. „დიდი ბეჭედი“, რომლითაც მეფეთა სიგელებს ბეჭდავენ. ამას გარდა უნდა არსებულიყო მცირე ბეჭდებიც. ბეჭდებს წარწერები ჰქონდა და ამითაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ქართული ბეჭდებისათვის სახელის გარდა, დამახასიათებელია ზედ ამოჭრილი სიტყვები, ზოგჯერ მთელი წინადადება, ხანდახან ლექსადაც კი გამოთქმული. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, წ. გ. ს. ხელნაწერებში ინახება ნაშრომი, რომლის ავტორი უცნობია და რომელსაც უცდია კიდევ, შეეკრიბა მეფე-დედოფლების, ბატონიშვილებისა და თავადების ბეჭდებზე ამოჭრილი სიტყვანი. ეს იმის დადასტურებაა, რომ ამგვარი ნაშრომის მოთხოვნილება წინათაც ყოფილა. ოფიციალურ საბუთზე ხელისმოწერა აუცილებელი პირობა იყო სიგლის სიმტკიცისათვის, ამას „ხელის ჩართვა“ ან მარტივად „ხელის რთვა“ ეწოდებოდა. ბევრია დარჩენილი ამგვარი, ხვეულად დაწერილი ხელრთულობა. მაგრამ ეს ყოველთვის მეფის სახელისა და ვინაობის მოხსენებაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ მისი გადაწყვეტილების შინაარსში.

ივანე ჯავახიშვილი იურიდიული დოკუმენტების შინაარსის ცვლილებაში პოულობს იმის ასახვას, რაც გვიანდელ პერიოდში მოხდა. მართალია, აღნიშ-

ნავს იგი, საქართველოს მთლიანობის დაშლის და სამეფო სამთავროების შექმნის შემდგომაც ქართული სიგელით დამწერლობის ძველი სახე და წესრიგი დარჩა, მაგრამ XVI საუკუნეში ქართლის მეფეთა სიგელთადაწერლობას თვალსაჩინო და ფრიალ საგულრისებო ცვლილება ემჩნევა. ასე, 1552 წ. მეფე ლუარსაბის სიგელში ბრძანებულების ნაკვეთი წინათ უცნობი სიტყვებით იწყება: „აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთო“. ეს წინადადება მეფეების ხელისუფლების დაყენების აშკარა გამოხატულება იყო: მეფე უკვე იმდენად იყო იძულებული უზედაესი მოხელეებისათვის არ ეწყენინებინა, რომ მათთვის ბრძანების მიცემას ველარ ახერხებდა, თუ რომ მოხსენების სახით არ გამოუცხადებდა მათ თავის სურვილს.

დიპლომატიკის ზოგადი საკითხების განხილვით არ ამთავრებს თავის ნაშრომს ივანე ჭავჭავიძე. ნაშრომის ბოლო, მეშვიდე თავი ეძღვნება უაღრესად მწვევე ისტორიულ-იურიდიულ საკითხს. ამ თავს ეწოდება „ნატყუარი საბუთები“. ვასაგებია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას იმისათვის, რომ ისტორიულ საბუთებს გულბრყვილოდ არ ვენდოთ. ბოლოს და ბოლოს დიპლომატიკის, როგორც დოკუმენტამცოდნეობის მთავარი დანიშნულება ესაა განასხვავოს ნამდვილი ყალბისაგან. სწორედ ასე ამბობდა დიპლომატიკის დამაარსებელი ჟან მაბილიონი, რომ „დიპლომატიკა არის ხელოვნება ნამდვილი საბუთების გარჩევისა ყალბისაგან“. დოკუმენტების გაყალბების ისტორია, შეიძლება ითქვას, დამწერლობის პარალელურად ვითარდებოდა. აქედან კრიტიკული დამოკიდებულება ტექსტისადმი (გარეგანი და შინაგანი კრიტიკა) აუცილებელია. რასაკვირველია, საქართველოშიც ასევე ადგილი ჰქონდა დოკუმენტების გაყალბებას. მაგალითად, ივანე ჭავჭავიძე ასახელებს XV საუკუნეში კახეთის მეფის ალექსანდრეს მიერ ნაბოძებ სიგელს, რომელიც ნატყუარი სიგელი აღმოჩენილა. ფარიდონ ჭავჭავაძეს იგი სასამართლოში წარუდგენია. არ ჩანს, თუ რა საშუალებებით გამოურკვევია სასამართლოს ამ საბუთის ნატყუარობა. იმ დროისათვის, რა თქმა უნდა, არ არსებობდა კრიმინალისტიკის მიერ დადგენილი მტკიცე მეთოდები ნამდვილისა და ყალბის გარკვევისა (ა. ბერტილოონის ფუძემდებლური წიგნი „ხელნაწერების შედარება და გრაფიკული იდენტიფიკაცია“ მხოლოდ 1897 წელს გამოვიდა). ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ წარმოებდა ბრძოლა გაყალბების წინააღმდეგ და გაყალბებული დოკუმენტის გასაბათილებლად. ივანე ჭავჭავიძის აზრით, მოგვეპოვება ზოგიერთი საგულისხმო ცნობა იმის თაობაზე, თუ რით ხელმძღვანელობდნენ XVII—XVIII საუკუნეში ნატყუარობის დასადგენად. ტფილისის სიონის 1635 წლის სასამართლო განჩინების წიგნში ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება იმის გასათვალისწინებლად, თუ რა საშუალებით არკვევდნენ მაშინ სასამართლოში სიგლის უეკველობას თუ ნატყუარობას. როსტომ მეფის ბრძანებით შეკრებილ ბჭე-მოსამართლეებს სასამართლოში წარდგენილი საეკვო საბუთების შესახებ დაუდგენიათ: მოწმეებს და უმტერო შესახებლებულ მოფიცრებს ხატზე დაფიცონ და ეს საბუთი ხელთ ქონდეთ, მათ დაადასტურონ აღნიშნულის ნამდვილობაო. 1780 წელს ერთ განაჩენში ედიშერ ქავთარისშვილი უჩივის ნათლისმცემლის არქიმანდრიტს, ჩემი მკვიდრი ჰყავსო. არქიმანდრიტს უბასუხნია, რომ ეს ედიშერ ქავთარისშვილს მონასტრისათვის მიყიდული ჰქონდა და ამის შესახებ საბუთი ბატონიშვილის მარიამისაგან არის დაწერილიო. ამაზე თურმე ედიშერი ეპასუხებოდა: ეს საბუთი „ჩემი მოცემული არ არის და ამის მეტად ეგ წიგნი არ მინახავს და თუ მართალია ეგ წიგნი, რად მოწმეები არა სწერია, ან მწერ-

ლის სახელი რად არ სწერია“? სწორედ მისი ამ ნაკლის გამო ედ. ქავთარი-შვილს ეს საბუთი ნატყუარად გამოუცხადებია.

სასამართლოები კი ფიცის, ე. ი. სარწმუნოებრივი გრძნობის და შიშის საშუალებით ცდილობდნენ ნატყუარ-უექველობის გამორკვევას. რასაკვირველია, მოფიცართა რწმენაზე შეყენება და სინდისზე ნდობა ყოველთვის ობიექტური საშუალება როდი იყო სიმართლის დადგენისათვის. დოკუმენტთა გაყალბებას ისეთი გავრცელება ჰქონია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეხედულებათა მთელი სისტემაა, თუ როგორ უნდა ადგენდეს მოსამართლე დოკუმენტის სიყალბეს. იგი მოსამართლეს ავალებს გულისყურით მოეპყრას წარმოდგენილ საბუთს, მან „თამასუქს უნდა გაუსინჯოს ბექედი, ქრონიკონი, დამწერი და მოწამე, ამიტომ რომ, ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ“. თუ ამ გზით ვერ შეატყობდნენ სიმართლეს, მაშინ მოწმით ან ფიცით დაადასტუროსო. ვახტანგ VI-ის სამართალი ასევე სიფხიზლეს მოითხოვს ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) დროს. მყიდველს ევალება, „კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით უნდა იყიდოს რაიმე, ან სხვისი მამული არ შემოატყუოს, ან მზღვარი ტყუილად არ დაუწეროს, კანს მოწმით, წიგნით და ბექდით უნდა იყიდოს“.

მაშასადამე, ნატყუარობა საბუთისა გარკვეულ უნდა იქნეს მისი გარეგანი მხარის ბექდის შემოწმებით, შემდეგ კი თვით საბუთის შინაარსით (დამწერი, მოწამე, ქრონიკონი). რა თქმა უნდა, ეს საშუალებები უექველობით ვერ დაადასტურებდა სიყალბეს, თანამედროვე იურისპრუდენციას გაცილებით მეტი საშუალებები აქვს ამისათვის, მაგრამ საესებით სწორია ივანე ჭავჭავიძეის შენიშვნა: „მინც უნდა ითქვას, რომ ვახტანგ VI დროინდელი მეთოდები წინანდელთან შედარებით დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს“.

ივანე ჭავჭავიძეილი საგანგებოდ ეხება ე. წ. სასისხლო სიგელების ნატყუარობის საკითხს. არასპეციალისტთათვის რამდენიმე ზოგადი განმარტება უნდა გავაკეთოთ ძველს სამართალში სისხლისა და სასისხლო სიგელების თაობაზე.

„სისხლი“ ძველ ქართულ სამართალში, რასაკვირველია, არ უნდა გავივოთ მისი პირდაპირი მნიშვნელობით. წერილობით ქართულ სამართალს, რა თქმა უნდა, დაძლეული აქვს შურისგების, პირდაპირ სამაგიეროს მიზლის ე. წ. ტალიონის პრინციპზე დაფუძნებული ანგარიშსწორება: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ.“ უძველესი დროის ეს პრინციპი უცხოა ყოველ შემთხვევაში წერილობითი დროის ქართული სამართლისათვის. ტერმინი დარჩენილია მისი შორეული მნიშვნელობით, მაგრამ შინაარსი სრულიად შეცვლილი აქვს. საესებით სწორია ივანე ჭავჭავიძეილი იმასთან დაკავშირებით, როდესაც ამტკიცებს: ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად გამონათქვამებს „სისხლის შეხედრა“, „სისხლის პატრონი“, „სისხლის ძიება“, და „გადაცემა“ და სხვა ამგვარ სიტყვებს ოდესღაც პირდაპირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომ მაშინ სამართალი მართლა შურისძიებაზე დამყარებული „სასისხარი საქმე“ და „სისხლის“ სამართალი იყო“ (ქართ. სამართლის ისტორია. წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 301).

ძველ ქართულ სამართალში „სისხლი“ უკვე მისი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ გამოიყენება, არამედ „სისხლი“ ძველ ქართულს იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდება (ქართ. სამართ. ისტორია, წიგნი პირველი. გვ. 98). სისხლი, როგორც სასჯელი, (კომპოზიცია), სხვადასხვა ფეოდალურ საზოგადოებაში იმის მიხედვით, რომელ კლასსა და წოდებას ეკუთვნის პირი, რომელსაც, ვთქვათ, სხეულის დასახიჩრება, ანდა სიკვდილი შეამთხვიეს. არა მარტო თავადისა და აზნაურის სისხლი ფას-

დებოდა განსხვავებულად, არამედ, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნი განსაზღვრავდა, დიდებული თავადის სიკვდილისათვის მთელი სისხლი ათას ხუთას ოცდათექვსმეტ თუმნად იყო შეფასებული. დიდებულის ქვემოთ შუა თავადის სისხლი შვიდას სამოცდარვა თუმანი. ამის ქვემოთ მესამე თავადის სისხლი -- სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი.

განსხვავებული იყო აზნაურთა სისხლი მისი კატეგორიების მიხედვით. რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებად გლეხისა ფასობდა. გლეხი კაცის სისხლი -- თორმეტი თუმანი იყო. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შემოღებამდე ასე ზოგადად კი არ იყო განსაზღვრული ფეოდალური საზოგადოების წევრთა სისხლი. მანამდე მას მეფე ცალკე სასისხლო სიგლით განსაზღვრავდა. მაშასადამე, ამ სიგლის გაცემისათვის აუცილებელი იყო სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობა. სასისხლო სიგლების გაცემა სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ხელისუფლების სისუსტის დამადასტურებელი იყო. შემთხვევითი სრულიადაც არ უნდა იყოს ის, რომ საქართველოს სიძლიერის ხანის სასისხლო სიგელები არცაა შემორჩენილი. ნიშანდობლივია, რომ სასისხლო სიგლების უმრავლესობა ღიბთ-იმერეთიდანაა. ეს უნდა ავხსნათ, როგორც სწორად წერს ჯ. ოდიშელი, იმით, რომ საქართველოს ამ ნაწილში სახელმწიფო სამართალი საშუალო საუკუნეებში, ჩანს, ნაკლებად იყო განვითარებული და „თავის უფლებრივ მდგომარეობათა დაცვას, ან სოციალურ პრივილეგიათა მოპოვებას, ცალკეული გვარები სასისხლო სიგლებით ცდილობდნენ“ (იხ. მაცნე, 1966, № 4, გვ. 210). თუკი სიგელი რაიმე ქონებრივ-სოციალურ უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას იძლეოდა, არ უნდა გავიცივირდეს, რომ ამ დოკუმენტების ფაბრიკაცია იყო შესაძლებელი. სასისხლო სიგელებს კრიტიკულად (ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ზეკრიტიკულად) მიუდგა ივანე ჯავახიშვილი, მან შეისწავლა ისინი ქრონოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ნუმისმატიკის, ფილოლოგიური კვლევის საფუძველზე და მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა მათ: ისინი ტლანქად გაყალბებული საბუთებია უხეიროდ და უეცრად შეთხზულ-მოჩმახული. ხშირად ყალბისქმნელი ისეა გატაცებული, ზღაპრული ამბები რეალურად გაასაღოს, რომ ავიწყდება, ამის შემდეგ მკითხველი მას სიმართლესაც რომ არ დაუჭერებს. ივანე ჯავახიშვილს სიყალბის ნიმუშად მოჰყავს 1475 წლის სასისხლო სიგელი ავქანდაძისა. ეს სიგელი ჭერ აკად. მ. ბროსემ აღიარა ყალბად, შემდეგ თ. ჟორდანიამ. ივანე ჯავახიშვილის არგუმენტები არავითარ ექვს არ ტოვებენ ამ სიგლის სიყალბეში სიგელში, თვით ტექსტის შეუსაბამობათა გარდა, დავით აღმაშენებლის უდიერად მოხსენიებაც გვხვდება, აგრეთვე პირდაპირ მდიდარი ფანტაზიით შეთხზული ამბები, რომლებიც მხოლოდ გაკვირვებისათვის ხუმრობით ნათქვამ ამბებს თუ მოგვაგონებენ. ამ სიგელში აღწერილია გელათის მშენებლობისას გალავნიდან გადმოვარდნილი დავით აღმაშენებლის განკურნების ზღაპრული ამბავი. მის განსაკურნავად 305 ექიმი შეუყრიათ, მაგრამ ვერა უშველიათ რა, მაგრამ 306-ე ხომ მაინც აღმოჩენილა, რომელსაც ირმის რძის აბაზანაში ბანება დაუსახელებია მორჩენის ერთადერთ საშუალებად. მთელი საქართველოს მმართველი წარები საგონებელს მისცემიან და შეწუხებულან, რადგან ირმის რძე თავიანთ ქვეყანაში არსად ეგულებოდათ. აქ კი უსახელო პირი გამოსავალს უჩვენებს უიმედობით გულდათუთქულ ვაზირებს. მათ აცნობებს, რომ საქართველოში ერთი ავქანდაქია, რომელსაც ერთი ირმის მაგიერ 12 მეწველი ფურირიემი ჰყოლია. სწორედ ამ ფურირიმის რძეში „აღმაშენებელს აბანებენ და ის სწრაფად განიკურნება კიდევ“. ყველაზე დამახასი-

ათბელი ისაა, რომ 12 ფურირემის ყოლა ისეთი საიდუმლოებით ყოფილა მოცული, რომ ერთი ადამიანის მეტს არავის სცოდნია მთელს საქართველოში. კარგად ამთავრებს სიგლის დახასიათებას ივანე ჭავჭავიძე: „ამ მოთხრობაში 12 ფურირემის რძეა უკვე და მხოლოდ ჩიტის რძეა აკლია, რომ ნამდვილ ქართულ ზღაპარად იქცეს, მაგრამ უჩიტისრძოდაც მას ზღაპრისა და ნატყუარობის უცილობელი თვისებები ახლავს“. ავეჯანდაძეთა სისხლი ასე იყო შეფასებული: 200000 ძველი ცხუმური თეთრისა და 12 გლეხის გარდა, კიდევ „12 თეთრი ქორი, 12 თეთრი ქორი და 12 თეთრი მიმინო“.

ყველა სასისხლო სიგელში ასე თვალშისაცემად როდი ჩანს მისი ნატყუარობა. ავიღოთ, მაგალითად, 1460 წლის მეფე გიორგის სახელით ეურულისათვის შედგენილი სასისხლო სიგელი. ეს სიგელი, როგორც ამტკიცებს ივანე ჭავჭავიძე, დანარჩენებს სჯობს, მაგრამ მასშიც არა ერთი და ორი საექვო ცნობა მოიპოვება. ეს, უპირველესად, ქრონოლოგიური ხასიათისაა, რომელიც არ შეიძლება სცოდნოდა თანამედროვეს. „ამგვარად, რათგან ეურულიანთ სასისხლო სიგელი ცხადს შეცდომებსა და შეუსაბამობას შეიცავს, შეუძლებელია ისიც სანდო საბუთად ჩაითვალოს“. ამას ემატება ის, რომ გიორგი მეფის ხელრთულობა არაა დამაჯერებელი. იგი თითქოს თავის თავს დიდს ეძახის, ასეთი რამე შეუწყნარებელი თავმომწონეობა და უზრდელობა იქნებოდა და არც ერთი გონიერი ადამიანი ამას არ იკადრებდა“. მით უფრო, რომ სხვა დარჩენილ ხელრთულობაში ასე იგი არსად არ იხსენიება.

ივანე ჭავჭავიძე დაასკვნის, რომ ნატყუარი საბუთები სამოქალაქო სამართლის სფეროშიც არსებულა. ივანე ჭავჭავიძე აღნიშნულ საბუთთა ნატყუარობას არა მარტო იმით ასაბუთებს, რომ ამ დოკუმენტების გაყალბებას ახალ დროშიც მიმართავდნენ, იგი წერს: „მომავალი, დარწმუნებული ვარ, გამოარკვევს, რომ ბევრი ამ საბუთთაგან ძველად დაყალბებული არც კია, არამედ შედარებით ახალი „შეთხზული“ უნდა იყვნენ წოდებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად“.

როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად საპირისპირო პოზიცია დაიკავა ამ საკითხშიაც ს. კაკაბაძე. მან აღიარა, რომ სასისხლო სიგლებში მართლაც არის ნატყუარი ადგილები, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ნამდვილობას აყენებს ეჭვის ქვეშო. როგორც თვითონ წერდა, „ჩვენ არ უარყოფთ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სასისხლო სიგელის დეტალურმა განხილვამ (ასეთი სიგელი მხოლოდ ორიოდება) შესაძლებელია გააძნელოს მათი სინამდვილის დადასტურებაცო“ (იხ. ს. კაკაბაძე, „სასისხლო სიგლების შესახებ“ უფრ. „საისტორიო მოამბე“, 1924, წიგნი II, გვ. 107). ბევრ შეცდომასა და დამახინჯებას ს. კაკაბაძე კალმისმიერი ლაფსუსით ხსნის, ვინაიდან მისი აზრით, სერიოზული ანგარიშის გაწევას მოითხოვს ის გარემოება, რომ სასისხლო სიგლების უმრავლესობამ ჩვენამდის მოაღწიეს უმთავრესად ასლების (პირების) სახით. ს. კაკაბაძის აზრით, ამ დროს კალმის ლაფსუსს შეეძლო არსებითად შეეცვალა სიგლის ადგილები. მეტიც, ეს რომ ასეა, მას თავისებური საცდელი გამოკითხვაც ჩაუტარებია. როგორც თვითონ გესლნარკვად წერს, აი როგორი უშუალო დაკვირვება მოახდინა მან: „თუ რამდენად შესაძლებელი იყო ძველი სიგლების გადაწერის დროს ტექსტის დამახინჯების დაშვება, სათანადო ცდის მოსახდენად მე მივეცი გადასაწერად XVII საუკუნის ფრიად გარკვეული ხელით და იმავე დროს ადვილ და მარტივ ტექსტის შემცველი ერთი საბუთის (ნუსხის) დედანი ტფ. უნივერსიტეტში საისტორიო დარ-

გზე სწავლა დამთავრებულს პირს, რომელსაც ქართული დიპლომატიის სპეციალური კურსი ჰქონდა გავლილი. ეს სანიმუშოდ მოხდენილი ცდა საინტერესო გამოდგა. დამახინჯებანი იყო ძლიერ ბევრიც და სასტიკიც“ (ამის შექვლეგ მოჰყავს დამახინჯებათა მაგალითები, რომლებიც სრულიად არ შეიძლება სანიმუშო შეცდომებად ჩაითვალოს). დასკვნა ასეთია: „თუ ასეთი დამახინჯებანი შესაძლებელია ეხლაც უნივერსიტეტში ქართული დიპლომატიის კურსის გავლის შემდეგ და ისიც XVII საუკუნის მარტივი ტექსტის წაკითხვისას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო უფრო ძველი და იმავე დროს რთული შინაარსის საბუთების სისწორით ამოკითხვა იმ უმეტესად უეცი პირების მიერ, რომელთაც მიერ უმთავრესად არის შესრულებული სიგელების კოპიები XIX საუკუნის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია, ამასთანავე, რომ XVII საუკუნეზე უწინარეს საბუთების სისწორით წაკითხვა პალეოგრაფიული ხასიათის მანუშების გამო ყოველთვის ადვილი საქმე არ არის, თვით სპეციალისტისათვისაც“ (გვ. 13). მკითხველისათვის გასაგებია, რომ ს. კაკაბაძე სრულიად სხვადასხვა ცნებას ურევს ერთმანეთში. ერთია ტექსტის წაკითხვის (ინტერპრეტაციის) სიძნელის გამო დაშვებული შეცდომა და კალმის ლაფსუსი და სულ სხვაა შინაარსობრივი, ისტორიულ-გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დამახინჯებანი, არა თანამედროვის მიერ განზრახ და ამასთან ზოგჯერ უეცობით გაკეთებული. ჩვენ ზემოთ ავეყანაძის პირდაპირ ზღაპრულსა და ეურულთა წინააღმდეგობებით სავე სიგლებზე მიეუთითეთ, მათ, რასაკვირველია, კარვად იცნობს ს. კაკაბაძე, თუმცა სულ სხვა აზრს გამოთქვამს. ავეყანაძეების სიგელზე იგი ამბობს, რომ „ავეყანაძეთა სიგელი არის უაღრესად საყურადღებო“ (გვ. 64), ხოლო ეურულაანთთვის მოცემული სიგელი წარმოადგენს „ქართული სასისხლო სიგლის კლასიკურ ნიმუშს“ (გვ. 65).

ქართულ დიპლომატიკაზე მუშაობა შემდგომაც არ შეწყვეტილა. ახლა ამ დარგში მომუშავე ავტორთა უმრავლესობას არავითარი ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ სასისხლო სიგლები ნატყუარი საბუთებია, მაგრამ საკითხი დგას ასე: ნატყუარ საბუთშიც ხომ პირი ცდილობს, სინამდვილეს ემსგავსებოდეს და ხომ შესაძლებელია აქ ისტორიისათვის ყურადსაღები მონაცემებიც ვიპოვნოთ. ერთერთი ბოლო გამოკვლევა ქართული დიპლომატიიდან ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ამრიგად, იე. ჭავახიშვილი ძირითადად სწორია, როდესაც სასისხლო სიგლებს ნატყუარ საბუთებად მიიჩნევს. მათი უმრავლესობა ყალბია. უკრიტიკოდ სასისხლო სიგლების მონაცემთა გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება მათი იგნორირებაც. ნებით თუ უნებლიეთ სასისხლო სიგლებში ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის მრავალი საინტერესო ცნობაა მოხვედრილი“ (ჭ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან), ზოგიერთი სასისხლო სიგლის შესახებ“ („მატენ“, 1966, № 4, გვ. 223). ნატყუარობის აღიარება ამა თუ იმ საბუთისა ავტომატურად როდი გულისხმობს მათი მნიშვნელობის უგულებელყოფას. საჭიროა, საბუთი განვიხილოთ როგორც ნატყუარი მთელი თანამდევი შედეგებით. სწორედ ამას მოითხოვდა ყოველი მკვლევარისაგან ივანე ჭავახიშვილი, იგი გვასწავლის: „ძველ საქართველოშიაც „ნატყუარი“ საბუთები მოიპოვებოდა, ამიტომ ჩვენთვის დღესათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მკვლევარმა საბუთებით ფრთხილად უნდა ისარგებლოს, მაინც და მაინც თავდაპირველად მათი ღირსება უნდა გამოირკვიოს, ხოლო შემდგომ მათი ცნობებით ისარგებლოს“ (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, გვ. 346). სწორედ ივანე ჭავახიშვილი იძლეოდა ნიმუშს დოკუმენტებისადმი ამგვარი დამოკიდებულებისას.

ივანე ჭავჭავიძევილი — რექტორი არ კმაყოფილდება შუამდგომლობათა აღძვრით უნივერსიტეტისათვის უკვე არსებული სხვადასხვა ნაგებობის გადმოცემის თაობაზე.

ივანე ჭავჭავიძევილია ინიციატორი საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის შესანიშნავი იდეისა. უნივერსიტეტის დამაარსებელი დაუცხრომლად ზრუნავს მთელი საუნივერსიტეტო ქალაქის შექმნაზე მთავარი შენობის გარშემო. ეს ცდა მისი რექტორობის ბოლო დღემდე გრძელდება.

უმაღლესი განათლების საუნივერსიტეტო ფორმამ მრავალი საუკუნის მანძილზე აჩვენა თავისი ცხოველყოფილობა, ამასთან დაწინაურებულ უნივერსიტეტებს აღმოაჩნდათ განსაკუთრებული უნარი მეცნიერების ახალ-ახალი დარგების წარმოჩენისა და განვითარებისა, მათ შორის ბუნებისმეტყველების, ტექნიკის დარგებში. ამ ვითარებაში უნივერსიტეტის განვითარების ფართო პერსპექტივის დანახვა აუცილებელია. ეს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან წილად საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნაში უნდა გამოხატულიყო, რომელიც აგრეთვე განვითარების მომავალ ოპტიმალურ შესაძლებლობებსაც გაითვალისწინებდა. ეკვი არ არის, ამას თავის დროზე კარგად გრძნობდა ნიკო ცხვედაძე, რომელიც მაშინდელი ქალაქის გარეთ გეგმავდა უნივერსიტეტის აგებას. ამისათვის მას მრავალი საყვედური შეხვდა: დასცინოდნენ: ქალაქიდან შორს შეიძინა გიშნაზისათვის მიწის ნაკვეთიო. როგორც ზაქარია ქიქინაძე გადმოგვცემს, ნიკო ცხვედაძეს კიცხავდნენ „წყნეთის მეღიებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენაზშირე და მეშეშეებისაკენ უნდა გარეკოსო“.

უნიანობამდე მისული პრინციპულობით ნიკო ცხვედაძე ყველასა და ყველაფერს იშორებდა გზიდან, ვინც ამ დიდებულ საქმეს ხელს უშლიდა და უსაზღვრო ენერჯით განაგრძობდა უკვლავ წამოწყებას.

გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი თავის მოგონებებში ნ. ცხვედაძის შესახებ წერს: „თქვენ ამბობთ, რომ შორსააო, — იტყოდა ხოლმე იგი. — გარწმუნებთ, რომ მალე ახლოს იქნება, მხოლოდ იქონიეთ მოთმინება და ხელისშემშლის ნაცვლად, დამეხმარეთო.“

— თქვენ ამბობთ, რომ ის ძალიან დიდია ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ არ გვესაქიროება უზარმაზარი შენობაო.

— მე კი გარწმუნებთ, რომ ის პატარა გახდება თავის დროზე“.

მართლაც, აგების დროს ეს შენობა ყველაზე დიდი იყო თბილისში. ქართულმა უნივერსიტეტმა მშვენიერი მზამზარეული შენობა მიიღო და ამით, ექვთიმე თაყაიშვილის გამოთქმა რომ მოვიხმოთ, უნივერსიტეტის გახსნის საქმე სანახევროდ გადაწყდა. ცხვედაძისეულმა მთავარმა კორპუსმა მეცნიერებას მოწყურებული ბევრი ახალგაზრდა დაიტია. შემდგომ წლებში, მართალია, გამოიყენეს დამატებითი ტიხრები, მაგრამ საბედნიეროდ კლასიკური უბრალოებით აგებული შენობის ძირითადი სახე ხელუხლებელი დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის არსებობის პირველ კალენდარულ წელს, მეორე სემესტრშივე შეიქმნა გაერთიანებული საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამეურნალო ფაკულტეტი. გასაგებია, რომ სამედიცინო მეცნიერებანი უკვე თავიდანვე მოითხოვდნენ ძვირადღირებულ სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობასა და დაწესებულებას. ამიტომ საჭირო გახდა

უნივერსიტეტისათვის ქალაქის სხვადასხვა ადგილას მდებარე საავადმყოფოებისა და კლინიკების გადაცემა.

1919 წლიდან შექმნილი სამეურნეო განყოფილების, ხოლო 1921 წლიდან ჩამოყალიბებული აგრონომიული ფაკულტეტისათვის აუცილებელი იყო მრავალი სხვადასხვა საწარმოს, ნაგებობის და ნაკვეთის გადაცემა. მაშინდელი სასულიერო სემინარიის შენობა, სადაც ეს ფაკულტეტი (შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) მოთავსდა, საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ შევლოდა. 1922 წლიდან პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნამ კი დააყენა ახალ ნაკებობათა და სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების შექმნის პრობლემა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის უნივერსიტეტი არა მარტო ახლანდელ საუნივერსიტეტო დარგებს მოიცავდა, არამედ არსებითად ტექნიკის, მედიცინის და სოფლის მეურნეობის დარგებსაც. მაშასადამე, უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გულისსმობდა არსებითად რესპუბლიკის თითქმის მთლიან სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობის ცენტრს. ეს მის წინაშე არნახულ პერსპექტივებს სახადა. რასაკვირველია, ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა მთავარ კორპუსსა და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის კორპუსს შორის მდებარე სივრცის გამოყენება უნივერსიტეტის მომავალი საჭიროებისათვის. ახალი, სოციალისტური საზოგადოების მძლავრი მაჯისცემა უკვე მიგვანიშნებდა მეცნიერების ზრდის არნახულ მასშტაბებზე. სწორედ ამ ვითარებაში ივანე ჯავახიშვილას ინიციატივით შემუშავდა ვაკის მთელს რაიონში ვარაზის ხევიდან ბაგებამდე საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის, შესანიშნავი იდეა. ეს იდეა ითვალისწინებდა ვაკის რაიონის გადაქცევას სასწავლო-სამეცნიერო და აკადემიური კვლევის ცენტრად.

უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიერ 1926 წლის 22 თებერვალს თბილისის ქალაქის აღმასკომისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის ქუჩაზე თავის მთავარ შენობაში მეტად შევიწროებულა და არც ეტევა. ორი ფაკულტეტი — საექიმო და სასოფლო-სამეურნეო — გამოყოფილია და მოთავსებულია მთავარი შენობის გარეშე ქალაქში. ამის გარდა უნივერსიტეტის მრავალი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებანიც, ინსტიტუტები, ლაბორატორიები და სხვ. დაქსაქსულია მთელ ქალაქში. ამნაირად ბევრი დრო ეყარებათ მასწავლებელ პერსონალსაც და სტუდენტობასაც უნივერსიტეტის დაწესებულებებში სიარულზე და ეს აუტანელი გარემოება მეტად აბანდებს სამეცნიერო მუშაობასაც და სწავლასაც და მეტ ხარჯებსაც იწვევს. აუცილებლად საჭიროა, რომ ახლო მომავალში უნივერსიტეტის ყველა დაწესებულებამ — ლაბორატორიებმა, ინსტიტუტებმა და სხვ. თავი მოიყაროს ეხლანდელ მთავარ შენობის გარეშე. ამის გარდა საჭიროა აშენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის და ტექნიკურ თანამშრომელთათვის საცხოვრებელი სახლებისა, აგრეთვე საჭიროა უწყადი შენობები წიგნთსაცავისათვის და მუზეუმისათვის, არქივისათვის; თანაც, თუ მეცნიერების და სწავლა-განათლების სწრაფად წინმსვლელობას მივიღებთ მხედველობაში, უნივერსიტეტს დასჭირდება მომავალში კიდევ სხვა ბევრი რამ, რის გათვალისწინებაც ეხლა ძალიან ძნელია. ამ აუარებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება საჭიროა, რომ უნივერსიტეტმა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა — მეცნიერების და ცოდნის გავრცელება ჩვენს ქვეყანაში და ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. ყველა ამისათვის უნივერსიტეტისათვის უპირველ-

სად საჭიროა ახალი შენობები და ახალი შენობებისათვის კი ადგილი. უნივერსიტეტის ეხლანდელ ეზოში ისეთი სივიწროეა, რომ აღარაფერი არ აშენდება. მაგრამ უნივერსიტეტის გარშემო მიდამოებში უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ორსაე მხრივ — ვარაზაანთ ხევიდან ყოფილ კადეტის კორპუსის ადგილამდე ბევრი თავისუფალი, ცარიელი მიწებია. დანარჩენებზე კი სდგას პატარა-პატარა წვრილმანი სახლები, რომლის გამოსყიდვა ადვილი იქნება.

ახალი უნივერსიტეტის გამგეობა შუამდგომლობს:

1. ეხლავე გადმოეცეს უნივერსიტეტის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ორსაე მხრივ უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ვარაზაანთ ხევიდან დაწყებული ყოფილი კადეტის კორპუსის მიწამდინ. ამ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის გარდა სხვას ყველას აეკრძალოს ახალი შენობების დადგმა.

2. ამ ტერიტორიაზევე მდებარე ეხლანდელი სახლების მესაკუთრეებს აეკრძალოთ ახალი შენობების დადგმა თავიანთ ეზოებში და არსებული სახლების გადაკეთება და კაპიტალური შეკეთება (ამნაირი სავალდებულო დადგენილების მაგალითი არსებობს სხვა ქალაქებში). აქ ვარაზაანთ ხევიდან დაიწყება უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების შენობები.

3. ვინაიდან უნივერსიტეტის მასწავლებელ და დამხმარე მოღვაწეთა რიცხვი ამჟამად უკვე აღემატება 600 კაცს და უმეტესი ნაწილი უბინაოდ არის, დანარჩენი კი ძალიან შევიწროებულია და ეს გარემოება ხელს უშლის სამეცნიერო მუშაობას, აუცილებლად საჭიროა მასწავლებელთა კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლების აშენება ჰიგიენურ პირობებში — სასწავლო-სამეცნიერო შენობების იქით.

4. ამავე დროს უნივერსიტეტის პროლეტარული სტუდენტობა — მუშებისა და გლეხების შვილები, უმრავლესად პროვინციელები არიან და ტფილისში თითქმის ცისქვეშ ცხოვრობენ. საჭიროა ამ სტუდენტებისათვისაც საცხოვრებელი სახლები იყოს აშენებული და დაარსდეს ინტერნატი. ეს სჯობიან მოთავსებული იყოს ქალაქის განაპირას — ყოფილი სემინარიის პირდაპირ ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის.

5. უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისათვის საჭიროა ხელქვეშ ჰქონდეს სასწავლო საჩვენებელი ბაღები და ბოსტნები, ფერმა, — ეს სასარგებლო იქნება არა მარტო მეცნიერულად, არამედ პრაქტიკულადაც უნივერსიტეტისათვისაც და თვით ქალაქისათვისაც. ამიტომ საჭიროა სასწავლო-საჩვენებელი ბაღებისათვის და ბოსტნებისათვის გადმოეცეს უნივერსიტეტის მიწები ყოფილი სემინარიის იქით გვერდზე (წყნეთისაკენ, წყნეთის გზის და მდინარე ვერეს შუა), ვინაიდან იქითკენ ადვილი იქნება ბოსტნების მორწყვა უნივერსიტეტის გამგეობა სოგმართათ რა ამ შუამდგომლობით, იმედი აქვს ქალაქის აღმასკომი არ მოაკლებს თავის მზრუნველობას უნივერსიტეტსაც, საქართველოს ამ ერთადერთ უმაღლეს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებას“.

ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერით გაგზავნილმა უნივერსიტეტის გამგეობის წერილმა, როგორც ჩანს, ჩააფიქრა ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელები. მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მათ მიზანშეუწონლად ჩათვალეს ვაკის ფართო სივრცის დაჯავშნა უნივერსიტეტის — რესპუბლიკის ერთადერთი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრის — პერსპექტიული განვითარებისათვის. მეტიც, 1926 წლის 22 სექტემბერს, თბილისის აღმასკომმა „ზარია ვოსტოკში“ გამოაცხადა კონკურსი ვარაზაანთ ხევიდან წყნეთის ხევამდინ ვაკის კეთილმოწყობისა და დასახლების გეგმის შემუშავების-

თვის. ამ ფაქტს ყველა როდი შეხვდა მოწონებით. შესანიშნავი ქართველი ინჟინრის დოც. ი. თულაშვილის ინიციატივით საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტმა სასწრაფო წერილი გაუგზავნა 24 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას (ამ დროს პროფ. ივ. ჭავჭავაძის უკვე გათავისუფლებული იყო რექტორობისაგან). ამ წერილში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტთან არსებული სამხატვრო-საარქიტექტორო საბჭოს კი მიაჩნია, რომ შესაძლოა ეს ადგილი დასკირდეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი შენობების გაფართოებისათვის და თავის დაწესებულებების მოთავსებისათვის. ამიტომ სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტი გთხოვთ აცნობოთ მას თქვენი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ“.

დოც. ივ. თულაშვილმა 1926 წლის 9 ნოემბერს ახალი განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო კომისიას. ეს განცხადება შესანიშნავი დოკუმენტია მაღალი საინჟინრო ეთიკისა და პატრიოტიზმისა. ამ წერილში გვითხულობთ:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ ა.წ. 22 II № 1254-ით მიმართა ტფილისის აღმასკომს და მოსთხოვა, უნივერსიტეტისათვის დაეგმო ადგილი ვაკის მიწები უნივერსიტეტის ქუჩის გასწვრივ ორსავე მხრივ აღნიშნულ ფარგლებში. № 1254-ით მიმართვაში დაწერილებით ჩამოთვლილია ყველა ის საჭიროებანი, რომელთა დაკმაყოფილებისათვის გამგეობა ითხოვდა ვაკის მიწებს.

ჯერ საქმე ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ მერმე შეჩერდა. ამასობაში ტფილადმასკომმა გამოაცხადა შეჯიბრება (კონკურსი) ადგილ-ვაკის კეთილმოწყობის პროექტის შედგენაზე: გაიგო რა ეს გარემოება საქ. სსრ-ის ეკონომიური საბჭოს სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტთან არსებულმა სამხატვრო-საარქიტექტორო საბჭომ, მაშინვე მიმართა უნივერსიტეტის გამგეობას ა/წ 24/9 და შეეკითხა, სკირია უნივერსიტეტს თუ არა ადგილი ვაკის მიწები. ეხლა ა/თვის 10-ს შეჯიბრების ვადა გადის და პროექტები წარდგენილი იქნება ტფილადმასკომში და პროექტების განხილვის შემდეგ ვაკე დანაწილებული იქნება და ნაჟერ-ნაჟერ დაურიგდებათ მოსახლეებს. ამის შემდეგ უნივერსიტეტს არავითარი გასაქანი აღარ დარჩება თავისი ტერიტორიის გაფართოებისათვის და დარჩება გამომწყვედელი თავის ეხლანდელ მთავარ შენობაში.

ამისთანა საშინელი გარემოების აცილებისათვის საჭიროა სასწრაფო ზომები. საჭიროა მოლაპარაკება ტფილადმასკომის თავმჯდომარესთან და ტფილისის სახალხო ქონების გამგესთან, თუ საჭირო იქნება, საქართველოს მთავრობის წინაშეც შუამდგომლობა, რომ უნივერსიტეტი არ ჩავარდეს მომავალში უგამოსავლო მდგომარეობაში, ადგილი ვაკის მიწები ამასთან დართულ რუკაზე აღნიშნულ ფარგლებში აუცილებლად უნდა დაეთმოს უნივერსიტეტს და ამისათვის აღსრულებაში მოყვანილ უნდა იყოს № 1254-ით ჩამოთვლილი პირობები.

ეს არის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოთხოვნილება, და სავალდებულოა ყველა ქართული დაწესებულებისათვის, ჩვენი მთავრობაც ამას დადასტურებს, საჭიროა სასწრაფო შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს“.

რუკა, რომელიც ივ. თულაშვილის წერილს ახლავს, გულისხმობს ტერიტორიას ვარაზის ხევის ვაღმა და სრულიად უარყოფს ფიქრის გორის გამოყენებას მისი მომავალი საჭიროებისათვის. ივ. თულაშვილი საკვებით სწორად

გამოდინდა ძირითადად უკვე დასახლებული სივრცის გამოყენების მიზანშეუ-
წონლობიდან, მაშინ როცა ივ. თულაშვილი სახეობით დასაბუთებულად გამო-
რიცხავს ვარაზის ხევის გაღმა მხარესაც, სადაც იგი სხვადასხვა საბინაო აშა-
ნაგობის სახლებით მჭიდროდ იყო დასახლებული. უნივერსიტეტის შესაძლე-
ბელი ტერიტორიის საზღვრებში გათვალისწინებულია სტადიონის, ქალაქ-
ბაღის და სხვ. მშენებლობა.

იმ ვითარებაში, როცა უნივერსიტეტი არსებითად რესპუბლიკის (და არა
მხოლოდ თბილისის) სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ერთადერთი ცენტ-
რი იყო, თითქმის მთელი ვაკის სივრცის მისთვის მიჩენა სრულიადაც არ
ჩანს ფანტასტიკურად.

გონების თვალთ თუ წარმოვიდგინო დედაქალაქის ახლანდელ უმაღლეს
სასწავლებელთა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუ-
ტებსა და დაწესებულებებს თავმოყრი ქალაქის ერთ რაიონში — ვაკეში,
გასაგები იქნება, რომ დღეს 56 წლის წინათ შექმნილი საზღვრები ძნე-
ლად თუ იქნებოდა საკმარისი ყველა მათგანისათვის.

საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის მაშინდელი ცდა ვერ განხორცი-
ელდა, თუმცა კი დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მცირე მასშტაბის
კომპლექსის შესაქმნელად, რამაც, სამწუხაროდ, ხორცი ვერ შეისხა.

უნივერსიტეტიდან რიგი ფაქტორების წასვლამ და ცალკე ინსტიტუ-
ტების შექმნამ, შემდგომ კი თვით უნივერსიტეტის რეორგანიზაციამ არსები-
თად განაპირობა ამ ცდის საბოლოო მარცხი. ყველაზე სამწუხარო მაინც ის
იყო, რომ იმ დროს თავი იჩინა შეხედულებამ სწავლების საუნივერსიტეტო
ფორმის მოძველების შესახებ, ამან კი მხოლოდ ზიანი მოუტანა უნივერსი-
ტეტის შემდგომი გაფართოების მეტად გონივრულ იდეას.

1933 წლის დასაწყისიდან, უნივერსიტეტის ხელახალი მოწყობის შემდეგ,
კვლავ დაისვა საკითხი მცირე მასშტაბით მაინც საუნივერსიტეტო კომპლექსის
შექმნისა, მაგრამ ახლა სულ სხვა სახის სიძინელები წამოიჭრა. ცხვედაძისეუ-
ლი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია სწრაფად ხდება ინტენსიურ კოოპერა-
ციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ზონად, მალე მას დაემატა
სახელმწიფო დაწესებულებათა მშენებლობაც. 1933 წლიდან დაიწყო სამკურ-
ნალო კომისიის კორპუსების მშენებლობა, რაც 1935 წელს დამთავრდა.
შედევად იმ დროს უნივერსიტეტი მართლაც გამომწყვდეული აღმოჩნდა
მთავარ შენობაში.

მართალია, 1926 წლის ცდა საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნისა ვერ
განხორციელდა, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ორი დიდი შედეგი მო-
ჰყვა ამ ცდას: პირველი, ვაკეში აშენდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი
(ზოოექტერინარული, პედაგოგიური, უცხო ენების, ფიზკულტურის ინსტი-
ტუტი) და მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. მეორე,
სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის შექმნის ამ განუხორციელებელმა ცდამ
დაადასტურა, რომ უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვისას ყო-
ველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ განვითარების ფართო პერსპექტივასაც,
მაგრამ შეუძლებელია წინასწარ იცოდეთ ყოველგვარი საჭიროება და ამიტომ უნ-
და ვვარაუდობდეთ თავისუფალი სივრცის რეზერვებსაც.

შესანიშნავად ისმის დღეს ივანე ჭავჭავაძის მიერ 1926 წელს ნათქვამი
სიტყვები:

„თუ მეცნიერების და სწავლა-განათლების სწრაფად წინმსვლელობასაც

მივიღებთ მხედველობაში, უნივერსიტეტს დასჭირდება მომავალში კიდევ სხვა ზეერი რამ, რის გათვალისწინებაც ეხლა ძალიან ძნელია“.

• • •

1926 წლის მაისში დამტკიცდა ახალი დებულება უმაღლესი სკოლის შესახებ.

ახალი წესდების შესაბამისად, მოხდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

1926 წლის 23 ივნისიდან ივანე ჭავჭავიძე გათავისუფლებულ იქნა უნივერსიტეტის რექტორობისაგან. განათლების სახალხო კომისარიატმა, გათვალისწინა რა ივანე ჭავჭავიძის ავადმყოფობა, მას შეუწავსა რექტორის სარგო სასწავლო წლის დამთავრებამდე, აგრეთვე მისთვის მკურნალობისათვის დახმარების აღმოჩენაც გაითვალისწინა.

ივანე ჭავჭავიძის რექტორობას უნივერსიტეტის მრავალ სფეროში დაწინაურება ახლდა. უნივერსიტეტის დამაარსებელი, სახელგანთქმული მკვლევარი, სანიმუშო პროფესორი, მისაბაძი მოქალაქეობრივი თვისებებით შემკული პიროვნება სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში ამაღლებდა რექტორის საპატიო პოსტის ღირსებას. ქვეყანაში და მის გარეთაც აღნიშნავდნენ უნივერსიტეტის რექტორის ღვაწლს. ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოდან შორს მყოფი ღრმა პატივისცემით და სიამაყით წერდა: „ერთი სოუკუნის წინ გვყავდა დავით რექტორი, ახლა გვყავს ევროპული მეცნიერების მეთოდებით აღჭურვილი რექტორი უნივერსიტეტისა ივანე ჭავჭავიძე და მთელი რიგი ნიჭიერი პროფესორებისა. ეხლა თავის ისტორიის შესწავლას სხვას კი არ ანდობენ ქართველები, არამედ თვით აიღეს ზელში სადავე და ინიციატივა ამ საქმისა და ეს არის მასწავლებელი ეროვნული შეგნებისა“.

1923 წლის 26 იანვარს გაზეთი „ტრიბუნა“ იხსენებდა უნივერსიტეტისათვის გადახდილი ბრძოლის ისტორიას და აღწერდა: „იბადება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, სადაც პროფესორი ივანე ჭავჭავიძე უმთავრესად იმ ნიადაგზე ღვას, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაიხსნას უნივერსიტეტი“.

მიუხედავად იმ დიდი სურვილისა და მოწადინებისა, რომელიც ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებაში არსებობდა, მაინც ყველანი ნაჩქარევად თვლიდნენ უნივერსიტეტის გახსნას. მხოლოდ ერთადერთი ივანე ჭავჭავიძე წინ აღუდგა უნივერსიტეტის გახსნის შეგვიანებას, თავისი ფოლადისებური სიმტკიცით წინ წარუძღვა.

გაიმარჯვა მისმა სიმტკიცემ. საქართველოს მოველინა უმაღლესი სასწავლებელი.

ღიახ! დიდია ღვაწლი იმ ადამიანისა, რომელიც დღეს სათავეში უდგას უნივერსიტეტს. ივანე ჭავჭავიძე საქართველოს გამართლებათ, ივანე ჭავჭავიძე ბურჯია საქართველოს უნივერსიტეტისა“.

იყო საწინააღმდეგო აზრებიც, გამოთქმული ივანე ჭავჭავიძის სარექტორო მოღვაწეობის შეფასებაში.

გრიგოლ ვეშაბელის გაზეთი „ახალი საქართველო“ 1926 წლის 31 ივლისს პარაზში წერდა „...შვიდი წელი უკვე გავიდა, რაც ჩვენმა უმაღლესმა სკოლამ დაუშრეტელი ენერგიით დაიწყო მუშაობა... მას საძირკველი ჩაუყარა და დღემდის უხელმძღვანელა ყველა ქართველისათვის კარგად ცნობილმა „ქართველი ერის ისტორიის“ მკვლევრით აღმდგენელმა ბ. ივანე ჭავჭავიძემ“.

მაგრამ რამდენადაც დიდია მისი დამსახურება მეცნიერული კვლევა-ძიების დარგში, იმდენადვე სუსტია მისი მოღვაწეობის პრაქტიკული მხარე: მან ვერ შესძლო შშრომელი ხალხის ახალ მოთხოვნილებებთან დაახლოება, მისი მდგომარეობის გარდაქმნა და გამოუმჯობესებელ ინტენსიურ საქმიანობასთან „თავის“ სკოლის შემოქმედების შეგუება. ის დარჩება დიდ ზამეცნიერო ძალად, მაგრამ ამერიიდან საკითხის მეორე მხარეს ახალ რექტორს უთმობს“.

უფრო შორსაც მიდიოდნენ. 1928 წელს „საშუალო სკოლისკენ“ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტის დაარსების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ისეთი პირები, რომელთაც ახალი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან არა ჰქონიათ არავითარი კავშირი და რომ „მეფეთა და ეკლესიათა ისტორია, რომელიც შეადგენდა მთავარ ღერძს სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტზე, თავის დაღს ასვამდა უნივერსიტეტის შემოქმედებას. ახალი ქვეყანა მოითხოვდა ახალ სკოლას, ახალი ცხოვრება საჭიროებდა ახალ სიტყვას, მაგრამ უნივერსიტეტის ხელისჩამდგმელნი მიაქანებდნენ ამ უმაღლესს სასწავლებელს საშუალო საუკუნეების კულტურისაყენ“. ეს არ იყო მართო განსხვავებული აზრი. ეს არც უმაღურობა იყო, ეს იყო ცილისწამება. მდგომარეობა მძაფრდებოდა იმით, რომ იგი ნათქვამი იყო უნივერსიტეტის ათი წლის თავზე და მისი ავტორი იყო მაშინდელი რექტორი თედო ღლონტი. შემდგომ კინაღამ მუდმივ ტრადიციად იქცა წინამორბედ რექტორთა ამგვარი კრიტიკა.

ღრომ — ყველაზე დიდმა მსაჯულმა — განსაზღვრა, თუ ამ ორ რექტორს შორის ვის მხარეზე იყო სიმართლე.

ივანე ჭავჭავიძელის რექტორობა უნივერსიტეტის ცხოვრების სახელოვან ხანა იყო.

უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი უდიდეს სიყვარულს და სათუთ პატივისცემას ამკლავებდა ივანე ჭავჭავიძელის მიმართ: ეს პატივისცემა სრულიადაც არ შემოსაზღვრულა იმ განსაკუთრებული როლის აღნიშვნით, რაც უნივერსიტეტის შექმნაში ივანე ჭავჭავიძელმა შეასრულა. პეტრე მელიქიშვილი ყოველმხრივ უჭერს მხარს ივანე ჭავჭავიძელს სარექტორო მოღვაწეობაში, აღტაცებულია მისი მუშაობით და ამასთან ზრუნავს იმისათვის, რომ დაძაბულმა სარექტორო და სამეცნიერო მოღვაწეობამ ზიანი არ მოუტანოს ერის შვილის—ივანე ჭავჭავიძელის ჯანმრთელობას. სწორედ ამ რაინდულ მეგობრობასა და ზრუნვას გამოხატავდა ბათუმიდან 1926 წლის 22 მაისს გზმოგზავნილი პეტრე მელიქიშვილის წერილი.

„დიდად პატივცემულო და საყვარელო ივანე!

მე ამბავი მომივიდა ტფილისიდან, რომ თქვენ შეუძლოთ ბრძანდებით.

მე ამ ამბავმა საშინლად შემაწუხა. მე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ თქვენ თავს სრულებით არ უფრთხილდებით. დილიდამ საღამომდისინ მოსვენება არ გაქვთ, ყოველი უბრალო საქმეებისათვის თქვენ გაწუხებენ. თქვენი ძალა დიდი საქმისათვის უნდა იხმაროთ და არა წვრილმანი საქმეებისათვის. ამ უკანასკნელებისათვის თქვენ გყავთ ორი თანაშემწე.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ მე მინახავს ბევრი გამოჩენილი პიროვნება, მაგრამ იმგვარი, როგორც თქვენ ბრძანდებით — დინჯი, ობიექტური, პატიოსანი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, — მე არ შემხვედრია.

აი ის დიდი საქმე, რომელიც თქვენ მიერ შექმნილია, მოითხოვს თქვენს ჯანმრთელობას. ამიტომ თქვენ უნდა დაისვენოთ, გამაგრდეთ, რომ უფრო ნაყოფიერად შეუდგეთ შრომას თქვენ საყვარელ დარგში.

გეხევეი და მხურვალედ გოცნი, ჩემო საყვარელო ივანე

თქვენი ერთგული მეგობარი პ. მელიქიშვილი“.

ამგვარი დაფასება 26 წლით უფროსი გამოჩენილი თანამედროვისა თბილად ელვრებოდა ივანე ჭავჭავიძის გულს.

• • •

1928 წელს, როგორც კეშმარიტი საყოველთაო-სახალხო ზეიმი, აღინიშნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი. ხარობდა ყველა. დიდა იყო მისი დამაარსებლის ივანე ჭავჭავიძის სიხარული. მართალია, თვალში საცემი იყო ზოგიერთი სტატიის ავტორის სწრაფვა, არაფერი ეთქვა ივ. ჭავჭავიძის გადამწყვეტ როლზე, მაგრამ უნივერსიტეტის წარმატებათა ფონზე ეს დიდბუნებოვან მოქალაქეს წერილმანად ესახებოდა. შინ იგი იღებს წერილებს, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამენ სხვადასხვა ძირები ამ უსამართლობის გამო. აი ერთ-ერთი მათგანი, ფანქრით ნაწერი 1928 წლის 26 იანვარს: „დიდად პატივცემულ ბატონო ივანე! ნება მიბოძეთ ქართული უნივერსიტეტის ათი წლის თავზე უღრმესი სალამი მოგიძღვნათ და თან მოგილოცოთ ეს დღესასწაულად.“

თქვენ იყავით ერთადერთი ინიციატორი, ხელმძღვანელი და ფაქტიური აღმსრულებელი იმ დიდი საშვილიშვილოს საქმისა და ბედნიერი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ, მიუხედავად მრავალგვარი უსიამოვნებისა, ამ საქმეს მაგარი საფუძველი ჩაუყარეთ და მით გაუწიეთ ჩვენ საყვარელ საშობლოს სხვა უამრავ სამსახურის გარდა, ეს დაუფასებელი სამსახური.

ბოდიშს ვიხდი, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო ლოგინზე მიკრულს, მე არ შემძლია არამც თუ სიტყვიერად მოგილოცოთ ეს დღე, არამედ უბრალო ზრდილობაც ვიხმარო, და წერილი მოგწეროთ მელნით და არა ფანქრით.

თქვენი პატივისმცემელი იასონ ლორთქიფანიძე“.

მეხნიერული შემოქმედების რთველი (1927—1937)

თ ა ვ ი 1. ოცდარვა წელი ერთ წიგნზე მუშაობისა

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი პირველად 1908 წელს გამოიცა, წიგნი მისი ავტორის რვა წლის მუშაობის შედეგი იყო.

„ქართველი ერის ისტორიის“ ბოლო, მესამე ავტორისეული გამოცემა, 1928 წელს იბეჭდება.

მესამე გამოცემა გეგმითაცა და შინაარსითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება მეორე გამოცემისაგან. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მეორე გამოცემის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პირველ თავში (73 გვ.) განხილული პრობლემები საერთოდ არ არის „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე გამოცემაში. ავტორმა იგი თავისი სირთულითა და სიდიდით ცალკე მონოგრაფიებისათვის განსაზღვრა. ამის მიუხედავად, წიგნი გაცილებით დიდია, ვიდრე „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ორი გამოცემა. წიგნის ორ მესამედზე მეტი სრულებით ახალია.

ეს ახალი გვერდები უპირველესად უძველეს ნიეთიერ კულტურას. ქართულ წარმართობასა და საქართველოს კულტურულ მდგომარეობას ეხება: ქ. წ. I — VII საუკუნეებში.

თვითონ ავტორი სამართლიანად აღიარებს, რომ ბევრი ახალი თვალსაზრისისა და ახალი დებულების დამაჩერებლობისათვის იგი იძულებული ხდება, ფართო ადგილი დაუთმოს არსებულ თეორიათა და შეხედულებათა კრიტიკას. ეს ამჟამებს წიგნის კითხვას. სჯობდა, რა თქმა უნდა, ეს ცალკე წიგნად, ანდა სპეციალურ სამეცნიერო ორგანოში გამოქვეყნებულიყო. ამის გაკეთება ტექნიკურად შეუძლებელი გახდა. ამან წიგნი მეტისმეტად დატვირთა და მას საისტორიო გამოკვლევის ხასიათი მიანიჭა. ივანე ჭავჭავაძის საკითხის ვაუჭალოებას ეს ურჩევნა და შეგნებულად მიდის ამ გზით, ვინაიდან „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულებების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია“.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორისეული ბოლო გამოცემა კიდევ უფრო მდიდარია თავისი ენობრივი, ლიტერატურული სრულყოფით, მდიდარია ივანე ჭავჭავაძისათვის ჩვეული „ლორიკული ჩაწინწყლებებით“, რაც მკითხველის მეხსიერების ეკრანს ახალისებს და აფერადებს.

სულ ექვსიოდე გვერდი ეძღვნება შესავლის სახით ქართველთა პოლი-

ტიკური თავგადასავლის მთავარ მომენტებს I საუკუნემდე ქრისტეს წინ. ეს, ჯერ ერთი, იმითაც აიხსნება, რომ ცნობები ქრისტეს წინანდელ პირველ საუკუნემდე საქართველოზე მეტისმეტად მცირე იყო. უფრო მეტ მასალას გვაწვდის უცხოელ მწერალთა ცნობებისა და ლინგვისტური ანალიზის შედეგები, მაგრამ, რამდენადაც მას ცალკე ნაშრომები უნდა მისძღვნოდა, აქ ავტორი აღარ თვლის საჭიროდ, ამ საკითხებს შეეხოს.

წიგნის პირველი თავი კავკასიისა და ქართველების ნივთიერ კულტურას ეხება.

რასაკვირველია, აქ არქეოლოგიის, ენათმეცნიერების და წერილობითი ძეგლებიდან ამოღებული ცნობებია საჭირო. მათმა შედარებითმა შესწავლამ უნდა შეაძლებინოს მკვლევარს ისტორიის უწინარესი ხანის ნივთიერი კულტურის სურათის აღდგენა. სამწუხაროდ, ამ დროისათვის არქეოლოგია ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩენილი იყო საქართველოში, რომ მისით სარგებლობას ხელი შეეწყო ჩვენი უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. მეტიც, ჯერ კიდევ კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად არ გაეხადა არავის და ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, თავის კვლევა-ძიების მუდმივი ასპარეზით დაშორებულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შექმნილი. ამ ვითარებაში კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემატური, გეგმიანი მუშაობის მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამას ისიც ემატებოდა, რომ იმ დროისათვის საქართველოში არ არსებობდა დაწესებულება, რომელსაც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მუდმივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა ჰქონოდა დავალებული. ეს გარემოება არ იძლეოდა საშუალებას არქეოლოგ სპეციალისტთა ერთბაშად დაწინაურებისათვის. ამ ვითარებაში მეტად ძნელი იყო არქეოლოგიური თეორიებისათვის სრული რწმენით მინდობა. იმის მიუხედავად, რომ ივანე ჯავახიშვილს კვლავ მიაჩნია, კავკასია, მართალია, ქართველების თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, მაინც „ის გარემოება, რომ ქართველი ტომები მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასიის მკვიდრებად იქცნენ, მათი ნივთიერი კულტურის შესასწავლად გარკვეულ ხანიდან კავკასიის არქეოლოგიური ფაქტების ცოდნასა და გათვალისწინებას აუცილებლად ხდის“ (თხზ. 12 ტომად, ტ. I, 1979, გვ. 48).

ახლა ივანე ჯავახიშვილი არქეოლოგიის ახალი მონაცემების საფუძველზე აღარ ამტკიცებს, რომ საქართველოში ქვის ხანა არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც 1916 წელს პოლონელმა მეცნიერმა ს. კრუკოვსკიმ არგვეთში სოფელ რგანთან ქვის უძველესი ხანის იარაღ-ნივთები აღმოაჩინა, ნათელი გახდა, რომ ქვის უძველესი ხანა კავკასიაშიც ყოფილა. ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, „თუ რაოდენი სიფრთხილე მართებს მკვლევარს კავკასიის არქეოლოგიაზე მსჯელობის დროს“.

იგი არქეოლოგიური მონაცემებით ახასიათებს კავკასიაში აღამიანთა განვითარების შემდგომ პერიოდებს. დასაფლავების წესების მიხედვით ასახულებს განვითარების სხვადასხვა დონესაც. აღნიშნავს იმ ჩვეულებასაც, როცა მიცვალებულისათვის ტანისამოს-სამკაულის გარდა ყველა იარაღისა და ჭურჭლეულობის ჩატანება წესად იყო მიღებული, რომ ერთ შემთხვევაში საფლავში საღეწავი კევრიც კი არის ჩატანებული. სამარეებში მრავლად ნაპოვნი სხვადასხვა მძივები ცხადყოფენ, რომ კავკასიის ალებ-მიცემობა უძველეს ხანაშიაც ხეტებთან, ასურელებთან და ფინიკიელებთან უნდა ჰქონოდა.

ასევე სამარეებში ჩატანებული ნივთები ცხადყოფენ ხელოვნების საკმაოდ განვითარებულ დონესაც.

ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი გვაძლევს კავკასიის ნივთიერი კულტურის დახასიათებას XI — VII საუკუნეებში ქრისტეს წინ. იგი აღნიშნავს წერილობითი წყაროების სიძუნწეს. ასე, ეხება რა ასურელთა ცნობას ჩვენი ხალხის წინაპრების შესახებ, ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „ასურელები მხოლოდ მაშინ იხსენიებენ უცხოელებს, როცა ვისმე დაამარცხებენ, ან არადა, უფრო იშვიათად, როცა თვითონ ევენებოდათ ხოლმე რამე“ (თხზ. 12 ტ., ტ. I, გვ. 60). გასაგებია, რომ სულ არარაობასთან შედარებით ეს დიდი წყალობაა. ამ წყაროთა ღრმა წვდომით ჩატარებული ანალიზი აღადგენს იმას, რომ ყველგან აღამიანი ნელის ნაბიჯით და თანდათანობით მიდიოდა წარმატების გზით. ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალმა საუკუნემ განვლო, ვიდრე აღამიანი მდნეულობის დამუშავებას ისწავლიდა. კაცობრიობის წარმატებისათვის მალხის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ქართველ ტომებს მდნეულის დამუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვის.

ძველ ბერძენ ავტორთა წყაროებზე დაყრდნობით ახასიათებს ივანე ჯავახიშვილი შავი ზღვის აღმოსავლეთ-სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველი ტომების კულტურულ მდგომარეობას V — I საუკუნეებში ქრისტეს წინ. აქ სტრაბონის ცნობებს მისდევს ქსენოფონტეს ცნობები იმის შესახებ, რომ შავი ზღვის პირას მოსინიკებს ქრისტეს წინ IV საუკუნეში თუმცა სახნავი მიწა სამყოფი არ ჰქონიათ იმიტომ, რომ ვაკე ადგილი ძალიან ცოტა იყო, მაგრამ, რაკი იქ ნიადაგი ნაყოფიერი და ღონიერი, ქსენოფონტეს და მის ამხანაგებს სახლებში დიდძალი განიავებული პური დახვდათ, რომელიც, მოსინიკების სიტყვით, შარშანდელი მოსავლისა ყოფილა და ახალი კიდევ გაულეწავი პური სდგამათ. კოლხების სოფლებში ჯარისკაცებმა დიდძალი სურსათი იპოვეს და აუარებელი ფუტკრის სკები ნახეს. აქ ხალხი ძალიან მისდევდა სოფლის მეურნეობას და რიგიანი შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ მცხოვრებნი ბევრნი იყვნენ და პური სამყოფი ყველგან არ იყო. ნიგვზითა და წაბლით ივსებდნენ დანაკლისს. ახლომახლო მთები სავსე იყო ამ ხეებით. ქსენოფონტე მოგვითხრობს, მოსინიკები წაბლს განსაკუთრებით ან მოხარშულს ჰამენ, ან არა და პურად გამომცხვარსო. აქ ღვინის დაყენებასაც მისდევდნენ. იქაური ღვინო, ქსენოფონტეს სიტყვით, უწულოდ მეტად ცხარე იყო და გემოთი მწკლარტე, წყალნარევი კი სურნელოვანი და სასიამოვნო სასმელიო. მთა ადგილებში მოზინადრე ქართველი ტომები უფრო ცუდს მდგომარეობაში იქნებოდნენ. მაღალმთიან ადგილებში ხალხი, სტრაბონის სიტყვით, „ნადირის ხორციით და ნიგვზით იკვებებოდნენ“.

ქსენოფონტეს სიტყვებიდან ჩანს, რომ სოფლები მინდვრებსა და მთის კალთებზე ყოფილა გაშენებული, შენობები ხისა ყოფილა ხის სიუხვის გამო. სახლები ორსართულიანი სკოდნიათ, ზევით სანოვაგესა და სურსათს ინახავდნენ, ძირს თვითონ მდგარან. სტრაბონის მონაცემებით დახასიათებულია აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული მდგომარეობა.

წიგნის მეორე თავი ქართველთა წარმართობას ეძღვნება. იგი წერილობითი და ზეპირი წყაროებითაა დახასიათებული. უცხოური და ქართული წყაროები შეფარდებული და შეჭერებულია ყველა ქართველთა ენისა და ზეპირსიტყვიერების უმდიდრეს ლექსიკურ მასალასთან. ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ „არამტოუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომათ-

ვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“ (თხზ. 12 ტ. ტ. I, გვ. 156).

გიკვირთ არა მარტო ავტორის მიერ ქართველური ენების განსხვავებულ ტერმინოლოგიაში საერთო ფუძის პოვნის გრძნეული ნიჭი, არამედ თითქოს ჩვეულებრივ სიტყვაში უძველესი ისტორიული დანაშრების პოვნაც. ყველაფერიდან ჩანდა, რომ ავტორი წლების მანძილზე არ წყვეტდა ფიქრს და ახალ ეტიმოლოგიურ ჩაღრმავებას ცალკეული სიტყვის თვალაპირველ პლასტებში. ასე, სიტყვა „არდადეგების“ ერთ შესანიშნავ ლინგვისტურ დაკვირვებაზე უნდა ითქვას. როგორც ჩანს, ამ საკითხზე მას დიდხანს უფიქრია.

იგი გვაპცნობს, რომ ამ საკითხის დამუშავების დროს „სამწუხაროდ ჩემს ამონაწერებში, რომლებშიც „არდადეგების“ ხმარების მაგალითი იყო ძველებიდან მოყვანილი, გულდასმით ძებნისდა მიუხედავად ვეღარ ვიპოვე. ამიტომ იძულებული ვარ საბას ცნობას დავეყარო“, თუმცა აქვე მკითხველს აფრთხილებს, რომ ეს მსჯელობა მას ჰიპოთეტურად მიაჩნია.

ივანე ჯავახიშვილი უშვებს ასეთ ახსნას: არდადეგი ორნაწილელი სიტყვა უნდა იყოს, მეორე ნაწილი „დეგი“ ან „დადეგი“ უნდა იყოს, მზის მდგომარეობის გამომხატველი, მაშინ ამ ტერმინის პირველი ნაწილი „არდ“ უეპქველია მზის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ მზეს ქართულად ოდესღაც „არდი“ უნდა რქმეოდა. ყურადსაღებია ისიც, რომ ხალხურ წარწერებში მზეს „არდი“ ეწოდება.

მესამე თავი უძველეს სარწმუნოებრივ თქმულებებს ახასიათებს. კაცობრიობას დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი, სანამ იგი იმ საფეხურს მიაღწევდა, რომლის შესწავლა ისტორიული საბუთებით შეიძლება. ზეპირსიტყვიერებაში უძველესი წარსულის კვალი შეიმჩნევა, ამიტომ ივანე ჯავახიშვილი ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს ამირანის თქმულებას. აქ მან მთელი ეტაპი შექმნა ამირანოლოგიის განვითარებაში. ასევე ივანე ჯავახიშვილმა ქართველ მკვლევართაგან პირველმა გვიჩვენა, თუ რა სამსახური შეუძლია გაუწიოს უძველესი პერიოდის ხალხის ისტორიას ხალხის ზეპირსიტყვიერების შესწავლამ. მართალია, დამწერლობის გამოგონებამ და ლიტერატურის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეავიწროვა ხალხური პოეზია, მათ შორის ისტორიული ეპოსიც, განათლებულ წრეებში ისტორიამ უბრალოდ უკან დასწია ხალხურ შემოქმედებაზე დაფუძნებული ზეპირი გადმოცემები, მაგრამ თავისი ძველი პოზიციების დაკარგვის შემდეგ ხალხურმა ეპოსმა მაინც განაგრძო თავისი არსებობა, თუმცა ქრისტიანობამ ბევრი რამ შეაცვლევინა მას წარმართული წარმოშობისა და მსოფლმხედველობის გამო. ამ დროიდან სწორედ ხალხური მთქმელები გადმოსცემდნენ თაობებს ხალხურ თქმულებებს. უძველესი წარსულის ამ ძეგლებს შეცვლილ-დამახინჯებული სახით მოუღწევიათ ჩვენამდე. ასე, „თუმცა ხალხური თქმულებები ამირანზე ყველანი შეცვლილნი არიან, გერმინდელი, თანდათანობით შექსოვილ, სხვადასხვა ხალხურ და მწიგნობრულ თხზულებებიდან ამოღებული ცნობებით: ზოგს მათგანს ქრისტიანობის კვალი ეტყობა, ზოგს მაჰმადიანური, სპარსულ-არაბული ელფერი ადევს. თქმულება ძლიერადაა დამახინჯებული, მაგრამ სხვადასხვა თქმულებათა შედარებითი შესწავლით ამ თქმულების პირვანდელი სახის აღდგენა შეიძლება“ (იქვე, გვ. 188). ეს მოწოდებაც იყო, რომელმაც შემდგომ მართლაც კეთილი ნაყოფი მოიტანა.

ასე და ამგვარად, ივანე ჭავჭავაძის წარმოდგენს ჩვენი ხალხის ძველ-თაძველი ისტორიის მდიდარ შინაარსს.

მეოთხე თავი წიგნისა საქართველოს ცხოვრებასა და თავგადასავალს ეძღვნება I საუკუნიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ამ პერიოდში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს გამო, ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე. ვაბატონების მიზანი ორივე მხარეს შეუზღუდველს ხდიდა საშუალებათა ამორჩევად. მოსყიდვა, ცბიერება, ლაღატი ავსებდა პირდაპირ სამხედრო ძალის მოქმედებას. მეთოდები ორივე მხარეს, ბიზანტიელებსაც და სპარსელებსაც, ერთი და იგივე ჰქონდათ. ასე, არც ბიზანტიის კეისრებს, არც შაჰებს არ სჯეროდათ, რომ ქართველები მათ გულწრფელ მეგობრობასა და მოკავშირეობას გაუწყენდნენ. ამიტომ, „ფიცის სიმტკიცისა“ და ხელშეკრულების გარდა, ყოველთვის ცდილობდნენ „უმეტესი სიმტკიცისათვის“ მოეთხოვათ ქართველთა შეფეხისაგან მძევლები. ეს უფრო მეტად უფლისწულებს ეხებოდათ. ამგვარი მძევლობა სასარგებლო იყო ბიზანტიელებისთვისაც და სპარსელებისთვისაც. ამ გზით ქართველი უფლისწულები ითვისებდნენ ბერძნების ან სპარსელების ენას, ზნე-ჩვეულებას, იქაურ ცხოვრებას ეჩვეოდნენ და მეგობრებს იჩენდნენ. ნამძველარი აღზრდა-ვანათლებითაც შესაბამისად ბერძნებთან ან სპარსელებთან იყო დაკავშირებული. ამასთან ბიზანტიის კეისრები ცდილობდნენ, მძველად წაყვანილი ქართველი უფლისწულები ბერძნებთან მოყვრობითაც დაახლოებული ყოფილიყვნენ, ხშირად ცოლებად მათ ღიღებულების ასულებს რთავდნენ.

ყველაფერი ეს დიდი და ძლიერი ხერხი იყო, რომ მომავალი ქართველი შეფეხი სულიერად და ხორციელად დაახლოებული ჰყოლოდათ. მაგრამ არა ერთი და ორი ისტორიული შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ ვერც ამ გზით შესძლეს კეისრებმა და შაჰებმა ქართული პოლიტიკური თვითშემეცნების დახშვა და ქართველთა თავიანთ ყურმოჭრილ ყმებად გადაქცევა. ისიც მომხდარა. გამეფების შემდეგ მძველად ნამყოფი სწორედ თავისი მფარველების წინააღმდეგ დაიწყებდა მოქმედებას, თუკი დაარწმუნდებოდა, რომ ამ მფარველობას ქვეყნისათვის ვნების მეტი არა მოჰქონდა რა და მფარველობა დაპყრობის წინამორბედად გამოჩნდებოდა ხოლმე.

ბოროტება იყო ბიზანტიელთა და სპარსელთა ჩაგვრის უღელი, მაგრამ სისასტიკესა და გულქვაობაში სჭარბობდნენ სპარსელები. აკი აღმოსავლეთ საქართველომ მათ ხელში დაჰკარგა ქართული სამეფო ხელისუფლება, ხოლო დასავლეთ საქართველომ სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნა და კვლავინდებურად ბიზანტიელების მფარველობის ხელში იმყოფებოდა.

ამ ორ დაპირისპირებულ ძალთა შუა მყოფი ქართველობა არა თუ უსიტყვოდ არ ემორჩილებოდა უფროს პარტნიორთა სურვილებს, არამედ, მდიდარი ისტორიული მონაცემებით ივანე ჭავჭავაძის გვიჩვენებს იმას, რომ ქართველები ცდილობდნენ (და ხშირად წარმატებითაც) მოცილენ მხარეების მეტოქეობით ესარგებლათ და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. საბოლოოდ ხანგრძლივი ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის შანცდამანც ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა. სპარსეთმა არა თუ ვერ შეძლო ლაზიკის ხელში ჩაგდება, არამედ ივერიაც სპარსთა ბატონობას ხელიდან გამოაყალეს ბიზანტიელებმა. ამის შემდეგ დიდხანს არც სპარსეთის სახელმწიფოს უტოცხლია. VII საუკუნის ორმოციან წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს.

ივანე ჯავახიშვილი წიგნის ბოლო მეხუთე თავში ახასიათებს საქართველოს კულტურას I — VII საუკუნეებში. აქ თითქმის ყველაფერი ახლებურად ანდა დამატებითი მასალებითაა დაბეჭდილი და მიმოხილული. გასაგებია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ცნობა წამყვან გავლენას ახდენს იმდროინდელი კულტურის განვითარებაზე.

მონოგრაფიული გამოკვლევების სახითაა მოცემული მეოთხე თავში საქართველოს გაქრისტიანების საკითხი. ავტორი, მიუხედავად ახალი დროის ლიტერატურაში გამოთქმულ განსხვავებულ შეხედულებებისა, საკვებით თანამიმდევრულად იმეორებს იმ კრიტიკულ დამოკიდებულებას წყაროებისადმი, რაც მან სტუდენტური ნაშრომის სახით ანდრია მოციქულისა და წმინდანინოს მოღვაწეობას მიუძღვნა საქართველოში. იგი წერს: „როგორც უკვე ამ 30 წლის წინათ გამორკვეული იყო, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მადიანეში შეტანილი ქართველთა გაქრისტიანების შესახებ ცნობები და შატბერდისეული წმ. ნინოს ცხოვრება სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებად უნდა იქნეს ცნობილი“. ეს პრინციპული დამოკიდებულება დადასტურებულია ახალი მონაცემებით. ივანე ჯავახიშვილი ენერგიულად უჭერს ამ საკითხში მხარს თავის მოწაფეს დოქ. ს. ყაუხჩიშვილის მეტად ნაყოფიერ კვლევას ბერძნული წყაროებით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე.

განსაკუთრებით კი მას მოსწონს ის ინტერპრეტაცია, რასაც ს. ყაუხჩიშვილი იძლევა ქართლის მოქცევის შესახებ გელასი კესარიელის მონაცემების მიხედვით.

ქრისტიანობის გავრცელების საკითხი გართულებულა იმის გამო, რომ ამ პრობლემებზე VIII — IX საუკუნეების სომხურ-ქართული ძეგლები ტენდენციური და ფსევდოეპიგრაფიული წყაროებია. VIII საუკუნემდე ქართულთა გაქრისტიანების ისტორიისათვის მეტი ცნობები იქნებოდა დაცული, ვიდრე ჩვენ გვაქვს. ამიტომ ივანე ჯავახიშვილი შესაძლებლად თვლის, რომ იქნებ მომავალში ხანმეტ პალიმფსესტებში ახალი საგულისხმო ცნობები აღმოჩნდეს.

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია ჰქონია, ვიდრე იგი სახელმწიფო რელიგიად იქცეოდა. შემდგომაც ბრძოლა ეროვნულ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის არ შეწყვეტილა, წარმართობის მიმდევართა შორის თვით მეფეთა საგვარეულოს წევრებიც კი რეულან. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ყველაფერი ვერ გათავდებოდა. ყველანი და ყველგან ერთნაირი გულმოდგინებით ხომ არ მიეგებებოდნენ ახალი სარწმუნოების მახარობელთ, პირიქით, როგორც ჩანს, ბევრგან და ბევრს არაერთი სურვილი არ ჰქონია, მამაპაეული რწმენისათვის ელაღატა.

ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ საუკუნეებში „ბევრჯერ ყოფილა საქართველოს თავგადასავალი ამ ახალ სარწმუნოებაზე დამოკიდებულთ. რადგან ქრისტიანობაზე უწინ მთელს საქართველოში, მნათობთა-თაყვანისცემის შემდგომ, სპარსელთა მეზობლობისა და გავლენის წყალობით, ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელდა, ამიტომ მას უფრო მეტი მიდრეკილება ექნებოდა ერთმორწმუნე სპარსეთისადმი. საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ კი მდგომარეობა შეიცვალა და სპარსეთი თანდათან მტრად აქცია“. ეს იყო საქართველოს მუდმივი მტერი.

ბრძოლამ ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის მწვავე ხასიათი მიიღო,

ამასთან ეს იყო ბრძოლა ბერძნულ და სპარსულ ორიენტაციას შორისაც. ივანე ჭავჭავიძე იღნიშნავს, რომ ბერძნებთან იბერიელების კავშირის სიმკვიდრევე ადასტურებს იმას, რომ ქრისტიანობა იქიდან შეიძლება შემოსულიყო საქართველოში და იქვე დასძენს, რომ ეს გარემოება იმას არ ნიშნავს „რაკი საქართველოში ბერძნული გავლენა იყო, თითქოს ამიტომ არავითარი სხვა გავლენა არ შეიძლებოდა საქართველოში ყოფილიყოს. როგორც კულტურული ერის ცხოვრება მრავალფეროვანია, ისევე მრავალფეროვანია ხოლმე მისი სულიერი კულტურის ავლადობაც, ისევე შეიძლება მრავალმხრივი იყოს მეზობელ, თუ შორეულ ერთა ზეგავლენაც“. მაშასადამე, სრულიად არ არის გამორიცხული ასევე სომხური საეკლესიო კულტურის გავლენაც.

ივანე ჭავჭავიძე იღნიშნავს გვიხასიათებს ეკლესიის წყობილებას ძველს საქართველოში. იმ დროს საქართველოდან იერუსალიმში სალოცავად გამგზავრება იმდენად ხშირი ყოფილა და მოგზაურნიც იმდენად მრავალნი, რომ მათთვის განსაკუთრებული სასტუმროს აგებაც კი აუცილებელი გამხდარა. მეტიც, იერუსალიმში პეტრე ქართველის მიერ აგებულ იქნა იბერთა მონასტერიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ბერები პალესტინაში საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ და ქრისტიანობას საქართველოში დიდი ენერგია ჰქონდა. V საუკუნის შუაწლებიდან წარმოშობილი ეს ცენტრები დიდმნიშვნელოვანი იყვნენ ქართველი ხალხის უცხოეთთან კულტურული კავშირისა და წარმატებისათვის. როდესაც ქრისტიანობამ საქართველოში გაიმარჯვა, ამ მოძღვრებას და ეკლესიას 3 საუკუნის ისტორია ჰქონდა განვლილი და არა ერთი დოგმატურა საკითხის გამო მწვავე ბრძოლა უნახავს. მართალია, მეოთხე საუკუნისათვის ის უკვე მთლიანი ეკლესიის სახით იყო ჩამოყალიბებული და, ამასთან, დოგმატა შემოქმედებისათვისაც მათ გარკვეული ნიადაგი ჰქონდა შემზადებული, მაგრამ მინც არსებობდა არა ერთი საცილობელი დოგმატური საკითხი მსოფლიო ეკლესიაში. ამ ბრძოლაში საქართველო მაცურებლის როლში ვერ იქნებოდა. და ივანე ჭავჭავიძე იღნიშნავს, მიუხედავად ისტორიულ ცნობათა უკიდურესი სიმწიქისა, თავისი მახვილი თვალითა და მხრეკელი მაძიებელი გონებით სტრიქონთაშორის, ქვეტექსტებშიც პოულობს მითითებას სხვადასხვა მწვალებლური მიმდინარეობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი საეკლესიო ტექსტები, VIII საუკუნიდან მოყოლებული, მეტადრე კი X — XI საუკუნეში ჩამოყალიბებული, ხელოვნური დუმილით ისწრაფვიან დამტკიცონ, რომ სხვებისგან განსხვავებით საქართველოს ხალხმა პირველიდანვე მიღებული ქადაგება და მოძღვრება ვითომც უცვლელად და შეუბღალავად დაიცვა, მწვალებლობა საქართველოში მას არასდროს არ შემოუშვია და მართლმადიდებლობისათვის არ უღალატია. ეს ყველაფერი მაშინ, როცა მწვალებლობის არსებობის კვალი საქართველოში იმდენად ნათლად ჩანდა, რომ მისი დამალვა არ შეიძლებოდა.

ამიტომ ამის გამართლებისათვის ჩნდება აპოლოგეტური თავისმართების თეორია, რომ, თუ მწვალებლობის რაიმე ნიშანწყალი ჩნდება საქართველოში, ეს თითქოს სომეხთა ბრალი ყოფილა, რომ თითქოს მწვალებლობის ღვარძლი საქართველოში ვაფანტულ სომეხ მწვალებელთაგან გავრცელებულიყოს, ანდა ზოგიერთი სომხურიდან ნათარგმნი თხზულების წყალობით იყოს შემოპარული. ამის შემდგომ წიგნში თქვენ იპოვით შესანიშნავ დაკვირვებებს ძველს საქართველოში მანიქელობის, ნესტორიანობის, მონოფიზიტობის შესახებ. მეტიც, ივანე ჭავჭავიძე იღნიშნავს, რომ იმ მთავარი პრობ-

ლემების გამო ბრძოლა, რომელიც მსოფლიო ეკლესიას აღელვებდა, ქართული სარწმუნოებრივი აზროვნებისათვის უცხო არ ყოფილა.

შემდგომ კი ყოველმხრივი მეცნიერული ჩაღრმავებით განხილულია ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების მთელი ისტორია. ივანე ჭავჭავიძისთვის, რასაკვირველია, სრულიად უცხოა გაამართლოს თვისტომი წინაპრები და რაიმეში ბრალი დასდოს არათვისტომებს. მისთვის მთავარია მართალი ისტორიული სურათის აღდგენა და ის შინაგანი კანონზომიერებანი, რამაც გამოიწვია ეს განხეთქილება.

IX საუკუნის ქართველი მოაზროვნე არსენ კათალიკოსი განხეთქილების მიზეზებს მხოლოდ სომეხებს აბრალებს. XX საუკუნეში ქართველი ისტორიკოსი ივანე ჭავჭავიძე წერს თერთმეტი საუკუნის წინანდელ წინაპრის ნაშრომზე: „ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინ სარწმუნოებრივი მედასეობის და მიკერძოებითი, ძველი დროის პარტიული საისტორიო მწერლობის არსებობის ცხადი დამადასტურებელი საბუთები და სამაგალითო ნიმუშებია.“

როგორც ცხოვრებაში და ეკლესიაშიც ბრძოლა და დაუნდობლობა სუფევდა, ისევე საისტორიო მწერლობა მოწინააღმდეგე ბანაკებად ყოფილა დაყოფილი. როგორც ყოველთვის, აქაც თვითული ამ მიმართულებათაგანი მოწინააღმდეგის ნაკლს კარგად ხედავდა, ღიხვებდას კი ვერ ამჩნევდა.

როცა ქალკედონის მომხრე „მართლმადიდებელი“ ისტორიკოსები სომეხ მონოფიზიტებს სპარსთა მთავრობის პოლიტიკურ ზრახვებისა და გეგმის მიმდევრობასა და მონურ მომხრეობას უკუიწინებდნენ, ავიწყლებოდათ, რომ თვითონ ისინიც, თავიანთ მხრივ, როგორც ეს მათ მოწინააღმდეგე მონოფიზიტ სომეხ მწერლებს ხაზგასმით აქვთ აღნიშნული, არა ერთხელ ამ სარწმუნოებრივს საკითხში ბიზანტიის კეისრების პოლიტიკური გავლენის მსხვერპლი ყოფილან.

ამგვარად ცხადია, რომ პირუთენელი და მიუდგომელი საისტორიო თხზულების მაგიერ არსენ კათალიკოსის ნაწარმოები იმგვარადვე, როგორც სომეხი ავტორების საეკლესიო ნაშრომები, მედასეობითი მიკერძოებითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით ნაკარნახევი და გამაჰყვალულია.

ნამდვილი ქეშმარიტების გამოსაკრეველ თახაშდროვე მკვლევარს ამის გამო უფლება არა აქვს მხოლოდ ერთი მხარის საისტორიო ძეგლებს დაენდოს, არამედ, როდესაც ეს შესაძლებელია, ორთავე მოპირდაპირე ბანაკის მწერლების თხზულებათა შედარებით, კრიტიკული შესწავლითა და ფრთხილი სარგებლობით ცხოვრების უტყუარი სურათი აღადგინოს“ (თხზ. 12 ტომად, ტ. VIII, გვ. 101), ეს ყველაზე კარგად ივანე ჭავჭავიძელმა შესძლო ორივე ერის საისტორიო ძეგლთა შესანიშნავი ცოდნის წყალობით. მწვავე დაკის დროს მხარეები ვნებათა ღელვისას ზომიერების საზღვრებს გადადიან, ამას აკეთებს როგორც არსენ კათალიკოსიც, ისე უხტანესიც, ამიტომ „რაკი არსენ კათალიკოსსაც და უხტანესსაც წმინდა პოლიტიკურ-აპოლოგეტური მიზნები ჰქონდათ და ორივენი საბუთებითა და ზეპირი გადმოცემით ერთნაირად და განურჩევლად სარგებლობდნენ, მათ ნაშრომსაც სარწმუნოებრივ ეროვნულ ტენდენციის დადი აზის, მასზე დამყარება არ შეიძლება“. მართლაც, მიზეზები და საბაბები, როგორც მწვავე პაექრობის დროს ხდება ხოლმე; მოდავეებს არეული აქვთ ერთმანეთში. ასე, არსენ კათალიკოსი მეტად მძიმე და მიუტევებელ ცოდვად თვლიდა სომეხთა საეკლესიო კრების იმ დადგენილებას, რომელმაც ზიარებაში წყალგაურეველი ღვინის ხმარება დააკანონა.

ივანე ჭავჭავიძელი თვლის, რომ დავა-პაექრობის ახსნა ეკლესიის შეს-

ვეურთა შორის მართოდენ პირადი ხასიათის უთანხმოებით არ შეიძლება. დავა-პაექრობა ქართულ და სომხურ ეკლესიათა დაახლოება-გაათიშვის თაობაზე XIII საუკუნის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა. ეს დავა მძაფრი ხასიათისა იყო ყოველთვის, მაგრამ შედეგად არც ერთ მხარეს არ დაუთმია საკუთარი სიმართლის რწმენა. მეტიც, როგორც სწორად შენიშნავს ზ. ალექსიძე, ქართულმა ეკლესიამ მართლმადიდებლობისადმი ერთგულება იმისათვის გამოიყენა, რომ ფეოდალური ქართული სახელმწიფოს ძლიერების ზენიტზე მყოფი სამწყსო ბიზანტიის ეკლესიურ-პოლიტიკურ მემკვიდრედ გამოეცხადებინა. რასაკვირველია არც სომეხ ხალხს მიუღია რჩევა დაკრულვისა და ქართული ეკლესიის სრული განკვეთის შესახებ.



სამკარისად თვლიდა თუ არა ივანე ჭავჭავიძე „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნზე მუშაობის 28 წელიწადს და ჰქონდა თუ არა სურვილი. შემდგომ დაეხვეწა და სრულყო ეს წიგნი?

პასუხის გაცემამდე ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ. დიდი ისტორიკოსის თეოდორ მომზენის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ თავისი უკვდავი „რომის ისტორია“ სიცოცხლის მანძილზე ავტორმა 7-ჯერ გამოსცა (თ. მომზენმა 86 წელი იცოცხლა) სამი გამოცემის ჩათვლით, თ. მომზენს თავის ამ წიგნის ტექსტში დამატებები და ცვლილებები შეჰქონდა, შემდგომი სიცოცხლისეული გამოცემები ამ წიგნისა სრულიად უცვლელად. დასრულებული მხატვრული ნაწარმოებების მსგავსად, იბეჭდებოდა.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის მესამე გამოცემა, გ. ჩუბინაშვილის სწორი სიტყვებით, მართლაც ახალი ეტაპი თვით ავტორის მუდმივად წინ მიმავალ შემოქმედებით ბიოგრაფიაში. აქ ავტორი ლიტერატურულ სრულყოფას, დებულებათა უფრო მკვეთრად გამოხატვას აღწევს, წიგნს ყოველმხრივ ათარაზობებს, მაგრამ თვითონ ივანე ჭავჭავიძე იღებს არ აქვს სრული შემოქმედებითი კმაყოფილება იმ თავისი ერთადერთი წიგნისა, რომელიც მის სიცოცხლეში სამჯერ გამოიცა. იგი ერთ-ერთ წერილში ვარ. დონდუასადმი აღნიშნავდა კიდევ, რომ მას უნდა ხელახალი გამოცემა ამ წიგნისა, მასში ცვლილებების შეტანა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ორაგველიძეს წარმოუდგენიაო. თავის სიცოცხლის თითქმის ბოლო წლებამდე ივანე ჭავჭავიძე იღებს ერთადერთს უხდებოდა, ეწერა მშობელი ხალხის მდიდარი და გმირული ისტორია, ვიდრე მას არ წამოეშველნენ შემდგომ მისივე აღზრდილები და შესაძლებელი არ გახდა შრომის დანაწილება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესადგენად.

თ ა ვ ი II. სხვისი ნიჭისა და თავდადების დაფასება მუშაობის მანძილის თვისება

რექტორობიდან წასვლით¹ ივანე ჭავჭავიძე სრულიად არ განმარტობულა, არ ჩაკეტილა, სულიერად არ დაერდომილა, მას ნებისყოფა ში ბზარი არ გასჩენია, არც რევანშზე უოცნებია. ყველაფერ ამას ტრა-

¹ ერთგული თანამოსაგრენი, მოწაფეები როდი წყვეტენ კავშირს მასწავლებელთან რექტორობიდან წასვლის შემდეგ. ახლა მას ეკითხებიან აზრს, თხოვენ თავის წინადადებას. პირდაპირ როგორც მეცნიერული ანგარიში მოწაფეთა საქმიანობაზე ეკითხება აკაკი შანიძის

ლიკული დაბნეულობა, ეჭვები და მერყეობა არ მოჰყოლია. იგი არ შემდრკალა მომავალი განსაცდელის წინ, რასაც მას ბედი უმზადებდა უმაღლრთაგან და ნამდვილ კარიერისტაგან, რომელნიც მალე დაიწყებენ ივანე ჯავახიშვილის კერძო და საჯარო განქიქებას. შურისგების ნაცვლად ყველას მიმართ და ყველა ვითარებაში მაღალი სულგარძელობა შეინარჩუნა, თუმცა წყენა მის გულს ბოლომდე გაჰყვა. იგი საკუთარ თავში უშრუტ შემოქმედებით ენერგიას პოულობს და ახალ-ახალ და ძვირფას ნაშრომებს ქმნის თაობებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი კვლავ ჩვეული ღირსებით განაგებს საქართველოს ისტორიის კათედრას. ვასაგებია, რომ ეს ერთ-ერთი უძველესი კათედრაა უნივერსიტეტში. 1930 წლამდე ივანე ჯავახიშვილი ამ კათედრის უცვლელი გამგეა. უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ პედაგოგიურ ინსტიტუტშიც განაგებდა. იგი ასეთსავე კათედრას 1931 წლის ივნისამდე.

ივ. ჯავახიშვილი განუხრელად ზრუნავს თავის „აღსაზრდელებზე, მათ სამეცნიერო დაწინაურებაზე, სამეცნიერო ხარისხზე. კათედრასთან ერთად, იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობასაც წარმართავს იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ნიჭიერ ახალგაზრდობას საჯარო გამოცვლის პირველი ჩვევები განუვითაროს, მათი პირველი კვლევის შედეგები მოისმინოს.

ერთი მაგალითით დავკმაყოფილებით. 1929 წელია. მესამე კურსელი სტუდენტი ჯემალ ნოღაიდელი, საქართველოს ძირძველი კულტურული მხარის აჭარის შვილი, ლექციის შემდეგ გაუბედავად აწვდის ლექტორს ლამაზად გადათეთრებულ ხელნაწერებს. აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის აღწერაა მათში. შემდეგი ლექცია მესამე დღესაა. ვასაგებია, სტუდენტის დღევა დიდა მასწავლებლის მიერ განაჩენის გამოტანის მოლოდინში. ეს დღეც დადგა. ლექციის დამთავრებისთანავე ივანე ჯავახიშვილი თვითონ მიდის უკანა რიგში მორცხვად მყოფ სტუდენტთან. არა თუ მოწონებას გამოთქვამს წაკითხული ტექსტით, არამედ შემდეგი პარასკევისათვის სთავაზობს მოხსენების წაკითხვას საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საერთო კრებაზე.

სანამ მომხსენებელს სიტყვას მისცემდა, თავმჯდომარემ ივანე ჯავახიშვილმა გამოაცხადა, რომ ჯ. ნოღაიდელი აჭარის მკვიდრია. იგი ჩვენი უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია და დიდადაა დაინტერესებული თავისი კუთხის—საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის ფოლკლორის, ეთნოგრაფიის მასალების შეკრებითა და დამუშავებით. ამ დარგის პირველ აჭარელ მკვლე-

წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი 1927 წლის 11 აგვისტოს. იგი სთხოვს, გამოთქვას აზრი, ვინ უნდა დაიკავოს სიძველეთა მუზეუმში აწ განსვენებულ დ. კარიჭაშვილის ადგილი. შემდეგ კი განაგრძობს: „მოწაფეებისაგან ცნობები მომდის მათი მუშაობის შესახებ. ვ. თოფურაძე სევანის შესწავლას განაგრძობს ისევ ყოჩაღად. ს. ჯიქიას ვიზა არ მოუვიდა ანგორიდან და ევლარ ახერხებს ამჟამად სტამბოლში გამგზავრებას. მის პასპორტი ყავის გოდლის (მგონი ხვალ), ასე რომ თუ იქიდან ვიზის მიღებას ელისრა, პასპორტი ხელშეყოფდ უნდა იდოს: ამიტომ ახლა იგი მესხური თურქულის კილოს შესწავლას განაგრძობს ახალციხის მაზრაში. სტ. ჩხენკელი, თავის სოფელში ზის და ათავეებს ფირდოუსის შანამეს მესამე ტომს (ორი უკვე წაიკითხა). სტუდენტი ილია აბულაძე სიმახურს სწავლობს. გიუღლია დაბადების წიგნები „ნეშტა“-მდე. უნივერსიტეტ-გათავებული გ. წერეთელი უძველეს ყურანზე მუშაობდა აქ (სუნაელოთა მიზგიტში მოიპოვება მისი გამოცემა) და ეხლა სოფელში წავიდა დასასვენებლად. არ. ჩიქობავა ისევ ტფილსშია. გ. ჩუბინაშვილმა პასპორტი მიიღო და ათიოდე დღეში გაიმგზავრება“.

ვართან შეხვედრამ კიდევ მეტი გულთბილობა გამოიწვია მომხსენებლის მიმართ. ერთი საჯარო სხდომა როდი დარჩა საკმარისი. კიდევ შემდგომ პარასკევს დაინიშნა საერთო კრება. ყველა უწონებს ნაშრომს ახალგაზრდა მკვლევარს. ქება არ დაუკლია თავის შემაჯამებელ სიტყვაში ივანე ჭავჭავიძის. გადაწყდა ამ მასალების დაბეჭდვა. ასე წარმოაჩინა ივანე ჭავჭავიძე ილია ნიჭი სტუდენტისა, რომელიც აჭარის ეთნოგრაფიის შეუღარებელი მკვლევარი გახდა, მან დიდი წვლილი შეიტანა შესანიშნავი მრავალხმიანი სიმღერების მიგნებასა და მეცნიერულ აღწერაში.

უკვე პეტროგრადის უნივერსიტეტიდან აკავშირებდა შემოქმედებითი მეგობრობა ივანე ჭავჭავიძის პროფ. მიხეილ პოლიევქტოვთან. პეტერბურგის სახელოვანი უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის აღზრდილი მარტო რუსეთის ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი როდი ხდება. იგი ევროპის დიდ ცენტრებში ეუფლება ხელოვნების ისტორიას, მუშაობს ვატიკანის, ტურინის, ვენეციის, ბერლინის, დრეზდენის, კოპენჰაგენის, ვენის, სტოკჰოლმის არქივებში, იკვლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ისტორიას ევროპის ქვეყნებთან. 1917 წლიდან იგი პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორია. როგორც საარქივო საქმის უმსხვილესი სპეციალისტი, 1918 წელს მონაწილეობდა საარქივო რეფორმის ჩატარებაში და საარქივო საქმის მთავარი სამმართველოს დაარსებაში. ასეთი დიდი მასშტაბის სპეციალისტი დეპეშას გზავნის დიდ ღიბიშიდან, რომ მზად არის ემსახუროს თბილისის უნივერსიტეტს... 1920 წლის 1 ოქტომბრიდან გარდაცვალებამდე 22 წლის განმავლობაში იგი თბილისის უნივერსიტეტის სახელოვანი პროფესორია. მ. ა. პოლიევქტოვი თბილისის უნივერსიტეტში მაშინ მოვიდა, როცა პროფესორთა რიცხვი მეტად მცირე იყო. მ. ა. პოლიევქტოვი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო აქ მოღვაწე რუს პროფესორთაგან, მაგრამ, ბევრი მათგანისაგან განსხვავებით, კონიუნქტურული მოსაზრებები კი არ აიძულებდა მას ემუშავა თბილისის უნივერსიტეტში; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლიბერალური პროფესორები, გაფანტულნი სხვადასხვა მხარეში, ხშირად თბილისში ელოდნენ მათთვის პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას, ანდა ევროპაში მიილტვოდნენ.

მ. ა. პოლიევქტოვის თბილისში მოღვაწეობა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ნათელ დადასტურებად იქცა.

მარტო სიყვარულს საქართველოს მიმართ როდი გამოხატავდა პროფ. მ. ა. პოლიევქტოვი. იგი აქტიური მონაწილე გახდა თბილისის უნივერსიტეტში ისტორიული მეცნიერების აყვავებისა. აქ მან მკვლევართა მთელი პლეადა აღზარდა. მაგრამ ყველაზე დიდი ღვაწლი მ. ა. პოლიევქტოვმა თავისი ნაშრომებით დატოვა. თბილისის უნივერსიტეტისათვის, ისე როგორც ჩვენს ისტორიული მეცნიერებისათვის ნამდვილი ბედნიერება იყო ის, რომ რუსეთ-ევროპის ურთიერთობის უმსხვილესი სპეციალისტი, საარქივო საქმის შეუღარებელი მცოდნე, ფილოლოგიური ცოდნით მძლავრად შეიარაღებული მკვლევარი ოცზე მეტ წელიწადს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას იკვლევდა შესაშური გატაცებით. მშობლიური ენის გარდა მან უეროპული ენები იცოდა. ახლა კი ქართული ენაც შეისწავლა და ამითაც დაადასტურა სიყვარული ქართველი ხალხისადმი.

უნივერსიტეტის რექტორი აღტაცებულია ნაჰისა და წადილის ამ ბედნიერი დამთხვევით. იგი მრავალ საუბარში, შეხვედრებში ყოველმხრივ ახალსებს პროფ. მ. ა. პოლიევქტოვის არჩევანს, გამოიყვლიოს რუსეთ-საქართ-

ველოს ურთიერთობის მდიდარი ისტორია. ეს მხარდაჭერა იმაშიც პოულობს თავის გამოხატულებას, რომ რექტორი ყოველმხრივ ცდილობს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეექმნას პროფ. მ. ა. პოლიევქტოვის რუსეთის არქივებში მუშაობის დროს. ასე, 1924 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით მ. ა. პოლიევქტოვი მივლინებულია მოსკოვის და ლენინგრადის არქივებში. 1925 წლის 14 იანვარს იგი ქართულად წერს ანგარიშს ამ მივლინებისას, აღნიშნავს, რომ მას ერთ-ერთ მიზნად ჰქონდა დასახული, ჯერ ერთი, შეეგაროებინა მასალები 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების შესახებ, მეორე, შეემოწმებინა XVIII საუკუნის ერთი ხელნაწერი, რომლის ნაწილიც უკვე დაბეჭდილი იყო. შემდგომ იგი გვამცნობს: „გარეგანი პირობების გამო მე დავიწყე მუშაობა მეორე მიზნიდან. ვფიქრობდი, დავამთავრებდი ამას შედარებით მოკლე დროში, როგორც ხშირად მიხდება ხოლმე ხელნაწერების და ძველი მასალების ჩხრეკის დროს. მუშაობა პირველად მეჩვენებოდა მარტივად, მაგრამ შემდგომში სწრაფად გართულდა; იმან შეიპყრო მთელი ჩემი ყურადღება და იძულებულ მყოფი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი კეთილი თვალით უყურებდა ჩემ შრომას და ჩემი მივლინების ვადა შესამჩნევად განეკრო, მე მაინც დამპირდა მთელი ჩემი დრო ამ შრომისათვის მომენდომებინა“. ახლა მარტო გამოქვეყნებული მასალების დედანთან შეჯერება როდღი დარჩა საკმარისი, საჭირო შეიქმნა შესწავლა მთელი წყება ახალი მასალებისა. მ. ა. პოლიევქტოვი დაასკვნოდა: „ყველა ეს საბუთები გვაძლევენ მდიდარ მასალას ქართველთა და რუსთა შორის საერთაშორისო დამოკიდებულების შესახებ და დასახსიათებლად იმ პოლიტიკური განწყობილებისა, რომელიც დახვდათ 1650. წელს მოსკოვის ელჩებს საქართველოში“. ახლა მ. ა. პოლიევქტოვის შესაძლებლად მიაჩნდა, დაბეჭდილიყო ახალი სრული გამოცემა 1650—1651 წწ. ნიკიფორე ტოლოჩანოვის და ალექსი იველევის იმერეთში ელჩად ყოფნის შესახებ. უკვე 1925 წლის 21 მარტს უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი სთხოვს პოლიგრაფიულ განყოფილებას, მიიღონ დასაბეჭდად პროფ. მ. ა. პოლიევქტოვის შრომა „ნიკიფორე ტოლოჩანოვის და იველევის იმერეთში ელჩებად გაგზავნა“.

ქაღალდს უნივერსიტეტი იძლეოდა. ეს წიგნი 1926 წელს გამოვიდა.

რექტორობიდან გადადგომის შემდგომ სრულიადაც არ შენელებულა ივანე ჯავახიშვილისა და მიხეილ პოლიევქტოვის შემოქმედებითი მეგობრობა. 1926 წლის აგვისტოში ივანე ჯავახიშვილი აღტაცებული მიხეილ პოლიევქტოვის ახალი მეცნიერული მიგნებებით, შთაგონებით სწერს: „თქვენ ისეთ დაუფასებელ სამსახურს უწევთ რუსეთისა და საქართველოს ისტორიას, შემოგაქვთ იმდენად ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელი მასალები, რომ თქვენი სახელი, როგორც იტყვიან, ოქროს ასოებით ჩაიბეჭდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და თქვენი ნაშრომები სამაგიდო წიგნები იქნება ქართველოლოგებისათვის — კავკასიასთან და აღმოსავლეთთან რუსეთის ურთიერთობის შევლევართათვის“.

მიხეილ პოლიევქტოვი გახარებულია დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ამ აღიარებით, იგი ივანე ჯავახიშვილის სიტყვებში მთელი ქართველი ხალხის აზრს ხედავდა და კემშარიტი მეცნიერული თავმდაბლობით სწერდა მას: „თქვენი აზრი ჩემი უკანასკნელი შრომების შესახებ ჩემთვის ფრიალ ძვირფასია. ვიტყვი, თუმცა რომ არა მე ვანებიერებ ქართველთმცოდნეებს: მე მანებიერებს ბედი. აკი საარქივო ძებნა თავისებური ლატარიაა. თუკი ის ბედნიერი ნომრები, რომელიც აქამდე მე მიხდებოდა ამომელო, შესაძლო

დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს ისტორიკოსებს, ეს გულში მე დიდ სიხარულს მომგვრის. გავიმეორებ იმას, რომლითაც დაეამთავრე მე წინასიტყვაობა ჩემის „ტოლოჩანოვისა“: „გახარებული ვიქნები, თუკი რაიმეთი შემძლია გადავუხადო ყველა იმ კარგისათვის, რასაც მე შეეხვდი საქართველოში“.

შემდგომ წლებში ივანე ჯავახიშვილი როდი ანელებს მეცნიერულ მხარდაჭერას მ. ა. პოლიევქტოვის ნაღვაწის დროული დაბეჭდვისათვის.

1929 წლის 19 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი მიმართავს საქართველოს ისტორიის საგნობრივ კომისიას, აღძრას შუამდგომლობა ფაქულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე მ. ა. პოლიევქტოვის ახალი ნაშრომის დაბეჭდვისათვის. იგი წერს: „საქართველოს ისტორიის ყოველ მკვლევარს კარგად მოეხსენება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც რუსი დესპანების მოხსენებებს აქვთ იმ დროინდელი საქართველოს კულტურული და სოციალ-ეკონომიური ისტორიის აღსადგენად.“

პროფესორმა მ. ა. პოლიევქტოვმა ორი ასეთი დესპანობის ყველა მასალები გამოაქვეყნა. მაგრამ ამ საუცხოვო გამოცემებს უნდა მოჰყოლოდა შემდეგდროინდელი დესპანების მოხსენებები, რომელთაც ყოველი ჩვენგანი მოუთმენლად ელის. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ასეთი მნიშვნელოვანი საქმე შეფერხებულია და საშველი არ უჩანს. რაკი უნივერსიტეტის გამომცემლობას ამ ძეგლების გადმოსაწერად და დასამზადებლად თანხები არ მოეპოვება, ერთადერთი გზა იქნებოდა, რომ ფაქულტეტის და გამგეობის საშუალებით განათლების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრულიყო, რომ ყველა ამ ძეგლების გადმოსაწერად და გამოსაცემად საკირო თანხა განსაკუთრებით ყოფილიყო გადადებული, რომ მ. ა. პოლიევქტოვს ასე კარგად დაწყებული საქმის დამთავრება შეეძლოს და საქართველოს ისტორიის მკვლევართ ამ უხვი და საყურადღებო მასალების გამოყენების საშუალება ჰქონდეს“.

ივანე ჯავახიშვილი აღარაა რექტორი, მაგრამ გვერდზე გადგომა საზოგადო საქმეებისაგან მას არ შეეძლო, როცა მეცნიერებისათვის ასე სასარგებლო მიზანს ხედავდა. მის სიტყვას დიდი ზნეობრივი ძალა ჰქონდა. ამიტომაც მიმართავდნენ სწორედ მას მხარდაჭერისათვის.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1930 წლის 2 მაისს აღნიშნავს მოსე ჯანაშვილის დაბადების 75 წლისთავს. საზეიმო კრება ჩატარდა საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოებასთან ერთად. შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა ზეიმის დასასრულს ივანე ჯავახიშვილმა.

საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის 53 წლისთავის აღნიშვნა საერთოდ იშვიათობაა, მაგრამ ნახევარ საუკუნეზე მეტი სამეცნიერო მოღვაწეობა „მით უმეტეს სრულებით არაჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში, საქართველოში, სადაც წინათ საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა ადამიანისათვის მეტად მძიმე ტვირთი იყო, რომლის შემსუბუქება არავის არც სურდა და არც შეეძლო“. იმ დროს ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და, მეტადრე კი, მეცნიერის ბედი სახარბილოს არაფერს წარმოადგენდა. მეცნიერული მუშაობით მას არსებობის არავითარი სახსრის მოპოვება არ შეეძლო, „თავისი შრომისათვის რაიმე ჰონორარის მიღების ოცნებაც კი არ შეეძლო და ჩვეულებრივ თავის ნაშრომის გამოქვეყნების საშუალება კი არ გააჩნდა, ასეთ პირობებში ნახევარი საუკუნის განმავლობაში გატაცებით

მუშაობა, თანაც ძალ-ლონისა და მხნეობის შენარჩუნება, მართლაც რომ ნამდვილ გმირობას წარმოადგენდა“.

ივანე ჯავახიშვილი ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ გულგაუტეხლად ეწეოდა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ტვირთს, რა მრავალმხრივი იყო მისი სამსახური მშობელი ხალხისათვის. მოსე ჭანაშვილის თავმდაბლობის ერთი შესანიშნავი მაგალითი მოჰყავდა ივანე ჯავახიშვილს. მ. ჭანაშვილი მარტო თავისი სახელის მოხვეჭისათვის არ იღვწოდა. იმ დროს ჩვენს საისტორიო მწერლობაში თითო-ოროლა მომუშავე იყო. მოსე ჭანაშვილი ბევრ თავის ნაშრომს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა. „ერთი ადამიანი მუშაობდა, მკითხველი საზოგადოების წინაშე კი ოთხი მკვლევარი და ავტორი გამოდიოდა.

რა იცოდა მკითხველმა, რომ ოთხის საქმეს ერთი ადამიანი, იგივე მ. ჭანაშვილი, აკეთებდა: მას ოთხი ქართველი მკვლევარი ეგულებოდა და ეს რწმენა მის დაჩაგრულ გულს სიხარულით ავსებდა და მხნეობას უმატებდა, რომ მომუშავეთა რიცხვი ასე გაიზარდა“.

ივანე ჯავახიშვილის წინადადებით ზემოზე ირჩევენ მოსე ჭანაშვილს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საენათმეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად. თავის სიტყვაში ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „ჩვენ არა ვართ იმდენად მდიდარი, რომ ჩვენს ძვირფას იუბილარს მოსე ჭანაშვილს ფასიანი საჩუქარი მივართვათ, მაგრამ ჩვენ გვაქვს სიყვარული და ამ სიყვარულით გვინდა იგი დავაჯილდოვოთ. სიყვარულზე უძვირფასესი კი საზოგადო მოღვაწისათვის არაფერია“.

საკვირველი შემოქმედებითი ინტენსივობა თითქოს პირდაპირ პროპორციული იყო იმ უმადური დამოკიდებულებისა, რასაც ივანე ჯავახიშვილი ასე ხშირად გრძნობდა. თავდასხმები ივანე ჯავახიშვილის შრომებზე და მის ნაღვაწზე კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც ხშირად ლანძღვა-გინებასა და უწმინწერობაში გადადიოდა. განათლების სახალხო კომისარიატის 1931 წლის 28 მაისის დადგენილების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი იძულებულია, დატოვოს უნივერსიტეტი. ბრალდება: მემარჯვენე პროფესორობა, „კონდრატევიშჩინას“ მავნებელთა ჯგუფის მიმართულების თანამოზიარება. იენისიდან ტოვებს ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის კათედრას. 1931 წლის 7 ივლისს იგი წერილს უგზავნის ფ. მახარაძეს უნივერსიტეტიდან წასვლის შესახებ. ფ. მახარაძე განეკარგულებას აძლევს განათლების სახალხო კომისარს, დაუყოვნებლივ მოაგვაროს პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომითი მოწყობის საქმე. აგვისტოში მასთან ბორჯომში აღის პროფ. გ. ახვლედიანი განათლების სახალხო კომისარის დავალებით. ივ. ჯავახიშვილს სთავაზობენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა განყოფილების სათავეში ჩადგომას. იგი თანხმობას აცხადებს, მაგრამ იქვე რამდენიმე პირობას აყენებს, სახელდობრ, იგი წინააღმდეგია რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობისა, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს სამეცნიერო მუშაობის წინანდებურად გაგრძელებისა და თუკი მისი „შესვლის გამო მუზეუმის პირად შემადგენლობის მდგომარეობა უცვლელი დარჩება“.

ეს ყველაფერი ხდება უმალესი სკოლების დარგობრივი რეორგანიზაციის, პირველ რიგში, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის დროს, ამ ღონისძიებამ სრულებით ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, რაც მთავარია,

ლიკვიდაციის საფრთხე შეუქმნა მთელს საუნივერსიტეტო მეცნიერებს¹. მალე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გაასწორეს ეს შეცდომა.

ივანე ჯავახიშვილის მოკვეთა უნივერსიტეტიდან არა თუ გაუმართლებელი იყო ყოველმხრივ, არამედ აუხსნელიც. ეს შემზარავი უმადურობა იყო უნივერსიტეტის დამაარსებლის მიმართ.

1931 წლის 27 სექტემბერს განათლების სახალხო კომისიის ბრძანებით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმის კონსულტანტად დაინიშნა. აქ იწყება მოღვაწეობა სახელმწიფო მუზეუმის ნამდვილი განმაახლებლისა. მაინც ძნელი იყო მისთვის უნივერსიტეტოდ ყოფნა, ისევე როგორც დიდად აფიქრებდა მას საუნივერსიტეტო განათლების ბედი, ამას კიდევ უფრო ამძიმებდა მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა. მართალია, ახლობლები ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ყურადღე არ მიეტანათ ცნობები აუგად ხსენებისა, ზოგიერთი მოწაფის განდგომისა, ზოგიერთის მერყეობისა, ზოგიერთის კიდევ ამკარა ლანძღვით გამოსვლისა. კიდევ კარგი, რომ არც ერთხელ ეს მისი თანდასწრებით არ მომხდარა. საჭარო კრებებზე იმათ საყვედურობდნენ, ვინც არ წყვეტდა ივანე ჯავახიშვილთან მეგობრულ კავშირს და შინ მასთან დადიოდა. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი გეგმიურ საკითხს იხილავდა — ბურჟუაზიულ თუ ფეოდალურ მეცნიერად გამოგვეცხადებინა ივანე ჯავახიშვილი. ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს თხოვნით მიმართავდა ს. ყალიჩაია: მოხსენება წაეკითხა ივანე ჯავახიშვილის იდეოლოგიურ შეცდომათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ, თუმცა იქვე საჭიროდ არ თვლიდა, თეზისები წარედგინა წინასწარ: თავაწყვეტილი ლანძღვა თეზისების გარეშეც შეიძლებოდა.

უმადურობა მძიმე კვალს ტოვებს ივანე ჯავახიშვილზე. მაინც ირგვლივ უმადურობა როდი იმარჯვებდა. ივანე ჯავახიშვილი გრძნობდა მრავალმხრივ მხარდაჭერასა და სიყვარულს. უნივერსიტეტის ხელახალი მოწყობის შემდეგ იგი ხვდება ახალ რექტორს პროფ. ლ. აღნიაშვილს. იგი აშკარა სიმპათიებით წერს მასზე: „რექტორი აღნიაშვილი ძალიან კარგ, კულტურულ შთაბეჭდილებას ახდენს“. 1933 წელს ახლადადგენილ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრა გაიყო ორად: საქართველოს ძველი ისტორიისა და ახალი ისტორიის კათედრებად. ძველი ისტორიის კათედრის გამგედ 1933 წლის 17 თებერვალს დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი, ხოლო ახალი ისტორიისა — ს. ხუნდაძე. ორივე კათედრაზე მოადგილედ ითვლებოდა ს. ჯანაშია. მალე, 1935 წლიდან სიმონ ჯანაშია განაგებს საქართველოს ისტორიის ერთიან კათედრას.

ივანე ჯავახიშვილისადმი ხალხის სიყვარულის გამოხატულების ნიმუში იყო პროფესორ იოველ ქუთათელაძის ურთიერთობა მასთან. ეს გამოჩენილი

¹ მართლაც, დამაფიქრებელი იყო ეს გარემოება, ვინაიდან იმ დროს, როგორც ამბობდნენ, ტექნიკაციის საუკუნეში უნივერსიტეტს ადგილი არ უნდა. ჰქონდეს უმადლეს სკოლაში შორის, როგორც ფეოდალიზმის გადმონაშთსო. შ. ხ. ჩანბარისოვის თავის წიგნში „საბჭოთა საუნივერსიტეტო სისტემის ჩამოყალიბება“ (1973 წ. გვ. 282 — 283) მოჰყავს 1930 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ი. უდალცოვის წერილი სათაურით „175 წლის მოხუცი“. სხვა ვინმე კი არა, თვითონ რექტორი მოსკოვის სახელოვანი უნივერსიტეტისა, საიუბილეო წელს ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტის სისტემა მოუქნელია, არასაკმარისად ელასტიური და ამიტომ არ თქვია საშუალებას, ჩეროვანი სისწრაფით გადაწყვიტოს ცხოვრების მიერ წაოყენებული საკითხები. აქედან გამომდინარე, ეგი მოითხოვდა სახელოვანი უნივერსიტეტის დანაწევრებას სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებად და ასკენიდა: „დროა, მოხუცი უნივერსიტეტის განსვენებისა თავისი სიცოცხლის 175 წლის თუბილზეო“.

ქართველი მეცნიერი ასევე გამოჩენილი მეცნიერ-ორგანიზატორი იყო. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ქიმიურ-ფარმაცევტული განათლების უძველესი საქართველოში, შემდგომ, 1931 წლიდან 1937 წლამდე, საპედიცინო ინსტიტუტის ქიმიურ-ფარმაცევტული ფაკულტეტის, ხოლო 1937 წლიდან დამოუკიდებელი ფარმაცევტული ინსტიტუტის რექტორია. ხოლო 1932 წლიდან ფარმაცო-ქიმიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. სწორედ ამ ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილების გამგედ მოიწვია იოველ ქუთათელაძემ ივანე ჯავახიშვილი. აქ ის 1936 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა. ივანე ჯავახიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ინსტიტუტის საბჭოს მუშაობაში. შემდგომ, მრავალგვარი გადატვირთულობის გამო, როცა ეს დავალება აღარ შეეძლო მთელი სისრულით აესრულებინა, ივ. ჯავახიშვილი მიმართავს ფარმაცო-ქიმიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს 1936 წლის 5 ოქტომბერს: „შოთა რუსთაველის მუზეუმში სასწრაფო ბეჭედი სამუშაოს გამო ფარმაცო-ქიმიურ ინსტიტუტში მუშაობის დრო აღარ მრჩება. ამიტომ გთხოვთ თქვენი ინსტიტუტის კონსულტანტობისაგან გამათავისუფლეთ“. რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის ბუნებას არ ეთანხმებოდა ის, რომ იგი გაფორმებული ყოფილიყო და არ ემუშავნა. ცხოვრების ძნელი ვითარების დროს კი პროფ. ი. ქუთათელაძის მიერ შემოთავაზებული სამუშაო მის მიმართ მზრუნველობისა და სიყვარულის გამოხატულება იყო. როგორც აკად. ი. ქუთათელაძის ქვრივი ე. მეზუზლა-ქუთათელაძე იგონებს, დირექტორმა, რასაკვირველია, დააკმაყოფილა განმცხადებლის თხოვნა, მაგრამ ისე კი, რომ განცხადებაზე რეზოლუცია არ დაუდგია. იგი მან შინ წამოიღო შესანახად, როგორც ფარმაცო-ქიმიურ ინსტიტუტში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის სამახსოვრო რელიკვია.

ი. ჯავახიშვილი თავის ხელნაწერს, მის კუთვნილ ისტორიულ საბუთს თუ დოკუმენტს სიამოვნებით უთმობდა დაინტერესებულ პირთ, თუმცა იქვე აკურატულ დაბრუნებას ითხოვდა. აქ ერთი დეტალი უნდა აღვნიშნოთ: 1928 წლის 15 სექტემბერს გიორგი ლეონიძე ბოდიშს უხდიდა ივანე ჯავახიშვილს, რომ დაუგვიანდა უკან დაბრუნება საბა-სულხანის სურათისა, რომელიც მას უნდა დაებეჭდა. დაგვიანების მიზეზს ასე ბსნიდა: „მიღებისთანავე სურათი გადაეცემა გამომცემლობაში იმ იმედით, რომ იგი ძალიან გაახარებდათ, მაგრამ გამომცემლობამ მის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა. მიზეზი: რომ საბა ანაფორაშია.“

თითქმის სამი კვირა დამჭირდა დამერწმუნებინა, რომ ასეთი ისტორიული ძეგლის დაბეჭდვა არავითარ საშუალებას არ წარმოადგენს, მაგრამ უარი უარად რჩებოდა, რომ არ ჩარეულიყვნენ პასუხისმგებელი კომუნისტები, რომელთაც ესმით ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობა“. მათ უმიზეზო სიფრთხილედ ჩაუთვლიათ ეს.



ივანე ჯავახიშვილი ნაზი გრძნობებით გამოხატავდა სიყვარულს დედისადმი. მისი დედა კი ამაყობდა სახელოვანი შვილით. საზღვარი არ ჰქონდა დედის ყურადღებას უფროსი ვაჟიშვილისადმი. არსებობს მრავალი წერილი: დედა ბოდიშს უხდის სტუდენტ შვილს, რომ მცირედ ფულს უგზავნის, მაგრამ შემდგომ, როცა მადლიერი შვილი იჩენს ყურადღებას, ეს გულსა სტკენს დედას. 1921 წლის მარტში თელავიდან დედა სწერდა რექტორ შვილს:

„ჩემო სიბარულო შვილო ვანო,

შენი გამოგზავნილი ფული მივიღე, რისთვის შეილო შენ პატარა შვილებს აკლებ და აქ გზავნი.

შენი ბიჭები კარგად არიან.

დაგოცნი უანგარიშოდ“.

მწარედ განიცადა 72 წლის დედის სიკვდილი ივანე ჯავახიშვილმა. 1928 წლის აგვისტოში დაჰკარგა დედა. მრავალი თბილისელი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას სამძიმრის პირადად გამოცხადებით ასრულებს. აუარებელი დეპეშა მიიღო ივანე ჯავახიშვილმა: ისინი მის არქივშია შენახული. ვინც ზაფხულის ამ ბოლო თვეს ვერ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას, დეპეშით გამოხატავს თანაგრძობას. მრავალთაგან ორს აღვნიშნავთ. პროფესორი ივანე თიქანაძე იწერება: „მე და ჩემი ოჯახი ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას. მუხლს ვიდრეკთ იმ ადამიანის ცხედრის წინაშე, რომელმაც მამულს ღირსეული შვილი აღუზარდა“.

ყვავილების ნამდვილი ჯადოქარი მიხეილ მამულაშვილი ულამაზეს სამ-გლოვითარო გვირგვინს გზავნის. მასში სიყვარულით გამთბარი წერილია: „პატივცემულ, იშვიათი შვილების აღმზრდელ დედას — უკანასკნელი სალამი“.



პეტერბურგიდან დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობდა მისი მეუღლის მამიდის მარია ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში (ახლანდელი კალინინის ქუჩა 66). მარია ჯამბაკურ-ორბელიანი მის მეუღლესთან ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანთან ერთად, გარდა მრავალი პატრიოტული, საქველმოქმედო მოღვაწეობისა, მრავალმხრივ მზრუნველობას ამკლავებდა ივ. ჯავახიშვილის მთელ ოჯახზე უსაზღვრო მადლობის წერილს უგზავნის ივანე ჯავახიშვილი ციხისძირიდან 1932 წლის 14 აგვისტოს ამ შესანიშნავ მოღვაწე ქალს მისი დაბადების 80 წლისთავზე (იგი გარდაიცვალა 89 წლის ასაკში 1941 წელს).

ივ. ჯავახიშვილი სწერდა: „ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი თქვენი დაბადებიდან 80 წლისთავის მოლოცვა და ლოგინიდან წამომდგარი ოდნავ მოკეთებული გისურვებთ კიდევ ხანგრძლივ ჯანმრთელობას და ბედნიერ სიცოცხლეს ჩვენ ყველას სასიხარულოდ. გისურვებთ ყველა თქვენი გულისნადების, ნატერისა და ოცნების აღსრულებას.“

...ძნელია უგაზთობა და არ ვიცი, რა ხდება დადამიწის ზურგზე, მაგრამ 1 ენკენისთვემდე ორი კვირა დარჩა...“

...მე მხოლოდ ის გარემოება მაწუხებს, რომ თქვენ ასე ყოველნაირად შევიწროებული ბრძანდებით ჩვენი წყალობით, რომ ერთ ოთახში მოგიხდათ ჩვენი გულსათვის მომწყვდევა და ვერც მოვახერხებთ საქმის ისე მოგვარება, რომ თქვენ არავითარი საზრუნავი არ გქონდეთ, ვერ შევძელით ისე მოწყობა, როგორც თქვენ შეგშენით და შეგეფერებათ... ის გარემოება, რომ ჩვენ მოვალეობას თქვენს წინაშე პირნათლად ვერ ვასრულებთ, აქაც მოსვენებას არ მაძლევს და მტანჯავს“.

თ ა ვ ი III. ქართული სამართლის მაცნებელი ისტორიის მისამართი

ქართული სამართლის ისტორია ჰუმანიტარული ქართველოლოგიის არსებითი ნაწილია. დიდად დაგვიანდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის მეცნიერული ისტორიის შექმნა.

ამას თავისი ახსნა, ჰქონდა.

ქართველ ისტორიკოს-მკვლევართა მიერ გზადაგზა გამოთქმული შეხედულებანი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობა-განვითარების შესახებ პრობლემების გადაწყვეტა როლი იყო.

იურისტ-საეციალისტთაგან მხოლოდ ერთადერთი ნ. თ. ხიზანიშვილი (ურბნელი) (1856—1906) იკვლევდა ქართული სამართლის ისტორიას. მან აქ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, თუმცა ამისათვის ბევრი ხელისშემშლელი გარემოება უნდა დაეძლია.

იმ ვითარებაში მოღვაწეობდა ნ. ურბნელი, როცა ქართული საისტორიო კვლევა-ძიება მეტად დაქვეითებული იყო, როცა არ არსებობდა ტექსტის აღდგენისა და წესიერად გამოცემის, მისი ფილოლოგიურად გამოკვლევის აუცილებლობის შეგნება. იმხანად ხსენებაც კი არ ყოფილა ქართული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკისა; საქართველოს ისტორია „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის განმეორებით და ზოგიერთ უცხო მწერალთა ცნობების დათვით კმაყოფილდებოდა. ამასთან, ნ. ურბნელი სამსახურებრივი დატვირთულობის მიუხედავად (იგი სასამართლო გამოძიებელი იყო), მაინც ახერხებდა ქართული სამართლის ისტორიაში ძვირფასი მონოგრაფიების შექმნას. იმ ვითარებაში შეუძლებელია, მკვლევარისაგან იმაზე მეტი მოგვეთხოვა, რაც ურბნელმა გააკეთა. მით უფრო, როცა მას წინამორბედი ამ საქმეში არ ჰყოლია. ეს გარემოება, რასაკვირველია, ჩვენ არ გვართმევს უფლებას ნ. ურბნელის ნაშრომთა ნაკლიც აღვნიშნოთ.

მ. კოვალევსკისა და ფ. ლონტოვიჩის მიმდევარი, იგი სამართლის განვითარების ყველაზე ადრინდელი საფეხურებისადმი იჩენდა გაძლიერებულ ყურადღებას. თავისთავად ეს მეტად საჭირო კვლევა არ იძლეოდა საშუალებას, მთელი სისრულით შეესწავლა მას განვითარების ყველაზე მაღალი დონე ძველი ქართული სამართლისა. ამასთან, ნ. ურბნელის შრომებს სათანადო პერსპექტივაც აკლდა. ქართული სამართლის ისტორიის კვლევა-ძიება უძველესი ხანიდან კი არა, არამედ XIV საუკუნიდან, ე. ი. დაქვეითების ხანის ძეგლებით დაიწყო, რაც სწორი გზის აღებას უძნელებდა მას. ქართული სამართლის განვითარების ზრული სურათის ჩვენებისათვის კი ვახტანგ VI-ის კოდიკონში დატული ძეგლები და აგრეთვე სხვადასხვა სოციოლოგიური მასალა საკმარისი არ იყო. ნ. ურბნელი არ ფლობდა ისტორიულ და ფილოლოგიურ მეთოდოლოგიას, რაც აუცილებელი იყო ქართული იურიდიული ძეგლების კრიტიკული განხილვისა და აღდგენისათვის. ამასთან, ძველი ქართულის უცოდინარობა ზოგჯერ ტექსტის დედააზრის სწორად გაგებას უძნელებდა. ყოველივე ამას ერთვოდა მიუწვდომლობა ევროპულ ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა, ამას ემატებოდა სპარსული და არაბული ენების არცოდნაც. ყველაფერი ეს კი აუცილებელი იყო საზოგადოდ დასავლეთ ევროპის, რომის, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სოციალური წესწყობილებისა და სამართლის მეცნიერული მონაცემებით სარგებლობისათვის, რომ ამ გზით მას სათანადოდ შეეფასებინა ქართული იურიდიული დაწესებულებანი.

თითქოს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ნ. ურბნელის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმის გამგარძელრებელი უნდა გამოჩენილიყვნენ ქართველ იურისტთა შორის. მათ უნდა შესძლებოდათ ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ზემოთ აღნიშნული ნაკლის გასწორება და შევსება, მაგრამ ეს ასე, სამწუხაროდ, არ მოხდა. ნ. ურბნელის შემდეგ არც ერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აურჩევია. ამ გარემოების გამართლება არაფრით არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება მისი ახსნა. ივანე ჭავჭავაძის აზრით, „შესაძლებელია ეს გარემოება იმითაც აიხსნებოდეს, რომ სამართლის ისტორიკოსი უნდა ერთსა და იმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგოს-ისტორიკოსიც უნდა იყოს, რაც, რასაკვირველია, იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე“.

ძველი სამართლის ისტორიკოსს კი ყველა ეს ნიშან-თვისება ერთობლივად უნდა ჰქონოდა. კლასიკურ ნიმუშად აქ შეიძლება ვახსენოთ თეოდორ მომზენის მაგალითი. ეს დიდი მკვლევარი (1817—1903) განათლებით იურისტი (სამართლის დოქტორი) გამოჩენილი ფილოლოგიცა და ბუმბერაზი ისტორიკოსიც იყო. თვითონ მომზენი თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებით წინ აყენებდა ძველი ისტორიის მკვლევართა ფილოლოგიური შეიარაღებას. იგი ძველს ისტორიას ფილოლოგიის ფართო სამყაროს ნაწილად განიხილავდა. სწორედ ძველი ძეგლების ჩაღრმავებული ჩხრეკა-ძიება, მისი ჩაწდრომა და სრულად აღქმა — აი რა წარმოადგენს, მისი აზრით, ფილოლოგიას. რასაკვირველია, შეცდომაა ფილოლოგიის არდაფასება, ისე როგორც მისი გადაფასება ძველი ისტორიის კვლევისას¹: ფილოლოგიის განსაკუთრებულად დიდი როლის წამოწევა და ხაზგასმა ძველი ისტორიის შესწავლისას თავისთავად როდი უარყოფს სამართლებრივი ინსტიტუტებისა და კატეგორიების სპეციფიკის შესწავლის საჭიროებას. სხვანაირად, რასაკვირველია, საკითხის დაყვანა მარტოდენ ფილოლოგიურ კვლევამდე სამართლის ისტორიას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ცალკე ფორმის შესწავლის აუცილებლობას, მოხსნიდა. ძველი სამართლებრივი მოვლენის ღრმა ჩაწდრომისათვისაა საჭირო ფილოლოგიურ-ისტორიული შეიარაღება. სხვანაირად ამ უკანასკნელს ჭეროვანი ეფექტის მოხდენა არ შეუძლია. ამ საკითხს ივ. ჭავჭავაძის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში (1922 წ. გვ. 137) ეხება და წერს: „ქართული სამართლის ამ პირველი წიგნის შინაარსი მხოლოდ I საუკ. ქ. წ. ხნით იწყება და VII საუკუნის ქ. შ. თავდება. ამაზე უძველესი ხანის შესახებ მდგომარეობის გასათვალისწინებლად არც სანდო და საკმაო წერილობითი ცნობები მოგვეპოვება და აქ, ამ წიგნში არც იმ ფრად საგულისხმო მასალების გამოყენება შეიძლება, რომელსაც ენის ტერმინოლოგიის ანალიზი გვაწდრის, რადგან ამისათვის ყოველი აზრისა თუ დებულების დასასაბუთებლად იმოდენა წმინდა ლინგვისტური საკითხების წა-

¹ სინტერესოდ წერდა 1886 წ. რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების მოაზრებაში (ტ. I, გვ. 148) აკად. ვ. რ. როზენი პროფ. ალ. ცაგარის „ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ ცნობათა წიგნის“ რეცენზიაში, რომ სანდო თარგმანებისა და კომენტარების დროს ისტორიკოსს, თუნდაც მან ასოც არ იყოდეს ორიგინალის ენისა, სრული უფლება აქვს და ვაღდებულებიყოს, იმეორებს ამ თარგმნილი ძეგლის ღირსებაზე. ამასთან ისტორიული კვლევის შედეგები, რომლებიც მოპოვებულია ფილოლოგ-სპეციალისტების მიერ, უნდა გამოყენებულიყოს ისტორიკოსების მიერ უფრო ფართო თვალსაზრისით. აკად. ვ. რ. როზენს კონკრეტული დასკვნა გამოჰყავდა: „ზოგაერთო არაბი ისტორიკოსის ღირსება და მნიშვნელობა უკეთესად არის გაშუქებული იმ ისტორიკოსების მიერ, რომლებმაც არ იყოდნენ არაბული, ვიდრე არაბისტ-სპეციალისტების მიერ“. რასაკვირველია, რეალურ ისტორიულ პროცესის კვლევისათვის თავისთავად ვერ შეცდრის თუნდაც ჩაღრმავებული ლინგვისტური ანალიზი მოვლენებისა.

მოყენება-გაშუქება იყო საჭირო, რომ ქართული სამართლის ისტორია მაშინ წმინდა ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევად იქცეოდა, რაც სრულებით შეუძლებელი იყო“.

ივანე ჯავახიშვილი თავის თავში აერთიანებდა ფილოლოგისა და ისტორიკოსის ღრმა მეცნიერულ შეიარაღებას სამართლის საფუძვლიან ცოდნასთან შეერთებულს. სტუდენტობის დროს, ბერლინში ყოფნისას, ის ხომ იწვრთნებოდა სამართლის ისტორიაში. მეტიც, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მის თითქმის ყველა შრომაში გაძლიერებული ინტერესი ჩანს სამართლის ისტორიაში. ამ დროისათვის ყველაზე მეტი შრომა მას სამართლებრივ საკითხებზე ჰქონდა გამოქვეყნებული. თვით მის საცდელ ლექციებში, განსაკუთრებით კი მის მიერვე შერჩეულ საცდელ ლექციაში უპირატესად სამართლებრივი საკითხები იყო მიმოხილული. 1900 წლიდან დაიწყო იურიდიულ საკითხებზე გამოკვლევების გამოქვეყნება, როცა 1900 წელს ჟურნალ „მოამბეში“ მისი „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დაეით და ბატონიშვილი იულონ“ დაიბეჭდა. ხანგრძლივად მუშაობდა ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე. ეს მუშაობა თითქმის 30 წელიწადს გრძელდება. ადრე გამოქვეყნებული სტატიების და მონოგრაფიების კონცენტრირებული გამოხატულება „ქართული სამართლის ისტორიის“ ფუნდამენტური კურსების გამოცემით მთავრდება. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამ მონუმენტური ნაშრომის საბოლოო ტექსტის გამოქვეყნებას შევუხოთ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მან შეიწოვა 1907 წლამდე გამოსული ივ. ჯავახიშვილის მთელი რიგი გამოკვლევების მეცნიერული შედეგები.

1907 წელს 23 მარტს თავის მეგობარს ალექსანდრე ყიფშიძეს (ფრონელს) ივ. ჯავახიშვილი სწერდა: „ეხლა მე ვწერ ქართული სამართლის ისტორიას“, დიდი გამოდრს და იმედი მაქვს, გაისამდინ გავათავო, შემდეგ სიგელ-გუჯრებს და სხვა მასალებს ვიკვლევ XIII—XIV საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, რა საყურადღებო მასალებია!“

სწორედ ამ წლის შემოდგომისათვის ამთავრებს იგი „ქართული სამართლის ისტორიას“. ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ, თუ როგორი პირვანდელი სახე ჰქონდა ამ ნაშრომს. ამას ივ. ჯავახიშვილი გვაცნობს არ. ჟორჯიანისადმი 1908 წლის 21 სექტემბერს გაგზავნილ წერილში: „ეხლა მე „ქართული სამართლის ისტორიის“ გარდა დამზადებული არაფერი მაქვს... ეს ისტორია რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი.

I. 1) ქართული სამართლის წყაროები, 2) ქართული სამართლის ტერმინები. II. სახელმწიფო სამართალი, 1) საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა და ერთ სახელმწიფოდ დაარსება, 2) მეფის უფლება და მოვალეობანი, მისი დაგვირგვინებისა, დარბაზობისა და დაკრძალვის წესრიგი, 3) გამგეობა და მოხელენი. 4) წოდებანი. III. სამოქალაქო სამართალი (ცოლქმრობის, მამაშვილობის, მემკვიდრეობის, ანდერძის, საკუთრებისა და ხელშეკრულობის სამართალი), IV. სისხლის სამართალი, V. სამართლის წარმოება, VI. საეკლესიო და VII. საერთაშორისო სამართალი. ეს გამოკვლევა ისეა დაწერილი, რომ დარწმუნებული ვარ, ყოველი განათლებული ქართველი ადვილად გაიგებს და, რაკი უძველესი დროიდან მოყოლებული ქართული სამართლის ისტორია ჯერ არავის არ განუხილავს და არ გამოუკვლევია, ამიტომ მრავალი ახალი რამ აღმოჩნდა და ამის გამო ჩვენი განათლებულ საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს“.

მიღებული ტრადიციებისამებრ მშობლიურ თბილისში ივ. ჯავახიშვილმა

1909 წელს, 27 და 28 მაისს, ორი საჯარო ლექცია წაიკითხა, როგორც კონსპექტი „ქართული სამართლის ისტორიისა“. იმავე წელს ჟურნალ „ერში“ („ჩვენს ერა“) დაიწყო „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა; დაიბეჭდა ერთი მცირე ნაწილი აგრეთვე „საქართველოს მოამბეში“. ამ გზით მოხერხდა მხოლოდ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის წყაროების ისტორიული კრიტიკული გარჩევის შემცველი თავების დაბეჭდვა. შემდგომ ივ. ჭავჭავაძის, მართალია, ვერ ახერხებს „ქართული სამართლის ისტორიის“ სხვა ნაწილის ბეჭდვას, მაგრამ განაგრძობს „უეუწყვეტივ კვლევას, ავსებს და ამდიდრებს მას. 1914 წლის 20 სექტემბერს კიტა აბაშიძეს სთხოვდა გაეგო, შეუძლია თუ არა მთავრიშვილს გამოსცეს „ქართული სამართლის ისტორია“. იმავე წლის 16 ნოემბერს, გამოთქვამს რა სურვილს თბილისსა და ქუთაისში საჯარო ლექციების წაიკითხვის შესახებ, ასახელებს ლექციების თემატიკას: „მე მინდა სამი ლექცია წაიკითხო. თითო სამ-სამ საათიანი „ქართული სამართლის ისტორია“ IX—XVII სს.“.

ქართული სამართლის ისტორიის ცოდნა ახლა ყველასათვის საჭიროა და მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს საზოგადოებას მისი ცოდნა აზროვნებას გაულრმავებს.

სრულიად ახლად მაქვს ვრცლად გამოკვლეული საქართველოს სამოხელეო წესწყობილება, ვაზირთა უფლებანი და მოვალეობანი, საეაზირო საბჭოს სხდომისა და ბჭობის წესრიგი, გამორკვეულია და დაერწმუნდი, რომ საქართველოში XI—XV ს. მშენიერად შემუშავებული და განვითარებული სამოხელეო წესწყობილება ყოფილა. ეხლა მე ვათავებ აგრეთვე სისხლის სამართალს ვახტანგ მეფის დროს“ (გამიზნული ლექციები ჩატარდა 1915 წლის იანვარში თბილისსა და ქუთაისში). წიგნზე მუშაობას ის უწყვეტად განაგრძობდა. სწორედ ამის შესახებ სწერდა იგი 1916 წლის 30 აგვისტოს კიტა აბაშიძეს: „როგორც განზრახული მქონდა, „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი „სახელმწიფო სამართალი“ ისე ვერ დავამთავრე, რომ ეხლავე დასაბეჭდად მიმეცა. ამ ზამთარს უნდა დავამთავრო საბოლოოდ, რომ საშობაოდ გამომცემელს ჩავაბარო. მრავალი საგულისხმო საკითხი ირკვევა და საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება სრულებით მკაფიოდ და ცხადლივ თვალწინ წარმოდგა. სანამ შეგროვილი მასალებისდა მიხედვით გამოკვლევის წერას შევეუდგებოდი, მე არც კი მეგონა, რომ ამდენად ზედმიწევნით გამოირკვეოდა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების სურათი და წესწყობილების უმთავრესი დაწესებულებანი. ამავე დროს „ქ-ლი ერის ისტორიის“ III წიგნსაც ვწერ და თანდათან „ისტორიის მიზნისა და მეთოდების“ III წიგნისათვის ცალკ-ცალკე საკითხების კვლევას შევეუდგე“. ეს მუშაობა მან პეტერბურგშიც განაგრძო. 1916 წლის 10 ნოემბერს იგი სწერდა მ. ჭამბაკურ-ორბელიანს: „აუთარებელი სამუშაო მაქვს, დილითგან ღამის 10 საათამდე განუწყვეტივ ვმუშაობ, „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნს ვამზადებ დასაბეჭდად და თანდათან „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნსაც ვწერ“.

1917 წელს ქუთაისში დაიწყო „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა, იგი გამოვიდა კიდეც 1919 წელს, შეცდომით I წიგნის სახელით. ეს მაშინ, როცა გამომცემული ნაწილი ამ ისტორიის II წიგნის მხოლოდ პირველ IX—XII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის, მოსახლეობისა და მოხელეობის შესახებ ცნობების შემცველ ნაწილს შეადგენდა. ამ გამოკვლევის სხვა ნაწილების გამოქვეყნება შემდგომ დიდხანს ვერ მოხერხდა.

ქართული სამართლის ისტორია უნივერსიტეტში პირველად წასაკითხ

დისციპლინებს შორის იყო. მისი წაკითხვა თავიდანვე ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. იგი სავალდებულო საგნად იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, იურიდიული (სოციალ-ეკონომიური) ფაკულტეტის დაარსებაზე ბევრად ადრე. საუნივერსიტეტო კურსად ქართული სამართლის ისტორიის წაკითხვა ამდღარებდა და აწინაურებდა ამ მეცნიერებას. „ლექციებზე ხმაშალალი აზროვნება“ ახალ იდეებსა და დასკვნებს შობდა. 1927 წლის დეკემბერში დაიწერა ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნზე, ე. ი. ოცი წლის გასვლის შემდეგ დასრულდა და დაიბეჭდა იგი. ამით მეცნიერების ამ დარგის შესწავლამ დიდად მოიგო. ამიტომ მისთვის ჩვეული მეცნიერული თავმდაბლობით აიხსნება ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ წიგნის წინასიტყვაობაში გაკეთებული დასკვნა: „ასეთ ხანგრძლივი დროისა, სხვაგან და სხვადასხვა პირობებში გაწეულ კვლევა-ძიებას, რა თქმა უნდა, სრული ერთგვარობა არ ექნება იმისდა მიუხედავად, რომ მისი ავტორი ყოველნაირად ცდილობდა ასეთი ერთგვარობა დაეცვა“.

ქართული სამართლის ისტორია სამ წიგნად გამოვიდა: 1928 წელს წიგნი პირველი და მეორე, 1929 წელს წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე. ამით ერთბაშად ქართული სამართლის მეცნიერულ ისტორიას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. იგი მთელი მისი დარგების შესწავლით განხორციელდა (უფრო ადრე, როგორც დავინახეთ, უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მომენტები იქნა განხილული „ქართულ სიგელთმცოდნეობაში, ანუ დიპლომატიკაში“).

ივ. ჯავახიშვილისათვის სახელმწიფო არ არის კლასობრივი ბატონობის იარაღი. სახელმწიფოს ისტორიული შესწავლა მასთან გულისხმობს საქართველოს მიწა-წყლისა და მოსახლეობის დახასიათებასაც. შედეგად კიდევ უფრო ფართოვდება მისი ნაშრომის კვლევის სფერო. ამ წიგნის მნიშვნელობას კიდევ ის ზრდის, რომ ავტორი არა მარტო უძველეს საკითხებს სამართლის ისტორიისას უკვეს, არამედ, ამასთან ერთად, ხშირად გვაძლევს სოციალური და პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა კონკრეტული მომენტის დადგენას. ამ მხრივ ეს წიგნები თვითონ ავსებენ „ქართველი ერის ისტორიას“.

ერთ პიროვნებაში გაერთიანებული ისტორიკოსი და ფილოლოგოსი, პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის დიდი სპეციალისტი, ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის მცოდნე, როცა მას თითქმის ყველა ამ დარგში ღრმა კვლევითი მუშაობა უკვე აქვს შესრულებული, წერს იურისპრუდენციის ცოდნით ქართული სამართლის ისტორიას და თავიდანვე მალაღონებს მისი ამ დარგის შესწავლისას.

„ქართული სამართლის ისტორიის“ წიგნების დაგვიანებით გამოსვლას მხოლოდ სიკეთე მოჰყვა. მდიდარი და უკეთესი სამშენებლო მასალით აიგო ამ დარგის მეცნიერული საძირკველი. მართალია, სამშენებლო მასალა ძალზე ძნელი საშოვნია იყო. ივ. ჯავახიშვილი მერყეობდა კიდევ: უპირველესად ხომ საჭირო იყო ქართული საისტორიო ძეგლებისა და საბუთების ოდნავ მაინც მეცნიერული გამოკვლევა. ამას ემატებოდა ისიც, რომ მრავალი ხელნაწერი აღუწერილი იყო. ამ ხელნაწერების ანდერძებისა და მინაწერების ხელმოწერვლობა, საეკლესიო სამართლის ძეგლების გამოუცემლობა, რაც დიდად აძნელებდა კვლევა-ძიების წარმოებას, მით უფრო, როცა ყოველივე ამას ერთი კაცი ახორციელებს. აი რა აფიქრებდა და ჰმუნვით ავსებდა ივანე ჯავახიშვილს. რჩებოდა ერთი გამოსავალი: ჯერ მომხდარიყო ერთობლივი ძალით ხელნაწერების სრული აღწერილობის შედგენა და ტექსტების კრიტიკული გამოკვლევა. მხოლოდ ამ გეგმის განხორციელების შემდეგ შეიძლებოდა ქარ-

თული სამართლის ისტორიის სრულად დამუშავება. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით იმ დროს ეს გეგმა „განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა“. ამ ვითარებაში ივ. ჯავახიშვილს ერთი გამოსავალია რჩებოდა: საქმის გადახანებით არ ეძებნა ადვილი გზა, არ შეშინებოდა სიძნელეების და იმდენი რამ გაეკეთებინა, რაც მართლაც ერთის შეხედვით თითქოს აღმატებოდა მარტო კაცის ძალეებს.

კოლოსალური მუშაობის ჩატარება მოუხდა ივ. ჯავახიშვილს სამართლის ამ მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. სამართლის, სახელმწიფო წყობის საკითხები, თითქმის ყველა, პირველად აქ არის წარმოდგენილ-განხილული და ყოველივე დებულება წყაროებიდან ამოღებული მრავალრიცხოვანი ცნობით დადასტურებული. რასაკვირველია, როდი იყო შესაძლებელი იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, უძველესი ქართული სამართლებრივი ძეგლები არც შემოგვრჩა. ამ ვითარებაში საისტორიო ძეგლებით და საბუთებით უნდა ესარგებლა მკვლევარს. აქ კი არც მანამდე და არც შემდგომ არ გვეოლია ჩვენ ქართულ-საისტორიო მწერლობის უფრო დიდი მცოდნე, მკვლევარი, ვიდრე ივანე ჯავახიშვილია.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას ივ. ჯავახიშვილი უძველესი დროიდან იწყებს, სახელდობრ პირველი საუკუნიდან ქრისტეს წინ. გასაგებია, რომ ამ ხანისათვის მას არ აქვს იურიდიული წყაროები, სამაგიეროდ დიდი ისტორიკოსის ცხოველმყოფელი ნიჭი საშუალებას აძლევს, გაბურლოს, ჩასწვდეს სამართლის უძველესი განვითარების ხვეულებს და იურიდიული მოვლენის სპეციფიკურობაც დაინახოს. თუ ლეონტი მროველის ისტორიულ შეხედულებათა კრიტიკა მას საშუალებას აძლევს, გამოყოს და განასხვავოს რეალური ლეგენდარული საგან, შემდგომ იგი გვაძლევს სტრაბონის ცნობების შეფასებას ჩვენი ხალხის ძველი სახელმწიფოებრივი წყობის შესასწავლად. ასევე V—VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის შესასწავლად ძვირფას ცნობებს გვაწვდის იაკობ ხუცესი შუშანიკის წამებაში, ასეთივე ცნობები მოგვეპოვება ევსტათე მცხეთელის მარტივილობის აღწერისას და ა. შ.

ძველს პერიოდში ცოლქმრობისა და ქორწინების დასახასიათებლად ივ. ჯავახიშვილი საისტორიო მწერლობის სხვადასხვა ძეგლს მიმართავს. ამასთან, აღნიშნავს, რომ ცნობები ქორწინების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. „ქრისტიანობამ კი ბევრი წარმართობის წესები ამოფხვრა და თავისი შემოიღო. სხვათა შორის ცოლქმრობისათვის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხევა, გვირგვინთა კურთხევა აუცილებელ პირობად გააჩნდა. ამ გარემოებამ ქორწინების ზოგი ძველი წესები შესცვალა და ამით მათ პირვანდელი თვისებები დაუკარგა“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 159). მიუხედავად ამისა, ისტორიული მონაცემები ადასტურებენ, რომ საეკლესიო ჭვარისწერას თვით XV—XVII საუკუნეებში ყველა სავალდებულოდ არ თვლიდა. საცვებით სწორია ამასთან ერთად ივ. ჯავახიშვილის მტკიცება, რომ თვით „ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნე-ჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შენახული, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლქმრობის დამყარების ძველისძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელია. ამიტომ, — დაასკვნის იგი, — მკვლევარი ვალდებულია ყველა, მცირეოდენი ცნობებიც კი გამოიყენოს, რომელიც ამ საკითხის გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს“ (იქვე, გვ. 160). და სწორედ თვითონ გვაძლევს დიდად მისაბამ მაგალითს

იმისა. თუ როგორ შეიძლება მკვლევარმა საისტორიო ძეგლის არაპირდაპირი მონაცემებით აღადგინოს ქორწინებასთან დაკავშირებული უძველესი წესი, სახელდობრ ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ცოლ-ქმარს შორის. ასე, შუშანაყის წამებიდან მოყვანილი ერთი ადგილით, რომელიც დამოწმებულია შემდგომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიის სხვა წყაროებით, ადასტურებს იმას, რომ პირველად საქმროს მიჰქონდა საცოლის ოჯახში ქონებრივი საჩუქარი ქალისათვის, თუმცა ტერმინი „მზითვეი“ დაბადების ქართულ თარგმანებშიც გვხვდება. საქმროს მიერ ქონების მიტანა საცოლისათვის იმის გამოხატულება უნდა იყოს, რომ ქალისათვის თითქოს სასყიდელს იხდიდა საქმრო. მხოლოდ ამ საჩუქრის მიტანის შემდეგ ჩამოთვლიდნენ ხოლმე საცოლის მზითვესაც. სხვადასხვა წყაროში მოძიებული ცნობებით ივ. ჭავჭავიძე ქორწინების ძველ ცერემონიაში უძველესი წეს-ჩვეულებების გადმონაშთს პოულობს, ასე, საეკლესიო ჭვარისწერის შემდეგ ორივე მხარის მაყარები რომ ხმალს აწოილებდნენ და ეკლესიის კარს მიბაძინებდნენ და მის ქვეშ სასიძო და საცოლე გაივლიდნენ, ამაში უეჭველია დაცულია — ივ. ჭავჭავიძელის აზრით, — ცოლის წაგვრისა და მოტაცების ძველი წესები. „აქ უკვე მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება იყო იმ ხანის სურათისა, როდესაც საქმრო თავის საცოლეს მოტაცებით ირთავდა, როცა ის მართლაც იძულებული იყო ცხენისანი და შეიარაღებული თანამებრძოლებითურთ შორს გზას გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყვანა, როდესაც ამოწდილი ხმლები მშვიდობიანი ქორწილის მარტო მხატვრული სამკაული კი არ იყო, არამედ, აპრიალებული ხმლების ტრიალი სწარმოებდა“ (ქ. ს. ი. წიგნი I, გვ. 164).

ნათესაობის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების ანალიზით ივ. ჭავჭავიძე დაქორწინების უძველეს ფორმებს აღგვიდგენს.

ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის საშუალებით ივ. ჭავჭავიძე ახასიათებს სახელმწიფო წყობილების თავისებურებებს ძველს საქართველოში.

„ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნი სამართლებრივი ტერმინოლოგიის ღრმა ანალიზით იწყება. აქ ავტორს უღარესად შრომატევადი სამუშაოები აქვს ჩატარებული. ეს მუშაობა გულისხმობდა ქართული იურიდიული ტერმინების სრული ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამორკვევას ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებითი შესწავლის გზით. საქმე მარტო ტერმინოლოგიურ შედარებას კი არ ეხება, არამედ სხვადასხვა ქვეყნის სამართალთან ქართული სამართლის შედარებით დახასიათებას. ივ. ჭავჭავიძელის განცხადების მიუხედავად, რომ მას „ქართული სამართლის ისტორიის შედარებითი შესწავლა მიზნად არ დაუსახავს“ (ქ. ს. ი., წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. XII), მის ამ კაპიტალურ წიგნებში სწორედ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის მეზობელი ქვეყნების, სამართლის ცოდნამ განაპირობა ის, რომ მას ფრიად საგულისხმო დასკვნები აქვს მოპოვებული ქართული სამართლის განვითარების უძველესი და უძნელესი პერიოდიდან. ყველაფერი ამის მიღწევა შეუძლებელი იყო ამ ქვეყნების სამართლის ისტორიის ღრმა ცოდნის გარეშე.

ივ. ჭავჭავიძე ახასიათებს იმ განსხვავებულ შინაარსს, რაც „კანონ“ სიტყვას, ჰქონდა ძველ ქართულ სამართალში. იწყებს თვით ამ სიტყვის წარმოშობით, „კანონი“ ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული.

თვით ბერძნულში კი ეს სიტყვა შეხიზნულია ძველბერძნულ დროსვე, უკვე ჰომეროსის წინათ, ერთ-ერთ სემიური ენისაგან, სადაც იგი ლერწამს ნიშნავდა, ლელის მუხლებს. „ბერძნულად „კანონს“ თავდაპირველად ზუროს ერთს ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს

მაგიერ სისწორის გასაგებად ხმარობდნენ ხოლმე. შემდეგ საბერძნეთშიაც სპარტის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდნენ, იმიტომ რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა“. (ქ. ე. ი. წიგნი პირველი, გვ. 4). ამას მისდევს „კანონის“ სხვადასხვანაირი გამოყენება ქართულ ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში.

ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებისათვის ნიშანდობლივია, რომ იგი ტერმინოლოგიურადაც განასხვავებდა იმას, რაც იურიდიული ნორმებით დადგენილ ქცევის წესებს გამოხატავდა და იმას, რაც ცალკეული პირის შესაძლებელ მოქმედებას გამოხატავდა. პირველს სამართალი ერქვა. „ეს სიტყვა „მართალისაგან“ არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად „სწორესა“ ნიშნავდა. ამისდამიხედვით „სამართალიც“ სისწორესა და სწორობას აღნიშნავს“. მეორეს კი „უფლება“ ეწოდება. თუ ქართულ ტერმინს „თავისუფალი“ ჩაუყვირდებით — წერს ივ. ჯავახიშვილი — ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ცხადი იქნება: ის იყო „თავისუფალი“, ვინც თავის თავის უფლად ან ბატონად იყო, ვისაც ბატონი, ან უფალი არ ჰყავდა და ბატონს არ ემორჩილებოდა“. იმავე მნიშვნელობით, „რაც „სამართალს“ ჰქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „სჯული“ იხმარებოდა. „ეს სიტყვა ზმნა „სჯასაგან“ არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“ (ქ. ს. ი. წიგნი I, გვ. 8). დადგენილ სამართლებრივ ნორმას იმ დროს გაჩენილი სამართალი ერქვა. საკანონმდებლო კრების ნაღვანს და დადებულს ძეგლი ერქვა, რომელიც ასევე იწოდებოდა „ძეგლის წერაჲ“.

სიტყვა „წესი“ არც სამართალს, არც კანონს, არც სჯულს არ უდრიდა და ეთანასწორებოდა. წესი აღნიშნავდა ისეთ ცნებას, რომელიც მუდმივად მოქმედებს საზოგადოებრივ, სახელმწიფო და საეკლესიო ცხოვრებაში. ასეულობით ამგვარი იურიდიული ტერმინების შინაარსს ქართული სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პოულობს მკითხველი ამ წიგნებში.

„ქართული სამართლის ისტორიის“ პირველსავე ტომში დახასიათებულია ქართული სამართლის წყაროები. ეს მიმოხილვა ქართულ სამართლის პირველი ძეგლებით იწყება და მთავრდება ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროინდელი სამართლებრივი ძეგლებით.

ქართული სამართლის ძეგლების შესწავლას ივ. ჯავახიშვილი საეკლესიო სამართლის ძეგლებით იწყებს. ეს სავესებით ბუნებრივია. ჭერ ერთი, ეკლესია თავის წერილობით ძეგლებს უკეთესად იცავდა და ინახავდა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ქართული სამართლის უძველესი გადარჩენილი ძეგლები საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია. მეორე, ივ. ჯავახიშვილს საკუთრივ საეკლესიო სამართლის შინაგანი განვითარება კი არ აინტერესებს, ვთქვათ, მსოფლიო საეკლესიო კრებების მიღებული კანონებისა, ბერძნული დედნისა და ქართულა თარგმანის დამოკიდებულების საკითხი, [ეს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „საეკლესიო სამართლის მეკლევართა, კანონისტების საქმეა“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 32)], არამედ ის თავისებურებანი, რაც ქართულად არსებულ საეკლესიო სამართლის ძეგლებს ახლავს. სწორედ ამ სხვაობის წარმოჩენით სურს მას წარმოგვიდგინოს ჩვენი სამართლის განვითარების სპეციფიკურობა. ამ კვლევაძიების პროცესში სწორედ ივ. ჯავახიშვილის დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა აღნიშნა: თუ აქამდის ეფთვიმე მთაწმიდელი „ცნობილი იყო მხოლოდ, ვითარცა სწორუპოვარი მთარგმნელი და სახელგანთქმული მწერალი, ამიერი-

დან ის უნდა ცნობილ იქმნეს, ვითარცა ერთი უდიდესი ქართველი იურისტთაგანი“ (ქ. ს. ი., წიგნი 11, ნაკვეთი მეორე, გვ. X111).

საეკლესიო სამართლის ნორმებს ძველ საქართველოში მოქმედების ფართო ასპარეზი ჰქონდა. ეს ნორმები ფეოდალური სამართლის ორგანული ნაწილი იყო. ეს სამართალი საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებისაგან შედგებოდა. ეკლესია ხომ იმ დროს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდი ფაქტორი იყო. იგი მთელი რიგი სამართლებრივი უპირატესობით იყო აღჭურვილი. მისი მოქმედების არე სრულიადაც არ იყო შემოზღუდული წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით. „რაკი ეკლესიას საქართველოში თავისი დროშა და საკუთარი ჯარი ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა მოეპოვებოდა, თავის ეკონომიური პოლიტიკა ჰქონდა და თავისავე სასამართლო, ამიტომ ქართულ ეკლესიას ბევრის მხრივ სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობა“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 18).

ეს გარემოება განაპირობებდა იმას, რომ საეკლესიო სამართლის შესწავლა სრულიადაც არ შეიძლებოდა ამოწურულიყო მსოფლიო და ადგილობრივი ძეგლისწერის შესწავლით, ვინაიდან ამ აქტების მთელი მოცულობით როდი ამოიწურებოდა საეკლესიო ხელისუფლებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამიტომ გადაჭრით ამბობდა ივ. ჯავახიშვილი: საეკლესიო სამართალი წმინდა საეკლესიო თვისებებით კი არ იყო ქართული სამართლის ისტორიის კვლევისათვის საინტერესო, არამედ „როგორც საეკლესიო წესწყობილების მომწესრიგებელი, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, ვითარცა სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიისა და დაწესებულებათა პატრონი, ამასთანავე რამდენადაც საეკლესიო სამართლის მოძღვრებას სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე გავლენა ჰქონდა“ (იქვე, გვ. 19). გასაგებია, რომ ამიტომ ივ. ჯავახიშვილმა თავისი კვლევის სფეროს გარეშე დატოვა იმ წმინდა საეკლესიო სამართლებრივი ნორმების შესწავლა, რომლებიც საიდუმლოებათა და შეცოდებულთა შესახებ მოძღვრებას ავითარებდნენ. ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი იკვლევს საკითხს ქართული და მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათა თანაფარდობის შესახებ. მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილი მოქმედი სამართალი იყო საქართველოში. ამ აქტებიდან ივ. ჯავახიშვილი ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობს ე. წ. დიდ სკულის კანონს, მის თარგმანებსა და მოქმედებას საქართველოში. სისტემატურად და ქრონოლოგიურად დალაგებული, მასში ბევრი ნორმა შეტანილი სამოქალაქო კანონმდებლობიდან და სხვა ძეგლებიდან. ეს დიდ სკულის კანონს მეტად მნიშვნელოვან ძეგლად აქცევს სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. ივ. ჯავახიშვილი წუხს, რომ ჭერჭერობით არ არის მეცნიერული გამოცემა ამ ძეგლისა (იგი მხოლოდ 1975 წელს გამოიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ე. გაბიაშვილის რედაქტორობით).

შემდგომ დახასიათებულია საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კრებების ძეგლები. ამ უკანასკნელთაგან ბევრი, როგორც ჩანს, დაიკარგა. მათი არსებობა კი საგულეებელია, ვინაიდან ქართველთა და სომეხთა ეკლესიის განხეთქილების შემდგომ შეუძლებელია „ქართველთა სამღვდლოებას ამის საპასუხოდ საეკლესიო კრებაზე შესაფერისი დადგენილება არ განეჩინა და შუამომავლობისათვის ეს წერილობით არ შეენახა“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 38).

შემდგომ კი გაანალიზებულია 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლის წერა—ქართული საეკლესიო სამართლის ეს უმნიშვნელოვანესი აქტი. იგი

არა მარტო ცნობილი და აღიარებული იყო, არამედ შეტანილ იქნა დიდ სჯულის
 კანონში და შექონახულია, როგორც მისი დამატება. ეს შეიძლებოდა მომხდარ-
 რიყო მხოლოდ იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ადგილობრივი საეკლესიო
 ძეგლი ჩამოყალიბებულია მსოფლიო კრებების ძეგლის წერისაგან და მათ
 შორის ამიტომ მრავალი შინაარსობრივი თანხვედრაა. რუის-ურბნისის კრების
 ძეგლის წერა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მსოფლიო საეკლესიო კრების
 დადგენილებებს. რომლებიც დიდ სჯულის კანონშია შესული. როგორც სავ-
 სებით სწორად შენიშნავს ივ. ჭავჭავიძე, ამ ძეგლის წერაში არც ერთი
 სტრიქონიც კი არ მოიპოვება რაიმე დოგმატური უთანხმოების შესახებ. პირი-
 ქით, იგი გამომდინარეობს უკვე მიღებული მსოფლიო საეკლესიო კრებების
 დადგენილებებიდან, ისინი მასში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი. რუის-ურბნი-
 სის კრების დადგენილებათა შემდგენელი არა თუ ეთანხმებიან მათ, არამედ სა-
 ვალდებულოდ გაუხდიათ მათი ცოდნა, „ამათი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და
 მტკიცედ პყრობაჲ“ (დიდი სჯულის კანონი, გვ. 547) მართლმადიდებლობის ყვე-
 ლა მსახურისათვის. ამ საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევას სულ სხვა მიზნები
 ჰქონდა. იგი, ეს კრება, მართალია, ლეთის შეკრებილად არის გამოცხადებული,
 მაგრამ მისი მოწვევა მეფის ბრძანებით მომხდარა. დავით აღმაშენებელს აქ
 სრულიადაც არ ჰქონია მიზნად დოგმატური საკითხების ძიება, არამედ კრების
 საკანონმდებლო შემოქმედების საგანი ყოფილა საეკლესიო წესწყობილების,
 სამღვდლო მსახურების წესებისა და მრევლის ზნე-ჩვეულებათა და შეცოდებ-
 ლელების განმართვა და მოწესრიგება. მაშასადამე, მისი რეგულირების სფეროში
 ასევე საერო ურთიერთობანი ხვდებოდა. ამიტომაც მას განსაკუთრებული
 მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიისათვის. ამასთან ეს ძეგლი
 ადასტურებს დავით აღმაშენებლის დროს სამეფო ხელისუფლების სიძლიერის
 განმტკიცებას საეკლესიო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. ეს უკანასკნე-
 ლე ახლა არ იშურებს ფერად-ფერად შედარებებს, რომ დავით აღმაშენებ-
 ლის მეფობის სიდიადე აჩვენოს. ახლა საქართველოს ეკლესიის მესვე-
 ურნი სამეფო ხელისუფლების გაბედული სახელმწიფო და კულტურული მოღ-
 ვაწეობის თანამზრახველები და დაუღლეი მონაწილენი არიან. გასაგებია,
 რომ სამეფო ხელისუფლების შესუსტების შემდეგ, სხვა საუკუნეებში, ეკლესი-
 ათა თავის სამართლებრივ პრივილეგიებს ყოველთვის როდი წარმართავდა სა-
 მეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ეკლესია სა-
 ქართველოში სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებებით იყო აღქურვილი, მისი
 უფლება-უპირატესობის შესახებ ჩვენ ვერაფერს გავიგებთ მსოფლიო ან ადგი-
 ლობრივი საეკლესიო კრებების ძეგლებიდან. ამ ფრიად საყურადღებო საკით-
 ხის შესწავლისათვის დასძენს ივანე ჭავჭავიძე, მკვლევარმა სიგელ-გუჯრებს
 უნდა მიჰმართოს. აქ სამეფო ხელისუფლების სისუსტის დროს ნახავთ, რომ სა-
 ქართველოს ეკლესიის უზენაესი საკეთმპყრობელი განსაკუთრებული უპირა-
 ტესობით „საკუთარი ჭარის ყოლისა და საკუთარი სარდლის მეთაურობით ლაშ-
 ქარ-ნადირობაში განცალკევებული სამხედრო ერთეულის სახით მონაწილეო-
 ბის უფლებაა აღბეჭდილი“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 58), აგრეთვე მონასტრე-
 ბის წესდებანი და განგებანი გვაძლევენ წარმოდგენას არსებული სამონასტრო
 წყობის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთში დახასია-
 თებულია ეკლესიის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოვლე-
 ნები, როგორც ნაწილი იმდროინდელი სახელმწიფო სამართლისა. ეს ნაკვეთბუ-
 ლია ქართული სამართლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ჭრილში. მკითხველი

აქ იპოვნის შეხედულებათა იმ ცვალებადობას, რაც აღრინდელ ქრისტიანობას მოუვიდა სახელმწიფო რელიგიად ცნობის შემდეგ. აღრინდელ ქრისტიანთა შორის ისეთი პირები იყვნენ, რომელთაც ქალწულობისა და სივლახაკის აღთქმა ჰქონდათ დღებელი და ზნეობრივი სისპეტაკის დაცვა სურდათ, მაგრამ ცხოვრებაში ამის განხორციელება აღვილი როლი იყო. ისინი ხალხში სიარულისა და ტრიალის დროს ბევრჯერ ჩაცვნილან განსაცდელში და მიცემული აღთქმის ასრულება გაძნელებიათ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ძველი ისტორიული ცნობა, იმის შესახებ, რომ III საუკუნეში ეს „ქალწული“ ხშირად ერისკაცებზე უარესად იქცეოდნენ და მრუშობდნენ. იმისათვის, რომ მაცდური ქვეყანა თვალთაგან მოეზარებინათ, ქრისტიანთა ერთმა ჯგუფმა უდაბნო არჩია¹ და იქ გაიხიზნა. ასე გაჩნდნენ მეუღაბნოენი. ისინი ტოვებდნენ კერძო საკუთრებას, მიწა-წყალს და მხოლოდ ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებთაგან მოწოდებული ცოტაოდენი სურსათით ირჩენდნენ თავს. ამასთან ისინი ცდილობდნენ მწვენილეულობითა და ხილით, რაც მიღამოებში მოიპოვებოდა, წასულიყვნენ იოლად, ასეთ ბერებს „მძოვრებს“ ეძახდნენ კიდევ. მთავარი წყარო მათი არსებობისათვის ქველმოქმედება იყო, თუმცა მეუღაბნოენი იშვიათად მიმართავდნენ ამას, ვინაიდან სულ მცირე საკვებით კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ არაფერს შეეწუხებინათ. სოფელს გაქეუვნის, ისინი ცხოვრობდნენ უდაბნოში სრულ სიღარიბეში, ყოველგვარ სარჩო-ქონებას მოკლებული, ცხოვრობდნენ ისე, რომ, მათი აზრით, ზნეობრივად სპეტაკი და სრული ყოფილიყვნენ, ვინაიდან მათი წარმოდგენით სრული სიღარიბის დროს შეიძლებოდა ზნეობრივად უმწიკვლო ყოფილიყო ადამიანი. მეუღაბნოენი, მარტომყოფნი ხალხისათვის სრულიად გამოუღებარნი იყვნენ. მათ, ხალხისაგან დაშორებულთ, ყოველგვარ ადამიანური ცხოვრების პარობებს მოკლებულთ, მუდმივ მშვირ-მწყურვალთ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ისინი მხოლოდ „ცოდვილ“ ქვეყანას გაურბოდნენ. სურათი მაშინ იცვლება, როცა მეუღაბნოებას სამონასტრო წყობა ღვევის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სამონასტრო წყობა ფართოდ VIII—IX საუკუნიდან იწარგება საქართველოში. მონასტრებშიც მკაცრი რეჟიმი იყო. აქაც არ უნდა ჰქონოდათ კერძო საკუთრება, თუმცა სამონასტრო ქონება, უძრავი და მოძრავი, როგორც საერთო, მათ გააჩნდათ.

მონაზვნები თვითონ შრომობდნენ სამონასტრო მამულებში, ვენახსა და ბაღებში, ხე-ტყეს თვითონ სჭრიდნენ და მოჰქონდათ. მეუღაბნოებთან შედარებით მონაზვნების ცხოვრება შემსუბუქებული იყო. მონასტრებში არსებულც მკაცრი წესების მიუხედავად, აქ ცხოვრება ასატანი იყო. ივ. ჯავახიშვილი, ახასიათებს რა გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო მშენებლობას, წერს, რომ „იგი ყოველთვის ცდილობდა, მონასტრის ადგილი მშრალი და წმინდა ჰაერიანი მხარე ყოფილიყო. ზომიერი ჰავა, სალი, ცივი და გემრიელი წყაროს წყალი ჰქონოდა, რომ მონაზვნისათვის დადებული აღთქმის ასრულება მეტის-მეტად ძნელი არ ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ ქართულ მონასტრებს უმეტეს შემთხვევაში საუცხოო მდებარეობა აქვთ: მაღლობ, თვალწარბეც, მშვენიერ ადგილზეა აშენებული და სრულ მყუდროებით არიან მოცული“. (ქ. ს. ი., წიგნი I, ნაკ. 11, გვ. 30). მონასტრების დაარსების შემდგომ მონაზონი დარწმუნებული იყო, რომ მას ძალა და ღონე შესწევდა, რათა მთელი დარჩენილი დრო გონებრივი მუშაო-

¹ გარეჯის უდაბნოს გარდა, სხვა უდაბნო საქართველოში არ ჰქავდა ეგვიპტისა და ასურეთის უდაბნოებს. საქართველოში „უმცენარეული და უწყლო ადგილები ძალიან ცოტა და ჩვენი უდაბნოები ხშირად წალკოტს უფრო მიაგავს, ვიდრე ეგვიპტისა და ასურეთის უდაბნოებს“ (ივ. ჯავახიშვილი, „მშენებლობის ხელოვნება საქართველოში“, 1946, გვ. 79).

ბისათვის შეეღია. „მწერლობა იყო, თუ მხატვრობა, საეკლესიო გალობა იყო, თუ სკულის მეცნიერება, სწორედ მათ შექმნეს საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება ააღორძინეს“. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ქრისტიანული დოგმის მკაცრი ნოთხოვნების მიხედვით უნდა შესრულებულიყო. ამიტომ სამონასტრო წესდებები მრავალნაირ რეგლამენტს ითვალისწინებდნენ ბერთა ცხოვრების მკაცრად მოწესრიგებისათვის. სწორედ საეკლესიო-სამართლებრივი ურთიერთობის ამგვარი საკითხებია მიმოხილული ივ. ჭავჭავაძის მიერ. ზოგიერთ მონასტერში ბერთა რიცხვი ასეულობით იყო. მათ გაძლვლას ნორმატიული ჩამოყალიბება სჭირდებოდა. ეს თავისებურებანი მონასტრების წესდებაში პოულობდა თავის ასახვას. ასე, ათონის ქართველთა მონასტერში და, უეკველად, სხვაგანაც, სავალდებულო წესად ყოფილა მიღებული, რომ საღამოს ლოცვის შემდგომ ბერებს ერთად შეყრა და ლაპარაკი არ შეეძლოთ, ეს წესი სასტიკად უნდა დაეცათ.

სამონასტრო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მოძღვარს. მოძღვარი ეს მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომლებიც სხვადასხვა ადგილიდან მოდიოდნენ სწავლებისათვის. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა. განთქმულ მოძღვართან სწავლას მოწიფულნი და შუა ხნისანიც არ უკადრისობდნენ. ისინი მარტო მოძღვრები არ ყოფილან, მათ ერთგვარი ორგანიზაციული ერთობაც ჰქონიათ და უფროსიც ჰყოლიათ, რომელსაც მოძღვართმოძღვარი ეწოდებოდა და ა. შ.

სამონასტრო წყობა ცვლილებებს განიცდის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თუ VII—IX საუკუნეების მონასტრებში მაინც ჭერ კიდევ არ იყო გაბატონებულე წოდებრიობის პრინციპი, შემდგომ სურათი იცვლება, მონასტრები არისტოკრატიულ დაწესებულებად იქცევიან შეძლებულთა შეიღების მიერ უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების დაკავების შედეგად. ამ ვითარებაში ეკლესია ახალი ძალით ჩაება თავისდროინდელ სოციალურ ბრძოლაში. ფართოდება სამონასტრო უძრავ-მობრავი ქონება, ახლა უკვე „მონაზონთაძმობა დიდი მამულებისა და სხვანაირი საკუთრების პატრონად გახდა, მეფეების მრავალი შეუვალობის წიგნი ჰქონდა ნაწყალობევი, ყოველგვარი სახელმწიფო და ხშირად სახელისუფლო გადასახადისაგან იყო განთავისუფლებული და თავისი ოფლით კი არ სცხოვრობდა, არამედ ყმების ოფლითა და ნამუშევრით ირჩენდა თავს და ამგვარად, სხვისი ოფლით სურდა ზნეობრივი სისხეტაკე დაემკვიდრებინა“ (ქ. ს. ი., წიგნი მეორე, ნაკ. 11, გვ. 102).

როგორც აღრე დავინახეთ, გიორგი მთაწმიდლის რეფორმისტული წინადადებანი სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ საეკლესიო წყობის დემოკრატიზაციით ხელი შეეწყო სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის.

რასაკვირველია, სამეფო (საერო) ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები რთული ბუნების ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ივ. ჭავჭავაძის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში საგანგებოდ მიმოხილავს საერო კანონმდებლობის ძეგლებს. ამას იგი იწყებს „ხელმწიფის კარის გარიგებით“, რომელიც ექვთ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა ნავაგვი (ექვთ. თაყაიშვილის სიტყვებით, ძნელია გადმოსცე სიხარული, რაც ამ ძეგლის პირველად გაცნობით მან ივ. ჭავჭავაძის მოუტანა: ნამდვილი ნეტარება იყო მისთვის ეს აღმოჩენა).

„ხელმწიფის კარის გარიგება“ მოქმედი სახელმწიფო სამართლებრივი წესჩვეულებების აღნუსხვაა. ამისათვის მის შემდგენელს სხვა წერილობითი წყა-

ბოებით უსარგებლია. შემდგენელს XIII საუკუნის დასასრულზე უწინარეს არ უნდა ეცხოვრა. იგი იმ დროს არის შედგენილი, როცა საქართველო ჯერ კიდევ განუყოფელი და სრულიად დამოუკიდებელი იყო. ქრონოლოგიურად ეს ძეგლი განიხილება ივ. ჯავახიშვილის მიერ საერო კანონმდებლობის პირველ შემორჩენილ ძეგლად, მაგრამ სწორედ ბექასა და ალბულას სამართლის წიგნის ღრმა კრიტიკული ანალიზი ბადებს შეხედულებას, რომ ამ კრებულში შეტანილი ზოგიერთი მუხლი (101, 102 და 103) დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს. (ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს: „ბექა-ალბულას სამართლის წიგნის აღდგენილი ტექსტის გამოცემას უძველესი და ვახტანგის კოდიკოს მიხედვით ვამზადებო“: ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 110) (ახლა ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ისინი „ბაგრატ III-ისა და XI საუკუნის დამდევისად მივიჩნით“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 88), მაშასადამე, სწორედ ეს მუხლები უნდა ჩაითვალოს უძველეს აქტებად ქართული სამართლისა, რომლებიც ჩვენ შემოგვრჩა.

ივ. ჯავახიშვილი შესანიშნავად ახასიათებს ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო მოღვაწეობას XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ცხოველდება კანონმდებლობა. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა: ასეთი დაუღალავი მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნამუშევარი და ნაჭირ-ნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ.

... ვახტანგ VI-მ შეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატრიანების დახელოვნებული მცოდნე პირები, მათი დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავი მოუყარა, ძველი შეავსო და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები და სამართლის წიგნების კოდიკო შეადგინა. მანვე გამგებობისა და მოსახლეობის შესახებ მასალები შეაგროვა და ერთი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ შეადგინა.“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 116—117).

საერო სამართლის ძეგლებთან ერთად, სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანი წყაროა სამართლის ისტორიისათვის. ვახტანგ VI-ის დროს კი სასამართლო პრაქტიკის როლი მეტად დიდია. ეს იმდროინდელი სამეფო ხელისუფლების სისუსტიტაც ახსენებოდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი სწორად წერს, ამ სისუსტის თავისებური აღიარება იყო ვახტანგ VI-ის მითითება მისი კანონმდებლობის არასისრულეზე. „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არც ვიჩემებ, რომ არა აკლდეს რაო“, გულწრფელად აცხადებს კანონმდებელი. „ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ვერ მოვიგონეთ და არც მისწულებს კაცის გონებაო“.

მოსამართლეს განაჩენის დადგენის დროს ჯერ წინანდელი და ახალი გამოცემული კანონები უნდა გაეცინჯა და, თუ იქ შესაფერს ვერას იპოვიდა, მაშინ იგი თვითონ „მიუხდეს რასმე და მოიგონოს“ განაჩენი და, თუ ამ „მოგონებულს“ სამართლის წიგნში ჩაურთავს და დასწერს, „კარგსა და მართებულს იქმსო“, დასძენს ვახტანგ მეფე“ (ქ. ს. ი. წიგნი I, გვ. 119).

ივ. ჯავახიშვილი არ იზღუდება საკანონმდებლო ძეგლების ანალიზით. იგი აღნიშნავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიგელ-გუჯრებისას, რომლებიც, რო-

გორც წესი, მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს.

ივ. ჭავჭავიძევილი შესანიშნავად მიმოიხილავს სამართლის ისტორიის ზოგად თეორიულ საკითხებს, ისეთ საკითხებს, როგორცაა ადათობრივი და წერილობითი სამართლის თანაფარდობა. იგი აღნიშნავს, რომ სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის გამოხატველი წერილობითი კანონმდებლობა გვიან ჩნდება და ჩვეულებრივ იგი ახალი ურთიერთობისათვის უკვე გადახდილი ბრძოლის ნორმატიული ასახვაა. ამიტომაც, ივ. ჭავჭავიძევილის სწორი მტკიცებით, მხოლოდ ძველი წერილობითი ძეგლების „საშუალებით უძველესი ხანის მდგომარეობის გამოკვლევა შეუძლებელია“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. VI).

ძველი ქართული კანონმდებლობა როდი იზღუდებოდა კაზუისტიკური მოქმედების გზით ცალკეული ნორმების ჩამოყალიბებით კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, არამედ იძლეოდა აგრეთვე ზოგად ფილოსოფიურ შეხედულებებს, საზოგადოების, ადამიანის ბუნებისა და თვისების შესახებ იმდროინდელი ქრისტიანული მწერლობის მოთხოვნების მიხედვით. ეს შეხედულება ასხვავებდა ბუნებით სამართალს, „ბუნებით სჯულს“ დაწერილ სამართლისაგან — „დაწერილ სჯულისაგან“ (ქ. ს. ი., წიგნი I, გვ. 133).

ივ. ჭავჭავიძევილი სამართლის ცალკეული დარგების შესწავლით იწყებს. ყველაზე მეტ ადგილს იგი სახელმწიფო სამართლის ისტორიას უძღვნის. მას მეორე წიგნის მთელი პირველი ნაკვეთი და მეორე ნაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ეს, როგორც აღვნიშნეთ, იმით უნდა აიხსნას, რომ მასში განხილულია საქართველოს მიწა-წყალი და მოსახლეობა, ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა და საკუთრივ ისეთი სახელმწიფო სამართლებრივი საკითხები, როგორცაა საქართველოს მეფე და მეფის ხელისუფლების ისტორია, სახელმწიფო დარბაზი და დარბაზობა, მოხელენი და მოხელეობა. ამ თავებში ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიის ფრიალ საყურადღებო საკითხებია გამოკვლეული. ასე, პატრონუმობასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავიძევილს გაანალიზებული აქვს ყმების სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორია. ყმები, წარმოშობის საფუძვლის შესაბამისად, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: ზოგი იყო „შეწირული“, ზოგი „ნებიერი“, ზოგი კიდევ „სიგლოსანი“ და სხვ. „ძველ ქართულში „ნებიერი“ ისეთ ადამიანს ეწოდებოდა, რომელსაც თავისი ნებისა და სურვილისამებრ შეეძლო ემოქმედნა. ამისდა მიხედვით ნებიერი გლეხი, ილბათ ისეთს ერქვა, რომელიც თავის ნებაყოფლობით და სურვილით ეყმო პატრონს და ვითარცა „ნებიერს“ იქნებ საპატრონუმო პირობის შეცვრის დროს აღნიშნული ჰქონდა, რომ განსაზღვრულ გარემოებაში შეეძლო ყმობისაგან ისევ თავი დაეღწია და წასულიყო“ (წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, გვ. 72). „შეწირული“ ყმა, რასაკვირველია, ეკლესიებისა და მონასტრებისადმი „სააღაპედ“ შეწირული და მოხსენებული გლეხები იყვნენ“ (იქვე, გვ. 75). რაც შეეხება სიგლოსან ყმას, აქ, დაასკვნიდა ივ. ჭავჭავიძევილი, სწორედ „ის ყმა უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომელიც თავის ნებით ეყმობოდა პატრონს“ და ამ დროს „ყმობის სიგელს“ დაადებინებდა, რომელშიც მკაფიოდ იყო განსაზღვრული „პატრონის“ და „ყმის“ პატრონუმური უფლება-მოვალეობანი (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 71). ყმათა განსაკუთრებულ ჯგუფს ნაწყალობევი ყმები შეადგენდნენ. „შეწყალება“, „შეწყალებული“ ძველ ქართულ სამართლებრივ ძეგლებში ადამიანის შებრალებას და ხელის გამართვას კი არ ნიშნავდა, არც დანაშაულის პატიებას. „შეწყალება“ თანამდებობის ბოძებას, წყალობას ნიშნავდა. ასევე მამულებისა და ადგილებისა, თუ ყმის ბოძებას.

ნაწყალბევი ქონებისა და ყმის იურიდიული ბუნება იმაზე იყო დამოკიდებული. თუ სახელდობრ რა პირობით იყო ხოლმე იგი იმთავითვე ნაბოძები. შეწყალბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სამეფოს მაღალ და გავლენიან მოხელეთათვის ჰქონდა. საქართველოს მეფეთა ხელში შეწყალბების წესი ძლიერ იარაღად იქცა მათი პოლიტიკის განხორციელებისათვის. შეწყალბებით „მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაკრებდა. ეკონომიურად აღონიერებდა, ყმათა რიცხვს უმაკრებდა... მხოლოდ „შეწყალბების“ წესი ამასთანავე ძირს უთხრიდა თვითონ იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეაღიეს“ (ქ. ს. ი., წიგნი მეორე, ნაკვეთი I, გვ. 93).

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სამეფო ხელისუფლების თავისებურებათა დახასიათებისას არკვევს აგრეთვე მთელ რიგ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ავსებენ „ქართველი ერის ისტორიის“ შესაბამის მონაცემებს. აქ ჩვენ ვპოულობთ იმის დამადასტურებელ ფაქტებს, რომ მეფეები თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებისათვის არ ერიდებოდნენ ცბიერებასა და ვერაგობას, მაგრამ თავისი მიმართულებით და შედეგებით ეს ბრძოლა პროგრესული იყო. რასაკვირველია, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მართო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა. საქირო იყო კიდევ იდეურ-თეორიული გამართლება ამ ხელისუფლების სიძლიერისა და უპირატესობისა. მეფის ხელისუფლების არსებობის აუცილებლობა სარწმუნოებრივად უნდა დადასტურებულიყო. ამისათვის გამოიყენეს პაულე მოციქულის ეპისტოლეში არსებული დებულება, რომ ბრძოლის დროს ბერ-მონაზვნები მეფეს მხარს უჭერდნენ ხოლმე და ეხმარებოდნენ ხან საქმით, ხან კიდევ სულიერი გაუღენით. საქართველოშიც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონიანთა გვარის ერისთავობის დროსაც კი მთავრობის პატივისცემა ღვთისნიერ საქმედ იყო აღიარებული. სხვა ქრისტიან მეფეების მსგავსად, ქართველი მეფეებიც ხმარობდნენ გამოთქმას. რომ ისინი მეფობენ „ნებითა ღვთისათა“. ღვთიური წარმოშობით როდი დაკმაყოფილდნენ გაძლიერებული ქართველი მეფეები. მათ თავიანთ ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს. დავით აღმაშენებელი აღიარებდა, რომ მეფის ხელისუფლება ღმერთმა პირადად „არწმუნა“ მას, რომ თვით ეს ხელისუფლება ღვთის მიერ განგებული და დაფუძნებული იყო. მეტიც, დავით აღმაშენებელი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში თვით ღვთაება ეხმარებოდა მას. ე. ი. ეს მართვა-გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო. საქართველოს მეფეები თავიანთ თავს ებრაელთა მეფის დავითის შთამომავლად სთვლიდნენ, ამას ემატებოდა ისიც, რომ თითქოს მათ აგრეთვე სპარსეთის ხუასროვანთა მეფეების პატივი ეპყრათ შარავანდელობით, რომ თამარის დროს საქართველოს მეფეებს „მეფობისა და სულტნობისა ერთად მქონებლობა განხორციელებული ჰქონდათ. სამეფო ხელისუფლების სიძლიერის დროს მეფეს მიმართავდნენ როგორც „ღვთისა სწორს“. ასე და ამგვარად, იმ დროს „საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელად ჩასთვლიდნენ და კეისრის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“ (ქ. ს. ი., წიგნი მეორე, ნაკვეთი II, გვ. 123). ასეც მოხდა. ივ. ჯავახიშვილს აღწერილი აქვს დიდგვარიან აზნაურთა და სამეფო ხელისუფლებას შორის ბრძოლის მომენტები. ეს ბრძოლა მეტად მწვავე, ხანგრძლივი იყო და ცვალებადი წარმატებებით მთავრდებოდა. საქმე ისაა რომ

თვითმპყრობელობა და ღვთის ნებითობა უფრო მეფეების და მთავრობის მომხრეთა დაკვის იდეალი და მისწრაფება იყო, ვიდრე სახელმწიფო ცხოვრების უტყუარი მოვლენა.

ფეოდალიზმის დროს ეს ბრძოლა გარდუვალი იყო. ამ ბრძოლაში პირველი ოჯით აღმაშენებელი აღწევს მტკიცე გამარჯვებას და მომავლისათვისაც ამით მეთის უცილობელი მბრძანებლობისათვის მყარი ნიადაგი შეიქმნა. თამარის მეფობის დროს ამ ბრძოლას კი ისეთი ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ძვრები მოჰყვა, რომლის მსგავსი უცნობი იყო მანამდე ევროპის ფეოდალური ისტორიისათვის. საქმე ეხება ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლას, რომელიც მეფის მთელს ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, რამდენადაც საქართველოს უზენაესი მართვა-გამგეობისა და სამართლის მთავარი საკითხები მეფეს კი არ უნდა გადაეწყვიტა, არამედ დარბაზში („კარავში“) დასხდომილთა განსაგებელი უნდა გამხდარიყო. მეფეს კი „სრულქმნის“ მოვალეობა რჩებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შერჩენოდა, საკანონმდებლო ხელისუფლება კი მარტო „კარავში დასხდომილთ“ უნდა ჰქონოდათ. სავსებით სწორად შენიშნავს ამასთან ივანე ჯავახიშვილი, რომ „მაშინდელ იურიდიულ მოძღვრებათა და თანამედროვე მოძღვრებას შორის, ცხადია, მაინც დიდი განსხვავებაა, ამიტომ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრა მაშინდელი პროგრამის დასახასიათებლად, რასაკვირველია, მთლად გამოსადეგი არ არის“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 172). ეს მოძრაობა დაღასტურებაა სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების მაღალი განვითარებისა და გაცხოველებული პოლიტიკური ბრძოლისა ფეოდალურ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილი ეძებს, ამ მოძრაობას პარალელი მოუნახოს ევროპის პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში, და იგი წერს: „საერთოდ. თუ საქმე შედარებაზე მიდგებოდა, საქართველოს სოციალური ისტორიის ეს 1184 წლის მნიშვნელოვანი მოძრაობა, სახელდობრ „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასისაგან პოლიტიკური პროგრამის წამოყენება, ბრძოლა და ამ ბრძოლის შედეგები უფრო დასავლეთ ევროპის ისტორიითგან კარგად ცნობილს, ინგლისში მომხდარს იმ მოძრაობას მიაგავს, რომელიც 1215 წ. 15 ივნისს იოანე მეფესა და ბარონებს შორის დადებული „თაისუფლებათა დიდი ქარტიით“ დამთავრდა. მაგრამ ამ მოძრაობათა მსგავსება მხოლოდ მიღწეული შედეგის, სახელდობრ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მხრით ეტყობა, თორემ სხვა მხრივ მათ შორის არა ერთი არსებითი განსხვავებაა“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 185).

სისხლის სამართლის ისტორიის შესწავლას, ისე როგორც სამოქალაქო სამართლისას, დიდად აძწელებდა ის, რომ არ არის ადრეული პერიოდის სათანადო ძეგლები, მაინც ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ იმდენი მუშაობამ შესაძლებელი გახადა სამართლის ამ დარგების შესწავლაც (რა თქმა უნდა, ძველ დროს ისინი ცალკე კოდიფიცირებული აქტების სახით როდი არსებობდნენ).

ისტორიული სინამდვილის შესწავლისათვის განსაკუთრებულია სისხლის სამართლის ისტორიის შესწავლა. თ. მომზენის სიტყვებით, სისხლის სამართალი უშალედურ მდგომარეობას იკავებს იურისპრუდენციასა და ისტორიას შორის. სისხლის სამართლის ისტორია ბევრს გვიხსნის სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის მწვევე მომენტების შესახებ. ამასთან, იგი გარკვეული გაბატონებული იდეოლოგიის ზოგად თეორიული სისტემის გამოხატულებაცაა. ასე იყო საქართველოშიც. ამ შეხედულებით ბუნებითი სამართლის, „ბუნებითი სჯულის“ გვერდით გაჩნდა კანონმდებლობა, „სჯული წიგნისა“. რომელიც ადამიანთა ურ-

თიერთობას აწესრიგებდა, იმის საზღვარს დებდა, რომლის გადასვლა დადგენილი წესის დარღვევას წარმოადგენდა. დადგენილ, საზღვრის ფარგლებში სწორ მოქმედებას კანონიერება ეწოდებოდა. დადგენილი წესის დამრღვევი მოქმედება „გარდასვლად“ იყო მიჩნეული. მაშასადამე, ვინც კანონის, წესის დამრღვევი აღმოჩნდებოდა, იგი კანონისა და წესის „გარდამავალი“ იყო. თვითონ საქციელს, რომელიც სჯულის, სამართლის, თუ წესის გადალახვას წარმოადგენდა, „გარდამავლობითი“ მოქმედება ეწოდებოდა. ძველ ქართულ სისხლის სამართალს სცოდნია ამგვარი დარღვევის შესაძლებლობა აგრეთვე უმოქმედობითაც.

ჩვენ ვეცნობით ტერმინებს „ბრალი“, „ცოდვა“, „ბოროტმოქმედება“, „დანაშაულობის“ ისტორიულ მნიშვნელობას. „დანაშაული“ არა მარტო საქმის „შავად“ ქმნას გულისხმობდა, არამედ ვინმესთვის ფიზიკურის („კაცი დაშავებული“) ანღა ზნეობრივი ვნების მიყენებასაც. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, „დანაშაული“ ვნებისა და ზიანის მნიშვნელობის მქონებელ ტერმინად უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ იმ ხანის ძეგლებში, რომლებიც ამ წიგნის საგანს შეადგენს, „დანაშაული“ არა ჩანს“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 257). იმ დროის სისხლის სამართლის გაცნობა საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ დანაშაულებათა კლასიფიკაციის საქმოდ განვითარებულ დონეზე, ასე, „ისეთი რთულისა და პასუხისაგები მძიმე დანაშაულის შესახებ, როგორც მკვლელობა იყო, ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში საქმოდ ვრცელი და მეტად საგულისხმო ზოგადი ხასიათის მოძღვრება მოგვეპოვება, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის“ (ქ. ს. ი., წიგნი II, გვ. 263). ძველი ქართული სისხლის სამართალი იცნობს ბრალეულობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, თანამონაწილეობის სხვადასხვა სახეს. დანაშაულობათა შორის უპირველესად დახასიათებულია დანაშაულობანი სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორცაა განდგომა და ღალატი, საჯაროდ და პირადად მეფის შეურაცხყოფა. სამართალი დამნაშავეს სასჯელად უდებდა „პირველად ენის აღმოკვეთას“, ხოლო მერმე — „თავისა მოკვეთას“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 293). სქესობრივი დანაშაულობანი, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ და საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობანი დანაწევრებულ ასახვას პოულობს ძველ ქართულ სამართალში. ასევე სასჯელთა განსაზღვრულ სისტემას იცნობდა ძველი ქართული სამართალი, „სასჯელის“ გარდა იხმარებოდა „სისხლი“ და „მისაგებელი“.

„ძველ ქართულ მართლმსაჯულებას სასჯელთა მთელი სისტემა ჰქონდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებზე იყო დამყარებული. სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი თვისებებისა იყო, მეორე ჯგუფი დამნაშავეის თავისუფლების აღკვეთისათვის იყო განკუთვნილი. მესამე — გვემითი იყო, რომლის დანიშნულებას ფიზიკური და ზნეობრივი სასჯელის მიყენება შეადგენდა, მეოთხეს ასოთა მიღება, ანუ განპატივება ეკუთვნოდა და მეხუთესა და უმალეს სასჯელთა ჯგუფს დამნაშავეის სიცოცხლის მოსპობა ჰქონდა გათვალისწინებული“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 505—506).

იმ დროს ბორციელი, ფიზიკური სასჯელების არსებობის აუცილებლობა მართლმსაჯულებისათვის ცხადი იყო და თვით საეკლესიო სასამართლოებმაც კი ასეთი სასჯელთა სისტემა თავიდან ვერ აიცილნა. ისეთი სასჯელი, როგორცაა ასოთა მიღება, ანუ ასოთა მოკვეთა, ნიშნავდა სხეულის ნაწილის, ხელის ან ფეხის ან ორივეს მოკვეთას, თითების ან ენის მოჭრას. იყო იშვიათ სასჯელის სახით დასაქურისება. მას მხოლოდ განდგომილი მოღალატე უფლისწულები-სათვის თუ გამოიყენებდნენ. ამ გზით განდგომილ და დასჯილ უფლისწული-

სათვის შთამომავლობის ყოლის ყოველივე შესაძლებლობა ისპობოდა. მას ესპობოდა ტახტზე ასვლის უფლებაც, რამდენადაც საკურისი არ შეიძლებოდა მეფედ ყოფილიყო.

მეტად მძიმე სასჯელი იყო ე. წ. „მზნელობლობა“, „სიბრმითა დასჯა“. იგი თვალთა დაბნელებას, დაწვას ეწოდებოდა. იგი ლალატისათვის იყო გათვალისწინებული.

უამთაღმწერლის ცნობით, რაჰის ერისთავს კახაბერს ლალატისა და შინათგამცემლობისათვის დაევით ნარინმა „პირველ თვალნი დასწვნა“ და შემდეგ ერთი ფეხი და ერთი ხელი მოაჭრევიანა.

სასჯელის უმაღლესი სახე სიკვდილით დასჯა სხვადასხვა ხერხით ხდებოდა: „ძელსა ზედა დამოკიდებით“, „თავის მოკვეთით“, როგორც ივანე ჭავჭავაძის აღნიშნავს, სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი ყოფილა საქართველოში. იგი უპირატესად მეფისა და სახელმწიფო ლალატისათვის არსებობდა, აგრეთვე მეფის პიროვნების საჭარო სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის და მეკობრეობისათვის..

ივ. ჭავჭავაძის ძველ ქართულ სისხლის სამართალს შეისწავლის შედარებით ჭრილში სხვადასხვა ქვეყნის სამართალთან, რომლებიც ხშირად შემზარავი სასჯელებით ხასიათდებოდნენ და სავსებით სწორად დაასკვნის: „ქართული სისხლის სამართალი სხვა ერთა იმ დროინდელ სისხლის სამართალთან შედარებით უფრო ლომობიერებით იყო კიდევ გამსჭვალული. უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ საშუალო საუკუნეებში და შემდეგშიც, თვით ევროპის სისხლის სამართალიც XIX ს. დამდეგამდისაც მტრად მკაცრი და ულმობელი იყო. ისეთ განათლებულსა და ძველი საბერძნეთ-რომის მემკვიდრესაც კი, როგორც ბიზანტია იყო, ჯოხითა და სხვა საშუალებით ცემა, ექსორია, ხელფეხის მოკვეთა, ენისა და ცხვირის მოჭრა, თვალების დათხრა, გამოსაპურისება და სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ სასჯელებად ჰქონდა“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 536).

ივ. ჭავჭავაძის ძველი ასევე ფუნდამენტურ გამოკვლევას იძლევა ძველი ქართული სამოქალაქო სამართლისას. ამას იგი იწყებს საოჯახო სამართლის დახასიათებით.

საქორწინო სამართლის სპეციფიკურობას გვიხსნის ივანე ჭავჭავაძის ძველ საქართველოში. აქ. რასაკვირველია, გადამწყვეტი იყო საეკლესიო სამართლის მიერ ურთიერთობის მოწესრიგება. მაგალითად, საქორწინების დამატკობილი გარემოება იყო მექორწინეთა ნათესაობა, იქნებოდა ეს ხორციელი თუ სჯულიერი. უსჯულო ქორწინებად ითვლებოდა ქორწინება, თუ ვინმემ „მამის ძმისწულსა ანუ დედის ძმისწულსა, ანუ დედის დისწულსა, გინა მამის დისწულსა ქორწინებისა ზიარებად შეერთოს“ და ა. შ. ხორციელ ანუ სისხლით ნათესაობისაგან განსხვავდებოდა ე. წ. სჯულიერი ნათესაობა, რომელიც ნათელ-მირონობით მყარდებოდა.

ნეფე-დელოფალი „გვირგვინთა კურთხევის“ შემდეგ სჯულიერ მეუღლეებად ხდებოდნენ. „გვირგვინთა კურთხევა“, ე. ი. საეკლესიო ჭვარისწერა მექორწინეთა თანდასწრებით შეიძლებოდა, მაგრამ ძველი ქართული სამართალი ითვალისწინებდა წარმომადგენლობით ქორწინებასაც, როცა ერთ-ერთი მხარე არ მონაწილეობდა ამ კურთხევაში. ეს იმ შემთხვევისათვის იყო გათვალისწინებული, როცა სხვადასხვა მიზეზით ვაჟს ან ქალს არ შეეძლო კურთხევაში მონაწილეობის მიღება. თუ ჭვარისწერას საცოლუ ახდენდა საქმროს გარეშე, მაშინ სხვა ვინმე მამაკაცი იღვა, მაგრამ ჭვარისწერის დროს მისი სახელი კი არ

იხსენიებოდა, არამედ ნამდვილი საქმროსი. თუ ვაყს (საქმროს) უკუერთებდნენ გვირგვინს, ახლა საცოლის მაგიერ გვირგვინის ქვეშ მის წარმომადგენლად ქალი კი არ იდგა, არამედ მამაკაცი. როგორც ჩანს, იმიტომ რომ ქალები ამ როლში გამოსვლას არ კისრულობდნენ.

ივ. ჭავჭავიძის მიაჩნია, რომ ეს წესი წარმართობის დროინდელ რომელიმე ნაშთს უნდა წარმოადგენდესო. ეს წესი ჭვარის წერისა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ სასაცილოდ აიგდო და სასტიკად აკრძალა: ყველას შესახებ, ვინც ამის შემდგომ ამ წესით ჭვარს დაიწერდა, კრებამ ბრძანა, „იგინი სჯულიერ ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიანო“ (ქ. ს. ი., წიგნი I, ნაკ. II, გვ. 370).

ქრისტიანული ეკლესია ცოლის სამჭერ შერთვის უფლებას იძლეოდა. მეოთხედ ჭვარისწერა არ შეიძლებოდა. რუის-ურბნისის კრება მხოლოდ „მეორეთ ცოლქმრობას“, მეორეთ „გვირგვინთა კურთხევას“ იხსენიებს. მეორედ ცოლის შემერთველსაც მკაცრად ეპყრობა ეს კრება თავის ძეგლისდებამში, კანონი მხოლოდ „სჯულიერ ცოლს“ აღიარებდა მეუღლედ. ცოლ-შვილს დედაწული ერქვა, ოჯახის წევრს—„სახლეული“. მოწესრიგებული იყო ოჯახის წევრთა შორის ქონებრივი ურთიერთობანი.

საოჯახო სამართლის შემდეგ ივ. ჭავჭავიძელი მემკვიდრეობით სამართალს განიხილავს. იგი სავესებით სწორად დაასკვნის: „მემკვიდრეობის სამართალი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკ. II, გვ. 376). მემკვიდრეობის ინსტიტუტს იგი არა მარტო საკუთრების შენარჩუნებისა და დაცვის, არამედ სხვა პირთათვის მისი წარმოშობის საფუძვლადაც განიხილავს. ქართული მემკვიდრეობის სამართალი ქალებს აძლევდა შობლების საკუთრების დამკვიდრების უფლებას. თუმცა გათხოვილ დას მამულის მემკვიდრეობაში წილს არ უღებდნენ, მაგრამ უკვე IX საუკუნიდან ყოფილა ამის თაობაზე ბრძოლა. თუ ოჯახში მამრობითი სქესის წევრები არ მოიპოვებოდა, მაშინ „მამულ-დედული“ მდებარებით სქესსა და მის ჩამომავლობაზე გადადიოდა. თუ კი საგვარეულოთაგან არც ერთი წევრი აღარ იყო დარჩენილი, რომელსაც ქონების დამკვიდრების უფლება ჰქონდა, მაშინ ამ ამოვარდნილი გვარეულობის მამულს მეფე, სახელმწიფო იღებდა თავის საკუთრებად.

სანიეთო სამართალი სამოქალაქო სამართლის ცენტრალური ნაწილია. მართალია, ივ. ჭავჭავიძელი ვერ პოულობს ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში ნიეთის ზოგად ცნებას, რომელიც უძრავ-მოძრავის აღმნიშვნელი იქნებოდა, მაგრამ თავისი შინაარსით ნიეთების სხვადასხვანაირი კლასიფიკაცია არსებითად ამ სამართლისათვისაც ცნობილი იყო. ბერძნული და რომაული სამართლის ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევს, დაადგინოს ამ კლასიფიკაციის თავისებურება ძველ ქართულ სამართალში, უპირველესად კი ის, რაც უძრავსა და მოძრავი ქონების გამოხატველი ცნებები იყო თავდაპირველად მოძრავი კერძო საკუთრება გაჩნდა. საკუთრების ზოგადი ცნების გამოსახატავად ცალკე ტერმინი არსებობდა. უკვე V საუკუნის ძეგლში პირადი კუთვნილების აღსანიშნავად „საკუთარი“ გვხვდება. ტერმინი „საკუთრება“ ბ. ზარზმელის თხზულებაში იმ მნიშვნელობით გვხვდება, როგორც ჩვეულებრივ იხმარება. ასევე გვხვდება ტერმინები „საკუთრებით განთვისება“, „განსაკუთრებაჲ“. საკუთრების უფლების წარმოშობის განსხვავებული საფუძვლები სხვადასხვა ტერმინით იყო გამოხატული. მემკვიდრეობით საკუთრების მიღებას „დამკვიდრებაჲ“ ეწოდება. გამოყოფას მემკვიდრეობის წილის გამოცალკევე-

ბას „განჩემებაჲ“ ეწოდებოდა, ხოლო თვითონ გამოცალკეებულს, გამოსაზღვრულს „განჩემებული“ ეწოდებოდა.

საკუთრების გადაცემის ტერმინთა შორის იყო „განთვისებაჲ“. საკუთრების მიღება-შეძენის განვითარებული ტერმინოლოგია არსებობდა იმ დროს. ასევე განვითარებული ტერმინოლოგია არსებობდა საკუთრების და ქონების უფლების დაკარგვა-მოსპობის საფუძვლებზე.

მიუხედავად მასალების სიმცირისა, ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს ვალდებულებითი სამართლის მრავალ საკითხს. ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლისათვის უცნობია ის ფორმალიზმი და სიმბოლიზმი. რაც განასხვავებდა უძველეს რომაულ სამართალს. არსებობდა ზეპირი და წერილობითი წესი, რომელთა ნამდვილობისათვის მოწმეთა თანდასწრება, ხელრთვა და საბუთის შედგენილობის კანონიერი სახის დაცვა იყო საჭირო.

ხელშეკრულებებს შორის, ბუნებრივია, უპირველესად დახასიათებულია ყიდვა-გაყიდვა, როგორც ალებ-მიცემობის მთავარი ფორმა. სხვისი საკუთრების ნებაყოფლობით, ურთიერთშეთანხმებით და ფასის მიცემით მიღებას და დასაკუთრებას „სყიდვა“ ერქვა. ხოლო საფასურით ნივთის გათვისებას და სხვის საკუთრებად ქცევას „განყიდვაჲ“ ეწოდებოდა.

დადგენილი იყო ნასყიდობის კანონიერების წესები. უძრავ-მოძრავი სხვადასხვა ნივთი იყო ყიდვა-გაყიდვის საგანი, ამგვარი ალებ-მიცემობის საგანი იყო წიგნი, იმ დროს ხომ ის განსაკუთრებულად ბევრ ხარჯს მოითხოვდა: ჯერ ეტრარტი უნდა ეყიდნა ადამიანს, მერე გადასაწერად მიეცა ვინმესთვის, მერე შეეკერვინებინა და დაეკაზმინებინა. წიგნის გადაწერა ძნელი საქმე იყო. ის ყოველთვის ლამაზად, გრამატიკისა და მართლწერის წესების დაცვით უნდა შეესრულებინათ. ეს ადვილი როდი იყო, ვინაიდან დიდ ვარჯიშობასა და ბეჯითობას მოითხოვდა. ძველს საქართველოში დიდად გაწვრთნილები ჩანან ამ საქმეში. ხშირად, როცა სიდიდის გამო სამუშაო რამდენიმე გადააწერის პქონდა განაწილებული, ვერც მიხვდებით, რომ ხელნაწერი სხვადასხვა კაცის ხელითაა გადაწერილი, თუ ამის შესახებ თვითონ ისინი არ გვაგებინებენ. ამასთან ოქრომჭედლების მიერ მხატვრულად მორთული წიგნი უკვე საკუთრების მნიშვნელოვანი ობიექტი იყო. მასალას ზოგჯერ შემკვეთი აძლევდა. წიგნები კარგ ფასში იყიდებოდა. მწერალ ბერებს, სამშობლოდან სამიათასზე მეტი კილომეტრით დაშორებულთ, სადღაც ხრიოკ სინას მთაზე გადახვეწილთ, რომელთაც უარეყოთ ცოლ-შვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი მიწა-წყალი და სამშობლოზე ლოცვით უწერიათ, ერთგვარ კმაყოფილებას მისცემდა ისიც, რომ მათთვის წიგნის დაწერას და შეკაზმვას შეუკვეთდნენ. ასე 984 წელს, განთქმულ მწერალს იოანეს წიგნის მომგებლისათვის მიუწერია სინას მთიდან, რომ შემკვეთის ზოგიერთი სურვილი ვერ შეუსრულებია და სხვა ტექსტი გადაუწერია, თანაც, შეთანხმების პირობის შეცვლის გამო, იგი დასძენდა: „თუ ამაზე არ დამყაბულდები, რაც გინდა დამაწერიანე, სიხარულით გიზღავ იმ ეტრატსო. თანაც მწერალი დაგვიანებისათვის ბოდიშს იხდის, მგზავრი ვერ ვიმოვნე, რომ გამომეტანებინათ“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1907 წ. გვ. 45). ზოგჯერ ასე დიდ გეოგრაფიულ სივრცეზე ვრცელდებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობა.

ძველ ქართულ სამართალში გვხვდება ჩუქებაც, რომელსაც საერთოდ „ნიკი“ ეწოდებოდა. მჩუქებლის მდგომარეობის მიხედვით, მას თავისი განსაკუთრებული სახელი ერქვა. მაგალითად, მაღლა მდგომისაგან უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას წყალობა, შეწყალება, ბოძება ერქვა. ნაწყალობევის და ნა-

ბოძეარის მიხედვით შეწყალებულს გარკვეული ვალდებულება შეიძლება დაეკისროდა. შეწირულება ეკლესია-მონასტრებისათვის ხდებოდა.

სესხი და ვალის სახელშეკრულებო ურთიერთობა საკმაო დეტალურობით იყო მოწესრიგებული. ბრუნვით სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილი იყო მიწის აღებ-გაცემა საშენებლად, საღალოდ, საბეგროდ და საკაბალოდ. ასევე, ვალდებულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებებს ითვალისწინებდა ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი.

ივ. ჭავჭავიძევილი მთელი სიღრმით ახასიათებს სასამართლო წარმოებას, სასამართლო საქმის ორგანიზაციას ძველს საქართველოში, სისხლისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოებას. ქართული სამართლის განვითარების მაღალი დონე X—XI საუკუნეებში მიღწეულია სამართლის გამოჩენილ მეცნიერთა ინტენსიური მუშაობის წყალობით, როგორც ივ. ჭავჭავიძევილი წერს: „აღსანიშნავია, რომ XI ს. შუა წლებში საქართველოში უკვე პროფესიული იურისტები ჩანან — „აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, რომელთა მოწვევაც ბაგრატ IV-ის სახელმწიფო დარბაზში რთული იურიდიული საკითხის განხილვის დროს საჭიროდ უცნია. უეჭველად მეფეს რაიმე საბუთი უნდა ჰქონოდა, როდესაც მათ დარბაზის სხდომაზე იწვევდა. მათ, ვითარცა „საბჭოთა საქმეების“ მცოდნე პირების, სახელსა და ავტორიტეტსაც უნდა რაიმე საფუძველი ჰქონოდა“ (ქ. ს. ი., წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 537).

ივ. ჭავჭავიძევილმა მეტისმეტად გადაღლილობის გამო ვერ შესძლო საერთაშორისო დამოკიდებულების შესახებ საგანგებო კარი მოეთავსებინა ქართული სამართლის ბოლო წიგნში. მან იგი ქართული სამართლის შემდგომი წიგნისათვის გადადო. სამწუხაროდ, ამ განზრახვის აღსრულება მან ვერ მოასწრო, მაგრამ რაც ივანე ჭავჭავიძევილმა გააკეთა, შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, რომ თვალნათლივ დავინახოთ ის „ინტენსიური მუშაობა და დიდი შემოქმედება, რომელიც ქართველ ერს სამართლის სფეროში გამოუჩენია თავისი სახელმწიფოსი და სოციალური წესწყობილების დასაწინაურებლად“.

ივ. ჭავჭავიძევილს სამართლებრივი საკითხების სხვადასხვა ასპექტების შესწავლა არც „ქართული სამართლის ისტორიის“ სამი ფუნდამენტური ტომის გამოსვლის შემდეგ შეუწყვეტია. იგი გვიანაც ისწრაფვის გაითვალისწინოს სიახლენი სამართლის ისტორიის შესწავლაში. ქართული სამართლის ისტორიის სალექციო კურსის განახლება მის მიერ 1938—39 წლებში განსაკუთრებით კარნახობს მას ამ სიახლეთა გათვალისწინებას. 1938 წლის 31 აგვისტოს იგი კითხიდან სწერს ვარ. დონდუას ლენინგრადში: „ტ. ს. უ-ტში ლექციების განახლება მიხდება, ქ.-ლი სამართლის ისტორიაც აღდგენილია. მჭირდება სერგეევიჩის... ლექციები და გამოკვლევანი, თუ იშოვნება სადმე, შემაძენინეთ. ამას გარდა იქნებ რუსული სამართლის ისტორიის ახალი წიგნი იყოს გამოსული: თუ არის, ისიც გამომიგზავნეთ: მინდა ვნახო, ეხლა როგორ არის ეს პრობლემა განხილულ-გაშუქებული“.

ერთმა მკვლევარმა წინამორბედზე და ჩვენს თანამედროვეებზე მეტი გააკეთა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. მას განსაკუთრებით სწამდა ამ მეცნიერების მომავლისა, წერდა კიდევ: როცა ამ დარგში სხვადასხვა მკვლევრები გამოჩნდებიან, „მაშინ ინტენსიური და უფრო გარღმავებული მუშაობის წყალობით ამ სურათს უფრო მეტი მკაფიობაც, ფერადოვნებაც და მეტი მიმზიდველობაც მიენიჭებაო“.

ასეც მოხდა. ახლა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება ქართველოლოგიის დაწინაურებული დარგია. მას მკვლევართა საგრძნობი რაზმი ჰყავს, რომელიც საიმედოდ დგას ივ. ჭავჭავიძევილის გამოკვლევებზე მძლავრ მეცნიერულ მხრებზე.

თ ა ვ ი IV. საზოგადოებრივი სამართლის განვითარების ისტორიის საკითხები

1931 წლის 27 სექტემბრიდან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით ივანე ჭავჭავიძევილი საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა.

სახელმწიფო მუზეუმში ივანე ჭავჭავიძევილის მოსვლას თან მოჰყვა მთელი რიგი ახალი წინადადებების წამოყენება და შემდგომ მათი დანერგვა მუზეუმის მუშაობაში. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, ივანე ჭავჭავიძევილს მეცნიერისათვის რაიმე უმოქმედო და უმიზნო თავშესაფარი წარმოუდგენლად მიიჩნდა. რაც მთავარია, ივანე ჭავჭავიძევილი ადრევე ცხოველ ინტერესს ამჟღავნებდა კავკასიაში ერთ-ერთი უპირველესი სამეცნიერო დაწესებულების კავკასიის მუზეუმის მიმართ, რომელიც ფრიალ სასარგებლო კვლევით და შემკრებლობით სამუშაოებს ეწეოდა არა მარტო ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ნუმისმატიკის, ხელოვნების ისტორიის დარგში, არამედ ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიის, პალეონტოლოგიის სფეროში. 1913 წლიდან კი მუზეუმში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარა. რევოლუციის შემდეგ ბევრი უნივერსიტეტული შემოქმედებით კონტაქტს ამყარებს მუზეუმთან. ეს კონტაქტები კიდევ უფრო ძლიერდება, როცა აღნიშნული მუზეუმში საქართველოს მუზეუმად ხდება და მის სამეცნიერო საბჭოში შეიყვანეს სავალდებულო წესით 5 პროფესორი უნივერსიტეტისა. რასაკვირველია, იმ დროიდან მუზეუმის სამეცნიერო მუშაობაში თავისი წვლილი შეაქვს ივანე ჭავჭავიძევილს. მისი კავშირურობითობა, როგორც ვხედავთ, გაცილებით ადრე, 1931 წლამდე, დაიწყო მუზეუმთან. მეტიც, სწორედ საბჭოთა პერიოდში ივანე ჭავჭავიძევილი რამდენჯერმე ხელმძღვანელობდა სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციას.

1921 წლის 24 სექტემბერს ივ. ჭავჭავიძევილი დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის შემსწავლელ სარევიზო კომისიის თავმჯდომარედ. სინამდვილეში კომისიის დავალებული ჰქონდა მუზეუმის ყოველმხრივი შესწავლა. კომისიამ მუშაობა 13 დეკემბერს დაამთავრა. დასკვნაში, რომელიც ივ. ჭავჭავიძევილის ხელითაა დაწერილი, მოცემულია მუზეუმის ისტორიის მიმოხილვა, მისი დღევანდელი მდგომარეობა და ოპტიმისტური პერსპექტივები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აქ და შემდგომ დაწერილ მთელ რიგ მოხსენებებში ნაჩვენებია ის წარმატებები, რასაც საბჭოთა წლებში მუზეუმმა მიაღწია. რევოლუციამდელ საქართველოში სამუზეუმო საქმის არც მკვლევარნი და არც მუშაკები გვყავდა. კავკასიის მუზეუმში მისი არსებობის უმეტესი წლების მანძილზე „არც ერთი ქართველი თანამშრომელი, დარაჯიც კი არ მოიპოვებოდა“. პირველი და ერთადერთი ქართველი თანამშრომელი იყო გეოლოგი ნ. ყიფიანი 1915 წლიდან.

ივ. ჭავჭავიძევილი 1938 წლის სექტემბერში ამბობდა, რომ „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დიდ ღვაწლს შეადგენს, რომ მან ამ დიდი უსახურავო და უკარფანჯარო შენობის დამთავრებით ქართულ სამუზეუმო საქმის გაშლას შესაძლებლობა შეუქმნა და შვედრი საფუძველი ჩაუყარა მანამდე მკვლე-

ჯართა და ხალხისათვის მიუწვდომელ ძვირფას საექსპონატო მასალის ნაწილობრივ ჰაინც გამოფენის მოწყობით მისაწვდომი და შესასწავლი გახადა“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში საგრძობლად გამდიდრდა სამუზეუმო ფონდები. განსაკუთრებით კი რუსეთიდან ჩამოტანილი კულტურული ფასეულობებით. 1923 წლის ნოემბერში გამოცხადდა სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ეს კი ითვალისწინებდა ცალ-ცალკე საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმების შექმნას, ამისათვის შეიქმნა კიდევ სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის კომისია. ეს კომისია ორი სექციისაგან შედგებოდა: საისტორიო-საეთნოგრაფიო და საბუნებისმეტყველო; პირველი სექციის თავმჯდომარედ ივანე ჭავჭავიძე ირჩევილი დაინიშნა.

ივანე ჭავჭავიძე ირჩევილი უსიტყვოდ კი არ მიიღო დადგენილება მუზეუმის გაყოფის შესახებ, არამედ მეტად დამაჭერებელი არგუმენტებით დააჩქუნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ამგვარი გაყოფის ნაადრევობასა და მიზანშეუწონლობაში. დღესაც ნათელია, თუ რა რიგ მოიგო სახელმწიფო მუზეუმმა, რომ არ მოხდა მისი იმგვარი დანაწილება, როგორც დაგეგმილი იყო მეტიც, მალე უნივერსიტეტის რეორგანიზაციის დროს, უნივერსიტეტის შენობაში მოთავსებული მუზეუმი გადაეცა სახელმწიფო მუზეუმს. ამან სახელმწიფო მუზეუმის ფონდების გაზრდასაც შეუწყო ხელი. მუზეუმებისათვის მეცნიერ-სპეციალისტთა აღზრდას ივანე ჭავჭავიძე უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდა.

უნივერსიტეტიდან გამოსვლისა და სახელმწიფო მუზეუმში გადასვლის შემდეგ ივანე ჭავჭავიძე იხალ სამუშაო ადგილას არა მარტო ახალი ენერჯით აჩაღებს მუშაობას, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივ დატვირთვასაც არ ერიდება.

ის კი არ იყო ყველაზე ძნელი, რომ უნივერსიტეტის დამაარსებელი მოპკეთეს, ყველაზე ძნელი ის იყო, რომ ლანძღვა-გინებაში გადასული შეურაცხყოფა დროდარო გრძელდებოდა. მართლაც, შეურაცხყოფისაგან ყველაზე კარგი წამალი მისი დავიწყებაა, მაგრამ ეს მეტად და მეტად ძნელდებოდა, ვინაიდან თვით ისინი, ვინც არ ერიდებოდნენ ლანძღვა-გინებას, მისივე ნაშრომებით სარგებლობდნენ, მეტიც, კვლავ მას სთხოვდნენ კონსულტაციას, წყაროებზე მითითებას.

ყველასთან თავზიანი, დაუზარელი, უშურველი და მისადგომი კაცი გაკვირვებით სწერდა ამის თაობაზე 1937 წლის 3 მარტს ვარლამ დონდუას, რომ ადრეც და ეხლაც „მაინც არაეინ მოსვენებას არ მაძლევს და ყველას მე უნდა დავუსახელო წყაროები და ცნობები მზამზარეულად გადმოვუღაგო!“ რასაკვირველია, მას მხედველობაში არ ჰყავდა ასპირანტები, რომლებთანაც აქაც და ენიშკის ხაზით ის დაუზარლად მუშაობდა. ვ. გაბაშვილი, კ. გრიგოლია, აბ. კიკვიძე თავიანთ მოგონებებში შესანიშნავად გადმოსცემენ და გვიხასიათებენ ივანე ჭავჭავიძეს, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელს, ივანე ჭავჭავიძის სემინარებზე მიღებულ კვლევის ჩვევებს. ამას აქ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ, რომ ბუნებრივია, პრინციპული სხვაობა იყო, ერთის მხრივ, ივანე ჭავჭავიძის მიერ სტუდენტებისათვის ჩატარებულ საისტორიო სემინარს და, მეორეს მხრივ; ასპირანტების სემინარებს შორის.

კ. გრიგოლია იგონებს იმ ღრმა შთაბეჭდილებასაც, რაც მასზე დატოვა ივანე ჭავჭავიძის ლექციებსა და სპექტურსებთან ერთად მისმა საისტორიო სემინარმა. იგი სენ-ნარს ჩვეულებრივ მაღალ კურსელებთან ატარებდა. სემინარი სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობდა. თითოეულ მონაწი-

ლეს მოხსენება უნდა წაეკითხა სემინარზე. წინასწარ სემინარის ხელმძღვანელმა აძლედა მათ თემას, შემდგომ კი დაწერილი მოხსენება ივანე ჯავახიშვილს შინ მიჰქონდა წასაკითხად. მოხსენების წაკითხვის შემდეგ იმართებოდა კამათი. ივანე ჯავახიშვილი გაუბრალოდა მოხსენების თემად მეტად ზოგადი საკითხის აღებას. იგი თვლიდა, რომ საჭირო არ არის დიდი თემების გამოკიდება. „აღამიანი ვერ წარმოიდგენს, თუ რაოდენ დიდი სიამოვნების შინიქება შეუძლია სულ უბრალო, მცირე თემასაც კი, თუ ის მართლაც მეცნიერულად იქნება დამუშავებული“. რაც ყველაზე მთავარია, იგი დაწვრილებით ასწავლიდა სტუდენტობას ტექსტებზე მუშაობის მეთოდებს. რასაკვირველია, ყველა ერთნაირად და ადვილად როლი ითვისებდა ამ მეთოდებს. ისეც ხდებოდა, რომ მომხსენებლის ახსნა-განმარტება არასაკმარისი იყო და ყველაზე მეტი საუბარი თვითონ ხელმძღვანელს უხდებოდა. იგი აქ სრულ დაუზარებლობას იჩენდა, მას არ გამოჩნებოდა არც ერთი მიღწევა, სტუდენტს მიერ მოპოვებული და ამასთან კეთილმოსურნის ტაქტით, დაუფარავად აღნიშნავდა მომხსენებლის ნაკლოვანებას. სტუდენტის მხსიერების ეკრანი ხარბად იწოვდა იმას, რაც მომავალში აღარ უნდა გაემეორებინა და იმასაც, თუ რა მეთოდები გამოეყენებინა შემდგომ კვლევაში. საბოლოოდ ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა, სტუდენტიც და ხელმძღვანელიც.

სულ სხვა იყო ასპირანტთა სემინარი. მას გაცილებით მეტი სირთულე ახასიათებდა. ამასთან, იგი განსხვავდებოდა ჩვეულებრივ საასპირანტო კოლოკვიუმისაგან, რომელიც უკვე მოპოვებული ცოდნის შემოწმებას გულისხმობს.

როგორც ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი უნიჭიერესი ასპირანტი ვალ. გაბაშვილი იგონებს, მისი და ავთ. იოსელიანის მუშაობას როგორც ასპირანტებისას, ივანე ჯავახიშვილი სემინარში სამი წლის მანძილზე (1937—1940 წწ.) წარმართავდა. სემინარი კვირაში ერთხელ ტარდებოდა და მთელი ამ ხნის მანძილზე ხელმძღვანელს ის არც ერთხელ არ გაუცდენია, უფრო მეტიც, არც დაუგვიანებია. ჭერ ერთი, ხელმძღვანელი იმასაც აქცევდა ყურადღებას, თუ როგორ მუშაობდა ასპირანტი სხვა საგნებში. ეს მუშაობა კი მრავალსაგანიანობას გულისხმობდა. ეს აღმოსავლური ენები კი არ იყო მხოლოდ, არამედ ძველი ქართულის ტექსტები, ასევე მუშაობა არქეოგრაფიაში, ეთნოგრაფიაში, ნუმისმატიკაში, ძველს სომხურში. ამ საგნებს უფრო ადრე აბარებდნენ ასპირანტები. სპეციალობაში მუშაობა ყველაზე ხანგრძლივად გრძელდებოდა. სემინარი გულისხმობდა ძველ საისტორიო ძეგლებზე მუშაობას. ტექსტის ერთი მცირე ადგილის ყოველმხრივი ზეპირი ანალიზი უნდა ჩაეტარებინა ასპირანტს. როგორც ვალ. გაბაშვილი გადმოგვცემს, ასპირანტები ვალდებული ვიყავით წაკითხული კონტექსტიდან გამოგვეტანა ყველაფერი, რის გამოტანაც იქიდან შეიძლებოდა. ყურადღება ექცეოდა ყველა დეტალს, ყოველგვარ ნიუანსს, სიტყვის ან ფრაზის ყველა შესაძლებელ მნიშვნელობას, რათა სათანადო წყაროს სათანადო კონტექსტში დაგვენახა ის, რაც გარეგნულად შეუმჩნეველი იყო და მხოლოდ გამახვილებულსა და გაწაფულ თვალს შეეძლო შეემჩნია. თვალის გამახვილება და გაწაფვა ხანგრძლივ დროს, ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვდა. ამ მიმართულებით მიჰყავდა თავისი ასპირანტები ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც არ აფიქრებდა, რომ ასპირანტი შეცდომას უშვებდა დასაწყისში; მთავარი იყო, იგი თანდათანობით სწავლობდა, ეუფლებოდა ტექსტოლოგიურისა და ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის საქმეს. ასპირანტს ასევე თანდათანობით დამოუკიდებელი კვლევის უნარი უვითარდებოდა. ტექსტის გარეგანი კრიტიკიდან მის ში-

ნაგან კრიტიკაზე გადასვლით. ანალიზი მარტივიდან რთულზე გადადიოდა. ყოველი ახალი სემინარი წინამორბედ სემინარზე უფრო რთულიც იყო და მდიდარიც. ასპირანტი თანაწორი მონაწილე იყო დიალოგისა. თვითონ ხელმძღვანელი ამოწმებდა ზოგჯერ თავის მიხვედრებს, ჰიპოთეზებს და ასპირანტის დამოკიდებულებაც აინტერესებდა. შემოქმედებითი ატმოსფერო იქმნებოდა ისე, რომ ამისათვის დიდაქტიკა, ანდა ხელმძღვანელის მხრივ რაიმე იძულება მთლიანად გამორიცხული იყო. ივანე ჭავჭავაძის ასპირანტებისათვის მარტო აკადემიური ცოდნის მიცემით არ კმაყოფილდებოდა. იგი მათ სერიოზულობის, თავდაპყრობის და სიფრთხილის გრძნობასაც უეითარებდა. იგი ასპირანტებს პირში არც აქებდა და არც აძაგებდა. არც ერთი შემთხვევა გაკილვისა, მით უფრო ირონიისა შეცდომების გამო, არც პირში ქება მიღწეულისათვის. კმაყოფილებას ოდნავ შესამჩნევი ღიმილით თუ გამოხატავდა. ხომ ცნობილია ნადრევე, გადაჭარბებულ ქებას ზიანიც მოუტანია ბევრი დამწეები მეცნიერისათვის, ხელი შეუშლია მისი მეცნიერული წინსვლისათვის, ყველაფერი ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ივანე ჭავჭავაძის თვისი ასპირანტების ქებას ერიდებოდა, როცა ამას ისინი იმსახურებდნენ, მაგრამ ეს კეთდებოდა, როგორც ადრევე დავინახეთ, ოფიციალურ დახასიათებებსა და წარდგინებებში, თვითონ ვ. გაბაშვილისა და ავთ. იოსელიანის გამო 1939 წლის 9 იანვარს წერდა: „ამით მოგახსენებთ, რომ წარსული წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში ასპირანტებთან ავთან. იოსელიანთან და ვალერ. გაბაშვილთან გ. ხუცესმონაზონის საისტ. ნაშრომის ინტერპრეტაციაზე ვმუშაობდით. მთავარი ყურადღება სოციალური პრობლემის გაშუქებას ჰქონდა მიპყრობილი. ორივე ასპირანტის მუშაობა ფრიად კარგი იყო“.

1939 წლის 28 დეკემბერს ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი აბ. კიკვიძე აკად. ივ. ჭავჭავაძისაგან ითხოვს ასპირანტ ა. აფაქიძის დახასიათებას. 1940 წლის 2 იანვარს დეკანი იღებს შემდეგ პასუხს: „თქვენი თხოვნის თანახმად ამასთანავე გიგზავნით ასპირანტ ა. აფაქიძის დახასიათებას მცხეთა-სამთავროს ექსპედიციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩრდილოეთის ჭგუფის ხელმძღვანელის ალ. კალანდაძის მიერ არის შედგენილი და რომლის შინაარსსაც ვადასტურებ“.

არა სტანდარტული დახასიათება, არამედ ექსპედიციის უშუალო ხელმძღვანელის აზრი, გაძლიერებული ივ. ჭავჭავაძის ავტორიტეტით, შესანიშნავად წარმოგვიდგენს ახალგაზრდა მკვლევარს.

ალ. კალანდაძის დახასიათებიდან ვგებულობთ, რომ ასპირანტი ა. აფაქიძე მცხეთა-სამთავროს ექსპედიციაში მონაწილეობდა 1939 წლის 27 ივნისიდან 9 დეკემბრამდე. იქვე ვკითხულობთ: „უკანასკნელი კურსის ასპირანტმა ანდრია მელიტონის ძე აფაქიძემ გამოამჟღავნა საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერისათვის ესოდენ საჭირო მუყაითობა, სიბეჭითე, დაკვირვების უნარი, მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხების თუ საკუთრივ მის მიერ გამოთქმული დასკვნების მრავალგზის და ყოველმხრივი განხილვისა და შემოწმების უნარი.“

ამხ. ა. აფაქიძის მიერ ბევრჯერ შემოტანილია რაციონალური წინადადებანი საკვლევი სამუშაოების ცალკეული მომენტების უკეთ წარსამართავად და მოპოვებული არქეოლოგიური მასალების დოკუმენტაციის შესაძლებელი სისრულით ჩასატარებლად. მის მიერ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით შედგენილი წერილობითი დოკუმენტური მასალა (დღიურები, საველე დავთრები, ცალკეული შენიშვნები და სხვ.) ხასიათდება ლაკონურობის, სიზუსტის, აზრის სიცხადით. საველე არქეოლოგიური სამუშაოების მთელი ამ ხნის მან-

ბილზე მას მრავალგზის უხდებოდა შეეცავლა ექსპედიციის ხელმძღვანელი ადგილზე, საქმეში, რომლის დროსაც არაერთხელ უჩვენებია საკითხის გარკვევით, კონკრეტულად დასმა და მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტის უნარი.

ა. აფაქიძის საუკეთესო თვისებათა რიგს უნდა მიეკუთვნოს უზადო პირდაპირობა და ნამდვილი პრინციპულობა, როგორც საქმესთან დამოკიდებულებაში, ისე თანამშრომლებთან და მუშაკებთან ურთიერთობაში¹.

ასპირანტები ივანე ჯავახიშვილისაგან ფრიად ბევრს სწავლობდნენ მეცნიერების, კულტურის¹ ისტორიიდან. ყველაზე ნაკლებს ჰყვებოდა მეცნიერი ხელმძღვანელი თავის პირადი ცხოვრებიდან.

იმდროინდელი ასპირანტები ხშირი მოწმენი იყვნენ ორი დიდი ქართველი მეცნიერის — ივანე ჯავახიშვილისა და გრიგოლ წერეთლის დიალოგისა მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის სრულიად სხვადასხვა საკითხებზე.

საქმე ის იყო, რომ უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილიც და გრიგოლ წერეთელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობენ. აქ სახელმწიფო მუზეუმის მთავარ საგამოფენო კორპუსის ქვედა სართულის ერთ-ერთ პატარა ოთახში (რუსთაველის № 1) ორი მაგიდა იდგა. ერთი ივანე ჯავახიშვილს ეკავა, მეორე — გრიგოლ წერეთელს. მიუხედავად იმისა, რომ სარდაფის დაბალი ფანჯრებიდან გამვლელთა ფეხის ნაბიჯებიც ჩანდა, არც თუ ნათელ ოთახში მალალი აკადემიური განწყობილება სუფევდა. ორი საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერი არ წყვეტდა ზრუნვას მეცნიერების ახალ ცვლაზე, ქართული მეცნიერების დაწინაურებაზე, ფიქრობდნენ ერთობლივ გამოკვლევებზე. სახელმწიფო მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ფრიად მნიშვნელოვანი, ახალი საარქივო დოკუმენტებით შეისწავლა ნათელა ჯავახიშვილი და სტატიის სახით გამოაქვეყნა („მრავალთავი“, 1975 წ. № 5, გვ. 5—21). ყველაფერი ადასტურებს იმ მრავალმხრივ მოღვაწეობას, რაც, გ. ნიორაძის სწორი სიტყვებით, ივანე ჯავახიშვილს სახელმწიფო მუზეუმის განმაახლებლად აქცევს. პრინციპულობა, თანამიმდევრობა და კომპეტენტურობა დაკავშირებულია მუზეუმის თანამშრომელთა მიმართ ყურადღების, მხარდაჭერისა და დაწინაურების სწრაფვასთან.

ივანე ჯავახიშვილი კვლავაც მხარს უჭერს იმას, რომ მუზეუმი ასრულებდეს თავის მნიშვნელოვან ამოცანას: კრებდეს, უვლიდეს და იცავდეს კულტურულ ფასეულობებს. ეს ფუნქცია, რასაკვირველია, ყველა მუზეუმს აქვს. რექტორობის დროიდან, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილი ენერგიულად წარმართავდა კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს და მთელს რესპუბლიკაში სამუზეუმო საქმის განვითარების საქირბოროტო საკითხებს აყენებდა. როცა იგი ხედავდა ამის აუცილებლობას, სვამდა საკითხს კულტურულ ფასეულობათა თბილისში გად-

¹ პროფ. ვ. გაბაშვილი შესანიშნავად აგვიწერა ივანე ჯავახიშვილი როგორც მართლმეცნიერ-ხელმძღვანელი კი არა, არამედ თანამედროვე ხელოვნების, კულტურის მრავალი საკითხით გატაცებული პიროვნება. იგი ახერხებდა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი სადღეისო საკითხებთან დაეკავშირებინა.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ბასილ ფეხტურთელის ჩამოსვლამ 1936 წ. თბილისში გააძლიერა ინტერესი ქართველ-ბასკთა ურთიერთობის პიოთეზისადმი. აკი ათონის ივერთა მონასტრის ბერებს ესპანეთში ეგულეებოდათ ქართველთა თანამონათესაენი. ივ. ჯავახიშვილს ამის გამო მრავალი საკითხი დაუყენებია ასპირანტთა წინაშე.

მოტანის თაობაზე. ასე, ჯერ კიდევ 1924 წლის 3 მარტს იგი აყენებდა განათლების სახალხო კომისარის წინაშე საკითხს, რომ მარტვილის მონასტრის მოვლისათვის მიღებული ყოფილიყო დამატებითი ღონისძიებები და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი განძეულობა გადმოეტანათ თბილისში, ვინაიდან „იმ სიძველეთა შორის, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს მთავრობის ყურადღებასა და მზრუნველობას, თავისი მნიშვნელობით ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს მარტვილის მონასტერში დაცულ განძეულობას. მარტვილში დაცულია მთელი რიგი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის სიძველენი, რომელთაც აქეთ მეცნიერული მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც“. მართლაც, ბევრი რამის ჩამოტანა მოხერხდა თბილისში და დაღუპვას გადაარჩა. ივანე ჯავახიშვილი აქტიურად უჭერდა მხარს განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედებას მიმართულს გორში, თელავში, ოზურგეთში, სვანეთში, ახალციხეში და სხვაგან ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმების შექმნისაკენ.

რასაკვირველია, ცალკე საკითხია უკვე შეკრებილ მუზეუმო ფასეულობათა შენახვა-კონსერვაცია, მათი მოვლისათვის. ტექნიკის მიღწევათა გამოყენება.

ივანე ჯავახიშვილი სამუზეუმო კულტურულ ფასეულობათა სარგებლობის წესებს ყველასათვის საეაღღებულოდ თვლიდა. მუზეუმის ხელმძღვანელობისათვის არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, მისი აზრით, რაიმე გამოწვევისი, რომ სამუზეუმო ექსპონატი, ძველი ხელნაწერი ან წიგნი, ვინმეს მუზეუმის რიგითსა, თუ ხელმძღვანელ თანამშრომელს შინ წაეღო თუნდაც დროებით სარგებლობისათვის.

როგორც კ. გრიგოლია იხსენებს, აქ ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა „მომზენის პრეცედენტზე“. მსოფლიო ისტორიკოსის სახელის პატივისცემამ გამოიწვია ის, რომ მომზენს სიძველეთა საცავიდან შინ გაატანეს ძველი ძვირფასი ხელნაწერი, მაგრამ 1880 წლის ერთ ღამეს მის სახლში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა უნიკალური ხელნაწერი. ეს საყოველთაო სიგნალი გახდა იმისა, რომ პიროვნების მიუხედავად, არავის არა აქვს უფლება ხელნაწერთა მუზეუმის (საცავის) ფარგლებიდან გატანისა. სწორედ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით იქნა შემოღებული მუზეუმში შემოსული ნივთების ერთიანი საარეგისტრაციო დავთარი.

ივანე ჯავახიშვილის ყოფნას სახელმწიფო მუზეუმში მრავალი სიკეთე მოჰყვა. მათ შორის უნდა ითქვას მისი განსაკუთრებული ნიჭი სამუზეუმო სიმდიდრეთა სარგებლობის ხერხები ნორმატიულად ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ამ განსაკუთრებულ ნიჭს უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ ივანე ჯავახიშვილმა შეიმუშავა შესანიშნავი დოკუმენტები „ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ“, „ხელნაწერთა აღწერილობისათვის“ და „ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და გადმოწერის წესი“. აქ მარტო საკითხის ისტორიის ღრმა ცოდნა კი არ ჩანს, ღრმა თეორიული განზოგადებები კი არა გვაქვს მხოლოდ, არამედ, ამასთან ერთად, მოცემულია პრაქტიკულად სახელმძღვანელო დებულებები ხელნაწერთა შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და გამოცემის საქმეში. (იხ. მრავალთავი, 1975, 5, გვ. 262—276). სწორედ ეს აქტები დაედო საფუძვლად როგორც სახელმწიფო მუზეუმს, ისე შემდგომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხაზით ხელნაწერთა გამოცემის საშვილიშვილო საქმეს. ეს კი მეტად საშური იყო, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ვინაიდან ჩვენ ჩამორჩე-

ნილები ვიყავით ამ დარგში განათლებულ ერებს, რომლებსაც ხელნაწერთა სრული აღწერილობანი და მათი ღირსება-ნაკლოვანების შედარებითი დახასიათება დიდი ხანია მოეპოვებათ. ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკეთებდნენ ამას, ჩვენ კი ყველაფერი ეს ინტენსიური, ერთი მიზანშეწონილი გეგმით და შეერთებული შრომით უნდა გამოვასწოროთო. სწორედ ამ გზით შეიძლება ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას მკვიდრი საფუძველი შევუქმნათო. რასაკვირველია, ეს თანდათანობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ივანე ჭავჭავიძის გამოწვევლილვით განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს გამომცემელი, რომ არ გაიტაცოს იგი ხელნაწერის ტექსტის ვითომცდა „ფოტოგრაფიულმა სისწორემ“ და ვერ შეამჩნიოს სწორედ დედნის აშკარა შეცდომები. ყოველი ხელნაწერი განხილულ უნდა იყოს „1) პალეოგრაფიულად, როგორც დამწერლობის ძეგლი; 2) როგორც მწერლობის ძეგლი ფართო მნიშვნელობით — კრებულებრივ, და მისი შედგენილობის თითოეული ნაწარმოები თავისთავად — ცალკე, და ბოლოს, 3) როგორც ხელოვნების ძეგლი, თუ იგი დასურათებულია ან დაკაზმულ-მოჭედილია“.

გამომცემელს ძველი ტექსტის გადაბეჭდვა ანდა ხელნაწერის უკრიტიკოდ გამოკემის მიზანი არ შეიძლება აკმაყოფილებდეს. იგი უთითებს, როგორ უნდა ცდილობდეს მკვლევარი პირველად ან ახლად გამოცემულ ტექსტში ყველა მერმინდელი ჩანაწერისა და გადამწერთა შეცდომებისაგან გაწმენდას, ყველა ხელნაწერის მიხედვით ტექსტის აღდგენას. იგი დაასკვნის: „თითოეული ისტორიკოსის ტექსტს უნდა წინ ხელნაწერთა აღწერილობა და ცნობა მიუძღოდეს, მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულების, ტექსტის გრაფიკული და მეხსიერებითი შეცდომებისა და ძეგლის ენის ყველა მნიშვნელოვანი თავისებურებების შესახებ. დაზიანებული და გამომცემლის მიერ აღდგენილი ადგილები უნდა თვით ამავე ავტორის ანალოგიური ადგილებისა თუ გამონათქვამების დამოწმებით იყოს გამართლებული, რასაკვირველია, თითოეული მოზრდილი აღნადგენი ტექსტის სათანადო ნიშნებში ჩართვით, სტრიქონებში კი — ხელნაწერში მყოფი წანაკითხის აღნიშვნით“. ხელნაწერთა აღწერილობას, მათ გამოცემას ტექნიკურ პროცესად როდი განიხილავდა ივ. ჭავჭავიძის, არამედ ღრმა სამეცნიერო კვლევა-ძიებად. საზოგადოდ, იგი განსაკუთრებულ ამოცანად სახავდა მეცნიერული კადრების აღზრდას თვით მუზეუმებშიც, როგორც სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი აუცილებლად მკვლევარი უნდა იყოს. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას თავისი მოვალეობის ჭეოვნად შესრულება. ივანე ჭავჭავიძის აზრით „სამუზეუმო მუშაკს სამი თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ის მეცნიერი მკვლევარი უნდა იყოს, 2) მან სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-კონსერვაციის წესები და საშუალებაც უნდა იცოდეს, ყველამ თეორიულად, ზოგმა მათგანმა კი საგანგებოდ პრაქტიკულადაც, 3) მან მუზეუმის როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანებიც კარგად უნდა იცოდეს“ და სამუზეუმო საგნების გამოფენის, ექსპოზიციის პრინციპებიც“.

ამ კადრების აღზრდისათვის საკმარისი არ იყო ახალგაზრდა თანამშრომლების სამუზეუმო მუშაობაში ძველი შეგირდობის წესით ჩაბმა. მათ ღრმა თეორიული ცოდნაც უნდა მიეღოთ. ამ მიზნით თვითონ ივანე ჭავჭავიძისმა ყველაზე მეტი გააკეთა, რომ მუზეუმის თანამშრომლების მეცნიერული კვალიფიკაცია ამაღლებულიყო. იგი მარტო ლექცია-მოხსენებების წაკითხვით, პროსემინარების მოწყობით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ იძლეოდა რჩევა-დარიგებას, კონსულტაციებს მრავალი სხვადასხვა საკითხის შესახებ. ამასთან მისი

ეს ზრუნვა და ყურადღება ვრცელდებოდა სახელმწიფო მუზეუმის ყველა განყოფილების თანამშრომლებზე. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო მუზეუმის პრესტიჟის ამაღლებისათვის ისტორიის განყოფილების შექმნას. საკითხი შედარებით დაწვრილებით გაეცნობას იმსახურებს.

ჯერ კიდევ 1932 წელს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ქონების განაწილების საკითხის განხილვის დროს ივანე ჯავახიშვილმა დააყენა საისტორიო განყოფილების დაარსების აუცილებლობის საკითხიც. ამ აზრს წინ აღუდგა არქეოლოგიური განყოფილების გამგე გ. ნიორაძე და მისი თანაშემწე ს. მაკალათია. ამ სხდომაზე საკითხი დაუმთავრებელი დარჩა და, როგორც 1934 წლის 25 ივნისს საქართველოს მუზეუმის დირექტორის სახელზე წერს ივანე ჯავახიშვილი, „პირველი სხდომის შემდეგ ზემოდასახელებულ ორ პირს მუზეუმის დირექტორისათვის წერილობით განცხადება წარედგინათ, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოს ზემოაღნიშნული წინადადება მარქსისტულ და საბჭოთა მეცნიერების მთელ გეზს ეწინააღმდეგებოდეს. ამაზე ჯეროვან პასუხის გაცემას ვაპირებდი მეორე სხდომაზე, მაგრამ, არ ვიცი რა მიზეზით, მეორე სხდომა აღარ ყოფილა მოწვეული და საკითხები სამუზეუმო ქონების განყოფილებათა შორის განაწილებისა და საისტორიო განყოფილების დაარსების შესახებაც გადაუწყვეტელი დარჩა.

საკავშირო და საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოების გამოცემულ განკარგულებათა შემდგომ ისტორიის შესახებ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იმ მოსაზრებას, რომელიც საქ. მუზეუმის საბჭოს სხდომაზე მქონდა გამოთქმული, უკვე ბევრი დასაბუთება აღარ სჭირდებოდა, მით უმეტეს ზედმეტი იქნებოდა გ. ნიორაძისა და ს. მაკალათიას განცხადებათა სრული უსაფუძვლობის დამტკიცება. მთავრობის განკარგულებაში, საბედნიეროდ, ისტორიაში ასეთ ნაუარდაც ბოლო მოუღო, საისტორიო მეცნიერებისა და ცოდნის უაღრესი მნიშვნელობაც დააქონა, კვლევა-ძიებისა და სწავლების კონკრეტულობა და ისტორიის პერიოდიზაციის საკითხიც უცილობელი და სავალდებულო გახდა.

თავისთავად ცხადია, რომ მთავრობის ამ დადგენილებას მარტო საშუალო და უმაღლესი სასწავლებელთათვის არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ამიერიდან სამეცნიერო-საკვლევო და სამუზეუმო დაწესებულებებმაც უნდა იხელმძღვანელონ და მთავრობისაგან დასაბუთ მიზანს ხელი შეუწყონ. ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვეა ამიერთაგან მუზეუმებს“. ყველაფერი ეს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მუზეუმის წიაღში საისტორიო განყოფილების შექმნის საპირობებს ქმნიდა. მაინც, რამდენადაც ამ საკითხზე ადრე არავის უზრუნვია, მისი გადაწყვეტა თანდათანობით მოხერხდება, მაგრამ მიზანი და გეგმა წინასწარვე უნდა იყოს განსაზღვრული.

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, საისტორიო განყოფილებისათვის ზოგადად მსოფლიო ისტორიისა და, კერძოდ, მახლობელი აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თუნდაც მთავარი საფეხურების შესწავლა რომ დაგვესახა, ეს თავის მოტყუილება იქნებოდა. არც არსებობს ასეთი იდეალური მუზეუმი მსოფლიოში. საისტორიო განყოფილებისათვის მიზანი უფრო ვიწროდ უნდა შემოიფარგლოს და თავის მოვალეობად კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ნივთიერი ნაშთების შეგროვება, შესწავლა და გამოყენა მიიჩნიოს. ეს, რასაკვირველია, არ გამოირიცხავს, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის შესწავლა-შეგროვებას, რაც

აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა ერთ დიდ სახელმწიფოსთან ჩვენი ხალხის ისტორიულ კავშირურობას ასახავს.

შემდგომ ივანე ჯავახიშვილი სთავაზობდა თავის წინადადებას საისტორიო განყოფილების სექციებისას. აქ, უძველეს ისტორიასთან ერთად, ითვალისწინებდა უახლესი ისტორიის სექციასაც, აგრეთვე სხვადასხვა სექციას სამუზეუმო ფასეულობათა შესწავლა-გამოფენისათვის.

ივანე ჯავახიშვილი სავესებით სწორად შენიშნავდა, რომ „ყველაზე ძნელი, რა თქმა უნდა, საშუალო საუკუნეებისა და განახლების ხანის კულტურის სექციის მოწყობა იქნება, რადგან, რაკი ამაზე არავის უზრუნვია, მართალია, მეტად მცირეა შეგროვებული და, რაც მოიპოვება, ისიც სხვადასხვა მუზეუმებსა და განყოფილებათა გაფანტული“.

ივანე ჯავახიშვილმა შესანიშნავად გადალახა ეს სიძნელეები. შედეგად არა მარტო მდიდარი არქეოლოგიური მონაპოვრები მივიღეთ, არამედ ისიც, რომ აღიზარდა სათანადოდ განსწავლულ თანამშრომელთა დიდი რაზმი. 1937 წლის 28 თებერვალს ჩამოყალიბდა ისტორიის განყოფილება. 13 მარტიდან მას სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილი. დღეს ნათელია, თუ რა დიდი, ჰეშმარტად ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა საისტორიო განყოფილების შექმნას, განსაკუთრებით საქართველოს შუა საუკუნეების შესწავლისათვის. მეცნიერული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი ჩვეული გულისყურით ექცეოდა თითოეულ მათგანს, არ ივიწყებდა მათი კვლევისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვას მუზეუმსა და მის გარეთ. მუზეუმის დირექტორი ივანე ჯავახიშვილის დიდ ავტორიტეტს იყენებდა მთელი დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესებისათვის მისი სხვადასხვა ორგანოში წარგზავნით. ივანე ჯავახიშვილი საერთო საქმის დაწინაურების გულისათვის ამას ყოველთვის დაუზარებლად აკეთებდა. ბევრჯერ დადებითი შედეგი მოჰყოლია მის ამგვარ ვიზიტს ზღლისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენელთა წინაშე. ერთხელ ამგვარი ვიზიტის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ფრიად კმაყოფილი დაბრუნებულა, თუმცა დასახული მიზანი ვერ შეუსრულებია. ამას აგვიწერს კ. გრიგოლია.

1939 წელს დამთავრდა მთავრობის სახლის მშენებლობა. ამის გამო დაიწყო სახალხო კომისართა საბჭოს შენობა, რომელიც ადრე კავკასიის მეფის ნაცვლის სასახლე იყო. მუზეუმის დირექციამ განიზარა ამ შენობის მიღება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი საგამოფენო დარბაზების დიდ სივრცოვებს განიცდიდა. ამიტომ დირექციამ სთხოვა ივანე ჯავახიშვილს, წასულიყო მთავრობაში, რომ მუზეუმებთან ასე ახლო მდებარე შენობის გადმოცემაზე ეშუამდგომლა. ივანე ჯავახიშვილი დაუყოვნებლივ დაეთანხმა ამ თხოვნას. იგი აღფრთოვანებული დაბრუნდა. მუზეუმის თანამშრომლები ასე მოუთმენლად რომ ელოდნენ, მას შემოეხვივნენ, ყველას საზეიმო განწყობილება შეექმნა, მაგრამ სულ სხვა რაიმე აცნობა მან შეკრებილთ.

— „ბატონებო, პიონერებს მოუსწრიათ ჩვენთვის, პიონერებს.

მთავრობის თავმჯდომარემ გვითხრა: „სწორედ გუშინ იყო ჩვენთან პიონერთა დელეგაცია ამის თაობაზე, იმათ მივეცით ეს შენობა, თორემ თქვენ უარს აბა როგორ გეტყოდით“.

დირექტიიდან მას ეკითხებიან — თქვენ ხომ აუხსენით მთავრობის თავმჯდომარეს ჩვენი გაჭირვებაო?

ამაზე მეტად დამაჭერებელი პასუხი მიიღო ივანე ჯავახიშვილისაგან.

„აბა, პიონერების წინააღმდეგ მე რას ვიტყოდი“ და მერე ყველას გასა-

გონად თქვა: „ლასანანი ამ შემთხვევაში სრულიად არაფერია. პიონერები მაგ შენობაში მონდომებული პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელობით ისეთ მრავალფეროვანსა და ნაყოფიერ საქმიანობას გააჩაღებენ, რომელიც თავისი სამეცნიერო საზოგადოებრივი მნიშვნელობით ჩვენსაზე ოდნავადაც კი უფრო მცირე არ იქნება“.

ეს სიტყვებიც ერის დიდი მოპირნახულისა გამართლდა.

დიდ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ფუნქციებს აკეთებდა ივანე ჯავახიშვილი სამუზეუმო გამოფენებს. ეს მანამდეც იყო, ვიდრე იგი მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაიწყებდა მუშაობას. ივანე ჯავახიშვილი ცხოველი ინტერესით ათვალისწინებდა 1923 წელს საქართველოს მუზეუმის შენობის ახლადდამთავრებულ კორპუსში მოწყობილ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ გამოფენას. ხოლო 1925 წელს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მოწყობილ გამოფენას. ივანე ჯავახიშვილი დიდად გაახარა ქართული ხელოვნების გამოფენის წარმატებამ 1930 წელს ივლის-ოქტომბერში გერმანიასა და ავსტრიაში, სადაც აჩვენეს საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლები, რომლებიც ევროპის გასაცნობად წაიღეს უნივერსიტეტის პროფესორებმა გ. ჩუბინაშვილმა და შ. ნუტუბიძემ. ამ გამოფენის მომზადებაში ი. ჯავახიშვილის წვლილიც იყო.

1977 წლის მაისში თბილისში მოწყობილ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე გერმანელმა პროფესორსმა ი. ირმშერმა სპეციალური მოხსენება წაიკითხა თემაზე „გამოფენა ქართული ხელოვნება“ 1930 წ. საბჭოთა-გერმანულ სამეცნიერო კონტაქტების სამსახურში“. ეს გამოფენა მოეწყო აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის გერმანული საზოგადოების მიერ, როგორც მესამე გამოფენა 1926 და 1929 წლის შემდეგ, რომლებიც მიეძღვნა ძველ რუსულ ხელოვნებას.

გამოფენის იდეა გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნოდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ დასავლეთ ევროპის მეცნიერებისათვის ქართული ხელოვნება „საესკებით ახალი ცნებაა“, გამოფენას უნდა შეექმნა „ზოგადი წარმოდგენა“ ძველ ქართულ ხელოვნებაზე.

არქიტექტურის შესახებ საილუსტრაციო მასალა მიმოიხილავდა ძველ ქართულ ძეგლებს, დაწყებული ადრინდელი ქრისტიანული ძეგლებიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე.

გამოფენის შემდეგი განყოფილება ეძღვნებოდა ფრესკულ ფერწერას, რომელიც პირების სახით იყო შესრულებული. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა დ. შევარდნაძემ. გარეჯის კომპლექსის კედლის ფერწერა ამ განყოფილების მთავარი ნაწილი იყო. შემდგომ განყოფილებაში შედიოდა ვერცხლის ქედური ხატები. მათ შესწავლაში, კონსერვაციაში, სისტემატიზაციაში და რესტავრაციაში საბჭოთა ხელოვნულობის წლებში პროფ. გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული.

მეოთხე განყოფილება უმთავრესად სხვადასხვა მორთულობას, ავეჯს და ა. შ. ეხებოდა.

მეხუთე განყოფილებაში კი მოცემული იყო მინიატურული ფერწერის მიმოხილვა, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება შ. ამირანაშვილის მიუძღოდა. გამოფენა 1930 წლის 8 ივლისს გაიხსნა ბერლინში. ყველაფერ ამას ემატებოდა ქართული ხელოვნებისა და მისი განვითარების პრობლემებზე დაწერილი გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევა. მან იგი მოხსენებადაც წაიკითხა ბერლინში.

ბრწყინვალე გერმანულით წაკითხულ მოხსენებას სპეციალისტები ალტაცებით შეხვდნენ. ასევე ალტაცებით ხვდებოდნენ პროფ. შ. ნუცუბიძის გამოსვლებს. გარდა ბერლინისა, გამოფენა ნაჩვენები იყო კელნში, ლაიფციგში, მიუნხენსა და აესტრიის დედაქალაქ ვენაში. სადაც ის არა ნაკლები კმაყოფილებით მიიღეს. უსაზღვრო იყო დაინტერესება ივანე ჯავახიშვილისა იმით, თუ როგორ შეხვდნენ ევროპელი სპეციალისტები ამ გამოფენას. გიორგი ჩუბინაშვილი გადმოგვცემს: „უნდა გენახათ, როგორი ყურადღებითა და ზნეობრივი კმაყოფილებით ისმენდა ამბავს იგი იმ დიდი ინტერესისა და აღფრთოვანების შესახებ, რომელიც გამოიწვია გამოფენამ და მასთან ერთად ჩატარებულმა მოხსენებებმა არა მხოლოდ ყოველდღიურ პრესაში და ჩვეულებრივ მსახველებში, არამედ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებს შორის, რომლებმაც ეს გამოფენა ინახულეს“.

ივანე ჯავახიშვილმა დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო მუზეუმებში მოწყობილი გამოფენების მეცნიერულ და საგანმანათლებლო ღირებულებათა ამაღლებას. ასე, 1934 წლის 30 მარტს ივანე ჯავახიშვილი თავის მოსაზრებებს წერს სახელმწიფო მუზეუმში შემუშავებულ არქეოლოგიური გამოფენის გეგმაზე, რომლის დევიზი იყო „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“. ეს გზადაგზა გამოთქმული კერძო შენიშვნები როდია. ესაა მწყობრი შეხედულება უძველესი პერიოდის საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ; ამასთან ერთად შესანიშნავი წყარო იმისა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო გამოფენის მოწყობა. ივანე ჯავახიშვილის ამ შესანიშნავი ნააზრების როლი და ადგილი ჩვენში საგამოფენო საქმის მეცნიერულად ორგანიზაციისათვის ნათლად გვიჩვენა მეცნიერ-არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ. ამიტომ ჩვენ დავეკმაყოფილებით რამდენიმე ადგილის მოყვანით ივანე ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათიდან.

ივანე ჯავახიშვილი იწყებს იმით, რომ იწონებს წარმოდგენილ გეგმას გამოფენის მოწყობისას. მას კმაყოფილებას ჰკვირის ის, რომ მანამდე უსარგებლოდ და უქმად მდებარე არქეოლოგიური მასალა ახლა სისტემატურად, გააზროვნებულად გამოიფინება ფართოდ გაცნობისათვის. მეცნიერებისათვის მთელი შესაძლებლობით გამოიყენება. ყოველივე ამის აღნიშვნა ხელს არ უშლის მას, მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარეს, მიუთითოს გეგმის ნაკლოვანებებზე. ივანე ჯავახიშვილი უაღრესად სასარგებლო მითითებას იძლევა, თუ როგორ უნდა შესრულდეს წარწერები ექსპონატებზე, რომ ეს დღევანდელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ „ზედმიწევნითი გეოგრაფიული სახელის მიხედვით, ე. ი. სწორედ იმ ქალაქის, სოფლისა, თუ აგარაკის, ანდა სხვა ადგილის სახელით, სადაც ესა თუ ის ნივთი იყო ნაპოვნი, ან ამოთხრილი“.

ბევრი ფრიად ყურადსაღები შენიშვნაა გაკეთებული გამოფენის მეცნიერული სრულყოფისათვის. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს არასწორად მიაჩნია პროგრამის შემდგენელთა ის დებულება, რომ თითქოს მთიანი საძოვრების საპრობუდა ნოყიერი საძოვრების ნაკლებობით აიხსნება. სინამდვილეში კი ეს საპრობუდა მეცხვარეობის გაჩენისთანავე წარმოიშვა, რადგან ცხვარი ვერც დიდ სიციხეს უძლებს და ვერც დიდ სიცივეს. გონებამახვილურად შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, რომ საქართველოსათვის, ისე როგორც მთლიანად კავკასიისათვის, მიუღებელია შეხედულება ჩრდილოეთის ხალხებში გამწვევ ძალად გამოყენებული ძალის, ირმისა და ცხენის ფუნქციურ მონაცვლეობაზე. ამ თვალ-

საზრისის დასამტკიცებლად გამოფენის მომწყობთ ე. წ. ყაზბეგის განძი მოქონდათ. ივანე ჯავახიშვილის აზრით კი, ცხოველთა ამგვარ ფუნქციურ მონაცვლეობაზე ლაპარაკი შესაძლებელი მარტო ჩრდილოეთის ხალხთა ისტორიულ განვითარებაში ჩავთვალოთ სამართლიანად, ისიც მხოლოდ უკიდურეს შემოზოლში, სადაც ძალსა და ირმებს ცხენსავით იყენებენ. „სამხრეთში კი იქ, სადაც კავკასია მდებარეობს, არაფერი ამის მსგავსი არასდროს არ ყოფილა: ძალი აქ ყოველთვის მხოლოდ მოდარაჟე და სანადირო ცხოველი იყო და არის ეხლაც“. ირემი კი „აქ მხოლოდ გარეული ცხოველი იყო, რომლის მონადირებაც მარტო მონადირეთა მიზანს შეადგენდა“. ამ ფრიად დამაჯერებელი განმარტების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი კი არ აყენებს საკითხს ე. წ. ყაზბეგის განძის გამოფენიდან მოხსნისას, იგი მოითხოვს იმას, რომ ყაზბეგის ბრინჯაოს ნივთების ფანტასტიკური ხასიათის სხვანაირი ახსნა მოხდეს, ვთქვათ იმდროინდელი ზღაპრული წარმოდგენების მიხედვით.

გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ყოველმა მნახველმა უნდა შეიგნოს, რომ ოქრო-ვერცხლი როდია ერთადერთი მიზანი არქეოლოგიული ძებნა-ძიებისა, რომ, ოქრო-ვერცხლის გარდა, „მეცნიერებისათვის ძვირფასია სამარხავის ყოველი ნივთი, ყოველი ძვალი, ყოველი წერილმანიც-კი“. და აქედან თითოეული მთგანის „მოვალეობაა უკვე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების დაცვას ხელი შეუწყოს, ნაპოვნი დაიცვას, პოვნა-აღმოჩენის ამბავი ხელისუფლებასაც და მუზეუმსაც აცნობოს“.

ასე განსაკუთრებულად წერა მეცნიერებისა და მასის ინტერესების ერთიანობისათვის მხოლოდ ივანე ჯავახიშვილს შეეძლო.

1934 წლისათვის მართლაც გაიხსნა შესანიშნავი არქეოლოგიური გამოფენა, რომლის სრულყოფაში ასე დიდი იყო ივანე ჯავახიშვილის წვლილი.

სულ სხვაა ის სამეცნიერო-საკვლევო, საძიებო-შემკვებლობითი და გათხრითი სამუშაოები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მეთავეობით გახორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესათვის მოსაწყობ „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენისათვის“. ამის მსგავსი ღონისძიებები მანამდე სრულიად უცნობი იყო. ვის შეეძლო იმდროინდელ საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურა უკეთესად წარმოეჩინა, თუ არა ქართველთა ყვილაზე დიდ ისტორიკოსს? აქ არა მარტო მისი დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერჯია გაიოჩნდა, არამედ ფართო განათლებაც, რომელიც აუცილებელი იყო ნივთიერი კულტურის კომპლექსურ-კოლექტიური კვლევისათვის. იმისათვის, რომ სალიტერატურო და ხელოვნების სექტორებს გარდა, ყოფაცხოვრების მეურნეობის სექტორს გამოფენისას ეჩვენებინა, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI—XIII სს., როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, მნახველს წარმოედგინა რაინდობის წესები, სკოდნოდა, რას იცვამდნენ, რას იხურავდნენ, რა ავეჯი და კურკლეულობა, რა სამეურნეო და საბრძოლო იარაღი ჰქონდათ, რა დონეზე იდგა მაშინდელი სოფლის მეურნეობა, მისი დარგები—მემინდვრეობა, მკვებანახეობა, მესაქონლეობა, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა, მრეწველობა და ა. შ.

ყოფა-ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის სექტორს უშუალოდ ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. მის აქ მუშაობას შემდეგნაირად ახასიათებს გ. ჩუბინაშვილი: „აქ შეეძლო თვალყური ედევნებინა კაცს, თუ როგორი გარკვეულობით ამუშავებდა იგი განყოფილების შინაარსის მთელ გეგმას, მისი აგების რამდენიმე ვარიანტს შორის, თუ როგორი გეგმაშეწონილ-

ბით შეჩერდა განხორციელებულზე და როგორ მისცა მას ის მხატვრული გაფორმება. რამელიც შოთა რუსთაველის ეპოქის გამოფენის ამ განყოფილებამ მიიღო.

იგი ნათლად ხელმძღვანელობდა, მომართავდა ან უარყოფდა მისთვის მიუღებელ წინადადებებს ავადმოყოლივის დროსაც კი, როცა ლოგინში იწვა. და ეს შეეხება როგორც დარბაზების დაგეგმვას, კარების დადგმას. ისე საგამოფენო ავეჯის ფორმას, ეტიკეტებს და სხვ. მე ვიკონებ ამ სამუშაოს იმიტომ, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც მთელი სისრულით თავი იჩინა ადამიანმა, რომელსაც სამუზეუმო ექსპოზიციის შინაარსზე და მოთხოვნაზე თავისი გარკვეული, მკაფიო და სწორი შეხედულება ჰქონდა“.

რასაკვირველია, XI-XIII ს.უცუენების მატერიალური კულტურის ისტორიის აღსადგენად და გამოფენის მოსაწყობად სრულიად არა საკმარისი იყო წერილობითი წყაროების ცნობები. გადაუღებლად აუცილებელი იყო იმდროინდელი ნივთები. გასაგებია, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების უკუღმართობამ შუა საუკუნეებში, დროისა და ჰავა-ნიადაგის უღმობელობამ, წარსულთანაა შეუგნებლობა-დაუდევრობამ ამ საგნების უმეტესობის დაღუპვა გამოიწვია. მაგრამ ივანე ჭავჭავიძევილი კონკრეტულ გეგმას სახავს. თუ როგორ შეიძლება გადარჩენილ ნივთთა დამძებნა და რა ხერხებით უნდა აღდგეს წარსული კულტურის ნაშთების მიხედვით ისტორიული სინამდვილე.

...ეს დიდი საიუბილეო წამოწყება ივანე ჭავჭავიძევილმა — შემოქმედმა მეცნიერმა — აქცია ქართული არქეოლოგიის განვითარების ნიშანსვეტად, უპირველესად აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მის მიერ საქართველოს შუა საუკუნეთა არქეოლოგიის დაფუძნება. ეს კი თავის შედეგებით გაცილებით სცილდება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის ნივთების მოპოვების ამოცანებს. იმ დროისათვის საკვირველი გეგმაშეწონილობით წარმართავდა ივანე ჭავჭავიძევილი ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და ძეგლების არქეოლოგიურ კვლევას.

იქმნება დმანისის, ბოლნისის, გუდარეხის, გეგუთისა და სხალტბის წყალსადენის შემსწავლელი ექსპედიციები. იწყება ძველი ანაგის, კოლოთოს ჭერ დაზვერვითი და შემდგომ გათხრითი სამუშაოები. ასე ეყრება საფუძველი ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევას. მოპოვებული მასალა მან მარტო შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმს კი არ გადასცა, არამედ არქეოლოგიური კოლექციები მიაწოდა აგრეთვე ერმიტაჟისა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს. მაინც მთელი ამ მოღვაწეობის ყველაზე დიდ შედეგი იყო არა ეს მონაპოვარი, არამედ ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგთა კადრების აღზრდა, რომლებიც ასე წარმატებით განაგრძობენ დღეს მუშაობას. ივანე ჭავჭავიძევილისათვის ჩვეულ მაღალ აკადემიურ დონეზე ჩაეყარა საფუძველი მეცნიერ-სპეციალისტთა აღზრდას ამ ჩვენთვის უადრესად მნიშვნელოვან დარგში. ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ ივანე ჭავჭავიძევილი, შერაყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, უშუალო აქტიურ ზედამხედველობას უწევდა საველე სამუშაოებს. მთავარი ის იყო, რომ არქეოლოგ მკვლევართა წინასწარი მომზადების გარდა, იგი საკვირველ ყურადღებას იჩენდა მათი საველე კვლევის ყველა დეტალისადმი, იმისათვის, რომ არქეოლოგი კვლევის განუმეორებელი პროცესებისათვის ყოველმხრივ მზად ყოფილიყო. აქ კი მნიშვნელოვან პუნქტს მკვლევრისათვის ნორმალური პირობების შექმნას, რაც მათი ყოფა-ცხოვრების, კვების, ჯანმრთელობაზე ზრუნვის დეტალსაც ითვალისწინებდა. ივანე ჭავჭავიძევილი მომთხოვნი და მზრუნვე-

ლი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო თავის თანაშრომელთა მიმართ. არქეოლო-
გიური კვლევის საქმიანობაში იგი ნამდვილ შემოქმედებით გარემოს ქმნიდა,
რომლის დროსაც მეცნიერული გატაცება-შრავალი აღმოჩენის პირობა ხდება.

აქ უნდა შევხვით მის ურთიერთობას უნივერსიტეტის ქართულ ისტორიკოს-
თან ლ. ვ. მუსხელიშვილთან (1900—1942 წწ.). არსებობს ივანე ჭავჭავაძისა
და ლევან მუსხელიშვილის მიმოწერა (ის ნ. ჭავჭავაძელმა გამოაქვეყნა ეურნალ
„მნათობში“, 1975 წ. №№ 6, 7, 8). ეს მასწავლებლისა და მოწაფის ღრმა აკადე-
მიური და მალაღობიერებად აღიქმება ურთიერთობის ნიმუშია.

ლ. ვ. მუსხელიშვილი 1918 წელს საზღვარგარეთ მიემგზავრება უმაღლე-
სი ვანათლების მისაღებად. ივანე ჭავჭავაძის განზრახული ჰქონდა, იგი ვატი-
კანის ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ მოეზადებინა. ლ. მუსხელიშვილი
ჯერ ფილოსოფიას სწავლობს, შემდეგ კი ისტორიას (ბერლინი, ფრაიბურგი,
გეტინგენი, ჰალე, მიუნხენი). იგი 1923 წელს ბრუნდება სამშობლოში ისე, რომ
ავადმყოფობის გამო ვერ ამთავრებს საუნივერსიტეტო კურსს. ახლა 1927 წელს
ამთავრებს თბილისის უნივერსიტეტს. იგი ივანე ჭავჭავაძის წარდგინებით
საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი ხდება, შემდეგ კი — საქარ-
თველოს სახელმწიფო მუზეუმის თანაშრომელი. ივანე ჭავჭავაძის დიდ იმე-
დებს ამყარებს ნიჭიერ ახალგაზრდაზე. ღრმად სწამდა მისი დიდი შემოქმედე-
ბითი შესაძლებლობანი. ლ. მუსხელიშვილი რამდენიმე შესანიშნავ გამოკვლე-
ვას აქვეყნებს სოციალური ისტორიის საკითხებზე, წარმატებით მუშაობს ისტო-
რიულ წყაროთა გამოკვლევაზე, ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. სწორედ ის აირჩია ივა-
ნე ჭავჭავაძელმა შუასაუკუნეების არქეოლოგიის ძეგლების კვლევის ყველაზე
მნიშვნელოვანი კერების ხელმძღვანელად.

11 წელს გრძელდებოდა მიმოწერა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის
(1929—1940). მასწავლებელი ისწრაფვის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი უნივერ-
სიტეტის მოწაფეს, რომლისთვისაც ტუბერკულოზს ხელი ასე მაგრად ჩაუვლია.
წერილი არ არის, რომ არ ჩანდეს ეს ზრუნვა, მოწაფეს არანაქვებ აფიქრებს
მასწავლებლის ჯანმრთელობა და მომენტს არ უშვებს, შეახსენოს ძვირფას მას-
წავლებელს, როგორ უნდა უფრთხილდებოდეს იგი თავის ჯანმრთელობას. ამ
ურთიერთობათვის ცემის ფონზე იმლება პირუთენელი მეცნიერული მსჯელო-
ბა საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით კი არქეოლოგიის უაღრესად სა-
კირბოროტო საკითხებზე.

ივანე ჭავჭავაძის სადისერტაციო თემის შერჩევაში უაღრეს სისათუთეს
იჩენს და მაქსიმალურად ცდილობს ასპირანტის მეცნიერული ინტერესები გა-
ითვალისწინოს. იმისათვის, რომ გაუუმჯობესოს, ნაწილობრივ მაინც, მატერიალ-
ური მდგომარეობა, კორექტურის წაკითხვას სთავაზობს, ამას იგი სრულიად
შეუმჩნეველად აკეთებს, რომ ასპირანტს ღირსების შელახვად არ მოეჩვენოს.
1930 წლის 8 აპრილს იგი სწერს ლევან მუსხელიშვილს: „ჩემო ძვირფასო ბა-
ტონო ლენკო!

თქვენი ავადმყოფობის ამბავმა შემაწუხა იმიტომ კი არა, რომ ამით ის
საქმე, რომელსაც თქვენ კისრულობთ, შესაძლებელია შეფერხდეს. თქვენ ამის
ფიქრი ნუ გაქვთ. მე თუ კორექტურის გასწორება თქვენ შემოგთავაზებთ, მხო-
ლოდ იმ მოსაზრებით, რომ ტექსტები, რომელთა გამოკვლევასაც ვაპირებ, თქვე-
ნი სპეციალობის საგანთან არის დაკავშირებული და თქვენთვისაც ეს მომავალ-
ში გამოსადეგი იქნებოდა. ამას გარდა, ეხლანდელ პირობებში ვფიქრობდი,
რომ ზედმეტი შემოსავლის წყარო არავისთვის მოჭარბებული არ იქნებოდა,
მაგრამ თავი და თავი ჯანმრთელობა და ეხლა, ცხადია, უნდა თქვენ ფიზიკურ

ჯანმრთელებას მიიქცით ყურადღება და ყოველგვარ შრომას თავი უნდა დაანებოთ დროებით.

თუ მოგაგონდებათ, მე არაერთხელ მაფიქრებდა თქვენი სიგამხდრე: თქვენ რომ ამ გარემოებისათვის დროზე ყურადღება მიგვეციათ, მაშინ ეგების ეგ მცირედენი დაავადებაც თავიდან აგეციდინათ. უნდა ექიმის ყოველივე ღარიგება აასრულოთ, რომ მოკლე ხანში სრულებით გაჯანსაღდეთ.

მე სწორედ იმან შემაწუხა, რომ თქვენ მომავალნი ჩვენ წარმავლებზე უნდა ჯანმრთელად, სულიერად და ხორციელად მაგრები იყვნეთ. ამიტომ ეცადეთ, მთლიანად განიკურნოთ ესლავე“.

ტუბერკულოზისაგან თავის დაცვისათვის აბასთუმანში მყოფი ლ. მუსხელიშვილი მასწავლებლებზე ფიქრობს და მას სწერს 1932 წლის 1 დეკემბერს: „ძვირფასო პატრონო ივანე!

აქ წამოსვლისას თქვენი ავადმყოფობა დიდ დარდად წამომყვა თან. ნეტა როგორაა ბრძანდებით ესლა, თუმცა მე სრული იმედი მაქვს, რომ აქამდე არამც თუ უკეთესობის გზას დაადგებოდით, არამედ სრულებით განკურნებული იქნებით. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თქვენ თვითონ თურმე სწუხართ, რაც, უეპველია, ავადმყოფობის ნორმალურ მსვლელობას აფერხებს.

ბ-ნო ივანე, უნდა უკეთ მოუაროთ თქვენს თავს და მაგ ჯარიან ამინდში, რომელიც თბილისში ისე სასტიკია, გარეთ სულ არ უნდა გამობრძანდეთ ხოლმე“.

ივანე ჭავჭავიძეილი უწონებს თავის მოწაფეს შემოქმედებით გეგმებს. მისთვის გასაგებია, რომ ძნელია ნაშრომის სრული სახით დამთავრება აბასთუმანში ყოფნის დროს, მაგრამ რამდენადაც ლ. მუსხელიშვილი არ წყვეტდა მუშაობას, ურჩევს: „ყველაფრის დაწერას, რაც მანდ მოხერხდება, უნდა უეპველად ეცადოთ. მხოლოდ თქვენს ჯანმრთელობას ძალას ნუ დაატანთ. უნდა ცალ-ცალკე, პატარა ზომის ფურცლებზე სწეროთ, ისე, რომ თუ რისიმე შემდეგში ჩამატება, ან წიგნად დაწერილის გამოცემა დაგჭირდეთ, ძნელი არ იყოს... ამ გზით მოხერხდება უმთავრესი ნაწილის დაწერა, შემდეგ კი, თბილისში ჩამოსული, ადვილად შეაქვებთ მას“. ივანე ჭავჭავიძეილი კვლევის თავის მეთოდებს უზიარებდა მოწაფეს. პატარა-პატარა ფურცელ-ფირფიტებზე ამოწერილი შემდგომ მას მრავალგზის შეელოდა და ერთი და იგივე ძეგლისადმი მუდმივ დაბრუნებისაგან ათავისუფლებდა.

ივ. ჭავჭავიძეილი ყველაზე მეტად არქეოლოგიისაკენ ახალისებდა მოწაფეს. ახალგაზრდა მკვლევარი თვითონ ისწრაფოდა კონკრეტული არქეოლოგიური კვლევისადმი. 1933 წლის თებერვალში იგი აბასთუმნიდან სწერდა მასწავლებელს: „სანამ პრაქტიკა მაქვია, არქეოლოგიად თავს ვერ ვიგრძნობ“. სწორედ ამიტომ იწყებს ივანე ჭავჭავიძეილის ხელმძღვანელობით საველე-არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებიც საგრძნობ შედეგებს იძლევა.

ივ. ჭავჭავიძეილი შესანიშნავ დარიგებებს აძლევდა ლ. მუსხელიშვილს არა მარტო წერილობით, არამედ იმითაც, რომ, ჯანმრთელობის შერყევის მიუხედავად, ჩადიოდა საველე არქეოლოგიური გათხრების დასათვალისწინებლად. ჩვენ შემოგვჩა ის შესანიშნავი წერილობითი მითითებანი, რომელთაც ივანე ჭავჭავიძეილი აძლევდა თავის მოწაფეს გათხრების ჩატარების დროს.

ბედნიერება იყო ახლა ასეთ ხელმძღვანელთან მუშაობა. ადრე კი 1932 წლის დეკემბერს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის სექციაში თავისი მუშაობით უკმაყოფილო ლ. მუსხელიშვილი წერდა: „ჩვენი წრის უბედურება, რომელსაც უეპველია ყველა განიცდის, ის არის,

რომ ჩვენი მეცნიერების თუ უმეცნობის დონე სრულებით ერთნაირია, ამასთანავე საკმაოდ დაბალიც. არც ხელმძღვანელი გვყავს და არც იმდენად მოზადებული ვართ, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ წინ წავგვიოს, ამიტომ ცოტა ვულგარული გამოთქმებისამებრ საკუთარ წევნში ვიხარებთ". მართლაც ბედნიერებაა, როცა ნიკიერი მოწაფე ღირსეულ მეცნიერი-ხელმძღვანელის მიერ იწრთვნება და რაოდენ ძნელია, როცა გვერდში არა გვყავს კოლეგა-კომპეტენტური დამფასებელი და მოდავე, რომელთანაც „ხმაძალა აზროვნება“ წინ გწევს და გაწრთობს.

ახალი, ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპი ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ისტორიაში დაკავშირებულია 1937 წლიდან საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე სისტემური ხასიათის გეგმაშეწონილ გათხრებთან. მალე გაფართოვდა ეს გათხრები. 1938 წლიდან ამ მანამდე უცნობი გათხრების ხელმძღვანელად ივანე ჭავჭავაძის დანიშნა. პირველად ხდება გეგმაშეწონილი არქეოლოგიური ათვისება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ქალაქისა, რომლის სახელწოდება ზუსტად ვიცით და რომლის სამთავროს სამაროვანი თხუთმეტზე მეტი საუკუნის ხანგრძლივობის ნივთიერი კულტურის ძეგლების შემცველი იყო.

ამ გათხრების შედეგი ახლა მთელ მსოფლიოში ცნობილია ისტორიული მეცნიერებისათვის.

ივანე ჭავჭავაძის მოწაფეებმა გ. ლომთათიძემ, ა. კალანდაძემ და ა. აფაქიძემ დაწვრილებით აღწერეს ივანე ჭავჭავაძის როლი მცხეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ არქეოლოგიურ ძიებებში. ჩვენ მას ახლა აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მომენტს: დიდებული გათხრების შედეგებით უსაზღვროდ კმაყოფილია ივანე ჭავჭავაძი, იმ გათხრებისა, რომელმაც კაბუჯური ენერგია დაუბრუნა მეცნიერს, უკანასკნელად 1940 წლის 26 ოქტომბერს იყო მცხეთაში. დიდი ალტაცების ვითარებაში გაიხსნა არმაზის ხევის ერისთავთა მდიდარ სამაროვანზე ასპარუგ პიტიახისა და ამავე წრის წარმომადგენლის უცნობი მანდილოსნის სამარხები. დამსწრეთა თვალწინ გადაიშალა უმდიდრესი არქეოლოგიური ნაპოვნი მალაქობატრულად შესრულებული უძთავრესად ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი. ყველა აღტაცებულია. ამის თაობაზე ივანე ჭავჭავაძისთან საუბარი იბეჭდება გაზეთ „კომუნისტში“ (1940 წლის, 31 ოქტომბერს).

მასში ვკითხულობთ, თუ როგორ მიაგნო არქეოლოგმა ალ. კალანდაძემ ჩინებულად შენახულ ორ აკლდამას. აღწერილია მათი გახსნის ცერემონიალი. ივანე ჭავჭავაძი დაასკენდა: „ამ სამარხთა აღმოჩენა უდიდეს ინტერესს იწვევს, აქ პირველად მოგვეცა საშუალება, გავცნობოდით ძველი II—III საუკუნის იბერიის უმაღლესი თანამდებობის პირის დაკრძალვის ინვენტარს, ამასთანავე ხელისუფალთა ნიშნებს და სამკაულებს. ის გარემოება, რომ ამ სამარხებს კავშირი აქვთ არმაზის ადგილთან, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ადგილას მდებარეობდა საქართველოს უძველესი დედაქალაქი“. ივანე ჭავჭავაძის ცხოვრებაში ეს უსაზღვრო ნეტარების დღე იყო. ძნელი იყო გაქაბუჯებული მეცნიერის ცნობა.

არქეოლოგი ა. კალანდაძე იგონებს:

როდესაც ასპარუგ ერისთავის განსასვენებელში აღმოჩენილი ნივთები ცეცხლგამძლე ყუთში მოთავსებული ბატონ ივანეს გადაეცემა, თითქოს მხნეობა-გამბედაობის მოსამატებლად ვუთხარი: აბა, ბატონო ივანე, თქვენ იცით,

როგორ მშვიდობით ჩაიტანთ თბილისში ჩვენს დღევანდელ სანაქებო მონაპოვარს შეთქი.

(ფიქრობდნენ კიდევ ყოველ შემთხვევისათვის გზაზე მცველი გაეტანებინაო).

მან დიდი სიამაყით, რწმენით და კმაყოფილების ღიმილით უპასუხა თავის ერთგულ მოწაფეს: — თქვენ აქ ყოჩაღად ბრძანდებოდეთ. მე კი ამას (ყუთზე მიუთითა) ცოცხალი თავით არავის დაეანებებო.

ამ სიტყვებში მართალი მამაცური სიმტკიცე ისმოდა.

ამ ბედნიერ დღეს აკადემიკოს ივანე ჭავჭავიძის პერსონალური მანქანით პირდაპირ სახელმწიფო მუზეუმის სეიფში მოჰქონდა 1700 წლის წინანდელი დიდებულის საფლავის მორთულობა, რომელიც ჩვენი ხალხის იმდროინდელი მაღალი სოციალური განვითარების ყველაზე უტყუარი დადასტურება იყო.

მცხეთის გათხრების შედეგები მარტო სპეციალისტებში როდი პოულობს აღიარებას. ეს იყო არქეოლოგიური მეცნიერების პროპაგანდის ყველაზე კარგი საშუალება. არასდროს არ შენიშნულა ადრე ახალგაზრდების ასეთი ლტოლვა არქეოლოგიისადმი. ამ დროს აღიზარდა პირველი კადრი ახალგაზრდა მეცნიერთა. რომლებიც თავიანთ ცხოვრებისეულ მოწოდებად განიხილავდა არქეოლოგიას და არ ეუფლებოდა მას, როგორც დამხმარე სპეციალობას. სწორედ იმ დროიდან ამბობდნენ, რომ, თუ აქამდე საქართველოს უმღეროდნენ პოეტები, ახლა მას უმღერიან არქეოლოგებიო.

მცხეთა-არმაზი მართლაც კეშმარტ არქეოლოგიურ უნივერსიტეტად იქცა მეცნიერული კადრების აღზრდაში.

ივანე ჭავჭავიძელი აქტიურად უქერს მხარს პროფ. ბ. კუფტინს თრიალეთის გათხრების წარმატებით ჩატარებისათვის.

ივანე ჭავჭავიძელს მალე ისიც აფიქრებდა, მაღალ მეცნიერულ დონეზე მოგვარებულყოფი არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვილი მასალების მოვლა-პატრონობისა და საჭაროდ გამოფენის საქმე. იგი აქტიურ მონაწილეობას ლეხულობს საბჭოთა საქართველოს XX წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენის მოწყობის საქმეში. ეს გამოფენა ივანე ჭავჭავიძელის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ზეიმზე გაიხსნა დევიზით: „მცხეთა და თრიალეთი — საქართველოს უძველესი კულტურის კერები“.

თ ა ვ ი V. სახალხო მუარნეთის ისტორიისა და მატარიალური კულტურის მასშტაბური კვლევა

1907 წელს გამოხული „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მხოლოდ დასაწყის ეტაპად იქცა ამ დარგში ივ. ჭავჭავიძელის ღრმად მასშტაბური კვლევისა.

ქართული საისტორიო მწერლობის, ქართველი ერის ისტორიის, ქართული ნუმისმატიკა-მეტროლოგიის, ქართული პალეოგრაფიის, ქართული დიპლომატიკის, ქართული სამართლის ისტორიის დარგებში ძირითადად უკვე ჩატარებული კვლევის შედეგებმა 10 წიგნი გამოა ასახვა. ყოველივე ამის შემდეგ ივ. ჭავჭავიძელი, ეყრდნობოდა რა ქართული ბოტანიკურ-აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს, ამთავრებს მუშაობას „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მონუმენტურ ტომებზე.

1929 წლის გაზაფხულიდან კი იგი შეუდგა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნის საბოლოო დამუშავებას. ხოლო 1930 წელს გამოდის

ეს წიგნი. სიძნელეები უკვე კვლევის ფარგლების განსაზღვრიდან იწყებოდა; დავას არ იწყებდა მხოლოდ ის, რომ წიგნში უპირველესად უნდა განხილულიყო ეკონომიკური ისტორიის წყაროები. ეს თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალისტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ შემდგომი ჩაღრმავებული მუშაობისათვის. გასარკვევი იყო, საკუთრივ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გარდა, უნდა შესწავლილიყო თუ არა სამეურნეო ტექნიკისა და ცოდნის განვითარება. სოფლის მეურნეობაზე მსჯელობის დროს ნახშირი ტერმინოლოგიის გარკვევა შეუძლებელი იყო ბოტანიკურ-აგრონომიული ცოდნის გარეშე. ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით მოითხოვდა განხილვას. ისტორიკოსისა და ბოტანიკოს-აგრონომის ერთობლივი კვლევა აუცილებელი იყო, ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით, „ისევე, როგორც ბოტანიკოსებს უისტორიკოსოდ ამ პრობლემების გადაჭრა არ შეეძლოთ, ცხადია, ისტორიკოსიც თავის ამოცანის გადაწყვეტას ვერ მოახერხებდა“.

დასახული ამოცანის მნიშვნელობისა და მეცნიერების ინტერესებისათვის ივ. ჭავჭავიძელი ახლა ბოტანიკისა და აგრონომიის მრავალ საკითხს სწავლობს. ბოტანიკურ-აგრონომიული ცნობები, რასაკვირველია, იმდენად არის განხილული, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო საკითხის ისტორიისათვის, ამასთან ენათმეცნიერული და ისტორიული მეთოდებით სწორედ ისაა გამოკვლეული, რისი გამოკვლევაც სხვა საშუალებებით შეუძლებელი იყო. მრავალი სპეციალისტის ცოდნის გამოყენება და მრავალფეროვანი ლიტერატურის გადაკითხვა დასჭირდა ამ წიგნებისათვის ივანე ჭავჭავიძელს, მაგრამ მართო სპეციალისტების ცნობებით როდი კმაყოფილდება. ცნობების დამოწმებებში იგი მიმართავს პირთა დიდ წრეს, ვისაც კი აქ სარგებლობის მოტანა შეეძლო. ასე, მაგალითად, სახნავი იარაღების შესწავლისას ერთი მათგანის „ოქოქას“ შესახებ ივ. ჭავჭავიძელი მართო ლიტერატურულ წყაროებში დაცული ცნობებით როდი დაკმაყოფილდა.

საქართველო მართლაც „სახენელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი“ა. აქ თანაარსებობდნენ შედარებით მარტივი და ძველი და აგრეთვე უფრო გვიანდელი კონსტრუქციის რთული სახენელები. ამის მიზეზად. ივანე ჭავჭავიძელი თვლის საქართველოს სრულიად განსხვავებულ ბუნებრივ გარემოს, რომელიც ასევე სრულიად განსხვავებულ სახენელს ითხოვდა. ეს გვიხსნის იმას, რომ სახენელების ახალმა ფორმებმა ვერ გამოდევნეს ეს ძველი წინამორბედი ფორმები. სწორედ სახენელთა ეს ძველი ფორმები მეტად მნიშვნელოვანია საერთოდ ამ იარაღების განვითარების ისტორიისათვის. ერთ-ერთი ასეთი სახენელი იყო მარტივი და ძველი სახენელი „ოქოქა“. „ოქოქა“ პატარა ხის სახენელი ყოფილა, რომელშიც მხოლოდ ერთ უღელ ხარს აბამენ. ამ სახენელით მიწის მხოლოდ ზედაპირულად მოხვნა შეიძლება. მკვლევარი დაინტერესდა საკითხით: ხომ არ იხმარებოდა ოქოქა XIX საუკუნეში და უფრო გვიანაც; „გამოსარკვევად სხვადასხვა პირთა გამოკითხვას პირადად შევუდექი, — წერს ივ. ჭავჭავიძელი, — ვისაც მივპმართე ყველანი ოქოქას არსებობას თანამედროვე საქართველოში უარყოფდნენ: ასეთი სახელიც არ ჰქონიათ გაგონილი. მაგრამ ოქოქას შესატყვისობის „ოგაფას“ სამეგრელოში არსებობა მაფიქრებინებდა, რომ აღმოს. საქართველოშიც, მთა-ადგილებში მაინც ეს სახენელი და მისი სახელი დაცული უნდა ყოფილიყო. რაკი ყოველივე ჩემი ცდა კვალის მისაგნებად ამაო აღმოჩნდა და მოცდა აღარ შემეძლო, რადგან ამის გულისათვის წიგნის ბეჭდვის შეჩერება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ უკვე დაწერილი მქონდა: „ოქოქა“

აღ. საქართველოში, რამდენადაც არსებული ცნობებიდან ჩანს, ამჟამად თითქოს აღარსად უნდა იყოს დაცული“ და შემდეგ მსჯელობა ოქოქას აგებულების შესახებ მეგრულ „ოგაფაზე“ მქონდა დამყარებული. მაგრამ უნივერსიტეტის მეგზოვე მოხუც მიხა ბერბიკაშვილთან აჩაჩას აგებულებაზე საუბრის დროს სრულებით შემთხვევით ოქოქას ეხლაც არსებობის საკითხიც გამოიჩქვა, აჩაჩას აგებულების დახასიათების დროს სრულებით მოულოდნელად მან მითხრა: აჩაჩა პატარა გუთანია, მთიულები რომ ოქოქას უძახიანო. გამოკითხვის შემდგომ მისგან გავიგე, რომ ოქოქას მთიულები ეხლაც ხმარობენ. მაშინვე ამ ცნობის სისწორის შესამოწმებლად უნივერსიტეტის დარაჯ ქალს მთიულს მართა გაბაძეს შევეკითხე და მანაც ეს გარემოება დაადასტურა ისევე, როგორც მარია-მულმაც.

იროდიონ სონღულაშვილმა ს. დილომში შეამოწმა ეს ამბავი და მასაც ოქოქას არსებობა დაუდასტურეს. ამასთანავე საუბრის დროს მან გამოარკვია, რომ ოქოქა მარტო მთიულთა შორის კი არ ყოფილა დაცული, არამედ ქართლის სხვადასხვა კუთხეშიც. ამის შემდგომ უნივერსიტეტის დარაჯს იოს. მუჩაიძეს ვკითხე რომელიც ქართლელია, სოფ. ტყვიავიდგან, და მან ოქოქას აგებულება დაწვრილებით ამიწერა. ბოლოს ბოტანიკის კათედრის ასისტენტ ნ. კეცხოველთან საუბრის დროს გამოიჩქვა, რომ ოქოქა ქართლის შუა გულშიც ყოფილა დაცული და მან ამ სახენელის ნახატი და აღწერილობაც ჩამომიტანა. ყველა იმ პირთ, მეტადრე ირ. სონღულაშვილსა და ნ. კეცხოველს დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუძღვნი.

მთელი ეს გარემოება საუცხოოდ ამტკიცებს, რამდენად ნაკლებად არის თანამედროვე საქართველო შესწავლილი და რამდენად უნდა ფრთხილობდეს ადამიანი კატეგორიული მსჯელობის დროს“ (ს. ე. მ. წ. I, გვ. 195—196).

ამ საკითხით დაინტერესებას ივ. ჭავჭავიძე იმით ხსნის, რომ ოქოქა მისი სახესხვაობებით სახენელის ერთ-ერთ უძველეს გვარად წარმოგვიდგება, რომლის მსგავსი ძველ ეგვიპტეში მოიპოვებოდა. იგი დასავლეთ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული, ოქოქას მეგრული შესატყვისია „ოგაფა, აგაფა“, საჭირო იყო მათი აღწერაც. ამგოსანი კ. გამსახურდიას წყალობით ხელთა მაქვს მისგან მკოდნე პირთა შორის შეკრებილი ცნობებიცა და თვით აგაფას სქემატური ჩანახატი, ყველა ნაწილის სახელის აღნიშვნითურთ. სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, კ. გამსახურდიას ამ დახმარებისათვის გულითადი მადლობა მოვახსენო, შემდეგ ნ. კეცხოველის ხელით ასისტ. მაყაშვილისაგან გადაღებულ ოგაფას ორი სახეობის, მარტივი და ოდნავ გაუმჯობესებულის, ფოტოგრაფიული სურათიც მივიღე, რისთვისაც ორთავეს დიდ მადლობას მოვახსენებ“. ხოლო რაქაში „ოჩოჩას“ არსებობის შესახებ ცნობას სტუდენტი ნ. რეხვიაშვილი აწვდის, რისთვისაც მას ივ. ჭავჭავიძე მადლობას უხდის (ს. ე. ი. წიგნი I გვ. 197—198). მთელ ამ ამბავში ივ. ჭავჭავიძელის მარტო გულისხმიერება კი არ ჩანს, რომელიც შემთხვევას არ უშვებს, დააფასოს და მადლიერებით მოიხსენიოს სხვისი ყოველგვარი შრომა. აქ ამავე დროს ვლინდება თანამედროვეთა მზადყოფნა, თანამდებობისა და მდგომარეობის მიუხედავად, თავის მხრივ ხელი შეუწყონ მშობლიური ისტორიის მკვლევარს.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნს ივ. ჭავჭავიძე საქართველოს ეკონომიური ისტორიის სათანადო წყაროების მიმოხილვით იწვევს.

აქ იგი ისეთ დაბრკოლებებს წააწყდა, რომელთა გადალახვა, პირდაპირ ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ ივანე ჭავჭავიძელს შეეძლო. ზოგადისტორიული

წყაროებისა და სიგელ-გუჯრების გარდა, ივანე ჯავახიშვილი ეკონომიკური და ფინანსური ძეგლების შესწავლას აყენებს პირველი რიგის: ამოცანად. მაგრამ ამგვარი ძველი ძეგლები სხვა წყაროებზე უფრო ნაკლებად არის დატული. ამიტომაც „ეკონომიური ისტორიის აღსადგენად მკვლევარი იძულებულია და ვალდებულიც საჭირო ცნობები ყველგან ეძიოს და ყოველგვარი წყაროები გამოიყენოს“. ივანე ჯავახიშვილს ეს პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროები სამ ჯგუფად აქვს დაყოფილი.

პირველ ჯგუფს შეადგენენ დემოგრაფიული წყაროები, ძველი, სახელდობრ ხალხის აღწერის წიგნები; მეორე ჯგუფს — საფინანსო უწყებების ძეგლები, გადასახადების სისტემისა და ბიუჯეტის საბუთები. მესამე ჯგუფის ძეგლებს კი — საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ყოველნაირი საბუთები.

დემოგრაფიული ძეგლები პირველხარისხოვანი წყაროებია ეკონომიკური ისტორიისა. ცნობა საქართველოში ხალხის აღწერის წესის შესახებ XVII საუკუნემდე არ მოგვეპოვება. ამისი მიზეზი უძველესი ძეგლების დაღუპვაა. უმეტესობა დემოგრაფიული ძეგლებისა შემორჩენილია შუა საუკუნეებისა და გვიანი ფეოდალური ხანისა. ამასთან ისინი ძალზე არასრული, ფრაგმენტული ხასიათისაა. მათი მეცნიერული შესწავლის დაწყება ისევ ივ. ჯავახიშვილის დამსახურებაა.

ქართული დემოგრაფიული ცნობების გამოყენების მტკიცე მეცნიერულ წესს აყალიბებს მკვლევარი: ხალხის აღწერის დაეთრებისა და სტატისტიკურ ამონაკრებთა ცნობების გამოყენების დროს უნდა გვახსოვდეს, შენიშნავს იგი, რომ მასში არ არის აღნუსხული მთელი მოსახლეობა. ამ დაეთრების შედგენის დროს სახელმწიფო ხელისუფლებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: განსაზღვრა 1) ლაშქრად გასაწვევად გამოსადეგ მამაკაცთა რაოდენობისა და 2) სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა გამოსავლის მოსალოდნელი ოდენობის გაგება. მაშასადამე, ამ დაეთრებში ვერ მოხვდებოდნენ ქალები და ბავშვები; მეტიც, მასში ვერც მამაკაცთა მთელი რაოდენობა მოხვდებოდა. ბავშვები და მოხუცებულები აღურიცხველნი რჩებოდნენ. ღარიბ-ღატაკნი, რომელთაც გადასახადის გადახდა არ შეეძლოთ, ვერ მოხვდებოდნენ ამგვარ აღწერაში. ამ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობას შეეძლო შეცდომაში შეყვანა მკვლევარი. აღწერაში შეიძლებოდა შეცდომაც ყოფილიყო დაშვებული და აგრეთვე ბოროტმოქმედებაც არსებული სამართლის თვალსაზრისით. მის წინააღმდეგ სამართლებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ზომები იყო გათვალისწინებული.

საფინანსო უწყებათა ძეგლები ასევე მნიშვნელოვანი ჯგუფია ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. აქ ივულისხმება სახელმწიფო ფინანსების შემოსავალ წყაროებად და გასავლად დაყოფა, სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, გადასახადის ოდენობის განსაზღვრა, გადახდელთა კატეგორიები და ერთეულები, საგადასახადო დაწესებულებები და ყოველივე ამ საქმისათვის მიჩენილ მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. ამ მხრივ ძეგლები სხვადასხვა მნიშვნელობისაა, ზოგი შეუცვლელია ეკონომიკური ისტორიის განსაზღვრული პერიოდის შესასწავლად, მაგალითად, „ცნობათა სიუხვითაცა და მრავალფეროვნებითაც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუშრეტელ განძს წარმოადგენს“ (ს. ე. ი., წიგნი I, გვ. 52). საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთები სხვადასხვა ხასიათისა იყო. ამასთან, ისინი არეგულირებდნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო ქონებრივ კავშირურთიერთობას. ასე, მაგალითად, სამო-

ნასტრო და საეკლესიო მიწისმფლობელობის ვითარების გასათვალისწინებლად, ჩვეულებრივ სიგელ-გუჯართა გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან სიგლებს. საეკლესიო და სამონასტრო დაწესებულებათა უძრავ ქონებრივ სახსართა დასახსიათებლად აუცილებელ წყაროს შეუქალობის წიგნები წარმოადგენდნენ.

მეურნეობის გაძღოლის, ნაქმარისა და მოღვაწეობის, შენაძენისა თუ ნასყიდობის, შემოსავლისა თუ დანახარჯის წიგნები და საბუთები დიდად ფასეული წყაროებია ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ივ. ჭავჭავიძეილი დაწვრილებით ახასიათებს ე. წ. მზითვის წიგნებს. ეს შემთხვევითი არაა. მზითვის წიგნს ბევრის ახსნა შეუძლია სოციალ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებიდან. სწორად წერს ამ საკითხზე თანამედროვე მკვლევარი მ. იაშვილი, რომ ივ. ჭავჭავიძეილმა 1930-იან წლებში პირველმა მისცა მეცნიერული შეფასება მზითვის წიგნებს და ნათელჰყო მათი მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში“ (მ. იაშვილი, საქართველოს მატერიალურ კულტურის ისტორიიდან (XVII—XIX სს.) 1976, გვ. 5). საქართველოში იყო ტრადიცია, რომ ყოველ მშობელს გათხოვილი ქალისათვის არა მარტო მზითვეი გაეტანებინა, რომელიც მის პირად საკუთრებას შეადგენდა, არამედ, ამასთან ერთად, ცოტათი მაინც განათლებული მშობლები თავის გასათხოვარ ასულს მზითვეს წერილობითად აღნუსხულს ატანდნენ ხოლმე. ქორწინების სავალდებულო წესადაც იყო, რომ ქორწილის პირველ დღესვე საჯაროდ ყველა სტუმრის თანდასწრებით ვინმეს წაეკითხა მზითვეში წასატანი ქონების შესახებ. სწორედ ამ საბუთს ეწოდებოდა „მზითვეის წიგნი“. ამ წიგნის დაწერის წინასწარ დადგენილი წესიც არსებობდა.

სამზითვო ქონების ჩამოთვლა, ჩვეულებრივ, საერთო ჯამის დართვით მთავრდებოდა: მზითვის შემადგენლობა დაწვრილებით არის აღნუსხულ-დახასიათებული. ეს კი მკვლევრისათვის მეტად სასარგებლო წყაროა. მართალია, მზითვის წიგნი მხოლოდ ქალის მზითვის აღნუსხვას წარმოადგენს და ამიტომ იმით შეუძლებელია ოჯახის მთელი ქონებრივი სახსრისა და მეურნეობის სურათი აღვადგინოთ, მაგრამ ქალის მშობლების ავლადიდების ნაწილობრივ გათვალისწინებას იძლევა. ეს გარემოება სრულიადაც ვერ ამცირებს ამ წიგნების მნიშვნელობას ეკონომიკური ისტორიისათვის. მეტიც, ივ. ჭავჭავიძეილის აზრით, მზითვეის წიგნებს უხვი ცნობების მოწოდება შეუძლია საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკური ისტორიის კვლევისათვის. საქმე ისაა, რომ ნივთების აღწერის დროს მზითვის წიგნებში ხშირად აღნიშნულია მათი სადაურობა, სამკაულის, ტანისამოსის მასალის სადაურობა. ეს გარემოება ხშირად საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რა და რა საიმპორტო საგანი შემოდიოდა ან ადრე იყო შემოსული საქართველოში. ამის წყალობით კი შესაძლებელია ხდებოდა იმ სავაჭრო ცენტრების გათვალისწინებაც, რომლებთანაც ჩვენს სამშობლოს ძველადვე ჰქონია გაცხოველებული სავაჭრო კავშირურობა.

მზითვის წიგნში ხშირად გადაშლილი გვაქვს ქალის მშობლების ქონებრივი ღონეობის გამოსარკვევად არა ერთი ფრიალ დამახასიათებელი ცნობა. ამასთან აქ ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ის ცვალებადობა, რაც მოცემულ ოჯახს სხვადასხვა დროს განუცდია, როცა სიმდიდრეს გაკვირვება მოჰყოლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ თვით ძველსა და დიდ საგვარეულოებსაც კი ცხოვრება მეტად გასკვირვებით. აი, მაგალითად, რას წერს ჭავჭავიძეილი-გამრეკელი თავისი ასულის 1597 წლის

მზითვის წიგნში: „მოგეცით ქალი ჩვენ ჭავჭავიშვილმა-გამრეკელმა... მივთხოვეთ ჩვენი პირში შვილი და ასული ჩვენი შამანდუხ ბატონის მეფეთ-მეფოსა (იგულისხმება სვიმონის) სახლისუხუცესისა ზურაბის ძმასა, ბატონსა ივანესა, მივეცით და წარუძღვანეთ ზითვად ცხირეთი... რაცა ჩვენი ეგრძო მამული იყო... ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ლარიბი ვიყავით, ზითვისა და წესისა ალაგი (არა) გვეძონდაო“. ივ. ჭავჭავიშვილი ამ მზითვის წიგნის გამო წერს: „ეს მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი ცნობა აღმ. საქართველოს XVI ს. აოხრებისა და გალატაკების გასათვალისწინებლად დამახასიათებელია და სხვა წყაროების ცნობებსაც კარგად უდგება“. ეს ერთადერთი ასეთი ცნობა როდია. ივ. ჭავჭავიშვილს მოჰყავს 1796 წლის იოანე დოლენჯიშვილის ქალის ნანას მზითვის წიგნი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს განადგურება-გალარბების კარგად გვისურათებს. „წინანდებური სამკაულ-ტანისამოსის რამდენიმე ცხრა-ცხრაობით გადათვლის მაგიერ აქ ყველაფერი, თავსაკრავს გარდა, თითო-თითო, ან მაქსიმუმ ორო-ორ, სამ-სამი ცალია დასახელებული... მის შრობლებს ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთი ასულისათვის ქადრაკი სრულად გაეტანებინათ და მზითვის წიგნშიც კი ნათქვამია: „ქადრაკი ორი პილოს ძვლისა, ერთი სრული, მეორეს ორიოთ აკლდაო“ (ს. ე. ი., წიგნი I, გვ. 110).

ივანე ჭავჭავიშვილმა მზითვის წიგნი უხვად გამოიყენა ქართული ტანისამოსის, საფენელ-საგებლის შესასწავლად. ივ. ჭავჭავიშვილმა შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა ქართული ტანსაცმლის ისტორიას, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ 1962 წ. გამოქვეყნდა სერიაში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ ამ სათაურით: „ტანისამოსი, ქსოვილი და ხელსაქმე“. ივ. ჭავჭავიშვილი ქართული ტანსაცმლის ისტორიის შესწავლაში კვლავაც სწორუპოვარი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის პირდაპირ გასაოცარ დაკვირვების უნარს ასახელებს და რომ „მით უფრო გასაოცარია ვახუშტის შრომაში ტანისამოსის დახასიათება, რომ იგი ამ შრომებს რუსეთში, მოსკოვში ყოფნის დროს წერდა და ამიტომ მას მხოლოდ მეხსიერებაში შეეძლო წარმოედგინა, რაც მას ნანახი ჰქონდა საქართველოში ყოფნის დროს“. („მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, 1962 წ., გვ. 59—60). ვახუშტის წყალობით შესაძლებელი ხდება არა მარტო ქალის ტანისამოსის ისტორიის მიმოხილვა (ვახუშტის ცნობით, ქართველ ქალებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში „ეცვათ ბერანგი მკირვალი ხორცის მჩენელი“), არამედ საერთოდ ქართული ტანსაცმლის განვითარებაზე უცხოეთის გავლენის სხვადასხვა ეტაპის დადგენა. ეს გავლენა ზოგჯერ პირდაპირი იძულების შედეგადაც წარმოგვიდგება. ივანე ჭავჭავიშვილს მოჰყავს მეტად დამახასიათებელი ერთ-ერთი ისტორიული ცნობა, რომელიც რუსეთის დესპანების მოხსენებაშია დაცული: თეიმურაზ I-ს, შაჰაბაზისაგან დამარცხებულს, კახეთში აცნობებენ (დასახ. მასალები, გვ. 41), რომ სპარსეთის ელჩი მოდისო. ყველამ ხალათები ჩაიცვა, დოლბანდები გაიკეთა, შესხდნენ ყველანი ცხენებზე და მოსალაპარაკებლად გაემართნენ. როდესაც მათ ჰკითხეს, თუ რა მიზეზით შეიძვალეს ტანისამოსი, ქართველმა მოხელეებმა უპასუხეს: განა ჩვენ კი გვესიამოვნება ამ ტანისამოსის ჩაცმა, მაგრამ რა ვქნათ, სპარსეთის ელჩი მოდის, იმ სპარსეთისა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა და ეხლაც შეუძლია გაანადგუროს. ჩვენ კი რა შეგვიძლია! ამიტომ უნდა ჩაიცვათ სპარსული ტანსაცმელი, დოლბანდები დავიხუროთ, ეგებ ამან მიინც გვიშველოსო.

ივ. ჭავჭავიშვილმა საფენელ-საგებლის, ავეჯის და ჭურჭლის შესწავლას სვე-

ციალური გამოკვლევა უძღვნა, რომელიც 1965 წელს დაიბეჭდა „მასალებში საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“. აქ ყოფაცხოვრების სხვადასხვა მომენტია ასახული. ნაჩვენებია უცხოური კავშირთა თეორიის ზეგავლენის როლიც. მაგალითად, ახასიათებს რა ავეჯეულობას, იგი წერს: „მაგიდის სახელწოდებად ძველ ქართულ მწერლობის ძეგლებში იხსენიება ტაბლა. მას ორი მნიშვნელობა აქვს. ტაბლა ბერძნული სახელწოდებაა. იქ პურის ჰამას ნიშნავს. დაბადების ქართულ თარგმანებში იხსენიება როგორც მაგიდა, ისე „პურის ჰანაი“; (დასახელებული მასალები... გვ. 31). საქართველოშიც წარმოიშობა და ქრება სხვადასხვა ავეჯი. აქ ხშირად უცხოური გავლენაცაა, ხშირად უაღრესად რევრესული; ავეჯის ისტორიასთან კავშირში ივ. ჭავჭავაძის ადრინიშნავს, რომ ამ მხრივ „ქართულ კულტურაზე დიდი წამლექავი გავლენა მოახდინა თემურ-ლენგის შემოსევამ და ძველი ავეჯის გაქრობაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამაგიეროდ ჩნდება ხალიჩები და ყველა ფეხმოკეცილი ზის. ცვლილება ჰამის წესებზედაც ვრცელდება, ქრება ძველი სუფრა, რომელსაც ტყავისაგან დამზადებული სუფრის მსგავსი რაღაცა ცვლის. იტალიელ მოგზაურებს შემზარავი სურათი აქვთ აღწერილი. ყველაფერი ეს უკულტურობის დაღს ასვამს იმდროინდელ საქართველოს. ცხადია, რომ ასეთი ცვლილება თანდათანობით და არა ერთბაშად მოხდა და საქართველოს სხვადასხვა თემში კიდევ იქნებოდა შერჩენილი ძველი ავეჯიცა და სმა-ჰამისა და ჯდომის წესებიც“ (იქვე, გვ. 38). ივ. ჭავჭავაძის ახასიათებს მანამდელ ქართულ წესებს პურობისა და ხილობისას.

ივ. ჭავჭავაძის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის საგანგებოდ იხმობს ქვეყნის აღწერილობით წყაროებს. იგი მათ ორ მთავარ ჩგუფად ჰყოფს: გეოგრაფიულ და მოგზაურ-ელჩების აღწერილობებად.

გეოგრაფიული ნაშრომებიდან იგი, ბუნებრივია, ვახუშტის ქეშმარიტად ცოცხალ წიგნს ასახელებს და აღტაცებული კვლავაც დიდ შეფასებას აძლევს მას. შემდგომ ივ. ჭავჭავაძის უთითებს სტრაბონის ცნობების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ეკონომიკური ისტორიისათვისაც. იგი აღნიშნავს აგრეთვე არაბი და სპარსელი ისტორიკოსების ნაშრომების მნიშვნელობას.

არც მოგზაურთა და ელჩების აღწერილობათა მნიშვნელობაა დავიწყებულნი. ნიშანდობლივია ამ წყაროების მიმართ ივ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება. ჯერ ერთი, მოგზაურთა დაკვირვების მნიშვნელობა წარსულის სურათის აღსადგენად დიდია. საქმე ისაა, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს დესპანები მოგზაურობენ აღმოსავლეთში თვით მონღოლეთის სატახტო ქალაქამდე და უფრო შორეულ ქვეყნებშიც კი და ჩნდება მწერლობის ახალი დარგი, რომელიც დესპანების, ვაჰრებისა და მოგზაურთა შთაბეჭდილებებსა და ამ ქვეყნების აღწერილობას შეიცავს. ამ წყაროების მნიშვნელობა მეტად დიდია, ვინაიდან მონღოლთა შემოსევებს ბევრი საისტორიო ძეგლის სამუდამო დაღუპვა მოჰყვა, ხოლო თვით მონღოლებმა საკუთარი კულტურული ჩამორჩენილობის გამო თავისი საისტორიო მწერლობა ვერ შექმნეს. მართლაც ამ მხრივ როდი აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოგზაურთა აღწერილობას. ივ. ჭავჭავაძის ამ წყაროთა შეუცვლელ ღირებულებას იმ დროშიც აღნიშნავს, როცა თავისი ქვეყნის ისტორიკოსთა და გეოგრაფთა წყაროების სიუხვეა. „ეს იმიტაც აიხსნება, — დასძენს იგი, — რომ ყოველი ქვეყნის ადგილობრივი დამკვირვებელი, ვინც უნდა იყოს იგი, ისტორიკოსი თუ გეოგრაფი, თავის ნაშრომში თავის ქვეყნის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრებისა და თავგადა-

სავალის აღწერას არ შეუდგება, რადგან ყველა ეს მისმა თანამედროვეებმა და მახლობელმა თაობამ, რომელთათვის უპირველესად იწერება ხოლმე ასეთი ძეგლები, თვითონაც ძალიან კარგად იცოდნენ და მათთვის სრულებით საინტერესო არ იყო, ამ დროს ქვეყნის თანამედროვე ისტორიკოსი ცდილობს, თავის დროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და შენამთხვევის არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ამბავი აღწეროს. სწორედ ამის გამო მერმინდელი თაობის მკითხველნი და მკვლევარნი ხშირად ისეთ მდგომარეობაში არიან ხოლმე, რომ ქვეყნის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების ჩვეულებრივი ვითარების შესახებ წყაროები ძალიან ცოტა ან საერთოდ არ არის. ამის გამო წარსულის სრული ისტორიული სურათის აღდგენა შეუძლებელი ხდება. ამ დავილად ასახსნელ ხარვეზს ისტორიისას ხშირად ავსებს უცხოელ მოგზაურთა აღწერილობანი. უცხოელი ყოველდღიურსა და ჩვეულებრივში ხშირად ახალსა და განსაკუთრებულს ხედავს. „მისი თვალი და ყური ისეთ რამეებსაც ადვილად ამჩნევს, რასაც ადგილობრივი დამკვირვებელი, ვითარცა ყველასათვის კარგად ცნობილს, არაეითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ამის წყალობით უცხო დამკვირვებლის აღწერილობაში ამა თუ იმ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება გაცილებით უფრო მეტი სისრულითაა აღბეჭდილი, ვიდრე რომელსამე ადგილობრივ წყაროშია ხოლმე“ (ს. ე. ი., წიგნი I, გვ. 119). ამიტომ ამგვარი წყარო შეიძლება ერთადერთი აღმოჩნდეს; ივ. ჭავჭავიძე ილი სრულიადაც არ ახდენს ამ უცხო წყაროთა როლის გადაფასებას. იგი გვაფრთხილებს, შეიძლება მათ დიდი ნაკლი აღმოაჩნდეს, რომელიც შემდგომ დიდი შეცდომის მიზეზიც გახდეს. ხშირად მოგზაურმა არ იცის იმ ქვეყნის ენა, რომელზეც ის წერს. ამ დროს თითქმის ყველაფერს წყვეტს თარჯიმნის ცოდნა, გონება-გახსნილობა და სინდისიერება. ენის უცოდინარობას მოგზაურ-დამკვირვებელთა შრავალი შეცდომა გამოუწვევია. ამას გარდა, „ხშირად დამკვირვებლის პირადი სარწმუნოებრივი, ეროვნული თუ სოციალური რწმენა და წინაგანწყობილება უცხო ერის ყოფა-ცხოვრების პირუთვნელად შეფასების საშუალებას არ აძლევს და მისი მსჯელობა ზოგჯერ სრულებით მცდარია ხოლმე“ (ს. ე. ი., წიგნი I, გვ. 119). უცხო ქვეყნის დამკვირვებელთა ცნობების ამ ღირსება-ნაკლის გათვალისწინებით მათ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ეკონომიკური ისტორიისათვისაც, რაც ასე შესანიშნავად დაადასტურა ივანე ჭავჭავიძელმა, რომელიც თავის ნაშრომებში იტალიელ, ფრანგ მოგზაურთა და მისიონერთა ცნობების შეფასებას იძლევა. ამ მიმართულებით ივ. ჭავჭავიძელის გარდაცვალების შემდეგ ახალი ავტორები იქნა გამოვლენილი და ეს მუშაობა კვლავაც ნაყოფიერად გრძელდება.

ამის შემდგომ დახასიათებულია ის განსაკუთრებული როლი, რაც რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ შეასრულა XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლაში. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია აკად. ი. გოულდენშტედტისა და პ. კლამროთის ნაშრომები. ივ. ჭავჭავიძეილი განიხილავს რუსეთის ელჩების მდიდარ ცნობებს XVI—XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

წყაროების მიმოხილვის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პირველი წიგნის დანარჩენი ნაწილები და მთელი მეორე წიგნი სოფლის მეურნეობის ისტორიისადმი მიძღვნილი. ამით ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული როლი და ადგილი ჩვენს წარსულში. სოფლის მეურნეობა სამი დარგის მიხედვითაა შესწავლილი. დარგი პირველი — ესაა საველე მეურნეობა, მემინდვოეობა; მეორე — მემტილეობა ანუ მებოსტნეობა; მესამე — მევენახეობა.

ამ დარგების დახასიათებას წინ უსწრებს მიწათმოქმედების ზოგადი მიმოხილვა. მიწათმოქმედებას ძველ საქართველოში „ქვეყნის მოქმედებაჲ“ ეწოდებოდა. ამის შემდეგ ნაჩვენებია მიწის დანიშნულებითი კლასიფიკაცია. ივ. ჭავჭავიძე ილი სოფლის მეურნეობიდან იწყებს საველე მეურნეობის — მემინდვრეობის დახასიათებას.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა მუშაობამ და თაობიდან თაობამდე შექმნილმა გამოცდილებამ მიწისმოქმედს საშუალება მისცა ბუნების ზოგიერთი, მისთვის აუცილებლად საჭირო მოვლენის თვისება ისე შეესწავლა, რომ სამეურნეო მიზნისათვის მისი გამოყენება შესძლებოდა. აქ მცენარეთმცოდნეობა (ბოტანიკა) იწვევდა ყველაზე უპირველეს ყურადღებას. ნახავთ მცენარეთა უძველეს კლასიფიკაციას, ხეებისა და ნაყოფ-ხილის კლასიფიკაციას. მკითხველი აქ გაიგებს იმას, რომ მცენარეთა აღმოცენების ფიზიოლოგიური პროცესის შესახებ ზოგადი მოძღვრების ჩანასახიც არსებულა საქართველოში. შემდგომ კი მიმოხილულია ვახუშტის მოძღვრება ბოტანიკურ-გეოგრაფიული არეების შესახებ საქართველოში. ამ სახელოვან მეცნიერს ცოდნის ამ დარგშიაც აქვს გამოჩენილი მრავალი შესანიშნავი მახვილი დაკვირვებისა და განზოგადების უნარი. მას არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ადგილის სასოფლო-სამეურნეო ვითარება აქვს ახსნილი, არამედ აღნიშნული აქვს თითოეული მათგანის შესაძლებლობანი: დასახელებულია, სად რა ხარობს და სად რა არც არის და არც შეიძლება იყოს; ამასთან ადგილის ნაყოფიერების თვისების დასახასიათებლად ვენახ-ხილიანობა აქვს გამოყენებული. საზოგადოდ ვახუშტი ბატონიშვილი გვაძლევს ღრმა დაკვირვებას მთისა და ბარის მცენარეულობაზე. როგორც ივ. ჭავჭავიძე აღნიშნავს, სახელოვანი ქართველი გეოგრაფის გულისყურსა და დაკვირვებას არც ის გარემოება გამოჰპარავია, რომ ჩვენს ქვეყანაში მთა და ბარი, სხვადასხვა ზოლის მეურნეობა ერთმანეთზე იყო დაახლოებული, რომ საქართველოს ყოველი კუთხე შემოკობილია მთითა და ბარით და ისე ახლოა ეს, რომ ორს, სამს, ექვს საათს შეეძლო აღამიანს მიმოსვლა. ეს ქმნიდა — ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით — ბუნებისა და მეურნეობის გასაოცარ კონტრასტებს, რომელთა მთელი განმაცვიფრებლობა აღამიანს შავი ზღვის სანაპიროზე ეშლებოდა, აქ მთა და ბარი ისე ახლოა ერთმანეთთან, რომ საათის ან ნახევარი საათის „სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველი ნაყოფნიო“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ: 657). მთისა და ბარის ამ განსხვავებას ის მოსდევდა შედეგად, რომ არც ერთ მხარეს არ ჰქონდა ყველაფერი ის, რაც აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასე, მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დატოვებდა, საქონლისათვის მას ბარის თბილი და ზამთრის სამოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრივ ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წერილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც იქაური სიციხის ატანა შეეძლო და არც საკმაო სამოვარი ექნებოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. საქართველოს ჩრდილო ზოლის მცხოვრები სურსათის მხრივ ეკონომიურად ბარზე იყო დამოკიდებული. ბარელს მთა სჭირდებოდა, მთიელს კიდეც ბარი. უერთმანეთოდ შეუძლებელი იყო მათი არსებობა. ეს კი საქართველოს მხარეების ერთიანობის ნორმალური განვითარების წინამძღვარი იყო. შიმშილობის დროს ეს კუთხეები მრავალნაირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

ივ. ჭავჭავიძე ილი კვლავ აღნიშნავს იმ დიდ მეცნიერულ სიღრმეს, რაც კულ-

ტურულ მცენარეთა არეებისა და ზონალობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის მოძღვრებას ჰქონდა. მან საქართველოს მაგალითზე ასი წლით ადრე დაასწრო ამ საკითხების ევროპელ მკვლევართ.

ივ. ჭავჭავიძევილი საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველსა და მეორე წიგნში დიდ ადგილს უთმობს მემინდვრეობის კულტურის ისტორიის შესწავლას საქართველოში. გასაგებია, რომ მემინდვრეობის ეკონომიურ მიზანს ადამიანისათვის საჭირო მცენარეულობის მოყვანა შეადგენს. დანიშნულების მიხედვით მცენარეულობა ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ერთ ჯგუფს ადამიანი^{ია} და პირუტყვის საკვებად განკუთვნილი მცენარეულობა შეადგენს, მეორე ჯგუფს კი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისათვის გამოსადეგი და საჭირო მცენარეულობა ეკუთვნის, რისაც სამრეწველო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. იგი ამ ჯგუფთა მიხედვით შეისწავლის მემინდვრეობის კულტურებს. ივ. ჭავჭავიძევილი უპირველესად გვაძლევს ხორბლეული კულტურების დახასიათებას. აგი არკვევს ტერმინების მნიშვნელობას ძველ წყაროებში, ხალხში დარჩენილ ზეპირსიტყვიერებაში, უცხოურ წყაროებში, ლიტერატურულ ძეგლებში, სპეციალისტთა ცნობებში, აგრეთვე თანამედროვეთა მოწმობით და გამოკითხვით.

ბოტანიკა-აგრონომიის საკითხების განხილვას, რასაკვირველია, მარტო სპეციალური ლიტერატურის გაცნობა ვერ დააკმაყოფილებდა. მას სჭირდებოდა ამ დარგის სპეციალისტთა მხარდაჭერა, მათი აზრის წინასწარ გაცნობა, ვიდრე სპეციალურ საკითხებზე დაწერილი ნაშრომი დასაბუქლად გადაეცემოდა. ასე აგვიწერს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნზე ივ. ჭავჭავიძევილის მუშაობას ნ. კეცხოველი: „მას შემდეგ, როცა მან ამ წიგნის დაწერა მოათავა. თხოვნით მიმართა ქართველ მეცნიერებს, პროფესორებს ი. ლომოურს, ს. ჩოლოყაშვილს, დ. გედევანიშვილს, ლ. დეკაბრელებს, დოცენტებს გ. აბესაძეს, გ. რცხილაძეს და ნ. კეცხოველს. თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, მე თქვენთან ერთად ჩემს წიგნს წავიკითხავ და თუ შეცდომები რაიმე ან სიზუსტე რაიმე არ არის, უეჭველად შემაჩერეთ, მითხარით და ვიმსჯელოთო. ეს უზარმაზარი წიგნი მართლა დაახლოებით 2 თვეში წავიკითხეთ. კვირაში სამჯერ ვიკრიბებოდით, რომელი იტყოდა, დრო არ მაქვსო და საქმე მაქვსო. იმდენს არ ვებმარებოდით, რამდენსაც ვსწავლობდით თვითონ კვლევის მეთოდებსაც, და გასაოცარი იყო ივანეს თავმდაბლობა. ყოველ შენიშვნას ისე დინჯად მიიღებდა, ისე წყნარად და გულდასმით, რომ ვერ წარმოიდგენთ. თუ საკამათო იყო, შეგვიკამათებოდა და უეჭველად თავისას იტყოდა, თუ ეს ასეაო, მაგრამ, რომ დარწმუნდებოდა, რომ არ არის ასე და სხვა მასალაა, მაშინვე შეიტანდა“. ივანე ჭავჭავიძევილი მარტო სპეციალისტებთან ამგვარი შეხვედრებით არ იზღუდებოდა. იგი ყველა მომენტს იყენებდა იმისათვის, რომ სხვადასხვა მიზნით მივლინებაში მყოფი პირებისათვის დავალება მიეცა საკვლევი საკითხის დასადასტურებლად. მოვიყვანთ მრავალთაგან ერთ მაგალითს. 1925 წელს, „ჭერ კიდე სტუდენტობის დროს, — ივონებს ქართველი მეცნიერი ქალი ვალენტინა სუბატაშვილი, — უნივერსიტეტმა გამგზავნა ექსპედიციაში ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. ჩემ მიერ იქ საინტერესო ხორბლები იყო შეგროვილი. ერთ დღეს გზაში შემხვდა პროფ. აკაკი შანიძე და მითხრა: „ივანე ჭავჭავიძევილი გიბარებსო“, წავედი მასთან სახლში. დაერკეე ზარი და მან თვითონ გამიღო კარი, შემიყვანა თავის სამუშაო ოთახში. მითხრა: აბა მიაბზეთ ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ექსპედიციის დროს რა ნახეთო. დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი. ერთ ტერმინში ვერ შევთანხმდით. მან მითხრა „აკად. გიულდენშტედტი განათლებით ბუნებისმეტყველი იყო, ის არ მოტყუვდებოდაო“.

მაშინ ის წერდა წიგნს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები“, ამ წიგნში შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა ჩემი ნაამბობი. ივანე ჯავახიშვილმა მითხრა: მე თვითონ თუ არ ვნახე ის ხორბალი, ისე წერა გამიჭირდებოდა. მართლაც, მეორე დღეს თვითონ მოვიდა კათედრაზე და დაათვალიერა ექსპედიციიდან ჩამოტანილი ხორბლის ნიმუშები.

როდესაც წიგნის წერა დაამთავრა, დაიბარა პროფ. ი. ლომოური, ლ. დეკაბრელევიჩი, პროფ. ვ. მენაბდე, დოც. გ. აბესაძე და ამ სტრიქონების ავტორიც. წაგვიკითხა ის ნაწილი საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები-სა, რომელიც ეხებოდა ხორბლის კულტურას“.

ივ. ჯავახიშვილი ყოველნაირ არაპირდაპირ წყაროებს იყენებს საკვლევო პრობლემის დასადასტურებლად. ასე ეხება თავთუხის გავრცელების ისტორიას საქართველოში. მას მიაჩნია, რომ იგი შედარებით გვიან უნდა გავრცელებულიყო. ამას შემდგენაირად ასაბუთებს: საბა-სულხან ორბელიანს, ვითარცა ქართულს, იმ მხარის შვილს, სადაც გავრცელებული იყო ეს პურეული, თავთუხის თვისება კარგად უნდა სცოდნოდა. „სახელოვან ლექსიკოგრაფს კი, როგორც დავრწმუნდით, თავთუხის რაობის ხეირიანი ცოდნა მაინცდამაინც არ ეტყობა. ამიტომ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს ხორბლეული მის დროს ჯერ კიდევ ფართოდ არ უნდა ყოფილიყო საქართველოში გავრცელებული“ (ს. ე. ი., წიგნი I, გვ. 346). ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცენარეული კულტურების სადაურობის საკითხის გარკვევას. საქმე ისაა, რომ კულტურულ მცენარეთა სადაურობის საკითხს შეუძლია ხელი შეუწყოს ამ მცენარეთა თავდაპირველი საშობლოს გამორკვევას. აქ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ ნაშთებს შეუძლია დიდად დაგვეხმაროს მცენარეთა პრეისტორიული გავრცელების არეალის გათვალისწინებისას, ასევე დიდი დახმარება შეუძლია ისტორიულ ძეგლებში და ენის ტერმინოლოგიაში აღბეჭდილი ფაქტების ცოდნას. სწორედ საისტორიო (ქართული და არა ქართული) ცნობებით სარგებლობა და ტერმინოლოგიის ლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობა, ბოტანიკა-აგრონომიის ცოდნასთან შეერთებული, საშუალებას აძლევს ივ. ჯავახიშვილს შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევა მოგვეცეს სხვადასხვა მცენარეული კულტურის წარმოშობის მთელი სიღრმე-სიერციით განხილვით. ასე, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, თანამედროვე საქართველოს იმიერ-ამიერ ნაწილში სიმინდი ძალზე გავრცელებული მცენარეა. საბა-სულხან ორბელიანს კი ეს სიტყვა განუმარტავად აქვს დატოვებული და მხოლოდ ბალახის მაუწყებელი პირობითი ნიშანი დაუსვამს გვერდით. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, XVIII ს. დამდეგამდე სიმინდის ხსენებაც კი არ ყოფილა აღმოს. საქართველოში, სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული იყო ღომი, რომელსაც XI—XVI სს. შეურნეობაში მთავარი ადგილი ეკავა, მოსახლეობის ორი მესამედი მის მოყვანას მისდევდა. სიმინდი. XVI საუკ. დამდეგიდან ესპანეთსა და იტალიაში იქნა შეტანილი ამერიკიდან. საქართველოში კი იგი ერთი საუკუნის შემდეგ იქნა შემოტანილი. XVII ს. პირველ ნახევრამდე სიმინდი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ცხადი ხდება, რომ იგი ჩვენს სამშობლოში შავი ზღვის გზით სამხრეთ დასავლეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. როგორც ივ. ჯავახიშვილი გვიხსნის თვითონ; ტერმინი „სიმინდი“ ვაცილებით ძველი ტერმინია. „სიმინდაჲ“ და „სამინდო“ „სამინდალი“ ძველ ქართულ მწერლობაშივე გვხვდება, მაგრამ მაშინ ამ სიტყვას ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა. მეგრულად ამ მცენარის სახელად „ლაზუტი“, „ლაიტი“ და „ლატი“ იხმარება. ამგვარად, — დაასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — ამე-

რიკული ახალი მცენარისათვის ქართველ ხალხს ძველისძველი ქართული ტერმინი გამოუყენებია, მაგრამ რატომ სწორედ ფქვილის აღმნიშვნელი სიტყვა უხმარიათ? „ეს გარემოება, საფიქრებელია, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იქნებოდა შემოტანილი, და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს მისი მარცვლეულის კულტურა გავრცელებული“ (ს. ე. ი. წიგნი I, გვ. 364).

ნახევარ გვერდზე თქვენ ერთდროულად გონებამახვილური დაკვირვების, ტერმინის შინაარსის სრული ცვალებადობისა და ისტორიულ წყაროთა ცოდნის ბრწყინვალე დადასტურებას პოულობთ.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნი პირველი გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა. სამ წელს გაგრძელდა მისი ბეჭდვა.

1933 წლის 7 ივლისს ივ. ჭავჭავიძე იწვევდა ლ. მუსხელიშვილს: „მე აქ იმოდენა სამუშაო აღმომიჩნდა, რომ ღამის 1 საათამდე მიხდება ხოლმე ზოგჯერ მუშაობა. „საქართველოს ეკ. ისტორიაზე“ 5 ასოთამწყობი დააყენეს და ბეჭდვის დამთავრება უნდათ“. ეს წიგნი 1934 წელს გამოიცა. ამ წიგნს ივ. ჭავჭავიძე იწვევს პარკოსანი მარცვლეულის დახასიათებით. ეს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ძველად ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტი იყო, ვინაიდან ხალხი ხორცეულის ყოველდღიურ ჭამას ახლანდელივით მიჩვეული არ იყო. უფრო მეტად წველის ნაწარმითა და მცენარეულ-მარცვლეულით იკვებებოდა. ამის გამო, გასაგებია, რომ პარკოსანი მარცვლეული ძველად ახლანდელზე გაცილებით მეტი სჭირდებოდა ადამიანს. ამას ემატებოდა ის, რომ „ქრისტიანობასთან ერთად მარხვისა და ხსნილის მოძღვრება განმტკიცდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ყველამ იცოდა, რომ ოთხშაბათ-პარასკევებით, მცირე გამოწვლის გარდა, მთელი წლის განმავლობაში უნდა მარხვა შეენახა და მხოლოდ სამარხვო საქმლით დაქმავი იყოს. თუ ამას დიდმარხვასა და სხვა უფრო ხანმოკლე მარხვებსაც დაემატებოდა, გადაუჭარბებლად შესაძლებელია ითქვას, რომ ძველი საქართველოს მთელი მოსახლეობა ყოველწლიურად დღეთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტს სამარხვო საქმელს სჭამდა“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 72). ამიტომაც ძველ საქართველოში ხორცეულის, ცილოვანი ნივთიერების ნაკლებობას ადამიანის კვებაში მაშინ პარკოსან მარცვლეულთა აზოტოვანი ნივთიერება ავსებდა, გასაკვირველიც არაფერია, თუ წინათ სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ამ დარგს ახლანდელზე გაცილებით უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა. პურეული მარცვლეულობის გარდა, პარკოსან (ცერცოვან) მარცვლეულს აზოტოვანი ნივთიერების მოცემა შეუძლია გაცილებით მეტად, თითქმის ხორცეულის დონეზე. პარკოსანი მარცვლეულის მოყვანის ამგვარი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ძველად ჭიმბიური ანალიზის წყალობით მოპოვებულ დასკვნაზე არ ყოფილა დამყარებული. მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად ადამიანმა დაინახა, თუ რა სინოციერე ჰქონდა ამ მარცვლეულობას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჭანმრთელობისათვის. ივ. ჭავჭავიძის მოსწრებელი თქმით „ამ მხრივ შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის საღი, მომწივებელი ორგანოები საკუთარი ჭიმბიოსის მოვალეობას წინათაც პირნათლად ასრულებდნენ და მათ პატრონს მიღებული საქმლის შედარებითს ღირსებას საუცხოოდ აგრძნობინებდნენ ხოლმე“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 3).

ივ. ჭავჭავიძე იწვევს წყაროებში დატულ ზოგად ცნებებს ძველ და თანამედროვე საქართველოში გავრცელებული პარკოსანი მარცვლეულის შესახებ. ასე, მაგალითად, ნაშრომში მონოგრაფიული გამოკვლევა გვაქვს ლობიოს შესახებ ძველ საქართველოში. ივ. ჭავჭავიძის მტკიცებით, ლობიოს ამგვარ

შესწავლას პარკოსან მარცვლეულთა სწორედ უძველესი ჯგუფის შესწავლა უნდა უსწრებდეს, რასაც თვითონვე ახორციელებს წარმატებით ამ წიგნში. საქმე ისაა, რომ უძველეს ქართულ წყაროებში არ მოიპოვება ცნობები ლობიოს შესახებ. არ იხსენიება ეს სიტყვა IX—XIII საუკუნის თხზულებებში თუ საბუთებში; არ გვხვდება ცნობა XIV საუკუნის ძეგლშიც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. პირველი ცნობები ლობიოს ფართოდ გავრცელების შესახებ მხოლოდ XVII საუკუნეში გვხვდება. ეს ცნობები მხოლოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ ლობიო სამეგრელოსა და იმერეთში გაცილებით ადრე უნდა იყოს გავრცელებული. ივ. ჭავჭავიძის აზრით, „საფიქრებელია, რომ ლობიო საქართველოში დაახლოებით XVI ს. მეორე ნახევარსა, ანდა დამლევი უნდა იყოს გაჩენილი“. ძნელი ხდება მისი სახელის სადაურობისა და გავრცელების თანდათან გზისა და მიმართულების დადგენა. ივ. ჭავჭავიძის მიაჩნია, რომ ლობიო საქართველოში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება. მართალია, ქართული სახელი „ლობიო“ სპარსულ „ლუბიას“ უდგება, მაგრამ სპარსეთიდან რომ ყოფილიყო შემოტანილი, მაშინ იგი პირველად ქართლ-კახეთში უნდა გაჩენილიყო. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ იგი იტალიიდან ზღვით შემოეტანათ, მაგრამ ამას მისი სახელი არ ადასტურებს, მაშინ „ლობიოს“ მაგიერ ფაჩიოლოს მსგავსი სახელი იქნებოდა ქართულში. ამიტომ ივ. ჭავჭავიძის დასკვნით „სწორედ შავი ზღვის სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით კი გურია, ყოფილა ლობიოს კულტურის მეთაური და გამავრცელებელი. ეს გარემოება უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთიდან საქართველოში ლობიო უნდა ოსმალეთის გზით იყოს შემოსული“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 54).

საქართველოში შემოსვლის შემდეგ ლობიოს თანდათანობით პურეულის მერე ყველაზე უფრო გავრცელებული მარცვლეულის ადგილი დაუკავებია, გამოუდევნია პარკოსანთა ძველი წარმომადგენლები მათი გავრცელების არიდან; ივ. ჭავჭავიძის დასკვნით „ლობიოს უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება ამ მცენარეს სხვა პარკოსნებთან შედარებით ეკონომიურად ყველაზე უფრო ხელსაყრელ და მოგებიან მარცვლეულად ჰხდოდა. სწორედ ეს ეკონომიური მიზეზი უნდა იყოს, რომ ლობიოს კულტურა ქართველმა მეურნემ ყველა სხვას ანაცვალა“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 76). ყველა ამ თვისებას ლობიოსას ემატებოდა მისი გამძლეობა სხვა პარკოსანზე უფრო, ამასთან ლობიოს ქიმიური კეთილშეზავებულობა ხელს უწყობდა მის ფართოდ გავრცელებას. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს საკითხის ფართო სივრცე-სიგანით გამოკვლევასთან მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემების საფუძველზე. ლობიომ მთლიანად კი არ გამოდევნა სხვა პარკოსანი მცენარეები, არამედ შეამცირა მხოლოდ მათი გამოყენების არე. საქართველოს მთიან ადგილებში კი ლობიომ მეტოქეობაც ვერ გაუწია პარკოსანთა ისეთ უძველეს სახეთა არსებობას, როგორიცაა ცერცვი, ცერცვეულა, ოსპი, ხნდური და ხნდურნაირი.

მებაღეობა-მეხილეობა-მევენახეობა ქართველი მეურნის განსაკუთრებული ზრუნვის, ყურადღებისა და სიყვარულის საგანი ყოფილა უძველესი დროიდან. უბოსტნოდ, უბაღოდ და უვენახოდ ქართველი მიწისმოქმედის ცხოვრება წარმოდგენილი იყო და იგი მისი გაშენებისათვის არც თავის ძალღონეს იშურებდა და არც ქონებრივ სახსარს ზოგავდა, თუნდაც რომ მებოსტნეობისა, მებაღეობისა და მევენახეობისათვის ხელის შემწყობი გარემოება არ ყოფილიყო. ქართველი მიწათმოქმედის ეს დამახასიათებელი თვისება, შრომისმოყვარეობა და მებაღეობა-მეხილეობით გატაცება უკვე VI საუკუნის პიზანტიელ ისტორიკოს პროკოპი კესარიელს შეუნიშნავს, თავის საისტორიო ნაშრომში ილუბეკ-

დავს. მისი სიტყვით, მესხეთში, ამ მხარის მთავორიანობის მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწათმოქმედთ, ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ხილიც საკმაოდ ჰქონიათ.

მათ, გარა იმისა, რომ ადამიანის მოთხოვნილებას საკვებ პროდუქტებზე აკმაყოფილებდნენ, ესთეტიკური დანიშნულებაც ჰქონდათ ხოლმე. ხატოვნად ამბობს ამის შესახებ ივანე ჭავჭავიძე: „თვით ხეხილის ბალი და ვენახიც კი მარტო ბოსტნეულ-ხეხილის მოსაყვანად არ იყო განკუთვნილი, არამედ დროის გასატარებლადაც ჰქონდათ, როდესაც მხიარულება ჰსურდათ თავიანთ სტუმარ-მასპინძლებსაც წვეულებასა და მასპინძლობას სწორედ ბაღში უმართავდნენ ხოლმე... ბაღის მწვანე მოლი, ვარდ-ყვავილების სურნელება და ხეხილის საამო ხილვა, ჭამა-სმასა და სიძღერა-საკრავების ტკბილ ხმასთან ერთად, ადამიანის გულს ახარებდა და ყოველდღიური ცხოვრების მშიმე ტვირთს ავიწყებდა ხოლმე“ (ს. ე. ი. წიგნი II, გვ. 112).

შემდგომ გარკვეულია მებაღეობა-მეზოსტენობა-მეხილეობის ორგანიზაციის თავისებურება ძველ საქართველოში. ივანე ჭავჭავიძის სიტყვებით, ძველ საქართველოში ადამიანი არა მარტო მცენარეულ საკმელს ეტანებოდა ძალიან, არამედ „ეხლაც ქართველი სოფელი მწვანის, მხალს, მდელოსა და ხილს ხალისიანად ჭამს და ეტანება, უმწვანლოდ მას პურისჭამა თითქოს არც კი შეუძლიან. ძველადაც ქართველს გემრიელი და შროიანი პურის ჭამა უმწვანლოდ ვერ წარმოედგინა და მწვანელი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენიერებას შეადგენდა“. ამას მოსდევს ბოსტნეულის სხვადასხვა სახეთა დახასიათება. მკითხველი ინტერესით წაიკითხავს საკითხის მეცნიერული კლასიფიკაციითა და ისტორიის ღრმა ცოდნით დაწერილ გვერდებს. ღრმა გამოწვლვითი მუშაობით ივ. ჭავჭავიძე გვიჩვენებს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ბოსტნეულის შემოტანის დროს და ამ ქვეყნებში მათ განვითარებას.

მეტად საგულისხმოა ივანე ჭავჭავიძის აღნიშვნა, რომ უცხოელი ქვეყნებიდან მარტო ბრძოლის ისტორიას კი არ უნდა ვსწავლობდეთ, არამედ ამას გარდა, მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლის მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ „მოწინააღმდეგეთა ქვეყნებიდანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოგვიყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. VI).

II წიგნის დიდი ნაწილი ეძღვნება მევენახეობის კულტურას — საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესსა და უმთავრეს დარგს.

ივ. ჭავჭავიძე გვიძღვეს ვენახისა და ვაზის ტერმინების პირველად ხმარების საისტორიო წყაროებს, ვაზთამცოდნეობის ძველ ქართულ ტერმინოლოგიას. ვაზს დიდი მოვლა სჭირდება, რადგან მოუვლელად იგი სწრაფად გავლურდება და ნაყოფიერებაც მოიკლებს. მევენახის ხანგრძლივი დაკვირვების წყალობით ვაზის მოვლის ცალკეული მომენტები შემუშავდა. „ვაზის წესიერ მოვლისა და მევენახეობისმცოდნეობის თანდათანობითი შემუშავების პროცესში გამოიკვია, რომ ვაზის ყოველ ნაწილს თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ბუნებისაგან ზოგ მათგანს. მთავარი, ზოგს კიდევ მეორე ხარისხოვანი, ანდა დამხმარე მნიშვნელობა ჰქონია მიკუთვნებული. ამ ნაწილების ერთმანეთისაგან გასარჩევად, ვაზის ლერწმის ყოველ მნიშვნელოვან ნაწილს თავისი სახელი დაერქვა“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 297). ივ. ჭავჭავიძე მევენახეობასთან

დაკავშირებულ უმდიდრეს ტერმინოლოგიას არა მარტო წერილობით წყაროების ანალიზის საფუძველზე გვაძლევს, არამედ, ამასთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა მხარეებში შეკრებილი მონაცემების მიხედვით. ამისათვის ივ. ჭავჭავიძე იგი ახალი დროის ეთნოგრაფიულ, ზეპირმეტყველების, პირადი გამოკითხვისა და დამოწმების ხერხებს იყენებს; კვლავ ფართოდ ეყრდნობა კორესპონდენტთა მონაცემებს და უშუალო მიწათმოქმედთა გამოცდილებას. ივ. ჭავჭავიძე იგი ვაზის კულტურის განვითარებას სხვადასხვა საფეხურით იწყებს: ველური ვაზის გაშინაურებით ადამიანის მიერ, ხოლო შემდეგ ამ კულტურის გაინტენსივებით, თუმცა აქვე ივ. ჭავჭავიძე იგი გვაფრთხილებს, რომ „თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ველური ვაზის ნამდვილი ველურობა ხშირად ძნელი გამოსარკვევია, რადგან ბევრგან ასეთ შემთხვევაში ველურის მაგიერ დროთა განმავლობაში გავრცელებული ვაზია ხოლმე“ (ს. ე. ი., ტ. II, გვ. 368). სწორედ ამ პრილში გვიხსნის იგი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში უხვად გავრცელებულ ველურ ვაზებს. შემდგომ კი ივ. ჭავჭავიძე იგი გვაძლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ყურძნის ჭიშების დახასიათებას. გასაგებია, რომ ვაზიცაა და ვაზიც, მათ შორის განსხვავებაა განვითარების დონის, ინტენსივობის თვალსაზრისით. სხვანაირად „კრაიინაც ყურძენია და რქაწითელიც, მაღლარიცა და დაბლარიც მევენახეობას წარმოადგენს, მაგრამ რადიდი განსხვავებაა მათ შორის, ყოველი შეგნებული ადამიანისათვის ცხადია“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 393). სავესებით ბუნებრივია, რომ ყურძნის ჭიშების აღწერის მთელს მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ცენტრალური ადგილი ქართული მევენახეობის კლასიკური მხარის — კახეთის ვაზის ჭიშებს უკავიათ. სამწუხაროდ, ამ მხარის ამპელოგრაფია მანამდე შეუსწავლელი იყო, თუმცა კახური ღვინო მერტქეობას უწყევდა მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული მეღვინეობის ქვეყნების წარმომადგენლებსაც კი. კახეთში ყურძნის მრავალი ჭიში იყო გავრცელებული, მაგრამ აგრონომებს ყველა ამ ჭიშის სახელების აღწერაზე ზედმეტად მიუჩნევიათ და მხოლოდ ფართოდ გავრცელებული ჭიშების სახელები და მოკლე აღწერილობა აქვთ გამოქვეყნებული.

ივ. ჭავჭავიძის მალაქმეცნიერული და მალაქზნობრივი ავტორიტეტი იმას უზრუნველყოფდა, რომ ვაზის კლასიკური მხარის შესასწავლად დაუზარებლად აწვდიდნენ მას მასალებს სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც, ძველ და ახალ ლიტერატურულ წყაროებს კი ყველაზე კარგად იცნობდა ივანე ჭავჭავიძე. ვაზის კახური ჭიშები—თეთრი და შავი ყურძენი, როგორცაა რქაწითელი და საფერავი, ჩვენი ხალხის მეურნეობრივი გენიის უშესანიშნავესი დადასტურებაა. ივ. ჭავჭავიძე იგი დაწვრილებით ახასიათებს კახური ვაზის ამ სახელგანთქმულ და სხვა ნაკლებად ცნობილ ჭიშებს.

ქართლის ვაზებიც დაწვრილებითაა დახასიათებული. კვლევა აქ დაბეჭდილ ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობა. იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჭიშის დახასიათებისას გამოყენებულია არა მარტო წერილობითი, არამედ უშუალო დაკვირვებათა ცნობებიც. ძელშავის იმერეთში გავრცელებისათვის ივ. ჭავჭავიძე იგი საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მე-4 უბნის მებალის (ბორჯომში) ბავლე ბაქაძის ცნობებით უსარგებლია, რომელიც ხარაგაულელაო. მისი სიტყვებით, „ძელშავის“ ყურძნის ჭიში ზესტაფონს ზევით არგვეთში ყველგან არის დაბლარად (იქვე, გვ. 426). რაჰის ყურძნის ჭიშების შესახებ უაღრესად ძუნწი აღწერილობა არსებობდა მანამდე. აქ ივ. ჭავჭავიძე იგი პოეტი იოსებ გრიშაშვილი დახმარებია. ივ. ჭავჭავიძე იგი საჭიროდ თვლის დაწვრილებით მიუთითოს ამ დახმარების ხასიათსა და კონკრეტულ პირებზე,

რომელიც ცნობას აწვდიდნენ იოსებ გრიშაშვილს: ი. გრიშაშვილმა „თავის რაქველ ნაცნობებს შორის შეაგროვა ცნობები და ჩანაწერები გადმომცა. ამის წყალობით ნაწილობრივ ის ნაკლიც შეივსო, რომელიც ასე საგრძნობი იყო, და ზოგიერთი ახალი ცნობებიც შეემატა. ამ გულუხვი დახმარებისათვის იოს. გრიშაშვილს უდიდეს მადლობას მოვასხენებ. თითოეული მის მიერ ჩაწერილი ცნობის მომთხრობელი ჩანაწერებში დასახელებულია და მეც ყველგან მათი გვარები მოყვანილი მიქვს, იოსებ გრიშაშვილს მოსაუბრედ შემდეგი პირები ჰყოლია: სამსონ თომაძე, ალექსი ტომარაძე, მიხ. ომიაძე, ალექ. შარაბიძე, ეკ. ისაკაძე, სერგო კახეთელიძე, ამბაკო ქელიძე, ვლად. ფოფხაძე, ივ. დვალა, ნუცა გიორგობიანი და ფატმან ჯაფარიძე. რაქვის ყურძნის ჭიშების ქვემოზოყვანილ აღწერილობაში ყოველთვის, როდესაც რომელმე მათგანია დასახელებული, მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ ცნობა მგოსან იოს. გრიშაშვილისაგან მაქვს მიღებული“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 139).

სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჭიშების დახასიათებისას კვლავ არ იზღუდება ივ. ჯავახიშვილი ლიტერატურული წყაროების მონაცემებით. იგი დიდ მადლობას უხდის დოც. ვ. თოფურიას, რომელსაც მიუწოდებია ის, რაც ყოფილი სენაკის მაზრის აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს მცხოვრებლის 79 წლის მოხუცის ბესარიონ ნადარეიშვილისაგან 1931 წლის 28 აგვისტოს გაუუგონია და ჩაუწერია. სამეგრელოში გავრცელებულ სხვადასხვა ვაზს შორის აქ დაწვრილებითაა დახასიათებული სახელგანთქმული ოჯალეში.

ივ. ჯავახიშვილი სხვადასხვა პირს მიმართავს მევენახეობის შესახებ არასაკმარისი მასალების შესავსებად. ყველა მათ ივ. ჯავახიშვილი მადლიერებით იხსენიებს. გურიაში შერჩენილი ყურძნის ჭიშთა დახასიათებისას იგი წერს: „აქ კი განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პატივცემული ქრისტიანე შარაშიძის თავაზიანი ნებართვით საშუალება მქონდა მისი მამის, მხცოვანი პედაგოგის აწ გარდაცვლილ გიგო შარაშიძის ორი ნაშრომით მესარგებლა... ამის შემდგომაც ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად კიდევ დამატებითი ცნობების შეკრება მაინც აუცილებელი გახდა და მხცოვანი პედაგოგის პირადი შეკითხვით შეწუხება მომიხდა. ქრისტიანე შარაშიძის ხელით ამ შეკითხვებზეც პასუხი მივიღე“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 455). მამასა და ქალიშვილს უღრმეს მადლობას უთვლის წიგნის ავტორი. ასევე ივ. ჯავახიშვილი მადლობას უხდის დოცენტ იასე ცინცაძეს და მის მამას, მასწავლებელ ცინცაძეს, მიწოდებული ცნობებისათვის.

ივ. ჯავახიშვილმა გადარჩენილი ვაზების ძირითადი სახეები შეისწავლა (მართალია, შემდგომმა კვლევამ დაადასტურა კიდევ არა ერთი სხვა სახეობა ვაზის ჭიშისა) და ამით ვაზის კულტურის ძირითადი სახეების შესწავლას სრული მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა. მეტად ფასეული იყო ისტორიული მონაცემებით ვაზის ისეთი ჭიშების შესწავლა, რომლებიც ახლა უკვე აღარ გვხვდება. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომმა, პროფ. ს. ჩოლოყაშვილის სიტყვებით, დიდად გაუადვილა შემდგომ მკვლევართ ძველად არსებული ჭიშების გამოკვლევა.

ივ. ჯავახიშვილი ვაზ-ყურძნის ჭიშის სახელების ლინგვისტურ-ფილოლოგიურ ანალიზს მარჯვედ იყენებს მათი ხნიერების დასადასტურებლად. რა თქმა უნდა, ამ საქმეში არ კმარა მარტო ცოდნა ამპელოგრაფიაში, ამასთანავე საჭიროა ამპელოგრაფიის ცოდნასთან შეერთებული, ისტორიულ-ფილოლოგიური ღრმა განათლება, რათა უეჭველობით დავადგინოთ განსაზღვრული ფაქტი. ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი გულისხმობს, ჯერ ერთი, იმას, რომ

დროთა განმავლობაში ენის აგებულება და სიტყვათა საუნჯე იცვლება: არა მარტო ხშირად იცვლება ძველი სიტყვა და მის მაგიერ ახალი სიტყვა ჩნდება, არამედ ასევე ხშირად სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა იცვლება და იგი ძველის მაგიერ ახალი მნიშვნელობით იხმარება. ამიტომ მეკვლევეარს ამ „ცვლილებათა ქრონოლოგიის ცოდნა შეუძლიან ვაზ-ყურძნის ჭიშების სახელების გაჩენის დაახლოებითი დათარიღებისათვის გამოიყენოს და ამ გზით თვით ამ ჭიშების ხნიერების განსაზღვრა მოახერხოს“. მეორე გზად ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზისა ივ. ჭავჭავიძე იყენებს იმას, რომ გაანალიზებულ იქნას საქართველოს იმ მხარის „ვაზ-ყურძნის ჭიშების სახელები, სადაც მაჰმადიანობა გაბატონდა და ამის გამო უკვე რამდენიმე საუკუნის წინათ მევენახეობა-მელვინეობის განვითარება შეჩერდა, ანდა ყურძნის სპარსულ-თურქული სახელები შევიდა“. აქ გავრცელებული „ვაზ-ყურძნის ჭიშის ქართული სახელი ძველი მევენახეობა-მელვინეობის ნაშთს წარმოადგენს და ეს გარემოება აღაშინებს შეუძლიან ჭიშების ხნიერების დაახლოებით დათარიღებისათვის გამოიყენოს. „სწორედ ამის გამო, — დაასკვნინდა ივ. ჭავჭავიძე, — ძველი ქერეთის საინგილოს, სამცხის, აჭარის, შავშეთისა და კლარჯეთის ჭიშის ქართულ სახელებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 524). ამ გზით დადგინდალად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „ბუდეშურის“ ყურძნის ჭიში XVII საუკუნეზე აღრინდელია, ვინაიდან იგი მესხეთშიაც ყოფილა გავრცელებული. ბუდეშურის სახელი ოდესღაც არსებული გეოგრაფიული სახელისაგან შეიძლება იყოს წარმომდგარი, „მისი კვალის წარბოცილობის გარემოებაც ამ ყურძნის ჭიშის საბატიო ხნიერების გამომჟღავნებელია“. ასევე სახელგანთქმული საფერავი XVII საუკუნეზე ბევრად უწინარეს ჭიშად უნდა წარმოვბღვინოთ, ვინაიდან „საუკუნეებით მის აღრინდელ ხნიერებას შავშეთ-კლარჯეთშიც, ამ გამაჰმადიანებულ ქართულ ორ თემშიც არსებობის გარემოებაც ადასტურებს“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 526). მიუხედავად იმისა, რომ ძველ ძეგლებში არა ჩანს ვაზის სახელები, მათი ხნიერების გამოსარკვევად შეიძლება აქ ამპელოგრაფის მიეშველოს ლინგვისტი. მაგალითად, საყურადღებოა ვაზის ლერწმის ფერის დამახასიათებელი სახელები: რქაწითელი, ხევარდული, ხიხვი და ხემხუ, ძელშავი და სხვ. ამ სახელების დამახასიათებელ თვისებას მათი ორ-ნაწილადობა შეადგენს. წარმოების მხრივაც მათ საერთო თვისება აქვთ: ბირველ ნაწილად ყველგან ვაზის ლერწმის სახელია (რქა, ხე, ძელი), მეორედ ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი (წითელი, ვარდული, მხიე, შავი). უკვე დიდი ხანია არა ვინ ვაზის სხეულს, ზროს, ხეს ანდა ძელს არ უწოდებს, რქასაც არავინ დაარქმევს. ამიტომ სწორედ ვაზის ლერწმის აღმნიშვნელი სიტყვები უნდა იყოს ვაზის ჭიშების ამ სახელების ხნიერების განსაზღვრისათვის გამოყენებული. ამ გზით საკითხის გარკვევას დიდად აძნელებს ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის უქონლობა, მიუხედავად ამ სიძნელისა, ივ. ჭავჭავიძე გონებამზვილურად დაასკვნის: „V—VII სს-ში ვაზის ლერწს რქა სწოდებია, ხე-კი, თუმცა ამ ხანაში მერქნიანი მცენარეების ზოგადი სახელი ყოფილა, მაგრამ ვაზის ლერწმის აღსანიშნავად არ იხმარებოდა. დასასრულ, ძელი ამ დროს მხოლოდ მოკრილი ხის აღმნიშვნელი სიტყვადა ყოფილა“ (ს. ე. ი., წიგნი II, გვ. 529). მაშასადამე, მაგალითად, „ძელშავი“ ჭიში იმ უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც მერქნიანი მცენარეების სახელად ჭერ კიდევ ხეს არ ხმარობდნენ, არამედ ძელს. ასევე „ჩინური“ ჭიშის ხნიერების საკითხს თვით მისი სახელი გვიადვილებს. იგი მეტად მოსავლიანი და ავადმყოფობისადმი გამძლე ყურძნის ჭიშია და საუკეთესო საღვინე ყურძნად ითვლება. იგი ჩინეთი-

დან შემოსული კი არ არის, არამედ ფერის აღმნიშვნელი ძველისძველი ქართული სიტყვაა. იგი, როგორც ჩანს, დაბადების გადმოთარგმნის ხანას არ სცილდება, დაბადების გარდა არსადა ჩანს, ჭერჭერობით მაინც. ეს გაკრძობება ცხადყოფს, რომ შემდეგში მაინცა და მაინც იშვიათ სიტყვად ყოფილა ქვეყნით. ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს, ჩინური ყურძნის ჭიშიც ქართული მევენახეობის უძველეს ხანისად მივიჩნიოთ. ამას „ამ ყურძნის სინაზე და მალალი ღირსებაც ადასტურებს, რადგან ცხადია მისი ესოდენ დიდი ღირსება ხანგრძლივი კულტურის შედეგი უნდა იყოს“ (ს. ე. ო., წიგნი II, გვ. 539). „ჩინი“ საბა სულხან ორბელიანის განმარტებით „ზეთისხილის ფოთლის ფერის“ აღმნიშვნელიაო. მართლაც, ჩინურად სახელდებულ ყურძნის მარცვლებსაც ხომ მომწვანო, მოჭრისფერო ელფერი აქვთ.

ოქალეში სახელგანთქმული ქართული ვაზის მალარობის გამომხატველი მეგრული ტერმინია. ძველი ქართული „ძელის“ მეგრული შესატყვისია წინანდელი „ჩალი“-საგან წარმომდგარი ახლანდელი „ჩა“. ოქალეში სწორედ თავდაპირველად ხეზე („ჩა“) გასაშვები ვაზის ზოგადი სახელი იყო („ოქალეში“).

ვაზის სახელწოდების ახსნა შემთხვევითი ფონეტიკური დამთხვევებით არ შეიძლება. ამის ნიმუშია, მიგვითითებდა ივ. ჯავახიშვილი, „ცოლიკურის“ სახელწოდების ახსნა. „ცოლიკურის“ სახელის ასახსნელად ადგილობრივ მთელი თქმულება შენახულა. მაგრამ ეს თქმულება ისტორიული გარდმოცემა კი არ არის, არამედ გაუგებარი სახელის ასახსნელად, ხალხური გულუბრყვილო ეტიმოლოგიის წყალობით წარმოშობილს, შენათხზს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ცოლიკურის ყურძნის ჭიშის სახელი გეოგრაფიული სახელისაგან იყო წარმომდგარი, ე. ო. სადაურობის მაუწყებელი ყურძნის ჭიშთა სახელების ჭკუფს უნდა ეკუთვნოდეს“ (ს. ე. ო., წიგნი II, გვ. 499).

ქართველი მიწათმოქმედის მიერ მალალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჭიშები მრავალსაუკუნოვანი შეგნებული, გეგმა-შეწონილი და მზრუნველობით აღსავსე ღვაწლის ნაყოფია. აქედან სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ უძველესი მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული“ (ს. ე. ო., წიგნი II, გვ. 603).

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორი ფუნდამენტური ტომი სრულიადაც არ დარჩა საკმარისი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა მთელი სისრულით მიმოხილულიყო. მეორე წიგნში ვერ მოხერხდა მევენახეობის ბუნებრივი გაგრძელების — მეღვინეობის მიმოხილვა. მესამე და მეოთხე წიგნი საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა აღარ გამოსულა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ 1964 წელს სერით „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ გამოდის ნაკვეთი IV და V მუდგინება და მუხილეობა საქართველოში“. აქ მკითხველი ეცნობა გამოწველივით შესწავლილ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ვაზის ნაყოფის ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში, ასევე ყურძნის კრფის დრო საქართველოს სხვადასხვა თემში და მასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში, რთველის დრო და თავისებურებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „წელიწადის იმ ხანს, როდესაც ვაზის ნაყოფის და ხილის დაკრეფა შეიძლებოდა, ძველად „სთუელი ერქვა“, რომელიც რთველად ქვეყნის ახლაც დატოლია (დასახელებული ნაშრომი, გვ. 10). ზოგადად ნაყოფის შეესებასა და მოკრეფას კი „მოსთვლა“ ერქვა. სხვადასხვა დროს ხდებოდა რთველი საქართველოში, მაგრამ ჩვეულებრივ ყურძნის დაკ-

რეფის თვე ძველ საქართველოში ოქტომბერი ყოფილა, ამას ადასტურებს ის, რომ ოქტომბერს წინათ რთვლის თვე ეწოდებოდა, თუმცა კახეთში ყველგან ადრეულ ჭიშათვის რთველი სექტემბრის პირველ ნახევარში იწყებოდა და 5—8 ოქტომბრამდე გასტანდა. ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს რთვლის ორგანიზაციას, შესაბამის ინვენტარს, აქვე ვეცნობით ყურძნის დახარისხება-დაწურვის პროცესებს და მათ ტექნიკურ საშუალებებს. ასევე შესწავლილია ყურძნის დაწურვისათვის განკუთვნილი ნაგებობანი და ინვენტარი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქვეერ-ჭურების დამზადების პუნქტები საქართველოში.

დიდად საინტერესო მონაცემებია ღვინის შენახვის წესებთან საქართველოში. აქ ავტორს არავითარი დეტალი არ რჩება. თქვენ აქ იპოვნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ღვინის შესანახი ჭურ-ქვეერის გასარეცხი იარაღის სახელებს. აქ გაიგებთ, რას ეწოდება ხრიკა, ორკოპე, ხეპარა, კოპეა, ორჩხრუში და ა. შ.

მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ღვინის ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტექნოლოგია, ღვინისა და ტბილის გადასაზიდი ჭურჭლის უძველესი ინვენტარი საქართველოში, ყურძნის წვენი სხვადასხვა პროდუქტები და ძველ საქართველოში გავრცელებული მაგარი სასმელები, ხოლო წიგნის XXV თავში, სადაც დახასიათებულია ტერმინი „ღვინო“, მისი რაობა და წარმოშობის ისტორია.

მეღვინეობა-მევენახეობის სამშობლოდ რომ ამიერკავკასიაცაა ცნობილი, ამას დაბადებაში აღბეჭდილი ძველ ებრაული გადმოცემაც აღიარებს. ტერმინის „ღვინის სადაურობის დადგენა ძნელია, მაგრამ ის უძველეს პერიოდში რომ იხმარებოდა ქართველ ტომებში, ყოველ ექვს გარეშეა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ვაზის აღსანიშნავად, ამ სიტყვის გარდა, ვენახიც იხმარებოდა. მის ნაყოფის წვენისაგან დაყენებულ სასმელს კი ღვინო ეწოდებოდა, როგორც დავრწმუნდით, ვენახი ღვინისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ე. ი. თავდაპირველად ღვინის ხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო... მეგრულად და ჰანურად ვაზს ბინეხი ეწოდება. ეს გარემოება, რომ, მეგრულს გარდა ჰანურსაც ვაზის აღსანიშნავად ბინეხი აქვს, გვაფიქრებინებს, რომ თავკიდური ბ ამ სიტყვაში ახლად გაჩენილი კი არ არის, არამედ ძველისძველი უნდა იყოს“ (დასახ. მასალები... გვ. 81).

• • •

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1930 და 1934 წლებში გამოცემულ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორ კაპიტალურ წიგნში ივ. ჯავახიშვილმა ვერ შეძლო დაემთავრებინა არა თუ დასახული გეგმა, არამედ მიწათმოქმედების სრულად მიმოხილვაც. ვერ განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის მიერ წინასწარ მოხაზული მიზანი — ეკონომიკის სხვა დარგების ისტორიის ჩვენება. არასასოფლო-სამეურნეო დარგები, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა, საქალაქო წესწყობილება და ვაჭრობა-მრეწველობა, კერძო საკორპორაციო და სახელმწიფო მეურნეობის წარმოების წესები და კანონები შემდგომ III და IV წიგნებში უნდა ყოფილიყო განხილული. ამის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილს არ შეუწყვეტია მუშაობა ამ პრობლემებზე, რომლებიც უფრო ენათურებიან 1907 წელს გამოსულ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნში წამოყენებულ საკითხებს. მეტიც, ივ. ჯავახიშვილი თვითონ არ დაელო-

და „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ III და IV წიგნების გამოსვლას და 1934 წელს თბილისის უნივერსიტეტის ახლად გახსნილ გამოცემლობაში ცალკე წიგნად დაბეჭდა „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში“. ეს ნაშრომი ამოღებული იყო „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან. ამას შემდეგნაირად ხსნის ივ. ჯავახიშვილი: „რაკი „საქ. ეკონ. ისტორიის“ ბეჭდვა ფერხდება და იმ წიგნების გამოქვეყნებას, საითგან სოციალური ბრძოლის IX—XIII სს. ამბები მაქვს ამოღებული, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი დრო მოუწდება, საქართველოს ზოგადი ისტორიისათვის კი ამ ფაქტების ცოდნაა საჭირო, ამიტომ ამ ნაწილებს „საქ. ეკონ. ისტორიიდან“ დროებით ამოღება და ცალკეულ პატარა მონოგრაფიად გამოქვეყნება ვაპრობინე“. ამ წიგნში მიმოხილული დებულებები 1918—1928 წლამდე ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ჰქონდა წაყითხული ორი მოხსენების სახით. ამ წიგნით ივ. ჯავახიშვილი იმთაყმს პასუხობდა, რომლებიც ვერ ხედავდნენ მის შემოქმედებაში სოციალური უთანასწორობის ასახვას ძველი საქართველოს ისტორიაში. რასაკვირველია, ერთი უბრალო ფაქტიც კი სოციალური ბრძოლის ისტორიიდან არ გაუშვია თავისი მრავალმხედველობის არიდან ივ. ჯავახიშვილს. პირიქით, იგია პირველი, რომელმაც უაღრესად ძუნწ ისტორიულ ცნობებში მიაგნო ეკონომიურ-სოციალური უთანასწორობის ანარეკლს. ივ. ჯავახიშვილი მაინც გვაფრთხილებდა, რომ ეკონომიური ბრძოლის გასაშუქებლად ძველს საქართველოში უხვი ცნობების იმედი არ უნდა გვექონდეს. „უნდა გვახსოვდეს, რომ საისტორიო თხზულებებში, თუ საერო იყო, ავტორებს მიზნად მაშინდელი პოლიტიკური ამბების მოთხრობა ჰქონდა დასახული, ხოლო თუ საეკლესიო იყო, არც მათ დამწერთ, არც მათ წამყობველთ, ცხადია, მაინცდამაინც სოციალური ბრძოლა არ აინტერესებდათ. ამიტომაც არის, რომ ასეთ ძეგლებში ამ საკითხის შესასწავლად იშვიათად თუ მოიპოვება ხოლმე ცნობები“.

ამგვარი უთანხმოებისა და ბრძოლის შესახებ ცნობები საბუთებში იქნებოდა, მაგრამ X საუკუნემდე საბუთები აღარ ჩანდა. საბუთებში არსებული ცნობებიც სოციალური ბრძოლის ისტორიიდან შეუძრნეველი და გამოუყენებელი იყო. აქ კი სწორედ ივ. ჯავახიშვილის გამკრიახი გონება იყო საჭირო. რომ მწირ დოკუმენტებში მწვავე სოციალური ბრძოლის ანარეკლი დაენახა.

ივ. ჯავახიშვილმა ვერ მოასწრო ძველ საქართველოში საქალაქო წესწყობილების შესახებ წინასწარ გამიზნული ნაშრომის გამოქვეყნება. ამ დარგში მისი ნაბეჭდი წვლილი გამოიხატა ჟურნალ „პრომეთეს“ 1918 წლის № 1-ში დაბეჭდილი გამოკვლევით „ქალაქები, საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში“. პროფესორ შ. მესხიას სიტყვებით, „ეს ნაშრომი გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების შესახებ დღემდე ერთადერთი ნაშრომია. აქ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებანი საქართველოს ისტორიის ამ უბნის მუშაკათათვის დღესაც კი სახელმძღვანელო მოსაზრებებად რჩება“.

ჩვენი ხალხის ეკონომიური ისტორიას ივ. ჯავახიშვილი როდი თვლიდა ამოწურულად მის მიერ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ფუნდამენტური ტომების გამოცემით. ბევრი საკითხი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ამ წიგნებში იყო მიმოხილული, ივ. ჯავახიშვილის აზრით, შემდგომ ინტენსიურ კვლევას მოითხოვდა. 1937 წლის ენიმკის „მომამბეში“ (№ 1) დაიბეჭ-

და ივ. ჭავჭავაძის პროგრამული სტატია: „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“.

აქ ენის, სოციალური, მეურნეობრივი ისტორიის საკითხები უმკიდროვს კავშირშია მიმოხილული. ამ ერთობლივი ისტორიის შემადგენელ ნაწილად მი-აჩნია მას არა მარტო ენობრივი მონაცემებით სარგებლობა ქართველი ერის ეთნოგენეზის საკითხის დისადგენად, არამედ საკვები მცენარეებისა და შინაუ-რი ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, აგრეთვე ლითონის კულტურის ისტორიის შესწავლის ამოცანებიც. ივ. ჭავჭავაძი დიდად აფასებს რუსი აკა-დემიკოსის ნ. ვაგილოვის თაოსნობას საკვები მცენარეების ისტორიის შესას-წავლად. კაცობრიობის უძველესი ნივთიერი კულტურის ისტორიის უმთავრეს საკითხთაგანს გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების, ხეხილის თანდათან გაშინაურება-გაკეთილშობილების, ლითონის დამუშავების ღონე-ობის მიგნება შეადგენს. ამ მიმართულებით მსოფლიო მეცნიერების ინტერესი მიპყრობილი იყო კავკასიის, მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი მოსახლეობისადმი. ეს კიდევ უფრო ზრდიდა, ივანე ჭავჭავაძის აზ-რით, ქართველ მეცნიერთა პასუხისმგებლობას ამ პრობლემების შესწავლის საქმეში.



ორ თვეში ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა უბრე-ცედენტო ექსპედიცია, რომელმაც საქართველოს წარსული კულტურის უკა-ნასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედია შექმნა. მაგავსი რამ საზოგადოდ ალბათ, იშვიათობაა სამეცნიერო ექსპედიციათა ისტორიაში. ივ. ჭავჭავაძის ამ კიდევ ერთ საშვილიშვილო წამოწყებას შედარებით დაწერილებით უნდა შევეხეთ.

გრანდიოზული წამოწყება ხორციელდება, რომლის შედეგად რჩება არა მარტო ნაშრომები ერის კულტურას რომ ამდიდრებენ, არამედ მეცნიერ ხელმძღვანელის დამოძღვრის, დავალების, პირდაპირ შეკვეთის გზით წარმოჩ-ნდება და დაწინაურდება ავტორთა კოლექტივი, რომლის წევრები მეცნიერუ-ლი კვლევა-ძიების შესანიშნავ წვრთნას გაივლიან და შემდგომ ბევრი მათგანი გამოჩენილ სპეციალისტად ჩამოყალიბდება.

ინდუსტრიული ტექნიკის განვითარება ავიწროებს და დევნის შინამრეწ-ველობასა და ხელოსნობას. ეს პროცესი სწრაფია და შეუქცევადი. ამასთან იკარგება შინამრეწველობასა და მხატვრულ ხელოსნობაში საუკუნეებით შე-მუშავებული ნიჭი, მაშინ როცა მათ არა მარტო დიდი ესთეტიკური, არამედ ამასთან ერთად გამოყენებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ. დიდ ისტო-რიულ-კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად ივანე ჭავჭავაძის ეს უკანას-კნელი გარემოება აფიქრებდა. მაშასადამე, დანაკლისი წარსულის კულტუ-რულ ღირებულებათა არა მარტო შეუსწავლელობა-დაუფასებლობას გვიქად-და, არამედ საგრძნობ ეკონომიურ-სამეურნეო დანაკარგსაც. სწორედ ამიტომ შესანიშნავ გადაწყვეტილებას იღებს ერის შვილი, როცა იგი მიმართავს „სა-რეწაო კავშირს“ წინადადებით, განხორციელდეს საქართველოს შინამრეწველო-ბის, ხელოსნობისა და მათი მთელი ისტორიის მეცნიერული შესწავლა.

„სარეწაო კავშირის“ პრეზიდენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორად გაიგო დიდი ისტორიკოსის წინადადების პატრიოტული და უეჭველი სამეურნეო ეფექტიანობა. ნიშანდობლივია 1934 წლის 16 აგვისტოს თბილისი-

დან სურამში ნიკო ბერძენიშვილის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი: „მე გუ-
შინ, 15. VIII ქუჩაში შემხვდა ვალოდია ცომაია. ეს ის ყმაწვილია შინამრეწვე-
ლობის ტრესტიდან რომ დადიოდა თქვენთან. მიმდინარე წლის გაზაფხულს მე
მას თქვენი პასუხი — საქართველოს ხელოსნობა-შინამრეწველობის ისტორიის
დაწერის თანხმობა გადავეცი. მას თქვენი მზაობა მუშაობის დასაწყებად ტრეს-
ტის დირექტორის ბახტაძისა და მისი მოადგილის კალანდაძისათვის მოუხსენე-
ბია. მათაც, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ბიუჯეტით ასეთი ხარჯი
გათვალისწინებული არ ჰქონიათ, თქვენი პასუხი ფრიად სასიამოვნოდ დაჩე-
ნიათ და დაუსკვნიათ, მაშინვე თავი მოებათ საქმისათვის. ჩლაიძეს (კულტუ-
რული კაცია და ამ საქმის ინიციატორი) თქვენთვის ბარათი უახლებია, ხოლო
ორი დღის შემდეგ კაცი გამოუგზავნია. თქვენ უკვე სურამს გავესწროთ, ხოლო
ბარათის პასუხიც არ მიუღიათ. სწუხან. ამბობენ, რომ საუკეთესო დროა ამ დი-
დი საქმის გადასაწყვეტად. ფული აქვთ. დროით შეზღუდული არ იქნებით, გა-
მომცემლობას და შემდეგ რუსულად თარგმნას თვითონ იკისრებენ. ნაშრომის
მოცულობას არ განსაზღვრავენ და ჰონორარს წინდაწინობით გაიღებენ.

ბატონო ივანე, მე ამ წერილის მოწერა იმიტომ გავბედე, რომ ვიფიქრე:
თქვენ შესაძლებელია ამათი ბარათი არ მივიღიათ, ხოლო თქვენი შეხედულება
ამ საქმის შესახებ უკვე ვიცოდი. მე შევპატივი ცომაიას, რომ მის ნალაპარა-
კეს გადმოგცემდით. ესლა თქვენი ნებაა! გნებავთ მოიწერეთ და თქვენს აზრს
გადავეცემ მას, გნებავთ გადასდებდით სანამ ჩამობრძანდებოდეთ. მისი (და ჩლა-
იძის) აზრი ისეთია, რომ საქმის გადაწყვეტა სასურველია დაუყოვნებლივ“.

სწორედ რომ დაუყოვნებლივ მიიღო თადარიგი ამ საქმის მოთავემ. უკვე
1934 წლის 27 სექტემბერს ივ. ჯავახიშვილმ „სარეწაო კავშირის“ პრეზიდიუმს
უდგენს თავის ახსნა-განმარტებას „საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის“
დაწერის თაობაზე. უპირველესად იგი განსაზღვრავს კვლევის მიზნებს და აქ
თავის მეტად საინტერესო დაკვირვებებს გვაცნობს, სახელდობრ იმას, რომ
„ძველად სოფლის მოსახლეობაში, მეტადრე მრეწველობასა და წერილ ხელოს-
ნობას შორის მეტად მცირე განსხვავება იყო. სოფლურს ხელოსნობაში შინა-
მრეწველური თვისება სჭარბობდა. ეს გარემოება შესაძლებელია თუნდაც შემ-
დეგი მაგალითით დამტკიცდეს. გუთნისა და ურმის გაკეთებას ძველად ყველა
არ მისდევდა, არამედ ჩვეულებრივ ამაში დახელოვნებული პირები იყვნენ
ხოლომე გამკეთებლად. მაგრამ ამ სამეურნეო იარაღების და საზიდის გაკეთება
არც მათს ერთადერთს, გინდა მთავარ მოწოდებას და შრომის სარბიელს წარ-
მოადგენდა და არც მათი არსებობის უმთავრესი წყარო იყო, არამედ ისინი
სხვებივით სოფლის მეურნეობით, მიწისმოქმედებით ცხოვრობდნენ... სასურ-
ველია, რომ შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორია საქართვე-
ლოში ერთად დაიწეროს“. იმის გამო, რომ ეს საკითხები შეუსწავლელია,
დიდი წინასწარი მუშაობის ჩატარებაა სავსებით. აქ აუცილებელია გვემიანობა
და თანამიმდევრობა, ივანე ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს შინამრეწვე-
ლობის და წერილი ხელოსნობის ისტორიის დასაწერად მუშაობა შემდგომ ხუთ
წელიწად უნდა გაყოფილიყო:

1. უნდა მომზადრიყო ძველი საბუთებიდან, სიგელ-გუჯრებიდან აზოკრეფა,
გადმოწერა და ცალკე წიგნად გამოსაცემად დაშალდეს შინამრეწველობისა და
წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის გამოსადეგი ცნობებისა.

2. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგს გამოქვეყნებული როგორც
ქართული, ისე რუსული საგაზეთო წერილებიდან შინამრეწველობისა და წერილი
ხელოსნობის შესახებ ყველა ცნობათა ამოკრეფა და ცალკე მონოგრაფი-

ად დამუშავება. რომელსაც სათაურად ექნება „XIX და XX ს. დამდეგის შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ზოგადი მიმოხილვა“.

3. საქართველოს სხვადასხვა კუთხის შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის შესახებ თანამედროვე, ზეპირი გადმოცემის ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების შეკრება წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად, მოწყობილობისა და იარაღების აღწერილობის შედგენა, მათი სურათების გადაღება, ტერმინების შეგროვება და შეძლებისდაგვარად შინამრეწველობის მუზეუმისათვის თვით ნივთების, იარაღებისა და ნიმუშების ჩამოტანა. ამ მიზნით, მთელს საქართველოში უნდა მცოდნე და საგანგებო ინსტრუქციებით აღჭურვილი პირები გავგზავნოთ, რომელთაც მთელი ჩანაწერი და შეგროვებული მასალა, მოხსენებთა სახით გამოსაცემად დამზადებული უნდა წარმოადგინონ.

4. „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის“ მასალები სერიების სახით უნდა გამოცემულიყო.

პირველი წიგნი იქნებოდა: „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის შესახებ ცნობების შემცველი საბუთები, სიგელ-გუჯრები და სხვა მასალები“. მეორე წიგნი იქნებოდა: „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მიმოხილვა საქართველოში XIX საუკუნესა და XX დამდეგს“. მესამე წიგნი იქნებოდა: „ზეპირი გადმოცემა და თანამედროვე ცნობარი სრულიად საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის შესახებ“.

5. „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორია. უძველეს დროიდან XX ს. დამდეგამდე“, ამ ნაშრომის დაწერა და გამოცემა.

ივ. ჭავჭავაძის აზრით, მთელი ამ წამოწყების განხორციელებისათვის სპეციალისტ-მკვლევართა რამდენიმე ჯგუფი იყო საჭირო. მათ შორის ძველი საბუთების ამოსაყრებად და გამოცემისათვის დასამზადებლად 2 მკვლევარი: XIX საუკუნეს და XX საუკუნის შინამრეწველობის მიმოხილვის დასამზადებლად და დასაწერად ორი პირი. ამ პირთ ერთი წლის განმავლობაში უნდა შეესრულებინათ დაკისრებული სამუშაოები. ზეპირი გადმოცემისა და ცნობების შესაგროვებლად, აღწერილობათა შესადგენად, ნახატებისა და სურათების გადასაღებად, ნიმუშებისა და იარაღების შინამრეწველობის მუზეუმისათვის შესაქმნად საქართველოს ყველა კუთხეში ექსპედიციები უნდა გაგზავნილიყო. ამისათვის ოც კაცამდე იქნებოდა საჭირო. თვითველ წევრს გასამრჩელოდ და საგზურისათვის უნდა მისცემოდა 1000 მანეთი. ამას გარდა სურათების გადასაღებად და სამუზეუმო ნივთების შესაქმნად 10000 მანეთი უნდა ყოფილიყო გადადებული. ივ. ჭავჭავაძის ითვალისწინებდა შეკრებილი ნაშრომების დაბეჭდვის ხარჯებს (პონორარის ჩათვლით), საერთო ჯამში ყველაფერი ეს მიახლოებით შეადგენდა 66,592 მანეთს. რა თქმა უნდა, ეს საკარაულო ხარჯები იყო. ივანე ჭავჭავაძის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით წერდა, რომ „მთელი ამ მუშაობის ხელმძღვანელობა უნდა ერთ პირს დაეკისროს, რომელმაც უნდა ამ გეგმის გასახორციელებლად თანამშრომელთა შემადგენლობაც დაუსახელოს „სარეწავო კავშირის“ პრეზიდიუმს, მისი ასრულებისათვის ყველა წყაროებიც დაუსახელოს თანამშრომლებს და დაწვრილებითი წერილობითი ინსტრუქცია შეადგინოს, როგორც მკვლევართა, ისე ექსპედიციის წევრთათვის სახელმძღვანელოდ. თავისთავად ცხადია, მასვე უნდა დაეკისროს გამოსაცემი ყველა მასალის რედაქციაც და თვით შინამრეწველობის ისტორიის დაწერაც“.

დიდი ნდობა ივ. ჭავჭავაძის პიროვნებისადმი და მისი მაღალი მეცნიე-

რული ავტორიტეტი იმის საფუძველი გახდა, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის პრეზიდენტის თავმჯდომარე პირდაპირ ამტკიცებს მოხსენებით ბარათში დასახულ სამუშაოებს და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას. 1934 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კავშირის პრეზიდენტმა მისი თავმჯდომარის ნ. ბახტაძის სახით დადო ხელშეკრულება ივ. ჯავახიშვილთან. ამ ხელშეკრულების პირველივე პუნქტით განსაზღვრულია, რომ სარეწაო კოოპერაციის პრეზიდენტი ანდობს პროფესორ ივ. ჯავახიშვილს, დაამზადოს და რედაქცია უყოს „მასალებს საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ მის მიერვე წარმოდგენილი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ამ ხელშეკრულების პირველ პუნქტში აღნიშნული საქმის შესრულების შემდეგ, კისრულობს დაწეროს „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორია“ 40 თაბახის რაოდენობით. „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების“ გამოცემის ხელმძღვანელობას და რედაქციას კისრულობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ხელშეკრულების მე-4 პუნქტით აღნიშნული საქმისათვის საჭირო დამხმარე და ტექნიკური აპარატის მოწყობა ეკისრება პროფ. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც თავის შეხედულებისამებრ მოიწვევს მეცნიერ მუშაკებს, რომელთა სიას „სარეწაო კავშირის“ პრეზიდენტს წარუდგენს და რომელთაც გასამრჩელოს მისცემს „სარეწაო-კავშირი“ ამ წერილობითი განცხადებებისა და პროფ. ივ. ჯავახიშვილის დასტურის შემდეგ ამ ხელშეკრულებაზე დართულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში. განსაზღვრული იყო ვალდებულებათა შესრულების დრო და ანაზღაურების ოდენობა. არსებითად, ამ ერთდერო, პირველ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობაზე „სამეურნეო ხელშეკრულებით“ მთელი დარგობლივი სამეცნიერო ლაბორატორია იქმნებოდა. სამეცნიერო მივლინებაში. წარგზავნილთა კი მრავალმხრივი დავალება ეძლეოდათ. ხელშეკრულების თანახმად, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ სამშენებლო ხელობის ყოველ დარგსა და ნაგებობათა სახეებს, ავეჯის კეთების ხელობას (სკამი, სკამლოგინი, მერხი, სარეცელი, საწოლი, კიღობანი, კარაღა და სხვ.); მეჭურჭლეობას— მათ შორის ხის ჭურჭლის კეთებას (ფუკა, ტაბაქი, გობი, ხონჩა, როგო, კუტალი, კათხა, სირჩა, ჩარა და სხვ.), თიხის ჭურჭლის კეთებას და მის სახეებს, საძმისების კეთებას, დაწნული ჭურჭლის კეთებას, ქსოვასა და ხელსაქმეს, ლებვას (ძაფისა და ქსოვილებისა), მოქარავას, ტანისამოსს, თავსახურს, ფეხსამოსსა და ფეხსაცმელს, პურის ცხობას, დიასახლისობას (ბოსტნეულისა და ხილის შენახვა, საკმელები და მათი სანელებელი), მესაქონლეობას (ტყავის დამუშავებასთან დაკავშირებით), სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთებას, მერწყველობასა და მეწისქვილეობას, კირისა და გაჯის გამოწვას, კრამიტის, ავურისა და წყლის მილების კეთებას, მკედლობას და მის სხვადასხვა სახეს, ოქრომკედლობას, მეტივეობას, მეშეშეობას და მენახშირეობას, მუსიკალური საკრავების დამზადებას და სხვა და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სარეწაო კავშირის ორგანო „საქართველოს შინამრეწველი“ (1935 წ. 10 აპრილი) თითქმის სამი თვით ადრე აქვეყნებს ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ინსტრუქცია-გეგმას „მასალების შეგროვების წესის შესახებ“ და ბექდავს მიმართვა-მოწოდებას საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელშიც ეკითხულობთ: „პრეზიდენტმა გადაწყვიტა, გამოსცეს აკადემიური ხასიათის კაპიტალური შრომა საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის შესახებ. ამ დიდ შრომას ხელმძღვანელობს ისტორიკოსი პრო-

ფესორი ივანე ჯავახიშვილი. მასთან ერთად მონაწილეობას ლებულობენ ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები“. აღინიშნა ისიც, რომ ისინი ახლო ხანში წავიდოდნენ რაიონებში. ამის გამო პრეზიდიუმში სთხოვედა შინამრეწველებს, „ხელი შეუწყონ ამ დიდ კულტურულ საქმეს, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მეცნიერულ მუშაობას შეიტანოს დიდი განძი სოციალისტურ მეცნიერებაში“.

დაწვრილებით დარიგებას აძლევდა ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სხვა დასხვა კუთხეებში წარგზავნილთ. მათ დიდი დავალებები ჰქონდათ. მათ მარტო ის კი არ უნდა ნახონ, რასაც ახლა აკეთებენ მოხუცი შინამრეწველები, არამედ ისიც უნდა გაიგონ, რაც მათ „წინანდელ შინამრეწველობაზე იციან ან წინათ უკეთებიათ და ახსოვთ“.

შემკრებელმა მოსაუბრე უნდა დაარწმუნოს, რომ „ცნობების შეგროვება მხოლოდ იმისათვის გვინდა, რომ გავიგოთ, თუ წინათ როგორ მუშაობდნენ და რასა და რას აკეთებდნენ“ და ა. შ.

რასაკვირველია, დეტალური ინსტრუქციის შედგენა საქმის მხოლოდ დასაწყისი იყო. არ კმაროდა, ცხადია, მარტო ერთუზიასტების მიგნება, ისინი ამასთანავე, უნდა ყოფილიყვნენ საქმის მცოდნენი. მათი მოძებნა ივ. ჯავახიშვილს არ გასჭირვებია. იგი ხომ ჩინებულად იცნობდა ყველას, ვინც კულტურის ამ დარგის ისტორიის საკითხებში მუშაობდა. ივ. ჯავახიშვილმა აქტიურად ჩართო აქ საისტორიო სემინარის მსმენელები. ზოგჯერ კი მივიღებოდაც არ ყოფილა აუცილებელი. მას შენიშნული ჰყავდა ადგილებზე მომუშავე სპეციალისტები. ახლა მათი ნიჭისა და გამოცდილების გამოყენება შეიძლებოდა. ნიშანდობლივია ამ მხრივ აპარის მდიდარი შინამრეწველური და ხელოსნური წარსულის შესწავლა. ამისათვის მან მის მიერ აღმოჩენილი და დაწინაურებული ჯემალ ნოლაიდელი შეარჩია, მოუღლეელი მკვლევარი საქართველოს ამ წარმტაცი მხარისა. თვითონ ქ. ნოლაიდელი ასე აღწერს ივ. ჯავახიშვილისაგან დავალების მიღებას:

„ერთხელ ბათუმში სახელმწიფო ბანკის მუშაკმა უწყება გადმომცა, რომ თქვენს სახელზე ორი ათასი მანეთია თბილისიდან გადმორიცხული და როცა გნებავთ გაიტანეთო. ვერაფრით ვერ გამეგო, ვინ გამოგზავნა ფული. მეორე დღეს ივანე ჯავახიშვილისაგან მივიღე წერილი და პროგრამა-ინსტრუქციები, იგი მატყობინებდა, სარეწაო კავშირმა დამავალა, რომ დავწერო „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორია საქართველოში“.

აპარაში ამ მასალების შეკრებას თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ და სარეწაო კავშირს ვთხოვე, რომ ორი ათასი მანეთი თქვენს სახელზე გადმორიცხოს აპარაში ამ სამუშაოების საწარმოებლადო“.

ყველა დეტალი გაუთვალისწინებია ივ. ჯავახიშვილს: აპარელ ქალთა შორის საჭირო ცნობების შესავსებად საგანგებოდ ქალი გაგზავნა. 1935 წლის 9 აგვისტოს იგი ჯემალ ნოლაიდელს სწერს: „ქალთა შორის ცნობების შესაკრებად ჯერ რ. ხარაძე მინდოდა, მაგრამ ის სევანეთში მიემგზავრება, ამიტომ მის მაგივრად ქართული ენციკლოპედიის მდივანი თამარ ანდლულაძე ავირჩიე, რომელსაც აპარაში უმოგზაურებია და იქ ნაცნობებიც ჰყავს, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყოველნაირად ხელს შეუწყობთ აპარელ ქალთა შორის ცნობების შეგების გასაადვილებლად“.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ავლენს იმათ, ვინც იცის ამ კუთხის შესახებ და შეიძლება წარმოშობით ამ კუთხიდან იყოს. ივ. ჯავახიშვილი პირადად არჩევს თბილისიდან გასაგზავნად მკვლევართ. თვითონვე მოძღვრავს მათ. ასე, ქ. გრიგოლია (შემდგომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი), რომელიც ივ. ჯავახიშვილმა მთიანი სამეგრელოს დასავლე-

თი სექტორის შესასწავლად გაგზავნა (ამ სექტორში შედიოდა ნაწილობრივ ზუგდიდის, აგრეთვე ჩხორიწყუსა და წალენჯიხის რაიონები), ასე აღადგენს ივ. ჭავჭავაძის დამოძღვრების სიტყვებს: „ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და საზოგადოებრივი ყოფა ისეთი სისწრაფით ვითარდება და ისე მიდის წინ, რომ ჩვენი წარსულის ესოდენ დამახასიათებელი ხელოსნობა და შინამრეწველობა, როგორც დღეისათვის დროკმული, უღმობლად ქრება და ობიექტურად — ისპობა. ასე რომ საჭიროა სწრაფად დავიაროთ მთელი საქართველო, მისი ყოველი კუთხე, მოვინახულოთ აღნიშნულ დარგებთან დაკავშირებული ოჯახები თუ ამ საქმის მცოდნე პირები და მათი სიტყვითა და დახმარებით ჩავიწეროთ ყველაფერი, რაც კი დღეისათვის ამ მხრივ შემორჩენილია: იარაღები, დაზგები, წარმოების პროცესი და სხვ. ჩვენ, ისტორიკოსებს, მომავალი არ გვაპატებს ამ საქმისადმი გულგრილობას და ესოდენ მნიშვნელოვანი მასალების ასე უკვალოდ გაქრობას“.

ქეშმარიტად საშური საქმე კეთდებოდა. არა თუ ძველი ხელოსნობა-მინამრეწველობის ძაგნები ქრებოდა, არამედ მისი ამსახველი ცნებებიც, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, „დადნა საგანი, დადნა სახელიც“, ბევრი სიტყვა ხომ ცოცხალი მოწმეა გარდასულ საუკუნეთა.

1935 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში 26 კაცმა შესანიშნავი კვლევა-ძიება ჩაატარა. თვითონ ივ. ჭავჭავაძის სიტყვებით, შედეგებმა მოლოდინსაც გადააქარბა. ივ. ჭავჭავაძის უზომოდ აღტაცებულია მიღწეულით. თავის ამ სიხარულს იგი მთლიანად ამჟღავნებს 1935 წლის 12 დეკემბერს ლენინგრადში ვარლამ დონდუასთვის გაგზავნილ კერძო წერილშიც. „წარვლინებულებმა საინტერესო ჩანახატი და ფოტოსურათები (ნიეთიერი ნაშთებისა) წარმოადგინეს, და ვერ ავიწეროთ, რა უხვი, მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედია! მრავალი ახალი ტერმინი და გამონათქვამებია ჩაწერილი, ურომლისოდაც ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატერა და ოცნება შემისრულდა და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც აღამიანი მალე ველარც გაიგონებს და ველარც გაიგებს, რადგან საიქიოსაკენ მიდის უკანასკნელი თაობა, რომელსაც წარსულისა კიდევ რაიმე ახსოვს და გაეგება, რომელსაც იმდროინდელი კულტურის ნიეთიერი ნაშთი კიდევ საკმაოდ შენახული ჰქონია ისე, რომ სამუზეუმოდ შესაძენადაც ბევრი რამე ყოფილა. დღე და ღამე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისათვის ვმუშაობ.“

ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი და დამლელი ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ, რომ დაიბეჭდება. მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა“.

ივ. ჭავჭავაძის ვ. დონდუასადმი 1936 წლის 10 თებერვალს გაგზავნილ მეორე წერილში საჭიროდ თვის, აღნიშნოს ჩატარებული მუშაობის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ქართული ტერმინოლოგიის მეცნიერულად შემუშავებაში. მისივე სიტყვებით, „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს... 6000-მდე გვერდია ზეპირგადმოცემითა და ცნობებით დაწერილი“.

ბევრი წარგზავნილი მეცნიერი შემდეგ ხელახლა განმეორებით ახდენს მოპოვებული მასალების შემოწმებას მონაყოლის, ნაფიქრ-ნაღვაწის ავტორებთან. იმგვარად, ხალასი ფაქტები, ხალხური ნიჭის ელვარება არ წაიშალა და არ გაქრა თაობებისათვის. ივ. ჭავჭავაძის მიღებული შედეგებით მარტო ალტაცებული როდია. ამასთან აყენებს მოპოვებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების საკითხს. 1935 წლის 12 ოქტომბერს იგი სწერდა „საერწაო საბჭოს“ პრეზიდიუმს, რომ მათ რომ დაუსახავთ ძველი ქართული ხელსაქმის აღდგენა, „დროული და აუცილებელი, საჩქაროდ გასახორციელებელი პრობლემაა. ამ მიზნის მიღწევა ჩვენი ხალხის საქმიანობასა და ეკონომიურ კეთილდღეობას დიდად შეუწყობს ხელს. ყოველი ჩვენგანი გახარებული იქნება, თუ ესოდენ დიდი კულტურული წადილი ხორცშესხმულ სინამდვილედ იქცევა“. ამასთან დასძენდა, რომ ძველი ქართული ხელსაქმის, ისევე როგორც შინამრეწველობის და ხელოსნობის სხვა დარგების აღდგენის პრობლემა ეკონომიკური, ტექნიკური და მხატვრული თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული. ყველაფერი ეს ძველის მონური მიმბაძველობა არ უნდა იყოს. ივ. ჭავჭავაძის დასკვნია: „მინც ცხადია, რომ ყველაფერს, რაც საქართველოში შინამრეწველურად კეთდებოდა, ამჟამად პრაქტიკული მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ ყველაფერი აღსადგენი არ არის. ჩვენ ყურადღების ღირსად და მზრუნველობის საგნად მხოლოდ ის უნდა გავხადოთ, რაც თანამედროვე ადამიანის კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებებისა და მხატვრული გემოვნების გამოსაღები და შესაფერისია“. ივ. ჭავჭავაძის წინასწარმეტყველურად წერდა: ყველაფერი ეს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისათვის კი არა, საგარეო ვაჭრობის საქიროებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.

სწორად ამბობს ე. ჭავჭავაძე, რომ სახელწოდება „მასალები შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის“ ვერ გამოხატავს მათ მთელ შინაარსს და მნიშვნელობას. მათში გაცილებით ბევრი სხვა საკითხია. კითხვარები გაცილებით მეტი მოვლენის შესწავლას ითვალისწინებდა, ვიდრე დევიზი იყო ექსპედიციისა. „თემატური საზღვრებიდან“ ამგვარი გასვლა მხოლოდ სასარგებლო აღმოჩნდა და ჩვენი კულტურის ისტორიის დარგში ისეთი რამ დაგვიტოვა, რაც ახლა არა თუ უნიკალურია, არამედ შემდგომ ვერასდროს ვეღარ მივაკვლევდით და ვერასდროს აღვადგენდით. 1939 წლის 10 ოქტომბერს წაკითხულ მოხსენებაში „ქართველი მშრომელი ხალხის კვება და მისი რაციონალიზაციის ამოცანა“ ივ. ჭავჭავაძის მიუთითებდა იმაზე, რომ შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესახებ გეგმაში შეიტანა ხალხური კვების საკითხებიც. შედეგად დიდძალი, ფრიად საინტერესო ცნობები იქნა შეგროვილი — რით იკვებებოდა ხალხი: „საყურადღებო გარემოება გამოიკვეთა: გასაოცარია ის უნარი, რომელიც ჩვენს ხალხს საკვებად მცენარეულობის შერჩევაში გამოუჩენია“.

ივ. ჭავჭავაძის უხვად იყენებს ამ შედეგებს მის ბოლო წლების ნაშრომებში. მათ შორის ფართოდაა ეს მასალები გამოყენებული „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“. ამ გამოკვლევათა საფუძველზე შექმნილია ივ. ჭავჭავაძის მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის მასალების სხვადასხვა ტომში დაიბეჭდა ივ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ. ამ სერიის ნაშრომებში ჩვენ ყველგან ვხვდებით მითითებას ახალი ტერმინოლოგიის მეცნიერულად შემუშავების იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც შინამრეწველობისა და ხელოსნობის ძველს ტერმინოლოგიას აქვს ენის ისტორიულ-ბუნებრივი გან-

ვითარებისათვის. მეტად დიდმნიშვნელოვანია ეროვნული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის პროცესი. „მასალებში ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ დაიბეჭდა „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“ (იგი 1946 წელს გამოქვეყნდა). ივ. ჭავჭავიძე წერს: „ძველი ჩვენი შეცდომა, როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მეცნიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია შემკვიდრებული და ჩვენი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით, და ხელოვნურად ვსაზღვრავდით და ვთარგმნიდით (უმეტეს ნაწილად რუსულიდან) სრულიად მექანიკურად, მაშინ როდესაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოგვეპოვებოდა ქართულად. სრულებით არავითარი საჭიროება არ არსებობდა, რომ ან ჩვენ თავი შეგვეწყუბებინა ამ შეთხზვით, ან ხალხი შეგვეწყუბებინა ახალი მათთვის სრულებით გაუგებარი ტერმინების ათვისებით. ამჟამად ისეთი მდგომარეობაა შექმნილი. რომ განათლებული ხალხი ხმარობს ერთ ტერმინოლოგიას, ხალხისათვის გაუგებარს, ხოლო ხალხი კიდევ თავისას, რომელიც გაუგებარია განათლებული ხალხისათვის. ამოცანას წარმოადგენს, ცხადია, რომ ერთიანი, მთლიანი, ძველ მარაგზე დამყარებული ტერმინოლოგია შეიქმნეს ჩვენში“ (გვ. 94).

სათუთი მზრუნველობით ელოლიავებოდა ივ. ჭავჭავიძე შეგროვებულ ძვირფას მონაპოვრებს იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს მათგან ტერმინოლოგიის, სახელდობრ კი ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენას. ამ მუშაობას არ წყვეტს იგი, იმის მიუხედავად, რომ ახლა მას „სარეწაო საბჭო“ სათანადო მხარდაჭერას არ უჩენს. ივ. ჭავჭავიძე მოპოვებულ მასალებს შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ინახავს. ამასთან დაკავშირებით 1939 წლის 10 სექტემბერს ივ. ჭავჭავიძე წერდა: „შ. რუსთაველის მუზეუმი დღიდან დაარსებისა აწარმოებს სალექსიკოგრაფიო მასალების შეგროვებას საქართველოს მატერიალური კულტურის ყოფაცხოვრებასა და ტექნიკის ისტორიის ლექსიკონის შესადგენად. ამჟამად ეს მასალა უკვე იმდენად არის ამუშავებული, რომ 1940 წელს შესაძლებელი იქნება დასაბეჭდად დამზადება ხალხური ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონისა“.

1939 წლის 9 აგვისტოს „სარეწაო საბჭოს“ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. შავგულიძე და კულტურის განყოფილების გამგე გ. კიშიშვილი, თითქოსდა ბოდიშს იხდიდნენ თავიანთი წინამორბედების უმოქმედობისათვის,—ივ. ჭავჭავიძე წერდა, რომ „ამჟამად სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმს გადაწყვეტილი აქვს აღნიშნული სამუშაოს დამთავრება. გთხოვთ, გვაცნობოთ, თუ რა სამუშაოებია დღეისათვის შესრულებული და რა უნდა გავაკეთოთ მომავალში მისათვის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დამთავრდეს მთლიანად და ჭეროვნად. ამასთანავე ერთად გატყობინებთ, რომ საბუნებისმეტყველების მიხედვით წარსულში სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს არ გაუცია თქვენი კუთვნილი ჰონორარი 3000 მანეთის რაოდენობით. გთხოვთ ეს გარემოება დაგვიდასტუროთ წერილობით ჰონორარის გასაცემად“.

საბოლოოდ გადაწყდა დაგროვილი უმდიდრესი მასალა გადასცემოდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს. ამის თაობაზე 1940 წლის 10 იანვარს დაიდო ხელშეკრულება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმსა (იგი არსებობდა 1941 წლის 1 აპრილამდე) და ენიმკის შორის. ხელშეკრულება უაღრესად საინტერესოა აქტია. იგი მთლიანად დაწერილია ივანე ჭავჭავიძის მიერ. ამ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს, სიმონ ჭანაშიას სახით, უცვლელად მიუღია ხელშეკრულების ყველა პი-

რობა. მასწავლებელი და მოწაფე ახლა ხელშეკრულების იურიდიული კონტრაქტებია. მათთვის მთავარია, რომ დროზე გამოიცეს ეს მასალები და თაობებს დარჩეს ისინი, ხელშეკრულებაში ეკითხულობთ: „... რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის, რომელიც ქვემოლ სიმოკლისათვის „რუსთაველის მუზეუმად“ იწოდება, ღირექცია, მისი ღირექტორის მოვალეობის აღმასრულებლის აკად. ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის სახით, მეორე მხრით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენისა, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის, რომელიც სიმოკლისათვის ქვემოლ „ენიმკის“ ინსტიტუტად იწოდება, ღირექცია მისი ღირექტორის პროფ. ს. ჭანაშვილის სახით ვლებთ ურთიერთშორის შემდეგ ხელშეკრულებას: I რაკი რუსთაველის მუზეუმს დამზადებული აქვს გამოსაცემად სამეცნიერო ნაშრომები — საგამომცემლო ბაზა, ქალაქი და სახსარი კი მის დასაბეჭდად არ მოეპოვება — რუსთაველის მუზეუმში უთმობს თავის დასამზადებელ ნაშრომებს ენიმკის ინსტიტუტს და ენიმკის ინსტიტუტი თანახმაა მიიღოს გამოსაცემად შემდეგი პირობით:

1. გამოცემის დამზადებისათვის რუსთაველის მუზეუმისაგან ვაწეული-ხარჯების სამაგიეროდ ენიმკის ინსტიტუტი კისრულობს თავის თავზე მათი დაბეჭდვა-გამოცემისათვის საჭირო ხარჯებს და ნაშრომები გამოცემული იქნება რუსთაველის მუზეუმის და ენიმკის ინსტიტუტის საერთო გამოცემად.

2. რუსთაველის მუზეუმის ღირექტორის მ. ა. აცხადებს, რომ ენიმკის ინსტიტუტისათვის გადაცემული სხვადასხვა დარგის ყველა ქართული ხალხური ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონები, რომელთა დაწერილებით სია, სათაურები და თითოეულის მოცულობა ქვემოთ იქნება მოყვანილი, აქ კი ზოგადად აღინიშნება, რომ საერთო მოცულობით 3416 ხელნაწერი სასკოლო რვეულის სიდიდის გვერდის შემცველს 12 ლექსიკონს წარმოადგენს, შედგენილია მისივე ინსტრუქციის თანახმად მთელ საქართველოში 1935 წელს გაგზავნილი ექსპედიციის მიერ შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ინტორიისათვის ჩაწერილის მასალებზე დაყრდნობით, რომ იქედან გამოსაწერი სალექსიკონო მასალა და განმარტება მის მიერ ხაზგასმული ამ ჩანაწერებთან სათანადო მითითებით რუსთაველის მუზეუმის მეცნიერ მუშაკებთანგან არის ამოღებული და მისივე ხელმძღვანელობით არის ეს ამონაწერები ანბანის რიგზე დალაგებულ-დაწერილი, რომ რუსთაველის მუზეუმის ღირექტორის იგივე მ. ა. კისრულობს ამ ლექსიკონებისათვის პასუხისმგებლობას და თავის თავსაც ვალდებულად სთვლის ამ გამოსაცემად გამზადებული ლექსიკონების საბოლოო რედაქციის ტერითიკ მიიღოს“. აქედან ნათლად ჩანს ის მოვალეობანი, რომელთაც ივანე ჭავჭავაძილი კისრულობს მიღწეული შედეგების სრული მეცნიერული პუბლიკაციისათვის.

შემდგომში ივ. ჭავჭავაძილის გარდაცვალებამ და სამამულო ომის დაწყებამ გაართულა საქმის ნორმალური მსვლელობა. მაინც 1944 წლის 31 იანვარს ენიმკის სამეცნიერო საბჭოს აკად. ს. ჭანაშვილი მოახსენებდა აკად. ი. ჭავჭავაძილის ხელმძღვანელობით 1935 წელს შეკრებილი ქართული შინამრეწველობის მასალების გამოცემის შესახებ. მან საბჭოს აცნობა, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირმა მიმართა ამ მასალების გამოქვეყნების შესახებ და გადაწყვიტა 1944 წლისთვის გაიღოს თანხები საჭირო ხარჯების დასაფარავად. მასალა დაახლოებით 200 თაბახის მოცულობისაა. ამოწერილია აგრეთვე ტერმინები შინამრეწველობის ძირითადი დარგების მიხედვით — ლექსიკონისთვის. გადაწყდა, გამოქვეყნდეს მასალები დარგობრივად. 1944 წელს მოეწყოს

დამატებითი ექსპედიციები იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო წელსვე დამთავრდეს. და მაინც, ასე სწრაფად ვერ განხორციელდა ეს მართლაც სამკვიდრეო საქმე. მხოლოდ 1976 წელს ივანე ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავზე გამოქვეყნდა მასალების პირველი ტომი, ხოლო 1979 წელს — მეორე ტომის I ნაწილი განზრახული ხუთტომეულიდან.

ეს ხუთტომეული იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება ჩვენს დროში ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირი გადმოცემებით და მატერიალური კულტურის ნიმუშებით გვეჩვენებინა უძველესი შინაარსი და ცვალებადობა ტერმინებისა, უშველებელი, ძნელი და წარუბოცელი მნიშვნელობის სამუშაოები შეგვესრულებინა.

შინაპრეწველობისა და ხელოსნობის შესწავლის პროცესში ავტორთა მთელი ჯგუფის ჩამოყალიბება და მისი მიზანსწრაფული წარმართვა ერთადერთი როლი იყო, რომელმაც ასეთი დიდი შედეგი და პრობლემის კომპლექსური შესწავლის ფეფქტი მოგვცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე ჭავჭავაძის არა მარტო უზომოდ გაახარა შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთვის იუბილემ, მან არა მარტო თავისი მოხსენებით და გამოკვლევებით მიიღო მონაწილეობა მასში, ამასთან, იგი სათავეში ჩაუდგა მკვლევართა ჯგუფს, რომელსაც უნდა შეესწავლა შოთა რუსთაველის ეპოქის დროინდელი მატერიალური კულტურა. ამის საბაზი გახდა შოთა რუსთაველისა და მის ეპოქისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენის მოწყობა. ივანე ჭავჭავაძის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ „ეფუხისტეოსის“ იუბილე არ იქცეს მარტოოდენ კაცობრიობის ამ დიდი შვილის უკვდავების აღსანიშნავ საზეიმო შეკრებად, რომ შედეგად დარჩეს შოთა რუსთაველის დროინდელი ეპოქის შემსწავლელი გამოკვლევები, რაც ყველა დროის ამ დიდ შვილს, ზოგადსაკაცობრიო ძმობისა და მეგობრობის მქადაგებულს, ასე ახლობელს გახდეს და ჩვენი დროისა და მომავალი თაობებისათვის. ამისათვის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის სიყვარული როლი კმარა. ეს პოემა მკითხველთა ფართო წრეებს საუკუნეებია საყოველთაო სიყვარულით უყვართ, რაც მათი შეგნებისა და მაღალი გემოვნების გამოქვადნებად შეიძლება ჩაითვალოს. ქართული ინტელიგენციის მოვალეობა იმ დიდი სიყვარულით ვერ დაკმაყოფილებოდა, რომელიც შოთას სახელისა და მისი უკვდავი ქმნილებისადმი ჩვენს გულში ღვივის, რადგან ეს ხომ მისი ღვაწლისა და მისი ქმნილების მონაწილეობელი თვისების უშუალო, სრულებით ბუნებრივი შედეგია. ჩვენს ინტელიგენციას ევალებოდა, აქტიური ღვაწლით გამოეხატა თავისი წვლილი. ამ საქმის სათავეში მოექცა სწორედ ივ. ჭავჭავაძის იუბილემ. მიუხედავად მის მიერ 1936 წლის გაზაფხულზე გადატანილი მძიმე ავადმყოფობისა, ივ. ჭავჭავაძის შესთავაზება შოთა რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის საერთო ხელმძღვანელობა. იგი დიდხანს უარზე იყო, ექიმებიც უკრძალავდნენ მუშაობას და მაინც ზნეობრივად ვალდებულს ხდის თავს, დაეთანხმოს ამ წინადადებას. ამის თაობაზე 1936 წლის 29 მაისს იგი სწერს ვარ. ღონდუას: „რაკი საქართველოს ყოფაცხოვრებასა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ ტვირთის აღება მომიხდა და პასუხსაგები საქმის („ქართ. კულტურა XI—XII სს.“) მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწვა... რასაკვირველია, ხელმძღვანელობის გაწევა, რაკი ამ დარგში მომზადებული პირები არ გვეყვანან, უმეტესად მე მომიხდება, და ეს გარემოება მაფიქრებს და მალეღვებს“.

ივ. ჭავჭავაძისმა გააჩალა დიდ-მასშტაბური მოღვაწეობა ძველი საქარ-

თველოს ყველაზე განვითარებული საუკუნეების მატერიალური კულტურის შესასწავლად. შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი, რომელიც გამოფენის მოწყობას გულისხმობდა, ივ. ჭავჭავიძელისაგან ენერგიის ახალ ნაკადს მოითხოვს. შესანიშნავად ახასიათებს ალ. ბარამიძე შოთა რუსთაველის მუზეუმის დირექტორს ივ. ჭავჭავიძელს: „გარდააიწყდა ავადმყოფობა, ხანდაზმულობა, დაღლა, უზომოდ შრომობდა და ახალგაზრდებს შრომით გატაცების საწინააღმდეგო გაცემილებს აძლევდა. საკვირველი ის იყო, რომ უკიდურესად რთული და სათუთი მუშაობის დროსაც, სახეზე ღიმი არ შორდებოდა, განკარგულებას დაბალი ხმით იძლეოდა, არავეის სმენია მისგან სასაყვედურო სიტყვა, მხოლოდ ზრძნული შეგონება და მშობლიური დარიგება იყო მისი სამოქმედო იარაღი. მკლავებდაკაპიწებული ოჯღში გაწურული ივანე ჭავჭავიძელი ყველას გვხიზლავდა თავისი ზრდილობით, თავმდაბლობით, თავაზიანობით, სიღარიბის-ლით, მაღალი რანგის ჭენტლმენობით... ბ-ნი ი-ანე შთაგონების ცეცხლით იწვოდა და შთაგონების ამ მომადლებული ცეცხლის ნაპერწკლებს სხვებსაც უხვად აფრქვევდა. ვისაც ივანე ჭავჭავიძელი იმ დღეებში უნახავს, არასოდეს დააიწყდება მისი ანთებული თვალები, ბაგეებზე მომდგარი ღიმი და ფართო, ნათელი შუბლის ელვაება“.

ამ პატრიოტულ საქმიანობაში ივ. ჭავჭავიძელი გაბედულად იზიდავს სპეციალისტებს თბილისისა და მთელს საქართველოში, მოსკოვსა და ლენინგრადში, მრავალგზის სწერს ვარლამ დონდუას და ახალ-ახალ დავალებებს აძლევს მუზეუმისა და გამოფენისათვის. დიდებულია ეს მიმოწერა. აქაც, ოცი წლის გასვლის შემდეგ, იგი გულმწარედ იგონებს მის დაკარგულ პეტროგრადის ბიბლიოთეკას. საკვირველი მეხსიერება აქვს მას. იგი ზეპირად აღადგენს არა მარტო წაკითხული წიგნის სათაურსა და შინაარსს, არამედ ხელნაწერსა და მის მინაწერ-მინახატს. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: „ბ-ნო ვარლამ, მანდ ყოფნის დროს სააზიო მუზეუმში რომ ბროსესაგან დარჩენილ მასალებზე ვმუშაობდი, ხელნაწერი კატალოგის მიხედვით ვიპოვე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადების გადმოღებული ისტორიული პირების კედლის მხატვრობის გარდმონახატები. თუ არ ვცდები, ბროსეს დავალებით პლატონ იოსელიანმა ერთ იტალიელ მხატვარს გადმოაღებინა ეს პირები. ამ გარდმონახატთა შორის ზოგიერთი უკვე აღარ არსებობს, მართალია, გადარჩენილთა ამ იტალიელი მხატვრის ნამუშევართან შედარებამ დამარწმუნა, რომ მას სახეების ხატვა არ სცილდნია და მისი გარდმონახატები დედანს არ მიაგავს, მაგრამ ამ მხრივ რაღა ეშველება, მე ეს პირები ქართული ტანისამოსის, თავსაბურავისა და ფეხსაცმლის ისტორიისათვის მჭირდება.“

ამჟამად მინტერესებს ერთი გარდმონახატი, რომელზედაც მეფე გიორგი და ძე მისი ბაგრატი კათალიკოზთან ერთად გამოყვანილი. ამ პირის ფოტოგრაფიული გარდმონახატი ხელთა მაქვს, მაგრამ ფერადები არც ჩაწერილი მქონია და არც მაგონდება (30 წლის წინათ მაქვს ნახატი). მინდა შ. რუსთაველის მუზეუმისათვის მაგისი პირი ფერადებითვე სანდო მხატვარს გადავადებინო“.

ეს ერთ-ერთი თხოვნათაგანია. შემდგომში ვარ. დონდუამ ბევრი დავალება მისი უფროსი მეგობრისა დაუზარლად შეასრულა და ამით დიდად დაეხმარა რუსთაველის გამოფენის მდიდრულად გახსნას. 1937 წლის 9 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ ივ. ჭავჭავიძელმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“. იგი ამცნობს მთელ ხალხს მრავალმხრივ მუშაობას, რაც გამოფენის წარმატებით მომზადებისათვის ჩატარდა და ტარ-

დება. მკითხველი იმასაც იგებს, რა სიძნელეები ახლდა შოთა რუსთაველის დროინდელი მატერიალური კულტურის სრული სურათის აღდგენას. რასაკვირველია, ამისათვის არ იყო საკმარისი წერილობითი წყაროების ცნობები, ასევე აუცილებელი იყო მატერიალური კულტურის ნივთები. მათი პოვნა კი რამდენიმე საუკუნის შემდეგ უიმედო საქმე იყო. „ვისაც მატერიალური კულტურის ისტორია თუნდაც გადაკითხული აქვს, — წერდა ივ. ჭავჭავიძე, — ეცოდინება, რომ უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და საგნები, ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ავეჯი, ჭურჭელი და იარაღი მეტად ცოტაა გადარჩენილი. და იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, ისიც თითო ოროლა. პოლიტიკური ცხოვრების უკულმართობამ, დროისა და ჰავანობის უღმობლობამ და წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობამ ასეთი საგნების უმეტესობა იმსხვერპლა და ხშირად უკვალოდაც კი დაუკარგა მეცნიერებას“.

იქ, სადაც ტანისამოსი და ავეჯი აღარ იყო შენარჩუნებული, ივ. ჭავჭავიძე მიმართავს ტანისამოსის, თავსაბურავისა და ფეხსაცმლის აღდგენას ისტორიული პირების კედლის მხატვრობის გზით.

ივანე ჭავჭავიძე გვაცნობს მატერიალური კულტურის ნივთობრივი შემადგენლობის მოპოვებისა და აღდგენის წესს და ა. შ. და ა. შ.

ივანე ჭავჭავიძელმა პირველმა ქართველთა შორის დანერგა მატერიალური კულტურის ისტორიაში კომპლექსური კოლექტიური კვლევის მეთოდი და შესანიშნავი კრებულით „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ (1938), როგორც ამას სწორად შენიშნავს ან. აფაქიძე, ახალი საფეხური წამოიწყო ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში. ცოტაა ითქვას, რომ ივანე ჭავჭავიძელი ამ კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია.

ავტორებიც (როგორც პროფ. ლ. ლ. დეკაპრელივიჩი იგონებს, ივანე ჭავჭავიძე ილია საგანგებოდ ეწვია მას ბინაზე და შესთავაზა სტატიების დაწერა. ამგვარი ვიზიტები ივ. ჭავჭავიძელის მეცნიერულ-ორგანიზატორულ პრაქტიკაში იშვიათი არ ყოფილა) და თემათა ძირითადი მიმართულებაც მის მიერაა შერჩეული, დავალებები მკაფიოდაა განსაზღვრული. ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები წარმოდგენილია ასე:

7. ხუროთმ. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი, XI—XII ს. ხიდი მდიუმთავრესი კულტურები;

2. მისივე, შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა;

3. პროფ. ს. ჩოლოყაშვილი, მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნეების ვახის ჩიშების საკითხისათვის.

4. მიხ. რჩეულიშვილი, მასალები ქართული ცხერის შესწავლისათვის;

5. ალ. ლოსაბერაძე, საქართველოს ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები;

6. შ. ხიდაშელი, სხალტბა (მოი მღვიმის 1202 წ. წყალსადენის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში).

7. ხუროთმ. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი, XI—XII ს. ხიდი მდინარე ბესლეთზე;

8. თ. ლომოური, ფული-შოთა რუსთაველის ეპოქაში;

9. ლ. მუსხელიშვილი, დმანისის ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა;

10. ვ. წილოსანი, გეგუთი (ციხე-დარბაზი).

კრებული ბევრს სრულებით ახალსა და საყურადღებოს იძლეოდა. უსაზღვროდ კმაყოფილი ივანე ჭავჭავაძე იყვნენ ასევე: „პირველი მაგალითია ჩვენში. რომ საქართველოს ისტორია ამ თვალსაზრისით არის განხილული და ერთ და იმავე დროს მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის ვითარების წარმოსადგენად ესოდენ საგულისხმო პრობლემებია გადაშლილი“.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჭავჭავაძის დიდი ხნით აღრე რევოლუციამდე მზად ჰქონდა ქართული ხელოვნების ისტორია, მაგრამ არ გამოუცია სრული სახით. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ქართველთმცოდნეობის ცალკეული დარგების განვითარებას აღმოაჩნდა საკუთარი სპეციალისტები, ივანე ჭავჭავაძე თავს იზღუდავს საკუთრივ „ისტორიის“ კვლევით. ასე მოხდა ხელოვნების ისტორიაში. აქ პირველ რიგში პროფ. გ. ჩუბინაშვილის, ხოლო შემდეგ შ. ამირანაშვილის შრომები ათავისუფლებს მას ქართული ხელოვნების ისტორიაში საგანგებო კვლევისაგან. ამის მიუხედავად, არც ხელოვნების ისტორიაში, ისე როგორც სხვა დარგებში ქართველოლოგიისა, ივ. ჭავჭავაძე არ წყვეტს აქტიურ კვლევას და არ გამოდის მხოლოდ მეთვალყურის როლში იმისა, რაც მოსაზღვრე დარგებში ხდება. ამისი დადასტურებაა ივანე ჭავჭავაძის წიგნი „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, რომელიც 1946 წელს გამოქვეყნდა სერიაში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“. აქ, ქართული ხელოვნების ისტორიისათვის ერთად, განხილულია ეკონომიკური ისტორიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხები. ივ. ჭავჭავაძე თავის ნაშრომს ამოცანად უსახავს ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას. ამასთან მას ზუსტად განსაზღვრული აქვს კვლევის ფარგლები. ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ სიტყვებისა და ტერმინების შეკრებას და მათი მნიშვნელობის გამოკვლევას, რომლებიც ხელოვნების ძეგლების შესახებ მრავლად არის გაფანტული წარწერებსა, საისტორიო თხზულებებსა, სხვადასხვა საბუთებსა და მზითვის წიგნებში. მათ ჭერ კიდევ არავისი ხელი არ შეხებია და ხელოვნების ისტორიის კვლევის დროს არ გამოუყენებია, მაშინ როცა საქმე სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო. თავდაპირველად უნდა შეეკრიბათ ყველა სიტყვა, რომელთაც ძველ ქართულ მწერლობაში ხმარობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში და გაეგათ მათი მნიშვნელობა. მხოლოდ შემდგომ, აღჭურვილი ყველა იმ ცნობით, რომელიც ქართული ხელოვნების შესახებ ძველს საბუთებსა და მწერლობაში მოიპოვებოდა, შესდგამოდნენ თვით ნაშთებისა და ძეგლების შესწავლასა და შეფასებას. ორივე ამ მიზნის შესრულებისათვის ივ. ჭავჭავაძის შეცვლა არც მაშინ და არც შემდეგ არავის შეეძლო. სწორედ ამიტომ შეუცვლელი საფუძველია ქართული ხელოვნების ისტორიის შემდგომი კვლევისათვის ივ. ჭავჭავაძის ეს წიგნი. მის ამოცანას ივანე ჭავჭავაძე ასე თავმდაბლურად განსაზღვრავდა: „წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის იმ საფეხურზე, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, არა ერთი საკითხი რჩება გაურკვეველი. მხოლოდ მომავალში, როდესაც მრავალრიცხოვანი მკვლევარები აიღებენ ამ საგანს თავისი შესწავლის ობიექტად, სულ სხვა მდგომარეობა იქნება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არა სპეციალისტს ამ დარგში. ამ საკითხზე ვმუშაობ და ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორი-

კოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მართო სიტყვიერი მასალით ისე კარგად ვერ წარმოადგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით“. (გვ. 4).

ივ. ჭავჭავიძისათვის დამახასიათებელი მასშტაბურობით ჩატარებული ჩხრეკა-ძიება სრულიად მოულოდნელ შედეგებს გვაძლევს სხვადასხვა წყაროების გამოყენებისას. უპირველესად საერო ნაგებობათა სახეობანია დახასიათებული, რაც მანამდე არავის არ ჰქონდა ოდნავადაც შესწავლილი. მეორე კარი ქალაქის ნაგებობათა დახასიათებას ეძღვნება. საეკლესიო გონებამახვილობით, ძველი წყაროების მონაცემებით გვამცნობს ძველი ქართული ქალაქების თავისებურებას. ამასთან იგი პირველი რიგის ამოცანად აყენებს ძველი ქალაქების სხვადასხვა ასპექტის შესწავლას. მაგალითად, მას ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივ ნაგებობათა შესწავლისათვის მეტად აქტუალურ საკითხად მიაჩნია არქეოლოგიური გათხრების ჩატარება (ვინაიდან ამ მხრივ მხოლოდ დმანისის გათხრები საკმარისი არ გამოდგა), რომ ძველი ქალაქის გეგმისა და მთავარ ნაგებობათა აღდგენა გახდეს შესაძლებელი. ამიტომ, ივ. ჭავჭავიძის აზრით, ჭავჭავთში მდებარე ქალაქ თმოგვის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას შესაძლებელია საკმაოდ საინტერესო შედეგები მოჰყვეს, ვინაიდან ის „კატასტროფული მიწისძვრის შემდგომ დაიღუპა XII ს-ის მეორე ნახევრის დამლევს და შთაინთქა, ცხადია, რომ ამის შემდგომ იგი გათხრილი არ იქნებოდა და მიწის წიაღს, შესაძლებელია დაზიანებული, მაგრამ ქალაქის ნაგებობათა გეგმები და შენობების ნაწილები დატული უნდა ჰქონდეს“ (გვ. 51).

მესამე კარი საეკლესიო ნაგებობათა აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება. ეს თავი საქართველოს ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებს მოიცავს. იგი წარმართობით იწყება, შემდეგ ეცესლთაყვანისმცემლობა შემოდის, რომელსაც ქრისტიანობის გავრცელება ცვლის; როდესაც მაჰმადიანობა გაჩნდა, მათ ააგეს თავიანთთვის დამახასიათებელი ნაგებობანი თბილისში, რომლებიც შემდგომ ქართველებმა დაანგრიეს.

წარმართობასთან დაკავშირებულ ტერმინად, რომელიც უძველეს ხანაში სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობას ასახავს, იყო ბაგინი. ქრისტიანობასთან ერთად ჩვენში შემოდის მანამდე სრულიად უცნობი სიტყვა „ეკლესია“. ეკლესია ბერძნულად შესაკრებელს ნიშნავდა. ამ სიტყვას ძველს ქართულში სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგ., ყრილობა როდესაც იმართებოდა ხოლმე, იმ ადგილს ეკლესია ეწოდებოდა. „თავდაპირველად საერთოდ ეკლესია შესაკრებელი სახლის სახელიც იყო“. ბერძნულიდან მომდინარე ეს ტერმინი „იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ, რადგან ქრისტიანობა საქართველოში საბერძნეთიდან შემოვიდა, ამ ახალ მოძღვრებასთან ერთად ბერძნულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული ხუროთმოძღვრების ნაკადიც უნდა იყოს შემოსული“. (გვ. 74).

„ტაძარი“ (სპარსული წარმოშობის ტერმინი) თავიდანვე სამლოცველოს აღსანიშნავად როდესაც იხმარებოდა ეკლესიასთან ერთად. ტაძარი პირველად სამოქალაქო ნაგებობის სახელი იყო, სასახლეს ნიშნავდა. V საუკუნის საქართველოში ტაძარი წარჩინებული მოხელის სახლს ეწოდებოდა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებებში „ტაძარი“ არსად საეკლესიო ნაგებობას არ ეწოდება, არამედ მხოლოდ საერო შენობის, სასახლის აღმნიშვნელია. ტაძარი და ეკლესია დამირისპირებულია“ (გვ. 12). ტაძარი შემდეგ საუკუნეებშიც გვხვდება. VIII—IX და მეთათე საუკუნეების ძეგლებში მოგვეპოვება ცნობები, რომ ყოველ აზნაურს თავისი ტაძარი ჰქონდა, ე. ი. თავისი სასახლეები (გვ. 13). თამარის ხანაში

კი ტაძარი უკვე საეკლესიო ნაგებობად იხმარებოდა. ივანე ჭავჭავაძის დაკვირვებით, ტერმინი „ტაძარი“, როგორც სასახლის აღმნიშვნელი, მას შემდეგ უნდა გამხდარიყო საეკლესიო ტერმინად, როცა სასახლეების ხუროთმოძღვრების ელემენტები გამოყენებულ იქნა საეკლესიო ნაგებობებისათვის. შემდგომ სიტყვა „ტაძარი“ ფართოდ გამოიყენება როგორც ეკლესიის, ისე საყდრის აღსანიშნავად. ივანე ჭავჭავაძის განასხვავებს ეკლესიასა და საყდარს. შეცდომად თვლის, როცა მათ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ. „წინათ და ძველ საქართველოში ორივე სიტყვა სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი იყო, „ეკლესია“ საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, „საყდარი“ კი განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარებოდა. საყდარი ეწოდებოდა ისეთ ეკლესიას, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჭდომად ითვლებოდა“. (გვ. 75).

ასე, სულ რამდენიმე სტრიქონში არა მარტო ტერმინის შინაარსის ცვლილება ჩანს, არამედ აგრეთვე ის დიდი შედეგი, რაც ისტორიული წყაროების ცოდნას შეუძლია მოიტანოს.

შესანიშნავია გამოკვლევა „ფანჯრის“ შესახებ ძველ საქართველოში. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, რომ კედლის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო სინათლის შემოსასვლელად, ძველად ქართულში „სარკმლად“ იწოდებოდა. „თანამედროვე ნაგებობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რასაკვირველია, კედელში დატანებული ფანჯარა. სინათლე თუ არ შემოვიდა, დღეს ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ძველად კაცობრიობა უფანჯროდ ცხოვრობდა. ტერმინი „ფანჯარა“ სრულებით უცნობია ძველი ქართული მწერლობისათვის XVIII საუკუნემდე. ამ საუკუნეშიც ის სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე ჩვენ გვესმის, ამის მაგიერ იხმარებოდა ჯერ „საკუმელი“ და მერმე „სარკმელი“ (გვ. 106). საკუმელი წარმოდგარია საკუმევისაგან. კუმევა ნიშნავს ბოლის ამოსვლას. საკუმევი თავდაპირველად იმ ზერელის სახელი იყო, რომელიც იმისათვის იყო გაკეთებული, რომ კერაზე რომ ცეცხლი ენთო, მისი კომლი ასულიყო. სინათლის შემოსასვლელად იგი არ ყოფილა გათვალისწინებული, ამისათვის კარს ალებდნენ ხოლმე. მაინც საკუმევი-სარკმელით სინათლეს ჩამოდიოდა, ამიტომ მას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. მერე გვერდებზე დაიწყეს სარკმლის კეთება. კედელში გაჩნდა გვერდითი სარკმელი. თანდათანობით სარკმელს მიენიჭა სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც მას ახლა აქვს სინათლის შემოსასვლელად. სარკმლის დანიშნულება შემდეგ მხოლოდ სინათლის შემოსვლა გახდა. ასე, გიორგი მერჩულეს მოთხრობის მიხედვით, IX საუკუნეში ბერ-მონაზვნების სენაკებში სარკმელი კი იყო, მაგრამ ცეცხლს არ ანთებდნენ, აკრძალული იყო; ბერმა სიცივე უნდა აიტანოსო. ძველად, როგორც ჩანს, სარკმელს ჰქონდა მხოლოდ ბადის მსგავსი ან დამკველი კარისებრი დარაბა. დარაბას რომ გამოალებდნენ, მას სხვა რამ აღარ იცავდა.

ფანჯარა XVII საუკუნეშია შემოსული, მანამდე სარკმელი იხმარებოდა. შემოსვლისას ფანჯარას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც შემდგომ მიენიჭა, თავდაპირველად ის ერთგვარ დასაცავს წარმოადგენდა, რომ კაცი არ გადავარდნილიყო.

ბევრი სამშენებლო ტერმინის ახსნას პოულობს მკითხველი ივანე ჭავჭავაძის ამ წიგნში. აქ ვაიგებს მკითხველი მნიშვნელობას ტერმინებისას, როგორცაა ჭარბული, ბოკონი, ბარჯგი, ბალავარი (მიწაში ჩასმული ქვის საძირკველი), ბოყვი, ლოჯი და ა. შ. ივანე ჭავჭავაძის, რომელსაც მისივე სიტყვებით. არ შეეძლო „აჩქარებული ზერელე მუშაობა“, როგორც ვხედავთ, კოლო-

სალური მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. მან 1939 წელს საჯარო ლექციები წაიკითხა ხუროთმოძღვართა და რუსთაველის მუზეუმის მუშაკთათვის. ერთ-ერთი ამ მოხსენებათაგანი სათაურით „ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები“ ზემოთნახსენებ „მასალებში“ დაიბეჭდა 1946 წელს. ეს მოხსენება დიდ ქართველ ისტორიკოსს იმ მოღვაწედ წარმოგვიდგენს, რომელსაც ისტორია მისი ერის აწმყოსა და უკეთესი მომავლის ხელისშემწყობ ფაქტორად მიაჩნია.

მარტო ხანგრძლივი გამოცდილებისა და ნიჭის ნაყოფი როდია ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. ივ. ჭავჭავაძის აზრით, ამას თუნდაც გუმბათის ყელის სიმაღლის პროპორციის გამორკვეული კანონიც ამტკიცებს. ის გარემოება, რომ ქართული ძველი ხუროთმოძღვრების იგვლებს „პროპორციულობა და ლამაზი სიმეტრიულობა ემჩნევა ყველაფერში, წერილობით წყაროებში აღბეჭდილ იმ ცნობებთან ერთად, რომ ძველ საქართველოში მნიშვნელოვანი ნაგებობის გეგმის წინასწარი მოფიქრება-შედგენა სცოდნიათ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ზემოდასახელებული თვისებები მარტო მხატვრული ალღოს ნაყოფი არ უნდა იყოს“ (გვ. 191).

ივ. ჭავჭავაძის თვლიდა, რომ ქართული ხუროთმოძღვრების, ისევე როგორც ყოველნაირი მხატვრული შემკულობის, ძირითად დებულებას მთლიანი ერთეულის მკაცრ სიმეტრიულობასთან ერთად ამ ერთეულის ცალკეული ნაწილების განუმეორებლობა შეადგენდა. განუმეორებლობის ეს კანონი ქართველ ხელოვანს, მის შემოქმედებით ნიქს მეტად დიდსა და ძნელს ამოცანას უქმნიდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს გარემოება ერთგვარად მიძღვლებელი და წამახალისებელი ძალა იყო, იგი ქართველ ხელოვანს მხატვრულ ფანტაზიას, დაუცხრომელ მუშაობასა და შემოქმედებას აჩვევდა. ამასთან, განუმეორებლობის კანონს ივ. ჭავჭავაძის თვლიდა ყოველმხრივ როდი იწონებს. დიდ ღირსებასთან ერთად, მას ნაკლებ გააჩნდა, კერძოდ, მან ხელი შეუშალა იმას, რომ ქართული ხუროთმოძღვრების რიგის ნიშანდობლივი თვისების გამომხატველი ერთი ან რამდენიმე სამაგალითო სვეტისთავი და ხარისხი დაეწესებინა. ქართული ხუროთმოძღვრების ეს ერთგვარი ნაკლი „თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისათვის მისაბამს არაფერს წარმოადგენს და, მასადაამე, თავითგან ასაცილებელია. მხატვრული შემოქმედება ხუროთმოძღვრებაში, რასაკვირველია, ძვირფასია, მაგრამ ერთსა და იმავე შენობაში და მის თვით ერთსა და იმავე ნაწილშიც კი სხვადასხვა სვეტისთავ-ხარისხების გამოყენება, რაც უნდა ლამაზი და მაღალხარისხოვანი ხელოვნებით იყოს ცალკეული მათგანი ნამუშევარი, მაინც დაახლოებით იმას უდრის, მოხდენილმა ქალმა ან ვაჟმა რომ კველა თავისი, თუნდაც საუკეთესო სამკაული, ჩამოიკიდოს ან გაიკეთოს. გადაპარბებული ნაირნაირობა მნახველის თვალს ღლის და მორთულობის მრავალგვარობა არამც თუ შთაბეჭდილებას არ აძლიერებს, არამედ, პირიქით, უფრო ანელებს და ამცირებს ხოლმე“ (გვ. 194). აქედან გამომდინარე, განახლებული ქართული ხუროთმოძღვრების ვალია, განუმეორებლობის კანონი გონივრულად შეზღუდოს და მემკვიდრეობით ნაანდერძე მრავალნაირობათაგან ზოგად ეროვნული თვისებების გამომხატველი და თანამედროვე ახალ ხუროთმოძღვრებისათვის საუკეთესოდ გამოსადეგი სვეტის თავები და ხარისხები შეარჩიოს და დააკანონოს. ივ. ჭავჭავაძის თვლიდა იმასაც, რომ გათვალისწინებულ იქნეს ქალაქურ და სოფლის ნაგებობათა განსხვავებულობის ბუნებრიობა და აუცილებლობა. იგი ამბობს: „ძველად ჩვენში ხის ხურობა ფართოდ იყო გავრცელებული, ასეთ დარბაზ-ოღებსა და სახლებს თავისებური და თანაც

ხშირად ფრიად ლამაზი სვეტები და სხვა შემკულობა ჰქონდა. თანამედროვე ქართულ ხუროთმოძღვრებას ეს ხის ხურობა მთლიანად მივიწყებული აქვს. განა სოციალისტურ საქართველოს და კოლექტიური მეურნეობის წევრებსა და დაწესებულებებს მათთვის განკუთვნილ ნაგებობათა სიმკვიდრესთან ერთად სილამაზე და მოხდენილობა არ უნდა ჰქონდეს?" (გვ. 195). ივანე ჭავჭავიძე ილია აყენებს საკითხს თანამედროვე ხუროთმოძღვრებმა ფართოდ გამოიყენონ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოცდილება, რომელიც ბუნებრივი პირობებისა და ჰავის თავისებურებებსაც ითვალისწინებდა. აქ კი ივანე ჭავჭავიძე ილია კონკრეტულ ჩარევასაც მოითხოვდა, რომ გადაერჩინა აწინდელ ქალაქებში ჭერ კიდევ შემორჩენილი დიდი გემოვნებითა და მხატვრულად დაფანჯრული აივნები. „მოხდა კი სრულიად საპირისპირო, — ამბობს ივანე ჭავჭავიძე ილია, — ქალაქის საბინაო ამხანაგობათა და გამშვენების მესვეურებმა თავიანთი მოვალეობა ისე უცნაურად გაიგეს, რომ სახლების შეკეთების დროს ყველა ასეთ ნაგებობას აივნები მთლიანად ჩამოაცილეს და სრულებით უაივნო სახლებად აქციეს. იმის გარდა, რომ ასეთი სახლების მდგომარეობის მდგომარეობა-ამით გაუჭორობების მაგიერ ძალზე გაუარესდა, რადგან აივნაზე ყოფნისა და ჰაერით თავისუფლად სუნთქვის საშუალება მოეპოვებოდა, მათმა ასეთმა მოქმედებამ არაერთი სახლის გარეგანი სილამაზეც იმსხვერპლა და არა ერთი ასეთი ძველი მოსპო, რომლის ხელუხილად დაცვა ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით საქართველოში სასურველი იყო. ეს გარედება მით უფროა სამწუხარო. რომ ასეთ სახლებს მშენებელი აივნები მოაჭრეს და ჩამოაცილეს, იქაც კი, სადაც აივნების ასეთი განადგურებისათვის არც ქუჩის გაფართოება და არც კეთილმოწყობის რაიმე გამამართლებელი მოსაზრება არ არსებობდა. ერთადერთი საბუთი, რომელიც შესაძლებელია მათ ჰქონდათ, ის იყო, რომ აივნის შეკეთებას მისი სრულებით მოჭრა ამჟობინეს, რადგან, რა თქმა უნდა, ეს უფრო ადვილი და თანაც მარტივი და იაფი საშუალებაა... ამიტომაც ესლა მინც გათვალისწინებული უნდა გვექონდეს, რომ რასაც მრავალ საუკუნეთა გამოცდილებამ ცხელი ქვეყნების, მათ შორის ძველ საქართველოს ხუროთმოძღვრებასაც დიდ ნაგებობათათვის სტოების, ანუ შიგნითი კარიბჭეების, ხოლო ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისათვის აივნებისა და ქორედების საჭიროება და აუცილებლობაც კი შეაგნებინა, თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც ანგარიშგასაწევე და სავალდებულო დებულებადაც კი უნდა იქნეს მიჩნეული“ (გვ. 196).

ივ. ჭავჭავიძე ილია მოითხოვს, განვასხვავოთ ის, რაც მემკვიდრეობის მკვლარ მარაგს წარმოადგენს.

ივ. ჭავჭავიძე ილია წუხილით აღნიშნავს, რომ გეგუთის ნანგრევების გარდა, საერო ნაგებობათაგან საერო სასახლე არ შემორჩენილა. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გადარჩენილი ძეგლები უმეტესად საეკლესიო ნაგებობათა ჯგუფს წარმოადგენენ. ეს გარემოება როდი ნიშნავს, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს დავეყაროთ და ეკლესიების მაგვარი შენობების აგება დავიწყოთ. მეორეს მხრივ, შეცდომა იქნებოდა ყველაფერი უარყოფით და უკუვაგდოთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამჟამად მარტო საეკლესიო ნაგებობათა ჯგუფში გვხვდება. ეს მით უმეტეს მცდარია, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება თავის მხრივ ხომ საერო ხუროთმოძღვრებისგანაა წარმომდგარი. „თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის უეჭველი გახდება, რომ თანამედროვე განახლებულს ქართულ ხუროთმოძღვრებას სრული უფლება აქვს, საეკლესიო ძეგლებში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების წიაღითგან შეთვი-

სებული და დატული ელემენტები ისევ თავისი წინანდელი დანიშნულებისათვის, საერო განახლებული ქართული ხუროთმოძღვრებისათვის გამოიყენოს" (გვ. 199). აქვე იგი კონკრეტულ გზებს სახავს წარსულის ამგვარი გამოყენებისას. ამასთან იგი წინააღმდეგია ეროვნული ელფერი მისცეს ყველასა და ყველაფერს ხუროთმოძღვრებაში, შექანიურად გამოიყენოს ეროვნული ფორმები, დაუშვას გადაჭარბება „ქართული სტილის“ შექმნისათვის. ყველაფერი ეს ნიპილიზმს როდი ნიშნავს ძველის მიმართ. აქ გარკვეული გაბედულებაა საჭირო. ამის გამო ივ. ჭავჭავაძის ამბობს: „რამდენადაც საქართველოს დიდი სოციალისტური მშენებლობა წინანდლისაგან, რასაკვირველია, არსებითად განსხვავდება, ცხადია, რომ შენობათა გარეგანი სახეც უნდა შესაფერისად შეიცვალოს. ახალ ქართულ ხუროთმოძღვრების კონსტრუქციულ საყოებზე საფუძვლიანად მოუხდებათ მუშაობა და სწორედ აქ უნდა გამოვლავლდეს ჩვენი ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი უნარიცა და მხატვრული ნიჭიც. ასეთი მუშაობის დროს უნდა თავიდან აცილებული იყოს ერთი მცდარი შეხედულება: ზოგი ფიქრობს, თითქოს ძველი ელემენტების სხვა დანიშნულებით გამოყენება შეუწყენარებელი დანაშაულობა იყოს. სოულებით მცდარი შეხედულებაა. ბუნებაშია ასეა, რომ დროთა განმავლობაში გარემოებისა და მიხედვით თავდაპირველი, წინანდელი დანიშნულება იცვლება ხოლმე და ხუროთმოძღვრების ისტორიითაც შესაძლებელია ეს უცილობლად დამტკიცდეს... ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ ძველი ელემენტი რამდენად მიზანშეწონილად და მოხდენილად იქნება ახალი დანიშნულებისათვის გამოყენებული“ (გვ. 200).

ივ. ჭავჭავაძის აზრით, ძველად საქართველოში მხატვრობის სამი დარგი იყო გავრცელებული: „კედლის მხატვრობაც მტკიცედ და ფართოდ გვქონია ჩანერგული, მინიატურული ხელოვნებაც განვითარებული იყო და ხელნაწერების შემკობისათვის განკუთვნილი კამარების, თავსართავე არსებობისა და საზედაო ასოების ფერადებით წერაც ხომ ყოველგვარი კარგი წიგნის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა“. სარწმუნოებრივი შინაარსის ნახატებს გარდა, საქართველოში ისტორიული კედლის მხატვრობაც იყო გავრცელებული. „ძველ საქართველოში ისტორიული მხატვრობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ეს დარგი ეკლესიებშიც შექრილა. იშვიათად თუ მოიპოვებოდა ეკლესია და მონასტერი, რომლის კედელზე დამაარსებელთა, უხე შემომწირველთა და მოღვაწე ერისკაცთა სურათები არ იყოს დახატული, ზოგს ეკლესიაში შიგნითა კედლების მთელი ქვეითი ზოლი ასეთ საერო მხატვრობას უქირავს, ერთი და ორი ათეული ადამიანის სურათსაც კი შეიცავს ხოლმე. „ასე რომ, კედლის მხატვრობას მონუმენტურობის, ძეგლებრივი იერი ამჩნევია. უეკველია, ეს მიმართულება შემდეგდროინდელმა პოლიტიკურმა უკუღმართობამ და მასთან დაკავშირებულმა კულტურულმა დაქვეითებამ შეაჩერა და იმსხვერპლა.

ძველ ქართველ ხელოვანს ოსტატურად შესძლებია მუშაობა წერილის, წიგნების დასასაბურებლად განკუთვნილ მხატვრობაშიც — მინიატურებშიც. მაღალ დონეზე იდგა ხელნაწერების შემკულობის ტექნიკური მხარეც: კამარები, თავარსები, საზედაო ასოები; გასაოცარი ნაირნაირობით, მოხაზულობის იშვიათი სისრულთა და ფერადების მშვენიერი შეხამებით მაყურებელზე მომხიბველ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მხატვრის გამოვლენილობითი ნიჭი, კალმის მოსმის ჰაეროვნება და ხელის თავისუფალი მოძრაობა სწორედ რომ განმაცვიფრებელია. მართალია, შემდეგში, X IV-XVIII საუკუნეებში, ქართული კულტურის დაქვეითების გამო მხატვრობის ხელოვნებაც დაკნინდა საქართველოში, მაგრამ მაინც ამ ხანაშია იყვნენ ნიჭიერი დახელოვნებული მხატვრები, რომ

მელთა სახელსა და ნამუშევარს საქართველოს საზღვრებს იქითაც კჳონდათ გზა გაკვლეული“.

საბჳოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა მხატვრობამ, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, დიდ წარმატებებს მიაღწია, ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავდა, არ აღგვენიშნა მისი ნაკლოვანებანიც, ვინაიდან „ვისაც ქართული კულტურის განვითარებისათვის გული შესტკივა და მასთან მისი ძლიერი წარმატებისა და ბრწყინვალე მომავლის მონატრულია, მის აწინდელ მდგომარეობას უნდა კარგად ჩაუკვირდეს და კარგისა და ავი მხარის ნაკლის აწონ-დაწონის შემდეგ ქართულ თანამედროვე მხატვრულობის უახლესსა და გადაუღებელ ამოცანებზე უნდა იმსჯელოს“ (გვ. 203). ივანე ჯავახიშვილი იქვე აღნიშნავდა თანამედროვე ქართველი მხატვრების მხრივ სრულ გულგრილობას წარსულის მდიდარი მხატვრული კულტურის გაცნობისა და გონივრული ათვისებისადმი. მეტიც, ზოგჯერ უფრო მდლარი აზრიც არსებობს, რომ ზოგიერთ თანამედროვე მხატვრის ნაკლი ძველი ქართული ფრესკული და მინიატურული მხატვრობის გავლენის ანარეკლიაო. ეს შეცდომა იქიდან მომდინარეობს, რომ მისაბამად წარსულის საუკეთესო და საქებური თვისებების ნიმუშები კი არ მოჰყავთ, არამედ ქართული მხატვრობის დაქვეითების ხანის ნამუშევრები — ფიგურათა გაშეშებული მდგომარეობის, პერსპექტიულად მდლარი მდგომარეობისა და ტექნიკური უმწეობის ნახატები. ყველაფერი ეს მაშინ, როცა ქართული ხელოვნების აყვავების ხანის მიუწვდომელი ნიმუშები მოგვეპოვება. უყურებთ ზოგიერთი თანამედროვე ქართველი მხატვრის სურათს, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — და „ბედნიერი, მხიარული თუ სხვა გუნებაზე მყოფი ადამიანის მაგიერ, როგორც წარწერაშია აღნიშნული ხოლმე, ზოგჯერ გაშეშებული, გარინდებული, უსიცოცხლო გამომეტყველების ისეთი ნაკეთის ნახატს ნახავს ადამიანი, როგორც საპარიკმახერო მანეკენებია ხოლმე. თუ ვინმე ამ ტექნიკური უმწეობის ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშებით გამართლებას მოისურვებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ქართულ ხელოვნებას ამაზე უწინარესი ისეთი მაღალხარისხოვანი მხატვრობა კჳონდა, როგორიც ატენს, უბისს, ყინწვისს, გარეჯას, ჭრუქსა და ბევრგან სხვაგანაც არის დაცული, სადაც მოხაზულობის კონტურებისა და საღებავების ფერადების შეხამების საუცხოო ცოდნა მოჩანს მკაფიოდ“ (გვ. 204).

მინახავს მე ისეთი სურათი თანამედროვე მხატვრისა — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომელსაც წარწერად აქვს „ბედნიერი დედა“, მაგრამ რომ შეხედო, გაშეშებული ადამიანი არის გამოხატული, არც ბედნიერება, არც უბედურება არ არის იმის სახეზე. ეს შედეგია იმისა, რომ მას არა აქვს მხატვრობის ტექნიკა ჭეროვნად ათვისებული. ყველაფერი ეს მაშინ, როცა მდიდარი ისტორიული ტრადიცია არსებობს ძველი ქართული მხატვრობისა და მის წინ არსებობს ის დიდი მხატვრული კულტურა, როგორიცაა დასავლეთ ევროპისა და რუსული მხატვრობა.

შესანიშნავ სიტყვებს წარმოთქვამს ივ. ჯავახიშვილი ქართული საბჳოთა ხელოვნების შემდგომი სრულყოფისათვის და მისი ნაკლის გამოსწორებისათვის: „ყოველი ნაკლის აცილება და შეესება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება. თუ თითოეული ამ ნაკლთაგანის მიზეზი გამორკვეულია და საქმის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებაც გათვალისწინებულია. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მართო იმ ხელოვნებას შესაძლებელია კჳონდეს ფართო მომავალი და განვითარების შეუფერხებელი წარმატებაც უზრუნველყოფილი, რომელიცერის ცხოვრების მაქისცემას ყურს უგდებს, მის გულისნადებს აკმაყოფი-

ლებს და მისი გონებრივი და ესთეტიკური დაწინაურების ხელის შეწყობა. ამიტომაც, თუ ჩვენ ქართული მხატვრობის ბრწყინვალე მომავლის მართლაც და გულწრფელად მონატრული ვართ, უნდა სერიოზულად ჩაუუყვირდეთ იმ ამოცანებს, რომელსაც ცხოვრება მხატვრულ ხელოვნებას „ამჟამად უყენებს“ (გვ. 207). ამის შემდგომ უსაზღვრო სიყვარულით, საკითხის ღრმა ცოდნით და მომავალზე ფიქრით ივანე ჭავჭავაძის გვამცნობს იმ ამოცანებს, რომლებიც, მისი აზრით, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წინაშეა სოციალისტურ საქართველოში.

ხელოვნება მარტო ახსნითი არ შეიძლება, მაგალითები უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდებს სოციალიზმის დროს შვენებლობის არაჩვეულებრივი გასაქანი და დასმული მიზნების სიდიადე უზარმაზარ და მოზრდილ ნაგებობათა მარტო გარეგნობას არ უნდა ემჩნეოდეს, მათი მხატვრული შემკულობაც ამავე თვისების მქონებელი უნდა იყოს. „თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, უქვეყნო გახდება, რომ ჩვენს თანამედროვეობას აუცილებლად ძეგლებრივი მონუმენტური ქანდაკება და კედლის მხატვრობა სჭირდება. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და თეატრების დარბაზებში, მეცნიერების, ხელოვნებათა განვითარების უმათერესი საფეხურების სიმბოლურად გამომხატველი და მსოფლიო მნიშვნელობის მქონებელ მეცნიერ-ფილოსოფოს-ხელოვანთა ქანდაკებებითა და სურათებით კედლების შემკობაც ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა. მუზეუმებში სხვადასხვა ერთა წარსული კულტურისა და სხვადასხვა ქვეყნების ბუნების დამსურათებელი ნახატებით კედლების შემკობა ხომ აუცილებლად სჭირდებად არის მიჩნეული. თავისთავად იგულისხმება, რომ პოლიტიკური, სოციალური და რევოლუციური ბრძოლის უდიადესი მომენტები და ბელადების და გმირების სურათებიც შეუძლებელია ამ დიად სათანადო ნაგებობათა შვენებლობის გეგმაში შეტანილი არ იყოს. ყველა ზემონათქვამის შემდეგ, მაშასადამე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ ხელოვნებას ძეგლებრივი, მონუმენტური პორელიეფები და კედლის მხატვრობა სჭირდება აუცილებლად“ (გვ. 207—208). ივ. ჭავჭავაძის ვიწრო გადუღებულ თვლის მიზანშეწონილი გეგმა შემუშავდეს ძველი ქართული ხელოვნების მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ხელოვნების წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად. ამისათვის მას მეორეხარისხოვნად მიაჩნია ის, რომ შეიძლება ზოგიერთი წამოყენებული საკითხი სადავო იყოს, დამატებით დასაბუთებას მოითხოვდეს; მთავარია, რომ დაიწყოს გულჭართალი, გულახდილი მსჯელობა მათ თაობაზე. თავის მოხსენებას ამიტომაც იგი ასე ამთავრებდა: „შესაძლებელია ის, რაც მე მოგახსენეთ, მცდარი იყოს, შესაძლებელია ზოგიერთი დებულება არ შეეფერება სინამდვილეს ჩემი ჩამორჩენის გამო. ჯანმრთელობის ჩემი მდგომარეობის გამო მე საშუალება არ მქონდა ისე მედევნებინა თვალყური, როგორც სჭირდა იყო. ასეთი გაბედული განცხადებით თუ შევცდი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე ვფიქრობ, ამ საკითხზე მსჯელობა და ფიქრი სჭირდა... ჩვენ უნდა ჩაუუყვირდეთ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობას, გავითვალისწინოთ მისი ღირსება და ნაკლოვანებანი და ენერგიულად შევეუდგეთ დასახული ამოცანების განხორციელებას.

ნიჭი ქართველ კაცს არც წარსულში ჰქვია და არც ახლა აკლია. საჭიროა შესაფერისი გეგმების გათვალისწინება და მუყაითი მუშაობა. შრომისა

და ნიჰის საშუალებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მით უმეტეს ხელის შემწყობ პირობებში, რომელიც ამჟამად არსებობს, სახელდობრ დიდი დახმარების სახით. რაც არასდროს არ იყო წინათ" (გვ. 213).

თ ა ვ ი VI. სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველეს ქართულად უნდა იცოდეს

ყოველ განათლებულ ქართველს ქართველს თავისი მეზობელი მოძვე ერის, სომეხთა მრავალტანჯული. მაგრამ მეტად საინტერესო თავგადასავალი იცოდეს — ივანე ჯავახიშვილის ეს მოწოდება-სიტყვები მისივე ავტორის ცხოვრებასა და ნაშრომებში პოულობენ ყველაზე სრულყოფილ განხორციელებას.

შეუძლებელია ქართული ერის ისტორიას სწერდე და ამასთან არ იცნობდე და არ აფასებდე სომეხთა ძველ და მდიდარ ისტორიას. მარტო გეოგრაფიული მეზობლობა როდი აკავშირებდა ქართველსა და სომეხს. ამ მოძვე ერთა კავშირურობა არა მარტო ათეულ საუკუნეებს ითვლის, არამედ სიხარულისა და ჰარის თითქმის განუყოფლობას ითვალისწინებს. ისტორიული ბედის ერთგვაროვნობა იმაში პოულობს თავის გამოხატულებას, რომ არასდროს ერთი ერის ბედნიერება მეორის ხარჯზე არ მომხდარა და ყოველთვის ერთი ხალხის უბედურება მეორის უბედურებაც იყო. მათ ყოველთვის ერთი და იგივე საერთო მტერი ჰყავდათ და თავს ყოველთვის ერთად იცავდნენ.

რასაკვირველია, ფეოდალური და ბურჟუაზიული ზედაფენა კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს ქმნიდა ამ ორ ხალხს შორის, მაგრამ მათ შორის საერთო ყოველთვის სკარბობდა იმას, რაც მათ აშორებდა. ივანე ჯავახიშვილი არასდროს არ ცდილა ამ წარსულის შელამაზება-შესწორებას, იგი ამ ორი ერის ურთიერთობის ისეთ პირუთვნელ სურათს გვიხატავს, რომელიც საერთო ანგარიშით სწორედ მათი ისტორიული და თანამედროვე ძმობით მტკიცდება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის შექმნისა და შემდგომ მისი წარჩინების აქტიური მონაწილე ხდება. სწორედ აქ, პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისწავლა მან ძველი და ახალი სომხური ენა.

ივანე ჯავახიშვილის გიმნაზიისა და სტუდენტობის პერიოდის განუშორებელი მეგობარი ივ. ნიჟარაძე იგონებს, რომ პეტერბურგელ სომეხ სტუდენტებს ნ. ადონცა და ს. ავეტისიანს ძალიან მოსწონდათ ჯავახიშვილთან სომხურად საუბარი. ეს, როგორც ჩანს, თვით ივანე ჯავახიშვილის შემხვედრი ინტერესიც იყო, ვინაიდან იგი ამ ენის სწავლების პრაქტიკას აძლიერებდა.

სწორედ სტუდენტობის წლებიდან — 1898 წლიდან იგრძნო ივანე ჯავახიშვილმა ის დიდი მნიშვნელობა, რაც სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლას ჰქონდა. მან სტუდენტობიდანვე დაიწყო ძველი სომეხი ავტორების ნააზრვეის კვლევა-ძიება. ასე გაგრძელდა ორმოცზე მეტი წელიწადი. სომხურ-ქართული ფილოლოგიის დარგში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მარტო სამსახურებრივი მოვალეობა პრივატ-დოცენტისა როდი იყო ივანე ჯავახიშვილისათვის მუშაობა სომხური კულტურის შესასწავლად.

სომხურ საისტორიო მწერლობას უაღრესად თავისთავადი და განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისათვის. ამიტომაც აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი: „უნივერსიტეტთან დატოვებიდან მოყოლებული, ქართული და სომხური ისტორიის შესწავლას პარალელურად მივსდევდი და ვაწარმოებდიო“.

ორი ერის ისტორიის ამგვარმა პარალელურმა შესწავლამ უდიდეს სარგებლობა მოუტანა ორივე ერის ისტორიოგრაფიას.

როცა ივანე ჯავახიშვილის როლზე ვლაპარაკობთ არმენისტიკაში, შეცდომაა იგი მართოდენ იმ ნაშრომებით შემოვზღუდოთ, რომლებშიც მხოლოდ სომხეთის კულტურისა და ისტორიის საკითხებია განხილული. გადუქარბებლად შეიძლება ითქვას, ძნელია ივანე ჯავახიშვილის რომელიმე მთავარი ნაშრომი დაასახელო, რომ მასში არ იყოს გამოყენებული მონაცემები სომხური კულტურისა და საისტორიო მწერლობის ისტორიიდან. ყველაფერი ეს განაპირობა იმან, რომ სომხებს გამოჩენილი ისტორიკოსები ჰყავდათ ძველ დროშიც. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, სომხებს ძველად მდიდარი საისტორიო მწერლობა ჰქონდათ, როგორც ისტორიკოსთა სიმრავლის მხრით, ისე ცნობათა სიუხვითაც. საგანგებო ყურადღების ღირსია ის, რომ პოლიტიკური და სხვა მიზეზების გამო სომხთა ისტორიკოსები მართოდენ თავიანთი სამშობლოს ამბების მოთხრობით კი არ კმაყოფილდებიან. არამედ ბევრი მონაცემი აქვთ სხვა სახელმწიფოთა და ერთა ისტორიიდანაც, ხშირად ვრცლად და ქრონოლოგიური ცნობებით შემკული. ამ მწერლობაში თავიანთთვის ამგვარ გამოსადეგ ცნობებს იპოვიან სპარსეთის, ბიზანტიის, არაბთა, თურქთა და მონღოლთა ისტორიის მკვლევარნი. გასაგებია, რომ ფრიად ძვირფასი ცნობები მოიპოვება იქ საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

აქვე უნდა ითქვას, ივანე ჯავახიშვილი სომხურ საისტორიო მწერლობას მართო იმისათვის კი არ სწავლობდა, რომ შემდგომ საქართველოს ისტორიის სრული მეცნიერული სურათი აღედგინა. იგი სწავლობს სომხური საისტორიო მწერლობის თავისთავად მნიშვნელობას, სომხ ისტორიკოსთა მიზნებისა და მეთოდების თანდათანობითი განვითარების გზას, მის კულტურულ-სოციალურ მნიშვნელობას.

ამ მხრივაც ივანე ჯავახიშვილმა თავისი სიტყვა თქვა სომხური საისტორიო მწერლობის განვითარების კანონზომიერებაზე: როგორც ს. ერემიანი და პ. მურადიანი აღნიშნავენ, ამჟამად მთელმა რიგმა დასვენებმა ივანე ჯავახიშვილისამ სომხური ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ გაუძლო დროის გამოცდას და დღესაც შეინარჩუნა თავისი ღრმა მეცნიერული ღირებულება.

სომხური საისტორიო მწერლობის განვითარებაში ასეთი ღრმა ჩაწვდომა იმ საუნივერსიტეტო კურსების წაკითხვის საპირობამ გამოიწვია, რომლებიც მას ჯერ პეტერბურგისა და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში მიჰყავდა.

მართო საცდელი ლექციის წაკითხვით სომხეთის ისტორიაში როდი დაემაყოფილა ივანე ჯავახიშვილი. იგი, როგორც პრივატ-დოცენტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე რიგი წლების განმავლობაში კითხულობდა თითქმის ყველა საისტორიო და დამხმარე საისტორიო საგნის მთელს ციკლს. თუ პროფ. ნ. მარი ქართული და სომხური ენებისა და მწერლობის ისტორიას კითხულობდა, საქართველოსა და სომხეთის საისტორიო კურსები პრივატ-დოცენტ ივანე ჯავახიშვილს მიჰყავდა. ეს მისგან, ქართული ძეგლების შესწავლასთან ერთად, სომხური საისტორიო ძეგლების შესწავლასაც გულისხმობ-

და. სწორედ ამ მუშაობამ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი წარმოშვა, მათ შორის მონოგრაფია 1905 წელს გამოქვეყნებული ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობის შესახებ. ქართველოლოგიურ დისციპლინებთან ერთად, წლების განმავლობაში (ვიღრე მას ნ. აღონცი შეცვლიდა) ივანე ჯავახიშვილი უკვე წარმატებით კითხულობდა კურსებს სომხეთის ისტორიიდან. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: საზოგადოებრივი წყობილება სომხეთში V საუკუნეში, ქართულ-სომხური ისტორიული იურიდიული ძეგლები, ანისის საქალაქო ორგანიზაცია წარწერების მიხედვით და ზოგადი კურსი საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო ისტორიისა და ა. შ.

პრივატ-დოცენტ ივანე ჯავახიშვილის ლექციები აღტაცებას იწვევდა ქართველ და სომეხ სტუდენტებში. მოვესმინოთ იმდროინდელ მსმენელს, შემდგომ სახელგანთქმულ აკადემიკოსს ი. ა. ორბელს: „1906 წლის სექტემბერში თამამად ჩავიყურეუმალავე აღმოსავლეთის ფაქულტეტზე. აქ ერთბაშად თვალში გეცემოდათ დიდი სხვაობა, რაც სწავლებაში ჰქონდათ ნ. ი. მარსა და ი. ა. ჯავახიშვილს. უკანასკნელმა მხოლოდ მაშინ დაიწყო ლექციების კითხვა. იგი ძალზე კარგი მასწავლებელი იყო, არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ იგი იყო აზიერაკავასიის ისტორიის მშვენიერი მკვლევარი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ი. ა. ჯავახიშვილს სრულიად საოცარი თვისება ჰქონდა, რომელიც ახლა (1955 წელს) ძვირფასი და საჭირო იქნებოდა, და უმთავრესად მაშინ, როცა ლაპარაკია კავასიის ისტორიის შესწავლისათვის სპეციალისტების მომზადებაზე. ეს იყო ფრიად გამჭრიახი, ძალზე ფრთხილი თავის დასკვნებში, ძალზე დაკვირვებული, ძველი ქართულისა და ძველი სომხურის ბრწყინვალედ მფლობელი (სირიულ ენაში მომზადებითა და კარგი ცოდნით, ბერძნული ენის შესანიშნავი ცოდნით). ი. ა. ჯავახიშვილის ლექციები ყოველთვის აღსაქვს იყო კულტურის ისტორიის ყველა საკითხისადმი ღრმა ინტერესით. ამ აზრით, ი. ა. ჯავახიშვილი ნ. მართან ერთად ჩვენთვის, კავასიის-მცოდნეებისათვის, წარმოადგენდა უალრესად ძვირფას წყაროს, რომლისგანაც ჩვენ ვეწაფებოდით თუ საკითხის გადაწყვეტას არა (ხშირ შემთხვევებში საკითხის გადაწყვეტაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა), მაინც ღრმა ინტერესს სხვადასხვა საკითხებისადმი, კერძოდ კულტურის ისტორიის საკითხებისადმი. და მაშინ 1907—1908 წლებში ჯავახიშვილს შეეძლო ბევრად უფრო ობიექტურად დაეცვა (და ეს ცარიზმის წყობის პირობებში), ბევრად უფრო პირდაპირ და ბევრად უფრო პატიოსნად მოპყრობოდა კავასიის კულტურის ისტორიას ყველაზე რთულ და დახლართულ საკითხებს. აი რატომ იყო, რომ არა მარტო მე, არამედ ალბათ ყველას, ვისაც ბედნიერება ჰქონდა თუნდაც ერთხელ მოესმინა ჯავახიშვილის ლექციები, არ შეუძლია ღრმა მოწიწებით არ გაიხსენოს მისი სახელი“.

ივანე ჯავახიშვილის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის დადასტურება არმენსტიკაში იყო ის, რომ როგორც პეტერბურგის. ისე თბილისის უნივერსიტეტებში ის არაერთხელ გამოსულა შემდგომში გამოჩენილი სომეხი სპეციალისტების სადოქტორო დისერტაციების ოპონენტად. ასე. პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი იყო გ. ტერ-მოვსესიანის, გ. ხალათიანცის, ნ. აღონცის სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი, ხოლო თბილისის უნივერსიტეტში ლ. მელქისეთ-ბეგის და ა. ლარიბიანის სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი.

თბილისის უნივერსიტეტი დაარსებიდანვე არმენოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. აქ თავიდანვე შეიქმნა არმენოლოგიური კათედრა.

პირველ სემესტრში, ძველ სომხურ ენას აკავი შანიძე კითხულობდა, ხოლო სომხეთის საისტორიო მწერლობას — ივანე ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილის მაღალი ავტორიტეტის პოპულარობა არმენისტეიაში იმას იწვევდა, რომ მას ხშირად მიმართავდნენ წინადადებით, რეკომენდაციები მიეცა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე აღზრდილ ამა თუ იმ სომეხი საეციალისტისათვის. მასთან მოდიოდნენ კონსულტაციებისათვის სომხეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანო. 1922 წლის 8 სექტემბერს მას თხოვნით მიმართა ოვანეს თუმანიანის ქალიშვილმა ნეარდ ოვანესის ასულმა, რათა მიეცა მისთვის რჩევა და მითითება თავის მეცნიერული კვლევის დაწყების პირველ საფეხურზე. იგი სწერდა: „აიღე ერთი თემა „სომეხი ხალხის ისტორია“ (სოციალურ-ეკონომიური ნაკვეთები) იმ მიზნით, რომ მომეცა ჩვენი ხალხის წარმოშობა და განვითარება შედარებით ისტორიულ კრილში. მუშაობის პროცესში ვიგრძენი ბევრი ხარვეზი როგორც მეთოდოლოგიურ საკითხებში, ასევე სამეურნეო ცხოვრების ცოდნაში, სომეხი ხალხის შესახებ წყაროების ცოდნაში. მოგმართავთ რა, დიდად ვსაქიროებ თქვენ რჩევებს“.

თბილისის უნივერსიტეტი ზემით შეხვდა სომხური უნივერსიტეტის გახსნას. შემდგომაც ივანე ჯავახიშვილმა მრავალჯგონის დაადასტურა სიყვარული და პატივისცემა სომხური კულტურისადმი. ასე, ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, მიუხედავად მენშევიკთა და დაშნაკთა მთავრობების ურთიერთ დამოკიდებულებისა, ივანე ჯავახიშვილმა თავისი პრინციპული პოზიცია გამოამჟღავნა სომხური ეროვნული სიმდიდრის მიმართ. დადგა საკითხი თბილისიდან ერევანში გადაეტანათ სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების ძვირფასი ისტორიული და არქეოლოგიური მასალები. მაშინ გაისმა ხმები, არ დაეშვათ ეს და ძვირფასეულობა ქართული დაწესებულებისათვის გადაეცათ. ივანე ჯავახიშვილმა გადაჭრით გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველ ერს აქვს უფლება მიიღოს თავისი ეროვნული კულტურული ფასეულობანი, თუნდაც რომ ისინი სხვა ქვეყანაში იყოს თავმოყრილი. ახლა ეს ძვირფასი კოლექციები ერევნის სამუზეუმო ფონდებს ამშვენებენ.

საკვირველი კია, სულ ერთხელ იყო ივანე ჯავახიშვილი სომხეთში 1911 წელს. ესაა ანისის გათხრების აყვავების პერიოდი. ივანე ჯავახიშვილი მოხიბლულია შუასაუკუნეების სომხეთის დედაქალაქის და დიდი საეპიკო ცენტრის ანისის გრანდიოზულობით. იგი გვიან წერდა: „საქართველოში არც ერთი ქალაქი არ არის შერჩენილი ნანგრევების სახითაც კი, რომ ძველი ქალაქის გეგმისა და მთავარ ნაგებობათა აღდგენა იყოს შესაძლებელი. ამ მხრივ სომხებს საუცხოვო ძეგლი ჰქონდა — ანისი, რომლის გათხრით განსვენებულმა აკად. ნ. მარმა თავიც ისახელა და მეცნიერებასაც პირველხარისხოვანი ძეგლი შესძინა.“

ვისაც ეს განათხარი ქალაქი, მიწის წიაღიდან კვლავ აღმოჩენილი, თავისი თვალთ უნახავს, არასდროს არ დაავიწყდება ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც ახლენდა ნანგრევები. ანისის ბედი ტრაგიკული იყო იმ მხრივ, რომ ოდესღაც ახლად აღორძინებული სომხეთის სამეფო დედაქალაქი ჩაუვარდა შემდგომ უცხოელებს, ჯერ ბიზანტიელებს, შემდეგ თურქებს, მერმე საქართველოს სამფლობელოში შემოვიდა და შემდეგ, უკვე მონღოლთა ბატონობის შემდგომ, მის დაქვეითებასთან ერთად, რაღაც უნდა მომხდარიყოს: გადმოცე-

მით, ვითომ კატასტროფული მიწისძვრის შედეგად მოელო ბოლო ამ დიდსა და მაღალხარისხიან კულტურის მქონებელ ქალაქს!

ანისის გათხრა რომ დამთავრებულყო, ამას ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისთვისაც უაღრესი მნიშვნელობა ექნებოდა. მახლობელ აღმოსავლეთში ბევრი არ მოიპოვება ასეთი ძეგლი.

ანისის გათხრით შესაძლებელი იყო ადამიანს წარმოედგინა XI, XII და XIII საუკუნის მახლობელი აღმოსავლეთის. ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში არსებული ქალაქები. ჩვენთვისაც, რასაკვირველია, ბევრი დასკვნის გამოყვანა შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ის ეხლა მიტოვებული არის. იმაზე არაა არ ზრუნავს, თურქეთის ხელშია და ყოველგვარი მუშაობა შეჩერებულია. უდიდესი ნაწილი იმ ფოტოსურათებისაც, რომელიც არსებობდა, დაიღუპა“ (ივ. ჭავჭავიძე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946, გვ. 51). ივანე ჭავჭავიძელს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ დაეწყნია ის დიდი დანაკლისი, რასაც წარმოადგენდა პეტროგრადიდან 1917 წლის დამლევს გამოგზავნილი ანისის სიძველეების დაკარგვა. კულტურულ ფასეულობათა ორი ვაგონის დაკარგვა თითონ ივანე ჭავჭავიძელისათვის იყო დიდი პირადი დანაკლისი. ამ დროს მან მარტო ორი ათეული წლის თავდადებით შეგროვილი საკუთარი ბიბლიოთეკა კი არ დაკარგა, არამედ თავის ნაშრომთა უამრავი ხელნაწერი. ამან, სხვათა შორის „სომხეთის ისტორიის შესახებ“ ნამუშევრის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა, ამ გარემოებამ საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდო, — წერდა ივანე ჭავჭავიძე 1935 წელს.

მართლაც, ძნელია ფიქრი ფუქად გარდასულ, სამუდამოდ დაკარგულ დღეებსა და საათებზე, მით უმეტეს გულმოსაკლავია, რომ საკითხის პირველად დამუშავების განუყოფელი მომხიბვლელობა ახლა ადრე დაწერილის აღდგენამ უნდა დაიკავოს. უნდა ითქვას, რომ ივანე ჭავჭავიძელმა იპოვა შემოქმედებითი ძალა თავისთავში, რომ ხელახლა დაეწყო მუშაობა სომხეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. კვლავ დაიწყო ნაშრომების გამოქვეყნება არმენისტიკაში. ამას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ სწორედ 1918 წლიდან ივ. ჭავჭავიძელი წარმართავდა სომხეთის საისტორიო მწერლობის კურსს ახლა უკვე თბილისის უნივერსიტეტში. მან დაიწყო საჯარო მოხსენებების კითხვა ამ პრობლემებიდან. უკვე 1922—23 წლებში „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“, ტ. II, იგი აქვეყნებს გამოკვლევას „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის სანდო სიტყვებით, პირველად სომხეთის ისტორიის შესწავლისას გამოვლენილია იშვიათი პირველწყარო X საუკუნის პირველი ნახევრის სომხეთის კლასთა ბრძოლის ისტორიის თუნდაც ერთი მომენტის დასადგენად. ამავე შეფასებას იმეორებენ ს. ერემიანი და პ. მურადიანი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბის“ 1976 № 4-ში გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც ივანე ჭავჭავიძელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი და წარმოადგენს იმ წვლილის ობიექტურ შეფასებას, რაც თავისი შრომებით აკად. ი. ა. ჭავჭავიძელმა არმენისტიკაში შეიტანა. მათივე სიტყვებით, ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებში „პირველად კავკასიისმცოდნეობაში მან მიაქცია ყურადღება სომხეთში სოციალურ, კლასობრივ ბრძოლას, რაც გამოიხატა სიენიეთში X საუკუნეში გლეხებსა და ბერებს შორის შეტაკებაში“. ამ ნაშრომმა ბიძგი მისცა შემდგომ კვლევებს ამ მიმართულებით.

ამ სტატიის შემდგომ გამოსულ მონოგრაფიებში შეისწავლება ყველა ეტაპი და გამოვლინება გლეხთა ბრძოლისა“.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანებით ივანე ჭავჭავაძის არმენისტრიკული შრომების სომხურ ენაზე 1936 წელს ერევანში გამოცემამ ხელი შეუწყო მათ პოპულარობას.

ხანგრძლივი და მრავალმხრივი მუშაობა არმენისტრიკაში იმით დაგვირგვინდა, რომ 1935 წელს ივანე ჭავჭავაძელმა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოაქვეყნა „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის“ წიგნი პირველი. წინასიტყვაობაში იგი წერდა: „თუ ჩანართელობა ხელს არ შემიშლის. ამას უნდა დანარჩენი უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო ძეგლების შესახები ნაწერებიც მოჰყვესო“. სამწუხაროდ, ივანე ჭავჭავაძის არ მიეცა ამის საშუალება, მაინც რაჟ ამ მონოგრაფიის სახით დაგვიტოვა, ფრიად საყურადღებო წვლილია არმენისტრიკაში.

ისევ ს. ერემიანისა და პ. მურადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ივ. ჭავჭავაძის ეს წიგნი „დღემდე ორიგინალურია არა მარტო თავისებური დასკვნებითა და წყაროთმცოდნეობითი შედარებებით, არამედ თვით მასში ძეგლების შემადგენლობით, მათი ქრონოლოგიური გადანაწილებით“.

არ გამოსულა არც ერთი არმენოლოგიური ნაშრომი ივანე ჭავჭავაძისა, რომ მას დადებითი გამოხმაურება არ ჰქონოდა სომხეთში. თავის მხრივ ივანე ჭავჭავაძისი ყოველთვის საქმის კურსში იყო სომხური საბჭოთა ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების წარმატებებისა და მათ იყენებდა თავის სრულიად სხვადასხვა ნაშრომში. ამასთან ამა თუ იმ სომხ ავტორთა შეხედულებათა სხვაობა სრულიადაც არ უშლიდა ხელს ივანე ჭავჭავაძის. მკვლევრის მაღალი მეცნიერული ღირსება დაენახა. ასე, მეცნიერული დავის მიუხედავად, იგი აღნიშნავს, რომ პრ. აქარიანის „სომხური ენის ძირეული ლექსიკონი“ — უდიდესი ცოდნითა და გასაოცარი შრომისმოყვარეობით დაწერილი ნაშრომია“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 322).

მართლაც, საკვირველი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით მუშაობდა ეს მარტოკაცი. შვიდი ტომი მის მიერ დაწერილი „სომხური ენის ძირეული ლექსიკონისა“, ხუთი ტომი პირთა სახელების ლექსიკონისა, ორასზე მეტ სხვა ნაშრომი ადასტურებს პროფ. პრ. აქარიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე (1876—1953 წწ.) შრომის მაღალი ორგანიზაციის უნიკალურ შეერთებას შემოქმედებით ნიჭთან.

1939 წელს ივანე ჭავჭავაძისა და ა. ა. მანანდიანის ერთდროული არჩევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად არა მარტო ამ ორი მეგობრის დიდი მეცნიერული ამაგის დაფასება იყო შობლოური ხალხების ისტორიის შესწავლაში, არამედ დიდი სიხარული ორივე რესპუბლიკის მეცნიერულ წრეებში. ბევრი მილოცვა ივანე ჭავჭავაძელმა სომხეთიდან მიიღო, რომლის კულტურის შესწავლა ასე ძვირფასი იყო მისთვის.

სომხეთის მეცნიერული საზოგადოების პატივისცემამ იმაშიც პოვა თავისი გამოხატულება, რომ ივანე ჭავჭავაძისი აირჩიეს სომხეთის რიგი სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტების — ენისა და ლიტერატურის, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მატენადარანის“ სამეცნიერო საბჭოების წევრად.

1939 წელს იგი მიიწვიეს სომხეთის მთავრობის მიერ დანიშნული კომისიის წევრად, რომელიც „დავით სასუნის“ 1000 წლისთავის აღსანიშნავად იყო შექმნილი. მართალია, ივანე ჭავჭავაძელმა ვერ შეძლო სომხეთში ჩასვლა ჩანართელობის უმძიმესი მდგომარეობის გამო, მაგრამ მან მაინც უაღრეს-

სად აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ზეიმში. მან ერევნის გაზეთ „კომუნის-ტში“ 1938 წლის 14 დეკემბერს გამოაქვეყნა წერილი სათაურით „დავით სასუნცის ეპოსი ახლობელი და მონათესავეა სსრკ-ის ყველა ერისათვის“, ხოლო 1939 წლის 16 სექტემბერს კი სტატია—„ისტორიის ასახვა ხალხურ ეპოსში და ხალხური ეპოსისა ისტორიაში“. უფრო ადრე ეს ბოლო წერილი დაიბეჭდა სომხურ ლიტერატურულ გაზეთში „გრაჟან თერთში“ 1939 წლის 15 სექტემბერს. ამ გაზეთის სწორედ საიუბილეო ნომერში, რომელიც „დავით სასუნცის“ 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი (ამ წერილის თარგმანები გავაკანო თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ა. ხარატიანმა, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას ვუძღვნივთ).

ივანე ჭავჭავიძე მითითებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, განსაკუთრებით კი ხალხურ ეპოსზე როგორც გმირებისადმი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით გამთბარ თავისებურ ხალხურ ისტორიაზე. მართალია, ამ შემთხვევაში ისტორიული სინამდვილე გარდატეხას განიცდის კოლექტიური ხალხური შემოქმედების სულის პრიზმაში მრავალფეროვანი სპექტრის სახით. ამიტომაც რეალური სინამდვილის ნაცვლად ხშირად უკვე საქმე გვაქვს არა იმდენად გმირებთან, რამდენადაც ხალხური მასების იდეალებთან და მისწრაფებებთან, რომლებსაც წინასწარ შექმნილ გადმოცემებში, სიმღერებსა და პოემებში შეაქვთ თავიანთი შემოქმედებითი წვლილი, ზოგჯერ თავიანთი უკვე განსხვავებული მსოფლმხედველობა, ახალი ეთიკური გაგება. ამ გზით ნაანდერძევი ტრადიცია, მართალია, უკვე განაგრძობს თავის არსებობას, მაგრამ უკვე სხვა ვითარებაში, რომელიც განსხვავდებოდა იმ სიტუაციისაგან, რომელშიაც ის წარმოიშვა. რასაკვირველია, ძველ სინამდვილეს არ შეეძლო ამ შემთხვევაში ბევრი რამ არ დაეკარგა თავისი პირვანდელი აგებულებისაგან სახეებისა და შემთხვევების აღწერაში. დამწერლობამდელი ისტორიისათვის კი ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლას შეუძლებელი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, მწერლობის განვითარებას არ მოჰყოლია შედეგად ზეპირსიტყვიერების სრული გამოდევნა. მეტიც, თუ, მაგალითად, ქრისტიანი ისტორიკოსები კაცობრიობის წარმოშობის საკითხს ადვილად და მარტივად წყვეტდნენ ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ბიბლიური სქემის მიხედვით, რომელიც მათ აბსოლუტურ კემპარიტებად მიაჩნდათ, ამ წიგნობრივი სქოლასტიკისა და მოყოლის მკვიდრ ფერმკრთალობასთან შედარებით ხალხური გმირული ეპოსი ცხოვრებისეული სიყვარულისა და სიძულვილის ხატოვან და ცხოველ სინამდვილეს წარმოგვიდგენს: ამ ვითარებაში თვითონ ისტორიკოსს შეეძლო ეპოვა ის წყარო, რომელიც გამოაცოცხლებდა და შეავსებდა წიგნურ სქემას და საშუალებას მისცემდა ტრაფარეტით წარმოდგენილი სურათის გამოსწორებისათვის. შუა საუკუნეების ისტორიკოსებს არ ძალუძოდა ხალხური ზეპირი შემოქმედების დაფასება კაცობრიობის კულტურის ისტორიისათვის. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში სათანადო გზა მიეცა ამ დარგის კვლევას. მაინც საშუალო საუკუნეებშიც მოიპოვებოდნენ მკვლევარები, რომლებმაც შეძლეს თავიანთი ჩარჩოებიდან საუკუნეების გადალახვა და მიბაძვის ღირსი მაგალითების მიცემა სხვებისათვის.

შემდგომ ივანე ჭავჭავიძე აღნიშნავს, რომ ახლა, როდესაც მოძმე სომეხი ხალხი ზეიმობს თავისი მრავალსაუკუნოვანი დიდი ეპოსის — „დავით სასუნცის“ შესანიშნავ იუბილეს, მას როგორც ისტორიკოსს, ახსენდება ის დებულება, რომელიც მან 36 წლის წინათ წარმოთქვა, პროფ. გ. ხალათიანცის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვისას „სომეხი არშაკიდები მოსე ხორენე-

ლის სომხეთის ისტორიაში“. დისპუტის დროს ოპონენტი არ ეთანხმებოდა დისერტანტის იმ დებულებას, თითქოს, რამდენადაც მან უარყო ხორენელის ცნობების კეშმარტება, იმდენად ხორენელის შრომა „არის აუცილებელი, შეიძლება ითქვას, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე შრომა, მაგრამ არა როგორც ისტორიული თხზულება, არამედ როგორც ლიტერატურული ქმნილება“.

ივანე ჯავახიშვილი არ ეთანხმება გ. ხალათიანის ამ მტკიცებას და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ არ შეიძლება უარყოფით მოსე ხორენელის მნიშვნელობა მთელი სომხური ისტორიოგრაფიისათვის მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ესა თუ ის თხრობა არც კეშმარტი და არც დამაჯერებელი არ გამოუვიდა. „ამის მიუხედავად ზომ პირველმა მან სცადა დაეწერა სომხეთის წარმოშობის ისტორია. ნუთუ შეუძლიათ თანამედროვე ისტორიკოსებს დაგვარწმუნონ და პრეტენზია წამოაყენონ, რომ მათი ნაშრომები ასეთივე შორეული ეპოქების შემთხვევების შესახებ სრულიად კეშმარტია?“

ივანე ჯავახიშვილი დამაჯერებლად აღნიშნავს: „მოსე ხორენელის მნიშვნელობა სომხური ისტორიოგრაფიისათვის დიდი იყო ძველ დროსაც, შეუწყველი დარჩება იგი სამუდამოდაც, თუ ისტორიული საკითხების შესწავლას ისტორიული პერსპექტივის სრული დაცვით მივუდგებით. მ. ხორენელი საინტერესო მოვლენაა არა მხოლოდ სომხეთისათვის. ის ერთია შესაბამის ნების მკერძობა და სხვათა შორის ისტორიის მეთოდოლოგიური საკითხების წამოყენებაც“...

მხოლოდ მ. ხორენელის შრომის სახით „პირველად სომხურმა ეპოსმა კოვა თავისი გამოსახვა სომხურ წერილობით ისტორიოგრაფიაში, პირველმა მან მოგვცა მაგალითი, რომ შესაძლებელია ამ ტიპის წყაროს გამოყენება აგრეთვე ისტორიისათვის.

ნოვატორული და ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯია!“.

ივანე ჯავახიშვილი წუხს იმაზე, რომ შემდგომი დროის სომეხი ისტორიკოსები ამ თვალსაზრისზე რომ მდგარიყვნენ, შესაძლებელი იყო ჩვენ ვერაფერად დავით სასუნცის ეპოსის ძველი სომხური ჩანაწერი. ეს უარყოფა მხოლოდ ზრდის იმ როლს, რაც მ. ხორენელს აქვს, როგორც სომხური ხალხური ეპოსის პირველ შემფასებელს და როგორც ხალხურ ეპოსს პირველ გამომსახველს სომხურ ისტორიაში.

„დავით სასუნცის“ 1000 წლისთვის საყოველთაო-სახალხო ზეინის დღეებში ივანე ჯავახიშვილმა შესანიშნავი მომენტი ნახა. სომხეთის დიდი შეილის მ. ხორენელის დამსახურება კიდევ ერთხელ საქვეყნოდ აღნიშნა.

როცა 1951 წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის ახალ გამოცემას ამზადებდა, მან ამ წიგნის ჯავახიშვილისეულ სამუშაო ეგზემპლარში მხოლოდ ერთ ადგილას ჩართული მასალა ნახა და ცალკე პარაგრაფის სახით შეიტანა ამ ახალ მეთოდზე გამოცემაში სათაურით: „ამირანის თქმულება მოსე ხორენელთან“.

„დავით სასუნცის“ ათსაუკუნოვანი იუბილის დღეებში ივანე ჯავახიშვილი თავის ხმას უერთებს იმას, ვინც ამ უცვლადი ხალხური ქმნილების მსოფლიო სიდიადეზე ლაპარაკობს. იგი წერს: „ეპოსი „დავით სასუნცი“, სომხური ხალხური შემოქმედების მშვენიერება, თავისი აგებულებითა და სულსკვეთებით ახლოა და მონათესავე ყველა სხვა ხალხისათვის. უცხოელ დამპყრობთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა გმი-

რულმა ბრძოლამ, რომელიც ეპიკური სტილით აღქმული და ასახულია პოემაში, არ შეიძლება ალტაცებაში არ მოიყვანოს ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი ხალხის თავისუფლება. ის მოტივები, რომლებიც მონათესავეა სხვა ხალხების ეპიკური შემოქმედებისათვის და რომლებიც მრავლად მიმობნეულია დავითისა და მჭერის პოემაში, ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას სხვა ერების ფოლკლორისტებშიც.

დავითისა და მჭერის ეპოსი, ბუნებრივია, მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილებად უნდა გახდეს“.

ივანე ჯავახიშვილის ბაგეებით მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობდა

თ ა ვ ი VII. იზროლა საქართველოს განახლებისათვის

ივანე ჯავახიშვილის შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდანვე საქართველოში ილია ჭავჭავაძე იყო საზოგადოებრივი აზრის მესაკე.

გიმნაზისტობისა და სტუდენტობის წლებში ივანე ჯავახიშვილის დროინდელი ახალგაზრდობა გულის ღელვით ელოდა ილიასეულ „ივერიას“. მასში პოულობდა ერის კირ-ვარამზე პასუხს. ეს სიყვარული და მოყრდამება დიდი ქართველის მიმართ ბოლომდე გაჰყვა ივანე ჯავახიშვილს.

ილიას მკვლელობას საყოველთაო ეროვნული აღშფოთება მოჰყვა.

1907 წლის 30 აგვისტოს ზარდამცემი დღე არასდროს ამოშლილა ივანე ჯავახიშვილის მეხსიერებიდან. მას ახლა იმათი სიტყვები გაახსენდა, პეტერბურგში რომ ურჩევდნენ ილიას: „ნუ ჩახვალთ ამჟერად საქართველოში, საშიშიაო“. ილიას ეს არ სწამდა. სამშობლომ ერთხელაც ვერ მოასწრო მისი იუბილე. ამის სანაცვლოდ ყველაზე უარესი 70 წლის ერის მამას თურმე წიწამურის ტრაგედია ელოდა, მაგრამ თავისი უწყალო სიკვდილითაც მან აგრძობინა ქართველთ, როგორც უნდა უყვარდეთ სამშობლო. თბილისის არმყოფთა მწუხარება ყველაზე კარგად კიტა აბაშიძემ პეტერბურგიდან გადაეცა: „დეპეშით გამობატა: „ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილსო“. უაღაძიანობა და უმადურობა ამით არ დამთავრებულა. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ თუ თავდაპირველად ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა. შემდგომ კი, წარსული საუკუნის დამლეუთგან მოყოლებული, თავი იჩინა ისე, რომ მიმართულბამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულბით უარყოფდა, არამედ თვით პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიან გაქარწყლებას ლამობდა.

ამას ივანე ჯავახიშვილი უკვე უმაგალითო უმადურობას უწოდებს და გულმხურვალედ მიესალმება ამ, როგორც თვითონ ამბობს, საშინელი უსაძართლობის აღმოფხვრას: იგი დიდად გახარებულბა იმით, რომ 1937 წელს, როგორც საყოველთაო-სახალხო ზეიმი, აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე, რომელიც განათლების მუშაკთა სახლში გაიმართა 1937 წელს, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, იგი მალე, 1938 წელს, ცალკე წიგნდაც დაიბეჭდა. ამით, როგორც თვითონ ამბობს ზნობრივი ვალი მოიხადა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე.

დაბეჭდილ ტექსტში არ მოხვედრილა ის, რითაც ივანე ჭავჭავაძის მოხსენება დაიწყო და რასაც თავის მოგონებაში გადმოგვცემს პროფ. აბ. კიკვიძე. 1906 წლის ზაფხულში ახალგაზრდა ივანე ჭავჭავაძის თვისი ჩვეულებისამებრ საქარო ლექციას კითხულობს თბილისში ჩამოსვლისას. ამჟამად ლექცია არტისტული საზოგადოების სახლში წაიკითხა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე. ამ ლექციას ილია ჭავჭავაძეც დასწრებოდა. ლექციის დაბეჭდვის შემდეგ მას სურვილი გამოუთქვამს ახალგაზრდა ლექტორთან გასაუბრებისა. როგორც ჩანს, მოსწონებია ლექტორისეული ახსნა და აღუნიშნავს, რომ თავის დროზე მეტ მქონდა დაკვირვება საქართველოს განვითარების ეკონომიურ ძალებზე, თუმცა არ უთქვამს, რომ ეს წერილებად ჰქონდა დაბეჭდილი „ივერიის“ გვერდებზე.

უაღრესად ნიშანდობლივია ორი დიდი მოღვაწის აზრთა დამთხვევა. ივანე ჭავჭავაძის მოხსენების დაბეჭდილ ტექსტს იწყებს იმის მიხედვით, რომ მას შემდეგ, რაც 1927 წელს ილიას თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე ტომი გამოვიდა, მკვლევარს საშუალება მიეცა, ვრცლად და სხვადასხვა ნაშრომის მიხედვით განეხილა ილიას დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი. ამიტომ მათი ახსნისათვის სრულიად არ არის საჭირო, ილიას მხატვრულ ნაწარმოებებს მივმართოთ. იქ ხომ ავტორს მიზნად არა აქვს დასახული საქართველოს ისტორიის დაწერა. მით უფრო, როცა მხატვრული ნაწარმოებების გარდა ილიამ საკმაოდ და მრავალფეროვანი მასალა დაგვიტოვა საქართველოს ისტორიიდან.

ილია უპირველეს საკითხად აყენებს, რომ აუცილებელია ყველა ხალხი პატივს სცემდეს თავის ისტორიას. თუ ხალხს თავისი ისტორია დაიწყინია, ეს ნიშნავს იმას, რომ მას არა აქვს „მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საკილაოდ“. მაგრამ ერის დიდ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის ჩასანერგავად კი არ უხდოდა მხოლოდ, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა. ძირძველ ქართულ ისტორიაში იგი წინაპართა მარტო გმირობასა და წარმატებას კი არ ხედავს, არამედ იმას, რომ მათ ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდევიათ იმ საძირკველში, რომელზედაც ჩვენი აწმყო დამყარებული. ორივე მხარე წარსულისა სურს მას გამოარკვიოს და სწორედ ამ ამოცანას უსახავს მიზნად ისტორიის შეცნობას. იგი წერს: „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუქა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა. უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრით, რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა და ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმძაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნას და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია“.

რასაკვირველია, უაღრესად ძნელია წარსულის სწორად წარმოდგენა, განსაკუთრებით მაშინ იყო ძნელი, როცა ამ სტრიქონებს ილია ჭავჭავაძე წერდა. იმ დროს, როცა ხალხის ისტორია შესწავლილი არ არის, ივანე ჭავჭავაძის აზრით, ისტორიის მაგიერ უგვემოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, მიმბაძველობასა და

რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. ორსავე ამ დამოკიდებულებას დიდი ნაკლი აქვს. სწორედ ისტორიულ კვლევას XIX საუკუნის 90-იან წლების დამლევამდე და შემდგომშიც მნიშვნელოვან ნაწილად ეს ნაკლი ახლდა, არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა. გასაგებია, რომ ეს სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებდა ილია ჭავჭავაძეს. აკი იგი 1880 წელს წერდა: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“. ყველაფერი ეს როდი იძლეოდა საფუძველს, ისტორიული წყაროები უგულვებელგვყო და არ ამოგველო მათგან ის, რის ამოღებაც შესაძლებელია. ამიტომ არანაკლებ საშიშია თავაშვებული ნიპილიზმი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. სწორედ ამის წინააღმდეგ არანაკლები სიძლიერით გაილაშქრა თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ. 1889 წ. ივ. ჯაბადარმა წერილები გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ რუსულ ჟურნალ „ჩრდილოეთის მოამბეში“, საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის პროცესში იგი, მისი აზრით, თითქოს ემყარებოდა ისტორიული კრიტიკისა და შედარებით მეთოდს. საფუძვლიანი დინჯი კვლევა-ძიების მაგიერ ივ. ჯაბადარის წერილებში ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუშზადებლობის გამო. მთლიანად მცდარი გამოდგა. ივ. ჯაბადარის ნაწერებს მინც ზიანის მოტანა შეეძლო. ამ წერილებისათვის დუმილით გვერდის ავლა არ შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა იყო, მაგრამ, რაკი ისინი დუმდნენ, ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაქვეს ილია ჭავჭავაძეს მოუხდა ისტორიკოსის მოვალეობის შესრულებაც. ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა ილიამ წერილებში, რომელიც გაერთიანებულია სათაურით „აი ისტორია“.

ივ. ჯაბადარის ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამოქვდავება იყო. იგი იმ მცდარ კონცეფციას იზიარებდა, რომ ყოველ ერს თავისი ბავშვობის, ყრმობისა და ქაბუკობის შემდეგ აუცილებლად სიბერე ეწვეოდა ხოლმე. ივ. ჯაბადარი ერთ თავის წერილში კითხვას სვამდა: მართალია თუ არა, ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას სრული ინტენსიური ცხოვრება ჭერ კიდევ არც კი დაუწყია და თავისი ძალ-ღონე მერმისისათვის შეუნახავსო?, იგი თვითონვე პასუხობდა: არა, ქართველებს ინტენსიური ცხოვრება ჭერ არ დაუწყიათო. ილია ჭავჭავაძე სასტიკად შეებრძოლა ამ მცდარსა და უცნაურად გამოთქმულ დებულებას. მისი აზრით, ეროვნების დბერება და სიკვდილი უქმი სიტყვაა. ილია ირონიულად წერს: ჯაბადარი „მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს) ღონე შეგვინახავს მერმისისათვისო“. თურმე სრული ინტენსიური ცხოვრება ასუსტებს, აუძლურებს ერს, ხოლო არაინტენსიური ცხოვრება ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. ილია ახლა ხაზგასმით წერს: „ღლესაქობამდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვიო, დასარჩობი ფონი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა“. გამოდის, რომ ბედნიერი ერი ის ყოფილა, ვისაც უარი უთქვამს მაკდურ ინტენსიურ ცხოვრებაზე და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. მაგრამ რილას მაქნისია ეს შენახული ღონე, თუ არა ინტენსიური ცხოვრებისათვის. „ღონე შეინახება მერმისისათვისო, გვანუ-

გეშებს ავტორი. კაი ნუგეშია: კაცმა პური აღარ ჰამოს, რომ კბილები არ გაუცვლდეს და მერმისისათვის შეინახოსო!“.

ილიას აზრით, ინტენსიური ცხოვრება ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს ხალხი არსებობისათვის საჭიდაოდ.

უკიდურესი ნიჰილიზმისა და სქემატიზმის უარყოფა არ ანელებდა იმ სურვილს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება ენატრებოდა. ილია ჭავჭავაძისათვის ისტორია არ ყოფილა მარტო ხდომილებათა გროვა. მას სწორედ ისტორიული პროცესის საფუძველი და მამოძრავებელი ძალები აინტერესებდა, მხოლოდ ამის შემდგომ მოვლენათა შეფასებისას, ილიას აზრით, მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურულ პრობლემებს უნდა მიქცეოდა. ილია ჭავჭავაძეს სწორად მიაჩნია, რომ ათეულობით საუკუნეების განმავლობაში ისე არ ყოფილა, რომ ჩვენი ხალხი განუწყვეტლივ ასი წელი მაინც ზედიზედ მოსვენებული ყოფილიყო მტრისაგან. საქართველო თავგანწირვით და გულადად იცავდა თავს გარეშე შემოსევებისაგან, ამ ვითარებაში, ვთქვათ: მკლავმა და გულმა გაუძლო, მაგრამ საკითხავია: რა ჰქვებავდა ხალხს, რა ჭონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას დიდებულმა მგოსანმა და პირველმა ქართველმა პუბლიცისტმა ჯერ კიდევ 1880 წელს აღნიშნა: „ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს“. ისტორიკოსთა უპირველეს ამოცანად სწორედ ამას თვლიდა ილია ჭავჭავაძე, ეს მიზეზი იმ დროს სხვას არ მოუძებნია. ამ მძიმე საქმესაც თვით შეუდგა, რომ სავარაუდოდ დასკვნები გამოეთქვა, იმის მიუხედავად, ამბობდა იგი, „ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო“.

ის ეკონომიკური საფუძველი, რომელმაც ქართველ ხალხს მრავალრიცხოვან მტერთან ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილიას აზრით, მიწისმფლობელობის წესი იყო. ჩვენთან, როგორც ყველგან სხვაგან, მიწისმფლობელობის ორი წესი იყო, ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. მათ შორის წინააღმდეგობა იყო. „ტყისა და მინდვრის განსაკუთრება კი ყოველად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენი ხალხის გონებაში ვერ თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სასოფლო“.

მას შემდეგ, რაც გაძლიერდა საკომლო მიწისმფლობელობა, გაიძვრა ფეხი განსაკუთრებამ და კომლელლობამ, როგორც ჩანს, ილიას საქართველოს პოლიტიკური დასუსტების ერთ-ერთ მიზეზად ეს მიაჩნია.

სწორად დაასკვნიდა ამ შეხედულების გამო ივანე ჯავახიშვილი: „საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილია ჭავჭავაძის ზემოთმოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წელს აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძველის ცოდნის აუცილებლობა“ (გვ. 82). ილია ისტორიკოსისაგან მოითხოვს იმას, რომ კარგად გაითვალისწინოს იმ დროის თავისებურება, რომელსაც აღწერს. ქეშმარიტი მენისტარიე „ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს“ და ისე შეაფასოს ისტორიული პიროვნებანი. ამიტომ ილია ჭავჭავაძე უკუაგდება ივ. ჯაბადარს ნიჰილისტურ აზრს, რომ საძრახისია თვით ამგებელთათვის და ყუ-

რადღებას არ შეიძლება იმსახურებდეს ეკლესიები და ტაძრები. ილია ჭავჭავაძეს არა თუ საძრახისად მიაჩნია ეს საქმე, არამედ მათ იგი განიხილავს როგორც ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს. თავის დროზე ამას ახსნა ჰქონდა, მეტიც, ხუროთმოძღვრებაში ერის მხატვრული ნიჭის გამოხატულებაც იყო, იმ დროს „მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე“ შემოქმედი. ილია ჭავჭავაძეს ეამაყება ხუროთმოძღვრების ეროვნული ძეგლები, თუმცა იქვე დასძენს „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ“.

ისტორიული პერსპექტივის დანახვის აუცილებლობის გარეშე შეუძლებელია მომხდარი ფაქტების სწორად შეფასება.

როგორც ვხედავთ, ილიას თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულებანი ჰქონდა ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველეს მოვალეობაზე. ამასთან იგი მოითხოვს ისტორიის გამოჩენილი მოღვაწეები ახსოვდეს თავის ხალხს, სწორედ ამ გმირებში პოულობს იგი „თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მკვალთს“.

უპირველესად აქ იგი დავით აღმაშენებლის დიდ სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ თვისებებზე წერს. საუცხოოდ განმარტავს ილია ჭავჭავაძე XII საუკუნის საქართველოს მთავარ პოლიტიკურ ამოცანას.

ივ. ჯაბაძარმა იმისათვის, რომ თამარ მეფის როლი დაემცირებინა, ყარსზე გალაშქრების ფაქტი მოიყვანა. ივანე ჯაბაძარის სიტყვებით, ეს გალაშქრება თამარს მოუწყვია „მარტო იმისათვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შეილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისათვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილ-უბრალოდ“.

ილიამ შესანიშნავი ახსნა მოუძებნა ამ ცნობას. მან დაიწყო იმით, რომ ეკვის ქვეშ დააყენა თვით ისტორიული წყაროს ნამდვილობა. იქნება გვითხრან— „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერია, როგორც ჯაბაძარს აქვს ნათქვამიო. ილიას სრულიადაც არ მიაჩნია სინამდვილედ ცნობა მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართლის ცხოვრებაშია“ ნახსენები. თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერებელია, ამბობს იგი, რომ ქართლის ცხოვრებაში რაც სწერია, განა ყველაფრის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? სხვა შემთხვევაში ივ. ჯაბაძარი მართალსაც არ უჭერებს უკრიტიკოდ ამგვარ ცნობებს. ყარსზე ლაშქრობაში, ისე როგორც იმდროინდელ საგარეო შეტაკებებში, ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ აუცილებლობას ხედავს, რომელიც გარდუეალი გახდა მას შემდეგ, რაც „სომხეთი შეიმუხრა, სამხრეთით ჩვენი კარი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად“, სამხრეთის საზღვრების უშიშროება სასიკოცხლოდ აუცილებელი იყო საქართველოსათვის, რაც, ბუნებრივია, საიმედო სამხედრო აქციების ჩატარებას გულისხმობდა.

ილიას კარგად ესმოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივ სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობა უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა მას გიორგი სააკაძის პიროვნება. იგი წუხს იმაზე, რომ გიორგი სააკაძის მოქმედებაში დღესაც ბევრი რამ აუხსნელია ჩვენს ისტორიკოსთაგან. ჭერ შინაგანად გამორკვეული არ არის და პირუთვნელი ისტორიკოსი ელის გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შეფასებას, იმ პიროვნებისას, რომელიც „უხვად შემკული იყო ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებით“.

გ. სააკაძის წინააღმდეგობებით აღსავსე მოღვაწეობის შესახებ ილია

წერს და შინც მოითხოვს, გაიკრევეს გიორგი სააკაძის „ავკარგიანობით აღსავსე განსაყდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისი ავად და კარგად ასახსნელი დიადი საქმენი“. განსასჯელ საკითხზე იგი, რა თქმა უნდა, თავის გადამჭრელ პასუხს არ იძლევა, მაგრამ შინც საჭიროდ თვლის გამოთქვას გაკერით თავისი შეხედულება.

„დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალბუნებიანთა კაცთა შურისგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნიანობისა ბევრ მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდბუნებიანობა“.

ივ. ჯაბადართან კამათში ილია ჭავჭავაძე არა თუ უარყოფდა, არამედ დიდად აფასებდა ისტორიულ-კრიტიკულ და შედარებით მეთოდს, მიაჩნდა ისინი ამ მეცნიერების განვითარების მძლავრ და აუცილებელ საშუალებად. ივ. ჯაბადარი მართალი იყო, როცა ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებდა, ისტორიული კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო, მაგრამო, აღნიშნავდა ილია, თვით ყიჟინის დამცემი სრულებით უეციი გამოდგაო.

კვლავ იძულებული გახდა ილია მაშინდელი მკითხველისათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შესდგომოდა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, ილია ჭავჭავაძე ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ, „საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა“.

უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჭეროდათ და იქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილია ჭავჭავაძე პირიქით არა მარტო კრიტიკულად ეპყრობოდა „ქართლის ცხოვრებას“ და ყველაფერი იქ მოთხრობილი ჭეშმარიტებად როდი მიაჩნდა, არამედ არა ერთხელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობის მცდარობა აღუნიშნავს. მეტად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე საისტორიო კვლევა-ძიებისათვის შედარებით მეთოდთან ერთად ლინგვისტური ანალიზითა და დაკვირვებებით მოპოვებულ დასკვნებს იყენებს, „რითაც მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახვა, თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით“.

გერმანელი ენათმეცნიერის შრადერის ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლა გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმას.

იგა შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს: „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდელამდე შერჩენია, არაფრის მოხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველობისა ისეთი მშრალი ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატერისა და ვედრების საგნად გახდომია“.

ასევე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც, ასევე საგულისხმო შეხედულებები აქვს

მას გამოთქმული არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიის თაობაზე და ა. შ.

ყველაფერი ეს ნათელი დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის ფრიად საინტერესო მოღვაწეობისა ისტორიის ზოგად პრობლემებზე და საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. სამწუხაროდ, მაშინ არავინ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული ამოცანის განმახორციელებელი.

ერთი მოხსენება, წაკითხული ილია ჭავჭავაძის ისტორიულ შეხედულებებზე, როდი იყო ივანე ჭავჭავაძის მხრივ ვალის მოხდა დიდი მწერლისა და მოღვაწის სახელის აღსანიშნავად.

გადაჭრება არაფერია იმაში, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ილიას გარდაცვალების შემდეგ მისი მასშტაბის მოღვაწე ივანე ჭავჭავაძის ხდება.

ივანე ჭავჭავაძის „შრომანი და საქმენი“ ილია ჭავჭავაძისეული მიმართულების გაგრძელება იყო. ამ საქმეთა შორის ილია ჭავჭავაძის სახელის უკვდავყოფაში, მისი ნაშრომების გამოცემაშიც ივანე ჭავჭავაძის მიერ შეტანილია ფრიად საყურადღებო წვლილი. სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო ის გმირი, რომელშიც ივანე ჭავჭავაძის პოულობდა სამშობლოს სამსახურის წმინდა მაგალითს.

ივანე ჭავჭავაძის ხარობდა იმით, რომ ახლა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულა, რომ მთელ ერს უფლება ჰქონდა ეთქვა ილიაზე: „იბრძოლა საქართველოსათვის“.

თ ა ვ ი VIII. უ შ რ ა ტ ი წ ა რ ო ვ ე ფ ხ ის ტ ა ო ს ა ნ ი

საქართველოში არც ერთ წიგნს არ ჰყოლია იმდენი მკითხველი, რამდენიც „ვეფხისტყაოსანს“, არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გადაწერილა და დაბეჭდილია იმდენჯერ, რამდენჯერაც რუსთაველის ეს უკვდავი ქმნილება.

ივ. ჭავჭავაძის სიტყვებით, ლხინსა თუ ქირში ქართველ ხალხს უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნის“ დაუშრეტელი სიბრძნე აგონდებოდა ამ პოემაში კი „ოქროსავით მიმოხვეულია სოციალური ხასიათის სიბრძნე“. ეს წიგნი შეიღწაქუნე-ნახევარი აერთიანებდა საქართველოს. მას ზეპირად სწავლობდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის ისინიც, ვისაც სხვისი წაკითხვით ჰქონდა მოსმენილი პოემა. აქ მასის სალი აზროვნება და მხატვრული გემოვნების მაღალი დონე ჩანდა (მით უფრო, რომ არსებობს ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ ანუ „ტარიელიანი“).

რუსთაველის გარშემო მაინც ბევრი რამ ბუნდოვანი იყო. „ვეფხისტყაოსანს“ ზიანს აყენებდა შეუფხებელი მოყვარულიცა და მოძულეც. ეს თვით ტექსტსაც ეხებოდა. ისტორიამ კი უკიდურესად მკირე მასალა დაგვიტოვა უკვდავი ნაწარმოების ავტორის შესახებ. მართალია, ქართველ ისტორიკოსებს საერო მგოსნებზე საზოგადოდ ცოტა აქვთ ნათქვამი, მაგრამ, თუ თამარის ისტორიკოსი საჭიროდ თვლის, იოანე შავთელი არ დაივიწყოს. მას შოთა რუსთაველის უბრალო ხსენებაც კი ზედმეტად მიუჩნევია. ამის მიზეზს ხსნის ივანე ჭავჭავაძის.

დიდ ქართველ ისტორიკოსს წილად ზედა სიძველის ბინდით დაფარული მოვლენების ახსნა და გაშუქება. ივ. ჭავჭავაძის პეტერბურგში მოღვაწეობის დროს აქტიურად მუშაობდა „ვეფხისტყაოსანზე“. შემდგომ მან ეს მუშაობა განაგრძო თბილისში, სადაც მრავალი პრობლემის შესწავლისას იყენებ-

და „ვეფხისტყაოსანს“. მაგრამ ყველაზე შრომატევადი სამუშაო მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს პერიოდში შეასრულა. ივ. ჭავჭავიძის ამ პერიოდის რუსთველოლოგიური ნაშრომები გამოქვეყნებულია 1956 წელს გამოსულ კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის თაობაზე ცნობების სიმცირეს ისტორიული ახსნა და გამართლება აქვს. საქმე ის არის, ივ. ჭავჭავიძის აზრით, რომ შოთა რუსთაველის პოემას ძველს საქართველოში ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შექხვედრიან, მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა და მადიდებელთა გვერდით ძლიერი მოწინააღმდეგენიცა და მტრულად განწყობილნიც ყოფილან, უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის. „იმათი გაკლენა იმდენად ძლიერი ვერ იყო, რომ შოთას მომხიბლავი ნაწარმოები მოესპოთ, მაგრამ იმდენი ძალა მიიწეო შესწევდათ, რომ ამ გენიოსი მგოსნის სახელი, ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვედიადით ყოფილიყო მოცული და იმდროინდელი ცხოვრების მომთხრობელის საისტორიო თხზულებაში მისი ხსენებაც კი არ გამოჩენილიყო“ (გვ. 6). ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მომდევნო საუკუნეების მანძილზე არ იხსენიება შოთა რუსთაველის სახელი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენამდის იმ დროიდან უმთავრესად საეკლესიო დაწესებულებათა წიგნსაცავების ხელნაწერებმა მოაღწიეს.

„ვეფხისტყაოსანი“ მისი ავტორის დროსაც და მერმინდელ საუკუნეებშიც თავისუფალი აზროვნების სიმბოლო, საერო ცხოველმყოფელი მხატვრული შემოქმედების მოტრფიალეთა ალტაცების საგანი და ასევე გონებადანსულ ფარისეველ პურიტანისტა სიძულვილისა და გაკიცხვის საგანიც იყო. ვეფხისტყაოსნის გარშემო მრავალსაუკუნოვანი იდეური ბრძოლა გაიშალა. გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ცხოველმყოფელმა სიბრძნემ. იგი ხალხმა (და არა მარტო ქართველმა ხალხმა) უკვდავების შარავანდედით შემოსა. თუ ამ პოემის მოძულეებმა მას ზიანი ვერ მიაყენეს, — ვინაიდან ისტორიამ გაამტყუნა ისინი, — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს საგრძნობი ზიანი მიადგა პოემის იმ თაყვანისმცემლებისაგან, რომლებიც პოემას შესაფერისი მოწიწებით არ მოპყრობიან. ზოგ გადამწერს მოსჩვენებია, რომ ტექსტს ცალკეული ეპიზოდი აკლია, ზოგიერთს კი პოემა დაუმთავრებელ ნაწარმოებად მიუჩნევია და მათი აზრით ეს უსრულობა შეუუვისი და ხელნაწერში ჩაურთავს. ამ გზით ეს „უქვდავი თხზულება სხვათა ნაცოდვილარით შერყვნილა“ (გვ. 7). ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენას დიდი მეცნიერულ-პატრიოტული მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს ამასთან ერთად, რომ ივანე ჭავჭავიძის უდიდესი სიფაქიზით ეპყრობოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას. გადამწვევტი სიტყვა, მისი აზრით, აქ ფილოლოგებს უნდა ეთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ღრმად განათლებული ფილოლოგი იყო, იგი არ იღებდა უნივერსიტეტის რექტორის წინადადებას, რომელმაც ბრძანებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარეთა და მთავარი სარედაქციო კომისიის წევრთა შორის შეიყვანა ივ. ჭავჭავიძის ივ. იგი რექტორის სწერს: „მოვალეობად მიმაჩნია მოგახსენოთ პირადად ჩემს შესახებ, როგორც კარგად მოგახსენებთ, მე მწერლობის ისტორიაში არასდროს არ მიმუშავებია და ამ საგანს ჩემს სპეციალობად არ ვთვლი. ამის გამო ასეთი პასუხსაგები კომისიის წევრობა და მით უმეტეს თავმჯდომარეობა, თუნდაც მორიგეობით არ შემიძლია ვიქისრო და ის დიდი პასუხისმგებლობა გავიზიარო, რომელიც ამ კომი-

სიას მთავრობისა და საქართველოს მკითხველი საზოგადოების წინაშე დააწვევა. ამ ჩემთვის გადამწყვეტ მოსაზრებას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ შე კრებაზე სიარული უკვე აღარ შემიძლიან, რადგან მოკამათის ნალაპარაკევი თუ მალლახმივ არ არის წარმოთქმული, აღარ მესმის“. ეს ის დროა, როცა ყურთსასმენი აპარატი ჭერ კიდევ არ აქვს გამოწერილი საზღვარგარეთიდან.

რასაკვირველია, ივ. ჭავჭავიძე იროგორც ისტორიკოს-ფილოლოგი არ შეზღუდულა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემის მიმოხილვით. იგი, ამასთან ერთად, უაღრესად ღრმა, კომპეტენტურ ფილოლოგიურ დასკვნებს ამ აკადემიური ტექსტის დასადგენად.

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემის ისტორიის მიმოხილვას კი ივ. ჭავჭავიძე იწყებს იმ დამსახურების აღნიშვნით, რაც ქართული კულტურის ერთგულ დარაჯს ვახტანგ VI-ს ეკუთვნის. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი (1712 წ.) სტამბური გამოცემა არ ყოფილა მარტოდენ პირადად განხორციელებული ვახტანგ VI-ის საკუთარი სარედაქციო მუშაობის ნაყოფი. საქმე ისაა, რომ არც საისტორიო და არც სამარტლის ძეგლების შეგროვება-გადარჩენისა და გამოცემისათვის მუშაობის დროს, ვახტანგ VI-ს ტექსტის თვითნებური აღდგენა არ უცდია, დასახული მიზნის მიღწევას და განხორციელებას იგი ყველგან და ყოველთვის საუკეთესო ხელნაწერისა და უძველესი ტექსტის გამოყენებით ცდილობდა. როგორც ჩანს, ვახტანგ VI-მ პოემის გენიალური შემოქმედის ყველა საუკეთესო ცნობილი ხელნაწერი შეაგროვა, მათგან სხვებზე უკეთესი და უძველესი რედაქციის გამორჩევა შეძლო და პირველად სტამბურად დაბეჭდა. ამიტომ ივ. ჭავჭავიძე იღონდა დაუჭერებლად მიაჩნია მტკიცება, რომ ვახტანგ VI-მ თვითნებურად შეამცირა პოემის ტექსტი. ამას ერთვის ისიც, რომ არავითარი მოტივი, საფუძველი არ ჰქონდა ასე მოქცეულიყო ქართული კულტურული განძეულობის ეს სწორუპოვარი მოამაგე.

ის ფაქტი, რომ ფართო გავრცელებისათვის ვახტანგმა სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია, ცხადყოფს, თუ რამდენად ძვირფას განძად მიაჩნდა იგი ქართველობისათვის. ეკვი არაა, ვახტანგისათვის ადვილი არ იყო კავკასიის პირველ სტამბაში საეკლესიო წიგნთა გვერდით „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნება. კლერიკალური წრეები ხომ ამ წიგნში ქრისტიანულს ვერაფერს ხედავდნენ. მეტიც, მრუშობისა და სიძვის ქებად მიაჩნდათ ის. მათგან თავისი კომენტარებით თავს იცავდა ვახტანგ VI, იგი თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც პოემა, „სალმთოც იყო და საეროც“. მას რომ „შოთას ქმნილების თვითნებური ცვლილებების შეტანა დაესახა მიზნად, „ვეფხისტყაოსნიდან“ უპირველესად სწორედ არაქრისტიანული ადგილებისა და მრუშობა-სიძვის ამბის მოთხრობის ამოშლას ეცდებოდა და სამაგეროდ ყოველ წერილმან ცნობასაც კი ქრისტიანობისა და სჯულიერი ცოლ-ქმრობისა და სიყვარულის შესახებ თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა“ (გვ. 23). ძნელია უფრო გონებამახვილური ახსნა იმ დროს, როცა პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ხელთ არა გაქვთ!

ივ. ჭავჭავიძე იღონდა საგანგებოდ მიმოხილა პოემის ტექსტის დაზუსტების თაობაზე გამოთქმული შეხედულებები, განსაკუთრებით კი აღნიშნავს აკად. ნ. მარის დიდ ღვაწლს რუსთველოლოგიაში.

ივ. ჭავჭავიძე იღონდა თვით ვახტანგ VI-ის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასასრულის საკამათო პრობლემის გადაწყვეტა სრულიად არ მიაჩნდა ერთადერთ სწორ ახსნად. მისი აზრით, პოემა ვახტანგისეულ ხელნაწერთა და გამოცემის დაბოლოებაზე უფრო ადრე უნდა წყდებოდეს. „სახელდობრ, ავ-

თანდილისა და თინათინის ქორწილის თავის იმ ტაეპზე, სადაც ნესტან-დარეჯანის თინათინთან გამოთხოვებისა და სამშობლოში გამგზავრების ამბავია აღნიშნული... ამ ტაეპის მომდევნო ტაეპითგან რომ უკვე მერმინდელი დანართია, იმითაც მტკიცდება, რომ მომდევნო ტაეპში გამგზავრებულთა გამოთხოვებისა და წასვლის ამბავი კვლავ იწყება, მაგრამ უფრო ვრცლად და გავრავლებით. ქალთა გამოთხოვებისა და გაყრის წუთები შოთას მოკლედ, მაგრამ მისებრი მოხდენილობითა და გრძნობით აქვს მოთხრობილი“ (გვ. 25).

პოემის დასასრულზე მსჭელობისას ივ. ჭავჭავიძეილი „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურებებიდანაც გამოდიოდა. იგი ასე მხატვრული სიძლიერით ახასიათებდა ამ ნაწარმოების ენას: „რუსთაველს კარგად ჰქონდა შეგნებული მოკლე, ნარნარი თუ ცქრიალა, მოსწრებული მკვეთრი სიტყვის უალრესი მომხიბვლელობა გრძელსა და გაქიანურებულ სიტყვასთან შედარებით, მას ესმოდა, რომ მგოსანი და პოემის, რომანის ავტორი, გმირების თავგადასავლის აღმწერელი და ბიოგრაფი არ არის. ამ შეგნებამ შოთას თავითგან ააღინა ის უხეში შეცდომა, რომელიც სპარსული სიტყვისა და გრძნობათა გამომხატველობის შეუდარებელ ოსტატს გურგანელ მგოსანს მოუეიდა, რომ თავისი რომანი „ვისრამიანი“ მოქარბებული მრავალსიტყვაობის გამო აქა-იქ მომბაზრბებელი გახადა და თავისი გმირების სრული ბიოგრაფიის დონემდე დააქეი-თა“ (გვ. 29).

საავტორო სამართლის ისტორიის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს ივ. ჭავჭავიძეილს, უარყოს მწერალ კ. ქიქინაძის მცდარი დასკვნა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ავტორისეულ გამოცემათა შესახებ.

კ. ქიქინაძე ამტკიცებდა, რომ რუსთაველმა რამდენიმეჯერ, შეიძლება სამჯერ, გადაამუშავა თავისი პოემა, რომელსაც უთუოდ ის ათეული წლების განმავლობაში წერდა და რომ თითქოს რუსთაველის პოემის სხვადასხვა რედაქციის არსებობაც თეით ავტორისავე სხვადასხვა დროის მუშაობის ნაყოფიარო. რასაკვირველია, ეს თეორია თანამედროვე პირობების ანალოგიით იყო შეთხზული. მას გარეგნული დამაჩერებლობის მიძიიდველობაც ჰქონდა. ივ. ჭავჭავიძეილის სიტყვებით, მასთან კერძო საუბარში ერთ-ერთ ავტორს კიდეც უთქეამს, რომ „ეს დებულება მას მოსწონს და დამაჩერებლად მიიჩნია საკუთარი მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემის შედეგად მიღებული პრაქტიკითო“. აქ კი მკითხველის წინაშე მხატვრული ნაწარმოების ავტორის პასუხისმგებლობის საკითხს შესანიშნავად გამოსთქეამს ივ. ჭავჭავიძეილი: „რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოები, ერთის ხელის გაქნეით და კალმის მოსმით არ დაიწერება და ავტორს, სანამ თავის თხზულებას დამთავრებდეს, შესაძლებელია მისი ამა თუ იმ ადგილის სხვადასხვა ვარიანტები, რამდენიმე რედაქციაც კი ჰქონდეს, მაგრამ რაწამსაც ავტორი თავის თხზულებას დამთავრებულად მიიჩნევს და გამომცემელს გადასცემს, ის მის შემთხვეულს დასრულებული, სრულებით მწიფე ნაყოფივით უნდა მოსწყდეს, რომელშიც უკვე ვე-ლარაფერი შეიცვლება.“

მხატვრული ნაწარმოების მერმინდელი შეცვლა მხოლოდ იმის გაშომ-მელავნებელია, რომ თხზულება მის ავტორს ნაადრევეად ჰქონია დამთავრებულად მიჩნეული და მის გამოქვეყნებას აჩქარებულა. არც ერთი თავმოყვარე და მკითხველის პატივისმცემელი ავტორი თავისი თხზულების საბოლოო ტექსტის უწინარესი ვარიანტებისა თუ რედაქციების გამოქვეყნებას არ შეუდგება. ასეთი მასალა მისი ბიოგრაფებისა და მწერლობის ისტორიკოსების, ისევე

როგორც შემოქმედების ფსიქოლოგიის მკვლევართათვის არის საინტერესო და მნიშვნელოვანი.

მხატვრული ნაწარმოები სამეცნიერო გამოკვლევა და ნაშრომი არ არის, რომელიც, რაკი საკითხის ყველა არსებული წყაროებისა და მიმდინარეობათა სინთეზს უნდა წარმოადგენდეს, ყოველ მერმინდელს გამოცემაში უეჭველად უნდა შეივსოს და, თუ საჭირო იქნება, გადამუშავდეს კიდევაც. მხატვრული ნაწარმოები, პირიქით, ყოველმხრივ დამთავრებული და სრული უნდა იყოს. რაც უფრო მტკიცედ შეიგნებენ ამას ის ჩვენი მწერლები, რომელთაც ასეთი უცნაური აზრი დაბადებიათ, მე მგონია, ქართული თანამედროვე მწერლობა-სა და პირადად მათი სახელისათვისაც მით უფრო უკეთესი იქნება“ (გვ. 21). აქ საერთო პრინციპია მხატვრული ნაწარმოების გამოცემისა, რომლის უფლება სიცოცხლეში მხოლოდ და მხოლოდ ავტორს აქვს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავადასტუროთ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა რედაქციების არსებობის შეუძლებლობა. ივ. ჭავჭავაძის მიერ დადგენილი საფუძვლებით დამაჩვენებლად გვიჩვენებს, რომ ავტორის უფლების დაცვა და საავტორო სამართლის შექმნა მხოლოდ გუბერნიერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ და მრავალტირაჟიანი წიგნის გამოსვლამ წარმოშვა.

რასაკვირველია, მანამდეც ავტორები თავიანთ თხზულებებს ერთბაშად არ წერდნენ, მაგრამ უიშვიათესი შემთხვევაა, რომ მათი შავად ნაწერი დედანი გადარჩენილიყოს. რაც მთავარია, მრავალტირაჟიანი წიგნების ბეჭდვამდე, ივ. ჭავჭავაძის სამართლიანი შენიშვნით, „ავტორს თავისი ნაწარმოების საავტორო უფლების დაცვის საშუალება არ ჰქონდა, რადგან საკმარისი იყო ერთი ადამიანისათვის თავისი დედანი გადასაწერად მიეცა, რომ მისი სხვათაგან გადაწერის აკრძალვა აღარ შეიძლებოდა. ახალ-ახალი გამოცემისათვისაც მაშინ სტიმული არ არსებობდა და ერთხელ გამოშვებული ნაშრომის ტექსტის შეცვლის საშუალება ავტორს არ ჰქონდა. მაშინ ავტორისათვის კი არა, არამედ გადამწერათვის იყო ახალ-ახალი. რედაქციების არსებობა ხელსაყრელი. ასეთ პირობებში ყოველი ავტორი მაშინ ცდილობდა, თავისი ნაშრომი რაც შეიძლება უზადო და სრული გამოსვლოდა. მისი ტექსტის ხელუხლებლად დაცვისათვის, ხელნაწერში მოთავსებული ვედრების გარდა, არაფერი სხვა საშუალება არ მოეპოვებოდა. ავტორს მაშინ თავისი სამწერლობო მუშაობით არსებობა არ შეეძლო და ვინც ამ მოღვაწეობას თავის სპეციალობად გახდა მოიწადინებდა, იმას ან კარის მგოსნობა უნდა მიეღო და ეკისრა, ანდა რომელსამე შეძლებულ მეცენატს შეჰკვებებოდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მხატვრული ნაწარმოების ახალ-ახალი რედაქციების ავტორისაგან გამომწვევაზე ლაპარაკი შეუძლებელია დამაჩვენებელი იყოს და „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა რედაქციების ამნაირ წარმოშობილობის თეორიაც საფუძვლიანი არ არის“ (გვ. 21—22). საავტორო სამართლისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიის ცოდნა მთლიანად აქარწყლებს თანამედროვე წიგნის გამოცემის ანალოგიით წარსულში გადატანილ შედარებას.

ივ. ჭავჭავაძის მიერ ქართველი ინტელიგენციისაგან მოითხოვდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის ზეიმში იგი მარტო ალტაელების პასიური გრძნობით კი არ დაკმაყოფილებულიყო, არამედ თავისი წვლილი შეეტანა ნაწარმოების შესწავლასა და მხატვრული საშუალებებით განსახიერებაში. სწორედ ამიტომ 1935 წელს ივ. ჭავჭავაძის მიერ წყენით აღნიშნავდა, რომ ქართველმა მხატვრებმა და კომპოზიტორებმა ხომ შოთას თხზულებისადმი სრული უყურადღებობა გამოიჩინეს. თუნდაც ის რად ღირს, რომ „უნგრელ ცნობილ

მხატვარს ზიჩს შეეძლო ქართველი მგოსნის პოემის შინაარსის მხატვრული განსახიერება ეკისრა, ქართველ მხატვართაგან კი არც ერთს ასეთი სრულე-ბით ბუნებრივი სურვილი თავისით არ განუხორციელებია“. ძალზე ცოტა იყო იმ დროისათვის გაკეთებული ქართველ კომპოზიტორთა მიერ იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მშენიერება და სიტყვიერი მუსიკალო-ბა ჰანგებითაც აღბეჭდილიყო.

ივ. ჭავჭავაძის ქართველ მეცნიერთა, მწერალთა. მხატვართა, კომპო-ზიტორთა წინაშე ამოცანად აყენებდა უკვდავი პოემის იუბილეს დროს იმ ზნე-ობრივი ვალის მოხდას, რაც მათ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის წინაშე ჰქონდათ. დასკვნის სახით ეს შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „750 წლისთავის ზეიმის აღსანიშნავად განკუთვნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა შექველად სამაგალი-თო, უზადო გამოცემა იქნეს. ამგვარადვე ძველიც, რომელიც გენიოს მგო-სანს დაედგმება, მისი შემოქმედების სიდიადის, აღმაფრენის, პაეროვნებისა და მისი იდეალების სიღრმის ამსახველადაც უნდა მოგვეჩვენოს. შოთას თხზუ-ლებასა და სახელთან დაკავშირებული მუსიკალური ნაწარმოებიც, მისი ლექ-სის განმაცვიფრებელი სინარჩარისა და გამომხატველობითი ნიჭის ღრმა გულწრფელობით უნდა იყოს გამსჭვალული, პაეროვანი აღმაფრენის მონაბე-რად უნდა მოგვევლინოს“ (გვ. 12).

კვლავ უნდა გავიმეოროთ: შოთა რუსთაველის იუბილეს რომ ასე დიდი წარმატებები მოჰყვა, ამაში ფრიალ მნიშვნელოვანი იყო ივ. ჭავჭავაძის ღვაწლი. ზოგიერთ მხარეს მისი მოღვაწეობისას თბილისსა და საქართველო-ში ჩვენ უკვე შევხვით.

ივ. ჭავჭავაძის ავტორიტეტი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დირექტორისა. საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ ეკითხებოდნენ მას. აქი ამის გამო სწერდა 1937 წლის 2 ივნისს იგი ვარ. დონდუას: „აუარებელი სამუშაოა, მოსკოვიდან, ხარკოვით-გან, ერევნითგან, ბაქოთგან, ვისაც კი შოთას დღესასწაულებთან ან რაიმე კავშირი აქვთ, ან რაიმე მოუვა ფიქრაო. ჩემთან მოდიან და წერილობით მე-კითხებიან“.

საპასუხო საგაზეთო წერილები, საუბარი და მსჯელობა საკითხთა თითქ-მის განუსაზღვრელ წრეზე, დამატებით ენერჯიას თხოულობს და ივ. ჭავჭავ-აძის ეს შემოქმედებითი შრომა ავიწყებს განუკურნებელი ავადმყოფობის ტკივილებს. ასე იცის დიდი მიზნით დაკავებულობამ. რასაკვირველია, თავის ამ საშვილიშვილო მოღვაწეობაში ივ. ჭავჭავაძის მხარის დამჭერიც არ ელე-ოდა. თვით პარიზიდან არ ივიწყებდა ივ. ჭავჭავაძის ქართულ საგანძურთა ფხიზელი მფარველი ექ. თაყაიშვილი. იგი მომენტით სარგებლობდა, კვლავ დაეყენებინა საკითხი მშობლიური ხალხისათვის მისი სიმდიდრის დასაბ-რუნებლად. იგი საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს არწმუნებ-და „... ქართული უნივერსიტეტი და სამეცნიერო დაწესებულებანი აგრძე-ლებენ სამეცნიერო მუშაობას. ასე მაგალითად, ამჟამად ისინი ემზადებიან სა-ხელგანთქმული მგოსნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის და კერძოდ ამზადებენ მისი ნაწარმოების სამეცნი-ერო გამოცემას. სამი ყველაზე ძველი და ძვირფასი ხელნაწერი მისი პოემა-სა იმყოფება ზემოხსენებულ ყუთებში და უსამართლობა იქნებოდა, გამომ-ცემლებისათვის ამ ძირითადი ხელნაწერის გამოყენების საშუალება წაგვეკრ-თმია“.

ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, ივ. ჯავახიშვილის იმდროინდელი მოღვაწეობის ყველა მხარეს შევხვით, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, ესაა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება, წაკითხული 1937 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე თბილისში. ეს მოხსენება მთელი ზემოთგვირგვინად იქცა. მისი სათაურია „რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმის მოწვევა მოსკოვის გარეთ იშვიათი შემთხვევა იყო. მაშინ მხოლოდ იწყებოდა მსოფლიო მწერლობის კლასიკოსების თარიღების საყოველთაო-სახალხო აღნიშვნა. მწერალთა იშვიათად დიდი რაოდენობა თავს იყრის თბილისში, რომ ერთი უკვდავი წიგნის 750 წლისთავი აღნიშნოს. მწერლებთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი მეცნიერებიც. მათ შორის იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგატი. იგი კეშმარიტად ხელდამშვენებული მოვიდა ამ იუბილეზე. სწორედ აკადემიის პრეზიდენტის აკად. ვ. ლ. კომაროვის მიერ ხელმოწერილმა განკარგულებამ განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რუსული, თარგმანის გამოსვლა. ორი კრებული (აკად. იოსებ ორბელის რედაქციით) შოთა რუსთაველის ეპოქას მიეძღვნა, არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რაც თბილისში გაკეთდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მიერ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთაგან ჭერ მხოლოდ რუსულ ენაზე იყო თარგმნილი სრულად პოემა. იუბილემ დაუდო სათავე შოთა რუსთაველის არნახულ პოპულარობას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხში. სწორედ იუბილეს შემდეგ რამდენიმე ენაზე მთლიანად ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. „ვეფხისტყაოსანი“ ისტორიულ-პოლიტიკური ტრაქტატი ან ისტორიული რომანი როდია, მაგრამ იგი ეკუთვნის თავისი ეპოქის გენიალურად ამსახველ ავტორს, რომლის იდეები სწვდება მომავალ საუკუნეებსაც. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იყო მოხსენება იმის შესახებ, თუ რა სოციალურმა კულტურამ წარმოშვა „ვეფხისტყაოსანი“.

ივ. ჯავახიშვილზე უკეთ ამის წარმოჩენა არავის შეეძლო. მომხიბლავი იყო არა მარტო ფაქიზი ინტელექტუალური გარემო, რომელიც მის გამოჩენას ახლდა: შორსმჭვრეტელი და თვინიერი თვალები, მშვიდი ნაბიჯები, აკურატული, მაგრამ არა თვალშისაცემი ჩაცმულობა, ცხოვრებითა და შრომით გაქალაჩაებული თმა. სახენათელი მომხსენებლის პირველ სიტყვიდანვე დარბაზი გაათბო მისმა რუსულმა, კეშმარიტმა პეტერბურგულმა რუსულმა გამოთქმამ.

ივ. ჯავახიშვილი თავის მოხსენებაში ღრმად მიმოიხილავს საქართველოს სოციალ-კულტურულ ცხოვრებას X—XI საუკუნეებში, რომლებმაც მოაშზადეს საქართველოს კულტურის აყვავება XII საუკუნეში. საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა არა მარტო გარეგან მტერთან უსასტიკეს შეჭაბებებს გულისხმობდა, არანაკლებ მწვავე შეჭაბებები იყო თვით ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ფეოდალების მხრივ. დავით აღმაშენებლის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მუდმივი ჭარის შექმნით არა მარტო უცხოელ ურდოებისგან დაიცვა საქართველო, არამედ შეძლო „აელაგმა დიდგვაროვანთა თავნებობაც, რომელნიც წინააღმდეგობას უწყევდნენ სახელმწიფო ძალაუფლების ღონისძიებებს“ (გვ. 16). რასაკვირველია, დავითის გარდაცვალების შემდეგ დიდგვაროვნებს ეს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა გიორგი III-ის დროსაც. მის დროს საქართველოს წინაშე პრობლემა დადგა, შეეძლო

თუ არა ქალს, მეფის ასულს, დაეკავებინა სამეფო ტახტი. მეფეს ეს შეეძლო გადაეწყვიტა უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თანხმობით და უმაღლესი სამღვდელთა სასწრაფოთ, რომლის ხელში იყო იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრეროგატივა — გვირგვინის საეკლესიო წესით კურთხევა. თამარის მამამ გიორგი მესამემ ამის გატარება შეძლო მხოლოდ ეკონომიურ და პოლიტიკურ დათმობათა წყალობით.

თამარის მეფობის დროს სახელმწიფო წყობილება ინტენსიური პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა შეზღუდული კონსტიტუციური მონარქია. თამარის სამეფო ხელისუფლების ძალა ვრცელდებოდა მთელს კავკასიაზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ვასალური სამფლობელოს სახით საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა. ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ჩრდილოეთ სპარსეთი ყაზვინამდე, ხოლო დასავლეთით არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა.

ქართველი ისტორიკოსი შენიშნავს, რომ თამარ მეფე უარს ამბობდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი ქვეყნების ინკორპორაციაზე და მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით იზღუდებოდა. იგი ამგვარი კონსოლიდაციით სრულიად მიღწეულად თვლიდა თავის სახელმწიფოებრივ მიზნებს. ამ ვითარებაში, თუკი წონასწორობის პოლიტიკას დაარღვევდა რომელიმე მეზობელი, სწორედ მაშინ საქართველოს მთავრობა თავის ჯარებს გზავნიდა დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მხედართმთავრები თვითონ იწყებდნენ ომს მეზობლებთან, ისე რომ მეზობლები მას არ ემუქრებოდნენ.

არ შეიძლება თავისი დროის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მომენტები არ იპოვოს კაცმა „ვეფხისტყაოსანში“. თუმცა იქ დასახელებულია არაბები, სპარსები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქაა დასახელებული. „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძვერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღუღებს“ (გვ. 19). „შოთა რუსთაველი მართო თავისი საზოგადოებისათვის არ ყოფილა მოწინავე, არამედ იგი „იცავდა ისეთ იდეალებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ შვიდსაუკუნე-ნახევარი გავიდა, ძვირფასია ჩვენთვის, საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, სადაც ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა განხორციელებულია და თანასწორუფლებიანობის პრინციპი უცილობელ დოგმად არის მიჩნეული“ (გვ. 19).

მხატვრულ სახეებში ასახული პოლიტიკური ტენდენციები დღესაც გვხვდება თავისი მაღალი ესთეტიკური მიმზიდველობით.

პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი. ერთი მხრით, ესაა უხეში ფიზიკური, სამხედრო ძალა, როცა პირადი ვაჟაკობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს, მეორე თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ გაათავისუფლოს ჩაგრულნი. აქ, ივ. ჭავჭავაძის აზრით, გვაქვს ორი სისტემის, ორი მიმდინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო და რომელთა შორის იმ ეპოქის საქართველოში წარმოებდა ბრძოლა. პირველს ტარიელი გამოხატავს, მეორეს ავთანდილი. ივანე ჭავჭავაძის აზრით, შოთა რუსთაველის მთავარი გმირი ავთანდილი. იგი წერს: „ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი ალტაცებულია ტარიელით, რომ

ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია. საკმარისია გავიხსენოთ ის დახასიათება, რომელსაც იგი ტარიელს აძლევს, რათა გავიგოთ, რამ იგი აღტაცებულია მხოლოდ მისი სიმამაცით, ტარიელის მხოლოდ პირადი ვაჟკაცობით“ (გვ. 18).

ივ. ჭავჭავიძეის მოხსენებას შთაგონებით ისმენს მრავალრიცხოვანი შეკრებილობა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მაშინ, როცა იგი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით საეკლესიო რელიგიური უთანხმოების შესახებ პყვებოდა, დარბაზში ატყდა ოვაცია. მომხსენებლისათვის ეს მოულოდნელი იყო ტექსტის თვალსაზრისით. მალე მან შეამჩნია, რომ ეს ტაში დარბაზში ახლად შემოსულ 91 წლის ყაზახეთის სახალხო აკინს ჯამბულ ჯაბაევს ეკუთვნოდა, რომელიც რუსთაველმა და ხალხთა მეგობრობამ მოიყვანა აქ.

მომხსენებელი მაშინვე ტაშით შეუერთდა ოვაციის მონაწილეთ.

ივ. ჭავჭავიძელმა მოხსენებაში გადაქრით გასცა პასუხი კითხვაზე, თუ რა შეადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეას: „ჩაინდული სიყვარული თუ ძმადნაფიცობის იდეა — ხალხთა ძმობის იდეა. მისი დასკვნით, საკვებით უეჭველია, რომ „იდეა ძმობისა, ამა თუ იმ ეროვნებისადმი, ამა თუ იმ სარწმუნოებისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისათვის დაიწერა შოთა რუსთაველის ეს გენიალური პოემა“ (გვ. 18). და სწორედ ამ იდეასთან ერთად არასოდეს არ მოკვდება ეს ღიდი პოემა.

დამსწრენი აღტაცებით ხვდებიან მოხსენებას. ღრმა შთაბეჭდილებები ამ მოხსენების გამო შემდგომაც გამოითქვა. ღიდი რუსი მკვლევარი აკად. ვ. თ. შიშმარიოვი ხარობდა პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორიდან მისი მეგობრის ივანე ჭავჭავიძეის წარმატებით, იმით რომ „მან აჩვენა თავისი კვლევითი ნიჭის მთელი ბრწყინვალე და ნათელი მხარეები“, ასევე აღტაცებით წერდნენ ამ მოხსენებაზე აკადემიკოსები ვ. ვ. სტრუვე და ი. ი. მეშჩანინოვი. უფრო გვიან, სამი წლის შემდეგ, ნ. ტიხონოვი, ა. ფადეევი და ვ. გოლცევი ივ. ჭავჭავიძეის გარდაცვალების გამო გამოგზავნილი სამძიმრის ტექსტში საპიროდ თვლიან, აღნიშნონ ის დაუეიწყარი შთაბეჭდილება, რაც მათ მეხსიერების ეკრანზე ივ. ჭავჭავიძეის ამ მოხსენებამ დატოვა.

ლევანგი და აკადემიკოსი (1938—1940 წწ.)

თ ა ვ ი 1. დაღლილი გული

ივანე ჭავჭავიძევილი დღიურებს არ წერდა. ეს ახლა დიდად გვიშლის ხელს მისი შემოქმედებითი ფსიქოლოგიის აღმავალი განვითარების გზა სრულად ავსახოთ. ეს უკვე შეუესებელი ნაკლია.

ზედმეტი გადატვირთულობა, მრავალმხრივი მუშაობა, მას ყოველდღიური ჩანაწერების გაკეთების საშუალებას ართმევდა.

აკი თვითონ ამბობდა თავის წარსულზე 1937 წელს: „ჩემდა საუბედუროდ, შრომისა და მძიმე ტვირთის გამწვანებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც დრო არ მქონია“.

რა ბარჩაიანი, უხვი, მრავალფეროვანი იქნებოდა კი მისი დღიურები!

...მაინც თამამად შეიძლება ითქვას: მისი ეპისტოლური მეგვიდრეობა დიდად გვეხმარება, მისი შემოქმედების ლაბორატორიიდან ბევრი რამ აღუადგინოთ. ამ მხრივ ფასდაუდებელია ივანე ჭავჭავიძევის 36 წერილი, რომლებიც მას 1935—1940 წლებში ლენინგრადში ვარლამ დონდუასადმი აქვს გაგზავნილი. ჩვენ მათზე ცოტა დაწვრილებით გვიჩვენა ვაჟკათ.

1968 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა გამოჩენილი პედაგოგი და შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე პროფ. მ. ზანდუკელი.

7 აპრილს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან პროფესორ ვარლამ დონდუასთან ერთად დაებრუნდი (ერთ სახლში ცეცხოვრობდით). მე მას ვთხოვე ივანე ჭავჭავიძევილზე მოგონება დაეწერა.

გულწრფელად შეწუხდა შესანიშნავი ინტელიგენტი, თქვა: ბევრი თანამედროვე ივანე ჭავჭავიძევილისა უკვე წავიდა, ბევრი მიდის. როგორც ჩანს, ჩემი წასვლის დროც მოახლოვდა. მართლაც საჭიროა ამგვარი მოგონებარ.

იქვე დასძინა, რომ მას ივანე ჭავჭავიძევილის 36 წერილი აქვს, რომელთაც განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით ინახავს¹. შევატყვე, ცალკე

¹ მართლაც, თითქმის ოცდაათი წელი ინახავდა იგი ამ წერილებს. 1940 წლის 21 ნოემბერს ივ. ჭავჭავიძევილის მეუღლისადმი გაგზავნილ სამძიარის ბარათში ვარლამ დონდუა გულმდუღარებით წერდა:

„ახლა იმასაც ვნანობ, რატომ უფრო ხშირად არ ეწერდი წერილებს. მისი მოსაგონარად მჩრება, პირველად ყოვლისა, მისი მადლიანი მარჯვენითა და კალმით, მის სამუშაო მაგიდაზე დაწერილი ბარათები, — ამას მე მივიჩნევ დღეიდან ერთადერთ უძვირფასეს წერილობით ძეგლად, რომელიც კი ჩემს ბინაზე, ჩემი მაგიდის უკრაში შექნება დაეუღრა. როგორც ერთი რამე რელიქვია“.

ვარლამ დონდუა წერილს ასე ამთავრებდა: ... „თქვენი სასიკაძულო ოჯახის მისამართით

წიგნად უნდოდა გამოეცა ისინი. მე ვთხოვე—ფრიად სასურველია უნივერსიტეტის იუბილეს დღეებში გასცნობოდა ფართო მკითხველი ამ წერილებს. მანამდე „მნათობში“ ან სხვა პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდა. შემდეგ კი უფრო მოესწრება წიგნად გამოსვლა-მეთქი. ჩემი რეკომენდაცია რად სპირდებოდა, ელგუჯა მალრაძემ ეს წერილები თბილისის უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ „მნათობის“ საიუბილეო ნომერში დაბეჭდა. (1968, № 9, გვ. 134 — 163). ერთი ამ წერილთაგანი გაცილებით ადრე დაბეჭდა. 1966 წლის აპრილში ივ. ჭავჭავიძისადმი მიძღვნილ ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის ვაშაბდებით. ახალგაზრდა ეურნალისტები გაუუგზავნე შინ. არ უნდოდა, ეტყობა, წერილების ასე დაქსაქსვა და მაინც ივანე ჭავჭავიძისადმი მიძღვნილ გაზეთის ნომერში (1968 წლის 19 აპრილი) დაბეჭდა ერთი წერილი 1936 წ. 29 მაისისა. ამ წერილს მან შემდეგნაირი განმარტება დაუერთო: „ამჟერად ვბეჭდავთ აკად. ივ. ჭავჭავიძის მარტო ერთ კერძო ბარათს იმ ვარაუდით, რომ დაუვიწყარ მეცნიერის სხვა (რაოდენობით 36) წერილებიც, ჩვენს (ადრესატის) პირად არქივში დაცული, თავის დროზე იქნება გამოქვეყნებულნი.

ეს ბარათი კი, ისე როგორც ყველა დანარჩენი, გვხატავს ავტორს მთელი მისი აღამიანური მიმზიდველობით, შემოქმედებითი მუშაობის ნათლთ გამობრწყინებულს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში — შოთა რუსთაველის პირველი საიუბილეო გამოფენის მოსაწყობად ზრუნვაშემატებულს, იმდროინდელი საისტორიო ძეგლების პუბლიკაციისათვის საშუალებების მძებნელს“.

მართლაც, „მნათობში“ გამოქვეყნებული ყველა 34 წერილიდან არც ერთი არ არის, რომ ივანე ჭავჭავიძის ბიოგრაფიისათვის ფრიად გამოსადეგი არ იყოს.

ამ წერილების შინაარსი ჩვენ ბევრ ადგილას გამოვიყენეთ და კიდევ გამოვიყენებთ. ახლა გვინდა, ამ წერილებიდან გამოვძინარე, ის შინაგანი მდგომარეობა ვაჩვენოთ, რასაც მწვავე აღამიანური ტკივილების დაძლევა, უმადურობის გადატანა, მაინც მეცნიერული შრომის ინტენსივობა, სხვისი წარმატებებით სიხარული და სხვისი დამსახურების ობიექტურად აღნიშვნა, ხალხის, საზოგადოების სამსახურით კმაყოფილების განცდა ახლავს თან.

უპირველესად ღრმა პატივისცემა და მოწიწება ჩანს ყველა წერილში უმცროსი მეგობრისა და მოწაფისადმი. ვინმეს არ უნდა მოეჩვენოს, რომ აქ მხოლოდ ამა თუ იმ წიგნის შექენაზეა მთავარი მსჯელობა.

ვარლამ დონდუა ივანე ჭავჭავიძისათვის ის უმცროსი მეგობარი და მოწაფეა, რომელსაც, როგორც თანასწორ პარტნიორს, იგი გულმართლად უზიარებს თავის აზრებს სხვადასხვა მეცნიერულ საკითხზე, არ უმაღლავს თავის დამოკიდებულებას სხვადასხვა პირთან და მოვლენაზე, შესაძლებლად თვლის მასთან წერილობით „ლიად“ ისაუბროს საკუთარ ჭანმრთელობაზე, ოქახის წვერებზე (მათ კი ყოველთვის უმაღლავდა თავის ჭანმრთელობის მდგომარეობას), უსამართლობით გამოწვეულ ტკივილებზე. ყველაფერი ეს ამ წერილების ძალაა. ისინი შეუტკლელი წყაროა ივ. ჭავჭავიძის ბიოგრა-

ჩემი გამოგზავნილი ბარათებიდან ეგ წერილი პირველი იქნება, რომელსაც ვერა დახვდება ამ ოქახის პირველი კირისუფალი. ამის შეგნება გრძნობას მიწამლავს, ცხადია, დიდ მწუხარებაში მაგდებს. მაგრამ მაინც ვამოხიენებ, რომ გამოვიგზავნოთ ეს ბარათი.

ისე მთვებზე ძვირფასი ივანეს კორესპონდენტის როლს, რომ ძნელია ჩემთვის შევურიგდე იმ აზრს, რომ ამიერიდან აღარ დამეირდება თქვენი ბინის მისამართი, არც წერილის გამოგზავნა და არც წიგნ-ამანათებისა“.

ფიის მნიშვნელოვანი მომენტების დადგენისათვის. უშუალოდის ნამდვილი წადილით დაწერილი ეს სტრიქონები დღეს წარმოგვიდგენენ დიდ ადამიანს და მოუღლებელ მკვლევარს, რომლის შემოკმედებითი ცეცხლი აქრობს ფიზიკურ ტყვილებს, მწვავე ავადმყოფობით გამოწვეულს.

რევოლუციამდე რუსულად გამოსულ ნაშრომებზე იგი ხელს აწერდა „ი. ჭავახავი“. ამის გამო აღნიშნავს: „წინათ ჩვენ ყველანი იძულებულა ვიყავით ისე გვეწერა ჩვენი გვარი, როგორც ოფიციალურ საბუთებში იყო შეტანილი. რამდენჯერ ვეცადე მაშინ ქართულის აღდგენა, მაგრამ ნებართვა ვერ მივიღე. ეხლა საბედნიეროდ საბუთებშიც აღდგენილია ქართული მართლწერა, და წინანდელის გახსენება კი ჩემთვის უსიამოვნო გარემოებაა. ამიტომ შემდეგში გთხოვთ თქვენც ქართულად და რუსულად ერთნაირად მომწერათ ხოლმე“.

მზრუნველი პაპა (მას უდიდეს კმაყოფილებას აძლევდა შვილიშვილების საბავშვო ბაღში წაყვანა) შეწუხებულია შვილიშვილის ავადმყოფობით. ამის თაობაზე იგი ლენინგრაღში სწერს 1935 წლის 12 დეკემბერს ვარლამ ღონდუას: „ტფილისში გადამდები ავადმყოფობა ქუნთრუშა, რომელსაც ძველად ვარლახობა ეწოდებოდა, და დიფტერიტი მოარულად იქცა და მძვინვარებს. უფროსი შვილიშვილი გოგონა დალი, გაგვიბდა ჩვენც ქუნთრუშით ავად. ეხლა დასრულდა კარანტინის ხანა, და დეზინფექცია მოვახდინეთ. სამწუხაროდ, ქუნთრუშის შედეგად თირკმლების გაღიზიანებაც აქვს და მოძრაობის დროსაც თითქმის ფეხების დახუთულობა ემჩნევა. ექიმი ამბობს, რომ ხანგრძლივი წოლის შედეგიაო, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი საბუთი მაქვს, ექიმების სიტყვას არ ვენდო!“

ივანე ჭავახავიშვილი დიდად დაამწუხრა ნიკო მარისა და მისი უნივერსის ვაჟიშვილის გარდაცვალებამ. ამის შესახებ იგი წერილობით და ზეპირადაც აღნიშნავდა. ხომ ცნობილია, რომ ნიკო მარი ივანე ჭავახავიშვილის ყველაზე დიდი მასწავლებელი იყო, რომელიც საჩაროდ აცხადებდა, რომ ივანე ჭავახავიშვილზე ნიჭიერი მოწაფე მას არ ჰყოლია.

თავის მხრივ აღრინდელ მოწაფეს არასოდეს არ შეუცვლია ღრმა პატივისცემა მასწავლებლის მიმართ, თუმცა მას არ შეეძლო არა თუ ოდნავადაც გაემართლებინა ნ. მარის დამოკიდებულება თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მიმართ, არამედ აეხსნა ეს ფაქტი, იმ კაცის მხრივ, რომლის მთელი წინანდელი მეცნიერული მოღვაწეობა ობიექტურად დიდად უწყობდა ხელს ქართული უნივერსიტეტის შექმნას. მას შემდეგაც, როცა ნ. მარისა და ივ. ჭავახავიშვილის გზები პრინციპულად დაშორდა ერთმანეთს. მოწაფეს არასოდეს არც ერთ თავის საჩარო გამოსვლაში და არც ერთ თავის წერილში ერთი წუთითაც არ დაეიწყებია, მისი დიდი მასწავლებლის დამსახურება სრულად აღუნიშნა და პატივისცემის ღრმა გრძნობა გამოემჟღავნებინა.

1934 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა აკად. ნ. მარი, თბილისის უნივერსიტეტმა გულთით დაითრია დიდი ქართველოლოგი. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ლ. აღნიაშვილი ნ. მარის ქვრივისადმი გავზავნილ სამძიმარის დეპეშაში წერდა: „გთხოვთ მიიღოთ ზომები აკადემიკოს მარის დასაფლავების შესახებ ტფილისში უნივერსიტეტის ეზოში“.

1934 წლის 22 დეკემბერს უნივერსიტეტში შედგა სამკლოვიარო სხდომა. რექტორის შესავალი სიტყვის შემდეგ აკად. ნ. მარის პირველი მოწაფე ივანე ჭავახავიშვილი გამოვიდა. ეს სიტყვა საუნივერსიტეტო „ბოლშევიკური კადრებისათვის“ გაზეთში დაიბეჭდა 1934 წლის 28 დეკემბერს. აი რა თქვა

ივ. ჭავჭავაძის მიერ: „განსვენებულ აკადემიკოს ნ. მარის მოღვაწეობა მრავალ-მხრივი და ნაყოფიერი იყო. ბუნებით იშვიათი ნიჭის პატრონი, იგი იმავე დროს დაუშრეტელი ენერჯის ადამიანი იყო. მისი მრავალი, შეიძლება ითქვას, უამრავი ნაწერები, და უფრო მეტი ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომები, ამავე დროს მისი არაჩვეულებრივი ნაყოფიერების დამამტკიცებელიც არის. რამდენმა დრომაც უნდა გაიაროს, მაინც აკად. ნ. მარის ღვაწლი ქართული და სომხური ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიისა და ისეთივე კულტურის ისტორიის წინაშე არასოდეს არ შემცირდება. დიდი აღფრთოვანებით და არაჩვეულებრივი სიყვარულით დაწერილი მისი გამოკვლევები შავთელისა და ჩახრუხადის შესახებ და „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ და დასასრულის ტაბეების შესახებ და მისი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება სამარადისოდ უკვდავი დარჩება.“

არანაკლები ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს ქართული ენათმეცნიერების წინაშეც, სადაც მან მწერლობის ძეგლების ენისა და კილოკავების შესწავლაში არა ერთი სამაგალითო ნაშრომი დაგვიტოვა.

დაუფასებელია მისი ღვაწლი არქეოლოგიაშიც. ამის ცხადსაყოფელად საქმარისა თუნდაც მისი განათხარის დასახელება ქ. ანისში, სადაც მან თავისი დაუღალავი ენერჯისა და სიყვარულის წყალობით საშუალ საუკუნეების ეს საუცხოო მიწაში ჩაფლული ქალაქი თითქოს მკვდრეთით აღადგინა და თვალწინ ცოცხლი წარმოგვიდგინა.

აღსანიშნავია აგრეთვე აკად. და პროფ. ნ. მარის დიდი პედაგოგიური ღვაწლიც. მან ხომ არა ერთი და ორი მკვლევარი შესძინა მეცნიერებას.

ყველა ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებს, რომ აკად. ნ. მარის ის დიდი ღვაწლი, რომელიც მას ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიისა და არქეოლოგიის წინაშე მიუძღვის, არასოდეს არ დაიჩრდილება და სამარადისოდ წარუხოციელი დარჩება „შთამომავლობისათვის“.

ამ სიტყვაში მთელი სისრულით დახასიათებულია აკად. ნ. მარის მეცნიერული დამსახურება, მაგრამ მასში არ არის ის, რისთვისაც იმ დროის ყველაზე მეტად, ნეკროლოგებშიც კი აქებდნენ აკად. ნ. მარს, როგორც იაფეტოლოგიის, ენის შესახებ ახალი მოძღვრების შემქმნელს, რომელმაც გამოაქვდა ენის კლასობრივი ბუნება და ა. შ.

მწუხარების ღრმა თანაგრძნობას გამოხატავდა დეპეშით ივ. ჭავჭავაძის მიერ ნ. მარის ოჯახის მიმართ.

ნ. მარის უნიკიერესი ვაჟიშვილი იური სიცოცხლის ბოლო წლებში თბილისში მუშაობდა (ოციანი წლის ბოლოს კი თბილისის უნივერსიტეტის აპირანტი იყო), ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული იგი უპირატესად აბასთუმანში ცხოვრობდა. მამას დიდად აღონებდა ჯანმრთელობა ერთადერთი ვაჟიშვილისა (მეორე დაჰყარა 1920 წელს). თანამედროვეთა გადმოცემით, ნ. მარი სულ იმის ფიქრში იყო, არ მოსწრებოდა შვილის სიკვდილს. მან ვერ ნახა შვილის სიკვდილი, მაგრამ მარტოდენ ერთ წელს გაგვრძელდა ამის შემდგომ ამ უნიკიერესი ახალგაზრდა პროფესორის სიცოცხლე.

იგი ერთი წლით ადრე თერაპიაში იყო ირანისტთა საერთაშორისო კონგრესზე და თვით ირანელთა გავიერება გამოიწვია სპარსული პოეზიის ცოდნით. რამდენი შემოქმედებითი გეგმა წაჰყვა თან 42 წლის მკვლევარს! დედამისი კი უკანასკნელი შვილის სიკვდილსაც მოესწრო. ყველაფერმა ამან უსაზღვროდ შეაძრწუნა ივანე ჭავჭავაძის შვილი. 1935 წლის 12 დეკემბერს იგი სწერდა ლენინგრადში ვარლამ დონდუას: „გაგებული გექნებათ საწყალი

იური (ფრიდონ) მარის გარდაცვალების ამბავი. სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი კაბუჯი ასე უღროვოდ დადუმდა და ვერ მოასწრო თავისი ზრახვებისა და დაწყებული მთავარი ნაშრომების გამოქვეყნება. უბედური მისი დედა, რომელსაც ამ სიბერის დროს ამდენი მწუხარება არგუნა უღმობელმა ბედმა. გული მიკვდება, რომ მე, რომელიც თავის დროზე ასე დაახლოებული ვიყავი, მის შემდგომ მომხდარი ამბების გამო ჩუმი, გულში ჩაკლული თანგრძნობის გარდა, არაფერი დამრჩენია!“

აჯალემიკოს ნიკო მარის დიდი შემოქმედების პირუთვნელ შეფასებას ეხვდებით ჩვენ ივ. ჭავჭავიძის გვიანდელ შრომებშიც. 1937 წელს გამოსულ ფუნდამენტურ წიგნში („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“) იგი პრინციპულად ემიჯნება აკად. ნ. მარის ახალ მოძღვრებას ენის შესახებ, მაგრამ იქვე საჭიროდ თვლის, მთელი სისრულით წარმოგვიდგინოს მისი დამსახურება: იგია ქართული ენათმეცნიერების „ნამდვილი განმავალბელი“, რომ „პროფ. ნ. მარის დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ ქართული და სომხური ტექსტების გამოცემის დროს, პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელთნაწერების, ასევე თვით ტექსტის ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს დას. ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შექმნა და დააკანონა.

თავისი სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნართა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“.

პროფ. ივ. ჭავჭავიძის ლაპარაკობს პროფ. ნ. მარის არაჩვეულებრივი ნიჭითა და მკვერნეტყველებით ნათქვამ დასკვნებზე, თუცა იქვე პრინციპულად ემიჯნება მის იაფეტურ თეორიას, მაინც „იმ ნაშრომებშიც კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას ადამიანი ვერასგზით ვერ დაეთანხმება, არ: ერთი გონებამახვილური შედარებაა გაფანტული და არა ერთი საინტერესო პარალელებია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება, გონებამახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელ წყაროდ სჩქეფს ყოველ მის ნაწერში... და მომავალი მკვლევარი იმ ნაშრომებშიც, სადაც ძირითადი დებულება დამაჭრებელი არ არის, არაერთს „პატიოსან თვალს“ აღმოაჩენს“. პროფ. ნ. მარის უმთავრესი ღვაწლი, ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით, იმაშია, რომ იგია „ქართული და ქართულური ენათმეცნიერების დაუცხრომელი, გატაცებული კვლევა-ძიების ნამდვილი სულისჩამდგმელი“.

ამიტომაც ქართველთა და სომხეთმცოდნეობის ისტორიაში ნ. მარის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება.

ივ. ჭავჭავიძის მიერ ნიკო მარის ამ შეფასებას მთლიანად იზიარებს ქართველი ხალხი.

იმ დროს ვარ. დონდუასადმი გაგზავნილ წერილებიდან ეგებულობთ, რომ, მიუხედავად ერთგვარი შენელებისა, ივანე ჭავჭავიძის წინააღმდეგ ბრძოლის სიმწვავე კვლავაც საგრძნობი ყოფილა. ჭებას, დაფასებას, აღიარებას ცვლიდა სიკეთის დაუნახობა და შეუწყნარებელი უმადურობა: მეტიც, წრესგადასული და დაუნდობელი ლანძღვა-გინებაც. მალე ყველაზე მწვავედ იგრძნო ეს ივანე ჭავჭავიძელმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის

დღესასწაულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იგი დაჯილდოვდა ერთთვიანი სამეცნიერო მივლინებით. მალე იგივე გულმშრალი რექტორი სულ სხვა როლში გამოვიდა.

ოცდაცამეტი წლის ასაკში რექტორობის კარიერით გატაცებული კ. ორაგველიძე 1936 წლის 23 მარტს ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე კითხულობს პრეტენზიულ მოხსენებას „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“.

ივანე ჭავჭავიძე იყო მთავარი და არც დასწრებია ამ სხდომას. მოხსენების შინაარსის შესახებ იგი თანდათანობით იგებს ახლობლებისაგან და მეგობრებისაგან. სწორედ ამ დროს ივანე ჭავჭავიძე პრინციპულ გადაწყვეტილებას იღებს. 1936 წლის 10 აპრილს წერილს უგზავნის განათლების სახალხო კომისარს: თვლის, რომ ამიერიდან მისი ყოფნა უნივერსიტეტში გაუმართლებელია და თავს აღარ თვლის მის პროფესორად. ამის შესახებ ორი დღის შემდეგ 1936 წლის 12 აპრილს ვარ. დონდუას ლენინგრადში სწერს: „უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა ტ. ს. უნივერსიტეტში. რექტორმა ორაგველიძემ 3 საათიანი მოხსენება წაიკითხა უნივერსიტეტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომის უფარგისობის დამტკიცებას ლამობდა... ამას მოჰყვა „კამათი“ ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი შხამი პრორექტორმა ვარ. ჭანელიძემაც წამოიწია და ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანაც თავი ისახელა“. პასუხად ივ. ჭავჭავიძე მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია: „ამის შემდგომ უ-ტში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა და ამიტომ განათლების კომისარს განცხადება გადავეცი, რომ ტ. ს. თავს ვანებებ. შევწყვეტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და სულ სხვა სპეციალობის საკითხებზე უნდა დავიწყო მუშაობა. უნდა უნივერსიტეტს ყველა წიგნი დავუბრუნო“.

საკმაოდ ცუდ დღეში აღმოჩნდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი. როგორც ჩანს, განათლების სახალხო კომისარიატში აღარ მოუწონეს ეს გადამლაშება. იგი ივანე ჭავჭავიძეის მრავალგზის სთხოვს უნივერსიტეტში მოსვლას, პირადად ურეკავს შინ ტელეფონით. ყურმილს ქალიშვილი ნათელა იღებს და მამას აცნობებს, რომ უნივერსიტეტის რექტორი სთხოვს ტელეფონთან. ეს უარს ამბობს ყურმილის აღებაზე.

პასუხი მოკვეთილად წარმოთქვა:

— მე აღარა ვარ უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორის მითითება ჩემთვის სავალდებულო აღარაა.

ბევრი თხოვნა უნივერსიტეტში დაბრუნებაზე, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას ივანე ჭავჭავიძე არ ცვლს. ბუნებრივია, რომ მას ჭერ რეაბილიტაცია სურს, მაგრამ არა თუ ეს არ მოხდა, არამედ, ახლა რექტორი გადაწყვეტს თავისი მოხსენება თაობებს დაუტოვოს განსაკუთრებლად. იგი მოხსენებას ბეჭდავს უნივერსიტეტის შრომებში (1936 წ. V, პირველი სერია. საზოგადოებათმცოდნეობანი), მალე წიგნადაც აქვეყნებს.

მოხსენება არავის ინდობს. იგი იწყება ფ. მახარაძის ცნობილი სტატიის „დანიელ კონჭაძე და მისი დრო“ ნიპილიზმის კრიტიკით. ამის შემდგომ მთავარი ცეცხლი მიმართულია ივ. ჭავჭავიძეისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. ის დადებითად კი, რომელიც კ. ორაგველიძემ ივ. ჭავჭავიძეის მიმართ გაიმეტა, ისევე მისი ღვაწლის დამტკიცების სულისკვეთებითაა ნაკარნახევი: „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჭავჭავიძე იყო აკეთებდა სასარგებლო საქმეს, როდესაც იგი ფაქტებს აგროვებდა და მათ ერთნაირ სისტემატიზა-

ციას ახდენდა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯერ კიდევ თითქმის საუ-
სებით ხელუხლებელი ემპირიული მასალების შესწავლის მხრე ივ. ჯავახი-
შვილს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის. სწორია ისიც, რომ ჯავახი-
შვილი თავის წინამორბედზე მაღლა დგას“ (გვ. 15).

ნამდვილი დაცივნაა, ივ. ჯავახიშვილის მეშვეობით ემპირიული მასა-
ლების, ფაქტების შეგროვებასა და მათ ერთნაირ სისტემატიზაციაზე დაიყვანო.
კ. ორაგველიძეს ისიც არ შეეძლო დამტკიცებინა, ვინ იღვა ივ. ჯავახიშვილ-
ზე მაღლა მის თანამედროვეთაგან და, რაც მთავარია, ამ კრიტიკის შემდეგაც
ისევ მასთან მიდიოდნენ დასკვნებისათვის, წინადადებისათვის (ივ. ჯავახი-
შვილისათვის დამადლებული სიკეთე ყოველთვის უცნობი იყო). კიდევ
მოსათმენი იყო მსგავსი უმადურობა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა პირად შეურა-
ცხყოფად ჩათვალა მომხსენებლის მტკიცება, რომ „ჯავახიშვილის მიერ
ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდა-
ლურ ექსპლუატაციას“ (გვ. 17), რომ ის „გარკვევით დგას ბატონყმობის
სისტემის გამართლების ნიადაგზე“ (გვ. 44). მომხსენებლის ცალკერძობა
შეუნიღბავად ჩანს იმაშიც, რომ იგი ივ. ჯავახიშვილის უპირატესად ადრე
გამოსულ ნაშრომებს უთითებს, არაფერს ამბობს იმაზე, რომ ივ. ჯავახიშვილმა,
პირველმა ისტორიკოსმა შორის, ბევრი რამ გაარკვია სოციალური ბრძოლის
ისტორიიდან არა მარტო საქართველოში, არამედ ძველს სომხეთშიც. ამის
შემდგომ რა ფასი აქვს ასეთ მტკიცებას კ. ორაგველიძისას: „ჩვენ არ შეგ-
ვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახიშვილი უარყოფს კლასების არსებობას ფეოდა-
ლურ საქართველოში. არა, იგი ამას ცნობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს
მათი ურთიერთობა მშვიდობიან ფორმაში, მწვავე კლასობრივი ბრძოლები
გარეშე“ (გვ. 42).

კ. ორაგველიძის აზრით, ივ. ჯავახიშვილი არ ხედავს, ჩქმალავს კლასთა
ბრძოლის ფაქტებს, მართალია, აღიარებს დაყინებული კრიტიკოსი, ივ. ჯავა-
ხიშვილი იძლევა მრავალს, ხშირად მნიშვნელოვან ფაქტებს თავისი ისტო-
რიული კვლევის დროს, „მაგრამ ფაქტებიც აქ ისეა შერჩეული და დალაგე-
ბული, რომ ისინი ეხებიან და აბოლოგეტურად აშუქებენ გაბატონებული
კლასებისა და მათი ცალკე წარმომადგენლების ცხოვრების ცაკლულ მომენ-
ტებს“ (გვ. 25). მაშასადამე, აქ ერთი ნაბიჯილა რჩება, რომ ივ. ჯავახიშვილი
სოციალური ისტორიის ფალსიფიკატორად გამოაცხადოს.

კ. ორაგველიძე აღიარებს, რომ ივ. ჯავახიშვილის შეხედულება საქართვე-
ლოსა და სომხეთში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მეცნიერული ღირე-
ბულებისაა იმით, რომ იგი უარყოფს კერძო საყუთრებას, როგორც მარადი-
ულ კატეგორიას, და აღიარებს პირველყოფილი ჭეშმური წყობილების არსე-
ბობის ფაქტს, ამასთან იგი აკრიტიკებს ს. ჯანაშიას იმისათვის, რომ მან კი არ
გააკრიტიკა ივ. ჯავახიშვილის შეხედულება გვაროვნული წყობილების ნია-
დაგზე სახელმწიფოს არსებობის შესახებ; მისი აზრით, სტრაბონის დროს
საქართველო ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა.

საერთოდ არანაკლები თავგანწირვით ილაშქრებს იგი ივ. ჯავახიშვილას
მოწაფეების წინააღმდეგ.

მალე, 1936 წლის 16 აპრილს „კომუნისტში“ წერილს აქვეყნებს გ. სო-
სელია სათაურით „უმეცრება თუ შეგნებული მავნებლობა?“. ის უმთავრე-
სად ივ. ჯავახიშვილის მოწაფეების წინააღმდეგაა მიმართული სახელმწიფოს
წარმოშობის საკითხში. გ. სოსელიას დასკვნით: „ჯანაშია-ბერძენიშვილმა
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს პროფ. ჯავახიშვილს სწორედ

იმ საკითხში, სადაც ეს უკანასკნელი დგას სავსებით სწორ პოზიციაზე, მათ მთელი თავიანთი ძალადონე მოახმარეს პროფ. ჭავჭავიძის იმ მტკიცების უარყოფას, რომლისთვისაც უნდა ჩაეკიდა ხელი მარქსისტ-ლენინელს“.

კ. ორაგველიძე თითქოს მადლობასაც კი ითხოვს თავის დამთმობლობისათვის და აღნიშნავს, რომ გაცილებით მეტის თქმაც შეიძლებოდა ივ. ჭავჭავიძისზე. ასეთ ბრალდებათა შემდეგ რექტორი სვამს ასეთ კითხვას: საჭიროა თუ არა ყოველივე ეს, მიუთმეტეს, რომ ნათქვამი ივ. ჭავჭავიძისის ძველ ნაშრომებს შეეხება, და არ არის ახლა არც ისეთი მდგომარეობა, რომ ივ. ჭავჭავიძისის სკოლა ბატონობდეს? და იქვე თვითონვე პასუხობს: ზოგიერთი მართლაც ასე ფიქრობს, რომ „ჭავჭავიძისის სკოლა სავსებით განადგურებულია და რომ აქ ჩვენს წინაშე უკვე არავითარი ამოცანა აღარ დგას“. მისი აზრით, „ივ. ჭავჭავიძისის ისტორიული სკოლა არ შეიძლება განადგურებულად ჩაითვალოს, რადგან მისი გავლენა ლიტერატურაში და ახალ კადრებზე ჭერ კიდევ მნიშვნელოვანია“ (გვ. 55). უნივერსიტეტის რექტორი უფრო შორს მიდის. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს არა მარტო ივ. ჭავჭავიძისის სკოლის აშკარა მიმდევრებს, არამედ მისი გავლენის ქვეშ მყოფ ისტორიკოსებსაც. იგი წერს: „ჩვენში მოიპოვება არა ერთი, რომელიც ფორმალურად ჭავჭავიძისის სკოლის მიმდევარი არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად. სინამდვილეში ისინი მისი მიმდევრები არიან და თავისი მუშაობის პროცესში, შეიძლება ცალკე შემთხვევაში უნებლიედ, მაგრამ მაინც მისი იდეოლოგიის გამტარებელია. არიან ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებიც ჭავჭავიძისის ცალკე დებულებებს მიუღებლად თვლიან, მაგრამ საერთოდ კი მის „ისტორიას“ სცნობენ. უნდა ითქვას, რომ ორივე ასეთი ტიპის ისტორიკოსები ჩვენ არა ნაკლებ ზიანს გვაყენებენ, ვიდრე ჭავჭავიძისის აშკარა მიმდევრები“ (გვ. 55).

სკოლის განადგურება, ისტორიის ბრჭყალებში ხსენება, ჩუმ მიმდევართა დათრგუნვა, — აი რა ისმოდა იმ დაწესებულებების კედლებიდან, რომლის შექმნას აძღვნი ნიჭი და სიყვარული შეაღია ივანე ჭავჭავიძისმა. მას ერთ თვეში 60 წელი უსრულდებოდა. უძმადურობასთან შეერთებული შეურაცხყოფა მძიმე დანაღექს სტოვებდა მასში.

60 წლის იუბილე შინაურების გარდა არავის გახსენებია.

1936 წელს 7 მაისს 60 წლის მეცნიერი სწერდა ეარ. დონდუას: „ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც აუღეკი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ ათი წელი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი გადაუტრიალი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შეეძლო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის იქნებ უცნაურიც იყოს კიდევაც წიგნების შექმნაზე ზრუნვა, მაგრამ მაინც კვლავ შეგაწუხებთ და ფული 1500 გადმოგიგზავნეთ ტელეგრაფით. თუ ჩემი საქმე ისე წავიდა, რომ მათი გამოყენება აღარ დამცალდა, ჩემს შვილს გამოადგება, თუ სამეცნიერო კვლევა-ძიებას შეუდგება“.

ივანე ჭავჭავიძისის შესანიშნავი შვილები დარჩა, ყველა მეცნიერია. კახა ჭავჭავიძისი გამოჩენილი არქიტექტორია. ალექსანდრე ჭავჭავიძისი ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსი, პროფესორი. ნათელა ჭავჭავიძისი კი შესანიშნავი ჰეკლევარი გახდა მამის უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობისა. მათ,

მამის არქივთან ერთად, შესანიშნავი ბიბლიოთეკა გადასცეს ხელნაწერების ინსტიტუტს და იგი ხელმისაწვდომი გახადეს დაინტერესებულ პირთათვის.

პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტიდან წაყვალას ივანე ჭავჭავიძე შინაგანად ამართლებს იმით, რომ ეს ერთადერთი გზაა გაემიჯნოს ცილისწამებასა და შეურაცხყოფას. მაგრამ ამას სასურველი შედეგი როდი მოჰყვა. პირიქით, „ბრალმდებელი“, ახლა საჩაროდ აქვეყნებს თავის მოხსენებას. ეს კი ყოველგვარ ეთიკას ეწინააღმდეგებოდა. მით უმეტეს, რომ რექტორი აღნიშნულ მოხსენების წაკითხვის შემდგომ არაერთხელ იწვევდა ივანე ჭავჭავიძეს უნივერსიტეტში. მართლაც, თუ ეს სწორი იყო, რასაც წერდა კიდევაც კ. ორაგველიძე, მაშინ თანამიმდევრობა მოაზიოვდა მისგან, რომ საკუთარი განცხადებით წასული პროფესორისათვის უკან დაბრუნება აღარ ეთხოვა. ცბიერებამ და მუხანათობამ რექტორისამ უნაპირო ზიზლი აღძრა. 1937 წლის 23 იანვარს ივანე ჭავჭავიძე წერს თავის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაზე და იქვე დასძენს: „ამ ფიზიკურ ტკივილს ზედ ზნეობრივიც დაერთო. კ. ორაგველიძემ უნივერსიტეტის ორგანოში დაბეჭდა თავისი მოხსენება, რომელიც შარშან წაიკითხა ჩემს წინააღმდეგ.“

მე ის მაშინ არ მომიხმენია და მისი შინაარსი მხოლოდ მონათხრობის სახით მქონდა გაგონილი. ესლა საშუალება მქონდა, ჩემს თვალთ წამეკითხა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ აღამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო: იმ ვაჟბატონის მტკიცებით თურმე ფეოდალური წესწყობილებისა და ჩაგრულთა მჩაგვრელთაგან ექსპლუატაციის გასამართლებლად დამიწერია ჩემი თხზულებები, საქართველოს საზღვრებზე რომ მაქვს მსჯელობა, ვითომც ვისიმე კარნახით და მეზობლების მძულვარებით ვხელმძღვანელობდე.

ჩემს გამოკვლევებში სოციალური ბრძოლის შესახებ ვითომც მე არას ვამბობდე და საერთოდ კი საქართველოს ისტორიის ფალსტიკატორის სახელების ღირსიკ კი გამხადა. აღვილად წარმოიდგენ, თუ რა გუნებაზე უნდა იყოს აღამიანი, რომელიც 39 წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ თავის ნამუშევრის ასეთ დახანიათუბას წაიკითხავს, ამასთანავე იმ დაწესებულების სათავეში მოქცეული პირისაგან, რომლის შექმნას მთელი თავისი ძალღონე და ჯანმრთელობა შეაღია. მაშინვე განცხადება შევიტანე, რომ უნივერსიტეტში ლექციების კითხვას მომავალ სექტემბერში თავს ვანებებ. მოსენებასაც არ მაძლევენ და თვით კ. ორაგველიძის დავალებით უ-ტში საჩარო ლექციის წაკითხვას მეპულარებიან, თანაც თურმე ასეთ საზიზლარ წერილს ბეჭდავდა იგი უ-ტის ორგანოში! მეძნელებოდა ამაზე მოწერა, მაგრამ სულ არაფრის თქმაც არ შემეძლო. ესლაც ჩემს თავს ძლივს დავატანე ძალა, რომ ამაზე სიტყვა ჩამომეგდო მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის გასაგები გახდეს ჩემი დუმილი, ამან მომაწერინა, თორემ აქაც ამაზე არავისთან საუბარი არა მაქვს და ჩუმაღ ჩემ გულში ვიკლავ ჩემი მოღვაწეობის ამ საზიზლარი გაწბილების მცდელობას“. ნამდვილი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაა არავის გაუმხილო გულისტკივილი, არ იწუწუნო, არავისთან სთქვა უსამართლობის შესახებ, რომ ამით მიინც შევბა იგრძნო, გული მოიოზო.

—არცერთი ვითარება, ივანე ჭავჭავიძის გარშემო რომ იქმნებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებენ მის ნაღვაწს, ვერ იწვევდა მის გულაცრუებას საშვილიშვილო საქმეებზე. ყოველთვის იგი სრული თავდაუზოგველობით მუშაობს იმ რწმენით, რომ „იმაზე მეტი ველარაფერი გადაძდება,

რაც მინახავს, და ოდესმე სიმართლე მაინც გაიმარჯვებსო". უფრო მეტი, შემოქმედებითი შრომა წყენა-შეურაცხყოფით გამოწვეულ ტკივილებს უქარვებდა მას. კემპარიტი მეცნიერი მკვლევარი ასე უნდა იქცეოდეს.

რასაკვირველოა, გულში კიდევ ერთი ძარღვი ჩააწყდა ერის ამაგდარ შვილს.

1937 წლის 8 თებერვალს ივ. ჯავახიშვილი კვლავ სწერდა ვარ. ღონდუას: „ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა შეტადრე უკანასკნელ ათეულში და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის კვლევა-ძიება იყო, ყოველთვის ასეთ შემთხვევაში თანდათანობით მღელვარება მიმშვიდდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარეს მავიწყებდა ხოლმე. ეხლაც მუშაობა არ შემიწყვეტია, იმისდა მოუხედავად, რომ ასეთი საზიზღარი შეურაცხყოფა ჩემი მოღვაწეობისათვის ჭერ არავის მოუყენებია“.

ივანე ჯავახიშვილს მისი ნაშრომების ნაკლის აღნიშვნა კი არ აღელვებდა (იგი იწონებდა კიდევ კრიტიკულ შენიშვნებს ყოფილ მოწაფეთა მხრივაც)¹, არამედ შეურაცხყოფა და დაუფასებლობა. იგი გზის გამწაღდელი იყო. ამას კი არ შეიძლებოდა ნაკლი არ ხლებოდა თან. გზის გამაფხველობა უმადური სამუშაოა. აი რას სწერდა ივანე ჯავახიშვილი 1937 წლის 7 მარტს ვარ. ღონდუას: „ჩემს ნაშრომებს არა ერთი ნაკლი აქვს, ეს მე თვითონ სხვებზე უკეთესად ვიცი. მაგრამ... გზის გაკაფვა აღვილი საქმე არ არის და თვით გამაფხველისათვის უმადურ სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა ვცდილიყავ, ჩემი გაკეთებული უნებლიეთ ჰაეხელად დაწერილის მსგავსი უნდა გამოსულიყო, მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი ეს სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის დამიშლია?! განა ჩემთვის კი უკეთესი არ იყო, რომ მე დამშვიდებული, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შრომისა და მძიმე ტვირთის გამანაწილებელი არავინ მყოლია“. იშვიათი ნიმუში საკუთარი ნაშრომების თავმდაბლური ავტოდახასიათებისა.

საბედნიეროდ, კ. ორაგველიძის გამოსვლა ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ უკანასკნელი იყო ამ სერიიდან. სწორედ იმ დღეებში ივ. ჯავახიშვილი მრავალ მხარდაჭერას იღებს. ეს წერილობითაც და ზეპირადაც კეთდება. სწორედ ეს პირები გამოხატავდნენ თანამედროვეთა და მომავალთა აზრს ივანე ჯავახიშვილის მიმართ.

აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ა. ს. სვანიძე (1884—1942), ნიჭიერი მკვლევარი და შესანიშნავი რევოლუციონერი მოღვაწე. პირველი სწორედ ის ცდილობს შეუწელოს ივანე ჯავახიშვილს ამგვარი შეურაცხყოფის ტკივილებში.

¹ არავითარი ხაზის გასმა თავისი როლისა ახალგაზრდს მეცნიერის ფორმირებაში ივანე ჯავახიშვილს არ უუვარდა. ცნობილია, რომ იგი არასდროს არ თაყილობდა, თუ მისი ყოფილი შეგირდი ახლა სხვანაირ შეხედულებას უქერდა მხარს, კარგად ესმოდა, რომ შეგირდობის ხანა არ ანთმედა ახალგაზრდა პირს უფლებას სრულიად დამოუკიდებელი აზრის გამოთქმისას. მეტიც, თვითონ იგი ყოველთვის ახალსებდა თავისი მოწაფეების მხრივ დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის, „ეპეის უფლებას“. ერთ მაგალითს მოვიყვანო. 1926 წელს ივ. ჯავახიშვილი საჩუქრად უგზავნის აკაკი შანიძეს თავის „ქართულ პალეოგრაფიას“. თვით კერძო წერილში აკაკი შანიძე 10 სექტემბერს სწერდა თავის მასწავლებელს: „არ ვიცი არაბულის გავლენით გამოიქვდა, თუ როგორ, რომ ბოლოად დავიწყე კითხვა. ძალიან მაინტერესებს მეხუთე თავი „ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი“. ზოგიერთი რამ აქ გარკვეულია და საბოლოოდ მისაღები, მაგრამ ზოგ რამეში ვერ დავეთანხმებით. ამაზე სჯობია პირადად მოგახსენოთ“. დიადი მეგობრობა მასწავლებლისა და უერთგულესი მოწაფისა არც ერთხელ არ ყოფილა ხელის შემშლელი თავისუფალი მეცნიერული აზრის გამოთქმისათვის.

ივანე ჯავახიშვილი აღრევე იცნობდა ალ. სვანიძეს. ეს მათი ნაცნობობა უნივერსიტეტში ალ. სვანიძის ლექტორად მიწვევის საკითხითა და გასაუბრებით იწყება.

1918 წლის ივლისში ალექსანდრე სვანიძე მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს: „მოწყალეო ხელმწიფე! ბ-ნმა ექვთიმე თაყაიშვილმა მთქმით, რომ ზენს უნივერსიტეტს აღმოსავლეთის ისტორიის ლექტორი არ ჰყოლია და მიიჩნია, წინადადება მომეცა თქვენთვის, რომ ჩემთვის შეგენახათ დასახელებული ადგილი. გისრულებთ მის დავალებას, თუმცა არ ვიცი, გამოვადგებით თუ არა.“

მე თუმცა მაქვს კომპილაციური ხასიათის შრომა „აღმოსავლეთის ერების ისტორია უძველესი დროიდან მონგოლთა შემოსევამდე“, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ტყუობიდან გამოშვებისას გერმანელებმა არ გამოატანეს ხელნაწერი დედანი. ვცდილობ მთავრობის შუამდგომლობით გამოეასწორო საქმე, მაგრამ როდის იქნება, ეს ღმერთმა იცის.

უნდა გაუწყვთ აგრეთვე, რომ სპეციალობით მე ძველი ისტორიკოსი გახლავართ და არა ორიენტალისტი.

რაც შეეხება ცენსს, მაქვს მხოლოდ პალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანის მოწმობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩემი სადოქტორო დისერტაცია „შენიშვნები საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ“ 17 ივლისს 1914 წელს მიღებული და მოწონებული იქნა დასახელებული ფაკულტეტის მიერ, სხვა მოწმობების შექმნა ომის ატეხის გამო შეუძლებელი შეიქმნა ჩემთვის.

იმედი მაქვს კადნიერებად არ ჩამომართმევთ ამ წერილს.

უცხო ენათაგან მხოლოდ ფრანგული და გერმანული ვიცი.

ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის გარდა კარგად მიცნობს ბ-ნი დიმიტრი უზნაძე“.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო 1918 წლის 17 ივლისს ადგენს, რომ ამ საკითხებზე მსჯელობას იქონიებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მთხოვენილი მოახერხებს და უნივერსიტეტს წარუდგენს თავის რომელიმე შრომას და სხვა საჭირო საბუთებს.

ამის შემდეგ ალ. სვანიძე სწერს უნივერსიტეტს: „თანხმად საბჭოს გადაწყვეტილებისა, წარმოგიდგენთ ჩემს დროებით მოწმობას და იმ შრომის ერთ ნაწილს, რომელიც საჭარო ლექციებად მსურდა გამოვეყენებინა წინათ. სხვა წიგნებიც (ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი, არაბეთი) ამავე ტიპისანი არიან. მხოლოდ ასურეთის ისტორიას დაერთვის ჩემი სადოქტორო დისერტაცია, სადაც საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ ცნობებია განხილული. მთელი შრომა ათასამდე გვერდს შეიცავს. ყოველი წიგნის ბოლოში ნაჩვენებია ის ლიტერატურა, რომლითაც ვსარგებლობდი მისი შედგენის დროს. საუბედუროდ, თქვენ აქ ვერ ჰპოვებთ ორიგინალურ ლიტერატურას, რაიცა კომპილაციის ხასიათს ანიჭებს მთელს შრომას. მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად მიმაჩნია სამწუხაროთ, რამდენადაც აქ არაბულზეა ლაპარაკი. ეგვიპტურს, სუმერულს ან ასურულს ძნელად თუ როდისმე შეისწავლის ქართველი კაცი ისე კარგად, რომ რ. ლეპსიუსის, ფ. ტიურო-დანენის ან ლ. ვ. კინგის თარგმანებს აუქციოს გვერდი. ძველ სპარსელებს და პართებს საერთოდ არ მოეძევათ ისტორიული ლიტერატურა. კარგად მოგეხსენებათ მათი ისტორია უცხოთა ცნობებზე ემყარება.“

სულ სხვაა არაბული, ურომლისოდ ნაბიჯის გადადგმაც კი ძნელია. ამას კარგა ხანია ვხვდები და შევეუდექი კიდეც მის შესწავლას. მაგრამ ტყვეთა

ბანაკი, სადაც უკანასკნელი სამი წელიწადი გავატარე. საუბედუროდ ნაკლებადაა სამეცადინოთ მოწყობილი. ვიპედოვნებ, რომ შემდეგში შევძლებ ამ ნაკლის შეესებებას“.

P. S. დისერტაციას იმიტომ ვერ გირდგენთ, რომ იგი ჰალეს უნივერსიტეტშია. ხელთ მაქვს მხოლოდ მისი გერმანულად დაწერილი შავი, თუ მოისურვებთ, რომელიმე ნაწილს გადმოვთარგმნი და წარმოგიდგინო“.

23 აგვისტოს დაწერილი ეს წერილი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა 1918 წლის 13 სექტემბერს, მანვე განიხილა აგრეთვე ალ. სვანიძის მიერ წარმოდგენილი ხელნაწერი ნაშრომი „სპარსეთი II არშაქუნანთ ხანა, III სასანიდთა ხანა“ და მოწმობა სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის დეკანისაგან. რომ ალ. სვანიძემ დისერტაცია წარუდგინა ზემოთ დასახელებულ ფაქულტეტს და რომ ალ. სვანიძე უნდა შესდგომოდა ზეპირ გამოცდებს, მაგრამ სამინისტრომ მას, როგორც შტრის ქვეყნის ქვეშევრდომს, ნება არ დართო.

საბჭომ დაადგინა: შრომა გადაეცეს განსახილველად პროფ. ივანე ჯავახიშვილს.

ივანე ჯავახიშვილის კეთილმოსურნე დასკვნა, სამწუხაროდ, არ დარჩა საკმარისი, რომ იმ დროს (1918 წლის ბოლოდან ალ. სვანიძე თბილისის უაღრესად პირველ გიმნაზიაში მოეწყო გერმანული ენის მასწავლებლად) მას თბილისის უნივერსიტეტში დაეწყო მუშაობა. ალ. სვანიძე სხვა გზით, რევოლუციურ-პრაქტიკული მოღვაწეობის გზით წავიდა, თუმცა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მეცნიერული კვლევა. მან სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენილმა რუსთველოლოგმა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1936 — 1937 წლები. ალ. სვანიძე ამ დროს თბილისის უნივერსიტეტში ქართულად სცემს წიგნს „შესავალი ალაროდელ ტომთა ისტორიისა“ და რუსულად — „ალაროდელი ტომების ისტორიის მასალები“. ამ წიგნებში გამოხატულია ღრმა პატივისცემა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული შეხედულებებისადმი. ა. სვანიძის ინიციატივით იქმნება ეურნალი „ვესტნიკ დრევენეი ისტორიი“. ეურნალის მთავარი რედაქტორია ალ. სვანიძე. იგი მხოლოდ და მხოლოდ მის ერთ ნომერს მოესწრო. მასში ალ. სვანიძის სამი წერილია დაბეჭდილი. დიდი შემოქმედებითი ტემპერამენტით ჩამოქნულ შესავალ წერილში ეურნალის ამოცანებია მოხაზული. მეორე წერილი ეხება ძველი აღმოსავლეთის ღმერთების სახელებს ქართულ სიძლეურებში. ხოლო მესამეა მისივე რეცენზია აკად. ი. მენჩანანოვის წიგნზე ვანის სოლებრივი წარწერების შესახებ. ეურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილია გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნეების პროფ. კ. ლემან-ჰაუპტისა და პროფ. ფ. ჰროზნის წერილები. ისინი სწორედ ა. სვანიძის ინიციატივით იყვნენ მოწვეული მეცნიერული მიზნით საბჭოთა კავშირში. 1936 წელს. პროფ. კ. ლემან-ჰაუპტი იყო თბილისში და წაიკითხა ქალღმერთმცოდნეობის კურსი. პროფ. ფ. ჰროზნი კი ლექციებს კითხულობს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში. სპეციალურ წერილში პროფ. ფ. ჰროზნი აღწერს თბილისში ყოფნასაც.

„უნდა ვთქვა, რომ ქართული უნივერსიტეტის პროფესურამ თბილისში გამოამყლავნა პირდაპირ პატრიოტული ინტერესი ჩემი ლექციების მიმართ.

ჩემი ლექცია თბილისის უნივერსიტეტის გაქედილ სააქტო დარბაზში შედგა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების წინა-

დადებამ უნივერსიტეტში ხეთოლოგიის კათედრის შექმნაზე. ეს კიდეც უფრო განამტკიცებდა კავშირს, ერთის მხრივ, ხეთურ და ხურიულ ენებთან და თანამედროვე კავკასიურ ენებთან, მეორე მხრივ“.

ა. სვანიძე არა მარტო აქტიურად უკერს მხარს ივანე ჭავჭავაძის მისი ცხოვრების უაღრესად კრტიკულ პერიოდში, არამედ პირდაპირ ისწრაფვის, ჩააბას იგი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ქართულ მკვლევართა ჯგუფს ხელმძღვანელად. 1935 წლის 29 ნოემბერს იგი მოსკოვიდან სწერდა ივანე ჭავჭავაძის: „ნება მიბოძეთ, ვრცლად შევეხო ერთ საკანს, რომელიც ძალიან მაინტერესებს. იმედი მაქვს, ჩვენი მიწერა-მოწერა ამ საგნის შესახებ ამ წერილთ დაწყება, მხოლოდ იმედი მაქვს იგი ხანგრძლივი იქნება.“

საქმე შემდეგშია:

ძველი ისტორიის შესწავლამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ. ეს ნაბიჯი იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ჩვენი ძველი წარმოდგენა წინააზიის ისტორიის შესახებ სრულებით აღარ შეეფერება სინამდვილეს.

დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ნაწარმოებს ჩვენ მიერ წაკითხულს, რომელიც დაახლოებით სურათს იძლეოდა წინააზიის ისტორიის შესახებ. შეიძლება ითქვას, ყოველ ახალ სერიოზულ გამოკვლევას ახალი განძი შეაქვს ძველი ისტორიის საღაროში. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ბუმბერაზი ცვლილებები ხეთური, ქალღური და სხვა წარწერების წაკითხვას და გამოქვეყნებასთანაა დაკავშირებული. ამ მოკლე წერილში ვერ ვიკისრებ ყველა ამ ცვლილების აღწერას, გაუწყებთ მხოლოდ ჩემს მოკლე დასკვნებს.

თქვენმა მეტად აზრიანმა პიპოთებამ, რომ ქართული ტომების ძველ საბინადრო მცირე აზიაში და საერთოდ სამხრეთში უნდა ვეძიოთ, სრულიად მოულოდნელი ფორმები შეიხსა“. იგი კონკრეტულად აყენებს საკითხს: ახლა, ა. სვანიძის აზრით, აუცილებლად საჭიროა „ივანე ჭავჭავაძის იქონიეროს თავი მოუყაროს ქართულ ისტორიკოსთა და ლინგვისტთა სერიოზულ ჯგუფს, ჯგუფის წევრებს თქვენ უკეთ გამოარჩევთ... პირველი ნაბიჯი ამ ჯგუფისა უნდა იქმნეს ქალღური გრამატიკის გადათარგმნა ქართულად და მისი შედარება ქართულ გრამატიკასთან. ქალღური გრამატიკას ამ მოკლე ხანში გამოგვგზავნით. საჭიროა, ამ ჯგუფმა კავშირი იქონიოს ლეიპციგის პროფესორ ფრიდრიხთან და საჭირო მასალები მიაწოდოს მას.“

მასალების მიწოდება ჩემი საშუალებით შეიძლება. თუ საზოგადოებას დააარსებთ და მის ხელმძღვანელობას იკისრებთ, მის მუდმივ წევრად მიგულახსმეთ“. იგი პირდება სოლებრივი წარწერების ენის შესასწავლად სახელმძღვანელოებს, ხეთური და ქალღური ტექსტების კრებულების შექმნას. „თუმცა ეს ლიტერატურა ძალიან ძვირად ღირს, — დასძენს იგი, — მგონია მე შევძლებ მივაწოდო იმ თანხებიდან, რომელთაც ერთა ლიგა მიგზავნის წელიწადში სამჯერ ქენევაში მისაღებლად. მოუთმენლად ველი პასუხს ამ წერილზე“.

მალე იღებს ივ. ჭავჭავაძის სასურველ წერილს და 1935 წ. 1 დეკემბერს პასუხსაც უგზავნის. მასში ვკითხულობთ:

„ფრიად პატივცემულო ბატონო ივანე, თქვენმა წერილმა ერთის მხრივ დამალონა, მეორეს მხრივ გამახარა. დამალონა იმ გარემოებამ, რომ თქვენი კალიბრის მოღვაწის ისეთ უწმინდურ პირობებში უხდება მუშაობა რომ მას საშუალება არა აქვს წლობით გამოაქვეყნოს ყველასათვის საინტერესო გამოკვლევები.“

შევეხვეწე რაც შემძლე გერმანე მგალობლიშვილს, რომ ყურადღება მოგაქციონ თქვენ და გაგიაღვიღონ მუშაობა. რაც შეეხება ქალების საკითხს, მგალობლიშვილი ფიქრობს სპეციალური კათედრა გახსნას უნივერსიტეტში. ძალიან კარგი იქნება, თუ სპეციალისტები ხელს შეუწყობთ მთავრობის ამ დაწყებულებას. მგალობლიშვილი ფიქრობს აგრეთვე, დაავალოს უნივერსიტეტს „შედარებითი გრამატიკის გამოშვება ქართ...ური ენებისა“ და აგრეთვე პარალელური ლექსიკონისა. გთხოვო, შეამზადოთ ჩვენი სპეციალისტების აზროვნება სამისოდ და თქვენი რჩევით ხელი შეუწყოთ ამ საქმეს. დაძირებული წიგნი, ე. ი. პროფ. ფრიდრიხის ურარტული გრამატიკა უკვე გადავეცი მგალობლიშვილს თქვენთვის გადმოსაცემად. თქვენ მიერ დაკვეთილ წიგნებს, როგორც მოვა, მაშინვე გადმოგიგზავნიეთ.

თქვენი ა. სვანიძე“

კიდევ ერთ წერილს ა. სვანიძისას ინახავს ივანე ჯავახიშვილის არქივი. მასში ვკითხულობთ: „ფრიად პატივცემულო ბატონო ივანე!

ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენგან ცოტა უფრო ნუგეშიანი წერილი მივიღე.

თქვენი ღვაწლი საქართველოს ისტორიის წინაშე იმდენად დიდია, რომ მის წინ წასაწევად დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გაუძლებთ და გადალახავთ. რაკი ეხლა დრო ხელს გეიწყობს, დავივიწყოთ ყველაფერი ძველი და რამდენადაც შესაძლებელია კოლექტიურად შეუდგეთ საქმეს. რაკი თქვენი ღვაწლი ყველაზე დიდია კოლექტივის ხელმძღვანელად, მის მომწყობად, სანამ ძალი შეგწევთ, თქვენ უნდა იყვეთ. იქონიეთ სახეში, რომ ხელმძღვანელისათვის საჭიროა ზოგიერთი სიმპათიების და მით უფრო ანტიპათიების გადალახვა.

თქვენ მიერ დასახულ პროგრამას სავსებით ვეთანხმები. მინდა მხოლოდ შეგთხოვოთ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ყოველმხრივ ქართველთა და ძველ კულტურისათვის ერთა ნათესაობას, ეს საკითხი მომწიფებულა: ამ ასპარეზზე ქართულმა ისტორიამ და ენათმეცნიერებამ უსათუოდ დახმარება მაინც უნდა გაუწიოს საერთო მეცნიერებას, თუ ბელადობა არა“. ამასთან იგი სთხოვდა ივანე ჯავახიშვილს, რომ თავისი აზრი გამოეთქვა მის რუსულად გამოცემულ წიგნზე ალაროდელთა ტომების ისტორიის შესახებ, რომელიც ვაჟის — კახა ჯავახიშვილის ხელით გამოუგზავნია. წერილს ა. სვანიძე ასე ამთავრებს: „ძალიან გთხოვთ, გადაათვალიეროთ და თქვენი შესწორებები და შენიშვნები მაცნობოთ. კითხვა ისეთ სათუთ საკითხს შეეხება; რომ აქ შეცდომები თვით ისეთ მეცნიერისათვის, როგორც თ. მაიერი იყო. აუცილებელია“.

ქეშმარიტად საყოველთაო მადლობის ღირსია ა. სვანიძე. იგი არა მარტო საკუთარ წყენად თვლის ივანე ჯავახიშვილის წყენას, არა მარტო საჭიროად თვლის სხვისი მოქმედებისათვის ბოდიში მოუხადოს ივანე ჯავახიშვილს, არამედ, გამოხატავს რა სრულ ნდობას, ისწრაფვის გულწრფელად ახალი პრობლემის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნოს დიდი ქართველი ისტორიკოსი. რასაკვირველია, თვით თბილისში ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა იგი სიყვარულსა და მხარდაჭერას. 1937 წლის 7 მარტს წერს: „ამ უკანასკნელ წლებში ჩემდამი დამოკიდებულება საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ორავგელიძის საქციელი მაინც დამახასიათებელია: მტრულად განწყობილნი მაინც არ გამოლენულან“.

ივანე ჭავჭავაძის მოსწონს საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისარათა საბჭოსი და საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 15 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“.

ამ დადგენილებით ისტორიის თავისი მნიშვნელობა და შინაარსიანობა დაუბრუნდა, „ცოდნის ამ დარგს შეეძლო ადამიანის აღზრდა-განათლებაში, ხალხის კულტურულ განვითარებაში კვლავ ღირსეული ადგილი დაეკავებინა. ფორმაციითა წინანდელი სქემატური მშრალი ფორმულების გროვის მაგიერ სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის გმირული და თავგანწირული ბრძოლის, მტრის უხეში ბატონობისადმი წინააღმდეგობების გაწევის, სოციალ-ეკონომიურ უთანხმოებათა მოძრაობისა და აჯანყების ამბებს, ყველა ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ღრამატიულ და ტრაგიკულ შდგომარეობას, ინტერესთა შეხლა-შემოხლასა და სულიერი გრძნობის ბრძოლას ყოველი ერის თავგადასავალის მოთხრობაში განსაკუთრებულნი ყურადღება მიექცა“.

1936 წლის 29 მაისს ივანე ჭავჭავაძი სწერდა ვარ. დონდუას, რომ ახლა ქართველი ისტორიკოსების თხზულებების გამოცემა უნდა დაიწყოს და მათი კრიტიკული გამოცემის ტვირთი მარტოა. „დიდი და აუცილებელი საჭირო საქმეა, უარის თქმა არ შეეძლო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვერიო ამოდენა მოვალეობას“.

ამ დროიდან, 1936 წლის 28 იანვრიდან, ივანე ჭავჭავაძი ინიშნება ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მედმე სწავლულ კონსულტანტად. ახლა ინსტიტუტში სულ სხვა ვითარებაა. ეს აღარაა კავკასიისმცოდნეობის ის ინსტიტუტი, რომელიც გაცილებით მეტს იღებდა თავის თავზე, ვიდრე თავისი მეცნიერული პოტენციალით შეეძლო, არც ის ინსტიტუტია, სადაც ერთ-ერთ გეგმიურ საკითხად იხილავდნენ და დაობდნენ იმის თაობაზე, ბურჟუაზიული თუ ფეოდალური შეხედულების მეცნიერად უნდა ჩაგვეთვალა ივანე ჭავჭავაძი, სახელდობრ 1932 წლის 20 იანვარს დიდი დისკუსია იყო ამის გამო. ერთ-ერთი გაბედული მოკამათე თვლიდა მაშინ, რომ მეტად ნაჩქარევია მისი ფეოდალურ ისტორიკოსად გამოცხადება. „უფრო მალე იგი ბურჟუაზიული მეცნიერია“.

კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში ყველაზე ღრმა ცვლილებები დაკავშირებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შექმნასთან 1935 წელს. ამის შემდეგ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი გადადის ახლად შექმნილი ფილიალის შემადგენლობაში. მალე იგი შეივსო ახალი მეცნიერული ძალებით და გარდაიქმნა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად. ივანე ჭავჭავაძი მოუწოდებდა ახალგაზრდა მეცნიერ კადრებს, არ გამოჩნოდნენ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობას; იგი გამოდიოდა იქიდან, რომ დაწესებულების ღირსებას პიროვნებები ქმნიან. ეს კარგად გაიგეს ივანე ჭავჭავაძის მოწაფეებმა და როცა ისინი სვ. ჯანაშიას მეთაურობით სთავეში ჩაუდგებიან ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რასაკვირველია, იწვევენ თავიანთ მასწავლებელს. ივანე ჭავჭავაძი ახლა სიამოვნებით ეთანხმება ენიშნის შედგენის მეცნიერული კონსულტანტის თანამდებობას. დიდად გაიზარდა მეცნიერული წონა ამ ინსტიტუტისა ივანე ჭავჭავაძის იქ მისვლით. ივანე ჭავჭავაძის ავტორიტეტი ინსტიტუტში უდიდესი იყო. ამას ინსტიტუტის ოქმების ძუნწ ტექსტებშიაც იგრძნობთ. ახლა ინსტიტუტის მუშაობამ სულ სხვა მიმართულება მი-

ილო. რამდენი პერსპექტივა და შემოქმედებითი გეგმა დაისახა ინსტიტუტის წინაშე. შეიქმნა მკვლევართა ჯგუფები ზუსტად განსაზღვრული მეცნიერული მიზნებით, შეირჩა ასპირანტთა საკრძნობი რაზმი, დაისახა საისტორიო ძეგლთა გამოცემის კონკრეტული გეგმა. ინსტიტუტი თავის მუშაობის მტკიცე კოორდინაციას აკეთებს თბილისის უნივერსიტეტთან. ინსტიტუტის ცხოვრების არც ერთი საკითხი არ იხილება ივანე ჯავახიშვილის უაღრესად ენერგიული მონაწილეობის გარეშე.

ასე, 1938 წლის 9 მაისის ენიშის სამეცნიერო საბჭო იხილავს განყოფილებათა 1939 წლის პერსპექტიულ გეგმას. ამის თაობაზე ისმენენ განყოფილებათა გამგებების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტს. ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს თავის აზრს. „აღნიშნავს სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ისტორიული ძეგლების და უძველესი ტექსტების გამოცემა. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, თუ ჩვენ ეხლავე არ შეუდგებით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, შემდგომი საკვლეო მუშაობისას პირდაპირ გადაულახავ დაბრკოლებას წაუწყდებით. ამ მხრივ სომხეთის მაგალითი უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ ორიოდუე ძეგლის გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული, ამიტომ საჭიროა დავსახოთ სრულიად გარკვეული გეგმა ისტორიულ ძეგლების გამოცემისა“. მას აქტიურად უჭერს მხარს პროფ. აკ. შანიძე. იგი თავის მხრივ ამბობს: „სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობაა საერთოდ ძველი ქართული ტექსტების გამოცემის მხრივ. იგივე მდგომარეობაა საისტორიო მწერლობის ძეგლების გამოცემის მხრივაც. საჭიროა ინსტიტუტმა დასახოს გარკვეული პროგრამა ამ ძეგლების გამოცემისა და შეუდგეს მის განხორციელებას. უკუგდებული უნდა იქნეს სრულიად მიუღებელი კანტი-კუნტად აქა-იქ ნასროლი აზრები, თითქოს ზედმეტი და უსარგებლო იყოს, მაგ., ოშკის კოდექსზე მუშაობა“. საბჭომ დაადგინა, არჩეულ იქნეს კომისია ივ. ჯავახიშვილის, ს. ჭანაშიას, აკ. შანიძის, ს. ყუბხიშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს შეადგინოს გეგმა საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ისტორიისათვის საჭირო ძირითადი ძეგლების და ტექსტების გამოსაცემად.

განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა ენიშის ცხოვრებაში. 1940 წლის 15 იანვარს ენიშის საბჭო იხილავს ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის საკითხს. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს თავის აზრს: „ეს მეტად საჭირო და აუცილებელი საქმეა. უნდა გაირკვეს, რა მოცულობის იქნება ლექსიკონი და რისი შემცველი. ლექსიკონი მკითხველს საშუალებას უნდა აძლევდეს ახალი ქართული მხატვრული ლიტერატურით სარგებლობისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლექსიკონში ზოგიერთი ისეთი დიალექტიზმიც უნდა შევიდეს, რომელიც მწერლობაში გვხვდება“.

1940 წლის 29 მაისს იხილება საკითხი ასპირანტურაში მისაღები გეგმის შემუშავების შესახებ. ივანე ჯავახიშვილი საჭიროდ თვლის ერთი კაცის მიღებას ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობაზე, ერთი კაცისას — ახალი აღმოსავლეთის მატერიალური კულტურის ისტორიის სპეციალობაზე და ერთი კაცისას — ქართული სამართლის ისტორიაში. ინსტიტუტს თავის გეგმაში შეაქვს ივანე ჯავახიშვილის ეს წინადადებანი.

1940 წლის 8 ივლისს შედგა ენიშის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. ერთ-ერთ საკითხად მოსმენილ იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ საჭიროა ქართული ძველი ხელნაწერების მინაწერებისა და ანდერძე-

ბის ამოკრეფა და ცალკე გამოცემა. აკაკი შანიძემ ახლაც აქტიურად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას და იქვე აღნიშნა, რომ სასურველია აგრეთვე, გამოცემულ იქნეს ეპიგრაფიკულ ძეგლთა კორპუსი. საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს აკად. ივანე ჯავახიშვილს, შეადგინოს ქართულ ხელნაწერთა მინაწერებისა და ანდერძების ამოკრეფისა და გამოცემის გეგმა, ხოლო პროფ. აკ. შანიძეს — ეპიგრაფიკულ ძეგლთა კორპუსის გამოცემის გეგმა.

სამეცნიერო საბჭოს ამავე სხდომაზე ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ჭანაშია აღნიშნავს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის უდიდეს დამსახურებას ქართული მეცნიერებისა და ქართველი ერის წინაშე, რომ ინსტიტუტმა ივანე ჯავახიშვილს შესანიშნავი მოლაწფობის ორმოცი წლის თავი (1899 — 1939) საიუბილეო კრებულის გამოცემით აღნიშნა. იგი გადასცემს ამ კრებულს. მისასალმებელი სიტყვა ივანე ჯავახიშვილის პირველმა მოწაფემ აკაკი შანიძემ წარმოთქვა.

ივანე ჯავახიშვილმა დიდად გაიხარა სასიამოვნო სიტუპრიზით — ენიშნის ამ ფუნდამენტური ტომით და სახელმწიფო მუზეუმის მოაზბით. იგი 1940 წლის 6 სექტემბერს წერილს უგზავნის კ. დონდუას: „მოულოდნელად (ბოლო დრომდის არა ვიცოდი რა) ენისა და ისტორიის ინსტიტუტისა და საქ. მუზეუმებისაგან ჩემთვის ძვირფასი საჩუქარი მივიღე: ორი ყოველშბრივ საყურადღებო და საგულისხმო კრებული. გამეხარდა, აქ თქვენი და ბ-ნ კარპუზის გამოკვლევებიც ვნახე, ორივე საინტერესო, რისთვისაც ბ-ნ კარპუზს და თქვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ“.

ვარ. დონდუასადმი გაგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ იგი არ არის კმაყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ შედგენილი „სსრკ ისტორიის“ მაკეტით, რომელიც 1938 — 1939 წლებში ხელნაწერის უფლებით მომზადდა. შენიშნავს ტენდენციურობას კავკასიის ძველი ისტორიის სხვადასხვა საკითხების გაშუქებისას. აქასთან, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი „რედაქტორი“ ზოგჯერ „წყალობას“ არ აკლებს ავტორის ნაწერს, ამიტომ იგი იძულებული გამხდარა ამის შესახებ გრეკოვისათვის ეცნობებინა, რომ ეგების ავტორისათვის სჯობდეს მისი სახელი საერთოდ არ ჩანდესო. ამ წესით, ამბობს ივ. ჯავახიშვილი, კოლექტიური ნაშრომის შედგენა „მიზანშეწონილად არ მიმჩნია ავტორების დაქაბენა-დაჩრდილის წადილი ცხადად ეტყობაო“.

ივ. ჯავახიშვილი კოლექტიურ ნაშრომში თითოეული თანაავტორის შემოკმედებითი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრე იყო, ისე რომ ეს ყოველთვის უნდა გაეთვალისწინებინა საერთო რედაქტორს. ამიტომ საჭიროდ ვთვლით, გავეცნოთ აკად. ბ. დ. გრეკოვისადმი გაგზავნილ წერილს, რომელიც 1939 წლის 1 ივლისს დაიწერა და რომელიც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ აკადემიკოსობა მხოლოდ ზრდიდა ივანე ჯავახიშვილისათვის პასუხისმგებლობას თითოეული სტრიქონისადმი, რომელზეც მისი ხელმოწერა იყო.

„ღრმად პატივცემულო ბორის დიმიტრის-ძევ,

გიბრუნებთ რა ჩემთვის გამოგზავნილ ისტორიის შეიდტომეულის 11 ნაწილს, თავს ვალდებულად ვრაცხ მივაქციო თქვენი ყურადღება ამ კოლექტიური შრომის ზოგიერთ მხარეზე. ნაწილები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ განხილულია სრულიად განსხვავებულად. საქართველოსა და აზერბაიჯანის შესახებ თავებში არსად არ არის დეტალური აღწერა ბრძოლებისა, არ არის ექსცერპტები პირველწყაროებიდან, რომლებიც

დაწერილებით აღწერდნენ მოვლენებს როგორც ეს უნდა იყოს ისტორიის ზოგად კურსში, მაშინ როცა სომხეთის შესახებ თავების აღწერა ხდება სწორედ ამ მეთოდით... სომხეთის შესახებ თავებში მეტად ძუნწადაა ლაპარაკი X — XII საუკუნეების სომხეთის საზოგადოებრივი წყობისა და სოციალური საკითხების შესახებ, იმ დიდ კულტურულ აღმავლობაზე, რომელიც ამ ეპოქაში იყო. თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი სომხეთში გლენხა გამოსვლების შესახებ, გლენხებსა და მონასტრებს, ეპისკოპოსებს შორის წინააღმდეგობებზე, მაშინ როცა ამის შესახებ დაბეჭდილი გამოკვლევებია, რომლებიც სომხეთის შესახებ თავების ავტორების მიერ არ არის გამოყენებული. უცნაურია ყოველივე ამის შემდეგ შეავსო ამგვარი ხარვეზი ფაქტობრივი მიმოხილვით საზოგადოებრივ წყობილებაზე და სოციალური მოძრაობის ისტორიაში არაკებთა და იგავებით, რომელიც კარგი იქნებოდა, როგორც მხოლოდ საილუსტრაციო მასალა ფაქტიურ მასალისა. საზოგადოდ თავები სომხეთის შესახებ ჩემი აზრით, მოითხოვს არსებით გადამუშავებას. ავტორი, როგორც ჩანს, იმყოფება სომეხი პუბლიცისტის ლეოს ჰიპოთეზის გავლენის ქვეშ, რომელმაც ანაქრონისტულად გადაიტანა თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ცნებები XI — XII საუკუნეების ეპოქაზე.

საქართველოს შესახებ გარდუვალი საჩუქარები შემოკლებები, ჩემის აზრით, საზიანოდ აისახა სახელმწიფო-სამართლებრივი, სოციალური ბრძოლის ისტორიის მოვლენების მიმოხილვისას. შედეგად მივიღეთ მკრთალი და აბნეული სურათი. ამასთან რატომღაც XI—XII საუკუნის შესახებ თავში მოხვდა ცნობები, რომლებიც ეხება საქართველოს სოციალურ სტრუქტურას XIII საუკუნის მეორე ნახევარს და XIV საუკუნეს. შედეგად მივიღეთ არეულარევა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, მე გავასწორე, მაგრამ გულმართლად უნდა ვაღიარო, რომ არ შეიძლება იყო პასუხისმგებელი იმ მიმოხილვისათვის, რომლის ავტორი არა ხარ.

თავები აზერბაიჯანის შესახებ კარგადაა მიმოხილული“. როგორც ვხედავთ, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის ისწრაფვის, საერთო საკვშირო გამოცემაშიც კეთილი ადგილი მოუძებნოს სოციალური მოვლენების ისტორიას, ამასთან წინააღმდეგია კოლექტიური პასუხისმგებლობისა ნაშრომისათვის, რომელიც კოლექტიურად არ არის შესრულებული.

ივ. ჯავახიშვილის წერილს ჭეროვანი რეაგირებაც მოჰყვა. 1940 წ. 25 აპრილს აკად. ბ. დ. გრეკოვი უზნავნის ივ. ჯავახიშვილს სარ კავშირის ისტორიის III ტომის იმ თავებს, რომლებიც საქართველოს ეხებოდნენ. წერილში ვკითხულობთ: „თავის დროზე თქვენ თავაზიანად მიუთითეთ მთელ რიგ დეფექტებზე იმ თავებისა, რომლებიც გადამუშავებას საჭიროებდნენ. იმის გამო, რომ მოსკოვში არ არის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო თქვენს მიერ გაკეთებული ყველა შენიშვნა, ამ ტომის მთავარი რედაქცია მოგმართავთ თქვენ თხოვნით, საბოლოო რედაქცია გაუკეთოთ ტექსტს, შეიტანოთ მასში თქვენის თვალსაზრისით ყველა აუცილებელი შესწორება, ისე რომ შესაძლებელი იყოს, ეს ტექსტი ჩავაბაროთ დასაბეჭდად“.

• • •

ივ. ჯავახიშვილი თავის კერძო წერილებში სხვადასხვა ცნობებს აწვდის ვარ. დონდუას თბილისის ცხოვრებიდან. ერთ-ერთ წერილიდან ვგებულობთ, რომ 1937 წლის 7 მარტს მას გული მწუხარებით აღევსო იმის გამო, რომ

„ხელბრძანებანი გვეცლება ისეთი პატიოსანი მუშაკი, როგორც მიხვილ შევარდნაძეა. ტრამვაიმ ფეხის თითები მოსწყვიტა, ამას სისხლის მოწაპლეა მოჰყვა, ამ სამი დღის წინათ ბუხლის ზევით მოაჭრეს უკვე ფეხი, მაგრამ ვერც ამან უშველა და უკიდურეს განსაცდელშია“. ექვს დღეში იგი გარდაიცვალა.

მ. შევარდნაძეს (1884—1937) ადრევე იცნობდა ი. ჭავჭავაძე, უნდოდა კიდევ უნივერსიტეტში მოეწვია ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნისას. იგი ამის თაობაზე ცდილობდა დაეკავშირებოდა მას ალ. ჭანელიძის გზით. 1917 წელს ივლისში ალ. ჭანელიძე უგზავნის კიდევ მ. შევარდნაძის წიგნს, ლაიპციგში სადოქტორო დისერტაციად დაბეჭდილს სიკვდილით დასჯის შესახებ. ამასთან ალ. ჭანელიძე დასძენდა: „მ. შევარდნაძე თავისი სადოქტორო თემას ისე უყურებს, როგორც მოწაფის ნაშრომს. რამდენად სამართლიანია მისი შეხედულება, ამას თქვენ უკეთ დაინახავთ, როდესაც წიგნს გაცნობით“.

მ. შევარდნაძეს არ დაუწყია მუშაობა სოციალურ-ეკონომიურ ფაქულტეტზე. იგი გერმანულის მასწავლებელი იყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. დარჩა სახელმძღვანელოები. მუშაობდა საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის დირექტორად, ხელი შეუწყო ივ. ჭავჭავაძის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ახალი ეპიკრიზის აღმოჩენას.

ეკრძო წერილებში ივანე ჭავჭავაძე მრავალ საკითხზე წერს გულახდილობით. თავისი გულთკობით ნიშანდობლივია 1938 წლის 31 მარტს გაგზავნილი წერილი, რომელშიც მისი გვიან გაგზავნის ერთ-ერთი მიზეზია ახსნილი: „ჩემს სამუშაო ოთახში, ჩემ ბინაში სწორედ ჩემი მაგიდის გასწვრივ კერი ჩამოინგრა საბინაო ამხანაგობის პასუხისმგებლობის სრული შეუგნებლობის წყალობით, სამი წელიწადია, რაც ვაფრთხილებდი: სახურავი შესაკეთებელია, წვეთავს და, თუ ესეც არ შეაკეთებთ, კერი უუკველად ჩამოინგრევა-მეთქი. ყოველწლივ მპირდებოდნენ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ, და ჩემი სიტყვა გამართლდა. სრულებით შემთხვევით გადავურჩი სიკვდილს: საქ. მუზეუმში ვიყავი ამ დროს და ამიტომ არ ვმუშაობდი... წარმოუდგენელია ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც ამის გამო ვიპყოფები. წიგნებისა და ჩემი ნაწერების პოვნა მიძნელებდა. ისე მიყრია ყველაფერი. ამავე დროს აუარებელი სასწრაფო სამუშაოა“. ამ წერილებში ვეცნობთ ივანე ჭავჭავაძის, როგორც მზრუნველ მამას. 1938 წლის 18 ივლისს იგი სწერს ვარდონიძეს, რომ ლენინგრადში მიემგზავრება მისი შვილი ლალი (ამჟამად პროფესორი, დოქტორი) და მას ვატან წერილს „ჩემი შვილი პირველად მოდის მანდელთ და გთხოვთ, როგორც ჯერ გამოუცდელს, თქვენი რჩევა-დარიგება: არ მოაკლოთო“.

ივ. ჭავჭავაძე მარტო თხოვნით როდი მიმართავდა მარად მოსიყვარულე ადრესატს. იგი ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა მის მეცნიერულ წინსვლაზე. ამაში მისი მოქალაქეობრივი დიდებუებოვნება ვლინდებოდა. 1936 წლის 29 მაისს გაგზავნილ წერილში ივ. ჭავჭავაძე ეთანხმება ვარდონიძეს, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ტექსტის ძალზე დამახინჯებული მდგომარეობის გამო არ არის მიზანშეწონილი რუსულად თარგმნა, ახლა ივანე ჭავჭავაძე მას ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელს ტექსტს სთავაზობს სათარგმნელად და სწერს: „სამაგიეროდ ბასილი ეზოსმოდვარის თამარის ისტორიის გამოცემას ვაპირებ პირველად, როგორც ჯერ გამოუქვეყნებელს, შემდეგ იქნებ ეს ძეგლი აგერჩია გადასათარგმნელად? კარგად და მშვენიერი ენით არის დაწერილი და იმავე ხანას ეხება“.

ეს წინადადება მიიღო ვარ. დონდუამ და მისი თარგმანი „შოთა რუსთველის ეპოქის ძეგლებისადმი“ მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა 1938 წელს ლენინგრადში.

მადლიერი ვარ. დონდუა 1940 წელს ივ. ჭავჭავიძისადმი მიძღვნილ ენიმკის „მოამბეში“ წერდა, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის თამარის ცხოვრების რუსულად გამოქვეყნება მოხერხდა „თვით ძეგლის დედნის აღმდგენელის და გამოსაცემად შემზადებულის აკად. ივ. ჭავჭავიძის თავაზიანი ნებართვით“.

ივ. ჭავჭავიძე 1936 წლის 19 ოქტომბერს სწერს ვარ. დონდუას, რომ, როგორც მან თ. გონიაშვილისაგან გაიგო, პროფ. ვ. ნ. ბენეშევიჩის განზრახული ჰქონდა დიდი სჯულის კანონის საერთო ნაწილის გამოცემა, „თუ რომ ძველი ქართულის თარგმანის გამოცემას მე ვიკისრებდი. ეს ძალიან კარგი საქმე იქმნებოდა, მაგრამ მე პირადად ისე ვარ დატვირთული და თანაც ჩემი ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მაგაზე ფიქრიც არ შემიძლია. ეგების თქვენ გეკისრათ ეს საქმე. დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ მაგ ძეგლის გამოცემას ვლირებოდი“. ასევე იწონებს ივ. ჭავჭავიძე ვარ. დონდუას შემოქმედებით გეგმებს, თავის მხრივ სთავაზობს კოლექტიურ სამუშაოებში მონაწილეობას. 1938 წლის 2 აგვისტოს იგი აცნობს ვარ. დონდუას, რომ საქართველოს კვ. ცენტრალურმა კომიტეტმა განიზრახა, საქართველოს ისტორიისათვის მიძღვნილი მონოგრაფიები დაიწეროს იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს შემდგომ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა. გეგმის შედგენა ივ. ჭავჭავიძის დავალა. ივ. ჭავჭავიძე გვამცნობს იმას, თუ როგორი გეგმა წარადგინა სპეციალისტთა შორის შრომის დანაწილებისა. აქედან ჩვენ გავიგებთ, რომ განზრახულია არქეოლოგიების, ენათმეცნიერების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობა. „ისტორიკოსთა შორის თქვენც ხართ თანამშრომელთა სიაში შეტანილი, საჭიროა მხოლოდ იმ ხანის განსაზღვრა, რომელსაც თქვენთვის არჩევას უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევდით.“

კარგად მოგეხსენებათ, საქართველოს ისტორია XII ს. შემდეგ სრულებით შესწავლილი არ არის და მთავარი სიძნელე დასაწყისი ხანისა და ამ დროთაგან მოყოლებული მოგვიხდება. XII—XV ს.ს. ისტორიის დაძლევის ცდა მე მიხდება, რადგან ამაზე ბევრი მაქვს გამოქვეყნებული, თუმცა ეს ხანა მეტად ძნელი აღსადგენია. ესლა XVI—XVIII ს.ს. ისტორიის განაწილების საკითხია: თქვენ და ნ. ბერძენიშვილმა უნდა იკისროთ ამ ხანის ისტორიის დაწერა. თქვენ რომელ საუკუნეებზე უფრო მუშაობთ სპეციალურად და რომელი ხანა გირჩევიათ? დანარჩენს ნ. ბერძენიშვილს დავაკისრებდით“.

1939 წლის 21 ივნისს იგი აღნიშნავდა, რომ მან ქართული საისტორიო წყაროების გამოცემის გეგმა შეიტანა ენიმკის საბჭოში და ახლა კოლექტიური შრომის განაწილება საჭირო. „გაცნობებთ, თქვენ და ბ-ნი კარპეზი რომელი ძეგლის აღებას მოისურვებდით“. ამას უმატებს, რომ უკრაინიდანაც გვთხოვენ საისტორიო ქრესტომათიისათვის ქართულ ძეგლებს. „ეფიქრობ, რომ თქვენ და კარპეზს ამ საქმის განხორციელება საუკეთესოდ შეგიძლიათ, თქვენი თარგმანები რუსთაველის კრებულში საუცხოვოა“.

ივანე ჭავჭავიძის შეუღარებელი უნარი ჰქონდა, მოეძებნა მკვლევრისათვის პრობლემა, სადაც მისი ნიჭი სრულად გაიშლებოდა. ამისათვის თვითონ ავტორის სურვილების გათვალისწინება მას ყოველთვის აუცილებლად მიაჩნდა.

დიდი ნიჭია, ყველას ის საქმე დაავალო, რომელსაც იგი სხვაზე კარგად შეასრულებს და, ამასთან, შემოქმედებით კმაყოფილებასაც იგრძნობს. ულევო შემოქმედებითი საქმეები, მოხსენებები, სხდომები, ზეპირი და წერილობითი პასუხები, სტატიები და მონოგრაფიები თითქოსდა ახშობენ ავადმყოფობის ტკივილებს, მაინც დაღლილი გული ხშირად ახსენებს თავს. ვარ. დონდუასადმი გაგზავნილ წერილებში ჩვენ შეგვიძლია კვალდაკვალ მივყევით იმას, თუ რა პირდაპირობით აღწერს ივანე ჭავჭავაძის მიახლოებულ სიყვდილს და რა ახალ და ახალ შემოქმედებით გეგმებს სახავს, რომ შემოქმედებითი ზრახვები აღასრულოს, კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გაშალოს მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზატორული მუშაობა. ასე, 1937 წლის 26 აპრილს იგი სწერდა ვარ. დონდუას: „საშინლად ვარ დაღლილი და არ ვიცი, როგორ აიტანს ჩემი სხეული ასეთ დაძაბულს მუშაობას“, მაგრამ სხეულის დაღლა გონების სიმძლავრეს მაინც ვერაფერს აკლებს. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, კვლავ თხოვნი: „ბერძნულის დაბადების ვერაფერი ხერხდება?“

1937 წელს 24 ნოემბერს ბოდინის უბნის წერილის უკიდურესად დაკვიანებისათვის და ამცნობს: „მძიმედ ვიყავი ავად და მხოლოდ ეხლა წამოვდექი... უკვე ამან ძალზე დამასუსტა. ზედ გრიპოზული ბრონხოპნევმონია დაერთო და ორივე ფილტვში ანთების პროცესი მთლად მოდებული მქონდა. არ შეგონა ჩემი ხნის კაცისათვის ამ საშინელს ავადმყოფობას გადაუვრჩებოდე, მაგრამ სიკვდილს გადაუვრჩი, არა მგონია კი, რომ დიდი ხნით“.

ამ სიტყვების შემდეგ ივანე ჭავჭავაძის საში წელი იცოცხლა. ეს იყო საყოველთაო აღიარების, პატივისცემისა და გამომქვადებული სახალხო სიყვარულის წლები. სამწუხაროდ, ეს წლებიც, რასაკვირველია, ვერ აჩერებს ჭანმრთელობის სერიოზულ შერყევას, ავადმყოფობის გაძლიერებას. ჭანმრთელობის მდგომარეობაზე იგი მრავალჯერს გულმართლად სწერს ვარ. დონდუას.

1938 წლის 31 მარტს იგი კვლავ სწერდა ვარ. დონდუას: „თუმცა ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს ფიზიკურად, მაგრამ მაინც, როგორმე მინდოდა ბერძნული დაბადების მანდ შეძენა“.

ასევე 1939 წლის 22 თებერვალს ივანე ჭავჭავაძის კვლავ სწერს თავის მუდმივ ავადმყოფობაზე: „ჩემი ჭანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ხანგრძლივ და ახალ-ახალ სამუშაოზე ოცნება ტყუილი თავის მოტყუება იქნებოდა, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, მუშაობის შენელება არ მინდა და ამიტომ წიგნები მჭირდება, მრცხვენიან-კი, მაგრამ ისევე თქვენი შეწუხება მიხდება, უპირველესად ბერძნული დაბადება. ეხლა მეტადრე, როდესაც უნივერსიტეტის წიგნსაცავიდან გამოტანილი წიგნების დაბრუნება მომიხდა. ენისა და ისტორიის ინსტიტუტი წარუღეს ოშკის დაბადების გამოცემას შეუდგა და ამიტომ აკ. შანიძეს დასჭირდა და დავაბრუნე. ეგ ბერძნული ტექსტი-კი მე ამჟამად აუცილებლად მჭირდება, რადგან ქართული ნივთიერი კულტურის ისტორიას ვკითხულობ, და ტერმინების შესატყვისობათა გამოსარკვევად ეს წყარო, როგორც მოგეხსენებათ, კარგ წყაროს წარმოადგენს. თქვენ ვიდაც გპირდებოდათ, და იქნებ მოხერხდეს (შეძენა): რაღაც არ უნდა დამიჭიდეს, გადავიხდი“.

1939 წლის 9 აგვისტოს ივანე ჭავჭავაძის კმაყოფილებით სწერდა ვარ. დონდუას: „გულთაღ მადლობას მოგახსენებთ გადმოგზავნილი წიგნებისა-

თვის, მეტადრე სასიამოვნოა, რომ ბერძნული დაბადების ტექსტა ეხლა უკვე ჩემი საკუთარი მექნება“.

დალლილი გული ვერ აჩერებს მუშაობის მრავალ მიმართულებასა და მრავალმნიშვნელობას.

1939 წლის 21 ივნისს დაწერილ წერილში ვკითხულობთ: „უკიდურესად დატვირთული ვარ მრავალნაირი საქმეებით: ძილისათვისაც კი დრო აღარა მაქვს ზოლმე და ზოგჯერ 3—4 საათის მეტი ძილისათვის დრო აღარ მჩვენა“.

1940 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ ბოლო წერილში მოახლოებულ სიკვდილზე ლაპარაკს მოსდევს სხვადასხვა შემოქმედებითი ზრახვები, ცხოვრებისეული აქტიურობა. ეს ფრიად საქმიანი წერილი ასე იწყება: „კარგახანია ავად ვარ: ნაწლავების წყლული სიცოცხლეს მიმწარებს და მთელ სხეულს სწამლავს. ამიტომ გულის მუშაობაც ძალზე მომეშალა: კოჭლი ცხენით ბორძიკობს. საგარაკოდ ვიყავი იმ იმედით, რომ ეგების ჰავას მაინც ერგო, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ვერც ამან გამოასწორა, და ვგონებ საერთოდ ველარც გაუმჯობესდება“.

თ ა ვ ი II. გაბედული ჟიგნი

1937 წელს გამოდის ივ. ჭავჭავაძის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ეს ივ. ჭავჭავაძის ერთადერთი ლინგვისტური მონოგრაფიაა. ენათმეცნიერული ძიებანი თითქმის ყველა მის გამოკვლევასი გვხვდება. ფილოლოგია მის ნაშრომებში დიდ სამსახურს უწევს ისტორიკოსს. უძველესი ხანის ბევრ ბუნდოვან მოვლენას მხოლოდ ფილოლოგიურ-ისტორიული ძიება ავსებს. „წმინდა“ ლინგვისტური ფუნდამენტური მონოგრაფიის შექმნას ივ. ჭავჭავაძის მხრივ თავისი ახსნა და გამართლება აქვს. როგორც ცნობილია, არ არსებობს მეცნიერი მკვლევარი, რომელსაც თავის ნაშრომში არ სჭირდებოდადეს სხვისი მეცნიერული შედეგების გამოყენება. ეს მით უფრო გარდუვალია, როცა ერთი პიროვნება ერის ისტორიას წერს. ამ დროს მას მოეთხოვება მეცნიერთა სხვადასხვა შეხედულებებიდან სწორედ ის გამოიყენოს, რაც ყველაზე უფრო ჭეშმარიტად მიაჩნია მას. სამწუხაროდ, ასეთი არჩევანის წინაშე როდი იდგა ივანე ჭავჭავაძი, როცა იგი ქართველი ერის ისტორიას ქმნიდა:

1908 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი გამოცემისას ლინგვისტურ საკითხებზე მსჯელობის დროს ივ. ჭავჭავაძი პროფ. ნ. მარის ნაშრომებსა და თეორიას ემყარებოდა, რომელიც მას „მამინ შუემცდარად ეჩვენებოდა“.

ამ წიგნში ივ. ჭავჭავაძი წერდა იმ ევროპელ მეცნიერებზე, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული (გამონაკლისი ავსტრიელი პროფესორი ჰუგო შუხარტი იყო), და ამ ენის ბუნებაზე მსჯელობდნენ. „ისინი კავკასიურ ენებს ერთმანეთში დომხალივით ურევენ და თავიანთი აზრის დასამტკიცებლად ერთი მაგალითი ქართულიდან მოჰყავთ, მეორე ჩაჩნურიდან, მესამე ავარულიდან, მეოთხე ჩერქეზულიდან და სხვა.“

ამგვარად თავიანთ შექმნილ ენას „კავკასიურს“ ეძახიან. მართალია, წინადაც თქმულა და ეხლაც ბევრი საბუთი მოიპოვება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთ ენებს (მაგ. აფხაზურს, ჩერქეზულს, დიდოურს) ქართულთან ნათესაობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ აზრს ჭერ კიდევ მეცნიე-

რულად დამტკიცება უნდა და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მეცნიერებამ თეორიულად ერთი თავდაპირველი ენა აღადგინოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება „კავკასიურზე“ ლაპარაკი“ (გვ. 15).

1888 წელს გაზეთ „ივერიასი“ ნ. მარმა დაბეჭდა პატარა წერილი „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. იქ იგი ამტკიცებდა ქართული ენის სემურ ენათა ჯგუფთან ნათესაობას. შემდგომ მის სხვადასხვა თხზულებებში ხშირად გაუმეორებია ეს აზრი. 1899 წელს პეტროგრადის უნივერსიტეტში მან ქართულ-სემური გრამატიკის კურსიც წაიკითხა. ივ. ჭავჭავიძემ ეს კურსი მთლიანად მოისმინა. 1908 წელს ნ. მარი გამოკვლევას ბეჭდავს ქართული და სემური ენების მონათესავეობის შესახებ უმთავრესი დამამტკიცებელი საბუთებით. ამის გამო თელიდა ივ. ჭავჭავიძელი, რომ ქართულისა და სემური ჯგუფის ენათა ნათესაობა დამტკიცებულია. მას ქართული სემურ ენად კი არ მიაჩნდა, არამედ სემური ჯგუფის ენათა მონათესავედ. იგი ამ შეხედულებას დიდ მომავალს უქაღდა და იქვე დასძენდა: „ჩვენ ქართველებსაც ვალად გვაღვივებს, რომ ჩვენ ნიჭიერ თანამემამულის ბრწყინვალე გამოკვლევა ჩვენვე განვაგრობოთ“ (გვ. 19).

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემაში (1913 წ.) ივ. ჭავჭავიძელი უკვე აღარ იმეორებს აღრინდელ აღტაცებას პროფ. ნ. მარის ქართულ-სემური ენათა ნათესაობის გამო. იგი აღნიშნავს რა, რომ ქართული ენის უმთავრესი ნაწილისათვის, მის რთულის და მეტად თავისებურის აგებულებით დამახასიათებელი არის ზმნა, რომელშიაც თავსართოვანი წარმოება სქარბობს ბოლოსართოვანს; პირიქებისა და ობიექტის აღმნიშვნელი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები ზმნას მხოლოდ თავში ემატება „ამ მხრივ ქართული სემური ენათა ჯგუფისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, რომელსაც საზოგადოდ ენათესავენ“ (გვ. 12), რომ ნათესაობა ქართულ ენას სემურ ენად კი არ აქცევს, არამედ მის მონათესავედ „თუმცა ქართულ ენას, მსგავსების გარდა, ბევრი თავისებური და დამახასიათებელი თვისებებიც მოეპოვება, რომელიც ქართულს სემურს აშორებს“ (გვ. 18).

ივ. ჭავჭავიძელი ამ ენათა ჯგუფთან ქართული ენის ნათესაობის მინიშნებას კი არ თვლის პროფ. ნ. მარის მთავარ დამახსენებლად, არამედ მის მიერ წინა ათწლეულში განხორციელებულ დიდ მუშაობას ძველი ქართული საწერლობო ენისა და ქანურის შესწავლაში, მის გამოკვლევებს სვანურ ენაში, გამოკვლევას აფხაზური ენის ბუნებისა და თვისების შესახებ, დაკვირვებებს ქართველ მთიელთა კილოების დასახასიათებლად.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის მესამე გამოცემის დროს ივ. ჭავჭავიძელს უკვე გარკვეული ჰქონდა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აკად. ნ. მარის ზემოაღნიშნულ თეორიასადმი, მაგრამ ეს სრულიად არ იყო საკმარისი. ლინგვისტური მონაცემების გამოყენება აუცილებელი იყო განსაკუთრებით უძველესი ისტორიის შესაქმნელად. საკითხის სირთულე შეუძლებელს ხდიდა მის სრულად მიმოხილვას, „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში, მით უფრო, რომ ეს პრობლემები ჯერ კიდევ არ ჰქონდა ივ. ჭავჭავიძელს დასაბეჭდად გამზადებული, გამოსარკვევი ბევრი იყო. ამიტომ 1928 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომში მან არ შეიტანა საერთოდ პირველი და მეორე გამოცემის პირველი თავი, რომელშიც ეთნოლოგიურ-ლინგვისტური და საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები იყო განხილული. მათ ივ. ჭავჭავიძელის გეგმით, ცალკე ტომები უნდა მიძღვნოდა ქართველი ერის ისტორიის შესავლის სახით. მეორე წიგნი ამ

შესავლისა უნდა ყოფილიყო სწორედ „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

ამ წიგნზე მუშაობას ივ. ჯავახიშვილმა არსებითად მთელი თავისი წინა პერიოდი შემოქმედებისა მოაწოდო. არსებული თეორიების შესწავლა, ერთ-ერთი მათგანის აღიარება ხომ ამ გზაზე პირველი ეტაპი იყო კვლევისა. რასაკვირველია, მას შეეძლო და უფლება ჰქონდა, ვითარცა ისტორიკოსს, დამყარებოდა ლინგვისტიკის კვლევის შედეგებსა და დასკვნებს. ეს იმიტომ იყო განუხორციელებელი, რომ ქართული ენათმეცნიერება ქართული ენის თავდაპირველ ბუნებას არ ეხებოდა (ალბათ, იმიტომ, რომ მისი ბუნება უძველესი დროიდანვე არსებითად უცვლელად მიაჩნდა). ორი გამოსავალი არსებობდა ამ ვითარებაში: ქართველი ერის დასაწყის ხანის ისტორიის განხილვის დროს ან უარი ეთქვა მასზე, ანდა ამ საკითხების შესწავლას თვითონ შესდგომოდა. ამისათვის ხომ მან პროფ. ნ. მარის ხელმძღვანელობით შესანიშნავი წვრთნა გაიარა. ახლა მასწავლებლის შეხედულებისაგან აშკარა გამიჯვნა ერთადერთ სწორ გამოსავლად ჩანდა. ამ ურთულესი პრობლემების შესწავლა, რომელიც არსებითად სამი ათეული ენის მიმოხილვას გულისხმობდა, ივ. ჯავახიშვილმა ერთადერთ აუცილებლობად ჩათვალა. პირველად მან გადაწყვიტა არსებული წყაროების კრიტიკული განხილვით მოპოვებული შედეგების ზოგადი შეფასებით და მომავლის ამოცანების გამორკვევით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ საკითხის ამგვარი გარეგანი მიმოხილვა სულ მალე არასაკმარისი აღმოჩნდა. ქართველურ და კავკასიურ ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმით შესწავლამ კარგად დაანახვა ივ. ჯავახიშვილს მათი ღირსებანაკლი. ამან განსაზღვრა იმ მიზეზების ძებნა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ადრინდელი ცდები ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად. მკვლევარი ამ საკითხების განხილვით და სხვადასხვაენოვანი მასალის შესწავლით საგულისხმოდ დასკვნებს აღწევს. „ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული, რომაული, ქართული, სომხური, არაბული და სხვ. წყაროების მიხედვით პარალელურად წარმოებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულისა და ეთნოლოგიური პრობლემების კრიტიკულმა განხილვამ საშუალება მისცა, ენათმეცნიერული გზით მოპოვებული დასკვნების სისწორე შეემოწმებინა“. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო გააფართოვა კვლევის არეალი და პერსპექტივა.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებული ინტენსიურობით ამ პრობლემის შესწავლას 1923 წლიდან შეუდგა. ჩვეულებისამებრ, იგი თავისი კვლევის ამ ახალ მიმართულებაზე სამ-სამ საათიან ორ საჯარო ლექციას კითხულობს 1925 წლის 27 და 28 ივნისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საერთო კრებაზე. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება იგი ამ გამოკვლევას. მეტიც, 1937 წელს ვარ. დონდუასათვის გაგზავნილ წერილში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ვნახოთ, როგორი მსჯავრი დაედება ამ ჩემს მრავალწლოვან ნათქვამსა და ნაშრომს, რომელიც ყველა ჩემ გამოკვლევათაგან ყველაზე უფრო პასუხსაგებად მიმაჩნია“.

დიდხანს გაგრძელდა ამ ნაშრომის ბეჭდვა. თუმცა ამან კიდევ უფრო ასწია მისი მეცნიერული ღირსება. ივ. ჯავახიშვილს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, შეეძლო ნაშრომის დაგვიანებით ბეჭდვაც კი მისი შემდგომი სრულყოფისათვის გამოეყენებინა. ნაშრომი ივ. ჯავახიშვილმა წარმოებას გადასცა 1936 წლის 31 მაისს, ხოლო იგი დასაბეჭდად ხელმოწერილ იქნა 1938 წლის 2 აგვისტოს. დაგვიანების ერთ-ერთ მიზეზად 1938 წლის 31 მარტს

ვარ. დონდუასადმი გაგზავნილ წერილში იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი ბეჭდვა „დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ზოგიერთი გვერდების გადაბეჭდვა ხდება აუცილებელი ზოგი იქ მოხსენებული ავტორის ამოსაშლელად და ეს აფერხებს ამ წიგნის გამოსვლას“.

ივ. ჭავჭავაძის ამ წიგნში ენათმეცნიერული პრობლემების განხილვა ისტორიული ამოცანების გაღასპარეულად, მათი გამოარკვევის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ავტორს კარგად ესმის, რომ ამ წიგნით საქართველოს ისტორიის მკვლევართა გარდა განათლებული მკითხველიც დაინტერესდებოდა. ბუნებრივია, არასპეციალისტს სპეციალური საკითხის კვლევა-ძიება ნაკლებად იზიდავს, მას უფრო საერთო დასკვნები და ზოგადი პრობლემები აინტერესებს. ივ. ჭავჭავაძის ასეთი მკითხველის ინტერესსაც ითვალისწინებს, მათ ურჩევდა, რომ მთლიანად გასცნობოდნენ ნაშრომის პირველსა და მეორე კარს, ხოლო მესამე კარიდან მოყოლებული ქართულის შესახებ მსჯელობა გადაეკითხათ. ამ ნაშრომის პირველი კარი სრულიად დამოუკიდებელი მონოგრაფიაა, რომელშიც გამოწვლილვით, საკითხის შესანიშნავი ცოდნით მოცემულია ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიური ენების შესახებ შეხედულებათა მიმოხილვა.

ივ. ჭავჭავაძის იწყებს იმის აღნიშვნით, რომ კავკასიის მრავალენიანობა უკვე ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს, გეოგრაფებს და მეცნიერებს აინტერესებდათ, კავკასიას „ენათა მთას“ რომ უწოდებდნენ. შემდგომ მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასია 70-ზე მეტი ენის მხარედ იყო მიჩნეული. გასაგებია, რომ იგი ენათმეცნიერთა გაძლიერებულ ინტერესს იწვევდა ყოველთვის. შემდგომ მიმოხილულია სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებანი ქართულ (ქართველურ) და კავკასიურ ენათა შესახებ. უმეტესობას, სამწუხაროდ, არ ესმოდათ ადგილობრივი ენები და ამ ვითარებაში ჩაწერის დროს, ბუნებრივია, ადვილად შეიძლება შეცდომები შეპარულიყო. მიუხედავად ამისა, ეს ჩანაწერები მათ ავტორთა გონებაშეხილობისა და შემუშავებული სისტემის წყალობით მეტად ძვირფასია მეცნიერებისათვის. ასე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს გიულდენშტედტს, რომელმაც არ იცოდა არც ერთი ენა კავკასიისა, რომელთაც აღწერდა (მან არ იცოდა რუსული ენაც), გასაგებია, რომ ჩაწერის დროს 1771—72 წწ. ადვილად მოსვლოდა შეცდომები, მაინც მან მეტად ძვირფასი ლექსიკური მასალა დაგვიტოვა კავკასიური ენებისა. მეტიც, „იმისდა მიუხედავად, რომ ეს გერმანელი მეცნიერი განათლებითაც და სპეციალობითაც ეჭიმი და ბუნებისმეტყველი იყო, მას იმდენად საღი დაკვირვებების ნიჭი ჰქონდა, რომ მისი მსჯელობა ჩანსურ-ღეუქური ენების განმარტობულობას გარდა, არსებითად საკმაოდ სწორია“ (გვ. 23).

როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, იმის მიუხედავად, რომ გიულდენშტედტის დროს კავკასიის ნაირნაირი ენების შესახებ არავითარი გამოკვლევები არ მოიპოვებოდა, მისი მეცნიერული აღიარების წყალობით არც ყუმბიკური, არც ნოლანური, არც ოსური იბერიულ-კავკასიურ ენებში არსად შემოურია და ეს მაშინ, როცა მხოლოდ ლექსიკის ჩვენებას ემყარებოდა. სრულიად სწორია აქ ხელის შემშლელ გარემოებად არ აღმოჩენილა. მეტიც, გიულდენშტედტისაგან დაწყებული საქმის გამგრძელებლად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი, განათლებით ფილოლოგი პ. კლაპროთი თავის წინამორბედს ბევრ რამეში ვერ სჯობის, როგორც ივ. ჭავჭავაძის წერს, „ბუნებისმეტყველს გიულდენშტედტს აფხაზური და ჩერქეზური ენების ბუნებაზე მსჯელობის დროს ფილოლოგოს კლაპროთზე უფრო მეტი

დაკვირვების ალლო აღმოაჩნდა: პირველის დებულება აფხაზურ-ჩეჩქეზულის ნათესაობაზე არსებითად სწორეა, იმ დროს როდესაც მეორის მსჯელობა მცდარია და, საკითხის გამორკვევის შაგიერ, უცილობლად, უფრო მის გზა-აბნეულობასა და დახლართვას უდრიდა“ (გვ. 30).

ივ. ჭავახიშვილი ასე თანამიმდევრულად თითოეული მკვლევრის მიერ გაკეთებული დადებითი წარმოჩენით და მისი კვლევის ნაყოფანებათა აღნიშვნით წარმოადგენს ქართული და კავკასიური ენების შესწავლის ისტორიას. იგი ამ მიმოხილვის დროს მკვლევართა მიღწეულ შედეგებს გვაწვდის. ამიტომ მეორეხარისხოვნად თვლის იმ განსხვავებულ მიზნებს, რომლებიც ხშირად ამგვარი კვლევის დაწყებას უსწრებდა წინ. ასე, იმპერიის მაღალ მოხელეს პ. უსლარს თვით იმპერატორის უზენაესი ბრძანებით დაევალა 1858 წელს კავკასიის ისტორიის შედგენა. რასაკვირველია, ამაში თვითონ პ. უსლარის შემხვედრი ინტერესი უნდა ყოფილიყო. ის დიდ აქტიურობას ამჟღავნებდა მანამდეც ამ მიმართულებით. უძველესი ხანის ისტორიის შედგენისათვის კი სანდო ცნობების შეკრება აქ მცხოვრებ ერთა ენის შესწავლით სურდა. იგი იმ შეხედულებებიდან გაპოლიოდა, რომ „ენის გაყალბება არ შეიძლება“, რომ „ფილოლოგისათვის არ არსებობს არა საინტერესო ენა“, რომ ყველა ენა „სავსებით ორგანულ მთლიანობას“ წარმოადგენს. კავკასიური ენების შესწავლაში იგი მანამდე არნახულ შედეგებს აღწევს. რასაკვირველია, კავკასიის ისტორიის დაწერა, რაც პ. უსლარს უნდა შეესრულებინა, „მხოლოდ გატაცებული ადამიანის გულუბრყვილო ოცნება იყო, მაგრამ ამ გატაცებამა და აღფრთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია“ (გვ. 35). 1937 წელს ნათქვამი ეს სიტყვები სინამდვილეს ასახავდა.

არნ. ჩიქობავას სიტყვებით, ენათა კვლევისას პ. უსლარი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისზე იღვკა და ითვალისწინებდა თავის დროის მეცნიერულ მიღწევებს. მან მეცნიერებას 7 საფუძვლიანი მონოგრაფია შეაქმნა მანამდე უცნობი ენების შესახებ და „ამით, — შენიშნავს ივ. ჭავახიშვილი, — კავკასიის იმ დროს ჭერ უმწერლობო ენების შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა“ (გვ. 42).

პ. უსლარს მიაჩნდა, რომ ძველი მსოფლიოს ენათა ოჯახებს კიდევ ერთი სრულებით დამოუკიდებელი კავკასიურ ენათა ოჯახი უნდა მიემატოს. ვინაიდან, გასაოცარი მრავალსახეობისდა მიუხედავად, ყველა ამ ენას ნათესაობის ღრმა თვისებები ემჩნევაო, ქართული, თელიდა იგი, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა და თანაც მთელ ამ ოჯახის ენათაგან, ყველაზე შესანიშნავიაო. სამ-წუხაროდ, „ვერც პ. უსლარის აღფრთოვანებულმა მოღვაწეობამ და მისმა მრავალრიცხოვანმა დინჯმა და საინტერესო ნაშრომებმა, რომლებმაც კავკასიური ენების მთელი თავისებურება, ვითარცა ახლად აღმოჩენილი სულიერი, გონებრივი სამყარო, მისი მადლიანი კალმის წყალობით ასე ნიჭიერად და ცოცხლად იყო წარმოადგენილი, შესძლო სხვების წახალისება“ (გვ. 42).

კავკასიური ენის შესწავლაში თავისი ორიგინალური სიტყვა თქვა აკად. ნ. მარმა. როგორც ცნობილია, მან დაიწყო ქართულისა და ქართველური ენების მეცნიერული შესწავლით, ე. ი. სრულიად საპირისპიროდ იმისა, რაც პ. უსლარს ჰქონდა მიზნად დასახული. იგი აპირებდა, კავკასიური ენების გრამატიკული კვლევა-ძიება ქართული ენის ლინგვისტური შესწავლით დაემთავრებინა.

ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურის შემდეგ აკად. ნ. მარი აფხაზური ენის რთული აგებულების საილუმოების გამოკვლევით იწყებს. აფხაზურის შესწავლამ სხვა კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხიც აღძრა.

მართალია, როცა ამ ენების შესწავლას შეუდგა აკად. ნ. მარი, ისინი მონოგრაფიულად მეტ-ნაკლებად უკვე შესწავლილი იყო.

აკად. ნ. მარი არ ცდილა რომელიმე წინათ შესწავლილი ენა მონოგრაფიულად შეესწავლა (აღრე ხომ მან თავი ისახელა ქანური გრამატიკის გამოკვეყნებით). მან ეს ენები იაფეტურ ენად მიიჩნია. 1920 წლის შემდგომ ენათა იაფეტურ ოჯახში ცოცხალი კავკასიური ენების გარდა, შევიდა ხმელთაშუაზღვის აუზის ძველი მკვდარი ენები პელაზგური და ეტრუსკული და ცოცხალი ენა ბასკური. ამით იაფეტური ენების ისტორიული გავრცელების ზონაში შემოვიდა, კავკასიისა და წინა აზიის გარდა, ხმელთაშუაზღვის აუზი.

სამწუხაროდ, აკად. ნ. მარის არაჩვეულებრივი ნიჭი და განსაკუთრებული გონებაპახვილობა ვერ გამოადგა ქართველური ენების გენეზისური კავშირის ცხადყოფას აფხაზურ-ადილურ, ქისტურ და დაღესტნურ ენებთან.

ივ. ჭავჭავიძე იმ დიდ მიღწევებს. რაც კავკასიური ენების შესწავლას მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში: მას მხედველობაში აქვს არა მარტო ლენინგრადისა და თბილისის მკვლევართა წარმატებები, არამედ აფხაზეთის, ჩრდილო კავკასიის მკვიდრთა წარმატებები ამ ენების შესწავლაში. ამასთან ერთად, სრულიად არ შენელებულა ევროპელ მკვლევართა ინტერესი კავკასიურ ენებისადმი. ივ. ჭავჭავიძე აქ განსაკუთრებით გამოყოფს პროფ. ნ. ტრუბეტკოის გამოკვლევებს ჩრდილო კავკასიის ხალხთა ენების შესახებ. იგი შენიშნავს, რომ მის „ყველა ნაშრომში დიდი მკვლევარი მოსიხანს“.

პროფ. ნ. ტრუბეტკოიმ ჩრდილო კავკასიის ენების ნათესაობის გამორკვევა სცადა, თუმცა მან აღიარა, რომ ჩრდილო კავკასიური ენები ერთმანეთის მონათესავე ჩანან, მაგრამ უარყო მათი ნათესაობა სამხრეთ-კავკასიურ ენებთან. იგი ამიტომ თვლიდა, რომ უმჯობესია „კავკასიური ენები“ ეიხმაროთ როგორც გეოგრაფიული ცნებაო. ეს მაშინ, როცა კავკასიაში გავრცელებულია აგრეთვე ინდოევროპული და ალთაური ენებიც. ცნებათა ამგვარი აღრევა გაუმართლებელია. სავსებით სწორად გეაფრთხილებს ამ აღრევათა საშიშროებაზე პროფ. არნ. ჩიქობავა. იგი წერს: „კავკასიური ენები“ უფრო მკითხველთა მოსწონების ცნებაა, ვინემ „კავკასიის ენები“. „კავკასიური ენები“ რომ გაირჩეს „კავკასიის ენებისაგან“, მიზანშეწონილად ჩანს ეიხმართ იბერიულ-კავკასიური ენები“, ე. ი. ის ენები კავკასიისა, რომელსაც იბერიულ (ქართველურ) ენებს უკავშირდებიან წარმოშობით და იბერიულ ენებთან ერთად ქმნიან ერთ ოჯახს, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს“ (არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965. გვ. 4).

მართალია, ივ. ჭავჭავიძე ამ ტერმინს არ ხმარობს, მაგრამ მისი კვლევის გზა სწორედ ამ კრილში წარმოებს, სახელდობრ, რომ დამტკიცდეს ქართველურ (იბერიულ) ენათა ისტორიულ-გენეზისური კავშირი კავკასიურ ენებთან.

ქართულისა და კავკასიური ენების მონათესავეობის დასადასტურებლად ივანე ჭავჭავიძე იკვლევს არ იწყებს ცალკეული სიტყვებისა და სახელების ანალიზით. საქმე ისაა, რომ „ენათა ნათესაობის საკითხი უპირველესად ენათა აგებულების იგივეობის, ანდა მსგავსების მიხედვით წყდება. სიტყვათა საგანძურს კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“ (გვ. 76).

დედამიწაზე არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომლის ლექსიკაშიც უცხო სიტყვები ცოტად თუ ბევრად შესული და შეთვისებული არ იყოს ესა იმის მიზეზი, რომ თვით მონათესავე ენათა სიტყვების საგანძური ერთ-მანეთისაგან ხშირად შეიძლება საგრძობლად დაშორებული იყოს, მაგრამ ამასთან ერთად „შეუძლებელია, რომ მონათესავე ენებს სიტყვათა საუნჯე-შიც საერთო ძირების გარკვეული მარაგი არ გააჩნდეთ. ამიტომაც ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების მორფოლოგიის ნათესაობის საკითხის გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკის მონათესაობის თვისება და ოდენობაც უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული“ (გვ. 95.— 96).

რასაკვირველია, დიდად ხელშემშლელი გარემოება იყო ის, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო შესწავლილი. მას არ ჰქონდა საშუალება, ჯერ ერთი, თვითონვე ეწარმოებინა კვლევა-ძიება ჯერ კიდევ შეუსწავლელი ენებისა, მეორე, არ შეეძლო დაგროვილი მასალის ადგილობრივ შემოწმება და შესწორება. მისივე სიტყვით, ერთი გზაა რჩებოდა: „ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების შესახებ გამოქვეყნებული მთელი ლინგვისტიკური მწერლობა შემესწავლა, გამომერკვია მისი აკვარგინობა, მიმდინარეობის ტენდენცია, არჩეული გზის სისწორე თუ მცდარობა, დაგროვილი ენოვანი მასალისა და მონოგრაფიების კრიტიკული შეფასების შემდეგ, საკითხის მონოგრაფიული და მერმე შედარებით შესწავლას გზით, ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების აგებულების ძირითადი თვისებებისა და ნათესაობის გამორკვევა მეცადნა“ (გვ. 96). გასაგებია, რომ ეს მუშაობა მანამდე არავის არ ჩაუტარებია. მართო ამ მუშაობის განხორციელებით, იმის მიუხედავად, ეთანხმები თუ არა ავტორის დასკვნებს, ივ. ჯავახიშვილმა ღონიერი წიგნი უძღვნა ლინგვისტურ მეცნიერებას.

ივ. ჯავახიშვილს უშუალოდ მიუწვდებოდა ხელი მრავალსაუკუნოვანი სამწერლობო ქართული ენის მდიდარ საუნჯემდე. ეს კვლევის დროს დიდი პლუსია, ვინაიდან იგი ენის მკვლევარს თავისი განვითარების საფეხურების შესასწავლად ძველ დროითგანვე დამწერლობით აღბეჭდილ მასალას აწვდის, რაც კვლევა-ძიებისათვის მტკიცე საფუძველს ქმნის ხოლმე. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი იმ ნაკლაც ხედავს, რაც სამწერლობო ენას მისი პრეისტორიის შესწავლაში აქვს. საქმე ისაა, რომ დამწერლობიდან საერთო ენას, „საფუძვლად ყოველთვის გრამატიკული და მართლწერითი წესების ერთგვარობა აქვს ხოლმე, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ბევრი არ არის ისეთი ენა, რომელსაც გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმები ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ჰქონდეს დაცული. ქართულში ენის აღნაგობა და მისი დამწერლობითი გამოხატულება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისე შეურყევლად არის შეჩინილი, რომ ძველი მწერლობისა და ენის ისტორიაში განუსწავლელს მკითხველს ძველი ქართული, თითქმის ერთხელ და სამუდამოდ ჩამონაქვითილ სრულებით უცვლელ ენად ეჩვენება“.

ძველი ქართულის გრამატიკული და მართლწერითი ერთგვარობა მრავალსაუკუნოვანი მიზანსწრაფული კულტურული მუშაობისა და სავალდებულო დანორმების შედეგია. ასეთ შემთხვევებში ყოველგვარი ადგილობრივი თავისებურება ენისა უგულვებელყოფილია და უღმობლად უარყოფილიც არის ხოლმე. „სხვა გზა და საშუალება ზოგადი ენის შესაქმნელად არ არსებობს. ზოგადას ენას მხოლოდ იმ სიტყვიერი მარაგის შენარჩუნება შეუძლიან, რომელიც ერის სხვაზე უფრო ძლიერ და დაწინაურებულ ტომთან საერთო კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია, რომელიც

ურთიერთგაგების აუცილებელ საგანძურს წარმოადგენს“. რამდენადაც ძლიერია და დაწინაურებული ზოგადი ენა, იმდენად უფრო შკაცრად არის ხოლმე დაცული მისი ერთგვარობა. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ დიალექტური მარაგი აღუბეჭდელი რჩება და დროთა განმავლობაში ისპობა და ქრება. რასაკვირველია, „ამით მეცნიერებას, სამწერლობო ენის შესწავლისათვის ძვირფასი საკონტროლო მასალაც ეკარგება, ენოვანი მასალის მრავალფეროვნებითა და ნაირნაირი სიუხვითაც უმწერლობო ენების საუნჯე ენათმეცნიერებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა“ (გვ. 376). აქედან არა მარტო დიდმნიშვნელოვანია ამ ენების შესწავლა, არამედ ასევე მნიშვნელოვანია ქართული ენის დიალექტების შესწავლაც, რომელსაც, მართალია, საერთო ქართულის ოდინდელი და მერმინდელი ნორმების ძლიერი გამათანაბრებელი გავლენა მკაფიოდ ატყვია.

იგი ჭავახიშვილი გვაძლევს შესანიშნავ ნიმუშებს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ქართული (ქარაველური) ენის დიალექტები წერილობით დამოწმებულ უძველეს ტერმინთა შეცვლილი შინაარსის ასახნელად. საქმე ისაა, რომ ერის ყოველი ტომი, მისი ყველა კუთხე ერთნაირად როდი ითვისებს სამწერლობო ენის მიღწევებს. ეს გარემოება მარჯვე მაგალითებითა დადასტურებული.

ასე, თანამედროვე ქართულში ღლის დასასრულის აღსანიშნავად საღამოს ვხმარობთ, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ძველ ქართულში ამ ცნების გამოსახატავად „მწუხრი“ იხმარებოდა. ეს სიტყვა წუხრის სახით თანამედროვე ქართულში, როგორც ბ. გაბუურის ხეცსურული მასალებიდან ჩანს, ხეცსურულს-ლა ჰქონია დაცული.

მდინარე თერგს ქართველები ძველად არაგვს უწოდებდნენ. ეს გარემოება ლონტი მროველის საისტორიო თხზულების წყალობით ირკვევა. შემდეგში ზემოთ დასახელებული მდინარის სახელად თერგი შემოდის, რომელიც თანამედროვე ქართულში მის ერთადერთ სახელად ითვლება. მაგრამ ხეცსურულსა და მოხვეურში თერგს ძველებურად არაგვს უწოდებენ.

ასევე ძველს ქართულში საღამოს პურისჰამას სერი და სერობაჲ ერქვა. უკვე საშუალო საუკუნეებსა და თანამედროვე ქართულში ეს ტერმინი აღარ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ სიტყვის კვალი ტერმინ სერის-კულშილა მოჩანს, რომელიც სამხარის მოგვიანებულ გაგრძელების აღსანიშნავად იხმარება. თანამედროვე მეგრულს-ლა აქვს სერის ძველებური მნიშვნელობა დაცული და ლამეს ნიშნავს, ხოლო ვახშამს ოსერიშე, ე. ი. სასერე უწოდება.

ოთხთავის თარგმანში თხის ჩვილი შვილის სახელად თიკანია ნახმარი. საშუალო საუკუნეებისა და თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის მეორე ფონეტიკური სახესხვაობა ციკანი გაბატონდა, მაგრამ გურიაში ძველებურად თიკანს ხმარობენ.

იგი. ჭავახიშვილი თავის კვლევას ქართველური და კავკასიური ენებისას ფონეტიკით კი არ იწყებს, თუმცა წიგნის დაბეჭდვამდე ასე ფიქრობდა. საბოლოოდ იგი დარწმუნდა, რომ „ქართულ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად უმთავრესი მნიშვნელობა მათი მორფოლოგიური აღნაგობის გამოკვლევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგ ფონეტიკური მოვლენებიც სულ სხვანაირად წარმოგვიდგება“ (გვ. XVI). ამიტომ იგი მხოლოდ ცალკეულ დებულებისათვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით კმაყოფილდება.

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით მკვლევარს კვლევის ფარგლებს, იგი აღნიშნავს, რომ მკვლევარს წინასწარვე მკაფიოდ გათვალისწინებული და მტკიცედ გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს, თუ უპირველესად რა ლექსიკური მასალა შეაგროვოს და თავისი დაკვირვების საგნად გაიხადოს. მიუთითებთ მართო იმაზე, რომ მკვლევარს დაკვირვების საგნად ცოცხალი ენა უნდა ჰქონდეს, არასაკმარისია. ცოცხალია ის, რასაც ხალხი ხმარობს, მაგრამ მთელ სიტყვათა საუნჯეს ვერც ერთი ცალკეული მკვლევარი ვერ მოერევა. ამასთან არასწორია, როცა საყოველთაოდ, საყველბურო სასაუბრო ერთ კმაყოფილებიან. შესასწავლი მასალის შეზღუდულობის გამო მკვლევარმა უნდა იცოდეს ადამიანის შეტყვევების ის სფეროები, სადაც მოსალოდნელი და შესაძლებელია ეპოქოვით ის, რაც უძველესი ყოფა-ცხოვრების გამომხატველია, „სახელდობრ, სქესთა შორის და ნათესაური დამოკიდებულების და ურთიერთობის, თავდაპირველი მეურნეობისა და, დასასრულ, პირველყოფილი რწმენისა და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელია. ადამიანის უპირველეს და უძველეს სამეურნეო დარგებად-კი მონადირეობა და მესაქონლეობა იყო, ისევე როგორც ტყისა და ველურ მცენარეულ საკვებსა და სასმელზე მზარუნველობაც. მიწის მოქმედების სხვა დაწინაურებული დარგები კულტურის უფრო მდლ საფეხურს წარმოადგენს“ (გვ. 100). აქ ისტორიკოსის მახვილი თვალი გზას უკაფავს ფილოლოგიის კვლევას ინტენსიურობის მიმართულების განსაზღვრაში. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის, რომ პირველყოფილი ადამიანები გარეშე საგნების დახასიათების შეფასების და სახელდების დროს თავისი გრძობითა ორგანოების შთაბეჭდილებებით ხელმძღვანელობენ. ამიტომ იგი საგნების გარეგნული თვისებით, თუ მოყვანილობით, სიდიდით არჩევა და ერთ-ერთ ამ ორ მათგანს თითოეულისათვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევა. აქედან „მკვლევარმა ჭარბიანი ყურადღება გემოს, ფერებისა და სიდიდის აღმნიშვნელ სიტყვების შეგროვებასა და შესწავლასაც უნდა მიაქციოს“ (გვ. 100 — 101). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პირველყოფილ ადამიანს ცნებათა და საგნების აღსანიშნავად სიტყვები ცოტა გააჩნდა. ამიტომ მას ბევრი საგნის ცნებათა და არსებათათვის საერთო სახელები ჰქონდა. შემდგომ კი, ცნებათა ლიფერენციაციისა და შეგნების გაზავილებასთან ერთად, ადამიანს ახალ-ახალი სიტყვები სჭირდებოდა. ამ ახალ სახელებს კი იგი წინანდელისაგანვე ქმნიდა მხოლოდ ფონეტიკური, თუ სხვაანაირი ლიფერენციაციის გზით. ამასაც უნდა მიაქციოს მკვლევარმა ყურადღება, რომ სიტყვის უფრო ადრინდელი ანუ უძველესი ფორმის პოვნა შეძლოს.

რა ბედნიერება იყო, რომ ერთ კაცში იყო შეერთებული ფილოლოგიის ისტორიკოსის მახვილი და ერის კულტურული საუნჯის ცოდნით ანთებული გონება. მხოლოდ იგი, ვინც ამ წიგნის გვერდებს წაიკითხავს, იგრძნობს მთელი მოცულობით მკვლევრის მიერ ჩატარებული ძებნა-ძიების სიდიადეს. მთელი ეს კვლევა კი მტკიცე მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება, სადაც ამოსავალია ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების მორფოლოგიის ძირითადი საკითხების კვლევა.

ივ. ჭავჭავაძის დასკვნით, „ქართულ-ქართველური ენების განვითარების ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვექონდეს გათვალისწინებული: პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა მასალის ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე, მომდევნო ხანა კი იმ დროითგან იწყება, როდესაც გრამატიკული სქეს-კატე-

გორიები გაქრა და ღრმა ცვლილებებთან დაკავშირებით, ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაქეთა“ (გვ.623).

ამ დასკვნას წინ უძღვის კოლოსალური კვლევა ავტორის მიერ განხორციელებული.

მეცნიერული ჩაღრმავებით მოცემულია რიცხვითი სახელების წინანდელი და თავდაპირველი სახე, მისი აგებულება და სხვადასხვა სისტემა. აქ ჩატარებულმა კვლევამ გააადვილა ამ ენებში საერთო ძირების გამოვლენა.

დახასიათებულია ქართულ და ზოგიერთ კავკასიურ ენებში ნაცვალსახელები, ზმნა.

წიგნის დასასრულს გაანალიზებულია ქართველური და კავკასიური ენების სიტყვათა საგანძურის ძირთა ნათესაობის საკითხი. წიგნის მესამე კარში ბევრი ასეთი საერთო სიტყვა უკვე იყო განხილული. აქ კიდევ ახალი სიტყვებია გაანალიზებული და დასკვნაა გაკეთებული, რომ ქართველურ და კავკასიურ ენებს არამც თუ სიტყვათა ძირებისა, არამედ მოვლენათა აღქმის და ცნებათა გამოხატვის წესის ნათესაობა და იგივეობაც კი ეტყობა“ (გვ. 621).

ივ. ჭავჭავაძის უკიდურესად ფრთხილობს დასკვნების გაკეთებას ამ მეტად დახლოებულ საკითხებზე ადრინდელი ისტორიისა, მაგრამ მას უეჭველად მიაჩნია, რომ „თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ყოფილა ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები და რომ მხოლოდ შემდეგში სხვადასხვა მიზეზების გამო დროთა განმავლობაში დაშორებთან ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან“ (გვ. XIII).

რასაკვირველია, ივ. ჭავჭავაძის კარგად ხედავდა, რომ წინ ჭერ კიდევ ბევრი რამ იყო დასადგენი და გამოსარკვევი. იგი, მოუხედავად მის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, გრძნობდა, რომ ამნაირი რთული და პასუხსაგები პრობლემის სრულიად ახალი თვალსაზრისით განხილვის დროს დებულებათა წამოყენებისას „შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია. მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არამც თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდრად აღიარებული, არამედ ფართოდ განმტკიცებული მოძღვრებაც კი მცდარი გამოდგარა და წინათ ურყევე კემარტებდად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა. მით უმეტეს შეცდომებისაგან თავის დაცვა ძნელია ე. წ. კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სფეროში, სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავს მოვლენას ზედ უაღრესად გამართლებელ გარემოებად ტრანსკრიპციითა, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრევაც ერთვის. რა თქმა უნდა, არა ერთი აქ წამოყენებული ეტიმოლოგიის მაგიერ სხვა განმარტების წამოყენებაც შეიძლება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ მოპოვებული შედეგის მთავარი ნაწილი, ძირითადი დებულებანი, არ უნდა იყოს მცდარი. მაგრამ თუნდაც ბედმა მიმტყუნოს და ჩემი ეს მოლოდინი მომავალში არ გამართლდეს, მაინც ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზითა და ამნაირი ენოვანი ანალიზით არის იმ მრავალსაუკუნოვანი აპოკანის გადაჭრა შესაძლებელი, რომელსაც ე. წ. კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი წარმოადგენს. იმედი, მომავალში მაინც, სხვები ამ პირველი ცდის ავტორზე უფრო უკეთესად და დამაჯერებლად შეძლებენ ამ პრობლემის გაშუქებას. თუ ჩემი ნამუშევარი, რომელსაც ამოდენა დრო

და ძალა შევალე, ამ მხრივ მაინც მეცნიერებას სამსახურს გაუწევს, ესეც გაწეული შრომისათვის. ზნეობივი ჩილო იქნებოდა“ (გვ. XIV).

ივანე ჯავახიშვილის ეს მონუმენტური ნაშრომი საკვლევ პირობებზე მომუშავე წინამორბედ მკვლევართა ღრმად დაფასების ნიმუშია. მას მკაცრ ჩვეულებად ჰქონდა უკვე გამოთქმული, მეცნიერული თვალსაზრისი გაეთვალისწინებინა და შეედარებინა. ჯერ ერთი, ეს ხომ გვანათავისუფლებს ამ მიმართულებით დამატებით კვლევისაგან, მეორე, არ უნდა ეჩქაროდეთ უკვე გამოთქმული, იდენტის არქივში ჩაბარებას. იგი შეიძლება უადრესად სასარგებლო იყოს მომავლისათვის. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი მოითხოვდა მკვლევრის მხრივ მეცნიერული თვალსაზრისის გაზედულად და შკაფიოდ წამოყენებას. რასაკვირველია, მეცნიერს არ უნდა აფრთხობდეს ყოველი ახალი დასკვნის გამოტანის შიში, რომ იგი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. თავისთავად შეცდომა სრულიადაც არაა ცრუმეცნიერება. იგი შეიძლება მოუვიდეს და მოსვლია კიდევ გამოჩენილ მეცნიერს. ცრუმეცნიერებაა უკვე აღმოჩენილი შეცდომის დაცვა და გამართლება პრესტიჟული მოსაზრებებით. მეორე მხრით, აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, მეცნიერს ევალება შეგნებული სწრაფვა, თავიდან აიცილინოს შესაძლებელი შეცდომა: დაუდგრომელი, პერმანენტული ცვალებადობა შეხედულებათა არათუ მისაბაძი, შეუწყნარებელი უნდა იყოს მეცნიერებაში. მკითხველისა და მეცნიერების წინაშე მკვლევართა პასუხისმგებლობაზე შესანიშნავად წერს ივანე ჯავახიშვილი: „ყოველმა მეცნიერმა კარგად იცის რამდენად ძნელია შეცდომის თავიდან აცილება, მაგრამ მით უმეტეს ყოველი ჩვენგანი უნდა გრძნობდეს იმ დიდ ზნეობრივ პასუხისმგებლობას, რომელიც მას, ვითარცა მოძღვარს და მეცნიერს, აწევს გამოკვლევებისა და ახალი თეორიების გამოქვეყნების დროს და მთელი თავისი ძალღონით, ბრძნული სიფრთხილითა და მეცნიერული წინდახედულობით ცდილობდეს შეძლებისდაგვარად შეცდომა თავიდან აიცილინოს“.

ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილი დიდად იყო დაინტერესებული სპეციალისტთა აზრით მის ამ ლინგვისტურ მონოგრაფიაზე. იგი ჯერ კიდევ 1937 წლის 8 თებერვალს კმაყოფილებით სწერდა ვარ. დონდუას, რომ „აქაური ჩვენი ენათმეცნიერები ამ დებულებათა სისწორეს იზიარებენო“.

ნიშანდობლივია, რომ ამ წიგნზე ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში ერთადერთი რეცენზია დაიბეჭდა (ვახუთი „ზარია ვოსტოკა“, 1939, 5 თებერვალი). რეცენზენტი აღტაცებულია დიდი ქართველი ისტორიკოსის ლინგვისტური ნაშრომით. რეცენზია წიგნს მეცნიერებაში შეტანილ ძვირფას წვლილად თვლის, ეტაპის შემქმნელ ნაშრომად მიიჩნევს; რეცენზიის ავტორია პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც შემდგომ ყველაზე მეტი გააკეთა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის წარმატებისათვის.

• • •

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების უპირველეს მიზეზთა შორის ივ. ჯავახიშვილი კავკასიური ენების შესწავლას ასახელებს. ენა ხომ ისტორიის უტყუარი წყაროა. 1918 წლის 19 ივნისს იგი წერდა: „1918 წლის ენკენისთვიდან ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყება აბხაზური, ოსური და ლეკური ენების შესწავლა“.

სამეცნიერო ძიებისა და ცოდნის მოყვარეობის გარდა, რომელიც ქართულ მეცნიერებას ამ საგნებისა და ენების კვლევისაღმის იზიდავს, პროფესორთა საბჭო დარწმუნებულია, რომ კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის ენებისა, ისტორიისა, ადამიანისა და ბუნების შესწავლა, ამ დარგებში თაოსნობის გამოჩენა და ღირსეული სამეცნიერო შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართველი ერის მომავალს სახელმწიფოებრივ, საკულტურო და ეკონომიურ აღორძინებასა და წარმატებას მტკიცე საფუძველს შეუქმნის. ამასთანავე ქართველ ერს მეზობლებთან მეგობრული კავშირი და ურთიერთობაც მაშინ შეეძლება და მაშინ განამტკიცებს, როდესაც მის მეცნიერებასა და მოწინავე წრეებს ამ მეზობლების ენებისა, ზნე-ჩვეულებებისა და წარსული-აწმყოს ღრმა ცოდნა ექნებათ“.

შესანიშნავადაა ნათქვამი უნივერსიტეტის და მის მეცნიერთა აქტიურ პატრიოტულ მოქმედებაზე ხალხთა თანამეგობრობაში. ამგვარ მოწოდებად ისმის სწორედ 1918 წელს დაწერილი სიტყვები ივ. ჯავახიშვილისა: „ერთა შორის მკიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რომ ენის უცოდინარობა ორთავ მხრივ მოღვაწეებს საშუალებას არ აძლევს ერის გულისნადები შეივნოს და გაიზიაროს და თავისი გულიტკივილიც სიღრმემდე აგრძნობინოს, ამიტომაც ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიულთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროს“. არამართ ამ ხალხებთან კულტურული დაახლოებისათვის უნდა გაეთებულყოფოს ეს, არამედ იმიტომ, რომ კავკასიის მთიულთა და დაღესტნის ენების შესწავლა ჩვენ ქართველთათვის ისედაც საჭიროა, თვით ჩვენი დედაენის ღრმა სამეცნიერო შესწავლისათვისაც აუცილებელია.

ეს დიდი ამოცანა კავკასიური (და კავკასიის) ენების შესწავლისა მას იმიტომ კი არ დაუსახავს თბილისის უნივერსიტეტის წინაშე, რომ იგი ექცია კავკასიის უნივერსიტეტად. ასეთი წადილი თუ პრეტენზია თბილისის უნივერსიტეტს არასდროს არ ჰქონია.

მხოლოდ მეცნიერების ინტერესებისათვის დაიწყო კავკასიური (კავკასიის) ენების აქტიური კვლევა თბილისის უნივერსიტეტში.

რასაკვირველია, ამისათვის უპირველესად კადრების მომზადება იყო საჭირო. ადგილობრივი ასეთი კადრები ჯერ არ გვეყავდა, ანდა ცნობილ სპეციალისტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შესაძლებლობა კავკასიური ენების მეცნიერულ შესწავლაში საგანგებოდ ემუშავნათ.

უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი 1920 წლის 1 მარტს მიმართავდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს: „ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოვალეობას განსაკუთრებით თაოსნობისა და ინტენსივობის გამოჩენა შეადგენს ბიზანტიისა, აღმოსავლეთისა და კავკასიის შესწავლაში. აქ, ამ უკანასკნელ დარგში ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, თუ რომ ეხლავე გარკვეულ გეგმას შევიქმნავებთ და მის განხორციელებას ვეცდებით.“

ამ გეგმის შესახებ მე ერთი წელიწადის წინათ მოვხსენე, ესლა კი, რადგან ჯერ ჩვენ წრეში დაღესტნის ენების მცოდნე მეცნიერი არ მოიპოვება, საქმის შეფერხება კი საზიარო იქნებოდა, კარგი იქნებოდა ამ საგნისათვის გერმანიიდან დაღესტნის ენების ცხობილი და ერთადერთი მკვლევარი დოქტორი ა. ღირი მოგვეწვია, რომელსაც არა ერთი და ორი შრომა მოეპოვება ამ დარგში. მას ამასთანავე ის ღირსებაცა აქვს, რომ ქართულიც იცის და ჩვენს

უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვას ქართულად შესძლებს. ის თვითონაც გააღრმავებს და გააფართოვებს კვლევის საგანს და ქართველ მეკლევრებს მოგვიმზადებს".

ა. ღირრი (1867—1930) კავკასიური ენების გამოჩენილი მეკლევარი იყო. 1902 — 1913 წლამდე კავკასიის სხვადასხვა სკოლებში მასწავლებლობდა. 1908 — 1913 წლებში მუშაობდა თბილისში. შენდევ წლებში კი სიკვდილამდე მიუნხენში ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი იყო. მისი მეცნიერული დამსახურება მრავალმხრივ იყო აღნიშნული. 1909 — 1913 წლებში მან გამოაქვეყნა 8 ნაშრომი კავკასიურ ენათა შესასწავლად. გასაგებია, რომ ეს ნაშრომები დროის ამგვარ მონაკვეთში ერთნაირი სიღრმე-სიფართოვით არ იქნებოდა დაწერილი. 9 წელწადში 8 ენის შესწავლისა და შედეგების გამოქვეყნება ერთნაირი ძალით არ შეიძლებოდა, მაგრამ კარგად დაწერილი შისი შრომები ადასტურებენ ავტორის უაღრესად ფართო შემოქმედებით ინტერესებს. რასაკვირველია, მისი მოწვევა თბილისის უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა შესწავლას ხელს შეუწყობდა, მაგრამ ეს მოწვევა ვერ განხორციელდა. ამ მოწვევის ლოდინში ივანე ჯავახიშვილს სრულიადაც არ შეუჩერებია აქტიური ორგანიზატორული მუშაობა კავკასიის სხვადასხვა ენის შესწავლასა და მათი თბილისის უნივერსიტეტში სწავლებისათვის. ამისათვის მისთვის მთავარი იმედი იყო ადგილობრივი ძალები იყო. პირველ რიგში თბილისის უნივერსიტეტს ევალებოდა აფხაზური ენის — ლინგვისტური მეცნიერების უაღრესად საინტერესო ამ ფენომენის — შესასწავლად გადაედგა პირველი ნაბიჯი. ამ მიზნით ივ. ჯავახიშვილი თავიდანვე ითვალისწინებდა აფხაზური ენის და კულტურის შესანიშნავი მეკლევრის პ. ჰარაიას მიწვევას. ეს კი ვერ განხორციელდა ამ უკანასკნელის ავადმყოფობისა და მალე (1919 წ.) შინი გარდაცვალების გამო. ახალგაზრდა კადრების მომზადება გადაუდებლად საშური საქმე იყო. მისი დროული მოწვევები და დღის წესრიგის უპირველეს საკითხად იდგა. ივ. ჯავახიშვილი აფხაზებს ქართველთა მონათესავე ხალხად თვლიდა ყოველთვის. მდიდარი აფხაზური ხალხური სიტყვიერების მონაცემები მან ფართოდ გამოიყენა ქართველი ერის ისტორიის პირველ ტომში.

საკუთრივ ივ. ჯავახიშვილის წინადადებით თბილისის უნივერსიტეტის გამგეობამ 1924 წლის 27 მარტს აფხაზური ენის ლექტორის თანამდებობაზე მოიწვია დიმიტრი გულია. კავკასიის პირველ უნივერსიტეტში აფხაზური ენის პირველ კურსს აფხაზური ლიტერატურის პირველი კლასიკოსი კითხულობდა ორი წლის განმავლობაში.

უკეთესი არჩევანი წარმოუდგენელიც იყო. დ. გულია ამასთან თავისი ხალხის გამოჩენილი ისტორიკოსი გახლდათ. თბილისის უნივერსიტეტში უოფნამ ქართველ ისტორიკოსებთან, ფილოლოგებთან, ეთნოგრაფებთან ახლო კონტაქტებმა კიდევ უფრო გააძლიერა მისი ჩაღრმავება მშობლიური ხალხის ისტორიის საკითხებში. პირველ რიგში კი უნივერსიტეტის რექტორ ივ. ჯავახიშვილსა და დიმიტრი გულიას შორის დამყარდა მჭიდრო შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა, რაც არ შეწყვეტილა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებამდე.

დიმიტრი გულია განსაკუთრებით აფასებდა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ ავტორიტეტს. თავის მხრივ ივანე ჯავახიშვილი აქტიურად უჭერდა მხარს დიმიტრი გულიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული კვლევების ჩატარებაში. იგი მაღალი აზრისა იყო დ. გულიას ამ ნაშრომებზე. მეტიც, ივ.

ქავახიშვილის მხარდაჭერით და მისი საკეთილო რეცენზიის საფუძველზე გამოდის 1925 წელს დ. გულის „აფხაზეთის ისტორია“.

დ. გულის სოხუმში დაბრუნების შემდეგ აფხაზური ენის კურსს თბილისის უნივერსიტეტში პროფ. ს. ჭანაშია კითხულობდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ პროფ. ს. ჭანაშია პრაქტიკულად ფლობდა აფხაზურ ენას, არამედ ისიც, რომ იგი წმინდა ფილოლოგიურ კვლევას აწარმოებდა აფხაზურ-ადიღურ ენებში. ს. ჭანაშიას მეცადინეობის შემდეგი იყო ის, რომ მომზადდა კადრები (მათ შორის აფხაზებისა) ამ ენაში. ამის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში არც ერთხელ არ შეწყვეტილა აფხაზური ენის კითხვა, რომელსაც აკად. ქ. ლომთათიძე წარმართავს დღესაც.

უნივერსიტეტის პირველ გამოშვებულთა შორის საპროფესორო დატოვებულთა (ს. ჭანაშია, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია) სამეცნიერო გაწერტანაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სწორედ მათმა მომზადებამ კავკასიური ენების მეცნიერულ კვლევაში. ეს შემდგომ დიდად გამოაღვა საქმეს. აკი ივ. ქავახიშვილი თავის წიგნის შესავალში 1937 წელს გაპოყოფით წერდა: „მეტადრე სამი მკვლევარის პროფ. ვ. თოფურიას (ლექცირიათის), პროფ. არნ. ჩიქობავას (ხუნძურისათვის) და პროფ. ს. ჭანაშიას (აფხაზური და სინდური ენებისათვის), დახმარებით ვარ დავალებული“ (გვ. XVI).

პროფ. აკაკი შანიძე პირველი იყო უნივერსიტეტის პროფესორთაგან, რომელმაც დაიწყო მთის კავკასიური ენების პირველი საუნივერსიტეტო კურსის კითხვა: 1925—1926 წლებში მან წაიკითხა წოვა-თუშურის კურსი.

1922 — 1924 წლებში უნივერსიტეტის დავალებით რამდენიმე საქსპედიციო მუშაობა ჩაატარა დიმ. მგელაძემ უდიდების სოფელ ზონობიანში (აჭემალ სოფ. ოქტომბერი).

მაინც მთელი მოცულობით ივ. ქავახიშვილის მიერ წინასწარ მოხაზული გეგმით ვერ გაიშალა ეს მუშაობა, ვიდრე მას საგანგებო ყურადღება არ დაუთმეს უნივერსიტეტის აღზრდილებმა. აქ კი მთავარი როლი უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის პირველ პროფესორს არნოლდ ჩიქობავას ეკუთვნის. ახალგაზრდა მეცნიერი 1924 წელს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადულის 1923 — 1924 წლების I — II“ წინასიტყვაობაში აყენებს საკითხს, რომ ქართლისა და მეგრულ-სვანურის გარდა „სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ“. ეს ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს იმის მიუხედავად, რომ წერიალობით ძეგლებში ასახული ხანგრძლივი ისტორიული წარსულის მქონე ენა შედარებით ისტორიული შესწავლისათვის გაცილებით მეტს მასალას იძლევა, ვიდრე უმწერლობო ენები (ანდა ისეთი, რომელზედაც ეს-ეს არის შეიქმნა დამწერლობა).

არნ. ჩიქობავა პრინციპულად აყენებდა საკითხს: „ინდოევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უყოყმანო მიღება ინდოევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას სრულიადაც არ ნიშნავს“. ბევრს გვავალებს ის ფაქტი, რომ კავკასიურ ენათა აგებულება არა ერთ მნიშვნელოვან პუნქტში განსხვავდება ინდოევროპული ენების აგებულებისაგან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცნებები აქ სრულიად სხვა სახით აიგება.

მაგრამ იქ, სადაც „ტიპოლოგიური თავისებურება იჩენს თავს, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ სრული შეგნებით გავითავისუფლოთ თავი არჩებული ტერმინოლოგიური ტრადიციებისაგან და სინამდვილის შესაფერი ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ჩამოყალიბებას არ დავერიდოთ“.

არნ. ჩიქობავას აზრით, კავკასიურ ენათა შესწავლას ორმაგი ინტერესი

აქვს; ჯერ ერთი, თვით ამ ენათა ბუნებისა და მათი ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით და, მეორეც, ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. „ენობრივი აზროვნების ვარიაციები ძნელად თუ არის სადმე ასეთი მრავალფეროვნებით გაღაშლილი, ხოლო ამ ენათა ბგერითი მხარე ისეთი სიმდიდრითა და სირთულითაა აქ წარმოდგენილი, თითქოს აღაპიანის სამეტყველო ორგანოთა საარტიკულაციო შესაძლებლობათა ამოწურვას ცდილანო“.

სიმწვლეები მარტო უმწერლობო ენების შესწავლაში კი არ იყო, არამედ იმაშიც, რომ ქართულსა და ქართველურ ენებშიც, მისი დიალექტების შესწავლაში ჯერ ცოტაა გაკეთებული, რომ ელემენტალური განზოგადების მეცნიერული უფლება გვექონდეს. არნ. ჩიქობავა დაასკვნია: „თაობათა მუშაობაა აქ საჭირო. ინდივიდუალურ შრომას, რაც უნდა დიდმნიშვნელოვანი იყოს იგი, ვერ ძალუძს იმის გაკეთება, რაც მთელი დასების ფართო კოლექტიური შეთანხმებული მუშაობის პროცესში უნდა იქნეს მიღწეული“.

პროფ. არნ. ჩიქობავა ამ სიტყვებს მოწოდებისათვის არ ბეჭდავდა. იგი თვითონ ჩაუდგა სათავეში თაობათა მუშაობას და ნახევარი საუკუნეა წარმატებით წარმართავს მას. 1933 წელს განახლებულ თბილისის უნივერსიტეტში პროფ. არნ. ჩიქობავას თაოსნობით შეიქმნა კავკასიურ ენათა კათედრა — პირველი ორგანიზაციული ცენტრი იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა. ასე ასაბუთებდა პროფ. არნ. ჩიქობავა 1933 წელს ამ კათედრის შექმნის აუცილებლობას: „კავკასია ენათა ლაბორატორიას წარმოადგენს; ამ ენათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. სპეციფიკურ კავკასიურ ენათა (როგორცაა: ქართველური ენები, აფხაზურ-ჩერქეზული, ჩაჩნური, დაღესტნის ენები) ენათმეცნიერული შესწავლა აქტუალური მნიშვნელობისაა წინა აზიის ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთა ვინაობის გარკვევისა და ჩვენი ხალხის შორეული წარსულის მეცნიერული სიზუსტის დადგენისათვის. კერძოდ, კავკასიურ ენათა შესწავლა ყურადღების ცენტრში დგას, ამჯერად კავკასიის სამეცნიერო ცენტრებშიც და უცხოეთშიაც (ნორვეგია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები). ასეთ პირობებში გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს კავკასიურ ენათა კათედრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

ივ. ჭავჭავაძის დიდად იწონებს იმას, რომ თბილისის უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა ცალკე კათედრაა, სადაც „ამ ენების მონოგრაფიული საფუძვლიანი გამოკვლევა მიზნად დასახული და რამოდენიმეჯერ ადგილობრივ ყოფნა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ბლომად შეკრება აქვს დასახული“ (გვ. 81).

კავკასიურ ენათა კათედრა, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბებული სათანადო განყოფილებანი, ის ორგანიზაციული წარმონაქმნი გახდნენ, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს ივანე ჭავჭავაძის მიერ 1937 წელს დაყენებული ამოცანა: „საქართველო უნდა კავკასიური ენების კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციეთო“.

თ ა ვ ი III. გულის სიტყვა

პირველად 1938 წელს ჩატარდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

დებუტატობის კანდიდატთა შორის ივანე ჭავჭავაძის წამოყენეს. ერის ამ დიდი შვილის დასახელებას სიხარულით შეხვდნენ ყველგან საქართველოში. ხარობდა ყველანაირად № 27 სტუდენტთა საარჩევნო ოლქი, აქ ცხვედადისეულ წმინდა შენობაში, იმ უნივერსიტეტში, რომელსაც სული ივანე ჭავჭავაძის ჩაუდგა, სადაც მან სიხარულითა და წყენაც ნახა, ახლა 9 ივნისს მას შეხვედრას უწყობენ.

საუნივერსიტეტო კლუბი, გასაგებია, ვერ იტევს მსურველებს. შეხვედრა ამომრჩევლებთანაა. უმთავრესად სწორედ მათ ერგოთ ეს სიხარული.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კ. ჭავჭავაძემ გახსნა შეხვედრა. სიტყვა ნდობით აღჭურვილ პირს ნ. ლომსაძეს ეძლევა. ესაღმებთან დიასახლისები მ. სალუქვაძე და ნ. ზვიადაძე, სტუდენტი ი. ნერგაძე, სტუდენტი ა. თევზაძე არჩევნებისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს კითხულობს. ყველა გამომსვლელი ალტაცებით ლაპარაკობს ერის შვილის წარუხოცელ დეაწლებ დედა-სამშობლოს წინაშე. სიტყვას ამბობს საყოველთაო სიყვარულით გარემოცული დებუტატობის კანდიდატი ივანე ჭავჭავაძი. აი მისი გულის სიტყვა:

„ამხანაგო ამომრჩევლებო!

უდიდეს მადლობას მოგახსენებთ იმ განსაკუთრებული პატივისცემისა და ნდობისათვის, რაც გამოიხატა უმაღლეს საბჭოს კანდიდატად ჩემს დასახელებაში. მაგრამ ამავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ მე უხერხულობას ვეძრებო და ახლაც ვეძრებო, რადგან არ ვიცი, შევძლებ თუ არა იმ დიდი ნდობის გამართლებას, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემადმი, შევძლებ თუ არა იმ დიდი მოვალეობის აღსრულებას, რომელიც აწევს უმაღლესი საბჭოს დებუტატებს.

მე ეს გარემოება მაფიქრებს იმიტომ, რომ ჩემი მთელი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო აკადემიურ ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. ესლაკი საკანონმდებლო დაწესებულების წევრობა მომიხდებოდა, — თუ თქვენი სურვილი გამართლდა და არჩეული ვიქნენი და ეს სფერო უკვე გაცილებით უფრო პასუხსაგებოდა და, ამასთანავე, ჩემთვის ჭერ კიდევ სრულებით ახალი, ვიდრე ის, რომელზედაც მე ორმოცი წლის განმავლობაში ვმუშაობდი.

ის განსაკუთრებული პატივისცემა, სიყვარულის გამოხატულება, რომელიც თქვენ იხებეთ, მე მიმაჩნია გადაჭარბებულად. ქართული გულუხვობით აიხსნება ეს...

მე ჩემს თავს, ჩემს მოღვაწეობას სრულებით ისე დიდად არ ვაფასებ, როგორც თქვენ გნებავთ. ხშირად მე ჩემი მოღვაწეობა წარმომიდგენია ისე, როგორც ჰიანჭველა პატარა, რომელიც ეპოტინება დიდ მარცვალს, და მიაქვს, მაგრამ განმარტოებული მუშაობით მარტო ერთ ადამიანს არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. ეს იყო ჩემი ღრმა რწმენა ყოველთვის, ეს რწმენა მაქვს ამჟამადაც, როდესაც მე უკვე მოხუცებული ვახლავართ, როცა სხვანაირად მინდა ვიმსჯელო, ვიდრე მე ვმსჯელობდი ყმაწვილობის ეამს.

ცხადი არის ჩემთვის, რომ, თუ ერთ ჰიანჭველას არ შეუძლიან დიდი საქმის გაკეთება და ის თავისთვის მიეზიდება მხოლოდ, თუ ფუტყარს ცალკეულს გამოუმუშავებული თაფლით შეუძლია მხოლოდ თავისი თავი გამოკვებოს, — ფუტყარების სკას შეუძლია ადამიანს მისცეს — და აძლევს კიდევ — ის თაფლი, რომლითაც ჩვენ ყველანი სიამოვნებით ვიკვებებით ხოლმე.

და თუ ჩემს მოღვაწეობას, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო მოღვაწეობას, უკვე საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ

გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულსკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები.

ჩემს მოღვაწეობაში მე ვხელმძღვანელობდი ერთ ხალხურ ლექსით, რომელშიც მშვენივრად არის გამოხატული ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება იმ აუცილებლო-აუცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა ადამიანი აკმაყოფილებდეს.

„კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწევებ ჭებასა;
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი — არც თავის დელასა“.

როგორ ვიკადრებ მე, რომ თქვენს წინაშე ჩემს შესახებ რაიმე ვთქვა იმაზე მეტი, რომ სხვებს შეუძლიათ თქვან, ეს არც საკადრისია ჩემს მხრივ და არც ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება მიკარანახებს, თუ კარგი რამ გამიკეთებია, ალბათ თქვენ მოგვეწონებოდით, და ის გარემოება, რომ თქვენ ინებეთ ჩემი პიროვნების დასახელება კანდიდატად, მე მაფიქრებინებს, რომ ჩემს მოღვაწეობაში კარგი უნდა ცოტა სკარბობდეს მაინც ცუდს, რომელიც არც დედას მოეწონება“.

ილია ჭავჭავაძის მიერ დაბეჭდილი ხალხური ლექსი სამოქმედო მაქსიმად იქცა ივანე ჭავჭავიშვილისათვის. ახალი პასუხს მგებლობით შეხვდა ივანე ჭავჭავიშვილი დეპუტატად არჩევას, მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ირჩევენ.

სტუდენტობის დროიდან არ ელეოდა მას რჩევის, დარიგების, დახმარების, ხელის გაწეობისათვის მოსულნი. ახლა დიდად იმატა მათმა რიცხვმა.

საკვირველი პუნქტულობით, დაუზარლად და მისაბაძი გულისხმიერებით ასუხობდა და ეხმარებოდა ყველა შათგანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის აზრს დიდი ძალა ჰქონდა, როცა განსაკუთრებით საქმე ეხებოდა ტოპონიმიკურ სიზუსტეს, ამა თუ იმ დასახელებული პუნქტის ისტორიული სახელწოდების აღდგენას.

დეპუტატობის რწმუნებას ივ. ჭავჭავიშვილი ხალხის სამსახურის გაფართოებისათვის იყენებდა. 1938 წლის 9 ივლისს ივანე ჭავჭავიშვილი აქვეყნებს წერილს გაზეთ „კომუნისტში“ და აღნიშნავს, რომ როგორც დეპუტატს მხურვალე სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. შემდგომ ასაბუთებდა თავის ამ პოზიციას: „ეს განზრახვა იმ რწმუნაზეა დამყარებული, რომ თითოეული დეპუტატი ვალდებულია თავისი დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შეეწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის“.

1940 წლის 8 ივნისს დეპუტატმა ივ. ჭავჭავიშვილმა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მესამე სესიაზე. იგი მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1940 წლის 10 ივნისის ნომერში.

ივ. ჭავჭავიშვილის პირადი არქივი ინახავს მრავალ მასალას, რაც მას საქარ-

თველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის შემდგომი სრულყოფისათვის მოუპოვებია და თავის სიტყვისათვის აქვს გამოყენებული.

შესანიშნავია დებუტატ ივ. ჭავჭავაძის სიტყვა. მთავარ ყურადღებას იგი უმაღლეს სკოლას, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას უთმობს.

ივანე ჭავჭავაძის გული უსაზღვროდ გახარებულია იმ გასაოცარი უზარმაზარი კულტურული მუშაობით, რომელიც 19 წლის განმავლობაში მიღწეულია საბჭოთა საქართველოში.

ახალი და ახალი უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევითი ინსტიტუტები, მუზეუმები, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული სკოლები სიამაყის გრძობას იწვევდა, იგი იმასაც აღნიშნავდა განსაკუთრებული კმაყოფილებით, რომ საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოს კულტურის ძეგლთა დამცველმა განყოფილებამ 5 მილიონი მანეთი მიიღო, აღწერდა ადრე წარმოუდგენელ წარმატებებს, რაც არქეოლოგიურ გათხრებზე საბჭოთა ხელისუფლების გულუხვი დახმარებითაა მოპოვებული. მიღწევებით თავმოწონებოდა სანაქებო ქედობა არაა. დიდი წარმატებების ფონზე მცირე ნაკლოვანებანიც ძნელი მოსათმენია. ნაკლოვანებების აღნიშვნა, ამბობდა ივანე ჭავჭავაძი, „ყველა ჩვენს დიდ მონაპოვარს მომავალში უფრო მეტად გააძლიერებდა და შემდგომი წარმატებისათვისაც მტკიცე ნიადაგს შეუქმნიდა“.

იგი აყენებს მეტად აქტუალურ საკითხებს, დარგობრივი დაქვემდებარების მიუხედავად, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გეგმური კოორდინირებისა, განსაკუთრებით კი მეცნიერების ახალი კადრების აღზრდის საქმეში. იგი აღნიშნავს, რომ „მოსწავლე ახალგაზრდობაში უმაღლესი სამეცნიერო ცოდნის ჩამწერგავი კადრების ნაკლებობა საქართველოში ძალზე საგრძნობია. რასაკვირველია, ეს იმ სასიხარულო მოვლენით აიხსნება, რომ ჩვენში უმაღლესი ცოდნის აუცილებლობა უკვე უფრო ფართო მოვლენად იქცა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა გვეკონდეს გათვალისწინებული, თუ რა მოსდევს შედეგად უმაღლესი სასწავლებლებისათვის სათანადოდ მომზადებული ლექტორების ჭარბი რაოდენობის ნაკლოვანებას“. ამიტომ სამეცნიერო კადრების მომზადება უპირველეს ამოცანად უნდა მიგვეჩინა და მის გასახორციელებლად კარგად გათვალისწინებული მიზანშეწონილი გეგმა შეგვემუშავებინა. არ იყო რესპუბლიკაში ის მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ასპირანტთა მომზადების მიზანდასახულ გეგმას შეიმუშავებდა. „არსად ეს ლოგიკურ-ზნეობრივი მოვალეობა იურიდიულ დავალებად და, მაშასადამე, ვალდებულებად ქცეული არ არის: ამისათვის სადირექტივო ორგანოებისა და საკანონმდებლო დაწესებულებების სათანადო დადგენილება და კანონია საჭირო“.

და 1940 წელს ივანე ჭავჭავაძი აყენებდა საკითხს, რომ საქართველოს სსრ-ში შექმნილიყო რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ყველა უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებლის საკვლევო-საძიებო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღნაგობის, მათი მუშაობის გეგმების, კადრების მომზადება-განაწილების, გამომყვამლობისა და მშენებლობის საკითხებს „ზოგად რესპუბლიკურ მიზანდასახულობათა და მოთხოვნილებათა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით განიხილავდა და სახალხო კომისარათა საბჭოს თავის დასკვნას წარმოუდგენდა“.

იგი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ თანამედროვე მეცნიერების სწრაფი დაწინაურება და აღმოჩენათა სიმრავლე კარგად მოწყობილ საკვლე-

ვო-სამიგბო ლაბორატორიებსა და საექსპერიმენტო ინსტიტუტებზე და მოკიდებული. საბჭოთა კავშირის დაწინაურებული სამეცნიერო ცენტრების მაგალითი ამას გვიდასტურებს. იგი კონკრეტულ ამოცანებს აყენებდა ამ მიმართულებით, სახელდობრ აღნიშნავდა, რომ სასურველია საქართველოს ჰქონდეს ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი, ურომლისოდაც მეცნიერების ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა ძნელია. ასევე აყენებდა სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის გაუმჯობესების წინადადებას. ასეთი საკითხების დასმისა და გადაწყვეტისათვის გამოიყენა ივანე ჭავჭავიძე ილიმა დეპუტატის ტრიბუნა. ამასთან მას არ ავიწყებოდა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მიღწევებისათვის, რომელიც მოპოვებულია საბჭოთა საქართველოში; იგი ასე ამოავრებდა თავის სიტყვას: „სრული შეგნებით უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ის ნაკლი, რაზედაც უკანასკნელად მოგახსენეთ, რასაკვირველია, მხოლოდ წვრილმანია იმ დიდ კულტურულ აღმშენებლობასთან და იმ ბრწყინვალე მიღწევებთან შედარებით, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკამ მოიპოვა“.

პასუხისმგებლობის უმაღლესი შეგნება ივანე ჭავჭავიძელს მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი დამსახურების ყოველი აღიარების დროს თან სდევდა. დიდების ახალი საფეხურები მას თავბრუს არ ახვევდა, ზრდიდა კი მასთან ჩჩვევის, კონსულტაციის, დახმარებისათვის მისულთა რაოდენობას. სახალხო სიყვარულის ტალღა ივანე ჭავჭავიძელისაგან შეფასებას, აღიარებას მოითხოვდა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა და პირთა ღვაწლისას. ივანე ჭავჭავიძელი აღტაცებული იყო აღორძინებული ქართული დრამატული თეატრის წარმატებით საბჭოთა საქართველოში. როგორც საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი დავით ჩხეიძე იგონებს, არა მარტო ზაქარია ფალიაშვილს, არამედ კოტე მარჯანიშვილს მკვიდრო შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდა ივანე ჭავჭავიძელთან, მასთან იგი იხილავდა „ვეფხისტყაოსნის“ სცენაზე დადგმის საკითხს. ივანე ჭავჭავიძელმა მწარედ განიცადა კოტე მარჯანიშვილის ნაადრევი სიკვდილი. და როცა მარჯანიშვილის თეატრს არსებობის ათი წელი შეუსრულდა, ივანე ჭავჭავიძელი 1939 წლის 15 იანვარს ამ თარიღის გამო სიამაყით სავსე წერილს უგზავნის შალვა ღამბაშიძეს. ამ წერილში იგი აღტაცებას გამოთქვამს ქართული ხელოვნების, კერძოდ თეატრალური ხელოვნების წარმატებების გამო. ამ წარმატებებში განსაკუთრებულად წარმოჩინდება კოტე მარჯანიშვილი დიდი რეჟისორული ნიჭით და ნიჭიერთა მიგნება-აღმოჩენის განუმეორებელი უნარით. იგი წერდა: „... მგზნებარე ენერჯისა და ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭის პატრონის, დიდი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათი წლისთავის დღესასწაულის გამო, მისი ცოდნით, ნიჭითა და სიხარულით შექმნილი ამ დაწესებულების ყველა თანამშრომლებს ვუსურვებთ, რომ მომავალშიაც თავიანთი მოვალეობა ისევე ბრწყინვალედ აესრულებინათ, როგორც აქამდის. ამ თეატრის დამაარსებელმა და სულისჩამდგმელმა პირადი მავალით დაგვანახვა, თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლიან მოვალეობის შეგნებას, საქმის თავდავიწყებამდე გატაცებას, დაუშრეტელ სიყვარულსა და ნიჭს.

მხურვალედ მოგილოცავთ დღესასწაულს და სიყვარულით სავსე საღამს მოგახსენებთ“.

ივანე ჭავჭავიძელი იწონებს „ახალგაზრდა კომუნისტის“ ინიციატივას დევიზით „შევისწავლოთ ქართული ნაციონალური სპორტი“ და გაზეთის 1940 წლის 7 სექტემბრის ნომერში მოუწოდებს ისტორიკოსებს, ლიტერატორებს, ფოტოკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე მეცნიერ-მუშაკებს, დაუზარ-

ლად ითანამშრომლონ ამ პატრიოტული საქმის შესწავლაში. იგი წერს: „დიდი ხნისაა და მდიდარი ისტორია აქვს ქართულ სპორტს

შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების მიერ მრავალი ასეული წლის მანძილზე შემუშავებული ეროვნული სპორტის ცალკეული სახეები. ეს უსათუოდ სასარგებლო და ღირსების საქმეა. იგი შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურად, ისე გონიერად განვითარებას, შეუმუშავებს მას მტკიცე ნებისყოფას, გახდის ამტანაინს და გამბედავს“.

საზოგადოება, ადამიანები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ერის ძველი მოღვაწეებისადმი. ახლა დიდად აფასებენ მათ ამაგს. ამისი გამოხატულება იყო დიდებული ქართველი მოღვაწეების—გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გადასვენება დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე. ვამოჩენილი ქართველი პათანატომი აკად. ვლ. ქლენტი იგონებს, რომ მისთვის გამამხნეებელი და ამაღლევებელი იყო ივ. ჯავახიშვილის დასწრება ამ აქტის აღსრულებაზე. იგი წერს: „ამ ისედაც დიდებულ, ერთსა და იმავე დროს სამგლოვიარო და საზეიმო ვითარებას კიდევ უფრო აძლიერებდა ივ. ჯავახიშვილის იქ ყოფნა.

რა მშობლიური, წარმოუდგენლად ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ივ. ჯავახიშვილი ნ. ბარათაშვილისა და ი. გოგებაშვილის საფლავებს დიდუბეში და მთაწმინდაზე, მათ ნეშტებს, მათ სამარეებში არსებულ ყოველ საგანს.

ასე მეჩვენებოდა, თითქოს ჯავახიშვილის თვალები — ეს მთელი ქართველი ერის მშობლიური სევდით აღსავსე თვალები იყო. კარგად მახსოვს, თუ როგორი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა იგი თვალყურს ყოველ ჩემს მოქმედებას, სიტყვას, აქტის წერას“.

თ ა ვ ი IV. პირველი ოცი წლის ზეიმი

1938 წლის მაისში მთელმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა უნივერსიტეტის ოცი წლისთავი. იმ დღეებში უნივერსიტეტის ორი სახელოვანი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი და ივანე ბერიტაშვილი სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა.

1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მუშაობა დაიწყო საიუბილეო სამეცნიერო სესიამ. საესეა სააქტო დარბაზი. იხსნება ფარდა. მხურვალე ტაში. ისმის შეძახილები: „გამარჯვებულ და გულმართალ სტუდენტთა გულწრფელი მადლობა საქართველოს დიდ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს“, „გაუმარჯოს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზატორს — ივანე ჯავახიშვილს“.

სტუდენტებმა თაიგულები მიართვეს ივანე ჯავახიშვილს. სამეცნიერო სესიის პირველი მოხსენება — „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“ — წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

დიდებული სურათი იყო. ყველას მიერ დაფასებული, ამაგდარი მოჭირნახულე, მომხიბვლელი დარბაისლობითა და ბუნებრივი თავმდაბლობით ორი საათის მანძილზე ჰყვებოდა მისი მეთავეობით გადატანილ ბრძოლის პერიეტებზე, იმ ბრძოლისა, რომელსაც შედეგად კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის გახსნა მოჰყვა.

ივ. ჯავახიშვილი არა მარტო საუნივერსიტეტო იღვის გამარჯვებას აგვიწერს საქართველოში, არამედ უსაზღვროდ გახარებულა საბჭოთა ხელისუფ-

ლების წლებში ქართული კულტურის არნახული წარმატებებით. საბჭოთა საქართველოში ქართული ენის, მათ შორის მეცნიერული ენის აყვავებით. ყოველივე ამას ადარებს რევოლუციამდელ წარსულს, როცა ქართველ ინტელიგენტთა საგრძნობ ნაწილსაც დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა.

ზეპირად წაკითხულ მოხსენებაში ივ. ჭავჭავაძის მეტად დასამახსოვრებელი მაგალითი მოჰყავს „მშობლიურ ენას გადაჩვეულობისა“. იგი აღწერს იმას, რაც ცარიზმის მსხვილ მოხელეს იანოვსკის შეემთხვა, როცა იგი საშუალო სასწავლებლის ერთ კლასში შევიდა, სადაც ასწავლიდნენ ქართველი მასწავლებლები და მოწაფეებიც ქართველები იყვნენ. მოთხრობის მიხედვით, რომელსაც ისინი არჩევდნენ, მათ შეხვდათ სიტყვა „ვოლოპადი“. მან ჭერ მასწავლებელს ჰკითხა, თუ როგორ არის ეს სიტყვა ქართულად, მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა, მოწაფეებმაც ვერ უპასუხეს. მაშინ იანოვსკიმ თქვა: უცნაურია, რამდენად ლარიბი უნდა იყოს ენა, რომ არ გააჩნდეს იმ მოვლენის გამომხატველი სიტყვა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებაო. ივანე ჭავჭავაძის საშარტიანი გაკვირვებით სვამდა კითხვას: „თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არც ერთი ეს სიტყვა? არა, მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შესძლო და ცნობილია, რომ როდესაც ადამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია არა თუ სიტყვა დაავიწყდეს, ენა დაავიწყდეს — რომელიც მან კარგად იცოდა, არამედ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგოს.

სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ერთი შემთხვევა: ქალმა განაცხადა ენისანობის გამო, — იმიტომ რომ მშობლებმა არ აუსრულეს სურვილი, — ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო.

ეს ამბავი მოხდა ამერიკაში. ოცი წლის შემდეგ, როდესაც მოიწვია თავისი მახლობლები და საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ მან აღასრულა აღთქმა და ოცი წლისთავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მან მხოლოდ პირის და ტუჩების ამოძრავებლად შესძლო, მაგრამ არც ერთი ბგერა აღარ აღმოხდა, მოდუნებული ჰქონდა ის აპარატი, რომელიც მეტყველებას განაგებდა“.

ენის განვითარებას, განსაკუთრებით კი მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარებას დიდი დრო და, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „სავარჯიშო მოდანი“ სჭირდება. ივანე ჭავჭავაძის სიბრძნით შექმნილი თბილისის უნივერსიტეტის წარუშლელი დამსახურება ისაა, რომ მან მტკიცე საძიარკველი ჩაუყარა მეცნიერული ენის აღორძინებასა და გამდიდრებას. ყველაფერი ეს მოხდა ხანმოკლე დროში. ამით დაძლეულ იქნა ქართველი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის გულგრილობა მშობლიური ენის განვითარების საკითხში. რასაკვირველია, მარტო გატაცება აქ საკმარისი არ ყოფილა. როგორც ივ. ჭავჭავაძის ამბობს: „მარტო მხურვალე გულით არ კეთდება საქმე! ცოდნაა საჭირო მეცნიერებისა“. იგი პროფესორთა უპირველეს მოვალეობად ნიჭიერ მოწაფეთა შერჩევას აღიარებდა. მათ ყოველთვის უკეთესთა შორის უკეთესი უნდა ეპოვათ, გაეწვრთნათ ისინი და ცდილიყვნენ, არასდროს ჩრდილში არ დაეყენებინათ შეგირდები: „ყოველ ჩვენთაგანს, — ამბობდა ივ. ჭავჭავაძის, — მეტადრე მოხუცებულებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“. უნდა იზრუნოს ძველმა თაობამ, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ არ ჩამოუყვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან“. რასაკვირველია, პროფესორთა თავდადება წარმატების მხოლოდ ერთი მხარეა.

მეორე. არა ნაკლები მნიშვნელობისაა თვით ახალგაზრდა ასპირანტთა თავდადება მეცნიერებისათვის. ჯერ ერთი, მეცნიერებას მხოლოდ ის უნდა მიჰყვებოდეს, ვინც საჭირო ნიჭითაა დაჯილდოებული.

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა, — ამბობდა ივ. ჭავჭავაძე, — ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხეჭდრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჭილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია“. სწორედ ეს შეგნება, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ივანე ჭავჭავაძის აზრით, უნდა განავითაროს თავის თავში ყველა ახალგაზრდამ, რომელსაც მეცნიერების დაუფლება გადაუწყვეტია, მას „უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში. მას უნდა ახსოვდეს, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააქვთებს ვერასდროს დიდ საქმეს“.

იმ პირისათვის, ვისთვისაც მეცნიერული მუშაობა მოწოდებაა, ივანე ჭავჭავაძის აზრით, არ შეიძლება თავის გამართლება რაიმე სხვა გარეშე მიზეზებზე მითითებით. იგი სიტყვა-ანდერძით მიმართავდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს, როცა წერდა: „როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობო, უნდა მოგახსენოთ, არა მჭეროდა და არც ახლა მჭერა, ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს“.

მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე“.

აქ კი ივანე ჭავჭავაძის პირადი მაგალითი ხომ ყოველ მოწოდებაზე მეტია.

ივანე ჭავჭავაძელმა გამოსვლისთანავე წაიკითხა და მოიხიბლა ნ. ოსტროვსკის რომანით „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. მას დიდად მოსწონდა გმირის სიტყვები: „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა მხოლოდ ერთხელ და საჭიროა ისე იცხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვაედეს სირცხვილი უსინდისო და წერილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს სთქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალღონე შევალე ქვეყანაზე უღამაზესს — კაცობრიობის გათავისუფლებისათვის ბრძოლას და საჭიროა ცხოვრება მოასწრო“.

• • •

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჭავჭავაძის გარემოებათა დამთხვევის გამო ზოგჯერ უნივერსიტეტის ისტორიკოსის როლშიც გამოდის. რასაკვირველია, მას არც ერთხელ არ აქვს მიზნად საკუთარი როლი წარმოაჩინოს ამ უკვდავ საქმეში. მისთვის მთავარია, აჩვენოს თვითონ ფაქტი — უნივერსიტეტის შექმნის მნიშვნელობა მთლიანად ჩვენი ხალხის ისტორიისათვის.

1938 წლის 30 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ ივანე ჭავჭავაძის ბეჭდავს წერილს „თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის“.

წერილი შესანიშნავად გვიჩვენებს იმას, თუ რატომ ასე ზეიმით აღინიშნება ქართული უნივერსიტეტის არსებობის ოცი წლისთავი.

იმ ერებისათვის, რომელთაც არ უნახავთ წარსულში თავიანთი კულტურის განადგურება და ძველი საუნივერსიტეტო ტრადიცია აქეთ, მრავალფეროვანი ისტორიის მქონებელი უმაღლესი სასწავლებელი მოეპოვება, კიდევ ერთი ახალი უნივერსიტეტის დაარსება და მისი ოცი წლის თავი საგანგებო ზემოქმედებას იქონიებს. ისტორიულ-ბუნებრივად რომ განვითარებულიყო მოვლენები, არც ქართველი ერით მსოფლიო ერის ისტორიაში ოცი წელი საგანგებო ყურადღებას არ მიიპყრობდა, მაგრამ ზოგჯერ და ზოგიერთი მოვლენისათვის ამაზე უფრო მკირე ქრონოლოგიურ თარიღსაც ენიჭება ხოლმე მნიშვნელობა.

არა თუ უმაღლესი განათლების კერები მოისპო საქართველოში, არამედ თვით ქართული სამეცნიერო შემოქმედება და მწერლობაც საუკუნეების მანძილზე თითქმის სრულბრტყელად დაღუპებული იყო. სწორედ ამგვარმა გარემოებებმა განაპირობა ის, რომ 1918 წლის 26 იანვარი ხალხს ისტორიულ თარიღად ეჩვენებოდა.

თავისთავად ეს უფრო რწმენისა და იმედის ნაყოფი იყო, ვიდრე სინამდვილე.

„რამდენი კარგი ოცნება ახსოვს კაცობრიობის ისტორიას უღმრთო ბედისაგან დამსხვრეული...“

ვის შეეძლო იმ დროს დანამდვილებით ეთქვა, თუ როგორი მომავალი ექნებოდა ამ ახლად დაარსებულ დაწესებულებას, ანდა რამდენად გამძლე და ცხოველმყოფელი ძაღლონით აღსავსე გამოდგებოდა იგი.

მაგრამ მაშინდელი სიხარულიცა და გაზვიადებაც მაინც გასაგები და ბუნებრივი იყო“.

მარტო აშკარა მტერი ხომ არ ჰყავდა საუნივერსიტეტო საქმეს, მაშინ ხომ ყველაზე მეტად იყვნენ ურწმუნონი.

ადამიანის რწმენა ისეთი რამეა, რომ მას ზოგჯერ, თუნდაც ცამდის მართალი იყო, მაინც ვერასგზით ვერ დააჭერებ. მხოლოდ დრო და სინამდვილე გამოარკვევს ყველაფერს უცილობლად. ეს დრო დადგა და თბილისის უნივერსიტეტის წარმატებები ქართველი მეცნიერების აღორძინებაში, ქართული კულტურის წარმატებაში, უცილობელ ფაქტად იქცა და 1918 წლის 26 იანვარი მართლაც ისტორიულ თარიღად წარმოგვიდგა.

„ამიტომ დროა, — წერდა ივანე ჯავახიშვილი 1938 წელს, — რომ უნივერსიტეტის დაარსებისა და თანდათან ზრდის ყველა გარემოება გულდასმით აღნუსხული და შესწავლილი იყოს.“

გახურებული სასწრაფო მუშაობის პროცესში ჩაბმულ პირებს ჩვეულებრივ არც დღიურებისა და არც მოგონება-მემუარების წერისათვის არ სცალიათ ხოლმე. ოფიციალურ საბუთებსა და ქაღალდებში კი მხოლოდ ზოგიერთ მოვლენათა უმთავრესად უფლებრივ-ფორმალური გარეგანი მხარეა ხოლმე აღბეჭდილი, შინაგანი მხარე კი. ამ მოვლენათა გამომწვევი და ამამოძრავებელი სულისკვეთება, დედაზრი, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი, იქ ხშირად ან სრულბრტყელად არა ჩანს ანდა მისი მხოლოდ ოდნავი ანარეკლი მოიპოვება ხოლმე.

სანამ ჭერ კიდევ დაგვიანებული არ არის, იმეღია, უნივერსიტეტი ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ თავისი

დაარსებისა და წარსული ისტორიისათვის ყველა, როგორც წერილობითს, ისე ზეპირს და ნივთიერ წყაროებს თავს მოუყრის და დაიცავს“.

სამწუხაროდ, მაინც უნდა ვთქვათ, ბევრი რამ წაიშალა საზოგადოდ მეხ. სიერებიდან იმ პირთა ისე წასვლის გამო, რომ ყველაფრის აღნუსხვა ვერ მოხერხდა.

1939 წლის 3 თებერვალს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, რომ თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა სახელოვანი მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ორდენოსანი პროფესორის ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი უამრავი შრომები, წერილები და სტატიები, რაც ამ 40 წლის განმავლობაში ჩვენს მსოფიან მეცნიერს დაუწერია, იძლევა მისი დაუღალავი, თავდადებული საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის ნათელ სურათს. აქვე გამოფენილია პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომები, თარგმანები რუსულ და უცხო ენებზე.



ივ. ჯავახიშვილმა ოპონენტის როლში გამოსვლა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1903 წელს დაიწყო, როცა იგი პირველად გამოვიდა ოპონენტად გ. ხალათიანცის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს.

შემდგომ მრავალჯგზის 37 წლის განმავლობაში გამოდიოდა იგი ოპონენტის-რეცენზენტის როლში. ბოლო გამოსვლა მისი როგორც ოპონენტისა 1940 წლის მაისში შედგა. ზუსტად ოცი წლისთავზე ქართულად პირველი დისერტაციის დაცვიდან; მისი დასკვნები ყოველთვის გულისხმობდა დისერტანტის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის ცოდნას. მეტიც, წინასწარ თანხმობას ოპონენტობაზე იგი მას შემდეგ იძლეოდა, თუკი დადებითი შეხედულებისა იყო განსახილველ ნაშრომზე, ისე როგორც დისერტანტის მთელს მოღვაწეობაზე. ამიტომაც არც ერთხელ მას უარყოფითი დასკვნა არ დაუწერია. თუმცა სხვა დროს თავიდანვე უთქვამს უარი ოპონენტობაზე.

ბოლო სადისერტაციო ნაშრომი, რომლის ოპონენტად ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა, ეს იყო ქართულ ენაზე პირველად დაცული დისერტაცია დოცენტ პაატა გუგუშვილისა ეკონომიური მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1940 წლის 19 მაისს ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილ დასკვნაში ვკითხულობთ: „დოც. პაატა გუგუშვილის ნაშრომებიდანაც და ამ სადისერტაციო თხზულებებიდანაც ცხადად ჩანს, რომ მას ახალი საარქივო მასალების კვლევა-ძიების ხალისიცა და აღმოჩენა-გამოყენების უნარიც აქვს. მან უკვე არაერთი საყურადღებო ახალი ცნობები შესძინა ეკონომიურს საისტორიო მწერლობას.“

უკანასკნელად გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია მისი ლეწლი, რომ საარქივო მასალებში მან იპოვნა ვახტანგის კანონების იმ დანართი ნაწილის ქართული დედანიცა და მისი შედგენილობის დროცა და გარემოებაც გამოარკვია, რომლის მხოლოდ რუსული თარგმანი იყო შერჩენილი.

ასევე არაერთს ახალ საყურადღებო მასალასა და ცნობას შეიცავს მისი ზემოაღნიშნული სადისერტაციო თხზულება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დოცენტ პაატა გუგუშვილს შესაძლებელია ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭოს“.

1937 წელს გამოცხადდა კონკურსი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ახალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად. მასში წარდგენილ იქნა თბილისის უნივერსიტეტის 6 პროფესორი. აქედან სამი — ივ. ჭავჭავიძე, ივ. ბერიტაშვილი და ნ. მუსხელიშვილი — ნამდვილ წევრებად, ხოლო ა. შანიძე, გ. ახვლედიანი და გ. ხაქაპურიძე — წევრ-კორესპონდენტებად.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდანვე მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვს შეტანილი საქართველოს შესწავლაში ჭერ კიდეც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. ამ მარტო აკადემიკოსი ვ. გიულდენშტედტის მოგზაურობის გახსენება კმარა. ბუნებრივია, კიდეც უფრო გაძლიერდა აკადემიის მიერ საქართველოს შესწავლა რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამ ხომ ყველაზე მკვეთრად გიგანტი ქართველოლოგი მარი ბროსე წარმოდგება. მან ხომ გზა გაუხსნა აკადემიაში თეიმურაზ ბატონიშვილსა და დიმიტრი ბაქრაძეს.

ნიკო მარის მოღვაწეობა აკადემიაში ემთხვევა სომხურ-ქართული ფილოლოგიის დაფუძნებასა და მის წარმატებებს. ივანე ჭავჭავიძე ამ დიდი წამოწყების აქტიური მონაწილეა. მას ხომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიციაში მიუღია მონაწილეობა, უთანამშრომლია აკადემიის წარმომადგენლებთან, აკადემიას ქართველოლოგიის დარგში შესანიშნავი გამოკვლევები გამოუქვეყნებია. ახალი ასპარეზი გაეხსნა აკადემიას მას შემდეგ, რაც მას საიმპერატორო აკადემიის სახელი ჩამოშორდა და რუსეთის აკადემიად იქცა (1917 წ.). ამ დროს ორი ქართველი აირჩიეს აკადემიაში — ა. სუმბათაშვილი-იუჟინი საპატიო აკადემიკოსად და გრიგოლ წერეთელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1925 წელს რუსეთის აკადემია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიად გარდაიქმნა. ამას ყველა სიხარულით შეხვდა, ისე როგორც აკადემიის 200 წლისთავის ზეიმს. ივანე ჭავჭავიძე წერდა: „მას შემდეგ, რაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის არსებობის 200 წლისთავზე გამართულ ზეიმსა და საკავშირო აკადემიად გამოცხადების დროს საბჭოთა კავშირის მთავრობამ და აღმასრულებელმა კომიტეტმა მთელ ქვეყნიერებას მეცნიერებისა და მეცნიერთა დამოუკიდებელი პარტიის ცემა ამცნო, ნდობა გამოუცხადა, მთელი ქართველი მეცნიერები რუსეთის ხალხთან ერთად ამაყობენ ამ ძვირფასი საგანძურით, რომელიც აკადემიის მეცნიერებმა შემატეს მეცნიერებას. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქვეშარტების მხურვალე ძიებით გატაცებული აკადემია ახალი ძალით იბრძოლებს უვიცობისა და სიბნელის წინააღმდეგ“. მეტიც, საქართველოს განათლების კომისარი დ. კანდელაკი 1925 წელს საკითხსაც კი აყენებს ივანე ჭავჭავიძელის აკადემიაში წაყენებაზე. ამაზე მან უარი მიიღო ივანე ჭავჭავიძელისაგან, თუმცა დიდი მალეობა შეუთვალა. სხვადსხვა მოსაზრებებით და მათ შორის ჭანმრთელობის გამო იგი უარს ამბობდა თავისი კანდიდატურის დასახელებაზე. 1927 წლის იანვარში პროფ. პ. მელიქიშვილს ირჩევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1937 წელს, როცა დაიწყო აკადემიაში ახალი წევრების წამოყენებისათვის მზადება, დადგა საკითხი ივანე ჭავჭავიძელის აკადემიაში წარდგენისა. ამის შესახებ იგი მხოლოდ ყურმოკრულად იგებს და 1937 წლის 7 მარტს სწერს ვარ. დონდუას: არავის არ უნდა აფიქრებდეს მისი მეტოქეობა, ვინაიდან „არამც თუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც არ ვყოფილვარ არასდროს. ნ. მაძის რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ,

რომ ეს ფორმალობა თავითვან მოიშორეთ. მაგრამ, რაკი ეს ჩემთვის ზედმეტი დროს დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია (დაუცველად ივანე ჭავჭავაძის 1935 წ. 27 თებერვალს მიეკუთვნა ისტორიის დოქტორის ხარისხი — ს. ჯ.) და არასდროს პირადად მე არამც თუ პროფესორის, არამედ პრივატ-დოცენტის წოდებითაც არ მისარგებლია! ვარ. დონდუასადმი მიწერილ წერილში დასძენს, რომ „იმას მაინც ვერაფერს დამწყალებს და მისაყვედურებს, რომ მე შედილობის სენით ვარ შეპყრობილი“. მართლაც, ეს არავის და არასდროს არ დაუწამებია ივანე ჭავჭავაძისათვის, თუმცა ბევრი სხვა რამ მოგონილი მიუწერიათ მისთვის.

1937 წლის 12 მარტს გაგზავნილ წერილში ვარ. დონდუას მას აცნობებს. რომ, როგორც ჩანს, პრაქტიკულად დგება მისი აკადემიაში წარდგენის საკითხი. ყველაფერიდან ჩანს, რომ ივანე ჭავჭავაძის, რასაკვირველია, პატრვად მიიჩნია აკადემიაში არჩევა, მაგრამ იგი თვლის, რომ არ გამოლევლან მისი მოძულენი, რომლებიც შეეცდებიან, ამას ხელი შეუშალონ და, კანდიდატურის ჩავარდნის შემთხვევაში, გამარჯვებულის პოზა მიიღონ. „ასეთ პირობებში, — სწერდა იგი 1937 წლის 27 მარტს, — კანდიდატურის წამოყენება სახიფათო იყო და ადვილად შესაძლებელია მარცხით დამთავრდეს, რაც ორაგველძის მსგავსად განწყობილი პირებისათვის ფრიალ სასიამოვნო იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ვერავის დააჩერებთ, რომ აკადემიკოსობის პრეტენზიები არ გქონია და წარდგენის შესახებაც არა გცოდნია რა“.

ეს გულმართალი სიტყვები საჭარო განცხადებისათვის კი არ იყო გამიზნული, არამედ გამოთქმული იყო კერძო წერილში იმ პირისადმი, რომელსაც აკად. ი. ორბელიანს დაავალებული ჰქონდა, ივანე ჭავჭავაძის შრომების სია გაემზადებინა აკადემიაში მის მომავალ წარდგენასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, ივანე ჭავჭავაძის არასდროს თავის სიცოცხლეში არ ცდილა, თავისი განსაკუთრებული დამსახურება აღნიშნა. იგი საჭაროდ უარს ამბობდა სამეცნიერო პრემიის მიღებაზე ახალგაზრდა მეცნიერთა სასარგებლოდ. მრავალმხრივი მეცნიერული კვლევით გატაცებული ივანე ჭავჭავაძის უდიდეს მოკრძალებას იჩენს საკუთარი სამეცნიერო ხარისხისა და წოდებითა მიღებისას. თუ ასე იყო საკუთარი შემოქმედების მიმართ, მას არასდროს ავიწყლებოდა სხვისი დამსახურების აღნიშვნა. იგი ყოველთვის ობიექტურობას იჩენდა სხვისი დამსახურების დაფასებაში.

სხვისი მეცნიერული წარმატებები დიდად ახალისებდა მას. ეს კი მეცნიერისათვის ფრიალ მოსაწონი თვისებაა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორი მოკრძალებით შეხედა 1937 წელს ივანე ჭავჭავაძის თავის კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. თუ ასეა საკუთარი თავის მიმართ, სწორედ ერთადერთი ივანე ჭავჭავაძისი ჩქარობს, სამკოთა პაპიროლოგიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი პროფ. გრიგოლ წერეთელი წარადგინოს აკადემიის ნამდვილ წევრად. 1937 წელს ივანე ჭავჭავაძისი წერს პროფ. გრიგოლ წერეთლის მეცნიერულ დახასიათება-წარდგინებას, რომელიც ნიშნავს სხვისი მეცნიერული მიღწევებით გამოწვეული გულწრფელი სიხარულისა და ამასთან მეცნიერული ობიექტურობისა. ივანე ჭავჭავაძისი ბედნიერი და ამჟამად გრიგოლ წერეთლის დიდი მეცნიერული მონაპოვრებით.

1937 წლის 15 ივნისს ივანე ჭავჭავაძისი მიერ დაწერილი ალტაცებული დახასიათება-წარდგინება ასე მთავრდება: „გრიგოლ ფილიპონის ძის შრომების

ჩაოდენობა 71-ს ამეტებს და ეს გარემოება მშვენიერი მოწმობაა ჩვენი მეცნიერის დიდი მეცნიერული პროდუქტიულობისა.

ოსტატური ცოდნა ბერძნული პალეოგრაფიისა, რომლის უდავო ავტორიტეტად საყოველთაოდ აღიარებულია, ძვირფასი წვლილი, რომელიც მის მიერ არის შეტანილი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში და განსაკუთრებული მეცნიერული ნაყოფიერება აძლევს გ. ფ. წერეთელს ყველა უფლებას იმაზე, რომ საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალმა წამოაყენოს მისი კანდიდატურა სრულიად საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად.

ვადგენ რა ჩემს მოხსენებით ბარათს ამის გამო, საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ მეცნიერულ დამსახურებებთან ერთად, გრიგოლ ფილიპონის ძეს გააჩნია კიდევ იშვიათი თვისება: მეცნიერულ მუშაობაში თითქმის კაბუჭური ენერჯია და ენთუზიაზმი, რომელიც ასაკის მიუხედავად სრულიადაც არ შეუზუსტდა, მეტიც, ვლინდება იგი დღესაც სავესებით ინტენსიურად.

ეს გარემოება საფუძველს იძლევა, დარწმუნებული ვიყოთ, რომ გ. ფ. წერეთლის აკადემიკოსად არჩევით საკავშირო აკადემია შეიძენს ძვირფასსა და აქტიურს მკვლევარს¹.

ივანე ჯავახიშვილს არა მარტო უყვარდა, აფასებდა და ამბობდა¹ გ. ფ. წერეთლით, არამედ, ამასთან, კარგად იცოდა მისი მეცნიერული ძალა და ერთი სიტყვითაც არ აპარბებდა გ. ფ. წერეთლის შეფასებაში. ეს ხომ გაკეთებული იყო გ. ფ. წერეთლის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევის ოცი წლის შემდეგ. ალტაცებსა სპეციალისტები არც ოცი წლის წინათ მალავდნენ. გამოჩენილი რუსი მეცნიერები აკადემიკოსები ვ. ლატიშევი და გ. როსტოვეცი 1917 წელს წერდნენ: „გ. ფ. წერეთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებიდანვე სპეციალურად მუშაობს ბერძნული პალეოგრაფიის ისტორიის დარგში და იქცა ერთ-ერთ ყველაზე ზედმიწევნით მკოდნედ ბერძნული დამწერლობისა, ბერძნული ხელნაწერებისა და ბერძნული პაპირუსებისა. რუს მეცნიერთაგან იგი ერთადერთია, რომელიც ქმედით მონაწილეობას იღებს ბერძნულ ენაზე ახალ პაპირუსთა ძეგლების გამოცემაში როგორც ოფიციალური დოკუმენტებისა და წერილებისას, ისე ლიტერატურული ნაწარმოებისას“.

(აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ფ. წერეთელი შესანიშნავი პოეტიკური ნიჭით იყო დაჯილდოებული).

აკადემიკოსები ვ. ლატიშევი და გ. როსტოვეცი შემდგომ აღნიშნავენ: „როგორც უნივერსიტეტის მასწავლებელმა, გ. ფ. წერეთელმა თავის გარშემო შემოიკრიბა რამდენიმე ახალგაზრდა დამწყები მეცნიერი, რომლებიც მასთან ერთად მუშაობენ ბერძნული პაპირუსების კითხვასა და გამოცემაზე.

რუსეთშიც იბადება კლასიკოს-პაპიროლოგების სკოლა“.

ეს სკოლა მართლაც განვითარდა. საბჭოთა პაპიროლოგიის სკოლის ლიდერი სწორედ გ. ფ. წერეთელი იყო.

ივანე ჯავახიშვილს სავესებით სწორად მიაჩნდა, რომ გ. ფ. წერეთლის

¹ აქ გაიხსენოთ, რომ 1926 წელს, როცა ივ. ჯავახიშვილმა თავისი ფუნდამენტური „ქართული პალეოგრაფია“ გამოსცა, მას წარუშლდარა: „პროფესორ გრიგოლ ფილიპონის ძე წერეთელს ღრმა პატივისცემით და სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს“.

„ამ ქართულ პალეოგრაფიის შესახებ ჩემ შრომას ვუძღვნი ცნობილ ქართველ ელინისტსა და განთქმულ პალეოგრაფს გრიგოლ ფილიპონის ძე წერეთელს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს ამშვენებს და ჩვენი მეცნიერების აღორძინების მონაწილეა“.

ყოფნა თბილისის უნივერსიტეტში უკვე წარმატებაა. მრავალსაზოგადოებრივად იგი ჩვენს კულტურას. ბევრჯერ მიმართავდნენ მან ბერძნული წარწერების ამოსაკითხავად სხვადასხვა კონსულტაციისათვის, ყველა თხოვნასა და მომართვას უშურველად და თავდაუზოგავად ასრულებდა. მართალია, პეტროგრადად დააკლდა არყოფნა პაპიროლოგიის საბჭოთა სკოლის ლიდერისა, მაგრამ თბილისს ვერ ახსენებდნენ პაპიროლოგიის ცენტრად, გ. ფ. წერეთელი რომ არა, თუმცა თბილისიდან, როგორც დაინახეთ, მას არ შეუწყვეტია კავშირი თავის მოწაფეებთან ლენინგრადში.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პირდაპირ რაინდული საქციელი პროფ. გ. ფ. წერეთლისა. 1923—1927 წლებში მას სთავაზობენ აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას იმ პირობით, რომ იგი პეტროგრადში — მის მშობლიურ ქალაქში — გადაევა საცხოვრებლად და იქვე უხელმძღვანელებს პაპიროლოგიის საბჭოთა სკოლას. მაშინ ჭერ კიდევ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ძველი წესდება მოქმედებდა. აკადემიური ტრადიციით ნამდვილ წევრს დედაქალაქში უნდა ეცხოვრა. ეს არ იყო სავალდებულო წევრ-კორესპონდენტისათვის. რასაკვირველია, გ. ფ. წერეთელი გულწრფელი კმაყოფილებით შეხვდა ამ პატივს, თუმცა მან არ ისურვა პეტროგრადში გადასვლა, სადაც კეთილმოწყობილი ბინა ჰქონდა, ბევრი ნათესავი, ახლობელი და მეგობარი ჰყავდა. იგი 1924 წლის 5 აგვისტოს ლენინგრადიდან სწერდა ივ. ჭავჭავიძელს: „მე გადაწყვიტე თუკი ჩემს პირობას არ მიიღებენ, უარი ვთქვა შემოთავაზებულ პატივისაგან, აღვნიშნე, რომ ვარჩევ ვიყო პროფესორი თბილისში, ვიდრე აკადემიკოსი პეტერში“. უფრო ადრე, 1923 წ. 26 აგვისტოს, იგი სწერდა ივანე ჭავჭავიძელს, რომ პირობად წამოაყენა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად თბილისი, „დროებით ჩასვლა პეტროგრადში, გახფხფულზე და ზამთარში თითო თვით, საერთო ჯამით ორი თვე. თუ ამაზე დამთანხმდებიან, მით უკეთესი, თუ არა და როგორც უნდა ისე გააკეთონ. მე ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი და თბილისს არ დავტოვებ“.

ივანე ჭავჭავიძელი ყოველმხრივ ახალისებდა თბილისში გ. ფ. წერეთლის შემოქმედებითი ზრახვების განხორციელებას. მისი ინიციატივით გ. ფ. წერეთელი 1938 წლის მარტში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის პროფესორად და სამეცნიერო საბჭოს წევრად იქნა დამტკიცებული. ივანე ჭავჭავიძელი დიდ სიხარულს გამოთქვამდა ამის გამო ენიკის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1938 წლის 10 აპრილს. ოცი წლის შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტიდან (ათი წლის განმავლობაში ის ერთადერთი წევრ-კორესპონდენტი იყო კავკასიაში მცხოვრები) გაცილებით დიდი მეცნიერული მიღწევებისათვის გ. ფ. წერეთელი მართლაც რომ ღირსი იყო აკადემიკოსობისა. სამწუხაროდ, ამას განხორციელება არ ეწერა. იმ დროს ტრაგიკულად შეწყდა მისი სიცოცხლის ბოლო მარტივლური წლები.



ივანე ჭავჭავიძელის წარდგენას აკადემიაში ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში ენერგიულად უჭერენ მხარს. ყველგან შესანიშნავი დახასიათებაა ივანე ჭავჭავიძელის შრომებისა და ღვაწლისა. 1939 წელს 28 იანვარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის დღეს აკადემიის საერთო კრებაზე იგი დახასიათებულ იქნა, როგორც „ჩვენი ქვეყნის

ერთი დიდი მეცნიერი". აღიარებას აღიარება მოსდევს. ჰრავალ მოლოცვას იღებს ივანე ჭავჭავიძე. მილოცვები პრესაში იბეჭდება. მასში წარმოგვიდგენენ ჩვენ დიდ მეცნიერსა და დიდ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც თავისი დიდი ღვაწლით დაამახურებიათაურს გახდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. საკავშირო პრესა მთელს ქვეყანას აცნობდა აკადემიაში ახლად არჩეულ წევრებს. 1939 წლის 29 იანვარს „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა წერილი აკადემიკოს ი. ა. ორბელიას სათაურით „ბრწყინვალე სწავლულები“. იგი აქ ახასიათებს ივ. ჭავჭავიძეს და ი. ა. მანანდიანს (აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ისინი კბუქობის დროიდან მეგობრები იყვნენ). აკად. ი. ა. ორბელი წერს: „სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიგებს შეემატა ორი მეცნიერი, რომლებმაც ათეული წლები მიუძღვნეს კავკასიელი ხალხების ისტორიული წარულისა და კულტურის შესწავლას.

პროფესორი ივანე აღექსანდრეს ძე ჭავჭავიძეილი საქართველოს ისტორიის უდიდესი სპეციალისტია. მისი შრომები ეძღვნება ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, აგრეთვე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის, ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებს.

ი. ა. ჭავჭავიძეილმა, რომელიც ბრწყინვალედ იცნობს ფაქტობრივ მასალას, ფლობს საქართველოს ისტორიის ყველა წყაროებისა და მათთან დაკავშირებული ხალხებისა და ქვეყნების ენებს, მთელი რიგი განსაკუთრებით ძვირფასი გამოკვლევები შექმნა მისი მრავალტომიანი „ქართველი ერის ისტორია“ ისტორიულ მეცნიერებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი განძია და წარმოადგენს საკუთრივ, დამოუცილებლად შექმნილ უაღრესად საინტერესო გამოკვლევათა მტკიცედ შეკრულ ჯაჭვს.

ი. ა. ჭავჭავიძეილი შესანიშნავად ფლობს ფილოლოგიური კვლევის მეთოდებს, და აქ განსაკუთრებით იგრძნობა მასზე ნ. ი. მარის, მისი უდიდესი მასწავლებლის გავლენა. შრომა, მიძღვნილი ქართველთა მეფის თამარის ისტორიკოსის ბასილისადმი, რომელიც თვით ი. ა. ჭავჭავიძეილმა აღმოაჩინა, წარმოადგენს ე. წ. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე ფილოლოგიური მუშაობის სამაგალითო ნიმუშს.

ძველი ქართველი ისტორიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ შედგენილი ცნობების შედარებებმა საქართველოსათვის უცხოურ, სომხურ, სირიულ, ირანულ და ბიზანტიურ წყაროებთან ი. ა. ჭავჭავიძეილს საშუალება მისცა, ჩატარებინა საქართველოს ისტორიული ფაქტების მრავალმხრივი და მიუყვარძებელი კვლევები.

საქართველოს უძველესი ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე მუშაობასთან ერთად, ივანე ჭავჭავიძეილი დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე კვლევებს სომხეთის ისტორიასა და ძველ სომხურ ისტორიულ ლიტერატურაში.

მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ი. ა. ჭავჭავიძეილი— პედაგოგი დოცენტი და უნივერსიტეტის პროფესორია — ჯერ პეტერბურგის, ხოლო შემდეგ, მეტწილად მისივე ღვაწლის შედეგად შექმნილი თბილისის უნივერსიტეტისა, სადაც იგი მთელ თავის ენერგიას ახალი კადრების მომზადებას, მათ აღზრდას, მათგან ნამდვილი მეცნიერებისადმი უერთგულესი სწავლულების ჩამოყალიბების საქმეს ახმარდა.

შემდგომ იგი ასეთივე სითბოთი და სიყვარულით წერს, რომ პროფესორი იაკობ ამპაასპის ძე მანანდიანი უმსხვილესი მეცნიერია და აღნიშნავს მის დიდ ისტორიულ ნაშრომებს.

აქად. ი. ა. ორბელი თვეს წერილს ასე ამთავრებდა:

„შორს აღარ არის ის დრო. როდესაც ყოველდღიურად მზარდი საბჭოთა მეცნიერება შექმნის მეცნიერებათა ახალგაზრდა აკადემიკოსს ჭერ საქართველოში, შემდეგ კი სომხეთში. მაშინ ორივე მოძმე რესპუბლიკა ისტორიული მეცნიერების განვითარების მიმართულების ბედს მტკიცედ ღვა: ამაყად ჩააბარებენ ხელთ ორ უბრაწყნივალეს მეცნიერს — ი. ა. ჭავჭავიძელს და ი. ა. მანანდიანს“. თითქმის ყველაფერი განხორციელდა, მაგრამ ი. ა. ჭავჭავიძელი ვერ მოესწრო ამიერკავკასიაში პირველი სამეცნიერო აკადემიის — საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის შექმნას. როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გაიხსნა, ივანე ჭავჭავიძელი მხოლოდ სამი თვის გარდაცლილი იყო. 1941 წლის 26 თებერვალს ნამდვილი ეროვნული ზეიმის დღეებში ყველას ვუღს სწვევტა ის, რომ მას ვერ მოესწრო ივანე ჭავჭავიძელი. საზეიმო სამეცნიერო სესიაზე ფეხზე აღვართ პატივი სცეს მის ხსოვნას. აკადემიის პირველმა პრეზიდენტმა მათელიო სახელის მქონე მეცნიერმა ნიკო ჰუსხელიშვილმა თქვა: „ჩვენთვის სამწუხაროა, რომ დღევანდელი საზეიმო განწყობილება იწამლება იმის შეგნებით, რომ ის მეცნიერი, რომელიც ყველაზე უფრო აღფრთოვანებული იყო ამ დღესასწაულის მოლოდინში, ჩვენს შორის არ იმყოფება. ჩემთვის ექვს გარეშეა, ივანე ჭავჭავიძელი ცოცხალი რომ ყოფილიყო, იმ მაღალ თანამდებობას, რომლის დაკავების პატივი მე შემხვდა, სწორედ ის დაიკავებდა“.

ბუნებრივია, ივანე ჭავჭავიძელი სიხარულით შეხვდა აკადემიკოსად არჩევის პატივს. ივანე ჭავჭავიძელს დიდება და აღიარება არ ახვევდა თავბრუს, მას ერთი დღეც არ უტხოვრია საზეიმო სიმშვიდის ვითარებაში. მისი ღვაწლის ყოველი დაფასება ახალს, უფრო გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იწვევდა მასში. ღიდების ტვირთი და გამოცდა მან ადვილად აიტანა. მაღალი თანამდებობა და წოდება ივანე ჭავჭავიძელისათვის არ ყოფილა პრივილეგია და სინეკურა. ყოველთვის ავას საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გაზრდას უკავშირებდა, მაგრამ შერყეული ჭანმრთელობა დიდად აფიქრებდა მას, რის გამოც ჩქარობდა ნაშრომების გამოქვეყნების თაღარიგს. ყველაფერი უკან დგებოდა შემოქმედებითი განზრახვების აღსრულების გზაზე. სურდა კი, წამოწყებული ძირითადი ნაშრომები მიაღწე დაემთავრებინა; ამას ემატებოდა პასუხისმგებლობის დიდი შეგნება, რომ გაუმართლებინა ის პატივი, რაც აკადემიკოსობას ახლავს.

უღარესად ნიშანდობლივია 1939 წლის 24 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის ლექტორის გ. კვიტაშვილისათვის გაგზავნილი წერილი. მასში იგი მაღლობას უხდის აკადემიაში არჩევასთან დაკავშირებით მილოცვისათვის. ამასთან აღნიშნავს, რომ ეს პატივი მას საგონებელში აგდებს. ამას კი შემდეგნაირად ასაბუთებს: „აკადემიკოსობას ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის გაორკეცება და გაორმაგება უნდა მოჰყვეს, ჩემი ძალღონე კი უღარესად დაძაბულია და ჩემს ჭანმრთელობას ამაზე მეტის ატანა არ შეუძლიან“.

გამოვა ისე, რომ მე ახალ ჰოვალეობას პირნათლად ვერ ავასრულებ. ავას კი მიჩვეული არა ვარ და ეს ზნეობრივად დამტანჯავს. მუშაობის გაორმაგება იმის გამოქვეყნებასაც გამოიძნელებს, რაც ქართულად ჭერ კიდევ დასაბეჭდი და დასამთავრებელი მაქვს. მე კი დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამჩინია და აჩქარება მჭირდება. ყოველნაირად უნდა ვეცადო, რომ უმთავრესი ნაწარმოების გამოცემა მიაღწე მოვასწრო.

როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძალიან ძნელია იმის

გამორკვევა, თუ რანაირად დაამთავრებდა იგი, თვითონ რომ მოესწრო კვლევა-ძიების დასრულება. უფრო ძნელი გასარკვევე იქნება ჩემს დაუმთავრებელ ნაშრომებში გარკვევა, ბევრ სხვადასხვა საშეცინიერო დარგზე მუშაობის გამო წლების სხვადასხვა დროს მაქვს ნაწილ-ნაწილ დაწერილი. მოუტლელობის გამო კვლევა-ძიება შეწყვეტილია იმის იმედით, შემდეგში მოვახერხებდი იმის დაწერას, რაც ჩემმა მეხსიერებამ იცის. თუ ამასთანავე იმასაც დავეუბნებო, რომ ნაშრომის სტამბაში მრეცემადის გვერდების პაგინაცია არ მაქვს, ალელიად წარმოიდგენო, რომ უკეთესი იყო ჩემთვის შრომების გამოქვეყნებისათვის მომენდომებიანა ის მცირე დრო, რომელიც დამრჩა სიცოცხლის საბიელზე“.

მეცნიერებისათვის და არა მეცნიერული ტიტულებისათვის უსაზღვრო ერთგულებაა ამ სიტყვებში.



ივ. ჭავჭავაძის მრავალი მილოცვა მიიღო, კოლექტიური და პერსონალური, აკადემიკოსად არჩევის გამო. რასაკვირველია, ყველას ვერ პასუხობდა. აღნიშნავთ ისევ გ. კვიციანილის წერილს 1939 წლის 23 იანვარს გაგზავნილს „ჩვენო დიდებავ, ჩვენთვის უძვირფასესო ბატონო ივანე!“

გულით და სულით, მთელი ჩემი არსებით გილოცავ აკადემიკოსობას. ...ბუნების უსამართლობა იმაში გამოიხატა, რომ თქვენისთანა პიროვნებას მტერი არ უნდა ჰყავდეს, სინამდვილემ კი სხვა გვიჩვენა: ორგულებმა და პირმოთნე მედროვე ხალხმა აასისინეს თავიანთი შხამიანი ენა და ამით სულიერი ტანჯვა მოგაყენეს. რომაელებს დარჩა ერთი კარგი ანდაზა: „მარმარილოს ძეგლს ტალახი არ ეკარებაო“. ესეც თქვენზე არის გამოჰრილი: მტრების მიერ ნასროლი ტალახი თქვენ არ მოგეკარათ, იმიტომ რომ თქვენც მარმარილოსავით სპეტაკი ხართ... ახლა, როდესაც თქვენმა სიმართლემ გაიმარჯვა, თქვენ მიიღეთ დამსახურებული ჭილდო და პატივი, ახლა თქვენი მოწინააღმდეგენი სოროებში მიიმაღნენ ანდა სულმდაბლად გაიძახიან: „არ გვინდოდაო, მაგრამ გვათქმევინესო“.

გაიმარჯვა თქვენმა მეცნიერებამ, თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ. შესანიშნავად მოიქეცი, რომ ფინიებს თავი არ გაუყადრეთ და თქვენი დიდულოვნებით მათ იარაღი დააყრვენი... ჩვენ ისე გვიყვარხართ, როგორც თქვენ გოყვართ ქართველი ერი... და ვინ იცის რამდენი თაობა უნდა გამოიყვალოს, რომ თქვენ ვინმე დაგემსგავსოს.

აკაკი წერეთელს ერთხელ ზეიმზე სიტყვა ვუთხარი და ბოლოს დავძინე: რა ბედნიერი იქნება ქართველი ერი, რომ თითო აკაკი არ გამოეყოდეს თქვა. ასეთივე ნატურა ახლა თქვენზე უნდა გავიმეორო. ახლა ხომ არ გყავთ მემკვიდრე, მაგრამ ნეტა შორეულ მომავალში მაინც გაჩნდეს ვინმე თქვენი მსგავსი.

არ იფიქროთ, ბატონო ივანე, რომ ამ მოკლე ბარათით მე ვცდილობდე თქვენს შეფასებას, ამას ერთი ტომი არ ეყოფა, მე მხოლოდ ვერ მოვეუყარე თავი მოზღვავებულ გრძობებს და ზოგი მათგანი გაჰყენეთ.

თქვენ ეკუთვნით ქართველ ერს, კაცობრიობას და მარადისობას. თქვენ უკვე მოიპოვეთ უკვდავება, ვინაიდან, სანამ ქართველი ერი იარსებებს, თქვენც მასთან განუყრელი იქნებით“.

ივ. ჭავჭავაძის და ი. მანანდიანის არჩევითანავე აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობაში. კერძოდ ისტორია-ფილოსოფიის განყოფილების მუშაობაში. ისინი შესანიშნავი მოხსენებებით გამოდიან. ერთ-ერთი მათგანი „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი პერიოდის ისტორიის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ იბეჭდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ძველი ისტორიის უწყებებში 1939 წელს (№ 4). ისინი მეცნიერული პაექრობის ნამდვილ ნიმუშებს გვაძლევენ. 1939 წლის 27 მაისს სითბოთი ამბობდა ისტორია-ფილოსოფიის განყოფილების სხდომაზე აკადემიკოსი ვ. ვ. სტრუვე: „მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა ღრმად პატივცემულმა კოლეგებმა კავკასიიდან, რომლებიც ჩვენი მოძმე რესპუბლიკებიდან მოვიდნენ, მართლაც რომ დაიპყრეს ჩვენი ყურადღება.“

აკად. მანანდიანის მოხსენება და ივ. ა. ჭავჭავაძის მოხსენება ყველა ჩვენგანისათვის, რომელთათვის ძვირფასია კავკასიათმცოდნეობა, უაღრესად საინტერესოა. მეტნაკლები ხარისხით ჩვენ წარმოვადგენთ ნ. ი. მარის მოწაფეებს, და ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო, კვლავ გაგვეგონა აქ, აკადემიის კედლებში, სადაც ერთ დროს ლაპარაკობდა ნ. ი. მარი, სიტყვები მისი უძველესი მოწაფისა ი. ა. ჭავჭავაძისა, რომელიც ამჟამად კავკასიისმცოდნეობის ყველას მიერ აღიარებულ მეთაურს წარმოადგენს“.

თ ა ვ ი VI. სიმღერა-გალობა ერის სულის ურღვევი ნაწილია

ქართული ერის დიდი ისტორიკოსი მისი მუსიკის ისტორიის შესწავლას გვერდზე ვერ გაუდგებოდა. მუსიკა, სიმღერა-გალობა, ეს არის ერის ისტორიის ურღვევი ნაწილი, ამასთან ისეთი, რომელშიც წარსულის უძველესი ნაშრომების ამოკითხვაა შესაძლებელი.

ისტორიულ მწერლობაშიც ბევრი რაიმეს პოვნა შეიძლება მუსიკის ისტორიისათვის, მაგრამ თავის მხრივ მუსიკის ისტორიის ცოდნას შეუძლია გავაკრავოს საზოგადოდ კულტურული ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებში. სიმღერა-გალობა ხომ უძველეს პერიოდში საკრალურ ფუნქციებს ასრულებდა.

ამ პრობლემების კვლევაში ყველაზე კარგი დამთხვევა ისაა, რომ ძველი ისტორიის სპეციალისტი ერთდროულად მუსიკის სპეციალისტიც იყოს. ეს მით უფრო აუცილებელია საქართველოში მუსიკის ისტორიისათვის, ვინაიდან ეამთა სიავემ დაგვიკარგა ბევრი რამ, რომლითაც შეიძლებოდა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების სრული სურათის აღდგენა. კემშარტი ბედნიერებაა ის, რომ ქართველთა ყველაზე დიდი ისტორიკოსი უაღრესად კომპეტენტური პიროვნებაა მუსიკათმცოდნეობაში. ბედნიერებაა ის, რომ ივ. ჭავჭავაძის წიგნი სწორედ მაშინ გამოვიდა, როცა მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ქართული ცივილიზაციის ისტორიის თავისი ძირითადი ნაშრომები. ამ დროს 1938 წელს ქვეყნდება ივანე ჭავჭავაძის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.

მუსიკათმცოდნეს, რომელსაც სრული კომპეტენტურობით შეუძლია იმსჯელოს ხალხურ სიმღერაზე, იმედროულად შესაძლებლობა აქვს, დაწვრილებით მიმოიხილოს თითქმის ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი ისტორი-

ული წყარო ქართულ მუსიკაზე და ამით მუსიკის მომავალ ისტორიკოსს კვლევის მტკიცე თეორიული ბაზა შეუქმნას. სწორედ ეს მიზანი აქვს დასახული ივანე ჭავჭავიძელს. იგი ნაშრომის შესავალში მიმოიხილავს ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებებსა და თეორიებს ქართული მუსიკის შესახებ და სავსებით დამაჩვიებლად გვიჩვენებს, რომ იმ დროისათვის ძალიან ცოტა იყო ამგვარი ნაშრომები, მათ შორის საფუძვლიანი ნაშრომები. „ყველა ამ წყაროების ძირითად და საერთო ნაკლს ის შეადგენს, რომ ავტორებს ძველი ქართული წყაროები თითქმის სრულებით გამოყენებული არა აქვთ. ამიტომ მათი მსჯელობა უმეტესად შემთხვევითა და სათუო მასალაზეა დამყარებული. წინამდებარე წიგნის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები ძველ ქართულ და უცხო წყაროებზე დაყრდნობით ყოფილიყო განხილული“ (გვ. 37). ავტორმა აქ ერთგვარად შემოზღუდა თავისი ნაშრომის ფარგლები. მასში მარტო ძველი ისტორიული წყაროები როდია მიმოიხილული.

პირველად მიგნებულ ისტორიულ მასალებთან ერთად ივანე ჭავჭავიძელმა კვლევას ცალკეულ სიმღერებზე საკუთარი დაკვირვების შედეგად ხალხში შემორჩენილი მასალები დაურთო, რომელიც მისი დავალებით შეიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ძველი ცნობის სიზუსტე შემოწმებულ იქნა თანამედროვეთა დაკვირვებებით, გატარებულ იქნა მეცნიერული კრიტიკის ქურაში და შედეგად მივიღეთ ფუძემდებლური დასკვნები ქართული მუსიკის ისტორიის უმთავრეს საკითხებზე. ჩალრმავებული მუშაობა ძველისძველ მუსიკალურ ტერმინოლოგიაზე დამოწმებული და დადასტურებულია ახალი დროის მასალებით. ამით ნაჩვენებია ტერმინის შინაარსის ისტორიული ცვალებადობა. ამიტომაც ცალკე შედარებული ხმების სახელები ძველი და თანამედროვე წყაროებისდა მიხედვით.

ნაშრომის პირველი კარი ეძღვნება „ხმიერ მუსიკას“. იგი იწყება მუსიკის ზოგადი ძველი ქართული ტერმინოლოგიის ანალიზით. აქ ძველის ცოდნა თანამედროვე ტერმინებზე პირადი დაკვირვების შედეგად გამოტანილ დასკვნებს ემყარება. მრავალთავან ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ივ. ჭავჭავიძელი არ ეთანხმება იმ შეხედულებას, რომ იმთავითვე იყო განსხვავება სიმღერა-გალობას შორის, რომ პირველი საერთო, ხოლო მეორე სასულიერო ხმიერი მუსიკის აღმნიშვნელი ტერმინიაო. იმის დასადასტურებლად, რომ გალობა ზოგადად ყოველნაირი მუსიკალური გაბმული ბგერის აღმნიშვნელი იყო, ამბობს ივ. ჭავჭავიძელი, არც არის საჭირო შორეული ძეგლების დასახელება, რადგან ამისი კვალი თანამედროვე ქართულსაც ემჩნევა. „ეხლაც ყოველი ჩვენგანი ამბობს, „ბულბული გალობაო“, თუმცა ყველამ იცის, რომ ამ ფრინველის ბგერასა და ხმიანობას საეკლესიო, ანუ სასულიერო გალობასთან საერთო არაფერი აქვს. დ. გურამიშვილიც ხომ ასეთ ტერმინსა ხმარობდა: „ამბობს ტორუა, გალობს ბულბულიო“. ცნობილს ხალხურ სიმღერა-ლექსში „შაშვი კაკაბი შეიბნენ“ ხომ შაშვი მხოლოდ მგალობლად იწოდებოდა. დასასრულ, გარე-კახეთში ჩაწერილს ლექსშიც ნათქვამია: „გაზაფხულისა პირზე შაშვი დაიწყო გალობაო“.

მასშადად, გალობა უძველეს ხანაში მუსიკალური ბგერების ერთადერთი ზოგადი სახელი ყოფილა, მაგრამ ამ სიტყვის ტერმინოლოგია ჭერ გამორკვეული არ არის. „საფიქრებელია მხოლოდ, რომ ძველი ქართული გალობის მონათესავე უნდა იყოს ტირილისა და დატირების, გოდების გამომხატველი მეგრული ტერმინი გარა-ცა და მონგარა-ც, რომელიც თავდაპირველად მაინც მოთქმითა და შებანება ზრუნით ხმაშეწყობილი ტირილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“.

ნაშრომის პირველი კარის მეორე თავი ეძღვნება ძველ ქართულ წყარო-ებში დაცული ხმების სახელებს. შემდგომ მესამე თავში დახასიათებულია XIX და XX-სს ხალხში შერჩენილი ხმების სახელები.

აქ ივ. ჭავჭავიძე იღობს არა ჩერდება მარტო ძველი ქართული ძეგლებიდან და XIX საუკუნის წყაროებიდან ამოკრებილი ცნობების განხილვას. ამასთან ერთად, ამბობს იგი „უნდა ხალხში დაცული გადმოცემა და მამამათაგან ნაანდერძევი ცოდნაც გვექონდეს გათვალისწინებული და გამოყენებული: იქ, უმეველია, არაერთი საყურადღებო ტერმინი და ცნობა შეგვხვდება“. და მართლაც, ამას მოსდევს ივ. ჭავჭავიძის ინიციატივით 1935 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვილი მასალებით ძველი მუსიკალური ტერმინოლოგიის მნიშვნელობის დადასტურება.

ივანე ჭავჭავიძე იღობს განსაკუთრებულად ჩერდება სიმღერის ხმების აქარულ სახელებზე. აქ არა მდიდარი ქართული კულტურის ისტორიული კერაა, გამაჰმადიანებამაც ვერ ამოაგდო აქედან ქართული სული, დედაცა, ქრისტიანული გვარები, ზნე-ჩვეულებანი, მათ შორის ძველთაძველი ქართული სიმღერები.

ქართული სიმღერაც ქართულ ენასთან ერთად ყოველთვის აერთებდა აქარას დედასამშობლოსთან. ძველი აქარის კულტურული წარსულის შესწავლა-აღწერა ივ. ჭავჭავიძის უფრო მნიშვნელოვან ამოცანად ესახებოდა. 1935 წელს აქარის კულტურის დაუღალავმა მკვლევარმა ჭემალ ნოღაიდელმა გამოაქვეყნა „ეთნოგრაფიული ნარკვევი აქარელთა ყოფაცხოვრებიდან“. ავტორმა ეს წიგნი გულთბილი წარწერით უძღვნა ივანე ჭავჭავიძის. 1935 წლის 16 ოქტომბერს ავტორმა მადლიერებით სავსე წერილი მიიღო, რომელიც ყოველმხრივ ახალისებდა მკვლევრის დიდ წამოწყებას.

ამ წერილში ვკითხულობთ: „თქვენი ნაშრომიდან ჩანს, რომ ნიქიც გაქვთ და დაკვირვების უნარიც გეტყობათ. უფრო გარმაკვებული და ხანგრძლივი შესწავლა შემდეგში უფრო მეტს შეგძენთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ ეხლავე, ამ ორიოდ წლის განმავლობაში, მოახერხოთ ეთნოგრაფიული ცნობების შეგროვება, სანამ მოხუცებულები კიდევ ცოცხლები არიან და ცხოვრებაც ჭერ მთლად შეცვლილი არ არის. ეცადეთ, რომ რაც შეიძლება მეტი ჩასწეროთ მოხუცთა ნაამბობი ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის პირველი დონის შესახებ და წელიწადის სხვადასხვა დროისა და დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზნე-ჩვეულებებზე.“

თქვენს ნაშრომში მე-18 გვერდზე ხმების სახელებია მოყვანილი, მაგრამ ჩანს, ბ ა ნ ის სახელის მოხსენება გამოგრჩენიათ. ამას გარდა, გთხოვთ მაინობოთ, მთქმელი რატომ ეწოდება, რის მთქმელია, თუ ხმის და სახელდობრ რომელი ხმის, წვრილის, მომძახნელზე უფრო წვრილს თუ არა? მომძახნელი რატომ ჰქვიან ამ ხმას, რას მოსძახის? შემდეგ გამყვიან იგივე მოკრიმანკულეა თუ არა? ბ ა ნ ს, როგორც ჩანს, 4 კაცი ამბობს, მერე ერთნაირად ყველა, თუ ბანი ორნაირადაც ითქმის?

ამის განმარტება ხალხური სიმღერის ხნიერს მცოდნეებს გამოჰკითხეთ და სიტყვა-სიტყვით ჩამიწერეთ და თქვენი განმარტებითურთ გადმომიგზავნეთ, — დიდი მადლობელი ვიქნები. მარად თქვენი კეთილის მონატრული ივ. ჭავჭავიძე იღობს“.

ქ. ნოღაიდელის პასუხი მან თავის წიგნში გამოაქვეყნა. აქ დაწვრილებით არის დახასიათებული ქართული მრავალხმიანობის ისეთი შედეგები, როგორცაა ხასანბეგურა, ალიფაშა, ინდიმინდი.

ქ. ნოღაიდელმა ამ სიმღერათა ღრმა შესწავლით დიდი სამსახური გაუწია

ქართულ მუსიკალურ კულტურას. ეს სიმღერები დღესაც ალტაცებას იწვევენ უცხოეთის სპეციალისტებში, როგორც ხალხურ საგუნდო სიმფონიზმის მიუწველომელი ფორმები.

ივ. ჭავჭავიძის მადლიანი ნიჭი და უნარი ჩვენი ხალხური კულტურის ამ ფრიად-ორიგინალურ ფორმასაც გასწვდა.

წიგნის მეორე კარი მიძღვნილია საკრავიერი მუსიკის დახასიათებისადმი. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ადამიანი თავის მუსიკალურ მოთხოვნილებას მარტო თავისი ხმით კი არა, არამედ სხვადასხვა საგნების ხმის გამოყენებითაც ცდილობდა და ახერხებდა.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა აგებულებისა და მოწყობილობა-მასალის მქონებული საგანი აღმოჩნდა ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი. თითოეული მათგანისთვის განკუთვნილი სახელის გარდა ყველასათვის საერთო სახელიც გაჩნდა. უძველეს დროითგანვე მოყოლებული ასეთ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში საკრავი იყო მიღებული.

ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში საკრავები ბევრი იყო. ზოგი მათგანი უძველესი დროიდან არსებობდა, ზოგის სახელები ადგილობრივია, ბევრი მათგანი კი თანდათანობით გაჩენილა და მეზობელთაგან ყოფილა შეთვისებული. უმეტესი მათგანი გაქრა და უკვე მერმინდელ თაობებსაც კი მათი სახელების ნამდვილი მნიშვნელობა აღარ სცოდნიათ, თანამედროვე ქართველმა კი, ამბობდა ივანე ჭავჭავიძელი, მათი სახელები მხოლოდ ძველი და ახალი თხზულებების წყალობით იცის, მათი რაობისა კი არაფერი გაეგება. ამიტომაც იგი გადასაწყვეტ ამოცანად აყენებს: „თითოეული მათგანის სახელის ზედმიწევნითი მნიშვნელობა, არსებობის ხანა და საკრავის სადაურობა უნდა ძეგლებისა და მიხედვით იქმნეს გამორკვეული“.

ისეთი პიროვნება, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტის დანიშნულების ცოდნას შეაფარდებდა ქართული და არაქართული ძეგლების ცოდნასთან, ჩვენ არც მანამდე და არც შემდეგ არა გვეყოლია ივანე ჭავჭავიძის გარდა. იგი იწყებს ძალებიანი ანუ სიმებიანი საკრავების დახასიათებით. ყოველი წყარო ისტორიული ძეგლის, სიგელ-გუჯრის, ლიტერატურის ნაწარმოების სახით მოხმობილი ჰყავს ავტორს. მხოლოდ იმ კაცს, რომელსაც მკაცრად ორგანიზებული და მეცნიერულად თანამიმდევრული შრომის ორგანიზაცია ჰქონდა, შეეძლო ამგვარი შრომატევადი გამოკვლევის ჩატარება, რომელიც ჰემშარიტად ქვის კოდვას უთანაბრდება თავისი სიძნელით. ამასთან ივანე ჭავჭავიძელი მიმართავს ხალხურ სიტყვიერებასა და ზეპირ გადმოცემებში დაცული ცნობების შეფასებას საკრავების შესახებ. აქ კი იგი ეყრდნობა მისი ინიციატივით ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ შეკრებილ მასალებს, რომლებსაც პირდაპირ ხელნაწერებიდან იყენებს თავის ნაშრომებში.

წიგნში დახასიათებულია საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში გავრცელებული და ცნობილი ძალებიანი საკრავები. პირდაპირ უნდა ითქვას, ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის შინაარსის გარკვევის შემდეგ ხშიერ და საკრავიერი მუსიკის მაგალითზე მათ მრავალსაუკუნოვან არსებობაში ავტორს შეეძლო თავისი ამოცანა, როგორც ის წიგნის შესავალში გვპირდებოდა, შესრულებულად ჩაეთვალა, მაგრამ მან ეს სრულიად არ მიიჩნია საკმარისად.

წიგნის პოლო კარი ეძღვნება ასევე კარდინალურ საკითხს, ესაა „ქართული მუსიკის განვითარების მთავარი ამოცანები“.

აქ მთლიანად ჩვენი ხალხის კულტურული შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხებია გაანალიზებული. ბოლოს კარის პირველ თავში ქართულ

ძველ წარმართულსა, საერო და შემდეგ გაჩენილ საეკლესიო მუსიკათა შორის ბრძოლა და თანაფარდობა მიმოხილული. წარმართული საერო და საეკლესიო-ებრივი მუსიკის ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას საზღვარი დაუდო ქრისტიანობამ, რომელიც შეურიგებელი იყო როგორც წარმართულ-სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებისადმი, ასევე საერო წეს-ჩვეულებისადმი.

ქრისტიანობის შემოსვლას საქართველოში წიკვა-ლოცვის ახალი ჰანგებიც შემოჰყვა.

ქრისტიანობამ ებრაელთაგან წიკვა-ლოცვაში ერთხმიანი ვალობა შეითვისა. ბევრ ეკლესიას შემდგომ ერთხმიანი ვალობა შემოჰჩა. X საუკუნემდე თვით რომის ეკლესიაშიც ვალობა ერთხმიანი იყო.

ივანე ჭავჭავიძის მტკიცებით, ცხადია, რომ ქართულ ეკლესიას თავდაპირველად და უძველეს ხანაში ერთხმიანი საეკლესიო ვალობა უნდა ჰქონოდა. ამიტომ საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ როდის უნდა ჩამოშორებოდა ქართული ვალობა და საგალობელი ებრაულ-ასურულ-სომხურ და ბერძნულ ვალობა-საგალობლებს და განსხვავებულ ერთეულად ქცეულიყო. ივ. ჭავჭავიძის მიაჩნია, რომ ებრაულ-ასურულ-სომხურ ვალობა-საგალობელთან კავშირი, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინც და მაინც უკვე VII-ს დამდეგიდან უნდა შეწყვეტილიყო, როდესაც სომხეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივი ერთობა საბოლოოდ შეწყდა. თუ ეს მტკიცება ადვილად მიეძღებოდა დადასტურებულიყო, უფრო ძნელი იყო იმის დადგენა, თუ როდის შეწყდა ქართული საეკლესიო მუსიკის კავშირი ბერძნულ-ბიზანტიურთან. ქართული და ბერძნული ვალობის განკერძოების დასრულების გამოხატულება X საუკუნის დიდი ქართველი მუსიკოსის მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული. ამით დადასტურებულია, რომ მეათე საუკუნეში ბერძნული და ქართული საგალობლები ცალკე ერთეულებად ითვლებოდა.

ივანე ჭავჭავიძელი ეძებს და, მისთვის დამახასიათებელი ისტორიკოსის შეუმცდარი ინტუიციით, პოულობს ახალ არგუმენტებს ქართული საეკლესიო მუსიკის ადრინდელ წარმოშობაზე. იგი მიუთითებს გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის ერთ ცნობაზე, რომელიც მოგვითხრობს იმას, რომ საქართველოდან ისევ ათონის მონასტერში მიმავალს გიორგი მთაწმიდელს სამშობლოდან წაყვანილ მოწაფეებისაგან გუნდი შეუდგენია და კონსტანტინოპოლში ბიზანტიის კეისრისათვის წარუდგენია. მას სათხოვარი ჰქონია იმპერატორთან. თხოვნის ასრულების გასაადვილებლად და კეისრის გულის მოსაგებად მას ნორჩი მოწაფეების გუნდი წინასწარ გაუწვრთნია და რამდენიმე ბერძნული საეკლესიო საგალობელი დაუსწავლებია. კეისრის სიტყვიდან ჩანს, რომ მას ბერძნული და ქართული საეკლესიო მუსიკალური განსხვავებულობა კარგად სცოდნია, რომ ქართული ვალობის გვარი და ბერძნული ვალობის გვარი სხვადასხვა იყო. გ. მთაწმიდლის მოსაზრება, რომ ბერძნულს გვარზე ვალობით კეისრის გულს აამებდა, გამართლებულია. მთელს ამ ამბავს ივ. ჭავჭავიძელი აანალიზებს ქართული მუსიკის ისტორიისათვის. ამ ამბით ერთხელ კიდევ უცილობლად დადასტურებულია, რომ XI საუკუნეში ქართული და ბერძნული მუსიკა განსხვავებულია. ეს განსხვავება ჯერ კიდევ ვერ გვიხსნის მრავალხმიანი ქართული საგალობლის წარმოშობის სათავეს. საქმე ისაა, რომ ბერძნული საეკლესიო და საერო მუსიკა ერთხმიანი იყო და სწორედ ამგვარ სიმღერას ასრულებდა ქართველ მოწაფეთა გუნდი, თუმცა ეს არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული საეკლესიო მუსიკა იმ დროსაც უკვე მრავალხმიანი იყო. განსხვავება ხომ ერთხმობაშიც არსებობს. ამ საკითხების გამოკვლევის შემდეგ მთელ

თავის დიდ ცოდნასა და მეცნიერულ ინტუიციას ივ. ჭავჭავაძის წარმართავს ამის დასადგენად, თუ როდის გაჩნდა ქართული მრავალხმიანი საეკლესიო მუსიკა. იგი მიქაელ მოდრეკელის საგალობელთა კრებულის ანდერძში პოულობს ორხმიანობის ანარეკლს.

საეკლესიო მრავალხმიანობის წარმოშობის დადგენისათვის გადაწყვეტი მიიღვნა აქვს იმ ბრძოლის შინაარსის გარკვევას, რაც გაბატონებულ ქრისტიანობასა და წარმართობას შორის გაჩაღდა. ეკვი არ არის, ეს ბრძოლა გალობაშიც იჩენდა თავს. ხალხი მიჩვეული იყო ძველი წარმართული ლხინისა და ჭირისათვის გამიზნულ სიმღერებს. ეს სიმღერები წარმართულ რწმენასთან და ცეკვა-გასართობებთან უმჭიდროესად იქნებოდა დაკავშირებული. ბუნებრივია, ქრისტიანობა მათში მეტოქეს ხედავდა. ამიტომ იგი ჯერ წარმართული სიმღერების შესუსტებას, ხოლო შემდგომ მის მოსპობას შეეცდებოდა. ივ. ჭავჭავაძის ამის დამადასტურებელი ცნობები მოჰყავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეებიდან. შემდგომ კი, როცა, მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ქართული საერო მწერლობა ჩნდება, საერო სულიკვეთების საერთო გამოცოცხლებას არ შეიძლებოდა საერო მუსიკის გამოცოცხლებაც არ მოჰყოლოდა.

ძველი ქართული წარმართული მუსიკის დამცველი სწორედ ხალხი იყო და მისი ძველი მარაგი ხატობა-დღეობებთან დაკავშირებული სიმღერა-გასართობების წყალობით იყო გადარჩენილი. ქრისტიანული ეკლესიის მესვეურნი ცდილობდნენ, აქედანაც აღმოეფხვრათ იგი. ასე, 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველივე საერო ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ გაილაშქრა. ხატობა-დღეობებთან დაკავშირებულ ბაზრობის აკრძალვასთან ერთად („სავაჭრო ერის კრებაჲ“) ყოველნაირი „სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესიც“ არის დაგმობილ-განდევნილი. რასაკვირველია, ამ დღეობის დროს ჩვენში მიღებული ხალხური სიმღერა-გასართობიც იგულისხმება. „ასეთი დადგენილების დაწერა, — შენიშნავს ივ. ჭავჭავაძის შვილი, — ადვილი იყო, განხორციელება კი დასახული მიზნის სრულად მიღწევისა მეტად ძნელი იქნებოდა: თუ ხალხის მთელი ზნე-ჩვეულების გარდასაქმნელად შესაფერისი პირობები არ არის, დადგენილება დადგენილებად დარჩება და ცხოვრება თავისას გაიტანს. აქაც საქმე ასე დატრიალდა“. ბრძოლა არ შეწყვეტილა შემდგომ საუკუნეებშიც. ამ ბრძოლაში, მართალია, გაბატონებულ ქართულ საეკლესიო მუსიკას კარგად ჰქონია უკვე ფესვები მომაგრებული, მაგრამ წარმართობის დროიდანვე დევნილი ქართული საერო მუსიკაც დონემიხდილი არ გამხდარა. იმ ბრძოლაში, რომელსაც ეკლესია წარმართულ ქართულ სიმღერა-გართობებთან აწარმოებდა. სწორედ წარმართულს და ხალხურ საერო მუსიკას გაუმარჯვია იმ მხრივ, რომ ეკლესიის მესვეურთ და საეკლესიო მუსიკას მისი მოსპობა ვერ მოუხერხებია. ქართული მრავალხმიანობის წარმოშობის დასასაბუთებლად თავდაპირველად იგი მიმართავს ხმების სახელწოდების საკრავიერი მუსიკის ტერმინოლოგიას, თვით სიმღერების აგებულებას და თვისებებს. ივანე ჭავჭავაძის დამაჩერებლად უარყოფს ქართული საეკლესიო მრავალხმიანობის უცხოურ (კათოლიკურ, დასავლეთეკლესიულ) წარმოშობის გზას.

თავდაპირველად საეკლესიო საგალობლები ერთხმიანი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, მერწინდელი შენაძენია მრავალხმიანობა. ეს მხოლოდ ქართული საეკლესიო მუსიკის შინაგან განვითარებას უნდა დაუწყევლოთ. მრავალხმიანობა საეკლესიო და საერო მუსიკაშიც გვაქვს. დაუჭერებელია, რომ ერთსა და

მეორეშიც იგი სრულებით დამოუკიდებლად გაჩენილიყო. ამიტომ ერთი მათგანი უნდა იყოს მრავალხმიანობის დამწყები და შემქმნელი, მეორე კი შემთვისებელი.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს რა იმ დაუმცხრალი ბრძოლის შესახებ, რაც საეკლესიოსა და საერო-წარმართულ მუსიკას შორის მიმდინარეობდა, გამოირიცხავს ამ ბრძოლაში ურთიერთსარგებლობას, ყოველ შემთხვევაში იმას, რომ ხალხურ მუსიკას ესარგებლა საეკლესიო მუსიკის პროფესიონალიზმით. „ღვენილს ალლო ყოველთვის თავდაცვაა და ძველი წესების თავდადებით უცვლელად დაცვას უკარანახებს ხოლმე. ამიტომ დაუჭერებელია, რომ ღვენილსა და ათვალისწუნებულს ქართულ წარმართობასა და წარმართულ გალობასიმღერას ქრისტიანულ გალობასთან დაახლოება ეცადნა და მისგან შეეძინა, პირიქით, თავდაცვის მიზნით ის ყოველნაირად ეცდებოდა ქრისტიანული გალობისაგან სრულიად განსხვავებული სიმღერა-გალობა შეენარჩუნებინა. ქართული წარმართული სიმღერები კი, მაგ., სევანური „ლილე“, ფერხული, გადამდებ სნეულებათა „ბატონების“ იავანანა, „მზე შინა და მზე გარეთა“ და სხვა ორ და სამხმინანია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მრავალხმიანობა ქართულ მუსიკას წარმოშობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითგანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებული“.

რა თქმა უნდა, საეკლესიო მუსიკას შეეძლო ესარგებლა საერო-წარმართული სიმღერის მრავალხმიანობით.

გამარჯვებულ ქრისტიანობას წარმართული ზნე-ჩვეულების მთლიანად აღმოსაფხვრელად ხალხში გავრცელებული ჰანგებიც კი გამოუყენებია საეკლესიო საგალობლების სრულყოფისათვის. ზოგჯერ მარტო ჰანგი კი არა, სიმღერის სიტყვებიც იყო შეწყნარებული, როდესაც ძველ ჰანგს საეკლესიო საგალობლის სიტყვებს მოუმარჯვებდნენ, თვით ჰანგი ეკლესიისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ასე უნდა შექტვისებინა საერო-წარმართული სიმღერების ჰანგები და მრავალხმიანობა საეკლესიო მუსიკას. მაშასადამე, მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარება-წარმატების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. შემდეგ იგი გვიხსნის სწორედ ამ შინაგანი კანონზომიერების მქონე მრავალხმიანი საეკლესიო მუსიკის განვითარებას.

ამრიგად, ქართული მრავალხმიანობის ქართული წარმართული სინამდვილიდან წარმომავლობის დამტკიცებას ორი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა უკავშირდებოდა. ერთი, იგი ემიჯნებოდა ირანულ აღმოსავლურ ერთხმიან მუსიკას, მეორე, იგი სრულიად დამოუკიდებლად განვითარებულად გვესახებოდა დასავლეთ-ევროპული პოლიფონიისაგან განსხვავებით.

ივ. ჯავახიშვილი რუდუნებით შერჩეული ცნობებით წარმოგვიდგენს სიმღერათა გვარებობებს ძველს საქართველოში. დაწერილებით აღწერს იგი სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ფართოდ უნდა ყოფილიყო ძველად გავრცელებული.

პურობის დროს ქართველებს მხიარული სუფრული სიმღერები ძველთაგანვე ჰქონიათ. V საუკუნეში არჩილ მეფეს ამ ჩვეულების აღმოფხვრა და მათ ნაცვლად სასულიერო საგალობლების შემოღება უცდია, მაგრამ ცდები ამოაგამომდგარა. ვასაგებია, რომ ქართველს სიხარული უსიმღეროდ ვერ წარმოედგინა. საქორწინო ზემის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სიმღერა

შესანიშნავ ლირიკულ ჩაწინწყლებას ვკითხულობთ ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნში: „სიმღერას ძველ საქართველოში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უიმისოდ საქორწინო კაბის გამოჭრაც კი არ შეიძლებოდა. თემიურაზ

II-ის სიტყვით, წესად ყოფილა, რომ ჭვარის დასაწერი კაბების გამოსაქრელად დაპატივებული მოყვრების წინ „დასჭრიან ჭვარის საწერსა თეთრ კაბებს მაყრულითა და სამჭერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასჭრიდნენ კაბებსა“.

„კაბების გამოჭრის წინ მაყრულის სამჭერ მღერას, უეჭველია, ამ შემთხვევაში თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და საფიქრებელია, ამ მაყრულის სიმღერასაც თავისი შესაფერისი შინაარსის მქონებელი სიტყვებიც ექნებოდა. ამ მაყრულს გამოსაქრელი ტანისამოსისათვის თითქოს ბედნიერება და შვებდობით ხმარება უნდა მოენიჭებინა და ამიტომაც მისი დანიშნულებაც თავდაპირველად მაინც საკარალური იქნებოდა“.

ივანე ჭავჭავიძის წიგნი არა მარტო ძველი ქართული მუსიკის ისტორიის საფუძვლის ჩამყრელია, არამედ მასში ძველი ქართული ქორეოგრაფიის ბევრი საკითხია აგრეთვე განხილული.

ამასთან, ეს წიგნი, დ. ჭანელიძის სწორი სიტყვებით, ძველქართული თეატრის ისტორიის მრავალ საგულისხმო საკითხსაც არკვევს.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ივ. ჭავჭავიძის წიგნის მეორე კარის მეორე თავი „მუსიკის ხელოვნების ორგანიზაცია და მოძღვრება ძველს საქართველოში“.

სიმღერა-გალობას ყოველთვის სჭირდება შესწავლა. ეს იმათთვისაც აუცილებელია, ვისაც მუსიკალური ყურთასმენა და ხმა აქვს. გაწვრთნას კი სათანადო პირი ანდა დაწესებულება სჭირდებოდა. ივანე ჭავჭავიძელი მიმოიხილავს ძველს საქართველოში გალობა-სიმღერის სწავლების ორგანიზაციის იმ მაღალ დონეს, რასაც მუსიკალური კულტურა აღწევს X — XII საუკუნეების საქართველოში.

ივანე ჭავჭავიძელი, აზოგადებს რა ისტორიულ მონაცემებს, წერს: „ყველა ზემოაღნიშნული დაარწმუნებდა ადამიანს, თუ რამდენად დიდი წარმატება დასტყობია ქართულ მუსიკას X ს. შემდეგ XII ს. დამდგვისათვის. ცხადია, რომ, რაკი ხმისა-დადება და ახალი შეთხზული ჰანგის ნიშნებით აღბეჭდვა მაშინ საქართველოში სპეციალობის ცალკე დარგად ქცეულა, მუსიკის თეორიულ მოძღვრებას შეუძლებელია ამ ხანაში დიდი ნაბიჯი არ გადაედგა წინ“.

ივანე ჭავჭავიძელი ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოკითხვის აქტუალურ საკითხებსაც აყენებდა.

თ ა ვ ი VII. დიალოგი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოზე

„საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოზე მუშაობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო ივ. ჭავჭავიძის წერილებში ვარ. დონდუასაღმი 1938 — 1940 წლებში, უაღრესად ინტენსიურად მიმდინარეობდა. ეს თვითონ ივანე ჭავჭავიძის ოცნების განხორციელება იყო — ყველასათვის მისაწვდომი სახელმძღვანელოს შედგენა. დროის მოკლე მონაკვეთში მისი გაკეთება მხოლოდ შრომის დანაწილებით შეიძლებოდა. ასეც გადაწყდა.

1940 წელს მომზადდა მაკეტი ხელნაწერის უფლებით „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს ხანამდე“.

მისი ავტორები იყვნენ ივ. ჭავჭავიძელი, ს. ჭანაშია, ნ. ბერძენიშვილი და გ. ხაჭაპურიძე. მალე უახლესი ისტორიის მონაკვეთი ჩამოშორდა მაკეტს და

ძირითადი განხილვის საგანი გახდა საქართველოს ისტორია XIX საუკუნის დამლევაშდე.

უღირესი ინტერესით შეხედნენ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის გამოსვლას სპეციალისტები და არასპეციალისტები.

1940 წლის 16 აგვისტოს მწერალთა კავშირში მოეწყო თათბირი მწერლებისა და მეცნიერ-მუშაკთა. თავმჯდომარეობდა ი. აბაშიძე. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის შედგენის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა სვ. ჭანაშიამ. მწერლებიდან სიტყვას ამბობენ ს. ჩიქოვანი, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე.

სარგის კაკაბაძეს გამოსვლაში ტრადიციისათვის არ უღალატნია. თუმცა აქ მაინც ერთი გადახვევა გააკეთა თავის დასკვნაში: (კვლავ მტკიცება იმისა, რომ ყველა დამნაშავეა მის მიმართ, თორემ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უკვე დიდი ხანია გვექნებოდაო). მისი აზრით, წიგნი უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ, განაგრძობს იგი, — „მე საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ წიგნი საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა უგულებელყოფის გამო განიცდის ჩამორჩენილობას“. მაინც უნდა ვიცოდეთ, რომელი მიღწევების გამოუყენლობა ჰქონდა ს. კაკაბაძეს მხედველობაში. აქ იგი სრულ პირდაპირობას იჩენს. წიგნი-მაკეტის მთავარი ნაკლი ის არისო, რომ ის „სრულიად უგულებელყოფის ძველი ისტორიის მთელ იმ მიმართულებას, რომელიც შექმნილია ჩვენს სინამდვილეში აკადემიკოს მარის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ნ. მარის „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ იძლევა ისტორიის უძველესი პერიოდისათვის უსათუოდ ანგარიშგასაწევ დებულებას“. ავტორები კი განზრახ გვერდს უვლიან ამ ახალ მოძღვრებას, ურომლისოდაც „საქართველოს უძველესი ისტორია არ გაიმართება“ და ყველაფერი ეს ხდება იმ ინსტიტუტში, რომელიც ნ. მარის სახელს ატარებსო, დასძენდა იგი.

წიგნი-მაკეტის შესახებ პირველი სიტყვა პავლე ინგოროყვამ წარმოთქვა. ეს სიტყვა თამამად შეიძლება მთელი დისკუსიის შეჯამებად ჩაითვალოს. იგი კმაყოფილებითა და სიამაყით ამბობს, რომ წარმოდგენილი მაკეტი უდიდესი მიღწევაა ქართული საისტორიო მეცნიერებისა, ეპოქალური ნაშრომია, რომლისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს საამაყო მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის ნიჭიერ მოწაფეებს. იქვე გამოთქვამს დამაჩერებელ შენიშვნა-მოწოდებას: „თუმცა ამ წიგნის სახით, რომელიც დღეს ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ჩვენ მივიღეთ საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საკმაო არ არის. ამის გვერდით საჭიროა ქართული ენაზე მოგვეპოვებოდეს ფუნდამენტური სრული ისტორია ქართველი ხალხისა, რამდენადაც ამის დაწერის შესაძლებლობას იძლევა ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა. უეჭველია ასეთ შრომას ჩვენ მივიღებთ ქართული ისტორიოგრაფიის ახალ თაობებიდან, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ქართული ისტორიოგრაფიის დარგში. მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ უკვე დაწყებული კაპიტალური შრომა ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილისა დღემდე დაუმთავრებელია. ჩვენ დიდი ხანია ველით ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე და მეოთხე წიგნს, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიას XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. რამდენადაც ვიციო, ეს წიგნები ძირითადად უკვე დამუშავებულია. მაგრამ ავტორი ვერ იცლის წიგნების საბოლოო დამუშავებისა და გამოქვეყნებისათვის. ივანე ჯავახიშვილმა უქანასწენელი ოცდახუთი წელი უმთავრესად მონაღოპა სხვადასხვა უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, რომელთაც ახლო

სიმაღლეებზე აყვანეს ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული უმთავრესად დამხმარე დარგები, მაგრამ ამის შედეგად ძირითადი ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა „ქართველი ერის ისტორია“ — დაუმთავრებელი რჩება.

მე გამოვთქვამ სურვილს, რათა დღევანდელმა ჩვენმა კრებამ და მწერალთა კავშირმა აიღოს ინიციატივა და მიმართოს ივანე ჯავახიშვილს თხოვნით, რათა მან თავის უახლოეს მორიგ სამეცნიერო ამოცანად დაისახოს „ქართველი ერის ისტორიის“ დამთავრება. ეს არის დიადი საქმე, რომლის შესრულებასაც მისგან მოელის ქართველი საზოგადოება“.

მართალია, ეს იყო ავტორის საკუთარი ნაშრომის გამოცემის უფლებაში ჩარევა, მაგრამ იგი სავსებით გამართლებული იყო. ექვი არ არის, იგი მხოლოდ ამხნევებდა ივანე ჯავახიშვილს (იქნებ ამის შედეგიც იყო, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან ჩააბარა ენიშის ინსტიტუტს გამოსაცემად „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნის შემოკლებული რედაქცია, რომელიც ერთადერთი გამოკვლევა იყო საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდისა).

1940 წლის 14 ოქტომბერს კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შედგა თათბირი, რომელიც მიემძღვნა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის და გ. ხაქაპურიძის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მკაცრის განხილვას. თავმჯდომარეობდა გ. ახვლედიანი.

ინსტიტუტის დირექტორისა და თანაავტორის ს. ჯანაშიას შესავალი სიტყვის შემდეგ. მკაცრის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: გ. ნიორაძემ, გ. ჩუბინაშვილმა, აბ. კიკვიძემ. ა. ჩიქობავამ, მ. გოგიბერიძემ, გ. ტივაძემ, ნ. მახარაძემ. პ. გუგუშვილმა. შემდგომ სიტყვა წარმოთქვეს თანაავტორებმა: ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა. ივანე ჯავახიშვილი მკაცრის მართონი ნაწილს კი არ განიხილავს, რომელიც მის მიერაა დაწერილი, არამედ იცუჟს იმ დებულებებსაც, რომლებიც საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს ეხება და რომლის ავტორია ს. ჯანაშია. ეს მით უფრო ნიშანდობლივია, რომ მკაცრი საერთო რედაქციის გარეშე დაიბეჭდა.

უადრესი ინტერესით იკითხება ივანე ჯავახიშვილის სიტყვა, რომელშიც მეცნიერული სიღრმე და მასშტაბურობა ერწყმის მგზნებარე პოლემისტიკის დარბაისლობას. სიტყვის დასაწყისში ივ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს სახელმძღვანელოზე მუშაობის დროს წარმოშობილ სიძნელეებს, განსაკუთრებით აღნიშნავს საშუალო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების დაწერის სირთულეებს. ამას ისიც აძნელებდა, რომ დრო მცირე იყო სახელმძღვანელოს შესადგენად. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი პასუხობს შენიშვნებზე, რომელთაც იგი არ ეთანხმება.

ა კიკვიძე შენიშვნას აკეთებს, რომ მხოლოდ ზოგადი მსჯელობაა მეშვიდე-მეცხრე საუკუნის საქართველოში კლასთა ბრძოლისა მიწისმოქმედ მდაბიოთა და მემამულეთა ბრძოლის სინამდვილიდანა.

ივანე ჯავახიშვილი ამაზე პასუხობს, რომ შენიშვნებში ხშირად გათვალისწინებული არაა შესაძლებლობა. ასე, იყო საყვედური, რომ გლეხთა მოძრაობა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ჭერ უნდა იცოდეთ, არის თუ არა ასეთი ცნობები ძველი ხანის შესახებ და შემდგომ „რასაკვირველია, ეს შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა. რამდენადაც ცნობები მოგვეპოვება, ეს გამოყენებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტაა ეს ცნობები, ახლა ჩვენ რომ ხელოვნურად, სქემის

მიხედვით დაეწერათ, მოგეხსენებათ, რომ ეს უკვე დაგმობილი წესია წერისა, და ამნაირად შეუძლებელი იყო, რომ სახელმძღვანელო შედგენილიყო.

გ. ნიორაძე შენიშნავდა: „სწორია, რომ ყველაზე ადრე ადამიანმა მოაშინაურა ძაღლი, მაგრამ ძაღლის შემდეგ ადამიანმა მოაშინაურა ღორი. მაკეტში კი შეუბრუნებიათ დასახელებულიო“.

ივანე ჭავჭავაძის ვითარება გ. ნიორაძეს, რომ მართლაც არის მიღებული ასეთი დებულება და მისი დასაბუთება ქართული მასალებითაც შეუძლებელია შეიძლება დამტკიცდეს, მაგრამ ყველაზე ასე არ ყოფილა. „არის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ღორი გვიან ჩნდება და სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, როდესაც ჩამოთვლილია ეს ცხოველები, რასაკვირველია ავტორს ნაკვალაზში არ უნდა ჰქონდეს უეჭველად ქრონოლოგიური რიგი. რასაკვირველია, ყველაზე ძნელი დასაწერი უძველესი ხანის ისტორია იყო და ახლო მომავალში ალბათ ბევრი რამ შესაცვლელი გახდება.“

ბერძენი ფილოსოფოსები ამბობდნენ „ყველაფერი მიმდინარეობს და არაფერი არ რჩებაო“, მით უმეტეს მეცნიერებაში, მით უმეტეს უძველეს ხანაში, რომლისთვისაც ჩვენ საკმარისი ცნობები არ მოგვეპოვება“.

ივანე ჭავჭავაძის შემდგომ იხილავს იმ შენიშვნებს, რომლებიც, პისი აზრით, საკმაოდ არ უნდა ყოფილიყო. პროფ. მ. გოგიბერიძეს არ მოსწონს ასეთი მტკიცება მაკეტში: „ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ კი თარგმანები დაიწყო“.

მ. გოგიბერიძის აზრით, „კატეგორიული წინადადების“ სახით არის ნათქვამი, რომ არსებობდა წარმართული მწერლობა მანამდე, სანამდე ქრისტიანული მწერლობა გამოჩნდებოდა.

რაც დაწერილა ჩვენი ისტორიის შესახებ თუ ლიტერატურის ისტორიის შესახებ, ყველა წამოიკითხავს, მაგრამ ამგვარი დოკუმენტის არსებობა მე არსად მინახავს, მისი არსებობა ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია, შესაძლებელია ასე გამოთქმულიყო, რომ „ქრისტიანობამ შეიძლება მოსპო და სხვ.“.

ივანე ჭავჭავაძის უაღრესად დამაჩერებელ პასუხს იძლევა „მაგალითად, სახელმძღვანელოში არის აღნიშნული, რომ ქართველებს წარმართობის ხანაში დამწერლობა და მწერლობა ჰქონდათ. თითქოს ეს ეროვნული თავმომწონეობის, ან მწვანე კიტრის მკვებარას ნაყოფი უნდა ყოფილიყოს. მაგრამ ასე არ არის საქმე. ჩვენ ამის შესახებ გარკვეული ისტორიული ცნობა მოგვეპოვება — უცხოელის, რომელიც ქართველი არ არის. რატომ არ უნდა დაეუჭერათ ამ ცნობას? ეს ერთი. მეორეს მხრით, მარტო ეს ცნობა რომ ყოფილიყო, იქნება ეჭვი შეგვეტანა, მაგრამ სხვა ცნობებიც არსებობს და ამას გარდა თვით ფაქტებიც ცხადყოფენ, რომ მეხუთე საუკუნეში არ ყოფილა ქართული ანბანი გამოგონილი. ჩვენ მეხუთე საუკუნის თხზულება გვაქვს შენახული, მშვენიერი ქართულით დაწერილი, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებია და ჯოგორ შეიძლება, რომ ასეთი თხზულება ერთბაშად გაჩენილიყო, მწერლობა რომ არ ყოფილიყო. სრულებით დაუჭერებელი ამბავია. ამის შესახებ ცნობილი სპეციალისტი ბელგიელი მეცნიერი პეტერსი მეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ ეს უფრო ეროვნული გრძნობით ნაკარნახევი აზრია, ვიდრე სინამდვილე და შუშანიკის მარტივობის შესახებ განაცხადა მან, რომ ეს თხზულება მეთორმეტე საუკუნის ნაწარმოებიაო. ის ამტკიცებდა იმასაც, რომ ვითომ ჭავჭავაძის ავტორიტეტმა პროფ. აკაკი შანიძეც კი შეაცდინა ბოლნისის წარწერის საკითხში. ეს წარწერა მე შეექვსე საუკუნის დამდეგისად დავათარილე და ბოლნისის გათხრის დროს აღმოჩნდა თარიღიანი წარწერა ამ ძეგლის ამენების

შესახებ და მაშინ გამოიჩვენა, რომ შეცდომა მხოლოდ რამდენიმე წლით მომს-
ვლია. მე არ მგონია ეს დიდი შეცდომა იყოს და ისევე, როგორც თვით პე-
ეტერსი შეცდა, მე ვფიქრობ, რომ შემპლდარი არიან ყველა სხვა პირები,
რომელნიც ჯერ კიდევ იმეორებენ ძველი სომეხი მწერლის კორიუნის ზღაპ-
რებს, ვითომ მესროპმა შეთხზა სომხების, ქართველების და ალბანელებისათვის
ანბანი. ეს ზღაპარია მით უმეტეს, რომ კორიუნზე უძველეს სომხურ ძეგლში
ამის მსგავსი ცნობა არ მოიპოვება. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ქართული
ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანისა
არ იყოს.

ამგვარად, არამც თუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანისა უნდა
იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის. რატომ არ უნდა იყოს ეს ნათქვამი,
როდესაც ჩვენ ასეთი უცილობელი საბუთები მოგვეპოვება? თუნდაც სხვებმა
ჯერჯერობით არ გაიზიარონ, რაც ჩვენ კეშმარტებად მიგვაჩნია, სრული ზნე-
ობრივი უფლება გვაქვს, რომ ასეთი ცნობა და დასკვნა მოვიყვანოთ“.

მ. გოგიბერიძე ასეთ შენიშვნას აკეთებდა: „არ ვთვლი თავს კომპეტენ-
ტურად, მაგრამ უნდა გავაყეთო ეს შენიშვნაც. იგი შეეხება იმ ნაწილს, რომე-
ლიც დამუშავებულია ისეთი სპეციალისტის მიერ როგორც არის აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილი და შეეხება საკითხს, შესაძლებელია თუ არა იყოს დემო-
კრატიული წყობილება აბსოლუტური მონარქიზმის პირობებში.“

უდიდესი პატივისცემა ჯავახიშვილის მიმართ ხელს უშლის ბევრს, რომ
ამაზე არ ილაპარაკონ. აქ ისეთი თვალსაზრისია გატარებული, რომ მოვიდა ათო-
ნიდან დიდი ქართველი პოლენაე გიორგი მთაწმიდელი და შემოიტანა პირვე-
ლად სინამდვილეში იდეები დემოკრატიული დამოკიდებულებისა მმართველსა
და იმათ შორის, ვინც იყო მართველობის ობიექტი. მერე სულ ეს აზრია გატა-
რებული, რომ ამ სისტემის დემოკრატია თანდათან გადადის საქართველოს
სახელმწიფო მმართველობაში. მე ვსვამ საკითხს, დამთავრებულ ფეოდალურ
სახელმწიფოში თუ შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი დემოკრატიაში“.

როგორც ხედავთ, ავტორს მოსწონს თავისი შენიშვნა და სწამს მისი უცი-
ლობობა.

ივანე ჯავახიშვილი ექვს არ ტოვებს თავისი პასუხით.

„ეხლა საკითხი დემოკრატიული წესწყობილების შესახებ. სახელმძღვანე-
ლოს მეორე ნაწილში არსად ნათქვამი არ არის, რომ ძველ საქართველოში
დემოკრატია იყო“. თუ გულდასმით წაკითხული გაქვთ, აქ საუბარია მხოლოდ
დემოკრატიული რეფორმების შესახებ. თუ დასავლეთ ევროპის საშუალო
საუკუნეების ისტორია, მით უმეტეს პარნაკს რაკი ასახელებთ, წაკითხული
გაქვთ, გეცოდინებათ, ფრანცისკ ასიზელის ღვაწლი რაში მდგომარეობდა. სწო-
რედ სამონასტრო წესწყობილებაში დემოკრატიული მიმართულების შეტანა
იოკლებოდა მის დამსახურებად. ეს იქ უფრო გვიან მოხდა, საქართველოში კი
უფრო ადრე. როგორც დასავლეთ ევროპაში არავის ფიქრად არ მოსვლია, ეს
მოვლენა თანამედროვე დემოკრატიად გაეგო, ისე მე შეგონა. როდესაც ამას
ვწერდი, მკითხველი მიხვდებოდა, რაზეა საუბარი, მით უმეტეს, რომ იქ გარ-
კვეთით არის ნათქვამი, რომ ბრძოლა იყო წოდებრიობის წინააღმდეგ და წო-
დებრიობის უპირატესობის უარსაყოფად პირად ღირსებასთან შედარებით.
გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით დავით აღმაშენებელმა დაიწყო სისტე-
მატური ბრძოლა. თანდათანობით ეს განხორციელებულ იქნა, მაგრამ დავით
აღმაშენებელმა ეს შესძლო იმის წყალობით, რომ პირველად ეს გიორგი მთა-
წმიდელმა წამოაყენა. ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში სამონასტრო

წილში წამოიჭრა ეს აზრი, საქართველოშიც ამნაირადვე მოხდა. მაგრამ გიორგი მთაწმიდელი პირველი არ ყოფილა, ეფთვიმე მთაწმიდელიც ამასვე მისდევდა. ამისათვის საქართველოში ხანგრძლივი ბრძოლა წყაროებდა და ამაზე სახელმძღვანელოში საუბარი შემთხვევით ცნობაზე არ არის დამყარებული. ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ შემდეგში ეს სახელმწიფო წესწყობილებებშიც იყო გამოყენებული, მე მგონია, ეს თვით იმ ტერმინოლოგიითაც მტკიცდება, რომელიც სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებების შესახებ მოთხრობის დროს თანამედროვე ისტორიკოსს გამოყენებულ აქვს. აკვარად, ეს შიში არა მგონია სამართლიანი იყოს. აქ არაერთაზრი არც ტენდენციური, არც ანაქრონისტული გაშუქება არ არის. საქართველოს ისტორიის უკუღმართობის გამო ის, რაც მოპოვებული იყო დავით აღმაშენებლისა და მომდევნო ხანაში, ისე ვერ განვითარდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, რომ ამ საკითხს გვერდი აუღვიოთ საქართველოს ისტორიაში.

მოსე გოგიბერიძე ამბობდა: „პარნაკი, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მკვლევარია ქრისტიანობის გავრცელებისა და ასეთი საკითხებისაც, ამტკიცებს, რომ ქრისტიანობა უწინარეს ყოვლისა გავრცელდა პერიფერიულ სახელმწიფოებში და არა ცენტრში, ე. ი. გავრცელდა ადრე, ვიდრე რომის იმპერიაში, და ის ადრე გავრცელდა შედარებით ჩვენიც, აქედან გამომდინარე გარემოებას სულ არ ექვევა ყურადღება სახელმძღვანელოში. სოციალური მოტივი, რომელიც პირვანდელი ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა, სულ სხვა იყო, ვიდრე სახელმძღვანელოს ავტორებს ჰგონიათ“, აქაც დამაჯერებელია ივანე ჭავჭავაძის პასუხი. იგი ამბობს:

„მე შეეხებები შენიშვნას ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. რადგან პარნაკი იყო დამოწმებული, მას ამაზე ამ წიგნში აქვს ნათქვამიო. ჩემი ჭაბუკობის დროს პარნაკის მოწაფეც გახლდით. მაშინ სწორედ გერმანიაში იმასთან ვმუშაობდი. პირადადაც არა ერთხელ მომისმენია მისი ამ საგანზე ვსჯელობაც. აქ დამოწმებული მისი წიგნიც წაიკითხელი მაქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარნაკს მართო არა აქვს ნათქვამი, რაც იყო დასახელებული. პარნაკს ბევრგან აქვს ნათქვამი, ისედაც საყოველთაოდ ცნობილია ქრისტიანობა პირველად ებრაელების ახალშენებთან დაკავშირებულ წრეებში ვრცელდებოდა. თუ თქვენ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შესახებ ბრძანებთ, ეს სხვა საკითხია. იქ რომში სახელმწიფო ხელისუფლება მას მთელი თავისი ძლიერი აპარატით ებრძოდა, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებას მართო ეროვნული ანტაგონიზმი კი არ უწყობდა ხელს, არამედ სოციალური უსწორმასწორობაც: თავდაპირველად ქრისტიანობა დაზარალებულ წრეებში ვრცელდებოდა და ამგვარად მის გავრცელებაში. სოციალური ელემენტისა და სფეროს გავლენა აუცილებელი გარემოებაა. შესაძლებელია ის გაშუქება, რომელიც პირველ ნაწილში არის მოყვანილი, მომავალში არ გამართლდეს, როგორც იყო მაშინ განწყობილება საქართველოში, ამის შესახებ ჩვენ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ეს პირობითური მოსაზრებაა, მაგრამ იმის უარყოფა, რომ ქრისტიანობის გავრცელებაში სოციალურ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სრულებით შეუძლებელია“.

ა. კიკვიძე ამბობდა: „თუმცა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოს ისტორიის შემცველი ნაწილი საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი და მშვენივრად დასაბუთებული, მაგრამ საკირო იყო სახელმწიფო დარბაზის შემადგენლობასა და საეკლესიო შესახებ რამე თქმულიყო“.

ივ. ჭავჭავაძის პასუხობს: შენიშვნა სწორია, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. შემოკლების დროს ისეთი რამეები უნდა ყოფილიყო ამოგდებული სახელმძღვანელოდან, რომ მით უმეტეს ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მე რომ დარბაზობაზე დაეწყო მსჯელობა, იქ სამოცამდე მარტო მოხელე-წევრი იყო, თვითული თანამდებობის რაობა უნდა განმარტებული ყოფილიყო, ისევე როგორც ვაზირობის შესახებაც. ცარიელ სახელების მოხსენებას არავითარი აზრი არ ექნებოდა და რომ ჩამომეთვალა, მაშინ საყვედურს დავიმსახურებდი, რომ ცარიელი სახელები არისო. ხოლო თუ განმარტებას შევიტანდი, მაშინ რამდენიმე ნაბეჭდი გვერდი უნდა ყოფილიყო დართული. შენიშვნა სამართლიანია, მაგრამ ეს გარემოება უადგილობით არის გამოწვეული. სხვებიც ასევე იძულებული იყვნენ ბევრი რამ შეემოკლებინათ, რის თქმაც კსურდათ“.

ა. კიკვიძის სხვა შენიშვნაზე ივანე ჭავჭავაძის ასე პასუხობს: „ჩვენ გვეგონა, რომ თემურ-ლენგის მიერ ვენახებისა და ბოსტანების განადგურება (გვ. 243) არ ჩათვლება ეკონომიურ ომად. საქართველოს საწარმოო ძალების განადგურებას კი ისახავდა მიზნად ვენახების გაკაფვა, მაგრამ ეს ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც სახლების დანგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაწყვეტა“.

იქნება უკანასკნელ საკითხს შეეხები, დანარჩენებზე ლაპარაკი აღარ შემიძლია, მართალი მოგახსენოთ, ძალზე დაღლილი ვახლავართ. აწარმოვა თუ არა ეკონომიური ომი თემურ ლენგმა? ამის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეიძლება ითქვას, ჩვენ გვაქვს მისი ისტორიკოსის შერეფ ად-დინ ალი იეზდის სპარსულად დაწერილი თხზულება, რომელიც ემყარება თემურ ლენგის პირადი მდივნის დღიურებს და მისი მოთხრობიდან ირკვევა, რომ თემურ ლენგმა იმთავითვე კი არ დაიწყო ვენახების გაკაფვა და თავიდანვე კი არ გასცა ბრძანება, რომ ვენახები გაეკაფათ და ბაღები და ხეხილის ხეები მოესპოთ, არამედ როდესაც დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის დაძლევა ვერას გზით ვერ ახერხებდა. როგორც ისტორიკოსი ამბობს, თემურ-ლენგმა შეიტყო, რომ ეს „უსჯულონი“ სადილსა და პურსაც კი ვერ სჭამენ ისე, რომ ხილი და ღვინო არ ჰქონდეთო, მაშინ განკარგულება გასცა, რომ ყველაფერი გაეკაფათ. რისთვის? — რომ ხალხი წელში გაეწყვიტა, რომ მისთვის კვების საშუალება მოესპო. რომ მას ბრძოლის უნარი დაჰკარგოდა. რა არის ეს? სამხედრო მოქმედება? ომი იარაღით? არა.

როდესაც თემურ ლენგი მოდიოდა, მისი ჯარისათვის განკარგულება სახლების დანგრევის შესახებ საჭირო არც იყო. მისი ყაჩაღი მებრძოლნი ისედაც ამას ანადგურებდნენ. ისინი მოდიოდნენ იმისათვის, რომ ყველაფერი გაეძარცვათ: სახლებსაც დაანგრევდნენ, სუყველაფერს წაიღებდნენ, მაგრამ პირველი ორი შემთხვევის დროს მათ არც ვენახებისათვის, არც ხეხილის ბაღებისათვის ხელი არ უხლიათ, სანამ თემურ ლენგმა ამის განკარგულება არ გასცა. მან შემდეგშიც მეორედაც გამოიყენა ეს საშუალება, როდესაც დასავლეთ საქართველოში შეფარებული გიორგი მეფის შესაპყრობად გადავიდა. მაგრამ აქაც ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ იქაც განკარგულება გასცა, ასევე ბაღებისა და ვენახების გაკაფვა დაეწყოთ. საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ორჯერ მოხდა ასეთი საშინელება: პირველად თემურ ლენგის დროს, მეორედ შამაბასის დროს. შამაბასმა გაიმეორა ის, რაც თემურ ლენგმა გააკეთა. შამაბასიც იმითვე ხელმძღვანელობდა. კახეთში მან გააკაფინა თუთის ხეები მთლიანად, რომ შეაბრეშუმებოთ მოესპო, რომელიც საგარეო ვაჭრობის საგანს შეადგენდა და მეტოქეობას უწყევდა სპარსეთის შეაბრეშუმებობას.

აი ამგვარად შემთხვევით არ არის ნახმარი ეს გამონათქვამი: თემურ ლენგ-მა ქართველთა დასაძლევად მართლაც გამოიყენა ეკონომიური ომი. შესაძლებელია, ეს ტერმინი გვეხამუშოს იმიტომ, რომ ეკონომიური ომი ეხლაც წარმოებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეხლანდელი ეკონომიური ომი სხვანაირია. ის რაც მაშინ იყო, თუ გნებავთ ბავშვური საშუალებაა ეხლანდელთან შედარებით, მაგრამ თავისთავად არ შეიძლება, რომ მოვლენა ისევე არ იყოს დახასიათებული, როგორც ის ნამდვილად მოხდა“ .

შემდგომ, როგორც ცნობილია, ეს მაკეტი საფუძვლად დაედო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელმაც სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ეს კი გვიან ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1947 წელს მოხდა.

სიკვდილის სიღიაღა

სიცოცხლის ციკლი მუდამ სიკვდილით მთავრდება.

ერთხელ და თანაც დროებით ეძლევა სიცოცხლე კაცთაშვილთ.

სიცოცხლე ბუნების დასაბრუნებელი ვალია. ბუნება კი არ იძლევა მეორე შესაძლებლობას სიცოცხლის დროს დაშვებულ საბედისწერო შეცდომის გასწორებისა.

ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ დიდი ივანე ჯავახიშვილის ნათქვამი, რომ მთელი სიბრძნე ისაა, გონიერად გამოიყენო ტკბილი სიცოცხლე. ამასთან ყოველ წინა თაობას მუდამყამს უნდა ახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ და ყოველმხრივ ისწრაფოდეს, ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს.

სიკვდილი შემზარავის ძლიერებით აუსახავთ სიტყვაკაზმული მწერლობის დიდოსტატებს თუ ჟამთააღმწერლებს. მსოფლიო რელიგიებს საიქიოს გამოგონებით სიკვდილის სიმწვავის შენელებაც დაუსახავთ მიზნად. ეს მათ მაინც ვერსად და ვერასოდეს მიულწევიათ. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში სიკვდილი მრავალმილიარდჯერ განმეორებულა, ყოველთვის ძლიერია თანამედროვის სიკვდილის განცდის სიმწვავე. მით უფრო თუ მისი სიყვარული საყოველთაოა.

სიცოცხლეს ხალხი წუთისოფელს უწოდებს, წუხს მისი სწრაფი წარმავლობის გამო.

„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე?
ჩიტვით გავგიფრინდება!“

მაგრამ აქედან სრულიადაც არა ჩანს ხალხის შიში სიკვდილის წინაშე, ვინაიდან შიში ვერ იხსნის სიკვდილსა.

გარდაცვალებით კეთილი ადამიანების საქმე და სახელი არ ქარწყლდება. კაბინეტური მახვილსიტყვაობითაა შთაგონებული გამოჩენილი ისტორიკოსის გ. კლიუჩევსკის აფორიზმი: „სიკვდილი ყველაზე დიდი მათემატიკოსია, რამდენადაც უშეცდომოდ წყვეტს ყველა ამოცანას“...

სწორედ სიკვდილის შემდგომ მთელი სისრულით იწყება იმათი აღიარება, ვისაც თანამედროვე და მომავალ თაობებზე უზრუნვია, მათთვის „სიყვარულით უშენებია“.

სიკვდილით სიცოცხლის ძლიერება წარმოჩნდება. სწორედ ბუმბერაზ ვაჟა ფშაველას ჰქონდა უფლება ეთქვა:

ივანე ჭავჭავიძეილი ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრების აღწერისას, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად მიმართავს ლირიკულ ჩაწინწკლებებს. მეფეთა ცხოვრების გაღმოცემისას იგი ავეიწერს მათ აღამიანურ განცდებს, შიშს სიკვდილისადმი, რაც საბაბი გამხდარა სამშობლოსათვის მოტანილი ახალი უბედურებისა, ანდა მეფის თავგანწირვას და სიკვდილისათვის თვალის გასწორებას, რასაც შედეგად ახალი აოხრებისაგან სამშობლოს გადარჩენა მოჰყოლია.

ივანე ჭავჭავიძეილის დიდ ტომებში მკითხველი პოულობს იმას, თუ თვით ყველაზე მკაცრმა მეფეთაგან როგორ ვერ აიტანა შვილის სიკვდილი და რა მალე გარდაიცვალა იგი ამის შემდეგ; წაიკითხავთ, თუ როგორი ძნელი გადასატანი გამხდარა დედისათვის მეფე — შვილის გარდაცვალება და რამდენად უსამართლოა, დედები მარხავდნენ შვილებს. 1072 წელს მომავლადეი 56 წლის მეფე ბაგრატ IV იცოდებს თავის უბედურ დედას, მარიაშ დედოფალს, რომელიც ყველა შვილის გარდაცვალებას უნდა მოესწროს და გულმტკივნეული ეუბნება: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინა და ეგრეთ-ღა შენ მოჰკვდებიო“.

ვერც ქრისტიან მორწმუნეთ, მოუხედავად საიქიოს გამოგონებთსა, დაუცავთ თავი იმ საშინელებათაგან, რაც სიკვდილის პირველად შემზარავ სურათს ახლავს.

ივანე ჭავჭავიძეილი გაღმოგვემს ვიორგი მთაწმიდელის სიკვდილის აღწერას თანამხდური ჟამთაღმწერლის მიერ და თავის მხრივ დასძენს: „ძვირფასი და საყვარელი აღამიანის დაკარგვა და სიკვდილი იმდენად თავზარდამცემი გარემოება არის, რომ ამისთანა შემთხვევაში ყველანი თანასწორნი არიან: ამგვარი უბედურება ცივი აზროვნების მიმდევარს ფილოსოფოსსაც, სიკვდილის ნახვასაც მიჩვეულსა და სიკვდილის ცხონებად დამსახველს საქულიერო პირსაც სულიერს სიმშვიდეს ურყევს და ბუნებრივი გრძნობა-გონების დამაცხრობელ აზროვნობას სძლევეს ხოლმე. სწორედ ამისთანა შემთხვევებში გამოამჟიარადება ხოლმე ყოველგვარი სიკვდილის შესახებ ოპტიმისტური რწმენის სისუსტე და უძლეუბა“. ისტორიკოსი, რომელსაც მუდამ საიქიო ცხოვრებაზე უნდა ეოცნება, რომელსაც სიკვდილი უნდა ჩაეთვალა სულისა და ხორცის განშორების იმ ბედნიერ მომენტად, რომელიც ათავისუფლებს პირს ამ ქვეყნიური საცთურისა და ბოროტებისაგან, თავს ვერ იკავებს და თავისი დიდებული მოძღვრის დაკარგვას ვოდებს და წუხს ჩვეულებრივი ერისკაცისა და მომავლადევიით. ამას ჟამთაღმწერელი თვისივე სიტყვებით გაღმოსცემს: „გვედრებით, შემაშრენით მე ცრემლნი ჩემნი, და-აქებრით ვონება ჩემი, რამეთუ ვგრძნობ, ვითარმედ უფროს ჭერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსებიო“.

ახლობლის სიკვდილით გამოწვეული გულითადი მწუხარების დათრგუნვა წარმოუდგენლად ძნელია. მით უფრო, თუ ეს ახლობელი უსაყვარლესი პიროვნებაა. არა მარტო მისი ოჯახის, არა მარტო მისი მოწიფეების, არა მარტო მისი სტუდენტების, არამედ მისი მშობელი ხალხისა.

თბილისში გამოცხადებული იყო, ხელოვნების მუშაკთა სახლში 1940 წლის 18 ნოემბერს, ორშაბათს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის ლექცია თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ლექცია-პროგრამა ნაწილია ციკლისა, რომელშიც დასახულა ახალი ფართო მიზნები ქართული ჰუმანიტარული სიბრძნისმეტყველების წინაშე.

პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა სძლევს მწვავე ფიზიკურ ტკივილებამდე მისული ქანმრთელობის შერყევას, გადაღლითა და გადაქანცვით გამოწვეულ ორგანიზმის დაძაბულობას. ყოველივე ამას თან ერთვის არნახული გადატვირთულობა მეცნიერული, მეცნიერულ-ორგანიზატორული და მეცნიერულ-საგანმანათლებლო დავალებებით. ახლა ჩამოთვლა არ შეგვიძლია, თუ რა თხოვნით მიმართავენ მას და იგი მაინც ყოველთვის და ყველასათვის იყო მანუგეშელი, მზრუნველი, მშველელი, ხელგამმართველი, გულგატეხილთა და გზაბნეულთა გზის მპოვნელი. ყველას სწვდებოდა მისი გულის სიტბო. ქანგატეხილი კაცი უანგარიშოდ, უშურველად თესდა სიკეთეს და არც ერთხელ უწუწუნია ამის გამო დახარჯული დღე და საათისათვის.

საოცარი ის იყო, მასთან მისული თხოვნისათვის ყოველთვის აღმოაჩენდა, რომ ივ. ჯავახიშვილმა ბევრი რამ იცის იმ პიროვნების ანდა მისი ახლობლის შესახებ და თვითონ გაახსენებდა ადრე უცნობ ან მივიწყებულ ფაქტს, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ, ირ. ტატიშვილის სიტყვებით, „ივანე ჯავახიშვილი იყო პიროვნება, რომელსაც თავის მხედველობის ველში ჰქონდა ყველა საჭირო-როტო საკითხი ყოველგვარი გახსენების გარეშე“. სხვის მიმართ უხვი და შემწყნარებელი, მეტად მკაცრი იყო საკუთარი თავის მიმართ. დისციპლინა და თვითდისციპლინა მისი ნატურის თანმხლები ნაწილია. ივანე ჯავახიშვილი ვერც აქ გადაუდგებოდა ათეულ წლობით შემუშავებულ ჩვევას. ზნეობრივ ტანჯვად ჩათვლიდა ლექცია-პროგრამაზე მოსულთა უკან გაბრუნებას და ამით მათ გაწბილებას. ვერც კარზე მომდგარი სიკვდილი აშინებდა მას. ლაჩრული შიში მთლიანად ჰქონდა დაძლეული. მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრისათვის დრო არ დაუხარჯავს. სამაგიეროდ ტანჯავდა მას ერთი საშინელი შიში, რომ იგი ვერ მოასწრებდა დაწყებულ ძირითად გამოკვლევათა დამთავრებას. 64 წელი ეყო ივანე ჯავახიშვილს იმ ნაშრომების გამოცემისათვის, რომელთაც მას უკვდავება მოუტანეს, თუმცა ახლა ძნელია, განსაზღვრო, რამდენ წელიწადში დაამთავრებდა ივანე ჯავახიშვილი წამოწყებული უმთავრესი ნაშრომების გამოცემას. ამას ართულებდა ავტორის განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნებისადმი.

მართლაცდა სულ სხვაა ნაშრომი გამოქვეყნებული ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ, თუმცა ისიც მართალია, რომ ბოლო წლებში არნახული სისწრაფით ქვეყნდება მისი ნაშრომები. ახლა ისინი გამომცემლობასა და სტამბაში თითქმის არ ყოვნდება (1938 წლის სექტემბერში გადაცემული „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ უკვე ხუთ თვეში ხელმოწერილია დასაბეჭდად). ყოველივე ამის პარალელურად გრძელდება მისი საჯარო გამოსვლები. მას იწვევენ საქართველოს ქალაქებში, ეპატიუებიან სომხეთში, მოხსენებით გამოდის მოსკოვში, როგორც აკადემიის ნამდვილი წევრი. მაგრამ რა ახლოსაც უნდა იყოს სიკვდილი, მისი დადგომის დღეს აღამიანი ვერა გრძნობს და, საბედნიეროდ, სიცოცხლის ძლიერებაც ბოლო მომენტამდე გრძელდება.

ხელოვნების მუშაკთა სახლი. დარბაზში მისი მოწაფეები და მოწაფეების

მოწაფეები, ქართული კულტურის მოყვარულნი და პატივისმცემლნი ელოდებიან სახელოვანი ლექტორის გამოჩენას.

სცენის შუაგულში პატარა მაგიდაა და ერთი სკამი. მალე ღამაში ქართველი კაცი შავ კოსტუმში, პორტფელით ხელში ჩვეული დარბაისლობით გამოემართა სცენის ცენტრისაკენ. დარბაზი მას ტანისცემით ხვდება. ივანე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვაზიანობით და თითოეულ დამსწრეთა ღირსების პატივისცემით, მოკრძალებით თავი მოუხარა დარბაზს და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება ტაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დოც. ვ. მაქაყარიანი გულთბილი სიტყვებით ხსნის შეხვედრას, მეორე დარბაზში ჩამოდის და პირველ რიგში ჯდება. მართლ დარჩენილმა ლექტორმა პორტფელიდან მისთვის ჩვეული პატარა ფორმატის ნაწერები ამოიღო, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ხელები მოისრისა, თავი მალა ასწია და სიყვარულით სავსე თვალებით წამიერად გადახედა მთელ შეკრებილობას. დამსწრეებმა ნათლად შეამჩნიეს, ამ დღეს ზედმეტად ნაღვლიანი იყო მისი შორსმჭკრეტელი დალლილი თვალები.

დაიწყო ლექციის კითხვა. ვერავის და ვერც თვითონ ლექტორს წარმოედგინა, რომ 38 წუთის გასვლის შემდეგ ამ უკანასკნელ ლექციაზე დადუმდებოდა მისი ბაგეები, დადგებოდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი.

პირველ სიტყვიდანვე დარბაზში მყოფნი სიყვარულით და სიამაყით ისმენდნენ ლექციას.

ლექტორი მცირე ბარათების მსგავს ნაწერებში დრო და დრო თუ ჩაიხედავდა ისტორიულ წყაროზე ზუსტი დამოწმების გასაკეთებლად, თანაც წაკითხული ტექსტი ისტორიული სურნელებით ავსებდა დამსწრეთა სმენას.

ამ მოხსენების მთლიანი წერილობითი ტექსტი აღარ დარჩენილა მის არქივში. დედნის რამდენიმე ფურცელი დაკარგულია. აქვე უნდა ითქვას, რომ წერილობითი ტექსტი მის ლექციებში დამხმარე როლს ასრულებდა. სტენოგრაფისტის შოვნა ყოველთვის ძნელდებოდა და არც ამ დღეს აღმოჩნდა იგი. წაკითხული ლექციის აღდგენა შეიძლება იმ ჩანაწერებით, რომლებიც მსმენელებმა დაგვიტოვეს, განსაკუთრებით კი გ. კვიციანიძისა.

ამ დღეს, უკანასკნელად რომ გამოდიოდა თავის სამეცნიერო ასპარეზზე, ივანე ჭავჭავაძის მსგავსი არ დაინდო საკუთარი თავი: გადაუხვია მკაცრად დადგენილ წესს, ყოველი ორმოცი წუთის შემდგომ შეესვენა და კვლავ განეგრძო ლექცია. მან იგრძნო ამ წესის დარღვევა. თეთრი ეილეტიდან საათი ამოიღო, ნახა, რომ შესვენების დრო გადააცილა, ღიმილით საათი უკან დააბრუნა და განაგრძო ლექციის კითხვა. საათსა და თხუთმეტ წუთს კითხულობდა თავის უკანასკნელ ლექციას ივანე ჭავჭავაძის მიერ. როგორც ჩანს, მან წინასწარ დასახული გეგმით საგრძნობი ნაწილის მიმოხილვა ვერ მოასწრო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლექციის დაბეჭდილი ტექსტი და გ. კვიციანიძის ჩანაწერები თანამიმდევრობით არ ემთხვევა ერთმანეთს.

ქართული ფილოლოგია X—XII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს აღწევს, ამასთან ნაჩვენებია მისი თანდათანობითი აღმავალი სელა, როცა მიღწეული ეტაპი შემდგომ, წინსვლის საფუძველი ხდება. თავისი ახალ შეხედულებების გასამართლებლად ავტორები თეორიულ დასაბუთებებს მიმართავენ კიდევ. პოულობს რა ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების თარგმანებში გადახვევას ბერძნულ ტექსტთაგან, ეფრემ მცირე ცდილობს

ლაბრტკიცოს, რომ „ეფთვიმე მთაწმიდლის ნათარგმნ ნაშრომებში დანართ-ჩანართი ადგილები ამ გამოჩენილი მოღვაწის სრულებით შეგნებული და მიზანშეწონილი მოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა, მისი ერთგვარი პედაგოგიური ღონეობის შედეგი იყო, ეფთვიმე მთაწმიდელს გათვალისწინებულ ჰქონდა, რომ მის დროინდელი ქართველი ფართო მკითხველი რთული შინა-არსის თხზულებისათვის ჭერ საკმარად მომზადებული არ იყო და ამიტომ აუცილებლად საჭიროდ ცნო, რომ ღედნის ავტორის აზრთა მიმდინარეობა თავისი საკუთარი დანართი და ჩანართი განმარტებითურთ უფრო გასაგები და ადვილად შესათვისებელი გაეხადა“. უთარილო ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლების ზუსტი მეცნიერული დათარიღებისათვის აუცილებელია ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი. უამისოდ მეცნიერულ კვლევა-ძიებას დიდი დაბრკოლებები ელობება წინ და შეცდომებიც ხშირია...

ლექციაში¹, ენის თავისებურებიდან გამომდინარე, დახასიათებულია „ამირან-დარეჯანიანის“ დაწერის დრო და მისი თავისებურება (ლექციის კითხვისას მან ვერ მოასწრო, მიმოეხილა სპარსული და ქართული „შაჰ-ნამეს“ ურთიერთდამოკიდებულება და „ვისრამიანი“).

ივანე ჭავჭავიძევილი ვერ ითმენდა მეცნიერის მიერ მიღწეულით დაკმაყოფილებას, უშფოთველობასა და უდარდლობას, როცა წინ უაღრესად ბევრი საქმეა გადასაწყვეტი. იგი ხომ დაუღლეი თაოსანია ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების გამოცემისა, თუმცა ამ დროს ერთი წუთით არ უშვებს რაიმე შეღავათებს ამ გამოცემათა აკადემიური ღონის მიმართ. არავითარი დამშვიდება მიღწეულით და დაუნდობელი თვითკრიტიკა არსებულ მდგომარეობაზე მკვლევართა პასუხისმგებლობისათვის — აი რა ჩანს მის სიტყვა-ანდერძში: „... ძეგლების ფილოლოგიური და რეალიების თვალსაზრისით გაღრმავებული შესწავლისა და კვლევა-ძიებისა ასეთი მუშაობის შედეგად მათ მაგიერ ჩვენში უცნაური მდგომარეობაა. ისტორიკოსები მხატვრული მწერლობის თხზულებებს ბეჭდავენ, მხატვრული მწერლობის ისტორიკოსები კიდევ საისტორიო თხზულებების გამოცემას ანდომებენ თავიანთ დროსა და ცოდნას, თითქოს მათ თავთავიანთ დარგში ყველაფერი გაკეთებული ჰქონდეთ და სამუშაო იქ გამოლეული იყოს. ამავე დროს ვერც ერთი ამ დარგთაგანი, მეტადრე კი ისტორიული, ჩვენში ვერ დაიკვეხებს, რომ ტექსტების გამოცემა თანამედროვე ფილოლოგიის სამეცნიერო ღონეს შეეფერებოდეს“. მსმენელი გატაცებულია იმ ჩაღრმავებული ლინგვისტურ-პალეონტოლოგიური გათხრებით, რაც „ამირან დარეჯანიანიდან“ კეთდება. ლექტორს მსმენელთა მეხსიერების ეკრანი გონების თვალთ გადააქავს თათარ-მონღოლთა მრისხანე თარეშის დროს ჩვენში შემოსულ ტერმინებზე, აუდიტორიის ყურადღება მთლიანად დაპყრობილია. ივანე ჭავჭავიძევილი კითხულობს ეპითაღმწერლის ტექსტს... და შუა სიტყვაზე მწვავედ ამოიგმინა: ბაგებზე შერჩა დაუმთავრებელი წინადადება.

ადამიანი სიკვდილშიც იცნობა...

მანც წამის მონაკვეთში არ დაჰკარგა კონტროლი თავის თავზე, არისტოკრატიული რაინდობით ებრძვის სიკვდილს, თითქოს მსმენელთ ერიდებო, უნდა თავი არ ჩაქინდროს, თავი ჭერ მარცხნივ გადააქნია, მერე მარჯვნივ,

¹ ივ. ჭავჭავიძევილის უანასენელი ლექციის მასალები (არასრული) მხოლოდ 1956 წელს დაიბეჭდა კრებულში „ივ. ჭავჭავიძევილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, გვ. 58—75.

იდაყუბე დაყრდნობით ხელისგულზე დაღო. დარბაზი დაიბნა. მიშველებასაც ვერაინ ბედაეს...

ყველაზე რთული და ყველაზე მძლავრი მანქანა მანქანათა შორის — ადამიანის ტვინი წამების წინ აღადგენდა ათასწლოვან ისტორიულ ხეულებს და ახლა სამოცდაოთხი წლის ასაკში გონება უნდა დაშრეტლიყო. მართლაც, რომ საბა-სულხანის თქმით „სიკუდილი უხმოდ და უსიტყვოდ არს და სიტყვათა ჩვენთა დამდუმელ არს“. ამ გადასვლისათვის დარბაზი სრულიად მზად არ აღმოჩნდა...

ახლა სიცოცხლის გადარჩენის საკითხი დადგა... პირველი სცენაზე ჩვეუ-
ლი სისწრაფით აკაკი შანიძე აიჭრა და ხელები მოხვია უკვე მოღვენილ
უფროსს მეგობარსა და მასწავლებელს. 9 საათსა და 40 წუთზე სცენიდან
გაიყვანეს

დაძაბული წუთები დარბაზის ლოდინისა. მაგიდაზე გადაშლილი ნაწე-
რები ვილაყამ გვიან დახურა. დარბაზში მყოფ ექიმს ჩქარა საგანგებოდ მოყ-
ვანილი ექიმი უერთდება. მალე მედიცინა აღიარებს თავის უძლურებას¹.

გაილია დიდი სიცოცხლე.

ყველამ შემზარავად იგრძნო ახლა ბატონ ივანეს ქალიშვილის ნათელას
გულმდუღარება, რომელიც დარბაზიდან ხედავდა უძვირფასესი მამის სიკე-
დილს. სწრაფად მოვიდნენ ვაუები კახა და ალექსანდრე და მღულარე ცრემ-
ლებით ჩაეკვრნენ მამის თბილ სხეულს, ძნელია, შემზარავად ძნელია საუკუნო
განშორების ეს უკანასკნელი წუთები.

გამეფდა გლოვის დუმილი. სიტყვა უძლურია გადმოსცეს იმ მსმენელთა
განცლები, ვინაც პირველი მამულიშვილის სიყვარულითა და პატივისცემით

¹ მეტად მძიმე დავალება დაეკისრათ ივანე ჯავახიშვილის უმცროს მეგობარს პროფ. ვლ. ელენტს. ლოცენტებს ირ. ტატიშვილსა და არც. ჯორბენაძეს. მათ უნდა გაეკეთათ ერის სასიკაძლო ადამიანის, უძვირფასესი მეგობრისა და უსაყვარლესა მასწავლებლის ნეშტი. ღრმა მწუხარება მათ მკვლევარ-სპეციალისტის პასუხისმგებლობას შეუერთეს. გაკვეთის დაწერილებით შედგენილ ოქმში ვითხელობთ: „აქად. ივანე ჯავახიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1940 წლის 18. XI 21 საათსა და 45 წუთზე. პათოლოგ-ანატომიური გაკვეთა ჩატარდა სხეულის წინასწარი დაზღვაების შემდგომ, 1940 წლის 19. XI, სიკვდილიდან 11 საათისა და 15 წუთის შემდეგ, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს IV სამმართველოს დარბაზში. გაკვეთას დაესწრო, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, პროფ. ალ. შავა-
ჯარიანი“.

ამონაწერი გაკვეთის ოქმიდან: „სხეულის აგებულება სწორი, სიგრძე 173 სმ. კანის საფარი მკრთალი-მოთეთრო ფერი, კანქვეშა ცხიმი ზომიერად გამოხატული, ჩონჩხის კუნთოვან სისტემა კარგად განვითარებული, ძვლები, სახსრები მაკროსკოპულად აღსანიშნავ ცვლილებებში არ განიცდის...“

... თავის ტვინი: წონა 1350 გრ. დიდი ჰემისფერობის ხეულები და ღარები კარგად გამოხატული, თავის ტვინის ნივთიერება შემუშებისათვის-დამახასიათებელი ცვლილებებით“. გაკვეთის მონაცემების საფუძველზე დადგენილია შემდეგი პათოლოგ-ანატომიური დიაგნოზი:

„ზოგადი ათეროსკლეროკალინოზი. გულის მარცხენა გვირგვინოვანი არტერიის მძიმე ათეროსკლეროკალინოზი თრომბოზით. მარცხენა პარკუქის კედლის ვრცელი ტრანსმურული ანემიური ინფარქტი (ნეკროზი). ათეროსკლეროზული ნეფროციოზი. ქრონიკული ატროფიული გასტრიტი. ქრონიკული კატარული კოლიტი.“

სიკვდილის უშუალო მიზეზად უნდა ჩაითვალოს გულის შეკვბავი, სისხლძარღვების, უპირატესად მარცხენა გვირგვინოვანი არტერიის ათეროსკლეროკალინოზისა და თრომბოზის გამო შიოკარდულში განვითარებული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა ინფარქტის სახით (მწვავე იშემიური ავადმყოფობა)“.

მოვიდნენ აქ და ამის სანაცვლოდ მასთან განშორების ყველაზე პირველი თანამონაწილენი გახდნენ...

ბევრ მათგანს სიკვდილი ახლოს არ ენახა და პირველად ივანე ჭავჭავიძის სიკვდილი ნახეს.

გ. მთაწმიდლის ისტორიკოსის მსგავსად, მწარედ დასტირის ივანე ჭავჭავიძის სიკვდილს მისი მოწაფე აკაკი შანიძე და ასე აღწერს უძვირფასეს ადამიანთან განშორების პირველ წუთებს. „ყველა იქ მყოფთ ძარღვეებში სისხლი გაუშრა, გონება დაებნა, ყველა შიშის ზარმა აიტანა, ... მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი“.

სამუდამოდ ჩაქრა თვალთაყრთომა ნათელი კაცისა, რომელიც ერის შორეულ წარსულს ყველაზე ღრმად ხედავდა, თანამედროვეობაზე სიყვარულით ზრუნავდა და მისი ბედნიერი მომავლისათვის თავდაუზოგავად იღვწოდა.

სიკვდილით ჩაიხშო გულისცემა იმ კაცისა, რომელსაც ხალხის ძლიერი სიყვარული დარაჯად ედგა. (ვაი, რომ სიკვდილის პირისპირ კაცი ყოველთვის მარტოსულია). სიკვდილის გამარჯვებას ეს სიყვარული არამც და არამც არ შეუწელებია. ივანე ჭავჭავიძის ცხოვრებისა და ღვაწლის სიდიადე და მშვენიერება სიკვდილის შემდეგ წარმოჩინდა მთელი სისრულით. სწორედ სიკვდილის შემდგომ პირველად მიმართეს მას: „დიდო ივანე“.

ივანე ჭავჭავიძელი ყოველთვის იქნება ჩვენთვის, ჩვენთან და ჩვენში ერის შვილის ნათელ ნიმუშად ქართველთა მომავალი ულავი თაობებისათვის. აქ პოეტის სიტყვები უნდა მოვიხმოთ:

„ნათლო კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს,
შენ საქართველოს ისტორიის ხარ სჯულმდებელი“.

ოთხ დღეს მთელი მშობელი ერის ცრემლები ზღვა აცილებდა მას.

შემდეგ კი, 1940 წლის 21 ნოემბერს 6 საათსა და 15 წუთზე, ნაღვლი უნივერსიტეტის მიწის წიაღში მიიძინა ქართველი ხალხის ისტორიის ნაწილად ქცეულმა შვილმა საუკუნო ძილით.

პ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ზ ე ლ ი ¹

- აბაშიძე გ. 195
 აბაშიძე ი. 585
 აბაშიძე კიტა 131, 152, 168, 169, 184, 185,
 204, 219, 255, 297, 428, 510
 აბაშიძე ნინო 255
 აბაშიძე სვიმონ 203
 აბელიანი გ. 228
 აბელიშვილი გ. 7
 აბესაძე გ. 471, 472
 აბო ტფილელი, 56, 140, 176
 აბრაამი (ბიბ.) 55
 აბრამიშვილი მ. 129
 აბულაძე ილია 39, 417
 აბულაძე იუსტ. 29, 216, 219, 340
 აბულაძე მ. 39
 აგათანგელოსი 44
 ადამი (ბიბ.) 55, 174
 ადამაშვილი (ყავახიშვილი) მიხეილ 134, 135
 აღონცი ნ. გ. 28, 44, 45, 86, 132, 133,
 188, 502, 504
 ავაგ ამირსპასალარი 371, 372
 ავალიანი ა. 7
 ავალიანი ს. 207, 215, 268, 296
 ავალიანი შ. 150
 ავალიშვილი გ. 180
 ავალიშვილი ზურაბ 30, 58, 85, 105, 185,
 187, 295, 325, 332
 ავეტისიანი ს. 502
 ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“) 519
 ავეჯანაძე 397—399
 აზიანი ნ. 18
 ბინალოვი დ. 125
 ბაკი წერეთელი 16, 20, 110, 121, 576
 ბაქქანდრე I (კახეთის მეფე) 172, 395
 ბაქქანდრე I, დიდი 231, 359, 361
 ბაქქანდრე II (რუსეთის იმპერატორი) 31
 ბაქქანდრე IV 181
 ბაქქანდრე შავერონელი 233
 ბაქქსიძე ზ. 7, 416
 ბლ. ი-ნი 275
 ბლიშანი 104
 ამილახვარი ელენე იოსების ასული 11
 ამირანი (მით.) 138
 ამირანაშვილი შალვა 7, 129, 336, 341,
 455, 493
 ამირეჯიბი ს. 252
 ამირეჯიბი კონსტანტინე 288
 ანა დედოფალი (კახეთის მეფის ალექსანდრეს
 მეუღლე) 173
 ანდრია შოტიქელი, ანდრია პირველწოდებული
 44, 45, 47, 413
 ანდრონიკაშვილი ლუარსაბ 30, 85, 295,
 297—299, 334
 ანდრულაძე თამარ 486
 ანთაძე ი. 162, 163
 ანთაძე ლ. 162
 ანთელავა ირ. 7
 ანთიმოზ ივერიელი 180
 ანტოკოლსკი მ. 33
 ანჟაფარიძე ი. ა. 205
 არაყიშვილი დიმიტრი 350
 არისტოტელე 384
 არსენ ამარტოლი 116, 311
 არსენ კათალიკოსი 415
 არსენ შვიგნობართუხუცესი 372
 არჩილ I, ქართლის მეფე (V ს.) 583
 ასათიანი ლადო 598
 ასათიანი შ. 162
 ასპარუგ პიტიახში 9, 461
 აფაქიძე ანდრია 7, 449, 450, 461, 493
 აფხაზი კ. 193—197, 204, 216, 217, 220
 აღბულა 103, 152, 437
 აღნიაშვილი ლ. 422, 527
 აქარიანი პრ. 507
 ახელდინი გიორგი 215, 228, 235, 237,
 241, 268, 271, 273, 276, 340, 349, 352,
 354, 421, 570, 386
 ახმეტელი 273
 ბაგრატ III 141, 437
 ბაგრატ IV 103, 445, 492, 593
 ბაგრატ V 377, 378
 ბაგრატიონ-დედოფალი გ. 400
 ზაგრატიონთა გვარი 79
 ბადრძიძე ნიკო 205
 ბადრძიძე შ. 7

¹ შეადგინა მ. ი. ნ. ს. ა. რ. ძ. მ.

ბათო ყაენი 372, 373
 ბაქუნინი მ. 278
 ბარამიძე არჩ. 99
 ბარანველი ს. 394
 ბარათაშვილი ნიკოლოზ 565
 ბარამიძე ალ. 7, 492
 ბოკერია მ. 7
 ბარნოვი ვასილ 222, 253
 ბარტოლდი ვ. 28, 105
 ბასილაია გ. 153
 ბასილი ეზოსმოდლეარი 183, 543, 544, 574
 ბასილი ზარზმელი 443
 ბატონიშვილები:
 ბატონიშვილი დავით (დაუდ-ხანი, ქართლის ჰი-
 ტონი, ლუარსაბ 1-ის ძე) 364, 365.
 ბატონიშვილი დავით (გიორგი XII-ის უმცრო-
 სი ძე) 427
 ბატონიშვილი ვახუშტი 4, 9, 101, 139, 167,
 171, 179—181, 193, 233, 360, 390, 371,
 467, 468, 470, 471
 ბატონიშვილი თეიმურაზ 101
 ბატონიშვილი იოანე 189
 ბატონიშვილი იულენ 427
 ბატონიშვილი შარიაშ 395
 ბატონიშვილი ქაიხოსრო 179
 ბატუევი 250
 ბაქაძე პავლე 476
 ბაქრაძე ა. 5, 258
 ბაქრაძე დიმიტრი 22, 47, 167, 389, 394,
 570
 ბაქრაძე კოტე 336
 ბახი ი. 118
 ბახტაძე ნ. 483, 485
 ბახტაძე უ. 7
 ბეგთა-ბეგი თამარ 259
 ბეი-ვახი 251
 ბენაშვილი ანდრია 221, 222, 228, 237,
 246, 247, 267, 268, 291, 292, 349
 ბენეშევიჩი ვ. 185, 544
 ბეჟანი (გაბრიელ ქუონდიდელის ძმა) 181
 ბერბიქაშვილი შიხა 464
 ბერიტაშვილი ივანე 6, 259, 268, 280,
 316, 317, 328, 329, 565, 570
 ბერიძე ეუკოლ 6, 162, 165, 166, 168,
 277, 319, 351
 ბერიძე შ. 284
 ბერტილიონი ა. 395
 ბერულავა ნ. 301
 ბეჟა 103, 152, 437
 ბეჟაია მ. ს. 203
 ბეჟა ოპიზარი 385
 ბერძენიშვილი ნიკო 7, 23, 49, 67,
 393, 483, 544, 584, 586
 ბეზუერევი ვ. 157
 ბლეიკი რობერტ 39, 310
 ბოგოლიუბოვი 30

ბოცუაძე ლ. 193, 201, 257
 ბრიუნო გ. 258
 ბროკჟაუზი 259, 356
 ბროსე შარი 28, 47, 167, 308, 389, 397,
 492, 570
 ბრუნერი 57
 ბურდიასიშვილი ვირშელ 377
 ბუაჩიძე ე. 162
 ბაბაშვილი ვალერიან 7, 447—450
 გაბაშვილი რეზო 147, 148
 გაბაძე შარია 464
 გაბელაიასონ 205
 გაბიძაშვილი ე. 433
 გაბრიელ ქუონდიდელი 181
 გაბუური მ. 553
 გაიანე 46
 გალაკტიონ ტაბიძე 390
 გალენი 255
 გამრეკელი 10
 გამსახურდია კონსტანტინე 6, 200—202, 239,
 259, 464, 585
 გამყრელიძე ე. 7
 გარიბალდი ფ. 35
 გართი ყერარი 64
 განურელია ა. 7
 განურელია მ. 204
 გეგენაუა ალ. 7
 გედევანიშვილი გ. 131, 293
 გედევანიშვილი დიმიტრი 268, 287, 288,
 471
 გელასი კესარიელი 413
 გელოვანი 333
 გენკინაჯ. ა. 204
 გენკინი მ. ნ. 204
 გენკო ა. 309—311
 გერსამია დალი 527
 გეაზავა გ. 216
 გერიტიშვილი დ. 5
 ვიგინეიშვილი ი. 162
 გიორგი (ათონის ქართული მონასტრის წინამუ-
 ლეარი) 73
 გიორგი ათონელი იხ. გიორგი მთაწმიდელი
 გიორგი ამარტოლი 327
 გიორგი ბრწყინვალე 10
 გიორგი I 72, 492
 გიორგი II 142
 გიორგი III 180, 522, 523
 გიორგი VI 377, 378
 გიორგი VII 590
 გიორგი VIII 359, 360, 398
 გიორგი XI 180
 გიორგი XII 432
 გიორგი გურიელი 181
 გიორგი-ლაშა იხ. ლაშა-გიორგი

გიორგი ბერძენი 176, 496
გიორგი მთაწმიდელი, გიორგი ათონელი 39,
71—75, 80, 169, 177, 232, 308, 337,
436, 581, 588, 589, 595, 598

გიორგი (წმ.) 114, 119
გიორგი ხუცეს-მონაზონი 230, 449
გიორგობიანი ნუცა 477
გიულდენშტრედტი ი. 469, 471, 549, 570
გონჯა შ. 33, 117
გოგებაშვილი იაკობ 16, 89—91, 565
გოგობერიძე მოსე 586—589
გოგობერიძე სვიმონ 283, 329
გოგიჩაშვილი ფილიპე 134, 135, 153,
193—195, 197, 201, 207, 215, 216,
218—221, 228, 235, 265, 268, 296,
298, 329

გობალიშვილი შ. 7
გოთუა პ. 202
გოყიელი ფ. 7
გოდუდელი 264
გოდუდუა ვ. 524
გომართელი ი. 202
გონიაშვილი თ. 544
გორგაძე სერგი 6, 169, 309, 349, 351
გორელიშვილი ა. 202
გრანატები (ძმები) 300
გრეგისი ი. 30, 208, 209
გრეკოვი ბ. 541, 542
გრიგოლია კ. 7, 447, 451, 454, 486
გრიგოლ წერეთელი 43
გრიგოლ ხანძთელი 68, 69, 182, 435, 528
გრიშაძე ილია იოსებ 257, 476, 477
გრუზინსკი ვ. 197
გუგუშვილი პაატა 7, 96, 569, 586
გუდიაშვილი ლ. 6, 127
გუიუჭი 373
გულია დიმიტრი 558, 559
გურამიშვილი დავით 172, 578
გურგენიძე დ. 7, 349
გურგენიძე ვ. 7
გურიელი (XV ს.) 359
გუბინებერგი იოანე 363

დადიანი გ. 132
დადიანი შოთა 147, 162, 163
დადიანი შალვა 202
დადიანი ცოტნე 375
დავით აღმაშენებელი (დავით IV) 52, 60, 61,
75, 142, 143, 174, 220, 222, 231,
366, 397, 434, 437, 439, 440, 514,
522, 588, 589

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 182, 233
დავით (იუდეველთა მეფე) 79, 439
დავით კურაპალატი 141
დავით ლაშა-გიორგის ძე 366, 373—375

დავით რუსუდანის ძე 372—374, 442
დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე) იხ.
ბატონიშვილი დავით
დავით ბატონიშვილი (ლუარსაბ I-ის ძე) იხ.
ბატონიშვილი დავით
დავით რეპტორი 405
დავით სასუნცი 507—510
დეკანოსიძე დ. 162
დეკაბრელები იხ. 471, 473, 493
დელიანოვი ი. 34
დემეტრე კაბორისი 307
დ'ერელი ფელექს 303
დევილი ივ. 477
დიასამიძე ა. 202
დიასამიძე გრ. 202
დიასამიძე ლ. 291, 293
დიდებულძე ალ. 246, 268, 291—293, 346
დიმიტრი I 231
დიმიტრი შერაე (თავადებულა) 375
დიჩრა ა. 557, 558
დიშა აღუქსანდრე (ძამა) 102
დ. ქ.-ლი 275
დიმიტრიევ-კაჯაბასკი ლ. 125
დიუვიასა 204
დიუვიასკი ვ. 291
დიონიზიშვილი იოანე 467
დიონიზიშვილი ნანა 467
დიომიძე ი. 7
დიონაძე კ. 7
დიონაძე ლ. 117
დიონიზი ვარ. 7, 133, 167, 183, 416, 445,
447, 487, 491, 492, 521, 525—530, 533,
534, 539, 540, 542—545, 548, 549, 555,
570, 571, 584
დიონიზი კ. 162, 165, 309—311, 341, 344
დიშაძე შ. 7, 109

მეგრისიან ბაქრციხელი 373
მეგრისიანი ბერი 182
მეა (ბიბ.) 174
მეანგულოვი გ. 209
მესტაბი მესტაბი, მესტაბი მესტაბი 55,
56, 176, 430

მელიქი ლ. 88
მეტირინე (წმ.) 60, 63, 64
მეფეთურიძე იხ. ზურაბიშვილი ილია
ელია წინასწარმეტყველი 114
ელიავე გიორგი 329, 330
ელენიკი გ. 100
ერეკლე II 130, 380, 432
ერეშიანი ს. 503, 506
ერისთავი გ. 127
ერისთავი რაფიელ 16, 24
ერაკოვი დ. 266
ერსტედტი ვ. 354, 355
ერსტედტი პ. 356, 357

ეთფთვებზე მთაწმიდელი 39, 231, 432, 589, 595, 596

ეთიმოვი ვ. 30

ეთრემ მცორე 169, 177, 595

ეთრონი 259, 356

ექვთიმე მთაწმიდელი 589

ჰელიოვი ნ. 482.

ჰელარმაკი 104

ჰეა-ჰეშაველა 110, 287, 592

ჰერამ გაგელი 372

ჰასილიევი ა. 65, 208—210

ჰასილუვი ვ. 28, 63

ჰასილენკო ნ. 208

ჰანაძე პ. 202

ჰანაძე ი. 291

ჰახეხიშვილები 9

ჰახეხიშვილი ათანასე 10

ჰახეხიშვილი სოფიო ათანასეს ასული 10, 11

ჰახტანგ VI 163, 173, 174, 179, 380, 396, 397, 425, 428, 437, 465, 518, 569

ჰახუშტი ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი ვახუშტი

ჰეზერი კ. 21

ჰერნადსკი ვ. ნ. 156, 208, 209

ჰესელოვსკი ა. 30

ჰეტროვა მ. 34

ჰეშაბიძე გრ. (ჰეშაპელი გრ.) 193, 202, 405

ჰილკენი ვ. 355

ჰილქელმ II ფრიდრიხ 54

ჰინდელბანდი გ. 297

ჰირსალაძისა ა. 202, 216

ჰირსალაძე ს. ნ. 246—249, 330

ჰისი („ვისრამიანი“) 81

ჰიტე ს. 49

ჰლადიმირკოვი პ. 86

ჰორონოვი ა. 208

ჰოსტოროვი 211

ჰუნდტი ვ. 301

ჰაიკევი ფ. 289

ჰალემანი კ. 28

ჰანდუკელი მ. 349, 525

ჰასულიძი ვერა 30

ჰაქარაია პ. 7

ჰდანოვიჩი (მთაწმიდელი) გ. 20, 21, 36, 125, 254

ჰიჩი მ. 521

ჰოტენბერგი 37

ჰურაბაშვილი ავ. 7

ჰურაბიშვილი ილია (ფსევდონიმები: „ლეფ-თერბიძე“, „ინენი“) 189, 190, 193, 197, 198, 202, 216, 161—264

ჰურაბი (სახლსუბუცესი სვიმონ მეფისა) 467

ჟავდგარიძე 226

ჟალაკაძე დ. 150

ჟამბუგევი ა. 289

ჟამარ მეფე 52, 79, 143, 144, 177, 366, 439, 440, 495, 514, 523, 543, 544, 574

ჟამარ მეფის ისტორიკოსი 177, 516

ჟარგამოსი (ბიბ.) 174

ჟარხნიშვილი გ. ნ. 83, 162—165, 202

ჟარხნიშვილი ნადეჟდა გიორგის ასული 255, 394

ჟარხნიშვილი სოფიო 83

ჟაყაიშვილი ექვთ. 6, 38, 69, 89, 105, 167, 189, 193, 196, 201, 202, 215, 216, 219—221, 228, 235, 238, 244, 267, 277, 335, 353, 400, 405, 436, 521, 535

ჟეგზაძე ა. 561

ჟეიმურაზ I 467

ჟეიმურაზ II 333, 380, 583, 584

ჟეიმურაზ ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი ჟეიმურაზ

ჟემურ-ლენგი პ. 4, 13, 359, 361, 377, 378, 380, 468, 590, 591

ჟვალტყელიძე ალექსანდრე 6, 156, 157, 262, 345, 353

ჟვალტყელიძე ანტონ 345

ჟოკანაძე ივ. 202, 247—249, 346, 424

ჟონათონი („ეფთხისტუაოსანი“) 519

ჟოიძე ა. ი. 204

ჟოიძე ა. 204

ჟოიძე გ. 127

ჟოიძე ერეკლე 127

ჟომაძე სამსონ 477

ჟორაძე ალ. 154

ჟორელები 9, 10

ჟორელი კახა 9

ჟორელ-ჩახეხიშვილები 9, 10

ჟორნიკე ერისთავი 232

ჟოროშვილი სტ. 204

ჟოფურია ვარლამ 7, 239, 284, 336, 341, 417, 477, 559

ჟოხთაშიში 377

ჟულაშვილი გ. 205

ჟულაშვილი ივ. 291, 292, 403, 404

ჟუმანიანი ნეარდ ოვანესის ასული 505

ჟუმანიანი ოვანეს 204, 228, 505

ჟუმანიშვილი დ. 291

ჟუმანიშვილი პ. ი. 111

ჟუმანიშვილი-წერეთლისა ა. 193

იაკობი (გიორგი ათონელის მამა) 66

იაკობი (წმ.) 60

იაკობ ხუცესი 430, 495

იანოვსკი 566

იანუკტი (ბიბ.) 174

იანუვილი მ. 466

იანუვილი სეით 201

იეპლევი ალექსი 419

იერემია წინასწარმეტყველი 304, 305

იუანე მრისხანე 33
 იუანე (სვიმონ მეფის სახლისხუბუცისის ზერა-
 ბის ძმა) 467
 იულიანე განდგომილი 181
 ილია ქაჯვაძე 4, 12, 15, 20, 30, 35, 36,
 66, 93, 120—124, 131, 163, 169, 487,
 510—516, 562
 იმედაშვილი ი. 193, 202
 ინგოროყვა პ. 9, 585
 „ინენი“ იხ. ზერაბი-ვილი ილია
 ინოსტრანსევი კ. 84, 85
 იოანე ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი იოანე
 იოანე (ინგლისის მეფე XIII ს.) 440
 იოანე იტალისი 355, 356
 იოანე მარულისძე 141
 იოანე მთაწმიდელი 232, 444
 იოანე პეტრიწი 144, 355
 იოანე საბანის ძე 140, 169, 176
 იოსელიანი ავთ. 448, 449
 იოსელიანი დ. 153
 იოსელიანი პლატონი 254, 492
 ირშერი ი. 455
 ისაევი ა. 30
 ისაკაძე ეკ. 477
 იულონ ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი იუ-
 ლონ
 იუსტინიანე 133
 მავსაძეები 23, 120
 კაკაბაძე დ. 125, 126, 163, 342
 კაკაბაძე ვას. 291
 კაკაბაძე ს. 310, 342, 343, 398, 399, 585
 კაკაბაძე (ბელოსანი) 219
 კაკულია შ. 7
 კაიშური გ. 489
 კალანდაძე აღ. 7, 9, 449, 461
 კალანდაძე (ტრესტის ლიტერატორის შოადგი-
 ლე) 483
 კანდელაკი დ. 284, 317, 318, 349
 კანდელაკი მ. 154
 კარევეი ნ. 30
 კარიკაშვილი დ. 352, 417
 კატკოვი 30
 კაშმაძე შ. 6
 კაციტაძე დ. 7
 კაჭარავა ი. 7
 კახაბერი (რაჰის ერისთავი) 442
 კახაძე ვ. 216
 კახეთელიძე სერგო 477
 კახიანი ნ. ს. 250, 251
 კახიძე ვ. 202
 კეკელიძე კ. 39, 193, 201, 211, 215, 216,
 218, 219, 222, 228, 235, 253, 269,
 271, 272, 276, 277, 308, 333, 346, 349,
 351, 356
 კნარენსკი 207

კეცხოველი ნ. 7, 464, 471
 კეხერელი-კოპაძე ნ. 202
 კვიციანი გ. 6, 575, 576, 595
 კიკელიძე აბ. 7, 447, 449, 511, 586, 589, 590
 კიკაბიძე ა. 291
 კიკნაველიძე ყარამან სოლომონის ძე 203
 კიკნაძე რ. 7
 კინგი ლ. ვ. 535
 კირიონ II 225
 კლახოთი პ. 469, 549
 „კლდია“ (ამ ფსევდონიმით 1901 წ. 24 იუ-
 ლის „იუერიაში“ გამოქვეყნდა წერილი ა-
 თაურით „მოღვაწეობა მარტო მწერლობა
 რილია“) 87
 კლდიაშვილი ალექსანდრე 255
 კლდიაშვილი ანასტასია 255
 კლდიაშვილი ანდრია 255
 კლდია ვილი დაუთ 84
 კლდიაშვილი ელისაბედ 255
 კლდიაშვილი სერგო 202
 კლდიაშვილი სვიმონ (სიმონ) გრიგოლის ძე 755
 კლოუჩევსკი ვ. 33, 592
 კოვალევსკი მ. 100, 425
 კოკოევოვი ვ. რ. 28, 304
 კოშაროვი ვ. ლ. 572
 კოშახიძე მ. 250
 კოშენსკი იან ამოს 52
 კონდაკოვი ნ. პ. 59, 109, 237
 კონიაშვილი გ. 349
 კონი ა. ფ. 30, 31
 კორიუნი 387, 388, 588
 კრაჩკოვსკა ი. 28, 38, 67, 242
 კრუგერი ი. 356, 357
 კრუკოვსკი ს. 409
 კრუშაბერი 53
 კუშტინი ბ. 462
 ლაბანდი 297
 ლაზარე ფარპელი 44, 388
 ლასტი არტურ 221
 ლაშჩუხტი 53
 ლატიშვილი ვ. 102, 107, 572
 ლაშაგიორგი 361, 362, 366, 367, 514
 ლაშაგიორგისდროინდელი მემკვიდრე 182, 365
 ლევიზონ-ლესინგი ფ. 208, 209
 ლეილა („ლეილ-მეყენიანი“) 81
 ლეკიაშვილი აღ. 7
 ლეკიაშვილი ან. 7
 ლეშან-პუტი კ. 536
 ლენინი ვ. ი. 210, 276, 278—280, 346
 ლეო (ი. გ. ბაბახანიანი) 542
 ლეონიძე გიორგი 5, 423
 ლეონტი შროველი 102, 103, 108, 174, 387,
 430, 553

ლონტოვიჩი ფ. 425
 ლესიუსი რ. 535
 ლესეფსი ფ. 62
 ლიპარიტი 142
 ლომთათბე გ. 7, 456, 461
 ლომთათბე ქ. 7, 559
 ლომია ს. 165, 185, 216, 239, 270
 ლომიძე შ. 7
 ლომოური თამარ 6, 152, 336, 341, 493
 ლომოური იულენ 7, 152, 288, 471, 472
 ლომოური ნინო 6, 152, 162
 ლომოური ნიკო 152, 202
 ლომსაძე ნ. 7, 561
 ლოპუხინი კ. 208, 209
 ლორთქიფანიძე ა. 162
 ლორთქიფანიძე გ. 147
 ლორთქიფანიძე ი. 129
 ლორთქიფანიძე ი. 193—197, 216, 407
 ლორთქიფანიძე ი. ბ. 201
 ლორთქიფანიძე ი. შ. 201
 ლორთქიფანიძე ლ. 193
 ლორთქიფანიძე შ. 7
 ლორთქიფანიძე ნინო 153
 ლოსაბერიძე ალ. 493
 ლუარსაბ II 364, 395
 ლუნაჩარსკი ა. ვ. 258, 279, 353
 ლუტოხინი 197
 შაბლიოზი ეან 395
 შაიაშვილი გ. იბ. ზდანოვიჩი გ.
 შაიერი თ. 538
 შაისურაძე ზ. 6, 249, 250
 შაკალათია ს. 453
 შაკარიოსი (ანტიოქიის პატრიარქი) 84
 შამრადე გიორგი 149, 162
 შამრადე პ. 123
 შამულაიშვილი ა. 162
 შამულაშვილი შიხეილ 424
 შანანდიანი იაკობ ამაზასპის ძე 507, 574, 575, 577
 შანი 288
 შარგველაშვილი ტიტე 154
 შარი ნიკოლოზ აკოპოს ძე 6, 24, 28, 29, 37—40, 42—45, 48—54, 56—61, 63—69, 84—86, 91, 92, 98, 105—107, 132, 133, 151, 160, 164, 182, 185, 207—214, 242—244, 272—275, 304, 309—311, 340, 389, 503—505, 518, 527—529, 546—548, 550, 551, 570, 574, 577, 585
 შარი იური (გიორგი, ფრიდონ) ნიკოლოზის ძე 58, 268, 273, 527, 529
 შარიაშ ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი შარიაშ
 შარიაშ დედოფალი (ბაგრატ IV-ის დედა) 593
 შარიაშული 464
 შარხეტი ოგიუსტ 62
 შარკოვი 23

შარტინ ლუთიერი 388
 შარჩანიშვილი კოტე 122, 263, 564
 შასპერო გასტონ 62
 შაკსიმ გორკი 69
 შაკსიმლიანე (ავსტრიის ერცჰერცოგი) 61
 შაკსიმოვა ს. ი. (გრ. ფ. წერეთლის მეუღლე) 357
 შალალაშვილი გ. 201
 შალრაძე ელგუჯა 526
 შაყაშვილი კოტე (პოეტი) 6, 193, 202
 შაყაშვილი ალ. 464
 შაშტოცი შესრაში 387—389, 588
 შაკვაერიათი ალ. 597
 შაკვაერიათი გიორგი ლუარსაბის ძე 196
 შაკვაერიათი ვ. 7, 595
 შახარაძე ნ. 586
 შახარაძე ფილიპე 421, 530
 შგალობლიშვილი გერმანე 538
 შგელაძე დომ. 6, 559
 შდივანი ა. 111
 შეგრელაძე დ. 7, 381
 შეგრელიძე მ. 7, 67
 შელოვარანსკი 53
 შელიქიშვილი გ. 7
 შელიქიშვილი პ. გ. 85, 202, 214, 216, 219—224, 228, 235, 237, 240, 247, 254, 265—267, 289—291, 340, 346, 406, 407, 570
 შელიქეთ-ბეგი ლ. 6, 504, 507
 შენაბღე ვ. 472
 შენაბღე ლ. 7
 შენდელაევი დ. ი. 76, 88
 Mercati 333
 შერკეილაძე ა. 202
 შესხია შ. 7, 482
 შესხიშვილი შ. 202
 შესხეთის ათაბაგი 359
 შეტრეველი ელ. 7, 69, 180, 277
 შეტრეველი რ. 7
 შეშჩანინოვი ი. ი. 524, 536
 შეშჩარიაშვილი გ. 258
 შეხუზლა-ქუთათელაძე ე. 423
 შეჭუნეი („ლეილ-შეჭუნეიანი“) 81
 შთაერშიშვილი თ. ა. 256
 შინსი ე. ნ. 304
 შირიანაშვილი პ. 119, 272
 შიულერი 328
 შიქაელ შოდრეკილი 581, 582
 შიქელაძე ე. 162, 165
 შიქელაძე შ. ა. 329, 330
 შოდებაძე 329
 შოლაშხია გ. ა. 258
 შომუნეი თეოდორ 416, 426, 440, 451
 შორგანი ლ. 100
 შოსე (ბებ.) 55

- მოსე წინასწარმეტყველი 60, 61
 მოსე ხორენელი 104, 508, 509
 მოსეშვილი ვარ. 247, 250, 259, 329
 მოსეშვილი ი. 346
 მრეველიშვილი ს. 254
 მურადიანი ე. 104
 მურადიანი პ. 503, 506
 მუსხელიშვილი დ. 23
 მუსხელიშვილი ვ. 249
 მუსხელიშვილი რ. ვ. 7, 23, 459, 461, 473, 493
 მუსხელიშვილი ნიკო ბ. 291, 292, 339, 352, 370, 375
 მუჩაიძე იოს. 464
 მუხაძე გრ. ბ. 202, 247—250, 324, 333
 მუხრანსკი გ. 4
 მუხტარი ბ. 69
 ნადარეიშვილი ბესარიონ 477
 ნავაშინი ს. 289
 ნათიშვილი ალ. 247—251, 329
 ნაკაშიძე ნ. 162, 202, 216, 217
 ნანეიშვილი გიორგი (ზ.) 325—327, 332
 ნანეიშვილი ნატალია ზაკარიას ასული 203
 ნანეიშვილი რაუდენ ივანეს ძე 203
 ნანიტაშვილი ლ. 7
 ნაპოლეონ III 61, 62
 ნატანსონი 328
 ნაკყეებია შ. 7
 ნებროთი (ბიბ.) 174
 ნეიბაუერი ა. 304
 ნეიმანი ალ. 205
 ნერგაძე ი. 561
 ნესტან-დარეჯანი (ცახთა მეფის ალექსანდრეს დედა) 173
 ნესტან-დარეჯანი („ვეფხისტყაოსანი“) 519
 ნეფსაძე ალ. 153
 ნიკიტინი ალ. 253
 ნიკოლაძე გ. 281, 291, 292, 352
 ნიკოლაძე თ. 281
 ნიკოლაძე იაკობ 123, 124, 334
 ნიკოლაძე ნიკო 36, 188
 ნიკოლაძე რ. 7, 281
 ნიკურაძე ივანე 332
 ნინო (წმ.) 44—48, 413
 ნიორაძე გ. 450, 453, 486, 487
 ნიჟარაძე ივ. ბ. 6, 15, 23, 36, 53, 59, 61, 66, 82, 88, 119, 136, 147, 502
 ნოღია შ. 6
 ნოე (ბიბ.) 174
 ნოევიკოვი შ. 208—209
 ნოღაიდელი ქემალ 7, 417, 486, 579
 ნუცუბიძე აბ. 7
 ნუცუბიძე შალვა 6, 185, 188, 205, 210, 216, 219, 220, 228, 235, 268, 276, 280, 346, 355, 456
 ოღიშვილი ქ. 397, 399
 ოზეროვი ი. 136, 137
 ოლდენბურგი ს. 208—210
 ოშიაძე შიბ. 477
 ორაგველიძე ქ. 416, 530—534, 538, 571
 ორაბელაშვილი მამია 276
 ორბელი ი. ა. ბ. 504, 522, 571, 574, 575
 ორბელიანი ალექსანდრე ივანეს ძე 424
 ორბელიანი გრიგოლ 169
 ორბელიანი ლიპარიტ 174
 ორბელიანი სტეფანოს 70, 80
 ორბელიანი სულხან-საბა 139, 179, 341, 375, 423, 472, 479, 597
 ოსტროვსკი ნ. 567
 ოქროპირიძე ვაბარიელ 154
 ოქროპირიძე ნ. 258
 ოცხელი ი. 194
 პაეღე მოციქული 439
 პაეღოვი ი. 329
 პალეჩევი ნ. 208, 209
 პალმიერი ა. 333
 პაპავა ი. 7
 პასტერი ლეი 348
 პასტრიულნი 97
 პეეტერსი 587, 588
 პერგამენტი შ. 208, 209
 პეტრიაშვილი ვასილ 21, 85, 254
 პლატონი 384
 პოლეკტოვი შიბ. 281, 418—420
 პოროცკი 197
 პრიაზნიკოვი დ. 291
 პროკოპი კესარიელი 474
 შამთალაშვილი 169, 171, 368, 442
 ეორდანია გივი გიორგის ძე 256
 ეორდანია გიორგი 255, 256
 ეორდანია თ. 167, 255, 256, 397
 ეორგოლიანი სერ. 147, 162
 ეუკოვსკი ვ. 28, 51, 105
 ეურული გ. 193, 195
 ეურული 398, 399
 ელენტი ვლ. ბ. 6, 565, 597
 რაზმაძე ა. 214, 246, 291, 292, 331, 332, 352
 რამშეს II 62
 რამინი („ეისრაჰიანი“) 81
 რაუდენი (წმ.) 176
 რატიანი პრ. 7
 რატიშვილი გ. 7, 187
 რაჭველიშვილი ქრ. 153
 რეპინი ილია 124

რეხიაშვილი ნ. 464
 რეჭებოლი ხასან 69
 რიფსიმე (წმ.) 46
 როგავა გ. 7, 306
 როზენი ვ. რ. 26, 27, 28, 37, 38, 40, 49,
 51, 54, 56, 57, 64, 340, 426
 როლოვი ა. 289
 რომანოზი (ბიზანტიის კეისარი) 73
 როსი 202
 როსტოვევი გ. 209, 572
 როსტომ მეფე 395
 რუსულანი (საქართველოს მეფე) 367, 371,
 372
 რჩელიშვილი ლ. 7, 493
 რჩელიშვილი მიხ. 493
 რცილაძე გიგო 198, 202
 რცილაძე გ. 471

 სააკაძე გიორგი 514, 515
 საბინ-გუსი ლ. 17
 საბინინი 33
 საბინინი მ. 182
 საბინინი 197
 საიდ ხელივი 61
 სალუქვაძე ევ. 150
 სალუქვაძე მ. 561
 საპელინი 204
 სარაჩიშვილი დავით ზაქარიას ძე 158, 255
 სარაჩიშვილი ვანო 122
 სასანელები 115
 საფრონოვი 204
 სერაგევიჩი ვ. 30, 57, 445
 სვანიძე ალ. 534—538
 სვანიძე გიორგი სიმონის ძე 204
 სეიმონ მეფე (ლუარსაბ მეორის ძე) 364
 სიმონ პირველი 467
 სიმონ ქუთათელი 181
 სიგუა ა. 7
 სიღამონიძე ვ. 7
 სილოგავა ვ. 7
 სირაძე რ. 7, 175
 სმირნოვი ა. 30
 სოლოლაშვილი ა. 202
 სონდელაშვილი ბროდიონ 306, 464
 სოსელია გ. 531
 სტაზია იმ. წამბაკურ-ორბელიანი ანასტასია ნი-
 კოლოზის ასული (ივ. ჭავჭავაძის მე-
 უღლე)
 სტასოვი ვ. 32, 33, 261
 სტრაბონი 82, 102, 104, 107, 108, 114, 115,
 410, 430, 468, 531
 სტრუვე ვ. ვ. 524, 577
 სულა 384
 სულიაშვილი ლ. 193, 202

სუმბათაშვილი-იუენინი 570
 სუმბატ დავითის ძე 177
 სუპატაშვილი ვალენტინა 7, 471
 სურგულაძე აკ. 7
 სურგულაძე მ. კ. 382
 სურგულაძე პ. 85, 111
 სუქიაიანი ა. 104

 ტაბიძე ვალაკტიონი იმ. ვალაკტიონ ტაბიძე
 ტაბლიაშვილი თ. 5
 ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლო-
 ბა 177
 ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“) 523, 524
 ტატიშვილი ირ. 7, 337, 593, 597
 ტერ-მოვსესიანი გ. 504
 ტერუნაშვილი იაგორ 309
 ტიგრანიანი ს. 58
 ტიფაძე გ. 586
 ტიურო-დანეენი ფ. 535
 ტიხონოვი ნ. 524
 ტოლოჩანოვი ნიკიფორე 419, 420
 ტომარაძე ალექსი 477
 ტოლსტოი ლევ 32
 ტრეპოვი 30
 ტრუბეცკოვი ნ. 551
 ტურაევი ბ. 357
 ტურგენევი ივ. 32
 ტურიაშვილი ი. 153
 ტყემალაძე ა. 260

 შალტოვი ი. 422
 უეაროვი ბ. 289
 უზნაძე დიმიტრი 193, 202, 215, 216, 219,
 228, 268, 299—303, 346, 352, 535
 უორდრაობი ოლივერ 65
 ურბნელი ნ. (ბიზანიშვილი) 152, 425, 426
 ურუშაძე აკ. 7
 უსლარი პ. 550
 უხტანესი 415

 შადეევი ა. 524
 ფალავანდიშვილი ი. 95
 ფალავანდიშვილი ზაქარია 117—122, 261—263,
 350, 564
 ფარნავაზ მეფე 387
 ფარსადან გორგიჯანიძე 178, 182
 ფარცვანიძე მ. 289
 ფაუსტოს ბიზანტიელი 44
 ფალავა მექი 202
 ფელსბერგი ა. 328
 ფეოდოროვი ს. 137
 ფიგუროვსკი ი. 268, 298
 ფირდოუსი 417
 ფირცხალავა სამსონ 36, 111, 113, 201
 ფიფია ეგნატე 7, 334

- ფიშერი კენო 297
 ფიცხელაური ს. 153
 ფორაქიშვილი ადამ 18, 202, 255
 ფორელი 328
 ფოფხაძე ვლად. 477
 ფრანგიშვილი ალ. 7
 ფრანჩესკო ასიზელი 588
 ფრიდრიხი (პრაფ.) 537, 538
 ფრონელი იხ. ყიფშიძე ალექსანდრე
 ფუფურიძე ვლ. 6, 162, 165
- მაეთარისშვილი ელიშერ 395, 396
 ქაიხოსრო ბატონიშვილი იხ. ბატონიშვილი ქაიხოსრო
- ქიქოძე გერონტი 216, 239, 585
 ქრისტე 56, 92, 387
 ქრისტეფორე კოლუმბი 363
 ქსენოფონტე 104, 107, 410
 ქუთათელაძე იოველი 6, 223, 324, 329, 422, 423
- ქურდიანი მ. 221
 ქურდიანი გ. 193, 201, 240, 291, 293
 ქურდიანი სოლომონ ზაქარიას ძე 268, 287
 ქუჩუკაშვილი შიო 204
- ლამბაშიძე გაბრიელ გრიგოლის ძე 202, 215
 ლამბაშიძე ვანდა 247, 277
 ლამბაშიძე შალვა 564
 ლარიბიანი ა. 504
 ლულაძე ან. 266
 ლლონტი ალ. 7
 ლლონტი თედო 406
 ლლონტი ივ. 151
- შაზბეგი ალ. 169
 ყაზბეგი გ. 131, 201
 ყალიჩაევა ს. 422
 ყანჩაველი ზაქარია ალექსანდრეს ძე 202, 247, 288
- ყაუხჩიშვილი მიხეილ 185, 325
 ყაუხჩიშვილი ს. 6, 162, 165, 216, 239, 327, 333, 341, 363, 366, 413, 509, 540
- ყვარყვარე ათაბაგი 359, 560
 ყირქეცალიშვილი ს. 293
- ყიფიანი დ. 16
 ყიფიანი ვ. 193, 195, 197, 201, 216
 ყიფიანი ი. 162
 ყიფიანი მ. 15
 ყიფიანი ნ. 446
 ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) 87, 108, 110, 219, 427
 ყიფშიძე დ. ა. 162, 165, 216, 239, 270
 ყიფშიძე ივ. 291
 ყიფშიძე ილია 221
 ყიფშიძე ი. ა. 6, 126, 127, 147, 148, 162, 164, 165, 169, 185, 187, 189, 216, 218—222, 224, 228, 235, 239, 240, 242, 243, 247, 269, 270, 272, 297, 307, 440
- შადანი 374
 შაგვულიძე ვ 489
 შაგული 528
 შალაშვილი 324
 შალაიანი მ. 33
 შამანდუხ 467
 შანიასკი ა 186
 შანიძე აკაკი 6, 8, 39, 64, 126, 127, 147, 158, 161—166, 185, 187, 189, 193, 202, 215, 216, 218—221, 228, 235, 254, 260, 268, 270—272, 277, 282—284, 304, 306—311, 340—342, 351, 354, 416, 471, 505, 534, 541, 545, 559, 570, 587, 597, 598
- შანუ მანდატურთუხუცესი 372
 შარაბიძე ალექ. 477
 შარაშიძე კ. 147, 151
 შარაშიძე ქრისტინე 477
 შარდენი ვან 102
 შაპაბაზი, შაპაბასი 467
 შაპთაბაზი 364
 შევალე 277
 შევარდნაძე დიმიტრი 127, 129, 335, 336
 შევარდნაძე მიხეილ 173, 239, 543
 შენგელაია დ. 7
 შერეფ ად-დინ ალი იეზდი 378, 380, 590
 შილაკაძე ანდრო 6, 341
 შიშმარაიოვი ვ. 86, 524
 შოთა კუპრი 372
 შოთა რუსთაველი 9, 92, 235, 457, 458, 491, 517—525
 შოშიაშვილი ნ. 9, 10
 შრადერი ო. 515
 შუბარტი ვ. 355, 356
 შუღიანი კონსტ. 19
 შულცი კ. 56
 შუშანიკი (წმ.) 431, 587
 შუხართი ჭეგო 224, 546
- ჩაგუნავა რ. 7
 ჩამჩიანი გ. 104
 ჩანბარისოვი მ. 422
 ჩანტლაძე ვ. 7, 381
 ჩარქეიშვილი ი. 36
 ჩარქვიანი კ. 7
 ჩაიკიაშვილი ნიკოლოზ 384
 ჩახრუხაძე 528
 ჩერნიშევსკი ნ. 32
 ჩერქეზიშვილი ვანო 148
 ჩეხოვი ა. პ. 32
 ჩინგისხანი 369, 373
 ჩინჩალაძე ვ. 264
 ჩიტაია გ. 6, 159, 162, 165
- ჩიქოზავა არნ. 7, 240, 311, 336, 341, 417, 549—551, 556, 559, 560, 586
 ჩიქოვანი (თავადი) 95

ჩიქოვანი მ 7
 ჩიქოვანი ს. 7, 585
 ჩიჭავაძე ა. ნ. 83, 84
 ჩიჭავაძე ელ. 185
 ჩლაძე 483
 ჩოლოყაშვილი ივანე ლეონის ძე 11
 ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე 298,
 471, 477, 493
 ჩუბინაშვილი გ. რ. 86, 126, 187, 268, 321,
 322, 333, 341, 416, 417, 455—457, 493, 586
 ჩხეიძე დ. 6, 121, 131, 159, 564
 ჩხეიძე ს. 178, 179, 181
 ჩხენკელი ა. 220, 224
 ჩხენკელი ივ. 7
 ჩხენკელი სტ. 417
 ჩხეტია შ. 7
 ცაგარელი აღ. 28, 29, 38, 42, 50, 64,
 159, 164, 270, 308, 339, 340, 426
 ცინცაძე იასე 7, 477
 ცინცაძე კ. 253
 ცინცაძე (იასე ცინცაძის შამა) 477
 ცეცხლაძე სიმ. 204
 ცოპია ვ. 258, 483
 ცხაკაია შიხა 346
 ცხაკაია ქსენია 7, 334
 ცხეველაძე ნიკო 87, 88, 158, 287, 400
 ძიძიგური შ. 7
 ძევესოს 9, 12
 წერეთელი აკაკი იბ. აკაკი წერეთელი
 წერეთელი ა. 202
 წერეთელი ან. 216
 წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე 35
 წერეთელი გიორგი ვასილის ძე 417
 წერეთელი გრიგოლ ფილიპონის ძე 329,
 332—334, 354—357, 382, 450, 570—573
 წერცელი ე. ფ. 357
 წერეთელი მ. 216, 273, 277
 წილოსანი ე. 493
 წინამძღვრისძე მ. 246
 შავეკავაძე ილია იბ. ილია ქავეკავაძე
 ქავეკავაძე ფარიდონ 395
 ქალაშვილი ვერაჭ 173
 კარაია პ. 241, 558
 კეიშივილი იოს. 309
 კეიშივილი ნიკოლოზ 258
 კელიძე ამბაკო 477
 კიანურელი მ. 127
 კილაია ს. 7
 კილაშვილი ლ. 99
 კილაძე ვ. 203
 კიკინაძე შ. 291, 293
 კიკინაძე ზაქარია 400
 კიკინაძე ქ. 519

კონკაძე დანიელ 530
 კოლოშვილი ე. 203
 კრელაშვილი ვარლამ 205

კუბაბრია გიორგი 147, 148, 150, 162, 163
 კუმბურიძე შ. 7
 ზალთიანთი გ. 504, 508, 509, 569
 ზარატიანი ა. 7, 508
 ზარაძე არჩ. 6, 245—247, 291, 292, 352
 ზარაძე რ. 486
 ზარამოვი 196, 198
 ზაკაშვილი გ. 570, 584, 586
 ზახანაშვილი აღ. 84
 ზანანაშვილი მ. 204, 239
 ზეჩინაშვილი გ. 258
 ზიდაშვილი შ. 7, 493
 ზიზანიშვილი ნიკო იბ. ურბნელი ნ.
 ზილინსკი კ. 209
 ზინთობიძე ელ. 7
 ზორგუაშვილი გ. 7
 ზოფერაა ა. 162
 ზოფერია თ. 205
 ზომტარია ელ. 7
 ზუნდაძე ს. 422
 ზუსიშვილი ს. 7, 152

ჯაბადარი აღ. 255
 ჯაბადარი ივ. 512—515
 ჯაბაყი ჯამბულ 524
 ჯავახიშვილები 9, 10
 ჯავახიშვილი ალექსანდრა (ივ. ჯავახიშვილის
 და) 10
 ჯავახიშვილი ალექსანდრე (ივ. ჯავახიშვილის
 შამა) 9—15, 22, 24, 40, 42, 48, 59, 136
 ჯავახიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე (ივ. ჯავა-
 ხიშვილის შვილი) 89, 363, 532, 543, 597
 ჯავახიშვილი ალექსანდრე (გეორგადი) 199, 329
 ჯავახიშვილი გიორგი (ივ. ჯავახიშვილის ძმა) 12,
 15, 41, 42, 59, 66, 119
 ჯავახიშვილი დათა (ივ. ჯავახიშვილის ძმა) 11,
 15, 84, 136, 137
 ჯავახიშვილი ეკატერინე (ივ. ჯავახიშვილის და)
 10, 42, 43
 ჯავახიშვილი თამარ 202
 ჯავახიშვილი კახა (ივ. ჯავახიშვილის შვილი) 89,
 532, 538, 597
 ჯავახიშვილი მიხეილ (ივ. ჯავახიშვილის ძმა)
 10, 15
 ჯავახიშვილი ნათელა (ივ. ჯავახიშვილის ქა-
 ლიშვილი) 5, 7, 54, 89, 120, 122, 450, 459,
 530, 532, 597
 ჯავახიშვილი ნ. 249
 ჯავახიშვილი-გამრეკელი (XVI ს.) 466, 467
 ჯავახ თორელი 10
 ჯაკობია გ. 341
 ჯალალდინი 367

- წამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე ივანეს ძე 129, 172
 წამბაკურ-ორბელიანი ანასტასია ნიკოლოზის ასული (ივ. ჭავჭავაძის შვილი) 88, 135
 წამბაკურ-ორბელიანი მარიამ ვახტანგის ასული, 6, 129, 138, 184, 202, 216, 217, 260, 424, 428
 ჩანაშია სიმონ 7, 183, 336, 341, 422, 489, 490, 531, 539—541, 559, 584—586
 ჩანბერიძე ნ. 7
 ჩანაშვილი არჩ. 7
 ჩანაშვილი მ. 47, 91, 92, 167, 170, 171, 223, 305, 308, 420, 421
 ჩანელიძე ალ. 6, 193, 194, 543
 ჩანელიძე გრ. 154, 530
 ჩანელიძე დ. 584
 ჩაფარიძე გ. 381
 ჩაფარიძე ე. 7, 488
 ჩაფარიძე კ. 561
 ჩაფარიძე ო. 7
 ჩაფარიძე ფატმან 477
 ჩაყელი იოანე-უუარეუარე 371
 ჩაყელი სარგის 374, 375
 ჩვირანიშვილი ევ. 7
 ჩიბლაძე გ. 7
 ჩიქია ს. 7, 417
 ჩორბენაძე არკ. 597
 ჩორჭაძე არჩ. 30, 103, 121, 157, 427
 ჩუღელი ე. 162
 ჩარნაყი გუსტაფ ადოლფი 52—57, 59, 67, 119, 589
 ქეგელი 24
 ქერაყელ 139
 ქეროლოტე 104, 167
 ქომეროსი 144, 437
 ქროზნი დ. 536
 ქულაგუ-უაენი 374
 ქუმბორღტი ალექსანდრე 88

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ კ მ ა 3

კ ა რ ი პ ი რ ვ ი ლ ი

ბ ა რ თ ლ ი ნ ა ლ ა კ ა ხ ა თ ი ს წ ი ა ლ შ ი (1870—1895)

თ ა ვ ი I. ზ ნ ე მ ა ლ ა ლ ი ო ყ ა ხ ი	9
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს წ ი ლ	14
ღ ე ლ ა მ ი ზ ა ნ ი გ ა რ კ ე უ ლ ი ა	16

კ ა რ ი მ ე ო რ ა

ც ხ მ ა რ ა ე ბ ი ს ა ლ მ ო ლ ნ ა ვ ა რ თ ო ბ ი ს პ ა ტ ა რ ბ უ რ ბ ი ს პ ა რ ი ო ლ ი (1896—1917)

თ ა ვ ი I. „ ვ ი ნ ს მ ო წ ა ზ ე ლ ა რ ყ ო ფ ი ლ ა , ი ს მ ო ძ ლ ვ ა რ ი ა რ ი ქ ნ ე ბ ი ს “	25
ი მ პ ე რ ი ო ს ე რ თ ა დ ე რ თ ს ა უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე რ თ ფ ა ე უ ლ ტ ე რ ტ ზ ე	25
ს ტ უ ლ ე ნ ტ ე რ ი ღ ე ლ ი ლ ი ს წ ლ ე ბ ი	31
თ ა რ გ მ ა ნ ი — ს უ ლ ი ე რ ი ა ლ ე ბ მ ი ც ე მ ო ბ ი ს ი ა რ ა ლ ბ	37
ს ტ უ ლ ე ნ ტ ე — ქ ა რ თ უ ლ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ო ს ფ უ ლ მ ე მ ლ ე ბ ე ლ ი	41
ს ი ნ ა მ ლ ე ლ ი ს რ ე ა ბ ი ლ ი ტ ა ც ი ა	43
თ ა ვ ი II. მ ო გ ზ ა ე რ ო ბ ი ს ა ლ ა ც ო ნ დ ი ს დ ა გ რ ა ვ ე ბ ი ს წ ლ ე ბ ი	51
ს ა პ რ ო ფ ე ს ო რ ო წ ო ლ ე ბ ი ს ა თ ე ი ს მ ო ს ა მ ზ ა დ ე ბ ლ ა დ	50
ბ ე რ ლ ი ნ ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე რ ტ შ ი	52
ს ი ნ ა ს მ თ ა ზ ე	59
თ ა ვ ი III. პ რ ი ე ა ტ - ღ ო ც ე ნ ტ ი ს წ ო ლ ე ბ ა შ ი	69
ს ა ე უ თ ა რ ი ნ ე ბ ი თ შ ე რ ა რ ე უ ლ ი ს ა ც ლ ე ლ ი ლ ე ქ ც ი ა	71
პ ი მ ო თ ე ზ ა ლ ა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა	76
მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი ა	82
მ ა მ უ ლ ი შ ე ი ლ ო ბ ა ლ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ი ს ტ ო რ ი ე ლ ს ი მ ა რ თ ლ ე ს რ ო დ ი უ ბ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ი ა ნ	89
რ ე ვ ო ლ უ ტ ი ო ს ღ რ ო ი ნ დ ე ლ ი გ ა მ ო ყ ე ლ ე ვ ე ბ ი	93
ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო ნ ა შ რ ო მ ი	99
თ ა ვ ი IV. მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ე ბ ი ს ქ ა რ თ უ ლ ა დ შ ე კ მ ნ ი ს ლ ა წ ყ ე ბ ა	107
„ ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ე კ ო ნ ო მ ი ე რ ი ი ს ტ ო რ ი ა “	107
ს ი მ ბ ო ლ უ რ ი პ ო ნ ო რ ა რ ი	110
თ ა ვ ი V. „ ღ ი ღ ა რ ს ძ ა ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ა “	115
თ ა ვ ი VI. უ კ ე ლ ა ე წ ო გ ე ნ ძ ლ ნ ა ღ დ ე ლ ი ს ლ ა მ ა მ ს წ მ ი ნ დ ა ს ა ხ ლ ე უ ბ ს	135
თ ა ვ ი VII. ყ ვ ე ლ ა ზ ე ღ ი დ ი გ ზ ა პ ი რ ე ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ყ თ ი ი წ ყ ე ბ ა	145
თ ა ვ ი VIII. გ რ ა ნ დ ი ო ბ უ ლ ი წ ა მ ო წ ყ ე ბ ა	167

კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

პ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ბ ი ს ლ ა ა რ ს ა ზ ა (1917—1918)

თ ა ვ ი I. ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ა კ ე ნ	184
თ ა ვ ი II. პ ი რ ე ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ი	193
თ ა ვ ი III. ხ ა ლ ხ ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ძ ა ლ ა	200
თ ა ვ ი IV. ს ი ხ ა რ უ ლ ს ა ლ მ ხ ა რ დ ა ქ ე რ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ ხ ე ლ ს შ ე შ ლ ა	207
თ ა ვ ი V. ყ ვ ე ლ ა ზ ე მ შ ი მ ე ღ ლ ე ი ვ ა ნ ე რ ა ე ა ბ ი შ ე ლ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი	214
თ ა ვ ი VI. პ ი რ ე ვ ე ლ ი კ ა ვ ა ს ი ა შ ი	222
თ ა ვ ი VII. პ ი რ ე ვ ე ლ ი ლ ე ქ ც ი ა ა ბ ი ლ ს ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე რ ტ შ ი	228

თ ა ვ ი	VIII. უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის პირველი დეკანი	234
თ ა ვ ი	IX. როცა ორივე მხარე მართალია	242
თ ა ვ ი	X. ქართულ ეკიმთა პატრიოტიზმი	245
თ ა ვ ი	XI. უმდიდრესი წიგნსაცაეი	252
თ ა ვ ი	XII. ქართველთა სტასოვი	261

კ ა რ ი მ ი მ თ ხ ი

სარეპტორო მოღვაწეობა (1910—1926)

თ ა ვ ი	I. რექტორი — თანასწორთა ზორის პირველი	265
თ ა ვ ი	II. ახალი წყობა, ახალი ამოცანები, ახალი ცეცა	276
თ ა ვ ი	III. აკრონომია გამარჯე ქართული გლეხის შემწევა	286
თ ა ვ ი	IV. ინიცირაია ახალგაზრდობის ყველაზე პოპულარული სპეციალობა	290
თ ა ვ ი	V. ქართულ იურისტთა და ეკონომისტთა აღზრდის პირველი კერა	294
თ ა ვ ი	VI. პროფ. დ. უზნაძის საპედაგოგიო-ფსიქოლოგიური მოღვაწეობის მხარდაჭერა	299
თ ა ვ ი	VII. ყველაზე დიდი აღმოჩენა ქართულ ფილოლოგიაში	303
თ ა ვ ი	VIII. უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და ორგანიზაციის უპირველესი ქართული სპეციალისტი	312
თ ა ვ ი	IX. კულტურისა და განათლების საქესთან	348
თ ა ვ ი	X. მეოთხე წიგნი წინ უსწრებს მესამეს	357
თ ა ვ ი	XI. ტერმინები უპირველეს ყოვლისა	379
თ ა ვ ი	XII. ერთ წელს გამოსული ორი წიგნი	381
	ა. უძველესი ქართული დამწერლობა	381
	ბ. ყოველი ტექსტი სანდო როდია	390
თ ა ვ ი	XIII. მთელი ვაკის ტერიტორია თბილისის უნივერსიტეტს	403

კ ა რ ი მ ი მ თ თ ე

მეცნიერული შემოქმედების რთველი (1927—1927)

თ ა ვ ი	I. ოცდარვა წელი ერთ წიგნზე მუშაობისა	408
თ ა ვ ი	II. სხვისი ნიჭისა და თავდადების დაფასება ქვეშაირტი მეცნიერის თვისებაა	416
თ ა ვ ი	III. ქართული სამართლის მეცნიერული ისტორიის მესამი კვლე	425
თ ა ვ ი	IV. სამუზეუმო საქმის განმახლებელი საქართველოში	444
თ ა ვ ი	V. სახალხო მურწნეობის ისტორიისა და მატერიალური კულტურის მასშტაბური კვლევა	462
თ ა ვ ი	VI. სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ყველა ქართველმა უნდა იცოდეს	502
თ ა ვ ი	VII. იბრძოლა საქართველოს განახლებისათვის	510
თ ა ვ ი	VIII. უწრეტი წყარო — ეფუხისტყაოსანი	516

კ ა რ ი მ ე მ ე მ ს ი

შეკუთავი და აკადემიკოსი (1928—1949)

თ ა ვ ი	I. დალილი გული	525
თ ა ვ ი	II. გაბედული წიგნი	545
თ ა ვ ი	III. გულის სიტყვა	560
თ ა ვ ი	IV. პირველი ოცე წლის ზეიმი	565
თ ა ვ ი	V. დიდ აკადემიკოსი	570
თ ა ვ ი	VI. სიმღერა-გალობა ერის სულის ურღვევი ნაწილია	577
თ ა ვ ი	VII. დილოგი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოზე	584

კ ა რ ი მ ე მ ე მ ი მ ი

სიკვდილის სიღვიამე	592
პირთა საძიებელი	599